აკა მორჩილაძე

სანტა ესპერანსა

Dalier Book

ზანდუკი ხეტიალისა, ბანქოს ქაღალდისა და ათასი რამერუმისა

აუცილებლად ჩასაკვირვებელი იმათგან, ვისაც ამ რვეულების წაკითხვა გადაუწყვეტია, რადგან სწორედ აქაა ჩამოწერილი ყველანაირი სარჩევი რვეულებიანი წიგნისა, რომელსაც ამ სარჩევთა გარეშე თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ, თუმცა, დიდად არცა სჭირდება თავის და ბოლოს გაგება.

პირველად სანტა ესპერანსაზე ანუ იოანეს კუნძულებზე 1997 წელს მოვხვდი, ოთხი დღით. შემთხვევით გადავწყვიტე წასვლა, სტამბოლიდან და იქ გასაჩერებლად მეტი არც დრო მქონდა და არც ფული. მარტივი სავიზო რეჟიმი კი გვარიანად მეხმარებოდა, რადგან როგორც საკურორტო ადგილებს სჩვევია ხოლმე, ორკვირიანი უვიზო შესვლა დაეწესებინათ, იმ ორი კვირის თავზე კი პასპორტით ხელში პოლიციას უნდა მიდგომოდი და აგეხსნა, კიდევ რამდენი ხნით გსურდა აქ ყოფნა და დარჩენის მიზეზებიც ჩამოგეთვალა. თუ მუშაობას აპირებდი, სამუშაო ადგილიდან დასტური უნდა მიგეტანა და ასე შემდეგ.

მაშინ ოთხ დღეზე მეტს არ გავჩერებულვარ სანტა სიტიში, სხვანაირად კი სენტ ჯონ სიტადელში, მაგრამ, აი, შვიდი წელი გავიდა და ისევ ჩავფრინდი იქ, თუმცა, ხლაფორთი ახლა მეტი დამჭირდა, ვიდრე იმ პირველი ჩასვლისას.

არა, საკურორტო კანონი კი ისევ მოქმედებდა, მაგრამ ამ კანონით ამ ქვეყანაში უდარდელად ჩასვლა მხოლოდ საზღვრებმოშლილი ევროპის და ბრიტანეთის მოქალაქეებს შეეძლოთ, სხვა ათასგვარ ტურისტს კი წინდაწინვე უნდა მიეღო ვიზა, თორემ იმ ორი კვირით შესვლასაც არ აღირსებდნენ.

ევროპელებს დაავიწყდათ კიდეც, რა არის ვიზა, ისინი იოლად გადი-გამოდიან თავიანთ კონტინენტზე, ის კი, ვისაც ჯიბეში ქართული პასპორტი აქვს, ყოველ წასვლა-წამოსვლაზე ათასგვარ სულელურ ქაღალდებს ავსებს, სადაც ზოგჯერ საკუთარი თვალის ფერის წერილობით დადასტურებაც კი უწევს, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ გულახდილად უნდა ჩაწეროს, ვინ ჩაალაგა მისი ჩანთა, ცოლმა თუ საყვარელმა და თვითონ თუ ესწრებოდა ამ ჩანთის ჩალაგებას, რადგან შესაძლოა, ცოლს ყუმბარა, ან შხამიანი კაფსულები მიემალა ჩანთის რომელიმე ჯიბეში.

ასეთი პასპორტის მქონემ ისიც უნდა მიუთითოს რომელიღაც ქაღალდში, თუ სად, რა მისამართზე და რაგვარი შემოსავლებით აპირებს ცხოვრებას და ასე დაუსრულებლად.

მოგზაურმა კი აბა, რა იცის, სად დაუღამდება?

მოგზაური იმისია, რომ იმოგზაუროს, მაგრამ საქმე ისე წასულა, რომ თუ საზღვრებწაშლილი ევროპის მოქალაქე არა ხარ, მოგზაურობა გიჭირს, რადგან საზღვრებმოშლილი ევროპა გეკითხება: რატომ მოგზაურობო, შენ კი ამისთვის რაღაც ქაღალდებში შენი შემოსავალი უნდა ჩაწერო.

ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ სანტა ესპერანსა არ ეკუთვნის საზღვრებმოშლილ ევროპას, ის შავ ზღვაში ძევს. თუმცა, იქ ომი იყო და ეტყობა ამიტომაც გაამკაცრეს საზღვრებმოშლილი ევროპის საზღვრებსგარეთა ევროპის, რომელიც მგონი მთლად ევროპაც არ უნდა იყოს, მოქალაქეთა უპირობო დენა თავიანთი ქვეყნისკენ.

მაგრამ სად უნდა აიღო სანტა ესპერანსას ვიზა? ამ პატარა ქვეყანას საელჩო და საკონსულო საქართველოში კი არა, მგონი რუსეთშიც არა აქვს. ამის პასუხი სანტა ესპერანსას ტურისტულ საიტებზე უნდა ეძებო. მე იქ ვეძებე და ვიპოვე კიდეც.

აღმოჩნდა, რომ ამ ქვეყანას ელჩები არა ჰყავს. როგორც ბევრ, ოდესღაც ინგლისელთაგან ნაჭერ მიწას, რომელიც კვლავაც ირიცხება ერთა თანამეგობრობაში, ამ სამ პატარა კუნძულს ლონდონში უზის უმაღლესი კომისარი, რაიც რანგით კონსულის ტოლია. ბრიტანეთსაც სენტ ჯონ სიტადელში უზის უმაღლესი კომისარი, ხოლო სტამბოლში, თუ კარგად მოძებნი, ასევე იპოვი კაცს, რომელიც სანტა ესპერანსას კონსულად შეიძლება ჩაითვალოს და ამ ქვეყანაში შესაღწევი ვიზა მოგცეს, ვითარცა არაევროპელ ევროპელს, რომელიც ეგებ სულაც არა ხარ ევროპელი. ამ კაცის თანამდებობასაც უმაღლესი კომისარი ჰქვია.

რახან ფული ადრევე დამეგროვებინა და აუცილებლად ვაპირებდი კუნძულებზე წასვლას, თბილისიდან ლონდონში ჩაფრენას, ამისთვის ცალკე ვიზის მოპოვებას და მერე ამ ქალაქში კიდევ ერთი, უკვე იოანური ვიზისთვის ჯახირს, ისევ თურქეთში ჯახირით ჩასვლა, საზღვრის იოლად გადავლა და სტამბოლში იმ დაწესებულების მოძებნა ვარჩიე, სადაც ხსენებული კომისარი უნდა მჯდარიყო.

კომისარს არ უყვარდა ქართველები, უფრო ევროპელნი რომ შევიქენით, მას არ მოსწონდა ქართველები. ეტყობა, ამის მიზეზი ჰქონდა, მაგრამ ახსნით თავი არ შეუწუხებია. საკვირველია, მაგრამ თვითონაც ქართველი იყო, თუმცა ინგლისურად კი მელაპარაკებოდა.

მე ლაპარაკში ჩავურთე ორიოდ ქართული სიტყვა, რადგან ინგლისური დამაკლდა, მან კი ინგლისურად მომიგო, რომ ასეთი ქართული არ ესმის, რადგან იოანურს ლაპარაკობს.

სამი საათის შემდეგ დამიბარა და მიბრუნებულს ოც წუთს მეკითხებოდა, რა საქმიანობას ვეწევი და რად მინდა მაინცდამაინც ექვსთვიანი ვიზა. რაც შემეძლო, ვპასუხობდი. გამოცდაზე რომ გასულხარ, იმას ჰგავდა: მეკითხებოდა რაღაცეებს მისი ქვეყნის ისტორიის შესახებაც, მე კი ძალიან ბუნდოვნად ვპასუხობდი, რადგან ერთადერთი, რაც წამეკითხა ამ სახელმწიფოს წარსულის შესახებ, ნებიერიძის ბროშურა იყო. თურმე, ვიზა უკვე მოეცა და პასპორტშიაც ჩაებეჭდა, მაგრამ არ მიმხელდა.

ბოლოს მომაწოდა პასპორტი და მითხრა, რომ უმჯობესია გემით გავემგზავრო. მართლაც, უფრო იაფი ჯდებოდა.

ასე წავედი მეორედ იოანეს კუნძულებზე და ნახევარ წელიწადს დავრჩი იქ.

ბოლო ორ თვეს ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობდი, ნაპირის უბანში.

უკვე თებერვალი იყო, როცა შინ დაბრუნება მიწევდა, თუმცა, აქეთ ზამთარი საუცხოოა და სიცივე არც კი გაგახსენდება. ეს არის, რომ შეიძლება ნესტმა შემოგირბილოს გარემო. ეს ნესტიც უფრო ზღვას ჩაყოლებულ ადგილებშია, ქალაქის შიგანში - ნაკლებად. ზღვა შტორმიანია და ნაპირის გამოყოლებაზე, ოცი ნაბიჯის სიგანეზე თითქოს წვიმს კიდეც. მზე იშვიათია, თუმცა მაინც გემრიელი. ასეთია ზამთარი სანტა სიტიში.

ამ ნახევარ წელიწადში მე თითქმის აქაური გავხდი. მართალია, გენუური და აქ სალაპარაკო თურქული გამართულ სამიანზე ძლივს ვისწავლე, მაგრამ იოანური კი იოლად დავამუღამე და, გულახდილად რომ ვთქვა, ახლა სწორედ ამ ქართულ დიალექტზე ლაპარაკი მირჩევნია ჩვენებურად ლაპარაკს.

უკვე ამხანაგიც ბევრი გამიჩნდა და წამოსვლა გამიჭირდა კიდეც. ჩემს ცოლს მალიმალ ვუდეპეშებდი, ადგილი ვიპოვე, წამოვალთ, დავსახლდებით-მეთქი. სამუშაოს პოვნაც სულ იოლად შემეძლო დაახლაც შემიძლია. ცოლი კი მიდეპეშებდა, საქართველოში ერთი ამბავიაო, სახალხო გამოსვლები დაიწყოო. ცხადია, ვღელავდი ამის გამო, მაგრამ იცით, როგორ ქალაქში ვცხოვრობდი?

აი, ისეთ ქალაქში ვცხოვრობდი, რომელსაც ერთი წლით ადრე ომი გადაეტანა და ახლა კი იმ ომის კვალი აღარსად ჩანდა. ისეთი ქალაქი გახლავს სენტ ჯონ სიტადელი, სახალხოდ კი სანტა სიტი, რომ ყოველივეს მოინელებს. არა სიავითა და ბრძოლით, არამედ თავისი უკვდავებით და ჯადოსნურობით. ტურისტი არ გეგონოთ, ტურისტივით კი არ ვამბობ ამას: შიგნიდან ვიცი ყველაფერი. ყოველთვის ვცდილობდი ქალაქი გამომეგონა და უკვე გამოგონილი კი ყოფილიყო. იმ პირველ ჩამორბენაზეც მივხვდი ამას და მთელი ეს წლები ხშირად ვფიქრობდი, აბა, რა იქნება, როდის მოვახერხებ, რომ აქ დავბრუნდე-მეთქი.

დავბრუნდი, ახლა კი უკვე შინ მოვდიოდი: ისევ ზღვით, ტრაბზონამდე და იქედან კი გზა-გზა საქართველოსკენ.

ძალიან მიჭირდა დაბრუნება, მაგრამ ჩემების გარეშეც ძალიან მიჭირდა, თუმცა, თითქოს მიჩვეულები არიან, რომ გადავიკარგები ხოლმე და როდის-როდის დავბრუნდები. ჰოდა, ახლა ვბრუნდებოდი და, როგორც წესიერმა კაცმა, გამომგზავრებამდე ბარე ათი დღით ადრე ჩემი ბაგაჟის მოწესრიგება დავიწყე.

აქ ცხოვრებისას დღე არ გამომიტოვებია, რამე არ დამეწეროს. იოანეს კუნძულებზე ძალიან ლამაზი თხელი რვეულები იყიდება, მუღამიანი ყდები აქვს და ძალიან ჰგავს ჩემი ბავშვობისდროინდელ თორმეტფურცლიან რვეულებს, ოღონდ უფრო ვიწროა. ერთი ორასი ასეთი რვეული მქონდა, სულ ნაირგვარი ამბებით გამოვსებული. ამ ამბებს აქაური საისტორიო წიგნებიდანაც გადმოვამოკლებდი ხოლმე და გაზეთებიდანაც ამოვჭრიდი. რასაც მიამბობდნენ, იმას ხომ ჩამოვარაკრაკებდი და რასაც დაუსრულებელს და სანახევროს მეტყოდნენ, იმას ჩემით მოვაბოლოვებდი

ხოლმე. ძალიან ბევრი ამბავი დამიგროვდა. სხვანაირად არც იქნებოდა, ძალიან ბევრი რამ შევიტყვე და ვიწერდი და ვიწერდი ამ რვეულებში. სულ ნაირგვარი, ალთის და ბალთის ამბები იყო, ამათ სმენაში და წერაში კაი ბევრ რამესაც ვფიქრობდი და მგონია, მივუხვდი იოანელების ცხოვრებას.

ეს ასზე მეტი რვეული, ბოლოს კი რომ დავთვალე, ას ორმოცდაერთია, მოზრდილი ბარგი იყო. ძველ ჩვეულებას, რაიც ახალი და სუფთა რვეულის სიყვარულში გამოიხატება, ეგრეც ვერ ვუღალატე. მომკალი და ჩანაწერიან ფარატინში გამაგრძელებინე რამე, მაინცდამაინც ახალში უნდა დავიწყო. ჰოდა, ესენიც ამიტომ მოგროვდა ამ ოდენობით. იაფიც ღირდა, სამი პენსი. რომ მოთვალო, ყველა ერთად სამ აქაურ ფუნტზე მეტი არც დამჯდომია.

მაგრამ რვეულებზე ლაპარაკი თუ არ შეწყდა, არც დამთავრდება. საქმე კი ის იყო, ამ რვეულებს ხერხი რომ მოვუძებნე. საერთოდაც ყველაფერი ამ ხერხიდან დაიწყო, თორემ რვეულებისგან წიგნს ვერც კი შევადგენდი, არც მიფიქრია ამაზე. უბრალოდ, რაღაცას რომ შეაგროვებ, ისე იყო და საწიგნე ამბავი ხომ ნაგროვებით უნდა გამოიგონო.

ანუ ვფიქრობდი, რომ გამოგონება აწი იწყება. მე კი ძალიან დიდხანს ვიგონებ ხოლმე: ეგებ, ორ და შვიდ წელიწადსაც, მერე კი უცებ ჩამოვწერ.

წამოსვლამდე ხუთი დღით ადრე ერთმა აქაურმა მეგობარმა ბანქოს შეკვრა მაჩუქა. ეს ყველაზე ხშირი საჩუქარია კუნძულებზე, ყველაზე გავრცელებული სუვენირიც სწორედ ბანქოს შეკვრაა და სათამაშო და სასაჩუქრო ცალები ერთმანეთს თითქმის არა ჰგავს.

საქმე ის არის, რომ სანტა ესპერანსადან ამ საჩუქრის გარეშე წამოსვლა ყოვლად შეუძლებელია. თავადაც ვაპირებდი ყიდვას იმ დღეებში, ოღონდაც სასუვენირო შეკვრებს თავისი კატალოგი და ფასი აქვს და მართლა გამორჩეული სახსოვრის შეძენა ძვირი დაგიჯდება. რომელიც მომწონდა, იმას ვეღარ ვიყიდდი, ჩვეულებრივებში არჩევა კი მიჭირდა. ბოლო დღეებამდე არ უნდა მიმეყვანა ეს საქმე, მაგრამ ხომ იცით, როგორც არის?

ჰოდა, სანამ მე გადავწყვეტდი, მეგობარმა მაჩუქა: კაფეში ცხვირწინ დამიდო მაგიდაზე და მითხრა, შენია, მოიხმარე, როგორც გენებოსო.

ძვირი იყო და ძალიან მომერიდა, აბა, როგორ გამოვა შვიდასფუნტიანი შეკვრა ასე იოლად გაჩუქონ?

გავიქაჩე, მან კი ბანქოს კოლოფი გადმოაბრუნა და წარწერა დამანახა.

აქ ასეთი წესია: ხშირად ბანქოს კოლოფს პატრონის სახელი აწერია და ეს წარწერა მხოლოდ მაშინ თუ მოხერხდება, როცა მხატვარი ოსტატი ბანქოს შეკვეთით ამზადებს.

მან დამამშვიდა, რომ საჩუქარი თვენახევრის წინ შეუკვეთა და ფული მხოლოდ თვითონ კი არა, კლუბის ბიჭებმაც გადაიხადეს.

ხშირად მივდიოდი ხოლმე მათ კლუბში, ჩემს მეგობარს კი პატარა მათალო ერქვა და ამ კლუბის პატრონის შვილი იყო. ამიტომაც მეუბნებოდა ჯერ კიდევ შემოდგომაზე, არ იყიდო, შენ არჩევა არ იციო.

მაინც ძალიან მომერიდა, თუმცა ძალიანაც გამიხარდა, რადგან სიძვირე და ნახატები მეუბნებოდნენ, რომ არცთუ უბრალო და თახსირი ვინმე ვყოფილვარ.

მერე წამოვედი და, არ გაგიკვირდეთ, თბილისში ჩამოსული, ერთ კვირაში ლონდონში გავემგზავრე.

რატომ და იმიტომ, რომ მივხვდი, წიგნი უკვე დაწერილი მქონდა. ასეთ რამეებს რომ მივხვდები, იმასაც ვხვდები, რომ რასაც თბილისში წელიწადს დასჭირდები, ის სხვაგან ერთ კვირაში გაკეთდება ხოლმე.

ფული საერთოდ აღარ გამაჩნდა, მაგრამ ახლო ცოლ-ქმარმა შემიფარა დიდი ქალაქის გარეუბანში. ამათ ვინაობას ახლა არ დავასახელებ, არცა სჭირდებათ, მაგრამ სულ ისინი მიფარებენ ხოლმე, როცა კი დავატყობ, რომ მთლად გადავირიე და ჩემი მშობლიური ქალაქი ისე მიყვარს, რომ უკვე მძულს.

ლონდონში რომ მივფრინავდი, მთავარი უკვე ვიცოდი. ეს მთავარი კი სწორედაც რომ ნახსენები ხერხი იყო, რომელიც ნაპირის უბანში მომაფიქრდა ნაშუაღამევს.

შინ მონიკამ მომიყვანა და მითხრა, რომ ნავსადგურში მოვიდოდა ჩემი წასვლის დღეს. კარგი ამხანაგია ჩემი და საერთოდაც მაგარი გოგოა, როგორც იქაურები იტყვიან, სარკეში გავა და გამოვა. თუმცა, მონიკა მაინც ამ სიტყვებით გემშვიდობება ხოლმე: - კაცებში ბედი არა მაქვს.

მოკლედ, ამოვედი ჩემს ოთახში და მიწოლილმა ბანქოს თვალიერება დავიწყე. რომანიც მქონდა, ჯესიკა დე რაიდერის „ფერადი წყლის ხეობა“, მაგრამ ნაშუადღევს ნაჩუქარი კოლოფი ჯერაც არ გამეხსნა, ჰოდა ჩავუჯექი მის თვალიერებას.

აქაური ბანქოს ქაღალდის მეტი რა მენახა, მაგრამ ეს სხვანაირი იყო. საერთოდ, ამ საქმეში მნიშვნელოვანი ის არის, რომ კუნძულებზე გავრცელებული თამაში, რომელსაც ინტი ჰქვია, სხვაგან არსად ითამაშება, ხოლო ინტის სათამაშო ქაღალდი ჩვეულებრივი, ფრანგული სათამაშო ქაღალდისგან ნიშნებითაც განსხვავდება და ფერის არსიც დაუკარგავს, ანუ წითელი და შავი არა აქვს.

აქაურ ბანქოში ოთხი რიგია, მაგრამ არ არსებობს გული, აგური, ჯვარი და ყვავი. ამათი ადგილი იქაურ ეთნოგრაფიას დაუჭერია და ფერებს ჰქვია ვაზი, მაყვალი, ბუძგი და ხმალი.

ამდენ ბალახ-ბულახში ხმალი საიდან გამოტყვრა, უკვე კარგად ვიცი. ვაზი ყურძნის მტევანს ნიშნავს, მაყვალი მაყვლის მარცვალს, ხოლო ბუძგი, ეკლიან საზიზღარ ყვავილს, ჩვენთან რომ სარეველას ეძახიან და კაი მაღალ-მაღალზე რომ იზრდება ორღობეებში. აქაურ ბანქოში 36 ქაღალდია, ოღონდ ნამდვილი თამაში ორი შეკვრით ითამაშება. ნაჩუქარ შეკვრაშიც, ცხადია, 36 იყო. ანუ ნამდვილი ინტი რომ გახურდეს, 72 კარტი, ჩვენებურ მოქნეულად რო ვთქვათ, ორი კალოდაა საჭირო.

თამაშის წესებს ვერ მოვყვები, რადგან ეს თამაში ხეირიანად არ ვიცი, ამ ოთხი რიგიდან თითოში კი ნამდვილად ცხრა-ცხრა ქაღალდია. ქალი, პაპა, კიკო, ანუ ტუზი,

კაროლი, დამა აქ არ არის, თუმცა ოთხი ქალი კი გახლავს, ასევე, ოთხი კაცი, ოთხი რქოსანი პირუტყვი და სხვა ნაირგვარი საგნები და ნივთები. ასისთავები, ყანწები და ნავები. თუ საზოგადო ბანქოში კაი და კოხტა ფერებად გულები და აგურები, ჩვენებურად წკენტა ითვლება, ინტის ქაღალდში - ვაზი და მაყვალი. დარჩენილ ორს ავი და გლახა ფერები ჰქვია.

ვიჯექი და ვათვალიერებდი ამ ქაღალდებს.

სანტა სიტიში ამ ბანქოს ქაღალდების ხატვა დიდი და ნაღდი ხელობაა. ნახატები ძალიან კეთილი და არაამქვეყნიურად მიმზიდველია. რომ ვათვალიერებდი, ფიროსმანი გამახსენდა. არ იქნებოდა, არ გაგხსენებოდა, ისე ეხატა ყველაფერი. ყველა ოსტატს თავისი სტილი აქვს, თუმცა სხვის სტილშიაც შეუძლია მუშაობა. თავად ვყოფილვარ სახელოსნოებში, სადაც სასაჩუქრე ბანქოს ხატავენ.

დიდხანს ვათვალიერებდი ამ ნახატებს, ვათვალიერებდი და ვათვალიერებდი, ერთხელ წამთვლიმა კიდეც. მერე ავდექი და რიგებისა და ფერების მიხედვით დავალაგე მაგიდაზე. ასე რატომ მოვიქეცი, არ ვიცი, მაგრამ დავალაგე ჯერ ვაზის, მერე მაყვლის, მერე ბუძგის და ბოლოს კი ხმლის, ერთიანებიდან წამოვყევი და კაცებამდე მოვედი. მოგრძო და ოთხკუთხედი სურათი გამოვიდა. სასაჩუქრე ბანქო ჩვეულებრივ უფრო დიდია ხოლმე, ვიდრე სათამაშო. ასე დალაგებული კიდევ უფრო კარგი საცქერი იყო, თითქოს ერთი სურათი გამოდიოდა.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან სასაჩუქრო ბანქოს ერთ დიდ მუყაოზე ხატავენ და მერეღა ჭრიან ხოლმე ოცდათექვსმეტად. ძველად ასე ამზადებდენ ბანქოს და მგონი ფაბრიკებშიაც ასე იქნება. არ ვიცი, ამისას ვერაფერს ვიტყვი.

ანუ თავიდან ერთიანი ყოფილა და მერე დაჭრილი.

ნაპირის უბანში ამბავი ისეა ხოლმე ზამთარში, რომ ტალღის ხმაზე გეძინება, მაგრამ სანამ დაგეძინება, სულ კაი-კაი რამეებზე ფიქრობ. პორტა ნოვას ქუჩაზე ზამთრის ვითარება ისეთია, რომ... მაგრამ აღარ მოვყვები ამ ამბავს. იმ ძილ-ღვიძილში ვიფიქრე, რომ ხერხიანი ამბავი ის იქნებოდა, ჩემგან ნაწერ და ნაგროვებ რვეულებს მაგიდაზე ამგვარი წყობით განლაგებული ბანქოს იერი მისცემოდა, ყოველ რვეულს კი ყდაზე ამ ბანქოს თითოეული ნახატი ჰქონოდა: თითო რვეულს - თითო.

მაშინ ჯერ კიდევ არ მეგონა, რომ წიგნი დაწერილი მქონია, უბრალოდ, ვიფიქრე, რომ ეს ამბავი რვეულებად ყოფილიყო და რვეულებზე კი იოანური ბანქოს ქაღალდები უკვდავმეყო.

იმასაც მივხვდი, რომ ეს ხერხიანობის მხოლოდ დასაწყისი იქნებოდა. ასეთი რამე რომ მოგივა თავში, იმას აუცილებლად მოეძებნება გაგრძელება.

ტრაპიზონში ჩემი ძმაკაცი აჰმედ კაია დამხვდა. წინდაწინვე დავურეკე სტამბოლში და იქ ჩამოვიდა. რა ხშირად ჩვენ ერთმანეთს ვნახულობთ, რომ მაინცდამაინც დავემალოთ.

ბავშვობაში ერთად დავდიოდით კალათბურთზე, მერე კი ისე გამოვიდა, რომ ის გადაიხვეწა და აჰმედ კაიად შეიქნა. ესპერანსაზე რომ მოვდიოდი, სტამბოლში არ იყო, რას გაუგებ იმის გზებს.

აჰმედ კაიას ძნელად უკანმოსახედ ცხოვრებას ახლა ვერ აღვწერ, ეს კი არის, რომ დუქნად რომ შევედით და ხითხითი მოვილიეთ, რაიც ასე მოგვდგამს და ურთიერთდაცინვაში გადაქანდება ხოლმე, ეს კი ნიშნავს, რომ ერთმანეთი გვენატრება, ამ ამბის თხრობა დავიწყე.

ძალაუნებურად გამომივიდა. ასეა ხოლმე, რაღაც ამბავი რომ დაგამძიმებს და კაი ხანს ვერავის ეუბნები, მერე კი პირველ შემხვედრს დაეტაკები და ცდილობ გაუმხილო. აჰმედ კაია პირველი შემხვედრი არ იყო, ის ძმაბიჭი გახლდათ და მით უმეტეს, ავაჭარტალებდი ენას.

აჰმედ კაიას კუნძულები კი გაეგონა, მაგრამ იქ არასოდეს ყოფილიყო. თურქული პასპორტი ჰქონდა და ქართველზე ბევრად იოლად შეეძლო იქეთ წასვლა, რაც დაადასტურა კიდეც, ერთად წავიდეთო, თბილისში დაგირეკავო. ეს ამბავი საგაისოდ მოვგეგმეთ, მე კიდევ ისევ ბანქოსა და რვეულებზე ველაპარაკებოდი. პატარა მათალოს ნაჩუქარი შეკვრაც კი ვაჩვენე და დიდხანს ათვალიერებდა.

ჩემი ახალი გამონაგონი კი ასეთი იყო: რვეული ლამის ასორმოცდაათი მქონდა, ბანქო კი მხოლოდ ოცდათექვსმეტი. რვეულები იმგვარად უნდა შემესწორებინა და ჩანაწერები იმგვარად გადამენაცვლებინა, შემემოკლებინა, ან სულაც გამეუქმებინა, რომ რვეულებიც ოცდათექვსმეტი დარჩენილიყო.

რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, რომ ჩანაწერებისთვის არაფერი მომეკლო, ას ორმოცდაერთი ოცდათექვსმეტზე გამეყო და თითო ახალ რვეულში ლამის ოთხი რვეული მომექცია და მათთვის ბანქოთა სახელები ამის მერეღა დამერქმია, მაგრამ ეს ძალიან გაასქელებდა რვეულებს. მე კი ძალიან სქელი რვეულები არ მინდოდა, ბანქოს ქაღალდი ხომ თხელია.

ეს ყველაფერი მეტად ხატოვნად ვუამბე აჰმედ კაიას, რომელიც არათუ წიგნებს, გაზეთებსაც არ კითხულობს. არც თურქულად, სხვათა შორის. მაგრამ აჰმედ კაია ოდესღაც გენერალიც კი იყო. ბრძოლაც კი მოუგია თავის ჯართან ერთად. აჰმედ კაია ბანდიტიც ყოფილა და უარესიც და მან ყოველგვარი ამბიდან მთავარის გამორჩევა იცის ხოლმე. ეს ჩვეულებრივი ამბავია მისებრი აგებულების ხალხისთვის. მათ ყოველთვის იციან, სად არის მთავარი და სად უნდა დაარტყან, რადგან სხვანაირად ცოცხლები ვერ იქნებიან. ახლა აჰმედ კაია ბანდიტი აღარ არის, არამედ პატარა მაღაზიის პატრონი, მაგრამ ის მგლური ილეთი, მტრის ყელის ზუსტად მოძებნას რომ გულისხმობს, შერჩენია. ეს ხომ სამუდამო ილეთია. ყოველი ამბავი კი მისთვის მტერია, რომელიც უნდა დაამარცხო.

ვუყვებოდი ამას და უცებ მკითხა: - რისთვის გინდა?

ეს მის ენაზე ნიშნავს: - რაში გჭირდება?

მე ვუთხარი, რომ ასე საინტერესოა. მან კი თქვა, რომ თუ რაიმე მიზანი არ არსებობს, ძალისძალად ამ რვეულების ბანქოს ქაღალდებად გარდასახვას აზრი არა აქვს. რატომ უნდა იყოს წიგნი ცალ-ცალკე რვეულებად, როცა არ არსებობს მიზანი, რომლის გამოც ის ცალ-ცალკე რვეულებად უნდა იყოს. ამას ხომ ისევ ჩვეულებრივად, ერთ წიგნად შეკრული ამბავი სჯობს?

მთლად ამ სიტყვებით არ უთქვამს, მაგრამ ასე კი გამოდიოდა და ამ ნათქვამს ვერ წაუხვიდოდი. მასე ხომ მეც ვფიქრობდი.

- კარტია, არა? - ნახატებს დახედა აჰმედ კაიამ, - მიდი, დავაი, აბა, დაალაგე, როგორც ლაგდება. ოთხ ცალად, მასტი პატარადან დიდამდე და ცვეტები მიყოლებით...

თეფშები განზე გავწიეთ, ბოთლები გადავალაგეთ, ადგილი მოვასუფთავეთ და ბანქო ოთხ რიგად ჩამოვამწკრივე: ჯერ ვაზის ქაღალდები სიდიდის მიხედვით, მერე მაყვლის, მერე ბუძგის და მერე ხმლის.

აჰმედ კაია აბოლებდა და დასცქეროდა. საერთოდ პაპიროსის მშვიდად წევა იცოდა, არცთუ ნერვიულად და როცა ეწეოდა, ჩაფიქრებულ კაცს ჰგავდა ხოლმე.

- კარტი რა არი? - მკითხა უცებ.

მართლა რა არი? მგონი, თამაშია.

- საერთო რა აქ ამ კარტებს? ცვეტი, ხო? მასტი... კიდე... კიდე ოთხი ექვსიანია, ოთხი შვიდიანი...

- ექვსიანები არ არი, სხვანაირი დათვლაა...

- ერთიანი ხო არი ოთხი? ორიანია და ეგრე, ხო?

- ხო.

- მერე?

- რა მერე, დაჯექი და კერე.

- იმ რვეულებში არი რაღაცა ამბები, რო ვთქვათ, ერთ მასტზე წავიდეს? როგორც ერთი ცვეტი თავიდან ბოლომდე, - აჰმედ კაიამ მაყვლის რიგს ჩამოაყოლა თითი... - თუ კარტივით გინდა, ამბებიც კარტივით უნდა იყოს. რო ამბობ, ჯერ ერთ კარდონზე ხატავენ და მერე ჭრიანო, შენც კაროჩე, ჯერ ერთ კარდონზე დახატე და მერე დაჭერი ისე, რო მასტი და რიცხვი გავდეს ერთმანეთს. კარტი ეგ არი, მეტი არაფერი. თამაში კიდე ბევრნაირია, მარა სულ ერთი და იგივე კარტით ითამაშება, იმიტო რო, არი მასტი, და ყველაფერი ოთხ-ოთხი...

აჰმედ კაიას მეტი არაფერი უთქვამს, მერე მე ვლაპარაკობდი. რვეულების შინაარსებს კი არ ვყვებოდი, არამედ იმას, თუ როგორ უნდა გადავალაგო ამბები ისე, რომ ოთხი ცხრათავიანი ამბავი გამოვიდეს ფერების მიხედვით. ოთხი ჩამომწკრივებული ამბავი.

- მარტო ეგრე კი არა, - თავი გააქნია აჰმედ კაიამ და ახალ სიგარეტს მოუკიდა, - აი, ეს პონტიც... მარტო გრძელი პონტი კი არა, მოკლე პონტიც. ერთი ცვეტი ცხრა კარტია ხო? ერთი რიცხვი კიდე ოთხი კარტი. აი, ოთხი ერთიანი, ხო? აი, ოთხი ორიანი, ოთხი... რამდენიანია ეს. მარტო ესე კი არ უნდა იყოს, ესეც, სულ ამბები უნდა იყოს...

აქ დასტვენა შეიძლებოდა.

ოთხი ამბავი კი არა, ოთხს მიუმატე კიდე ცხრა და თან ისე, რომ გრძივადაც ამბავი იყოს და განივადაც. დავუსტვინე.

- კარტი ეგ არი, იმიტო ითამაშება ამდენი რამე ერთი კალოდით, - მტკიცედ თქვა აჰმედ კაიამ, მეორე დილით კი თბილისისკენ გამომაცილა.

აბა, როგორ არ წავსულიყავი ლონდონში?

ხომ ხედავთ, რაები იცის აჰმედ კაიამ?

დარეკავს ხანდახან და იტყვის: - ერთი ძმაკაცი ხო გყავდა ადრე... გახსოვს? - არასდროს ამბობს ტელეფონში არც ძველ და არც ახალ სახელს. გაქცეული და შეცვლილი კაცია: ძალიან ისეთი, დღესაც რომ შიშით და ზიზღით მოიხსენიებენ ხოლმე.

ოღონდ შენ დაწყნარდი და წადიო, მითხრეს სახლში. განა არ გვეძნელებოდა? ძველი დრო კი არ არის, კაცი რომ გადაიკარგებოდა საშოვარზე. თანაც, ქისის ფსკერიდან თუღა ამოხვეტავდი რაღაცეებს. ამოსახვეტი მეტი რომც ყოფილიყო, ცოლ-შვილი იმისთვის კი არ მინდა, რომ ტელეფონით ველაპარაკო და ელექტროწერილები მივწერო. მაგრამ ასე კი გამოდის ხოლმე, რომ გადავიკარგები.

როგორც ჩემი ცოლი ამბობს, შორიდან უფრო წესიერი კაცი ვჩანვარ. ახლოდან კიდევ ცოტა არ იყოს და ოფოფებიანი გამოვდგები. ამიტომ ძნელად რომ მივუშვა ვინმე. როცა მოახლოვდებიან და, შეჰკარ ბარგი. ჩვენი საიდუმლოებანი ყველამ კი არ იცის. მადლი ღმერთსა, ადგილ-ადგილ ამხანაგებიც მომეძევება, ნაირგვარი ერის და გუნების ხალხი.

ლონდონში კი პირველ თვეს ოთახიდან არ გამოვსულვარ, ერთხელ ვიყავი სტადიონზე და ეს იყო. მასპინძლები ამბობდნენ, რომ ერთი გერმანული მოთხრობის გმირსა ვგავდი, უფრო კი პოლტერგეისტს. როგორც ძველ პანსიონებში, საჭმელს კართან მიდგამდნენ. მოკლედ, უჩინარი კაცი რომ არის ჰერბერტ უელსის წიგნში, გვარად, მგონი გრიფინი, იმასავით ვიყავი. ოღონდ რა არის, რომ ღამღამობით საქურდლად არ დავიპარებოდი ეპისკოპოსის სახლში.

ვიჯექი და ნუსხებს ვადგენდი.

ყველა ჩანაწერს, ყველა პატარა ნაკუწს სათაური მოვუძებნე და ჩამოვწერე, თანაც ისე, რომ მივმხვდარიყავი, რვეულში რა ეწერა. აქეთ კიდევ ბანქოს ოცდათექვსმეტსავე ქაღალდს მოვუძებნე სათაური.

იოანეს კუნძულებზე მათ თითო სიტყვით მოიხსენიებენ, მაგრამ ეს ძალიან მოკლე იქნებოდა და ბანქოს თითოეულ ქაღალდს მოგრძო, აღმწერი სახელი მოვუგონე. ფიროსმანი ადრევე გამახსენდა და იმ ყაიდის სახელები გამოვთქვი, მის ნახატებს რომ აქვს. მაგალითად, სარქისი ღვინოს ასხამს, ან შეთე ცხენს იპარავს, ანაც უშვილო მილიონერი და ღატაკი შვილებით.

ეს არაფერი. მთავარი მაკრატლის ამბავი იყო, ანუ ამბების იმდაგვარად ჩალაგების ამბავი, რომ როგორმე ერთმანეთი გადაეკვეთათ. მუღამიანი საქმე იყო. ერთი დიდი მაკრატელი მქონდა, ვიჯექი, ვჭრიდი და ვაწებებდი ესპერანსულ რვეულებს. გადავაწებებდი და გადმოვაწებებდი.

ამ წებებაში კი საწერიც გვარიანი გამიჩნდა. ბევრი ჩანაწერი საერთოდაც გაუქმდა, თუმცა კი არ გადამიგდია, ბევრი კი გადავაკეთე. სამი ერთად შევკარ, ერთი სამად

დავშალე და ვიყავი ამ ამბავში, სანამ მართლა არ დავამგვანე იმას, რის გამოც აჰმედ კაია ლაპარაკობდა.

როგორ დავამგვანე, ეგ სხვა ამბავია, ცოტათი კი მივხვდი, რას საქმიანობენ ხოლმე კინოს რეჟისორები, როცა სწორედაც რომ მთელი თვით შეიკეტებიან სამონტაჟო ოთახებში. ოღონდ იმათ ერთი გაჭირვებაც ადგათ, იქ ვეღარაფერს გადაიღებენ, შენ კი შეგიძლია წერო.

ასეა თუ ისე, უკეთესი დალაგება იოანური ამბებისა, იმათი ძველის და ახლისა, მოგონილის, მიმატებულის და გამოკლებულისა, მე ვერ შევძელი. ეს კი იყო, რომ ის ას ორმოცდარაღაცა რვეული ოცდათექვსმეტამდე ჩამოვიყვანე და ერთმანეთს შევახვედრე.

თითოეულ თავს, ცხადია, თითო ბანქოს სახელი დავუტოვე, ოღონდაც ოთხ გრძელ ამბავს ცალკე სათაური დავარქვი და ცხრა უფრო მოკლე ამბავს კიდევ ცალკე სათაური.

ამ ორომტრიალში კი აღმოვაჩინე, რომ რვეულები იმგვარად შემიდგენია, რომ გადაბმა საჭირო სულაც არ იქნება, ვინაიდან ერთი რვეული კიდევაც წარმოადგენს ერთ ცალკე პატარა ამბავს.

ანუ ასე გამოვიდა, რომ ოთხ გრძელ ამბავს, ცხრა მოკლე ამბავი ემატება და კიდევ, ოცდათექვსმეტი პატარა ამბავი. ანუ შეგიძლია, შეკვრიდან ერთი რომელიმე რვეული გამოაძრო და ცალკე წიგნაკად წაიკითხო, ისე, რომ სხვა ამბის წაკითხვა აღარც იქნას საჭირო.

DAILER LIBRARY

ზღაპრების გუდა გამომსვლია, რაღა...

ეს ამბავი მეტად მეამა, მაგრამ სიამეს არ გადავყოლივარ. ისევ გავაგრძელე სწორება და ამ წასვლა-წამოსვლის ამბავში ახლა კი უნდა ჩავურთო ჩემს მიერვე შედგენილი სარჩევები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ამ ოცდათექვსმეტი რვეულის წაკითხვა. ოღონდ კი, ეს მთლად ბოლო არ გამოდგა, რასაც მალევე მოგახსენებთ.

აბა, მაშ, გამოჩნდა სარჩევნი ამ რვეულებიანი წიგნისა, მოკლე განხილულობებით შემკული: პირველი ფერი ესპერანსული ბანქოსი გახლავთ ვაზი, სხვანაირად კი ყურძნის მტევანი. ვაზის ქაღალდი იწყება ერთი მტევნით, რომელიც უმდაბლესი ნიშანი გახლავთ და სრულდება უმაღლესი ნიშნით, მამასახლისით, რომელსაც ერთ ხელში თოხი უჭირავს, მეორეში - ყურძნის მტევანი.

მოკლედ, ამ ვაზის ცხრათავიან რიგს ეწოდება „წიგნი გადმოძახილებისა“ და მასში არ არის რომანობია და ათასი სხვა საჭირო რამ, რაიც დღეს სჭირდება წიგნებს.

სამაგიეროდ, იქ გადმოცემულია ძველი ისტორია და ყოფა იოანეს კუნძულებისა, სხვანაირად სანტა ესპერანსასი. იქავე გამორეულია რიგი ამბები, რომლებიც დაუვიწყარად შთენილა ამ ხალხისათვის საუკუნეთა განმავლობაში, და რამდენიმე საიდუმლო მარცვალიც ჩაგდებულია, რამაც ძალი უნდა შემატოს წამკითხველს სხვა რვეულების გადასაფურცლად.

სასარჩევო რეესტრი ამ ცხრათავიანისა ასე გამოიყურება: წიგნი გადმოძახილებისა: 1. ყურძნის მტევანი

2. ყურძნის მტევნებით გაწყობილი ორი სახლი

3. სამი ხარი რქებზე ყურძნის მტევნებით

4. ორი უღელი ხარი ყურძენს ეზიდება

5. ხუთი თოხი და მტევნები

6. გოგო დოქით და მტევნებით

7. თხა ყურძნით სავსე გოდრით

8. ხარის რქის ყანწი და ყურძნის მტევნები

9. მამასახლისი თოხით და ხარის რქის ყანწით

ესპერანსულ თამაშში მეორე ფერი არის მაყვლისა. ის იწყება ერთი მუჭა მაყვლით და სრულდება გლეხკაცით, რომელიც ცეცხლმოკიდებულ მაყვლის ბუჩქთან დგას.

ამ რიგში მოქცეული წიგნი აღწერს ერთი თავზეხელაღებული ახალგაზრდა კაცის ცხოვრებას ქალაქ სანტა სიტიში და მეტის მოთხრობა ამ სასარჩევე ადგილას, უხერხულიც კი იქნებოდა. ამ მთელი მაყვლის ამბავს ჰქვია: წიგნი მორჩილ შარმადინის ყარიბობისა ყარა დენიზის ნაპირებზე

ხოლო სარჩევი კი ასე გამოიყურება: 1. ერთი მუჭა მაყვალი

2. მაყვლის ბუჩქი და ორი ხელი

3. სამი სალესი ქვა და მაყვალით სავსე კალათა

4. მაყვლის ოთხი ბუჩქი

5. ხუთი ჭოგრიტი და მაყვლის ბუჩქი

6. მაყვლით სავსე გოდორი და ქვრივი

7. ვირი მაყვლით სავსე გოდრებით

8. მაყვლის ჩირის ასხმულა

9. გლეხი ცეცხლმოკიდებულ მაყვლის ბუჩქთან

ამას კი მოსდევს მესამე ფერი, ბუძგი, რომელიც, როგორც მოგახსენეთ, ეკლიან სარეველა ბალახსა ჰქვია ამ კუნძულებზე. ეს რიგი იწყება ბუძგის უბრალო ყვავილით

და სრულდება შარმადინით, ცეცხლიანი ბუძგით რომ ჩიბუხს უკიდებს. აქ აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ შა(ე)რმადინი სახელს არც წინა წიგნში ნიშნავდა და არც აქ გულისხმობს. ამ ამბავს კი ჰქვია „წიგნი სვეუბედურისა ვეფხისა“ და მასში, ჰოი, ჰოი, რომ ქალთა ბედზეა ლაპარაკები გახურებული.

წიგნი სვეუბედურისა ვეფხისა: 1. ბუძგის ყვავილი

2. ორი ნამგალი და ბუძგის ყვავილი

3. ბუძგით სავსე ნავი სამი ნიჩბით

4. დიდი ნავი ზარბაზნით და ბუძგის ძნებით

5. მეხი ციდან და ცეცხლმოკიდებული ბუძგები

6. შეყვარებული ქალ-ვაჟი ბუძგის ყანაში

7. ჯორი ბუძგს ჭამს

8. ჩიბუხი და ბუძგი

9. შარმადინი ცეცხლიანი ბუძგით ჩიბუხს უკიდებს

და ბარემ მეოთხე ცხრათავიანიც, რომელიც ხმლის თარგზეა მოჭრილი, ოღონდ კი იწყება შავტარიანი დანითა და სრულდება ხმალმომარჯვებული ციხისთავით. როგორც ყველა ხმლიან ამბავში, აქაც ხმლების ტრიალია გახურებული და ზოგი იწყებს თავის ცხოვრებას, ზოგი კიდევ ასრულებს.

ამიტომაც ამ ხმლიან ამბავს ეწოდება: წიგნი გაქცევებისა და სიკვდილებისა

მისი შემცველობა კი უკვე ნაცნობ რიგს მიჰყვება რიგის პირველიდან ბოლო ქაღალდამდე: 1. შავტარიანი დანა

2. ორი ბრმა მსტოვარი ხმლებით

3. სამი თვალხილული მსტოვარი

4. ასისთავი ორი ხმლით და ორი ხანჯლით

5. სარდლის ქუდი და ხუთი ხმალი

6. ყაბალახიანი ქალი ხმლით

7. ქისა, მათრახი და ხმალი

8. დათვის ტყავი ზედ ხმლებით

9. ციხისთავი დიდი ხმლით

ეს გახლავთ ოთხი ცხრათავიანი ამბის სარჩევი და დანარჩენს კი მივყვეთ დაბლითკენ, რადგან სარჩევის წერასაც თავისი სიკარგეები ცოდნია.

რახან საქმე ასე თუ ისე გავჩარხე, ოთხთავიანებსაც მივადექი და ეს ცხრა ამბავიც დავასათაურე ანუ გრძივ ამბავთა წიგნებს განივ ამბავთა წიგნები მოჰყვა. ეს მოკლე

ამბებია, იმ ოთხი ცხრათავიანი ამბიდან განივ გაყოლებით ცხრა ოთხთავიანი გამოდნა. ოღონდაც, მათემატიკა იმგვარია, რომ ეს ცხრა ოთხთავიანი მოცულობით ზუსტად უდრის ოთხ ცხრათავიანს. საკვირველიც ეს იქნებოდა, რომ სხვანაირად ყოფილიყო! ოთხი ცხრათავიანისა და ცხრა ოთხთავიანის მოცულობანი კი უდრის ოცდათექვსმეტ ცალკე პატარა ამბავს. დიდად მოვიხიბლე ამგვარი მათემატიკით კიდევ ერთხელ, ლონდონში კი წვიმებმა უხშირა.

ცხრა ოთხთავიან წიგნში რვეულები ზუსტად იგივეა, რაც ოთხ ცხრათავიანში, ოღონდაც ისინი სხვა წყობით იკითხება, ბანქოს ქაღალდის სიდიდის მიხედვით. ვთქვათ, ერთიანები ფერთა კლასიკური იოანური მიდევნებით: მტევანი, მაყვალი, ბუძგი და ხმალი. ამ ერთიანების რიგს კი ჰქვია: რვეულები მარტოხელა გენუელის სიყვარულისა და მასში შეკრებილია სურათები ერთი ახალგაზრდა კაცის ცხოვრებისა, რომელიც თითქოსდა ისე სრულდება, როგორც წიგნებში სრულდება ხოლმე.

ოთხი რვეული კი ამგვარი წყობით უნდა დალაგდეს: 1. ყურძნის მტევანი

2. ერთი მუჭა მაყვალი

3. ბუძგის ყვავილი

4. შავტარიანი დანა

ამ ამბავს, შემოკეცილი საბანივით მოსდევს მეორე ოთხთავა ამბავი ორიანის რიცხვისა. იქ მოთხრობილია ცხოვრების რამენი ასევე ახალგაზრდა კაცისა, რომელიც იცნობს იმ ახალგაზრდა კაცს, რომლის ამბავიც მოთხრობილია პირველ ოთხეულში, ანუ გენუელის რვეულებში. ამ ნაწილს ეწოდება: წიგნი გარიდებული მოინტისა, ხოლო მოინტე ბანქოს მოთამაშეს ნიშნავს იოანურად.

რვეულთა განლაგება ტრადიციულია: 1. ყურძნის მტევნებით გაწყობილი ორი სახლი

2. მაყვლის ბუჩქი და ორი სახლი

3. ორი ნამგალი და ბუძგის ყვავილი

4. ორი ბრმა მსტოვარი ხმლებით

ამათ კი მოსდევს თავგადასავალი და წვალებანი გარიდებული მოინტის ერთი მიჯნური ქალისა და მორიგ ოთხთავას კი ჰქვია: ამბავნი მოდარდისა და სიცოცხლისა

რვეულთა რიგი ამგვარად გამოიყურება: 1. სამი ხარი რქებზე ყურძნის მტევნებით

2. სამი სალესი ქვა და მაყვლით სავსე კალათა

3. ბუძგით სავსე ნავი სამი ნიჩბით

4. სამი თვალხილული მსტოვარი

და რახან ბევრ ქვეყანას ჰყოლია დედოფალი, არ დაახანებს მეოთხე ამბავიც განივი რიგისა, რომელსაც ეწოდება: აღწერილობა უკანასკნელის სამას ერგასის დღისა დედოფლისა ზღვისკიდურისა

იქ გამწკრივებულია ოთხი რვეული: 1. ორი უღელი ხარი ყურძენს ეზიდება.

2. მაყვლის ოთხი ბუჩქი

3. დიდი ნავი ზარბაზნითა და ბუძგის ძნებით

4. ასისთავი ორი ხმლით და ორი ხანჯლით

საერთოდ, ინტი იმგვარი თამაშია, რომ იმას ერთი მოკლე თავგადასავალი, თუნდაც გარიდებული მოინტისა არ ეყოფოდა და ამიტომაც, გამოდნა მეხუთე მწკრივის ოთხთავიანი

საქმენი მედროშეთა ჩამონავლისა: 1. ხუთი თოხი და მტევნები

2. ხუთი ჭოგრიტი და მაყვლის ბუჩქი

3. მეხი ციდან და ცეცხლმოკიდებული ბუძგები

4. სარდლის ქუდი და ხუთი ხმალი

აქ უნდა გამოვტყდე, რომ სანტა სიტიში ყოფნისას არაერთხელ ვყოფილვარ იქაურ საისტორიო მუზეუმში, რომელიც ძველ ციხესიმაგრეში ძევს. იმ მუზეუმის დირექტორი, იმათებურად თავმჯდომარე, ანუ პრეზიდენტი დიდად ცნობილი მოხუცი ბრძანდებოდა კუნძულებზე, ოღონდაც მუზეუმში აღარ დადიოდა. მისი ამბავი მონიკამ მიამბო, რომელიც ახლო იყო ბატონ თავმჯდომარის ოჯახთან და ამიტომაც გამოგვივიდა

დღენი თავის გვარში უკანასკნელისა, რომლის ოთხი რვეულიც მოიცავს ბანქოს საქალებო მწკრივის ამგვარ რიგითობას: 1. გოგო დოქით და მტევნებით

2. მაყვლით სავსე გოდორი და ქვრივი

3. შეყვარებული ქალ-ვაჟი ბუძგის ყანაში

4. ყაბალახიანი ქალი ხმლით

არ იქნებოდა კია, რომ ჩემებრ მაწანწალას მაწანწალები არ შეემჩნია ქალაქში და იმათი რამეებიც არ შეეტყო. მათ ამბავში ეგებ ბევრი რამ ჩამატებულიც კი იყოს და ზღაპრადაც კი მოეჩვენოს წამკითხველს, მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ ამ ხალხს გვერდს ვერ ავუქცევდი. ამიტომ შედგა

ნაკინძი ღვთის გლახათა ცხოვრებისა, რომელშიაც შეიკრა ოთხი რვეული: 1. თხა ყურძნით სავსე გოდრით

2. ვირი მაყვლით სავსე გოდრებით

3. ჯორი ბუძგს ჭამს

4. ქისა, მათრახი და ხმალი

ამ მაწანწალებს ვერ ავუქცევდი გვერდს და მით უმეტეს, მათ ხელმწიფეს ვერ გამოვტოვებდი. გინდ მოგონილი ეგონოს წამკითხველს და გინდაც სისულელე, ეს კი ვიცი, რომ ბევრი საგანგებოდ დაიარება ნავსადგურში ერთი კაცის

შესათვალიერებლად და მოსასმენად. ამ კაცს ლუკა ჰქვია, მის მოკლე ამბავთა ასხმულას კი -

გალობანი ლუკა მწერლისა

ოთხ რვეულში მოქცეულია ბარე ოცი ამბავი და ქაღალდი ლუკას ცხოვრებისა, სულ ხალხისაგან განაგონი და ძველი გაზეთებიდანაც ამოკრეფილი: 1. ხარის რქის ყანწი და ყურძნის მტევნები

2. მაყვლის ჩირის ასხმულა

3. ჩიბუხი და ბუძგი

4. დათვის ტყავი ზედ ხმლებით

ბოლო ოთხთავიანი ამბავი კი გახლავთ ერთი სულისშემძვრელი ისტორია ესპერანსას სამ კუნძულთაგან ერთ-ერთზე მობინადრე ძველი ხალხისა, ვისაც სხვა ორ კუნძულზე სუნგალებს უწოდებენ. ამ კრებულს ეწოდება

მატიანენი სუნგალის ქვეყნის დაქცევისა

და მისი მწყობრი ამგვარია: 1. მამასახლისი თოხით და ხარის რქის ყანწით

2. გლეხი ცეცხლმოკიდებულ მაყვლის ბუჩქთან

3. შარმადინი ცეცხლიანი ბუძგით ჩიბუხს უკიდებს

4. ციხისთავი დიდი ხმლით

ეს ყველაფერი რომ მოვითავე, გავწიე ჰოლანდ პარკისკენ, მელიებთან გასასაუბრებლად. ხომ ცნობილია, რომ ლონდონში ბევრად მეტი მელია მოგროვებულა, ვიდრე თბილისში მაწანწალა ძაღლი. მელიებთან გაბაასება და მათთვის საზრდელის მიწოდება ჰოლანდ პარკში ძნელი საქმე არ არის. ოღონდაც, არ ვიცი, უამინდობის მიზეზი იყო, თუ სხვა რამ, კაი ხანს ვიჯექი მონიშნულ სკამზე, მაგრამ არც ერთი მელია არ გამოჩენილა.

ეტყობა, რომ ცრიდა, ეს არ ეამათ, მე კიდევ, რახან წვიმაში ჯდომას და ბოდიალს მიჩვეული ვარ და ჯანის მთავარ ვარჯიშობადაც მიმაჩნია, რასაც ახალი ექიმები დამიწუნებენ, ძველი აქიმები კი ეგებ დამეთანხმონ კიდეც. ხოდა, იმ ცრაში და ნისლებში, კარგად რომ ჩავლბი მელიების ცდაში, ერთი რამ ვიფიქრე.

სულ მთლად პირველკლასელივით რომ მოთვალო, ეს ცამეტი ამბავი კი გამოვიდა ნახაზ-ნახაზ, გასწვრივ და სიგრძივ, სიმაღლეში და სიგანეში, მაგრამ ნამეტანი მათემატიკა ხომ არ არის-მეთქი.

მათემატიკაში სუსტი ვარ, მაგრამ ამას კი მივხვდი, რომ ცხრა მოკლემ და ოთხმა გრძელმა ხაზმა ერთმანეთი კი გადაჰკვეთეს და იმ გადაკვეთილ ადგილებზე თითო ახლებური რვეულიც დაფუძნდა, მაგრამ ეს ამბავთა წიგნი მარტო ამ სწორი ხაზების გაყოლებაზე ხომ არ წაიკითხება? არა, ბევრი კი არაფერი უშავს, მაგრამ რომ ჩაფიქრდე, ამ ოცდათექვსმეტი რვეულიდან სულ ხაზებად დაწყობილი ამბები ხომ არ

უნდა იყოს: ცხადია, სხვა რამ თავგადასავლებიც გამოდნება, თუ სწორად ამოირჩევ რვეულებს და სწორადვე დაალაგებ.

ასე გამოვიდა, რომ სამუშაო ისევ გაჩნდა. ამით ყოფილა ამბების ცალ-ცალკე რვეულებად თხრობა კარგი. თავიდან ბოლომდე ყველა რვეულის რიგობრივად წაკითხვა სულაც არ არის აუცილებელი. ამ სარჩევიდან რომელიმე ამბით თუ დაინტერესდი, ამოარჩევ შესაბამის რვეულებს, დაალაგებ რიგის მიხედვით და ისე წაიკითხავ.

რამდენიმე ადამიანი გამოვარჩიე ამ ოცდათექვსმეტი რვეულიდან და იმათზე კი ცალკე წიგნები ასე გამოვიდა: ცხოვრება და საქმენი ნამღვდელარაანთ ხეტიასი

1. მამასახლისი თოხით და ხარის რქის ყანწით

2. სამი სალესი ქვა და მაყვლით სავსე კალათა

3. მაყვლის ოთხი ბუჩქი

4. ყაბალახიანი ქალი ხმლით

5. ორი ბრმა მსტოვარი ხმლებით

6. შავტარიანი დანა

7. ბუძგით სავსე ნავი

8. თხა ყურძნის გოდრით

9. სამი თვალხილული მსტოვარი

10. ჯორი ბუძგს ჭამს

11. ასისთავი ორი ხმლით და ორი ხანჯლით

12. გლეხი ცეცხლმოკიდებულ მაყვლის ბუჩქთან

13. შარმადინი ცეცხლიანი ბუძგით ჩიბუხს უკიდებს

14. ორი უღელი ხარი ყურძენს ეზიდება

15. ციხისთავი დიდი ხმლით

ამ „ცხოვრების“ გმირი ხეტია მე კუნძულებზე აღარ დამხვედრია, ახსოვდათ კი და თანაც ძალიან კარგადაც, ამიტომ არეულ რვეულთაგან, ზუსტად ისე, როგორც ბანქოშია, იოლად ამოვარჩიე საჭირონი.

მუზეუმის პირკეთილ თავმჯდომარეს სიებში უკვე ეძღვნება ოთხთავიანი ამბავი, ისევე როგორც დედოფალსა, მაგრამ ამათ შორის ურთიერთობა მეტ შეხედვას მოითხოვს. თანაც რვეულებში გაბნეულა კიდევ ერთი მოხუცი, მძლეთამძლე და მართლა რომ შესამჩნევი. ამ სამი პატივდებული ადამიანის ცხოვრებათაგან კი შეიძლო და გამოდნა კიდევ ერთი ამბავთა კრებული

წიგნი სამი მოხუცი ხელმწიფისა

რომლის რვეულთა წყება ამგვარია: 1. ორი უღელი ხარი ყურძენს ეზიდება

2. ერთი მუჭა მაყვალი

3. ყურძნის მტევნებით გაწყობილი ორი სახლი

4. სამი სალესი ქვა და მაყვლით სავსე კალათა

5. გოგო დოქით და მტევნებით

6. მაყვლის ოთხი ბუჩქი

7. ყურძნის მტევანი

8. ორი ნამგალი და ბუძგის ყვავილი

9. მაყვლით სავსე გოდორი და ქვრივი

10. ორი ბრმა მსტოვარი ხმლებით

11. ასისთავი ორი ხმლით და ორი ხანჯლით

12. მეხი ციდან და ცეცხლმოკიდებული ბუძგები

13. შეყვარებული ქალ-ვაჟი ბუძგის ყანაში

14. დიდი ნავი ზარბაზნით და ბუძგის ძნებით

15. შარმადინი ცეცხლიანი ბუძგით ჩიბუხს უკიდებს

16. შავტარიანი დანა

17. გლეხი ცეცხლმოკიდებულ მაყვლის ბუჩქთან

18. ყაბალახიანი ქალი ხმლით

მისახვედრია, რომ ამგვარ ახლებურ ნუსხებს არ გამორჩებოდა ამბავი ორთა სიყვარულისა და იმის მრავალ ბილიკიანობა. ამიტომაც, ამნაირი წიგნიც გამოვიდა

ვისრამიანი, წიგნი მიჯნურთა ცხოვრებისა

ეს წიგნი ოთხ ტოლსწორ ნაწილად დავყავი და ბოლოსიტყვაც დავურთე, რა თქმა უნდა, რვეულებიდან. იერით ამგვარი სია გამოვიდა: ადრე

1. ერთი მუჭა მაყვალი

2. სამი სალესი ქვა და მაყვლით სავსე კალათი

3. ბუძგის ყვავილი

4. მაყვლის ოთხი ბუჩქი

მერე

5. გოგო დოქით და მტევნებით

6. მაყვლის ჩირის ასხმულა

7. მაყვლით სავსე გოდორი და ქვრივი

8. გლეხი ცეცხლმოკიდებულ მაყვლის ბუჩქთან

მერე და მერე

9. მეხი ციდან და ცეცხლმოკიდებული ბუძგი

10. ჩიბუხი და ბუძგი

11. ორი ნამგალი და ბუძგის ყვავილი

12. შავტარიანი დანა

ბოლოს

13. დათვის ტყავი ზედ ხმლით

14. სარდლის ქუდი და ხუთი ხმალი

15. შარმადინი ცეცხლიანი ბუძგით ჩიბუხს უკიდებს

16. ყაბალახიანი ქალი ხმლით

ბოლოს და ბოლოს

17. ციხისთავი დიდი ხმლით

ახლა კი მივადექი იმ სახიფათო ადგილს, უცნაურ ფარდულს, სადამდეც ამ ახლებური ნუსხების შედგენამ მიმიყვანა. ეს სამი, ასე დავარქვათ, არეული ნუსხა რომ შევადგინე, მაშინღა მივხვდი, რომ ახალ ნუსხათა, ანუ ამ ოცდათექვსმეტი რვეულისგან სხვადასხვა მოცულობის, შინაარსისა და ამბიანობის წიგნ-წიგნაკ-ცხოვრებათა დაუსრულებლად შედგენა შეიძლება.

ეს ოცდათექვსმეტი ჩემგან ნაწები რვეული რამდენსაც გინდა იმდენ ამბავს მოგითხრობთ იოანეს კუნძულების, სხვანაირად კი სანტა ესპერანსას და იქაურ გულთა სკდომის თუ ლბობის შესახებ.

ამიტომ, ახალ წიგნთა შედგენა-გამოძებნაზე ხელი ავიღე. ერთი, რომ მგონია, საუკეთესო ამბავთა კრებულები უკვე შევკარი და მეორეც, თუკი ვინმემ თავად მოისურვა, რვეულები იმის ხელშია და მიჰყვეს ამ საქმეს: მოცალეობის ჟამს მიჰყვეს და სულ გადააკეთ-გადმოაკეთოს ჩემგან შედგენილი ნუსხები: ცხრა მოკლე, ოთხი დიდი და სამიც არეულობიდან ამოძრობილი, სწორედ ისე, როგორც ბანქოს შეკვრიდან ამოაძრობენ ხოლმე რიგრიგობით რამდენიმე ცალს. ეს არის, რომ ოცდათექვსმეტ რვეულს ვერაფერს უზამს და იმათში ვერ გადააკეთებს, თორემ ახალი რვეულების დამატება კი თავისი მუღამით შეუძლია: ესპერანსული თამაში ინტი ორი ერთნაირი შეკვრით ანუ სამოცდათორმეტი ქაღალდით უფრო ხშირად გახურდება ხოლმე. ასე რომ, ყველაფერი წამკითხველის ხელშია, რომელსაც შეუძლია დამწერადაც იქცეს.

ასეთი ყოფილა იმგვარი წიგნების ამბავი, ცალ-ცალკე რვეულებად რომ წერ და თანაც, მათემატიკისა ბევრი არაფერი გაგეგება, ისევე, როგორც ბანქოსი.

გამგრძელებელს, გადამკეთებელსა და ჩამმატებელს კი შემიძლია სიმხნევე ვუსურვო ამბავთა ყველაზე ჯილა მთხრობელის, მარკო პოლოს სიკვდილისწინ გამოსროლილი სიტყვებით: იმის ნახევარიც არ მითქვამს, რაც ვნახე.

ამიტომაც, მგონია, რომ ყოველ ხელგაწაფულ კაცს შეუძლია გონივრულად ჩაამატოს რამე ამ ნაამბობს, ოღონდაც, თუ დამატებაა, ერთ დამატებაზე ოთხი რვეული უნდა დაუმატოს, ხოლო თუ ეს დაეზარება, უკვე არსებული ოცდათექვსმეტი რვეულის ბოლო ფურცლებზე გასწიოს ხელგარჯილობა. ალალად მივეხმარები მაშინ, როცა რაიმე შეკითხვა გამოუჩნდება სანტა ესპერანსას, ჩვენებურად კი იოანეს კუნძულების შესახებ.

ბევრი მეგობარი მყავს იმ მხარეში. ხალხი კარგია, ცხოვრება სინამდვილით სავსე. იქ ზღვა და ძველი ციტადელია, ხოლო გოგოს და ბიჭის სიყვარულს შვიდი სხვადასხვა სახელი ჰქვია. იქ ბევრი ისეთი რამეა, რაც მოგენატრება და თუკი ვინმეს რაიმე დასჭირდა წერისას, ამ კუნძულების ამბავში მრჩევლად ნამდვილად გამოვდგები.

საერთოდ კი, ამ რვეულების წაკითხვა თავიდან ბოლომდეც შეიძლება: მოჰყვე ყურძნის მტევნიდან და ჯერ მთელი ვაზის რვეულები გამოიარო უმცროსიდან უფროსამდე, მერე მაყვლისა, იგივე წესით, მერე ბუძგისა და სულ ბოლოს კი ხმლისა, რაიც უმაღლესი ქაღალდით, ხმლოსანი ციხისთავით სრულდება. შევამჩნიე ერთი თავისებურებაც: თუ კაცი ამ წიგნის ოცდათექვსმეტივე რვეულის წაკითხვას დააპირებს, სულ ერთია რომელი რვეულიდან დაიწყებს, მთავარია, იმ რვეულს ჯვარი დაუსვას, როგორც წაკითხულს და მერე სხვას მისწვდეს. ამბავს ასეც გაიგებს, ნებისმიერი აგებულებით.

ერთიც უნდა ვაღიარო, რომ ამ წიგნს ბანქოს შეკვრის სხვა თავისებურებაც აქვს: შეიძლება ოცდათექვსმეტი ქაღალდიდან, ანუ რვეულიდან დაგეკარგოს ერთი, ორი, სამი, ოთხი, თუმცა, თამაში მაინც მოახერხო.

ასეა თუ ისე, ლონდონიდან როგორც იყო გამოვფრინდი და თბილისსაც მოვაღწიე. მაწანწალობა კარგი ხელობაა, მაწანწალის ჩვევები კი ხშირად ახირებულია. მაგალითად, მე ყოველთვის დათქმულზე ადრე ვბრუნდები ხოლმე შინ: ვიტყვი, ოცდარვაში საღამოს-მეთქი და სინამდვილეში ოცდაშვიდში ჩამოვალ. სახლში თითქოს არ მომელიან, მაგრამ ისიც დამახსოვრებული აქვთ, რომ ეს ფანდი ვიცი, ამიტომ მაინც მელოდებიან. ახლა რომ ჩამოვედი, გამოვაცხადე: - თუ არ წახვედი სადმე, სახლი არ მოგენატრება.

ჩვეულებრივი აზრი გახლავთ.

ჩემმა ცოლმა კი თქვა: - ვალი დაგვადო. ვითომ, იმიტომ მიდის, რომ ჩვენ მოვენატროთ.

- შეიძლება სხვა რამეს ფიქრობდე და სხვა გამოვიდეს, - ცოტათი დავთმე მე.

- ხო, სულ სხვა რამე, - თქვა ჩემმა ცოლმა, მე კიდევ რვეულების შეკვრა ამოვაძრე ჩანთიდან და მაგიდაზე დავაგდე. ეს იყო და დანარჩენს რას მოყვები? რვეულებშია. მის გარეთაც, ალბათ.

აკა მორჩილაძე

თბილისი-სტამბოლი-სენტ ჯონ სიტადელი-ტრაპიზონი-თბილისი-ლონდონი-თბილისი

2003 წლის 5 სექტემბერი - 2004 წლის 19 აპრილი

ვაზის რვეულები

ყურძნის მტევანი

ვებ-ესპერანსა - ტურისტული გვერდები

სანტა ესპერანსას კუნძულების ისტორიას მივყავართ ელინური ხანისკენ, იმ დროისკენ, როცა შავი ზღვისპირეთში ბერძნული ახალშენები არსებობდა. არქიპელაგის ორ კუნძულზე ელინური არქიტექტურისა და ყოფის ნიმუშებია შემორჩენილი. მაშინ ბერძნული სახელი ამ კუნძულებისა უნდა ყოფილიყო ჰიპოლიტია. ამ სახელს მივყავართ მითების სამყაროსაკენ და ამორძალთა დედოფლისაკენ, რომელსაც ერთხელ ჰერაკლე ეწვია, თუმცა ძნელი სათქმელია, ბერძნულ ახალშენს სწორედ ასე ერქვა, თუ არა.

შუა საუკუნეების დროს, ელინური ცივილიზაციის დამცრობის შემდეგ, კუნძულებმა დაკარგა პირვანდელი მნიშვნელობა და იქ ყველაფერი განადგურდა, რადგან მოსახლეობამ კუნძულები მიატოვა, ხოლო ქალაქი დაინგრა.

მხოლოდ მეთორმეტე საუკუნეში კუნძულებზე კვლავ გამოჩნდა ხალხი.

კუნძულები მდებარეობს საქართველოს ნაპირებიდან 117 კილომეტრზე, მეთორმეტე საუკუნეში კი საქართველოს მეფემ დავით აღმაშენებელმა (1089-1125) მოახერხა ამ ქვეყნის წვრილი სამეფოების გაერთიანება და საქართველო ძლევამოსილ იმპერიად აქცია.

საქართველო, რომელიც ზღვის პირას მდებარეობს, არასოდეს ყოფილა ზღვაოსნური ქვეყანა, მაგრამ დავით აღმაშენებელმა შეამჩნია კუნძულები ზღვაში და მათი პოლიტიკური მიზნით გამოყენება სცადა.

კუნძულები ერთგვარ შუბისპირად იქცა იმისთვის, ვინც ზღვით სამტროდ მოსვლას დააპირებდა (იხ.რუკა). მან მთავარ კუნძულზე მძლავრი სამხედრო ფორტი ააგო, რომლის ძირითადი ნაგებობებიც დღემდეა შემორჩენილი. იხ.

მთავარ კუნძულზევე დაფუძნდა მართლმადიდებლური მონასტერი იოანე ნათლისმცემლის სახელობისა, რომელიც ერთ-ერთი უმდიდრესი იყო აზიაში. მონასტერი დღემდე მოქმედებს და მისი არსებობა კიდევ ერთი ნიშანია სანტა ესპერანსას ინტერკულტურულობისა.

საქართველოს იმპერიის დამცრობისა და დაცემის შემდეგ იოანე ნათლისმცემლის ფორტის ციხიონი თანდათან გადაიქცა მოკლე მანძილებზე მოცურავე მეკობრეთა გუნდად, რომელიც ერთგვარად დაკავშირებული იყო სიკვდილის პირას მყოფ ბიზანტიასა და ტრაპეზუნდის იმპერიასთან, ასევე ყირიმის ქალაქებთან და მოგვიანებით იქაურ ხანებთან.

ბიზანტიურ ქრონიკებში იოანეს კუნძულებად მოხსენიებულ ამ ადგილს განაგებდა არჩილი, მოდგმით ფორტის ციხისთავთა შთამომავალი, რომელმაც თავი მეფედ გამოაცხადა მე-15 საუკუნეში. საქართველოსთან სულიერ და კულტურულ კავშირს აქამდე ინარჩუნებდა მონასტერი, თუმცა მეკობრე მეფემ იგი კონსტანტინოპოლს მიჰყიდა დასუსტებული საქართველოს პატრიარქის უკითხავად. ამ დროიდან საქართველო უკვე იყო სამთავროებად დაშლილი ღატაკი ქვეყანა, რომელსაც ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა ზღვასთან და ნაპირიდან ერთი კვირის სავალზე სოფელი კი არა, ქოხიც არ ედგა.

ოსმალთა მზარდი აგრესიის შედეგად დაეცა კონსტანტინოპოლი და იშვა ახალი ქვეყანა, რომელმაც მხოლოდ 1603 წელს აღმოაჩინა იოანეს კუნძულები. მელიქ ფაშა რვა ოსმალური გალეონით მიადგა მთავარ კუნძულს და იგი უბრძოლველად დაიპყრო. მეფე-ციხისთავი სოლომონი გამუსლიმდა, ხალათი და იოანეს ფაშობა მიიღო და ოსმალური გარნიზონი ჩაიბარა. ამ დროს იოანეს კუნძულებზე ჯამურად ცხოვრობდა ორი ათასი კომლი - გარნიზონი, მარბიელ მეკობრეთა ელიტარული ფენა, ქართველური წარმომავლობის გლეხები, როლებსაც მოჰყავდათ ღომი და კვახი, ბერები, ბერძნული და ქართული წარმომავლობისა და გენუელ ვაჭართა ოჯახები, რომლებიც თავს კაფელებს უწოდებდნენ. ოსმალთაგან კუნძულით დაინტერესების ერთ-ერთი მიზეზი იყო ისიც, რომ იგი ტყვეებით ვაჭრობის განთქმული ადგილი შეიქნა კაფელთა მეშვეობით. მელიქ ფაშა თავადაც ქართული წარმომავლობის ოსმალო იყო, თხუთმეტი წლისა გამოეტაცათ და ტყვედ გაეყიდათ, ამიტომ მონასტრისთვის არაფერი დაუშავებია. საერთოდ, ოსმალებს გამდიდრება უნდოდათ ამ სამი კუნძულის მეშვეობით და არა მათი განადგურება, რაც ყოველი მხრისთვის სასარგებლო გამოდგა.

ოსმალთა ბატონობის დროს კუნძულები იქცა ერთგვარ შემაერთებელ წერტილად ყირიმელ ხანებსა და ოსმალეთის იმპერიას შორის, ვაჭრობის, მიმოსვლისა და ტყვეთა დიდი ბაზრობის ცენტრად.

გზამკვლევი

ტურისტი უამრავ საინტერესოს იპოვნის სანტა ესპერანსაზე. ეს არ არის მხოლოდ მზის, ზღვისა და შვებულების ადგილი. სანტა ესპერანსას მარად ცოცხალი ისტორია

იძლევა კუნძულებზე ინტელექტუალური დასვენების საშუალებას. სანტა ესპერანსა არის ადგილი, სადაც შეგიძლია დაისვენო ისტორიასთან ერთად.

სანტა ესპერანსას მთავარ კუნძულზე, ანუ როგორც აქ უწოდებენ, სახელმწიფო კუნძულზე ორი ტურისტული ცენტრია, დასავლეთ ნაპირისა და აღმოსავლეთ ნაპირისა. დასავლეთ ნაპირზე ტურისტები ბინადრობენ საკუთრივ ქალაქში, რომელსაც სანტა ესპერანსა სიტის, შემოკლებით კი სანტა სიტის უწოდებენ, თუმცა ეს არაოფიციალური სახელია. ოფიციალურად ქალაქს სენტ ჯონ ფორტი ჰქვია, თუმცა ასე არსად მოიხსენიება აეროპორტისა და სხვა ოფიციალური საბუთების გარდა. სანტა სიტი გადატვირთული არ არის სახელმწიფო დაწესებულებებით.

აღმოსავლეთ სანაპიროზე კი მდებარეობს ბუნგალოლენდი, იმათთვის, ვისაც უფრო ზღვა, მზე და გართობა აინტერესებს. ბუნგალოლენდი მდებარეობს საუკეთესო და ყველაზე წყნარ სანაპიროზე, ვინაიდან ზღვა აქ ყურისა არის და თითქმის არასდროს ღელავს. ტურისტული ბიუროები ბუნგალოლენდიდანაც მართავენ ექსკურსიებს.

სანტა სიტის აქვს თორმეტი საუცხოო პლაჟი და კიდევ ერთი უპირატესობა ბუნგალოლენდთან: აქ ჩამოსულ ტურისტს შეუძლია იცხოვროს ჯადოსნობით სავსე ქალაქში.

სტილური კაფეები, დუქნები, პატარა რესტორნები და კლუბები ძირითადად გახსნლია ქალაქის ისტორიულ უბნებში, რომლებიც შეადგენს სანტა სიტის სამ მეოთხედს. ქალაქის მთავარი ადგილია ტყვეების მოედანი, რომელიც მდებარეობს ზღვის პირას, ორ ბორცვს შორის. ამ ბორცვებზე ახლა ქალაქია გაშენებული. ტყვეების მოედნიდან მიემართება ქუჩები სანტა სიტის სიღრმეში, სადაც ტურისტი, რომელსაც არ სურს საექსკურსიო დახმარება, უამრავ საინტერესოს აღმოაჩენს.

მოედნის კიდეზევე, დამცავი შუშის ქვეშ თქვენ იხილავთ ელინური სასახლის ნაშთებს. აქედან იწყება შუშისქვეშა მუზეუმი, რომელიც ნახევრად მიწის ქვეშაა და სრულად წარმოადგენს სანტა ესპერანსას ელინურ ეპოქას.

ტყვეთა მოედნის სამხრეთ გორაკზე მდებარეობს სამხედრო ფორტი, მეთორმეტე საუკუნის ქართული არქიტექტურის ნიმუში, გვიანდელი თურქული მიშენებებითა და ბრიტანული შიდა წყობით. ფორტში მოქმედებს ქალაქის ისტორიული მუზეუმი, რომელიც კუნძულების ისტორიას გაგაცნობთ. ტყვეთა მოედნის ჩრდილოეთ გორაკზე სუფევს მართლმადიდებლური მონასტერი (კათედრალი მე-13 საუკუნისაა, ნაგები შირიმით). კათედრალი მდებარეობს მონასტრის გალავანს შიგნით. იგი მოხატულია მე-13 საუკუნის ქართველი ხატმწერის, თეოფილეს მიერ. ბევრია ქართული და ბერძნული წარწერა.

მონასტრის კათედრალი დამთვალიერებელი არამართლმადიდებლებისთვის ღიაა ხუთშაბათობით, ორიდან ოთხ საათამდე. მონასტრის ბიბლიოთეკა ღიაა ყოველდღე, გარდა ორშაბათისა.

ნავსადგურის უძველესი ნაგებობა მე-15 საუკუნისაა. იქვეა კიგლის შუქურა (1859წ.) ძველი ქალაქი იყოფა ხუთ უბნად: ხეირის უბანი (jeiri quarter), სთეითი (state), ჩიბუხის უბანი (pipe quarter), გენუელების უბანი და ნაპირი. სთეითი გაშენებულია გუბერნატორის სასახლის (მე-19 საუკუნე) გარშემო მე-19 საუკუნის განმავლობაში და ძირითადად საცხოვრებელი უბანია. აქ ბევრია საოჯახო და პატარა სასტუმროები.

არქიტექტურულად სთეითი ძალიან საინტერესოა: მისი საცხოვრებელი ქუჩები წარმოადგენს ვიქტორიანული არქიტექტურის ნარევს ქართულ ხის ვერანდებთან და შუშაბანდებთან ერთად. სთეითისა და ხეირის უბნის საზღვარზე მდებარეობს მეჰმედის მეჩეთი, მე-17 საუკუნის ოტომანური არქიტექტურის კლასიკური ნიმუში, მოზაიკურად მორთული ორი მინარეთით. ხეირის უბანი ოსმალების დაარსებულია და აქ დღესაც იგრძნობა აღმოსავლეთის სუნთქვა. ამ უბანში მოხეტიალემ აუცილებლად უნდა გასინჯოს საუცხოო ჩაი ან ყავა, რომელსაც მოუდუღებენ კუნძულების უძველეს ყავახანა „ჩაიეში.“

უბნები მიყოლებით ეკვრის გარშემო ტყვეების მოედანს და ტურისტს ხეტიალი არ გაუჭირდება. მით უმეტეს, ქალაქის ყველა ადგილიდან ჩანს გორაკზე შემართული ციტადელი, ასევე მონასტერი, მეჰმედის მინარეთები, „სიტი პიაცას“ სასტუმრო და სანტა მარია დე ესპერანსას კათოლიკური კათედრალის ვერცხლისფერი გუმბათი, რომელიც ნაპირის უბნის კიდეზე მიგვანიშნებს. კათედრალი აგებულია მე-18 საუკუნეში, უფრო მომცრო ტაძრის ადგილზე.

სასტუმროები

სანტა ესპერანსაზე ყველა ადამიანი თავისი ჯიბის შესაბამისად იპოვნის კომფორტულ საცხოვრებელს. კუნძულების უმაღლესი ნაგებობა არის ოცდახუთსართულიანი „სითი პიაცა“(ოთხი ვარსკვლავი). სასტუმრო „რიგოტი“ შვიდსართულიანია (ხუთი ვარსკვლავი), საპრეზიდენტო აპარტამენტით, სადაც უცხოვრიათ აღა-ხანს, გრეის კელის, კლაუს კინსკის და სხვა სელებრითებს.

ქალაქში ბევრია სამვარსკვლავიანი და საოჯახო სასტუმრო, მთავარი კუნძულის აღმოსავლეთი სანაპირო კი უჭირავს ბუნგალოების ქსელსა და მათ უკან, ოთხსართულიან სასტუმროებს, რომელთა მუშაობასაც წარმართავს რვა ბიურო.<...> კონტაქტი საიტთან: sunshine@santacity.santa.sa santasun@santacity.santa.sa suntravel@santacity.santa.sa esperanza@santacity.santa.sa სანტა ესპერანსა არის მისი უდიდებულესობა ბრიტანეთის დედოფლის ქვეშევრდომი ტერიტორია განსაკუთრებული სტატუსით შავ ზღვაში. 1857 წელს პოლკოვნიკმა უ. როლსტონმა ბრიტანეთის იმპერიის მხრივ და სარი ბეგმა სანტა ესპერანსას მხრივ დადეს 145-წლიანი ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კუნძულების მთელი ტერიტორია, მოსახლეობის საკუთრების შენარჩუნებით, იჯარით გადაეცა ბრიტანეთის იმპერიას.

სანტა ესპერანსას განაგებს გუბერნატორი (ამჟამად სერ სესილ-პიჩგეიმერ-მონტე კრისტო), რომელსაც ნიშნავს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივანი და ამტკიცებს პარლამენტი, მისი უდიდებულესობის ხელრთვით.

გუბერნატორი ემორჩილება ადგილობრივ კანონებს, სანტა ესპერანსას კონსტიტუციას, რომელიც მიღებულია 1901 წელს.

1919 წლიდან სანტა ესპერანსას პარლამენტი არის საკანონმდებლო ორგანო შეზღუდული უფლებებით, მისი არსებობა გარანტირებულია კონსტიტუციის პირველი შესწორებით. თუმცა, 2002 წლიდან იქცევა ფართო საკანონმდებლო

დაწესებულებად, ვინაიდან ბრიტანული იჯარის ვადის გასვლის შემდეგ სანტა ესპერანსა გამოცხადდება საპარლამენტო რესპუბლიკად.

კუნძულზე დგას შეზღუდული ბრიტანული გარნიზონი 1956 და 1987 წლის ხელახალი შეთანხმების პირობით.

მთავარი პოლიტიკური პარტია ორია: კონსერვატორული და ლიბერალური.

პარლამენტი შედგება 31 წევრისაგან.

მმართველობას ახორციელებს გუბერნატორის ოფისი, რომელიც შედგება შვიდი დეპარტამენტისაგან. სასამართლოს ახორციელებს უმაღლესი სამსჯავრო, რომელიც 7 წევრისგან შედგება. წევრებს ეწოდებათ მდივნები.

სანტა ესპერანსას ჰყავს ეროვნული სამხედრო ბატალიონები, რომლებიც ძირითადად ახორციელებენ სარიტუალო ოპერაციებს. ესენია: იოანური (ქართული), ოსმალური (თურქული), კათოლიკური (გენუურ-იტალიური) ბატალიონები.

სანტა ესპერანსას დროშაზე მარცხენა ზედა კუთხეში გამოსახულია ბრიტანეთის დროშა. სხვა ადგილას დროშა თეთრია და შუაგულში გამოსახულია ოქროსფერი, შვიდწვერიანი გვირგვინი.

სანტა ესპერანსას გერბი არა აქვს, არაოფიციალური სიმბოლოებია გვირგვინი, მზე, მთვარე და ყურძნის მტევანი.

სახელმწიფო წარმოების ენა არის ინგლისური. სკოლებში ისწავლება ოთხი ენა - ინგლისური, ქართული, თურქული და იტალიური. ყველა ეროვნული სკოლა საგნებს ასწავლის თავის მშობლიურ ენაზე, თუმცა, ვალდებულია, ასწავლოს სამი სხვა ენაც.

გაზეთები სანტა ესპერანსაზე მხოლოდ ინგლისურენოვანია, თუმცა იქ არის საგანგებო გვერდებიც სამ სხვა ენაზე.

სანტა ესპერანსაში აღიარებულია რწმენის თავისუფლება.

ყველა ადამიანი თანასწორია, თუმცა, მოქმედებს მოქალაქეობის პრინციპი.

ოფიციალური სახელმწიფო დღესასწაულია 26 იანვარი, გვირგვინის დღე.

დემოგრაფია

სანტა ესპერანსა მრავალეროვანი სახელმწიფოა. მისი მოსახლეობა 237 ათასია (1997 წლის აღწერით). მოსახლეობის 58 პროცენტი იოანური (ქართველური) წარმომავლობისაა. ისინი ლაპარაკობენ ქართული ენის ერთ-ერთ, იოანურ დიალექტზე

რომელიც ზოგადქართულ ენას XIV-XV საუკუნეებში ჩამოსცილდა, თუმცა, მონასტრის შემწეობით შეინარჩუნა ქართული ანბანი, რომელიც დღეს საქართველოში აღარ მოიხმარება. ეს იყო საგანგებო საეკლესიო დამწერლობა, რომელსაც საქართველოში უწოდებენ ნუსხურს, ესპერანსაზე კი მონასტრულს. მონასტრული არის სანტა

ესპერანსას ქართველური მოსახლეობის დამწერლობა. ამ ანბანით გამოდის წიგნები. იოანურში არის კვალი კიდევ ერთი ქართული დიალექტისა, რომელსაც მეგრულს უწოდებენ. სამეგრელო, საქართველოს ერთ-ერთი პროვინცია, ზღვისპირა მხარე იყო და იოანეს კუნძულთან ახლო კავშირი ჰქონდა. იოანურ მოსახლეობაში ბევრია მეგრული წარმოშობისაც.

იოანური მოსახლეობა რწმენით არის მართლმადიდებელიც, მუსლიმიც და კათოლიკეც, რაც ზუსტი ასახვაა კუნძულის ისტორიისა. ძველი ტრადიციის თანახმად, იოანური მოსახლეობა იოანელს უწოდებს მხოლოდ მართმადიდებლური რწმენის მიმდევარს, კათოლიკეებს უწოდებენ ჯენოებს, ხოლო მუსლიმებს - ოსმალებს. ამ ბოლო ორი რწმენის მიმდევრებს აიგივებენ კუნძულის ძველ მოსახლეებთან, იტალიელებთან, რომლებსაც აქ ჯენოებს, ჯენოვეზებს, ჯენოველებს ან კაფებს უწოდებენ მათ წინაპართა წარმოშობის გამო, და თურქებთან, იგივე ოსმალებთან, რახან რელიგიური ერთობა დიდხანს ნიშნავდა ეროვნულ ერთობასაც.

თურქები მოსახლეობის ცხრამეტ პროცენტს შეადგენენ, იტალიელები ათს. ბრიტანელები მოსახლეობის რვა პროცენტია, დანარჩენ ხუთში კი არიან ბერძნები, კაზაკები, ებრაელები და ესპანელები.

სანტა ესპერანსა ინტერნაციონალური და ინტერკულტურული მიწაა. აქ ძალიან ბევრია შერეული ქორწინების შედეგად შექმნილი ოჯახი. ამ ქვეყნის ერთ-ერთ საუცხოო მიღწევას სწორედ ეს წარმოადგენს.

ზაფხულობით, როცა სანტა ესპერანსას მოსახლეობა ერთიათად იზრდება ტურისტული სეზონის გამო, აქ არა მხოლოდ დამსვენებლები არიან, არამედ მედღიური მუშაობის მსურველნიც, რადგან სერვისის სფეროს თავად მოსახლეობა ვერ აუდის ტურისტული სიჭარბისა და კუნძულის მოსახლეობის ტრადიციების რამდენიმე თავისებურების გამო.

უცხოელებისათვის აქ მოქმედებს ე.წ. მოქალაქეობის პრინციპი. ეს პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სანტა ესპერანსას მოქალაქე შეიძლება იყოს მხოლოდ ის ადამიანი, რომლის წინაპარიც ამ კუნძულებზე ცხოვრობდა პირველი, 1919 წლის აღწერის დროს. ამას ემატება ის, რომ ბრიტანელები ასე შერქმეული თავისუფალი სტატუსით სარგებლობენ კუნძულებზე, ხოლო სანტა ესპერანსას მოქალაქეობის პრინციპის მატარებლებს შეუძლიათ მოითხოვონ ბრიტანული პასპორტიც.

მოქალაქეობის პრინციპი თავადაც რამდენიმე საფეხურისგან შედგება: სანტა ესპერანსაზე დიდად ფასეულია გვარის სიძველე და ღირსეული წარმომავლობა. რაც უფრო ძველია გვარი, მით ახლოა ის კუნძულის მრავალფეროვან ისტორიასთან, ამიტომ საგვარეულოები, რომლებიც ხუთას წელიწადზე მეტ ასაკს მოითვლიან, განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობენ. მათ მოსდევენ ისინი, ვისი გვარიც ოთხ საუკუნეს მაინც მოითვლის და ა.შ.

სანტა ესპერანსას კონსტიტუცია არაფრით ასხვავებს ქვეყნის მოქალაქეებს, თუმცა, მასში მაინც მითითებულია გვართა ასაკის პრინციპი და აღნიშნულია, რომ ამ გვარებმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს კუნძულების ცხოვრებაში. <...>

საზოგადოება

სანტა ესპერანსას უძველესი განათლების ცენტრი ალბათ ელინური ეპოქის ისტორიაში იკარგება. სამწუხაროდ, ისტორიამ არ შემოგვინახა ცნობები ამ დროის შესახებ. განათლების მთავარ კერად აქ მართლმადიდებლური მონასტერი იყო. შემდეგ, კუნძულებზე გენუელთა გამოჩენის დროიდან, აქ გენუელთა სკოლები და კათოლიკური სასწავლებელი არსებობდა. მე-17 საუკუნიდან კათოლიკე მისიონერებმავე დააარსეს ერთი სკოლა. კუნძულებზე ოსმალების მოსვლის შემდეგ დაფუძნდა მედრესეც.

განათლების თანამედროვე სისტემის შენება დაიწყო მე-19 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან, როცა კუნძულზე ორი კერძო ინგლისური სკოლა დაფუძნდა, ხოლო 1902 წელს ჩარლზ ჰეიესმა პირველი საინჟინრო და სამშენებლო კოლეჯი გახსნა. შემდგომი ოცდახუთი წლის განმავლობაში კიდევ ექვსი საზღვაო და საინჟინრო კოლეჯის ერთობლიობამ შეადგინა სანტა ესპერანსა ჰეიესის სასწავლებლების ქსელი, რომელსაც ხალხი უნივერსიტის უწოდებს.

ჩარლზ ჰეიესის მოედანი, ძეგლი და მუზეუმი

ედმონდ კლევერი

ჩიბუხის ძიებაში: შავ ზღვაში დანთქმული ნაღვერდალი

მილანის და ენდრიუსის გამოცემა

ხუთი ვარსკვლავი

ბარონესა ლესლის პრემია 2001 წლის საუკეთესო სამოგზაურო წიგნისთვის

მიმოხილვები

ობზერვერი: „ამაღელვებელი, დამაფიქრებელი წიგნი ისტორიის უმადურობისა და ლაღი, მითებისგან დამარცხებული ადამიანების შესახებ, თითქოს ბროლის კალმით დაუწერიათო, ძალიან გამჭვირვალედ იკითხება“.

მეილი: „მონათხრობი უცნაური ადგილის და კიდევ უფრო უცნაური ლეგენდის შესახებ, რომელსაც თქვენს ოთახში ერთდროულად შემოჰყავს წარსულის კოშმარებიცა და ზღვის სურნელებაც. კლევერის კიდევ ერთი წიგნი სანტა ესპერანსას შესახებ, რომლითაც ავტორი გვარწმუნებს, რომ თვით პატარა კუნძულიც კი ამოუწურავი და განუმეორებელი სამყაროა“.

სანტა სიტი ტაიმსი: „მისტერ კლევერი ცნობილი კაცია ჩვენთან. ამიტომ არ გაგვკვირვებია მისგან ასეთი შინაურული და ღრმა ცოდნა სანტა ესპერანსას სულისა. და მაინც ეს არის უცხო კაცის ნაწერი“.

ტაიმს ლიტერარი საპლიმენტი: „თავისებურება ამ წიგნისა იმაში მდგომარეობს, რომ ის ყველაფრით ჩვეულებრივი წიგნია, დაწერილი გამოცდილი ავტორის მიერ, მაგრამ ეს არის არაჩვეულებრივი წიგნი, იმიტომ, რომ ეს არის ამბავი ქიმერის შესახებ, მოთხრობილი, როგორც ჩვეულებრივი ისტორია“.

ნაწყვეტები

„<...> იმ ოთხი დიდი ეროვნული მითიდან, რომლებიც დღესაც ცოცხლობს სანტა ესპერანსაზე, ერთ-ერთია მითი სამყაროს უგრძესი ჩიბუხის შესახებ, რომელსაც აქაურები დიდი ყალივნის ამბავს უწოდებენ.

სანტა ესპერანსას მითების თავისებურება იმაშია, რომ მათი შინაარსი მრავალეროვნულია და წარმოშობა კი არცთუ ძველი. ყოველ მითს საფუძვლად ნამდვილი ამბავი უდევს, ოღონდაც გაგრძელება ამ ნამდვილი ამბისა მითოლოგიურია.

ჩიბუხის მითის ძიებას დიდი არაფერი წვალება უნდა.

სანტა სიტიში არსებობს ხეირის უბანი, სადაც არის ძველებური ყავახანა „ალი ბეის და ბასილას ჩიბუხი“. ეს ყავახანა ქალაქის ტურისტულ მარშრუტშიცაა შეტანილი, როგორც ორასი წლის ხნოვანების, შავი ხითა და ძველი ქვის მაგიდებით გაწყობილი კაფე. ყავას აქ მხოლოდ თურქული წესით ამზადებენ, რომელსაც ევროპაში ბერძნულ წესსაც უწოდებენ, თუმცა, ძველი ქვის მაგიდების არსებობა გამორიცხავს სუფთად თურქულ ფესვებს, რადგან თურქული ტრადიცია ფეხმორთხმით ჯდომაა, რასაც სხვა ყავახანებსა და ჩაიხანებში იოლად შეამჩნევთ. ესეც თავისებურია, რომ დღევანდელ თურქეთში თითქმის ვეღარსად შეხვდებით ასეთ ადგილებში ფეხმორთხმით მჯდომარე კაცებს, სანტა ესპერანსაზე კი ასეთი რამ ჩვეულებრივი ამბავია.

ისიც შესამჩნევია, რომ დღევანდელ თურქებს სახელები და გვარები აქვთ, კუნძულებზე კი ძველი ადათი შენარჩუნებულა და კაცები მხოლოდ სახელებს და მამის სახელებს ატარებენ.

თუმცა, ამგვარი სხვაობები ჩიბუხთან არაფერ კავშირშია. „ალი ბეისა და ბასილას ჩიბუხის“ სიღრმეში, მრუმე ადგილას, დახლის გვერდით ღიპწამოზრდილი კაცი ზის. მას ცისფერი პერანგი აცვია და მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითზე ოქროს დიდი ბეჭედი უკეთია. ბეჭედი იმხელაა, რომ თუ მოინდომებ, ლურსმანსაც ჩააჭედებ. ეჭვი არ არის, რომ სწორედ ის გახლავთ ამ ყავახანის პატრონი მორად ბეი: უკვე გაჭაღარავებული, ულვაშებგაფარჩხული, დროული კაცი, რომელიც სხვათა აღწერილობით წამსვე ვიცანი.

მორად ბეის თვალები გიშრის მარცვლებს უგავს.

თავისი ყავახანის სახელი პატენტით გაუმაგრებია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ კუნძულებზე ვერავინ გამოიყენებს სიტყვათა ზუსტად ასეთ შეთანხმებას მისი ნებართვის გარეშე.

მორად ბეიმ იცის, რასაც აკეთებს. ის ჩიბუხის ისტორიის საუკეთესო კოლექციონერია კუნძულებზე, თუმცა არა მონოპოლისტი და ალალად ეტყობა, რომ ამას ძალიან განიცდის.

„კიდევ ერთი ინგლისელი, ჩიბუხი რომ აინტერესებს,“ ხითხითებს ის და მიმტან ბიჭს თვალით უკვეთავს საჩემო ყავას.

საფასური, რა თქმა უნდა, აუცილებლად გადასახდელია. წინდაწინ გამაფრთხილეს, რომ ამ კაფეში საათობით შემიძლია ჯდომა ყოველგვარი შეკვეთის გარეშე, ოღონდ თუ მორად ბეის ჩიბუხზე გავუბამ ლაპარაკს, სამი ფინჯანი მაინც გამოწერილი მაქვს.

სამ ფინჯანს შორის კი ორჯერ მაინც უნდა გავაბოლო მორად ბეის ყავახანის განთქმული ყალიონი.

სამმტკაველიანი, ულამაზესი ჩიბუხები აქ პირდაპირ მაგიდებზე აწყვია და ჩიბუხზე სამაგრი სატუჩეებიც მაგიდებზე ალაგია საგანგებო კოლოფებში, ისე, რომ ნებისმიერი შეგიძლია ამოირჩიო. ნახმარი სატუჩეების გამწმენდ-მომვლელ-დეზინფექტორი განსაკუთრებული თანამდებობაა ყველა ამგვარ ყავახანაში.

ყავახანის კედლებზე გრავიურები და ლითოგრაფიებია.

ყველა მათგანი ჩიბუხის ისტორიის ეპიზოდებს აღწერს. ჯონ ქინანის გრაფიკა ასზე მეტი წლისაა და ცხადია, მოგვაგონებს გუსტავ დორეს. მორად ბეი ამბობს, რომ ყველა ნახატი თითო ცალია და ანალოგი არა აქვს. თუ ჩიბუხის ისტორია კარგად არ იცი, ნახატების თვალიერებას აზრი არა აქვს.

საგანგებო სტენდებზე ჩიბუხის ამბის ნივთები და თავად ამ ჩიბუხის სამი ნატეხია გამოფენილი. გამჭვარტლული, გამომშრალი, ოდესღაც დამუშავებული ნატეხები საოცარს არაფერს გაფიქრებინებთ.

„სულ ცხრა ნატეხია გადარჩენილი," ერთგვარი შურით ამბობს მორად ბეი, „ორი მუზეუმში აქვთ, ოთხი - სხვადასხვა ადამიანებს. არ ყიდიან, ვინ გაყიდის? მაინც ბედნიერი ვარ, იმიტომ, რომ ჩვენს ოჯახში მხოლოდ ერთი ინახებოდა, ორი დიდი წვალებით ვიყიდე. ჩვენი ოჯახი ერთგვარად ენათესავებოდა ალი ბეის შთამომავლობას. ბუნგალოლენდში ორი კოტეჯი მქონდა. ისინი გავყიდე და ეს ორი ნატეხი შევიძინე. ეს ბასილას ქალამნის შესაკრავია, ეს კი ალი ბეის ფრჩხილთა საქნელი დანის ქარქაში. ასეთი ნივთები არავის აქვს კუნძულზე. ყველაფერი დაზღვეულია. ეს შუშები ცეცხლგამძლეა. ღამით სიგნალიზაცია ირთვება, პირდაპირ საპოლიციო დეპარტამენტთანაა მიერთებული."

კი მაგრამ, რა არის მორად ბეისთვის ჩიბუხი?

„ჩიბუხი კიდევ დაგვჭირდება. ძალიან დაგვჭირდება. სულ მალე დადგება ეს დრო," ყავახანის პატრონი ალბათ იმ დელიკატურ პოლიტიკურ ვითარებას გულისხმობს, რომელიც მალე განვითარდება სანტა ესპერანსაზე. 2002 წლის ზაფხულიდან სანტა ესპერანსა დამოუკიდებელი სახელმწიფო ხდება და კუნძულებზე ბევრს ფიქრობენ გეოპოლიტიკის, რუსეთის, თურქეთისა და ახლომდებარე საქართველოს შესახებ.

„ნატო?" ჩაფიქრდება მორად ბეი. „არა მგონია, რუსეთმა ნატოს მოსვლა დაუშვას. წაიკითხეთ გაზეთები... თანაც, ჩვენ არაფერში გვჭირდება რაკეტები და ტანკები. აქ რაკეტა არც დაეტევა. „<...>"

„<...> ამ მითისა თარიღებიც კი ცნობილია: 1662 წელს იოანეს ფაშად დაჯდა ალი ბეი, მართლმადიდებლური წარმომავლობის ქართველი, არჩილიანის დინასტიიდან. სანტა ესპერანსაზე არასოდეს ყოფილა სამეფო დინასტია, იქ ციხისთავთა დინასტიები იყო. როდესაც ოსმალებმა იოანეს კუნძულები დაიკავეს, ციხისთავი არ შეუცვლიათ, რადგან იცოდნენ, რომ ციხისთავებმა კარგად იციან ზღვის, ხმელეთისა და ქარების ამბავი და იქაურ ვითარებაში ყოველთვის უკეთ გაერკვევიან, ვიდრე რომელიმე დანიშნული ოსმალო მოხელე, რომელმაც დევთედერობა კი იცის, მაგრამ კუნძულზე

არასოდეს უცხოვრია და ეგებ ეშინია კიდეც, როცა ციტადელის პირველ ქონგურზე გასული ყოველი მხრიდან ზღვას ხედავს.

ოსმალთა ერთადერთი მოთხოვნა მაშინდელი ციხისთავისადმი, რომელსაც სოლომონ არჩილიანი ერქვა, ისლამის მიღება იყო, რაც ხშირად საკმაო პირობითობა გახლდათ. ციხისთავები თავს იოანეს მეფეებს კი უწოდებდნენ, რაც ქართველი დიდგვაროვნებისთვის სრულიად წარმოუდგენელი რამ იყო, მაგრამ სინამდვილეში მართლაც ციხისთავები და მეკობრეები იყვნენ. ოსმალურმა კანონებმა მათ ჯამაგირიც გაუჩინა და გარნიზონიც გაუმაგრა.

თუკი იოანეს ციხისთავი მოკვდებოდა, მის ადგილზე მისივე უახლოესი ნათესავი ჯდებოდა, ხან შვილი, ხანაც ძმა. ახალდამჯდარი ციხისთავის დამტკიცება სტამბოლიდან მოდიოდა ჭვირნიშნიან ქაღალდ-ფირმან-სიგელებით და ზოგჯერ ამას წელიწადი დასჭირდებოდა ხოლმე, რადგან სულტანს სულ ქვემოთ ამოუდებდნენ ხოლმე ნამცეცა მიწის გამგებლის დასამტკიცებელ ქაღალდს და იმდენ დავთრებში და ყალმის მისმა-მოსმა- ბეჭდის რტყმაში, ეს უმნიშვნელო საკითხი ავიწყდებოდათ. ახალი ციხისთავი აუცილებლად უნდა გამუსლიმებულიყო. საერთოდ, მუსლიმებს ერთადერთი უპირატესობა ენიჭებოდათ, სამხედრო სამსახურის უფლება. არამუსლიმს გარნიზონში არავინ მიიღებდა, თუმც იმ დროისთვის ერთი კარგი თოფი და ხმალ-ხანჯალი ყველა იოანელს ჰქონდა შინ და რჯულის შეცვლა აუცილებელი არც იყო. უბრალოდ, ეს ამბავი მეკობრეობის ლიცენზიას იძლეოდა.

ოსმალების მოსვლამდეც კუნძულებზე იქმნებოდა დიდი კულტურული და ისტორიული შრე, რომელიც გენუელთა საქმიანობის შედეგად შეიქმნა. ეს ცალკე და დიდი ისტორიაა. მაგალითად, და კოსტას საგვარეულოს ამბავი, ანდა ერთი ესპანელის გამოჩენა, რომელსაც ხინეს დე პასამონტე ერქვა და რომელმაც ბანქოს კულტურა გაავრცელა იოანეზე. საკვირველი ჩანს, მაგრამ კუნძული, რომელიც იოანე ნათლისმცემლის სახელით იხსენიებოდა ქართველთა შორის, თურქები კი უმით-ქალეს უწოდებდნენ, რაც იმედის ციხესიმაგრეს ნიშნავს, არც ერთ ევროპულ ნაწერში ასე არ მოიხსენიება, მას სანტა ესპერანსას ეძახიან, რაც წმინდა იმედს ნიშნავს და მართლაც, რა საკვირველია, რომ ეს სახელი კუნძულს ხსენებულმა ხელმოკლე ავანტიურისტმა ხინეს დე პასამონტემ, აქაურობის ერთადერთმა ესპანელმა დაარქვა.

თუმცა, ჩვენ ავცდით ჩიბუხის ამბავს: 1662 წელს იოანეს ფაშად დაჯდა ალი ბეი არჩილიანი, ძმისშვილი განსვენებულ წინა ციხისთავის კარაკაშისა, და დაერქვა ალი ფაშა.

სანტა ესპერანსაზე ამტკიცებენ, რომ ზღვის გადაღმა მდებარე საქართველოში არსებობს სიმღერა ალი ბეის შესახებ, სადაც ის სწორედ ფაშას წოდებით მოიხსენიება.

მე საქართველოში არ მიმოგზაურია, ეს ქვეყანა ორას წელიწადს იყო ჯერ რუსეთის, მერე საბჭოთა იმპერიის მმართველობის ქვეშ და სანტა ესპერანსას, ქართველური ფესვებისა და კულტურის მიუხედავად, იქაურობასთან კავშირი არ შერჩენია. საქართველო რამდენიმე წელიწადია, რაც განთავისუფლდა რუსული ბატონობისგან და ამ ქვეყანაში განუწყვეტელი სამოქალაქო ომი მიმდინარეობს. ესპერანსელებისთვის კი შემიმჩნევია ფრთხილი და ჭმუხნიანი გამოხედვა, როცა მათ საქართველოს შესახებ დაუწყებ გამოკითხვას.

იმ სიმღერას კი საქართველოში თურმე ასე მღერიან, ალი ფაშამ გვიღალატაო.

ალი ბეის მსგავსი პერსონაჟები დღეს აღარ არიან და არც შუა საუკუნეებში ყოფილან ბევრნი.

ფერადოვან პორტრეტთან მას არაფერი აქვს საერთო: არც ბრმა ყოფილა, არც სისასტიკით განთქმული, არც ლექსებს თხზავდა და არც ღვინოს ეძალებოდა. ისტორიამ არ შემოგვინახა მისი საბრძოლო დიდების ამსახველი ქრონიკები. იმის თქმაც შეიძლება, რომ ამ სამ პაწაწინა კუნძულზე დაიკარგა ის, რაც არ უნდა დაკარგულიყო - ალი ბეის საფლავი. ესპერანსელებს ამის რცხვენიათ და ალბათ ამიტომაც შექმნეს ლეგენდა, რომ ალი ბეი წყალში გადახტა, თითქოს გასცურა, რათა ბასილა მოეძებნა, ვერ მოერია ტალღებს, ვერც რომელსამე ნაპირს მისწვდა და დაიხრჩო. მეცნიერები კი ასახელებენ ალი ბეის გარდაცვალების ზუსტ თარიღს.

ალი ბეი არც ვარსკვლავებს უმზერდა, არც დედამიწის სიმრგვალის საკითხზე ფიქრობდა და არც კიდევ იმგვარ რამეებზე, რაც შუა საუკუნეებიდან დაგვახსომებს კაცს.

სანტა ესპერანსელები ამბობენ, რომ მათი კუნძული უძველესი საზღვაო კურორტია სამყაროში და ამას ალი ბეის გამჭრიახობას მიაწერენ.

მორად ბეი სინანულით მეუბნება, რომ არსებობს ალი ბეის პორტრეტი, რომლიდანაც გადახატულია მისი ყველა სხვა დანარჩენი პორტრეტი ორასი და მეტი წლის შემდეგ. ეს პორტრეტი ციხისთავის სიცოცხლეშივე დაუწერია სახელდაკარგულ იტალიელს და ახლა მუზეუმშია გამოფენილი.

მე ვნახე ეს პორტრეტი. უცნაური ჩაცმულობა, თითქოს დაღლილი სახე, დოლბანდი თავზე, მორკალული ხანჯალი ბრტყელ, ნაქსოვ ქამარში. თვალები ალბათ ზღვისკენ გაურბის...

ჯონ ქინანს შეუქმნია სამოცამდე ნახატი, რომლებიც ალი ბეისა და ბასილას თავგადასავალს აღწერს. ქინანი, როგორც ჭეშმარიტი მხატვარი, რაღა თქმა უნდა, იმას ემხრობა, რომ ალი ბეიმ წყალში შესცურა ბასილას მოსაძებნად. <...> „

პოეტ ალესანდრო და კოსტას პერსონალური ვებ-გვერდი

ალესანდრო და კოსტა მადლობას უხდის თავის მეგობრებს, კაფე „ნონელას“ პატრონ ანტონიოს და დუქან „ხემსების“ მენეჯერ სულია მანდარიას, რომელთა დაჟინებითაც გაიხსნა ეს საიტი.

ანტონიომ და სულიამ ჩემს ოცდამეთოთხმეტე დაბადების დღეზე მომიძღვნეს ეს საიტი. ჩვენ ერთად დავიზარდეთ ჯენოველების უბანში, ვანეტის შადრევნის წყალსაქაჩის ახლოს და ბავშვობისას ბევრჯერ გადავპარულვართ წყალსაქაჩის ეზოში და შადრევანი გადაგვიკეტავს, რასაც მოედანზე მოტრიალე ხალხის აჟრიამულებით ვხვდებოდით. ბევრი პანღური მიგვიღია ამის გამო ბებერი არსენისგან, რომელიც განსაკუთრებით მე მომძახოდა: - შენ! შენ! შენ მაინც... არ იცი, ვისი შვილი ხარ, ვისი შვილიშვილი და ვისი შვილიშვილის შვილიშვილის შვილიშვილის შვილი?

სულია მანდარია წარმოთქვამს წინაპართაგან შემონახულ სადღეგრძელოს: ლადს, მე გლახს თქმავ ინგლურს, მარა გული ყველა ქვეყანას თქმას ამხანაგობს. უნჯი მაინც ათქვამს სათქვამს, ღმერთი მაღლა შეხედვას არ მოიზარებს, ესე... ნამდვილია. პირი არ დომია კაცს, თვალი დომია, გონის გზაში, პირი მარტო ზიანია, თვალით უბნოს და პირით არა. ახლა მოვრჩები სიტყვას, თვალით გაჩვენებ, რა დავლოცოთ.*

ალესანდრო და კოსტა

თავისუფალი ადამიანი და პოეტი. დაიბადა 1965 წელს სანტა სიტიში, ხეირის უბანში, ვია დელი ობერტენგის ქუჩაზე, ვილებში. მეგობრების დახმარებით გამოსცემს სხვისი და თავისი პოეზიის კრებულებს ოთხ ენაზე.

პოეტებისთვის ამ საიტზე არსებობს მისამართი: პოეზიის გამოქვეყნების წესები ოთხ ენაზე

ალამანო და კოსტა - გენუელი თავადი. მე-13 საუკუნეში კრეტას ესხმოდა თავს და სიცილიასა და აფრიკას შუა მეკობრეობდა. მერე სირაკუზის გრაფად გამოაცხადა თავი. დიდხანს არ დასცალდა, იმიტომ, რომ ვენეციელებმა დაატყვევეს. დიდი პირობით გაათავისუფლეს, სირაკუზიც აართვეს და ასე დატოვეს ხახამშრალი. სიცოცხლის ბოლომდე ეომებოდა ვენეციელებს.

ვინ არ იამაყებდა ამგვარი წინაპრით? საამაყო ბევრი არაფერია, თუმცა ამას მაინც ვერ ასცდები. და კოსტათა მეორე ტოტს კავშირი ჰქონია შავ ზღვასთან, კერძოდ კი ქალაქ კაფასთან, რომელსაც ბაბუაჩემი - სანდრო და კოსტა პატარა გენუას ეძახდა. იქედან ნაწვალები და დაქანცული ლუკინო და კოსტა იოანეს კუნძულთან მოცურდა სხვებთან ერთად. კაფა აღარ არსებობდა, ის ყირიმელმა თათრებმა მოსპეს.

ასე ვიწყებით ჩვენ, და კოსტები აქ, ციტადელის ქალაქში ვია დელი ობერტენგიზე.

აი, ამ ადგილას უნდა იყოს ს. ვ.-ს სურათი, მაგრამ მან ამიკრძალა მისი გამოქვეყნება მსოფლიოს დასანახად. მე მაინც ყველას გასაგონად ვუცხადებ, რომ 13 მაისს ოცი წელიწადი შესრულდება, რაც მიყვარს.

ბოლო დროის საუკეთესო ამონაწერები სტუმართა წიგნიდან: „შენ სულელი ხარ, ალესანდრო და კოსტა“. ჟასმინი

„სახალისო საიტია, მაგრამ რა შუაშია პოეზია? თუ მართლა 34 წლისა ხარ, მეტი მოგეთხოვება“.

„პოეტი ხარ? მომწონს შენი ფოტო. შენი სახლის ფოტოც მომეწონა“. ნინა. ფლორენცია

„იდიოტობაა“.

„კარგი იქნება, თუ აუდიო მხარეც გექნება. ყველამ თავის ენაზე წაკითხული ლექსები რომ გამოგზავნოს“. ნიკოლას გილშტეინი

„ბავშვი ყოფილხართ. მე, როგორც პოეზიის მკვლევარი, მოვტყუვდი“. პროფესორი მარეკი

ყურძნის მტევნებით გაწყობილი ორი სახლი

ლიბერტალია

XIX საუკუნის დასაწყისის ფრანგი გადამკეთებლის ცუღლუტური რომანის ნაწყვეტი, რომლის წყაროდაც დანიელ დეფოსა და სერვანტესის წიგნები თუ მოიხმარა.

დიახ, ის ხმელეთის კაცი იყო, ხინეს დე პასამონტე, გლეხი გადაცმული კაბალიეროდ, მეშვიდე შვილი მეჯორეთა ოჯახში, ბორკილი, საგიჟეთი და სხვაც რომ ბევრი მოელია უკვე ოცდაათი წლისას, ფართო ყვრიმალები და წაკვეთილი თითები რომ გაუმხელდა მიხვედრილ კაცს მის რაობას, ხოლო ყველაზე იაფ მეძავს კი მისი დაჩიჩქნილი, ნაჩხაპნი და გამომშრალი სხეული. ის უფრო დანის კაცი იყო, ვიდრე ხმლისა, თუმცა, ყოველთვის ახერხებდა ერთი ხელი ძვირფასი ტანსაცმელი ეშოვნა: ცხადია, მაშინ, როცა სჭირდებოდა.

ის მხიარული და მოხითხითე კაცი იყო, ხინეს დე პასამონტე, და ფუნდუკის კუთხეში იჯდა ხოლმე გაღიმებული. თუკი იჯდა ხოლმე, რადგან ერთ ადგილას საშინლად სწყინდებოდა. მოულოდნელი საგზალი ჰქონდა: აბგაში ყოველთვის ეგდო არითმეტიკის ლათინური სახელმძღვანელო, გადაწერილი რომელიღაც ლიცენციანტის მიერ, და არისტოტელეს „პოეტიკა“, გადმოთარგმნილი ასევე ლათინურად. საუცნაურო ამ საქმეში ის იყო, რომ მან ლათინური არ იცოდა, მაგრამ იცოდა ბანქო, ნაირგვარი ილეთები და მახეები ქაღალდების ამ ეშმაკეული შეკვრისა. თავის წილ, ისიც მოგზაური იყო, ჰა თუ ფეხით, ჰა თუ გემით, სადაც სწორედ ბანქოს თამაშით გაჰქონდა თავი. მისი მადრიდიდან სევილიაში გაქცევა ერთმა შემთხვევითობამ გამოიწვია: ერთ ფუნდუკში, საბანაო კასრში მჯდომმა პერანგი გაიხადა და ასე მოჰყვა ტანის ხეხვას. უცხადესია, რომ არ იცოდა, ვითარ უთვალთვალებდა ფუნდუკის მოახლე გოგო, ჯერაც ქალწული და იმ გოგომ დასანახები კი არ დაინახა, არამედ იშვიათი, მაგრამ უწყინარი რამ; სვირინგი ბეჭზე, ბოშებმა რომ გაუკეთეს ბიჭობაში. სამწუხაროდ, ეს იყო უცნაური და ამოუხსნელი ნიშანი, რომელიც თავად ხინეს დე პასამონტეს ცხოვრებაში ერთადერთხელ ენახა, რადგან ცხოვრებაში ერთადერთხელ ჰქონოდა ხელთ ორი სარკე. გოგომ კი ეს სვირინგი ეშმაკის ნიშნად მიიჩნია და უამბო ერთ თავის ამხანაგს, იმან კი თავის დედას. ამ ქალის მეორე ქმარი ალგვასილი იყო და იმან მალე იყნოსა, რომ ხინეს დე პასამონტე ბანქოსა და გართობათა მოყვარე კაცია და ერთი ხელი ძვირფასი სამოსის შოვნას ყოველთვის ახერხებს. ალგვასილი უდარაჯებდა ხინეს დე პასამონტეს და მალევე დაატყო, რომ თუ ლაზათიანად შეაშინებს, შეიძლება შემოსავლის წყაროც კი გაიჩინოს. მათი პირველი შეხვედრისას ალგვასილმა წმინდა ინკვიზიცია ახსენა, მეორე შეხვედრისას კი ხინეს დე პასამონტემ თავში იმგვარად ჩაჰკრა ხანჯლის ტარი, რომ ორი დღე-ღამით მაინც დააძინა, თავად კი გუდა-ნაბადი აიკრა.

როგორ მოხვდა ასეთი ჭკვიანი და მოხერხებული კაცი შავი ზღვის პირზე, ქალაქ კაფაში, რომლისთვისაც განგებას უკვე გამოეყვანა წირვა და მომთაბარეთა საბოსლედ გარდასახვას უპირებდა?

ხინეს დე პასამონტეს გენუელები მოეწონა. მათ გემზე ავიდა სევილიაში და გასცურა მათთან ერთად სწორედ გენუისაკენ. კაფა გენუის გაგრძელება იყო, ოღონდ შავი ზღვის პირად. მაგრამ მანამდე ის გენუისაკენ მიმცურავ გემზე იყო და იქ გაიცნო ერთი კეთილი ყრმა ბერი, ტომით გენუელი, კარაჩიოლი და ასევე სტუდენტი, სტეფანელი. ხინეს დე პასამონტემ ხელმოკლე აზნაურად წარუდგინა თავი და მალევე დაატყო, რომ ბერის ანთებული თვალები და ალალი რწმენა ადამიანთა კეთილობისა, კარგ რასმე მოგებას დაუტოვებდა.

ამიტომაც, ერთხელ, გემბანზე, როცა უკვე ჩამობნელებულიყო, ხინეს დე პასამონტემ ბანქო ამოიღო უბიდან და იმ სიბნელეში მის ვითომდა თვალიერებასა და კვნესას მოჰყვა. ეს იყო ესპანური ბანქო, ორმოცქაღალდიანი, გვარიანად გაცვეთილი. გულისხმიერმა ბერმა ჰკითხა, რადა კვნესიხარო, და თაღლითმა და ქურდმა მიუგო: - ეჰ, ჩემო ბატონო, მინდა მოგახსენოთ, რომ ჩემი მფარველი წმინდანი არის წმინდა სებასტიანი და ჯერ კიდევ ბავშვობისას ჩავუთქვი ღმერთს, რომ, როცა ოცდაათი წლისა მოვიყრებოდი, წმინდა სებასტიანის ორმოცდაერთი ხატ-სურათი მექნებოდა შეგროვილი. ახლა ვზივარ და ვითვლი ამ სურათებს, თვალი ხომ არ მატყუებს და ორმოცდაერთი ხომ არ არის-მეთქი? რამდენიმე დღეში გენუას ვიქნებით, სრულ ათ დღეში კი ოცდაათი წლისა შევსრულდები. ჩემი ქისა ცარიელია და როგორღა შევიძენ ორმოცდამეერთე სურათს? აღთქმის დარღვევა გამომიდის და ამიტომაც ვკვნესი. თანაც ჩათქმული მაქვს, რომ ორმოცდამეერთე სურათი დიდი და შთამბეჭდავი იყოს. არა ისეთი, როგორიც ყველგან იყიდება.

- ნუ ღელავ, შვილო ჩემო, - უთხრა ბერმა, - მე მაქვს დუკატები, შესაწირავად გადანახული, მაგრამ ესეც საღვთო საქმე ყოფილა...

და ჩაუჩხრიალა დუკატები, რაზეც ხინეს დე პასამონტე გამალებული პირჯვრის წერით გაეპასუხა, ხოლო სტუდენტ სტეფანელის ხინეს დე პასამონტემ თავისი წიგნებით მოაწონა თავი. წიგნი სტუდენტსაც ჰქონდა და გამალებით კითხულობდა. ამ წიგნს ერქვა „ვაჭარ მარკო პოლოს მიერ პიზელი რუსტიჩელოსათვის მოთხრობილი ამბები“ და უკითხავდა კიდეც ხმადაბლა ხინეს დე პასამონტეს მას შემდეგ, რაც მისი სანდო კაცობა ამოიცნო. ხინეს დე პასამონტემ მალევე დაატყო, რომ სტუდენტი და ბერი შეთქმულები არიან და რაღაც გადაუწყვეტიათ.

- ეს კაცი ვენეციელთა გალეონს მეთაურობდა გენუელებთან ომში. მერე გენუაში იჯდა ციხეში და იქ მოუთხრო მავან პიზელს თავისი ამბავი აღმოსავლეთში მოგზაურობის შესახებ, - უხსნიდა სტუდენტი, - ახლა ბევრი ამბობს გენუაში, რომ თუ სულ დასავლეთისკენ ივლი, ბოლოს აღმოსავლეთში მიხვალ, მე კი მგონია, რომ თუ სულ აღმოსავლეთით ივლი, მაშინ მიხვალ აღმოსავლეთში. ეს წიგნი ამას ადასტურებს. შავ ზღვაში იყო ვენეციური ქალაქი სუდაკი. შავ ზღვაში არის კაფა. ამბობენ, რომ ურჯულოებს მთელი ზღვა გადაუკეტავთ, რათა იქ არავინ შეუშვან, მაგრამ ხმელეთით მისვლა შეიძლება.

- მე ნამდვილი რესპუბლიკა უნდა დავაარსო, - გამოუცხადა მეხუთე დღეს ბერმა, - ნამდვილი რესპუბლიკა, თავისუფალი ხალხის ქვეყანა. დიდ ხანებს ბევრი მიწები აქვთ და გვაჩუქებენ. ჩვენს რესპუბლიკას ლიბერტალია ერქმევა...

მალე გამოირკვა, რომ ხინეს დე პასამონტე ამ რესპუბლიკაში საბაჟოების უფროსი იქნებოდა.

გენუაში ერთ სახლში მივიდნენ, სადაც არანაკლებ შეშლილი შვიდი ახალგაზრდა დაუხვდათ. ერთმა მათგანმა, რომელიც ქალაქის თავად დაენიშნათ, ნამდვილ ცხოვრებაში კი მდიდარი და მძლე გვარიშვილი იყო და შინიდან გაქცევასა და საგვარეულო ბანკიდან არაერთი ქისის გატაცებას აპირებდა, ხინეს დე პასამონტეს რუკა გადაუშალა წინ და უთხრა: - სამყარო სინამდვილეში ასეთია!

ხინეს დე პასამონტეს არასოდეს უფიქრია, როგორია სამყარო. ის მიხვდა, რომ თუ შეშლილთა ლაშქრობას აედევნებოდა, წაუგებელი პარტია გამოუვიდოდა - მუქთი საჭმელ-სასმელი და იოლი ფული, რადგან ყველა ამათგანს ყოველთვის მოუგებდა რაგინდარა ბანქოში. თუ საჭირო იქნებოდა, დანასაც დაატრიალებდა. თანაც, რაც გენუელებს გადაეკიდა, უკვე ორი ხელი ძვირფასი ტანსაცმელი ჰქონდა.

- ჯერ არავინ იცის, რომ ლიბერტალიაში დაიბადება ახალი ეროვნება. ჩვენ აზიელებს რჯულზე მოვაქცევთ და მათ ქალებს შევირთავთ, - ხინეს დე პასამონტე საიდუმლო ერთობის „ლიბერტალიის დიდი აღმოსავლეთის“ წევრი შეიქნა.

ნათლია

კაფა იყო ქალაქი, სადაც ქუჩებში საზამთროები დაგორავდა.

ვინმე ოხუნჯი იყიდდა საზამთროს და დაღმართ ქუჩაზე გაუშვებდა. მოსახვევები ისეთი მოქნილი იყო, რომ დაგორებულ საზამთროს ერთი ბზარიც არ გაუჩნდებოდა, ისე ჩააღწევდა ზღვამდე და იქ, წყალში შეგორებულ-ჩახეთქებული მოჰყვებოდა ტალღებზე ლივლივს.

მეზღვაურები საზამთროს „საზამთროს“ კი არ ეძახდნენ იმ დროის შავ ზღვაში, არამედ კაფას საჩუქრებს. აბა წივილ-კივილი მაშინ უნდა გენახათ, როცა აღმართზე რონინით ამომავალი ბანოვანები დაბლით მომქროლავ საზამთროთა გუნდს რომ დალანდავდნენ ხოლმე. იყო ერთი კედელს აკვრები და სულის შეკვრანი. მაგრამ ეს ყველაფერი ზღაპარია, რადგან კაფადან მხოლოდ საზამთროები არ ცვივოდა ზღვაში.

ერთი დრო იყო, ვენეციელებმა, ვისაც ყელზე ადგა კაფა, ყივჩაყთა მეფე, ჯანიბეგი, შეაგულიანეს, მიდი, მიესიე კაფას გალავნებსაო. ყივჩაყისთვის ზღვის კლიტენი არაფერია. იმას ზღვის წყალი დასალევადაც არ არგია, მაგრამ ჯანიბეგი მაინც მიადგა კაფას ზღუდერს და დასცა ალყა.

მწარედ სასაცილო ის იყო, რომ ყივჩაყნი აი, იმ მკვიდრ კედლებს შესცქეროდნენ, ზურგიდან კი იმათ სიკვდილი ეპარებოდათ, იმნაირი, რომ არ ეშინია ყივჩაყის სულისდამძვრელი ყიჟინისა და მის ველებზე მოშხუილე ისრებისა. ჯანიბეგს უკნიდან მტერი ეპარებოდა, ჭირი. პირველი ჭირი, რომელიც მოდიოდა უდაბნოებსა და ქალაქებზე, სრავდა და კლავდა, სპობდა და იხმარდა ყველაფერს.

და როცა მოადგა ჭირი ჯანიბეგის ბანაკს და როცა იწყო ხურვება, ჩარადება და კვლა, გამწარდა ყივჩაყთა მეფე. აგინებდა კაფას ზღუდერებს, გენუელები კი გადმოსცქეროდნენ წყნარად. მაგრამ სიავისგან მოიფიქრა სიკვდილის გვერდით მოტრიალე მეფემ და ცეცხლისმტყორცნებით ჭირისგან მკვდარი ყივჩაყების გალავანს იქით სროლა დაიწყო. კაფელები მიხვდნენ, რომ ჯოჯოხეთის ცეცხლი ცვივოდა მათ

ქალაქში და გვამების ზღვაში ყრას მიჰყვეს ხელი. ნავსადგური დაცარიელდა, ჭირს მორიდებული ოთხი გემი გენუისკენ გაჰყვა ქარს, ოღონდ კი ჭირი უკვე გემებზე იყო.

ზღვაში ჩავარდნილი საზამთროებისა და ჭირიანი ყივჩაყების ამბავი ერთ გრძელ ლექსად დაუწერია სანტა ესპერანსელ პოეტს, მაფეო ტანელს და გვარიანადაც გაუმათრახებია კაფელები, ვინაიდან ეს მაფეო, რახან ტანაში ცხოვრობდა, ვენეციელი უნდა ყოფილიყო, ვენეციელნი კი ცდილობდნენ, რომ ტანას კაფასთვის ეჯობნა. თუმცა, აქ საოცარი ის არის, თუ როგორ მოხვდა მაფეო იმ გენუელთა შორის, რომლებმაც ახალი კაფას დაარსება გადაწყვიტეს და იოანეს კუნძულებს მოადგნენ.

თუმც, მოკალმეთა მიზანი სულ სხვა გახლავთ და კაფას საოცარობის ისტორიას აქ ვერა ფარატინი ვერ გასწვდება. ეს კი ვთქვათ, რომ თურქთა, ოდეს კაფა დაიჭირეს, დასძახეს იმის სილამაზით ატაცებულებმა და სისხლით მოთხვრილებმა: „ქუჩუკ ისთანბულ! ქუჩუკ ისთანბულ!“

რაიც ნიშნავს: „პატარა სტამბოლი, პატარა სტამბოლი!“

მაგრამ ამ საქმეში მაინც თარიღობრიობა გვმართებს, ვინაიდან უნდა ვიხილოთ კვლავაც ხინეს დე პასამონტე, ამჯერად დალალი, ათი წლის შემდეგ.

1449 წელს კაფას ეპისკოპოსმა გენუიდან მიიღო ქაღალდი, კოლონიათა კონსტიტუცია, სადაც ეწერა, რომ ყოველი ეროვნება: ებრაელიცა, სომეხიცა და სხვა რამ რწმენისაცა, დაფასებულია კაფაში და ტოლ-სწორია ვაჭრობასა და საქმეში. 1453 წელს მეჰმედ მეორე შევარდა სტამბოლში და ხელისგულის კვალი დასტოვა წმინდა სოფიას ტაძრის კედელზედ, თუმც კი ხელი არ ახლო მსოფლიო ქალაქის კიდეზე მოდგმულ საოცარ გენუურ ქალაქ გალათას. ამ ხელის არ ხლებით საერთო ამბავი მაინც არ შეცვლილა - კაფას სიკვდილი ეწერა.

ეს ყველაფერს დაეტყო.

ხინეს დე პასამონტე, რომელიც ათიოდ წლის წინეთ ჩამოხდა აქა და აღარ გაჰყვა „ლიბერტალიის დიდი აღმოსავლეთის ორდენს“ აზიის ცხელობებში ლიბერტალიის რესპუბლიკის დასაარსებლად, რადგან ვითომდა უკურნებელი სენით შეიქნა ავად და მწოლარე გამოეთხოვა თავის მეგობრებს, რომელნიც სახაზარო მხარეებისკენ ეშურებოდნენ, ახლა იყო ტყვეთა დალალი.

ვისაც არ უნახავს კაფას ტყვეთა ბაზარი, ვისაც იქ არ უვაჭრია და გული არ ჩასწვია პირბადიდან გამომზირალ ჩერქეზი ქალის მხილველს, იმას ორიოდ სისულელე უნახავს ცხოვრებაში. ორიოდ სისულელე და ყლუპი ღვინო.

ხინეს დე პასამონტე, ესპანელი, რომელიც ყველა ენაზე ლაპარაკობდა და ფარდული ედგა ტყვეთა ბაზრის მოედანზე, ხოლო სახლი მშვენიერი ეყიდნა ერთი ბერძნისგან, ორმოცი წლისა და მარტოხელა, ჩამიჩის წუწვნით იქარვებდა ავიან ფიქრებს და ხედავდა, რომ მისი ხელობა მალე მოკვდება და რომ სავაჭროდ დარჩება მხოლოდ სამხრეთი, ვინაიდან წყალი შეგუბდა შავ ზღვაში და შავ ზღვას ჰქვია ყარადენიზი. მას ბევრი ოსმალო ენახა, ლაპარაკობდა იმათ ენაზე და მიხვდა, რომ, როცა გოლიათი გადაწყვეტს წამოწოლას, ის სანახევროდ არ წამოწვება. საერთოდ, არ არსებობს ადამიანი, სანახევროდ რომ წამოწვეს, მით უმეტეს, გოლიათი.

პარასკევს, ადრიან დილით, ხინეს დე პასამონტე მივიდა ლუკინო და კოსტას სავაჭრო სახლში, ზედ ნავსადგურთან რომ იდგა პირით ზღვისკენ, გალერეაში შემოჯდა გრძელ სკამზე და მანამდე იჯდა, სანამ მესირ და კოსტა არ გამოჩნდა თანმხლები ოცი კაცით.

- მე ხინეს დე პასამონტე ვარ, - უთხრა ესპანელმა.

- ვიცი, მინახიხართ ტყვეთა მოედანზე, - გენუელი მხოლოდ წამით შეყოვნდა და სავაჭრო სახლის კარში შეაბიჯა.

ხინეს დე პასამონტე მიჰყვა და კვლავ დაადევნა: - მე ყველაფერი ვიცი.

- რა? - შედგა და კოსტა, - რა იცით?

- მე ბაზრის მოედანზე ვდგავარ და ბევრი ამბავი მესმის, მაგრამ როცა საქმეა, არასოდეს ვლაპარაკობ ოცი კაცის თანდასწრებით.

და კოსტამ ზიზღით ჩაიცინა, ტყვეთა ბაზარი თითქმის მისი იყო. ასეთი დალალი ბარე ორასი მოითვლებოდა იქ.

- ტყვეთა ბაზარზე საინტერესო ზღაპრებს ყვებიან?

- საერთოდ ასეა, რომ ტყუილს ნახევარი მსოფლიო ექნება შემოვლილი, სანამ სიმართლე ცალი წუღის ჩაცმას მოასწრებს.

- ეს ვინ თქვა?

- მარკო ჰქვია, ერთი კაპიტნის თანაშემწეა...

ნიკოლო და კოსტამ ოც თანმხლებს მოხედა და თქვა: - ამ კაცს ველაპარაკები.

მერე ისინი მეორე სართულზე ავიდნენ და და კოსტამ აივანზე გააბიჯა.

- აბა?

ხინეს დე პასამონტემ პირდაპირ უთხრა: - ზეგ თქვენი გემი მიდის.

- ეს მეც ვიცოდი.

- თქვენ ყველაფერი გეცოდინებათ, რასაც მე გეტყვით, მაგრამ მნიშვნელოვანი ისაა, რომ მეც ვიცი.

- ესპანელებმა ყველაფერი ჩაშალეთ, საერთოდ ყველაფერი. ახლა რომ ყველანი ამ დღეში ვართ, თქვენი ბრალია.

- მაწანწალას ეროვნება არა აქვს, - გაიცინა ხინეს დე პასამონტემ, - მაგრამ კაფაში მალე სხვები იქნებიან. ეგებ ჩვენი სიცოცხლე არც ეყოს ამის ლოდინს, მაგრამ ასე იქნება...

- გისმენთ, გისმენთ...

- მე ვიცი, რომ თქვენი გემი იოანეს კუნძულებისკენ მიდის. მე ვიცი, ეგ რაც არის. იქ არაფერია და იქ ბანკისა და ნავსადგურის გადატანა იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებაში

არაფერი გიკეთებია და ყველაფერს ხელახლა იწყებ. ამიტომ მე ვასკვნი, თქვენ იქ თავშესაფარს აწყობთ.

- იქ ნავსადგურიც არ არის... იქ მხოლოდ ციხისთავია, რომელიც მეკობრეებს მეთაურობს და თავს მეფეს უწოდებს. იქ ბერძნები და გეორგიელები არიან, ფაფას ხარშავენ და ღვინოს წურავენ, მეტი არაფერი. მე იქ პირადი საქმეების მოსაგვარებლად ვგზავნი ჩემს ძმიშვილს. არავითარი კომერცია იქ არ არის, თუ ეს გაინტერესებთ, ისინი ხანდახან იტაცებენ ხოლმე ტყვეებს კოლხეთის ნაპირებიდან, მაგრამ ეგ თქვენ უფრო გეცოდინებათ...

- მისმინეთ, მესირ, - თვალებში შეხედა ხინეს დე პასამონტემ. - მე მათი ენა ვიცი. მე ტყვე მყავდა, რომელიც დიდხანს არ გაიყიდა და მან მასწავლა. არ დაგიმალავთ და წინა ცხოვრებაში მეკობრეც ვყოფილვარ, თაღლითიც და დანის ტრიალიც შემძლებია. ახლა ვბერდები. ისე, რომ ცოლიც ვერ შევირთე. მალაპარაკეთ მეკობრეებთან. დრო მოვა და ეს კუნძულები მართლაც ერთადერთი თავშესაფარი იქნება ჩვენთვის, ვინაიდან ალყაში მყოფი ვერაფრით გაიმარჯვებს, როცა ეს ალყა ჯარისკაცებისგან კი არა, მთელი ერებისგან შედგება. გამიშვით იმ კუნძულზე და მე იქ მოგიწყობთ იმას, რაც თქვენ გჭირდებათ. მე კარგი სახლი და ტყვეთა ფარდული მაქვს აქ. თუ არ მენდობით, ხელწერილით გადმოგცემთ მთელს ჩემს ქონებას.

- რატომ? - ჰკითხა და კოსტამ, - რატომ?

- იმიტომ, რომ მაწანწალა ვარ და მსურს რაღაც ახალი, თან არ მინდა ქალაქის გმირი დამცველი შევიქნე.

- მაშ რა გინდათ?

- გლეხი ვიყო და სხვის კარ-მიდამოს ვუვლიდე. მინდა საღამოობით ბანქო ვითამაშო, ვინაიდან ამ ქალაქში წლებია, აღარავინ მეთამაშება, მეზღვაურებსაც კი ამბავს ახვედრებდნენ ნავსადგურში, ხინეს დე პასამონტეს არ ეთამაშოთო, მწვანე სერთუკი აცვია და თითები აკლია ხელზეო. ხელთათმანებით მიწევდა თამაში. ცარიელ სათითეებში ხელსახოცის ბოლოებს ვტენიდი.

- გამიგონია ეგ ხუმრობა, მაგრამ იქ არ იციან ბანქოს თამაში. იქ სულ სხვა ამბავია. გეორგიანებს ვაჭრობა სირცხვილად მიაჩნიათ, ბანქოს თამაშს კი რწმენა უკრძალავს.

- ისევე, როგორც ჩვენ, - გაიცინა ხინეს დე პასამონტემ, ნაოჭები ჩაეკეცა თვალებთან, - ისწავლიან. მე მთელი ცხოვრება ვსწავლობ.

ამ სიტყვებზე აბგა მოიხსნა, მარყუჟი გამოშალა და იქიდან ორი წიგნი ამოიღო - არითმეტიკის სახელმძღვანელო და არისტოტელეს პოეტიკა.

- ოჰო, ლექსებსაც წერთ? - მესირ და კოსტას ზიზღით აღარ ჩაუცინია.

- ეს კუნძული ჩემი იმედია.

- რახან ლექსების ტრფიალი ხართ, წერაც გეცოდინებათ.

- კითხვა ხომ ვიცი.

წერილი პატრონს

„მესირ ნიკოლო და კოსტას“, კაფაში, გენუის სამფლობელოში. მისი წარმომადგენლის, ხინეს დე პასამონტესგან, იოანეს კუნძულებიდან

მოგესალმებით და მოვიკითხავ თქვენს ოჯახსა და საქმეს იმედითა და საუკეთესო სურვილით, წმინდა სებასტიანის მფარველობით.

ამ მეორე წელიწადში მეორედ გიგზავნით ჩემს წლიურ წერილს, რომელსაც თქვენს ერთგულ ალბანოს ვატან.

ძალიან გამახარა თქვენი გემის გამოჩენამ აქ, რადგან გემზე აღმოჩნდა ყოველივე, რაც წინა წერილით მოვითხოვე და რაც აუცილებელია საქმის უკეთ მოწყობისათვის.

მოგითხრობთ ჩემს ამბავს. შარშან გამოგზავნილი ნახაზებიდან გეხსომებათ, თუ დიდი კუნძულის რომელი ადგილი მოვზომე სათქვენოდ. ახლა იქ უკვე დგას ხის სახლი, რადგან ქვა მეტად ჭირს აქა და ჩრდილოეთის მცირე კუნძულზეა კლდეები, სადაც სამტეხლოს მოწყობა შეიძლება, მაგრამ ეს უფრო მომავლის საქმეა. ჯერჯერობით ხისასაც არა უშავს, რადგან ფართეა და ტევადი. ხარჯები ასატანია, იმიტომ რომ ციხისთავი პაპუნა კარგი კაცია და თანაც, ხშირმა ძღვენმა ფასის დაგდება იცის. კუნძულის გლეხები, უკლებლივ ყველა, მეფის ყმები არიან. გარნიზონი თავს კოლხეთში ღატაკური მეკობრეობით ირჩენს და ციხისთავისგან მიცემული ჯამაგირით. ირგვლივ სიღარიბეა, ოღონდ სახიფათო არაფერია, თუ ვინმეს დაცინვას არ დაუპირებ.

სისხამ დილიდანვე ათას საქმეში ვარ გაბმული: ოთხი გლეხის ბიჭი ავირჩიე და ესპანურ ფარიკაობას ვასწავლი. რამდენიც ვიცი, რა თქმა უნდა. კარგი გვარდიელები უნდა დადგნენ. მოვა დრო და ციხისთავისგან გამოვისყიდი. ბევრი მცენარის თესლმა, რაც გამომატანეთ, საკმარისად კარგად იხარა და გლეხებმაც გადაიღეს, თუმცა სიფრთხილით. ახლა მეორე წელიწადია და ვნახოთ, რა იქნება. ციხისთავს ცალკე ვაძლევ იმის თანხას, რომ გლეხებს ჩვენს მიწაზე მუშაობის უფლება მიანიჭოს. კეთილი ნებით, ეს თესლები და ორიოდ ნერგი აქაურ ბერძნულ მონასტერს ვუსაჩუქრე. მადლობა შემომითვალეს, გზად რომ შემომხვდებიან, მესალმებიან. ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან ამ ხალხის განწყობას სწორედ ესენი განსაზღვრავენ.

თავლაში მონაგები კარგია.

ალბათ ფიქრობთ, რომ თაღლითთა ალკალდი და ტყვეთა სყიდვით სულდამძიმებული ხინეს დე პასამონტე გლეხკაცად იქცა, მაგრამ მთლად ასე არ არის. აქ საუცხოო ადგილია ტყვეთა ბაზრობის მოსაწყობად. ბუნებრივად სწორი და ტევადი ადგილი ზღვასთან, ციხესიმაგრესა და მონასტერს შორის.

ისე გამოვიდა, რომ მე ამ კუნძულის გვარიან შემოსავლებს ვფლობ, რასაც ზრდა მოელის. მაგალითად, ოცდაათი ტომარა ხორბალი, რომელსაც თქვენთან ვატან, თქვენი ყანებისა სულაც არ არის. ეს ჩემგან ბანქოში მოგებული სარჩოა.

ბანქოშივე მოვიგე ორი მშვენიერი მიწის აგარაკი, ერთი ასისთავისა და მეორე მათი საბრალო ორჩხომელის კაპიტნისაგან. შეიძლება ითქვას, რომ ორჩხომელი სანახევროდ ჩემია და მხოლოდ ციხისთავის თხოვნითაა ისე, რომ ისინი დააცურებენ ზღვაში. გამიხარდა, როცა ბანქოს ორი ახალი შეკვრა გამომიგზავნეთ, ფრანგული ნიშნებით შემკული. კარგია, თუ კაფაში ჯერ კიდევ იშოვება ასეთი საქონელი.

აქ ყველა თამაშობს ლ'ომბრეს, რომელიც მე შევასწავლე და რომელიც დამატებითი შემოსავლის წყაროდ მაქვს ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე, ვინაიდან სანამ კარგად არ ისწავლეს, ფულზე არც ვეთამაშებოდი, ან კი სად არის აქ იმდენი ფული, რომ კაცმა ითამაშოს. კვერცხი, კვახი, ცხენი, მიწის ნაკვეთი - აი, რაც მომიგია. ოღონდ, რომ დაატყობენ, ვაგებთო, ქაღალდს შემოგაყრიან და გარბიან. ერთი ხანობა მონასტრის წინამძღვარმა, რომელმაც შეამჩნია, რომ გლეხობა და ციხიონი დილიდან საღამომდე ბანქოს ტყლაშუნში იყო გართული, ციხისთავს მკაცრად მოსთხოვა თამაშის აკრძალვა. მე ძღვენითა და ბოდიშებით მივედი და ჩვენ სამთა მოლაპარაკება იმით დასრულდა, რომ ბანქოს თამაში მზის ჩასვლამდე აიკრძალა და იგი შესაძლებელია მხოლოდ ერთ წნულ ქოხში, რომელიც საგანგებოდ ამ საქმისთვის მოწნეს. თანაც, ბერებმა თავისივე საზომ-ფარგალი მოიტანეს და მოითხოვეს, რომ ეს ქოხი მონასტრიდან სამი ათას ნაბიჯზე ახლოს არ ყოფილიყო. ასე შევთანხმდით.

მახარებს, რომ სოფლის მიწების დაუფლების საკითხი სხვა დიდებული ოჯახებისთვისაც გაგინდვიათ. თუ საქმე მოვაწესრიგე და ალბათ, ასეც იქნება, ჩვენვე შეგვიძლია გადავცეთ იჯარით, ან მივყიდოთ, ციხისთავი აღარც დაგვჭირდება.

ერთი კადნიერება კი უნდა მაპატიოთ. აქაურებს ფიცრები ვაშალაშინებინე, ერთ კარგ დაფად შევკარი და ზღვის მხრიდან, ჩვენი მამულის სამძღვარ-მიჯნასთან ჩავაჭედებინე, ზედ კი მამულის სახელი წავაწერე, რაიც ურიგოდ არ უნდა ჟღერდეს.

მე თქვენს მამულს სანტა ესპერანსა დავარქვი.

მგონი აქაურობა მარტო ჩვენთვის არ იქნება იმედი, ოღონდ თუ ეს სახელი არ მოგწონთ და რომელიმე წმინდანის პატივდება გამორჩევით გსურთ, მომწერეთ და სახელს წამსვე შევუცვლი.

მზის ჩასვლები აქ მეტად ლამაზია, ალბათ იმიტომ, რომ ზურგსუკან ვერ გრძნობ ქალაქს. მარტოობა სულაც არ არის მოსაწყენი. აქაურებთან არ მოიწყენ. ეს არის, რომ ჩამოგრძელებული ულვაში და მოკლე წვერი აქვთ და თავისებური ტანსაცმელი აცვიათ. ფარიკაობაც თავისებური აქვთ და თუმცა, წაყაჩაღება უყვართ, ძალიან წესიერი და მორიდებული ხალხია.

ხინეს დე პასამონტე, სანტა ესპერანსა, 1463 წელი, 17 აგვისტო."

ინტი სტუმართათვის

შემოკლებული წიგნაკიდან, რომელიც ყველა სასტუმროს ყველა ნომერში დევს სასთუმალთან, შემდგენელი ინტის ოსტატი კოსტანტინე „კოხი" მეისრე

შესავლიდან

სანტა ესპერანსას სამ დიდ ეროვნულ თამაშთაგან ერთ-ერთი არის ბანქოს უაღრესად გავრცელებული თამაში ინტი, რომელსაც საფუძველი უდევს შუა საუკუნეებში.

ინტი საბოლოო სახით ჩამოყალიბდა მე-18 საუკუნის მიწურულს, მანამდე კი მისი თამაშის რამდენიმე ხერხი არსებობდა.

ტრადიციის თანახმად, ინტი არის ერთადერთი კანონით დაშვებული ბანქოს თამაში სანტა ესპერანსაში და ეს ტრადიცია ურყევია.

თამაშის სახელი „ინტი“ მომდინარეობს მეგრელური სიტყვიდან: ინტი ნიშნავს გაიქეცი.

ინტის პირვანდელი საფუძველია ერთ დროს ძალიან გავრცელებული ესპანური თამაში ლა ომბრე, სხვანაირად - ლ’ომბრე, ანდა ტრესილიო.

შუა საუკუნეებში ეს თამაში ფართოდ გავრცელებულიყო ხმელთაშუაზღვისპირეთში და ეტყობა, მეზღვაურთა მეშვეობით მოხვდა იოანეს კუნძულებზე. 1462 წლის სამეფო საბუთით ქაღალდის თამაში, რომელიც სავარაუდოდ ინტის წინამორბედი ლ’ომბრე უნდა ყოფილიყო, ნებადართულ იქნა მხოლოდ განსაზღვრულ ადგილებში, ანუ საგანგებო სათამაშო სახლებში და მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ. ეს წესი დღესაც მოქმედებს.

ლ’ომბრეს ინტი ალბათ განსაზღვრული მიზეზის გამო დაერქვა. ძველად ყოფილა შემთხვევები, რომ წაგებული ბანქოს მიყრიდა და გაბრაზებული გარბოდა, რაც იოანელთა ტემპერამენტის ბრალი თუ იყო. ამისდაკვალად, წაგებულს დაცინვით ხშირად ეუბნებიან, ინტი, ინტიო, ანუ იმ ძველებს მიბაძე და გაიქეციო. ანდა, აშკარა მარცხის შემხედვარე მოთამაშე თავადაც ამბობს, ინტი, ანუ გავიქეციო. და საერთოდაც, ინტი იმგვარ პრინციპზე ჩამოყალიბდა, რომ თავის გადარჩენას, ანუ არწაგებას გულისხმობს.

ისტორიამ არ შემოგვინახა ინტის პირველ მოთამაშეთა ვინაობა, თუმცა არსებობს მე-18 საუკუნის სამი ნახატი, რომელზედაც ინტის კლუბის კუთხეებია გამოსახული.

ვერ ვიტყვით, რომ ინტი მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული თამაშია, მაგრამ სანტა ესპერანსას სტუმრები ეტანებიან მას და მისი კლასებიც არსებობს და მოქმედებს. წინამდებარე წიგნაკიც უცხოელთა ინტით დაინტერესების ერთ-ერთი საშუალებაა.

სადღეისოდ ინტი ისეთი სახეცვლილია, რომ ძალიან ძნელია მასში ტრესილიოს კვალის აღმოჩენა. თუმცა, ცხადია, რომ საფუძველი სწორედ ეს ესპანური ბანქოა.

ეს არის ჩვენი კუნძულების ყველაზე პოპულარული თამაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ ინტის ბანქოს შეკვრა უპოპულარულესი სუვენირია, რომელიც შეიძლება გაიყოლო სანტა ესპერანსადან. განსაკუთრებით ფასობს ხელით ნახატი და არა საქარხნო წესით გამოშვებული ბანქოები, რომელთა ფასიც, სიძველისა და პირთა ოდენობის მიხედვით, 120-დან 1500 ინტურ ფუნტამდე აიწევს.

ისტორიული საფუძვლებიდან

ინტი მეტად თავისებური თამაშია და ნახატები მასში სრულიად განსხვავდება ევროპაში გავრცელებული ნახატებისგან.

სადღეისოდ მეცნიერულად არის ცნობილი, რომ ლ'ომბრე, რომელიც საფუძვლად დაედო ამ თამაშს, სანტა ესპერანსელებმა თავიანთ ცხოვრებას, ეთნოგრაფიასა და გარე სამყაროს აღქმას მიუსადაგეს. ამ თამაშის შემოქმედნი იყვნენ სანტა ესპერანსელი იოანელი გლეხები და ალბათ ინტის დღევანდელი სათამაშო ბანქოს კლასიკური ნახატები რომელიმე ბერმა დახატა, ვინაიდან, შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ გლეხები დაოსტატებულნი იყვნენ ფერთა ცოდნაში. რახან თამაშს გლეხები მისდევდნენ, მათ თავიანთი ადათები და სამყარო ჩართეს ბანქოში. ამიტომ ინტში კლასიკური ბანქოს ფერები არ არის.

ინტის ბანქოს ნიშნებსა და რიცხვებში დარჩენილია ესპანური კვალიც, ძველი ესპანური ბანქოს ნიშანი - ხმალი, რომელიც ალბათ იმიტომ თუ გადარჩა, რომ ხმალი ყველგან და ყოველთვის აქტუალური იყო.

ისევე, როგორც დღევანდელ კლასიკურ ფრანგულ ბანქოში, ინტში ოთხი ხაზია. თუმცა, ფერებს აქ ნაკლები აზრი აქვს.

ინტის ოთხ ხაზს აქვს ცხრა რიგი, ანუ ამ ბანქოში სულ 36 ქაღალდია.

ინტში ფერები შეცვლილია სიტყვებით კოხტა, კაი, გლახა და ავი.

შესაბამისად, მიყოლებით ეს სიტყვები ხარისხით ედება კლასიკურ გულს (კოხტა), აგურს (კაი), ჯვარსა (გლახა) და ყვავს (ავი).

ბანქოს სამოსელში კი სანტა ესპერანსული შესაბამისობა ასე გამოიყურება: ყურძნის მტევანი ანუ ვაზი ნიშნავს კოხტას - გულს, მაყვლის მარცვალი ნიშნავს კაის - აგურს, ეკლიანი ყვავილი, ანუ ბუძგი, ნიშნავს გლახას - ჯვარს, ხოლო ხმალი ნიშნავს ავს - ყვავს.

ინტში ბანქო დანომრილი არ არის. ქაღალდის სიმაღლე რიცხვით მხოლოდ პირობითად განისაზღვრება ზედ ნახატი საგნების ოდენობით.

ინტის ბანქოს წყობა საჭიროებს განსაკუთრებულ განმარტებას, ვინაიდან კლასიკურ ბანქოს დაჩვეული მოყვარული მასში იოლად ვერ გაერკვევა.

წყობიდან და პრინციპებიდან

ინტი კომერციული თამაშია, მას ფულზე თამაშობენ, თუმცა, რახან კომბინაციური თამაშიც არის, მისი გათამაშება უფულოდაც შეიძლება.

ინტში მინიმალურ ფსონს ჰქვია კვერცხი, რაც ასევე ძველი ტრადიციაა, რადგან გლეხები სწორედ კვერცხებზე თამაშობდნენ მას. ფსონი წინასწარ თანხმდება და მისი გაორმაგება მოთამაშეთა უმეტესობის მოთხოვნით ხდება. ამით ორმაგდება ქაღალდების მნიშვნელობაც. ვინაიდან ყოველ ქაღალდს ამ თამაშში ფასი აქვს ერთიდან ექვს კვერცხამდე და ერთი წრის გათამაშების შემდეგ მოგებული სწორედ შენგან გაჭრილი ქაღალდების საკვერცხო ფასით ითვლება. თუ ესენი ორმაგდება ან სამმაგდება, მაშინ ფულის ოდენობაც გაიზრდება.

საკუთრივ თამაშის გახურებისას მოთამაშეებს შეუძლიათ ყოველ სვლაზე უმატონ, ან მოუკლონ ფსონს, ოღონდ საწყისად შეთანხმებული ფასების დაბლა ვერ ჩავლენ. ქაღალდის ფასის მომატების მოთხოვნას ჰქვია ბიჯი, ანუ ნაბიჯი.

ინტის დიდ ფულზე თამაში ტრადიციულად იშვიათია, თუმცა ყოფილა შემთხვევები, რომ მონაგებ-წანაგები ასი ათას გირვანქას გატოლებია.

სხვა ბევრი ბანქოსგან განსხვავებით, ინტის ქაღალდის ოდენობა დადგენილი არ არის. არსებობს მხოლოდ ქვედა საზღვარი, რომელიც განისაზღვრება 36 ქაღალდით. ამ ყველაზე პატარა შეკვრით ტრადიციულად თამაშობს ხოლმე სამი კაცი. რიგდება ცხრა-ცხრა ქაღალდი, დარჩენილი ცხრა კი მოსახმარად უდევს ერთს, რომელსაც ამ ცხრიდან ოთხის უნახავად არჩევა შეუძლია.

რაც უფრო იზრდება მოთამაშეთა რაოდენობა, ინტს მით უფრო ემატება ქაღალდი, იქამდეც მისულა ხოლმე, რომ ერთ პარტიას თვრამეტი კაცი თამაშობდეს.

ჩვეულებრივ, ინტს თამაშობს სამი, ექვსი, ცხრა, თორმეტი მოთამაშე.

კლასიკური ექვსკაციანი პარტიაა, რომელიც ორი შეკვრით, ანუ 72 ქაღალდით ითამაშება.

ინტის არსი იმაშია, რომ არიან დამცველები და თავდამსხმელები. ანუ მეტი ყოველთვის უტევს ნაკლებს. ესეც ძველი ტრადიციიდან მოდის. პატარა კუნძულზე თავდამცველი ვერასოდეს იქნებოდა თავდამსხმელზე მეტი, თუმცა ლ’ომბრესა და სხვა ბევრი თამაშის პრინციპიც ასეთია, მაგრამ ინტში როლები არ იცვლება: თუ თამაშს თავდამცველად იწყებ, თავდამცველადვე ამთავრებ და თუ მოიგე, გაცილებით მეტს იგებ, ვიდრე თავდამსხმელი, რომელიც შენ გამარცხებს. სწორედ თავდამცველის წაგების შემთხვევაში წარმოითქმება სიტყვა ინტი, ანუ იმის მინიშნება, რომ გაქცევის მეტი არაფერი დაგრჩენიაო.

როდესაც სამი თამაშობს, ორი თავის ბანქოებს აერთიანებს და მესამეს უტევს, როცა ექვსი - ორი დამცველია და ოთხი შემტევი. არსებობენ მოთამაშენი, რომლებიც მთელი ცხოვრება თავდასხმის ოთხეულებში არიან, და არსებობენ მოთამაშენი, რომლებიც დაცვის მეტს არაფერს ეკარებიან.

ნახატები და ზოგიერთი კომბინაცია

ინტის ყოველ სამოსს თავისებური შემცველობა აქვს... ოცდათექვსმეტქაღალდიანი ბანქოს მაგალითზე ერთი კომბინაცია ასე გამოიყურება: ვაზის ცხრავე ქაღალდი გაწყობილია ფოთლებით, ოღონდ ისინი დანომრილი არ არის და ყველა მათგანი ნახატია. ყველაზე დაბალია ერთი მტევანი, რომელსაც ყველა და ყველაფერი ჭრის, ოღონდ, თუ მტევანთან ერთად ხელში გიჭირავს იმავე სამოსის (ვაზის) სხვა ორი ქაღალდიც, ვთქვათ, დოქი და თხა, მაშინ შეგიძლია, რომ განსაზღვრული კომბინაციის დროს შემტევთა ბანქოს დაადო მტევანი და დაანახო მოწინააღმდეგეებს დოქი და თხა. ამ შემთხვევაში, საშუალო სიძლიერის შეტევა, ვთქვათ, ხმლის უმდაბლესი ქაღალდის, დანის შეწყვილებით, მეორე შემტევის რომელიმე საშუალო ღირსების ხმლოსანთან, ვთქვათ, ასისთავთან, მოგერიებულ იქნება.

ასეთი კომბინაციები ინტში ათასობითაა და მისი თავისებურება ის არის, რომ დამცველთა ხელში არსებული ქაღალდები ერთი მნიშვნელობისაა, თავდამსხმელთა ხელში არსებული იგივე ქაღალდი კი - სულ სხვა მნიშვნელობისა.

თავდამსხმელები, ჩვეულებრივ, ერთმანეთის წინ ალაგებენ თავიანთ ბანქოს და მათ თავდამცველებიც ხედავენ, მაშინ როდესაც თავდამცველთა ბანქო არ იშლება და ხელში რჩება. ისინი ერთმანეთსაც ვერ ანახებენ თავიანთ ქაღალდებს, ოღონდ გამოცდილი მოთამაშეები, მოსახმარი ქაღალდის მოხერხებული ცვლით, ერთმანეთს გაუცვლიან ხოლმე სასურველ ქაღალდებს.

თავდამსხმელთა ხელში რომ განვიხილოთ იგივე მტევანი, დოქი და თხა, ვითარება იმგვარია, რომ, ვთქვათ, თავდამსხმელთაგან იმას, რომელმაც შეტევა უნდა დაიწყოს თავისი სვლით, მაგრამ ყველაზე მოხერხებული შესატევი კომბინაცია არა აქვს თავის ქაღალდებში, შეუძლია, თავისი მტევანი ჯარის შუბოსანში გაუცვალოს თავის თანათავდამსხმელს. ერთი წრის, ანუ ერთი სვლის განმავლობაში შესაძლებელია მხოლოდ ორი გაცვლა თავდამსხმელთა შორის, რათა სასურველად დაალაგონ თავიანთი ქაღალდთშეთანხმებანი.

კომბინაციები და შეტევა-დაცვის ვარიანტები უამრავია, თანაც, ყოველ ქაღალდს თავისი ფასი აქვს, მესამედიდან სამ კვერცხამდე, ხოლო ყოველ ტრადიციულ, კლასიკური კომბინაციებით გათამაშებულ წრეს თავისი ტრადიციული სახელი ჰქვია.

მაგალითად: ცეცხლმოკიდებული ბუძგებით, ციხისთავის სამი ქალის გატყუება, იქ სადაც ციხისთავი ელოდა ჩიბუხით...

რჩევებიდან

ეს მცირე ბუკლეტი მხოლოდ სარეკლამო და შემეცნებითი მიზნისთვისაა შედგენილი.

ინტით სერიოზულად დაინტერესებულთათვის არსებობს სახელმძღვანელოები, რომლებიც ნებისმიერ მაღაზიასა და კლუბში შეგიძლიათ შეიძინოთ. კლუბებში იოლად იქირავებთ ინტის გამოცდილ მასწავლებელსაც, რომელიც წინდაწინ დაგითქვამთ თქვენთვის ხელსაყრელ სამეცადინო დროს.

არსებობს ინტის გაადვილებული ვარიანტებიც. სათამაშო სახლებში ყველგან არის ინტის ავტომატები, რომლებიც ჟეტონებით ითამაშება. აქ ინტიდან მხოლოდ კომბინაციებია დარჩენილი, თუმცა, არის ცვლის ღილაკებიც. არსებობს ინტის კიდევ ერთი ვარიანტი, ასევე გამარტივებული, რომელიც კლუბებში, კრუპიეებთან ითამაშება. მას ინტშორთი ჰქვია.

თუმცა ნამდვილი, კლასიკური ინტი არ არის მხოლოდ ფულზე თამაში და მხოლოდ თამაში. ეს არის ამოუწურავი სამყარო და ალბათ, ყველაზე დიდი გამოგონება, რომელიც იშვა სანტა ესპერანსაში და რომელიც გამოხატავს აქაურ ცხოვრებისა და წინსვლის ფილოსოფიას.

ინტით ღრმად დაინტერესებულთათვის სავალდებულო იქნება კოხი მეისრეს „კლასიკური ინტი,“ 432 გვ. ფასი 31,99 ფუნტი.

სამი ხარი რქებზე ყურძნის მტევნებით

შორიდან ვერდანახულის დამაჯერებელი აღწერა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, სხვაგვარად საბჭოთა კავშირში, ანუ დედამიწის ერთ მეექვსედზე ცხოვრობდა ერთი მეცნიერი: ცოტათი ფილოსოფოსი, ცოტათი ქართული ენის გამოკვლევის ოსტატი, რომელიც არც კომუნისტური პარტიის წევრი იყო და პირველი სამეცნიერო ხარისხიც, იქაური სიტყვით დოცენტობა, ერთი ჭაპანწყვეტით და ჭაღარამ მოიპოვა.

ხომ არის ხოლმე, რომ ჩუმი, საბრალო კაცი, გადაწებებული სათვალითა და ცივი, უსიყვარულოდ დარჩენილი სახლით, რაღაცას ამოიჩემებს და მისდევს ცხოვრებისეული განხრითაც და სამოღვაწეო ილაჯითაც.

ამ კაცს ვალოდია ნებიერიძე ერქვა. სვამდა საკმაოდ და კამპანიის გარეშე, ჰქონდა ერთი დიდი პორთფელი, რომელსაც ახალგაზრდობიდან სიკვდილამდე სულ თან დაატარებდა ქალაქ თბილისის ქუჩებში და გამოზრდოდა მოჩეჩილი, გრძელი წვერი, რაც დიდი იშვიათობა გახლდათ იმ დროის საბჭოთა საქართველოში, ვინაიდან კომუნისტურ საზოგადოებაში წვერს გლოვის, წინააღმდეგობის, ან ღვთის მორწმუნეობის ნიშნად თვლიდნენ და საიდუმლო პოლიციაც მეტის ყურადღებით ათვალიერებდა წვერიანთა ცხოვრების ფურცლებს. ამიტომ წვერი არავის ჰქონდა. წვერიანად ასატანი იყო მღვდელი (თუ ჩუმად იყო), მხატვარი (თუ ის ახალგაზრდა გახლდათ) და არქეოლოგი (ისიც 70-იანი წლების შუახანებიდან და ისიც მხოლოდ ზაფხულში, როცა საველე სამუშაოები წარიმართებოდა).

თუ წვეროსანი არც მხატვარი იყო, არც არქეოლოგი, არც მღვდელი, არც მტერი და არც მგლოვიარე, მაშინ ჩათვლიდნენ, რომ ის უცნაური კაცია. ასე კეთილი ადამიანები ჩათვლიდნენ, თორემ უფრო ავნი ამბობდნენ, გიჟიაო.

ვალოდია ნებიერიძეს არავინ ჰყავდა ერთი ძმისშვილის გარდა, რომელიც, სიმართლე ითქვას და, კარგად გაზარდა და მის პროფესორობასაც მოესწრო.

ძმისშვილსვე უანდერძა თავისი მეცნიერული ნაღვაწი, რომლის მოწესრიგება და გამოცემა, რაიც შეუძლებელიც იქნებოდა კომუნისტურ დროებაში, ეგრეც ვერ მოახერხა.

მთელი ნაღვაწი ეტეოდა იმ ტყავის ჩანთაში, რომელიც განსვენებულს სულ თან დაჰქონდა და ყოველი ხელსაყრელი წამისას, შემხვედრს თუ დამხვდურს ამ იდუმალი ჩანთის შემცველობაზე წამოუწყებდა საუბარს.

შემცველობა ამ ჩანთისა იყო სახიფათო, თუ შეხედავდი საბჭოთა იდეოლოგიის განხრით, მაგრამ თუ წამით მაინც მოახერხებდი და შეხედავდი, როგორც უბრალოდ მეცნიერულ ნაღვაწს, იმაში საშიშარი აღარაფერი იქნებოდა, რადგან მეცნიერული იქ ცოტა რამ თუ იყო და ამ ნაწერებს ვერაფერში მოიხმარდა.

ვალოდია ნებიერიძის საწყისი ადგილი იყო მეთორმეტე საუკუნის მიწურულის საქართველოს რუკა, რომელიც უნდა შეგედარებინა საბჭოთა კავშირში მოქცეული საქართველოს რუკისთვის. მეცნიერს, სხვათა შორის, სრულიად სხვა დარგის დოცენტს, არაჩვეულებრივი არითმეტიკული სიზუსტით, ყოველგვარი გამომთვლელი მანქანების გარეშე გამოეთვალა მეთორმეტედან მეოცე საუკუნემდე საქართველოს მიერ დაკარგული მიწების საერთო ოდენობა კვადრატულ კილომეტრებში და მძაფრი დასკვნით მოგვახსენებდა, რომ ნამდვილი საქართველოდან მხოლოდ მისი ერთი მეხუთედი იყო დარჩენილი.

ნებიერიძის აზრით, ქვეყნის ჰარმონიული განვითარებისთვის აუცილებელი გახლდათ მისი ბუნებრივი სხეულის გამთლიანება და ვერავითარ შემთხვევაში ასე დაგლეჯილი ქვეყანა წინსვლაზე ვერ იფიქრებდა.

საკვირველი ამ საქმეში ის იყო, რომ როცა ნებიერიძე ამას წერდა, მაშინ საქართველო საერთოდ არ არსებობდა როგორც ქვეყანა და ერთი საბჭოთა მიწის ნაგლეჯი იყო.

ეს ყოველი მხოლოდ შესავალად გამოდგებოდა და, ასე ვთქვათ, დასაბუთება იყო იმისა, თუ რატომ გადაეწყვიტა ნებიერიძეს უზარმაზარი ნაშრომის შექმნა საბჭოთა საქართველოს საზღვრებს გარეთ დარჩენილი ქართველების შესახებ.

ნაშრომი მოიაზრებოდა ხუთ დიდ ტომად და თითოში შევიდოდა რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის და იოანეს კუნძულების საქართველოების ისტორიულ-ფილოსოფიურ-რელიგიურ-სოციალურ-ფილოლოგიური აღწერილობანი.

სამწუხაროდ, ეს მძიმე და ნერვიული სამუშაო გამოდგა ვალოდია ნებიერიძისთვის და მთელი მისი სიცოცხლე გასწვდა მხოლოდ რამდენიმე, სტატიის დარ ნაწერს იოანეს კუნძულების ეთნოგრაფიისა და ისტორიის შესახებ.

საბჭოთა კავშირში ძნელი იყო სანტა ესპერანსას, ქართველთათვის იოანეს კუნძულების შესახებ წერა და კვლევა. ასეთი რამ მხოლოდ მოსკოვის სამ-ოთხ ინსტიტუტში ხდებოდა და ისიც გეოპოლიტიკურ და თანადროულ საკითხთა განხრით, ვინაიდან, სანტა ესპერანსა საბჭოეთისთვის მტრულ ტერიტორიად ითვლებოდა და მისკენ სავალი გზები მხოლოდ მზვერავებისთვის გაემხილათ. დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში ეწერა, რომ ეს არის ბრიტანეთის დომინიონი, რომელიც იმართება ინგლისის რეაქციული წრეების მიერ. არსად სიტყვაც კი არ თქმულიყო, რომ იქ ქართველები ცხოვრობდნენ სხვა ერებთან ერთად.

მოსკოვიდან შორს, თბილისის ერთ უბრალო სამეცნიერო ინსტიტუტში თუ ბიბლიოთეკაში რომ კაცი ძველ მატიანეებს ჩიჩქნიდა და სურდა რაღაც გამოეჩხრიკა იოანეს კუნძულების შესახებ, არც საინტერესო იყო და არც სახიფათო, ამიტომ ვალოდია ნებიერიძე უშიშროების მუშაკებს სერიოზულად არც კი შეუწუხებიათ ოდესმე.

ის ღვინის სარდაფებში სვამდა ქილებით, ვინაიდან იქ ჭიქები არ იყო. ღვინის სარდაფებს ჭიქობით ღვინის გაყიდვას უკრძალავდნენ, რათა ეს ადგილები დუქნებად არ ქცეულიყო.

ნებიერიძე გარდაიცვალა 1985 წელს, სამოცდათვრამეტი წლისა, თირკმელების გათიშვას მოყოლილი ფილტვების ანთებით. ღვინის ასე მსმელის პირობაზე ბევრი იცოცხლა, მაგრამ მაინც გაუხარლად. ორ წელიწადში პერესტროიკა დაიწყო. ოთხ წელიწადში საქართველო გათავისუფლდა საბჭოთა უღლისგან და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. გაიხსნა საზღვრები, დაარსდა თავისუფალი გაზეთები და დაიწყო ომები, სულ ერთმანეთში, ქალაქში და სოფლად. გაჩნდნენ განგსტერები და პოლიტიკოსები. ნებიერიძე ვერ მოესწრო, მაგრამ ომთა შედეგად ქვეყანამ კვლავ დაკარგა მიწები და ამ დროს ერთმა პოლიტიკოსმა, ყოფილმა მეცნიერმა, სხვათა შორის, ყველასათვის მოულოდნელად გამოაცხადა, კომუნისტების მიერ სრულიად უსამართლოდ იჩქმალებოდა განსვენებულ ვალოდია ნებიერიძის ნაშრომები, რომელიც გვაფრთხილებდა, გვასწავლიდა და დიდი საქართველოს შექმნის იდეითაც გამოდიოდაო.

ეს პოლიტიკოსი ფაშისტი არ იყო, მაგრამ რახან ფაშისტობა მოდაში შემოდიოდა, მეგაზეთეებმა იოლად იპოვეს პროფესორი ნებიერიძე და არაერთი ინტერვიუ ჩამოართვეს ბიძის შესახებ. ისიც აჰყვა ამ თამაშობას და გაშალა ენა, მუღამში შესულმა კი ბიძის საბრალო ჩანთაც მოძებნა, მემკვიდრეობა ამოაწყო, წაიკითხა, გაასწორა და კომპიუტერში შეინახა. შემწე მალე გამოჩნდა და ვალოდია ნებიერიძის წიგნი, „იოანეს კუნძული - ჩემი საქართველო“, სულ იოლად გამოიცა.

წიგნში რამდენიმე გამოკვლევაა მოქცეული და სქელი არც არის. გამოკვლევები შეფერილია გასაოცარი ჟინით, რომელსაც ალბათ ის მოჩეჩილი გრძელი წვერი უმალავდა ნებიერიძეს.

უცნობია წყაროების უმრავლესობა, საიდანაც მან მოჩხრიკა ის ცნობები, რომლებსაც იკვლევდა. მაგალითად, სტატიაში „რა უნდა ვისწავლოთ იოანელებისგან,“ ნებიერიძე აღწერს იოანეს კუნძულების გეოგრაფიულ მდებარეობას შავ ზღვაში, მის ეროვნულ შემცველობას და აცხადებს, რომ ამ კუნძულების დაპყრობას გამუდმებით ცდილობდნენ ოსმალები, იტალიელები და ინგლისელები, თუმცა, ეს ვერ მოახერხეს და იქაურობა მაინც დარჩა ერთიანი საქართველოს ერთგულ ნაწილად. ის მხოლოდ სწუხს იმის გამო, რომ მსოფლიო მასონთა შეთქმულებამ, რაიც უცნობი რამ ცნება იყო საბჭოთა დროში, შეძლო კუნძულების თავზე ღრუბლების შემოჯარვა და იგი აქცია მდიდარ კაპიტალისტთა დასასვენებელ ადგილად, ხოლო ძირძველ ქართულ მიწას სახელი გამოუცვალა და დაარქვა სანტა ესპერანსა.

ჩვენ, მიწის ქართველები, ზღვას ვუწოდებთ „ზღვას“, რაც ნიშნავს იმას, რომ გვეშინია ზღვისა, როგორც ცეცხლისა. ამიტომ ხეირიანი ფლოტი არასოდეს გვყოლია, თუმც კი უშველებელი და გემრიელი ნაპირი გვაქვს ზღვისა.

ზღვა მოდის სიტყვა „საზღვარიდან,“ საზღვარი კი მოგეხსენებათ, მკვეთრი ადგილია, იმას იქეთ ფეხის გადაბიჯება სახიფათოა, - წერს ნებიერიძე. ამის საპირისპიროდ, იოანელები, ანუ კუნძულის ქართველები ზღვას უწოდებენ „იმედს,“ რაც მომდინარეობს აქავული სიტყვიდან „იმდი“. იმედი რასაც ნიშნავს და მომქმედ კაცისთვის საზღვარზე რამდენჯერ უკეთესია, გასაგებია, ამიტომ ამ ორი საქართველოს ცხოვრებაც ზუსტად ასევე განსხვავდება, თუმცა, როგორც შვილი, იოანეს კუნძულები მაინც მობმულია დედა-საქართველოზე და მოვა დრო, როცა ისინი შეერთდებიან, რასაც მოწმობს სამხრეთ საქართველოში, შახტიგორას ეკლესიის

წარწერაც, სადაც ფრესკის ქვეშ არსებობს მე-11 საუკუნის წარწერა: „ერთა იყვნეს იესო და იოვანე.“ ხოლო თუ იმ დროის ქარაგმული ნაწერების ნამდვილი შინაარსის გახსნას გავდევთ, იესო დიდ საქართველოს ნიშნავს, იოანე კი, ცხადია, კუნძულებს. კუნძულის ახლანდელი სახელიც, ცხადია, იმედ-ზღვიდან მოდის, რაც კარგად გამოიყენეს მასონებმა.

ასე წერს ცხონებული ვალოდია ნებიერიძე და გაზეთებშიც არაერთხელ ჩანს ნაწყვეტები მისი წიგნიდან.

აქ სადარდებელი ის არის, რომ ვალოდია ნებიერიძემ ბევრი არაფერი იცოდა იოანური დიალექტისა, ვინაიდან ისევე, როგორც აქადურ ენაში არ იპოვება სიტყვა იმდი, ზღვას, იოანურად ზღვა ჰქვია და არც იოანელ ქართველებს ჰქონიათ ოდესმე დიდი ფლოტი. მათ ხომ გენუელები ნავით მეკობრეებს უწოდებდნენ. ვალოდია ნებიერიძემ ასევე ბევრი არაფერი იცოდა მასონების შესახებ, რადგან საბჭოთა დროში მათ შესახებ მხოლოდ სააგიტაციო ბროშურები იბეჭდებოდა, ანდა 1917 წლამდე გამოცემული წიგნი უნდა გეპოვა.

ამის მიუხედავად, მისმა ნაწერმა ფიქრები აღძრა ქვეყნის მმართველთა ზოგიერთ კაბინეტში, მეცნიერებმა კი წიგნის გამოსვლა არად ჩააგდეს, თუმც სხვა დროს მისგან არაფერს დატოვებდნენ. ამის მიზეზი ის თუ იყო, რომ ვალოდია ნებიერიძე ათი წლის მკვდარი გახლდათ და მკვდარს ხომ არა სწყინს და ვერც გიპასუხებს?

განსაკუთრებით კი ამ წიგნს გულში იხუტებდა ის ერთი პოლიტიკოსი, რომელიც აცხადებდა, რომ ეს წიგნი ბიძგს მისცემს დიდი საქართველოს შექმნასო.

იყო ომი და უბედურება.

იმ ზაფხულს ამ პოლიტიკოსმა მოახერხა და სანტა ესპერანსაზე ჩავიდა ტურისტული საგზურით. სტამბოლიდან ჩაფრინდა, თბილისიდან არც რეისი იყო, არც რამე. თვითმფრინავიდან გვირაბში გამოატარეს. საბაჟოზე ვიზა აიღო და აეროპორტის ალაყაფიდან გააბიჯა თუ არა, ტაქსის გაჩერების წინ ასფალტზე დაემხო და მის კოცნას მოჰყვა. ხალხი გაჩერდა და უყურებდა.

ის კი წამოდგა და ინგლისურად თქვა: „I came to Esperanza and saw Georgia.“

ჩემოდანში კი ედო ვალოდია ნებიერიძის იოანელთა ისტორიის გამოკვლევების ათი კოხტად შეფუთული ცალი.

მისი სტუმრობა იქ შეუმჩნეველი დარჩა, თუ არ გავიხსენებთ ამ სააეროპორტო შემახილს. ათი წიგნიდან მხოლოდ ორი გააჩუქა, რვა კი სასტუმროს ნომერში დატოვა გამომგზავრების დღეს.

მას ტკბილად გაეცნო ერთი აქაური განთქმული კაცი, კონსტანტინე ვისრამიანი, რომელმაც ძველქართველური მასპინძლობა გაუწია და საქართველოში სტუმრობასაც დაჰპირდა.

მუსიკის წარმოშობა ტალღების შხუილისგან

პირველად იყო ნაპირი. ნაპირზე იდგა ბერძნული სვეტი, რომელიც დღეს აღარ არსებობს.

ნაპირს ეცაცუნებოდა წყალი. ხანდახან ეძალებოდა და ეხეთქებოდა კიდეც.

დოსითეოს ბერი იჯდა მონასტრის ზედა, საფერე დარბაზში მთლად დაკუნტული და იმ უზარმაზარი, ფართხუნა ჯვალოდან მხოლოდ მკრთალი, ფრჩხილებწამოზრდილი სამი თითი მოუჩანდა. ამ თითებში ეპყრა მოგრძო, ძველებური ყალამი რბილი ხისა, აწობდა მას მაყვლის მელანში და ფერავდა ამბებს, რაც კუნძულზე მოხდა ბოლო ათ წელიწადს. ის წერდა ლამაზად დახრილი ნუსხური ასოებით.

მაშინ სოფელი პატარა იყო. ყანები კუნძულის სიღრმეში გაეშალათ. დღე დუმილისა იყო. ისმოდა მშვიდი შხუილი ტალღებისა.

დოსითეოს ბერი ხედავდა ხოლმე თავისი სარკმლიდან ზღვის ნაპირს, იმ ადგილს, სადაც სადა დორიული სვეტი გადარჩენილიყო თეთრი ნანგრევის გაყოლებაზე. სოფელიც მის თვალთა წინ დაეფინა ღმერთს. ეს დაფენილობა ჰგავდა მინდორში უბრალოდ გაშლილ სუფრას, როცა ვიღაცა მოსასხამს შემოიხსნიდა და ძირს გააფენდა. ყოველი იქ მყოფი კიდევ თავისი აბგიდან დაუნანებლად ამოალაგებდა საგზალს ისე ალალად, რომ აბგაში აღარაფერს დატოვებდა.

დოსითეოს ბერი სიყმაწვილიდან მონასტერში იყო. აქ ოდესღაც სამცხიდან წამოიყვანეს. იმ ერთხელ იჯდა ნავში და როცა ბიძამ ნაპირზე გადმოყვანაში უშველა დღეარეულსა და გულისრევისგან წამხდარს, უთხრა: - მეტჯერ აბა როდის იცურებ წყალში. დაიმახსოვრე ესა...

ბერებმა ყველაფერი იცოდნენ: სარკმლები ასე დაეტოვებინათ მაშენებლებს. მაშინ დრო იყო მეტის ყურებისა, შორეულ ადგილებისთვის შეხედვის ცდისა. ქვეყანა ქვეყანა იყო, მეფე - მეფე, ლაშქრობები შორეული, სიმხნე ტანში ჩასახლებული, რწმენა უდაო. იმ დროის სახლები ასე შენდებოდა და ბერთა საცხოვრებელიც იმ ხუროთა უხუცესმა ასე თუ მოზომა, საერო თვალით.

დოსითეოს ბერს წიგნის აფერვა ევალებოდა. ასე ერქვა მაშინ წერას. წერილს, სხვანაირად წიგნს, ფერილი ერქვა.

ის წერდა მატიანეს, რომელიც უბრალო იყო, როგორც ტრაპეზა მარხვისას.

„ციხისთავმან გოტი მოსცა ნავნი სავალნი სპათა და მოვლეს ნაპირნი უცხონი და სასყიდელნი ჰქმნეს: დაბა, ატლასი, საფარნი ჩინმაჩინისა.“

„ოდეს იდგას თვე მარტისა, ემძლავრა ქარნი ქარაშოტნი, აჰკრიფოს კენჭნი მცირედნი და აფრენდეს ჩიტთა შორის, ვითარცა ჩიტნი და სცემდეს მას ზღუდესა და კარსა ყოველსა ციხისასა და სავანისა.“

„ციხისთავმან გოტი მოსცა ქალი თვისი გვარამიანსა მას ვარდანის ძესა და მოღვიდეს ნავებით და წარიყვანოს სიძემა და ზეიმი იქმნეს დიდი და პურობა. ხოლო ციხისთავმან გოტი მოუძღვნა სავანესა მას ჩვენსასა წმინდასა ბარძიმი ვერცხლისა ფირუზითა მოოჭვილი.“

და დოსითეოს ბერი ხშირად ხედავდა ერთ ქალს, რომელიც გამოჰყვებოდა ნაშუადღევს სოფლის შესახვევებს, მოვიდოდა ამ ბერძნულ სვეტთან, ჩაჯდებოდა და ასე იჯდა ხოლმე მზის ჩასვლამდე.

დოსითეოს ბერი ფიქრობდა, ან ქმარი არ ჰყავს, ან გულშემატკივარი, რომ ყანაში სამხარი წაუღოსო? მერე დაკვირვებით დაადგინა, რომ ქმარი ჰყავდა, შვილები კი არ უჩანდა. ოღონდ ქმარი ციხისთავის მოლაშქრე იყო. შეღამებულზე მოდიოდა ჯორით ციხესიმაგრიდან, სადაც საღამეოდ მხოლოდ მორიგე გუშაგები რჩებოდნენ და თივის ბულულებს ჰყრიდნენ ქონგურებზე, რათა ღამით კუნძულის არსებობა დაენახებინათ ცისთვის და წყლისთვის.

ლამაზი იყო ღამით გოდოლებზე აბრიალებული თივა, მიმქრალიც კი კოხტად იხატებოდა სიბნელეში. მერე მონასტერში ზარს შემოჰკრავდნენ და მიმქრალს ახალ ბულულს მიამატებდნენ ხოლმე ციხეზე. ცისკრის ზარს და ლოცვას გუშაგები პირჯვრის სახვით ხვდებოდნენ და მერე მოდიოდნენ დაბლა, თავიანთ ქოხებში. ვისაც ჰქონდა ქოხი. ვისაც არა და იქავ რჩებოდა, ციხეშივე ეგო საბან-გობანი.

დოსითეოს ბერი იმ სარკმლიან სახატავ ოთახში რომ შევიდოდა, საწერელსა და ყალამს ისე დაიმარჯვებდა ტაბლაზე, რომ ოდნავ ზეწამოწეულს სარკმლიდან კოხტად გადაეხედა.

უყურებდა, როგორ გამოჩნდებოდა ქალი ტყისპირზე, გამოუყვებოდა ღორღიან ნაპირს ფეხშიშველი, თავშალს მხრებზე გადაიგდებდა და მოწყვეტით ჩაჯდებოდა სვეტთან. დოსითეოს ბერი ფიქრობდა, რომ ქალი ადრე გაათხოვეს და გამოაყოლეს მოლაშქრეს. თითქოს ამასაც ისე ხედავდა, როგორც დაბლა დაფენილ სოფელს. ათ წელიწადს მაინც იქნებოდა გათხოვილი, შვილი კი არ მიეცა ღმერთს. ეგებ სწორედ იმ კაცის ცოლი იყო, ვინც მცირე შესაწირს, ერთ ჯამ სპილენძის ფულს მოიტანდა ხოლმე წელიწადში ოთხჯერ და უშვილობას უჩიოდა. შორიდან ძნელი იყო მოლაშქრისა და მისი ცოლის სახეების გარჩევა.

ეგებ ქალი იმიტომ იჯდა ზღვასთან, რომ თავისიანები ენატრებოდა, თავისი სოფელი, ანდა კიდევ სხვა ვიღაც ან რაღაც და ზღვას რომ გასცქეროდა, ეგონა, რომ იმას იქეთ იყო მისი სოფელი.

მაგრამ ქალი სხვა მხარეს გასცქეროდა ზღვას. დასავლეთით წყალს ბოლო არ ჰქონდა და თუ თავისი სოფლის მხარეს უნდოდა ცქერა, მაშინ სულ სხვაგან უნდა წასულიყო, კუნძულის საპირისპირო მხრისკენ უნდა აეღო გეზი და იქითა ნაპირზე ჩამომჯდარიყო. იქედან ორ კუნძულს გადაღმა იყო ზღვა, იმ ზღვის იქეთ ნაპირი და ნაპირიდან რომ ათ დღეს გევლო, ისევ დასავლეთით მიაგნებდი მის სოფელს.

ალბათ, ქალმა არაფერი იცოდა ქვეყანათა განფენილობისა, მზის ამოსვლის და ჩასვლის რაობისა, არც წერა და კითხვა ეცოდინებოდა, მაგრამ მარილს კი ზუსტად ჩააყრიდა კერძს, ისე რომ, გზადაგზა გემოს გასინჯვაც არ დასჭირდებოდა.

დოსითეოს ბერი ხედავდა ხოლმე ყოველდღე ამ სურათს, ლოცვათა, ტრაპეზთა, სხვა საქმიანობათა შორის და დროთა სვლის თავზე ეს იყო მისთვის ყველაზე ნაცნობი და საინტერესო სურათი. ასე იყო შემოდგომითაც და ზამთარშიაც. წყლის შხუილი და ქალი სვეტთან. ისე მიჩვეოდა ამ სურათს, რომ უმისოდ ვეღარც კი წარმოედგინა ის ნაპირი. წამოიწეოდა ხოლმე თავისი დასაჯდომიდან და გახედავდა ქალს. რომც არ

გაეხედა, მაინც წინა ჰქონდა ეს სურათი, რადგან ზღვის ხმა შეახსენებდა. ზღვის ხმა ხომ არ კვდება. ყოველი ხმა დადუმდება, ზღვისა კი არასდროს. ისეა, თითქოს სუნთქავსო. ამოისუნთქავს, ჩაისუნთქავს, ამოისუნთქავს, ჩაისუნთქავს. სწორედ ადამიანივით.

ხსნილი იყო და ახლოვდებოდა საღვთიშობლო მარხვა, როცა დოსითეოს ბერს მოეყურა იმ სარკმლის ახლოს მჯდომს, რომ ზღვის ტალღათა ხმას სხვა ხმაც მოსდევს.

თავიდან ამას ანგარიში არ დაუდო, მაგრამ მერე დაატყო, რომ ხმა ხან მიწყდება, ხან ისევ მიედევნება ტალღათა კვალად. ასე გაგრძელდა კარგა ხანს, მერე კი ბერი მიადგა სარკმელს და იფიქრა, რომ ქალი, რომელიც ძველებურად ზის სვეტთან, ხმას აყოლებს ტალღის მოსვლას. სხვისი ხმა არ იქნებოდა და ზუსტად ედებოდა ტალღათა მოსვლას. ვინც გალობა იცის, ვინც იცის ხმის სიმაღლისა, სიდაბლისა და საოცარი მიმოქცევისა ცისაკენ მიმავალ გზებზე, იმას არ შეეშლებოდა და ბერსაც არ შეშლია. ქალი ტალღას აყოლებდა ხმას და აყოლებდა კი არა მხოლოდ, უწყობდა კიდეც. სწორედ ისე, როგორც გალობაში უწყობენ ხმებს ერთმანეთს ქართველები. ამიტომ ქალის ხმა ეხამებოდა ზღვის ხმას და მეტიც, ტალღა თითქოს რაღაც საკრავი იყო, იმ ცოდვილ მემუსიკეთა ხელში, განმცხრომთ რომ გაართობენ ხოლმე ეშმაკეულ სახლებში. ოღონდ, ზღვის საკრავი არ მუსიკობდა ცოდვილად და ქალის ხმაც, მას შეწყობილი, არ იყო წარმართთა გასართობი. ეს ხმა უსიტყვო იყო, დარდიანი, განწირული, სავედრებელი და ქალი სუნთქავდა ისე, როგორც ზღვა. თითქოს კვნესოდა ტალღათა ხმაზე და მისი ნაკვნესი გალობათა ყოველი წესით ედებოდა ზედ მეორე ხმას, ზღვისას.

მონასტერში სხვებსაც გაეგონათ ეს ხმა, მაგრამ დოსითეოს ბერს არაფერი უთქვამს. მეორე დღეს განმეორდა იგივე, ქალი კვლავ ადევნებდა ხმას ტალღებს.

მერე კვლავ და ასე იყო ყოველდღე, უქმობის გარდა.

საერთოდ, კუნძულზე მღერა არ მოისმოდა, მუსიკობა და საკრავთა ახმაურება ხომ საერთოდ. მხოლოდ ერთხელ, როცა ქალი გაათხოვა, ციხისთავმა მოდენა მემუსიკენი და წინამძღვარს არ ეამა. გლეხები მღეროდნენ ხოლმე ყანაში მიწის სიმღერებს, სხვა ნაპირიდან რომ გადმოჰყოლოდათ, მაგრამ ის არ ისმოდა ტყის აქით და, საერთოდაც, იშვიათად მღეროდნენ. ბერებმა ერთხელ გაიგონეს მათი შეწყობილი ხმა, როცა კუნელის საკრეფად იყვნენ, და რა დაერქმეოდა ამ ქალის ხმას წყლის პირას? იქ არ იყო სიტყვა, არცა დიდება, ანდა განცხრომა. იქ იყო მხოლოდ ხმა და დოსითეოს ბერმა იფიქრა, რომ ეს ხმა არის, რაც ქალმა იფიქრა და შეინახა, რადგან ვერაფერს იტყოდა.

ტალღები ასე სცემდა: ერთი ხმადაბლა და ამოისუნთქავდა, მეორე კიდევ უფრო ხმადაბლა და ამოისუნთქავდა, მერე ხმამაღლა, უფრო გრძლად და ღონივრად და თითქოს ორს ამოისუნთქავდა, მერე კიდევ უფრო ხმამაღლა და ამოსუნთქვა, მერე ოდნავ ხმადაბლა და ამოსუნთქვა, მერე ისევ ხმადაბლა და ერთი ამოსუნთქვა, მერე კიდევ, უფრო ხმადაბლა. მერე, ამის სამჯერ გამეორების შემდეგ, ზღვა სხვაგვარ ლაპარაკს იწყებდა, იმ ლაპარაკის ოთხჯერ გამეორების შემდეგ, კიდევ სხვას, რომელსაც რაღაც მოხერხებით, ისევ პირველში გადაიყვანდა ხოლმე, ოღონდ ისე, რომ ყური ვერაფრით დაიჭერდა.

დოსითეოს ბერმა ამის სმენას და გამოთვლას კარგა ხანი მოანდომა და მიხვდა, რომ ქალმა ძალიან ზუსტად იცოდა ეს ყველაფერი. ზღვა არ იწყებდა და ამიტომ, არ ამთავრებდა.

მერე მოვიდა შემოდგომა და მერე შობა. სარკმლები დაბურეს, ზღვა კი ღელავდა. სულ სხვანაირი ტალღები იყო, ღონიერი და ამართული, ხმაც მძლეთამძლე, თითქოს ლაშქარი იძრა შვიდ წყალს იქით და იქიდან მოჰყვება ათი ათასი აფრისთვის შებერილი ქარის ქვეშიდან გამომართულ ამ დიდ ტალღებს ნაღარისა და დაფის ხმაო. ოღონდ ეს ხმა მხოლოდ ხმაურად მოდიოდა და ძნელი იყო, იმაში რაიმე საკრავობის სიმის გამოჭერა. ეს იყო ხმა სწორედ ჯარის ბორგვისა, მისი ქშენისა და დაძვრისა მთავარი ომისთვის. ვინ იცის, ციური ლაშქრის გაფრთხილებაც იყო, ხოლო ქალი კი მაინც იქ იჯდა, კაცის ნაბადში გამოხვეული. უამინდობაში რაღაცნაირად ჩანდა იმისი წითელი თავშალი.

მაინც ისმოდა მისი ხმა, მიდევნებული ამ ბობოქრობას და მაინც სწორად ისმოდა. ვისაც გალობისა გაეგებოდა, ის იოლად მიხვდებოდა. ბერი ხანდახან გადასწევდა ხოლმე დაბურულს, რადგან სიცივე იდგა და ძნელი იყო ყალმის მოქნილად ტარება იმ სიცივეში, დაუბურავი სარკმელი კი საერთოდაც წაახდენდა მაყვლის მელანს. იყურებოდა და ესმოდა, რაგვარი უშიშარობით და მაღალი ხმით შეუმღერდა ქალი ზღვას, მხოლოდ დარდით და უთქმელობით კი არა, ახლა ბრძოლითაც აწვდენდა ხმას. ძნელი იყო იმ დღეებში ჯდომა იმ ადგილას, ხბოს ტყავებს შორის, როცა ზღვის ხმასთან ერთად აღარ მოისმოდა მოლაშქრის ცოლის ხმა.

მერე, უკვე რომ მზე იყო და ახლოვდებოდა აღდგომა, ერთხელ ბავშვები მოვიდნენ იმის მოსასმენად, როგორ აყოლებდა ქალი ხმას ზღვას. ალბათ, შემთხვევით მოვიდნენ, სვეტის მხარე ისეთი ადგილი იყო, რომ სოფლიდან არავის გამოუწევდა ხოლმე გული, მეთევზეობა ციხესიმაგრის გადაღმა ადგილებში უფრო გამოდიოდა. რატომღაც ასეთი ნათქვამი იყო, რომ ზღვის ფსკერი ამ ადგილას ეკლიანიაო, იქ მაყვალმა იხარაო და თევზები აქეთკენ მოსვლას ერიდებიან, რადგან გულ-მუცელს იფატრავენ ეკლებზეო.

ბავშვები კი მაინც მოვიდნენ, მხარი ეცვალათ თუ ქალის ხმა გამოარჩიეს წყლის შხუილში და იმას მოყვნენ, ძნელი სათქმელია.

მოვიდნენ კი და გაიქცნენ ისე უცბად, როგორც ბავშვებმა იციან ხოლმე. ქალმა დაინახა და დაფრთხნენ, თუ რა იყო, დოსითეოს ბერმა ვერ იაზრა, ვერც ის გაიგონა, რას მისძახოდა ქალი, რომელიც სწრაფად წამოდგა და მიჰყვა ბავშვებს. რას ელაპარაკებოდა, ისიც არ იცოდა, მაგრამ ხედავდა, რომ ქალი რაღაცას უხსნიდა ბავშვებს, ალბათ უნდოდა, რომ თავადაც აეყოლიებინათ ხმა ზღვისთვის.

ბავშვების ხმა არ ისმოდა, მაგრამ ზაფხულში უკვე ისმოდა ბავშვების ხმა. ზოგიერთნი მონასტერშიც მოჰყავდათ ხოლმე გალობის სასწავლად. ბერმა მაინც არ ჰკითხა არც ერთ იმათგანს, რა ერქვა ამ ქალს და არც სტრიქონი არ ჩაწერა კუნძულის ქაღალდებში.

მერე სხვებიც მოდიოდნენ ზღვასთან და აყოლებდნენ ხმას.

მონასტერში მაშინღა თქვეს რაღაც ზღვის პირას მღერალი სოფლელების შესახებ, როცა ერთ შუადღეს სვეტთან ციხისთავი მოჭენდა ათი მხლებლით. ყველანი ჩამოქვეითდნენ, მხოლოდ ის იჯდა ცხენზე და უსმენდა, როგორ აყოლებდნენ ხმას

ზღვის შხუილს ქალი და მისი მოწაფეები: უფრო ბავშვები, მაგრამ ერთი-ორი ქალწულიც. დიდხანს იყო ასე.

ბერები ყველანი სარკმლებთან იდგნენ. დაინახეს, როგორ მოუხმო ციხისთავმა ერთ-ერთ მოლაშქრეს და ისიც მიეახლა და დაიჩოქა ცალ მუხლზე მის წინ. ციხისთავმა რაღაც უთხრა დაჩოქილს და იმან ქალს მოუხმო. ქალმაც დაიჩოქა ქმრის გვერდით. ციხისთავი ჩამოქვეითდა და ქალი წამოაყენა. პირისპირ ედგა და ეუბნებოდა რაღაცას.

მერე ბერებმა გაიგეს, თითქოს ციხისთავს ცრემლი დადენოდა თვალთაგან, ეს რა ყველა დარდის და ყველა ტკივილობის ამბავი გამახსენეთ ამ ხმითო. რა ებოძა მოლაშქრისა და მისი ცოლისთვის, ვერ დაენახათ, მაგრამ დოსითეოს ბერი კი მიხვდა, რომ ერთი ამბავი დასრულდა და მეორე კი დაიწყო.

დოსითეოს ბერი, მაღალი და გამხდარი, მთლად ჩამალული, შავწვერა და უსწორონაბიჯიანი, მოუხერხებელი - ბარვასა და დურგლობაში, მხურვალე - ლოცვაში და ურყევი - რწმენაში, ლამაზად დამფერავი ამბებისა, პეტრე-პავლობის მარხვისას, ცისკრის ლოცვის შემდეგ მიებარა ღმერთსა ჩვენსას. ლოცვა რომ გასრულდა, გამოვიდა მონასტრის ეზოში და გასწია თავისი ჩვეული საქმის ასასრულებლად ხის კიბისაკენ, მაღლა საფერი დარბაზისკენ რომ გაემართათ.

გზად წაიქცა. ბერად იყო ოცდაშვიდ წელიწადს, თორმეტი წლისა მოიყვანეს მონასტერში, აღიკვეცა თექვსმეტისა, აღესრულა ორმოცდასამი წლისა.

მოლაშქრე ათისთავი გახდა, მისმა ცოლმა დიდხანს იცოცხლა, ქვრივიც იყო და მერე, საუკუნეებში რომ დაიკარგა ეს ამბავი, თქვეს, ქვრივის გოდებიდან დაიბადა სიმღერა, რომელსაც მხოლოდ ჩვენს კუნძულებზე მღერიან, მხოლოდ ქალებიო.

მართლაც, ასე გაჩნდა სიმღერა ამ პატარა ალაგას. ამ ნამღერებს სადარდო დაარქვეს.

სადარდოში არ არის სიტყვები, იქ არის მხოლოდ ხმა, ორი ხმა.

I love you baby… სადარდოთი დახეთქილი გულები

*

სადარდო იყო ყველაზე უცნაური და მოულოდნელი რამ, რასაც იპოვნიდი სანტა ესპერანსას კუნძულებზე. ის იმღერებოდა სანტა სიტის მხოლოდ ცხრა კლუბში და არავითარ შემთხვევაში სახალხოდ. სადარდოს კასეტები, კომპაქტ-დისკები, მანამდე კი დიდი, ოდნავ სასაცილო შავი ფირფიტები ყოველ ფეხის ნაბიჯზე იყო და იყიდებოდა აუწერელი რაოდენობით, ოღონდ მათი მოსმენა ადამიანს შეეძლო მხოლოდ სახლში და ისიც, თუ მეზობელს არ შეაწუხებდა.

ამგვარი სიმკაცრე და შეზღუდვა ინგლისელთა ჭკუის ნაყოფი იყო, ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნისა. მაშინ რეჯიმენტში, რომელიც კუნძულზე მსახურობდა, ერთმანეთის მიყოლებით სამმა ოფიცერმა მოიკლა თავი. თავიდან იდუმალებით მოცული მკვლელობები ეგონათ, მაგრამ მერე ექიმმა ბირჩმა გამოთქვა აზრი, რომ

ისინი გამოუვალი კაეშნისაკენ წაიყვანა ზღვის ნაპირას ყოველღამ ნასმენმა სადარდოებმა.

მაშინ სადარდოს დაბნელებიდან მღეროდნენ. ზღვის პირას კოცონებს ანთებდნენ და მარტოხელა ქალები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გათენებამდე. კოცონებთან სპილენძის ჯამები იდგა და მომსვლელს და მსმენელს იქ საფასური უნდა ჩაეგდო. ოდენობას არავინ დაითვლიდა, ოდენობა შენს გრძნობაზე იყო.

მსმენელები ქალებს თითქმის ვერ ხედავდნენ, ჩამოსულებს ისინი უყვარდებოდათ. პირველსავე საღამოს საიდანღაც ჩნდებოდა აუტანელი სურვილი ქალის ნახვისა, მისი დაუფლებისა.

ჩამოსულები ინგლისელი ოფიცრები იყვნენ.

ისინი ჯერ გენუურ დუქნებში გამოივლიდნენ პირის გემოსთვის, მერე ოსმალურ ყავახანებში მოირთხამდნენ ფეხს და დაეძალებოდნენ კარგ თამბაქოში განელებულ ხითხითა ბალახებს, რომლებიც სიმართლე ითქვას და მხოლოდ ერთ მდელოზე, გვარიანად მაღალ ადგილას ხარობდა კუნძულზე. იქიდან წამოსულნი მიადგებოდნენ ზღვას და იქ კი ხვდებოდათ სადარდო.

ამიტომ გუბერნატორმა სახლებში შეკეტა სიმღერა. საუკუნენახევრის განმავლობაში კუნძულზე არ შეცვლილა მხოლოდ სადარდოს კლუბის გახსნის ლიცენზიის ტექსტი. ამ კანონით სადარდო მოკლეს, მაგრამ ის გაცოცხლდა.

ქალები კვლავ უყვარდებოდათ. უფრო სწორად, ხმები უყვარდებოდათ და სიცოცხლის წინდაწინვე ცნობილი დასასრულის ამბავს შერეული ეს სიყვარული კაცებს ახელებდა.

ხდებოდა ხოლმე ასე.

**

ინგლისური კანონის შემდეგ სადარდო ჭერქვეშ შევიდა. მას არ სჭირდებოდა საკრავები და მუსიკა, მას სჭირდებოდა ზღვის ხმა. მაშინ არ არსებობდა ჩანაწერები. როცა გრამოფონი გამოჩნდა და როცა ვიღაცამ მოიფიქრა, რომ რომელიმე ევროპულ ქალაქში ტალღათა ხმაურის ჩაწერა დაეკვეთა, ყველაფერი დამთავრებული იყო: სადარდოში მეორე მომღერალი გაჩნდა.

სადარდოს სწორედ ეს მეორე მომღერალი იწყებდა. ის ზღვის ტალღის ხმას ბაძავდა და როგორც დროთა ვითარებაში გამოირკვა, ამ საქმესაც გვარიანი ოსტატობა სჭირდებოდა. სწორედ მის ამოთქმულს ააყოლებდა ხოლმე ხმას მოდარდე.

ამან თითქმის რევოლუცია გამოიწვია სადარდოში, რადგან დამწყებმა და მოდარდემ ისევ ტალღათა მიმოსვლაზე დამყარებული, მაგრამ უფრო თავისუფალი მელოდიების ამოთქმა დაიწყეს. იმპროვიზაცია ადრეც იყო სადარდოში. ახლა ის მთლად ჯადოსნური და მიმზიდველი შეიქნა და ინგლისელები, თავიანთი კანონით ამ ხალხური კაეშნის განახლებას მიეხმარნენ. ასე კი გამოვიდა და რას უშველიდი.

სადარდოს კლუბის ლიცენზია კი აცხადებდა: „ვინაიდან ხალხური სიმღერები, რომლებიც გამოითქმება ბევრისათვის უცხო და დამთრგუნველ ვითარებაში,

ვინაიდან ეს სიმღერები განსაზღვრულ ვითარებაში აუწერელ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანზე, რომელმაც არ იცის მათი წარმოშობის ისტორია და არსი, მე ამის ხელის მომწერი ვიღებ ქალთა მიერ ნამღერი ხალხური სადარდოს კლუბის გახსნის და მისი მოქმედების ლიცენზიას, რაშიც ვიხდი . . . . . გირვანქას, ხელმოწერით ვადასტურებ, რომ შევასრულებ სანტა ესპერანსას გუბერნატორის ბრძანებულებას . . . . . რომ ჩემს კუთვნილ კლუბს გარეთ, ის მომღერლები, რომლებსაც მე ნაწერი ხელშეკრულებით ვიქირავებ, არასოდეს იმღერებენ.“

***

სადარდოში ერთი საიდუმლო იყო, რომელიც ასევე აკრძალვიდან იშვა. ადრე ზღვის ხმის სიმღერას გუნდადაც მღეროდნენ და ეს თურმე მეტად შთამბეჭდავი და საერთოდაც დამანგრეველი ყოფილა. თარიღობრივ დაუდგენელია როდის, მაგრამ მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისიდან თვლიან წერილობისა და სიტყვათგაწყობის მიხედვით, ოთხ ენაზე შედგენილი საბუთი, საერთოდ ერთადერთი ოთხ ენაზე შედგენილი საბუთი მეცხრამეტე საუკუნის შუახანებამდე, ამცნობს გაბრიელს, ჯიბრაილს, გაბრიელუსს, გაბრიელეს ერთდროულად იოანეს მეფეს, დენიზის ვილეიეთის ფაშას და სანტა ესპერანსას ციხისთავს, რომ სასულიერო პირნი კუნძულისა და ღვთის ერთგული თემები აღშფოთებულნი გახლავან ოჯახის დედათა შეკრებებით და გუნდური მოთქმით.

პადრე კურციოს თავისი საბუთები ჩამოუთვლია, წინამძღვარ თემესტიოსს - თავისი და ოთხ მოლას კიდევ - თავიანთი.

კათოლიკენი ამ ქალებში კუდიანებსა და ჯადოქრებს ლანდავენ, მართლმადიდებელნი აცხადებენ, რომ თუკი რამ სავედრებელი აქვს ქრისტიანეს, ლოცვითა და გალობით შეუძლია გამოსთქვას და არა ამგვარ სახიობით, ხოლო მოლები შენიშნავენ, რომ კუნძულის ერთობლივ სულიდან გამომდინარე, ისინი იტანენ სხვათა ცხოვრების წესებს, ოღონდ კი არ სურთ თავიანთ უბნებში ესმოდეთ უსირცხვილოდ მოარულ ქალთა ხმები.

ჯიბრაილ ფაშას კარგა ხანი იყო ვერ გაერკვია, რა რჯულისა გახლდათ. ოსმალური ხალათი ემოსა და მეჩეთში არ დადიოდა, ეკლესია ჯერ კიდევ მის პაპისპაპისპაპისპაპას აეშენებინა ციხესიმაგრის გალავანში, თუმცა იქაც არავის უნახავს შესული. მესამე კაცის ხელით სწირავდა მონასტერს ვერცხლსა და პატიოსან თვლებს, თუკი ასეთებს მოიპოვებდა სწრაფი ლაშქრობების დროს, ვთქვათ, რუსულ გემთა წინააღმდეგ. ასევე მუქთად უძღვნა საღებავი მკაცრ კურციოს, ვისი შიშითაც გოგონები ქვაფენილს ვერ აცილებდნენ თვალს ჯენუელთა უბანში.

ჯიბრაილ ფაშა არჩილიანი დაფიქრდა ამ საჩივრის გამო. თვითონ უბრალოდ ჩაცმული იდგა ხოლმე ტყის პირზე, ხეებს მოფარებული და ცრემლად იღვრებოდა ამ ქალების მსმენი. ამას ხომ არ იტყოდა?

ჰოდა დაადგინა: ქალებმა ხმა აადევნონ ზღვას ღამით, ოღონდ ცალ-ცალკე და არა გუნდად. ერთმანეთის შემდეგ იმღერონ და არა ერთად. აანთონ მხოლოდ ერთი კოცონი და თუკი ხუთი კაცი მაინც მოვა მოთხოვნით, რომ შეწყვიტონ თავიანთი ამბავი, შეწყვიტონ. ყოველ მომსმენსა და მიმსვლელს კი ოც ნაბიჯზე ახლოს ფეხის მიდგმა მოდარდეთა წინაშე აეკრძალოს. სადარდო შეწყდეს მაშინ, როცა პირველი

ანთების თივის ბულული ჩაინავლება პირველ ქონგურზე. ამას ჩვენი ციხის ნაღარა დასცემს და ყოველი ჩუმად მომსმენი, თუკი ასეთი იქნება, ვალდებულია საჩქაროდ გასცდეს ადგილს და ქალები შინისაკენ წავიდნენ ისე, როგორც აბანოებიდან მიდიან, კაცის შეუხედავად.

ამით ეშმაკმა ჯიბრაილ ფაშამ ქალებიც დაიცვა. სიბნელეში მღერალს თუ არ იცნობდი, როგორღა გამოაჭენებდი როგორც ჯადოქარს, ან სახიობს? მუსლიმთა ჯავრიც გადაჭრილი იყო: ბნელში ვერა ჩანს ქალის სახე, ის დაბურულა და თუ ძალით არ უჭვრიტე იმ ერთი კოცონის წითელ-ყვითელა ციმციმზე, ვერ დაინახავ ქალსა. თანაც ყოველს სარწმენოს ნება მიეცა, ქალთა მღერის დროს მათი ხმის გაქარწყლება და ძალის გამოცლა მოეხდინა რაიმე შესაბამისი ლოცვით.

თითქოს ესენი ჩააწყნარა ჯიბრაილ ფაშამ და თავის ჩიბუხსაც მეტი გემოვანებით მიუბრუნდა, მაგრამ ეს კი არ იცოდა, რომ სადარდოს იდუმალებას სრულიად ახალი კლიტე შეხსნა და იმავდროულად ახალი შელოცვა დაუდო.

მოხდა ამბები, რომ ახლებურ სადარდოთა მსმენმა ზოგიერთმა კაცმა სიმღერათა ბედისწერაში იპოვა სიყვარულის რაღაცა ძაფი, სრულიად უიმედო, მეორე ბოლო წაწყვეტილი და ამიტომ კიდევ უფრო დამშანთავი. ჩუმ მსმენელებს უყვარდებოდათ მოდარდეები. ისინი ვერა ხედავდნენ, თავიანთი ქალაქის რომელი ქალი მღეროდა. ადრე ბევრნი მღეროდნენ, ახლა კიდევ დაცალკევდნენ და ადევნებდნენ ხმას ზღვის ტალღას. სიმღერის შემძლე სულ რვანი იყვნენ, მაგრამ მერე, როგორც ამბობდნენ, მოვიდა ერთი გოგო ჯენოველთაგანი. ჩუმად მოვიდა, გამოპარვით და იმანაც იმღერა. ხოლო ქალები თავიანთ სახელებს არ მღეროდნენ და რას აღარ იფიქრებდა ხოლმე შეყვარებული კაცი. რა ეკალბარდს არ გამოედებოდა. სადამდე არ სდევდა მომღერალს და რომც გაებედნა მიმართვა, ქალი ეტყოდა, მე დღეს არ მიმღერიაო. კაცს უყვარდა ხმა და ვერ ხედავდა ქალს. ერთს ისიც კი უფიქრია, ჩემი ცოლი ხომ არ შემიყვარდაო.

ბოლო ამ შეყვარებებისა ხშირად მწარე იყო.

სამი ოფიცრის ამბამდე ეეეჰ, რაები მომხდარა.

და დადგინდა ხმათა სიყვარული, როგორც მძიმე ცოდვა, მრუშობაზე მძიმე, მაგრამ ვერ აღმოიფხვრა. ტკივილმა იძალა, გრძნობამაც იძალა და გაჩნდა პირველი პოეტი ამ კუნძულზე.

****

განა სადარდოს მომღერლები, ანუ მოდარდეები ლამაზები იყვნენ? განა ტალღათა ხმის მიმბაძველნი, ანუ მოტალღენი მზეთუნახავნი გახლდნენ?

ძნელი სათქმელია. უმეტესად ესენი იყვნენ დიასახლისის იერის ქალები, რომელთაც ჰყვანდათ ოჯახები, შვილები და ამ ხელობას ყმაწვილქალობიდანვე ეუფლებოდნენ თავიანთი მიდრეკილების, განწყობის, თუ განსაკუთრებული შეძლების გამო. მაგრამ ამათ შორის იყვნენ ცხოვრებააწეწილი ქალები, ვისაც ოჯახურმა ცხოვრებამ ვერ გაუმართლა, შერჩათ შვილები და გამოფხეკილი სამზარეულო. ჩანდა, რომ ესენი თავგადასავლიანი ქალები იყვნენ, ოღონდ კი მათმა იერმა მაინც შეინარჩუნა იდუმალება, ვინაიდან სადარდო კლუბების სცენის მომწყობებმა არ უღალატეს ღამის ადათს და კლუბი ბნელ, მრუმედ შენათებულ ადგილად მოაწყვეს. სადარდოს სცენის

კიდეებზე ყოველთვის ენთო ორი მინავლული მაშხალა, შუა სცენაზე კიდევ ერთი ასეთივე. ქალები კვლავ არ ჩანდნენ ხეირიანად. ამიტომ კაცებს კვლავ უყვარდებოდათ ხმები და ლანდები.

ახალ დროებაში მოდარდეთა იდუმალებას კიდევ ერთი ამბავი დაემატა. ძველად არასოდეს ყოფილა, რომ რომელიმე მოდარდის სახელი სახალხოდ აღნიშნულიყოს. ეგებ ვიღაცეებმა კი იცოდნენ, მაგრამ ვინაობის გათქმა არა ყოფილა, რადგან ეს მაინც საბრალო ქალები გვარიან საზოგადო თუ სამღვდელო გაკიცხვას მოელოდნენ ყოველთვის. მათი ნამდვილი სახელები შინაურების და მეკლუბეების გარდა, პოლიციამ თუ იცოდა, რაც საგანგებო სიებში იყო ჩაწერილი. ამიტომ მოვიდა დრო და რახან გაჩნდა აფიშის საჭიროება, ხოლო აფიშა აკრძალული არ იყო, ქალებს ფსევდონიმები გაუჩნდათ: ნათელო, მათანე, ემინე, თალითო, სერამე, ქათანა და ათასი სხვა. ხშირად ამ მოგონილ სახელს რაიმე ბუნდოვანიც ემატებოდა. ვთქვათ, ჩიტია და გამოდიოდა მანანო ჩიტია, ან ცაისა და გამოდიოდა ფეთათა ცაისა და ასე.

იმ დროებამ, როცა ელექტრონი გასართობ საშუალებადაც დაისახა, საერთოდაც სულისშემძვრელი გახადა სადარდოს სცენა. შუქები იმგვარად იყო მოწყობილი, ისეთი ეშმაკობები მოეხმარათ, რომ ქალის სახეს ვერაფრით დაინახავდი.

მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით მაინც შედარებით იოლი ხდებოდა კაცის მიერ მოდარდის პოვნა. ასეთი რამდენიმე რომანი მომხდარიყო, ოღონდ არა ყოფილა, რომ ვინმეს მოდარდე ცოლად მოეყვანოს. არ ყოფილა და რას უზამ. ზოგი უპოვნელობით და მიუღწევლობით იტანჯებოდა, ვინაიდან კლუბის უკანა ოთახებს ნამღერის შემდეგ მცველთა ჯარი იცავდა, ზოგი ნაპოვნობით. მაგალითად, ერთს ნიანიანის გვარის ყმაწვილ კაცს იმდენი შეეტოპა, იმგვარად ეძებნა, რომ ბოლოს და ბოლოს დაეთქვა შეხვედრა მის საყვარელ მოდარდესთან. ქალის ხილვამ ის სრულიადაც გაანადგურა, ვინაიდან წარმოედგინა რაღაც საოცრება და ხელთ შერჩა ერთი კარგა დამრგვალებული, ტანმოკლე და საწყალი ბიცოლა. მერე ამხანაგთა შორის ამბობდა, უეჭველად სხვა მომიგზავნესო, თუმც კი, გვარიანი დრო დასჭირდა, თავისი წარმოდგენის ასე დამსხვრევის შემდეგ რომ საბოლოოდ არ წამხდარიყო.

და მაინც ითვლებოდა, რომ მოდარდე ქალებს ჰყავთ იდუმალი საყვარელნი და არა ერთი და ორი ჰყავთ. ამის კარგი ამბები მოითხრობოდა ხოლმე, ხოლო კლუბებში ეშმაკობაც დაიწყეს. ქალის სილუეტი ყოველთვის ლამაზი იყო და ზოგჯერ იტყოდნენ, კოხტა გოგოს დასვამენ და სხვას კი ადარდებენო. ამგვარ შოუს მკადრებელი მეკლუბე პატივისცემას და მუშტარს ჰკარგავდა, მაგრამ ასეთი იშვიათად მომხდარიყო. კლუბები განგებ უვრცელებდნენ ერთმანეთს ამნაირ ამბებს.

მოდარდეს და მოტალღეს შორის მთავარ ინტერესად მაინც პირველი რჩებოდა, თუმცა მეორე თითქმის გათანაბრებოდა მნიშვნელობით. მოდარდე ითვლებოდა საბედისწერო, ფეხმსუბუქ, სახიფათო, ოჯახის დამანგრეველ ქალად და როცა ქალი თუნდაც სამ ქალს სძულს, ძალიან ძნელია, რომ იმ ერთმა ქალმა თავისი სიმართლეები ვინმეს დაუმტკიცოს.

დამალული რომანი, დარდი და მაჯათა დასერვა, ანდა საკუთარი გულისთვის ტყვიის გამეტება, მანამდე ოჯახის ანგრევა და დაშლა, ბრძოლები და ღრიალით ჩამწყდარი

ხმები - აი, რა მოსდევდა მოდარდის ხმის შეყვარებას, მის ძებნას, მის პოვნას, მასთან ყოფნას.

ასე ითვლებოდა, თუმცა სხვანაირადაც ყოფილა ხოლმე. იშვიათად, მაგრამ მაინც.

ორი უღელი ხარი ყურძენს ეზიდება

დიდება დედოფალსა და დიდება ხალხსა

ეს მოხუცი ქალი იყო ერთადერთი. გამოევლო ყველაფერი და იყო. ელოდებოდნენ მის სიკვდილს. შვილიშვილიც ჰყავდა: სახელად დემეტრე ერქვა, მაგრამ გაგზავნა სასწავლებლად და ის აღარ დაბრუნებულა.

ასე ხდებოდა ხოლმე კუნძულზე. სასწავლებლად გაგზავნა იმას ნიშნავდა, რომ აუცილებლად პატივდებული უნდა დაბრუნებულიყავი და დაბრუნებისთანავე რაღაც საქმეში ჩამდგარიყავი.

ის კი აღარ დაბრუნდა. სწერდა ბებიას წერილებს, რაც მთავარი საფოსტო გამანაწილებლის მეშვეობით იცოდა ყველამ, მაგრამ რას სწერდა და მოხუციც რას პასუხობდა, საიდან ეცოდინებოდათ.

მოხუცი თვეში ერთხელ მიდიოდა ბანკში.

ჩიბუხის უბანში ცხოვრობდა, ორ საწოლოთახიან ბინაში, მეორე სართულზე და ერქვა აგათია. უფრო სწორად, მას ერქვა აგათია ციხისთავი არჩილიანი, განმგე სიშორისა, წყლისა და ცისა, ხელდასხმული დავითისა, პანკრატიონ-დავითიანისა, მხევალი იოანე ნათლისმცემლისა, ჯვაროსანი და დიდი ქალბატონი.

ასეთი იყო წოდება-ტიტული ციხისთავთა და მეკობრე-მეფეთა უკანასკნელი შთამომავლისა, რომელიც გამოდგა ქალი.

სატახტოდ, ქალის მეფობა ხომ ზოგჯერ უკეთესიც არის.

ვაჟი, რომელსაც ჯიუტად უწოდებდა სოლომონ მეოთხეს, იმ ცნობილი შემთხვევისას დაღუპვოდა ბარე ოცი წლის წინათ, როცა ნაქირავები იახტით უბედურება დატრიალდა ღია ზღვაში და მხოლოდ ორმა კაცმა გამოცურა. იქვე დაიღუპა მისი რძალი, ლედი მერი და დარჩათ ეს ერთი ვაჟი, რომელიც რაღაც შემთხვევითობით არ წაიყვანეს ტალღებზე სანავარდოდ.

აგათიამ გაზარდა შვილიშვილი, მაგრამ ვაი იმ გაზრდას.

დედოფალი დამარცხდა.

დედოფალი ერქვა, თორემ სადღა იყო მისი დედოფლობა.

მარტოდ დარჩენილს წამოესიენ და დამარცხდა.

საერთოდ კი, ეს ძველი ამბავი იყო.

ყირიმის ომის შემდეგ, როცა ინგლისელები სანტა ესპერანსას კუნძულებზე გადმოსხდნენ და ოსმალები მოატყუეს, რუსები კი ისედაც ხმაჩაკმენდილნი ჰყავდათ, პოლკოვნიკმა როლსტონმა იმპერიისა და კუნძულების ხელშეკრულება აგათიას დიდ ბაბუასთან, სარი ბეგთან, იგივე ფაშასთან, გააფორმა.

ეს დიდი ინტრიგის შედეგი იყო და საერთოდაც, თავიდან ბევრი არაფერი ჩანდა გარკვეული, რადგან მანამდე, თავიანთ ანგარიშებში, ინგლისელები სენტ ჯონის კუნძულებს უწოდებდნენ აქაურობას. დიდი მოლაპარაკებების შედეგად, რომელთაც როლსტონი სარი ბეგისგან საიდუმლოდ აწარმოებდა კუნძულის განთქმულ გვარებთან - ვისრამიანებთან, ქარიანებთან, ასადლიანებთან, ნიანიანებთან, მათიანებთან, ჯენოელ და კოსტებთან, უსო დელ მარებთან, ოსმალ ჯაფარ ბეისთან და სხვებთან - ყველამ რაღაც მიიღო. ჯენოელებმა თავიანთი სავაჭრო სახლები დაინარჩუნეს და კუნძულის სახელის სანტა ესპერანსად გაფორმება მოითხოვეს, რითაც თავიანთი ძირძველობის ხაზგასმა მოიწადინეს. ვისრამიანებმა და ქარიანებმა რიგი მონოპოლიებისა დაიბევეს, ჯაფარ ბეიმ და სინან ბეიმ უფლებები კანონით მიუთანაბრეს ოსმალეთის ვაჭართა უფლებებს და ესეც ინგლისელებმა მოაგვარეს. ამ ლაპარაკებით და მორიგებით კი გაირკვა, რომ სარი ბეგის წინაპრები, არჩილიანები, ძველი მოდგმითი ციხისთავები და შვიდსაუკუნოვანი მეფეები, სახელმწიფო ქაღალდებით არავინ გახლავან, თუ არა ოსმალთა მიერ დანიშნული სახელმწიფო მოხელეები და თუკი ოსმალთა ნაცვლად, ამიერიდან ინგლისელები დანიშნავენ მოხელეებს, სარი ბეგს აღარასოდეს დანიშნავენ რამედ, მისი ქონება კი საკმაოდ მჭლე ჩანს კუნძულის განთქმულ გვართა ქონების სასწორზე.

სარი ბეგმა გაიხედ-გამოიხედა, გარშემო ვერავინ ნახა თავისი ორასი ცხენოსნის და კუნძულის შორიახლოს მოტივტივე ერთი საშინელი, რკინის გემის გარდა, რომელსაც სწორედ მისი ციხესიმაგრისთვის დაეღერებინა მსუქანი და ავად პირდაფჩენილი ლულები და კოლონელ როლსტონის ქაღალდებს მარჯვნიდან მარცხნივ მოაწერა ხელი.

ოსმალური მმართველობის წესით, მთელი კუნძული სარი ბეგს, ქრისტიანულად კონსტანტინე არჩილიანს ეკუთვნოდა, ოღონდ მანამდე, სანამ ფაშის სახელო ეჭირა. ახლა კუნძული ინგლისელებმა იქირავეს მისგან.

ამ ამბით როლსტონმა ოსმალებიც მოატყუა. სარი ბეგს ის ძველთაძველი ქაღალდები ამოაქექინა, რომელთა მიხედვითაც დასტურდებოდა, რომ მეფე დავით აღმაშენებელმა სწორედ მის წინაპრებს მისცა კუნძული მამულად, მონაპირე ერისთავთა უფლებებით. ამიტომ, კოლონელმა საქმე ისე გამოიყვანა, რომ იმპერია ვითომდა ოსმალეთისგან ქირაობდა კუნძულს, სინამდვილეში კი არჩილიანებისგან იქირავა, ოღონდ ფული ოსმალებს გადაუხადა, ვინაიდან არჩილიანები აღარც მეფენი იყვნენ და ოსმალთა მოხელეებად ირიცხებოდნენ. საბუთი ინგლისური ეშმაკობით იყო შედგენილი, ოსმალები ამ ეშმაკობას შეუმჩნეველს არ დატოვებდნენ, თუმცა ქირა იმხნისა იყო და თანაც იმდენი, რომ ალბათ იმათ ხაზინას სალბუნად ედებოდა და იფიქრეს, გაუშვი, საუკუნენახევრის შემდეგ ვიჭიდაოთ, თუ საჭიდაო იქნაო. ისინი ხომ ჭიდაობის დიდოსტატები არიან.

სარი ბეგ ფაშა რომ ამაზე გადაატარეს, ინგლისელებმა თავიანთი გუბერნატორი დასვეს და ჯარიც ჩააყენეს. სულ ცოტა დრო იყო გასული, რომ ყოფილ ციხისთავს ორი კაპიტანი მიადგა ციხე-სიმაგრეში და გუბერნატორის თხოვნა გადასცეს, ეგებ გამოგვიგზავნოთ იმისი დამადასტურებელი საბუთები, რომ ციხესიმაგრე თქვენი საგვარეულოს კუთვნილებაა, სახელმწიფო არქივს ვადგენთ და გვჭირდებაო. სარი ბეგს ასეთი საბუთი არ აღმოაჩნდა.

ეს პირველად იყო, რომ სანტა ესპერანსაზე შეიტყვეს, რაიმეს ქონებას საბუთი სჭირვებიაო. უფრო სწორად, ამოიცნეს, რომ ვიღაცის გაძარცვა სულ იოლად, კანონის ძალით შეიძლება. ეს ხერხი მერე და მერე დიდი სიამოვნებით გამოიყენა ერთმა აშარმა ვისრამიანმა, მაგრამ თავიდან ინგლისელებმა ივაჟკაცეს. სარი ბეგს კვლავ მიადგნენ ოფიცრები და გუბერნატორისა და რეჯიმენტის კოლონელის მიმართვა-ბრძანებანი გადასცეს, მთელი თქვენი ოჯახობით სამ დღეში დატოვეთ ციტადელი, ვინაიდან, მას სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება აქვს და ჯარისათვის გვჭირდებაო.

სარი ბეგმა მაშინ მიჰქარა, როცა უილიამ როლსტონს ქაღალდებზე ხელი მოუწერა. ახლა რაღა ექნა. საგვარეულო მშვიდობიანობას შეჩვეული ჩამოვიდა მთიდან და წავიდა სოფლად, სადაც მშვენიერი სახლი ედგა. სარი ბეგი გვარიანი მიწების პატრონი იყო და გლეხების ნახევარზე მეტი მის მიწებზე მუშაობდა. მაგრამ უახლოეს ათ წელიწადში თანდათან გამოირკვა, რომ არცთუ მდიდარია, ხოლო სასოფლო საქმე კუნძულებზე თანდათან მოკვდება. ვაჭრები პატივს აღარ სცემდნენ სარი ბეგს და მის ბადრიჯანს და ხორბალს.

ის ერთ ჩვეულებრივ მემამულედ დარჩა და ერთი ხეირიანი, რაც მოახერხა, ის იყო, რომ გოლფის მოედანი გამართა, რითაც ერთგვარი შემოსავალი ჰქონდა, რადგან იქ ინგლისელები დაიარებოდნენ და ყოველი სტუმარიც იქ დაჰყავდათ.

სარი ბეგ არჩილიანი ახალი მიცვლილი იყო, როცა ინგლისელებმა კონსტიტუციის მაგვარი რაღაც გაურიგეს კუნძულებს და საქმე იქამდე მივიდა, რომ კონსტიტუციაში ჩაწერილ რჩეულ გვართა შორის არჩილიანები გამორჩენოდათ. რჩეულ გვარებს გამორჩეული დაფასება ეძლეოდათ და მოქალაქეობის უპირატესობებს ინარჩუნებდნენ, რადგან მეოცე საუკუნის დასაწყისიდან ესპერანსაზე სამუშაო გაჩნდა და აქეთ ბედის მაძიებელი მოედინებოდა. ისინი კი დიდ საგვარეულოთა მოთხოვნით აქ ვერ მიიღებდნენ მიწას და ვერ იყიდდნენ სახლს.

გუბერნატორის კანცლერმა მისტერ ტვინკლმა თავისი ხელით, ცხრილის ბოლოში მიაწერა ციხისთავთა გვარი. გახსენებოდათ და ზედმეტი ხმაურობა რად უნდოდათ. თუმცა ეს მინაწერი რჩეულმა გვარებმა არ მიიღეს და გუბერნატორის კეთილი ნებით არჩილიან ციხისთავებს ერთი უბრალო, უფრო საოხუნჯო პრივილეგია დაუწესდათ: იმათ შეეძლოთ, რომ დედამიწის ზურგზე ნებისმიერი მსურველისთვის რაგინდარა მშვენიერი და კოხტა წოდება მიენიჭებინათ. გუბერნატორმა ნიხრიც კი დაადგინა: თუ არჩილიანები თავისი ნებით დაასაჩუქრებდნენ ვინმეს წოდებით, ხომ კარგი, არა და რაიმე იოანური ტიტულის მსურველს ფასი უნდა გადაეხადა.

იმის შემდეგაც ბევრი დრო გამოხდა და უკეთესობისკენ და შეცვლისკენ არ წასულა. თუმცა, არჩილიანები მაინც ინარჩუნებდნენ საშუალო შეძლებას.

რა დაატყვეს სასამართლოს მოყვარე კაცებმა, რომ აგათია მარტო დარჩა, შეუტიეს, რადგან ცხონებულ მის შვილს, რომელიც, სხვათა შორის, კარგი საქმოსანი იყო, ბევრი საქმე მიუმთავრებელი დარჩა უცაბედი გარდაცვალების გამო, და გაძარცვეს საბრალო ქალი, რომელსაც იქამდე საქმეებისა არაფერი ეკითხებოდა არც ქმრის, არც კიდევ შვილის დროს.

გამკითხავიც არავინ დაურჩა, ერთი მწვანეკოსტუმიანი სახაზინო ვექილი ძლივს დაინიშნა და ისიც ორპირი კაცი გამოდგა.

შედეგი ამგვარი შემოტევებისა ის იყო, რომ მას დაურჩა ხელმოკლედ საარსებო რენტა და ცალკე ფული, რომელიც გამძარცვავებმა დიდსულოვნად დასდეს თავიანთი ყოფილი კომპანიონის შვილის საუკეთესოდ სწავლისათვის.

ის თვეში ერთხელ ფეხით მიდიოდა ბანკში. იყო გალეული, მხრებში მოკუნტული მოხუცი, შავით მოსილი, პირბადითა და ხშირად ცალი საყურით. მხარზე ძველებური საბნევით ებნია ასევე ძველისძველი ორი ფრთა ფარშევანგისა, ფუფუნების ნიშანი, თავსარქმელში ჩასამაგრებლად მოძღვნილი ხვანთქართაგან მის წინაპარ ფაშათათვის. ეყრდნობოდა ძველ, კაცთა სახმარ ვერცხლისბუნიკიან ხელჯოხს, რომლის გულშიაც მოგრძო დანა იყო ჩამალული. სხვა ხელჯოხი არა ჰქონდა, თორემ ემძიმებოდა ეს ძველი იარაღი. რედიკული პრიალა და გვერდებზე გადამსკდარი, მოახლე კი არა ჰყავდა.

კვირაში ერთხელ მოაგორებდა ხოლმე პროვიზიით სავსე ურიკას ოსმალოს კორნერშოფიდან, რომელიც მისი სახლის პირდაპირ გაეხსნათ. აქ კრედიტი ჰქონდა, ვინაიდან ფულის ელექტრობარათებს ალღო ვერ აუღო და არცა სჭირდებოდა: ყველამ იცოდა, რომ რაც არ უნდა მოხდეს, სწორედ ისა ბრძანდება დედოფალი და ციხისთავი, თუმცა ამას მნიშვნელობა აღარ შერჩენია.

იმ თვეში ერთხელ, ბანკიდან გამოსული, რახან რედიკულში ფული ედო, გასწევდა მძიმე ხელჯოხის კაკუნით ხეირის უბნის იმ ყავახანისკენ, რომელსაც ერქვა „ალი ბეის და ბასილას ჩიბუხი.“

თვეში ერთხელ შეეძლო, რომ თავის გემოზე ყავა დაელია. იქაურ ჩიბუხებს, ცხადია, არ სწევდა, პაპიროსი ინგლისური უყვარდა და ყოველთვის ჰქონდა პორტსიგარში.

დიდი პატივით გამოეგებებოდა ხოლმე ყავახანის პატრონი მორად ბეი, თავად გამოუწევდა სკამს, თავად შეაცურებდა ქვიშაში ყავის ხელსაწყოებსა და თავად უბერავდა სულს მომდგარ ქაფს.

მორად ბეის დიდი რესპექტი ჰქონდა დედოფლისა, ხანუმთ ხანუმად მოიხსენიებდა, სხვანაირად არა, ვინაიდან დამფასებელი იყო ციხისთავების წარსულისა და მის ყავახანასაც ხომ აგათიას ერთი თვალდარდიანი წინაპრის, ალი ფაშას გამო ერქვა ეს სახელი.

აგათიას გადარჩენოდა ალი ბეის ჩიბუხის ერთი პატარა ნატეხი. ამგვარ ნატეხებს კი აღმერთებდა მორად ბეი და ქალმა ერთხელ უთხრა, რომ ანდერძის ერთ მუხლს ცალკე შეადგენინებს ნოტარიუსს, რითაც ამ ნატეხს მორად ბეის უანდერძებს, რომელიც იმავდროულად სამეფო მეყალიონის წოდებითაა დაჯილდოებული.

როდესაც აგათიამ სამეფო მეყალიონის საპატიო საბუთი მოუტანა მორად ბეის, ამ უკანასკნელს კინაღამ გული წაუვიდა.

ხსენებულმა წყალობამ ისე აღიტაცა მორად ბეი, რომ წერილი გაუგზავნა მოხუცს, ჩემს ყავახანაში თქვენ გადასახდელი არაფერი გაქვთ და ყოველ ცისმარე შეგიძლიათ მობრძანდეთო. მაგრამ ქალი მაინც ძველებურად, თვეში ერთხელ, ოთხშაბათ დღეს, დილის ათ საათზე მიდიოდა. სხვაგვარს არც ველოდიო, ხანუმთხანუმი სამადლოს არ მიიღებდაო.

თვეში ერთხელ, თვის ბოლო შაბათს, დილით აგათია ნაპირის უბანში მიდიოდა სასეირნოდ. პლაჟებს კი არ დაუყვებოდა, არამედ გადმოღმა გზას, ლიმონის ხეების მხარეს. იქ სკამზე ჩამოჯდებოდა ხოლმე და უყურებდა ზღვას.

აქ ყველას თავისებური მიზეზი ჰქონდა ზღვისკენ ცქერისა და ზღვასთან ლაპარაკისა, არჩილიან ციხისთავებს - განსაკუთრებული. ისინი საუკუნეებით მიჯაჭვულიყვნენ ამ სურათს. მოდგმით ცხოვრობდნენ ხოლმე ციხესიმაგრეში, რომელიც ძალიან ჰგავდა აივანზე გამოდგმულ საყვავილე ქოთანს. სხვა გასახედი არც იყო. ბოლო ფაშა სარი ბეგი, სოფლად რომ გადასახლდა კუნძულის შუა ტყისპირებზე, ზუსტად ასე მოდიოდა ხოლმე ზღვასთან თვეში ერთხელ, გაჰხედავდა თავის ძველ ციხესიმაგრეს, რომლის თავზეც ბრიტანელთა დროშა ფრიალებდა და მერე მიაჩერდებოდა ზღვას თითქოსდა სამუდამო მდუმარებით.

ბოთლში ჩამალული ამბავი

გუბერნატორის არქივარიუს სამსონ ბრასის ორიოდ ფურცელი, 1893 წ.

„კუნძულის მმართველი გამოირჩევა ხმელეთის მმართველისაგან. თუ ეს მმართველობა დინასტიური შეიქნება, მმართველთა საგვარეულოს უყალიბდება განსაკუთრებული ჩვევები და ეს მათ ხასიათზეც მოქმედებს. ყოველ კუნძულელ მმართველს ჰყოფნის თავისი ზღვით შემოსაზღვრული მიწა. ამ შესამჩნევ თავისებურებას ერთი და მთავარი გამონაკლისი ანგრევს - ბრიტანეთის იმპერია. ოღონდ, ამ მსოფლიოს გადამკეთებელი გამონაკლისის მიუხედავად, ვერ წაუხვალ იმ ამბავს, რომ კუნძულელები ყოველთვის ეტევიან თავიანთი მიწის ნაგლეჯზე.

საუკუნეთა განმავლობაში ასე იყო სანტა ესპერანსაზეც (ძვ. სენტ ჯონი), სადაც ყველაზე დიდი ცოდვა ძალიან თავმდაბლური მეკობრეობა და ტყვეთა სყიდვა-გაყიდვა იყო. ამ შუა საუკუნეებისათვის ჩვეულ ხელობათ თუ არ ჩავთვლით და იმასაც თუ დავუმატებთ, რომ მეკობრეობა ძნელად გასცდებოდა ხოლმე ას მილს, ვინაიდან აქაური კარჭაპებით უფრო შორს სვლა სახიფათოც კი იყო, რადგან პირაქეთ დაგესხმოდა ვინმე, - კუნძულების მშვიდობიანობას წყალი არ შეუვა.

ჩემი მდაბალი და გაცვეთილი აზრების ჩაწერა იმიტომ გავბედე, რომ ბოლო დროებია ბევრს ვფიქრობ კონსტანტინ არჩილიანზე, იგივე სარი ბეგზე, აქაურობის ყოფილ გამგებელზე, რომელთან ურთიერთობაც სრულიად ახალგაზრდას მომიხდა მაშინ, როცა კუნძულზე ჩვენი მმართველობა მყარდებოდა, მე კი სახელმწიფო არქივის სამთაგან ერთ-ერთი მნუსხავი ვიყავი.

სარი ბეგი იყო უკანასკნელი მმართველი სენტ ჯონისა, რომელმაც დიდძალი ქონება დაჰკარგა წლების განმავლობაში და სიცოცხლის ბოლოს კი გადაწყვიტა თავისი საბუთები, რაც კი შერჩენოდა ბედის კვანტისტრიალის შემდეგ, სულ თხუთმეტი დიდი ყუთი, არქივისთვის კი არ გადმოეცა, არამედ იოანე ნათლისმცემლის მართლმადიდებლური მონასტრისთვის. ის გულნატკენი იყო მმართველობაზე, ვინაიდან მის სიცოცხლეში მმართველი სამი გუბერნატორიდან არც ერთმა არ აღიარა მისი ღირსება და კეთილგანწყობა, ყველამ რაღაც წაართვა იმ კანონების მიხედვით, რომლებისაც სარი ბეგს არაფერი გაეგებოდა. საერთოდ, ის სრულიად არ სცემდა პატივს ნაწერს, რაც აღმოსავლური რამ უნდა იყოს. ნაწერი უფასოა, წყალს გადაავლებ და ხელახლა დაწერო, მითხრა ამ ოცდაათი წლის წინათ, როცა ჩვენს არქივში ცდილობდა რაღაც ირიბი საბუთების პოვნას მისი კუთვნილი ტყის გადასარჩენად. ის საბუთები მაშინ ვერ იპოვა. კანონად კი სწამდა რაინდული, ღირსეული შეთანხმება და წარსული, რაც სრულიად გამოუყენებელი შეიქნა ჩვენს დროში.

სარი ბეგი ბრწყინვალედ ლაპარაკობდა ქართულად, ოსმალურად და იტალიურად, რაც, როგორც მიხსნიდნენ, ძველი გენუური დიალექტი თუ რაღაც ამგვარი უნდა ყოფილიყო. მან ძალიან იოლად და მალე ისწავლა ინგლისური, ძალიან ბუნებრივად, რაც ამ კუნძულის მცხოვრებთა გამორჩეული თვისებაა, რადგან საუკუნეთა განმავლობაში მათ რამდენიმე ენაზე უწევდათ ლაპარაკი. ის იყო ძალიან ღირსეული ადამიანი, რომელიც ჭიანჭველასაც კი პიროვნებად თვლიდა, ოღონდ ეს თავისი თვისებები სრულიად ვეღარ ადგებოდა ჩვენს დროში.

სარი ბეგი მუსლიმი იყო, სხვანაირად კუნძულის გამგებელი ვერ იქნებოდა. მისი წინაპრები სამას წელიწადს მუსლიმდებოდნენ, რაც ეტყობოდათ სამოსსა და გემოვნებაში, ოღონდ მისივე მოწმობით არც ერთი ამათგანი წინადაცვეთილი არ იყო, მხოლოდ სახელს იცვლიდა და ერთგულების პირობას დებდა. ესენი ორჯერ მონათლულიყვნენ, რადგან ჩვილობაშივე მართლმადიდებლებად ინათლებოდნენ. მე არ მინახავს სარი ბეგი მეჩეთში მისულიყოს, ან რაიმე ეთქვას ოდესმე თავისი რწმენის შესახებ.

ის არც ერთ ტაძარში არ დადიოდა და თუმცა ეს მეტად პირადი საკითხია კაცისთვის, ერთხელ გავბედე და ვკითხე, რომელი კონფესიისკენ უფრო მიილტვით-მეთქი. მან გაიცინა და მომიგო, რომ მისი გვარი რვაასი წლის განმავლობაში განაგებდა კუნძულებს, გამგებლობა კი ისეთი საქმეა, რომ უხერხულია სხვათა დასანახად ილოცო.

აქვე მახსენდება, რომ ოცდაათ წელიწადში სარი ბეგმა ერთადერთხელ მიმართა გუბერნატორის კანცელარიას და მისი მიმართვა გასაოცრად დროული და ზედმიწევნითი გამოდგა. სარი ბეგი სთავაზობდა გუბერნატორს, რომ კუნძულებზე აეკრძალა საჯარო ლოცვა ყველა კონფესიისთვის და ამის ნება მხოლოდ დაკრძალვების ჟამს დაერთო. ზოგადად, სანტა ესპერანსას იმგვარი კანონები გამოუვიდა, რომ საჯაროდ რაიმეს კეთება მკაცრად არის აკრძალული და მგონია, რომ როცა ამდენი ეროვნების ხალხი ასეთ პატარა ადგილას ცხოვრობს, ეს აკრძალვა სწორია. ამით ყველანი უკმაყოფილონი დარჩნენ, თუმცა გუბერნატორმა ორწლიანი მოლაპარაკებების შემდეგ მართლაც მიიღო ახალი კანონი, რომელსაც დღემდე სარი ბეგის კანონი ეწოდება. ამით ყველას აეკრძალა რიტუალები და სახალხო

მსვლელობები, რაც ხშირად არა, მაგრამ მაინც გახდებოდა ხოლმე გაუგებრობათა მიზეზი.

სარი ბეგმა კი მაშინ თქვა: თუ შენ სახალხოდ ლოცულობ, გდომებია, რომ სხვამ მოგბაძოს, თუ სხვა არ გბაძავს, გულში წყენას ჩაიდებ. თუ გულში წყენას ჩაიდებ, რაღა აზრი აქვს ლოცვას?

მისი სიკვდილის შემდეგ, რაიც ამ გაზაფხულზე იყო, ჩვენთან მოიტანეს სარი ბეგის ნოტარიუსთან დარჩენილი ქაღალდების პირები. ერთი თხელი საქაღალდე იყო. ბრიტანეთის ქვეშევრდომის პასპორტი, რომელიც არასოდეს აუღია ხელში სარი ბეგს, და მისი ანდერძის მესამე პირი. მოხუცის ქონება საკმაოდ მეჩხერი იყო, მაგრამ ყველაფერი თავის ვაჟს დაუტოვა იმ პირობით, რომ ის მერე თავის შთამომავლებს გადასცემდა. ის უკანასკნელი სანტა ესპერანსელი იყო, ჯიუტად რომ უარყოფდა თანამედროვე სამოსს და ეცვა სრულიად მოულოდნელი ტანსაცმელი, რომელიც ძნელად რომ მოუხდეს ადამიანს, მას კი უხდებოდა. შავი არ გაუხდია. შავი არ არის ოსმალური ფერი. უხდებოდა უღილებო, სქელი, ტანზე შემომდგარი მოკლე ფრენჩი, პაწაწინა გადასაბნევებით შეკრული. ფრენჩი არც იყო, უბრალოდ ფრენჩს ჰგავდა რაღაცით. თავზე ყოველთვის ეხურა ოსმალური დოლბანდის მსგავსი რაღაც, ოღონდ ძალიან თხლად დახვეული, ისეთი, როგორიც გლეხებს აქვთ წაკრული თავზე, როცა ყანაში მუშაობენ. ჩექმა პრიალა, ლანჩასთან წითელკანტშემოტარებული, შარვალი კი ოსმალურ ყაიდაზე ფართე, ტომარასავით დაფენილი თხელი ნაჭრისა. ეს ყველაფერი ძალიან კარგად ედგა ტანზე ახალგაზრდობაშიაც და მერეც. მე კი გამაოცა მისი ანდერძის იმ პუნქტმა, რომლითაც არჩილიანთა გვარის ხელთ არსებულ ყველა საბუთს მონასტერს უტოვებდა. შვილსაც შეახსენებდა, რომ მათ გვარს ყოველთვის აქვს ერთი მისასვლელი - მონასტერი. ეს მისასვლელი არასოდეს გამოუყენებიათ, მაგრამ მოვა ამის დროც.

ამ სიტყვებმა გამაკვირვა. სარი ბეგი ისეთი კაცი არ იყო, ტყუილად დაეწერა რამე. მოგეხსენებათ, წერა არ უყვარდა და რასაც დაწერდა, დიდი გამოტანჯული უნდა ყოფილიყო.

ნელ-ნელა, სამუშაოდან თავისუფალ დროს დავიწყე არჩილიან ციხისთავთა წარსულის ქექვა და მივხვდი, რომ საქმე მქონდა განსაკუთრებულ გვართან. მე მონასტერში საგანგებო მიწერილობით მივედი და კანონისდა შესაბამისად ვითხოვე, რომ შემოწირულობის სიგელ-გუჯრების სიის შედგენის უფლება მოეცათ. წინამძღვარმა ორი დღე მომცა და ჯერაც გაუხსნელ ყუთებთან მარტო დამტოვა. მე რომ ყმაწვილი ვყოფილიყავი, გამიჭირდებოდა, მაგრამ ახლა ხომ კარგად ვიცი მონასტრულად კითხვა და, თუმცა ბევრი საბუთი ბერძნულადაც შეედგინათ, რაღაც მაინც მოვახერხე. უბრალო ნუსხაც საკმარისი იყო.

მივხვდი, კუნძულებზე ყველაზე მეტი სიმდიდრე სწორედ მონასტრის სარდაფებშია. მე გადავაწყდი ძალიან შთამბეჭდავ სიებს, თუ რა შეუწირავთ არჩილიანებს მონასტრისათვის საუკუნეთა განმავლობაში. ეს ყველაფერი რომ ერთად წარმოიდგინო, მეტის არც რამის წარმოდგენა გინდა. სხვა მხრით, რომ წარმოიდგინო, რომ ის, რაც არჩილიანებმა შესწირეს, არ შეეწირათ და საუკუნეთა განმავლობაში ეგროვებინათ, მათზე მდიდარი რომელი სულთანი იქნებოდა აღარ ვიცი. ჩემთვის უცნობია, სად წაიღო მონასტერმა ეს საუნჯე. ეგებ დიდი ნაწილი ამისა

კონსტანტინოპოლს ან სადმე იგზავნებოდა, მაგრამ თუკი ეს ყველაფერი ახლა და ამ წუთს კუნძულზეა, მაშ ეს ყოფილა ელდორადო და ამ ამბის საიდუმლოდ შენახვა მმართებს. რადგან თუკი რაიმე გახმიანდა, ან ვინმე ჩემსავით ჩამკირკიტებელმა მიაკვლია ქაღალდების სასაფლაოზე, მაშინ აქაურობას ათასი ჯურის ქურდი და თაღლითი მოაწყდება, თუმცა, არც აქაურები დააკლებენ ხელს.

ამგვარი აღმოჩენის შემდეგ სულ სხვაგვარი თვალით დავუწყე ყურება სარი ბეგს და მის წინაპრებს. ერთი თვეც არ არის, რაც იმ ყუთების აღნუსხვას მოვრჩი და ახლა დარწმუნებული ვარ, რომ აქაურობის საუკეთესო ხალხი სწორედ ციხისთავების მოდგმა იყო. მე მათი ხასიათის ძირითადი ნიშნებიც ამოვიცანი. როგორც ვახსენე, ეს ხასიათი საუკუნეებმა და ვითარებამ ჩამოაყალიბა.

საერთოდ, შუა საუკუნეებში ძნელია იპოვო კეთილი და მიმტევებელი მმართველი. არჩილიანები კი ასეთები გამოდგნენ. ჩემი ეჭვით, ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მათ საომარი არავისთან ჰქონდათ, თუმცა კი საუკუნეების მანძილზე ელოდნენ მტერს. როდესაც საქართველოს მეფემ მათი პირველი წინაპარი კუნძულის ციხისთავად და გამგებლად დანიშნა, ისინი დამშვიდდნენ. ხმელეთის თანამდებობები, ერისთავობა და გრაფობა კაცს შავი ფიქრებისაკენ უბიძგებს. მეზობელთან ქიშპობაც ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ როცა სამ პატარა კუნძულზე გამოკეტილხარ და იცი, რომ მეზობელი არა გყავს, მზაკვრობაც არ მოგეძალება.

ციხე იდგა იმისთვის, რომ ზღვით მოსული მტერი ცოტა ხნით შეეჩერებინა, მაგრამ მტერი არ ჩანდა, ხოლო როცა გამოჩნდა, მის შეჩერებას აზრი არ ჰქონდა, რადგან დასაცავი ქვეყანა აღარ არსებობდა, ნაკუწებად დაშლილიყო და ამ ნაკუწებსაც სხვები განაგებდნენ. ამიტომ ციხისთავები იოლად შეეხამნენ ოსმალებს.

ოსმალეთისთვის ეს კუნძულები ძალიან მივარდნილი პროვინცია იყო.

ციხისთავთა სიმშვიდე კი თანდათან გადაცოცდა სევდასა და რიგ-რიგ სიკეთეებში, რითაც დღემდე ცოცხალია ნაირგვარი ამბები. ზღაპრები ამ ქვეყანაში მხოლოდ ციხისთავებზეა.

კიდევ ბევრი შემიძლია ვილაპარაკო, რადგან თანდათან მეტსა და მეტს ვღელავ ამ წერილის შედგენისას. არ ვიცი, რატომ გადავწყვიტე ჩემი უბრალო აზრების ჩამოწერა. დავიწყე იმიტომ, რომ სარი ბეგის ამბავი მომეთხრო ვიღაცისათვის, მაგრამ მოკლე სასამსახურე ბარათებს და რამეების გადაწერას შეჩვეულმა ეს კარგად ვერ მოვახერხე. ახლა ვგრძნობ, რომ ერთადერთი, რაც ვინმესათვის საინტერესო ვთქვი ამ ნაწერში, მონასტრის აუწერელი სიმდიდრის ამბავია, რომლის საიდუმლოს შენახვაც ვერ შევძელი, რახან უკვე დავწერე. ადამიანებს მართლაც მხოლოდ ეს დააინტერესებთ ჩემს ნაწერში. რას იზამ, ასეთია მათი მომხვეჭელი და ხარბი ბუნება.

ახლა მინდა დავწვა ეს წერილი, მაგრამ ვეღარ ვახერხებ. ალბათ იმიტომაც, რომ ამისათვის არ დამიწყია წერა. ალბათ, რაც უფრო გემატება ხანი, მით გულჩვილი ხდები. მე კი ძალიან მინდოდა, რომ ციხისთავების შესახებ რაღაც ჩამომეწერა. ბევრი და პატიოსნად ვიმეცადინე მათი წარსულის კვლევისას და ამას საკუთარი ნებით ვაკეთებდი. არც მაშინ ვეთანხმებოდი სარი ბეგს, რომ ნაწერს ფასი არა აქვს და ვფიქრობ, რატომ მიჭირს ამ ჩემი საშაბათო ნაჯღაბნის განადგურება?

ალბათ იმიტომ, რომ იქ აუწერელი სიმდიდრე ვახსენე. მგონი უკვე მესამედ ვიმეორებ ამ აზრს და ვგრძნობ, რომ ახლა ისე უნდა მოვიქცე, როგორც ინგლისელი და არა როგორც ციხისთავი. სამწუხაროა, ასეთი რამ რომ გადავწყვიტე, მაგრამ სწორედ ახლა წავიკითხე რომანი ფრანგი მწერლისა, სადაც ბოთლში ჩაგდებული და წყალს გატანებული წერილი საბრალო მახინჯ ჭაბუკს ლორდის ტიტულს უმტკიცებს.

ამ წერილის ღუმელში შეგდებას არაფერი უნდა, მაგრამ მე ეს მიჭირს. კიდევ უფრო მიჭირს წერილის ასე დატოვება და ვინმეს ხელში მოხვედრა. ხელგარჯილ, მრავალსიტყვიან წერაში ჩემი გამოუცდელობის გამო მიჭირს იმ გრძნობის გამოხატვა, რომელიც არ მანებებს ამ წერილის განადგურების ნებას. ალბათ ეს იგივე სულია, სერ ფრენსის დრეიკს და სერ უოლტერ რალის რომ გამოუყვანა წირვა. აი, სად გაკრთა ჩვენი ამბავი.

გუშინ მთელ დღეს ვფიქრობდი, რა მოვიმოქმედო, და მივხვდი, რომ საინსპექციო ეკიპაჟის რომელიმე მეთაურს, ვთქვათ, სელდენს უნდა ვთხოვო, რომ ერთხელ მათ ნავს გავყვე ღია ზღვაში. მეთევზეებთანაც შეიძლებოდა იგივეს მოწყობა, მაგრამ ისინი გაოცდებოდნენ. ჰოდა, კატარღიდან უჩუმრად გადავაგდებ ბოთლს. ასე ვეტყვი, ვითომ ზღვის ქარი მომნატრებოდეს. ამინდებიც კარგია. არ ვიცი, ეგებ ბოთლისთვის ღელვა სჯობდეს.

ასე იქნება.

ხშირად კეთილი განზრახვით წამოწყებული საქმე აი, ასეთ ავანტიურაში გადაიზრდება ხოლმე. ვფიქრობ, ყველა ჩემი მოგვარე რაღაცით ფათერაკის მოყვარეა, ოღონდ ამას ვერ ვამჟღავნებთ, თითქოს გვძულდეს. ამ დრამატულ დასკვნამდე მიმიყვანა ჩემმა წამოწყებამ და ახლა, ვთხოვ ამის მპოვნელს, თუკი ასეთი გამოჩნდა, ჩემზე კი არ იფიქროს, არამედ იმაზე, თუ რა ღირსეული შეიძლება იყოს ადამიანი.

მამშვიდებს ის, რომ ჩემი გამოუცდელი კალმოსნობით ბოთლის აღმომჩენს საშუალებას ვაძლევ, ციხისთავთა მაგალითიც ნახოს და ოქროსკენ გაპარულ თავის ხელსაც ყურადღებით დააცქერდეს.

ჩემი სახელის და გვარის აქ ხსენება არ მინდა. თუკი ვინმე ჩაუკირკიტდა, ისედაც მიაგნებს. მე ვიმედოვნებ, რომ ბოთლი ჩემს სიცოცხლეში არ ამოტივტივდება და უსიამოვნებას არ შეახვედრებს ჩემს ქალ-ვაჟს.

გფარავდეთ ღმერთი და დედოფალი ვიქტორია. წელი 1893, შემოდგომა. შტორმის დღეები.

ღმერთმა სამოთხეში დასტოვოს სარი ბეგი, მან ხომ არ უწყოდა, რომ ქვეყნად ქაღალდის მჩხრეკელი მოყვარენი არსებობენ.

მპოვნელო, ილოცე ჩემთვის. მე კი გპირდები, რომ მონასტრის საგანძურის ძიებას არ დავიწყებ და ჩემს აღმოჩენასაც არავის გავუზიარებ. იმის პატიოსან სიტყვასაც ვდებ, რომ საკუთარი ახირების გადმოსაცემად კალამს არასოდეს ავიღებ ხელში, ხოლო საოჯახო წერილებს ჩემს მეუღლეს დავაწერინებ.“

აგათია და სამი უცნობი

- თუ არ გამიწყრებით, ერთი მინდა გთხოვოთ, ხანუმთხანუმ, - მორად ბეიმ ზუსტად იცოდა მოხუცის ხუშტურები და მანამდე არაფერი უთხრა, სანამ ყავა არ მიართვა და ქალმა ორჯერ არ მოსვა ფინჯნიდან.

აგათიამ სიგარეტი რომ გააბოლა, მორად ბეი მიუახლოვდა და ულვაშები ააცმაცუნა: - აი, ხედავთ იმ კაცს, ქვიშისფერი შორტები რომ აცვია და სათვალე შუბლზე შეუმაგრებია? ის კაცი სამი დღის წინათ მოვიდა აქა და გამოლაპარაკებისას მითხრა, რომ მისტერ კლევერის მეგობარია. მისტერ კლევერი ყველაზე განთქმული ინგლისელი მწერალია და ჩემი მეგობარიც. თავის წიგნში ერთი დიდი თავი ჩვენს ყავახანას მიუძღვნა. ეგებ გაგეგონოთ კიდეც...

- გამიგონია, - უთხრა აგათია ხანუმმა, - კარგი წიგნია.

- ჰოდა, იმ კლევერის მეგობარია ეს კაცი. ლონდონიდან ჩამოვიდა. იქ ჟურნალისტი ყოფილა და ჩვენ... მოკლედ, იმ დღესვე მითხრა, რომ თქვენთან გასაუბრება მისი დიდი ხნის სურვილია. დიდი ხანია გიცნობთ და სმენია თქვენს შესახებ... გრძელთმიანი კაცია... დიდი დამფასებელია ჩვენი. ლონდონიდან კი გახლავს, მაგრამ ფრანგი ვარო...

- ამ ყავას დავლევ და მერე მოვიდეს, - მიუგო ქალმა, - ცოტა ხანს მელაპარაკოს, ხომ იცი, მორად ბეი, დიდი ჭკუით მე ვერ გამომარჩევ.

- რასა ბრძანებთ ხანუმ, რასა ბრძანებთ... - უკანსვლით გაშორდა მორად ბეი.

- თან დღეს უკვე გამომილაყეს ტვინი, - წაიბურტყუნა ქალმა და ფინჯანს დასწვდა.

ფრანგს მაგიდის ქვეშ მოუჩანდა სანდლებიდან გამოყრილი ღონიერი ცერები, ზურგჩანთა კი გვერდით სკამზე მიეგდო. აგათიამ იფიქრა, რომ ეს კაცი არაფრით იქნებოდა ფრანგი. ასეთი ცერები ფრანგებს ვერ ექნებათ, არამედ ინგლისელებს.

- ტევერენ მორანდი, - თავი დაუკრა მოხუცს, როცა ამ უკანასკნელმა მორად ბეის ანიშნა, შეუძლია მომიჯდესო.

- რად გინდათ ეს თავის დაკვრა? შესაფერისად არ გაცვიათ და რაღა საჭიროა? - ჰკითხა ქალმა და სკამზე მიანიშნა.

- საკურორტო სეზონმა იცის, - ჩაიხითხითა ფრანგმა, - დიდი ხანია გიცნობთ, ბარონესა, შორიდან.

- ბარონესა არა ვარ...

- ესეც უნდა მაპატიოთ. ჩვენ, ფრანგები ცუდად ვერკვევით ტიტულებში, ეს ამბავი ორასზე მეტი წლის წინათ დაგვემართა...

ქალმა ჩაიღიმა, პირბადე ოდნავ აიწია ორი ოდნავ მოცახცახე თითით.

- რახან მეწვიეთ, რას მოსწევთ, რას დალევთ? აი, სიგარეტები.

- გმადლობთ, საუცხოო თამბაქოა, მაგრამ ჩემსას გავაბოლებ. ფრანგული თამბაქო გემოსი არ არის, უფრო სიმაგრისაა. ამას მივეჩვიე, - დე მორანდმა თავისი კოლოფი ამოაძვრინა.

- მე ვერ ვუძლებ ფრანგულ მჭვარტლს, - თქვა ქალმა.

- ჰე-ჰე, ერთი ამბავი გამახსენდა,- გააბოლა მორანდმა, - ერთი ამბავი, რომელიც ჩემს მეგობარ გერმანელს გადახდა თავს ბერლინში. იქ კუბელი სტუდენტი ქალი შეიყვარა და ის ქალიც უარს არ იყო, გრძნობები გამოეხატა. გადამწყვეტი საღამო რომ ჩამოდგა, კაფეში ისხდნენ და ქალმა ჩანთიდან კუბური სიგარეტი ამოიღო. ახლაც მახსოვს იმ სიგარეტის სახელი, „პოპულარ“ და კაცს შესთავაზა. კუბური სიგარეტები ძალიან მაგარია, უჩვევ ყელს დასწვავს და ახველებინებს. ამ გერმანელმა მოსწია ერთი და მეორე აღარ მოუნდა, თუმცა ქალმა კვლავ მისთავაზა. მერე კვლავ და კვლავ და კაცმა რომ ვეღარ შეიძლო, უთხრა, რას მაწევინებ ამ საშინელ სიგარეტებს, მეტი აღარ შემიძლიაო. ქალი კიდევ წამოდგა, ჩანთა მოიგდო მხარზე და უთხრა, შენ კუბურ თამბაქოს ვერ მორევიხარ და კუბელ ქალს რას მოერევიო.

- წავიდა? - ჩაიცინა აგათია დედოფალმა.

- წავიდა...

- ცოტა ველური, მაგრამ კარგი ამბავია...

ფრანგმა ამოსუნთქვა არ აცალა.

- თქვენს დროს გავუფრთხილდები, მე ჟურნალისტი ვარ და უფრო პოლიტიკურ წყალქვეშეთს ვანათებ.

- მყვინთავი ყოფილხართ.

- არა საფეხბურთო გაგებით... მაგრამ ასე კია. მე სტატიებს არ ვწერ, უბრალოდ ამბებს ვყიდი. ასეთი ხელობაც არსებობს.

- ჰო, მაგრამ მე არაფერი გამეგება პოლიტიკისა, - უთხრა მოხუცმა.

- თქვენ ის სისხლში გაქვთ, - გაიცინა მორანდმა.

- სისხლში ლეიკოციტები და ერითროციტები მაქვს, - მიუგო ქალმა. - და დიდად არ ვზრუნავ მათ მოწესრიგებაზე.

- ეს საუცხოო პოლიტიკური პასუხია. ჩემთვის უკვე ბევრი რამ გასაგებია, - კვლავ შესცინა ფრანგმა, - არ გიფიქრიათ, რა მოხდება, როცა ამ ქვეყნიდან ინგლისური მმართველობა გავა? ექვსი თვეც და ყველაფერი უნდა შეიცვალოს. ექვს თვეზე ცოტა მეტი. ნუ დავთვლით...

- არაფერი შეიცვლება, - მტკიცედ თქვა ქალმა.

- თქვენ არ ფიქრობთ, რომ გარკვეული მოთხოვნები წამოაყენოთ?

- მე მოხუცი ვარ.

- თქვენი შვილიშვილი კი ახალგაზრდა.

- მე მას აქ ჩამოსვლა ავუკრძალე.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ასეთი შეკითხვები არ ესმინა.

- ესე იგი გიფიქრიათ ამაზე.

- მე აქ მხოლოდ ერთ ღერს ვეწევი, მსიე მორანდ, და ისე ნუ იზამთ, რომ ფილტვები გამიმიზეზოთ.

- ო, არა, არა... თუკი დაგღალეთ...

- არა, უბრალოდ მეტის მოწევა აღარ მინდა. თქვენ თუ გგონიათ, რომ მე ინგლისელებს წერილს გავუგზავნი, ტახტი დამიბრუნეთ-მეთქი, ცდებით. ისიც ნუ გგონიათ, რომ თურქებს დაველაპარაკო პოლიტიკაზე, თუმცა ხედავთ, რომ თურქულ თემში მაღმერთებენ და მორად ბეიცა და ტოლუმბაშ ბეი ქირიზიმ ოღლიც ძალიან რაინდულად მეპყრობიან. იოანელებსაც არაფერზე დაველაპარაკები, არც ჯენოელებს და, საერთოდ, არავის. იმიტომ, რომ ეს ამბავი დიდი ხნის წინათ დამთავრდა და მე ყველაფერი დავკარგე ცხოვრებაში შვილიშვილის გარდა. თქვენ კი რაღაც არარსებული სამეფოს შესახებ მელაპარაკებით.

- ო, სულაც არა. სულაც არ მინდოდა, რომ... რამეზე დამეპატიჟეთ, ეგებ რაიმე მოისურვოთ. მორად ბეი! - აწრიალდა მორანდი.

- თქვენ ვერ გადაიხდით, - შეთქმულივით წასჩურჩულა ქალმა, - თქვენ გადმოჯექით ჩემს მაგიდასთან, ანუ მე დაგპატიჟეთ. ამიტომ, თქვენ ფულს ვერ გამოგართმევენ.

- მაშ, გადავჯდეთ ჩემს მაგიდასთან, - გადაიხარხარა ფრანგმა.

- ასე ადვილი რომ იყოს, - თითქოს გახალისდა მოხუცი. - არჩილიანი ისე არ დაეცემა, მოგზაური ვერ დააპუროს...

იცინოდნენ.

დახლის გვერდით მჯდომი მორად ბეი ხარობდა.

- საერთოდ, რაღაც ხდება, - თქვა უცებ აგათიამ, - რაღაც ხდება. დღეს ბანკიდან რომ გამოვედი, ვიღაც ცისფერპერანგიანი კაცი მომვარდა და დამიჩოქა. ხალხი შეიყარა... ძლივს წამოაყენეს, მე სად შემიძლია ვიღაცეების წამოყენება, თვითონ წამოსაყენებელი ვარ...

- დაგიჩოქათ?

- დიახ. დამიჩოქა და ძლივს წამოაყენეს. მგონი, იქ მიდარაჯებდა.

- გიდარაჯებდათ?

- ინგლისელი იყო.

- ო-ჰო-ჰო. ინგლისელი. დაჩოქილი ინგლისელი...

- მეჩეთთან წამომეწია და მემუდარებოდა, რომ მისთვის რაიმე ტიტული მებოძებინა. ალბათ იცოდა, რომ მე ამ პრივილეგიას ვფლობ.

- რა სიგიჟეა.

- მე ვუთხარი, რომ მეჩეთთან დიდხანს ვერ გავჩერდები, რადგან ქალი ვარ და არ მგონია წესი, იქ ვიდგე, სადაც კაცები ლოცვას აპირებენ. გზადაგზა მელაპარაკა...

- ღმერთო ჩემო, გული როგორ არ გაგისკდათ?

მოხუცმა მძიმედ შეხედა ტევერენ მორანდს.

- მსიე მორანდ, ნუ ამყვებით საუბარში ასეთი კოჭის გორებით. ეს ტყუილია. გული რომ მქონოდა, ადრევე გამისკდებოდა...

- მართლა გავოცდი.

- თქვენ ეს მითხარით, შვიდი ქალაქის შესახებ რა გაგიგიათ?

ფრანგმა წარბები აზიდა: - ეგ რას ნიშნავს?

- მეც არ ვიცი, უფრო სწორად არ ვიცოდი. შვიდი ქალაქის დედოფალი ვყოფილვარ. იმ ინგლისელმა მითხრა, რომელიც მესაჭურვლის ტიტულს მთხოვს... ამისათვის ჩამოსულა, რომ ჩემს ხელქვეით შემოსულიყო.

- აი, ამბავი...

- დიახ. ბანკთან მელოდა. ამიერიდან მონა გყავთო. მონაც გამიჩნდა.

- აქამდე სად ვიყავიო?

- შვიდი ქალაქის ნიშანს ველოდიო. ახლა დრო მოდის შვიდი ქალაქის დაცვისო. მე ვუთხარი, რომ აქ ერთი ქალაქია.

- ეს შვიდი ქალაქი...

- ოჰ, მიამბო, რასაც ხუთ წუთში უამბობს შეშლილი კაცი მოხუც ქალს. ესპანეთიდან შვიდი ეპისკოპოსი წასულა რაღაც კუნძულზე და შვიდი ქალაქი დაუარსებია. ის კუნძული ყოფილა სანტა ესპერანსა. მაგრამ არავინ იცის...

- ააჰ, - მაგიდას ხელისგული დაჰკრა ფრანგმა, - ააჰ, გამახსენდა. კუნძული, რომელიც არსად არის. ანუ ჩვენ არ ვიცით, სად არის, იმიტომ, რომ ვინც იქ მისცურა, ყველა იქავე დარჩა...

- ჰოდა, ის კაცი შეშლილია.

- დიახ, მისტიკურ გამოთვლათა გიჟი იქნება.

- არ მჯერა ამისა. გითხარით, რომ ნუ ამყვებით-მეთქი. თქვენნაირი კაცია, რაღაცით თქვენ გგავთ...

მორანდმა თითქოს ვერც გაიგონაო: - შემოგბედავთ, რომ ამიერიდან მართლა ერთგული მონა გეყოლებათ. ასეთი შემთხვევები ცნობილია. რა არის, რომ გვარიანად შეგაწუხებთ. მაგრამ რას იზამ?

მოხუცი ერთხანს ჩუმად იყო, მერე კი თქვა: - გასაგებია. ოღონდ, არ მგონია, რომ ეს სწორი იყოს.

მათ კიდევ ოც წუთს ილაპარაკეს, მორანდმა ნაირგვარი რამეები ჰკითხა აგათია ხანუმთხანუმს. ბოლოს ქალმა უთხრა: - ახლა წავედი...

მორად ბეიმ შენიშნა, როგორ დააპირა ქალმა წამოდგომა, მიეახლა და სკამი გამოუწია.

- გმადლობ, მორად ბეი, - გაუღიმა მოხუცმა და ხელჯოხი დაანახა ფრანგს, - ამის ტარში სტილეტია ჩამალული. სამწუხაროდ, სხვა არა მაქვს, თუმცა, თავის დაცვა ჯერ კიდევ შემიძლია.

პაკ-პუკ-პაკ... პაკ-პუკ-პაკ... ასე მიდიოდა.

- აი, ასეთი დიდებულია, - თვალი მიადევნა მორად ბეიმ კაფედან გასულს.

- არისტოკრატი გახლავს, - კვერი დაუკრა ტევერენ მორანდმა.

- ერთადერთი დიდგვაროვანი არის ამ კუნძულზე, დანარჩენები ყველანი ვაჭრები ვართ.

აგათია ციხისთავი არჩილიანი ჩვეული გზით მიკაკუნებდა შინისაკენ.

„რატომ შემომიჩნდნენ? „ - მშიშარა სულაც არ იყო, ოღონდ სიარული მაინც უჭირდა და ძნელად მოიხედავდა ხოლმე. თეთრი, მთლად გალეული მოხუცი იყო, შავად მოსილი.

ახლა კორნერშოფში მისვლის დროც იყო. ურიკა სადარბაზოში ეყენა, ჯიუტად მიათრევდა ხოლმე ნავაჭრს მეორე სართულზე, თუმცა, ოსმალო ყოველთვის გამოაყოლებდა ხოლმე ბიჭს. ბიჭი ქუჩის გადაჭრისას მოაცილებდა მოხუცს და სადარბაზოშიც იდგა ხოლმე, სანამ მისი კარის ხმას არ გაიგონებდა. რა ექნა, როცა ქალი არასგზით აკიდებინებდა ხელს ტვირთზე?

კორნერშოფში სიხალვათე იყო და ოსმალოს ცოლი ჰალალად მიეხმარა მოხუცს ურიკის გავსებაში. პარკებსაც კი თავად გამოუნასკვა თავები.

- აჰმედ, - გასძახა ყუთზე ჩამომჯდარ ცამეტიოდე წლის ბიჭს, - გადაჰყევი ხანუმს.

ბიჭი წამოდგა, აგათიამ კი ფრთხილად გამოაგორა ურიკა მედუქნის გამოღებულ კარში.

- აჰმედ, წადი, ქლიავი ჭამე. ბებერი ქალის კუდში დევნას ჯობია, - გაეხუმრა ბიჭს და ამ დროს დაინახა, როგორ გადმოირბინა ქუჩა ახოვანმა, საზაფხულოდ, მაგრამ მკაცრად ჩაცმულმა კაცმა და ურიკას წაუვლო ხელი.

- დაგეხმარებით, ლეიდი.

- ნუ სწუხდებით... მე არ...

მაგრამ კაცმა ყური არ უგდო და ლამის გამოგლიჯა ხელიდან ურიკა.

- რასა ბრძანებთ, ლეიდი, - ღონიერი იყო, მაჯებზეც ეტყობოდა.

- არ არის საჭირო, - სახელურს წაეპოტინა მოხუცი, მაგრამ კაცმა სწრაფად გადააგორა ურიკა ქუჩაზე. აჰმედმა ამას შეხედა და მაღაზიის კარში შესრიალდა.

- ღმერთო შენ გვიშველე, რა ჯანდაბაა დღეს? - თქვა აგათიამ და ახლაღა გაახსენდა, რომ ხელჯოხიც ურიკაზე ედო.

მაინც გადავიდა ქუჩას და ოდნავი წყრომით უთხრა იქ გაჩერებულ კაცს: - დიდი მადლობა, სერ. ნუღარ სწუხდებით.

- ახლა საით წავიდე? - ყური არ დაუგდო კაცმა.

- საითაც გინდათ, ოღონდ ჩემი ურიკა დამიტოვეთ, - შესწყრა ქალი.

- მე ვიცი, საითაც უნდა წავიდე, - თქვა უცებ კაცმა, რომელიც საკმაოდ წარმოსადეგი, საკმაოდ ელეგანტური და საკმაოდ მკაცრიც ჩანდა. ორმოცისა არც იქნებოდა, უფრო ოცდათხუთმეტისა.

- დიახ?

- დიახ ლეიდი... მე ვიცი, ვისაც მივეშველე. თქვენი დახმარება მჭირდება. მე სარდალმა გამომგზავნა... - კაცმა ზურგით შეაღო სადარბაზოს კარი და ურიკა მოხერხებულად შეათრია შიგნით.

საღამოს ექვს საათზე აგათია არჩილიან ციხისთავს დეპეშა მოუტანეს: „ვდგავარ რიგოტ ოტელში. მისი უდიდებულესობის საისტორიო საზოგადოების წევრი ჯ. პერიგო. მსურს საუბარი. ტელეფონს არ პასუხობთ. გთხოვთ შეხვედრას კონსულტაციისთვის. საპასუხო დეპეშის თანხა გადახდილია. უდიდესი მოწიწებით. პერიგო“

- ოჰ... - მეტი არაფერი უთხრა საკუთარ თავს იოანეს კუნძულების დედოფალმა.

ხუთი თოხი და მტევნები

ამ ქალაქის სასაფლაოები

ქართული გაზეთი „24 საათი“

მოგზაურის სვეტი სანტა-სიტიდან

მზიან ადგილებში ისე იცის, რომ დრო-ჟამის ვითარებაში ძველი სასაფლაო უცებ ქალაქის შუაგულში აღმოჩნდება ხოლმე. უმზეო ადგილებშიც ასეა ხოლმე, მაგრამ

უმზეო ადგილებში სასაფლაოებს გალავნები აქვს, მზიან ადგილებში კი - მხოლოდ დაბალი მესერი და ისიც ალაგ-ალაგ გამონგრეული.

- ქალაქი სასაფლაოთი უნდა იწყებოდეს, - ასე თქვა ერთმა ძალიან დიდმა მწერალმა, რომლის სახელიც ამ სიჩქარეში კი გადაავიწყდა ამ დაბურდულ ისტორიათა მთხრობელს, რადგან სიმართლე ითქვას და, ეს ნათქვამი თავად არ ამოუკითხავს წიგნში და ეგებ იმ დიდ მწერალს ასეც არ უთქვამს, რადგან ესე ყოველი მას ჩქარი მეტროს მატარებელში უთხრა ერთმა ვენელმა კაცმა, როცა ათვალიერებინებდა ქალაქისაკენ მიმქროლავი რონოდის ფანჯრიდან გზის გარდიგარდმო გაფენილ თვალწარმტაც სასაფლაოს.

დიაღ, სასაფლაო შეიძლება იყოს თვალწარმტაცი, ვინაიდან ის სიმბოლოების ერთი დიდი ყუთია, ხოლო იმას, რის სიმბოლოდაც ქცეულან საფლავის ქვები, ჩვენ იქ ვერ ვხედავთ. იმ დიდმა მწერალმა კი ეგებ სულ სხვანაირად თქვა. ვთქვათ ასე, რომ ქალაქი არ მომეწონება, თუ იქ ხეირიანი სასაფლაო არ არისო. ან კიდევ, ქალაქებში რა მხიბლავს და სასაფლაოებიო. ანაც, სასაფლაოზე იპოვი ქალაქის წარსულს, აწმყოს და მომავალსო. ანდა, ამ ქალაქის გემოვნებაზე მისი სასაფლაო ილაპარაკებსო.

მოკლედ, ათასგვარად იტყოდა, მე არ მახსოვს. თუმც, ქალაქი სასაფლაოდან როგორ დაიწყება? ვინ იცის, საიდან იწყება ქალაქი და სად მთავრდება? თუ ზღვიდან იწყება, სადღა მთავრდება, მთებთან? მაგრამ ზღვასთან ხომ ყველაფერი მთავრდება?

ამის გამორკვევას კარგა დრო დასჭირდება. მაგრამ სანტა ესპერანსა რომ სასაფლაოთა მხარეც არის, სადაოს ვერ გავხდით. აქ ყოველ მოხერხებულ ადგილას სასაფლაოა გაშენებული და საუკუნეთა განმავლობაში არც ერთი ეს სემენტარია არ გაუქმებულა, არც დახურულა და ზემოდან ბულდოზერი ან მიწის სასწორებელი არ გადატარებია, რათა იქ, ვთქვათ, ჩოგბურთის კორტი გაებიბინებინათ.

სანტა ესპერანსას სამივე კუნძულზე სასაფლაოები მრავლად არის. მეტიც, ისინი ყველგანაა: ეკლესიებსა და მათ ეზოებში, ქუჩის კიდეებზე და ტყისპირებზე, გზის გადასახვევებზე და ზღვის პირებზე და კლდეებში, ძველი ციხესიმაგრის გალავანში, ბანქოს სათამაშო სახლის უკან და შუა ქალაქშიც.

ქალაქი ერთადერთია ამ კუნძულებზე, მაგრამ სასაფლაო კი მრავალზე უმრავლესი.

ქალაქი სანტა სიტი ადრე უსახელო სოფელი იყო და ამიტომ უძველესი ხილული სასაფლაო სწორედ სოფლისაა. ერთ დროს ციხის მაშენებლებს კუნძულის კლდეები არ მოეწონათ, საშენად არ გამოდგებაო, თუმცა, სასაფლაოს ქვად იქ ნატეხი და ნათალი რუხი ფილები მშვენიერი გამოდგა. ეს სოფლის სასაფლაო სულ ოციოდე ნაბიჯშია ტყვეების მოედნიდან, ოღონდ დღეს სახლებს შუა ამოჩრილ პატარა ბაღს ჰგავს; დაბალი ხის ჭიშკარი და ბუჩქნარსა და მუხათა ჩრდილში ჩაბრეცილი ქვები. თუ ამ სასაფლაოს ჭიშკრიდან მარცხნივ მოტრიალდები და ჩიბუხის უბნის დაბლა, ქუჩებიდან მარცხენას, ანუ შუას ამოირჩევ, ერთ პატარა, სახლებითა და ხეებით გაწყობილ ქუჩას გადაივლი და იქ დაგხვდება ასევე ქუჩა, რომელსაც ძველი სახელი, სატყვეოები ჰქვია. აქა ყოფილა გასაყიდ ტყვეთა დასაბინავებელი ფარეხები ძველ დროში. ახლა ის ფარეხები აღარ არის და იმის ადგილას სამსართულიანი გრძელი სახლი დგას, რომელშიაც ძველი ყაიდის მაღაზიები და ორი ბანქოს სამხატვრო სახელოსნოა გახსნილი, მარად გამოღებული დარაბებით. მაგრამ ამ სახლს უკან თუ

გახვალ ვიწრო ბილიკით, იქ ეკალმწარე აკაციებით შემოჯარული მომცრო მინდორი დაგიხვდება, სადაც საფლავის ქვები არ არის, ხოლო აქა-იქ დასობილია განზე გადაქანებული ხისგან შეკრული ჯვრები. ეს არის იმ ტყვეთა სასაფლაო, რომელთა გაყიდვაც ვერ მოუსწრიათ ძველ მოვაჭრეებს. ზოგმა ამათგანმა ეგებ თავადაც მოისწრაფა სიცოცხლე. ოღონდაც, აბა, უპატრონო კაცის საფლავზე ვინ დადებდა თლილ ქვასა, რომც მის ქრისტიანობაში დარწმუნებულნი ყოფილიყვნენ. ხის ჯვრები ამდენ ხანს ვერ გაძლებდა. ჯვრების დასობა იქ ბერებმა დაიწყეს, რათა ხალხისთვის აქ სასაფლაოს განფენა შეეხსენებინათ. ჟამითი ჟამად, წვიმისგან წახდენილ ჯვრებს კვლავ და კვლავ ბერები ცვლიდნენ. აქ სამასი წელიწადია, არავინ დაუკრძალავთ და ტყვეთა სასაფლაოს რომ მოიხილავ, გამოუყვები ჩიბუხის უბნიდან ხეირისაკენ ოსმალური, თითქოსდა აყირავებული, ქუჩებით. თვალში უნდა გქონდეს მეჰმედის მეჩეთის ორი მინარეთი, რადგან, თუ მათკენ ივლი, გახვალ ყალივან სტრიტზე, რომელიც სთეითის უბანში გადაგაბიჯებინებს, მაგრამ სანამ სთეითში გადახვიდოდე, კიდევ გადააწყდები ორ სასაფლაოს: ერთს ძველოსმალურს, კაცივით ფეხზე მდგომი საფლავის ქვებით, და ახალს, რომელიც ძველის გაგრძელება გახლავთ, მაგრამ ქალაქის გეგმარების კვალად, ვიწრო გასასვლელებით ნაგლეჯ-ნაგლეჯ გრძელდება და სასაფლაოს ბოლო ნაკვეთი, ქალაქიდან ბუნგალოლენდისკენ მიმავალ მესამე შარამდე გაგიყვანს. ზემოდან ოსმალური სასაფლაო დაკლაკნილ მდინარეს ჰგავს, ალაგ-ალაგ ჩაგუბებული ადგილებით.

სთეითის უბანს ერთი მოქმედი სასაფლაო აქვს, იქავეა ანგლიკანური ეკლესიაც. აქ ყოველთვის ინგლისელნი იკრძალებოდნენ და აწიც იკრძალებიან. სთეითის სასაფლაო ყველაზე მოხერხებულ და კარგად დაგეგმარებულ ადგილზეა - მოსწორებულ ვაკეზე და გარს ინგლისური ყაიდის ბაღი აკრავს.

ცალკე სალაპარაკოა ხეირის უბნის სასაფლაოები: ქართველთა, ჯენოველთა (ძირითადად, ასე ეძახიან გენუელთა შთამომავლებს ამ კუნძულებზე), მოსულთა და მოლაშქრეთა. ძველ ჯენოვურ მოდგმათა საგვარეულო აკლდამები სანტა მარიას კათედრალის ეზოში ცალკე შენობებად დგას და ამ ტაძრის მიწისქვეშეთშიცაა. ძველად ყოველი ჯენოველი აქ იკრძალებოდა და აკლდამათა გასაღებები თავად გვარის მეწინავე კაცს ებარა, მერე და მერე ჯენოველებმა ცალკე სასაფლაო მოიზომეს ხეირის აღმოსავლეთ კიდეზე. ძალიან ლამაზი სასაფლაო, ძალიან მოხდენილი, ჩრდილიანი, მარად ნიავიანი. გენუელად დაბადება იმადაც ღირს, რომ მერე ამ სასაფლაოზე დაგკრძალონ. ოღონდ, აქაც ბარე ასი წელიწადი იქნება, არავინ დაუკრძალავთ. სასაფლაოს ქუჩის მხრიდან სახლების მთელი წყება გასდევს, ბაღები პირდაპირ ეკვრის ამ ადგილს. აკლდამები ხშირად პომპეზურიც კია, ფულდახარჯული და წარწერები კი შთამბეჭდავი, ოღონდ ბევრის არაფრის მთქმელი.

ძველი დროიდან მოყოლებული, ყოველი ციხისთავი, მერე კი მეფე, რომელიც კუნძულზე აღესრულებოდა, ციხე-გალავნის შიგნით იკრძალებოდა. იქ ადრიდანვე იყო მოწყობილი მართლმადიდებლური სამლოცველო, მეტად პატარა, რომელიც თანდათან პატარა ეკლესიად გადააკეთეს. წესი არ შეცვლილა ციხისთავთა გამუსლიმების შემდეგაც. გარდაცვლილ ციხისთავს იმავე დღეს არაფრით დაკრძალავდნენ, ღამით კი მღვდელი ჩუმად აუგებდა ხოლმე წესს, ოსმალებმა არ დაინახონო. ამიტომ აწინდელი მთავარი მუზეუმის ეზოში განფენილი სასაფლაო გვარიანად დიდია: მხოლოდ ციხისთავები და მათი ოჯახის წევრები. ამიტომ ეს

საგვარეულო სასაფლაოს ჰგავს და როცა ციხისთავთა შთამომავალმა, აგათია არჩილიანმა თავისი ტრაგიკულად დაღუპული ვაჟისა და რძლის აქ დაკრძალვა მოითხოვა, უარი ვერავინ უთხრა, რადგან კანონი სასაფლაოების დახურვის შესახებ არ არსებობდა. ასე რომ, მუზეუმის ეზოში საგვარეულო სასაფლაოა. ხეირის უბანში, ქართულ სასაფლაოზე პირდაპირ საგვარეულო რიგები არსებობს. ეს იმგვარი თავისებურების ამბავია, რომ გვარებს კარგა ხნის წინათ დაებევებინათ მთელი რიგები და ზოგი სანახევროდაა სავსე, ზოგიც - ცოტა მეტად, ზოგი კი ისე გაჭედილა, რომ ახალი ადგილის საძებნად მოუწევს წასვლა. ამ რიგების მზერისას კაცი დაფიქრდება, თუ რომელი გვარი მეტად ყვარებია სიკვდილს საუკუნეთა განმავლობაში და ამ უცნაურობაზე ფიქრი შორსაც წაიყვანს.

ჩვენებრ ხელმოკლეთა სასაფლაოები ქალაქგარეთაა, კარგა მოშორებულზე. ისინი ინგლისური მმართველობის შემდეგ მოუზომიათ. იმის შემდეგ კიდევ ორი ახალი სასაფლაო გახსნილა და ახლა სწორედ ეს ორია მიცვალებულთა მთავარი მასპინძელი.

მოლაშქრეთა სასაფლაოს შესავალ კართან ძეგლი უდგას მავან უსახელო მოლაშქრეს, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში მსახურების ჭაპანი გაუწევია და უმეკობრია კიდევაც, თუმც ამ კუნძულზე წესიერი კაცის წესით უცხოვრია და პატარა ქვის სახლი და ბაგაში შეყუჟული ოციოდ ცხვარი დაუტოვებია ოჯახობისთვის იმ ორ პატარა ქისასთან ერთად, ვერცხლით რომ გაუვსია მთელი მრავალწლიანი მოლაშქრეობის განმავლობაში. მოლაშქრეთა სასაფლაო ის ადგილია, სადაც სანტა ესპერანსას შინაური ჯარის ნაწილები აღლუმებს მართავენ. რა დასამალია და ამ ჯარებს მხოლოდ ნაირგვარ ზეიმზე გამოსვლა და ჩავლა-ჩამოვლა ევალებათ. დიდი ჭრელა-ჭრულა რამე გახლავთ ეს ჯარი და წელიწადში ორჯერ თვალსასეიროდ მართლაც ღირს. ჯარი ორჯერვე ამ სასაფლაოზე მოდის ხოლმე და ორჯერვე ეს მშვენიერი გამოსვლა, ძველი ზარბაზნების გამოგორებით, ღამით კი ფოიერვერკით, ტურისტულ სეზონს ემთხვევა. ნაკლებ მოსეირეს იზიდავს ხოლმე ინგლისური რეჯიმენტის და სასაზღვრო კატარღების აღლუმი, თუმცა, ესეც გვარიანი საცქერია.

კიდევ ერთი ძველი სასაფლაოა მდინარის გადაღმა. სასაფლაო, რომელსაც იქითა ჰქვია.

თავიდან ისე იყო, რომ შემდგომში ქალაქად ქცეული სოფელი არც მთლად ახლო იყო ზღვასთან და არც მთლად ახლო ერთადერთ ნამდვილ მდინარესთან, რომელზეც კუნძულის მთავარი ელექტროსადგური დგას და სახელად კი ღელისა ჰქვია. მდინარე მთავარი კუნძულის შუა ამომართული მთაგრეხილიდან გამოედინება, ტყე-ტყე ივაკებს და კუნძულის სამხრეთ-დასავლეთით, ციტადელს იქით ჩაედინება ზღვაში. მდინარის შვილებია ის ღელეები და ანკარა წყაროები, დღემდის რომ ითვლება კუნძულის წყალმომარაგების მთავარ ძალად. ოღონდ კი, ეს პროზაული ლაპარაკი თანდათან განზე უნდა გადავდოთ და ვთქვათ, რომ სასაფლაოები, დიახაც, მოიძევება მთავარი კუნძულის შუაგულში, იქ, სადაც მთებში შეჭრილია ბუნგალოლენდისკენ ანუ აღმოსავლეთ სანაპიროს დასასვენებელი ადგილებისკენ მიმავალი გზები. აქ გზად სოფლებია, ბუნგალოლენდის კიდეებზეც სოფლებს მონახავთ და აბა რა არის უფრო წყნარი და ადამიანის გამაკეთილშობილებელი, ვიდრე სოფლის სასაფლაოზე ჯდომა და სმენა იქაური სიჩუმისა, ჭრიჭინობელას მუსიკობით და ჭნავის სურნელით რომ შეუკმაზია სასაფლაოთა მთავარ პატრონს, უფალ ღმერთსა.

და ცხადია, სასაფლაოები იყო ორ სხვა პატარა კუნძულზეც, ჩრდილოეთისაზე, რომელსაც ერქვა დიდი ანუ სუნგალისა, და სამხრეთისაზე, რომელსაც ერქვა ვისრამიანის კუნძული. პატარა კუნძულს მთავარისგან მხოლოდ ნახევარი კილომეტრი აშორებს და ამათ შუა დიდი ხიდი იდო. ამ კუნძულზე არის სანტა ესპერანსას საერთაშორისო აეროპორტი, სინამდვილეში კი ლამის მთელი იქაურობა, თუ გამოვაკლებთ ერთ პატარა სოფელს, ვისრამიანთა საგვარეულოს ხელშია. ძველთაგანვე, ვისრამიანები მხოლოდ აქ, თავიანთ სასაფლაოზე კრძალავდნენ თავიანთ გარდაცვლილებს და ეს სასაფლაო ერთგვარად იდუმალი ადგილიც კია, რადგან იშვიათად, რომ მისთვის ვინმეს დაეკრას თვალი. სასაფლაოები სუნგალის კუნძულზეცაა, ამ კუნძულის უმეტესი ნაწილი მთას შეფენილ ხშირ ტყეებს უჭირავს, თუმცა, ოთხი სოფელი იქაც მონიშნულია.

აქ ერთი წესიც უნდა გავიხსენოთ, რომ თუ სანტა სიტიში სასაფლაოზე შესვლა მოგინდება, ბილეთი უნდა აიღო. მოქალაქეზე ამგვარი წესი არ მოქმედებს, მაგრამ თუკი ჩამოსული ხარ, ან ტურისტი ანდა მუშაკი, ფული უნდა გადაიხადო.

ამ არცთუ დალაგებული ჩამონათვალის ბოლოს კვლავ გამოანათებს კითხვა, საიდან იწყება ქალაქი? ჩვენ ფილოსოფიურ-სიღრმისეულად ვერ მიმოვიხილეთ ცოცხალი ადამიანისა და სასაფლაოს ურთიერთობა სანტა ესპერანსაზე, თუმცა, ვგონებ, ერთის რისამე გამოკვეთილი მიმართულების დადგენა იოლი არ გახლავთ, მით უმეტეს, რომ სანტა სიტის სასაფლაოთაგან ნახევარზე შესვლა ვერ მოვახერხე, როცა გარშემო ამდენი სიკეთეა, არცთუ მდიდარ ქართველ ჟურნალისტს გაუჭირდება მაინცდამაინც სასაფლაოს, და არა, ვთქვათ, სხვა რაღაცის ბილეთის ყიდვა.

ი-მეილი საზოგადოებრივი განყოფილების უფროსს: bizin, cota zedapirulia da tu ar mogeconos, nu dabechdav. ori dgis chamosuli var da jer azze ver movedi. magari sakaipo adgilia. sakartvelo ro yofiliyo aseti! mag rusebis jigari ro davxie. me genuelebis sasaplao zalian momecona. vecdebi, uketesi rame davcero. gushin sagamos kafeshi gaezro magari stranni simgerebi. mere kargat mogikvebi. gigia. kartis kaloda giyide. fabrichni.

ამ კაცმა ყველაფერი იცოდა ქაღალდისა, მაგრამ რამდენი იცოდა ცხენისა?

- რატომ აღარ დამთავრდა? რატომ აღარ დამთავრდა? რატომ აღარ დამთავრდა, რომ ეს ყველაფერი აღარ დავინახო? აღარ დავინახო, როგორ დგახარ სარკესთან და ისწორებ მაგ საზიზღარ ბანტს, მერე სიგარეტის კოლოფს იმოწმებ გარეთა ჯიბეში, მერე - საფულეს გულის ჯიბეში. მერე შლაპას ირგებ თავზე და თითებით სრეს ფარფლებს, აი, მაგ ადგილას, სადაც ყველაზე გაცვეთილია ეგ შლაპა!.. ყოველ პარასკევს, ყოველ პარასკევ საღამოს ერთი და იგივე... წლიდან წლამდე ერთი და იგივე. ერთი და იგივე... კვირა დილას ერთი და იგივე, კვირა დილას იმ საზიზღარ ადგილას, იმ სუნიან ცხენებთან და მერე - ერთი და იგივე... გეხვეწები, გემუდარები, რატომ მარტო თამაშს არ დასჯერდები? დაანებე თავი ცხენებს, დაანებე თავი ცხენებს, თორემ ავიღებ ამ დანას და თავს მოვიკლავ... - ამ სიტყვებს ლამის ოცდაჩვიდმეტი წლის განმავლობაში იმეორებდა ბიცოლა ელენია, რძალი, ცოლი და დედა ერთი პატარა, წესიერი და უთქმელი იოანური გვარისა.

გვარი მოლაშქრეთა იყო, ძალიან ძველი, თუმც კი, ქონება ვერ დაეგროვებინა, როგორც მოლაშქრეთა გვარების ცხრა მეათედს.

ოდესღაც მედროშენი ყოფილიყვნენ.

საპატიო თანამდებობაც გახლდათ, ათგზის საპატიოც შეიქნებოდა, ციხიონი რომ ხშირ ბრძოლებში გაბმულიყო. გვარად ძველქართველურად დარჩენოდათ თავიანთი ხელობა და იწოდებოდნენ მედროშედ, ხოლო ოსმალნი მათ ეძახდნენ ბაირაღ ოღლის, რაიც იგივეს გულისხმობს.

ისე გამოსულიყო, რომ ინგლისელთა შემოსვლის შემდეგ იმ დროის მედროშეს, ფარნას, არ მოსწონებოდა ანგლეზური პოლიტიკა, რომლის წყალობითაც ყოველი მოლაშქრე უმუშევრად დარჩა და იმ დროის უცაბედ გაღატაკებას მათმა შთამომავლებმა აქამომდისაც ვერ დააღწიეს თავი. არ მოსწონებოდა და, დროშა რომ მიეტანა უკანასკნელ ციხისთავ სარი ბეგთან, მასთანვე დარჩენილიყო ფარეშად.

იმის მერე კი ბევრმა წყალმა ჩაიარა და მცირე რამ ნაგლეჯი მიწისა, რომელზედაც ადრე პატარა სახლი ედგათ მედროშეებს, ფარნას შთამომავლებს რგებოდათ. ამ შთამომავალთა მთავარ ხელობად კი თანდათან ჩამოქნილიყო ადგილობრივი ბანქოს - ინტის თამაში, რომელსაც მეტისმეტი ჭკუა სჭირდება. ამ ხელობას მტკიცე და ურყევი სახე მიეღო 40-იანი წლებიდან და ბიცოლა ელენია მაშინ შექნილიყო მედროშეთა რძალი, როცა მამამთილად კიდევ ერთი ფარნა მოთამაშე გახლდათ, ქმრად კიდევ ერთი ფარნა და მესამე შვილსაც, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, ვაჟი გამოდგა, დაერქვა ფარნა.

ინტის ჭკვიანი მოთამაშე თავს გაიტანდა ძველ დროში, სასმელ-საჭმელი არ გაუჭირდებოდა, თუკი თავისი გაქანების დასტაში მოხვდებოდა და თამაშში თავის საუკეთესო თვისებასაც აღმოაჩენდა, მაგრამ ფარნა მედროშეებს სხვა უბედურება სჭირდათ.

ინგლისელთა შემოსვლის კვალმიდევნებით სანტა ესპერანსას კუნძულებზე სულ სხვა იერი მიიღო დოღმა, რომელიც ადრე უფრო სალაღობოდ და ჯომარდობის საჩვენებლად იმართებოდა მოლაშქრეთა შორის. მაგრამ, როცა მონაბერას მთის ძირას, მაშინ ქალაქიდან კარგა მოშორებით ცალტერასიანი იპოდრომი აშენდა და იქ ტოტალიზატორიც ჩატრიალდა, სინამდვილემ იქამდე მოულოდნელი სურათები შვა.

პირველ მოთამაშეთა შორის გაჩნდა იმდროინდელი ფარნა მედროშეც და ცხენებისადმი ლტოლვას და იღბალ-ცოდნის გამოცდას საბედისწერო იერი მიანიჭა.

ეს იყო 1927 წელს და იმის შემდეგ მედროშეთა ცოლების ცხოვრება ერთმანეთს დაემსგავსა: პარასკევ ღამით ინტში მონაგებ ფულს ქმრები კვირა შუადღეს დოღზე აგებდნენ.

ეს ღვთის რისხვა იყო.

საინტო ტვინი სრულიად მოურგებელი აღმოჩნდა უბრალო ფსონებისა და ცხენების რაობის შესასწავლად.

როგორც მოთამაშეთა უმეტესი ოდენობა, მედროშენიც იმგვარ უცნაურ დაკვირვებათა მიმდევარნი შეიქნენ, რომელსაც სხვა, უწყინარი ადამიანი, თუ რამ ბუნებითი სირთულე არ დაჰყოლია, ვერც კი წარმოიდგენს. სახალხოდ ამას ცრურწმენებს უწოდებენ, სინამდვილეში კი ეს ცრურწმენა კი არ არის, არამედ ცხოვრებიდან

მოხმობილ მაგალითთა იღბალთან იდუმალი კავშირის შესაძლებლობათა ძიება. ვაი რომ, ეს კავშირები ზოგს ყოველ ცისმარე უმყარდება, ზოგს კი ათ წელიწადში ერთხელ.

ბიცოლა ელენიას ქმარი ფარნა მედროშე ყოველთვის ერთსა და იმავეს აკეთებდა ინტის სათამაშოდ წასვლის წინ. ცოლს მისი ყოველი მოძრაობა ზეპირად დაემახსოვრებინა და ქმრის რიტუალებს მოთქმით აღწერდა ხოლმე. კვირა დილის დაცდილი ქცევანი კი დიდხანს არ გასტანდა ხოლმე: დოღში უიღბლო ფარნა იმათ მალიმალ გამოცვლიდა. მამას გამოემსგავსა უმცროსი ფარნა მედროშეც, ოღონდ იმას მთლად გასაგიჟებელი რამ სჩვეოდა: სადაც არ უნდა ყოფილიყო, პარასკევ საღამოს, ექვს საათზე დედასთან მოვიდოდა, იქ გამოინასკვავდა ყელზე მამისეულ ბანტს, მოირგებდა კარგად შენახულ შლაპას და აუცილებლად ისე წავიდოდა ინტის სათამაშო კლუბში. ამის ცქერა გრძნობებს აუშლიდა ხოლმე ქვრივ ელენიას: ერთი რომ, თვალწინ გარდაცვლილი მეუღლე წარმოუდგებოდა და, ცხადია, გული აუჩუყდებოდა, მეორე რომ, გაახსენდებოდა, რომ შაბათ გამთენიისთვის მოგებულ ფულს მისი შვილი დოღის საფსონე სარკმელში დასტოვებდა და ეს ნაცნობი გზა ამწარებდა. თავის მხრივ ამგვარი წარმოდგენაც კი კვლავ გარდაცვლილ თანამეცხედრეს დაუყენებდა თვალთა წინ და მაინც გულის წვას გამოიწვევდა, და მესამეც რომ, ბიცოლა ელენიას აღარ შეეძლო, თუმცა, მეტ ჩარას ცხოვრებისას ვერა ხედავდა და აღარც ეგლოვა?

მედროშეებს რა გამოცვლიდა. ისინი იყვნენ მოდგმით ტანდაბალნი, ფართე ხელისგულიანნი და წესიერნი. ხელისგულები ალბათ დროშის ჭერისგან დაფართოებოდათ, თუმც კი, ბანქოს საკითხშიაც გამოსაყენებელი რამ იყო: ქაღალდს იოლად იჭერდნენ თითებში.

თავიდან ბიცოლა ელენიას უმცროსი ფარნას ცოლისა ეიმედებოდა, ავკარგიანი, ჯანიანი, მთქმელი ქალიაო. ერთ დროს თავადვე გააკვარახჭინა ეს საქმე მოსიარულეთა დახმარებით, მაგრამ ფარნას დაოჯახების მეცხრე წლისთავი იწურებოდა და მისი ცოლი კიდევ მაღაზიის დახლში დგომას ვერ გასცდა. თუ აბობოქრდებოდა ქალი, ფარნა წყნარად მოიცვამდა თავის თამბაქოსფერ სიუითს და გადმობარგდებოდა დედასთან. მერე იწყებოდა უაზრო მოლაპარაკებები ბიცოლა ელენიასა და ზაჰირას შორის და ფარნა შინ ბრუნდებოდა. დედაცა და ცოლიც ერთს ითხოვდნენ, მედროშეს დოღზე სიარულისთვის თავი ენებებინა, თორემ ინტში ფარნა ისეთი ოსტატი იყო, რომ გაზეთებშიც გვარიანად ეხსენებინათ. ზაჰირა ამაყობდა ამ ნახსენებით: ჩარჩოებში ჩასმული საგაზეთო ამონაჭრები დახლის თავზე ეკიდა და ოცნებობდა, იჯარით აღებული პაწაწინა კორნერშოფი თავისად ექცია და მისთვის ფარნას ყურე ეწოდებინა. იჯარას ძლივსა სწვდებოდნენ. პატრონმა იცოდა მედროშეთა ამბავი, სამი, ოთხი, ხუთი თვეც კი დაუცდია ქირის ამბავში. აჰ, რა ბედნიერება იყო, როცა დოღის სეზონი შეწყდებოდა. მაშინ თუ დაეტყობოდათ რაღაც. თავად ინტიც არ იყო ისეთი თამაშობა, რომ იმით სასახლეები აგეგო, მაგრამ დოღის სეზონის შეწყვეტა წამსვე დაეტყობოდათ ზაჰირასაც და მათ ორ ქალიშვილსაც, პატარა ციცინათელებს, როგორც ბიცოლა ელენია უწოდებდა.

თავად ფარნა უარს არ იყო დოღზე თამაშის დაგდებაზე. რას მიუხვდებოდი? მოთამაშეებს არ უყვართ ოჯახში ხმაურობა და თუ ამბავს აუტეხავ, წაგებასაც შენ დაგაბრალებენ. მაგრამ ფარნა ასეთი არ იყო. როცა მიესეოდნენ, ცხენში იღბალი არა

გაქვსო, ერთს იტყოდა: - მაშინ ხო მოვიგე, ხოდა კიდე ერთხელ სანამ არ მოვიგებ, ვერ მოვეშვები. თქვენ არ გესმით!

და მართლა, ვინ გაუგებს მოთამაშე კაცს? ვინ გაუგებს? იმათ არაფერი იციან. და ფარნა მართალი იყო, მართლაც ხომ მოეგო დოღზე ერთ კვირა დღეს?

ეს იყო წლინახევრის წინათ.

და ახლა, ყოველ კვირა დილას ფარნა ლურჯ პერანგს მოირგებდა, ჯერ შეიკრავდა ყველა ღილს, მერე კი ზედა ორს გაიხსნიდა. მოიცვამდა თავის ერთადერთ სიუითს, გარე ჯიბეში სამჯერ დაჰკრავდა წკიპურტს სიგარეტის კოლოფს, რომელშიაც ჩვიდმეტი ღერი იყო, მარჯვენა ხელის ორ თითს ორი დღის გაუპარსავ ნიკაპზე ჩამოისვამდა და სიტყვის უთქმელად გავიდოდა სახლიდან.

წინასწარ დასახული ქუჩებით, ასე, რომ კიდეებიც დაემახსოვრებინა, სად მარცხნივ იაროს და სად მარჯვნივ. ის გასწევდა მოლაშქრეთა სასაფლაოსკენ, სადაც ემარხა მამამისი ფარნა მედროშე. ჩაუვლიდა მარცხენა მხრიდან მოლაშქრის ძეგლს, ერთს ახედავდა და ბილიკ-ბილიკ გადაუყვებოდა მამის საფლავისაკენ. იქ ცხვირსახოცს მიუსვ-მოუსვამდა საფლავის ქვას, ჩამოჯდებოდა სკამზე და ზედიზედ გააბოლებდა სამ ღერ სიგარეტს.

მერე იქიდან წამოვიდოდა, აუცილებლად მარცხენა ფეხით გადმოაბიჯებდა სასაფლაოს ალაყაფის მიჯნას და კვლავ დაბლა დაუყვებოდა. იქ მილეტის ქუჩაზე ჩაჯდებოდა მეშვიდე ნომერ ავტობუსში, რომელშიაც აუცილებლად შუა კარიდან ავიდოდა. პირველ ავტობუსს აუცილებლად გაატარებდა, მეორეში კი მარცხენა მხარეს, ფანჯარასთან დადგებოდა. რაც არ უნდა ბევრი ხალხი ყოფილიყო, მაინც გაძვრებოდა იმ ფანჯარასთან. ხალხი თითქმის ყოველთვის ბევრი იყო, რადგან ამ უბნიდან ეს ერთადერთი ავტობუსი მიდიოდა იპოდრომამდე.

იქ, მონაბერაზე აუცილებლად მეხუთე სარკმელში უნდა შეეწოდებინა ფსონის ქაღალდი და მაინც, იღბლის სიახლოვეს მხოლოდ მაშინ თუ იგრძნობდა, როცა იმ სარკმელში ჭრელთვალება ქალი იჯდებოდა. იმ ქალს მილენა ერქვა და ჯენოელი იყო. რატომ ჰგავდა, ძნელი სათქმელია, მაგრამ სწორედ ეს ქალი იჯდა მეხუთე სარკმელში მაშინ, როცა ფარნამ ქვითარი შეაწოდა და მისმა ქვითარმა კი მოიგო.

მაშინაც სწორედ ასეთი დილა იყო, ფარნამ მამის საფლავზე გაიარა იპოდრომზე წასვლის წინ, ავტობუსი სავსე იყო და მეორეშიც ძლივს შეეკვეტა. მანამდელი ყველა ნიშანი და მოქცევა იპოდრომზე არ ამართლებდა და რასაკვირველია, ფარნამ იფიქრა, ერთადერთი გზა ცხენებში გამარჯვებისა არა მხოლოდ ცხენთა რაობაში გარკვევაა, არამედ იპოდრომამდე იღბალა გზით მისვლაო. ეს იღბალა გზა სულ ნაბიჯ-ნაბიჯ, ქცევა-ქცევა გამოიცოცხლა გონებაში და აგე, მეორე გაზაფხული ილეოდა, ერთგულად მისდევდა, თუმცა, საუკეთესო, რაც მოახერხა ამ ორ დროში, ის იყო, რომ ერთხელ თავისი ფსონი მთლიანად დაიბრუნა, მეორედ კი - სანახევროდ. მოგება, როგორც მოგება, არ ყოფილა. არ ყოფილა, მაგრამ უნდა ყოფილიყო, ვინაიდან იმ ორჯერაც მეხუთე სარკმელში მილენა იჯდა.

ყველა მისვლაზე, თუკი მილენა დაუხვდებოდა, ფარნა მედროშე მარცხენა ხელის ორი თითით შეაწვდიდა ქვითარს და ეტყოდა: - დღეს ასე, სინიორა მილენა...

ამიტომაც, ფარნა ვერ დაანებებდა. იცოდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს ყველაფერი ზუსტად ასრულდებოდა. ვინ მიუხვდება მოთამაშეს?

ფსონზე მოთამაშეს ვერავინ მიუხვდება, ვინაიდან რამდენიც მოთამაშემ იცის თავისი ხელობის შესახებ, იმდენი არავინ იცის თავისი ხელობის შესახებ. მაგრამ ეს ცოდნა უფრო ხშირად სრულიად გამოუყენებელია, ვინაიდან ჰალალად უთმობს ხოლმე სამეფო ადგილს ნიშანთა მთელ დივიზიას, რომლებიც მოთამაშეს კარგად დაუცდია, ან გამოუცდია.

აი, რას ეუბნებოდა დიდი ფარნა პატარა ფარნას, როცა ცხენებზე ელაპარაკებოდა: - არსებობენ კარგი, კიდევ უფრო კარგი და მთლად გადასარევი ცხენები. დოღზე ცუდი ცხენი არ არის. არსებობს კარგი და კიდევ უფრო კარგი ქვითრები. მოთამაშე ცუდ ქვითარს არ წერს. ცუდ ქვითრებს გასართობად მოსული ხალხიც კი იშვიათად წერს. მოთამაშე ყოველთვის მართალია. დანარჩენი სულ სხვაგან წყდება, ამიტომ, ცხენებზე კი არ უნდა იფიქრო, არამედ იმ რაღაც სხვაზე. მე სულ ვფიქრობ...

მაგრამ ეს დოღი და ქვითრები იყო. სულ სხვა გახლდათ ინტი. ინტი ხომ დოღი არ იყო და როგორ ეტეოდა მედროშეთა თავში ეს ორი თამაში, ძნელად ამოიცნობდი. ალბათ, არც ეტეოდა, იმიტომ, რომ დოღს იქ ერთი უბრალო, კუთხეში ჩამოსაჯდომიც ვერ ეპოვნა, ინტი კი ტახტზე დაბრძანებულიყო არქიელსავით. აკი ეხვეწებოდნენ ცოლიცა და დედაც ფარნა მედროშეს, გეყო ამ ინტის თამაშობაც, თუკი თამაშას თამაში მოაქ, მიდი მათალოს კლუბში, თავად მათალოს დაელაპარაკე და სეზონზე სამი-ოთხი მოწაფე არ გაგიჭირდება, აგე უცხოელები როგორ ესევიან მანდაურობასო. ამაზე ფარნა მოკლედ მიუგებდა: - მე მოინტე ვარ, თამაში მამაჩემმა მასწავლა. ხელი როგორ გავიფუჭო? მედროშეები მასწავლებლად ვერ წავალთ. მასწავლებლად ბეღურები მიდიან.

- მაშ, მათალო ბეღურა ყოფილა და შენ კი ბაზარდი! - შესძახებდა ცოლი დედამთილის იმედით, - აბა უსმინეთ, რა სთქვა...

- მათალო, შვილო... მათალო იმის წინა ფარნასაც მაგიდაში უჯდა... - იტყოდა დედა.

- მივიდეს, სთხოვოს მათალოს...

რაზეც ფარნა მხოლოდ თავჩახრილი ჩაიღიმებდა, კარგა ხნის მერე კი განუმარტავდა: - მათალოს მე რა უნდა ვთხოვო, კლუბში კლერკად დამაყენოს? ჯამაგირი ავიღო? ისეთ ხალხში ვირჯები, რომ მათალო იმათ შლაპებს სულს უბერავს, მე კიდევ ისინი პატივსა მცემენ, ჭიქას მიდგამენ, რჩევას მეკითხებიან. მათალო იქ ჩემი მოსამსახურეა.

- იმის გარეთ კიდე ბატონი, არა? თამასუქებს რო მოგაფარებს ხოლმე...

და ბოლოს, ფარნა მედროშე რასმეს ისეთს იტყოდა, რომ ქალები უნდა ჩადუმებულიყვნენ: - წუხელის ვინ დარეკა ამ სახლში? ტელეფონში რა დაიბარა, ვინა ვარო?

ცოლი უხალისოდ მიუგებდა, რადგან დაატყობდა, რომ ფარნა ახლა ისეთ ბანქოს გაათამაშებს, ვერსად წაუხვალ.

- დათა ვისრამიანი ვარო...

- მერე? გადახედეთ მთელმა სამეზობლომ, რა მანქანა შემოსრიალდა იმ დღეს ჩემ სანახავად? დედაჩემო, შენ ხომ გადახედე იმ ჩვენი კაი სახლიდან, იქ რო გამომატარეს? განა მანქანა მიკვირს, განა ოქრო მინდა? დათა ვისრამიანი მოდის ჩემსა და წყვილობას მთხოვს. შენზე უკეთ ჩემ მოფიქრებულ გზებს ვერავინ გამიტარებსო. წყვილში ვიყოთ თავდამცველებიო, ფული ჩემიო. გესმით? იცით, ვინ გახლავს დათა ვისრამიანი? სიდიდეს არ ვამბობ, რა კაცობა იცის, არ გაგიგონიათ? იცით, რო სულ სხვა დასტაში გადავყავარ და მარტო სმოკინგიანებში უნდა ვითამაშო? მე ეგ კი არ მაღორებს. მე მიხარიან, რომ ამბობენ, აი, მოთამაშეო. მამაჩემს უხარია საფლავში, დიდისდიდ ფარნასაც უხარია... თქვენ ხო თამაშის არ იცით.

ქალები ამას ვერ აღუდგებოდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც წაიბურტყუნებდნენ: - ხოდა, გაანებე ცხენებს თავი.

- გავანებებ, - იტყოდა ფარნა, - რო ვაჯობებ.

- რატო აღარ დამთავრდა, - მაინც ამოიკვნესებდა ბიცოლა ელენია და აიღებდა თავის ძველებურ ჩანთას, რათა შინ წასულიყო.

მოსიარულე

კაცი, რომელიც იყო მოსიარულე

(სურათები შაბათის ცხოვრებიდან)

1.

სასტუმრო „სიტი პიაცას“ მარცხენა კაფეს ტერასა მოთამაშეთა საყვარელი ადგილია. ისინი ნაშუადღევს იღვიძებენ შაბათობით და მთელი ქალაქიდან მოდიან ხოლმე აქ წინაღამის ამბების გასაცვლელად.

ასევეა კვირასაც, ოღონდ უფრო საღამოს პირზე, რადგან კვირაობით ინტის პარტია დღის თორმეტი საათისთვის უნდა მორჩეს. ასე წერია კანონში.

ხშირად სასტუმროში მცხოვრები უცხოელები ვერ ხვდებიან, ვინ არიან ეს სხვადასხვა ასაკის კაცები, ცალფეხა მრგვალი მაგიდები ერთმანეთისკენ რომ მიუჩოჩებიათ და ხორხოცებენ. მშვიდი მასლაათიც გამოერევა ხოლმე, მაგრამ შეძახილებიც ხშირად მოისმის. ბანქოს საზოგადო ადგილზე გადაშლა კანონითაა აკრძალული, ამიტომ წინაღამის პარტიები ზეპირად ირჩევა, ანდა ქაღალდის სუფრაზე, კაფეს მაგიდებს რომ აფენია.

ამ კაფესაც იმიტომ შეჩვეოდნენ ბანქოს მოთამაშეები, რომ სუფრები იმ პატარა მაღალფეხიან მაგიდებზე ქაღალდისა იყო, საგანგებოდ ამ მაგიდებისათვის შემოჭრილი და ერთჯერ სახმარი.

სამხრეთით უკვე ტყვეთა მოედანია,ზედ ორ ნაბიჯში კი ნაპირის უბნის კარგი პლაჟი, ნაპირა ბიჩ: უამრავი კოხტა ქალი ეფიცხება მზეს, უამრავი ბავშვი ჭყიპინებს და

უამრავ კაცს წაუფარებია თავზე გაზეთი მზეში გულაღმა საძინებლად, ტერასაზე კი მაინც სიმყუდროვეა.

კარგი ადგილია.

2.

იმ შაბათ დილას, ქალაქის მეორე ბოლოდან ნაპირის უბნისკენ, სასტუმრო „სიტი პიაცასკენ“ ტრამვაის უკანა ვაგონით მოდიოდა შუახნის, მზით შემწვარი, გამხდარი კაცი, მოტიტვლებულ მკლავებზე გადახუნებული სვირინგები რომ ეტყობოდა, ჭილის ქუდს შიგნიდან კი ჭაღარა თმის კაი გრძელი მტევნები გამოეჩეჩა.

ეს იყო ორმოცდაცხრამეტი წლის მოსიარულე ლამურ მოსიარულე და, როგორც ყოველთვის, მღვრიე ამბავი მოჰქონდა.

მოსიარულე ამ კაცის ხელობასაც დაერქმეოდა და იმავ დროს გვარიც იყო, როგორც კუნძულის ბევრი სხვა გვარი.

3.

ძველ დროში, კუნძულის სიპატარავის გამო, ციხისთავებს შიკრიკები არ სჭირდებოდათ: თუ რამ ზღვის გაღმიდან მოუვიდოდათ, იმავ მომტანს გაატანდნენ პასუხს, ანდა წინასწარ გამზადებულ, გასაგზავნ ფირმან-გუჯარებს.

კუნძულებზე ბრძანების გასავრცელებლად ციხისთავს ორი მსახური ჰყავდა ხოლმე, რომელთაც მოსიარულეებს ეძახდნენ. ესენი დადიოდნენ სოფელ-სოფელ და ბრძანებებს უამბობდნენ ხალხს. ბრძანების გარდა, ეს უბრალო ხალხი, ერთი-ორი ჭიქა ღვინის და უბრალო ხემსის ფასად, არა მხოლოდ ბრძანებას, არამედ ციხის, მონასტრის და სამყაროს ამბებსაც მოუყვებოდა ხოლმე შემოკრებილ ხალხს.

მოსიარულეს ერთი სხვა შემოსავალიც ჰქონდა: სოფლიდან სოფელში ან ციხესიმაგრეში მიმავალს ხალხი თავთავიანთ ამბებს ან დანაბარებს გაატანდა ხოლმე ერთ ფასად. ესეც რომ არა, მოსიარულეს დამნახავი თვალიც ჰქონდა და შემჩნეულს უმათოდაც წაიღებდა ხოლმე.

ეს იყო კუნძულების ფოსტაც, კურიერიც, გაზეთიც, ჭორიც და, ესე ჩავთვალოთ, მაჭანკალიც.

დრო რომ გამოხდა, მოსიარულის ხელობა ბრიტანეთის ფოსტამ შეცვალა, მოსიარულე კი უქმი დარჩა, თუმც ათასი ამბის ცოდნა მაინც არ დაიშალა და საჭირო კაცად შეიქნა ნაირგვარი ღირსების ადამიანებისთვის, რომლებსაც ასევე ფულად, დაფარულ რამეებს მოუთხრობდა.

ბოლოს, მოსიარულეთა ორმა ოჯახმა პატარა კანტორაც გახსნა და კარს წააწერა: „კერძო სამსახური ლამური და პინგიო.“

ეს მთლად კერძო დეტექტივების ბიურო არ იყო, მაგრამ არც რა აკლდა. იმ განსხვავებით, რომ მოსიარულეები ყოველგვარი შეკვეთის გარეშეც აგროვებდნენ დაფარულ ისტორიებს და საჭირო შემთხვევაში ან გაჰყიდდნენ, ანაც გაზეთებს მისთავაზებდნენ. შანტაჟიც შეეძლოთ, ოღონდ ძალიან ფრთხილად და ამორჩევით.

სხვაფრივ კი მოსიარულესთან ჩამოჯდომას და ლაყბობას, თუ ეს ლამური და პინგიო ხასიათზე იყვნენ, კაი გასართობიც დაერქმეოდა.

4.

ლამურ მოსიარულე სრულიად შეგნებულად მგზავრობდა ტრამვაის უკანა ვაგონით. ერთი ძველი „პეჟო“ კი ჰყავდა, მაგრამ იმით მხოლოდ საგანგებო შეხვედრებზე დადიოდა. მისი ხელობა ხომ სმენა იყო. საკუთარ მანქანაში კი რადიოს მეტს ვერავის მოუსმენ, უარეს შემთხვევაში - ცოლს.

5.

სამ მაგიდას ასე თორმეტი კაცი მიჯდომოდა, როცა ერთ-ერთმა, პირით ქუჩის კუთხისკენ მჯდომმა თქვა: - მოსიარულე მოვიდა.

არავის გახარებია.

- დაყრის ნაგავს და წავა...- თქვა ვიღაცამ, - აი, ამ ჭიქაში ჩააფერფლებს. იმიტო რო, პირდაპირ არ მოვა. აი, ნახე, ზურგიდან მოგვივლის და ეგე იმ სკამს მოიტანს. იმ სკამზე თუ დაჯდება, აი, ამ ჭიქაში ჩააფერფლებს, იმიტო რო, საფერფლე არა აქვს თავის კანტორაში და ჭიქებში აფერფლებს, - რა იცოდნენ ინტის მოთამაშეებმა და გამოთვლები.

- აბა, უცბად, უცბად, - იმ ჭიქას მისწვდა სხვა და ნარჩენი ყავა გამეტებით მოსვა, - სანამ წაუბილწია.

ასე ხითხითით დაელოდნენ. მხოლოდ ერთი ადევნებდა თვალს ქვეშ-ქვეშ და ინტის პარტიასავით ყვებოდა: - ვითომ ბიჩისკენ მიდის. აის ქრიმის კაფეს უკან გავიდა... არ გამოდის... აი, გამოვიდა... ბიჩს მოყვება, ვითომ ქალებს ათვალიერებს...

- ვითომ კი არა, მართლა ათვალიერებს...

- არა, ვითომ, იმიტომ რომ, მართლა ეგ მარტო ფეხისადგილებს ათვალიერებს...

- ხა-ხა-ხა...

ასე იყო.

- აჰა, წამოვიდა... მოიცა, ვითომ რაღაცას გელაპარაკები...

გაგიკვირდებოდა ამ დროული კაცების მოქნილობა და ხალისიანი ერთობა, იმის მიუხედავად, რომ ერთმანეთს ხშირად აართმევდნენ ხოლმე ფულებს.

- მოთამაშეებს მივესალმებით, მოთამაშეებს... საით ვიყურებით, ზღვისკენ? ვერ ვხედავთ მეგობრებს, ამხანაგებს. ჰაი, მეით, ჰაი...

- ეს ვინ მოსულა. რას მივირთმევთ?

- არაფერს... საქმეებზე დავდივარ. საქმეზე წრუპვა არ გამოვა. თქვენგან არ ვისწავლე?

6.

- აი, რამდენი ხართ. არ ვიცი, ვინ რას თამაშობთ. უფრო სწორად ვიცი, რო ინტს თამაშობთ. იპოდრომზეც დამინახიხართ, მაგრამ ეგებ გასართობად თამაშობთ? ასეა? ასეა. ახლა ამბავი მაქ და ფული არ მინდა. ხვალ ხო დიდი ესტერის პრიზია, არა? მე კიდევ ცხენი ვიცი. აი, ამის სათქმელად მოვედი. ვისაც ამბავი უნდა, საღამოს მირეკავს. ლიგურიას რესტორანში ვხვდებით, კონტრაქტს ვდებთ, რო ხვალ იმის შეტანილი ფულის ნახევარი ჩემია და მოგებას და წაგებას ვინაწილებთ. კონტრაქტი ზეპირია, მესამე კაცი ესწრება. იფიქრეთ ამაზე... ჯერ თქვენთან მოვედი. საღამომდე გიცდით, ექვსამდე. შვიდზე თქვენ სათამაშოდ დასხდებით, ასეა? მე სხვაგან წავალ. ღვთიშობლის მადლმა, პირველად თქვენთან მოვედი. ახლა არ თქვათ, საიდან იციო? თუ გინდათ, თქვით. პატიოსანი დოღია. სიბინძურე არ არის. უბრალოდ, ერთი ამბავი ვიცი, რაც გაზეთში არ ეწერა.

7.

მოთამაშეთა შორის იყო ფარნა მედროშეც, რომელიც, ბოდიში და, სწორედ დოღის ამბებს ათვალიერებდა გაზეთში.

- რა არ ეწერა გაზეთში? - იკითხეს მოთამაშეებმა.

ფარნა მედროშემ გაიცინა: - აქ რა უნდოდა? პირადად ჩემთან მოვიდა.

ჭკუასთან ახლო იყო. იცოდნენ, რომ თუ ვინმე წამოეგებოდა, სწორედ ფარნა.

მოთამაშენი გეგმას არასდროს ჰკითხავდნენ ერთმანეთს, თუ ვინმეს თქმა სურდა, შეკითხვა იგულისხმებოდა.

- არ დავურეკავ, - თქვა მან და აუხსნა, რომ ერთადერთი, რაც მოსიარულეს შეიძლებოდა სცოდნოდა, ის იყო, რომ ფავორიტი მთლად ჯანზე ვერ არის და მისი საჯინიბო ამას მალავს. ამის შემდეგ გამოსაცნობია, რომელი ცხენია ყველაზე კარგ ფორმაში.

- სულ ეგ არის?

- არა, ეგ ვერაფერს გაშოვნინებს. შეიძლება ყველაფერი პირველ სამ წამში შეიცვალოს. ეგებ ახალმა კარგად ვერ დაიწყოს. ჟოკეიმ რაღაც... - ფარნამ ხელი ჩაიქნია, - სულ სხვა რამე უნდოდა.

ყველა დაეთანხმა.

სადილობის დრო მოდიოდა.

- ავიყარენით, - თქვა ვიღაცამ, - კაი პარტია...

- კაი პარტია... კაი პარტია...

8.

ლამურ მოსიარულე კაფეში იჯდა პორტა ნოვას ქუჩაზე. სკამზე გადაწოლილიყო და ჭილის შლაპა თვალებზე ჩამოეფხატა. თვალდახუჭული ისმენდა ხმებს, უცხოელების ჩვეულებრივ ლაპარაკებს მზის, საჭმელებისა და პარაშუტით სეირნობის შესახებ.

- ჰეი, - მხარზე დაჰკრა თითი ფარნამ.

- ვახ, - ქუდი ჩამოსძვრა ლამურ მოსიარულეს, - ა, ჰა, ჰა�ა... მოხვედი? იცი, არა, სადაც ვზივარ ხოლმე შუადღისას?

- კარგი, ერთი... - ჩამოჯდა ფარნა.

- რას დალევ?

- ორმაგი, პიტნით...

- მთლად მამაშენი ხარ. პირის გემოც ზუსტად გამოგყვა... დედა როგორ ბრძანდება? - და მიმტანს ახედა: - ორმაგი პიტნით და მე კიდევ ერთი იგივე.

- მოხუცდა...

- ყველა ვბერდებით. ქვრივები სხვანაირად ბერდებიან...

- რა იყო?

- მიხვდი, არა?

- აბა, როდის იყო ცხენებზე მუშაობდი?

- სახლში დარეკვა არ მომინდა. ლამური რეკავს, ჭორი ვრცელდება. ჩვენთან ლამურმა დარეკა. ერთი თვის სალაპარაკოა... ისე, მართლა ვიცი ცხენების რაღაცა. თუ გინდა, გეტყვი.

- სთოუნვოლს კუჭი აეშალა გუშინწინ, ხო?

- ვახ, მაგ ამბავში ჩვეულებრივი ვყოფილვარ. არ არი ჩემი ხელობა.

- არა. ყველამ კი არ იცის.

- შენი თამაშის შენ იცი. თამაშის ამბავს ვერ გაიგებ. ეხლა ერთი რამეა... ხო იცი, მე მამაშენს პატივს ვცემდი. ერთ ეზოში დავიზარდეთ და მერე რა დროს. დროსაც ხო აქვს აზრი. ეხლა იზრდებიან და რა? რესტორნებში სამუშაოდ იზრდებიან. ასეა? ასეა. რასაც ეხლა გეტყვი, ფული არ მინდა, მაგრამ ფული შეიძლება დამჭირდეს, თუ კიდევ რამე გასაგები იქნა. ისე არ გაიგო, რო გეკითხები, გადამხდელი ხარ-თქო. ეს ამბავი დაგჭირდება, კაცნი ვართ... ასეა? მაგრამ ამ ამბავს თუ გაგრძელება მოყვება, ფული დამჭირდება. ბევრი არა. შაბათ საღამოს რო მოიგებ იმ მსუქნებში ვისრამიანის ბიჭთან ერთად, ხუთასი ფუნტი ცალკე გადადე და იპოდრომზე მონარჩენი წაიღე. ერთი კვირა არა გიჭირს. ის ხუთასი შეიძლება ჩემთვის მოსაცემი გაგიხდეს. ასეა? არა თქვა, რო გევაჭრები, თადარიგს გაჭერინებ. რა იცი, რა ხდება?

- არ იცი, - გააბოლა ფარნა მედროშემ.

- ასეა... ნამდვილად უნდა იცოდე და ამ ამბავს გჩუქნი.

გოგო დოქით და მტევნები

ედმონდ კლევერი

„ჩიბუხის ძიებაში: შავ ზღვაში დანთქმული ნაღვერდალი“

(ნაწყვეტები) „ჩემი ძიებანი გრძელდება. თუმცა, ძიებას ის უცნაურობა ახლავს, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გითხრას რაღაც ალი ბეის ჩიბუხის შესახებ. ეს ამბავი ყველამ იცის.

მე უცხო კაცი არა ვარ სანტა ესპერანსაზე და განსაკუთრებულ პატივისცემას ვგრძნობ.

„კიდევ ჩვენს შესახებ წერთ?“ ჩვეულებრივი შეკითხვაა და ტაქსის მძღოლმაც ისევე იცის ჩემი ვინაობა და ჩემი ორი წიგნის სათაურები, როგორც ტურისტების მეგზურმა.

მე აქ შინაური კაცი ვარ, ეს კი ბევრს ნიშნავს. ნახევარი წლის განმავლობაში სანტა ესპერანსას კუნძულების მოსახლეობა სამმაგდება, ხშირად ოთხმაგდება კიდეც. ყველგან რაღაცას აშენებენ.

„მალე აქაურობა ერთი დიდი ბუნგალო იქნება,“ მეუბნება ალფრედო და კოსტა, დამოუკიდებელი მეცნიერი.

ალფრედო და კოსტა სანტა სიტის მთავარი მუზეუმის, ციტადელის თავმჯდომარე და შემლებული კაცია. მისი შემოსავლების კვლევა მე არ დამიწყია და ეს ულამაზოც იქნებოდა. და კოსტანი ხუთასი წელიწადია, რაც კუნძულზე ცხოვრობენ. წარმოშობით გენუელები არიან და აქ გენუურ ახალშენ კაფადან გამოერიდნენ მომთაბარეთა ცეცხლს. მათი საგვარეულოს შესახებ ჩემს წიგნში „სანტა ესპერანსას ნაზავი, ცოცხალი წარსული“ მთელი თავი შევიტანე და თურმე ეს თავი დიდად არ მოსწონებია სენიორ ალფრედოს.

ჩვენი საუბარიც აქედან იწყება.

მას არ მიაჩნია, რომ კუნძულის აწინდელი სახელი და კოსტათა ფერმის სახელიდან წარმოდგება, ამ ფერმის ნათლია კი მის წინაპართა მოურავი, მოხეტიალე ესპანელი იყო.

ამ ვერსიას მე ამ წიგნშიაც გავიმეორებ, ვინაიდან მგონია, რომ სიმართლე ესაა. საერთოდ, კუნძულებს მისი უწინდელი სახელი, სენტ ჯონი, უფრო მოუხდებოდა. ესპერანსა ზედმეტად ტკბილი ჩანს.

ბატონი და კოსტა ხელებს შლის და მეუბნება, რომ ეს კუნძული მდიდარ კაფელთათვის გადარჩენის იმედი იყო, აქ კარგად დაიმალებოდნენ.

ზრდილობიანად ვეთანხმები, მართალიცაა, ოღონდ ესპანელი მაინც არსებობდა.

ამაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა, მე სხვა რამ მაინტერესებს.

ალი ბეისა და ჩიბუხის შესახებ მუზეუმის თამჯდომარეზე უკეთ და ტკბილად ვერავინ მიამბობს. ალფრედო და კოსტა დიდი, ჩარჩოიანი სათვალის შუშებს წმენდს, თითქოს რაღაცის წასაკითხად ემზადება და ფანჯრისკენ მითითებს.

„ზღვა," ამბობს ის, „ალი ბეი ზარმაცი, მელანქოლიური კაცი იყო. ამას მზე და ზღვაც ეხმარებოდა. თუ დაგითვლიათ სასაფლაოები ჩვენს ქალაქში? შორს წასვლა ყველას ეზარებოდა. და იცით, რომელია ყველაზე ღატაკი და დამცრობილი საგვარეულო კუნძულებზე? ციხისთავთა საგვარეულო. საკვირველია, არა? მაგრამ ეს რაღაცაზე მეტყველებს. ეს მათ ხასიათსა და სამყაროსთან ურთიერთობაზე მეტყველებს. საუკუნეთა განმავლობაში მათ საქმე არაფერი ჰქონდათ. ალი ბეი უბრალო გამოხატულებაა ამისა."

„რა ერქვა ალი ბეის ქრისტიანულად?"

„კონსტანტინე... კონსტანტინე, არა? თქვენ დამაეჭვეთ."

ჩვენ ციტადელში ვართ, ქალაქის ყველაზე შთამბეჭდავ ადგილას. აქედან ნახევარი კუნძული ხელისგულზეა, ჭოგრიტით კი - მთელი კუნძული.

„რატომ ინგლისური რეჯიმენტის ისტორიას არ დაწერთ?" მეკითხება უცებ ალფრედო და კოსტა, „ინგლისელებს უყვართ საკუთარ თავზე ამბების სმენა."

„არა მგონია, ეს საინტერესო იყოს," გულახდილად ვპასუხობ და შემხვედრს ვაგებებ: „და კოსტათა საგვარეულოს ისტორია თუ არსებობს ცალკე წიგნად? ბიბლიოთეკებში არა ჩანს."

„არსებობს, ოღონდ ჩვენ მას არ ვბეჭდავთ. ის ხელნაწერი სახით არსებობს და ჩვენს ბიბლიოთეკაშია, სახლში."

მე შევხვედრივარ მის ძმისშვილს, ფლამბოიანტ პოეტსა და უსაქმურს, ალესანდრო და კოსტას.

„მისტერ კლევერ, და კოსტებმა სახელი მივეცით ამ კუნძულს. ევროპაში ჩვენი მიმოწერით დამკვიდრდა სახელი სანტა ესპერანსა. სინამდვილე თუ გინდათ, ეს არის." ასეა, ვერ შეედავები.

მე კი ალი ბეის ვუბრუნდები. ამ ციტადელში საუკუნეთა განმავლობაში ცხოვრობდნენ ალი ბეის წინაპრები და შთამომავლები. თავადაც აქ დაიბადა. ბატონმა და კოსტამ მაჩვენა ის ოთახი, სადაც კუნძულის გამგებლები იბადებოდნენ. პატარა, უფანჯრო სენაკი. აქ, ნახევრადსარდაფში ევლინებოდნენ სამყაროს არჩილიანი ციხისთავები.

„ჰო, მაგრამ ალი ბეი არ ცხოვრობდა ციტადელში. მას სიმაღლე არ უყვარდა. ანდა ეზარებოდა თუნდაც თვეში ერთხელ აღმართებზე ცხენის აჭენება-ჩამოჭენება," და კოსტა ეშხში შედის, „ალი ბეიმ ფორმულა მოიგონა. მან ზღვის გემო იგრძნო და მთავარი კუნძულის აღმოსავლეთ კიდეზე გადასახლდა."

თავმჯდომარე კუნძულების ძველ რუკას მიჩვენებს: „აი, აქ."

როგორც ვიცი, მისი საცხოვრისი არ გადარჩენილა. ის შთამომავლებმა დაანგრიეს. რატომ? უცნობია. მისი სიკვდილის შემდეგ ციხისთავად მისი ძმისშვილი დადგა. ოსმალებმა დაამტკიცეს. თავისიანებს ალი ბეი არ უყვარდათ, მის ბუნდოვან ისტორიას სამარცხვინოდ თვლიდნენ.

ლეგენდა რომანტიკულია. სინამდვილე, რომლის მოქექვასაც ვცდილობ, საკმაოდ სკანდალური.

„ალი ბეი ჰომოსექსუალისტი იყო?“

„არა. საიდან მოიტანეთ?“ თითქოს სწყინს ალფრედო და კოსტას.

„ეს არავისთვის მიკითხავს, პირველად გეკითხებით თქვენ.“

„თქვენი მარშრუტები ცნობილია,“ ოდნავ დამცინავია და კოსტა, „ყავახანის პატრონი მორად ბეი, ვინც შეშლილია ამ ისტორიის გამო, ძალიან ლამაზ ამბავს მოგითხრობდათ და მას ამ შეკითხვას ვერ გაუბედავდით. ასე არ არის? ვერც სხვებს. ვთქვათ, აგათია ხანუმს, ბოლო შთამომავალს. ჩემზე კი ფიქრობთ, რომ ზიზღით ვუყურებ ამ ამბავს. ასეა?“

„არა, უბრალოდ, სხვა დასკვნა ვერ გამოვიტანე. მას ჭაბუკი უყვარდა. ის ლამაზი ჭაბუკი იყო, რომელიც მოაშორეს. ეს მაშინ ძნელი არ იქნებოდა და პატარა კუნძულზე გადაასახლეს. ერთ დღესაც მან შეიტყო, რომ ჭაბუკი გაქრა და ივარაუდა, რომ წყალში გადახტა, ამიტომ თვითონაც ტალღებს მისცა თავი. ასე არ არის? განა ეს სიყვარულის ისტორია არ არის?“

„არა, ეს მელანქოლიისა და იმედის ისტორიაა. ესპერანსა... თქვენ კი ამბობთ, რომ კუნძულს სენტ ჯონი უნდა ერქვას. იმ დროს ჩემი წინაპრები კუნძულზე იყვნენ და მათ მეტი ბევრი ვერავინ სხამდა ერთად თურქებს, რუსებს, ავსტრიელებს და თქვენ წარმოიდგინეთ, ფრანგებსაც. ეს სერიოზული და მძიმე დრო იყო. ზღვაში ჩაკარგული ოსმალური პროვინცია უსაქმური ფაშებით: მოწყენილობისა და სიკვდილის ლოდინის ადგილი, რომელსაც ჩვენ, ჯენოველები ვაცოცხლებდით. ამაზე რატომ არ ფიქრობთ? მე ვიცი, რასაც დაწერთ ახალ წიგნში. თქვენ დაწერთ, რომ ალი ბეი ჰომოსექსუალისტი იყო და ეს იქნება კიდევ ერთი ისტორია, რომელსაც უფრო მეტი ხალხი წაიკითხავს, ვიდრე იმას, რასაც მე გეუბნებით. უბრალოდ, ევროპელებს ასე გირჩევნიათ. ჰომოსექსუალიზმი! მარტივად, გასაგებად და გულისმკვლელად.“

„განა თქვენ ევროპელი არა ხართ?“

„მე გენუელი ვარ. გენუელთა ლაღი და ფათერაკიანი ხასიათი რომ არა, დღეს მსოფლიო ძალიან პატარა იქნებოდა. ვერც ინგლისელები მოიფიქრებდით ზღვათა სერვას. უბრალოდ, ვერ გაბედავდით... <...>“

„<...> ეს საუცხოო ტურისტული მარშრუტი იქნებოდა მთავარი და სამხრეთის კუნძულებს შორის ხიდის ნაცვლად ალი ბეის ჩიბუხის ასლი რომ იყოს გადებული. მთავარი კუნძულის უკიდურეს აღმოსავლეთ კიდეზე ის ქოხი იდგა ზღვის პირას, სადაც ლამაზი ბიჭი, მერე კი ჭაბუკი ბასილა ცხოვრობდა. ხალხი მრავლად მოაწყდებოდა ამ მარშრუტს, მაგრამ მარშრუტი არ არსებობს, რადგან მას გაგრძელება

დასჭირდებოდა, გასაგრძელებელი ადგილები კი ძალიან დიდი ხანია კერძო საკუთრებაა და პატრონს არ სურს, რომ აქ ტურისტული მარშრუტი დააწესოს.

სამხრეთის კუნძულს შინაურულად ვისრამიანის კუნძულსაც უწოდებენ. მიწის უმეტესი ნაწილი აქ ერთ-ერთ უმდიდრეს საგვარეულოს, ვისრამიანებს ეკუთვნის, რომლებმაც რვა საუკუნის წინათ ორი ქცევა მიწა ითხოვეს აქ კუნძულის ციხისთავთაგან, ანუ ალი ბეის წინაპართაგან და მას შემდეგ ნემსიც არ დაუკარგავთ, მხოლოდ შეიძინეს.

სამხრეთის კუნძულზე აეროპორტია. აეროპორტი ვისრამიანთა პირველსაცხოვრის მიწაზე მდებარეობს. არაერთი მიმართვის მიუხედავად, ისინი უარს არიან, რომ თავიანთ მიწაზე ტურისტული მარშრუტი დაუშვან, თუმცა, ტურიზმის ბიზნესში აქტიურად მონაწილეობენ.

მე სამხრეთის კუნძულზე ვარ. საერთო ნაცნობთა მეშვეობით სულგრძელი ნებართვა მივიღე და ვისრამიანთა მამულებში დავდივარ მათივე ვერცხლისფერი მინიჯიპით, რომელიც კეთილად შემომთავაზა მათმა ერთ-ერთმა მოურავმა, პირადი მცველების, როგორც აქ უწოდებენ, სუნგალების მეთაურმა. სრულიად მარტო ვარ. კუნძულზე ერთადერთი სასტუმროა, უკიდურეს აღმოსავლეთში. ცაში დღეში რამდენჯერმე ხედავ თვითმფრინავს. ვისრამიანები შეურაცხყოფილნი დარჩებიან, ღამე რომ იმ სასტუმროში გავათიო. კუნძულის ყოველი სახლი და რანჩო ჩემს განკარგულებაშია. ვისრამიანთა ვილები თითქმის ცარიელია. შუა კვირაა და პატრონები ქალაქად არიან, მნეებმა და მოურავებმა კი ყველგან იციან: შეიძლება ინგლისელმა მწერალმა შემოიაროს. ცხელი წყალი, ვახშამი, საწოლი ოთახი ყველგან დამხვდება. რანჩოების მოიჯარადეთა სამყოფელშიაც კი. სტუმრის დახვედრა აქ იციან და ეხერხებათ. ყველაფერი ძალდაუტანებლად ხდება. რუკა გვერდით მიდევს. თავად მოურავმა მომცა.

მე მივედი იმ ადგილას. კონცხი დიდი არ არის. სახალხოდ ბასილას კონცხი ჰქვია. იქვე, ხეზე დაფაა მიჭედებული, რომელსაც მხოლოდ ინგლისურად აწერია: „ამ ადგილს ჰქვია ლოდინის კონცხი. აქ ყოველთვის მოდიოდნენ ჩვენი გვარის შვილები და გასცქეროდნენ ზღვას, მოელოდნენ ნიშანს დიდი სამშობლოდან, საქართველოდან. ვისრამიანებს არასოდეს დავიწყნიათ, ვინ არიან.“

ეს შოკია.

აქ ტურისტები არ დადიან. ესე იგი, ადგილი მხოლოდ ვისრამიანებისთვისაა. დაფაც. წარმოვიდგინე, როგორ მოყავთ შვილიშვილები და როგორ მოუთხრობენ თავიანთებურ ისტორიას.

ჰო, მაგრამ რატომაა წარწერა მხოლოდ ინგლისურად?

ალბათ, ჩემისთანა მოხეტიალეებისთვის, რომელსაც კიდევ უფრო დააბნევს ეს დაფა.

თითქოს, ვისრამიანები მეუბნებიან, რომ ეს ყველაფერი სულ სხვაგვარად იყო.

კიდევ ერთხელ ვიხსენებ ალი ბეისა და ბასილას ამბავს: ეს ხდება მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში.

ალი ბეი, კუნძულთა გამგებელი და ციხისთავი, ფორმალურად მუსლიმი, ისე კი ძველ ციხისთავთა დინასტიიდან, თავის ციხესიმაგრეში ცხოვრებას თავს ანებებს და კუნძულის ტყიან კიდეზე სახლდება ზღვის პირას. მისი უახლოესი ადამიანი არის თოთხმეტ-თხუთმეტი წლის კულულებიანი საზრიანი ბიჭი ბასილა, რომელიც გადასახლებაში კი არ მიჰყვება პატრონს, არამედ სამხრეთის კუნძულზე გადადის ნავით და იქ, უკიდურეს სამხრეთის კონცხზე სახლდება. ზღაპარი სწორედ ამ მომენტიდან იწყება. ალი ბეი უგრძეს ჩიბუხს უკვეთავს სტამბოლელ ხელოსნებს. და ჩიბუხი, აქაურების გამოთქმით ყალივანი ან ყალიონი, ას ორმოცდაათ ერთმანეთში ჩასაბმელ გრძელ მილად ჩამოაქვთ ციხისთავ-მეფე-ფაშისთვის. ალი ბეი მენავეებს იხმობს და ჩიბუხს მთავარ და სამხრეთის კუნძულთა შორის, სრუტეზე გადაატარებენ. დაახლოებით ისე, როგორც დღეს ნავთობსადენები გაჰყავთ ხოლმე. გადმოცემით, ზღვაზე გადებულ ყალიონს ოცდათორმეტი ბიჯგი ჰქონდა და მის დასაყენებლად მთელი კუნძული ერთ თვეს მუშაობდა.

ჩიბუხის სატუჩე ალი ბეის სახლის აივანზე, ზედ ტახტთან მოდიოდა, საცეცხლე ადგილი კი კონცხზე დასახლებულ ბასილას ქოხთან იყო. ბასილა იჯდა ზღვის პირას და თამბაქოთი გატენიდა ხოლმე ყალიონს. მერე ზედ ნაკვერჩხალსაც შემოადებდა და ტახტზე მიწოლილი ალი ბეი მოქაჩავდა და ასე სწევდა სამყაროს უგრძესი ჩიბუხიდან თამბაქოს.

კვამლი ალბათ ძალიან დიდხანს მოდიოდა მილში. გამოთვლა შეიძლება, მაგრამ არ მიცდია. ალი ბეის დანიშნული ჰქონია დღეში სამი ჩიბუხის გაბოლება: სისხამზე, შუადღით და შებნელებულზე. პატრონის ზუსტ დანანიშნს ბასილა მზის და ღამის მნათობთა მდებარეობით ადგენდა.

ვინც ოდნავ მაინც იცნობს აღმოსავლურ კულტურას, მოეხსენება მეყალიონე ბიჭის თანამდებობის ამბავიც. მეყალიონე ცალკე ხელობა იყო და ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია.

ბოლო ამ ამბისა ის გახლავთ, რომ ერთ მშვენიერ დღესაც ალი ბეიმ დიდხანს სწია ჩიბუხი, მაგრამ საჭირო დროის მოცდის მიუხედავად, ბოლი ვეღარაფრით გამოადინა. ამან ძალიან ააღელვა, საღამომდე ერთხელაც სცადა გაბოლება, მაგრამ პასუხი იგივე მიიღო. არ დაელოდა მეორე დღის მშვიდად გათენებას და გვიან შემოდგომის ჩამოღამებულს ნავები გააწყობინა მსახურებს. მათ ღელვასა და წვიმაში გადაკვეთეს სრუტე, მიადგნენ შედარებით მშვიდობიან ყურეს და გადასხდნენ. ალი ბეი მსახურებთან ერთად მივიდა მიწის კიდეზე, სადაც ნახა მიტოვებული ქოხი, ჩამქრალი კოცონი და ჩიბუხის საცეცხლე, რომელშიაც წყალი ჩასულიყო.

ეს იყო ღამით. წვიმა და ტალღა ერთმანეთში თამაშობდა.

მსახურთა გაშლილი მოსასხამის ქვეშ ალი ბეი იდგა და გასცქეროდა ზღვას, რომელიც არ ჩანდა. მერე უცებ მოწყდა ადგილს და წყალში გადაეშვა.

მას შემდეგ არავის უნახავს.

მსახურები ეძებდნენ ნავებით, მაშხალებით, სანამ არ ინათა.

ეს არის ცარიელი ამბავი, ხოლო ახსნა ამ ამბისა ათასნაირია.

სანტა ესპერანსაზე ამხსნელები არიან, ოღონდ ცოტანი. ტაქსისტი უბრალოდ გიპასუხებს ორ სიტყვას: „ალი ბეის მობეზრდა.“

პოლიციელი ბევრს არ დაფიქრდება: „მას ოსმალები არ უყვარდა და გაიქცა. საქართველოში დასახლდა.“

ამ დროს კი მორად ბეი იდუმალი ჩურჩულით მოგახსენებს: „ის პოეტი იყო, რაღაცის მომლოდინე. ბასილა შვილივით უყვარდა. ბასილა მისი მომასწავებელი იყო. მისგან ელოდა რაღაც ნიშანს. ისინი ერთად წავიდნენ, გაერიდნენ. მე არ გამოვრიცხავ, რომ პირდაპირ სამოთხეში მიიყვანეს.“

ერთ რანჩოზე, სადაც ღამე გავათიე, გავესაუბრე იქაურ მოხუცს, კოლორიტულ, ხელებდაკორძილ კაცს.

ის გლეხი იყო და ბევრი არაფერი იცოდა ალი ბეის ჩიბუხისა: „არ მგონია, რომ ჩიბუხი ამსიგრძე იყო. ეს, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ ალი ბეის ყმა გაექცა, ის კიდევ უსაქმური კაცი იყო და უსაქმობის ნიშნად, კიდევ, ჩვენთან ჩიბუხის წევა ითვლება. რაც გრძელი იყო ჩიბუხი, მით უფრო მდიდარი და უსაქმო იყო პატრონი.“

ასეთი საღად მოაზროვნე კაცი იშვიათად შემხვედრია.

ძირით აქაური არ იყო, ჩრდილოეთის კუნძულის სოფლიდან გახლდათ და ერთი რამეც მითხრა: „აქ სხვანაირები არიან. მე სხვანაირად ვიზრდებოდი. ჩვენ სხვანაირები ვართ. ჩვენ ყველა გლეხები და ყაჩაღები ვართ.“

„თქვენ ხართ ყაჩაღი?“ გამეცინა მე.

„აბა რა, ჩვენ არ გვიყვარს, რასაც ესენი აკეთებენ, მაგრამ ცხოვრება შეიცვალა. ჩვენთან საერთოდ არავინ იცის მაგ ალი ბეის ამბავი. საერთოდ არ ვემორჩილებოდით მაგათ ციხისთავებს და ოსმალებს.“

გასაკვირი იყო, როგორ ამტვრევდა ინგლისურს. კუნძულის არც ერთი ენა არ იცოდა ქართულის გარდა.

„ინგლისელებმა მოგვატყუეს. ჩვენ სუნგალები ვართ. იცით რა არის სუნგალი?“

„პირადი მცველი,“ მივუგე.

მოხუცმა გაიცინა. ქამრიდან დანა ამოიძრო, ძველი, ნახმარი გლეხური დანა და დაუმიზნებლად გაისროლა.

დანა კარგა თხუთმეტ ნაბიჯზე გაერჭო ხეს.

„აი, სუნგალი ამას ნიშნავს. სუნგალი ტყის კაცს ნიშნავს, მეფის კაცს.“

ეს ვიცოდი.

„ვისრამიანებთან ჩვენ კარგად ვართ. მათ ყოველთვის ესმოდათ ჩვენი. ნამდვილი ქვეყანა სწორედ ორი პატარა კუნძულია. ის საცეკვაო, მოგონილია.“

მე კი კვლავ ალი ბეიზე ვფიქრობდი. <...>“

„<...> საბოლოოდ არსებობს სამი ვერსია ამ ამბისა.<...>“

ალფრედო და კოსტას წერილი მწერალ ედმონდ კლევერისადმი

„ბატონო კლევერ, მოგესალმებით და მოგიკითხავთ, თუკი ამას არ ჩამითვლით თვალთმაქცობად.

თქვენი მისამართი სულ იოლად შევიტყე საინტერნეტო საიტიდან, რომელიც თქვენს საქმიანობას აღწერს.

ალალად რომ გითხრათ, მეგონა მარტო ჩვენი კუნძულის შესახებ წერდით წიგნებს, თქვენ კი კუნძული არ დაგიტოვებიათ დედამიწაზე, მისი ცხოვრება რომ არ გამოგეჩხრიკათ.

ეს საინტერესოა და მისაბაძიც არის. შრომისა და კვლევის უნარი იშვიათი უნარია.

ამ წერილს კი იმიტომ გწერთ, რომ წავიკითხე თქვენი წიგნი ჩვენი ჩიბუხის შესახებ. ჩემი დაკვირვებით, წიგნი დიდი სისწრაფით იყიდება ჩვენს მაღაზიებში, რასაც საკურორტო სეზონიც უწყობს ხელს და ბრწყინვალე ბილბორდებიც, ზედ რომ ნისლიანი ზღვიდან ამომართული ლამაზი ჩიბუხი ახატია.

მე ვფიქრობ, რომ ყდა დიდად შველის წიგნის კარგად გასაღებას.

აუცილებელი მგონია, რომ შემოგედავოთ რამდენიმე საკითხზე, რომელთა გარკვევაც აუცილებელია. თუმცა, ეს წერილი საჯარო არ არის და ამიტომ შეგიძლიათ არ ინაღვლოთ თქვენს გაურკვევლობაზე.

ჩემთვის გულდასაწყვეტი ის არის, რომ თქვენ, მიუხედავად ხშირი მოგზაურობებისა და კარგი კავშირებისა ჩვენს ქვეყანაში, ეგრეც ვერ გაერკვიეთ, რა არის ნამდვილი სანტა ესპერანსა. თქვენივე თანამემამულის, კიპლინგის, მაგალითი თვალში საცემი უნდა იყოს თქვენთვის. ხალხმა მისი ნაწერებით ამოიცნო ინდოეთის სხვანაირობა. თუმცა, კიპლინგი ინდოეთში აღიზარდა, თქვენ კი პირველად ტურისტად ჩამოხვედით სანტა ესპერანსაზე და ამ შვებულების დროს დაინტერესდით ჩვენი ამბებით.

ეს კი რთული ამბავია.

ერთია, როცა მზის გულზე მოკოტრიალე აღმოაჩენ, რომ სადღაც სხვაგან ხარ, მეორე კიდევ - ფეხები რომ თავად მიგიყვანენ იმ ადგილთან, რომლის შესახებაც გიოცნებია.

თქვენი ნაწერი ტურისტებისთვის არის, ამ დროს კი შეიძლებოდა, უფრო ღრმა ყოფილიყო.

ვეცდები, მოგითარგმნოთ ჩემი შენიშვნები: 1. ჩვენი შეხვედრისასაც გითხარით, რომ თავი დაგენებებინათ ჰომოსექსუალიზმისათვის. სამწუხაროდ, ეს ვერსია ყველაზე მტკიცედ და რომანტიკულად გამოიყურება, თანაც, ვითომდა შეფარულადაც. თქვენ ალი ბეი წარმოიდგინეთ, ვითარცა თომას მანის ერთი რომელიმე გმირი და ეს გმირი უფრო ცხონებულ ლუკინო ვისკონტის ფილმიდან დაიმახსოვრეთ, ვიდრე მანის

მოთხრობიდან. „ა მორტე ლა ვენესია.“ - აი, თქვენი ცხოველმყოფელი ვერსიის თავი და ბოლო. არ იფიქროთ, რომ რახან გენუური ფესვი მაქვს, ვენეციელებთან ქიშპი მინდოდეს. უბრალოდ, სიტყვამ მოიტანა. არც სექსისტი ვარ, რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს ჩემი თაობის კაცისთვის.

მგონი კარგად აგიხსენით, რომ შეუძლებელი იყო ალი ბეის ბასილა სატრფოდ ჰყოლოდა და ის ამის გამო გადაეყენებინათ ტახტიდან. რომელ მმართველს გადააყენებენ ბიჭთან არშიყის გამო?

თქვენი შეცდომაც ამაშია. ევროპელები, როგორც კი დუნაის ჩამოსცდებიან, წარმოიდგენენ, რომ აქედან იწყება მკაცრი და ველური სამყარო აზიისა. მათ დაავიწყდათ, რომ ყველაფერს აღმოსავლეთიდან ეზიდებოდნენ, აღმოსავლეთს კი არაფერი მიჰქონდა მათი, რადგან არაფერი სჭირდებოდა და როცა დასჭირდა, არ მოუთხოვია. ინგლისელები და ფრანგები მოხვედით და ძალით დაიწყეთ ასფალტის დასხმა.

ანუ, თქვენი შეცდომაც ასეთია. თქვენ არ იცით, რომ ალი ბეის ყველაფრის უფლება ჰქონდა კუნძულზე. ის არც მკაცრი ქრისტიანობით აღარ იყო შეკრული, ვინაიდან მუსლიმი ბრძანდებოდა.

მისი სიტყვა კანონი იყო.

ამის შემდეგ ერთი გზა გრჩებათ, რომ წარმოსახოთ ბასილა ტყვედ, რომელიც აქაურ ბაზარზე იყიდა ციხისთავის მსახურმა და პატრონს აჩუქა, ხოლო ბასილას, როგორც ქართველს, სულ გაქცევაზე ეჭირა თვალი და რახან მას ალი ბეი ჰყვარობდა, ეს კაცი სძულდა.

ლამაზი ამბავია, რომ ჩაუკვირდები.

ოღონდ, თუ ეს ამბავი მართლა მოხდებოდა ჩვენს ტყვეთა ბაზარზე, ბასილა უეჭველად ქალი იქნებოდა. მსახური ვერ აჩუქებდა ბატონს ლამაზ ბიჭს, იმიტომ რომ ამით მის მისწრაფებაზე მიანიშნებდა, რაც არაეთიკური იყო.

გოგოს კი თამამად აჩუქებდა, რასაც ახსნა არ სჭირდება. თუ ფაშას ბიჭი მოუნდებოდა, რომელსაც არასოდეს იყიდდა სხვათა დასანახად, ამას როგორმე ისე მოახერხებდა, რომ ეს ამბავი ლეგენდად არ ექცია, ტყვეთა მოედანზე ჩასვლას კი ნამდვილად არ იკადრებდა.

ვახსენე და გავიმეორებ: ალი ბეი, იგივე კონსტანტინე არჩილიანი, არ იქნებოდა იმგვარი მიდრეკილებების კაცი, თქვენ რომ გინდათ წარმოსახოთ. თქვენ საერთოდ არ ახსენებთ მართლმადიდებლურ მონასტერს, კუნძულის უძველეს ქრისტიანულ დაწესებულებას.

ამ მონასტრისადმი ჩემი საგვარეულოს რთულ დამოკიდებულებას არად ჩავაგდებ (ჩემი საგვარეულო ეხმარებოდა კათოლიკურ მისიებს და თავისი ხარჯით ააგო ტაძარი ამ კუნძულებზე სამ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, რამაც ტრადიციული წინააღმდეგობა წარმოშვა ორთა შორის) და მოგახსენებთ, რომ თქვენ არაფერი იცით ციხისთავებისა და მონასტრის მჭიდრო კავშირის შესახებ, მაშინაც კი, როცა ციხისთავები მუსლიმები იყვნენ.

არ გიკითხავთ, თორემ გიამბობდით.

თქვენი მიდგომა მისახვედრია: რელიგია არის ეთნოგრაფია. საუკეთესო, რასაც გააკეთებს ეკლესია, ქველმოქმედებაა.

ამიტომ, თქვენ ვერ წვდებით ჩვენი ქვეყნის არსს.

2. სულაც არ მინდოდა, რომ წერილი გრძელი გამოსულიყო, მაგრამ, რახან გამოდის, აღარ დავიზარებ. მაინც ნასადილევს ვწერ ამ ბარათს.

თქვენ გჯერათ, რომ ჩიბუხი არსებობდა?

მთელი წიგნის მანძილზე თქვენ არსად სვამთ კითხვას, არსებობდა თუ არა ჩიბუხი. ანუ, თქვენ დაიჯერეთ, რომ ის არსებობდა, ვინაიდან ნახეთ მისი ნამტვრევები და სამეცნიერო ანალიზიც ცხადყოფს, რომ ყველა ეს ნამტვრევი ერთი გრძელი ჩიბუხისაა.

ჩიბუხი არსებობდა, მაგრამ როგორ გგონიათ, იმსიგრძე იყო, როგორც ეს ჯონ ქინანის ერთ ნახატზეა გამოსახული?

ეს შეუძლებელია, ჩიბუხს პირველივე ტალღა დაამტვრევდა.

თქვენ ახსენებთ სიურეალისტურ ლეგენდას იმის თაობაზე, რომ ბასილა მოდარაჯე იყო. ის უკიდურესი კონცხიდან იცქირებოდა საქართველოს მხარეს და თუკი იქაურ გემებს შეამჩნევდა, ჩიბუხზე ნაღვერდლის დაყრას შეწყვეტდა, რითაც მტრის მოახლოებას ამცნობდა ალი ბეის და ოსმალოს გარნიზონს. ასევე ახსენებთ რაღაც ქართულ სიმღერას, სადაც ალი ფაშას ღალატზეა საუბარი.

ერთხელ შენახვედრი კაცის კეთილგანწყობით რომ მოგახსენოთ, ეს სისულელეა.

საქართველოს არასოდეს ჰყოლია ფლოტი. მეთოთხმეტე საუკუნიდან ამ დაშლილ და შინაომებში ჩაფლულ ქვეყანას აღარც ახსოვდა ზღვის პატარა სამფლობელო. ჩვენი ციხისთავები მეკობრეობდნენ: საქართველოს ნაპირებს ადგებოდნენ ნავებით და იქიდან ხან რას იტაცებდნენ, ხან - რას. ეს მიღებული იყო. ტყვეთა ბაზრობა ბევრ მიმსვლელ-მომსვლელს ნიშნავდა. ესეც ახლო მეკობრეობის წყარო გახლდათ. თუმცა მმართველები სწორედ ტყვეთა ბაზარმა გაამდიდრა.

ლეგენდის ეს მხარე მომხიბვლელია, მაგრამ რომანებისთვის.

ჩიბუხი არსებობდა. ოღონდ ის შეუდარებლად მოკლე იყო და არანაირ ზღვებზე არ გაუდია ალი ბეის. მეტი საქმე არ ჰქონდა.

პადრე მიკელე მატარატის მიმოწერაში ნახსენებია მთავარი, რომელსაც უძვირფასესი ჩიბუხი აჩუქა დიდმა სერასქირმა სინან ფაშამ. ჩიბუხის სიგრძე რვა ადლი იყო და თუ ოდნავ მაინც ერკვევა კაცი საყალიონო ამბავში, მიხვდება, რომ ამგვარი ჩიბუხის მომსახურეობას ორი მეყალიონე მაინც სჭირდება.

თქვენი გამკვირვებია: სანტა სიტიში უშველებელ უბანს ჩიბუხის უბანი ჰქვია და თქვენა გგონიათ იმიტომ, რომ ალი ბეის ლეგენდამ დალექა ეს სახელი? ანდა, ყალივან სტრიტი იმიტომ ჰქვია ერთ კარგ ქუჩას, რომ ბასილა წყალში გადახტა?

არა. უბრალოდ, მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისიდან სანტა ესპერანსა ჩიბუხ-ყალიონების კარგ ექსპორტიორად იქცა და კარგი ოსმალო ხელოსნები სწორედ აქედან ამარაგებდნენ ოსმალეთის იმპერიას და ყირიმს. ამ კუნძულებზე პირველი ნამდვილი ნავსადგური ჩემი წინაპრების აშენებულია და დამერწმუნეთ, ზუსტად ვიცი, რასაც გწერთ.

დიდი სერასქირის სახსოვარი იყო უგრძესი ჩიბუხი, რომლიდანაც კი მოიწევა. მერე კვამლი სიჩქარეს საერთოდ კარგავს და თამბაქო ვერ გაღვივდება.

ამიტომ, როცა ამბობენ უგრძესი ჩიბუხიო, იგულისხმება, უგრძესი, რომლიდანაც შეიძლება მოიწიოს.

მინდა დაგარწმუნოთ, რომ ნამტვრევები სწორედ იმ ჩიბუხისაა, ოღონდაც უკვე განაძარცვი, რადგან საჩუქარი ძვირფასი ქვებით იყო მოოჭვილი.

არავითარი ზღვებზე გადებული ჩიბუხი არ არსებობდა და არც ბიჭზე შეყვარებული ჰომოსექსუალისტი.

თქვენთვის სამწუხაროდ, ალბათ.

საქართველოსაც მტრად ვერავინ ჩათვლიდა, იმიტომ რომ საქართველოს ნახევარზე მეტიც ისევე იყო ოსმალეთის იმპერიისა, როგორც ჩვენი კუნძულები.

3. მგონი მეტს აღარ გავაგრძელებ. უბრალოდ, აგიხსნით, ვინ იყო ალი ბეი, რა გააკეთა და ვინ უნდა ყოფილიყო ბასილა.

არ გიკითხავთ, თორემ ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებდით.

ალი ბეი ყრუ იყო. ამის საბუთები ჩემს საგვარეულო არქივში მომეპოვება და თუ არ ვახმაურებ, იმიტომ, რომ ამის დრო ჯერ არ დამდგარა. თქვენ შეგიძლიათ გაახმაუროთ, ეს აქტუალური ვერ იქნება.

ვფიქრობ, ის თანდათანობით დაყრუვდა, თორემ ურიგო მმართველობა არ გამოსვლია. ვან ბეთჰოვენი ყრუც ბრწყინვალედ მისდევდა თავის მოწოდებას. უჭირდა, მაგრამ გენიალური იყო. ალი ბეის კი თანდათან აკლდებოდა ყურთ. მე ასე მგონია. მგონი, ასაკობრივი სიყრუე ცოტა ადრე დაეწყო.

ბუნებით მეტად უთქმელი, ზანტი და ჩაკეტილი კაცი გახლდათ. პოეტური სულისაო, რომ იტყვიან, კეთილი და მიმტევებელი. მელანქოლიური იყო. ოსმალო დიდმოხელეებს, აქ რომ ჩამოდიოდნენ, ძალიან მოსწონდათ მისი მასპინძლობა. დღევანდელი გაგებით, ნამდვილ კურორტს სთავაზობდა. ასეთი იყო და იმიტომ. ჩიბუხიც ამის გამო მიიღო საჩუქრად. თქვენ რა გგონიათ? სულთნის კარზე გახმაურებული ამბავი იყო ალი ბეისთან დასასვენებლად გამოცურვა. ერთი პირობა თავად სულთანიც კი ეპირებოდა აქეთ წამოსვლას, მაგრამ ვერ მოუხერხდა.

მმართველად ყველას უყვარდა.

მაგრამ დაყრუვდა და ამას ვერ შეეგუა.

რახან კარგი კაცი იყო, სტამბოლს წერილი აფრინა, დავბერდი, დავძაბუნდი და დავყრუვდიო და სთხოვა, ახალ გამგებლად მისი ძმისშვილი, ჰასან ბეი

დაემტკიცებინათ. პასუხს არ დაელოდა და გადაწყვიტა, მალევე გასცლოდა მისთვის უტყვ მამულს.

იახლა ერთადერთი მსახური, ვინ - უცნობია. ეგებ, მას ერქვა ბასილა. წაიღო ის გრძელი ჩიბუხი და მარტო დადგა სოფლის სახლში. იწვა ტახტზე და ეწეოდა ჩიბუხს, რომლის საცეცხლეც ეზოს წნელის ღობეს სწვდებოდა. ის მსახური უვლიდა, მაგრამ ბოლოს ისიც გამოიქცა, რადგან მეტად ძნელი შეიქნა მისი მოულოდნელი სურვილების ასრულება და ბობოქარი ჯანის ჩაცხრობა. ეს ხასიათის მსხვრევა სიყრუემ დამართა. გაჰყვიროდა უცნაურ სახელებს, მერე კი ორი-სამი დღით მდუმარედ მიეგდებოდა ხოლმე.

ერთი ასეთი ძილქუშის დროს მსახური გამოიქცა და თავდაუზოგავად უსვა ნიჩბები. ციხესიმაგრეში მოვიდა და მკურნალი ითხოვა, მეტად ცუდად არისო.

იქ იყო ოსმალო აქიმი, მაგრამ იქვე იყო პადრე მარიო და ის წამოყვა. არ გაგიკვირდეთ, მე ხელთა მაქვს სწორედ ფრანცისკანელი მარიო დე ლა რებიას ნაწერი.

ადგილს რომ მიაღწიეს, სახლში არავინ დაუხვდათ. ჩიბუხი სულ მთლად დაემსხვრია. ეტყობა, აივნის ბოძს შემოსცხო და მერე მუხლებზე იმტვრია.

თვითონ აღარ იყო. ეყარა ქოშები.

მინდა გითხრათ, რომ ეს მწარე მდგომარეობაა, რაც, როგორც მწერალმა, ისედაც იცით.

ერთადერთი ნაფიქრი იყო, რომ თავი დაიხჩო, წყალში გადახტა.

იქ იყო სოფელი, ძალიან ახლო, მაგრამ მსახურმა იქაურებს არ მიმართა, მოერიდა, რადგან თავისებური ხალხი ცხოვრობს.

თქვენ იცით, როგორ იბადება ლეგენდები.

შეუძლებელია, არ იცოდეთ.

ამიტომაც, ვწუხვარ, რომ არ იცნობთ ჩვენს მიწას, თორემ ასჯერ უკეთესად დაწერდით.

4. კიდევ ერთი უმნიშვნელო ამბავი.

თქვენი ბრალი არ არის, მხოლოდ ლეგენდისა. თუმცა, თქვენ უფრო ღრმად უნდა გეკვლიათ.

თქვენ სამხრეთის კუნძულზე ყოფილხართ და იქ მიდგომიხართ კონცხს, რომლის ამბავიც ყავახანებში და ყალივან სტრიტზე შეიტყვეთ. თქვენ იქ სხვა წარწერა დაგიხვდათ. სამხრეთის კუნძული არასწორი, ახალი სახელია. ეს არის პატარა კუნძული, სხვანაირად ვისრამიანისა.

წიგნში წერია, რომ იქ დაგიხვდათ კაცი, რომელთანაც ბევრად მეტი უნდა გელაპარაკათ, იმიტომ, რომ ალი ბეი და ბასილა არა სამხრეთის, არამედ ჩრდილოეთის, სინამდვილეში დიდ კუნძულზე ცხოვრობდნენ ზღვის პირას.

მინდა მოგახსენოთ, რომ ყველაზე ნამდვილი, ღრმა და ტევადი ადგილი თქვენს წიგნში არის სწორედ ჩრდილოელ გლეხთან საუბრის ადგილი.

თქვენ ნამდვილი მწერალი ხართ და იგრძენით, რომ ნამდვილი და საინტერესო რამ გეჭირათ ხელში, სხვანაირად ეს ადგილი წიგნში არ მოხვდებოდა.

უბრალოდ, ვისრამიანის კუნძული ლეგენდისთვის უფრო მიმზიდველი ადგილია და იქ უცხო ძნელად დაიარება ტყეებში და მინდვრებზე. სუნგალის კუნძულზე შეღწევას კი ბევრი არაფერი უნდა, თუმცა იქ არავინ დაიარება.

მოგიწოდებთ, რომ მიბაძოთ თქვენს გმირს, ალი ბეის და შეისწავლოთ ჩრდილოეთის, იგივე დიდი, იგივე სუნგალის კუნძული.

ძველი, ჩვენამდელი სანტა ესპერანსა სწორედ იქ არის. თუმცა, ეს არ არის სანტა ესპერანსა. ეს არის სუნგალი და ამის შესახებ ლაპარაკს ახლა ნამდვილად არ ვაპირებ.

თავს აღარ შეგაწყენთ.

უბრალოდ, მინდა გითხრათ, რომ მთელს ამ ისტორიას ავტორი ჰყავს. მიკვირს, როგორ არ გითხრათ ამის შესახებ ყავახანის პატრონმა, რომელიც თქვენთან მეგობრობის შესახებ ინტერვიუებს აძლევს გაზეთებს და ტელევიზიასაც მისცემდა, საკუთარი ტელევიზია რომ გვქონდეს. მორად ბეი თქვენი წიგნის რეკლამირებაში ალალად გეხმარებათ.

ავტორი კი არის მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის აშუღი (ვფიქრობ, იცით რა არის აშუღი და რას ნიშნავს იგი უბრალო ხალხისათვის ოსმალეთში და ოსმალურ თემებში), რომელსაც ერქვა ქერიბი. ეს მეტსახელია, მაგრამ მეტსახელი ჩვეული ამბავია მოხეტიალე მომღერალთა შორის, რომლებიც უკრავენ საზსა და სხვა უბრალო საკრავებზე.

დღეს აშუღობა აღარ არსებობს, ძალიან იშვიათია. ქერიბის გრძელ სიმღერას, რომელიც პატარა წიგნაკადაც არსებობს ოსმალურ ენაზე, ოღონდ ძველი დამწერლობით, რომელიც ჩვენთან კვლავ იხმარება, თურქეთში კი აღარ. ამ ბროშურას ჰქვია „ალი ბეისა და ბასილას დარდის და მწუხარების ისტორია, სამღერად შეთქმული ქერიბის მიერ.“

მგონია, რომ ეს ბროშურა და, საერთოდ, ეს სიმღერა მეტად პოპულარული იყო ასე საუკუნე-ნახევრის წინათ და ჯონ ქინანის შთაგონების წყაროც იგი შეიქნა.

თუმცა, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ქინანის მშვენიერი გრაფიკა ისტორიული სიმართლეა.

ასე რომ, ვწუხვარ, მაგრამ თქვენ ტურისტის თვალით გვიყურებთ, რაც მწერლისთვის საამაყო ვერ უნდა იყოს.

ელოდეთ ყოველგვარ დახმარებას ჩემგან.

კეთილი მოკითხვით, ალფრედო და კოსტა

პ.ს. და კიდევ. საიდან მოიტანეთ, რომ უხასიათო და ავი მოხუცი ვარ? ერთხელაც თუ ჩამოხვალთ, ჩემი იახტით გავინავარდოთ ღია ზღვაში. იქ ნახავთ ჩემს ჯანს.“

სენტ ჯონის გვართა საკრებულოს წესდება

(ოთხ ენაზე) სახელითა მისისა დიდებულობისა მონიჭებით მეფისა ედუარდისა მეშვიდისა ბრიტანიისა და სხვათა და სხვათა და სხვათა, მოწოდებითა დედისა მისისა კეთილისა და დიდებულისა მისისა დიდებულებისა ვიქტორიასი განმტკიცებულ კონსტიტუციურ აქტთა მიხედვით, ძალითა ღმრთისა ყოვლისმპყობელისა და ძალითა ყოვლისა რწმენისა, ჩვენ ქვემორე მებეშტურნი მამასახლისნი თვრამეტისა გვარისა მის კუნძულებისა წმიდა ესპერანსასი, ჩვენივ გვართა მოხსენიებისა კვალად იმავ კონსტიტუციის აქტისა ი-სა შიგან, ვადგენთ: ა. მონიჭებულის ძალითა პატივ ვსცეთ მმართველობას გავერნორისას და პარლამენტს, სადაც არჩეულ ვიქმნებით.

ბ. თვრამეტისა გვარის მამასახლისნი, ჩვენ მონიჭებულის უფლებითა დავაფუძებთ ერთობასა მას თვრამეტისა გვარისა.

გ. პატივსა ვგიებთ პარლამენტს და გვართა ერთობით კანონის წერას არა მოვსდევთ, არამედ სჯა-ბაასს ვიტყვით საჭირო საქმეზე და აზრსა ჩვენსა წერილებულსა ჩვენთა დამწერალთა მიერ ვუძღვნიდეთ გავერნორსა.

დ. არცა ჯარი გვყავდეს, არცა მხედარი თოფოსანი, გარდა დადგენილისა საპარადო ჯარისა.

ე. ერთობასა თვრამეტისა გვარისა ბინად არ ექნება სახლი. რომელიცა სახლი მასპინძლობას დაუდევს, ის იქნება.

ა. მამასახლისნი თვრამეტისა გვარისა შეიკრიბოს ერთ წელიწადს ერთს გზობას.

ბ. ყოველს შეკრებულობას მათ მოიყვანოს თავისისა გვარისა შვილნი, რამდენიცა ნებავდეს, ლაპარაკით კი ხმამაღლად იმეტყველოს მხოლოდ მამასახლისმან, ვინაც უზის მაგიდას.

გ. ხმადაბლათ თათბირობით მამასახლისი გვარისა ეუბნოს მოლაპარაკესა თვისის გვარისა, რომელიც ეჯდეს მხარმარცხნივ, ოღონდ იმან ხმამაღლა არა თქვას. სხვა ვინც დანარჩენი მოვიდეს გვართა, ფეხზე იდგეს მჯდომარ მამასახლისთა და მამასახლისთა გარეშემო.

დ. თითო გზობას შეკრებულებასა მამასახლისთა შუა აირჩეს რომელიმე გვარიდან ტოლუმბაში შეკრებულობისა და მოფერე შეკრებულობისა მისივ გვარისა, ვინაც საბოლოო ქაღალდს შეადგენს, რათა დაბეჭდოს ყოველმა გვარმა.

ე. ყველა ჯერზედ ტოლუმბაში იყოს ახალის გვარისა და მოფერეც ახალი გვარისა.

ა. ტოლუმბაში სჯიდეს, მხოლოდ თანხმობას, ან უარყოფას იტყოდეს, ორი კენჭი ჰქონდეს.

ბ. ტოლუმბაშს ედოს კვერთხი ტოლუმბაშისა და იმით მიანიშნებდეს ახლა ვინა სთქვას. თუ კვერთხი მაგიდას დაჰკრას, უბნობა გაჩერდეს და მოფერემ ზეპირადა სთქვას, რაც მოუფიქრნიათ და აზრები თუკი შეყრილა.

გ. ვინაც მის სახლში იტყვის კრებულობას მამასახლისთა, სახლი უცილობელი არ არის, გინა ეზო იყვეს, ოღონდაც მაცქერალი მეცხრამეტე გვარისა იქ არ იყოს.

დ. მასპინძელსა კრებულობისა ერთი პირობა ედვას: მაგიდა ჰქონდეს ანაც მეტად გრძელი, რათა თავში ჯდას ტოლუმბაში და მოწერე და ორსავ მხარეს ჯდას მამასახლისნი, რვანი აქეთა და ცხრანიც იქეთა. ასრე რომ კუთხესა არავინ ჯდას, რაიცა თანაბრობისთვის მოხსენდეს. თუ არ იყვეს მაგიდა გრძელი, იყვეს მაგიდა რგვალი, რათა ყოველი თანაბარ ჯდეს.

ა. თუ რომელსამე გვარსა მამასახლისად ჰყავდეს მღვდელი, ანაც პატრი, ანაც მოლა, ანაც უფრო მაღალის წოდებისა, იმან მამასახლისთა კრებულებაზედ მონაწილეობა ვერ გასწიოს. მამასახლისნი გვართა შიგან ვინც გინდა იყვნეს, გვართა გარეთ ღმრთის სამოსით მოსილი კრებულებაზედ არა ჯდეს.

ბ. საუზმობასა, სადილსა, სამხარსა და ვახშამსა, ვის სახლსაც არ უნდა დგეს შეკრებულება, თვრამეტივე გვარი მოახდენდეს. წინდაწინვე ფულს მივიდეს, რასცა საჭირო შეიქნას.

გ. ყოველსა განსასჯელსა მას ამბავსა კვერთხის დაკვრასა მისი ტოლუმბაშისასა მოხდეს თქმა დია და არასი, ვითარცა პარლამენტსა შინა წეს არს. ოღონდაც აუდგომლად და პირდაპირ თქვას დია და არა და სხვათა გასაგონად, არა დამალულათ უთხრას ყურში ტოლუმბაშს ან მოწერესა. ეს არს კენჭი, ხოლო ტოლუმბაში ორგზის იტყოდის და ორჯერვე იგივე უნდა სთქვას, განყოფის ნება არა ჰქონდეს.

დ. თუკი რომელიმე მამასახლისი გვარისა, გადავა ამ პირობათა და თავისას მოახდენს, იმას აღარ დასვამენ მანამ, სანამ არ დასწერს უკაცრავობასა და არ მოიტანს ცოცხსა და თავის ხელით არ გადაბერტყავს ნაცარსა, რასცა ტოლუმბაში დაუყრის სკამსა მის დასაჯდომსა ზედა.

თვრამეტმან თვრამეტი აღასრულოს, თვრამეტი ბეშტითა, ნაწერითა მონასტრულითა, ოსმალურითა, ჯენოვეზელთა და ანგლეზურითა.

ოთხ ხელ ბეშტები, ოთხსა ფარატინსა.

ღმერთი გვიშველის.

თხა ყურძნით სავსე გოდრით

მატიანენი დოსითეოს ბერისა

ნუსხურიდან გადმოწერილი და შესაძლებლად მოთარგმნილი ნაწყვეტები

„ლოცვითა და ვედრებითა ჩვენითა ციხისთავმან გოტიმ და ძემან მისმან დავით სოლომონ დასდვეს ჯვარი იგი კურთხეული და ხატი წმიდისა გიორგისა მფარველისა

ყოვლისა მეომრისა, თავიანთსა ნავსა შინა და ჰგიეს მას მონა თვისი სპაი მსახურეულ ლაშქრისა მისისა იოანესი ღალია მცველად ჯვრისად და მიეცეს ჯამაგირად პური ერთი დღესა ერთსა და ღვინო და თევზის კვერცხი ერთი ლიტრა მას შვიდეულსა შინა და ყუელი ერთი მშრალი და იყვეს მცველად ხატისად ნავსა ზედა, ოდეს წყალსა შიგან ნავი გარონინდეს.“

„მოსწრაფებითა და ნებითა გუნებისა თვისისა ციხისთავმან გოტი იხმო სპანი ციხიონისანი და ათისთავი ტარიკა და გულია და თადეოზ. ჰკაზმა ნავნი იგი საბრძოლველად და უწია მას ნაპირსა ბერძნისასა ათორმეტითა ნავითა და მორიტანეს ხილი რამ უცნაური, დებული მას შინა ქერქსა მწუანესა და დიდნი, ვითარცა ქვანი ნათალნი საჯილდაოთ, და მძიმენი ვითარცა ქვანი, ასრე რომ დრომონნი დაზნექილნი იყვნეს წყალთა შიგან, ოდეს მობრუნდეს მას ნადავლსა შინა მოსაძღუნელად. ციხისთავმან გოტი უძღუნა სავანესა მას კეთილსა წმინდა იოანესასა ხილი ასე რამ უცნაური, ხოლო ათისთავმან გულია, აღიღო ხმალი და გვასწავიდა ვითარ ეგების ხილვა ხილისა ამის უცნაურისა. განკვეთა იგი ხმლითა, ვითარცა ტანი კაცისა ურჯულოსი და ხილი იყვნეს წითელ და წიპწიპო ჰქონდეს შავ, ხოლო ალაგი ხილსა და კანსა შუა ქერქ იყვნეს. დია ტკბილ დარჩომოდეს და წინამძღვარმაც დია ჰკითხოს ციხისთავსა გოტის, ვითარ განიხაროს ხილმან მან სახილველმან ბაღსა სავანისა ჩვენისა. გოტიმ რქუა: ესე არს ხილი სპარსისა მხარისა მის ადრიბჟანისა, ოღონდ არა არს ბადრიჟან, რაიცა გეგონების. ესე არს ხილი ყარაფუზისა და ოდეს ნაყოფსა მას დიდსა, შემოგლისვიდეს თიხითა და, ვითარცა ქოთანსა მას და აუნჯებდეს ადგილსა მას გრილოსა, უმზეოსა, და განტეხდეს მას ზამთრისა ჟამსა, იხილავდეს ხილსა მას კვლავცა ტკბილსა და საამოსა და ესე არს უფრო ხილი საზამთროი, სანუგბარო ზამთარსა შინა. ხოლო ქერქი ამისა დია სახრავ-საგემოვო არს ჯორ-კარაულთათვის, და თუკი კირსა მას თეთრსა ხარშავ წყალსა შინა და კანთა მათ ამ ყარაფუზისა ხარშვიდე დღესა ორსა, იგი იყვნეს ასევე საუცხოოსა საჭმელსა მარხვისასა მარილითა და სხვა რამ საწუბითა. ხოლო თესლი ამისი არს წიპწიპოი, არვინ კი ჰრქუას განიხარებს იგი თუცა ვერ განიხარებს ვითარცა ხილი, ოდენ ყუავილი, ხოლო სახელი მისი საყოველთაო არს მელსაპეპონ.“

„ღალიასა ჯვარ-ხატის მცუელსა წინამძღვარმან კეთილმან გაბრიელ უძღუნა ჯვარი იგი მცირე ვერცხლისა და დროშაი წმიდა გიორგისა, ვითარცა მცუელსა საჩინოსა ხატისა დიდსა ნავსა შინა“.

„მოვიდეს ხომალდითა მით მდიდრულითა, ზედცა კარვითა ატლასისათა კუნძულსა იოვანესა შინა დალაქი იგი სპარსი მოწამლეი და დადგეს ციხესა მას სახლობასა შინა ციხისთავისა ერისთავისა გოტისა და იწყას მოგლეჯა კბილთა და განწმენდა სტომაქისა ხერხითა ოდენ მისთვის ცოდნებულისთა, ხოლო გოტიმან ციხისთავმან მოსცა მას დალაქსა მეფისასა ხარჯი დიადი ხოლო ამან უყო წამლობანი თვისნი, რაითაცა გოტი ციხისთავი იდვა ოთხს დღესა ვითარცა მკვდარი და ლოცვამ და ვედრებამ ჩვენისა წმიდისა სავანესი მოაცოცხლა იგი და პურ-ღვინოსამან ჩვენმან შაჭამადმან განუხსნას გუნებაი და იტყოდეს: არა მინდარის სპარსთა სწავლანი და მანქანებაი მათი, რჯული ჩემი მინდიეს და ოდენ ოსტატობაი სპარსისა კბილთა გლეჯასა შინა აღვიარო და არა აქიმობაი მისი.“

„ქარ-ქარაშოტ-სეტყვაი მეხითა ზავებული იდგეს წყალთა ზედა და თვალნი იყვნეს ბრმა სახილველად სიშორეთა ზღუათა დღესა მას ათორმეტსა და კიდევ შუიდსა.“

„ოდეს იყვნეს ქარ-ქარაშოტ-სეტყვაი ზავებული მეხითა და განცხრეს ნებითა მის უფლისაითა და ლოცვითა და ვედრებითა ჩუენითა, მონაზონთა და გაჩერდეს წყალი, ხოლო ტალღანი იქმნეს მცირედ და ტკბილხმოვან და იხილოს ერმან იოვანესამან ტივი ერთი იგი მოგდებული ნაპირსა და უცხო ვინმე მოყმე დებული ტივსა ვითარცა მკუდარი იგი კაცი და სახელი მისი ანანო.“

„სახელითა მამისაითა, ძისაითა და სულისა წმიდისაითა ქ. ბრძანა ციხისთავმან გოტი წყალობა მოსულისა, ხოლო იგი არა იტყოდეს რამესა არცა საზრდელსა მიიღებდის, არცა ქრთამსა სხვასა და უგონოდ იყვეს გარნა განიღვიძებდეს, ტიროდეს ცრემლითა ცხარეითა და ასრე იყვეს მოსვლამდის თიბვის თვისა, ხოლო წინამძღვარმან კეთილმან გაბრიელ რქუას: მონასტერსა შინა მოვიყვანოთ გლახაკი იგი ანანოი და ვუწამლოთ ლოცვითა და მივცეთ საზრდელი სატრაპეზოი ჩუენი, ვინაიდან დიდ არს მწუხარებაი მისი. „

„შუა მდგომობითა ხუეწნითა ჩუენითა ნავისა ჯვარ-ხატისა მცუელს ღალიას ებოძოს გუარი ბედიანი, ვინაიდან სადგომი მისი იყო ბორცუსა მისსა ბედიანისასა და ციხისთავმან გოტი უბოძა გუარი მას ბედიანი სიგელითა თუისითა და ოდეს ნავნი კაზმეს მიწასა შინა წასასვლელად სიგელი ესენი წარეგზავნოს კარსა მეფისასა ჩუენისა სულკურთხეულისა დემეტრესი.“

„ბაღსა შინა მონასტრისასა განიხაროს ნაყოფმან კეთილმან ყარაფუზისმან ათშვიდმეტმან და იზარდოს და იხაროს, ხოლო ანანოი გლახაკი იგი უმზერდეს საზამთროსა მას სანუგბაროსა და განიღიმებდეს.“

„ჟამსა მას წმიდისა მარიამისა მიძინებისა დღისა შემდგომად მოვიდეს კაცნი მეფისაი დრომონითა დიდებულითა რომელ არს გემი და ეთათბიროს ციხისთავსა გოტის და ასრე თათბირობა ჰქმნან სამსა მას დღესა, ხოლო ოდეს წარვიდნენ კაცნი იგინი მეფისანი, რქუა ციხისთავმან გოტი შენებაი გოდოლისა ახლისა ციხისა, ხოლო ქვაი იგი საშენი არღა იყო და სთქუა გოტიმ, რომ ქვაი იგი, სამტეხლოსა შინა მოპოებული იოანესა კუნძულისა კლდეთა შინა ვარგ იყოს. ეთქუათ კაცთა მეფეთა საიდუმლოი იმ ქუისთვის სიმტკიცისა მიძღუნისა ძალითა მის იდუმალითა, ნაფხუენითა, კუერცხითა, კორისა ხისა ფესუითა და ათასის სხუითა, რომელისა ვითარცა მალამოსა უბრალოსა ქუასა ლბილსა ზედ დაედების და განამტკიცებს ვითარცა რკინასა და რქუა ციხისთავმან გოტი: ამიერიდან დღისა ამისა ნათქვამისა ჩუენისა კუნძულისა ქუითა აშენდების ყოველი კუნძულსა ზედა, ვინაიდან საცნაურ არს ჩვენდა მალამოი იგი ქუისა ჩინმაჩინისა ქუეყნიდან შე-რა-ტყობილი და განიხარა დიდად ერმან იოვანესამან გლეხმან, ყმამ და სპამან მეფისამან ციხისა იოანესი და იწყეს მტეხლობა ქუისა და შენებაი სახლთა მით ლამაზთა და დება მალამოისი ქუათა პირსა და განცთობა ასრეთ და ოდეს დასცემდი ქუასა სხუას ქუასა უფროსა მტკიცეს, ნაპირსა შინა წყლისა არღარა გატყდების ლბილყოფილი და იოვანე იქმნეს ნაგებ მტკიცედ და შუენიერ ხოლო ზღუისა პირსა მხარესა მას დასავლისასა გოტიმ ბრძანოს შენება იმის კედლისა და ჩუენცა მონასტერსა წმიდისა იოვანესი წინამძღუარმან გვრქუა შენებად გალავნისა და კურთხევითა ღუთისა გალავანი იგი აღვაშენეთ და მოკუდა სიმონ ბერი.“

„ანანოი იქმნა მორჩილ მონასტრისა ჩუენისა.“

„ღალიამან ბედიანმან ევედროს წინამძღუარსა მას გაბრიელს მონასტრისა ჩუენისა იოვანესი ნათლისმცემლისა, რათა არღარა იყვეს მცველი იგინი ნავისა ხატ-ჯუარისა, რამეთუ უნდოდის სული თვისი დასდვას ღუთისათუის და იქმნეს მონასტერსა შინა ჩუენსა და ეაჯა წინამძღუარი გაბრიელ ციხისთავსა გოტის და იქმნეს ახალს მცუელად არა გლეხი იგი ვითარცა ბედიანი ღალია, არამედ აზნაური ნიანია ამირანის ძე და იქმნეს იგი მცუელად სამარადჟამოდ და მერე ძე მისი იქნეს მცუელად ხატ-ჯვარისა მის ნავისასა.“

„ხოლო ამბავნი ანანოისანი ამგვარ არს: ანანოი არს ჩინებული მის გვარისა დიდისა და შორისა ფრანგოეთისა და მიჯნურობდეს ქალწულსა მას დაინასა შუენიერსა ჭურჭელსა მის შინა კეთილისა და ოდეს მიჯნურობაი მათი იქმნეს მზაი საქორწილო ყოვლითა მის ნებითა ნათესავთა მათთა წარიტაცონ დაინაი ვერაგითა მით გულითაი ბრბომან ცინგან ზანგთამან ზანგოელმან ზანგიზურ ქვეყნისამან მხეცმან, რომელნი გუნდ-გუნდ რბიოდეს მას ქუეყანასა ფრანგოეთისასა, ვითარცა უწმინდურნი და მპარავნი და რა ესმა ესა საბრალოსა ანანოსა, აღიკაზმოს იგი ვითარცა ჭაბუკი უშიშო და წარვიდეს ძებნად სატრფოსა თუისისა და შუიდსა წელიწადს ეძიებდეს მიწასა და წყალსა ზედა და კვალი და გზაი იმისი ვერ ენახოს და რა ესმა ამბავი ესე საბრალობელი წინამზღუარს გაბრიელსა ეტყოდა: მე ვიცი ქუეყანაი ერთი კეთილი აღმოსავლეთსა შინა, სადცა მეფედა ჯდას ბერი იგი იოვანე კეთილი, ჯვაროსანი და მახვილოსანი და ბერმა ამან იცის ყოველი ამბავნი ქუეყნის კიდესანი და საცნაური იყვეს მისთუის ამბავნი მის დაინასი, ხოლო ანანოი ეტყოდეს: არს ესე კუნძული შუიდთა ქალაქთა? წინამძღუარი გაბრიელ განოცდეს ოცებითა მით კეთილითა და მიუგებდის: არ არს ქალაქი არა თუ შუიდი, არამედ ერთიცა კუნძულსა ამასა შინა და რაი არს კუნძული შუიდთა ქალაქთა? ანანო მიუგებდის: ესე არს ქუეყანაი კეთილი რომლისა ალაგობაი მიწასა და წყალსა ზედა არავინა უწყის, რამეთუ ვინცა მივიდეს კუნძულსა მას შინა, უკან არღავინა დაბრუნდის ჰა თუ კეთილობითა იმისა კუნძულისა, ჰა თუ წალკოტობითა, ჰა თუ მადლი უფალსა მანქანებითა მათრობელათი იმ ალაგისა და ბიზანტიონსა შინა არსა კაცი ერთი ნიკოლაოს პოპოლეოს, ვინცა მრქუა ესე, რომ კუნძული ესე ეძებე ზღუათა შინა და მრქუა ფიცითა დარწმუნებითა თუცა ყოველი ქალწული წარტაცებული კუნძულსა შინა ამასა იყვეს და არცა გაგუეგონა ალაგი ესე და არცა ქალაქნი შუიდნი კუნძულისანი.“

„ბედიანმან ღალიამან მცუელმან მონასტრისამან და მხედარმან იოანესამან ევედრა წინამძღუარსა გაბრიელსა ვითარცა მონაი ამისა მონასტრისა წარვიდეს ნავითა სცუროს ზღუათა შინა და მოვლოს ადგილნი ნაპირეულნი და შეიტყოს სატრფოისა მის ანანოსა და სამისა დღისა ფიქრისა და განსჯისა თავსა ზედა წინამძღუარი გაბრიელ ეახლეს მას გოტისა ციხისთავსა და უამბობდეს სრულსა ამბავსა მის ანანოსი ფრანგოელისა და ეაჯოს ნავსა მას და აფრასა ნავისასა ჩინმაჩინისა ქსოვილისა თეთრისა ვითარცა წერილ არს ამბავი აფრისა მისისა ჩემგანვე ძველადვე, ვითარ მოუძღუნა ტრაპეზუნსა ვაჭარმან ერთმან გოტისა და ლაშქარსა კეთილადა.“

„ჯდეს ნავსა ზედა ანანოი ფრანგოელი ბედიანი მცველი იოვანესი და ნიანიაი ამირანის ძე მცველი ხატ-ჯვარისა ნავისა და განგვერიდოს მშვიდობით ძებნად მისდა ქალწულისა კეთილისა მიჯნურისა ფრანგოელისა ხოლო წყალი იყვნეს მშვიდ და ამო და ქარი აფრასა სულსა ჰბერვიდეს კოხტასა და კუნძულსა მას იოვანესა ერი ყოველ იდგეს ციხისა წინა და იმზერდეს ვითარ ზღვაოსნობდიან სამნი ესე კეთილნი.“

„სურნელობაი შროშანისა უკეთეს არს ყოველისა სურნელობისა კაცთათვის. დღესა ამას დავრგავი შროშანი საფლავსა მას კეთილისა ჩუენისა ნეტარისა წინამძღუარისა მამისა ჩუენისა გაბრიელისი ქ.“

„უწირავდეთ და ულოცავდეთ სულსა მას ციხისთავისა იოვანესი გოტისა მიცვალებულისა დღესა მას პარასკებსა, წელსა მეშუიდესა...“

„ლოცვითა და ვედრებითა შევსთხოვთ ღმერთსა ჩუენსა უფალსა იესო ქრისტესა ჯანმრთელობასა და ბედსა ციხისთავისა ჩუენისა სოლომონ დავითისა გოტის ძისა ავადმყოფობისა ამისა ზედა ზღუით მოტანილისა და ქართაგან ეშმაკეულთაგან ცხებულისა მის ტანსა ზედა და სვირინგად მოდებულისა წამლობაი ჩვენი ლოცვითა ჩუენითა. „

„წყალობა მეფისა ჩუენისა: მოვიდეს ნავი წყალთა შინა ნაპირსა ჩუენსა და მოგუძღუნას ხატი წინამძღვარსა მელქისედექსა მეფისაგან შემონაწირი წმიდისა ღუთისშობლისა ხოლო ციხისთავი გოტისძე განიხარებდეს და რქუას ზეიმი დიდი და პატივი კაცთა მეფისათა და ჯირითობაი ცხენთა და ჭაბუკობაი და ჯომარდობაი სპათა და ალამ-შუბნი იდგას ქრისტესანი ზეიმად გოტისძისა მომჯობინებისა და სახელოსი და წყალობისა მეფისაგან ღვთივკურთხეულისაგან.“

„ლაზარე ბერმან განასრულოს გარდაწერაი ოთხთავისა წმიდისა მაცხოვრისა ჩუენისა და გოტისძემან ციხისთავმან უხმოს წინამძღუარსა მელქისედეკს მონათვლად ძისა თვისისა დღესა შობილისა პირუელისა მისისა ვაჟისა რომელსა დაენათლოს სახელი გოტი ძე გოტის ძისა, ამინ.“

„ქარ-ქარაშოტნი ხორშაკნი ქარბორბალანი მოადგეს მიწასა ამას, ასრე რომ სარკმელნი ყოველნი გმანულ არსა და მეხთა სცემდეს და აღირებდეს წყალთა ზღუათაგან სროდეს ვითარცა ლოდებსა ქუისა და გალავანს ამას ციხისასა და მონასტრისასა ასქდეს მეხებულ ხმითა ზვირთნი და წყალნი ეშმაკისა სიავითა ელვარენი და ლოცვითა კეთილითა და ვედრებითა კვირასა თავზედა ერი იგი ტყეთა მალული გამოვიდეს გარე და იხილოს სახლ-კარნი იგინი ჭერხო წარტაცულნი, ხოლო ქვაი იგი უძრავ იყვნეს ვერა სძლიოს ეშმაკმან და შეხვდეს გოტისძე ციხისთავი სოლომონ დავით ხევსა შინა სიხარულითა დიდითა და რქუიან: დიდება შენდა უფალო და მწყემსო კუნძულისაო იოანევ ნათლისა მცემელო. „

„გალავანსა ზედა იხაროს უცნაურმან რამ ყვავილმან კეთილითა სურნელებითა ფერითა მის ასკილითასა, ფურცლითა ფართემან და ფოთლითა უთვალავმან და ასრე მოცოცდის გალავანსა ზედა, ვითარცა უხსენებელი იგი, საცქერლად ამო იყვეს და გალავანსა ზედა დაამშვენოს.“

„ქ. სახელითა მამისაითა, ძისაითა და წმიდისა სულისაითა ლოცვითა და ვედრებითა ჩუენისაითა მოვიდეს ნაპირას ჩუენისა კუნძულისაი ნავი რამ უცხო მებადურნი თუცა მეკობრენი არა ვუწყოდით და რა ვიხილეთ გარდმომავალი ხმელსა ზედა კაცი იგი უცხო, უცხოდ მოსილი სპეტაკითა თმა წუერითა და მოსასხამითა ცისა ფერითა და რა მოდგა ფეხი ნაპირსა მას ხმელსა იოვანესასა წარიქცეს მიწასა ზედა და იწყას მოთქმა და ზახილი და ლოცვაი ძალისა იესოსი მაცხოვარისა ჩუენისა და რა მიეახლას სპაი და მსახურეულნი ციხისთავისა გოტის ძისა, იხილეს იგი უცხო კაცი და მენავენი მისი. მან კი რქუა ღაღადითა: ბედიან ვარ ღალია მცუელი მონასტრისა იოვანესი გალავნისა

და რვისა წელიწადისა ყარიბობისა შემდგომად მოველ აქა ნებითა ღმრთისაითა და ლოცავდის კუნძულსა სახლსა თვისსა და თქუა ღალიამან ბედიანმა: ვვლეთ ქუეყანაი მრავალი ფრანგოელმან და ნიანიამ ამირანის ძემან და ვერა ვიხილეთ ვერცა ქუეყანაი იგი იოანეს ბერისაი და ვერცა კუნძული შუიდთა ქალაქთაი ხოლო ნიანიაი საბრალობელი ამირანის ძე მოკუდა და აჰა ჯუარი მისი ყელსა საკიდი და აჰა ხმალი მისი ჩემსა ქამარსა ზედა და აჰა, ჯვარ-ხატი იგი ნავისაი და ფრანგოელმან ანანო და მენა დავიტირეთ მდუღარებითა და არღა იყო ბერი და არცა მღდუელი მას ქუეყანასა და წესი მე ვუთხარ და ღმერთსა ვევედრე, მომიტეოს შეცოდებაი ესე. ხოლო ქალი იგი მიჯნური ანანოის ვიხილეთ ქალაქსა შინა ასტურაზისასა მხევლად მეფისა აზუმისისასა და ვეზირმან მეფისასა აჯასა ჩუენსა დაადვა ფასი იგი უსაზღურო ორმოც და ათასს დრეჰკანსა გვეტყოდის და ვიყვნეთ საგონებელსა შინა, ხოლო ანანომან რქუა: წარვიტაცებ ქალსა ჩემსა, ვითარ წარიტაცეს მათ და მას კუნაპეტსა ღამესა მიველთ სასახლისა ბაღსა მას იდუმალისა კარითა და მოვკალ გუშაგი იგი ურჯულოი ორი და სამი ხრმალითა ნიანიასი საბრალოსი და მიველთ საქალებოსა და განვკოჭნეთ საჭურისნი იგინი კაც-ქალანი და ვიხილეთ დაინაი და წარმოვირტაცეთ უჩუმრობითა. ხოლო ქვეყანასა იმას იყო სომეხი ერთი სოვდაგარი და გემსა იმისა შინა მიველით და ვარქუ სოვდაგარსა შაამი გვეჭირის თათბირობაი და თანმდგომობაი შენი და უთქმელ იმან დასძრა გემი თვისი და ნებითა ღმრთისაითა მივაწიეთ ქალაქსა მას აგრასა ზუბილდანსა, სადცა ვიხილეთ მლოცველ ბერნი ქვეყანისა ფორთოხალისა მავალნი შუბითა მშვილდითა და ხრმალითა რამეთუ წეს არს მათი და ნავითა მათითა მოვსწიეთ მხარესა გძელისა მდინარისასა, სადცა ორსა ფრანგოელსა ედგას ფუნდუკი და განვიყარენით ანანო ფრანგოელ და მენა მცუელი იოვანესი ბედიანი ღალია და გამოვაგენ მე გზასა ჩემსა და დიდისა ცრემლითა განვიყარენით და მრქუა ფრანგოელმან: მოვალს ანანო გემითა თუისითა კუნძულსა მას იოანესასა, რათა შემოსწიროს მონასტერსა მას ჩუენსა საუჯე დიდ-დიდი და ლოცვაი და მადლიერებაი თუისი, ხოლო ქალმან დაინაი რა უწყოდეს ამბავნი ჩუენნი, ლოცვითა მოქარგოს საქარგუელი ესე, მოუძღუნას მონასტერსა ჩუენსა და წარმოველ მარტო და ვვლე წელიწადსა მას ორსა და ომსა შინა დავკარგე ხელი ჩემი მარცხენაი და არღარა ჰქონდა ხელი მოსასხამსა შიგან და თუალი ჩემი მარცხენაი და არღარა ჰქონდა თუალი თმასა სპეტაკსა ქუეშა და მშუიდობასა შინა ვიპოე სარჩო ჩემი და მოველ რათა შემოვწირო სავანესა ჩემსა ხოლო ვაჟსა მას ნიანიასასა ხატი და ჯუარი ნავისა, რომელსა იცავდიან მტკიცედ და ნავი იგი კი წარიტაცა წყალმან და ახეთქა კლდესა ასრე რომ ცოცხალნი ვითარ დავრჩით ესაც საკვირველ არს და ნებაი უფლისა.“

ტომას ბედლამელი

მოკლე ამბავი რამდენიმე კაცისა

ძირითადად, ადაპტირებული სანტა ესპერანსას საზოგადოებრივი ისტორიის ცნობარიდან

საერთოდ, ინგლისელები აქ დიდად არ უყვარდათ.

ალბათ ისე, როგორც ყველგან. ოფიცრებისა არ მოსწონდათ იღლიაში ამოდებული სტეკები, ბანკირებისა არ მოსწონდათ პირის გემო და სიმდიდრე, მოხელეებისა არ მოსწონდათ გამოხედვა და სიტყვა-პასუხი.

როგორც იტყოდა რომელიმე დაკვირვებული კაცი: ანგლეზი რა მოსაწონია, რომ არ გჭირდებოდეს, არაფერში დაგჭირდებოდა.

თუკი რომელიმე ესპერანსელს ჰკითხავდი, ინგლისელებზე რას იტყვიო, სიტყვით არც გიპასუხებდა, ცხვირზე საჩვენებელ თითს მიიჭერდა და ისე მოახერხებდა, რომ ცხვირი კარგა გვარიანად აებზიკა, აი, ინგლისელები ასეთები არიანო.

ისე კი, შემკითხველიც ბევრი არავინ იყო.

თუმცა, რაოდენ საკვირველიც არ უნდა ჩანდეს, ანეკდოტების გმირნი სანტა ესპერანსას კუნძულებზე მხოლოდ ორნი იყვნენ: სუნგალის კუნძულის მკვიდრი უასაკო კაცი და ასე, ორმოცდასამი წლის ინგლისელი.

დიდი გაშინაურება არ ყოფილა, თანაარსებობა კი დიდებული.

კერძო საუბრებში ზოგჯერ გამოჯავრებაც მოხდებოდა.

ერთხელ მოლაშქრეთა სასაფლაოზე მიმდინარე აღლუმისას ერთი ესპერანსელი სერჟანტი სიგარეტს აბოლებდა, იქ ჩამოვლილმა ინგლისელმა ოფიცერმა კი მკაცრად მიანიშნა: აღლუმი იწყება, თქვენ ქვეყნის სიამაყე ბრძანდებით, ამ დროს კი სიგარეტს აბოლებთო.

ეს იყო ორმოცდაათიანი წლების მიწურულს.

სერჟანტმა თავის სიგარეტს დახედა და თითქოსდა მორჩილად უთხრა, არ მეგონა თუ იცოდით, რომ ეს სიგარეტი იყო, თორემ თქვენს დასანახად ნამდვილად ვერ გავბედავდი მის მოწევასო. რატომ არ უნდა მცოდნოდაო, წრფელად გაოცდა ინგლისელი. აჰ, რა ვიციო, ასი წლის წინათ კი არ იცოდნენ ინგლისელებმა სიგარეტი რა არის და ახლაც ბევრი გამოერევა იმათში ისეთი, რომ ამ საგანს ვერა სცნობსო. დიახ, სწორედ ასი წლის წინათ, როცა ყირიმის ომში იმარჯვეს, დედოფლის ქვეშევრდომებმა პირველად ნახეს სიგარეტები და დიდად ვერც შეეჩვიენო.

ოფიცერი აღშფოთდა, რაზეც სერჟანტმა, რომელიც გუბერნატორის სახალხო ბიბლიოთეკის მუშაკი გამოდგა, პირდაპირ მიუთითა, მობრძანდით ბიბლიოთეკაში და იქ მოგართმევთ ინგლისის სახალხო ენციკლოპედიას, სადაც სწერია, რომ პაპიროსები პირველად რუსებს დაუნახეთ ყირიმის ომის დროსო. მეწიგნე სერჟანტმა ესეც არ იკმარა და განთქმულ ინგლისურ ჩიბუხებსაც კი გადასწვდა, ოთხას წელიწადს იმგვარი ჩიბუხებით სწევდით თამბაქოს, კაცს ჯიბეში კი არა, ნაგვის ყუთში შენახვა შერცხვება, მეზობელმა არ დაინახოს, რომ ამ იერის და გარეგნობის ნივთი აქამდე შინა მქონდაო.

ასეთი შემთხვევა მრავალგვარი იყო, თუმცა, ინგლისელებს არასდროს არავინ აჯანყებია, თუ არ ვახსენებთ თავად ერთ ინგლისელს.

ხანდახან ინგლისელებს გასაოცარი გრძნობით უყვარდებოდათ სანტა ესპერანსა. ჩვეულებრივ, ესენი არ იყვნენ აქ რეჯიმენტში გამოგზავნილი, ანდა მოხელეებად,

ვექილებად, ბანკირებად, რესტორატორებად მყოფი ინგლისელები. ესენი ის ინგლისელები იყვნენ, რომლებიც ვითარცა მზიან ადგილას, ისე ჩამოსულიყვნენ კუნძულებზე და წრფელად და უბრალოდ, ისე როგორც ინგლისელებმა იციან, შეჰყვარებოდათ კუნძულები.

სხვა საკითხია, რომ აქაურმა მითოლოგიამ ეს ინგლისელები უფრო გიჟებად წარმოსახა, რასაც თავად მათმა თანამემამულეებმა წაახმარეს ხელი.

ამგვარი წრფელად შემყვარებელი ბევრი არ გამოვიდოდა: მხოლოდ სამი და საუკუნე-ნახევარში სამი ბევრი არ არის.

ამათგან პირველი აუცილებლად იქნება გრაფიკოსი ჯონ ქინანი, რომელსაც ყველაზე ნაკლებ გიჟად მოიხსენიებენ, ვინაიდან ქინანი მართლაც ძალიან კარგი მხატვარი იყო და სანამ ისტლონდონელი აარონ ბოშკოვიჩი პირველ ფოტოატელიეს გახსნიდა კუნძულზე, სწორედ ქინანმა შეჰქმნა მოქნილი და წმინდა ფანქრითა და მარად სუფთა საშლელით სანტა ესპერანსას იერი. სწორედ მისი მემკვიდრეობა ჩაგვაფიქრებს წარსულის ნამდვილ სურათებზე და მხატვრისგან დასურათხატებულ აქაურ ზღაპრებსა და ლეგენდებზე. ქინანი იმგვარი ხელისა და წარმოსახვის მხატვარი იყო, რომ საუცხოოდ მოეწყობოდა ლონდონში, სადაც სხვათა შორის დაიბადა. ის ვესტ ენდის ერთ-ერთი მოდური გრაფიკოსი, უკიდურესობის ჟამს კარიკატურისტი იქნებოდა და ეგებ დიკენსის, კოლინზისა და ტროლოპის რომანებიც გაეფორმებინა, რითაც საბოლოოდ შეაბიჯებდა დიდ ისტორიაში. აღარაფერს ვიტყვით კონან დოილის ნაწერების დასურათებაზე.

შემორჩენილია ქინანის წერილები თავისი უფროსი ძმის ლუისისადმი, რომელიც საკმაოდ ცნობილი პეიზაჟისტი იყო. ერთ-ერთში ქინანი წერს ძმას: „კაცმა ცხელ ქვებზე დააფინა კაკლის ხის დიდი და სურნელოვანი ფოთლები და ზედ დააწყო იმ წუთის დაჭერილი თევზი. კოცონი თითქმის მინავლული იყო, თუმცა, ქვები იმდენად ცხელი, რომ თევზი ძალიან სწრაფად შეიწვა. გლეხი მეთევზე მალიმალ მარილსა და რაღაც მოწითალო ფხვნილს აყრიდა თევზს, მერე კი ეს შემწვარი ნუგბარი გადაალაგა ხის გობზე და დოქიდან დაუნანებლად მოასხა ღვინო. მერე დავსხედით საჭმელად. მან მითხრა, რომ მაგიდა, რომელსაც მივუსხედით, ცოტათი მარცხნივ უნდა ჩავწიოთ, იმიტომ რომ მზე ჩადის და, სანამ ჩვენ თევზს გიახლებით, ჩვენს ჭიქებში ჩასხმულ ღვინოს მზის სხივი კიდეც საჭირო სითბოზე მოიყვანს და სილამაზესაც შესძენსო. ეს ვახშამი ისეთ მივარდნილ ადგილას იყო, რომ ამ გლეხსა და მის ცოლს ორი ერთნაირი ჭიქა და თეფში არ ჰქონდათ, ხოლო პური - ორი კვირისა, თიხის დიდ კასრში გამომცხვარი, მაგრამ მაინც ძალიან გემრიელი. ვინაიდან ინახავენ არა რაიმე განჯინაში, არამედ ნიორწყალში გავლებულ, ნოტიო ტილოს ნაჭრებში, რომლებშიც საგულდაგულოდ შეახვევენ ხოლმე.“

ამ გასტრონომიული ნაწყვეტით თუ ვიმსჯელებთ, ქინანს პირის გემოც ჰქონია და ზუსტადაც ჩამხვდარა სანტა ესპერანსას ნამდვილ რამეებს, ნამდვილი რამის მოწონების გამო კი კაცს გიჟს ვერ უწოდებ. უბრალოდ, ქინანი პირველი თავისუფალი ხელობის კაცი იყო აქაურ ინგლისელ სამხედროთა და მოხელეთათვის, რომელმაც დაივიწყა ყოველგვარი კარგი და იოლი პირობა ცხოვრებისა და მთელი ცხრა წლით დასახლდა დიდ, სუნგალთა კუნძულზე, სადაც მისდევდა გრაფიკოსობას და ამ კუნძულის ნამდვილი მატიანე შექმნა. სუნგალის კუნძულზე ცხოვრებას მაშინ

ერთდაგვარი სიგიჟეც უნდოდა და ასეთ რამეებს ხომ მოხელეები და ოფიცრები ძნელად იგებენ ხოლმე, თორემ აბა, გიჟი არავის უწოდებია ინჟინერ ჰეიესისთვის, რომლის სახელობის მოედანიც სანტა სიტიში დიდი სიამაყით იტევს ამ სქელულვაშა და არცთუ მხარბეჭიანი კაცის ძეგლს.

ქინანი კი მარხია სუნგალის კუნძულზე ზედ ზღვასთან და უდგას გაუთლელი ხისგან შეკრული უზარმაზარი ჯვარი. მისი ნახატები ძალიან ბევრი იყო კუნძულზე, მათი გახსენება ტურისტული ეპოქის დასაწყისს დაემთხვა და ძალიან ცოტა სუნგალელმა გლეხმა თუ აიღო ხელი ნამუსზე და მათი პაწაწინა სახლების კედლებზე ნახევრადბნელში მიკიდულ ქინანის ნახატებს შეელია.

აქ უყვარდათ ქინანი, რომელმაც მათი წინაპრები უკვდავყო თავისი ფანქრით. ერთხელ რაღაც დავაც კი მოგვარდა ქინანის ნახატის მიხედვით: იქ გამოხატული ქლიავის ხე სასაზღვრო საკითხის დადგენაში გადამწყვეტი აღმოჩნდა.

მაგრამ ქინანს ჯერ კიდევ არ უწოდებდნენ ტომას ბედლამელს.

ეს მეტსახელი თავად ინგლისელებმა მოიგონეს და ინგლისელსავე შეარქვეს. იმის შემდეგ ყოველ სულ ერთი ბეწოზე ახირებულ ინგლისელს ტომას ბედლამელს უწოდებენ, ანდა ჰკითხავენ ხოლმე ერთმანეთს: შენ რა, ბედლამელი ტომასი ხარ?

ის კაცი კი მართლაც ტომასი იყო.

საიმონ ტომასი ჩამოვიდა სანტა ესპერანსაზე 1910 წელს. ის სტამბოლიდან ჩამოჰყვა პატარა გემს, რომელზედაც იყვნენ მაიორი სკარფეისი, მორთეზა ხანი და პროფესორი პაგანინი. სამივენი სიძველეთა დიდი ტრფიალნი გახლდნენ და ვერც ერთი დაჯერებით ვერ იტყოდა, საიდან მოხვდა მათ გემზე უქონელი და უცნობი საიმონ ტომასი, სათვალიანი ჭაბუკი, რომელსაც პერანგის საყელოც კი აღარ ჰქონდა.

მაიორი სკარფეისი დიდად ნაცადი სამხედრო იყო, თადარიგში გასულობა ოდნავადაც არ შესტყობია. სხვათა შორის, არც წელზე, რადგან კორსეტის ტარება არასოდეს უკადრია. არცა ულვაშის ფერზე და არცა ნაოჭზე, ცხვირის კიდეებს რომ ჩამოჰყვება და ღრმა ხნულებს ჩამოავლებს. ეს არის, რომ ქუდს არ იხდიდა და ამბობდნენ, კეფაზე ეტყობაო, თორემ ისე იყო, ვითარცა ალვა და თვალთაგან ჯენტლმენური იაგუნდის გადმომფრქვეველი. ჰოდა, მაიორი სკარფეისი იგონებდა შემდგომში, როცა სანტა სკოტლანდ იარდის გამომძიებელმა სტრაიტმაითმა მიაკითხა ჰოტელში: სტამბოლს გადაგვეყარა და თუნგებისა და სურების რაობაში ისეთი ცოდნა გამოამჟღავნა მაგ ახალგაზრდა ტომასმა, რომ პროფესორი პაგანინიც კი პირღიად დატოვა და არც კი გვიკითხავს, გემზე როგორ მოხვდაო. მორთეზა ხანსაც თავის მხრივ უფიქრია, რახან მაიორს დასდევს კუდში, მისი ხელქვეითი იქნებაო.

სხვა ამ კაცისა არაფერი სცოდნოდათ. პირველად გალათაში, ერთი მეხალიჩის სარდაფიდან ამოსულებს გადაჰყრიათ და მერე ხშირად ხედავდნენ სიძველეებით მოვაჭრეთა დახლებსა და დარაბებთან.

იმან კი იპყრა მთელი სანტა ესპერანსა: ყველამ მალევე გაიცნო.

თავისი გიჟური შეძახილებით ვის არ გააცნობდა თავს. ერთხელ დასძახა სთეითის უბანში, გუბერნატორის რეზიდენციის წინ: - ამხანაგებო, ამხანაგებო! ცხელი ამბავი

ბერლინიდან! კაიზერ ვილჰელმს ცხენი წაექცა და ხელი მოტყდა! ასევე მოტყდება ხელი კოლონელ დისლის და ბანკის მმართველ ლიტელსტონს, როცა ისინი ხალხის შემჭმელ ბილს მოაწერენ ხელს!

მართლაც არსებობდა რაღაც შეთანხმება, რომლის მიხედვითაც სამ ინგლისელ სამხედროს, რომელთაგან ერთი მაინც ოფიცერი იქნებოდა, ნებისმიერი მოქალაქის დაკავება შეეძლო.

ტომასი იმ წამსვე დაატუსაღეს, მაგრამ ორ კვირაში კვლავ გამოჩნდა. უკვე ტომას ბედლამელს უწოდებდნენ.

- მხოლოდ ყოვლისმომცველი ერთობა და თანაბრობა გადაგვარჩენს! - შეუძახა ერთხელ ერთ ხნიერ ქარიანს, რომელიც მოოქროვილი დეზების წკარუნით მიიჩქაროდა გუბერნატორთან დათქმულ შეხვედრაზე.

- ცხენი რა უყავით, კაიზერო? აჰ, ერთი თვის წინათ წაგექცათ?

- რა გვარი ხარ? - ბრაზით ჰკითხა ქარიანმა.

- პარნელი, ჩარლზ პარნელი... მე აქ მოვედი, რათა თქვენი ტანჯული ერი გამოვიხსნა ინგლისელთა სისხლისმწოველი მმართველობისგან.

ქარიანმა მიმოიხედა და ხმადაბლა უთხრა: - ჩვენ იჯარით გადავეცით კუნძულები ინგლისელებს, ასორმოცდახუთი წლით. მგონი ორმოცდაცხრამეტი უკვე გავიდა...

პასუხი ხარხარი იყო: - შვიდასი წლის წინათ ირლანდიელებმა ვახშმად დაპატიჟეს ინგლისელები და ისინი დღემდე იქ არიან.

- ირლანდიელი ხარ?

- ინგლისელი ვარ! - ამაყად უთხრა საიმონ ტომასმა და უცებ გასაოცარი სიტყვები გაიგონა: - მე არ მიყვარს ინგლისელები, ამიტომ შენთან ერთად ვერაფრისათვის ვიბრძოლებ.

ქარიანი წავიდა ოქროს დეზების წკარუნით.

ტომას ბედლამელს დრო არ დაუკარგავს. ექვსი თვის თავზე მან სუნგალის კუნძულის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. სანტა სიტიში ქაღალდი ერთმა მებადურმა ჩაიტანა, პირველსავე ინგლისური კლუბის კარზე დააკაკუნა და შვეიცარს უთხრა: - ეს ოფიცერს მიეცი...

- რომელს?

- სულ ერთია, მალე ყველა მოკვდება.. .

ქაღალდი ოთხ ენაზე იყო შედგენილი და წამკითხველს ამცნობდა, რომ ვითარებათა და ისტორიული და ადამიანური სამართლიანობის გამო, ჩრდილოეთის კუნძულზე ცხადდება სუნგალის ერთობა, სოფლებისა და სხვა რამ დაწესებულებების მამასახლისები ქმნიან საბჭოს, რომელიც ხელთ იღებს კუნძულის მმართველობის საქმეებს და აღარ სცნობს სანტა ესპერანსას უბადრუკ გუბერნიას: მსოფლიოს ხალხთა წინაშე სუნგალის ერთობა პირობას დებს, რომ თავის პატარა და უძველეს ქვეყანას

მართავს სუნგალელთათვის ჩვეული სამართლიანობით და პატიოსნებით და რომ გლეხთა ქვეყანა არასოდეს იქნება უნამუსო. ერთობის პირველი ბრძანებულებით უცხო სახელმწიფოს ყოველი მოხელე თუ სამხედრო გამოცხადებულია ტყვედ.

ქაღალდს ხელს აწერდა ერთობის მამასახლისთაგან არჩეული კანცლერი საიმონ ტომასი.

ეს ხუმრობად მიიჩნიეს, მაგრამ ორ საათში გაირკვა, რომ ხუმრობა არ იყო.

რეჯიმენტი გამთენიისას ამოძრავდა. გუბერნატორმა მთელი ძალები ჩართო. საბრძოლო კატარღები მოაქოქვინა. ნავებზე რჩეული ფეხოსნები დასხა და კოლონელმა დისლიმ მეთაურობა აიღო.

სამწუხაროდ, ეს გამოდგა ათწლიანი ომი.

ომი თავისით შეწყდა 1920 წელს.

ახალი გუბერნატორი გადავიდა სუნგალის კუნძულზე და ერთი რამის სანაცვლოდ სამ რამეს დაპირდა იქაურებს. ბოლო სამ წელიწადს სროლა აღარც ყოფილა, არც რა სამხედრო ნავი მიდგომია კუნძულს, იმ დროისთვის გლეხებს ყველა ინგლისელი ტყვე გაეთავისუფლებინათ და ყოველ სანტა ესპერანსელს შეეძლო ჩრდილოეთის კუნძულზე გადასვლა.

გუბერნატორმა უთხრა გლეხებს, რომ კარგად იცის მათი ტრადიციებისა და წარსულის შესახებ, და თბილად გადაუსვა ხელი ქინანის საფლავის ჯვარს.

- ამიტომაცო, - თქვა გუბერნატორმა ბრინჩ-ჩერჩმა, - სწორედ სამ რამეს გპირდებითო. ერთი, რომ აუცილებლად ავაგებთ კუნძულზე საავადმყოფოსო; მეორე, რომ ერთს ისეთ რასმე დაწესებულებას ავაგებთ, ყველანი დასაქმდეთო და მესამეც, საგანგებოდ სუნგალელთათვის შემოვიღებ კანონს მათი სიმპატიებისა და მიხედვით და ყოველ სუნგალს ოცი წლის ასაკიდან ექნება საგანგებო ჟეტონი, რომელიც უფლებას მისცემს იყოს დარაჯი, მხლებელი, ერთგული კაცი რაგინდარა ვინმესი, ვინც კი დაიქირავებს და ამით მოთანხმე სუნგალს რევოლვერის, ან რაგინდარა საუკეთესო იარაღის საჯაროდ მოხმარების უფლება მიენიჭება, ოღონდაც არასწორი მოხმარების დროს დაისჯებაო.

სანაცვლოდ გუბერნატორი ითხოვდა ერთადერთ რამეს, დამენახოს არი ეს საიმონ ტომასი, თუ ბედლამელი ტომასი, თუ ვინც არისო. იმასაც დაურთავდა დიპლომატიურად, სუნგალთათვის შეურაცხმყოფელ რაიმეს კი არ გთხოვთ, ჩემი აქ ყოფნა გადაეცით და უეჭველად მოვაო.

სუნგალთა მამასახლისებმა წრფელად მიუგეს, ბედლამა ანგლიზელი ორი წლის წინათ გავაცილეთ შორეული ნაპირისკენო, რუსეთში ომიანობა იყო და იქ საქართველოს გასათავისუფლებლად წავიდა. მერე აღარ ვიცით რა მოხდა, თუ გაგიგიათ საქართველო, ეგებ სწორედაც იქ იყოსო.

ჩრდილოეთის კუნძული დედა ესპერანსას დაუბრუნდა.

ამ ამბიდან ნაირგვარობები გამოდნა. ოცი წლის თავზე, ყველა ჯანიან ბიჭს, ვისაც რომელიმე ოჯახში ხელის ბიჭად დაიყენებდნენ, სუნგალს ეძახდნენ. გუბერნატორმა

მართლაც ააშენა საავადმყოფოც და შეპირებული დაწესებულებაც ჩრდილოეთის კუნძულზე, ოღონდაც მაინც იეშმაკა, თუმცა ამისთვის ბევრს აღარავის მიუხედავს, არცა კუნძულის მკვიდრთ.

საიმონ ტომასი აღარავის უნახავს და არც გახსენებია. ერთადერთი ფოტო, რომელიც ბოშკოვიჩის ატელიეში აღმოჩნდა, ერთხანს დეტექტივებს ჰქონდათ, მერე კი გუბერნატორის არქივში გადაგზავნეს.

ჭორად კი ეს იყო, რომ ტომას ბედლამელს სამხრეთ კუნძულის მემამულენი, ვისრამიანები დაეხმარნენ გაქცევაშიო და მათვე აქვთ საიდუმლოდ შენახული ამ შეშლილი მოჯანყის დღიურები, სუნგალის კუნძულზე მისი ყოფნის ლამის ცხრა წელიწადს რომ აღწერსო.

იმის შემდეგ ინგლისელი, რომლისთვისაც გიჟის წოდება არავის დაენანებოდა, კარგა ხანს არ გამოჩენილა.

მესამე იყო ვინმე არჩი, რომელიც თავის მეგობარ გოგოსთან ერთად, ძალიან გრძელი თმითა და ძალიან პრიალა და მძიმე ფეხსაცმელებით ჩამოვიდა. ეს ამბავი ზაფხულში დაიწყო, მაგრამ შემოდგომითაც გაგრძელდა, რადგან ამ ჯეილს ადგილი მოეწონა და როგორც გაირკვა, თავდავიწყებითაც შეუყვარდა. არჩი რომ გამოტყვრებოდა, გვარიანად დაბეჟავდა ხოლმე თავის გოგოს, თუმცა ისიც არ აკლებდა ხელს და კარგა გვარიან ნაჩხაპნებს დაუტოვებდა ხოლმე ცხვირ-პირზე. არჩი დიდად სანახავი იყო, ნაკაწრები და ნაკოცნები ახლო-ახლოს ჰქონდა, რას გაუგებდი ამას. ზედმეტი ხმაურობისა გამო არჩის და პეტსის, რაიც გოგოს სახელია, მალიმალ გამოაძევებდნენ ხოლმე სასტუმროებიდან და ქუჩათა პოლიციაც დიდ წვალებაში ჩავარდებოდა ხოლმე. მერე არჩიმ სიმღერა დაწერა, რომელსაც „სანტა ესპერანსა“ ერქვა და ამ სიმღერას ქუჩაში აჟღრიალებდა თავის მშვენიერ გიტარაზე. მერე არჩიმ დაწერა სიმღერა „სუნგალა“, რომელსაც თავისი გაბზარული, წვრილი ხმით ასე ამოთქვამდა ხოლმე: „Sungaala, sun-gaaalaaaa, Just a drop of soul, Sungaala, soon, very sooooon, Suuungala, suuuungala, Just a drop of wine, Suuun gala, Life is one, not nine Suuungala, sungalaaa...“

არჩი ერთი-ორ კლუბში მღეროდა ხოლმე მაშინ, როცა მოეხასიათებოდა, ისე კი ბევრს დაეთრეოდა ყავახანებში, რომელთა საპირფარეშოებშიაც ეწეოდა ხოლმე ხითხითა ბალახებს. სწორედ ასეთ ადგილას გაიგებდა ის ტომას ბედლამელის სახელს. შესაძლოა, უთხრა კიდეც ვიღაცამ, შენ, ეი ბედლამელო ტომას, რაებს მეტყველებო.

ამას მოჰყვა კიდევ ერთი სიმღერა, „ბედლამის გმირი“, არჩი კი პეტსის შეუჩნდა, წავიდეთ, ვსდიოთ ტომას ბედლამელის ნაკვალევსო, პეტსის კი უკვე გვარიანად მობეზრებოდა სანტა ესპერანსაზე ყოფნა და უარი წაუსისინა, სადაც გინდა იქ წადი, მე აქედან ფეხს არ გავადგამო. არჩიმ გვარიანად დაზურგა გოგო, ერთი-ორი ღირსეული ხურდაც მიიღო, მოავლო ხელი გიტარასა და იმ თავის სამხედრო ზურგჩანთას და გავარდა ქუჩაში. იტყოდნენ, თითქოს პეტსიმ განგებ მოუწყო ეს ამბავი, რათა როგორმე დაეხსნა თავი მისგანო. ასე იმიტომ იტყოდნენ, რომ არჩი გაიგულა თუ არა, პეტსიმ ჩაალაგა და აეროპორტში გაქანდა.

არჩი კი გაქრა.

მისი ხმა კი მოაკლდა სანტა სიტის, მაგრამ იფიქრეს, პუსკუნა პეტსისთან ერთად წასულაო. ერთი წლის თავზე კლუბ „მენშენის“ კარზე ერთმა სუნგალელმა მებადურმა დააკაკუნა. კარის მცველებიც სუნგალები იყვნენ და იცნეს თავისიანი.

- ესა, ბიჭო, - სთქვა მებადურმა, - ესა დასტოვა ანგლეზმა და წავიდა. როდის წავიდა და, შობა იყო, მთაში წავიდა, არ მოსულა. გიჟი იყო, რა ვიცი, - და უბიდან მაგნიტური ლენტის ერთი მოზრდილი კოლოფი ამოიღო, - მღეროდა და მანდ მიიტანეო, ჩემს ქალს მისცემენო.

აი, აქედან შემოტრიალდა უკან ისტორია. პეტსი ჩრდილო ლონდონს, კემდენს იპოვნეს და გვარიანი გამოძიებაც ატყდა, მაგრამ არჩი ვერც მკვდარი, ვერც ცოცხალი ვეღარ აღმოაჩინეს, პეტსიმ ყოველი გზით სცადა, რომ სიმღერების ჩანაწერები მიეღო, ვინ იცის, სიყვარულით, ვინ იცის და რაიმე გამორჩენის მიზნით. ჩვენ პირველი ვივარაუდოთ, ოღონდ ისიც გავიხსენოთ, რომ პეტსიმ არჩი მიატოვა და იგივე განაცხადა „მენშენის“ პატრონმა სემმა, რომელმაც ჩანაწერი დაიტოვა, გაუფრთხილდა და თავისი კლუბის ერთ მთავარ ნიშნად აქცია. ისიც, რომ ერთ შვიდ წელიწადში კლუბს სახელიც გამოუცვალა და „არჩი’ზ“ უწოდა.

არჩი კი გაქრა, მკვდრად ჩაითვალა, რას უპოვი სუნგალეთის ხევებს, რას უპოვი?

ჩვეულებრივი არითმეტიკა რომ გავიმეოროთ, ას ათი წლის განმავლობაში სანტა ესპერანსაზე გამოჩნდა სამი ახირებული ინგლისელი, რომელთაგან პირველი სულაც არ იყო გიჟი, არამედ კარგი მხატვარი, მეორე ალბათ ანარქისტი იყო და სიგიჟისაც სულ ცოტა თუ დაეტყობოდა, ხოლო მესამე გახლდათ ერთი მოხეტიალე და მოჰიპო ჯეილი კაცი, რომელსაც ასევე არ ეთქმოდა მთლად გიჟი, თუმც კი იმასაც გიჟს უწოდებდნენ.

ჰოდა, საუკუნე-ნახევრის თავზე გამოჩნდა მეოთხე, რომელიც ყველას თავის ოქროსფერბალნიან მკლავებს უჩვენებდა და ამბობდა: - აი, შეხედეთ, მე ინგლისელი არა ვარ. ინგლისელებს არა აქვთ ბალანი მკლავებსა და ტანზე. მე შოტლანდიელი ვარ. დედა მყავდა ინგლისელი. ეს ყველაზე კარგი შენაზავია, რაც კი ბრიტანეთმა შეიძლება გამოადნოს.

ამ კაცისა არავის აინტერესებდა რამე და თვითონაც არ იყო დიდი მოხმაურე. ერთ დიდ, განსაკუთრებულ საქმეზე ჩამოვედიო, ამბობდა და წარბებშეჭმუხნული დაიქნევდა ხოლმე თავს, აქაოდა, ჩემი საქმისა მე ვიციო.

სახელად ერქვა რობერტ მაკდრეიფი და მართლაც ვერავინ იტყოდა, რომ შოტლანდიელი არ იქნებოდა. სხვა რომ არაფერი, მისი ოქროსავე ფერის უსიერი წარბებიც წარმოაჩენდა ამას.

მაკდრეიფი წყნარად ცხოვრობდა და აბა ვინ იცოდა, გულს რა ცეცხლი უდუღდა. მაგრამ, რომ გამოეჩხრიკათ, ის ყველაზე მეტ ბედლამელად მოინათლებოდა. ამ კაცს მიაჩნდა, რომ მთელ რიგ მისტიკურ გამოთვლათა მეშვეობით იპოვნა საოცარი ადგილი, სანტა ესპერანსას ქვეშ დანთქმული დიდი ცივილიზაცია და ამ ცივილიზაციის უკანასკნელ ძაფად ხედავდა კუნძულის ძველ ციხისთავთა უკანასკნელ შთამომავალს, მოხუცებულსა და დაღლილ ქალბატონს, ხანუმთ ხანუმს, აგათია არჩილიან ციხისთავს.

მოხუცს ერთხელ ქუჩაშიაც დაუდარაჯდა და ყმობა შესთავაზა, თუმცა ქალმა ვერ გაუგო. მოვიდოდა დრო და გაუგებდა, ყველა დაუჯერებდა. დრო მოდიოდა. მოვიდოდა ასეთი დრო.

ხარის რქის ჰანწი და ყურძნის მტევნები

ტაბლოიდ „მესინჯერის“ უხელფასო რეპორტიორის, მონიკა უსო დი მარეს ნაჭორავები პაპარაცი ბიკენტ ლოპიანთან

(კომენტარებითა და საჭირო განმარტებებით) მეორე მარტინიც ამიღე და უფრო კარგად მოგიყვები. რა მოხდა, თორმეტის ოცი წუთია. მეორე მინდა, მეოთხე ხომ არა? თან შენ გეუბნები, ჯასტინს და იმათ რომ ვეუბნებოდე, არც მოვთხოვდი. ჩემი დათრობა შენ ნუ გაღელვებს, როდის იყო მარტინი ათრობდა... როსსო, როსსო სინიორა. დიახ, ამ კეთილი კაცის ანგარიშზე. მოკლედ, ამაღამ ისევ შეხვდებიან. ბარტონის სახლში. რა, ფარდები აქვს ბარტონის[1] სახლს? მერე მისვლა გადაიღე. მისვლით ხომ ფეხით მივლენ, ან მანქანით. ხომ არ მიფრინდებიან და საკვამლე მილით ხომ არ ჩაძვრებიან? მართალი ხარ, ეგ უფრო საინტერესოა, მივლენ შეღამებულზე... კი, ნამდვილად დაგჭირდება დაბინდული მანქანა. სამოძრაო იქნება, აბა, რა. შეიძლება სულაც არ შევიდნენ ეზოს კარიდან. ვერ გავიგე, მაგხელა ობიექტივი ტყუილად გაქვს? ცხადია, მოსახვევში არ იღებს, მაგრამ... მეორე კაცი დაგჭირდება? შენს ბიძაშვილს წამოიყვან?

კი, მაგრამ მაგ ბიჭმა იცის გადაღება? თუ ენდობი, სხვა ამბავია. ჰო, უფრო იაფადაც გამოხვალ. მაშინ უკანა ეზოსთან შენ დადექი და ალაყაფთან ის ჩაასაფრე. უკან საერთოდაც მოხერხებული ადგილია. გზის გადაღმა, ხეივანში. მანქანის გაჩერება კი მართლა საეჭვოა. გარშემო არაფერი არ არის, მაგრამ ეგ შენი მოსაფიქრებელია, წადი, ადგილი დაათვალიერე, საღამომდე იმდენი დროა...

არა, რა ტყუილა? გეუბნები ორი ათას ფუნტს ისე გადაგვიხდიან, როგორც არაფერს. მე ამაღამვე დავწერ, შენ ფოტოებს მოიტან, ბოსს რომ დავულაგებ, როგორ ფიქრობ, რას იტყვის? მართალი ხარ, იტყვის ხუთასი ფუნტიო. მე ვეტყვი სამი-მეთქი. ორზე შევთანხმდებით. ექსკლუზიური მასალაა. ვინ იცის საერთოდ, რომ ბარტონი ჩამოვიდა და ჯესიკასთან ერთად ატარებს საღამოებს? ბარტონი, ჯესიკა და რედკლიფი ერთად. დიდ თემას ავაგორებთ. მთელი კვირა ვწერთ? ჰა?

რა თქმა უნდა, ძვირფასო ბიკ, რა თქმა უნდა...

სად ვნახე და სადაც ყველაზე ნაკლებად ველოდი. ბერძნებში. კი არ ვნახე, მანქანით გავყევი.

სთეითში ვიყავი რაღაც საქმეზე და მოედანზე ტრაფიკში მოვყევი. ვიფიქრე, ორი საათია, არც იქით არი, არც - აქეთ. მანქანას სადმე მივაჩერებ და გვიან ლანჩზე შევალ „წითელ ოთახში“ -მეთქი. ამის ფიქრში ვარ და წინა მანქანას ვუყურებ. ვარდისფერი იყო, ტენტიანი, ძველი. ვუყურებ, ვუყურებ, მივღოღავთ, მივღოღავთ და ვხედავ, გვერდითა ხაზში გადასვლა უნდა. საჭე, ჩემი არ იყოს, მარცხნივ აქვს. თავი მოატრიალა და ვინ არის? ჯესიკა. იმწუთში ვიცანი, ვარდისფერი თავსაფარი, შავი სათვალე. მაგის გემოვნება ცნობილია. გადაცოცდა გვერდით ხაზში, მივყევი. რატო არა? ჩაუხვია მწვანეზე და ჩავიდა დაბლა, ზღვისკენ. მე მეგონა, მაღლა აუხვევდა. ნაპირზე იცი, ბერძნების ადგილი როა, „პალადა“? არ ყოფილხარ „პალადაში“? გაცდა „პალადას“, კუთხეში გააჩერა. მეც მივუჩერე. გადმოვიდა. სათვალე გავიკეთე და გადმოვედი. წამოვიდა ისევ „პალადასკენ.“

ლანჩთაიმი თითქმის გასულია, „პალადაში“ ხალხი კია, მაგრამ წამოშლის დროა. ხო ხვდები? შევიდა და იქ როგორ არის, იცი? დღისით ხო სინათლეს არ რთავენ, მზე ეცემა ვიტრინებს, და თეთრი ფარდებია. სიღრმეში კიდე, კედლის მხარეს, ოთხკაციანი მაგიდებია კარგად მიბნელებულში. ხალხი სულ ვიტრინებთან ჯდება. ფარდას გადაწევ - ზღვა ჩანს, თან მზეს ეფიცხები.

ეს წავიდა კედლისკენ, ორი კაცი წამოუდგა ფეხზე, დაისვეს სუფრასთან. პანოსი დაადგათ თავს დიდი ჩაღიმებებით, ჰოლიდან ვუყურებ. პანოსი დარბაზის მენეჯერია. ბარტონი ვიცანი, ის მეორე - ვერა. შევალ-მეთქი, რაც არი, არი და შევედი. ჯესიკასგან ზურგით დავჯექი. ანუ ბარტონი და ჯესიკა ჩემგან ზურგით სხედან, ის მესამე კიდევ ჩემს ზურგს უყურებს. მერე მივხვდი, რომ ის მესამე რედკლიფია.

იმათ არაფერი შეეკვეთათ, ჯესიკას ელოდნენ. მე შევუკვეთე იმათზე ადრე.

საინტერესო რამეები მოვისმინე, ბიკ, ძალიან საინტერესო რამეები. დავწერ და წაიკითხავ. რას ნიშნავს, რა მოვისმინე? შენთვის საინტერესო ის მოვისმინე, რომ ამ საღამოს სამივენი ერთად ვახშმობენ ბარტონის სახლში, რათა საბოლოოდ გაარკვიონ რაღაცეები.

მოლაპარაკებებს შევესწარი და ეს არის, ბიკ. მაგარი ვარ. ძალიან მაგარი ვარ, ბიკ, და რაებზე მაცდენენ თუ ხედავ, ავარიებზე, რომლებიც არ ხდება. ელექტროსადგურის დადუმებაზე, რაც შეუძლებელია და მე კი რა ამბებს ვხედავ. რაც მთავარია, ხელფასის გადახდაც არ უნდა ჩვენს ბოსს. ჯერ ოცდახუთი წლისაც არა ხარ, უკვე ამხელა თემები გინდა? რა სისულელეა.

ეგ გამოხედვა შენთვის შეინახე, ბიკ. შენ გგონია, რაიმე სხვაობაა ერთსა და სამ მარტინის შორის? მობილური არ გამორთო. ადგილს რომ მოათვალიერებ, დამირეკე. დღეს ნადირობის დროა.

სამი სანტა ესპერანსელი მწერლის ერთობლივი ლანჩი ძალიან გასაკვირი დაურჩა უხელფასო რეპორტიორ მონიკას, რადგან ვინც ვითარებაში ერკვეოდა, კარგად იცოდა, რომ ამ სამ ადამიანს, როგორც ერთმანეთის მცნობ მწერალთა უმრავლესობას

დედამიწის ზურგზე, ერთმანეთი სძულდა. ყველას ახსოვს, როგორ დასცინა „სანტა სიტი მეილის“ მესამე გვერდიდან ბარტონმა ჯესიკა დე რაიდერს და მას ვითომ წარმატებული მწერალი უწოდა, ხოლო ორივეს როგორ დასცქეროდა დიდების კონცხიდან ჩარლზ რედკლიფი, რომელიც ამბობდა, რომ ქალთა რომანების მწერლებს არ ძალუძთ ადამიანთა გულების იმგვარად შეძვრა, როგორც მას, საშინელებათა მწერალს. მთელს ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ჯესიკა და რედკლიფი დეიდაშვილები იყვნენ და ერთად გაზრდილიყვნენ, თუმცა, წამოზრდისთანავე მათი გზები გაყრილიყო, რადგან ერთი ვაჟთა დახურულ სკოლაში მიებარებინათ, მეორე კი - გოგონათაში. დანბერის სკოლები საუკეთესოთა შორის იყო კუნძულებზე. გოგონებს ლურჯი კოსტუმები ეცვათ, ვაჟებს კი - შავი, ცისფერი კანტებით. იქ ყველაფერი ინგლისურად ისწავლებოდა და თანაც იმგვარად, რომ ინგლისური უნივერსიტეტებისკენ გზა ხსნილი გქონდა. არაფრით იყო ნაკლები სტამბოლის ორ-სამ განთქმულ ინგლისურ სკოლაზე. ასე რომ, დეიდაშვილები კარგად დაიზარდნენ და სანიმუშოდაც განათლდნენ ინგლისის იმ ორ უნივერსიტეტში, რომელთაც აქ არ ჩამოვასახელებთ, იმას კი მოგახსენებთ, რომ მათი ნიჩბოსანთა გუნდები ტემზაზე ეჯიბრებიან ხოლმე ერთმანეთს. ამის წაბაძვით, დანბერის ვაჟთა სკოლა ეჯიბრება ხოლმე სანსბერის ვაჟთა სკოლას ღია ზღვაში, თუმცა ადგილობრივი სათევზაო ნავებით.

ჯესიკასა და ჩარლზის შესახებ ბევრი სალაპარაკო რომ არ გაგვიხდეს, ისიც უნდა ვთქვათ, რომ სანტა ესპერანსას ძველ მოსახლეთა მაღალ საზოგადოებაში მათ სრულიადაც არ სცემდნენ პატივს. ეგებ კონსიერჟები და კელნერები, ანდა მასწავლებელთა და ტაქსისტთა ცოლები, მიმტანი გოგოები და მეძავებიც კი კითხულობდნენ ჯესიკას წიგნებს, ხოლო მოზარდებს დიახაც ითრევდნენ ჩარლზ რედკლიფისა და ჯერი ბარტონის მაკრატლიანი კაცები და ავი სულები, მაგრამ მაღლა, იქ, სადაც ყველამ ყველაფერი იცოდა, მათ დიდად არ მიესვლებოდათ. იყო მძლე ქალბატონი, კაია ვისრამიანი, რომელმაც ერთ-ერთ საქველმოქმედო სადილზე ყველას გასაგონად, იოანურად ჰკითხა ჯესიკა დე რაიდერს: - ეზეკია, ოქსფორდში იმიტომ სწავლობდი, რომ სისულელეები გეწერა? - მერე კი ჯენოველთა ენაზე განაგრძო, - არ მესმის, რატომ უნდებათ ადამიანებს თავისი წარმოშობის და ენის გამოცვლა. ბებიამისი გასაოცარი ქალი იყო...

ყველა იცნობდა ჯესიკასა და ჩარლზის ბებიას.

- ალბათ ამას იმიტომ აკეთებთ, რომ ბევრი წიგნი გაყიდოთ, არა? - არ დაწყნარდა მაშინ კაია ვისრამიანი. - ჩვენს მონასტრულზე ნაწერს კი რამდენი წაიკითხავს?... თუმცა, ეს კარგია იმიტომ, რომ ქველმოქმედებას უკეთ გასწევთ...

მთავარი მიზეზიც ეს იყო: ყველაზე განთქმული სანტა ესპერანსელი მერომანიდან სამი ინგლისურად წერდა, ერთი საერთოდ არ წერდა და ოცი წლის წინათ გამოცემული რომანით იყო განთქმული, კიდევ ერთი კი გათხოვდა და წერას თავი დაანება, თორემ მანამდე ისიც ინგლისურს ამჯობინებდა.

მიუხედავად ამგვარი საერთო გასაჭირისა, ჯესიკას და ჩარლზს ერთმანეთი არ უყვარდათ, ხოლო ესენი ორივე სძულდა ჯერი ბარტონს, რომელსაც ქალი უფრო იმიტომ არ დაენახვებოდა, რომ თვითონაც გულში ჰქონდა საქალებო რომანების წერა, ხოლო ჩარლზი იმიტომ სძულდა, რომ საშინელებათა საქმეში მეტოქედ ხედავდა და

თან ჯესიკას დეიდაშვილი იყო, რაიც დააეჭვებდა, რომ ისინი ერთად მოქმედებდნენ მის წინააღმდეგ.

ერთხელ „ივნინგ სტენდარდში“ წერილიც კი იყო, „ესპერანსა ტრიანგლ“, ესპერანსული სამკუთხედიო, სადაც ამ სამთა მიერ ერთმანეთზე ნალაპარაკევი იყო გადაზელილი ერთმანეთში. იმის შემდეგ ყველამ იცოდა, რაც უნდა სცოდნოდა, ხოლო ფიქრიანი ხალხი ისედაც ამბობდა, ეგენი ჩვენები არ არიან, სხვაგან სურთ თავის შერგვაო.

და ბარემ ვთქვათ, ვისზე იტყოდნენ, „აი, ჩვენიო.“

ლუკა, უბრალოდ ლუკა და მეტი არაფერი, ახლა სამოცს გვარიანად იქნებოდა გადაცილებული, ქვეყნის მეზღვაურობით და სხვა ხერხებით მომვლელი, ბევრგან გაცინებული კაცი იყო და ახლა, თუ სადმე ნახავდით, ან ნავსადგურის დუქნებში, ანდა იპოდრომის ტერასაზე.

ლუკას ერთი ბებია ირლანდიელი ჰყავდა, მეორე - ქართველი. ერთი ბაბუა იტალიელი, მეორე ოსმალო, დედ-მამაც რაღაც ამათ შუა მოტრიალენი გამოსვლოდა, ხოლო თვითონ თავის რასობრიობის გრაფაში, რომელიც ერთადერთხელ შეავსო მემკვიდრეობის მიღებისას, ჩაწერა: „რასა - მაწანწალა.“

ჰოდა, ერთხელ ლუკამ წიგნი დაწერა, რომელსაც ასევე დაარქვა: „ლუკას დაუსრულებელი თავგადასავლები ზღვასა და ხმელეთზე, კეიპტაუნიდან ტიბეტამდე.“

რატომ დაწერა ეს წიგნი, არ იცოდა, რადგან სამოგზაურო შიგ ბევრი არაფერი იყო, ოღონდაც მოხერხებულად კი გამოუვიდა: წიგნის ერთი გვერდი ქართულად იყო, მეორე - ჯენუურად, მესამე - ოსმალურად. ოსმალურის წერა გაუჭირდა, მაინც სხვა მხრიდან უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ მოახერხა. თანაც, საქმე ისე ააწყო, რომ ყოველ სამ გვერდში, თითოს თითო ენაზე მოთხრობით, თავისთავად ერთი გრძელი ამბავი მოახერხა, მაგრამ მხოლოდ ერთ რომელიმე ენაზე დაწერილ გვერდებს თუ წაიკითხავდი, კიდევ სხვა ამბავი გამოვიდოდა, მეორეზე კიდევ სხვა და მესამეზეც ხომ სხვა და სხვა. შეგეძლო რიგრიგობითაც წაგეკითხა და მიყოლებითაც, ანდა - მხოლოდ ერთი.

ეს თავისი ნაწერი კი, რომელიც ბარე შვიდას გვერდამდე მიიყვანა ლუკამ, ერთ ძველ თავშალში გამოახვია და რატომღაც მონასტერში წაიღო. წინამძღვარმა დემეტრიოსმა არც ერთი ამ ენათაგანი არ იცოდა და ლუკას საქციელს ვერ მიუხვდა, ლუკამ კი ნაპირის დუქნებში გამოაცხადა, ჩემი სამი თავი დავწერე, ხოლო მეოთხე თავი, ლუკას ნამდვილი ცხოვრება, სხვამ უნდა დაწეროს და თანაც ბერძნულადო. ბერებმა თავშალში გამოხვეული ხელნაწერი ნაპირის უბანში ჩაიტანეს და, რახან ლუკა ვერ ნახეს, ერთ თევზის ვაჭარს დაუტოვეს ნავსადგურის ახლოს, ამან ხომ ლუკას დოსტად წარუდგინა თავი.

ვაჭარმა ლუკა იმ დღეს ვერ ნახა, იფიქრა, ეს თავშალი არ დაიკარგოსო და შინ წაიღო. სისხამზე კი, როცა თევზის ბაზრისკენ მოიჩქაროდა, იხილა, რომ ცოლს სამზარეულოში დასძინებია, მუხლებზე ლუკას თავშალი გადაუფენია, თავი კი ასოებით გადაჭრელებულ ქაღალდებზე უდევს. ვაჭარმა ცოლი გააღვიძა, აბა, ყავა რათ

არ მოგიდუღებია ჩემთვისო, ცოლმა კი ქვითინი მორთო, აჰ, საწყალი ლუკა, რარიგ ტანჯულა ცხოვრებაში, რა წესიერი კაცი ყოფილა, მე კი ლოთი და ვალის არდამბრუნებელი მეგონა. ყავას არა და შხამს დაგალევინებ, მაცადე, ლუკას ნამდვილი თავგადასავალი უნდა წავიკითხოო. ვაჭარმა ჩახედა ფურცლებს, მაგრამ იმის ჩაღრმავების დრო აღარ იყო და წამოვიდა ბაზარზე, სადაც ქვეყანას მოსდო ცოლის და ლუკას ქაღალდების ამბავი.

სრულ სამ დღეში საქმე ისე გამოვიდა, რომ ლუკას უნახავად, თევზის ვაჭრები გაზეთების მთავარ სტამბაში მივიდნენ, ერთჯერი გაზეთის დაბეჭდვა გვწადია და გადავიხდითო. ერთჯერ გაზეთს მაშინ ლიცენზია არ უნდოდა. ლუკა ეძებეს, მაგრამ ვიღაცამ უთხრა, ლუკა სუნგალის კუნძულზე წავიდა, იქ გლეხებში ცხოვრობს და ქეიფობსო.

სამ დღეში ლუკას თავგადასავალი მეგაზეთეებმა გაზეთსავით ააწყვეს. უფრო მალეც იქნებოდა, მაგრამ გზადაგზა ხმამაღლა კითხულობდნენ, უაზროდ კი არ ალაგებდნენ ასოებს.

კოხტად გამოვიდა, ოთხი ნაწერი გვერდი ერთ ფურცელზე დაეტია, ოღონდაც ასოები საგაზეთო იყო.

ამის მერე მოხდა ლუკას სახელის სხვანაირად გავარდნა. გაზეთი ყველამ წაიკითხა, თვითონ ლუკას კი როდის-როდის ჩაუვარდა ხელთ, სუნგალის კუნძულზე, აბა, რა უნდოდა ნაწერ სიტყვასა და ქაღალდს.

ეს გაზეთი რომ ნახა, გაიხარა, მაგრამ არ შეიმჩნია, სწორად მიმიტანია მონასტერშიო. ქალაქში ჩამოსულს დიდი საკვირველება დაუხვდა. თევზის ვაჭრებმა ფულიც შეახვედრეს და უთხრეს, აჰა, ძამიავ, და აწი რა საქმეც გინდა ის დაატრიალე, სახლი არ არის, შენი ამბავი გაზეთად არ იყოსო.

ლუკამ სახელი კი დაიგდო, მაგრამ სამწერლობო ხელობას აღარ მისდია და არც თავისი თავგადასავლების ხელახლა გამოცემაზე უზრუნია. როგორც ცხოვრობდა, ისე მიჰყვა და იმის შემდეგ ოცი წელიწადი შესრულდა, იმისგან სტრიქონი არ გამომდნარა. რა არის, რომ ყოველი მოდგმისა და ასაკის ვინმემ იცოდა, ქუჩაზე რომ მოფრატუნობდა განიერი ნაბიჯით, ამსიმძიმე, ღიპიანი და პერანგის ბოლო ღილებშეუკრავი, ლუკა მწერალი მოდისო. გაზეთები დაიხა, ბიბლიოთეკებშიაც კი. უკვე აღარ იპოვებოდა ლუკას ნაწერი, თუ ვინმეს სათუთად არ ჰქონდა შენახული უბრალო ოჯახში, თორემ მდიდრებში ასეთი რამეები იოლად იკარგება. ლუკას კი დარდი არა ჰქონდა ამ საქმისა, გაიფრატუნებდა თავისი ფრატუნა ფოსტლებით და მოუხდიდა ერთ დროს თეთრ შლაპას შემხვედრებს.

სხვა არავინ იყო კუნძულებზე, რომ ოდესმე მისთვის მწერალი დაეძახათ. ლუკა მწერალი ერთს ერქვა. დანარჩენებს ვიღაცეებად თვლიდნენ.

ჯესიკა დე რაიდერი

„საფერფლეში ჩასრესილი გული“

უკანასკნელი თავი

ჯონ ბლეიკი „სი“-ს ბარში იჯდა და სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა.

სიგარეტებს ღონივრად ასრესდა მინის საფერფლეში, რომელსაც შავი ასოებით ეწერა სასტუმროს სახელი.

მიმტანმა ქალმა ორჯერ გამოუცვალა საფერფლე და მეორე გამოცვლისას ჰკითხა: „კიდევ რამეს ხომ არ ინებებთ, სერ?“

„არა,“ მიუგდო ბლეიკმა, „და ნუღარ გამომიცვლით საფერფლეს. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩემმა სტუმარმა, რომელიც წუთი წუთზე მოვა, ნახოს, რამდენი მოვწიე.“

მიმტანი ქალი უსიტყვოდ გაშორდა და ბარის კუთხესთან მივიდა.

„ნახა, რაღა, საპაემნო ადგილი,“ უთხრა ბარმენს, „შეშლილი...“

„არ იცი ვინ არის?“

„ვინც არ უნდა იყოს... საფერფლე არ გადაყარო, იმიტომ, რომ ჩემმა ქალმა უნდა ნახოს, რამდენი მოვწიე...“

„ჰმ...“ ჩაიცინა ბარმენმა. „ეგ ჯონ ბლეიკია.“

„ჯონ ბლეიკი?“ პირი დააღო ქალმა და დაურიდებლად გახედა მაგიდასთან მჯდომს, „...ო, არა. ის? ამერიკელი?“

„აბა, ვინ?“

„არაა...“

„შენ იცი...“

„ჩარიგა დრაივი, არა?“

„კი, ეგ ფილმია.“

„მერე აქ რა უნდა?“

„რას გაიგებ.“

რვის ოც წუთზე ჯონ ბლეიკი წამოდგა და ვიტრინასთან მივიდა.

„აგვიანებს,“ ჩაიხითხითა მიმტანმა ქალმა.

ბარმენმა ქვემოდან გახედა ბლეიკს და დახლის ქვემოდან ტელეფონის აპარატი ამოდგა.

„მისმინე, კეტ... ახლა ადექი და კონსტებლის ნომერი აკრიფე... ჩუმად უთხარი, რომ ვინმე გამოუშვას.“

„რა მოხდა, სი?... რა ჯანდაბა მოხდა?“ წამოწითლდა ქალი.

„დარეკე და მშვიდად უთხარი... ვინმე გამოგზავნოს. უთხარი, რომ ჩვენთან ამერიკელი კინოვარსკვლავი ჯონ ბლეიკია კაფეში და თავის მოკვლას, ან ვინმეს მოკვლას აპირებს...“

„რას ბოდავ?“ ხმა ჩაუწყდა ქალს, „კონსტებლი დაიჯერებს, რომ ჩვენთან ჯონ ბლეიკია კაფეში და... საიდან მოიტანე, რომ თავის მოკვლას აპირებს?“

უცებ ბლეიკი ვიტრინას მოწყდა და ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა ბარისკენ.

„ტელეფონი გაქვთ?“ ჯიქურ ჰკითხა სის, „აჰა, აგერ ყოფილა, ხომ მუშაობს?“

„მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, სერ, ადელაიდა, კუალა ლუმპური, სამოა...“ შესცინა სიმ.

ბლეიკს არც კი შეუხედავს. რეკავდა და საშინელი მონდომებით ექაჩებოდა სიგარეტს. ქალი სის შესცქეროდა შემცბარი, ბლეიკი კი ყურმილს უჭერდა ხელს.

ერთხანს ასე იყო, მერე ყურმილი დადო და ბარმენს ჰკითხა: „საფერფლე გაქვთ?“

სიმ დიდი საფერფლე გამოაჩოჩა დახლზე. გვერდითვე იდო, მხოლოდ ბლეიკმა ვერ დაინახა.

მან უკანასკნელი ნაფაზი დაარტყა და ორი თითით, არაადამიანური ძალით დაასრისა ნამწვავი საფერფლის კიდეს.

„რამეს დალევთ, სერ?“ ჰკითხა სიმ და ტელეფონი ნელა მიუჩოჩა ქალს. „დარეკე, კეტ... ხომ გინდოდა დარეკვა?“

ქალმა ტელეფონი გაუბედავად აიღო და ბლეიკს გამოხედა.

„მე აღარ ვრეკავ... დარეკეთ, მემ...“ უთხრა ბლეიკმა. „დამისხით, ორმაგი, ჯეკ დენიელსი.“

„ამერიკული არჩევანია,“ ჩაიღიმა სიმ და ჩამოასხა.

„ჰო... თუ არჩევანია, საერთოდ,“ მოსვა ჯონ ბლეიკმა.

მიმტანი ქალი ტელეფონის ბორბალს აწვალებდა.

„დღეს არავინ პასუხობს, მისს,“ ჩაიღიმა ბლეიკმა და ბოლომდე გადაჰკრა.

„ერთიც?“ ჰკითხა სიმ, „ორი ორმაგი სწორედ იმდენია, რომ გჭირდება ხოლმე.“

ბლეიკმა მეორეც სულმოუთქმელად დასცალა, ჭიქა დადგა და დახლს მოშორდა.

„რით ვეღარ დარეკე,“გამოსცრა სიმ.

კეტმა ამოხედა და იმწამსვე თქვა: „ალო... მისტერ გუზფოტერ, კონსტებლის ოფისია?...“

სიმ დაინახა, როგორ იძრო ბარის შუაგულში მდგომმა ჯონ ბლეიკმა პისტოლეტი და პირში ჩაიდო.

„არა... „ აღმოხდა ბარმენს და გავარდა კიდეც.

კეტმა შეჰკივლა, ყურმილი გაუვარდა ხელიდან. ყურმილი იატაკზე ხმაურობდა.

„უთხარი, ელაპარაკე,“ შეუყვირა სიმ და თვითონ დახლიდან გამოვარდა, წაქცეულთან ჩაიმუხლა და ჯონ ბლეიკს სახეზე დააცქერდა.

„ვერ მოვასწარი...“ თქვა ხმადაბლა.

„მისტერ გუზფოტერ, კეტი ვარ, სის ბარიდან... გზის პირიდან... დიახ... არა... ჩვენს ბარში... ჩვენს ბარში ჯონ ბლეიკმა თავი მოიკლა... დიახ, ამერიკელმა მსახიობმა... ეს წუთია, სერ. კი, ნამდვილად ის არის...“

„ის არის,“ წამოდგა სი.

ვიტრინებიდან ჩანდა ღამეში მიმქროლავი მანქანების სინათლეები.

„საიდან იცოდი?“ ჰკითხა კეტმა სის და ჩაიკეცა.

„ღმერთო ჩემო, ამდენი ხანია ბარში ვდგავარ,“ აღმოხდა სის და ვისკის ბოთლს გადასწვდა, „ეხლავე მოგიყვან გონს... აჰა, კონსტებლი უკვე მოვიდა.“

ჯესიკა დე რაიდერი

„მერიონ ჯეიდის არჩევანი“

ერთ-ერთი თავი

ემა ჰოპკინსი სიამოვნებით ეფიცხებოდა მზეს. მას უყვარდა ზღვა და ხშირად ახერხებდა, რომ თავისი სამსახურიდან, ერთ-ერთი წარმატებული ბანკიდან პარასკევს ნაშუადღევსვე დაეხსნა თავი და უიკ ენდზე ზღვისპირეთში გაფრენილიყო.

კარგი, არცთუ ძვირი სასტუმროს ნომერი, მშვენიერი ამინდი, მომხიბლველი, ყოველთვის ოდნავ მზედაკრული სხეული, ზღვაზე კმაყოფილების შეგრძნებას მეტი არც სჭირდება.

ემა ჰოპკინსი ყოველთვის მზედაკრული იყო და ამით ძალიან იზიდავდა ხოლმე მამაკაცებს.

იმ დილითაც პლაჟზე იოლად გამოარჩია ადამიანი, რომლის განსაკუთრებული ყურადღებაც იგრძნო. კაცი ათიოდ ნაბიჯში, შეზლონგზე მიწოლილიყო და ძალიან მუქი სათვალე ეკეთა. მტკიცე, ქონმოუდებელი ტანი მიწოლილსაც ემჩნეოდა, ენერგიული ნიკაპი და უნაკლო მხარბეჭი ჰქონდა.

ემამ შეამჩნია, რომ კაცი მას საკმაოდ ხარბად ათვალიერებდა, იმის მიუხედავად, რომ შავი სათვალე ეკეთა და მისი გამოხედვის დაჭერა შეუძლებელი იყო.

მას დიდხანს აღარ დაუხანებია, თითქოსდა ზანტად წამოდგა და გამომწვევი ნელი ნაბიჯით წავიდა ზღვისკენ, თანაც გეზი ირიბად დაიჭირა, სწორედ უცნობის წინ შეაბიჯა წყალში და გასცურა.

ემა ჰოპკინსი ოსტატი იყო ამგვარი ქცევებისა, თუმცა ამას ავი განზრახვით არასოდეს აკეთებდა, მას მოსწონდა ბრმა შეხვედრები და ორდღიანი რომანები. ემა წყლიდან ზვერავდა კაცს, რომელიც არც კი განძრეულა.

ამან ცოტათი გააბრაზა კიდეც ქალი და გადაწყვიტა, ერთი კარგად გავცურავო.

ნაპირისკენ რომ ქნა პირი და ქვეშ-ქვეშ გამოხედა იმ ადგილს, სადაც შავსათვალიანი კაცი უნდა წოლილიყო, დაინახა, რომ კაცი იქ აღარ იწვა, მხოლოდ შეზლონგი დარჩენილიყო.

ემა ჰოპკინსმა გადაწყვიტა, რომ ეს მარცხი არ შეემჩნია და ნაპირისკენ გამოცურა. ქვიშაზე გამოსული მიხვდა, რომ ოდნავ გასცდენოდა იმ ადგილს, სადაც იწვა და ფეხით გამოუყვა ნაპირს.

მალე იპოვნა თავისი პირსახოცი, რომელიც იქ ედო გაშლილი, მაგრამ არც ჩანთა დახვედრია, არც სამოსი და არც ყვითელი საზღვაო ფლოსტები.

„ეშმაკმა დალახვროს,“ წაისისინა ემამ, „ქურდი ყოფილა.“

ემა ჰოპკინსი ასევე გაუყვა სასტუმროსკენ. სიამოვნებდა კიდეც, სველი, წელზე პირსახოცშემოხვეული რომ მიაბიჯებდა სველ ასფალტზე.

დაკარგული ნივთებიდან ყველაზე მეტად სათვალე ენანებოდა. ძალიან მორგებული ჰქონდა ეს სათვალე.

„გამძარცვეს,“ უთხრა სასტუმროს პორტიეს, როცა გასაღებს ართმევდა და რხევა-რხევით წავიდა ლიფტისკენ...

ნომერში შესულმა შხაპი მოუშვა და პირსახოცი შემოიხსნა. ერთგვარი ყურადღებით შეათვალიერა საკუთარი თავი სარკეში და უცებ შენიშნა, რომ თეთრი შორტები, რომლებიც ნაპირზე დარჩა, იქვე, სარკის წინ ეგდო. ნამდვილად ის შორტები იყო.

ემა შეშინდა, ფრთხილად მიმოიხედა და საწოლი ოთახის კარს ხელი ჰკრა. იქ არავინ იყო. საწოლზე კოხტად გაეფინათ მისი მოკლე, ვარდისფერი მაისური. იქვე იდო ნაქსოვი საზღვაო ჩანთაც.

ემამ პატარა კონვერტი შენიშნა სასთუმალთან, დამფრთხალმა აიღო ხელში და გახსნა.

„ცხრა საათზე, ჰოლში. მერიონ ჯეიდი“

მეტი არაფერი ეწერა. ემა გამოვიდა და შხაპში შეაბიჯა.

„მერიონ ჯეიდი..... მერიონ ჯეიდი,“ იხსენებდა ის, „ჯეიდი... ღმერთო, მისტერ ჯეიდი ხომ გარდაიცვალა. საეჭვო ვითარებაში დაიღუპა. მანქანაში იპოვნეს, საჭესთან მჯდომი, ინფარქტით გარდაიცვალაო. მანქანა სადღაც, უცნაურ ადგილას იპოვნეს. კი, მაგრამ... მაშინ ვინ იყო ის კაცი? ანდა საიდან უნდა იცოდეს ჯეიდის ქვრივმა, რომ აქ ვარ? ეგებ იმ კაცს სულაც არ მოუპარავს ჩემი ნივთები. ასეც იქნება, ის თავის გზაზე წავიდა, მაგრამ... ვინ გამათამაშა?“

ემა ჰოპკინსს ძალიან წაუხდა გუნება. ვის სიამოვნებს, როცა უთვალთვალებენ?

ჯერ შუადღე იყო, საღამოს ცხრა საათამდე მთელი დღე იდო. ემამ გადაწყვიტა, ეს არეული ფიქრები თავიდან ამოეგდო. მაცივარი გამოაღო და ვისკის პატარა ბოთლს მოხსნა თავი. ხრახნი ხმაურით გაიხსნა.

„ყველაფერზე გული მისკდება," თავი გააქნია ემამ და ბოთლი მოიყუდა.

ვისკიმ ხასიათზე მოიყვანა, აშკარად გამოუკეთა გუნება და საბრძოლველადაც შემართა. თუმცა, საბრძოლველი რა იყო, ჯერ არ იცოდა.

ყოველ შემთხვევაში, შიში არაფრისა უნდა ჰქონოდა. გაათამაშეს, მეტი არაფერი. ვიღაცას უნდოდა, რომ ის შეშინებული მისულიყო შეხვედრაზე.

ეს ცხადი იყო.

ამ დროს ტელეფონმა დარეკა.

„გისმენთ," უპასუხა ემამ.

„მის ჰოპკინს," სასტუმროს პორტიე იყო, „მისტერ დოუსონს სურს თქვენი ნახვა. ამბობს, რომ თქვენი მეგობარია და შეხვედრა გაქვთ დანიშნული, ოღონდ თქვენი ოთახის ნომერი დაავიწყდა."

„მისტერ დოუსონს?" ემა ასეთს არავის იცნობდა, მაგრამ იფიქრა, რომ ეგებ ეს სწორედ ის მომხიბვლელი კაცი იყო, პლაჟზე რომ უთვალთვალებდა. „უთხარით, რომ თავად ჩამოვალ ძალიან მალე. ამოსვლა საჭირო არ არის. მანდ, ჰოლშივე დამელოდოს."

ემამ ყურმილი დადო და გააჟრჟოლა. თვითონაც ვერ გაარკვია, შიშის გამო, თუ მოსალოდნელი სიამოვნებისგან. მან კარგად იცოდა, რით მთავრდებოდა ამგვარი შეხვედრები და თავად მიილტვოდა ხოლმე ამისკენ.

„ბოლოს და ბოლოს გავიგებ, ვინ მათამაშებს," გაიფიქრა ემამ და გარდერობი გამოაღო.

ჯერემია ბარტონი

„ჯასმინო"

შუა ადგილის ერთი აბზაცი

აი, რა უთხრა ვიგენტმა: მეც ჩვეულებრივ კაცად მიმაჩნდა თავი, სანამ ჯასმინოს შევხვდებოდი. სწორედ ჯასმინომ გამოაღვიძა ჩემში ეს დაფარული უნარები. ყოველ ადამიანს ბევრად მეტი აქვს, ვიდრე წარმოუდგენია. რა სიამოვნებაა, რომ ვირთხად გადაიქცე, იკითხავ შენ. ეს აუწერელი სიამოვნებაა. შეგეძლოს აუწერელ სიმაღლეზე ახტომა, და მუცლით გრძნობდე საშიშროებას. ჯასმინოს ერთ მამულში შევხვდი, ერთ-ერთ წვეულებაზე და ძალიან დამაფიქრა მისმა თვალებმა. ჩვენ ერთმანეთისთვის არ წარვუდგენივართ, იმ წვეულებაზე ლორდთან ხალხი ბევრი იყო, მაგრამ ჯასმინომ ალბათ შეამჩნია, რომ ვაკვირდებოდი. მას ლურჯი ხავერდის კოსტუმი ეცვა და გრძელი შავი თმა უკან გადაევარცხნა. მე დავიჭირე მისი მზერა და აი, აქ, შიგნით,

რაღაც ამტკივდა. მაშინ, რა თქმა უნდა, ეს ტკივილი ჯასმინოს ვერ დავუკავშირე, ვიფიქრე, რომ იმ სამმა ჭიქა ღვინომ იმოქმედა, წვეულებისას რომ დავლიე.

ტკივილმა იმგვარად შემაწუხა, რომ ხეივანში სკამი მოვძებნე და იქ განვმარტოვდი. არ ვიცი, როგორ შეამჩნია ჯასმინომ ჩემი წვეულებას გამორიდება, მაგრამ დავინახე, რომ ხეივნის ბოლოში გამოჩნდა. მსუბუქი ნაბიჯით მოდიოდა ჩემსკენ და მიყურებდა. უცებ ძალიან შემეშინდა. წარმოუდგენლად შემეშინდა და ვერ მივხვდი, რატომ. რაც უფრო მიახლოვდებოდა, მით უფრო მეშინოდა. აღარ ვიცოდი, ამ კაცისა მეშინოდა, თუ ზოგადად ადამიანებისა. ათიოდ ნაბიჯში რომ იყო ჩემგან, უეცრად ავიწიე, ფრთები გავატყლაშუნე და გავფრინდი. ვერც მივხვდი, როგორ გადავიქეცი ტბების ნაცრისფერ ყანჩად. ნახევარ საათში ადამიანი ვიყავი. ასე გავიცანი ჯასმინო.

ლუკა

„პარმენ პირმენის ქვეყანაში“

პირადად ლუკას აზრები

პარმენ პირმენის ქვეყანაში სამუდამოდ დარჩენაც კი გადავწყვიტე, მეტად მომეწონა ყველაფერი და ვთქვი, აი, ქვეყანა, რომელიც საწყალი ლუკასთვის მოუგონიათ-მეთქი. მაშინ გამხდარი ვიყავი და რარიგ უნდა გამხდარ კაცს გემრიელი საჭმელი, მოგეხსენება. იქ ბრინჯი და სანელებლები უფასოა, წამოწექი და ჭამე ძღომაზე, არავინ დაგითვლის ბრინჯის მარცვლებს. სხვათა შორის, იმ ქვეყანაში მე მოვუგონე ახალი გასართობი უსაქმურებს, ბრინჯის მარცვლების თვლა. საერთოდაც, თვლა სწორედ ლუკამ ასწავლა იმ ბედნიერ ხალხს, იმიტომ, რომ სათვლელი არაფერი ჰქონდათ და ამიტომ დათვლის ცოდნა არც სჭირდებოდათ. უფრო სწორად, მათ ყველაფერი იმდენი ჰქონდათ, რომ მაინც ვერ დაითვლიდნენ და ამიტომ, ერთი, ორი, სამი და ასეთი რამეები არ იცოდნენ. მაგალითად, ერთ თავადს სამი ათასი ცოლი ჰყავდა. მთელი დღე ვითვლიდი ამ ქალებს. ყველანი ერთმანეთზე ლამაზები იყვნენ და ვერაფრით დავიმახსოვრე. თავადი ისე მოიხიბლა ჩემი თვლის ოსტატობით, რომ მითხრა, წაიყვანე ჩემი ცოლები და შენ გყავდესო. ასეთ საჩუქარზე უარის თქმა არ გამოვიდოდა და როცა იქიდან მოვდიოდი, ხუთი გემი შევაკაზმინე, შიგ კი ჩემი ცოლები ჩავსხი. აი, სეირიც ის იქნებოდა, სანტა ესპერანსაზე ეს ლამაზმანები რომ ჩამომეყვანა. სამწუხაროდ, გემები ავსტრალიის ერთ ნავსადგურში დამრჩა, რადგან საჩქაროდ გასაფრენი გავხდი ლუპუ ლუპუს კუნძულზე, სადაც ერთ ჩემს ძველ ნაცნობ ბელადს ღოჯი ამოსვლოდა, რომელიც ჭამაში ხელს უშლიდა და მე უნდა მეწამლა.

მაგრამ თავიდან პარმენ პირმენის ქვეყნიდან წამოსვლას არც ვაპირებდი. ისე ჩანდა, რომ სამუდამოდ დავრჩებოდი იქ. თანაც ძალიან შემიყვარდა ერთი ქალი, რომლის წარმოდგენაზეც ახლაც კი გული მიმდის და ვცდილობ, როგორმე მივაღწიო აფთიაქამდე, რათა იქ დამაწყნარებელი აბები გადავყლაპო. თუ აფთიაქი შორს არის, ნებისმიერ დუქანში შევდივარ და ზედიზედ ვსვამ ოთხ ჭიქა არაყს. ეს საუკეთესო წამალია შეყვარებულისათვის. ოღონდ ერთი დღის განმავლობაში, ყოველ საათში

უნდა გაიმეოროს. ასე რომ ვიწამლებ ხოლმე, ამბობენ, ლუკამ ლოთობა დაიწყოო, სინამდვილეში კი ლუკა წამალს სვამს.

მაშ, ძალიან შემიყვარდა ერთი ქალი. იმის ხათრით რას არ ჩავდიოდი, ერთხელ ქვა დავფქვი და ის მოვაყარე სალათს, რათა მეჩვენებინა, რომ სამუდამოდ ჩემშია. ამ ქვაზე ჯდომა უყვარდა ხოლმე და ერთხელაც, ავიღე და წისქვილში წავიღე. მომძახოდა, დამიბრუნე ჩემი საყვარელი ქვაო, მაგრამ მე ჩემი გავიტანე და მერე დაფქულ ქვას მარილად ვხმარობდი. ასე მინდოდა, რომ ეს ქალი ჩემში ყოფილიყო. მინდა გამოგიტყდეთ, რომ ის ქალი ზანგი იყო. ვისაც ერთხელ მაინც არ ყვარებია ზანგის ქალი, იმან სიყვარულისა არაფერი იცის. ვისაც ზანგის ქალი ძალიან მზიან ამინდში არ შეუთვალიერებია, იმან ხმა არ ამოიღოს ქალებზე, როცა ლუკას გვერდით ჩამოჯდება.

მაგრამ მე ამიტომ კი არ შემყვარებია ეს ქალი, არამედ იმიტომ, რომ ლუკა ვარ და ასე უნდა დამმართნოდა. ქალი ჩემს უკუგდებას ცდილობდა, თუმცა, მასაც თავდავიწყებით შევუყვარდი, რადგან ერთხელ აუწერელი გმირობა ჩავიდინე მის დასანახად: ცირკის გალიაში შევედი და ლომს გავესაუბრე. კაცი ყოველთვის ეშმაკობს ქალის წინაშე, უნდა, რომ თავისი საქციელი განსაკუთრებულ გმირობად წარმოსახოს. ეს უპატიოსნო საქციელია, მაგრამ შეყვარებულს ეპატიება, თუ, რა თქმა უნდა, ქალი არ მიუხვდა და მასზე ხელი არ ჩაიქნია. ამიტომ გმირობად წარმოსასახი საქციელი ისეთი უნდა იყოს, რომ ცოტათი მაინც ჰგავდეს გმირობას. არც ჩემმა სატრფომ და არც მოსეირე უამრავმა ხალხმა არ იცოდა, რომ მე მტაცებელ ცხოველებთან გასაუბრების ხერხები შუა აფრიკაში მასწავლეს. არსებობს ერთგვარი მალამო, რომელიც ტანზე უნდა წაისვა და მერე სულელი მხეცი ვერ ხვდება, ვინ ხარ. ეს მალამო ადამიანს სუნს აკარგვინებს, მხეცი კი სუნს იქეთ ვერაფრის გამგებია. თუ უცხო კაცის სუნი არ იკრა, მას არც შეუტევს, შეიძლება ითქვას, უცხო არც არსებობს მისთვის.

ამ მალამოს მომზადებას ბევრი არაფერი უნდა და მეც მთლიანად დავიგლისე ტანი ამ შეუმჩნეველი საცხებით.

მაგრამ ჩვენს სიყვარულს წინ ძალიან დიდი ძალა გადაეღობა. ისედაც არ მომწონდა, რომ ქვეყანას მისი მბრძანებლის, პარმენ პირმენის, სახელი ერქვა. ამგვარ მედიდურობაში რაღაც ავი დევს ხოლმე და აუცილებლად გამოჩნდება.

ერთხელაც მივედი იმ სამრეცხაოს კართან, სადაც ჩემი სატრფო მუშაობდა მრეცხავად. არ იფიქროთ, რომ ვიღაც გასიებულთა საცვლებს რეცხავდა. ეს ხილის სამრეცხაო იყო. მანგოს ნაყოფს რეცხავდა და თვითონაც მანგოს სუნი ასდიოდა. ოჰ...

მივედი იქ და არ დამიხვდა. სამრეცხაოს უფროსმა მითხრა, გათხოვდაო. უნდა გიხაროდეს, ისეთ ბედში ჩავარდაო. იმწამსვე გადავწყვიტე, რომ მისი საქმრო, თუ ქმარი მომეკლა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ ძალით გაათხოვეს.

თურმე პარმენ პირმენის იმპერატორს, მახინჯსა და კუზიან პარმენ პირმენს გაჰყოლია ცოლად. იმპერატორის წინააღმდეგ გალაშქრებაზეც არ დავიხევდი უკან, იმდენად წრფელი იყო ჩემი გრძნობა და იმდენად მრისხანე ჩემი განწყობა, მაგრამ მთელი ამბავი რომ გავიგე, ფარ-ხმალი დავყარე.

თურმე, პარმენ პირმენის ქვეყანაში წესად ჰქონიათ, რომ კარგი გარეგნობის ქალები და გოგონები წერილებს უგზავნიან იმპერატორს, სადაც მის კაცობას და სილამაზეს

ხოტბას ასხამენ. იმპერატორი ამ წერილებს კითხულობს და სამ თვეში ერთხელ მრავალი მიმწერიდან ერთს ამოირჩევს, ისე, რომ თვალით არც კი უნახავს და ცოლად შეირთავს. იმპერატორის ცოლების ოდენობას მეც ვერ დავითვლიდი, ორმოც ათასამდე იქნებოდა. ჩემი გამანადგურებელი კი ის იყო, რომ სამრეცხაოს პატრონმა დამისაბუთა, წერილი შენმა სატრფომ თავად მისწერა იმპერატორს მანამდე, სანამ შენ გაგიცნობდა, რადგან ჩემი მანგოების რეცხვა მობეზრდაო. რახან წერილი გაგზავნე, უარსაც ვეღარ იტყვი, იმპერატორის მოტყუებისთვის თავს მოგკვეთენ.

ასე რომ, ჩემი ჯადოსნური ზანგის გოგო ოქროს ტახტრევნით წაებრძანებინათ პარმენ პირმენის მამულში. სიმდიდრეში იცხოვრებდა, თუმცა ეგებ ვერასოდეს ენახა თავისი ქმარი. პარმენ პირმენი ხომ ამდენ ქალს ვერ გასწვდებოდა. უნდა ჩამჭკნარიყო მისი მბზინავი კანი იმ სამოთხეში, რომელიც სინამდვილეში ჯოჯოხეთი იყო.

სწორედ ამ დარდის გასაქარვებლად მაჩუქა იმ თავადმა სამი ათასი ცოლი, თუმცა, ვერც ერთის სახე ვერ დავიმახსოვრე და ადელაიდაშიც იმიტომ დამრჩა. იცით სად გამახსენდა? უკვე სტამბოლში, სადაც დონერსა ვჭამდი და უცებ გამოიარა ზანგის ქალმა. მე ჩემი სატრფო მომაგონდა, მერე კი ის სამი ათასი ქალი, ნავსადგურში რომ დავტოვე.

იმათ ჯაკერუები დაინაწილებდნენ. ჯაკერუები ავსტრალიელი მეცხვარეები არიან. ალბათ, ახლა ცხვრებს წველიან და მატყლს ჩეჩენ.

არავინა სთქვას, რომ ლუკა ლოთია და ცოლს იმიტომ ვერ ირთავს.

არავინა სთქვას, რომ გული ბუშტს არ ჰგავს, რომელსაც ბავშვები შეუშვერენ ხოლმე ონკანს და წყლით ავსებენ, რათა მერე სახურავიდან გადმოაგდონ. გული ისევე გასკდება, როგორც ის წყლიანი ბუშტი, ოღონდ ჯერ არ გავსებულა ბოლომდე. ლუკა აკავებს და როდემდე შეაკავებს?

არავინა სთქვას, რომ რაიმე იცის ქალებისა, რომლებსაც ის თავდავიწყებით უყვართ. ლუკას ჰკითხეთ.

ზანგის ქალები ზვიგენებს ჰგვანან. შავ ზღვაში არ არიან ზვიგენები, ჩვენ თევზსა ვჭამთ, სხვაგან კი თევზი ჭამს კაცს. გადაჰკარით ერთი, ორი, სამი, ოთხი და ამოისუნთქეთ. ერთ საათში კი ისევ ხელახლა, რათა წყლით არ გაივსოს ის გული, ვითარცა ბუშტი.

ლუკა ვარ.

დინოზავრების შერიგება

„მესინჯერი,“ შაბათის ნომერი

მონიკა უსო დი მარეს ტექსტი, ფოტოები ბიკ ლოპიანისა, არტ ლოპიანის დახმარებით

რა ხდება, როცა ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს ვერ იტანენ, ერთად სხდებიან ლანჩზე, სადაც ერთობლივ ვახშამზე თანხმდებიან? მით უმეტეს, მაშინ, როცა რაღაც შემთხვევის გამო კი არ იქცევიან ასე, არამედ აშკარად თათბირობენ?

ფოქეთბუქების სამი ხელმწიფე, სამი აღმოსავლელი ბრძენი, რომლებიც მონდომებით მიყვებიან კომერციული ლიტერატურის ვარსკვლავს სიმდიდრის ბეთლეჰემისაკენ, გუშინწინ ერთმანეთს შეხვდნენ ბერძნულ რესტორან „პალადაში“ ნაგვიანევ ლანჩზე.

იქ იყვნენ ჯესიკა დე რაიდერი, ჩარლზ რედკლიფი და ჯეკ ბარტონი. ეს ორი უკანასკნელი შუადღის ორის ნახევარზე ელოდა ქალბატონ დე რაიდერს „პალადას“ ბნელ კუთხეში. მათ ბევრი არაფერი შეუკვეთეს, სვამდნენ ყავას და ჩაის, მხოლოდ მოგვიანებით ბარტონმა დალია ერთი ჭიქა ღვინო.

სამი ადამიანი, რომელიც არ გამოირჩევა ერთმანეთისადმი მეგობრობით, ერთმანეთს შეხვდა. ამათგან ორი - რედკლიფი და დე რაიდერი ერთმანეთის კუზენები არიან, ხოლო სამივე სანტა ესპერანსას ქართული თემის საშუალო კლასის წარმომადგენლები, რომლებმაც უარი თქვეს საკუთარ ენაზე წერაზე და თავიანთი საპნის რომანებით კარგი ცხოვრება მოიპოვეს ბრიტანეთში.

სამეული ერთმანეთში ყოველთვის კონკურენტებს და არაკეთილმოსურნეებს ხედავდა. აქამდე არავის დაუნახავს, რომ მათ ერთად ესადილათ, ან ევახშმათ.

ამის მიუხედავად ისინი ერთმანეთს შეხვდნენ „პალადაში“, სადაც ორმოცდაათი წუთი დაჰყვეს ერთად და ილაპარაკეს სანტა ესპერანსას ნაირგვარი ჭორები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენი გაზეთის პირველ გვერდზე აღბეჭდილი ამბავი იმის თაობაზე, რომ ლუკა მწერალი, ყველაზე ცნობილი ესპერანსელი მწერალი ესპერანსაზე და ყველაზე საყვარელი მწერალიც (თავისი ერთადერთი წიგნის გამო), საავადმყოფოში გაუქანებიათ.

ეს ამბავი ნავსადგურის უბანში ყველა მაწანწალამ იცის სამი დღეა და ლუკასთან მოკლე ინტერვიუ ჩვენს პირველ გვერდზეცაა და ვითომ რა იყო ასეთი, რომ ეს სამნი შეკრებილიყვნენ?!

სამწუხაროდ, მათი საუბრიდან რაიმე დასკვნის გამოტანა შეუძლებელი შეიქნა.

შეხვედრა ნახევრად საიდუმლო იყო, იმიტომ, რომ ქალბატონი დე რაიდერი შენიღბული გამოცხადდა.

წამოშლის წინ ბარტონმა ორნი თავისთან დაპატიჟა მეორე საღამოს ვახშმად.

ჩვენს ფოტოებზე თქვენ ხედავთ, ბარტონის სახლიდან რამსიშორეს გააჩერა მანქანა რედკლიფმა და უკანა გზით როგორ შევიდა უკანა ეზოში.

ქალბატონი დე რაიდერი სხვა მხრიდან მოვიდა, თუმცა, ისიც უკანა კარიდან შევიდა.

აი, ამ ფარდებს იქით სავახშმო მაგიდა იყო გაშლილი. ფარდის ღრიჭოდან კარგად ჩანს დე რაიდერის ჩანგალშემართული ხელი.

ჩვენ ვცადეთ სამივე ამ განთქმულ ავტორთან დაკავშირება. მამაკაცებს ალბათ არ ეცალათ, მაგრამ ჯესიკამ სიამოვნებით გვიპასუხა: „მე იქ არ ვყოფილვარ, საყვარელო. ალბათ, ვინც ეგ ამბავი მოგიტანათ, შეეშალა. რა მინდოდა იმ ორ კაცთან? დათია (რედკლიფი იგულისხმება) ორი წელიწადია არ მინახავს. ის მეორე კი (ბარტონი) საერთოდ ერთხელ მყავს ნანახი.“

ჩვენს ცნობაზე, რომ ფოტოები გვაქვს, ჯესიკამ გვიპასუხა: „არ ვიცი, რა ფოტოები გაქვთ. ქუჩაში კი გამოვდივარ ხოლმე და ფოტოს ნამდვილად გადამიღებდით.“

„რას იტყვით ლუკას შესახებ? ჩვენ ვიცით, რომ თქვენ სამმა ისაუბრეთ ლუკას შესახებ.“

„ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ვინ არის ლუკა?“

რა თქმა უნდა, რომანების წერას ამბების გამოგონება სჭირდება, მაგრამ ამგვარ ტყუილებს ისევ მამაკაცთა დუმილი სჯობდა.

ესპერანსული სამკუთხედი ამ ჩუმათობით კარგს ვერაფერს მოიმკის.

მამასახლისი თოხით და ხარის რქის ყანწით

გლეხები ზღვაში

ოთხიოდ სოფელი და მეტი არაფერი. ახალმა დროებამ დაშალა სუნგალის კუნძული.

ოთხი სოფელი და ორი სახელმწიფო დაწესებულება.

სანტა ესპერანსას სამი კუნძულიდან შუათანას, თავიდანვე ოხერი ბედი დაჰყვა.

აქ თავიდანვე დასახლდნენ გლეხები, თუ რატომ, ისტორიაში საქექია.

ზღვა ყველგან იყო, თევზიც და სათესი ადგილიც ხომ უკეთესი.

იმ ორ სხვა კუნძულზეც ისევე ამოდიოდა მზე, როგორც აქ. მგონი, უკეთესადაც.

მიწა იმ ორ კუნძულზე უფრო იოლი იყო, ვენახი უკეთ ისხამდა და ძროხა უკეთესად ძოვდა.

სუნგალის კუნძულზე ტყე გაუვალი იყო, კლდე და მთა - ავი, ხევები - უძირო.

და მაინც, აქ ხალხი დასახლდა.

ლეგენდა ასეთია: მეცამეტე საუკუნეში, როცა საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს და იქ უზუსტესი აღწერის ჩატარება განიზრახეს, იმ დროის ერთ-ერთმა მეფემ ქონებისა და ყმების გადამალვა განიზრახა.

ყოველ კოვზსაც კი ბაჟი ედებოდა და აბა რას იზამდა?

ჰოდა დასძრა აღმოსავლეთ საქართველოდან ღამეულად სამი დიდი სოფელი და გადმოატარა ლიხის ქედს. იქედან მოაყენა ზღვას, ჩასვა ნავებში და მიაბარა იოანეს კუნძულის ციხისთავს.

სხვა სოფლებს მთებში მალავდა, ესენი კი ამსიშორე გზისთვის გამოსწირა.

ამბობენ, შესამჩნევი ხალხი იყოო. მეტად სწრაფად მიდი-მოდიოდნენ, ნაბიჯი მალი ჰქონდათ და მიხრამოხრა - მოქნილი, ხოლო გამოხედვა - ეშმაკური.

ამბობენ, ამგვარი სიარულის გამო დაერქვათ სუნგალებიო.

ასეთი სიტყვა იყო მაშინ, დასუნგალობენო, რაც დაზვერვაზე გამოსული მელიების სვლას და ქცევას აღნიშნავდა.

ჰოდა, ეწოდათ სუნგალები. მეტად განსხვავდებოდნენ იოანეს კუნძულების ზანტ მკვიდრთაგან, ხმელეთის ხალხი იყო.

ციხისთავმა გოტი გოტისძის ძემ ახედ-დახედა ამ ნაპირზემცმუკავ ორ სოფელს და ვერ მოიწონა ის ხალხი.

მეფის ბრძანებისთვის პატივი უნდა ეცა, თუმც კი, მეფეს აღარც მორჩილებდა, ვინაიდან თვითონ საქართველოში ორი მეფე იყო, მაგრამ იმასაც ხედავდა, რომ ეს ხალხი კისერზე დააწვებოდა.

მათი ქოხმახი და გომური, მათი მიწა, მათი ქონება - ყველაფერი ციხისთავის მოსაგვარებელ-მოსარიგებელი იყო.

თანაც, გლეხები მისი ყმები ვერასოდეს გახდებოდნენ, ისინი მეფის ყმებად რჩებოდნენ და ყოველი მათი ნაჭირნახულევის წილი მეფისთვის უნდა გაეგზავნა.

ეს სასაცილო იყო. ციხისთავი ხარჯს ვერ აუვიდოდა. თუმცა, მეფის წერილი ამცნობდა, დროებით შეიფარეო.

ზოგჯერ დროებითობა საუკუნეებს გადასწვდება ხოლმე.

ციხისთავმა იფიქრა და გადაწყვიტა, ეს მცმუკავი ტომი მთავარი კუნძულისთვის მოეშორებინა.

მათ თავად ათრიეს ნავები. მთელი კუნძული გადაჭრეს და მიადგნენ ისევ ზღვის ნაპირს, საიდანაც ჩანდა კიდენი მეორე კუნძულისა.

გოტის მოლაშქრეთა თავკაცობით მათ გადაცურეს ვიწრო სრუტეზე, გოტისავე მიწისმზომელთა ბრძანებით მიიღეს მცირე რამ აგარაკნი და ნებართვა, რომ ხე მოეჭრათ ტყეში, შეეჭედათ ქოხმახნი და მოეწყოთ სახლები.

ეს კი გაიმეტა ციხისთავმა, რომ სანამ მოეწყობოდნენ, სარჩო გაუჩინა.

წუხდა, ხარჯის მეტი არაფერიაო.

მოსულებს ზღვა არ უყვარდათ. მდინარე იპოვნეს და იქ თევზაობდნენ. იოლად შეეთვისნენ ტყეს.

სამი წლის თავზე ციხისთავმა გადაწყვიტა, რომ მათგან გადასახადის აკრეფა შეიძლებოდა. ერთი წერილიც ნავს გაატანა საქართველოს ნაპირისკენ, გაგვიჭირდება იმათი ღალის გამოგზავნა, ბეგარას კი მოგართმევთო.

ამ წერილს საუკუნეთა განმავლობაში არ მოჰყოლია პასუხი.

კუნძულზე მოლაშქრენი და გზირები მივიდნენ და დადგენილი ქაღალდებით მოითხოვეს გადასახადები.

ხოლო იმ ორმა სოფელმა მოითხოვა მეფის გზირები, ვინაიდან მეფისანი არიან და არა მისი ხელქვეითისა, და მიწაც, რომელზეც დგანან, არავის აურთმევია მეფისთვის.

წყალში გადავყრით ხორბალს, თუ არ გვეცოდინება, რომ ჩვენს ბატონს მიუვიდაო.

ისინი ეშმაკები და მხეცები არიან, მოუტანეს ამბავი ციხისთავს, მან კი მონასტერში აფრინა კაცი, ბერებს სთხოვა, ამ ხალხთან ლაპარაკში დამეხმარეთო.

იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარმა არ დაიზარა, თანაც უნდოდა მეტი შეეტყო გადმოსახლებულთა რწმენის და ღვთისმოშიშობის შესახებ. მთელი მთავარი კუნძული ჯორით გადაიარა და მერე ნავით იცურა, რათა იმათთან ელაპარაკა.

მათ თავიანთი მღვდელი გამოუყვანეს, ჩვეულებრივი გლეხი.

წინამძღვარმა ჰკითხა, რა ლოცვების თქმა შეეძლო. მღვდელმა თქვა რამდენიმე ლოცვა, მაგრამ მან კითხვა არ იცოდა.

მაშ საიდან ისწავლე ლოცვები? ჰკითხა წინამძღვარმა.

მამაჩემმა მასწავლა, მიუგო მღვდელმა.

ისიც მღვდელი ყოფილიყო.

მღვდელი ჩვეულებრივ მუშაობდა ყანაში და შეშასაც ეზიდებოდა თავისი ოჯახისთვის.

მათ კვლავ მოითხოვეს მეფის გზირი.

წინამძღვარმა აუხსნა, რომ მეფის გზირი აქ ვერაფრით მოვა, ხოლო რაც ერგებათ, ციხისთავებს უნდა მისცენ და ციხისთავი უნახავს გზას.

მათ იუარეს და აღმოჩნდა, რომ ყოველ მათგანს აქვს ხმალი, მუზარადი, ჯაჭვის პერანგი და შუბიც.

წინამძღვარი შეაშფოთა ამ ამბავმა, მათ კი აუხსნეს, რომ ამ კუნძულებზე ვიღაცეები მოლაშქრეები ყოფილან, ვიღაცეები კი გლეხები, ქართლსა შინა კი ვინც გლეხია, ის მოლაშქრეც არის. მღვდელმაც კი გამოიტანა სატევარი.

ეს მიწა მეფის არის და არავის მივცემთ, ასეთი იყო პასუხი. ამ ტყეებში ჩვენ გავიყვანეთ ბილიკები და ჩვენ ვხოცავთ ნადირს, ციხისთავმა უდარაჯოს ზღვას და იყოს. ჩვენ მიწას ვუდარაჯებთ. რაც მეტი გვექნება, გავყიდით, მეფეს ფულად შევუგროვებთ და როცა მოგვთხოვს, მივცემთ. აი, მცველები მეფის გადასახადისა, მამასახლისებმა წინ წამოაყენეს ის ერთი და სამიც სხვა მღვდელი.

ერთ-ერთმა თქვა: აქ ძალიან სიჩუმეა. სიჩუმე კარგია, ოღონდ ძილში ეხმარება კაცს. იძინეთ, ჩვენ არ დაგიშლით, მაგრამ რომ გაიღვიძებთ, ჩვენ ნუ გაგახსენდებით, ის ხალხი, ვისაც ხანჯლით ხელში სძინავს.

მეორემა თქვა: ჩვენ არ შევუერთდებით მეფის მტრებს. თუ საომარი იქნება, დაგვიძახებთ და მოვალთ. თორმეტი წლის ბიჭი უკვე მოლაშქრე იქნება. ბევრნი მოვალთ, მაგრამ ნუ მოგვთხოვთ იმას, რაც არ გერგებათ. ჩვენ მოგყიდით ყველაფერს, რაც გვექნება, თქვენგან ვიყიდით ხბოს, კვიცს და რკინას.

წინამძღვარმა უყურა და მიუგო ამათ: ეკლესია ააშენეთ.

ავაშენებთ, ოღონდ ჯერ სახლები უნდა ავიშენოთ, მიუგეს მათ. ღმერთი დაგვძრახავს, რომ ჯერ მას ავუშენოთ სახლი და მერე ვეღარ მივხედოთ მის სახლს. ჩვენს სახლებს რომ მივხედავთ, ღმერთის სახლიც მდიდარი და სავსე იქნება.

წინამძღვარმა თავი გააქნია, მივიდა ნავთან, ამოასვენა იქიდან ღვთისმშობლის ხატი და დაასვენა ნაპირზე. მერე გადაფოფხდა ნავში და მენიჩბეებს ანიშნა.

ასე ცხოვრობდნენ. მას შემდეგაც, როცა ციხისთავებმა იოანეს კუნძულების მეფეებად გამოაცხადეს თავი.

ყოფილა და არცა-რა ყოფილა რა

იქეთ, ამ კოხტა მთაგრეხილს გადაღმა, ისევ წყალია, იმ წყალს იქეთ კი ისევ კუნძულია. იმ კუნძულზე დიდი ტყეა და ფოთლები შრიალებს, დღისით - საამოდ, ღამით კი საშიშრად. იმ ტყეებში სახლობენ ყურცქვიტა და მოცახცახე ბაჭიები, გრძელკუდა და ეშმაკი მელიები და ბრაზიანი, ღმუთუნა დათვები. იქ ჩამოედინება ანკარა წყაროები და ჩქარი, უკანმოუხედავი ღელეები. იმ ღელეებზე პატარა წისქვილები დგას. სხვაგან არსად დგას წისქვილები შუაგულ ტყეებში.

იქ არიან მეწისქვილენი, რომლებმაც იციან ნადირთა და ფრინველთა მოშინაურება და ყოველი რამ მაშინ, როცა მთვარე გამოანათებს, მეწისქვილეებს ეწვევიან ხოლმე სტუმრები, მიმნდობი ფრინველები და ცხოველები. მეწისქვილეები თეთრწვერანი არიან და ამბობენ, რომ წვერი ფქვილით დაპენტვიათ და არა სიბერით.

მეწისქვილენი მარტონი არ არიან იმ კუნძულზე, ტყეში ცხრა დიდი სოფელია და ადამიანები ცხოვრობენ. ოღონდ ესენი სხვანაირი ადამიანები არიან, ტყის კაცები, და თუ წინდაწინვე არ იცი, სად უდევთ ბინა, ბევრიც რომ იარო უზარმაზარ ტყეში, მათ სოფლებს ვერ მიაგნებ. მათი სახლები ჩვეულებრივი სახლები არ არის, არც ბანები აქვს და არც შესავალი კარებები. სოფლები მიწის ქვეშაა, ან მაღლა ხეებზე და იმგვარად მიმალული ბალახბულახსა და ტყე-ღრეში, რომ ვერაფრით შენიშნავ. იქ ყველაფერი მწვანეა და შეიძლება ისეთ ხევში გადავარდე, რომ ვეღარც ამოხვიდე.

ტყის კაცები დღისით ტყეში საქმიანობენ, ნადირობენ და კენკრას აგროვებენ, რათა დიდ თიხის ქვევრებში შეინახონ და ზამთარში გემრიელად ჭამონ თავიანთ სოფლებში. ვერავინ აგროვებს კენკრას ისე, როგორც ისინი, და არც ვინმემ იცის მისი ცოცხლად შენახვის წესი. ღამღამობით ისინი ტყიდან გამოდიან და უვლიან თავიანთ ვენახებსა და ყანებს, მათ მთვარე თავიანთ მეგობრად მიაჩნიათ და ზვარსა და ყანაში მუშაობისას ყოველ ცხოველსა და ფრინველს იხმარენ. თუ დათვები კევრში გაუბამთ, ირმებს ძნებს ალაგებინებენ, ყურცქვიტებს ხორბალს არჩევინებენ, მგლებს კიდევ დარაჯებად დაიყენებენ ხოლმე. ყოველი ცხოველი მათ ეხმარება, მაგრამ რომც არ

მიეხმარონ, ისინი მაინც მოახერხებენ თავისას, იმიტომ, რომ ძალიან გამრჯენი, სწრაფნი და მოხერხებულნი არიან. ისინი ისე დადიან ტყეებში, ხელიდან გამსხლტარი თევზები გეგონება.

ტყეებში მათ ყოველი ბუჩქი ზეპირად იციან და საომრად ემზადებიან. არავინ იცის, ვის უნდა ეომონ, მაგრამ საომრად კი ემზადებიან. ისინი თვალდახუჭულნი ისვრიან ისარს სამიზნეში, ხიდან ხეზეც თვალდახუჭულნი ხტებიან და ხანჯლებს ტარამდე ასობენ მიწაში. მათ თამაშიც უყვართ, მაგრამ ყოველი თამაში მათთვის ხანჯლისა და ისრის გაგრძელებასავით არის. მიწას კარგად მოარბილებენ და ნაირგვარი ხერხით ასობენ დანას შიგ, ანდა თითო ხელში თითო ისარს დაიჭერენ და ორივეს ერთდროულად ისვრიან სამიზნეში. ათასი რაღაც მოუგონიათ. ტანსაცმელიც თავისებური უყვართ და ახურავთ სულ პატარა, შავი ფერის ქუდები. როდესაც გადაწყვეტენ, რომ ჩვენს კუნძულზე გადმოვიდნენ, საგანგებოდ გაიპარსავენ ხოლმე წვერ-ულვაშსა და წამოზრდილ თმას და ისე გამოეწყობიან, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს შეჰფერის.

ნავებით გადმოზიდავენ ხოლმე თავიანთ ფქვილს და მაწონს ჩვენს კუნძულზე და დააქვთ ქუჩებში და ბაზრის მოედნებზე. შეიძლება ჯიბიდან ქლიავი ან ატამი ამოიღონ და გაჩუქონ. თუ ბავშვი, განსაკურებით კი ბიჭი მოეწონებათ, ასე მოიქცევიან ხოლმე და გაგიბამენ ლაპარაკს იმის თაობაზე, თუ როგორი ბაჭიები და ჩიტუნიები ჰყავთ გალიებში თავიანთ სოფელში და, თუ წაჰყვები, როგორ მოგეწონება იქ. არ შეგეშინდეს, როცა ამას გეტყვიან, იმიტომ რომ, არასოდეს წაგიყვანენ თავიანთ სოფელში, რომლის ადგილსაც არავის ეუბნებიან ხოლმე და არც პატიჟებენ ვინმეს, თუ თავისით არ მიუვიდათ შემთხვევითი გამვლელი. თუ ძალიან მოეწონები და გკითხავენ, დამიმტკიცე, რომ ბიჭი ხარ და აი, ამ დანას გაჩუქებო. აუცილებლად ამოიღებენ ჯიბიდან ლამაზ დანას, რომელსაც ასევე არ გაჩუქებენ, რადგან ძალიან უყვართ და მათი პაპისპაპის ნაქონი იქნება. თანაც იცინიან, იხოცებიან სიცილით და გეუბნებიან, აბა შარვალი ჩაიხადე, ერთი რამე დამანახე და მაშინ დავიჯერებ, რომ ნამდვილად ბიჭი ხარო. არც ის უნდათ, რომ შარვალი ჩაიხადო, მაგრამ პატარა ბიჭები ძალიან მოსწონთ და უყვართ და ოცნებობენ, რომ ყოველი პატარა ბიჭი დედამიწის ზურგზე მათი შვილიშვილი იყოს. თუ შენი ნებით წაჰყვები, ან მიხვალ იმათ კუნძულზე, იქიდან ვეღარასდროს წამოხვალ, არ გამოგიშვებენ, გაგზრდიან, მოგივლიან და გასწავლიან ყველაფერს, რაც თვითონ იციან, ოღონდ იმასაც გეტყვიან, რომ მათ გარდა დედამიწაზე ნამდვილი ადამიანები და ვაჟკაცები არ დარჩენილან და სხვა ყველა მხდალი, ორპირი და უბრალოდ ცუდი კაცია. შენ ამას კი დაიჯერებ, იმათ ტყეებში როცა იქნები, მაგრამ იქიდან თუ გამოაღწევ, სულ სხვანაირად იფიქრებ.

აი, რა ლამაზი ზღვაა, აი, რა კარგი მეგობრები მყავს, აი, რა მშვენიერი ხალხია ირგვლივ და აი, როგორ მიყვარს დედიკო და მამიკო.

იმ კაცებს სუნგალები ჰქვიათ.

ხოდა, ეხლა დაიძინე ჩქარა, თორე მოვა სუნგალი და წაგიყვანს ტყეში.

ტყვეთა მოედნის ჯენოვური დავთრებიდან

მე, ვინჩენცო კიბო კიკალა, საქმეთა მწარმოებელი ტყვეთა ბაზრის მთავარი მოედნის ფარდულებისა, სოვდაგართა დასტურით წარვუდგენ მომხდარის ანგარიშს მუსტაფა ფაშას ქალაქისა და კუნძულის, ასევე ტყვეთა ბაზრის ერთადერთ და კანონიერ გამგებელს: მინდა მოგახსენოთ, რომ ტყვეთა მოედანზე ისეთი არაფერი მომხდარა, სხვა დროს რომ არ მომხდარიყოს და ამით დავამშვიდო თქვენი გუნება.

შაბათ დილას აწინდელი ბაზრობის მთავარ დღეს, ვინაიდან პარასკევს მოვიდა გემები და ამ დროს მუშტარი ყოველთვის იმატებს ტყვეთა ბაზარზე, ფაიქ ბეის ფარდულებთან ატყდა ჩოჩქოლი. იქ მე ჩვენმა მცველებმა მიმასწრეს, მაგრამ დიდად არც თავად დამგვიანებია.

გაირკვა, რომ ფაიქ ბეის გასასყიდად ჰყოლია ერთი ლამაზი სულ ყმაწვილი ქალი, რომელიც, მისი სიტყვით, ჩერქეზი იყო, თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ფაიქ ბეი ცრუობს და ქალი ქართველი იყო.

თუ რატომ, ამას საქმიდანვე მიგახვედრებთ.

ფაიქ ბეი, რომელიც სამხრეთის კუნძულის კიდეზე ხვდება ხოლმე პატარა გემებს და ტყვეთა გამყიდვლებს იქ დაუცლის ხელს, ერთი კვირაა ბაზრის მოედანზე ტრიალებს და კარგადაც ვაჭრობს. პატარა ბიჭებიც გაყიდა და კარგა ასაკიანი ვაჟკაცებიც. ოღონდ ეს ქალი არ გამოუჩენია, ფარდულიდანაც კი არ გამოუყვანია და იქ პირბადემოხვეული ჰყავდა. მე, როგორც მოედნის საქმეთა მწარმოებელმა, მის სიებში თავიდანვე ჩავიხედე და იქ ქალი ვერ ვიპოვნე, თუმცაღა საჭირო ხალხისგან პირველივე დღიდან ვიცოდი, რომ მას ყმაწვილქალი ჰყავს.

რახან ფაიქ ბეი ასე მოიქცა, მივხვდი, რომ მას საგანგებო მუშტარი ჰყავს, წინდაწინვე შეპირებული და ქალს მისთვის ინახავს, ოღონდ ფასსაც საუცხოოს გამოელის და რახან ფასი დიდია, გაყიდულზე გადასახადი ბაჟიც მეტი იქნება, რაც ენანება. ეს მყიდველსაც აწყობს, ვინაიდან საბაჟო ფულის გამო ტყვე უფრო ძვირი უჯდება, თუმცა, ეს სიძვირე მთლიანად ვერ ფარავს ბაჟის თანხას.

ვინც იცის ფაიქ ბეის მოხერხებულობის ამბავი, არ გაუკვირდება.

მე ოთხშაბათსვე ვეწვიე მას თავის დარაბებთან ამაყად ჩამომჯდარს და პირდაპირ მოვთხოვე ქალის სიაში ჩაწერა, რაზეც იუარა, არავინა მყავსო. მე საჩივარი არავისი მქონდა, ამიტომ მის ფარდულებს ვერ გავჩხრეკდი და ვიფიქრე, ამ ორ დღეში საჩივარს ვინმეს შევადგენინებ, ფარდულებს გავჩხრეკ და ამით ხაზინას გადასახადს შევმატებ-მეთქი. თანაც, როგორც მოგეხსენებათ, ძველი და ახალი ნიხრითაც, როგორც საქმეთა მწარმოებელი, თავადაც ვკარგავდი კაი ძალ თანხას.

რახან ვიცოდი, რომ შაბათს აუცილებლად მოადგება რამდენიმე გემი და ამ გემებზე ვინც იქნებოდნენ, დაახლოებითაც ვიცოდი, პარასკევ საღამოს საჩივარი უკვე მქონდა. ის სანდო კაცმა შეადგინა, ვინც გვშველის ხოლმე ასეთ დროს. არ მინდა დიდი დრო წაგართვათ, მაგრამ შეგახსენებთ, რომ საჩივრის გამოჩენა უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც მყიდველი ნასყიდ ტყვეს შინისაკენ წაიყვანს და ჩვენ მას წინ უნდა გადავუდგეთ, რათა საბუთი მოვთხოვოთ. თუ საბუთი არა აქვს, ჩვენ ჩვენს საჩივარს ვაჩვენებთ და მას გამოვუძღვებით იმ ფარდულისკენ, სადაც ტყვე იყიდა.

მე თითქმის ვიცოდი, რომ ტყვეს იყიდდა ისეთი განთქმული მოვაჭრე, როგორიც ბრძანდება ანაბან ანაბანიანი, რომელიც ამ ქალწულს სტამბოლს წალალავდა და იქიდან რომელიმე ძალიან მდიდარ ოჯახს გაუგზავნიდა ან ვენეციაში, ან საფრანგეთში, ანაც სხვაგან სადმე. ახლა იქ ძლიერ მოდაშია კავკასიელი ტყვე ქალების თავიანთ კარზე აღზრდა, რის თაობაზეც ბევრი რამ შემიძლია გითხრათ. მაგალითად, ისინი სწორედ კავკასიელებს თვლიან დედამიწაზე ულამაზეს არსებებად.

ამ განსჯის გამო თავს ვერ დავდებ, ეგებ ფაიქ ბეის სულ სხვა მუშტარი ჰყავდა, მაგრამ შაბათს სისხამიდანვე ორი მსახურით მისი ფარდულის შორიახლოს ჩავსაფრდი და მოველოდი, რომ ვიღაც აუცილებლად გამოჩნდებოდა და რახან საქონელი ძვირი იყო, შესაძლოა, თვითონ ანაბანიანიც მოსულიყო გულდასმით დასათვალიერებლად და დასაფიქრებლად და თავის ნოქრებს არ ნდობოდა.

კარგად დავინახე, როგორ შემოვიდა ბაზრის მოედანზე ანაბანიანი, სულ სხვა მხრიდან, ორი კაცი ახლდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს ტყვეებს ყურადღებით ათვალიერებდა. ყველა ფარდულთან შეჩერდებოდა და ნელა მოიწევდა ფაიქ ბეის ადგილისაკენ. ანაბანიანი და მისი ხალხი ორმოციოდ ნაბიჯში იქნებოდა, როცა ფაიქ ბეის ფარდულის შორიახლო მოისმა რაღაც ხმები და შეძახილები, მერე კი ფოლადის განაკვესის ხმაც. ამას მოჰყვა მოკლე შეძახილი და დანარჩენი ხმები კი მხოლოდ წამიერ გამოისმოდა ამტყდარი ჩოჩქოლიდან. ხალხი კი არ მირბოდა იმ ადგილისკენ სანახაობის საცქერლად, არამედ გამორბოდა. მე ჩემი ორი მსახურით მივიჭერი ფარდულის კართან, სადაც ფაიქ ბეის ერთ კაცს მუცელზე წაევლო ხელები და ჩაკეცილიყო. პერანგი სულ შეღებვოდა სისხლით და კვნესოდა. თავად ფაიქ ბეი იქ იდგა გადაფითრებული და დალაქს ითხოვდა, რათა დაჭრილისთვის მიეხედათ. სანამ ქალაქის მცველები გამოჩნდნენ, დალაქიც მოვიდა. მე კი ვკითხე: - რა მოხდა, ფაიქ ბეი?

- არ ვიცი, - მომიგო მან. - არ ვიცი, ჩანს, ჩხუბი მოუხდა ვიღაცასთან.

- ხომ არაფერი მოუპარავთ შენთვის?

- არა, არაფერი... ჩხუბი გარეთ მოხდა.

ანაბანიანი აღარც გამოჩენილა, იმ არეულობაში გაბრუნდა. ფაიქ ბეიმ ქალი ვერ მიყიდა, თუმცა, ახლა ვეღარავინ დაუმტკიცებს, რომ ქალის გაყიდვას აპირებდა, ვინაიდან თავისუფლად შეგვიშვა თავის ფარდულში და იქ სანიშნო ქალი ვერ ვნახეთ.

ფაიქ ბეის კაცი მალევე გარდაიცვალა. ხანჯალი სამჯერ მაინც გაეტარებინათ მუცელში და ერთხელ კი მონდომებით დაეტრიალებინათ, ვინაიდან მერე თქვენმა აქიმმაც ნახა და ჯენოველი მკურნალიც მე მივიყვანე.

ჩემი გამოძიებით კი აი, რა მოხდა: ფაიქ ბეის რომ ლამაზი ქალი ჰყავდა თავის ფარდულში, მხოლოდ მისმა ხალხმა იცოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, სამხრეთის კუნძულზე ტყვეთა გადმოტარებისას იქ ვიღაცამ შენიშნა. იქ ვისრამიანის მიწებზე სხვადასხვა ხალხი შეიძლება ნახო. ფაიქ ბეის იქვე შეევაჭრებოდნენ, მაგრამ ის, ცხადია, იუარებდა. ამიტომ, ქალი მოსტაცეს და ეს სისხლის დაღვრაც მოტაცების დროს მოხდა.

ჩემი ფიქრით, ქალი სუნგალებმა გაიტაცეს. მართალია, ისინი თავიანთ კუნძულზე ცხოვრობენ, მაგრამ კარგი ურთიერთობა აქვთ ვისრამიანებთან, რომლებსაც სამხრეთის კუნძულზე მამულები გააჩნიათ და ხშირად მოიწვევენ ხოლმე სუნგალებს, რადგან ისინი კარგი მეურნენი არიან.

ქალი ვიღაცამ შემთხვევით ნახა.

ცნობილია, რომ სუნგალებს ძალიან მალე უყვარდებათ ქალები და მათ საჩქაროდ ირთავენ ცოლად. ფაიქ ბეიმ კი ისინი უბრალო გლეხებად ჩათვალა, ვერ დაიჯერა, რომ მათ ძალიან ბევრი ფულის გადახდა შეუძლიათ. ამიტომ, სუნგალებმა ისა ქნეს, რასაც ყოველთვის შვებოდნენ: კიდევ ერთხელ სთხოვეს ქალი ფაიქ ბეის და უარი რომ მიიღეს, ხანჯლები დაატრიალეს.

ჩვენ ვერ ვიპოვით ამ სუნგალებს. ისინი ძალიან სწრაფად გარბიან და სამალავებიც წინდაწინვე აქვთ შეგულებული ქალაქშიაც და მის გარეთაც.

საერთოდ კი ტყვეთა ბაზარში ბევრმა იცის, რომ ისინი სხვათა ხელით ვაჭრობენ. ყოველთვის ჰყავთ ვიღაც სანდო კაცი, რომელსაც ვაჭართან ალაპარაკებენ, თვითონ კი შორიახლოს დგანან. სუნგალები ყიდულობენ ხოლმე პატარა ბიჭებს და გოგონებს, როგორც წესი, საქართველოდან მოტაცებულებს და ფულს არ ინანებენ ამაში. ჩვენ ისიც გვსმენია, რომ ამგვარი სყიდვით ისინი არც მონობას და არც მსახურობას აღიარებენ, არამედ ამ ბავშვებს შვილებად ზრდიან და თავიანთ შვილებში არ გამოარჩევენ. ამით, თურმე თავიანთ გვარებს ანახლებენ.

ვერ მოგახსენებთ, ეს რას ნიშნავს, პატივცემულო მუსტაფა ფაშავ, მაგრამ ჩემს მახსოვრობაში პირველია, რომ ქალი ასე გაეტაცოთ ტყვეთა მოედნიდან. ასეთი რამ ალბათ კარგახანს არ მოხდება.

ჩემი ანგარიშით და ფიქრით სწორედ ასეთია ნამდვილი ამბავი, შაბათ დილით რომ მოხდა ბაზარზე.

მატყუარათა ამბავი

სანტა ესპერანსას ისტორიის დიდი ცნობარის მიხედვით

სუნგალებმა ლექსების თქმა იცოდნენ ხოლმე. ეს იყო სახუმარო ლექსები, თუმცა ზოგჯერ სევდიანიც.

სევდიანები შეეხებოდა ქვეყანას, საიდანაც სუნგალები მეფის ბრძანებით გადმომალეს კუნძულზე და სადაც ისინი ვეღარ დაბრუნდნენ.

სახუმარონი გამოითქმოდა სიყვარულისა გამო, ან კიდევ რაიმე შემთხვევის შესაბამისად. მაგალითად, შემორჩენილია ზეპირი, კარგა გრძელი პოემა ერთი გლეხისა, რომელმაც ინგლისელთა რეჯიმენტის ბანაკის ახლოს ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად იხილა კრიკეტის თამაში.

ზოგადად, კრიკეტი აქ ვერ შეიგუეს, მით უმეტეს სუნგალებმა. ფეხბურთი კიდევ ხო, კრიკეტი კი ვერასგზით. თუმცა კლუბი არსებობდა და საუკუნე-ნახევრისაც მოყრილიყო.

თუ კაცს სიცილი უნდოდა, კრიკეტის თამაშს ჩაუსაფრდებოდა. სუნგალმა გლეხმა კი ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად ნახა კრიკეტი და ამის გამო დამცინავი პოემა გამოთქვა.

ანეკდოტების ნახევარი ამ ქვეყანაში სუნგალებს შეეხებოდა, თუმცა დასაფიქრებელი ის იყო, რომ ამ ანეკდოტებს თავად სუნგალები გამოთქვამდნენ საკუთარ თავზე, მაგრამ მათი სხვათაგან სმენა არ უყვარდათ.

ზღვის პირას ცხოვრების შვიდსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში სუნგალთა მამასახლისები და მღვდლები სულ ხუთჯერ ჩაერთნენ პოლიტიკაში და ხუთჯერვე მათი მოტყუება მოინდომეს. სუნგალები არც ერთხელ არ მოტყუვდნენ. ერთხელ მტკიცედ დადგნენ, ორჯერ განზე გაიხედეს, ვითომ არც გაგვიგონიაო, ერთხელ თითქოსდა რაღაც დათმეს და ერთხელაც თითქოს რაღაც მიიღეს.

პირველად მაშინ გაიხედეს განზე, როცა ციხისთავმა არჩილმა თავი მეფედ გამოაცხადა და კუნძულები ცალკე ქვეყანად იქცა. სუნგალებმა რომ მითვალ-მოთვალეს, კუძულები ადრეც ცალკე ქვეყანა იყო და ქართველთა მეფეების ერთგულება მათთვის კარგი ფარი უფრო იყო, ვიდრე ღირსების გარდაუვალი პირობა. ამიტომ გაიტრუნენ და ერთი ხანი რომ გამოხდა, არჩილს ღვინო, პური და ოქროს სინი გაუგზავნეს, აქაოდა მორჩილ ვართო. არჩილიც კაი ეშმაკი იყო და სუნგალეთის დაპყრობა არც უფიქრია, მოკალმენი დასხა და სუნგალებს კანონები დაუდგინა, რითაც მათი ხელქვეითობის საბუთი შექმნა. კანონი ზუსტად აღწერდა სუნგალთა ადათებს და მათვე იმეორებდა.

ამის შემდეგ გამოხდა მრავალი წელი და იოანეს ადგილებს მელიქ ფაშა მოადგა რვა ოსმალური გალეონით. არჩილიანმა მეფეებმა ოსმალთა ქვეშევრდომობა აღიარეს და, რათა მმართველებად დარჩენილიყვნენ, რჯულის გამოცვლა იწყეს.

სუნგალებს ვითომ არ გაუგონიათ ეს ამბავი, მათ კუნძულზე ჩალმიანი და სხვაგვარად მლოცველი არავინ მოსულა. არჩილის კანონებს სათუთად, ტილოებში გამოხვეულს ინახავდნენ და, თუკი რამ მოხდებოდა, ახალ გამგებელს დაანახვებდნენ. მაშინდელ დავთარში, რომელმაც ამ ვილაიეთის აღწერილობა შემოგვინახა, საერთოდ არ იხსენიება ამ კუნძულის სოფლები, ძროხები და ადამიანები, არც სახნავები, არც ძაღლები. ეს ციხისთავ-მეფე-ფაშათა მოხერხებული უნდა ყოფილიყო. სტამბოლს გაგზავნილ არც ერთ საბუთში სუნგალის კუნძული არა ჩანს. ანუ სამეურნეოდ და სახელმწიფოდ კუნძული არ არსებობს. ციხისთავებს თავის ტკივილი არაფრად უნდოდათ.

ხოლო ამის შემდეგ მთლად მრავალი წელი გამოხდა და ერთ მშვენიერსა და ნათელს დღეს სუნგალთა კუნძულს მოადგა ორი ნავი. ეს ნავები მოცურდნენ სრულიად მოუხერხებელი, აღმოსავლეთის მხრიდან, სადაც ნაპირის უმეტესობა კლდეებია და კლდის წვერიდან რომ გადააფურთხო, ვერ დაინახავ, ჩააღწია თუ არა ზღვამდე.

ნავზე იყო ოთხი კაცი მუქ ლურჯ ვიწრო სამოსში გამოწყობილი. მხრებზე ოქროსფერი ნიშნები უბრწყინავდათ, მკერდზეც - ერთი-ორი. გრძელი დახუჭუჭებული თმა და

ლამის მხრებზე გადაგრეხილი ულვაშები ჰქონდათ. ორს კაუჭა ქორისებრი ცხვირი ჰქონდა, ორსაც - აპრეხილი. თან მძიმე ყუთიც მოეტანათ. ორი კაუჭაცხვირიანი თითქმის ისე ლაპარაკობდა, როგორც სუნგალები ლაპარაკობენ, ოღონდაც მაინც უკვე სხვა იყო. ცხვირაპრეხილები თავიანთ ენაზე საუბრობდნენ და კაუჭაცხვირიანები თარგმნიდნენ. სუნგალებს გაუხარდათ, ვინაიდან ეს მთარგმნელები ქართველები იყვნენ და მამასახლისებმა გამოკითხვა დაუწყეს, აბა, რასა იქმან ჩვენი მეფენიო, რაზეც ამათ მიუგეს, სწორედ მაგ საქმეზე გეახელითო: ჩვენმა მეფეებმაო თავიანთი ქვეყნები უშურველად აჩუქეს რუსეთის მეფეებს და ახლა ყოველი, რაც კი ეკუთვნოდათ მათ, რუსებს ეკუთვნითო. ჩვენ, დიახაც, გვახსოვდა თქვენი ამბავი, ოღონდ უღონონი გახლდით და ახლა, რუსით მოძლიერებულნი მოვედით თქვენსაო და წარუდგინეს ეს ორი კაცი, რომლებიც იყვნენ რუსები.

სუნგალელებმა ჰკითხეს, მაშ მამა-პაპათაგან გაგონილი უნდა აღსრულდეს და ქართლსა შინა უნდა დავბრუნდეთო?

ეჰეჰეიო, ჩაიცინეს მოსულებმა, ქართლსა შინა დაბრუნებას განა რა უნდაო. საქმე სხვა გახლავსო, თქვენ აქ უნდა აუჯანყდეთ ოსმალოს მმართველობას, რაის შედეგადაც მოგეხმარებათ რუსის ჯარი და, რახან სწორედ ახლა რუსსა და ხონთქარს ომი აქვთ, ეს კუნძულები ასე უნდა შემოუერთოთ ჩვენს დედა სამშობლო რუსეთს, რომელიც თქვენმა და ჩვენმა მეფეებმა თავის ქვეყნად აღიარესო. რუსიო თქვენი აჯანყების გარეშედაც მოვა აქა, ოღონდ მაშინ სხვა ხარჯი მოუწევს და ამიტომა გთხოვთ დახმარებასო.

მამასახლისებმა და მღვდლებმა კეფანი დაიქექეს და უთხრეს, ჩვენ ოსმალოსთან სადავო ჯერ არ გაგვჩენია, ასე გაგვიგონია, რომ საქართველოც ოსმალოსი იყო და სიმართლეც რომ მოგახსენოთ, რუსი ერთხელ გვინახავს ქალაქის ბაზარში და არ მოგვწონებიაო.

ამ ლაპარაკის შემდეგ მთელი ორმოცი წელიწადი სუნგალის კუნძულზე რუსის სიარული იყო, მაგრამ იმპერიამ ეგრეც ვერ გადაწყვიტა, რომ კუნძულებისთვის ომი დაეწყო. მთლად წკიპზე შეყენებული ვითარება მაშინ გამოვიდა, როცა ოსმალნი რუსეთის საქართველოში შევიდნენ ზღვიდან და ზუგდიდიდან გააქციეს სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე.

თუმცა, სუნგალებმა ამისა არაფერი იცოდნენ. მთავარ კუნძულზე კი ოსმალებთან ერთად უკვე ინგლისელები და ფრანგებიც ირეოდნენ.

სწორედ რომ ხსენებულ საუკუნეთა გამოვლის შემდეგ ინგლისელები ორჯერ ეწვივნენ სუნგალებს და ორჯერვე რაღაც ეშმაკობა გამოუვიდათ.

პირველად ეს მაშინ იყო, როცა ინგლისელებმა თურქებისგან იჯარით აიღეს კუნძულები და უცებ აღმოაჩინეს, რომ ქაღალდზე ორი კუნძულის იჯარა უწერიათ, რუკაზე კი სამი კუნძული არსებობს. რუკა რომც არ ენახათ, ისედაც იცოდნენ.

კუნძულის უკანასკნელმა მმართველმა სარი ბეგმა ჩვეული ღირსეულობით აუხსნა კოლონელ როლსტონს, რომელიც მაშინ ინგლისელთა რწმუნებული იყო, რომ არსებობს ისტორიული თავისებურებანი, რომელთა გამოც საუკუნეთა განმავლობაში სუნგალის კუნძული არ იხსენიებოდა საბუთებში.

- შეიძლება მათთან ლაპარაკი, თუ უნდა ამოვწყვიტოთ? - იკითხა კოლონელმა როლსტონმა.

- მათ მოურიგდებით, თუ არ აგრძნობინებთ, რომ მათი უფროსები ხართ, - მიუგო სარი ბეგმა და გააბოლა თავისი ჩიბუხი.

და თავად შეუდგინა შეთანხმების ფურცელი, რომელიც როლსტონს დიდად არ მოეწონა.

ასე იყო თუ ისე, სუნგალები შეუთანხმდნენ ინგლისელებს: დედოფალი ვიქტორია, რომლის არსებობისაც არაფერი იცოდნენ, თავიანთ მბრძანებლად არ აღიარეს, მაგრამ აღიარეს, რომ არიან სენტ ჯონის, ანუ სანტა ესპერანსას თავისუფლად მიერთებული ტერიტორია ას ორმოცდახუთი წლის განმავლობაში, სარგებლობენ ყველა იმ უფლებით, რაც მიენიჭებათ კუნძულთა სხვა მოქალაქეებს და მიიღებენ შესაბამის საბუთებს. ორად ორი, რაც სუნგალებს ეკრძალებოდათ, საკუთარი შეხედულებისამებრ ომის ატეხვა და უცხო სახელმწიფოებთან ლაპარაკი იყო.

ამის შემდეგ ყველაფერი უკან წავიდა.

სუნგალთა კუნძული, თავისი ისედაც ძველებური სოფლის მეურნეობით კიდევ უფრო ჩამორჩა თავის ორ მეზობელს. თუ იმ ორ კუნძულზე ყველაფერი მშვენდებოდა და ყველანი მდიდრდებოდნენ, სუნგალი ერთ მივარდნილ, ხელმოკლე ადგილად იქცა, რომელიც ეთნოგრაფისთვის თუ იქნებოდა საინტერესო. კუნძულს გაცდენილი სუნგალები ღატაკ, მედღიურ მუშებად, მსახურებად იქცეოდნენ ხოლმე და მეტად უჭირდათ მთავარი კუნძულის სულ სხვაგვარ სამყაროსთან შეგუება. თანდათან სუნგალი ველურის აღმნიშვნელ სიტყვად იქცა და ისინი, ვისაც ადრე ყველა ებოდიშებოდა, ახლა სამასხარაო ვინმეებად გარდაისახნენ. ამან კიდევ უფრო ჩაკეტა იქაურობა.

პირველი მსოფლიო ომის წინ სუნგალთა კუნძულზე აჯანყება დაიწყო. მას ისტორიისათვის უცნობი ინგლისელი შლეგი ტომასი, ანუ საიმონ ტომასი მეთაურობდა. ათ წელიწადში სამმა ლოკალური მნიშვნელობის შეტაკებამ და პოზიციურმა სროლებმა კუნძულზე სანტა ესპერანსას გუბერნატორი ჩაიყვანა, რომელმაც გაღატაკებულ სუნგალებს შეღავათები და მათი კუნძულის სამეურნეო წამოწევა აღუთქვა.

სუნგალებს ქვეყნის საგანგებო სამსახურებში ჩართვის განსაკუთრებული უფლება მიეცათ. იმ დღიდან სანტა ესპერანსაზე რაგინდარა ბიბლიოთეკის, ეკლესიის, კაფეს, კინოს, რეზიდენციის თუ მიწის მცველად სამსახურის უფლება სუნგალებს მიენიჭათ.

გუბერნატორმა ისიც გამოუცხადა სუნგალებს, რომ მათ კუნძულზე ორ დიდ მშენებლობას წამოიწყებდა, რითაც სწორედ ისინი დასაქმდებოდნენ.

ეს დაპირება მეტად ეშმაკური გამოდგა: კუნძულზე ააშენეს ფსიქიატრიული საავადმყოფო და ციხე. ხოლო იქ, სადაც ფსიქიატრიული საავადმყოფო და ციხეა, არასოდეს მოეწყობა პლაჟები და დროის სატარებელი ადგილები.

სუნგალები დარჩნენ გლეხებად, რომლებმაც თავის გლეხობასთან ერთად სხვა არანაკლებ მძიმე სამუშაოებიც იკისრეს.

ისინი გამოცდნენ თავიანთ კუნძულს, თუმცა კვლავაც ყველაზე ღარიბნი იყვნენ ამ პაწაწინა ქვეყანაში.

გოგია, ფიდო და კიკოლა

ფიდომ ადრევე დაიწყო სამსახური კლუბ „მარანას“ მეპანღურედ.

ერთ-ორ წელიწადში ყველაფერში გაერკვა, ღერაღერა შეისწავლა საჭირო ენების საჭირო სიტყვები, ასე რომ ანგლეზისგან ვერც გამოარჩევდი, ისე დაიძახებდა: - ჩაო, ჰაი მეით!...

დიახაც გაშინაურებულიყო ქალაქში.

ამასობაში კი კიკოლაც წამოიზარდა და რახან უკანა გასასვლელების დამცველად კაცი იყო საჭირო, ისიც ჩამოიყვანა: ჩემი ძმა არისო და როგორც მე მენდობით, ამასაც ასეო.

ერთი ოთახი ეჭირათ და საჭმელსაც ზიარს იყვნენ, ამიტომ იოლას გადიოდნენ. სად ერთი კაცი რო აგზავნის შინ ფულს და სად ორი?

ამიტომ, შინაც ხარობდნენ, კარგად მოეწყვნენო. თუ ფიდო ოთხი კაცის უფროსად გადავიდოდა, ჯამაგირსაც მოუმატებდნენ და მერე ცოლსაც შეირთავდა. შერჩეული ჰყავდათ, იმასაც წამოიყვანდა და ცალკე გავიდოდა ბინად. ათ წელიწადს იმსახურებდა ქალაქში, დააგროვებდა ფულს და მობრუნდებოდა ისევ უკან, სახლის მისახედად, მერე ან მიწას აიღებდა, ანაც სხვა რამეს.

დედა კი ამოიოხრებდა ხოლმე, მოენატრებოდა. ორი ბიჭი და ორივე სამუშაოდ გაგდებული, მარტო გოგო ჰყავდათ სახლში და ისიც პატარა. ის ახალისებდა. აბა, უმამოდ დაიზარდნენ და როდემდის უნდა იყვნენ ბიძების კმაყოფაზე? გეხმარებიან, გეხმარებიან, მერე კიდევ იქეთ უნდა მოგიხმარონ, სხვანაირად არ გამოვა. ჩიჩქნი მიწასა და შენი ღვინო არა გაქს, სხვისია და გერიდება თხოვნა.

ამიტომაც წავიდნენ და კარგად მოეწყვნენ.

ფიდოს სხვა ფიქრი ჰქონდა: დუქნის კარში დგომას, რომელიმე კაი ოჯახობის თანამხლებად ყოფნა ერჩივნა. ჯამაგირიც მეტია და ხალხიც ნაკლები. ოღონდ ისინი ღინღლას არ აიყვანენ, ხუთ-ექვს წელიწადს მაინც სადმე ნამსახური უნდა იყო, რო შემოგხედონ.

მაგრამ სუნგალებში ძმობა არის. ქალაქად ყველა ერთმანეთს მოიკითხავს, ძველები ახლებს ასწავლიან, გზას უჩვენებენ.

ეს მართლაც კარგია.

ხოდა, იმ დღესაც ფიდო ხუთზე იწყებდა.

კაი გამოძინებული იყო და ჩადგა კარში და ემზადება, რომ კარგად თქვას: - თიქეთს, სერ...

ხოდა, ხედავს, მოვიდა ამ დროს გოგია.

ერთად არიან გაზდილები, სხვა კი არ არი.

ფიდო რო ცოლს შეირთავს, იმის ბიძაშვილია გოგია.

ახლოები არიან, მამასახლისის ნათლულიც არი და კაი ადგილასაც არი.

პირველ ბორბალაში არა ზის ვისრამიანების ოჯახის სამსახურში, მაგრამ რო დაეწყობიან ვისრამიანები თავისი ვეიქებით, მეექვსე-მეშვიდეში ესეც არი დრაივერის გვერძე.

- ფიდო, ჰაი, ფიდო, ეხლა დადექ?

- ეხლა. როგო ხა გოგია?

- ვართ რა, არცა ფინთათა, მარიამის დღესა შინ წავალ.

- კარგია, - შეშურდა ფიდოს, - მეც რო მივდიოდე...

- შენი ძმა სად არი?

- უკანისა დგა. სამნი არიან, იმას ფულნაითი აქ.

გოგიას კიდევ ეტყობა სცალია, ამოიღო პაპიროსი და აბოლებს.

სუნგალებს უფილტრო უყვართ. მოსტეხენ ფილტრს „მეიფერიას“ ღერსა და ისე აბოლებენ. გაფილტრული ცხოვრებისაცო, ასე იტყვიან, ეგ იგივეა, ღვინო სარძევეში ჩამოასხაო. თუ გინდა პატივი სცე, ფრანგული პაპიროსები უნდა აჩუქო: „კაპორალ“ ან „გოლუაზ“.

- შენა, ფიდო, ჰოლიდე როდისა გაქ? - ასე ეკითხება.

- რა არი, რო... დღეობაა რამე?

- შაფათ ვერ აიღებ ჰოლიდესა?

- რა არი მეთქი, რო... შაბათია დღე აქა, აბა დღეს კანტი-კუნტი წამოვა.

- ადრე, კაცო, განა ვქეიფობ, რო... სალაპარაკოა.

- სალაპარაკო?

აქ სიმშვიდე შეწყდა, იმიტომ რო, როცა სუნგალი იტყვის სალაპარაკოაო, ეს არ არის, რომ ვიღაცეები დასხდებიან, ცოტას მოწრუპავენ და ილაპარაკებენ. სალაპარაკო ნიშნავს, რო საქმეა და რამეები უნდა განისაჯოს.

- სალაპარაკო რა არი, ჭირია?

- ჭირია არა, - აქეთ-იქით იცქირება გოგია.

ფიდოც იცქირება აქეთ-იქით და გოგიას ეუბნება: - მაიტ, ჰა... მეც გამომაშვებიე ბოლი, - გოგიას პაპიროსს გამოართმევს, ორჯერ ჩაყლაპავს და უბრუნებს, - არ შეილება სტაფმა რო წიოს მუშაობაშიო. შვიდზე მაქ მოწევის დრო და იქამდინ რაებს მაშაფათეფ...

- ვააჰ, კაცოოო, - ოხრავს გოგია და ხმას დაუწევს, - სამუშაომდი თუ იქნება, დილიდანვე ხეტიას ოტელში[2], ერთი საათი დავჯდებით... მარტო კი არ იქნები, ოცნი მაინც ვართ...

- ვინ არი, რო? ჩვენებია?

- ჩვენებია...

- და რა სალაპარაკო გახდა.. ვინმემ ქაქი ხო არ მოჰქექა? დედიმისისა ხო არ სჭამა?

აქაც უნდა მორჩენილიყო სიმშვიდე, იმიტომ, რომ ეს სიტყვებიც მეტად ფინთ რამეებს ნიშნავდა სუნგალთა ლაპარაკში, მაგრამ გოგიამ ქვეშ-ქვეშ მიმოიხედა და ფუტკრის ბზუილსავით უთხრა: - რას ატყდი, ჰა... ვისრამიანს უნდა ჩვენთან ლაპარაკი...

- ჰაااა...

- ხმა არ გაიღო, ფიდელავ, მარტო შინაურებშია... ეგრე დავდივარ კარდაკარ დილიდანა...

- ვისრამიანსაო... ჰოოო... რომელსა?

გოგიამ ჩაიცინა: - ვისრამიანი ყველა ერთი არ არი?... რომელსა.

- და რა სალაპარაკოაო, - სალაპარაკო რომ საქმეს ნიშნავს, ეს იოლი მისახვედრი შეიქნებოდა.

- წინდაწინ არ გამოუცხდებია. მარტიამ[3] მითხრა...

- მარტიამა?

- ჰო...

- ძიამა?

- ჰო... რაღა მოგივიდა. შაფათსა სრულ შუადღეზე ხეტიანთ ოტელში იყავ... ეხლა კიკოლის ცალკე ვეთქმიანო, თუ შენ ეტყვი...

- კიკოლის რა უნდა, ბალღია... გოგიამ ისევ გაიხედ-გამოიხედა და ამხანაგურად დაჰკრა ხელისგული შუბლზე: - კიკოლი რაღა ბალღია, იაუ... კიკოლი არა ვნახე, რო იმ დღეს ეეყვანა ქალი ხელში და მოჰყამდა მთელი ქვიშები?

- რასმბფ, ჰაა... არ უთქვამს, - გაუხარდა ფიდოს.

- მა? შვედის ქალი... ჩამჭვარტლული. წითელა თმები აექამდე მოსდემდა, - წელზე გაისვა ხელი გოგიამ და პაპიროსიც მოისროლა. - ვკითხე, ვინ არისაო, და არ მეშვებაო... ბალღია.

ფიდომ კმაყოფილებით ჩახარა თავი.

- კიკოლიცაო, მარტიამა, თორე მე რა ჯინს კი არა ვარ...

- კარგი. იყოს... - სთქვა ფიდომ.

- გესმის. დრო იცი, ალაგი იცი. არ მამატყუო, იაუ...

- არა, ძმაოსავ, არცა..., - და ხელი ხელს დაკრეს. გოგიამ ჩააგრძელა თავისი გზა ქუჩაზე, ფიდომ კი შეისწორა ლურჯი კოსტუმის კალთები და ტოტები და თმაც გადაივარცხნა მოკლე სავარცხელითა...

მაყვლის რვეულები

ერთი მუჭა მაყვალი

ვისრამიანები

იოანეს კუნძულზე არ უყვარდათ ვისრამიანები.

მერე რა, რომ ისინი თვრამეტი რჩეული გვარიდან ერთ-ერთის შთამომავალნი იყვნენ? რჩეული ხომ მოსაწონს არ ნიშნავს, ისევე, როგორც სრულყოფილი არ ნიშნავს მაინცდამაინც ლამაზს და კარგს, არამედ უფრო - ჩვეულებრივს. აი, სკამი, ხომ სრულყოფილია? მაგრამ ვინ იტყვის, რომ სკამი ბანქოს ქაღალდზე უფრო ლამაზია? განსაკუთრებით მაშინ, როცა ბანქოს მხატვართა შესახვევში შეივლი და იქ დახლებთან თავჩარგულ, ესპერანსული კალმებით მომუშავე მხატვრებს მიაცქერდები? საერთოდ არ გაგახსენდება ის სრულყოფილი სკამები, რომლებზეც ამ, მხრებში საუკუნოდ მოხრილ, ხშირად კი კუზიან შემოქმედებს თავიანთი შეუმჩნეველი გავანი დაუწყვიათ.

ვისრამიანთა სიყვარული შეუძლებელი იყო, მათთან მეგობრობა - წარმოუდგენელი.

მაგრამ ვისრამიანები არსებობდნენ და ვერაფერს გახდებოდი.

ისინი არსებობდნენ სწორედ იმ დროიდან, რაც კუნძულზე ციხესიმაგრის მშენებლობა დაიწყო. ალბათ, მანამდეც არსებობდნენ, მაგრამ პირველად იქ გამოჩნდნენ. მანამდე სხვა გვარი ექნებოდათ, თუ ჰქონდათ საერთოდ გვარი, ვისრამიანები კი იოანეს კუნძულზე დაერქვათ, ვინაიდან, პირველი ვისრამიანი ციხესიმაგრის მშენებლობისას ასი მუშის უფროსად გამძვრალიყო. მისი სახელი არ დარჩენილა, მაგრამ სახელი სწორედ ეს იყო: ვისრამიანი დაარქვეს, არა სპარსულ ლექსთა და ამბავთა სიყვარულის გამო, რაიც შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან სპარსული მაგ დროის საქართველოში მხოლოდ ნარჩევმა ხალხმა იცოდა და ლექსთა ტკბილად სათქმელ ჯადოსნობად სჭიროდათ, არამედ იმიტომ, რომ ეს მკაცრი ასისთავი, ნახარჯ-მოხმარებულ-ნათალი ქვისა და კვერცხნარევი ტალახის ანგარიშებს რომ ადგენდა სამხრეთის კედელთან, რომლის ამოყვანაც ევალებოდა, გამუდმებით იმეორებდა საშენთა გამო, ვისი და რამდენიო.

ოხერი, ბევრჯერ დამთვლელი კაცი ყოფილა. ერთი ხუროსთვის ხელიც კი უკრავს და დაუგორებია დაბლა, რაც ორი ათას კირმანეულად დაჯდომია.

ქვა მოჰქონდათ ნავებს ჩაბმული ტივებით, უკვე გათლილი და გამზადებული. ქვა ძვირი იყო კუნძულზე. ხუროთა და ქვისმთლელთა ამბავი მოგეხსენებათ, მაინც თავის ჭკუაზე უნდა მოარჯულონ უკვე გათლილი ქვები, კიდეზე სატეხი დაუმიზნონ, ჩაქუჩი ჰკრან და ნატეხი განზე გადააგდონ.

ვისრამიანი თურმე მარტო საქმისას კი არ ითვლიდა, ვისი და რამდენიო, არამედ ამ ნატეხებსაც, და არა მხოლოდ ითვლიდა, აგროვებდა კიდეც. ყოველ საღამოს ოთხ ტომარას გაავსებდა ხოლმე ამ ნატეხებით, აჰკიდებდა ორ ჯორს და მშენებელთა ბანაკად ჩამოჰქონდა. ყველა რომ დაიძინებდა, ვისრამიანი ფხიზლობდა, კვლავ წამოყრიდა ჯორებს და ამ ტომრებს მოშორებული ტყისპირისკენ ეზიდებოდა.

ციხესიმაგრის მშენებლობა რომ დამთავრდა, ვისრამიანმა მთელი ჯამაგირით მეტივეები და ჯორები იქირავა და მაშინ უსახელო მთავარი კუნძულიდან სამხრეთის, შემდგომ ხალხში ვისრამიანისად წოდებულ კუნძულზე გადაზიდა. მეფე და ჭყონდიდის ეპისკოპოსი შეპირებულიყვნენ, ციხის შენებაში ჩაბმულ ყოველ ათასისთავს საგანგებო მიწას ვუსახსოვრებთ ამ კუნძულზე, ხოლო ასისთავებს იმ ორ პატარა კუნძულზე, ამ დიდს რომ ჩაბმიაო.

ასისთავ ვისრამიანსაც მოუზომეს მიწა, მაგრამ აბა ვინ იფიქრებდა, რომ მისი სახლი ქვისა იქნებოდა. საუკუნე-ნახევრის განმავლობაში იოანეს კუნძულებზე ქვისგან ნაგები სამი ადგილი იყო: ციხესიმაგრე, მონასტერი და ვისრამიანების სახლი სამხრეთის კუნძულზე.

ვისრამიანებს აზნაურობაც კი არ მიუღიათ, აზატები ერქვათ, მაგრამ ისე კი გამოვიდა, რომ სანტა ესპერანსას აეროპორტმა სწორედ იმ ადგილას გაფინა თავისი ასაფრენი შარაგზები, რომელიც მეთორმეტე საუკუნეში მოიზომა სამამულედ პირველმა ვისრამიანმა.

ვისრამიანებს მიწა არ მიუყიდიათ ბრიტანული ავიაკომპანიისთვის, ნახევარი საუკუნით მიაქირავეს და თან ისე, რომ აეროპორტის დირექტორთა საბჭოში ერთი ვისრამიანი თავისი საგვარეულო ფასიანი ქაღალდებით ყოველთვის უნდა მჯდარიყო.

სიმდიდრე უცხო არ იყო ვისრამიანთათვის.

საუკუნეთა განმავლობაში ისინი მდიდარი მეცხვარეები იყვნენ და მატყლითა და ხორცით გვარიანი ქონება იშოვეს და ზვრებიც ჩაყარეს. ოსმალებთან ყოველთვის კეთილად ბრძანდებოდნენ და საერთოდ, ვინც კუნძულს მართავდა, იმათთან საქმე კარგად გამოუდიოდათ. საზოგადოდ და ისტორიულად მათ მთავარი კუნძული, ქალაქი და ციტადელი არ უყვარდათ, ისხდნენ იმ თავიანთ სამხრეთის, მერე ვისრამიანისად წოდებულ მიწის ნაგლეჯზე და მდიდრდებოდნენ, მაგრამ ახალმა დრომ მათ სანტა სიტიშიაც დააჭერინა სახლები, ხოლო მთვლემარე პარლამენტში - ადგილები და ტურისტული სახლების ერთი ცნობილი ქსელის, „ოქროს სახლის“ მფლობელადაც შექნა. ვისრამიანები ყოველთვის საჭირო ადგილებზე ისხდნენ: ბანკებში, სასტუმროებში, ბუნგალოებში, ბანქოს მხატვართა სახელოსნოებშიც კი. შვიდი საოჯახო საქმე მოეგროვებინათ.

ვისრამიანები არ უყვარდათ.

ეს ადვილი ასახსნელიც იყო და ძნელიც.

ისინი ძალიან ამაყობდნენ იმით, რომ პირველი ქვის სახლი ამ კუნძულზე მეფემ ააშენა, მეორე - კათალიკოსმა, მესამე კი - პირველმა ვისრამიანმა. ისინი ასევე ამაყობდნენ, რომ პირველი გვარი, რომელიც ამ კუნძულზე კაცს დაერქვა, ვისრამიანი იყო. ისინი ასევე ამაყობდნენ, რომ ესპერანსულად მოქარგულ სასუვენირო, მატყლით გამოტენილ ბალიშებს კოხტა იარლიყებზე ამაყად ეწერა: „ვისრამიანი მერჩენდაის“. უსაზღვრო იყო მათი სიამაყე იმის გამო, რომ აეროპორტის მთავარ ალაყაფს ამშვენებდა დაფა, რომ სწორედ ამ ადგილას იდგა სანტა ესპერანსას პირველი ქვის სახლი, რომელიც ვისრამიანმა ააშენა და საერთოდაც, განუზომელი იყო მათი სიამაყე იმის გამო, რომ ისინი არსებობენ, სხვები კი ასევე არსებობენ, მაგრამ ვისრამიანები არ არიან.

საოჯახო ადათები ვისრამიანებს თავისებური და ხერხიანი დაედოთ. იმათში იყო ბრაზიც და ვაჟკაცობაც, თუმცა რომელს უფრო დაარქმევდი, შენი გონების ჭრაზე ეკიდა.

რახან ამათ მთავარი კუნძული არ უყვარდათ და მხოლოდ გასამდიდრებლად სჭირდებოდათ, ჩაითვლებოდა, რომ ვისრამიანები საუკუნეთა განმავლობაში ჩაკეტილად ცხოვრობდნენ და სასაფლაოც კი თავიანთი ჰქონდათ.

საგვარეულო შეკვეთა იყო, თუ სხვა ხიმანდრობა, ყოველ მამაკაც ვისრამიანს სამი შვილი ეძლეოდა, ყოველ ქალს კი - ორი. გაგრძელებაც შეკვეთას ჰგავდა: მამაკაცებს ორ ვაჟსა და ნაბოლარა ქალს აჩუქებდა ღმერთი, ქალს კი - ქალსაც და ვაჟსაც. პირველი ვისრამიანიდან ასე იყო. მამაკაცი ვისრამიანები ადრე მელოტდებოდნენ და მარჯვენა ხელის ნეკზე ფრჩხილი ორად გაყოფილი ეზრდებოდათ, ქალებს კი ყოველთვის ძალიან შავი თმა და შინდისფერი თვალები დაჰყვებოდათ.

ვისრამიანები თავიანთ გვარს შინაურული სახელითაც მოიხსენიებდნენ ხოლმე. ეს სახელი მათთვის საამაყო იყო, სხვებისთვის - სახითხითო. ვისრამიანები საკუთარ მოდგმას „შენახულებს“ უწოდებდნენ. ეს არა მხოლოდ იმას გულისხმობდა, რომ ვისრამიანებს რჯული არასოდეს შეუცვლიათ, არამედ იმასაც, რომ ისინი ყოველთვის ქართველებს ირთავდნენ ცოლად და მეტიც, სიძეებსაც მარადჟამს ქართველობაში ეძებდნენ. ახირება იყო, თუ საგვარეულო ვალდებულება, არავინ იცოდა, მაგრამ კუნძულების ხალხი თავს დაცინულად ხედავდა იმის გამო, რომ როცა მოაწევდა საჭირო ჟამი, ვისრამიანები ნავებს შეკაზმავდნენ და საქართველოს ნაპირისკენ გასცურავდნენ.

ეს ქორწილს ნიშნავდა: რაც უნდა წამხდარი, უბედური, არეული და ღატაკი ყოფილიყო ქართველების ქვეყანა, ვისრამიანნი მაინც იქ ეძებდნენ საბედოს. ერთი უცნაურობა მათი ადათებისა ისიც გახლდათ, რომ ისინი სიძესაც, თითქოსდა რძალი ყოფილიყო, შინ მოიყვანდნენ და თავიანთი ოჯახის წევრად შექნიდნენ. ამის დამთანხმებელი ჭაბუკის პოვნა იოლი არ იქნებოდა, რადგან ჩამოსიძებული თანდათანობით ვისრამიანი ხდებოდა და თუკი კაცს გვარი უვარგა და ოდნავი პატივდება მაინც გამოუჩენია თავისი წინაპრისა, ცოლის საგვარეულოს რად შეუერთდება?

მაგრამ, რახან საუკუნეთა განმავლობაში ასე ყოფილა, ჩანს ამნაირი მზეჭაბუკნი საპოვნელია. ვისრამიანები წლობით არჩევდნენ თავიანთ სასიძოებს და სარძლოებს. საგანგებო ჯაშუშა-კაცებსაც კი დაიქირავებდნენ ხოლმე და საქართველოში აგზავნიდნენ საბედოთა მოსაზვერად. ვისრამიანები დიდგვაროვნებს არ დაეძებდნენ, მაგრამ გლეხის ქალიც ძვირი იყო: რომელი ბატონი შეელეოდა იაფად სულ ნორჩ ქალს, რომლის ფასიც სამი წლის განმავლობაში ყოველთვიურად მოიმატებდა? მაგრამ ვისრამიანები ახერხებდნენ.

მათი საგვარეულო ისტორია ძირითადად ქორწინებათა ისტორიაა და აქედან გამომდინარე, საგმირო, სხვანაირად კი თავზეხელაღებული ამბებია.

საუკუნეთა განმავლობაში, ვისრამიანები ისე ქორწინდებოდნენ, რომ თავიანთ ცოლ-ქმრებს თავიანთსავე ჯვრისწერაზე გაიცნობდნენ ხოლმე. ეს ჯვრისწერებიც ყოველთვის მათ მამულებში სრულდებოდა მღვდლებისგან, რომლებიც აგრეთვე ვისრამიანთა გვარისანი გახლდნენ.

საქმე ერთგვარად გააიოლა ფოტოგრაფიის გამოგონებამ, რადგან ამდენი დანაბარები და საეჭვო მხატვართა ჩახატული სახებანი საჭირო აღარ შეიქნა და მხოლოდ არქივად დარჩა. ვისრამიანთა დიდი საგანძურია მსტოვარ კაცთა მონაწერი ქაღალდების ორმოცი დიდი ყუთი, რომელთა დასტამბვაც დიდი რამ იქნებოდა, რადგან იქ არაჩვეულებრივი ოსტატობითაა აღწერილი ქალთა და კაცთა ღირსებანი, ხატოვანებანი და მოხდენილობანი საუკუნეთა განმავლობაში და სატკივილოც ის არის, რომ ორმოცი ყუთიდან ოცდაჩვიდმეტში დაწუნებულ საბედოთა ამსახველი ქაღალდები ინახება, ხოლო ვისრამიანთ - ვერავინ შეასმენდა, რომ საოცარი, მრავალტომიანი წიგნი მათ ოჯახს კიდევ უფრო განადიდებდა.

დიაღ, ფოტოგრაფიამ თითქოს საქმე გააიოლა, მაგრამ მის შემოღებამდე ოცდაათიოდ წლით ადრე ხუთ საქართველოდ დაშლილ საქართველოს ერთი რამ მოუხდა: ამ ხუთიდან ოთხი თანდათან დაიჭირა რუსეთმა, და რახან მეხუთე კარგა ხანია ოსმალეთს ეჭირა, იმ ოთხში სულ სხვანაირი კანონები შემოვიდა.

ერთ-ერთი ასეთი ცუდი წესი გამოჩნდა პირველი ღამის უფლება, რომლის მონდომებაც ბატონის სინდის-ნამუსზე ეკიდა. ყველაზე უნამუსონი კი ბატონები საქართველოს გულში, ქართლში გამოდგნენ და ეს რუსული გატაცება ხელზე გადაიხვიეს. ერთი მოლაპარაკების შემდეგ, როცა მავანი ბატონი სუმბათაშვილი გლეხის ქალის გაყიდვას დათანხმდა ვისრამიანთა წარგზავნილებს, საჭირო ქაღალდის ხელმოსაწერად ქართლს ვისრამიანებიც ჩავიდნენ და სუმბათაშვილმა იქ შეიტყო, რომ მოვაჭრენი თუმც თავისუფალი, მაგრამ მაინც გლეხები ყოფილან საიდანღაც, იმერეთს და სამეგრელოს იქიდან და ქალს იმიტომ ყიდულობენ, რომ ცოლად შეირთონ. სუმბათაშვილმა არად ჩააგდო ის საკითხი, რომ მყიდველები უცხო ქვეყნიდან არიან და ორი ქვეყნის კანონთა შეჯერებიდან ერთი დასკვნა გამოწელა: წესი უნდა აღსრულდეს, ქალი ჯერ მე უნდა გავსიჯოო. ისე აიტეხა ეს ამბავი, რომ სათავადო სახლიდან ღრიალიც კი გამოისმოდა, მაგრამ მერე თითქოს ყველაფერი მიჩუმდა და სოფლელებმა დაინახეს, როგორ შესვეს ქალი ცხენზე მოსულებმა და როგორ გაქუსლეს.

შემზარავი ტყის პირზე მომხდარი ამბავი იყო: იქ შეშაზე მყოფ სუმბათაანთ გლეხებს ვისრამიანთა გუნდის ბოლო მხედარი გაუჩერდა და ხურჯინი გადმოუგდო.

ხურჯინში სუმბათაშვილის თავი აღმოჩნდა.

ამის შემდეგ ვისრამიანებმა თავი ანებეს საქართველოს გულისგულში საბედოთა ძებნას და უფრო დასავლეთით, იმერეთსა და სამეგრელოში გადმოინაცვლეს. ოსმალოს საქართველოში ისინი არ დადიოდნენ, რადგან მუსლიმის შერთვა-გადმონათვლას არა სცნობდნენ.

ვისრამიანთა საქორწილო საქმეები დიდად გაამწარა საერთაშორისო პოლიტიკამაც, რომელშიაც სანტა ესპერანსაც ჩათრეული აღმოჩნდა. შავ ზღვაში უშნოდ ამოჩრილი ბრიტანეთის ხელქვეით მყოფი სამი კუნძული ყელში ეჩხირებოდა იოსებ სტალინს, რომელსაც სანტა ესპერანსა იმპერიალიზმის მთავარ ფორპოსტად მიაჩნდა თავისი ქვეყნის სიახლოვეს და ორჯერ დააპირა კუნძულების სათავისოდ მოთრევა. ერთხელ 1938 წელს, მეორედ კი - მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, თუმცა, ორჯერვე საერთაშორისო საჭიროებებმა შეაჩერა. ვისრამიანებს ეს მძიმე დროება იმით დაეტყოთ, რომ რუსთაგან ხელახლა დაპყრობილი საქართველო უკვე საბჭოთა კავშირის წევრი იყო და 1930 წლიდან საბჭოთა საზღვრები უმკაცრესად დაეგმანა იმავე სტალინს. იმგვარი კლიტეები დაედო, რომ უცხოელის შესვლა და იქ სასიძო-საპატარძლოების კანონიერად ძებნა სრულიად შეუძლებელი იყო, მოწონებულს მაინც არავინ გამოგატანდა.

და ვისრამიანებმა მაინც მოუნახეს ხვრელები საბჭოთა იმპერიას. იმ ოცდაათწლეულს, შესაძლოა, მოტაცებათა ეპოქაც ეწოდოს. მათი მსტოვრები, რომლებიც სუნგალები იყვნენ და უკვე საგვარეულო რაზმის იერი მიეღოთ, თურქეთს მიემგზავრებოდნენ, იქიდან საიდუმლო ბილიკებით გადადიოდნენ სამხრეთ საქართველოში და იქ მოხერხებულად მიმოდიოდნენ სოფლებში. ქალებს, ან ჭაბუკებს შეათვალიერებდნენ, რამე-რუმეებს შეიტყობდნენ, თუ შეძლებდნენ, ფოტოაპარატსაც გააჩხაკუნებდნენ და უკან ბრუნდებოდნენ.

ამორჩეული ქალის მოსატაცებლად იმავ გზით მიდიოდა ოთხკაციანი რაზმი.

სტალინის დროებაში ასეთი ლაშქრობა სულ სამჯერ მოეწყო, ერთხელ სიძის, ორჯერ კი რძლის მოსატაცებლად და ყველა ჯერზე გაამართლა.

მერე სასაზღვრო დაცვის სისტემები განვითარდა და ქვეყანაში შეღწევა თითქმის შეუძლებელი შეიქნა. სამაგიეროდ, სხვა რამ გაიოლდა: სტალინის სიკვდილმა ვითარება შეაშილიფა და საბჭოეთში მისვლა უკვე ტურისტული იერით შეიძლებოდა. ეს ოპერაციაც ორსაფეხურიანი იყო და ორჯერ და ძალიან რომანტიკულად განხორციელდა. საბჭოელებს არ უყვარდათ, როცა მათი მოქალაქე უცხოელს ეუღლებოდა, განსაკუთრებით ისეთი მტრული ადგილის შვილს, როგორიც სანტა ესპერანსა იყო, რომელსაც საბჭოეთი თავის ნაწილად თვლიდა, როგორც ყოფილ საქართველოს ნაწილს, არასოდეს უცვნია იგი ცალკე მხარედ და სრულიად სულელურად უწოდებდა ინგლისელთაგან ოკუპირებულ ტერიტორიას.

ამიტომ, ვისრამიანებს ნაირგვარი ხერხების გამოგონება უწევდათ და, თუმც ერთი ქორწინება ჩაეშალათ, ორი ხომ მაინც გამოუვიდათ და ის ჩაშლილი ერთი ხნით ოჯახურ დარდთა რვეულში ჩაეწერა, რადგან ნანაია ვისრამიანმა გათხოვების მორიგ ოპერაციაზე უარი განუცხადა თავის საგვარეულოს, თბილისში რომ მსახიობი

ირაკლი კლდიაშვილია, ჩემს ქმრად მე იმას ვთვლი, მერე რა, რომ საბჭოთა საქართველოს მთავრობამ ქვეყნიდან არ გამოუშვაო.

აქვე მოგახსენებთ, რომ ირაკლი კლდიაშვილმა მაინც მოახერხა ქვეყნიდან გაღწევა: 70-იან წლებში ებრაელ ქალზე დაქორწინდა ყალბად, რითაც ისრაელში წასვლის საშუალება მიიღო, ვინაიდან იმ დროს საბჭოელები ებრაელებს მათ სამშობლოში უშვებდნენ ხოლმე. იერუსალიმიდან ირაკლი კლდიაშვილმა სანტა ესპერანსაზე დარეკა და თქვა: - მე ირაკლი ვარ... ნანაიას თხოვეთ, თუ შეიძლება...

ასე რომ, საბოლოოდ ეს ქორწინებაც გამოვიდა, თუმც, გამონაკლისი მოხდა: მათ შვილი არ ეყოლათ. გამონაკლისი ყოველთვის წესს ადასტურებს. სანტა ესპერანსაზე არ უყვარდათ... ვისრამიანები, ზოგადად და კერძოდ, ქალი და კაცი, ყველანი გარდა ერთისა, რომლის გამოც ამბობდნენ, შეუძლებელია ეგ ვისრამიანი იყოს, ეგ გოგო გვრიტებმა მოაფრინეს საიდანღაც და კაია ვისრამიანს და მის ქმარს, ბუს, შუაში ჩაუწვინესო.

ვისრამიანები არ უყვარდათ.

კათოლიკური სკოლის მოწაფის, ალესანდრო და კოსტას სასკოლო თხზულება

„ჩემი გუშინდელი და ხვალინდელი დღე“, რომელიც საგამოცდო საბჭომ არაფრით მიიღო განსახილველად და და კოსტათა ოჯახისადმი დიდი პატივისცემისა და განსაკუთრებული კეთილგანწყობის ნიშნად, იმავდროულად კი, ამ შემთხვევის მისაჩუმათებლად, საგამოცდო რვეული გააუქმა, 17 წლის მოწაფე სანდრო და კოსტა კი ღამით უჩუმრად მიიყვანა სკოლაში და ხელახლა დააწერინა საგამოცდო თხზულება შუა საუკუნეების შესახებ.

დიახ, ბატონო მასწავლებლებო, ძალიან მიხარია, რომ სწორედ ამ თხზულების შემოქმედობა დამევალა ისეთ საპასუხისმგებლო გამოცდაზე, რომლის შედეგმაც გზა უნდა გამიხსნას ცხოვრებაში და თუ ათიანი დავიმსახურე, თხზულება „სამუდამო კრებულშიაც“ გამოქვეყნდება, რომლის წარდგენაც თვით ბოლონიის უნივერსიტეტშიც სიამაყით შემეძლება. სამწუხაროდ, ეს უნივერსიტეტი არ მინახავს, მაგრამ ყველაფერი ვიცი მის შესახებ და ამიტომ იქ მოსახვედრი ინტერესიც გამინელდა, რასაც ვერ ვუმხელ ჩემს ძვირფას და საყვარელ მშობლებს, მაგრამ თამამად გიმხელთ თქვენ, ჩემს მასწავლებელთ და მოძღვართ, ვინაიდან, ერთი, რომ დიდად გენდობით და მეორეც, წმინდა ფრანჩესკოს დღეს მოვიყარე ჩვიდმეტი წლისა და ვხვდები, რომ თქვენთვის ნამდვილად სულერთია გავემგზავრები თუ არა ბოლონიაში.

ძვირფასო მოძღვარნო ჩემნო, საწყენად არ ჩამიწერია ეს სიტყვები თხზულების დასაწყისშივე. უსაზღვროა ჩემი პატივისცემა იმ საოცარი სასწავლებლისადმი, რომლის კედლებსაც ჩემ მამა-პაპათა პორტრეტები ამშვენებს.

ყოველთვის ვგრძნობდი თქვენს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ჩემი საგვარეულოს მიმართ, რაც გასაკვირად არასდროს დამინახავს, ვინაიდან ჩემი წინაპრები რომ არ ყოფილიყვნენ, ეს სასწავლებელი ეგებ სულაც არ დაარსებულიყო.

ანდა სისხლიან დევლეთ ჰაჯი გირეის სტეპებიდან რომ არ მოედენა თავისი ცხვარ-ძროხა და შავ ზღვაზე გენუელთა მშვენიერი დასახლებანი არ გადაებუგა, რასაც ჩვენ კაფას ვუწოდებთ, არც ნატანჯი ჩემი წინაპრები გამოცურავდნენ კუნძულისკენ, სადაც კეთილი და მექრთამე ციხისთავი ოქროს სანაცვლოდ თავს შეაფარებინებდა.

ასე რომ, ჩვენი სასწავლებლის დაარსებაში დიდი ისტორიაა ჩარეული.

ძლიერ ვცდილობ, რომ ჩემი განსაკუთრებული ცოდნა ისტორიისა და ლიტერეტურისა, ნაწერში არ გამოსჭვიოდეს, რაც მედიდურობის და ამპარტავნების ცოდვისკენ გამაქანებდა, მაგრამ აზრი სხვაგვარად ვერ ჩამოვაყალიბე, რისთვისაც პატიებას ვთხოვ შემფასებელთა უმაღლეს კომისიას, რომელსაც სათავეში ბატონი დირექტორი უდგას, რომელსაც თავის მხრივ, ალბათ, ღმერთი კარნახობს სამართალს.

ერთი სული მაქვს, როდის გადავალ განსახილველ თემაზე და მახსენდება, როგორ ნახა პირველად დანტემ ბიჩე. ისინი ბავშვები იყვნენ და თუმცა ჩვენ, გენუელებს უნდა გვიჭირდეს იმის აღიარება, რომ ფლორენციელნი ხშირად დაგვცინოდნენ, ჩემთვის მაინც უკვდავია ეს სურათი. მაგალითად, ფლორენციელები ხუმრობდნენ (ეს ფრანკო საკეტის უთავბოლო ნოველებში ამომიკითხავს), რომ გენუელებმა სამდღიანი ქორწილი ვიცით და როცა ერთი ფლორენციელი სიძედ მოიტყუეს გენუაში, ქორწილის მესამე დღეს, როცა დაატყო, რომ ცოლს ვეღარაფრით დაიმარტოხელებდა, ქუდი დაიხურა და კაფაში მიმცურავ გემზე აძვრა. კვლავაც დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ უკვე ჩვიდმეტი წლისა ვარ და ამ თხზულების დასრულებისთანავე სრულიად თავისუფალი ვხდები, ამიტომ მიჭირს გრძნობათა მოთოკვა. მით უმეტეს, რომ ჩვენი სამდღიანი ქორწილები ძალიან მომწონს და რაც დავწერე, მხოლოდ ფლორენციელთა გასამათრახებლად, ვინაიდან, თუკი ის სიძე კაფაში მიმავალ გემზე აფოფხდა, კაფა იგივე გენუა იყო, ოღონდ შავი ზღვის პირას და ქორწილები იქაც სამდღიანი დაუხვდებოდა.

მე ის მახარებს, რომ ჩვენს კუნძულებზე მცხოვრებ ყველა ხალხს სამდღიანი ქორწილი აქვს ინგლისელების გარდა და როგორც მესირ პალავიკინომ მითხრა, ეს სამდღიანობა ჩვენი დანერგილი არ არის.

მე თუ მკითხავთ, ინგლისელებს საერთოდ არ სჭირდებათ ქორწილი და აქ არც ქორწინდებიან. ალბათ, ძალიან ბევრს ვლაპარაკობ ქორწილის თაობაზე და ვშიშობ, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ვერაფრით დავაღწევ თავს საშინელი საიდუმლოს გათქმას, რადგან კვლავ თვალწინ მიტრიალებს სურათი იმისა, თუ როგორ დალანდა პატარა დანტემ კიდევ უფრო პატარა ბიჩე და რახან ამას ქორწილს ვუკავშირებ, ცხადია, რაღაც სიყვარულის მსგავსი უნდა მაინტერესებდეს, თუმცა კი, უხერხულია შემფასებელთა წინაშე იმის თქმა, რასაც ამხანაგების წინაშე ვამბობთ ხოლმე. საბედნიეროდ, წერას ლაპარაკი არ სჭირდება და მე ძლიერ ბედნიერი ვარ, როცა განვიცდი სიყვარულის ღონიერ შემოტევებს. ამ გრძნობათა აღწერა სრულიად შეუძლებელია და ბოლოს ისე ვიღლები, რომ მსურს მივეგდო და გაუთავებლად ვიძინო. რახან ამ შემოტევებს ხშირად შევიგრძნობ, მათ შესაკავებლად არსებული ყოველი ილეთი, ლოცვით დაწყებული და შეცოდებებით დასრულებული, სრულიად უღონოა სიყვარულის წინაშე. მე სასტიკად ვხურვარ ხოლმე და ხელები მიცახცახებს, რასაც ექიმი სპინოლა ჩემს ასაკს აბრალებს და სრულიად უადგილოდაც.

ჩემი მიხვედრით, სიყვარული ყოფილა ტანჯვის მსგავსი რაღაც, ოღონდ აუწერელი ოდენობის ცხელი ჰაერით სავსე დიდი ბურთებით გამოვსებული სხეულის მსგავსი რაღაცაც. ეს ბურთები კი ერთმანეთს ეხეთქება და ყოველი შეხეთქებისას ადამიანი გრძნობს აუწერელ ბედნიერებას, რომელსაც მას მიუღწეველი მიზნის არსებობა ანიჭებს.

პატივცემულო შემფასებელნო, თქვენდამი უდიდესი თაყვანისცემა და ამასთანავე შეგრძნება მოახლოებული განთავისუფლებისა სასწავლებლის კედლებიდან, მაბედვინებს მოგახსენოთ, რომ შეყვარებული ვარ და ჩემს სიყვარულს მომავალი არა აქვს. მთელი ჯენოვური თემი რომ ამომიდგეს მხარში, ამ საქმიდან ქორწილის ნაცვლად მაინც ომი გამოვა და მელორიის ომზე ნაკლები არასგზით იქნება. მე ომს არ მოვერიდებოდი, ვინაიდან ფარიკაობის კურსები ფრიადზე გავიარე ჩვენს საოცარ სკოლაში, მაგრამ ომი ხომ ფარიკაობის ცოდნას აღარ გულისხმობს.

მოუთმენელი ამ ამბავში ის არის, რომ ჩემმა ამხანაგებმა ყველაფერი იციან ჩემი აუწერელი ბედნიერების თაობაზე, მაგრამ სიყვარულის ერთ-ერთი თვისება, რომელიც აღმოვაჩინე, ის გახლავთ, რომ გიჩნდება დაუძლეველი სურვილი იმისა, რომ შენი განცდების შესახებ ყველამ გაიგოს. აქედან ვასკვნი, რომ ჩემი თხზულება უწმაწური და სამარცხვინო სულაც არ არის. რა თქმა უნდა, კვლავ არ ვგულისხმობ ინგლისელებს, რომლებსაც სხვანაირი სიყვარული სცოდნიათ.

ამიტომ, მინდა მოგახსენოთ, რომ ვითარცა დანტემ ბიჩე იხილა ბავშვობისას, ასევე ვიხილე მე ჩემი მიჯნური და კიდევ უფრო დააფასებთ ჩემს მოთმინებას, თუკი გადაითვლით, რომ მეოთხე წელიწადია მსურს დავწერო ამის შესახებ რომელიმე თხზულებაში და თავს ვიკავებ.

ჩემს მიჯნურს აქვს თმები ყორნისფერი. ჩემს მიჯნურს აქვს თითები მტრედისფერი. ჩემს მიჯნურს აქვს თვალები შინდისფერი... და, აი, აქ კი გავთქვი საიდუმლო მისი ვინაობისა, ვინაიდან ჩვენს კეთილ კუნძულზე ყველამ იცის, ვინ ცხოვრობს მეორე კუნძულზე და ვის დაჰყოლია მოდგმით შინდისფერი თვალები. საშინელი ლეგენდა ამბობს, რომ ამგვარი თვალები მხოლოდ იმ ხალხს აქვს, ვისაც სიავის სისხლი მოსწოლია თვალებში, მაგრამ არა მგონია, ეს მაინცდამაინც სიავისა იყოს, თუმც კი განთქმული საგვარეულო, თავისი ისტორიით, სწორედაც რომ გაამაგრებს ამ ლეგენდას.

ჩემო ძვირფასო მასწავლებლებო, როგორც ხედავთ, ჩემი სითამამე აუწერელი და უსაზღვროა და ამის მიზეზიც იოლი დასანახია: თავზეხელაღებული ვარ შეყვარებულობის გამო. ჩვენ, ლიგურიელთ, ალბათ, გვმართებს, ვიყოთ ნასწავლნი, მეოცნებენი და ამ ოცნებათა გამომჭედელნი, და თქვენც საუცხოო რამეები შეგვასწავლეთ ანტონიოს, მე და სხვებს, მაგრამ არ გისწავლებიათ, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომელიც სკოლას ამთავრებს, ამდენი წელიწადია უყვარს ერთი ადამიანი და არანაირი საშუალება არა აქვს ამ ადამიანთან სიახლოვისა, გარდა ერთის, რომ მოიტაცოს, ჩასვას გემში და უცხო მხარეში წაიყვანოს. და ესეც, როგორც ვხვდები, ვერ არის გამოსავალი.

პატივცემულო შემფასებელთა საბჭოს წევრნო, რა ვქნა?

ისე კი, მაინც ხალისით გეთხოვებით და გთხოვთ, საიდუმლოდ დარჩეს ეს თხზულება, რათა არ ატყდეს ხმაურობა ორ გვართა შორის.

მოწაფე ალესანდრო და კოსტა, დამამათავრებელი კლასი.

25 მაისი, 1987 წელი

ლიგურიასთან

ყველაფერი აირია რესტორან „ლიგურიასთან“ შუადღის ორ საათზე.

იქ ხალხი ყოველთვის ბევრია და ახალგაზრდებიც მრავლად იყრიან ხოლმე თავს ტერასაზე, ტრიფოლიატის ბუჩქებთან: ხოლო სწორედ ორ საათზე, აქ ახლომახლო დაწესებულებათა კლერკები და მათზე ცოტა უფროსი მოხელეები მოდიან ხოლმე სასადილოდ, ვინაიდან ფასი დაბალია, რიკოტას ყველით გამოტენილი პანსოტი კი საუკეთესოა სანტა სიტიში. ისე, წვნიანებიც აღმნთები აქვთ, მინესტრონეცა და ბურიდაც, თუ რა თქმა უნდა, თევზის წვნიანები გიყვართ. ისეთი ადგილია, რომ საღამოობით ინგლისელებსაც კი გადააწყდებით, რომლებიც, თუკი მოვლენ, ცხადია, საუკეთესო მაგიდებს დაიკავებენ ხოლმე.

ყველაფერი აირია სწორედ „ლიგურიასთან“.

თანაც იმ დროს ტურისტები იყვნენ იქ და ეს სამარცხვინო იყო, ვინაიდან მსგავსი რამეები არასოდეს ხდებოდა ხოლმე და თუ ოდესღაც მომხდარიყო, თქმულებად მოდიოდა: ვთქვათ, როგორ მოკლა მამია შუღლიანმა მოსამართლე პირდაპირ დარბაზში, როცა თავისი სამოქალაქო საქმის განაჩენი მოისმინა. ეს მოხდა მგონი 1923 წელს, ან ეგებ 1873 წელს, რატომღაც, ყველა მთხრობელი ბოლო რიცხვად სამიანს ასახელებს ხოლმე.

პორტა ნოვას ქუჩაზე ჩვეულებრივ მანქანები არ შემოდიოდა, მხოლოდ საგანგებო საშვით მოძრაობდნენ პროვიანტის ფურგონები და ისიც ადრიან დილით. მაგრამ ახლა ფურგონი შემოვიდა და ქუჩაზე მოხეტიალე პოლიციელს რაიმე ფარსაგის სუნი არ უკრავს, ვინაიდან მანქანას დიდი შინდისფერი ასოებით ეწერა „ Visramiani Chicken Legs,“ რაც იმას გულისხმობდა, რომ მძღოლს ქათმის ბარკლები მიჰქონდა რომელიღაც რესტორანში.

ფურგონი სწორედ „ლიგურიის“ წინ, ყვავილებთან გაჩერდა და იქიდან დათა ვისრამიანი გადმოვიდა.

ეს რომ ვინმეს დაენახა, გაუკვირდებოდა, რადგან უმცროსი ვისრამიანი ის კაცი არ იყო, ფურგონით ევლო და ქათმის ბარკლები ერიგებინა დუქნებში. ესეც რომ არა, საკვირველია, რატომ უნდა ჩაჯდეს კომპანიის სატვირთო ფურგონში ამ კომპანიის პატრონის ვაჟი და მემკვიდრე, თუნდაც ოცი წლისა იყოს და მშობლებს მისი შრომაში გამოწვრთნა სურდეთ?

თანაც, ისედაც ყველამ იცოდა, რომ პატარა ვისრამიანის მთავარი გატაცება ინტის[4] სახლებში სიარული, იქ ბანქოს მაგიდებთან დგომა, მოთამაშეთა თვალიერება და

პარტიებზე თვალის მიდევნება იყო. უმცროსი ვისრამიანი ჯერ თამაშს ვერ ბედავდა, მაგრამ სწავლით ნამდვილად სწავლობდა და მამისა და ბაბუებისგან უჩუმრად მასწავლებელიც ექირავებინა. ის ფიქრობდა, რომ მომდევნო წელიწადს ინტის თამაშის 129-ე ფესტივალზე მოყვარულთა მაგიდას მიუჯდებოდა და ბედსა სცდიდა. ოღონდ, ამას ჯერ არავის უმხელდა და ხეირის უბანში, ორიდან ოთხ საათამდე, მათალოს კლუბის უკანა ოთახებში ეუფლებოდა ოსტატობას.

საერთოდ კი, დათა ვისრამიანი სულაც არ იყო ცუდი ბიჭი, თუ იმას მოუხუჭავდი თვალს, რომ ვისრამიანი იყო. უბრალოდ, ის დარჩებოდა გასაკვირი, რომ ფურგონიდან გადმოვიდა, ყვავილებს აქედან გადახედა ტერასას და ხმადაბლა დაიძახა: - ტონინო, ტონინო...

ანტონიო ერთ ნორვეგიელ გოგოს ეჟღურტულებოდა, სიწითლეშეპარული მკლავზე აუსვ-ჩაუსვამდა თითს და უხსნიდა, როგორ შეერუჯებოდა აქ ჩამოსვლამდე თეთრი, ახლა შეწითლებული სხეული. უკვე მეორედ შეხვდა ამ გოგოს, რომელსაც ინგრიდი ერქვა და იმედოვნებდა, რომ მესამე შეხვედრა, რომელიც ამ საღამოსთვის უნდა შეეთავაზებინა, დამაგვირგვინებელი გამოდგებოდა.

თუმცა, შემაშფოთებელი ის იყო, რომ გოგოს კანი ეწვოდა და იმ საქმეში, ანტონიოს რომ ჩაეფიქრებინა, ეს გარემოება ეგებ დიდი ხერგილიც შექნილიყო.

„რატომ იწვიან ასე თეთრი ქალები?“ გამწარებით ჰკითხავდა თავის თავს ანტონიო, „რატომ არ უყვარს მზეს ისინი?“

- ტონინო, ტონინო...

ანტონიომ მოიხედა: - გაუმარჯოს...

სანტა ესპერანსაზე კარგი აღზრდის ერთ-ერთი ნიშანი ის იყო, თუკი ადამიანი თანამოსაუბრეს სწორედ მის მშობლიურ, ანუ თავისთვის უცხო ენაზე მიმართავდა და თუკი ეს მოსაუბრე ასევე თავისთვის უცხო, მაგრამ შემკითხველისთვის მშობლიურ ენაზე უპასუხებდა, ნამდვილი ჯენტლმენური ურთიერთობაც ეს გახლდათ.

ახლაც ასე იყო.

- ეგ რა ქალი დაგითრევია? კიბორჩხალა იყიდე ნავსადგურში?

- არაფერი გესმის... წადი, ილოცე.

- მისმინე, ტონინო, სანდრო და კოსტას ნახვა მინდა...

- მაპატიე, ინგრიდ... ამ შეუხედავ ბიჭს უნდა დაველაპარაკო...

- არც ისე შეუხედავია...

- თვალი მატყუარაა... შენ პლაჟზე უნდა ნახო... - ანტონიო წამოდგა, მაგიდებს შორის გამოიარა და დათას ხელი ჩამოართვა.

- ძალიან მეჩქარება, - უთხრა დათამ მღელვარედ, - სანდრო უნდა ვნახო...

- რა ჯანდაბად გინდა?

- ჯანდაბა მერე ნახე... მოგეხსენება, ჩემი და გათხოვდა.

- ეს დიდი ხანია ვიცით.

- მე თუ მკითხავ...

- კარგი, არ გვინდა.

- ჩემი სიძე ზის ფურგონში...

ანტონიომ მანქანას გახედა.

- ალბათ ხვდები, რომ... მანქანით ტყუილად არ მოვსულვართ. რახან მანქანით მოვედით, ესე იგი ჩქარა უნდა წავიდეთ.

- ანუ გაიქცეთ.

- სწორია.

- ანუ...

- ტონინო, მგონია, რომ საქმე ცუდად წავა. ჩემი სიძე, მოგეხსენება უცხოელია. თან იმ თავის ქვეყანაშიც არა აქვს საქმე მთლად კარგად.

- ვიცი, იქ ომია...

- ეს არ არის მთავარი. მამაჩემიც იქიდანაა, მაგრამ სხვანაირია. მამაჩემმა გმირობა ჩაიდინა. დედაჩემი რომ შეერთო, საზღვარზე გადმოიპარა... ეს კიდევ სხვაა. ეს იქ მგონი ოფიცერი იყო, თუ რაღაც ასეთი. პისტოლეტს არ იშორებს... გუშინ ვიღაცას უამბია, რომ სანდროს ბავშვობიდან უყვარს ჩემი და და ჩვენი საგვარეულო წესი რომ არა, ცოლადაც შეირთავდა.

ანტონიომ იგრძნო, როგორ ჩამოცხა და ფორთოხლის ხეს მიეყრდნო.

- წამომაყვანინა თავი... უარი ვერ ვუთხარი... მათთან ასეა, რომ თუ ასეთ რამეს გაიგებს ქმარი, აუცილებლად იმ შეყვარებულს უნდა დაელაპარაკოს და აუკრძალოს მის ცოლზე ფიქრი. თუ ის არ დაჰყაბულდება, ეგებ ტყვიაც დაახალოს...

ანტონიომ სიგარეტს მოუკიდა. მთლად გამწვანებოდა თითები და სიმამაცის შესანარჩუნებლად შავი სათვალე შველოდა. ზორბა ნორვეგიელი გოგო უღიმოდა ბუჩქს იქიდან.

- თქვენებმა იციან? - ჰკითხა დათას.

- არა, მე დამიმარტოხელა... აი, გაიხედე ფრთხილად... ფურგონში ზის...

- რა ჯანდაბაა... საიდან მოიპოვეთ?

- თვითონ ჩამოვიდა. ბაბუაჩემმა იჩქარა და სასწრაფოდ დააქორწინა. ამასაც რა ენაღვლება? მგონი კიდეც გაუხარდა, რომ ჩვენს გვარზე გადმოვიდა, თორემ თავის ქვეყანაში ეძებენ, როგორც საშიშ კაცს.

- ეგ საიდან იცი?

- ყური მოვკარი, მამაჩემმა ბევრი იცის. იქაურია და რაღაც რადიოტალღებსაც უსმენს. ახლა სატელიტზეც შეიძლება იმათი ტელევიზიის დაჭერა. რა ვქნათ, ტონინო? რა უნდა აუხსნას? უარი ვერ ვუთხარი, ცოტათი მეშინია კიდეც. თანაც, რას ეტყვი, საქმე მის ცოლს ეხება...

- შენს დას...

- ნეტავ არ მოვიდეს...

- ნამდვილად მოვა, თან, წუთი წუთზე...

„სანტა სიტი მეილი“

სანტა ესპერანსას ხალისიან საკურორტო იერსახეს გუშინ საშინელი დარტყმა მიაყენეს პორტა ნოვას ქუჩაზე, რესტორან ლიგურიის წინ, შუადღით.

ორი გასროლით მუცელში მძიმედ დაიჭრა და კოსტათა ოჯახის უმცროსი წევრი, ალესანდრო და კოსტა.

შემთხვევა მოხდა შუადღისას, სადილობის დროს, ხალხით სავსე ქუჩაზე. ახალგაზრდა და კოსტა „ლიგურიის“ ტერასისკენ მიიჩქაროდა მეგობრებთან შესახვედრად. ამ დროს მას წინ გადაუდგა ახლაც დაუდგენელი კაცი, რომელსაც ჰქონდა მოკლედ შეჭრილი თმა და ეცვა ცისფერი პერანგი. უცნობია, გამოელაპარაკა თუ არა ეს კაცი და კოსტას, მაგრამ ორჯერ რომ ესროლა, ამას ვერ წავუვალთ. ზოგიერთი თვითმხილველის მოხსენებით, ამ სროლამდე წუთით ადრე ერთ-ერთი ახალგაზრდა ტერასიდან წამოდგა და ხელებს უქნევდა ქუჩაზე მომავალ და კოსტას, რომელიც ასევე ხელების ქნევით მიესალმა მას, ვინაიდან თავის ამხანაგად მიიჩნია.

გასროლის შემდეგ და კოსტა ჩაიკეცა, მსროლელი კი გაიქცა, რადგან იოლად ისარგებლა ამტყდარი არეულობით. ბედად, იქვე იდგა ვისრამიანთა კორპორაციის სატვირთო ფურგონი და აღარავის დაუცდია სასწრაფო დახმარების მანქანისათვის, და კოსტა ამ ფურგონით გააქანეს საავადმყოფოში, სადაც ორი ოპერაცია გაუკეთეს.

მოწმეთა დაკითხვის შემდეგ საქმეს ნამდვილად მოჰფენს ნათელს თავად ახალგაზრდა და კოსტას ჩვენება, რომელსაც მომჯობინებისთანავე გაესაუბრება სუპერინტენდანტის თანაშემწე.

ქარიანების ნაპირი

აქ იშვიათად სეირნობდნენ ხოლმე, ქალაქს მოშორებული ადგილი იყო: ქარიანის მამულები ერქვა.

მიქელ ქარიანს, ვისაც ოდესღაც ეკუთვნოდა ეს ადგილები, ზღვა სძულდა. ქარიანი მოკვდა, შთამომავლები კალიფორნიამდე მისულიყვნენ. მიწა მათი იყო: უდაბური ნაპირი, უკვე გადაქცეულ ხის მესრით ნაღობი. ტალღების ხმა იგივე. ზღვის

მოტანილი გამომშრალი ხეები და დაბლაგვებული, ზურმუხტის ქვებს დამსგავსებული ბოთლების ნამტვრევები. ეკლები ზედ ქვიშის პირზე. მიქელ ქარიანს არ უყვარდა ზღვა. მისი სახლი თითქოს დარჩენილიყო: ზღვის მხარეს ყრუ კედელი ჩანდა.

აქ თითქმის არასდროს სეირნობდნენ ხოლმე, სახლის ნანგრევში ღამურები ცხოვრობდნენ. ბევრს უნდოდა ამ მიწის ყიდვა, კალიფორნიაში მიმალული ქარიანები არ ჩანდნენ.

სანდრო და კოსტა ნაპირზე იჯდა, ფუტურო კუნძზე, და არ უყურებდა ზღვას, ზურგი მიექცია მისთვის და ჩამავალი მზისთვის. ძველი გზის ნაგლეჯს გასცქეროდა, ბუჩქებს შუა გადარჩენილ ვიწრო შარას.

შემოდგომა მოდიოდა. სანდრო და კოსტამ სიცოცხლეში პირველად იფიქრა, რომ ამ მიწის ნაგლეჯს ისიც სიამოვნებით იყიდდა. მამისეული მემკვიდრეობა რაიმე მშვენიერის ყიდვის სურვილს ნამდვილად აღვივებდა. სანდრომ ქარიანების კედელს გახედა. „Villa Chiariani“ მშვენიერი სახელი იქნებოდა. ის ბროწეულის გაველურებული, თავგანწირულად გადახრილი ხე დარჩებოდა, წამხდარ ბუჩქებს გაკაფავდნენ. პატარა სახლი იქნებოდა. ეგებ ასეც ყოფილიყო, სანდრო და კოსტას აქაურობის მიტოვება რომ არ გადაეწყვიტა.

ეს ამბავი თითქმის მოეფიქრებინა. ფიქრობდა, რომში ჩავალ, მერე გენუისკენ გავუტევ და მერე ვნახოთო. სანდრო და კოსტა ოცდაჩვიდმეტი წლის, ოდნავ თმაშეთხელებული, ხმელი კაცი იყო. ის ოდნავ შეთხელებული თმა მხრებზე ეყარა, თვალები თითქოს მარილწყლით ჰქონდა სავსე და მარცხენა ხელის შუათითზე ვერცხლის საგვარეულო ბეჭედი ეკეთა.

ბუჩქებს შუა თეთრი, პატარა ვეიქლი შემოცოცდა, გზაზე შემოუხვია და სწორედ გადაქანებულ ბროწეულის ხესთან გაჩერდა.

მანქანიდან ქალი გადმოვიდა, თეთრი შლაპა მოიხადა და თავი გააქნია, თითქოს თმიდან რაღაც უნდა ჩამოიბერტყოსო, შლაპა მანქანაში შეაგდო და კარს ჩამოეყრდნო იდაყვებით.

ასე იყო ჩამოყრდნობილი, შავი სათვალე ეკეთა და რას გაუგებდი, ზღვას უყურებდა თუ სანდრო და კოსტას.

მათ შორს ათი ნაბიჯი იქნებოდა.

- მოიხსენი სათვალე, - თითქოს ჰაერს უთხრა სანდრო და კოსტამ.

ქალი არ განძრეულა.

კაცი მძიმედ წამოდგა. ისე, თითქოს არ იცოდა, რა ექნა. ნაბიჯი წადგა წინ და გაჩერდა. სიგარეტის კოლოფი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა. თითქოს ამის მეტი არაფერი ნდომებოდეს.

- მივდივარ, - თქვა ხმადაბლა.

- რატომ? რომ არ მოკვდე?

სანდრომ მხრები აიჩეჩა.

- შეგეძლო მომკვდარიყავი... ბევრჯერ შეგვეძლო მოვმკვდარიყავით. მეც შემეძლო...

კაცმა ქვიშას ამოჰკრა ფეხსაცმლის წვერი და განზე გაიხედა.

- ეს სიკვდილისთვის არ ხდება. პიესა კი არ არის, შექსპირი კი არ არის! ასე რომ იყოს, მაშინ მოვკვდებოდით, კლდეზე რომ ავედით დების ყურეში, გახსოვს?

- გადაეჩვიე ამ „გახსოვს, გახსოვს“ ძახილს, - თქვა ქალმა.

კაცმა კვლავ გადადგა ორიოდ ნაბიჯი.

- ამ ნაპირს ვიყიდდი, ამ სახლს ავაშენებდი...

- გაუქმე ის სულელური საიტი... ნერვები მეშლება, - უთხრა ქალმა, - ადამიანს ბრიყვი ეგონები.

კაცი მანქანის ფერდთან ჩაჯდა და ზურგით მიეყრდნო ფრთას.

ხელი ჩამოწეულ ფანჯრის მინას ჩამოადო.

ახლა სულ ახლო იყო ქალთან. ქალი კი ისევ ისე ჩამოყრდნობოდა კარს.

- ვნანობ, რომ მაშინ არ... რამდენჯერ შემეძლო, - ჩაილაპარაკა კაცმა და ნამწვავი მოისროლა.

- მაშინ არაფერი არ იქნებოდა. მაშინ ხო არაფერი არ იქნებოდა? მაშინ ყველაფერი დაგავიწყდებოდა.

- შენ ყოჩაღი ხარ... როგორ ახერხებ?

- ვახერხებ. ასე ყოფილა...

- მე ახლაც მიჭირს, - წაიბურტყუნა სანდრო და კოსტამ, ქალმა კი მხოლოდ ამოიოხრა.

- მოიხსენი სათვალე!

- არა, - თქვა ქალმა და მანქანის კარს მოშორდა.

ნაპირისკენ მიდიოდა, შუა გზაში დატოვა ქოშები.

- შუშებია, ფრთხილად, - დაადევნა და კოსტამ.

ქალს არ მოუხედია, აუჩქარებლად მიაბიჯებდა ქვიშაში, პირდაპირ წყლისკენ.

წყნარი ზღვა იყო, ხმადაბლა ამბობდა რაღაცას.

- სალომეა, - დაუძახა კაცმა. - სალომეა!

ქალს კვლავ არ მოუხედია, უკვე ნაპირზე იდგა და ძალიან ლამაზი იყო, თუმცა ჩამავალი მზე არ დაგაცლიდა მის შეთვალიერებას.

კაცმა ყველაფერი ზეპირად იცოდა მისი, სილუეტიც ჰყოფნიდა იმისთვის, რომ საოცრებებზე ეფიქრა.

სანდრო და კოსტა მძიმედ წამოდგა და ქალს მიჰყვა. ნაპირამდე არ მისულა, შუა გზიდან დაუძახა: - აქ მოდი, სასაცილოა ასეთი სურათები... ოცი წლის წინათ, ალბათ, ლამაზი იყო...

ქალმა მოიხედა და ჰკითხა: - როდის მიდიხარ?

- ზეგ... მაზეგ... - აიჭრა კაცი.

- არ წახვიდე, - თქვა ქალმა, - არ წახვიდე, თორემ მოვკვდები.

მტკიცედ თქვა ეს სიტყვები. უბრალოდაც თქვა, ისე, რომ კაცი შეშინდა კიდეც.

უცებ მოიგლიჯა სათვალე და ზღვისკენ მოისროლა.

მაყვლის ბუჩქი და ორი ხელი

ნიკოლოზ წინამძღვრის ბაღში, სადაც პანტელეიმონ ბერმა ჩიბუხის ნატეხი უჩვენა დათას

ნიკოლოზ, ერობაში ფარია ვისრამიანი, ერთადერთი იყო ამ გვარიდან, ბერობა რომ გასწია იოანე ნათლისმცემლის მონასტერში და სიცოცხლის ბოლო თორმეტ წელიწადს წინამძღვრადაც იყო.

სიბერეში, მთავარი კუნძულის შუაგულში, მან მიწის ნაკვეთი შეიძინა და იქ საუცხოო ბაღი გააშენა. მიწა მონასტრის ფარით იქნა შესყიდული და იქ მებაღეობას ბერები უძღვებოდნენ, სანამ ერთი ვისრამიანი, როსტევანი, სანტა სიტის ვექილთა ქუჩაზე არ მივიდა თავისი შავი ეტლით და მთლად კუნაპეტი ფიქრით და ქალაქის არქივების უფროსი სამსონ გრასი არ გამოიხმო ჩასქელებული ჰაერით გამოტენილი კაბინეტიდან.

როსტია ვისრამიანმა მისტერ გრასს მონასტრის ბაღზე ჩამოუგდო სიტყვა და სთხოვა, ის ძველი ქაღალდი ეჩვენებინა, ამ მიწის მონასტრისგან ნასყიდობას რომ ადასტურებს.

გრასმა ეს ქაღალდი ვერ იპოვა და უთხრა, საგანგებო წერილით უნდა მიმართოთ მონასტერს, რათა ეს საბუთი მათი არქივიდან გამოიხმოთ, ვინაიდან აშკარაა, საბუთი იმ დროსაა შედგენილი, როცა ქაღალდი დიდი ფუფუნება იყო და მისი ორ პირად არსებობა წარმოუდგენელი ჩანსო.

როსტია ვისრამიანმა გაიცინა და მიუგო, მონასტერში ჩემი ვექილი მივაო.

სასამართლო თვრამეტ წელიწადს გაგრძელდა, ვინაიდან მონასტერმა საბუთი ვერ წარმოადგინა.

დაეკარგათ, თუ რა იყო, უცნობია, როსტია ვისრამიანმა კი, თუმცა საბუთი ვერც თავად წარმოადგინა, მაგრამ ძველი სავაჭრო დავთრები ააფრიალა, რომელთა მიხედვითაც, ბაღში მოწეული ხილის დალალები სულ ვისრამიანები ყოფილიყვნენ. ამ დავთრების ფრიალით ვისრამიანი ამტკიცებდა, რომ ბაღი მის საგვარეულოს ეკუთვნოდა, რასაც ისიც ადასტურებდა, რომ წინამძღვარი ნიკოლოზ ვისრამიანი იყო.

სასამართლო მეტად იტანჯა, ვერც ერთ მხარეს ვერ გაიწია, მაგრამ ვისრამიანებმა იმდენი კი მოახერხეს, რომ ბაღი არავისად ქცეულიყო: ბოლო განაჩენით მონასტერს ბაღის მოვლის და იქ მსხმოიარეს მოხმარა შეუჩერდა განუსაზღვრელი ვადით. ეს ვადა ლამის საუკუნეს გადასწვდა და ამ დროში ნიკოლოზ წინამძღვრის ბაღი ვაშლისა და ატმის გაველურებულ ტყედ იქცა, სადაც მაყვლის ბარდებს შორის გასავლელად დარჩენილიყო ერთადერთი ბილიკი, მოკლე გადასასვლელი ქალაქის ორ უბანს შორის, და ერთი ძველი, მთლად გავერანებული და ჩამპალსკამებიანი ფანჩატური.

ვისრამიანებს თითქოს დავიწყნოდათ ეს ბაღი, სასამართლოს აღარ აწუხებდნენ. მონასტერი ცივად მიიღებდა ხოლმე რომელიმე ვისრამიანის შენაწირებს. ესეც არ იყოს და, ვისრამიანებს თავიანთი ეკლესია ჰქონდათ პატარა კუნძულზე და მონასტერთან დაძაბული ამბავი დიდად არც ანაღვლებდათ. წლიდან წლამდე მონასტერი ელოდა, რომ რომელიმე მეთაური ვისრამიანი მოსპობდა ამ დავას და წერილობითი ქაღალდით დაუბრუნებდა ბაღს ბერებს, მაგრამ ვისრამიანები დუმდნენ, ვითომ არ ახსოვდათ.

ყველამ იცოდა, რომ ვისრამიანებს არაფერი ავიწყდებათ.

როსტია ვისრამიანი იყო უმცროსი ძმა შარუხ ვისრამიანისა.

შარუხ ვისრამიანი ოცდაორი წლისა აღესრულა მაშინ უკურნებელი ჭლექით და შთამომავლობა არ დარჩენია. როსტია ვისრამიანს ქართველ ქალ ვასასისაგან მიეცა ორი ვაჟი, ამათ შუა კი ქალიშვილი, რომელიც ბიძის კვალს მიჰყვა და ასევე უშთამომავლოდ გადაეგო. უფროს და უმცროს ვაჟებს შუა სხვაობამ შეადგინა ჩვიდმეტი წელიწადი და უფროსი ასტეოზ ვისრამიანი მოესწრო თავისი შვილების აღსასრულს, ხოლო უმცროსმა, სახელად კონსტანტინემ, რაიც ბაბუის პატივისცემას უწყოდა, ქართველ ქალ აგრაფინა მესხისგან მისცა ორი ვაჟი, პეტრე და პავლე და ქალიშვილი, კაია.

მეტად რომ არ დავტოტოთ ეს ამბავი, კაია და ძმანი მისნი იყვნენ ბიძაშვილნი ნანაია ვისრამიანისა და მისი ძმებისა, იმედისა და ხვალესი, ხოლო ნანაია ვისრამიანი სწორედ ის უშვილოდ გადაგებული გმირი ქალი გახლდათ, ვინაც ოც წელიწადს ელოდა საბჭოთა საქართველოდან თავისი საბედოს, ირაკლი კლდიაშვილის, გამოღწევას.

საბჭოთა საქართველოდან იყო კაიას ქმარიც, რომელსაც აქაურებმა ბუ შეარქვეს, დიდი, ფახულა და არსად მაცქირალი თვალების გამო. ბუს გმირობა ცოტა სხვანაირი იყო: წინასწარი განზრახვით გემზე მოწყობილიყო მატროსად და როცა გემს თორმეტი მილის სიახლოვეს უნდა ჩაეცურა სანტა ესპერანსას სამხრეთ კუნძულის ნაპირთან, წინასწარ გამზადებული გასაბერი ლეიბით ესკუპა წყალში უმთვარო ღამით.

ეს ცნობილი, თუმცაღა იშვიათი ხერხი იყო საბჭოთა კავშირიდან გაქცევისა.

ლტოლვილი სანაპირო ნავმა შეამჩნია. საბჭოთა გემმა განგაში გვიან ატეხა.

ვისრამიანებმა პირველებმა გაიგეს, რომ საქართველოდან ვიღაცამ მოაღწია. მოუარეს, „აპეკუნობა“ იკისრეს, შეათვალიერეს, რაობა გამოჰკითხეს და კაიას გასათხოვებელ ოპერაციას, რომელიც ორწლიანი მაინც იქნებოდა, ხაზი გადაუსვეს. ფული ფულად დაიზოგა და ბედმა სიძე თავისით მოიყვანა. მერე რა, რომ კაიაზე შვიდი წლით უმცროსი იყო? რადიოს სმენა უყვარდა და მდუმარე ჭაბუკი ბრძანდებოდა.

კაიას მიეცა ორი შვილი: უფროსი - ქალი, სალომეა, და უმცროსი - ვაჟი, დათა, რომელთანაც ვისრამიანებს სამწლიანი ომი გამოსვლოდათ, რადგან ვერასგზის გაესტუმრებინათ სასწავლებლად. ვაჟის ასეთი განზე გასვლა იშვიათი იყო შენახულთა გვარში. საკუთარ თავს კი ეძახდნენ ვისრამიანები შენახულებს, მაგრამ რაღა შენახულობა გამოდიოდა, შვილები თავისას აწვებოდნენ და არა ოჯახისას და საგვარეულო ჭორაობაში ხშირად გაჰკრავდნენ ხოლმე ბუს, ვერ გამოდგაო, შენახულობა ვერ გასწიაო, თავისით მოსული სიძე უკეთესიც ვერ იქნებოდაო. საერთოდ კი ბუს სიტყვა ნაკლებად ეთქმოდა ვისრამიანთა საქმის თუ საქეიფო შეხვედრებზე და მისი ხმაც, თვით თავისი ოჯახის საქმეებში ერთი დაჩურჩულებასავით იყო, მაშინ, როცა კაიასი შვიდიანზედ მისული და მაღალი. ისეთი, რომ ცას მისწვდებოდა.

მემკვიდრე დათა ვისრამიანმა თანმხლებ სუნგალზეც, პირად მცველზეც უარი თქვა, თუმცა, ის ოჯახის უერთგულესი კაცი იყო. ამან ვისრამიანები დიდად აღაშფოთა: ისედაც სულ ლაპარაკი იყო, რომ ახლა ასეთი თაობა მოდის ყველგან: ინგლისშიაც.

ცალკე რამედ ღირდა სალომეას ამბავი, რომელიც ასევე უხეიროდ წარიმართა, ვინაიდან, სალომეას ბავშვობიდანვე მალვით ჰყვარობდა სანდრო და კოსტა, ჯენოველთა გამორჩეული ოჯახიშვილი და სალომეაც, რომელიც დედასაც და მამასაც ჰგავდა, მიჰყვა ამ სიყვარულს და მიჰყვა ისე, რომ ვისრამიანთა ყველა ფაბრიკა შეზანზარდა და შენახულებმა სუნგალთა დაგეშვაც კი დაიწყეს.

ოც წელიწადში სალომეა და სანდრო და კოსტა გაიქცნენ შვიდჯერ და შვიდჯერვე დამარცხდნენ, მერე კი სალომეას ქმარი უპოვეს, ქართველი ჭაბუკი, რომელიც შურისმაძიებლებს სანტა ესპერანსაზე გამორიდებოდა უკვე საბჭოელთაგან თავისუფალი საქართველოდან.

ის, მგონი, განგსტერი იყო. ოღონდ დამარცხებული და სალომეაც დამარცხდა, თუმცა არ განადგურებულა. ცრემლი ვერ გადმოაგდებინეს, ვინაიდან დედას ჰგავდა, და ხმა ვერ ამოაღებინეს, ვინაიდან მამას ჰგავდა.

დათა ვისრამიანს კი ერთი მეგობარი ჰყავდა.

ისიც ბერი, ისიც მონასტრიდან, რომელსაც ვისრამიანები არ უბრუნებდნენ გავერანებულ ბაღს.

ბერს პანტელეიმონი ერქვა და დედით ბერძენი იყო.

დათა ვისრამიანს ცოლს ვერ რთავდნენ. ბერი ფიქრობდა, რომ ეგებ ის მორჩილადაც მისულიყო მონასტერში, თუმცა დათა, უკვე ოცდაათისა, სანტა სიტიში ერთ-ერთ

საუკეთესო ბანქოს მოთამაშედ ითვლებოდა და აქაური თამაშის, ინტის დაცვითი სტილის დიდოსტატის სახელიც მიეღო.

ეს თამაში გახლდათ მისი ალალი გატაცება და ეს თამაში, როგორც ყოველგვარი თამაში, ვერაფრით მოვიდოდა მართლმადიდებლურ მონასტერთან. დათა საგვარეულო ზიარებებზეც არ დადიოდა, მონასტერი უფრო უყვარდა, თუმცა, იქ მისვლა ერცხვინებოდა ძველი შუღლის გამო. ამიტომ თავის ძველ მეგობარს, პანტელეიმონ ბერს, მობილურით შეუთანხმდებოდა ხოლმე და ადრიდანვე დაუთქვამდა შეხვედრას.

უცნაურია, მაგრამ ისინი ნიკოლოზ წინამძღვრის ბაღის კიდეზე ხვდებოდნენ ერთმანეთს და მერე სახურავჩალეწილი ფანჩატურისკენ მიიკვლევდნენ გზას.

დათასთვის ეს შეხვედრები აღსარებათა მსგავსი იყო, თუმცა საეკლესიო საიდუმლოსთვის აუცილებელი წესები აკლდა და ამიტომ, უბრალო, მეგობრულ გულის გადაშლას ემსგავსებოდა. ბერს უნდოდა, რომ დათას ბანქოსთვის თავი ენებებინა, ეკლესიურად განწმენდილიყო და უფრო დაახლოებოდა მონასტერს.

დათამ კი ერთხელ უთხრა: - მე მგონია, რომ ეს თამაში ყველაზე მნიშვნელოვანია იმათში, რაც ჩვენს კუნძულზე არსებობს. ის რელიგიაზე მნიშვნელოვანია.

- აი, კიდევ შესცოდე ახლა, - ამოიოხრა მაშინ ბერმა, - როგორ შეიძლება თამაში რწმენაზე მნიშვნელოვანი იყოს?

- რწმენა ღმერთია, თამაში კი ცხოვრება, - მხრები აიჩეჩა დათამ.

არასოდეს ყოფილა, რომ რომელიმე ვისრამიანს სხვათა დასანახად ეთამაშოს ბანქო.

ვისრამიანები წელიწადში ერთხელ იკრიბებოდნენ მთელ საგვარეულოდ და უზარმაზარ მაგიდასთან ჩამოარიგებდნენ ხოლმე ინტს, ამ უხერხულ, უცნაურ ბანქოს. ისინი შინაურულად, ცხვრებზე თამაშობდნენ, შენახული შენახულს ფულს არ გამოართმევდა. ცხვარი კი ოხუნჯობა იყო, ძველი ადათი.

შემოდგომის კარგი ხუთშაბათის შუადღე იყო, როცა პანტელეიმონ ბერი და დათა ერთმანეთს შეხვდნენ.

ბერს ჩანთა მოეგდო მხარზე.

- თაფლაკვერები მოგიტანე, - უთხრა დათას, როცა მათ ბაღის მორღვეულ ღობეს გადააბიჯეს და შეყვითლებულ ბალახში მიჰყვნენ თავიანთ გზას.

- ერთი რამე მოვიფიქრე, - თქვა დათამ ღიმილით, - როცა შენახულების ქონების წილს მივიღებ, შენ კიდევ წინამძღვარი გახდები, ამ ბაღს მონასტერს დავუბრუნებ. ოღონდ, მერე აქ დამმარხეთ...

- რა ფიქრებია? - თითქოს გაჯავრდა ბერი, - სხვა ვერაფერი მოიფიქრე ამ ერთ თვეში?

- კი, როგორ არა, ბევრს ვფიქრობდი, ხვალ პარტია დგება, მე და უმცროსი მედროშე ხეირის ძველ ოთხეულს ვეთამაშებით. ყველაფერი მოვიფიქრე. ორი კვირაა მაგ პარტიაზე ვფიქრობ.

ბერმა პირჯვარი გადაიწერა.

- პარასკევს... თამაში...

მერე ისინი ფანჩატურში ისხდნენ და დათა „კრეივენს“ ეწეოდა ძველი, პაპისეული მოკლე მუნდშტუკით.

- გუშინ რეჯიმენტის ოთხი კატარღა გავიდა ნავსადგურიდან. დიდი გაცილება იყო... - ამბობდა ბერი.

- მართლა? არც გამიგია...

- დიდი გაცილება იყო. მიდიან ნელ-ნელა. მაისში ბოლო ჯარისკაცი გავა, ივნისის პირველ შაბათს კი გუბერნატორი დროშას გადასცემს რჩეული გვარების წარმომადგენელს და იმავე დღეს გემით გაშორდება ნაპირს. ამ ცერემონიალში კონფესიებიც უნდა ჩაერთონო. მე მგონია, რომ დროშა ჩვენს წინამძღვარს უნდა გადმოაბარონ, სიმბოლურად, რა თქმა უნდა, რადგან უძველესი ღვთის სახლი ქვეყანაში ჩვენი მონასტერია...

დათა გაიზმორა: - ესე იგი, ინგლისელები ფაფუ?

- ყველაფერი ძველებურად დარჩება. გაის ამ დროს არჩევნები იქნება. ინგლისელების ბანკები და ბიუროები სად წავა. მე ძალიან მეშინია...

- რისა გეშინია, თუ ძველებურად დარჩება?

- ძველებურად ინგლისური ბანკები დარჩება... აი, ნახე. დროშის გადაცემა ივნისის პირველ შაბათს დანიშნეს. სხვანაირად, ტურისტული სეზონის პირველ შაბათს. რატომ?

- იმიტომ რომ, ბევრი ხალხი იყოს და ფულიც ბევრი შემოვიდეს. რა, არა?

- მერე, ეს რა მომხვეჭელობაა? თან ყველამ იცის, ივნისის პირველი კვირა წვიმიანია.

- შაბათი ხომ არ არის წვიმიანი?

- ტურისტები დუქნებს მოედებიან, მეორე დღეს კი წვიმა იქნება.

- საიდან ხედავ ხოლმე ასეთ რამეებს? - ჩაიცინა დათამ.

- მონასტერი მაღალზეა. წიგნთსაცავის სარკმლიდან ყველაფერი ჩანს.

- ხე-ხე...

- შენ ფრთხილად იყავი.

- მე?

- ხო... რა გვარი ხარ?

- მერე?

- მერე შენი შენახულები ისე ისხდებიან? კოწია გაჩერდება?

- მერე მე რა? მე ხეირზე ვცხოვრობ. მე სახლში არ დავდივარ. მე ჩემი ცხოვრება მაქვს.

ბერი ჩაფიქრდა, ფანჩატურის ჩალეწილი იატაკიდან ამოზრდილ უშნო და ეკლიან ბალახებს დააცქერდა.

- რა იყო?

- ეგღა გაკლდა.

- რა იყო?

- რას გადაკიდებიხარ იმ ქალს?

დათამ მუნდშტუკს ჩაბერა, თამბაქოს ნარჩენები გამოყარა გარეთ.

- რას დადიხარ „მარანაში“? რა დაგრჩენია? არ გინდა ასეთი ცხოვრება. ამას ჯობია, ქუდი დაიხურო და სადმე წახვიდე.

დათამ ისევ გაიცინა.

- „მარანაში“ ვიყავი, ხო... ვჭამე და წამოვედი... წელიწადია „მარანაში“ დავდივარ.

- ძალიან ბევრს ვლოცულობ შენთვის. ძალიან მიჭირს, - წაიბურტყუნა ბერმა. - სამჯერ იყავი „მარანაში“.

- ერთი ფრანგია, ის ამეტორღიალა. ძალიან მინდა იმ სიმღერების მოსმენა და მაჩვენეო...

- მარტო იყავი... იქედან მარტო არ წამოსულხარ. ხო ისევ წითელი მანქანა გყავს?

- ეგეც წიგნთსაცავის ფანჯრიდან დაინახე?

- კი... ჭოგრიტით... ძველი ჭოგრიტია, მონასტრის. ვათვალიერებ ხოლმე ქალაქს. ფრანგს რა უნდა?

- კულინარიულ წიგნს წერს. ინგლისელი ფრანგია.

- თუ სიმღერებზე წერს?

- არა, საჭმელებზე.

- აბა, რა უნდა იმ ქალებთან?

- ნუ ღელავ. ინტის მოთამაშისთვის არ შეიძლება სხვა რამეების კეთება. ინტი მთელ სიცოცხლეს მოითხოვს.

- ორჯერ მიიყვანე ის ქალი სახლში...

- არაფერი. ნუ ღელავ... ჩემთვის თავის დახსნა იოლია, მით უმეტეს, როცა ვისრამიანი ხარ. იციან, ვერ შემოგეთხოვებიან...

ბერმა ჩანთა გახსნა: - აი, თაფლაკვერები, - პატარა პარკი გაუწოდა.

- როგორ მიყვარს მონასტრის საჭმელი, - ამოიოხრა დათამ, - მადლობ.

- ფრთხილად იყავი, - არ მოისვენა პანტელეიმონ ბერმა, - ცუდი ამბები ისმის. უფრო ცუდია მოსალოდნელი.

- მე რა? - ილუკმებოდა დათა.

- აი, უყურე, - ბერმა ჩანთიდან ვერცხლის ქაღალდში გახვეული მოგრძო რაღაც ამოიღო, - იცი აქედან სად მივდივარ? სთეითში, სიძველეების ექსპერტთან. შეიძლება ციტადელშიაც მომიწიოს ასვლამ, მუზეუმში. წინამძღვრის დავალებაა... ერთი კვირის წინათ ჩვენთან წყალსადენ მილს ცვლიდნენ მუშები და ნახე... - მან ფრთხილად გადახსნა ქაღალდის ერთი კიდე და დათამ მოშავო ხის ნატეხი დაინახა.

- ე... ჩიბუხია? ბაბუაჩემს აქ ერთი ეგეთი ნამტვრევი.

- არ ვიცით... შეიძლება ალი ბეის ჩიბუხის გამოდგეს... იცი ის კაფე, ერთი შეშლილი ოსმალო რომ ალი ფაშაზე ყვება?

- „ალი ბეის და ბასილას ჩიბუხი“? ძალიან მაგარი თამბაქო აქვთ. საუკეთესო...

- ესეც იცოდე, რომ საერთაშორისო პოლიტიკის ჭრილში ეს ჩიბუხის ამბავი შეიძლება ძალიან ცუდად მოგვიტრიალდეს.

- შენ ბერი ხარ თუ თემთა პალატის წევრი? - დათა თაფლაკვერებს ვერ სწყდებოდა.

- მე არაფერ შუაში ვარ... მე უბრალოდ მესმის, რასაც ლაპარაკობენ. იმ თურქს მორადი ჰქვია და ამაყობს, რომ ალი ბეის ჩიბუხის ყველაზე მეტი ნამტვრევი აქვს. ღმერთმა მოახმაროს, მაგრამ ალი ბეის ამბავი ამ კუნძულის კულტურის და წარსულის ნაწილია. აქ მთელი საფუძვლებია. ინგლისელები წავლენ და რას იზამენ ოსმალები? ისინი იტყვიან, იქ კულტურულად ჩვენი უპირატესობა არისო. ამას გამოიყენებენ. მოიყვანენ იმ ყავახანის პატრონს და მთელი ჩიბუხის ნამტვრევები იმას აქვს. ჩვენ თითო-თითო და გაბნეული. ალი ბეის ამბავი ხომ აქაურობის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბავია. ქვეყნის საფუძველად თვლიან, თუმცა, მე ასე არ მგონია...

- ალი ბეი ქართველი იყო, ციხისთავი. მიაკითხონ ციხისთავებს, არჩილიანები მოძებნონ.

- ალი ფაშა მუსლიმი იყო. ციხისთავები დაემცრენ, ვისრამიანებმა აჯობეთ. მათიანებმა აჯობეს, ესენიებმა აჯობეს... ყველამ აჯობა. ერთი საბრალო ბებო დარჩათ...

- არ გვინდა მისტიკა...

- ნამტვრევები, - არ დაიშალა ბერმა, - სამწუხაროდ, მხოლოდ ნამტვრევები არ არის.

- და მოლები რაღას ამბობენ? - შესცინა პირგამოტენილმა მოინტემ.

- მე რა ვიცი?

- და ჯენოველები?

ბერმა მკაცრად შეხედა.

- დამცინი არა?

- იცი რა? როგორც კრიკეტი ვერ გვასწავლეს ინგლისელებმა, ისე ვერ ვასწავლეთ ჩვენ იმათ ინტი. ვისტი ურჩევნიათ. ხოდა, ეხლა წავლენ და ითამაშებენ იმ თავიანთ ვისტს სხვა სამხედრო ბაზაზე. ახლა, რეჯიმენტს თუ ქალები მისდევენ მოთქმა-კივილით, იმათ „კაპიტან კორელის მანდოლინა“ წაიკითხონ და მერე ზღვის პირას ჩამოსხდნენ.

- კაპიტან... ვისი მანდოლინა?

- წიგნია, ახალი, სხვათა შორის... რეჯიმენტებზეა, ომზე, სიყვარულზე... იმაზე, რაც არ არსებობს და მგონი, არც ოდესმე არსებულა...

მერე ჩუმად ისხდნენ. ბერმა მათარა ამოაძვრინა ჩანთიდან, თავი მოხადა და გაუწოდა:
- მიდი, ჩვენი ნაყენია... პიტნის.

- ღმერთო, როგორ მიყვარს მონასტრის საჭმელი, - გაიმეორა დათამ და მერე უცებ თქვა: - მოდი, რა... წავიდეთ აქედან. ვთქვათ, საქართველოში წავიდეთ. დავათვალიეროთ, ვნახოთ.

- იქ ომია.

- აღარ არის.

- ცოლის შერთვა მოგინდა? მაინც ვისრამიანი ხარ...

- ისე ვნახოთ, არ შეიძლება? მამაჩემი რასაც ამბობს... მამაჩემის დედა ცოცხალი იყო იქ. ქალაქ თიბილისში ცხოვრობს. მამაჩემის და... მამაჩემი ხო... მართლა ომი იყო. ახლა აღარ არის. ახლა ყველაფერია. იცი როგორი ეკლესიებია? ძალიან დიდი და მოყვითალო, კლდეებზეც დგას. მამაჩემი ამბობს, რომ ქართველები იოანელ ქართველებს ვჯობივართო. მე მეუბნება. ერთხელ მითხრა, დათვრა. ესენი ვაჭრები და უცხოელების ტრაკის მლოკველები არიანო, ქართველები კიდევ ასე არასდროს იზამენ, იმიტომ რომ ვაჭრობა სირცხვილიაო...

ბერი თითქოს აღელდა.

- ნახე? მამაჩემი ხო არ ლაპარაკობს, არც დედაჩემს ეუბნება ასეთებს, მაგრამ მე ერთხელ მითხრა, მთვრალი იყო, შენ იცოდე, რო ვისრამიანი არა ხარო.

- აბა ვინ ხარო?

- შენ ავალიანი ხარო და ამათი დარდი ნუ გაქ, თუ ვისრამიანები ჩაგაშხამებენ ცხოვრებას, ავალიანები ყოველთვის გიშოვნიან თბილისში ერთ ოთახს, ერთ ბოთლ ღვინოს და ერთ კაი გოგოს, რომელსაც არასდროს დაეზარება შენი მოფერება და სულ დაგელოდებაო, საზიზღარი რო იყო, ყველაფერს გაპატიებსო...

ეს ძალიან უბრალო და ჩვეულებრივი რამე იყო, მაგრამ ბერს ცრემლი წამოუვიდა, უფრო სწორად, ორი თითით შეაჩერა ცრემლები.

- კარგი ერთი... მამაჩემი სხვა კაცია... - კვლავ „კრეივენი „ ამოიღო დათამ, - ძველად ალბათ ჩვენც ეგეთები ვიყავით. ერთხელ კიდე რა მითხრა? მე რა კაცი ვარ, გვარი გამოვიცვალე კაი ცხოვრებისთვისო. სულ ჩემი დის მომხმარე იყო....

- ვიცი... თუმცა, იმათ შენ დიდად არ უნდა უყვარდე. შენი სიძის ამხანაგებს.

- წავიდეთ რა, ვნახოთ მაინც... ფული ჩემზეა. შენ კიდევ ეკლესიებს ნახავ. ის ალბომი ხო მოგეწონა.

ბერი ისე იჯდა, თითქოს იმ ალბომს ჩასცქეროდა, ბოლოს კი თქვა: - ომი იქნება... ეგება საქართველოსთანაც. შეჭამე... ექსპერტი მელოდება სთეითში, - და პირჯვარი გადასახა დათას.

კონსტებელ გლურჯი დაღიანის პატაკი. კაპიტან უნუთ ბეისადმი

„გუშინ, საღამოს ცხრა საათისთვის შევუდექი მორიგეობას ჩემდამი რწმუნებულ დუქნების ქუჩაზე ხეირის უბანში. მორიგეობა გადავიბარე ჩვეულებრივ, შადრევნის საგუშაგოსთან (იქ, სადაც მეძავები დგანან ხოლმე და უცხოელებს აწუხებენ, კაფე „ტრაგილტო ბრევეს“ მიდამოზე). მეძავთა რიგის მოწესრიგებას დავჭირდი ნახევარ საათს, რის შესახებაც ვაუწყე მეორე საგუშაგოს, რომელიც ბერძნულ რესტორანთანაა ქუჩის მეორე ბოლოში. იქიდანაც მამცნეს სრული წესრიგის შესახებ, რის შემდეგაც შევედი და დავჯექი საგუშაგო ჯიხურში, რადგან მომატებული ჭარბი გამვლელები არ შემეწუხებინა საპოლიციო სამოსის ხილვით.

ჯიხურში ვკითხულობდი გაზეთს, თუმცა, ქუჩასაც გავცქეროდი ხოლმე. დუქნების ქუჩაზე ხალხი ათი საათის მერე იმატებს, ტურისტების მატება კი გვარიანად გვირთულებს საქმეს, ვინაიდან, ტურისტები დუქან-კაფეებში კი სხედან, მაგრამ უმეტესი იმათგანი ქუჩებზე დაზურზუტობს, კანაფის გამყიდვლების მომლოდინენი და ქალები ქუჩების ვიწრო ჩასასვლელებს ახშობენ თავისი იქ ერთ ადგილას დგომით. როდესაც შემოვლას ვიწყებ ხოლმე თერთმეტ საათზე, ქალების ქუჩებზე ჩახვევა ძალიან ჭირს, ვინაიდან ეს ყმაწვილი ტურისტები თითოეულ წითელ კართან ირევიან და ვერ გადაუწყვეტიათ, იქ შევიდნენ, თუ არა.

ამის შესახებ წერილობით იმიტომ მოგახსენებთ, რომ ვფიქრობ, შემოვლათა გახშირება გვმართებს, რასაც ერთი კაცი ქუჩის თავში და მეორე ქუჩის ბოლოში ვერაფრით აუვა.

შემოვლა სანახევროდ მომთავრებული მქონდა, როცა მეწყვილემ, ქელეშ-აღამ მამცნო, რომ კლუბ „მარანას“ კართან გართულებული ვითარებაა. ქელეშ აღას მე დავახასიათებ მხოლოდ კარგის მხრივ, ის გამოცდილი კონსტებლია და სერჟანტობას გარკვეული შეხედულების გამო არ ეძებს: ინგლისურად პატაკის დაწერა არ შეუძლია, რაც თქვენც კარგად მოგეხსენებათ.

ამ შეტყობინებისთანავე გავწიე „მარანასკენ“ და გზად ვეკითხებოდი ქელეშ-აღას, რა ხდებოდა. ჩვენს საუბარს საპოლიციო კომუტატორიც ჩაიწერდა.

როცა მივაწიე „მარანას“ კარს, იქ მცველების მეტი აღარავინ იყო, ქელეშ-აღაც ახალი მისული ჩანდა. კარში იდგა ორი სუნგალი, სწორედ მათი კაცი მივარდნილიყო ქელეშ-აღასთან, ჩვენსა სახიფათო ხალხი გამოჩნდაო.

საქმე ასე ყოფილა, რომ „მარანას“ კართან შავებში ჩაცმული და მაჯებზე ოქრომობმული სამი გაღმელი ქართველი მისულიყო. ლაპარაკზე მიმხვდარან, რომ ისინი იყვნენ და მერე რამდენიმე ფაქტითაც გამორკვეულა.

მათ ჯერ ინგლისურად უკითხავთ სუნგალებისთვის, ქართულს თუ გაიგონებთო და იმათ რომ თავი დაუქნევიათ, მერე გადასულან ამ ენაზე. ყრუ ტურისტმაც კი იცის, რომ მომსახურე ადამიანი სანტა ესპერანსაზე ვალდებულია ყველა იქაურ ენაზე ილაპარაკოს. მაგრამ ეს ჩემი გასარჩევი არ არის. მათ მოუთხოვიათ კლუბში შესვლა, ვინაიდან მღეროდა კესანე და თითქოს ძალიან უყვარდათ მისი სიმღერა.

სუნგალებმა აუხსნეს, რომ ყველა მაგიდა დაჭერილია, ბართან ადგილი არ არის და უბრალო ბილეთებიც გათავდა. ამაზე სამმა გაღმელმა ქართველმა ახალგაზრდამ მოითხოვა, რომ სუნგალებს გამოეხმოთ დათა ვისრამიანი, რადგან მასთან საქმე ჰქონოდათ. სუნგალებმა კვლავ იუარეს და უთხრეს, თუ არ ვიცით, ვინ უხმობს ბატონ ვისრამიანს, ვერ დავუძახებთო.

ამ სამმა კი თქვა, რომ მისი გაღმელი სიძის ამხანაგები არიან, საქართველოდან დღეს ჩამოფრინდნენ საგანგებოდ მის სანახავად, ოღონდ სახელების უცხოებისთვის თქმას არ აპირებენ.

სუნგალებმა კვლავ უარი უთხრეს, რაზეც მათ შეაგინეს ქართული გინებით, ერთმა კი წაიწია და ლოყაზე შემოსცხო სუნგალ პეპიას. სუნგალებმა წაიწიეს თავიანთი ჩინური ილეთებით, ოღონდ რახან დაწესებულების კარიდან სამი ნაბიჯის იქით თავიანთი საბრძოლო ცოდნის გამოყენების უფლება არა აქვთ, ამიტომაც ბიჭი გამოაქციეს ქელეშ-აღამდე.

გაღმელები მიხვდნენ, რაც მოხდა და გაიქცნენ.

მე შემიძლია დაჯერებით მოგახსენოთ, რომ სანამ საგუშაგო ჯიხურში ვიჯექი, იქ შავებში ჩაცმულ სამ ახალგაზრდას არ ჩამოურბენია. ვივარაუდეთ, რომ ისინი ქალების რომელიმე ქუჩაზე ჩაიმალნენ, ან სამშვიდობოს გავიდნენ.

ამის შემდეგ ჩვენ გადმოვეცით შეტყობინება და მივიღეთ ბრძანება, რომ არავინ გვეძებნა და არც დამხმარე მოვიდოდა, უბრალოდ, სხვა საგუშაგოებს სამთა იერი გადაეცათ და ისინიც ჭკუით დაუხვდებოდნენ.

მე დავბრუნდი ჩემს საგუშაგოზე, კვლავ ნახევარ საათს ვაწესრიგებდი მეკაცეთა რიგს, მერე გავესაუბრე ქელეშ-აღას და რახან წესრიგი იყო, კვლავ შევბრუნდი ჩემს ჯიხურში, რათა საზოგადოება არ გამეღიზიანებინა ჩემი აღკაზმულობით.

შემდეგი შემოვლა ორის ნახევარზე მქონდა და ის ჩავატარე მეტად მშვიდად, შევხვდი „მწვანე კატასთან“ ქელეშ-აღას და კვლავ დავბრუნდი უკან. ისეთი ღამე იყო, როგორც ყოველთვის.

ძალიან გამაკვირვა შეტყობინებამ, რომელიც საყოველთაო განგაშს ნიშნავდა. ეს იყო დილის ხუთის ოც წუთზე. დუქნების ქუჩაზე ამ დროს მთავარი ამბები მოლეულია და გინდა თუ არა, დუნდები. მეკაცე გოგოებიც კი სამი-ოთხი თუღაა ამ დროს და გზაზეც ისე გაბრაზებით აღარ წადგამენ ხოლმე თავიანთ საბრალო და დაღლილ ფეხებს.

მე რიგგარეშე შემოვლა დავიწყე და როცა ქელეშ-აღას შევხვდი, სწორედ იქ მოვიდა ახალი შეტყობინება სავარაუდო გამტაცებლების შესახებ, რამაც ქელეშ-აღასა და მე გვაფიქრებინა, რომ კესანეს გატაცება თავისივე მანქანით, ბუნგალოლენდის მესამე

გზატკეცილიდან მოხერხებულია სწორედ იმ სამეულის მიერ, რომელიც „მარანაში“ შეღწევას ლამობდა.

მათი მიახლოებითი აღწერილობები ჩემთვის ცნობილია, ასევე სუნგალებისთვის - მთლად უკეთესად. თუმცა, ეს არის ღამის აღწერილობები. მაგრამ მე მინდა დაბეჯითებით მოგახსენოთ, რომ რამდენიმე წელია, რაც სხვაგან არ ვიცი და დუქნის ქუჩაზე, თუკი რამ არეულობაა, მოწყობილია გაღმელი ქართველების მიერ, რომელთა მოთხოვნილებები ძალიან ძნელი გასაგებია.

მე მინდა თქვენი შემწეობით შევთავაზო ჩიფს დუქნის ქუჩაზე უშიშროების გამყარების ჩემეული გეგმა.

თარიღი

კონსტებელი გ. დაღიანი

სახალისო ლაპარაკი კაფეში

სულ სხვა წიგნიდან

ეს იყო ლონდონში, ფლიტ სტრიტის ერთ მაგარ კაფეში, სადაც მაგიდას უჯდა ერთი ყვითელპულოვერიანი, თმააფუებული კაცი, ასე ორმოცდათორმეტი წლისა, და ჰყვებოდა.

ოღონდაც, მჟღერ „რ“ -თა ნაცვლად თითქოსდა „ღ“ -ებს ურევდა ლაპარაკში და ხელებსაც ფუნჯსავით მიუს-მოუსვამდა ხოლმე ჰაერში. ამიტომაც ჩანდა მისი პრიალა მანიკურით ნარონინები ფრჩხილები.

ხოდა, ეს კაცი ჰყვებოდა: - მოთამაშე უარყოფდა თავის კლანს და ამიტომაც, თითქოს მარტო უნდა ყოფილიყო. მომტაცებლებს ეგონათ, რომ მოთამაშე მდიდარი იყო, რახან კლანი ძალიან მდიდარია. მაგრამ მოთამაშეს ხომ თავის კლანთან კავშირი აღარ ჰქონდა, და ოჯახის მიერ გაჩენილ სარჩოზეც უარი ეთქვა... მომტაცებლები გამოუცდელები იყვნენ. იფიქრეს, რომ რახან მომღერალი მოთამაშის საყვარელი იყო და თანაც მოთამაშე დიდ ჯენტლმენად და ღირსეულ კაცად იყო ცნობილი თავის კლანს გარეთ, ის თავისი ქალის გადასარჩენად არაფერს დაერიდებოდა. მომტაცებლები ქართველები იყვნენ, მოთამაშის მამაც წარმოშობით ქართველი, თუმცა ამას მომტაცებლები არ შეუჩერებია. ისინი მოთამაშის დის ქმრის მეგობრებად ასაღებდნენ თავს, რომელიც ასევე ქართველია. მაგრამ ესენი ყველანი საქართველოდან არიან, ეს კლანი კი ესპერანსელი ქართველები არიან და ამათში დიდი სხვაობაა.

მომტაცებლებს ქალი ერთ ფერმაში დაემალათ, სადაც ბინად იდგნენ.

სხვაგან სად უნდა წაეყვანათ?

რახან კლანს მისი სიძლიერის გამო ვერ მიუდგებოდნენ, გადაწყვიტეს მოთამაშისთვის დაერტყათ. მოთამაშემ სცადა, თავისი არხებით რაღაცეები დაედგინა. მისი სიძე კუნძულზე არ იმყოფებოდა, თორემ რაღაცაში მოეხმარებოდა.

და იცით, რა მოხდა?

ერთ მშვენიერ დღეს ქალი სთეითის უბანში პოლიციის დეპარტამენტის წინ გადმოსვეს მანქანიდან. შელანძღული და ნაწვალები კი ჩანდა, მაგრამ სწორედ ის ქალი იყო. მეტად ეშხიანი, მინდა ვთქვა.

ქალი იყო ორმოცდაორის, მოთამაშე - ოცდაათისა. ქალისთვის ეს ერთ-ერთი ბოლო შანსი იყო და ეტყობოდა, რომ ძალიან შეყვარებულს ჰგავდა და ამიტომაც თუ შეარჩიეს მომტაცებლებმა. ის გრიმსაც კი არ იშორებდა, ისე გარბოდა კაბარეს გასახდელიდან. იქაური კაბარესი, მინდა ვთქვა, ეს განსხვავებულია.

მომტაცებლები კი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო.

- და თქვენ გინდათ, ეს ისტორია გაყიდოთ? - ჰკითხა ხუთთაგან ერთ-ერთმა მსმენელმა, - ამაზე საშინელი ამბები დღევანდელ ტაბლოიდებში წაუკითხავი რჩება შუა გვერდებზე.

- ეს არ არის ტაბლოიდების ამბავი. ეს ამბავი ტაიმსის პირველ გვერდზე იქნება ერთი კვირის განმავლობაში. ჯერ არა, მაგრამ მალე.

- რატომ?

- ეს პოლიტიკური ამბავია.

- ჰმ... ჰმ...

- მინდა მოგახსენოთ, რაც ყველამ იცის კუნძულზე. მართალია, მოთამაშე და მისი საგვარეულო ერთმანეთთან დაწყობილად ვერ არიან, მაგრამ როცა გაჭირვების ჟამი ჩამოდგა, კლანმა არც კითხა მოთამაშეს, რომელიც პირდაპირ ვერ გამოჩნდა პოლიციაში, რახან მისი რომანი მომღერალ ქალთან არცთუ მოსაწონი იყო იმ რჩეული საზოგადოებისთვის, რომელსაც ის წარმოადგენს. კლანმა თავისი საქმე გააკეთა, პოლიციაზე სწრაფად მოძებნა გამტაცებლები და ქალი გამოიხსნა. თუმცა, რა უქნა გამტაცებლებს, მხოლოდ მისახვედრია.

ამბობენ, რომ ისინი დახოცეს.

ამით კლანმა უთხრა მოთამაშეს, რომ მას შეუძლია ნებისმიერ წამს დაბრუნდეს ოჯახში და თან საკუთარი გვარის შეურაცხყოფად მიიჩნია ის, რომ მის თუნდაც ურჩ წევრს თუნდაც დაბალი ზნეობის ქალი წარსტაცეს.

მინდა გითხრათ, რომ მოთამაშე ჩემი კარგი მეგობარია...

- რა არის აქ პოლიტიკური? კორსიკის შესახებ დაწერილ ძველ რომანს ჰგავს...

- კუნძულზე ოცამდე ძლიერი გვარია. მათი ნახევარი ძალიან მდიდარია. მეორე ნახევარს უფრო წარსულით ეთქმის სიტყვა, ვიდრე ქონებით, მაგრამ წარსული აქ არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ქონება. მაგალითად, თქვენ, ინგლისელებს იქ არასოდეს გიყურებენ როგორც წარსულს და ამიტომ, საერთოდ არ აინტერესებთ, რას საქმიანობთ.

- ეს გადაჭარბებული ნათქვამია. ეს ალბათ იმიტომ იფიქრეთ, რომ ინგლისელები ტოვებენ იქაურობას.

- აჰა�ა!.. თქვენი ფეხით მიხვედით ტაიმსის პირველ გვერდამდე. ასე ორგანიზებული გვარი რას მოიმოქმედებს, როცა თქვენები იქაურობას დატოვებენ? იქ ორი-სამი ისეთი ამბავია, რომ მე ძალიან ცუდ გუნებაზე მაყენებს. მე მომწონს ის ქვეყანა და მეცოდება, ვინაიდან, შეუძლებელია, იქ რაიმე არ მოხდეს. იქაურ პარლამენტში სწორედ ეს გვარები სხედან, მალე ამ პარლამენტს ქვეყნის მართვის უფლება ექნება. თანაც, ეს გვარები არ არის ერთენოვანი და ერთეროვანი. არიან იოანელები, თურქები, იტალიელები... სხვებიც არიან, თუმცა უფრო მცირედნი. ეს არის ხალხი, რომელიც ბავშვობიდან ოთხ ენაზე ლაპარაკობს. რას იზამდით, თქვენ რომ ოთხ ენაზე გელაპარაკათ ბავშვობიდან? ამიტომ მე გირჩევთ, წამომყევით სანტა ესპერანსაზე, თქვენ ორნი მაინც. გამოსთხოვეთ თქვენს გაზეთებს ამის ფული.

ცხადია, ჩემთვისაც. მე სხვა ინტერესები მაქვს იქ, ამ ამბებს თქვენ გჩუქნით. გაყიდით კიდეც, თუ მოინდომებთ...

ეს კაცი იყო ტევიე მორანდი, ერთ დროს „ქრონიქლის“ მწერალი, ახლა კი ის კაცი, ვინც თითქოსდა კულინარიული წიგნის შესადგენად ჩაეხეტა სანტა ესპერანსაზე, მაგრამ ეს საქმე სანახევროდაც ვერ გასწია.

მსმენელები იყვნენ ლონდონელი მოკალმეები, ცხელი ჟურნალისტები განთქმული ტაბლოიდებიდან.

მორანდმა დალია მათი ყავა, გააბოლა კარგი კუბური სიგარა, მოიცვა თავისი კრემისფერი ქურთუკი და წავიდა.

თეატრის უკანა ოთახებში

„ოლიმპოს“ დასი სამი დღით იყო სანტა ესპერანსაში, ორჯერ უნდა ეთამაშა მეგან ლორეტის პიესა „ქალს მივუმატოთ კაცი.“ პიესა კარგად მიდიოდა ლონდონში, პრიზი მოეხსნა ავინიონში და ახლა დასი ყარაჩის ფესტივალზე მიემგზავრებოდა, სადაც თანამეგობრობის თეატრები იკრიბებოდნენ ხოლმე.

პირველმა წარმოდგენამ ტაშის ცემით ჩაიარა. სანტა სიტიში უყვარდათ თეატრი, თუმცა, თავისი დასი არ ჰყავდათ და არც სჭირდებოდათ.

სპექტაკლი თხუთმეტი წუთის დამთავრებული იყო, როდესაც დასის მენეჯერს კულისებში კაცი ეწვია. კარგა ზრდილი და მოვლილი კაცი იყო. წარმატება მიულოცა, თუმცა თავისი ვინაობა არ გაუმხელია.

უბიდან პატარა კოლოფი ამოიღო და გაუწოდა: - ეს სახსოვრად. ესპერანსული ბანქოს შეკვრაა. ხელით ნახატი. ნუ დახედავთ ფასს... ჩვენგან საუკეთესო საჩუქრად ითვლება...

- გმადლობთ... - მართლა გაუხარდა მენეჯერს, - გმადლობთ...

- არ ღირს მადლობად. უბრალოდ, მომეწონა თქვენი დადგმა, მაგრამ... გირჩევთ, ზეგ აღარ ითამაშოთ.

- რატომ? - დაიბნა მენეჯერი.

- შემოდგომა ჩვენთან კარგი იცის... საუცხოო რესტორნებია. უმჯობესია ხვალინდელ საღამოს ზეგინდელიც გადააბათ და იმხიარულოთ.

- კი... მაგრამ...

- ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ დასს ავტორიც ხომ არ ახლავს თან?

- სამწუხაროდ, ავტორი მხოლოდ ყარაჩიში შემოგვიერთდება.

- ეს კარგია... - ჩაილაპარაკა სტუმარმა, - მე ვექილი სამსონ ბრას მეხუთე გახლავართ. თუ ჭიქა ღვინოზე დამეპატიჟებოდით, ყველაფერს აგიხსნიდით. წყნარი ადგილია აქვე, ცალკე დავსხდებოდით...

ჭიქა ღვინო დიდებული იყო, ოღონდ მენეჯერი ღელავდა. ვერც მესამე ჭიქამ უშველა.

- მე მაინტერესებს, - ეუბნებოდა გრასი, - საიდან აიღო ავტორმა ასეთი სიუჟეტი. მესმის, რომ მოქმედება ინგლისში ხდება, მაგრამ ეს ამბავი ცუდად იმოქმედებს ზოგიერთ ჩვენს მოქალაქეზე. პირველი წარმოდგენა არაფერია. პირველის თამაში ყოველთვის შეიძლება, მაგრამ პირველიდან ხალხი ამბავს გაიტანს. დილის გაზეთები რაღაც პარალელებს გაავლებენ, საღამოს გაზეთები ამ პარალელებს გააღრმავებენ... ერთი დღე-ღამე საკმაო დროა, რომ კაცი მოემზადოს და მეორე წარმოდგენა თქვენთვის დაუვიწყარი ფორმით ჩაშალოს. მთავარი კი მაინც მსახიობთა უსაფრთხოებაა.

- კი, მაგრამ... რა არის მიუღებელი? ეს მხოლოდ ამბავია. ეს ხელოვნებაა. ავტორმა მოახდინა ძველებური პიესების პაროდირება.

- ჩვენ ვაფასებთ „ოლიმპოს“ დასს და თუ საჭირო შეიქნება, დაცვასაც მივუყენებთ, მაგრამ ამ პიესაში სწორედ იმგვარი კონფლიქტია აღწერილი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ტრიალებს.

- ეს უფრო საინტერესო უნდა იყოს, - ბლუკუნებდა მენეჯერი.

- სწორია, მაგრამ ამბავი ზუსტად ისეთია, როგორიც ამასწინათ მოხდა ჩვენსა. ერთ ახალგაზრდა კაცს შეემთხვა...

- სიუჟეტი ახალი არ არის. ის ერთგვარი გადამღერებაა... ხომ მოგახსენეთ, პაროდირებულია ძველი განცდები, ძველი...

სამსონ ბრასმა ჩაიღიმა.

- ცხოვრება ბევრად რთულია, ვიდრე თეატრი, - თქვა ბოლოს, - სპექტაკლი ხელს უწყობს რაღაც ამბების გახმაურებას, რომელთა გახმაურებაც ჩვენს საზოგადოებას არ გაუხარდებოდა. ეს პოლიტიკასთანაა დაკავშირებული. მე ხმამაღლა არ გელაპარაკებით, მე გეუბნებით, რომ ზეგინდელი წარმოდგენის ხარჯი

აგინაზღაურდებათ და თავისუფალი საღამოც გექნებათ მრავალსაათიანი ფრენის წინ. ხვალ თქვენს შესახებ იქნება რეცენზიები გაზეთებში, მაგრამ არსად იქნება გამოკვეთილად პიესის შინაარსი და ყველგან ეწერება, რომ დაგეგმილის ნაცვლად, ორიდან ერთი წარმოდგენა გამართეთ. თუ ამის გაგონება გსურდათ, ეს ასე იქნება. ხარჯის ანაზღაურება კი მხოლოდ კეთილი ნებაა და მეტი არაფერი. ნუ დაიწყებთ ჩვენი ლაპარაკის გამო პრესკონფერენციებს. დრო გაატარეთ, დაისვენეთ, შემოდგომის მზის სხივები დააგემოვნეთ. დამერწმუნეთ, აქურობა ჯობს ყარაჩის.

მენეჯერი დამფრთხალი დასცქეროდა ჭიქას. ზურგზე ყურებგადაკეცილი ბოცვერივით იჯდა.

- ნუ იღელვებთ ამის თაობაზე. თქვენ არაფერ შუაში ხართ, ჩვენი თეატრის უფროსობა არცთუ სერიოზული ხალხია, - წამოდგა სამსონ ბრასი, - თუ დასის საბანკო ანგარიშს მომცემთ, ხვალვე მოგივათ ყველა ბილეთის და პროგრამის საფასური. თუ ნაღდი ფული გნებავთ, ასევე ხვალ დილით მოგართმევთ ჩემი წარმომადგენელი... სამწუხაროა, რომ თეატრალური გასტროლები არასოდეს ემთხვევა საკურორტო სეზონს. შემოდგომაზე კი ჩვენი საზოგადოება ძალიან გამეცადინებულია... მართლა ძალიან მომეწონა წარმოდგენა, პატიოსნად... ნაღდი გირჩევნიათ?

„ოლიმპოს“ თეატრს აღარ უთამაშია. მსახიობებმა კარგად მოილხინეს.

სამი სალესი ქვა და მაყვალით სავსე კალათა

ხეტია

ანუ ამბავი ამდენი ამბისა, ქალაქში რომ ხდებოდა და ვერავინ შეამჩნია

პატარა, ულამაზო და შავი ჯიპი ხიდზე გადახრიგინდა, მარცხნივ გაუხვია და ფართოდ მოღებულ, უფრო კი პირმორღვეულ ჭიშკართან გაჩერდა. გაველურებულ, ნარგავ ბუჩქებს იქით, გავერანებული, ხის აივნებიანი სამსართულიანი სახლი იდგა. სახურავი ნაშალი კრამიტით, თუნუქით და ფიცრით იყო გაწყობილი. რაც ეშოვათ, იმით დაეხურათ. ალბათ, ძველად კარგი სახლი იქნებოდა, შთამომავლებს კი ვეღარ მოევლოთ. წესით, აბრა ჭიშკრის თავზეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც სახლის შუა კარზე ჩანდა. სახლის წინ, მოხვინჭულ ალაგას ჭილოფი და ერთი ძველი ხალიჩა ეფინა. იმ ხალიჩაზე გულაღმა იწვა მსუქანი, ულვაშებჩაგრეხილი კაცი, ყალიონს აბოლებდა და ცას შესცქეროდა, თავქვეშ ამოედო ერთი ხმარებისგან შუაზე გაწყვეტილი მუთაქა და ასევე ბატკნის ხუჭუჭა ტყავის ბოხოხიც. მოკლე, ჩახვეული, გორგალივით კაცი იყო, გულაღმა მწოლარეს ღაბაბი განზე გადმოქანებოდა. შესცქეროდა ცას და განა არ გაიგონა მანქანის ღმუილის ხმა? მაგრამ არ წამოდგა.

ჯიპი შორიახლოს გაჩერდა და იქიდან ორნი გადმოვიდნენ: ერთი ჭაღარა და ბეჭებგანიერი, მეორეც - ყმაწვილი.

- უყურე აემასა, მითამ დაყრუვდა, - თქვა ჭაღარამ და მოკლედ, გამყივანად დაუსტვინა, - ჰაი, ხეტიაუ, გახსენ კარი ოტელისა, ჰეუ... - და მიაყოლა და მიაყოლა მოკლე სტვენები.

ხალიჩაზე მონებივრემ ყალიონი განზე გადადო და კისრის სისქის გამო ირიბად ამოხედა მოსულებს.

- დათვი ხეზე როგორ გავა, იავ ნანინაო... - წაიბურდღუნა და ხვნეშით წამოჯდა. - აბა, ჰა... მარტიაი... მარტიაიც მოსულაა...

- ადე, ჰა, სალაპარაკოა, სუნგალის პატრონო, - უთხრა ჭაღარამ და კეფაზე ამხანაგურად წამოარტყა ხელი, - ბიჭო, ან გამოხვეტე ეს შენი ოტელი, ან ფანჯარა ჩაუსვი, ან პანსიონი მიეც. რასაი გეხარ, ერთი დაგანახა გვერდიდანა.

ხეტია მედუქნე გმინვითა და ოხვრით წამოდგა და წაიბურტყუნა: - ეგრე ნუღარ დამისტვენ, მარტი, თორე რო დამისტვენ, სოფელი მახსენდება და ჯავრისგან ვეღარას ვფიქრობ...

- უყურე ემასა... - ყმაწვილს მოხედა მარტიამ, - არ გასუქდე ესე. სუნგალი იმიტო კი არ გქვია კაცსა, რო სამსახურ გაათავებ, ემ პატარა ოტელს გაუხსნი ისევ შენ სუნგალებსა, იმათგან სარჩოს ვერ გამაიღებ და ეგდები ეგრე დასუქებული. მე შამხედე, ტოლები ვართ ჩვენა და ნახე, ტომარა დარჩა ესა...

ხეტიას სასტუმრო და ეს მშვენიერი ადგილი სასტუმროთა სიიდან ამოშალა ქალაქის ტურისტულმა საბჭომ, ვინაიდან მისმა წარგზავნილებმა ამ ძველსა და ტკბილ ადგილას, სადაც ჭეშმარიტი სუნგალი იდგა, ოტელის ვერც ერთი ნიშანი ვერ აღმოაჩინეს. „ხეტია ჰოტელი“ ისედაც საქალაქო ხაზს მიღმა, მდინარის იქით იდგა და აღარც პატრონი მიძალებია, პანსიონად გადააკეთა თავისი სამყოფი. აქ ედო ბინა ქალაქად ჩამოსულ ყოველ სუნგალელ ყმაწვილს, ჭაბუკსა თუ ჭარმაგს. გლეხები აქ დადგებოდნენ ხოლმე, როცა ბაზრისკენ მოზიდავდნენ თავიანთ ხილსა და სხვასა. ხეტიას ცოტა ჰყოფნიდა, ღამის გათევა ნახევარი ესპერანსული ფუნტი ღირდა, სუნგალური გლეხის ღვინო, ტილოში გამოკრული უშველებელი პურები და ყველი ყოველთვის ჰქონდა. იწვა ხალიჩაზე ამ თავისი სახლის წინ და ასცქეროდა ცას. რას ეძებდა იქა, ძნელი სათქმელი იყო, ვინაიდან მიწის კაცი გახლდათ, როგორც ყოველი ჩრდილოეთის კუნძულიდან მთავარ კუნძულზე მოსული ვინმე და ცაში მხოლოდ დროის მოსაკლავ საშუალებას თუ მოძებნიდა. ახალგაზრდობაში მათიანების ოჯახში ემსახურა: ჯერ ხელის ბიჭად, მერე მანქანის წამყვანად, მერე კიდევ უფროსი მათიანის მცველად და ბოლოს მოურავადაც, მერე მონაზოგით ეყიდა ეს ბაღი და იქ ჩამდგარი ძველი სახლი. ეს კი იყო, რომ ყოველი ასაკში შესული სუნგალი მერე თავის სოფელს მიუბრუნდებოდა ხოლმე, მაგრამ ხეტია არ მიბრუნებულა. კი გადასცურავდა ხოლმე პატარა წყალს მთავარსა და ჩრდილოეთის კუნძულებს შორის, მაგრამ იქ მაინც არ ჩერდებოდა, გაღმით მოვაწყვე სოფელიო.

ამნაირივე გზა გამოევლო მარტიასაც, ვისაც მათიანებთან არა და ვისრამიანებთან დაეწყო კალათების და ყუთების თრევა და ოცი წლის თავზე კონსტანტინე მესამე ვისრამიანის მოურავად და იმისი მცველებისა და სახლის უფროსად გამხდარიყო. ოღონდაც მარტია თავის წლოვანობას და ნამსახურობას მოთავებულად არ თვლიდა და რომც მიძალებოდა, ვისრამიანებიც არ გამოუშვებდნენ.

ხეტიამ ბევრი იცოდა ცხოვრებისა და საქმისა. ყოველივე სუნგალური მის წინ ხდებოდა. ხალიჩაზე მწოლიარეც კი შეიტყობდა ყველაფერს. მარტიამ ორჯერ მეტი იცოდა, მაგრამ ზოგჯერ ხეტიაც დასჭირდებოდა ხოლმე. ახლა ისევ ისხდნენ ხალიჩაზე და ხეტია უსმენდა, მერე თვითონაც უნდა ეამბნა.

- ბიჭებს დავუძახე და გავგზანე იქა. კაი ბიჭები დგანან. წესიერები არიან. ჩემებს ყველაფერს მოუყვენ. ოცი წელიწადია აემ ოჯახში ვარ, ხეტი, გამაგიჟეს, გამასულელეს. სუნგალი ვინ არი? სუნგალს თუ არ ენდვე, ის დაგინახავს, რო ფული სახელოში შემალე და იტყვის, ამისაც და ამის გამომქნელისაცაო, თქვენი მამინაცვალი ვიყოო და მერე გული აღარ მიუა. ეხლა უყურე: კონსტანტინე არი ოთხმოცი წლისა. მუჭში აქ ყველაფერი. ეს მაგის ორი ბიჭი მექაჩება, არა ჩემთან გადმო, არა ჩემთანო, მამაჩვენი ნელა გვაბარებს საქმესაო და შენც ჩვენსა უნა იყოო, შენნაირი კაცი ოჯახიდან არ გაიშვებაო. ეს ერთი ხო? ეხლა ამათი დაი ხო იცი, ვინც არის. კაია ხო იცი? ქალის პატრონობის არა მწამს. გაპატრონებულია. ჩუმ-ჩუმად ხან რა ფული მამცა, ხან რა... ვერ ვამბოფ უარსა, ცხოვრებაა ოხერი. თავის კაცად გახდილი ვყავარ და ეგ არი. უნდა, რო ყველა ამბავი იცოდეს, რასაც სუნგალის ფოსტა გამოდის. იცოდეს, ჯანი მისცეს. სიძე ხო თითონ მიუწიე. მაგის დაბმა აღარა გინდა? ვინ გამოდგა, ვეჟო. ქალის ამბავი ხო იცი, სალომეი ხო იცი... იმას რო ჯენოველთან ამბავი აქ. სალომეი გავს დედამისსა. სალომეი ყველას ჯობნის მანდა, ქალობით, კაი ქალობით, მარამ ღონე აქ დედამისისა. ბიჭი არი და გასულია, მთელი ღამეები თამაშობს.

- საქმე არაფერი დაგრჩენია, ამბის ქაღალდი ხარ? - უთხრა ხეტიამ, - ვიცი ეგ ამბები, ვიცი...

- რა იცი, კაცო, არაფერიც არ იცი. სადარდოებს რო მღერის ქალი, კესანეს რო ეტყვიან, იცი ის ქალი?

- სადარდოს არა ვსმენ... სხვისია, - ყალიონის პირი ცერით ჩახურა ხეტიამ და ბოლქვად გამოჰყარა კვამლის ქულები.

- მაქედან იწყება. მაქედან არი დასაწყები და ავალთ ბოლოში ქუხილას[5] მთაზე. ახლა უყურე: ბიჭი ხო წამოსულია ოჯახიდან და ამ კესანეს დაატარებს, მოდარდე ქალი ხო კლუბიდან როგორ გამოდის? სახეზე ჩადრი აქ ჩამოფარებული და ჩვენებს მიყავთ მანქანით. სანამ არ გასცილდება ალაგსა, არ მაიხდის, ძველი წესია...

- ოსმალოსია ეგა, ოსმალოსი. ქალსა მალავენ, მითამ იმის უნახავი იყო... - ამაზე გაბრაზდა ხეტია.

- მისმინე ხეტი, მისმინე. ეს ქალიც გამოსულა, კესანე ჰქვიან, კარქა ნადარდები გამოსულა და დამჯდარა მანქანაში. მიუყვანია ფიდოს სახლამდი. ფიდო ხო იცი? ჰო და წამოსულა. ერთიც გავარდეს და ქალი აღარ არი. მითამ არც ყოფილა. კაიას ბიჭი ხო დაუდის ამ ქალს უჩუმრათ? დილაზე მირეკავს კაია, სხვა რამეებს ამბობს, ამას - არა. კონსტანტინე მეძახის, ამის არაფერი. ის ქალი დაბალზეა, ესენი - მაღალზე, მერე რა, რო ბიჭი დაუდის? მეც ვიცი, რო ქალი აღარ არი. ბიჭები ამბობენ, ქალი აღარ არიო. და რო დაღამდა და კონსტანტინესთან ბოლო ლაპარაკი მაქ, ფონი ჯიბეში ზუზუნობს. გამოვედი, მივე უკან და ვინ არი... - ხო, ვინ არი... სალომეი, ეგ სამგლე ეგა... აი, უყურე, ბიჭო, უყურე ჭკვიან კაცსა, - ყმაწვილს მიხედა მარტიამ, - სალომეი ვისრამიანი. სალაპარაკოაო. დავჯექი, მოვქოქე წავედი. მეუბნება, მოდარდე გააქანესო. მეუბნება,

ბუნგალოზე ერთ ადგილს, იქა ყავთ ქართველებსო. ოთხნი არიანო. თავისი ქმრისგან გაიგონებდა, ან რა ვიცი. ქართველებია ეხლა აქა, ხო იცი, დარბიან რაღაცეებსა და რა გამოუათ? ქმარი არ არი გარეულიო, იმის სახელი მოიხმარესო, როგორც ქართველიო. უნდა გამაიყვანო ქალიო. ხო იცი, დედამისია და - ორი იმდენი. თვალებიც ხო იცი, მშლატე შვინდისა. ოღონდო, შვიდი დანა რო დაგარჭონ და მაინც გელაპარაკებოდენ, არ უნდა გამთქვაო, გადაგიხდი ათი ათას ფუნტსაო. მე უთხარი, შენახულების სახლში ვარ და თუ შენი ძმისთვის აკეთებ, გამკეთებელი ვარ-თქო. ჩემმა ძმამაც არ უნდა გაიგოსო. მაგათ ჩემი ძმა ჩვენნაირი გონიათო. მივე პეტროლი, წავიყვანე ესა და კიდე სამი, რათ მინდოდა მეტი. გადაველით, რამდენი ვიარეთ. დილა არ არი, არც რა უკლია. ჩუმები გაუკეთე საჭურველსა და აი, ეგრე შევლეწეთ. მიყრილები, იქა ყრიან, ათფუნტიან ბუნგალოში, ქალი აბანოში დაუბამთ, დახეული, დაჩხაპნილი. არ გავატარე, ეგრევე გავაშეშე და ვცემეთ ჯოხებით. ბავშვებია, წვერიც თან აქთ, თან არა აქთ, ფული-მეთქი, არა შე სამგლე და პირქვე დაყენებულო. თანაც ნიღბები გვაქს, ხან კონსტებელი ვგონივარ, ხანაც მაგათზე მაგარი. ერთი ვერ დავსვით და ხელისგულში მივე ცეცხლი, დაჯდა. გავკოჭე კოხტათ და ქალი წამოვიყვანე. ეს უბედური კიდე, თავსაფარი რამეო და უნდა, რო ჩამაიფაროს. კაი ქალი ყოფილა, ჩემმა მზემ. ისეთი საწყალი, რო არ გამითენდეს. სახეზე ხმლის ნიშანი მოსდევს. ჩამოვსვი პოლიციასთან და წამოველი უთქმელათ.

ხეტია ჩაფიქრდა. ულვაში ჩაიკვნიტა ტუჩის კიდეზე.

- აეხლა? - ჰკითხა ბოლოს. - აეხლა? აეხლა, სალომეი მიგზავნის ზუზუნსა. დავხედავ ფონსა, მითამ ადგილზეც არ ვიყო. კაია კიდე მეუბნება, ოჯახს რო საკეთებელი ჰქონოდა, თავად გეტყოდაო. მამაჩემს არ ვეტყვიო, მარამ დამბული ვყავარ.

- იმასაც გაუგია?

- რა დარჩებოდა იმის გაუგებელი. თუ არ გაიგო და მიხვდა. დაბორკილი ვყავარ, რო კონსტანტინეს არ უთხრას და ორგულათ არ გამომაცხადონ ამდენი წლის ნაწვალები კაცი.

- იცოდნეს, ჰა...

- ვინა, ბიჭო ხეტი, კაიამ რამე იცოდნეს? გადამიხვევს ხელზე. ჩამაბა თოკი და ეს არი. იცი რას გამაკეთებინებს და თან მუქთას? იმის ტალახებიდან მკვდარი ვიქნები და ვერ ამოვალ.

ხეტიამ კვლავ ჩაუკიდა თავის ყალიონს.

- ეხლა რა ვქნა? ეგების კონსტანტინეს დათხოვნა ვთხოვო და მოგიჯდე გვერდით აქა?
- ხეტიას აუტყდა სიცილი და მერე ხველა.

- კაია უნდა გავაჩეროთ, - დააყოლა სულის ამოთქმას. - ჯერ რა იქნება და გავაჩეროთ კაია.

- გააჩერებ ჭექასა და მეხსა?

- უნდა გავაჩეროთ, თორე წაგიხდენს საქმესა...

- ყველაფერ დავკარგავ, ხეტი. ნაგროვებს აღარ მამსცემენ, კაი მაქ ნაგროვები. ჩემი ძმიშვილია ესა, გზაზე ხო უნდა დადგეს?

- ვიცი, რო ძმიშვილია, - ყმაწვილს გადახედა ხეტიამ, - რა ჰქვიან იმ მოდარდესაო? კესანე? და პატარა ვისრამიანსა? დათვი, თუ რაო? ხო... ვიფიქროთ ესა, მე ხო იცი, ფონი არა მაქ. შემოუხვიე აქეთა და ვნახოთ, რას მოვიფიქრეფ... ფიქრია, ბიჭო, ტყუილა კი არ ვიყურები ცაში...

- მე კი მჯერა, რო ტყუილა არ იყურები.

ხეტიამ ყმაწვილს შეხედა და ვითომ მას უთხრა, ისე კი თავისთვისა თქვა, ოღონდაც მარტიას გასაგონად: - თუ დაგითვლია, რამდენი ვართ სუნგალი ქვეყანაზე და რამდენი რამე ვიცით? ბევრნი ვართ. ერთათ რო ვიყვეთ და სხვის კარზე არ ვებათ ქოფაკსავით, ჰეი! რაებს მოვახდენდით. ერთი კაცი ვართ და თან ბევრი...

მარტიამ ყმაწვილს წაჰკრა კისერში: - აგე, უსმინე ჭკვიან კაცსა და დაიხსომე.

- ემაგისთვის ჯერ ადრეა... - უთხრა ხეტიამ და ჯიპის კარი გამოუღო, - ბოლომდის მოგეყოლა, ჯობდა...

მარტიამ კი ხმადაბლა მიუგო: - ისედაც ხო მიხვდი? ცირკის ცხენსავით აეგრე დამატარებენ თოკჩამბულს, ხან იქით, ხან აქეთ.

- ბებერ ცხენსავით გინდა, იწვე და არ ითვლიდე ქერსა? - გაუცინა ხეტიამ.

დარდით სადარდოს მოდარდეობა ანუ კესანე

როცა ის იტყოდა სადარდო სიმღერებს, მარანას კლუბში ყოველ იქ მყოფ კაცს გამოეხსნებოდა თავისი დაფარული გულისთქმა. ეს გულისთქმა რომ შეეტყოთ ამ კაცთა ცოლებს, საყვარლებს, თუ ერთი ღამის შემხვედრებს, მიხვდებოდნენ, რაოდენ არავინ გახლავან. ისინი აღმოაჩენდნენ, რომ კაცს ხანდახან მაინც შეუძლია იპოვოს კარი, რომლის იქეთაც სულ სხვანაირი გულისთქმანი და სურვილები მოეჯარება და ამ სურვილებს გააჩენს უცნაური გრძნობა ნეტარებისა, ტკივილისა, თუ სურვილისა, თუ კიდევ რისა, აბა ვინ დათვლის? მარანას კლუბის ყავრით გაწყობილ, მიბნელებულ ჭერს ქვეშ, სადაც ერთმანეთს შერევია გულისთქმა და კვამლი, კაცს ვერასოდეს შემოჰყვება სახე ნაცნობი, ერთ დროს საყვარელი, ან თუნდაც ახლა საყვარელი, ან ნაოცნებარი ქალისა. მას კარიდან გამოაგდებენ, ის ვერ გადასწევს შავ, თხელ ფარდებს, დარბაზის ექვს ზღურბლზე რომ ჩამოუფარებიათ. სხვა ქალები აქ უძლურნი, გახუნებულნი, ჩვეულებრივნი არიან და სწორედ იმ შავ ფარდებს იქეთ რჩებიან. თუკი რომელიმემ მაინც მოახერხა და შემოიპარა, სულ მალე, მამლის დაყივლებამდე ბევრად ადრე, მათ იქედან გააცილებს ხმა ზღვის ტალღებისა და გულისთქმას გამოუხსნის საშიშარ ალაყაფს შეუცნობელ და სასურველ კარისას. თავიდან თითქოს გოლიათი ასვენია და დასტირის ცოლიო. თავიდან თითქოს გლოვა არის და იმგვარი, რომ ვაჟკაციც ისე გაირჯება, თითქოს ძმობილის სატირლად მისულიყოსო: ჩახრის თავს და ჩასქერის ჭიქა ღვინოს, წინ რომ უდგას მაგიდაზე და მაინც რომ ხედავს, იმ ორი მაშხალით შენათებულ ადგილას, თითქოს რცხვენია, რომ თვითონ ცოცხალია ამ დროს, და არის, ასე, რომ თვალი ვერ გამოაჩინოს და წაიღებს ფიქრი. დაეძალება,

გამოსცლის იმ ჭიქასაც და მეორესაც, რითაც კლიტეებს გამოუღებს გულს დაგროვილ შავ ხელსაწყოებს, ოღონდაც თვითონ ჰგონია, რომ ბოღმასა და ჯავრს გამოუღო კლიტენი, რათა ცრემლათ მაინც გამოეშვა გარეთ, სინამდვილეში კი ის ნელ-ნელა უხსნის კარს გულისთქმასა: თუმც, ჯერ კი არ იცის, რომ ასე იქნება, ვინაიდან, თავჩაქინდრულს, მდუმარე და მგლოვიარე კაცს წაიღებს ფიქრი, და ქარი ფიქრისა, ნიავქარი კი იმგვარია, რომ იმან არ იცის ჯავრის, ტკივილისა და იმედის საზღვრები და ვინაიდან ფიქრს ქათმის სიბრმავე სჭირს და სიბნელეში ხელს ვერ აცეცებს, რადგან ქათამს არა აქვს ხელები, თანდათანობით, ეს ფიქრთა დამტარებელი მიიყვანს იმგვარ ადგილას, სადაც არც კი გაუგიათ, რომ აღსრულებულა ვაჟკაცი იგი გოლიათი, ძმობილი ერთგული. იმ ახალ ადგილას თითქოს სევდაც სუფევს და კმაყოფილებაც, თითქოს ჩალის საწოლები დაუფენიათ და მზეც სულ არ არის ბრაზიანი და დამღლელი. ეს აშკარაა: იქ მოლოდინია რაღაცისა. ამიტომ სევდა, თუკი არის, ერთ პატარა კუთხეში მიმჯდარა და თვალმილულული აბოლებს თავის საბოლებელს, მთელის იერით წარმოგიჩენს, მე აქა ვარო და სადმე წასვლას არ ვაპირებო, მოვა ნიშანი და გამოვალ შუა ოთახშიო. რახან მოლოდინია და ღელვაც არის, სიფხიზლეა და ახლაღა გაიგებს ის ჭიქას ჩაშტერებული მსმენელი კაცი, მარანას კლუბში რომ შემოსულა ამაღამ, რომ უკვე სხვა ხმები მოისმის. ეს სხვა ხმაა: არის წკრიალა და თითქოს ისეთი, წყლის წვეთები რომ ეცემა ვერცხლს, ამას კი მოსდევს ხმა ზღვისა და კაცი აღარ ჩასცქერის ჭიქას, ის ძებნას იწყებს, დაეძებს ამ ხალისიანი ხმების გამომცემს, წინ კი არავინაა, ორი მაშხალა კუთხეებში და თითქოს ქალი, რომელიც არა ჩანს. თითქოს რაღაც დაილანდება, მაგრამ არა ჩანს და ხმა კი იქედან მოდის. აქამდე დარდით ჩაფიქრებული, ახლა მძებნელის ქალამანს ირგებს თვალებზე და ფიქრობს, ნეტავ სადმე კიდევ გადაატაროს ნიავქარმა, ფიქრის დამტარებელმა, ფიქრობს, ერთი მთა გადავიარეთ, ასე გადავიფრინეთ და იმ მთასაც გადავივლითო. თითქოს ნაბიჯია და ამ დროს მიჰქროლავ წინ და ხედავ, როგორ დაბლა დარჩა ის სასაცილოები, მიჰქროლავ და ამასობაში კი თანდათან ამოიცნობ მოხაზულობას ქალის იერისას, რომელიც არის იქა და არც არის, მაგრამ არის, ვინაიდან ხმა გამოისმის და ეგებ არც არის მოხაზულობა ამ ქალის იერისა ამგვარი და შეცდომით წამოჰყვა განცდის ფანქარი ასე? ეგებ სულ სხვა გზით უნდა გვეტარებინა და ახლა კი ისეა საქმე, რომ თითქოსდა ცხრამთაგადაქროლილს და მოლოდინისგან ანთებულს ვერ შეუტყვია, რომ გულისთქმის კარი უფრო ფართოდ მოღებულია და მისდევს ქალს, რომელიც არ დაუნახავს, ზღაპრად კი გაუგონია, რომ ქალი იქაა, ის იდუმალი ქალი, რომელსაც შეუძლია ქსოვოს ხალიჩა ზღვის ფსკერზე გასაფენი და ვის არ სწყურია ფეხი დადგას ამ ხალიჩაზე და შეიგრძნოს სირბილე ფსკერისა, რომელიც ეგებ ცაც იყოს. ასე გაიგებს, რომ ქალს დაეძებს, ოღონდ არც ერთი მისგან ნანახი ქალი ეს არ იქნება, იმიტომ რომ, ამ ქალებისა ახსოვს ყველაფერი და ამიტომ არაფერი ახსოვს, იმ ქალისა კი, რომელიც უხმობს, არაფერი ახსოვს და ამიტომ, ყველაფერს ხედავს. ქალი ეძახის და გულისთქმაც მისი ხილვისა უკვე სულ ახლოა, გამოღებულია კარი გულისთქმისა და ფიქრის ქარები, ტალღათაგან ქარაშოტებად ქცეულან. აი, როგორია ხმა ქალისა, რომელიც არ ჩანს და რომელსაც ვერაფერი მოუსინჯე, რადგან არა გაქვს ხელები და მხოლოდ ცდილობ დაბრმავებული, რომ არ გაუშვა, არ გაუშვა ხმა მისი საოცარი, თითქო სწრაფი და ცხელი, გმინვა ზღვის შუიდან ამომავალი, როგორც კვნესა შენარცხებული აი, ამ ჩვენს კლდეებს, თითქოს სუნთქვაა, ჩქარი და საშენო, სწორედ აქ, შენს ყურთან და თითქოს მათრახის ტყლაშუნი მზიან ამინდში და თითქოს ყვავილი, მარტოდ რომ ირწევა მინდორზე ქარიან დღეს, ახლოს და შორს, ახლოს და შორს, ახლოს და ახლოს, ახლოს, შორს, შორს და კიდევ შორს და ისევ ახლოს, ძალიან

ახლოს. თითქოს იმ ფანქარმა, ქალის ხმას რომ უხატავდა საზღვრებს, თმის სიგრძეებსა და თვალის ფახულებს, თეძოების მოსახვევებს, როგორც უცნაურ რამ გზებს, სხვა დროს რომ ზედ დასრიალებენ კაცის ხელები, უდაბნოს გაუმაძღარი ურჩხულები, ახლა კი ვერავინ და ვერაფერი პოულობს, თითქოს იმ ფანქარმა ყველაფერი იპოვა, ყველა საზღვარი შემოღობა და სწორედ ახლა, საბოლოოდ გამოჩნდა გულისთქმაც, რომელიც, თურმე ქალი ყოფილა, ბალახი და ღვინო ყოფილა, ერთი ნაგლეჯი ბალახისა და ერთი ყლუპი ამ ღვინისა და ასე ახლოს, ასე უცხო და ასე დანახული არავინ, არასდროს არ ყოფილა კაცთან, რომელსაც სხვისი ყველაფერი ახსოვს და არ ახსოვს არაფერი იმიტომ, რომ საიდანღაც, გაუგებარი ადგილიდან ამოძვრა, ამოცურა, ნაპირის ქვას დაებღაუჭა გულისთქმა იმისა, რომ უცხო ქალის სურვილი ჰკლავს ყოველ კაცს დედამიწის ზურგზე და დაეძებს ამ უცხო ქალს ყოველდღე და ყოველწამიერად. ეგებ ეს უბრალო გულისთქმა იყო, სულ უბრალო, როგორც ვარდის ფურცელი ხელისგულზე და წვიმა, სახურავებზე რომ აკაკუნებს, როგორც ყარიბი სამუდამოდ დაკეტილ კარზე, ოდესღაც მისი სახლისა რომ იყო, მაგრამ ასე ხდებოდა მარანაში და ამას არავინ ამხელდა. ყველა ამისთვის მიდიოდა, თუმც ლაპარაკით სხვა განცდათა გამო ლაპარაკობდა, რადგან გულისთქმას არ გამოხვალ თვით ყველაზე კარგ მეგობართა შორის, მაშინაც კი, როცა სწორედ იმდენი ბოთლი გამოგიცლია, რამდენიც სჭირდება საგულედან ამბების დაძვრას. იქ ბევრი ამბავია, ძალიან ბევრი ამბავია საგულეში, მაგრამ გულისთქმა ერთია და მას არ დაძრავს კაცი, არაფრით დაძრავს. ეგებ ცდებოდეს დამნახავი ამისა, სამსონ, თუ ელია, მაგრამ კესანე მოდარდეს შეეძლო ეს მარანას კლუბში. მას გრძელი, თეთრმაქმანიანი შავი პირბადე ჰქონდა, რომელსაც სცენაზე გასვლის წინ ფარდის კუთხეში დებდა პატარა მაგიდაზე და მერე, მამლის მეორე ყივილისას, როცა დარბაზიდან გავიდოდა ფეხაკრეფით, როცა სადარდო უკვე ნადარდი ჰქონდა თავისი უბზარავი ხმით, წამსვე წამოიფარებდა ხოლმე პირბადეს, რადგან ძველი წესია, არავინ დაინახოს მოდარდე კლუბში, ან მის გარეთ, ხოლო სამშვიდობოს გასულმა იაროს, როგორც უნდა.

მამალი კი ნამდვილი იყო, მარანაში იცოდნენ ამგვარი რამეები: საათს შემოსასვლელში სტოვებდი დიდ ყუთში და ღამის დროებას მამლის ყივილი გამცნობდა.

ხოლო თვით ქალი ბევრს არავის უნახავს. სხვა კლუბებში სხვები დარდობდნენ, მოდარდეობდნენ, მარანაში კი მთელს წელიწადს უნდა ემღერა კესანეს, რომელსაც კესანეც არ ერქვა, იმიტომ, რომ მოგონილ სახელებს წერდნენ ხოლმე აფიშებზე და ბილეთებში, და საგაისოდ რომ სხვაგან ემღერა ამავე ქალს, ეგებ სახელიც გამოეცვალა.

ის არ არსებობდა.

მხოლოდ ის იპოვნა ერთმა თმაშეთხელებულმა ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც დათა ვისრამიანი ერქვა.

კესანე უქმრო გამოდგა, უბედური, ნავსადგურში ნაწვალები კაცისგან და მზისგან, წარბიდან ტუჩამდე მოსდევდა ერთი წვრილი, უცნაურად ჩამოსმული ნაიარევი, რომელსაც ის ექცია მოდარდე მომღერლად და მთლად უბედურ, სამალავ ქალად. ნაიარევმა მას შესაძლო სამეძავო ლუკმა-პური წაართვა.

როცა კესანე მეორედ მოიტაცეს, ერთ კარგად განათებულ ოთახში დასვეს. ორი კაცი ედგა აქეთ-იქით, კესანე კი იატაკს ჩასცქეროდა. იცნობდა იმ ჭაღარა კაცს, რომელმაც

მანქანაში ჩაჯდომა უბრძანა. პირველად რომ მოიტაცეს, სწორედ იმ კაცმა გამოიხსნა. კესანეს ვერავინ ხედავდა მარანას ჩაბინდულ დარბაზიდან, კესანე კი ყველას ხედავდა, როცა მღეროდა. ამ კაცმა იცოდა მისი ნამდვილი სახელი და გვარი, ასეთ კაცებს არაფრად უღირთ ასეთი რამეების შეტყობა, მაგრამ ერთხელაც არ წამოსძახა. ერთ საათში დაგაბრუნებო, უთხრა კესანეს და პირბადეც მხოლოდ წამით ახადა, რათა არ შეშლოდა. ოთახში ესვათ და, იატაკს რომ დასცქეროდა, დაინახა, როგორ გაიღო შორეულ კუთხეში კარი.

იმ კარში ქალბატონი გამოჩნდა, ძალიან მდიდარი ქალბატონი უნდა ყოფილიყო ყველა ანგარიშით, მაგრამ არცთუ უგემოვნო და უბრალოდ ღორი.

ჭაღარა კაცმა პირბადე გადახადა კესანეს და წასჩურჩულა: - თავი აწი...

კესანემაც ასწია, ოღონდ შეეცადა ამ ქალისთვის არც შეეხედა.

ნუ იმალები, ქალო, - ასე უთხრა ქალბატონმა ოდნავ ხრინწიანი ხმით, - კაცი კი არა ვარ... - მერე ოთახში შემოაბიჯა და თავს წამოადგა კესანეს. თითი ნაზად ამოსდო ნიკაპზე და ჩასცქეროდა თვალებში დიდხანს, მგონი მთელ ერთ წუთს. თხელი, სიფრიფანა, მთლად მკრთალი ნაოჭები ჰქონდა დიდი თვალების კიდეებზე, თვალები კი როგორც შინდები, მწიფე შინდები, მაინც რომ კბილს წაგკვეთს. კესანე მიხვდა, სადაც მოიყვანეს, ქალმა კი თქვა: - კაი ნაწვალები გოგოა, ჩემსავით... იმ უბედურს სხვა საიდან მოეწონებოდა. სად დაგინახა?

მან რომ ლაპარაკი დაიწყო, ჭაღარა კაცი ორ მხლებელს ოთახიდან გაუძღვა.

დათა ვისრამიანი ვისრამიანი იყო, რომელიც ბანქოს თამაშობდა. ამ ბანქოს ინტი ერქვა. ამ ბანქომ მისთვის გამოცვალა ცნებები - ოჯახი, ერთობა, სიმდიდრე და კეთილდღეობა და ვინც ინტს თამაშობს, იმას არ უყვარს სადარდოების სმენა, ვინაიდან ვინც ინტს თამაშობს, იმას შეუძლია გითხრას, ექვსის ნახევარზე რამდენი უცხოელი იჯდება „რუჯეროს“ კაფეში და „ლიგურიაში“ რამდენი ფუნტი რჩებათ სუფთა მოგება შაბათ საღამოს. ინტის მოთამაშეს შეუძლია გითხრას, როგორი ამინდი იქნება ზეგ და ყოველთვის ზუსტად გამოიცნოს რომელი საათია. ინტის მოთამაშეს არ სჭირდება ადამიანთან შეხვედრა მისი რაობის ამოსაცნობად, მას შეხედვაც ჰყოფნის. ინტის მოთამაშეს ამბის მოთხრობაც არ სჭირდება, ის ნახევარ გზაზე ხვდება ყველაფერს. როცა ტელეფონი რეკავს, მან იცის, ვინ რეკავს და ყოველივე ამას ის არ ითვლის და არ ანგარიშობს. ის უბრალოდ ხვდება, ვინაიდან ცხოვრებისეული სურათები მისთვის უბრალო, დიდი ხნის წინათ ამოხსნილი ამოცანებია.

ამიტომ ინტის მოთამაშე და თან ვისრამიანი, ძნელად რომ ისე გაუტყდეს გრძნობებს, რომ მოძებნოს მოდარდე ქალი, რითაც საქვეყნო კანონი დაარღვიოს და ეს ამბავი იმგვარად საქვეყნო შეიქნეს, რომ ვიღაც ცხვირმოუხოცავებმა ქალი მოიტაცონ, ინტის მოთამაშემ კი ეს ქალი ვინ იცის, რა ხერხით დაიბრუნოს.

კაიამ ჯერ მართლა არ იცოდა, რომ ეს მომღერალი ქალი მისმა სხვა შვილმა გამოიხსნა მისივე ერთგული კაცის დახმარებით და ამიტომაც უკვირდა.

სხვა მხრივ კი ვისრამიანი და ბანქოს თამაში ისევე შორ-შორს იყო ერთმანეთისგან, როგორც ბანქოს მოთამაშე სადარდოთა სმენისგან.

კესანეს რომ ელაპარაკა კაია ვისრამიანი, ზედა სართულის სამზარეულოსკენ წავიდა, სადაც ღამღამობით იჯდა ხოლმე მისი ქმარი ბუ და ტელევიზორს უყურებდა კალთაში გადაშლილი წიგნით.

ბუს ძალიან უყვარდა ტელევიზორი და უშველებელი სატელიტური ანტენაც ჰქონდა, რომელსაც კაია მთვარეს ეძახდა. დიდი ხანი იყო, რაც ბუ გამთენიისას იძინებდა ხოლმე, რადგან ცალი თვალით ტელევიზორის ცქერას და ცალი თვალით სრულიად უცნაური წიგნების კითხვას რომ მორჩებოდა, ლოგინად მისული რადიოს უსმენდა.

- ჰეი, ბუ... - თქვა კაიამ - ჰეი, ბუ. ბუუუ... ეს ქალი... ეს ქალი ყველაფერზე ხელს მოაწერს. ხედავ, რას აკეთებს შენი შვილი? ეს ქალი ყველაფერზე წამსვლელია. უკვე ვიცი, ეს ქალი რას იზამს. ამ ქალმა არაფერი იცის. მე ვიცი. უკვე მშვიდად ვარ, გესმის, ბუ? ყველაფერს მივხვდი. დათა ვისრამიანი შენ გგავს, ოღონდ თამაში უყვარს. გვეთამაშება, გესმის, შენ? დათა ვისრამიანი დედას და მამას ეთამაშება...

- მე არ მეთამაშება, - თქვა ბუმ.

კაიამ ერთი გამოხედა და ჩაილაპარაკა: - შენ ვინ უნდა გეთამაშოს? - მან გადაწყვიტა, რომ თამაში მისი მოგონილია.

ოდესღაც, ერთ რომელსამე ქალაქში, ანუ სალომეა

„დღეს სანდრო და კოსტამ ორი ყურძნის მტევანი გადმომიგდო ღობის იქედან. მომაწოდა კი არა, ჩამომაწოდა, იმიტომ რომ ღობე მაღალია და იქედან რომ გადმოეგდო, მე ვერ დავიჭერდი. დაიჭყლიტებოდა. მერე სანდრო და კოსტამ მაღლა ამახედა და თვითმფინავი დამანახა. თვითმფრინავები ყოველთვის დაფრინავენ, მაგრამ სანდრო და კოსტამ სხვანაირად დამანახა, თვითმფინავი ერთ მხარეს მიფრინავდა და თეთრ კვალს ტოვებდა, მეორე მხარეს კი გვრიტი მიფრინავდა. უფრო დაბლა, მაგრამ ვითომ ერთი ადგილიდან მოფრინავდნენ სხვადასხვა მხრისკენ. ნაცრისფერი გვრიტი იყო, დიდი. სანდრო და კოსტამ მითხრა, რომ თვითმფრინავი კვალს ტოვებს, მაგრამ სინამდვილეში ეს კვალი არ არის, უბრალოდ ასე ვხედავთ შორიდან ჰაერს. მათ რაღაც სხვა საგნებს ასწავლიან, ჩვენ ჯერ არ გვისწავლია ჰაერის ამბები. მერე მან მითხრა, რომ გვრიტები სულელი ფრინველები არიან და მხოლოდ იმგვარი შემთხვევითი ამბებისთვის თუ გამოდგებიან, როგორიც ახლა მოხდა. მე საერთოდ არ ვფიქრობ გვრიტებზე. ამის შემდეგ სანდრო და კოსტამ გადაწყვიტა, ღობიდან ჩვენი სკოლის ეზოში გადმომხტარიყო, რადგან თქვა: უხერხულია გოგოსთან ზემოდან ლაპარაკიო, რაზეც მე სასტიკად შევეწინააღმდეგე. არ შეიძლება კათოლიკური სკოლის ბიჭების გადმოხტომა ბლედლოუს ეზოში და გოგონათა სკოლის მოწაფეებთან გაკვეთილების დროს საუბრის გაბმა. ამაზე მან მკითხა, რატომ ვაცდენ გაკვეთილს და ხეების ძირას ვიმალები, მაშინ როცა ჩემი ჯგუფელები სწავლობენ. მეც შემეძლო იგივე მეკითხა და ასეც ვუთხარი და სანდრო და კოსტამ უდარდელად მიპასუხა, მომეწყინა და იმიტომო. მეც მინდოდა, რომ ასევე მეპასუხა, მაგრამ თავი შევიკავე. მერე სანდრო და კოსტა ღობეზე ისე ჩამოჯდა, რომ ფეხები გადმოყო და მიყურებდა, სანამ ყურძენს ვჭამდი. ეს არ მესიამოვნა და ვკითხე, როდის წახვალ აქედან-მეთქი. სანამ შენ არ წახვალ, მეც არ წავალ, გოგოს მიტოვება

უზრდელობაარ. მერე ერთი მტევანი ყურძენი უკან ავუგდე, რადგან ვიფიქრე, რომ მასაც უნდოდა ყურძნის შეჭმა. თავპატიჟი არ გამოუდია, შეექცა თავის ნაჩუქარს და მერეღა მითხრა, რომ ეს ორი მტევანი დილით მოუპარავს ვია პორტა ნოვაზე, ქუჩის დახლიდან. ძალიან მრცხვენია, რომ მოპარული ვჭამე. ამის მიუხედავად მიმაჩნია, რომ სანდრო და კოსტა საინტერესო ბიჭია. როდესაც ბიჭების სკოლების შეჯიბრებები დაიწყება და ბლედლოუს გოგოებს სტადიონზე წაგვიყვანენ, მე სანდრო და კოსტას გავამხნევებ. ადრე ასე არ ვიქცეოდი.“ - ეს იყო საბედისწერო ჩანაწერი, ბლედლოუს ქალთა კერძო სკოლის ცამეტი წლის მოსწავლის, სალომეა ვისრამიანის პირად, საიდუმლო, სტივ მაკკუინისა და ალენ დელონის ფოტოებით და ნაირგვარი სულელური ნახატებით გაწყობილ დღიურში, რომელიც დედამისმა, კაია ვისრამიანმა, აღმოაჩინა.

დღიურს, რომელიც დიდად წესრიგიანი არ იყო და არც თარიღთა მკაცრი მიდევნებით შეედგინა ავტორს, მშობელი არ უნდა შეეშფოთებინა, რადგან იქ ძალიან ბევრი რამ ეწერა მასწავლებელთა, მოსწავლეთა და ზოგადად კაცობრიობის შესახებ.

ამ სქელი რვეულის ყდა გამცნობდათ: სალომეა, მესამე წლის მოწაფე, პეპლების ჯგუფიდან, სრულიად საიდუმლოდ. სწორედ ამ წარწერის ქვეშ იყო სტივ მაკკუინის პატარა ფოტო, მეზღვაურის ქუდითა და ვითომდა გაოცებული კაცის ღიმილით.

და კაია ვისრამიანსაც ეღიმებოდა, როცა შვილის ნაწერებს ფურცლავდა და თავის ბავშვობას იხსენებდა, მაგრამ ჩანაწერმა დააფიქრა. დღიური ძველ ადგილას დადო და დაუდარაჯდა, კიდევ როდის გამოჩნდებოდა ამ კომშისფერ ფურცლებზე განთქმული ჯენოვური ოჯახის შვილი, რომელსაც კაი გვარიანი თავქარიანობა ეტყობოდა.

ასე რომ, საიდუმლო თავიდანვე არ იყო საიდუმლო.

ვისრამიანი ვერ შეირთავდა და ვერ გაყვებოდა ჯენოველს. ასე მოდიოდა ძველთაგან და, საერთოდ, ვისრამიანებს და და კოსტებს ერთმანეთის მეგობრებს ვერ დაუძახებდი. იქ, სადაც ოდესღაც ვერ დასახლდნენ ვისრამიანები, დასახლდნენ და კოსტანი. ეს გრძელი ამბავი იყო: შუაში არ მოედინებოდა სისხლის მდინარე, მაგრამ ერთი დიდი ყინულოვანი კლდე კი ამართულიყო და ვინღაა ის, ვინც ცამეტი წლის გოგოს ნაწვალებ დღის აღწერილობაში სამომავლო საშიშროებას ხედავს? - ვისრამიანი. ის არის ვისრამიანი, მეტი არავინ. მაგრამ საკვირველიც ეს არის, რომ ვისრამიანებს სწორად ეშინოდათ და კაიაც სწორად დაუდარაჯდა სანდრო და კოსტას გამოჩენას.

მას არ დაუნახავს პირველად როდის აკოცეს ერთმანეთს სალომეამ და სანდრო და კოსტამ, მაგრამ დაინახა, როდის აკოცეს მეორედ. ხოლო მეორე, მემილიონეც შეიძლება იყოს.

ეს იყო ოცი წლის წინათ, ანუ იმ პირველი ჩანაწერიდან ოთხი წლის თავზე: კაია მამამისის მაშინდელი მოურავის, თანდილას კრაისლერში იჯდა. საგანგებოდ გამოართვა ეს გრძელი და ფრთებაშვერილი ცისფერი დინოზავრი თანდილას და იქ წავიდა, სადაც განსჯამ წაიყვანა. მარტო წავიდა, თუმცა, შეეძლო, რომელიმე ბიჭი გაეგზავნა და მისი მოტანილი ამბები ესმინა, მაგრამ არ უნდოდა რომელიმე ბიჭისგან ესმინა ის, რაც თავად უნდა ენახა. იჯდა მანქანაში შაბათის გრძელი ქუჩის ერთ ადგილას და ელოდებოდა, როდის გამოვიდოდნენ კინოდან. წვიმდა და ხალხი

კაფეებს შეფარებოდა. უყურებდა საათს და კინოს ალაყაფს, მერე დიდ აფიშას, რომელზეც ბრუკ შილდსი და ვიღაც პირშებურვილი ბედუინები ეხატნენ. მერე ისევ გამოსასვლელ კარს უყურებდა და ბოლოს და ბოლოს, სეანსიც დამთავრდა. შუადღე იყო. ყველამ იცის, რატომ დადიან ამ დროს კინოში ღინღლიანი ბიჭები და მკერდდატყობილი გოგოები, ან სულაც ჩვეულებრივი ბიჭები და ჩვეულებრივი გოგოები. დარბაზებში სიხალვათეა, ვიღაც ბაბუას მესამე რიგში სძინავს, ვიღაცეები კი თქვენსავით კოცნიან ერთმანეთს ბნელი და არც ისე ბნელი კადრების დროს. კინოს ჰაერი ხომ სხვანაირია, იქ რომ კოცნი ვიღაცას, სამუდამოდ გამახსოვრდება.

ისინი გამოვიდნენ და სიცილ-სიცილით ჩაუყვნენ ქუჩას: იქით, სადაც სთეითის უბანი იყო.

კაიამ მანქანა მოატრიალა და გაჰყვა. ვერც გაჰყვა, წამოეწია და გააჩერა. ხალისიანად კი მიდიოდნენ, მაგრამ მაინც ნელა.

კუთხეში შუქნიშანთან ერთმანეთს ეთხოვებოდნენ, თითქოს თამაშობდნენ, ღლაბუცობდნენ, თუ რაღაც ასეთი, დიდხანს არ უშვებდნენ ერთმანეთს ხელებს. ერთმანეთს ექაჩებოდნენ თავთავიანთი გზებისკენ, მაგრამ უცებ მიეკვროდნენ ერთიმეორეს, მიეხუტებოდნენ, იცინოდნენ. სალომეა ვითომ ცდილობდა, რომ მორეოდა იმ ბიჭს და ცხადია, ვერ ერეოდა, მერე კი, პირდაპირ გადასასვლელზე ირწეოდნენ ჩახუტებულნი და კაია ვისრამიანმა დაინახა, როგორ გემრიელად კოცნიდა მისი შვილი იმ ჯენოველების ხუჭუჭა და გამხდარ, ძალიან ფართოშარვლიან შთამომავალს.

სალომეამ გადასასვლელზე გადაირბინა და ბიჭს ხელი დაუქნია, ის კი მაინც იქ იდგა და ელოდა, როდის ჩაუხვევდა გოგო.

იმ საღამოს ომი დაიწყო.

რა თქმა უნდა, ჯერ ჩუმად, დაზვერვითა და ვითარების შესწავლით, მოულოდნელი აკრძალვებითა და გადაწყვეტილებებით: არდადეგები სამხრეთის კუნძულზე, ფერმაში - ქალისთვის საჭიროა სოფლის ცოდნა. კინოში არ წახვალ, იმიტომ რომ, ძალიან ხშირად დადიხარ. საჭირო არ არის გოგოს სახლიდან გასვლა შვიდი საათის შემდეგ. სხვა რამ ათასი გაქვს სასწავლი დისკოტეკებში ხეტიალის გარდა. ოქსფორდში უნდა წახვიდე და იქ ისწავლო, მერე კი ვნახავთ.

- ოქსფორდში მიშვებთ და კაფეში არ მიშვებთ? - სალომეა ვისრამიანი უსწავლელი დარჩა, ოქსფორდში ისედაც არ გაუშვებდნენ. ხომ არ გააგდებ შვილს სასწავლებლად, თანაც, ჯენოველებს უფრო ბოლონიისკენ მიუწევდათ ხოლმე გული, მაგრამ იმ ბიჭმა რომ ფეხი დაჰკრას და ოქსფორდს წავიდეს?

ბაბუამ, კონსტანტინე ვისრამიანმა, ქართველი სასიძოს ძებნა დაიწყო. ეს ისეთი ძნელი იყო იმ დროში, რომ წლები დასჭირდებოდა. სალომეა როგორმე უნდა ჩაეყვანათ თბილისში, ვითარცა ბრიტანელი ტურისტი და იქ, უშიშროებასთან ფარული ბრძოლით, ვინმე კაი ბიჭი უნდა მოეძებნათ, რომელსაც არ შეეშინდებოდა და, რაც მთავარია, გოგოს ოდნავ მაინც მოიწონებდა.

კარგი გოგო იყო, უცხო თვალითაც, ოღონდ კი დიდ ვისრამიანს მაინც მოერიდა, საბედო ტურიზმი არ გასწია.

სალომეა ათი წლის თავზე გათხოვდა. მაინც და ბოლოს. შვილი კი გათხოვებიდან ხუთი წლის თავზე მიეცა. დაიღალა და მიეცა.

ქუჩაში მარტოდ ვერგამოსული ანუ დათა

გვიან იღვიძებდა ხოლმე. გამოიღვიძებდა და ერთხანს თვალების ფშვნეტით იყურებოდა ფანჯრიდან, ხეირის უბნის ამ ძველ, მოყაყანე ქუჩას გადასცქეროდა. ასე ფხიზლდებოდა ხოლმე. როცა შინ ბრუნდებოდა, ქუჩა ყოველთვის წყნარი იყო, რადგან დილის ხუთ საათზე აღარავის აქვს ყაყანის თავი. შვიდიდან კი ხმაური იწყებოდა, მაგრამ დათა არასოდეს იძინებდა ღია ფანჯარასთან, ფანჯარას გაღვიძების შემდეგ გამოაღებდა ხოლმე.

ტელეფონის ავტომოპასუხეს თვეობით არ დაჰკრავდა ხოლმე თითს და ამიტომ მისი მოძებნა ყოველთვის ძნელი იყო.

ვისაც მართლა სჭირდებოდა, იმან იცოდა, სადაც ეძებნა.

ზარი სადარბაზო კარს ეყენა, ჰოდა, იმ დილით ზარმა გამოაღვიძა. არც ადგებოდა, მაგრამ რაღაცნაირად გამოეღვიძა, შეატყო, ვეღარ დავიძინებო. მორიდებული ზარი იყო, მაგრამ ისეთი, რომ აღარ მთავრდება. კაცი შეიცდის, მერე ისევ დააწვება, მერე ისევ შეიცდის და ასე.

დათამ ფანჯარა გამოაღო და გადაიხედა. სადარბაზოს კართან ბაბუამისის მოურავი მარტია და ორი მისიანი იდგნენ.

- ჰეი, მოურავო... - ჩასძახა დათამ, - მძინავს...

მარტიამ მობილური ამოიღო ჯიბიდან და დაანახა.

- რა მოხდა?

- პაპას ლაპარაკი უნდა, - დაუძახა მარტიამ.

- ამო, - გაუკვირდა დათას და შარვალს გადასწვდა.

მარტია ამოქანდა და ბოდიშებით დაიწყო: - ფონი არა აქვსო და მომინახეო, - თანაც ღილაკს დააწვა, - აჰა, მე კარში მოვიცდი...

- თუ ძმა ხარ, მარტი, დაჯე ერთი. აგე, ყავას მიაჭირე ხელი...

- ჩვენა და ყავა? - გაუცინა მარტიამ.

- კოსტუმები კი მოირგეთ და... ხო, პაპა, მე ვარ. დათა ვარ... გისმენ, პაპა. კარგათ ვარ, ვცხოვრობ, რა ვიცი... კარგი რა, პაპა... მე შენ რაში უნდა დაგჭირდე... კარგი რა, პაპა... ეგეთი გამოვედი და ჰა, მომკალი ეხლა... არ გამოსულან ეგეთები შენახულებში?... ხო და მაგას გეუბნები... არა, ჩემი საწყენი რა უნდა გეთქვა... კარგი, პაპა, კარგი... როცა მოგინდება, პაპა. მოვალ, აბა, რას ვიზამ? არა, კაცო, რა გამაღვიძე... ვიცი, ვიცი, რო პაპაშენს ვგავარ... როგორ არ ვიცი... ხე-ხე-ხე... ის იყო არა ეგრე... კარგი, პაპა... გაკოცებ... ხო, აბა რა... კარგი...

მარტიამ სამზარეულოდან გამოიჭყიტა.

დათამ მობილური გაუწოდა: - დაბერდა, ხო იცი, კონსტანტინე ვისრამიანი...

მარტიამ მიმოიხედა, ალბათ ცდილობდა გამოერკვია, დათა მარტო იყო, თუ არა.

- მარტო ვარ, ვინ იქნება? - გაუცინა დათამ.

მარტიამ ერთხელაც გაატარ-გამოატარა კედლებზე თავისი ჭრელი თვალები და გაჩუმდა.

- ჰა, მიდი, თქვი, რა არი?

- ხო იცი... პაპას ფონზე ლაპარაკი არ უყვარს და არც იცის კიდე... სათქმელი კიდე მე დამაბარა.

- ვიცი, მივხვდი, სულელი კი არ ვარ.

- საქმე ცუდათ არი, დათა... ჩემ ხელში დაიზარდენით. ცუდი გახსოვს ჩემი, ან ორტრაკობა?

- კარგი, ხო.

- პაპამ თქვა, რო სიძე აღარ მოვიდეს ჩემსაო, ვისრამიანობა დაუკეტა. პაპამ იცის, რო ის ქალი, დარდის ქალი წაიყვანეს და ეგე ჯერავს, რო სიძის გარეთ ეგ არ იქნებოდა. პაპამ თქვა, რო გვირგვინს არ აახდევინებს სალომეისა, ოღონდ სიძეს განზე დასტოვებს.

- მერე რა? საერთოდ, რატო მოიყვანეს ეგ სიძე. საერთოდ, ჩემ დას რა უქნეს. მე რატო არ მოვდივარ მანდ? დედაჩემი...

- ვიცი, კოხტა, ვიცი... - შეაწყვეტინა მარტიამ, - მე არ ვიცი? ფუთი მარილი მიჭამია, კლდის მარილი, დასამტვრევი. ეგ არაფერი. პაპამა თქვა, რო დათას ამბები მედარდებაო და საქმე ასეა, დათა, რო ორი კაცი უნდა მოგიყენოთ. ორი ბიჭი უნდა წამოგყვეს, სადაც წახვალ.

- არა, - თქვა დათამ. - არა.

- პაპამა თქვა, რო ეშინია, რო სიძემ თავზე ხელი არ აიღოს. ხო იცი სიძის ამბავი? დათამ ან ჩემსა იცხოვროსო, ან ორი კაციო...

დათამ ამოიოხრა.

- კაი ბიჭები არიან, დათა. მარანა ხო იცი, კაცო. მარანას კარში რო ფიდოა, ხო იცი, ავიყვანე იქიდანა და გოგია რო არი ჩემი, პატარა გოგია, ისინი. აგე, ქვემოთ არიან. ფიდოს კიდეც გეეხარდა, მაგის ძმას ეხლა გადმოსწევენ წინა კარში.

- ვااჰ, - ჩამოჯდა დათა.

- ცუდი დროა, დათა... ცუდი დროა.

- რა ყველა მაგას ამბობთ.

- არც დაგენახებიან, დათა, გამოხვალ, ჩაჯდები, ისე წამოგყვებიან. კლუბებში ხო იცი, ყველა სუნგალი შევა. ხუთ ნაბიჯში დადგებიან. ვერც დაინახავ...

- ეხლა მითხარი, - უთხრა უცებ დათამ. - ეგ ჩემ დასაცავათ არი, თუ მე რო კუდში მდიონ?

- დათა, - ხელები გაშალა მარტიამ, - მე არ მენდობი, დათა? ენა მიმიტანია? მკითხავენ, წყნარად ვეტყვი, რას აკეთებს დათა? რასაც აკეთებდა. სალომეისაც ასე უნდა მოვეფაროთ, დათა. რა ვქნათ? იცი ის ამბავი? ხო იცი... სალომეის ვერ გადასტეხავ, ხო იცი, ერთხელ გადასტეხეს და უკან მოგვიბრუნდა ეს სიძე.

- ოღონდ გაემწარებიათ...

- ეჰაა, დათა... სალომეი არი ჩვენი დედოფალი. სალომეი არი. ჯვარი სწერია ყველა სიკეთესა და რო აღარავინ იქნება, სალომეი უნდა იყოს. აბა, პავლიანთ ცალი ფეხი იქეთ აქვთ და პაპამ ხო იცის. პეტრიანთ კიდე ისე უყურებს. შვილიშვილებია ისინიცა, მარამ ხო იცი, პაპის თვალი, - უცებ მოიჩქარა მარტიამ, - წაველი ეხლა მე და ესენი ქვემოთ იქნებიან. პეჟო არის, არც ეტყობა, რო ვიღაცა და რაღაცა...

- სალომეა სად ვნახო? - მიაძახა დათამ. თავი არც აუწევია.

- სალაპარაკოა? - მობრუნდა მარტია.

- ხო... რა ვიცი. ახლა ვიფიქრე.

- აბა შენ ფონი არა გაქ... ბიჭებს დაურეკავ... აგე, ხო გამოგადგა სუნგალები? ცოტა ხნით, დათა... გადაგვატანიე ეს დროება და მერე პაპაც დაწყნარდება...

მაყვლის ოთხი ბუჩქი

ჭაბუკი, რომელსაც ტირილი შეეძლო

ნიკა აბაიშვილის ბობოქარი ცხოვრება წყალზე და ხმელეთზე

1.

Tiflis story of early 90-ies: ეს იყო მოკლული მეგობრის პანაშვიდზე. ბიჭები ბლომად ირეოდნენ იქ და დღედაღამ არ შორდებოდნენ მოკლულ მეგობარს. უკვე თითქმის გაეგოთ, ვინ ესროლა მათ მეგობარს და როგორც კი დაკრძალავდნენ, თავადაც ატეხდნენ სროლას. ერთმა მეგობარმა ფრონტის ხაზზე შეიტყო, რომ მისი მეგობარი მოკლეს და სასწრაფოდ ჩამოვიდა. დიდად ჩაფიქრებული და მდუმარე იყო მთელი ამ პანაშვიდების დროს, გამუდმებით ეწეოდა სიგარეტს და ყლაპავდა რაღაც აბებს, რათა აქ დგომის ძალა შერჩენოდა და წყნარადაც ყოფილიყო. ფრონტზეც არაერთხელ ენახა სიკვდილი და აქაც, ქალაქშიაც. საერთოდ, დიდად ვერ განასხვავებდი, ოღონდ ფრონტზე ვაჭრები არ იყვნენ და ეს იყო.

სულ ბოლო დღეს, დაკრძალვის წინა საათს ერთი ქვრივი ატირდა. მოკლულის ცოლი კი არა, სულ სხვა მოკლულისა. უკვე ვეღარავინ ტიროდა და კვნესით მიაცილებდნენ კუბოს, ის კი ამ დროს ატირდა, ისე გულსაკლავად, რომ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ასე ტირილი შეეძლო. თან ლამაზი გოგო იყო და ისე დაუწითლდა ქუთუთოები, რომ ძალიან უხდებოდა მწვანე თვალებს. ძველთაგან თქმულია, რომ გლოვა ალამაზებს ქალს, თუმცა არა სამუდამო.

ამის მხილველ ომიდან ჩამოსულ მეგობარს ეს მეგობრის ცოლი შეუყვარდა. დიდი ხანი იყო, რაც იცნობდა, მაგრამ ახლა შეუყვარდა, რაც ძნელი გასაგებია, თუმცა, მისახვედრად ის შეიძლება დარჩეს, რომ შეეცოდა, რახან ტიროდა და ელამაზა, რახან ტიროდა, რამაც ამ მოტირალის წყურვილი ჩაბადა მის გულში.

ის ომში აღარ წავიდა და სამი თვის შემდეგ ის გოგო შეირთო ცოლად. გოგო სახლიდან გამოვიდა, მანქანაში ჩაუჯდა და გამოჰყვა, უბრალოდ და უხმაუროდ.

მაგრამ ეს გოგო სხვასაც შეჰყვარებოდა იმავ ტირილის გამო. იმან რევოლვერი გასტენა და სხვა მეგობართა დახმარებაზე უარი თქვა, სახლთან დაუხვდა ქვრივის წამრთმევს და ორჯერ ესროლა, ოღონდ ვერ მოკლა. ხელსა და მხარში მიარჭო ტყვიები, რადგან გულში უმიზნებდა. ეს მეგობარი საავადმყოფოდან გამოეწერა და არაფერი უთქვამს, მაგრამ ექვსი თვის თავზე, როცა მის წაგვრილ ცოლს უკვე საგრძნობლად დატყობოდა მუცელი, თვითონაც იარაღი გაამზადა, რადგან ერთ მშვენიერ დღეს ცოლი და მის უფროსი შვილი, რომელიც ხუთი წლისა იქნებოდა, მის დამჭრელ ჯეილთან წასული დაუხვდა.

მეორე ქმარი ქუჩაში დაუხვდა მესამე ქმარს და უთხრა, რომ მოკლავდა, რადგან მისი ცოლი ფეხმძიმედ იყო. მოკლე ლაპარაკის შემდეგ მიჯრით ესროლა მუცელში სამი ტყვია, მაგრამ დაჭრილს კარგი ქირურგი შეხვდა და გადაარჩინა, რადგან ტყვიებს მხოლოდ ნაწლავები დაეფლითა.

გოგოს რომ მეორე შვილი გაუჩნდა, რომელიც მეორე ქმრისაგან ჰყავდა, პირველ შვილსაც ხელი წამოავლო და მესამე ქმართან დაბრუნდა, რამაც ეს უკანასკნელი ძალიან გაახარა.

სამაგიეროდ, გაამხეცა მეორე ქმარი, რომელმაც გოგოს დაურეკა და დაბრუნება მოსთხოვა, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. მესამე ქმარი სკოლასთან დახვდა პირველი ქმრის ქალიშვილს და გაიტაცა, რის გამოც გოგომ თავის მეორე ქმარს უბრძანა, შვილი დამიბრუნოს, თორემ თავს მოვიკლავო.

მეორე ქმარმა არ იცოდა, როგორ დაებრუნებინა შვილი და ამიტომ, სადარბაზოსთან დაუხვდა მესამე ქმარს. მათ ერთმანეთს ესროლეს და ისე გამოვიდა, რომ მეორე ქმარს კვლავ იმავე ხელში მოხვდა ტყვია, რომელშიაც პირველ ჯერზე, მესამე ქმარს კი კვლავ მუცელში მოხვდა და, თუმცა ის კარგი ქირურგი ბევრს ეცადა, მაგრამ ვეღარაფრით გადაარჩინა.

გოგო ისე გულსაკლავად ქვითინებდა მესამე ქმრის დაკრძალვაზე, როგორც პირველი ქმრის დაკრძალვაზე, იმ ცუდ ამინდში, როგორც იმ ძველი მეგობრის დაკრძალვაზე, ადრე რომ მოკლეს სულ სხვა ბიჭებმა. თუმცა, მეორე ქმარს ეს არ დაუნახავს და რომ დაენახა, ეგებ შემცბარიყო, ანაც ხელახლა შეჰყვარებოდა.

მეორე ქმარი სხვისი სახელითა და გვარით, ჭკვიან კაცს კი ყოველთვის აქვს მეორე პასპორტი, თურქეთს გაქცეულიყო. ამბობდნენ, თურქეთსო, თორემ ეგებ სხვაგანაც იყო, რათა ძველ მეგობართა ტყვიები არ დასწეოდა.

That was Tiflis in rainy days.

ამ მეორე ქმარს კი ერქვა ნიკა აბაიშვილი და იყო მაშინ ასე ოცდახუთი წლისა.

2.

სტამბოლში ნიკა აბაიშვილმა, რომელსაც მაშინ ერქვა კახა კახაბრიშვილი, ფულით სანახევროდ გამოტენილი ჩანთა დაკარგა. იმ ჩანთასთან ერთად დაკარგა თავისი საბრძოლო ჯილდოებიც და თეთრი ლაბადაც.

მაღაზიის კარში მას ქართველი შეხვდა.

ქართველებს მრავლად ნახულობდა ხოლმე, მაგრამ ეს ის ქართველი იყო, რომელიც არ უნდა ენახა. რა თქმა უნდა, ტკბილად მოიკითხეს ერთმანეთი და იმ ქართველმა, ძველმა კაი ნაცნობმა, უთხრა, ძალიან გამიხარდა შენი ნახვაო და ამანაც ასე მიუგო, მაგრამ ერთმანეთთან მთლად ტკბილად სასაუბროდ დრო ვერაფრით გამოინახა და ღიმილით დაშორდნენ, რამაც ნიკა აბაიშვილს გადააწყვეტინა, რომ სასწრაფოდ უნდა წავიდეს და დაიკარგოს აქედან.

ეს ყველაფერი ერთ დღეს მოხდა.

ჯიბეებში აღმოაჩნდა ხუთას სამოცდასამი დოლარი და ცოტაც თურქული ფული.

ნიკა აბაიშვილმა სასტუმრო მიატოვა და ის ღამე აეროპორტში გაათენა. ერთ-ერთ იქაურ კაფეში თვლემდა. გამთენიისას ის თვითმფრინავში ჩაჯდა და სანტა ესპერანსაზე გაფრინდა.

სანტა სიტიში ოცდასამ იქაურ ფუნტად ერთთვიანი ვიზა მიიღო აეროპორტის მოხელისაგან, რომელიც ძალიან კეთილად ექცეოდა, ალბათ იმიტომ, რომ ქართველი ნახა და საქართველოს ქართველი მაშინ იშვიათი იყო იმ ადგილებში.

აეროპორტის ტურისტულ სამსახურში მან სასტუმროთა სია გამოითხოვა და კარგა ხანს ჩაჰკირკიტებდა. ამ ჯიბისთვის სასტუმროები ძვირი იყო და ქალს ჰკითხა, კერძოდ თუ ქირავდება ოთახები, ტურისტი არ ვარო. ქალმა რაღაც უთხრა ვითომდა ქართულად და ნიკა მიხვდა, რომ აქ არც თურქულის მტვრევა სჭირდებოდა და არც ინგლისურის ხერხვა. სიტყვები თითქოს სხვა იყო, მაგრამ ყურს თუ მიაჩვევდი, აზრს გამოიტანდი. ქალმა ახლა სხვა ფურცლები მისცა, სადაც პანსიონები და უბრალო გამქირავებლების მისამართები იყო ჩამოწერილი. ყველაზე იაფი ერთი იყო, გამორჩეულად იაფი.

ნიკამ ხელი დაადო და ქალს ჰკითხა: - აქ ვირთხები არი?

ქალმა თითქოს გაიგო და თითქოს ვერც გაიგო. რასაც ნიკა მიხვდა, ის იყო, რომ ეს პანსიონი ქალაქიდან მოშორებითაა და იქ ავტობუსით ვერ მიხვალ. მერე ქალმა უცნაური ასოებით დაუწერა ქაღალდზე ალბათ ორი სიტყვა და უთხრა: - ტაქსი ვალსა, იხილას და დაგაყენებს ალაყაფთან, ო ფუნტი უნდა.

- რამდენი?

- ო, - ქალმა სამჯერ გაშალა და მომუჭა ხელი.

- თხუთმეტი?

მერე მწვანე ტაქსი ხიდზე შესრიალდა. მერე მიწაზე გადავიდა. წვრილი გზები იყო და მანქანები გასაკვირად მოხერხებულად გადი-გამოდიოდნენ. მერე ტაქსი თითქოს ხევში ჩაგორდა, სადღაც აუხვია, უსიერ ბუჩქნარში გაიარა და წაფერდებულ ალაყაფთან დადგა.

- ხეტია ჰოტელ, - თქვა მძღოლმა, რომელიც თურქი იყო.

ნიკა აბაიშვილი მოეწყო ერთ ვიწროფანჯრიან ოთახში, მეორე სართულზე. საჭიროებისას ფანჯრიდან უხიფათო გადახტომაც შეიძლებოდა. სამი ფუნტი გადაიხადა ექვსი დღისა და კაი გემრიელი წვნიანიც ჭამა, მერე კი მისაღებში მჯდომ ბიჭს, რომელიც მისთვის ძალიან გასაგებად, ქართლელების ენაზე ლაპარაკობდა, ჰკითხა: - სიგარეტი სად ვიყიდო?

- ქალაქ უნდა წახვიდე...

- სხვადასხვანაირად რატო ლაპარაკობთ?

- ჩვენა, ჩვენ და ესენი? - გაეხარდა ბიჭს, - ჩვენა მეფისანი ვართ, ესენი ციხისთავისა...

- ვისი?

- მეფისანი ვართ.

- თუ ძმა ხარ, - ხელი აიქნია ნიკამ და ამ დროს უკნიდან შემოესმა დაბალი, ბზარიანი და შემპარავი ხმა: - ვისი ხარ შენა, ბიჭო?

ნიკა აბაიშვილმა, ცხადია, არ იცოდა, რომ ამ უბადრუკი პანსიონის პატრონს მისდგომოდა.

- ქართველი ხარა? - ჰკითხა კაცმა და არ დაელოდა, - ესაც მეფისა იქნება.

ნიკამ შეხედა ამ ჩამრგვალებულ და სასაცილო კაცს და არაფერი უთხრა.

- ღარიბი ხარა? - ჰკითხა ისევ კაცმა.

- ღარიბი შენა ხარ...

- ღარიბობა სირცხვილია? - ღიმილით ჩაეკითხა კაცი, - ღარიბობა კაცის სახელია, ბიჭო. ესე იგი, ვერა გყიდულობენ...

ნიკას გაეცინა.

- ბებუთი გააქ?

ნიკას ისევ გაეცინა.

- არააჰ? მე მაქ და თუ ცხვრის დაკლა გეხერხება, მოგცემ.

ნიკამ აბა რა იცოდა, რომ ცხვრის დაკვლა მაგარ საქმეზე წასვლას ნიშნავს.

- მე, ბიჭო, ხეტია ვარ. ჩემია ეს ოტელი. სუნგალები ვართ ჩვენა, გაგიგია?

- არა, - უთხრა ნიკამ.

- რა გქვია შენა?

- ნიკა, - თქვა უცებ ნიკამ, - კახა...

- ნიკა, თუ კახა... ნიკა ჩემ ძმიშვილსა ჰქვია. ეგრე ვეძახით. ნიკალოოზ! ყრუ არი, ყურებში ქალები ჰყამს. ქალის სიცილები ესმის... ღვინოსა სვამ, ნიკა?

- კი, რა ვიცი.

- აქაურათ?

- ეგ არ ვიცი.

- აქაური არი, რო ბევრი სჭამო და სამი ჭიქა მიაყოლო. ჩვენებური არი, რო ლუკმა გასტეხო და ღვინოს ხანდახან ჩააყოლო.

- კი, ეგრე ვსვამ.

- მეფისა არი, ხო ვთქვი. ლაპარაკიც კაი გამოსდის... აბა, წამო ეზოში, სალაპარაკო ვნახოთ. მეფისა განა ბევრი მინახია? სულ ბუები და ჯანდაბურები...

3.

უცნაურად წარიმართა ცხოვრება მარტოხელა მოგზაურისა, რომელსაც საუცხოო და უზრუნველი ბავშვობა გაეტარებინა ქალაქ თბილისში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროს ადევნებულ უბანში, რომლის სახელწოდებაც წარმოდგება სულ სხვა, წყალმარჩხი და მერე სადღაც გამქრალი მდინარის სახელიდან.

ბედნიერ ბავშვობას მოჰყვა უშიშარი სიყმაწვილე და მთლად თავზეხელაღებული სიჭაბუკე, რასაც დაუნანებლად აყრიდა პილპილს ვითარება საქვეყნო ცხოვრებისა.

ეს ის დრო იყო, როცა ერთ ჯეილს ბევრი სამოსი ეცვა და ამ სამოსის რიგი ასე გამოიყურებოდა: სულ ქვეშ, ტიტველა ტანზე მოტმასნოდა სამოსი სტუდენტისა - პერანგი მიძღვნილი მზრუნველი და შეძლებული მამისაგან და დაუთოვებული საიმედო და მოყვარული შვილით აღტაცებული დედის მიერ. იმის ზემოთ იყო კოსტუმი ბიზნესმენისა, ბანკის საქმიანი კაცისა, ანდა ქარხნის ახალგაზრდა დირექტორისა, ანაც რაიმე ასეთი მოვაჭრისა. ზემოდან კი ამ ორს ფარავდა მაზარა ჯარისკაცისა, ნამდვილი, ბრძოლებში ნათრევი სამოსი თავდადებული ვაჟკაცისა, მოჭმუჭნული და ტყვიებით ჩამწვარი. ამათ კი ზემოდან შემოსწვდებოდა სამოსელი ქალაქის ყაჩაღისა, ქუჩის ბიჭისა და ამდენი სამოსის ჩამცმელ კაცს მოქნილად მოძრაობა კი არა, ჩაფიქრებაც უჭირდა და ამიტომ, ყველა მოულოდნელი ვითარებისას ტყვიების სროლა უწევდა, ვინაიდან სხვას ვერაფერს მოახერხებდა ხოლმე.

ამდენმა სამოსმა კარგი ვერაფერი მოუტანა ნიკა აბაიშვილს, თუ არ ჩავთვლით სხვათა და საკუთარ სხეულზე დასათვლელ ნატყვიარებს, ერთ ტომარა ფულს, რომელიც დაეკარგა და, რაღა თქმა უნდა, შვილს, რომელსაც აბა როდის ნახავდა?!

ერთხელ ძალიან ძვირ რესტორანში წაიყვანეს, ხალხი ბევრი არ იყო, კოსტუმი კი - სავალდებულო. მანქანაში შემოაცვეს. დასხდნენ, მადლიანად შეუკვეთეს, გემრიელად სვეს და ჭამეს.

საქმე რომ დესერტებისკენ წავიდა, შორიახლო მაგიდიდან ერთი ჭაღარა კაცი მოვიდა და ხეტიას და იმის ორ კაცს უთხრა: - თქვენ კაი სტუმარს ხუთი წუთითა თხოვს შენახულების კონსტანტინე.

ნიკამ კარგად ვერ გაიგო, ვინ უხმობდა, მაგრამ წამოდგა და ხეტიას დააცქერდა.

- შენ გეძახის ნიკავ, მე კი არა,... - გაუცინა ხეტიამ.

მოხუცი კაცი არ წამომდგარა: თითები გადაეხლართა ერთმანეთში, იდაყვები მაგიდაზე დაეყრდნო და ასე შესცქეროდა ნიკას, არც ხელი გამოუწვდია და არც განძრეულა. ჭაღარა კაცმა სავარძელი გამოუწია ნიკას, მოხუცმა კი თქვა: - ქართველია.

ნიკამ გაიღიმა და დაჯდა.

მოხუცს ძალიან თეთრი ულვაშის კიდეები ტუჩებს ქვემოთ ეკიდა. მელოტი იყო, მაგრამ ასევე ძალიან თეთრი თმა, რაც კი შერჩენოდა, მხრებზე ეყარა.

მიმტანმა ღვინო დაუსხა ნიკა აბაიშვილს, მოხუცი ოდნავ შეეხო თავის ჭიქას და ხმადაბლა, თუმცა ავად თქვა: - ჯერ არ ყოფილა, შენახულებს ქართველი ანგლეზი კონსტებელის ხელში მიეცა. ან მეფის, ან ისე, უბრალო ქართველი.

ნიკას მესამედ ესმოდა სიტყვა შენახული, მაგრამ რას ნიშნავდა, არ იცოდა. არ უკითხავს, რადგან მოხუცმა უთხრა: - მე კონსტანტინე ვისრამიანი ვარ. ვისრამიანები ჩვენ თავს შენახულებს ვეძახით, იმიტო რო, საქართველოსკენ ყურება არ მოგვიშლია. შენი გვარი ვიცი, კაი გვარის ხარ. რა ქენი იქ?

- არაფერი, - უთხრა ნიკამ.

- ცოლი გყავს?

- შვილი მყავს.

- ყაჩაღი ხარ, მეკობრი?

- ვიბრძოდი, - მიუგო ნიკამ, - მერე რაღაცეები მოხდა.

- მე უნდა მელაპარაკო, ნიკოლოზ. დაგიძახებ, ჩემ მიწებში წავიდეთ, შენ რო ჯეთით მოფრინდი და დაფრინდი, ის ჩემი მიწაა სულ, ჩემი ძმების და მამების.

ნიკამ არ იცოდა, რა ეთქვა.

- ხეირი შენ და ქართველებს, - მოხუცმა ღვინო მოსვა, - ჯენოვლების ღვინოს არ ვსვამ მე. ჩვენსას ვსვამ... წადი შენ ამხანაგებთან. მოვა ჩემი კაცი და მოხვალ ჩემ სახში, საღამოზე. სალაპარაკო ალბათ იქნეს, დილაზე ჩემ აგარაკებში ვისეირნოთ. თოფი იცი,

დამბაჩა? ნადირი იცი, მელია? გასროლიეფ, მელიაზე მივიდეთ, ბევრია იქ, ტყეს იქით, ვნახოთ რანაირი ნიშანი იცი...

ნიკა წამოდგა, ჭაღარა კაცმა მოაცილა მაგიდამდე.

- ვინ არი ეს ბებერი? - ჰკითხა ხეტიას.

- პატრონია, პაპა.

- მაფიოზია, ტო?

ხეტიას გაეცინა.

- უყურებ, რო არი ხო? პრინცის ოჯახობა და ასეთი რამეები სინემაშია... რა მაფია ბიჭო, მაფია კი არა, ექვსასი წელიწადია თავისი ამბავი უჭირამთ. ჩვენ გვიჭირამს, სუნგალებს, ჩვენი ამბავი და მაგას უჭირამს თავისი, აბა არჩილიანებისა ერთი ბებერი დარჩა, ოყა არ მოიწონება..

- ექვსასი წლის არი? - იხუმრა ნიკამ.

- ნუ იცინი, მერე გაიცინე. ტყუილათ დაგიძახა?

„ოლიმპოს“ თეატრის მიერ სცენაზე გაცვეთილი პიესიდან

ქალი

კარგია, რომ გნახე, ეს გვიხსნის ორივეს. მე გულახდილად გეტყვი ყველაფერს, იმიტომ რომ აქამდე ვერსად გნახე, მხოლოდ შენს გასაგონად რომ მელაპარაკა. ეს გვიხსნის ორივეს. მე სატანჯველი შემიშვებს მარწუხს, შენ კი - ცდუნება უზრუნველი ცხოვრებისა...

ვაჟი

რა სატანჯველი? მე არაფერი ვიცი აქაურობისა.

ქალი

არაფერიო. ზუსტად იმდენი იცი, რომ სხვათა სატანჯველს შენი კმაყოფა ზედ დააშენო ლამაზ კოშკივით. მაგრამ ასეთი კოშკები ხომ მალე ინგრევა. გემუდარები, არ დათანხმდე. არ ჩადგა ფეხი მღვრიე წყალში.

ვაჟი

მე თანხმობა მივეც ბაბუაშენს და დედაშენსაც, რომ ამ შაბათს ჩვენ ვიქორწინებთ.

ქალი

ო, არა, არა... გთხოვ, უკანვე მიუყარო ეგ ქაღალდები დედაჩემს. გთხოვ, ამხედრდე და გააჭენო ეგ შენი ცხენი, გთხოვ, ყოველი წმინდანის გულისთვის, ნუ მაიძულებ, შენი

ცოლი მერქვას და ამით ვიტანჯო, ცრემლით დავალბო ის საწოლი. გთხოვ, შეისმინო ეს მუდარა და სიკვდილამდე ვილოცებ შენთვის.

ვაჟი

აბა, შემხედე, განა გონჯი ვარ? ბრმა, უკბილო თუ კუზიანი? განა მხეცი ვარ, მტანჯველი და მოციქული ჯოჯოხეთისა? რად გძულვარ ასე? ეს ქორწინება გარიგებაა, სითბოს გულისას კი დრო მოიტანს. მე კარგი ქმარი ვიქნები შენი. რად გძულვარ ასე?

ქალი

მე შენ არ მძულხარ. შემძულდები კი, როგორც გვირგვინს ფსკვნიან ჩვენს თავზე და გვრიტებს ააფრენენ ცაში.

ვაჟი

და რატომ, რატომ? შენ ხომ არ მიცნობ?!

ქალი

რატომ არა ვარ გათხოვილი? არ გიფიქრია? ნუთუ გგონია, რომ ველოდი მაწანწალას, მეკობრეს, ყარიბს, რომელსაც სახლი მოუნდა და ჩვენი მამული მოეწონა? ნუთუ გგონია, რომ შენისთანას ველოდი ვინმეს? მე მიჯნური მყავს და გვართა წყევლა მას არ მაკარებს. მე მიჯნური მყავს, რაც თავი მახსოვს. მისთვის მოვკვდები და შენთვის ძაფსაც არ გავუყრი ნემსში, იმიტომ რომ, მე მიჯნური მყავს საყვარელი და სასურველი, გადამალული და ყოველი მხრიდან მოკვეთილი ჩემი გვარისგან, რადგან წესია, ამ სახლში მხოლოდ შენნაირებს ელოდებიან.

ვაჟი

მე მას მოვკლავ, აი ამ ხანჯალს დაგანახებ სისხლით შეღებილს. მე სიტყვა მივეც და გადავწყვიტე, ავასრულო ეს სიტყვა თქმული. მეტად მომწონხარ. ბევრი მინახავს და შემიცვნია. თავიც დამიდევს სიტყვისათვის და გრძნობისათვის. ხედავ ამ ნახმლევს ჩემს მკლავზე? ასეთი სხვასაც მოეძებნება. მე შენ შეგირთავ.

ქალი

გთხოვ, ეს აღარ თქვა, გეხვეწები. ნუ იმუქრები. შენი მუქარა ხელ-ფეხს მიხსნის, ვიყო ბოროტი, დაუნდობელი და სისხლისმსმელი, ვით დედაჩემი. გრძნობანი სადღაც ჭურის ფსკერზე ჩავმალო მტკიცედ და ვსდიო წესებს, ადათებს და ძველ ანგარიშებს.

ვაჟი

მე შენ შეგირთავ, ჩვენ ვიქორწინებთ.

ქალი

აღარ სთქვა მეტად, გესმის მუდარა?

ვაჟი

მე შენ შეგირთავ. ასე იქნება. მას კი მოვკლავ.

ქალი

შენ მას ვერ მოკლავ... შენისთანები თავს იკლავენ, როცა მტერი მოეჯარებათ და გასაქცევი აღარსადა აქვთ. შენ არ იქნები ჩემი ქმარი. ყოველი წამი ცხოვრებისა სატანჯველი იქნება შენთვის. ყოველ ცისკარზე ატირდები, რომ არ მომკვდარხარ და ყოველ საღამოს შეგრცხვება, რომ ჩემი ქმარი ხარ. არავინ იტყვის, რომ მე ვარ შენი ცოლი. სულ ჩაგესმება, რომ ოქროთი იყიდეს მკვლელი, რათა მოეკლა სიყვარული, რომლის შესახებ ამ ქალაქში ლექსებს ამბობენ. რომლის ნამცეციც მთელს სამყაროს ეყოფოდა, რათა ფერი არ წასვლოდა მკრთალი სახიდან. დაიმახსოვრე! შენ შეგეშალა, შენ ქაღალდები უნდა დაგეხია და გულების დაფლეთას ლამობ.

ვაჟი

მე შენ შეგირთავ!

ავი შუადღის ერთი სურათი

ის უცებ შემოტრიალდა და უთქმელად, მთელი ძალით დაარტყა მუშტი თვალს ქვემოთ. ქალი გადავარდა, მაგიდის კიდეს დაებღაუჭა ხელით, მან კი ქურთუკი აიღო და კარი გამოიჯახუნა.

ქალი წამოდგა და სააბაზანოსკენ წავიდა მძიმედ, სარკეში არ ჩაუხედია, ისე აიფარა სველი ხელები სახეზე.

მერე გამოვიდა, შავი სათვალე მოირგო და მანქანის გასაღებს დასწვდა.

მერე „დი პორტას“ კაფეში იჯდა მარტო და არ უყურებდა, როგორ შეათვალიერებდნენ ხოლმე ახლად შემოსულნი. ერთმა ორმოცდაათს მიტანებულმა უცხოელმა მიმტანს უხმო, სავიზიტო ბარათი დაუდო ლამბაქზე და ჰკითხა: - შეგიძლიათ, თხოვოთ იმ სათვალიან ქალბატონს, რომ ყავაზე დამეპატიჟოს?

- არა, სერ, არ შემიძლია, - მიუგო მიმტანმა.

- ცუდი არაფერი განმიზრახავს, ძალიან მარტოდ ჩანს, - გაიღიმა კაცმა და ბარათზე მიანიშნა თვალით.

- არა, სერ, არ შემიძლია, - იყო პასუხი.

- რატომ?

- ეს ასახსნელად ძნელი იქნება. იცით ის ამბავი, პრინცესა რომ თავის შეყვარებულს ელოდა და ვეფხვს ჰგავდა?

- არა.

- ისე ჰგავდა ვეფხვს, რომ შეყვარებულს სამუდამოდ დაამახსოვრდა და მერე, ტყეში ვეფხვი შეხვდა. ის პრინცესა ეგონა და კოცნა დაუპირა. მიმიხვდით, სერ?

- რაღაც ალეგორიებს მელაპარაკებით.

- არა, სერ... ღმერთმა დამიფაროს. მე ვერ ვეტყვი ვეფხვს, რომ მასთან საუბარი გწადიათ. ვეფხვები არ ელაპარაკებიან ადამიანებს.

- რა ხუმარა ყოფილხარ... სტუდენტი ხარ?

- დიახ, სერ. ზაფხულობით წავიმუშავებ ხოლმე აქ.....

- და ეს ქალი რა გახდა ასეთი?

- ეჰ... - ამოიოხრა მიმტანმა, - ძალიან გრძელი ამბავია, სერ.

- მაშ, უბრალოდ სავიზიტო ბარათი მიუტანეთ და მეც უკან მოგყვებით.

- აზრი არა აქვს, სერ... როგორ გგონიათ, რატომ უკეთია შავი სათვალე? ნამტირალევია.

- დიახ, გასაგებია... ძალიან უცხო გარეგნობა აქვს. უბრალოდ, ჩვეულებრივად რომ ვთქვა.

- ვეფხვია და უცხო იქნება, მაშ რა? - მიუგო მიმტანმა და თავი დაუკრა, აქაოდა, სავიზიტო ბარათი შეინახეო.

- ეს ხომ არ არის... ეს დათას და ხომ არ არის? - ჰკითხა უცებ უცხოელმა. მიმტანი შედგა.

- დათა ჩემი კარგი ამხანაგია, - გაიღიმა კაცმა, - აჰ... აჰ... ხედავთ? ხედავთ? თქვენ რა გქვიათ მეგობარო?

- ქემალი.

- ქემალ, შენ მაინც აიღე ჩემი ბარათი. რა იცი, რაში გამოგადგე. მე ტევერენ მორანდი ვარ.

- გმადლობთ, სერ.

- ფიქრობთ, რომ... არა, არაფერი.

კაია ვისრამიანის ორი პორტრეტი, რომელიც სასტუმრო ოთახში ეკიდა და სალომეა ვისრამიანის ორი პორტრეტი, რომელიც ასევე სასტუმრო ოთახში ეკიდა

კაიას პირველი პორტრეტი დაეწერა ლოურენს ჯისთრის, კარგა ხელგაწაფულ მოგზაურ პორტრეტისტს, ვისაც ოსტატურად გამოსდიოდა ნეოკლასიცისტურ სტილში ქმნა. ამ პორტრეტზე კაია არის ცხრამეტი წლისა და ქალწული. რახან პორტრეტი დაკვეთით იწერებოდა და არა გულისთქმით, ამიტომ, ოსტატობაც უფრო შალაშინით ნამუშევარი ჩანს და არა აღმაფრენით გაჯერებული. ჯისთრი ხნიერი იყო, როცა კაია დახატა, კაია კიდევ ცხოვრებაში შემბიჯებელი. მხატვარმა ქალწული გამოხატა ქარისგან ოდნავ შერხეული ფარდის წინ მდგომი, შინდისფერ, არც მთლად საღამოს კაბაში. ფანჯრიდან ვისრამიანთა მამულების მინდვრები, ტყისპირი და

კამკამა, მშვიდი ცა ჩანს. ყმაწვილი ქალი ხელით ჩამოყრდნობია ფანჯრის რაფას და, რახან შინდისფერი აცვია, ასაკით უფროსს წააგავს. მის გოგუცუნობას მეორე ხელის თითებში შერჩენილი სამი მინდვრის ყვავილი შეგვახსენებს, ვინაიდან ქალს თმაც კი საგანგებოდ, საღამოურად დაუვარცხნია, ანუ უკან გადაუვარცხნია. კაიას სახე საერთოდ დაგვავიწყებს, რომ სრულიად ახალგაზრდა, ხალისიან ქალს ვუყურებთ. თუმცა ცალი ფეხი ეშმაკურად შეუკეცია მეორის უკან. პორტრეტს ჯერ ყოველთვის სახეზე შეხედავ და მერეღა იწყებ ფიქრს მისი მთლიანობის შესახებ. ფართო და ნათელი შუბლი და აზიდული წარბები, რომლებიც ავა გარდნერის ძველ ფილმებს გაგახსენებთ, სავსე და მომღიმარი ტუჩები, რომლებიც უფრო სარკაზმზე მიგანიშნებენ, ვიდრე ხალისზე და შორს მაცქირალი დიდი და მბზინავი თვალები გაფიქრებინებენ, რომ მიუხედავად ასეთი, ერთგვარად ხალისიანი დგომისა, თქვენს წინ ძალიან მტკიცე და უტეხი ადამიანია. არავინ იცის, ამოიცნო თუ არა ჯისთრიმ გოგონას ხასიათი, ანდა დაფიქრდა, თუ არა ამაზე. ასე კი გააკეთა და რახან გამოცდილი ხელისა და თვალისა იყო, შინდისფერი კაბაც ტყუილად არ ჩააცვა კაიას: ტუჩები, თვალები და კაბა ერთი ტონია და ერთი ფიქრისკენ გვიბიძგებს. ეს ყველაფერი სისხლია.

კაია ვისრამიანის მეორე პორტრეტი დაუწერია იტალიური მოდგმის მხატვარს, რენატო ფოლას. ასევე გამოცდილ დამხატავს, რომლის ცნობილი, სწრაფი პორტრეტის სახელოსნოც ნაპირის უბანშია. იქ ოცი მხატვარი ზის და აკვარელით ხატავს პორტრეტებს ნახევარ საათში. თავად სენიორ ფოლა ასევე პორტრეტისტია, ოღონდ უფრო წყალნაპკურები და ლაღი. ფოლას ფანტაზია უშრეტია, თუმცა შეკვეთა, რომელიც მან მიიღო, ზედმეტურ გაფრენებს გამორიცხავდა. თანაც ფოლა ნამეტურ ჭრელი თვალისა ჩანდა ოფიციალური საოჯახო პორტრეტისათვის, მაგრამ ტილო მაინც მას შეუკვეთეს.

კაია ვისრამიანი ოცდახუთი წლის თავზე დგას ბროწეულების ბაღში, გრძელ, დეკოლტეიან შავ კაბაში, უნათელესი მკერდით და ყელზე მარგალიტების მძივით. ის იცინის, როგორც ოპერის ვარსკვლავი, ფეხქვეშ კი მარმარილოს ბილიკი გაგებია. მანერა მხატვრისა სხვა ჩანს, ოღონდ თავისი მანერა არ გამოუყენებია და ტილო შეუსრულებია ჰიპერრეალისტური ხერხებით. ამის ოსტატობა მხატვარს ჰყოფნია და შუქ-ჩრდილის ფოტოსებრი თამაშით წარმოუჩენია ქალის ხასიათი. ოვაციის ჟამის სიცილის მიუხედავად, ქალს თვალები მკაცრი აქვს და სადღაც შორს მაცქირალი. ასეც შეიძლება ითქვას, რომ თუ არა ელვარე კბილები, ის ჰგავს ხიდურაზე შემომდგარ მეკობრეთა გემის კაპიტანს, ანდა მოსამართლეს, ანდა ვიღაცას. ბროწეულების ხეივანი, მწიფე ბროწეულები ზედ წამოფარებია ქალს ისე, რომ ერთი ტოტი მხარზეც კი ეხება. ვერც ფოლა გაქცევია შინდის ფერს, მაგრამ ის მეტად ცოცხლად კი შეუზავებია თავის ტილოზე, თუმცა კაიას თვალები აქ უფრო მუქი, სიშავეში გარდამავალია, ვიდრე ქალწულობისდროინდელ სურათზე.

ეს ტილოები, გვერდიგვერდ ჰკიდია კაია ვისრამიანისა და ბუს სახლში, ჯენუელებისა და ნაპირის უბნების საზღვარზე.

დედის ორ პორტრეტს კი ჩრდილოეთის კედლიდან უმზერს ქალიშვილის ორი პორტრეტი.

პირველი დაწერილია მაშინ, როცა სალომეა იქნებოდა თხუთმეტი წლისა, მეორე კი - ოცი წლის თავზე. ქალწულობისდროინდელი პორტრეტი დაუწერია ისევ და ისევ რენატო ფოლას, რომელიც, ჩანს, ერთმანეთის მიდევნებით ხატავდა ვისრამიანებს. თუმცა, ფოლას ხერხიანობაც იმაშია, რომ მხოლოდ საქმის ოსტატი თუ შეატყობს, რომ ისინი ერთი კაცის ხელით წერილა. პატარა ნიშანი ტილოს კუთხეში, ერთმანეთს გადაჯაჭვული r და f - ც კი სხვადასხვა კაცის ჩანაწნავს ჰგავს. თხუთმეტი წლის ქალწულის პორტრეტის წერისას ფოლას გოგენი შეუღვიძებია და თავისებური ხალიჩაც მოუქსოვია. ეს ჰავაი არ არის, მაგრამ ჟანგგარეული ფორთოხლის და გადახუნებული ალისფერი ფონი, ალბათ, ვისრამიანთა რომელიმე ვენახის კიდე უნდა იყოს, ფეხმორთხმით მჯდომი, თეთრ, ასევე მტვრიან ტილოს სამოსში გამოხვეული მეოცნებე გოგო, ხორცსავსე და იმედიანიც კი, ცხადია, ვისრამიანთა მემკვიდრეა. ფოლას ტილო სოფლად, სამხრეთის კუნძულზე დაუწერია და გოგონაც ამიტომ გაუგლეხებია. ეგებ შეკვეთაც ასეთი იყო, ვისრამიანებს სურდათ, თავიანთი უბრალო, თუმცა განსაკუთრებული წარმომავლობისთვის მიეცათ ფერი. მიუხედავად იმისა, რომ ნახატში ბევრი მზე არის, შემკვეთი ვერაფრით შეამჩნევდა გოგოს გამოკვეთილ სექსუალობას, ანუ ამ ასაკის ქალწულთათვის დამახასიათებელ ფორმათა მეტად ეშმაკურ და მოხერხებულ გამოხატვას მხატვრის მიერ. ფოლა დიდი მექალთანე კაცი იყო და მთელს დღეებს თავის სახელოსნოში, ნატურის ქალთა შორის ატარებდა. იქ რას შვრებოდა, არ ვიცით, მაგრამ განწყობა კი ხორციელი ექნებოდა. მას, უკვე სიბერისკენ მიდრეკილს, აუცილებლად მოეწონებოდა გოგო და არ იქნებოდა, თავისი ვერაგი ფუნჯებით, რაიმე ხაზები არ დაეტანა.

ასეც არის, ფოლა ამ ტილოთი ამა და ამ გოგოს პორტრეტს კი არა, ზოგადად, მომლოდინე, გამოღვიძებულ გოგოს ხატავდა. რახან ტილო კედელზე ეკიდა, ჩანს, ვისრამიანებმა მიიღეს ფოლას შეხედულება.

ამ პორტრეტიდან ოცი წლის შემდეგ დაიწერა სალომეას მეორე პორტრეტიც, რომელიც ძალიან უბრალო იყო, იმ აზრით, რომ ნეიტრალურ ფონზე, თითქოს ციხის საკანის კედელთან გამოეხატა ოსტატს. ოსტატი ოსმალო იყო, სტამბოლელი მხატვარი გახლდათ და წესით, რაიმე აღმოსავლური უნდა ჩაერია თავის ნამუშევარში, მაგრამ ასე არ მოხდა. ბატონი მუსტაფა ნესინი მამაკაცთა ხატვას შეჩვეული კაცი იყო, ის მთელი სიცოცხლის განმავლობაში თურქეთის პოლიტიკურ მოღვაწეებს ხატავდა და ძირითადად ზეპირად: ოფიციალურ პორტრეტებს სახელმწიფო კაბინეტებისთვის, ანდა საოჯახო პორტრეტებს მდიდარი ოჯახებისთვის. სანტა სიტიში ბინა ჰქონდა და წელიწადში ორჯერ მაინც ჩამოდიოდა. სალომეას ბაბუამ დაურეკა, მუსტაფა ეფენდიმ დასწერა პორტრეტები ჩემი, ჩემი ძმისა, შენი ბიძებისა და მინდა, რომ შენი სურათიცა მქონდეს ჩემს სასტუმრო დარბაზშიო. მერე როგორ მოხდა, რომ პორტრეტი კონსტანტინეს ქალიშვილის სახლში აღმოჩნდა, ახლა ვეღარ გამოარკვევ. მუსტაფა ეფენდიმ კი, რახან კაცთა ხატვას აგრე იყო გაჩვეული, სალომეაც ისე დახატა, როგორც მისი პაპა-ბიძები, მკერდამდე, მორუხო ფონზე და მიღებული შუქ-ჩრდილებით. ძნელი სათქმელია, ჩაუფიქრდა თუ არა მეტად ოხერ ცხოვრებაში მყოფი ქალის გუნებას და ისე იღვაწა, თუ გაჩვეულმა ხელმა წარიღო, მაგრამ მუსტაფა ეფენდიმ სალომეა დახატა, როგორც ახალგაზრდა კაცი.

ქალი, ოღონდ კაცი: და გასაოცრად გაუმართლა. ანუ, ძალაუნებურად, ოსმალო მხატვარმა ის დახატა, რაც იყო იმხანად სალომეა და უფრო ზუსტად ამის აღწერა შეუძლებელიც იყო. შინდისფერი თვალების გაავებული ელვარება, შემართული თავი,

მკაცრი ვარცხნილობა, კიდევ უფრო მკაცრი სამოსი, მეტად მცირე სინათლე და ტუჩები, რომლებიც სულ სხვანაირად უნდა გამოსვლოდა, მაგრამ სულ სხვანაირად, მომლოდინედ, თუ მოდარაჯედ კი დაეხატვინა.

შვილის ორი პორტრეტი დედის ორ პორტრეტს უცქერდა სასტუმრო ოთახში, ხოლო დედის ორი პორტრეტი - შვილისას. ისინი ერთმანეთს ჰგავდნენ რაღაცნაირი, თითქოსდა ველური მოლოდინით და მოუსვენრობით.

სარი ბეგის ქულაჯა

- უნდა მოგახსენო, შვილო ჩემო, რომ ეს კუნძულია. კუნძულიდან ვერ გარბიან და როდემდე უნდა გაჩერდე აქ? ბოლოს მაინც მოგაგნებენ, - აგათიას არც შეშინებია. კაცი ჯერ ჩანთების ამოთრევაში დაეხმარა, მერე კი, მოულოდნელად, სახლშიაც შემოაბიჯა. ნაირგვარი საჭმელ-სასმელით გამოტენილი პარკები იატაკზე დაყარა და სწრაფად მიკეტა კარი.

მერე კარს ზურგით მიეყრდნო და ბებია აგათიას უთხრა: - უნდა დამმალო, სარდალმა მითხრა, რო შენ დამმალავ.....

ბებია აგათიამ პირბადე აიწია თავისი გრძელი, კოტიტა, ბასრფრჩხილიანი საჩვენებელი თითით და თქვა: - იმ წუთში მივხვდი, რო ანგლეზი არ იყავი...

ახალგაზრდა კაცს უცბად შეემჩნა მკვდრისფერი სახე, დამძიმებული ქუთუთოები და როგორღაც, უსიცოცხლოდ ჩამოყრილი მკლავები. ასე იდგა კარს მიყრდნობილი. კაცს, ალბათ, უფრო იმიტომ ჰგავდა, რომ დაღლილი იყო.

- რა მოგივიდა, შვილო? - ჰკითხა აგათია ბებიამ.

- შენ... თქვენ, აგათია, - ამოისუნთქა ამან.

- რამდენი წლის ხარ, შვილო?

- ოცდათოთხმეტის.

- ჩემი შვილიშვილის ტოლი ხარ. რაღა მე ამომიჩემე, ბებერია და იოლად დავახჩობო? სარდალმა... ხეტია სარდალი... ხე-ხე-ხე...

- არა, ჩემი... მომდევენ გუშინდლიდან... ვაბშე, შენ...

- მოშორდი მაგ კარებს, დაჯექი აგერ... არჩილიანი ისე არ წაიქცევა, რო ანგლეზების კონსტებელს თავისი სტუმარი მისცეს, - თქვა უცებ ბებიამ, - დაჯექი აგერ. ყავა მაქ დალეული და თავში ცოტა ამივარდა, ამიტომ ახლა გაბრაზებული ვარ. ყველა მე დამეხვია... დაჯექი აგერ, მაგ სავარძელში. ჩემ დახჩობას რო დაიწყებ, ჯერ ძაან ბევრი ლოცვა უნდა თქვა, მთელი ერთი კვირა უნდა იმარხულო და მერე კიდევ წახვიდე, დეიკარგო ტყეებში, ცალკე დადგე არაადამიანად და მერე კიდე იმდენი იცოცხლო, რომ ისევ ადამიანი გახდე, - თქვა ბებიამ. ცოტა გამყივანი ხმა ჰქონდა, - რას დალევ? ვისკის დალევ, ჯინს დალევ, რას დალევ? გაგირიო რამეში? ძველებია სულ. ახალი არც მიყიდია.

- პაბეგში ვარ...

- სა ხარ?

- გამოვიქეცი, ვიმალები რა... - თითქოს დაწყნარდა ახალგაზრდა კაცი, - მე ვიცი, რო დედოფალი იყავი და ეხლა ისე ხარ. სამი დღე და ვაბშე წავალ, დავითესები აქედან, პროსტო დასარეკები მაქ და ფული არა მაქ.

- შენ ულვაშები მოგიხდება და კაი ძველი ჩასაცმელი, - ბებია აგათიამ დაბინდულშუშებიან კარს ხელი ჰკრა და მგონი საწოლ ოთახში შევიდა. სტუმარი წამოდგა, უკან მიჰყვა. ისე მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო: რა იცი, რა გამოეძრო ბალიშის ქვეშიდან ამ ბებრუხანას.

აგათიამ კი გარდერობის კარი გამოაღო და ისე, რომ არც მოუხედავს, უთხრა: - ბიჭო, რა სულელი ხარ. დამბაჩები სულ რედიკულით დამაქ, სროლა რო მდომოდა, კარებშივე მოგაყრიდი...

მოსულს გაეღიმა, აგათიამ კიდევ, რაღაც ძველმანი გამოაძრო გარდერობიდან: - ა, ეს არის სარი ბეგის ქულაჯა. შიგნით, ბეწვები ვეფხვის არი. ნახე, როგორი ნაქარგები აქ. მოიზომე ერთი... ას წელიწადზე მეტია, არ ჩაუცვამს არავის.

ყაჩაღს გაეცინა.

- არ მინდა, რა...

- გამომართვი, გამომართვი, შენ არ გინდა, მე მინდა, - ქულაჯა გაუწოდა დედოფალმა.

იმანაც უაზროდ ჩამოართვა და დაინახა, რომ ბებიას ერთი ციდა და მბზინავი პისტოლეტი უჭირავს ხელში.

- აბა, რას შვები ახლა, თუ მოგაცალე ესენი, - უთხრა აგათიამ თავის ქიცინით.

- გიჟი ხარ, ბაბუშკა... - გაეცინა ამას, - აი, აქედან აქამდე, სულ ტყვიები მაქ, - და თითი ჩამოისვა ბეჭიდან საქამრემდე.

აგათია მაინც ჯიუტად უღერებდა პისტოლეტს. პატარა მხრებით, მოკუნტული, ძალიან თეთრი ამ მზით გამოჭედილ ქალაქში და ნაოჭებით დასერილი, იმ ბებრულ ხელებზე მოყავისფრო, მკრთალი ლაქებით, ლაკის ძველებური ფეხსაცმელებით და თითქოს უადგილო ადგილას გამოჩრილი ძვლებით, იმ სასაცილო ფარშევანგის ბუმბულებით გულისპირზე: იდგა და უღერებდა პატარა, ვითომდა სათამაშო დამბაჩას.

ნიკას ეცინებოდა.

- აბა, ვინა ხარ მითხარი ეხლა, თორემ არ დაგალევინებ ვისკის, - ისევ გაუქიცინა თავი აგათია ბებიამ.

- ვისრამიანების სიძე ვარ, - უთხრა ნიკამ და ძალიან გაუჭირდა ამის თქმა.

- უჰ, შენ რა გითხარი, - ფეხი დააბაკუნა აგათიამ, - რა იცი, მე ვინ ვარ?

- შენ ხო ისა ხარ... - აბორძიკდა ნიკა, - ვიცი რა, შენი მამა მეფე იყო და მერე... ისა... ხეტიამ მითხრა. ხეტიამ მომასწავლა, ჩემი სახელით მიდიო, და დაგმალავსო. ყველა ერთად დამდევს, მე ვიყო გარეთ...

- ისტორიას გასწავლიდენ? კაისაც მოგიყვებოდენ, - აგათია ციხისთავმა არჩილიანმა პისტოლეტი გარდერობში შეჩურთა და ნიკას ხელი წაჰკრა, - მიდი, დალიე ვისკი. ახლა მითხარი, ლაპარაკი რა ენაზე იცი მაგ ჩიქორთულის მეტი?

- ინგლისური ვისწავლე... ცოტა.

- ანგლეზი? კაი გისწავლია, ანგლეზებს დავხვეტავთ აქედან...

- რუსული ვიცი.

- რუსულიო? მაგ კალათაში სათვალეებია, ის ამომიღე, ე, ოქროსფერი, კარგათ შემოგხედო. ქუჩაში ხო არ ვივლი სათვალეებით? ...კი, კაი ბიჭი ყოფილხარ. დაისხი ეგ, ნუ მაწვალებ ბებერ ქალს. ვისრამიანები ვერ მოვლენ აქ. არ მოსულან არასდროს... მაგიტომ მომიდარაჯდი?

ნიკამ თავი დაუქნია. ვისკი იყო საუცხოო, ზომაზე მეტად მშრალი.

- სასაცილო ბალახებს წევ?

ნიკას გაეცინა.

- ამ სახლში სანამ იქნები, არ გამიბოლავ... არ მიყვარს. ვისრამიანებს რა უქენი? მაგას სანამ არ მომიყვები, არ გამოვა...

- რა არ გამოვა?

- არ გამოვა. კაცი სამსახურში რო გეყოლება, უნდა იცოდე, რისი მაქნისია.

ნიკა მიხვდა, რომ აგათია ბებია ხუმრობას მორჩა.

რა უნდა მოეყოლა?

- ვიცი შენი სიძეობა, - თქვა აგათია ბებიამ სულ სხვა ხმით, - ახლა სხვა დროა. შენ კიდე, სანამ არ მეტყვი, ვინ ხარ და საიდან, საერთოდ ვერაფერს იზამ, იმიტო, რომე ამ სახლში კაცს არ დაუდგამს ფეხი რამდენი წელიწადია და აწი, როგორც შევხედე, ბევრი ხალხი ივლის, იმიტო რომე, ყველას დღეს გავახსენდი. შენისთანა სულელსაც დღეს გავახსენდი. ხეტია... კაი ხნის წინ არ იყო, რო ჯენოველების უბანში და კოსტას შვილიშვილს ესროლე ტყვიები? გამოგაქრეს მაშინ, ვისრამიანები არ გივლიდნენ? გიპოვეს სუნგალების ჰოტელში. საქართველომ მიატოვა არჩილიანები. დატოვა ზღვის პირზე, ოსმალო გავხდით, ვინ არ გავხდით. მერე ანგლეზი მოვიდა და ა, ეს სამი ოთახი. შენ კიდე, მომატყუე და სტაფილოებს შემოყევი ჩემ სახლში. ახლა რა ცეცხლი უნდა მომაყარო ისეთი, რო აქ აიშენო ციხესიმაგრე? ეგ დალიე და მომიყევი, რაც რა გიქნია და ვერ გიქნია და მერე ვნახოთ. ხეტია ოხერს უყურე შენ, ხალხს მიგზავნის... ვისრამიანებს რაც ოქრო აქვთ, იმის წონა არჩილიანებმა მონასტერს შევწირეთ და ვაჭრების სიძეს ფეხზე დგომას რო არ გეუბნები, მადლობა მითხარი.

ნიკამ დაუსტვინა. ისე, ძალაუნებურად.

- ძველი ბიჭი ხარ, ბაბუშკა?

- ეგენი არ ვიცი.

- განაბი ხარ, ჩემ თვალში განაბი ხარ, - ისევ გაეცინა ნიკას.

- აი, ეგ მომიყევი, - თქვა აგათია დეიდამ და ეგ საფერფლეც აქ დამიდე, - ეგ მომიყევი, ეს განაბი ვინ არი და ის ბიჭი ვინ არი.

მერე ნიკა ხახვის დაჭრაში ეხმარებოდა აგათია ბებიას.

რომ მოსაღამოვდა, ქალმა უთხრა: - შენ ხარ მეფის მარჯვენა. ხელს ვერ გახლებს ვერავინ. იჯექი ჯერ სახლში. მე უცხოელები წამომესია და იმათ ლაპარაკებს დავჭირდები.

- ვინ ვარ?

- მარჯვენა. შარმადინობა, თანამდებობაა ამნაირი. მე რომ მეძინება, ციხისთავი შენ ხარ. მარტო ღამე, დილას ისევ მე ვარ. უნდა უყარაულო, კოცონები დაანთო ოთხივე მხარეს, რომ ზღვიდან გამოჩნდეს. თუ მშვიდობაა, მაშინ. ომიანობის დროს კი არ უნდა დაანთო. ჭკვიანი ხარ და უბედური, სინდისი არ იცი, რა არის. მაგასაც გასწავლი.

ნიკას ისევ გაეცინა.

- მიდი, ნახე, ქაღალდი დავწერე უკვე და ბეჭედი დავარტყი, ხელიც მოვაწერე. შემოფიცული ხარ და აწი კადრებაზეა..... შარმადინათ დაგნიშნე. ჩემი შარმადინი ხარ.

უბრალო თეთრი ქაღალდი დაბალ მაგიდაზე იდო.

კაი მოცახცახე ხელით შეედგინა აგათია ბებიას. ალბათ მაშინ, როცა ნიკა ხახვს მიაყენა საჭრელად.

ბოლო სიტყვები განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო: ხელმწიფე ზღვისკიდურისა, მეფეთ მეფე სამისა კუნძულისა, წესით მოერთებულისა იოვანეს ერისა, დედუფალი და გამგე ციხისა, მხევალი იოვანე ნათლისმცემლისა, აგათია.

- ცოტა შევცვალე წოდებანი, ახლა სხვა დროა, - აუხსნა ბებომ.

ნიკა წაიკითხავდა, ნუსხური რომ სცოდნოდა.

- არ იცი ხომ მონასტრული წერა? გასწავლი, - ქვაბი შემოდგა ქურაზე აგათია ციხისთავმა არჩილიანმა. - ვისრამიანები... კითხვა მაინც ვერ გასწავლეს მაგ ფეხებდასიებულებმა?

მცირე შეტყობინება

ნიკა აბაიშვილს ბიჭობიდანვე გამოჰყოლოდა ერთი უცნაური და მოულოდნელი ჩვევა: ის ტირილით იძინებდა. საბანს წაიფარებდა თავზე და ტიროდა. თავისთავად, ხმადაბლა და ცრემლით. ასე იყო ყოველღამ. თვითონ ბოლომდე ვერ ამოეცნო, რისა იყო ეს ტირილი, მაგრამ შველოდა. ტირილი იყო მისი სიმშვიდე.

ხუთი ჭოგრიტი და მაყვლის ბუჩქები

მარმელადის ჭამა

მარმელადის ჭამა ბანქოს თამაშის ერთ-ერთი გამოთქმაა, რომელსაც პარტიის მსვლელობისას ვერ წარმოთქვამ, რადგან საწყენად დარჩება. ოღონდ, როდესაც გარეთ გამოხვალ, გამთენიის სუსხიც ზედ მოგესალბუნება და მოსეირე შეგეკითხება, როგორი პარტია იყოო, შეგიძლია, ოცი რამ მიუგო. ეს ოცივე სიტყვათა წყვილი თამაშისას იღბლიანობის ხარისხის გამომხატველია და ამათ შორის კი არის პასუხი, მარმელადსა ვჭამდიო.

ეს არ არის არც ხშირი და არც საუკეთესოობის გამომხატველი პასუხი. უბრალოდ, სანტა ესპერანსაზე უგანთქმულეს ბანქოს თამაშ ინტში არის ქაღალდების ორი-სამი ისეთი კომბინაცია, რომლებსაც კარგი არ ეთქმის, მაგრამ წამგებიანიც მხოლოდ სანახევროდ გახლავს. ამ დროს კი თავდამცველი ორი მოთამაშიდან ერთ-ერთი უსაქმურად რჩება, და ბანქოს გამოცვლას კი არ აპირებს, ვინაიდან გარისკვა არ უნდა და მეწყვილეზე კი არ ფიქრობს, არამედ თავის გადარჩენაზე. თვითონ თავდაძვრენილია შემომტევთა მოძალეობისგან და თავს ისე აჩვენებს, ვითომ ეულად დარჩენილს ეხმარება, სინამდვილეში კი ისვენებს, ანუ მარმელადსა ჭამს.

საკუთრივ მარმელადი სანტა ესპერანსაზე ურიგო არ არის, ოღონდ მხოლოდ შინ ნამზადი იყიდება და ერთადერთ ადგილას, გენუელების ქუჩაზე, ტორნატორეს ძველ საშაქარლამოში. თავად გამოთქმაც იქიდან არ წარმომდგარა, რომ მარმელადის ჭამა უსინდისობასა და მეგობრის ღალატს ნიშნავს. უბრალოდ, 1891 წელს საშაქარლამოს წინ ტყვია გავარდა, ლეგა ქარიანმა ინგლისელ ლეიტენანტს ესროლა, რადგან ცოლზე იეჭვიანა და ერთ საკრებულოში ხმამაღლა დაიძახა: - ეს ქალი ჩემი ცოლია თუ ფრანგი ლეიტენანტისაო.

- ანგლეზისა, ფრანგის კი არაო, - მიუგეს.

- ეს სულერთია, - თქვა მაშინ ქარიანმა, - დამბაჩა და ფინდიხი არ დაილევა.

და ასეც მოხდა. სროლის ჟამს საშაქარლამოში იმყოფებოდა ერთი ხნიერი ჯენოველი, მესირ მასიმო, რომელიც სწორედ ფანჯარასთან იჯდა და მშვენივრად დაინახა, როგორ დააღერა ქარიანმა დამბაჩა ლეიტენანტს, რომელმაც ხელები გაასავსავა და რაღაც შესძახა კიდეც, სანამ ჩაიკეცებოდა.

ატეხილი გამოძიების დროს ხნოვანი მასიმოც დაჰკითხეს, მან კი, ძველი ესპერანსული ჩვეულების თანახმად, არაფერი თქვა, ოც შეკითხვას ერთნაირად უპასუხა: - მე მარმელადს ვჭამდი.

აქედან მოვიდა გამოთქმა ინტის თამაშში.

დიდი გაზეთების ფურცვლისას

ლამურ მოსიარულეს უყვარდა, როცა თავის ბებერ, გამშრალ და მზით შერუჯულ მკლავებს დაალაგებდა მაგიდაზე. ყოველთვის ბიჭივით ეცვა, თუმცა კაი ასაკისა ბრძანდებოდა და ქუდიც კაი მაგარივით ჩამოეფხატა თავზე. ხშირად შეემჩნია: კაფეს ტერასაზე მჯდომს უცხოელები გადახუნებულ სვირინგებსაც შეუთვალიერებდნენ ხოლმე იმ თავის ბებრულ მკლავებზე.

ლამურ მოსიარულე გაზეთების მკითხველი კაცი იყო, თუმცა ხშირი მყიდველი არა. კაფეში ყოველთვის იპოვიდა ხოლმე ვიღაცის მიგდებულ, წანაკითხ გაზეთს, გემრიელად მოკალათდებოდა თეთრ სავარძელში, მუხლებს მაგიდას მიაყრდნობდა, გაიფენდა ზედ გაზეთს, გააწყობდა ამ გაზეთზე თავის საამაყო მკლავებს და ჩაუჯდებოდა საკითხავს.

რაღა დასამალია, ტურისტებს ბებერი როკ-მომღერალი ეგონათ, ის კი ჩვეულებრივი მოქალაქე გახლდათ. ერთი შემთვრალი გერმანელი ამხანაგებს უმტკიცებდა, პორტა ნოვას ქუჩაზე, კაფე „ფრონტერას“ ტერასაზე კიტ რიჩარდსი ზისო. ლამურ მოსიარულემ არ იცოდა, ვინ იყო კიტ რიჩარდსი, უბრალოდ, ასე ხმელად გადააბიჯა სიჭარმაგეში და სამოსიც მსუბუქი და შილიფი უყვარდა.

იმ შუადღეს ლამურმა „სანდი ტაიმსის“ ერთ-ერთი დამატება, საგაზეთო ჟურნალი დაინახა სკამზე და ჩვეულებისამებრ, ფურცვლა დაუწყო. მეოცედან ოცდამეორე გვერდამდე კარგა გაქანებული სტატია იყო სანტა ესპერანსას შესახებ. დამატება ტურისტული არ იყო და არც სტატია ჩანდა მთლად ტურისტული - ავტორებს, ჯეფრი ჩართინგთონს და ტევერენ მორანდს, სანტა სიტის კაფეების შესახებ კი დაეწერათ, მაგრამ ქალაქის განთქმული ვინმეებიც აღმოეჩინათ.

როცა გაზეთს ვკითხულობთ, ჩვენ უბრალოდ ვკითხულობთ მას. ვკითხულობთ და მორჩა. ახალ ამბებს შევიტყობთ და დიდი-დიდი ორი სიტყვით მოვიხსენიოთ ის ამბავი საღამოს, როცა ამხანაგებთან ჩამოვსხდებით. როცა ლამურ მოსიარულე კითხულობდა გაზეთს, ის სხვა რამეს კითხულობდა, ვინაიდან ამბავი ლამურ მოსიარულესთვის არ იყო მხოლოდ ამბავი, ამბავი მისთვის ერთი ნამცეცი იყო, რომელშიაც მთელი სამყარო დაეტევა და ამბავი მისთვის იყო ასანთის ღერებით ასაგები სასახლე. ამიტომ ლამურ მოსიარულემ წაიკითხა წერილი სანტა სიტის კაფეების შესახებ და ის საგაისო პოლიტიკურ მოვლენებს დაუკავშირა.

ეს ისედაც ყველგან ეწერა: ზაფხულის პირზე სანტა ესპერანსას საუკუნენახევრიანი ინგლისური მმართველობა სრულდებოდა და ქვეყანას დამოუკიდებლად უნდა ეცხოვრა. ამის გამო გამალებული მოლაპარაკებები ატეხილიყო ბრიტანეთის, თურქეთის, ამერიკის, რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს დიპლომატებს შორის. სანტა ესპერანსა ყველას უნდოდა, მაგრამ ყველა თანხმდებოდა, რომ ეს სამი პატარა კუნძული დარჩენილიყო ისე, როგორც არის, ვინაიდან ძალიან სახიფათო იყო, რომ რომელიმე ამათგანს თავისი მადა არა ფულით, არამედ ტყვია-წამლით გამოემჟღავნებინა. სახიფათო იყო არა მხოლოდ სანტა ესპერანსასთვის, არამედ ყველასთვის. ამიტომ უცხოელი დიპლომატები, ნაირგვარი ემისრები, ათასი

სიფრთხილისა და ხიფათის ადამიანები, ესპერანსას ვითომდა პარლამენტის უფლებათა გაზრდასთან ერთად ამ პარლამენტის შემცველობაზე ფიქრსა და კუნძულის მძლეთამძლე ადამიანებთან საიდუმლო თათბირებსაც მისდევდნენ. ძალიან ძნელი იყო რუსებისა და თურქების ერთმანეთში მორიგება. თურქეთი თავისად თვლიდა კუნძულებს, თუმცა საუკუნე-ნახევრისწინანდელი ინგლისურ-ოსმალური ხელშეკრულების ორი ვერაგი მუხლის წყალობით ამის ღონივრად გაცხადებას ვერ ახერხებდა. ხელშეკრულებას ორი მხარე აწერდა ხელს: სენტ ჯონის, იგივე სანტა ესპერანსას გამგებელი და პატრონი (ზუსტად ასე ეწერა) სარი ბეგ არჩილიანი და პოლკოვნიკი როლსტონი. რუსეთი თავის უსაფრთხოებაზე კი ლაპარაკობდა, მაგრამ კბილებს მაინც ილესავდა. თუმცა, ესე ყოველი ფრთხილად მოგვარდებოდა, ეპოქა ამის საშუალებას იძლეოდა.

ლამურ მოსიარულეს ალალი ფურთხით მიეფურთხებინა დიდი პოლიტიკისთვის. ეს ყველაფერი ტელევიზორიდანაც ისმოდა და რადიოდანაც. მისი ბიზნესი, მისი „კერძო სამსახური ლამური და პინგიო“ ყოველ დროში მშვენივრად იმუშავებდა. ლამურს ადამიანების ამბები აინტერესებდა და არა პოლიტიკოსებისა. ამ ამბებს ისე უვლიდა, როგორც გლეხკაცი უვლის ხოლმე ყანას და დასთესავს, მორწყავს, მოფარცხავს, მობარავს, მოთოხნის, მოიწევს, მოითვლის და მერეღა გაყიდის.

ლამურის ამბებიც ასე იყო. ის ისტორიას კვიცსავით ზრდიდა, ხედნიდა და მერე ჰყიდდა. ზოგი ამბავი ერთ საათში გაიზრდებოდა, ზოგსაც წლები დასჭირდებოდა.

სახალხოდ შეუმჩნეველი, მაგრამ გვარიანი პოლიტიკური ორომტრიალის გამო, თუ ვინ დაიჭერს წამყვან ადგილებს ინგლისელთა წასვლის შემდეგ ქვეყნის მმართველობაში, რომელი ოჯახები და გვარები მოეწყობიან ქვეყნის სამართავად, ლამურ მოსიარულე უკვე რამდენიმე ამბავს ზრდიდა და ზამთრისთვის გაყიდდა კიდეც, რადგან მამაპაპურად ეს იყო მისი ხელობა.

მაგრამ სანტა სიტის კაფეების ამბავმა ლამური მეტად ჩააფიქრა და ოციოდ წუთში მიახვედრა, რომ დიდი პოლიტიკის ბუნაგიდან სულ ერთი ბეწოზე გამოყოფილ კუდს გადააწყდა.

ჯერ ერთი, მოსიარულე იცნობდა ტევერენ მორანდს. უფრო სწორად, ენახა ის კაცი, რომელიც თავს ფრანგ ჟურნალისტს უწოდებდა და აცხადებდა, ლონდონის მოკალმეებს მე ვამარაგებ ნაირგვარი დახლართული ისტორიებითო. მისი ფრანგობისა არ სჯეროდა, ეგებ ბაბუა ჰყოლოდა ფრანგი და იმის იქით კი - არავინ. მორანდი, ყავახანებს და კაფეებს რომ აღწერდა, იქ მყოფ ნაირგვარ ადამიანებს ესაუბრებოდა სულ ნაირგვარ საკითხებზე და იმათ შორის კი იყო აგათია ციხისთავი არჩილიანი, მოხუცებული ხანუმი, უკანასკნელი შთამომავალი კუნძულის გამგებელ სარი ბეგისა, ვინც ინგლისელებმა ხახამშრალი დატოვეს. ეს საკვირველად არ დაურჩებოდა ლამურ მოსიარულეს, რომ არა ერთი უცნაური წინადადება: „ის მართლაც მშვენიერი დედოფალი იქნებოდა, ქვეყანა ხომ, უპირველეს ყოვლისა, ღირსება გახლავთ და ქვეყანას, რომელიც ტურიზმით აპირებს ცხოვრებას, აუცილებლად უნდა ახსოვდეს ღირსება, რასაც აგრერიგად განასახიერებს ეს არცთუ შეძლებული მოხუცი ქალი.“

ლამურ მოსიარულემ ჭიქა თეთრი ღვინო მოითხოვა, გააბოლა და ჩაფიქრდა, შეხედა ხალვათ ქუჩას ტერასის წინ, მერე ძველ სადარბაზო კარს ქუჩის გადაღმა და გაიფიქრა,

რომ ეს ყველაფერი ტყუილად არ ხდება და რომ ინგლისელები კუნძულის დროშას აუცილებლად ამ მივიწყებულ ქალბატონს, აგათია არჩილიანს გადასცემენ. მან ისიც იფიქრა, რომ ინგლისელებს უკვე მზადა აქვთ საიდუმლო გეგმა, რათა აქ თავისებური მონარქია დაამყარონ, რაც სიმშვიდისა და წესრიგის პირობა იქნება.

„თვითონაც ხომ ჰყავთ დედოფალი. ზუსტად ასე იქნება," შეადარა და კვამლი ჰაერში გაუშვა.

ამის შესახებ არც გაზეთებს დაუწერიათ, არც ვინმეს უთქვამს. ბებრუხანა არავის გაახსენდებოდა, ინგლისელების გარდა. მათ ასე იციან, ვითომ არ ახსოვხარ და მუშაობენ. ამბავთა მრავალფეხიანობიდან გამომდინარე, სწორედ რომ ყველაზე დამალული ამბავი გამოდგებოდა საჭირო და მოსახდენად სასურველი. ეს ყველაფერი კი იქიდან გამომდინარეობდა, რომ ინგლისელებს ამ ქვეყნის სიმშვიდე სურდათ.

ყველას სურდა ამ ქვეყნის სიმშვიდე, მაგრამ საქმეები ინგლისელთა ხელში იყო. ო, დიახ, რა თქმა უნდა. მან კარგა ხანს იფიქრა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ტევერენ მორანდი და გადაწყვიტა, სულ ოდნავ მოექექა რაღაცეები.

ლამურ მოსიარულემ ასევე იფიქრა, რომ აგათია ციხისთავი არჩილიანი მოხუცი, დაფახფახებული ქალია, მაგრამ არ არსებობს მოხუცი და დაფახფახებული ქალი, რომელსაც დედოფლობა არ უნდოდეს, მით უმეტეს, თუ ეს დედოფლობა გვარით მოსდგამს.

ლამურ მოსიარულე ბიბლიოთეკაში წავიდა, ფეხით.

ეს იყო პატარა, კერძო ბიბლიოთეკა კათოლიკური საძმოსი.

იქ პირდაპირ თაროებში შევიდა, ათიოდე წიგნი გამოქექა და ერთხანს ფურცლავდა, გვარიანად დაფიქრებული.

მეორე დღეს მან პატარა ფარნა, ფარნა მედროშის ვაჟი მოძებნა. მედროშეები მოდგმით ინტის მოთამაშენი იყვნენ, წარსულით კიდევ არჩილიანთა დინასტიის მებაირაღენი, ანუ სულ გვერდით ედგნენ მეფეებს, ციხისთავებს და ფაშებს.

ლამურ მოსიარულემ ძალიან ბევრი რამ აუხსნა პატარა ფარნას, რომელსაც საერთოდ არ აინტერესებდა პოლიტიკა და მგონი, ცხოვრებაც იმდენად აინტერესებდა, რამდენადაც შეიძლება აინტერესებდეს კაცს, რომელიც ყველაფერს მიმხვდარა, მაგრამ ერთგულად მისდევს ბედისწერას.

- ეხლა არ ვიცი რა მოხდება, ჯერ ყველაფერი არ ვიცი, მაგრამ შენ ფარნას შვილი ხარ, - უთხრა ლამურ მოსიარულემ, - ამიტო წინდაწინვე გეუბნები: შენ მედროშე ხარ. შენს მეტი დროშას ხელს ვერავინ მოკიდებს. თუ დროშას მეფეს გადასცემენ, იმან მარჯვენა ხელით უნდა გადააწოდოს მედროშეს, სხვას არავის. სხვა ვერ აიღებს, ხვდები? წესია ეგეთი. ამიტო შენ დაგიძახებენ.

- ვინ დამიძახებს, - გაეცინა ფარნას, - ის ბებერი ქალი?

- ფარნა, პატარა, შენ ხო ინტს თამაშობ, არა? შენ ხო წინდაწინ მიხვედრა იცი? ეგრე იქნება... ამიტო, მზად იყავი, რა იცი, ვინ მოვიდეს. ახლა მიყურე, გუშინ წიგნებში წავიკითხე. შენ მარტო არ ხარ. მეფე რო გამოდის, ოთხნი მოყვებიან: მედროშე,

მარჯვენა, სარდალი და მესაჭურვლე. შენ გიპოვე, ახლა იმ სამ კაცს ვპოულობ, ფული ამიტო გთხოვე. შენთვისაც ვპოულობ, გაიგე? თქვენ გვარი გქონდათ ეგეთი, ჩემი არ იყოს და ეხლა სად ვიპოვო მარჯვენა და მესაჭურვლე? მერე კიდე დედოფალზე გავალ. შენც რას გაიგებ, მითხარი...

ფარნას კვლავ ჩაეცინა. ფარნამ იცოდა ადამიანისა, მით უმეტეს კი ლამურ მოსიარულისა.

- შენ ისევ მოსიარულე იქნები? გვარი ხო შენც ეგეთი გაქ.

- ჩემ მაგივრად უკვე გაზეთია გამოგონებული, - თქვა ლამურმა, - ეგეც არ იყოს და მე ჩემი გვარის ხელობა ვარ, თქვენ კიდევ თამაში დაიწყეთ...

ვერაგი კაცი იყო ლამურ მოსიარულე. ვირეშმაკა ხომ იყო და იყო. მოსიარულე სხვანაირი როგორ გამოვიდოდა? ფარნამ არ იცოდა, რა მოიფიქრა, მაგრამ სამისოდ რომ არ მოუფიქრებია, ამას კი მიხვდა. მოსიარულემ კარგად იცოდა, რომ ბოლო დროს ფარნას ძალიან შეუამხანაგდა დათა ვისრამიანი, ინტის მდიდარი მოთამაშე და ისინი განუწყვეტლივ ერთად უსხდნენ თავდაცვით პარტიებს. ვისრამიანები ძალიან ღონიერი ხალხი იყო. ვინ იცის, ლამურ მოსიარულეს რაღაც ვისრამიანული ამბების შეტყობა სწყუროდა და ფარნას იმიტომაც მოუცუცქდა. მოსიარულე მთლიანად ვერ მოიგონებდა ამბავს, ეტყობოდა არც იცოდა და ახლა იწყებდა ქექვას. ის არასოდეს ზემოქმედებდა ამბებზე. მხოლოდ იძიებდა, როგორც მატლებს ეძებენ მეთევზეები, რათა ანკესზე წამოაცვან.

- მე მატლი ვარ? - ჰკითხა ფარნა მედროშემ.

- შენ ფარნას შვილი ხარ, - ყოვლად უსირცხვილოდ მიუგო ლამურ მოსიარულემ.

ყოფაი და ცხორებაი მარჯვენისა შარმადინისა, მორჩილ ნიკოლაოსისა

(პანტელეიმონ ბერის ჟამთააღმწერი რვეულიდან) სახელითა მამისაითა, ძისაითა და სულისა წმიდისაითა, აბაის შვილსა, ნიკოლაოსსა თფილისისა შუილსა შეუნდევ.

ნაფერ არს ამბავი ესე ნება-ნდომებითა ათასისთავისა, მარჯუენისა ხელისა ციხისთავისა ხელმწიფისა ჩუენისა აბაის შვილისა ნიკოლაოსისა, დაბადებითგან მდ წლისა, ქართუელისა, საქართუელოისა, მეფესა ჩუენსა ხელმწიფესა ციხისთავისა არჩილიანისა მსახურებასა შინა მყოფისა.

ნაფერ არს ამბავი ესე მოსურვებითა აბაის შვილისა ნიკოლაოსისა, რომელმან არა იცოდა წერილობაი მონასტრული და ზიარებასა შინა და აღსარებითა მისითა უკანასკნელითა დღესა მას ხუთშაბათსა, ცისკარსა გვეაჯოს ჩუენ პანტელეიმონს გლახაკსა ღმრთისასა აღიწეროს ყოველი ცხორებაი მისი სიტყუათაგან მისთა, რაიცა ადრევე უამბნია ჩემდა ნდობითა და დიდითა სიყუარულითა.

და დავდევ ფურცლად სახატად, მე, პანტელეიმონ, იოანე ნათლისმცემელისა მონამ და გიამბევ ვითარცა თავად მომითხრა ესე მონასტერსა შინა.

დაბადებითა ნიკოლაოსისა ქართუელისა იხარა მამამან მისმან თფილისსა შინა ადგილსა, რომელსა ეწოდების ვერე და დია იქმნა დიდი სიხარული და აღიზარდა ნიკოლაოს სიყვარულითა დიდითა. მამასა მისსა, ანზორ, ეპყრა ქარხანაი დიდი ადგილსა მას გარდმანისასა და ყოველი, რაცა მოესურვებოდის ნინველ-ყრმობასა შინა, ნიკოლაოსს ჰქონდევ. ვითარცა იცნა ჟამსა მას ბოლოსასა, მას ჰქონდევ ყოველი სიმდიდრეი და ნებაი და ოჯახიცა მისი იყვნეს კეთილ, არა ჰქონდეს ოღონდაც სიბრძნეი სულისა და გონი ფიქრისა, ოდენ გონი ცხორების ამაოებისა ჰქონდევ და ნიკოლაოსიც ყრმა იზარდა ამ ხერხ და ამ ბილიკ, ასრე რომ რა იქმნას ყრმაი, იმან იცოდის ოდენ სურვილნი ცხორებისანი, ხოლო ვალნი არა იცოდის, - სთქუა ნიკოლაოს.

მამაი მისი ანზორ იყვეს კეთილ, მუშაკად მხნეი და მოყუარეი მის ქეიფისა და გაცხრომისა, ხოლო შუილსა თუისსა ცხენზე არ შესუამდის, თუ რამ ფარსაგი შეხვდებოდის, მივიდოდეს მთაურობასა შინა და ანცა სიტყუით ანცა ძღუენით გამოიხსნიდეს შუილსა თუისსა და ამხანაგთა მისთა.

ვერესა ალაგსა შინა და მეზობელსა მისსა ვაკე ალაგსა მრავალნი იყუნეს ყრმანი და ჭაბუკნი ასევითარ ოჯახისა სიმდიდრითა ქებულისა და სწავლითა განთქმულისა და იცნობდის ყოველი, ხოლო ყრმანი და ჭაბუკნი ესე მისდევდის განცხრომასა მას ეშმაკეულსა ბალახისა მის ხითხითასი წევასა და მათრიაქებლისა მისისა მოსარჩენელისა წოდებულისა წამლად შთარსხმას სხეულსა შინა ნემსითა სააქიმოთი და ესევითარ განიცხრობოდის. ხოლო მამათა თუისთა არას ეტყოდიან, რამეთუ ეკრძალვოდიან რისხუასა მათსა, ხოლო ფასი ამისა არა ჰქონდიან, თუმც კი ოჯახისა სიმდიდრე წინა ედვას, ოღონდაც ვერ შესთხოვდიან, მოგუე ჩუენ ფასი წამლისაი და ამისა მიზეზითა იპარვიან შინაცა და გარეთაც და მეკობრეობასა იქმოდიან, ხოლო მამათა და დედათა მათთა არა უწყოდიან.

ესე ყოფილიყო ჟამი რუსთა მეფობისა ქართლსა ზედა და ყოველნი ყოფილან მოშიშარი რუსის წესისა და დილეგისა მისისა, თუმცაღა ოდეს ფარსაგ მოხდებოდეს ამათ ყმაწვილთა ზედა, მამანი ცდილან ძღუენი იგი მიეწიათ კაცთათვის რუსთა და გარმოხსნათ ციხეთა შინა შუილნი თუისნი.

და არავისა უყუარდნეს ყმაწვილნი ესე.

ხოლო ოდეს წარვიდეს რუსნი და დაუტევეს ქუეყანაი ქართლისაი მათ ქართუელთა, ყრმათა და ჭაბუკთა მათა და იმათ შუა ნიკოლაოს ეშმაკთაგან გულაღრეულმან შეადგინოს გუნდი იგი მეკობრეთა, თოფ-დამბაჩითა ქებულითა იწყის რბევაი იგი მედუქნეთა, მექარხნეთა, მეაბჯრეთა, მეფულეთა და აართვიან ყოველსა საგანძურსა და სარჩოსა ყოველსა და იქმნან სახელითა საცნაურ, ვითარცა ავნი და პირმხეცნი, ხოლო ჟამსა მას იქმნა ომიანობა ქართლსა შინა და გუნდსა მას მეკობრულსა უხმა მოხუცმან კაცმან დია ფიქრთა მაშლელმან სახელითა გაბრიელ და ქმნა ლაშქარი მეკობრეთა და განაზავა იგი კაცითა მით წესიერითა და მივიდეს ხმალდახმალ მთავრობასა ზედა და იმარჯვიან და განიხარიან.

ხოლო მეკობრენი ესე ჭაბუკნი ავნი შეიქნეს სპაი იგი სამეფოი და მეკობრეობასაცა მისდევდიან და ყოველნი ხალხნი აწუხებდიან და იგლოვნიან მათსა ზეობასა. და იქმნა მრავალი ომი და იყვნეს ესენი ყოველსა ომსა შინა და ბრძოდიან მამაცურად, ვითარცა ლომ და ვითარცა მახვილი იგი უდრეკი და მრავალნი დაიკოდების და

მოკუდეს და განისვენებდეს და მოდიოდეს ახალნი და ახალნი იგინი ჭაბუკნი მათ ერთობასა შინა, თოფ-დამბაჩისა მოყუარი და ხითხითისა ბალახისა და ეშმაკეულისა წოდებულისა წამლად.

ხოლო აბაის შვილი ნიკოლაოს იყო ყოველსა მას ომსა, მეკობრეობასა და წამლობასა შინა, რასაცა იქმოდიან. მამა კი მისი ანზორ მოკუდა გულისა ხეთქუითა, არღარა იყო ქარხანაი მისი და არცა რა, იყო ქუეყანასა ქართლისასა შინა ოდენ ფინდიხისა, ქარისა და მტრობისა.

მეკობრემან აბაის შვილმან ნიკოლაოს იხილა ამბავსა ერთსა საგლოვოსა ქალი იგი მტირალი და ინდომოს, ხოლო ქალი ესე ქვრივი მცნობისა მისისა თანამბრძოლისა და სძლია ეშმაკმან ნიკოლაოსსა ჭაბუკსა და განუტეხა ქალსა გულისთქუმაი თვისი, ხოლო ქალი იგი, ეკატერინე, ლამაზი და მოტირალი, ყაბულს იყო ნდომითა თვისითა და წაჰგვარა ნიკოლაოს იგი თანამბრძოლსა სხუასა მის მოყვარესა და იქმნა მრავალი ბრძოლა ამათ შორის, ვითარცა წერილ არს ძველთა ჭაბუკთა წიგნთა შინა და არც ერთი იყო მჯობი, ხოლო უკანასკნელსა მას შეყრასა ნიკოლაოს სძლია და მოკუდა იგი სხუა ქმარი მის ეკატერინეისა, ხოლო ნიკოლაოს არღარა ედგომებოდის ადგილსა მას თფილისისასა. ამხანაგნი, თანამბრძოლნი და მეკობრენი მისნი მტერ იყვნეს აშფოთებითა, ვითარ იყუარა ქვრივი და ამისთვის ვითარ მოჰკლა ძმადწოდებული იგი?

და მოეწიოს ნიკოლაოს სარჩოთი თვისითა ბიზანტიონს და ყოველსა ქართუელსა ემალებოდეს მალვითა მისითა, და ვერა დგებოდეს ადგილსა ერთსა, ხოლო აბგა მისი განვსილი საჭურჭლითა მისითა მპარავთ წაიღიან. ანცა განქრეს და მოვიდეს იგი კუნძულსა მას იოანესასა ღატაკად და დადგეს მათ სუნგალთა სახლსა, ხოლო სუნგალთა უყუართ ყოველნი ქართუელნი და შეიტკბეს იგი ვითარცა ძმაი თუისი, ნიკოლაოს კი განკვირდეს, რაი არს ქუეყანა ესე? ვინაიდან არა იცოდეს საცოდნი იოანესი, ხოლო წესი ვისრამიანთა გვარისა, გვარისა მის მძლესი და ახირებითა რეც მყოფისა ყოვლისა სხუისა და ყოვლისა ამ გუარსა შენახულად წოდებულისა გარე მდგომისა არს მოყუანა სიძისა თუისისა ქართუელისა საქართუელოისა და რძლისაცა აგევე და რა იხილა კონსტანტინემან ვისრამიანმა პაპამან გუარისა აბაის შუილი ნიკოლაოს ჰასაკითა შუენიერ, კისკას და რეგუენ მზერითა და მტკაველობითა თუისითა ათასის ძღუენითა, მოსცა მას შვილისშვილი თუისი სალომეი ასული კაიასი და ნიკოლაოს იფსკვნა გუირგუინი სალომეისთანა და არა უწყოდა ამბისა თავსა და ბოლოსა, დაღაცათუ ეხარბნა მძლეობასა ვისრამიანისასა და ცხორებასა ნცხრომით განცხრომილსა, ხოლო სალომე კაიასმან ასულმან რქუა მას: ქორწილამდის არა ჰქნა ქმრობაი ჩემი, არა არს წესად კაცთა ხარბობით ირთვას ცოლი.

ნიკოლაოს გუეტყოდის ჩუენა მონასა იოვანესასა: არა ხარბობაი იყვნეს ქცევაი ჩემი, არაა ხირებაი, არცა ქალისა ნდომაი პილწი. გვიანის სჯით იყვნეს ესე ბედის ძიებაი დევნილისა კაცისა მისისა უთვისტომოისა, მოტირალისა და მოფიქრალისა, რამეთუ იდვას წინა ქაღალდი უხატუელი და იხატოს ბედი ახალი, თუცა რქუა მას სალომემან ასულმან კაიასმანი, სხუაი მიჩანს მიჯნურად ჩემად და სხუისა მონად დავდგები და არა ნებავს სახლსა მას ჩემსა ჭაბუკი იგი და დავდვა ცხორებაი ჩემი მისდა ზუარაკად და ტრფობად მისად და არა იქმნა ქმრად ჩემდა გეაჯები და ნიკოლაოს არა მორწმუნემან სიტყუისა ღუთისა, წრფელისა სიტყუისა ქალისა მის უბედურისა და უზიარებლისა რქუა ქალსა, იქნების შუებაი ჩუენ ორთა შორის და ყოველი რაიცა

მეკობრობითა გულბალღამი და ძალი ეშმაკეულისა ჰქონოდეს, უხმოს მათა და იწყას ასევითარ მართვაი თვისისა ოჯახისაი ქალისაი კაიას ასულისაი.

ხოლო ქალი იგი არა დაიშლიდეს გულისნადებსა თუისსა და დაკოდოს ცეცხლითა მიჯნური ამ ქალისაი ნიკოლაოს და სცემდეს ხელითა და ყოვლითა საცემელითა მას ცოლსა თუისსა და პირმხეც და ამპარტავან იყუეს და მოეცეს შუილი ცოლისაგან თუისისა, ხოლო ქალმან რქუას: არა არს ძალი მომდრეკი ჩემი და იყოს ცეცხლი ჩუენ ორთა შორის და აწცა მოკუდები, ვითარცა შუილი ეშმაკისა მონაგარი წყევითა ჩემთა ბაგეთა, ხოლო ვისრამიანთა რქუეს, ვინა არს სიძეი ჩუენი, სცემდის და კოდავდის ვისრამიანის ქალსა, იყუეს იგი ცალკერძ ჩუენ, მეორეკერძ კი მეკობრე და ყაჩაღი და რა დაატყო ნიკოლაოს, რამეთუ არღა ედგომების იოანეს ქალაქსა, ივლტოდეს და სცოდნიყოს ამბავი დედუფალისა და მივიდეს ვითარ ამხანაგი ხეტიასი, ძუელისა სუნგალისა სახლსა მას სადედოფლოსა და აუწყებდეს დედუფალსა ვინცა არს და ეაჯებოდის დადგომად იქა. ხოლო დედუფალმან შეიტკბო მხეცი იგი და რა დაატყო არცა სიმხეცენი ოდენ ხასიათსა მისსა გუნებასა ეშმაკეულისა, არამედ უდრეკობაი და უშიშობაი მის და ნამცეცი გულისა მისისა კეთილად, უბოძის სახელო მას მარჯვენაისა, ციხისთავის მხლებლისა შარმადინისა.

ხოლო ოდეს მონასტრად წარმოიმართის დედუფალი ლაშქრობითა თუისითა იდუმალითა ნიკოლაოს ვითარცა მარჯუენაი თანა ახლდის და დედუფალისა ნებისათა უმაღლესისათა დადგეს მონასტერსა შინა სავანესა ჩუენსა ბრძანებითა მის დედუფლისა მომლოდინეი და უბედურმან ნიკოლაოს რა ისმინა სიტყუა ღუთისი, რა განეხსნა გზანი სულისა ცხონებისანი, იმუშაკა დიდად და კეთილად, ვითარცა ქრისტიანემან ჭეშმარიტმან და მიეტევა მისატევებელი და იწყო მსახურებაი ქრისტესი მაცხოვრისა ჩუენისა და დგეს მონასტერსა მას და იოცნებდის, ოდეს გავათაო სამსახური ჩემი, ვიდოდე მონასტერს მას იოვანესასა მორჩილად თქუენდა და მემოსოს ჯუალოი ბერისა და ვიყვნე ერთი ქრისტიანე თქუენ შორის, სახელითა მამისაითა და ძისაითა და წმიდისა სულისაითა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

და შეიტკბობდეს მას ჟამსა მსახურებასა და მუშაკობასა თვისსა და მოელოდიან დედუფლისა ჩუენისა სიტყუასა და უხაროდინ სიმშუიდეი სულისა და ნახვაი სავანისა ჭეშმარიტისა და ყოველი ესე დაუფარავ მოუთხრო ნიკოლაოს გლახამან ღუთისამან პანტელეიმონს მას ბერსა მონასა იოვანესასა და ეაჯების აღეწერა ცხორებაი მისი და გამოხსნაი მისი კლანჭთაგან ეშმაკეულისა და შეცოდებანი მისნი ეხსენებიოს სხუათა მოსასმენად, რამეთუ არღა შესცოდის სხუათა და ესრე ყოველნი ამბავნი ნიკოლაოსისა აღვწერე მე პანტელეიმონ, უფალო შეუნდევ საბრალოსა მას და იყვნეს ფრთათა შენთა ქუეშე სამოთხესა შინა საბრალოი იგი მონაი შენი აბაის შვილი ნიკოლაოს, რომელიცა გუეტყოდა, სხეულისა ტკივილი არა არს საცნაურ კაცთათვის, სულისა ტკივილი არს მწოველ. ღმერთო, შეუნდევ, ამინ.

პარდონ ბელის ოხუნჯობანი

- აქ არას მოგახსენებთ იმ ცნობილი ამბის შესახებ, შვიდი ქალაქის ისტორია რომ ჰქვია. შეგიძლიათ, წიგნები გადაფურცლოთ. თუ წიგნების გადასაფურცლი დრო არა გაქვთ, მაშ, გადმოიღეთ თაროდან უბერებელი ლექსიკონი ბრუერისა, მისგან

მოწესრიგებული ამბებისა და გამოთქმებისა, აბა, რამსისქე კრებული და იქ მოიძიეთ ექვსიოდ სტრიქონად მოთხრობილი ამბავი შვიდი ქალაქისა. იქვე შეიტყობთ, რომ შვიდი ქალაქი მდებარეობდა კუნძულზე და ამ საქმეში მავრები მხოლოდ ხმლითა და გაუმაძღრობით არიან გარეულნი, ვინაიდან, მათ რომ ესპანური მიწები არ ეპყრათ, შვიდი ეპისკოპოსი პირენეიდან არ გასცურავდა და ბედნიერ, უნახავ კუნძულს არ დააარსებდა, სადაც შვიდი ქალაქიც ვერ მოიწონებდა თავს. იმ კუნძულზე ჩასული ბევრი უნახავთ, უკან დაბრუნებული - არავინ. ეს ზღაპარია, მშვენიერი მითია, რომელიც შეიძლება აიხსნას ესპანელთა იდუმალი ლტოლვით ოკეანის სივრცეებისკენ, რაიც მოგვიანებით დადასტურდა. ყოველი ზღაპრის გუდაში სინამდვილის ერთადერთი მარცვალი აგდია ხოლმე და ეს მარცვალი ათას ტყუილ მარცვალს შორის დაცოცავს. მობრძანდით და გამოარჩიეთ, თუ გნებავთ ღამის ცხრის ნახევრამდე ეძებეთ და მერეღა ივახშმეთ. ვერ იპოვით, იმიტომ, რომ ზღაპრიდან სინამდვილის გამორჩევა მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, ვინც წარსულს კი არ იკვლევს, არამედ გრძნობს სხეულის ყოველი ნამცეცა ადგილით.

ეს საოცარი თვისება მე ადრიდანვე აღმომაჩნდა, ოღონდ მერეღა შევიტყვე, რომ წარსულს გასაოცრად შევიგრძნობ. ბევრი მკითხავს, რა რჯულისა ვარ: ქრისტიანი, მუსლიმი, იუდეველი თუ ბუდისტი, ანაც რომელიმე აფრიკელი. მე ყველა ამათგანი ვარ ისე, როგორც ეს იყო ძველ დროში. ვინაიდან მე სიბრძნეებს ვფლობ და ვხედავ ყოველ ამბავს არა ისე, როგორც ამას ხედავს ყოველი კაცი, ანუ უბრალოდ და ზედაპირულად, როგორც ქაღალდზე ნახატს. მე ვხედავ ისტორიას და წარსულს, როგორც შუშაზე დახატულ რაგინდარა ამბავს, მე ვხედავ იმ შუშის უკან და ვხედავ ნახატს ორივე მხრიდან. ასეა. მე ყველგან ვიყავი.

როდესაც კალატაფიმთან გარიბალდიმ... მე იქ ვიყავი. ვიყავი, სერ!

მე ვახლდი ლორდ ბაირონს, ვარსკვლავიან ღამით, პატარა გემით იარაღი რომ მიგვქონდა ბერძნებისათვის. მე ის მენავე ვიყავი, ლორდს რომ დააცურებდა. მე იქ ვიყავი, სერ!

მე ვიყავი, როცა მაკედონელი გადაეშვა გალავანს იქით. მე მათ გვერდით ვიყავი!

ცხადლივ ვხედავ და არც მავიწყდება ის, რასაც ვხედავ. ამიტომაც მე ვიცი, არ არსებობდა შვიდი ქალაქის კუნძული, რადგან მე იქ ვიქნებოდი. მე შევსვი მკვდარი ელ სიდი ცხენზე და ხელში შუბი მივეცი, რათა ჯარისთვის ესარდლა.

ყოველ კუნჭულში ამ დედამიწისა მივსულვარ. მე ვიყავი იქ, როცა მუჰამედ ტაფიკი იდგა თავისი სასახლის ვერანდაზე და უცქერდა დაცლილ და დადუმებულ დელის, რადგან თვითონ გაასახლა მთელი იქაური მოსახლეობა დავლათაბადში და ტკბებოდა სიჩუმით. მე იქ ვიყავი და ვეუბნებოდი, არა ქნა ასე-მეთქი, მერე ეხვეწებოდა თავის მონებს, მოდით, დელიში დასახლდითო, მე იქ ვიყავი.

მე ვიყავი, სერ, მე ყველგან ვიყავი და ახლა აქ მოვედი, ვინაიდან მე ვიცი ეს ყველაფერი. ამ კუნძულების ნამდვილი სახელიც ვიცი და ყველაფერი დავთვალე. მე წავიკითხე ჰანსლოუს წიგნი და მის უკან ყველაფერი გამოჩნდა. მშვენიერი წიგნია „სანტა ესპერანსას ანალები“. რატომ აქამდე არ მოვედი აქ? აქ არაფერი მომხდარა და იმიტომ. წიგნი არაფერ შუაშია, უბრალოდ, მე დავინახე, რომ აქ იდუმალი

დედოფალი ცხოვრობს. აქ ცხოვრობს დედოფალი, რომელიც საიდუმლოდ მართავს ქვეყანას.

და ამიტომაც, მის მსახურად მოვედი. მე მოვედი, რათა დედოფლის მესაჭურვლე ვიყო. ეს არის ჩემი ხელობა, მე ვარ მესაჭურვლე და რა სწორად ამოვიცანი, რომ დედოფალს არ ჰყავდა მესაჭურვლე. შეუძლებელია, რომ ჰყოლოდა. მე ვხედავდი ამ ამბავს. მე აქ ვიქნები, სერ!

მე ვიქნები ჩემი გულის ბანოვანთან.

უბეში მაქვს პორტრეტი დედოფლისა. აი, ეს ზეპირად დავხატე და დახეთ, როგორ ჰგავს?! დახეთ, როგორ ჰგავს? იმიტომ, რომ მე ვხედავ იმას, რაც იყო და იმას, რაც იქნება. მე ვხედავ არმიებს და დედოფალს მათ წინამძღოლად, ვხედავ შვიდი ლაშქრის შერკინებას და ჩვენს უპირობო გამარჯვებას.

კი, ხელობა როგორ არა მაქვს... გეოგრაფიის მასწავლებელი ვარ, სახელმწიფო სკოლისა. ოღონდ, დავანებე თავი. რატომღაც აღარ სჭირდებოდათ გეოგრაფიის მასწავლებელი.

აი, ამას ვუყვები იმათ, ვისაც აინტერესებს, რატომ მოგეტმასნეთ. ასეთი ადამიანები კი აქა-იქ უკვე გამოჩნდნენ. ტექსტი დამუშავებულია. ახირებული ინგლისელი, გეოგრაფიის მცოდნე, ეგზოტიკის და ისტორიის მონა, - ჩაიცინა ბელმა.

- ზეპირად კარგად დაგისწვლია, - თქვა აგათია ციხისთავმა არჩილიანმა, - შენი დაწერილია?

- როგორ გეკადრებათ... საერთოდაც, რაღაცეები ძლივს დავიმახსოვრე.

ნათამაშევზე

ისინი მარმელადს როდი ჭამდნენ ერთმანეთისთვის. ისინი თამაშობდნენ და ფარნა მედროშე გრძნობდა, რომ დათა ვისრამიანი ენდობოდა მას.

უკვე მეოთხე პარასკევი და შაბათი ითამაშეს ერთად და სწორედ ეს გამოვიდა ყველაზე კარგი. ისე, რომ თავდამსხმელებმაც აღიარეს, ერთმანეთისთვის დაბადებულხართო.

კარგი პარტია გამოვიდა, კლასიკური ინტი იყო. ოთხი საათის განმავლობაში ეს ორნი თავს იცავდნენ, ოთხნი კი უტევდნენ. ოთხეულიც კარგა მაგარი შეეკრათ: ორნი ძმები თარაიები იყვნენ, ერთიც ალე მადიანი და კიდევ ერთი კარმინე, რომელსაც ყველა იცნობს და ამიტომ სახელი საჭირო არ არის.

თარაიებმა ბანქოს ქაღალდის ისე დალაგება იციან, რომ შუაში საზღვარს არ დაუდებენ და ამიტომ, შეიძლება, აგერიოს, რომელი რომლის ქაღალდია. თანაც, ყველა ჩამოტარებაზე ხელახლა ალაგებენ, რათა მიჩვეულ თვალს ძველ ადგილზე სხვა ქაღალდი დახვდეს. ეს ოსტატი მოთამაშისთვის არაფერია, მაგრამ ასე მარტო თარაიებმა იციან და სხვანი არ კადრულობენ თუ რა არის, ძნელი სათქმელია.

თავდამსხმელები ეს ოთხნი იყვნენ და ჭკუითაც გამოსდიოდათ თამაში, განსაკუთრებით უფროს თარაიას, რომელსაც მაშინაც მიჰყავდა თამაში, როცა მესამე და მეოთხე იყო, ხოლო თავისი ძმა ისედაც უთმობდა.

პირველი პარტია ყველაზე ლამაზი გამოვიდა, ოცდამესამე კი - ყველაზე მღელვარე.

პირველში თავდამსხმელებმა მოახერხეს და რახან, ცხადია, ორყუთიანი თამაში იყო, მხოლოდ ცხრა სიდიდის ქაღალდებით, ორმაგი შეწყობით უტევდნენ. მოსდიოდათ კიდეც და ჯარი ძალიან მოხერხებულად დაალაგეს. თანაც, მეტად ლამაზად. სუსტი ადგილი არ იყო და ჩასაფიქრებლადაც მშვენიერი ჩანდა, ეს რა მოუგიათო: გამოსვლას გამოსვლა რომ მოსდევდა, კლება არსად იყო, სულ უმატებდნენ. მაგალითად, ორივე ქვრივი მათ ჰქონდათ და ამათ კარგად უწყვილებდნენ ჩიბუხებს ციხისთავებს, რომლებიც, ასევე, ორივე მათ ჰქონდათ, ხოლო ქვრივს და ჩიბუხს უამრავ რამეს მიაბამ და ეს მიბმა კარგად გამოსდიოდათ, შეყვარებული ქალ-ვაჟიც კი გამოატარეს, მესამე გამოტარებაზე. მეხით და ჯორებით მოდიოდნენ და ორივე შარმადინიც კიდევ წინ ელაგათ. ეს მარტო პირველი ორი გამოტარებისა მოგახსენეთ, რასაც დათა ქაღალდის ცვლით ხვდებოდა და ფარნას იმედებს ახვედრებდა.

იმედი ჩვეულებრივი იმედი კი არ არის, იმას ნიშნავს, რომ შეგიძლია გაჭირვება ნახევარი წრით გადაიტანო. თავს ესენი იცავდნენ უბრალოდ, მაგრამ მოხდენილად. მამასახლისი ერთი ჰყავდათ და კომბინაციას იმაზე ალაგებდნენ. მამასახლისსაც, მგონი, უნდოდა მათთან ყოფნა, რადგან, როცა ჩამოტარებას მოიგერიებდნენ და მათი ქაღალდი სასყიდელ ჯგუფში გადაინაცვლებდა, გამოცვლის მამასახლისი ისევ უკან მოდიოდა ხოლმე.

ცოლისძმაო, თქვა კარმინემ, რაც იმას ნიშნავს, რომ თავიდან ვერ მოიშორებ.

ეს პარტია იმგვარი კარუსელივით დატრიალდა, რომ მათალოს კლუბში ვინც კი მოსეირე იყო, ამათ მაგიდას მოადგა და ყველა გამოტარებასა და ყველა დახვედრაზე ხმადაბლა იტყოდნენ, ქვა, ქვაო, რაც იმას ნიშნავს, რომ მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა.

ლამაზი კი იმიტომ გამოვიდა ეს პირველი პარტია, რომ მასში ძალიან ბევრი ქაღალდი ჩაერთო და თვითონ გახსნილობის გამო ქაღალდთა შეთანხმებები უთვალავი იყო. ამიტომ - თავდასხმისა და თავდაცვის საშუალებებიც უამრავი. აბა, წარმოიდგინეთ, ქალი ერთად ჩაბმულა ასისთავთან, ზედ ჭოგრიტიც დაუდიათ და ნავით მოცურავენ, შენ კი რა უნდა დაუხვედრო? შეღავათი ერთი ის არის, რომ შემოტევა ოთხქაღალდიანი კი არ არის, არამედ მაინც ერთქაღალდიანად ითვლება, რახან ესენი ყველანი ნავში ჩაეტევიან, ჭოგრიტი კი იმას ნიშნავს, რომ იმავე შემოტევის ოთხეული, შესაძლოა, კვლავ შემოგიტრიალონ მხოლოდ დაძახებით. ჭოგრიტი შორს ხედავს და ამიტომ მომდევნო ჩამორიგებებშიც გამოჩნდება. ამბობენ, რომ ამ ოთხეულ-ერთეულის სულ იოლად გაჩერება შეიძლება, თუ რომელიმე მაღალი ქაღალდი გყავს და მას სახლებს მიაბამ, ვაზის ქაღალდიდან, რითაც დაათრობ, ასისთავის ხანჯლებს კი ან გადაანახვინებ, ან საერთოდაც დასძახებ, გაჩერდაო, რითაც ამ ქაღალდს ვერც მეტოქე და ვერც შენ ვეღარ მოიხმართ. მაგრამ ეს ჩვეულებრივი სვლაა, რომელსაც მესამე გაკვეთილზე გასწავლიან, თუკი მათალოს ინტის კურსებზე ჩაეწერები. ოსტატს კი ხუთი-ექვსი ხერხი მარქაფში უნდა ჰქონდეს. ოღონდ, ქაღალდი თუ არ გაქვს, რა მარქაფი უშველის? აი, როცა ქაღალდი ცუდად გაქვს, ინტი მაშინ უნდა ითამაშო. როცა ქაღალდი ქესეტად მოდის, მაშინ.

ჰოდა, აი, უყურეთ რას მოქმედებენ დათა ვისრამიანი და ფარნა მედროშე. ხედავენ ამ ოთხიან-ერთიანს და დათა ქაღალდის საყიდლად მიდის, გამოცვლის. რახან მისი სვლა ეს არის, პირველ თავდამცველს ფარნა გამოდის. ფარნა კიდევ გამოდის ისეთ სასაცილო რაღაცას, რომ ხედავენ, ეს მოტარება წაგებული აქვთ. დათა ვაზების მტევანს გამოდის. ამ ქაღალდს ყველაფერს ჩააბამ, იმიტომ რომ, ეს ქაღალდი არაფერს ნიშნავს და ყველა ფიქრობს, რომ ვაჰ, ჩამოტარება წაუგიათ, რადგან სრულიად ვერაფერი მოიფიქრეს, ქაღალდი ვერ შეკრეს. დათა კიდევ თავის ჯერზე ისევ ცვლის ქაღალდს და უკვე ხედავ, რომ მართლა არაფერი არა ჰყავთ, რადგან კვლავ გადადის სვლას ფარნა მედროშესთან. ფარნა მოულოდნელ ქაღალდს გამოდის, ნამგალს, რითაც ირკვევა, რომ ამან ქალი გააჩერა. დათა კვლავ ცვლის ქაღალდს და ისევ გადაულოცავს თავის რიგს ფარნას. აშკარაა, რომ ვერაფერი უპოვია. ფარნა კი ნამდვილ გასაჭირში ჩანს, რადგან მესამე ქაღალდიც მისი დასადებია და ჯერ ნავის ოთხეულის მხოლოდ ერთი ქაღალდი ყავს გაჩერებული, სამი კი გასაჩერებელი და ისეთი ქაღალდი ნამდვილად არ ეყოლება, რომ სამივე ერთად გააჩეროს. მტევანს კი ყველაფერი ებმის, მაგრამ ნამგალს - ძალიან ცოტა. ფარნას არაფერი ჰყავს, რასაც იქიდან შევიტყობთ, რომ ისიც თითქოს მარმელადის ჭამას იწყებს, ანუ ისევ დათას ულოცავს სვლას და ქაღალდს ყიდულობს. მაცქერალნი ფიქრობენ, რომ თავდამცველი წყვილი ერთურთზე ბრაზობს და მარმელადის ჭამას იწყებს, ანუ წაგებას ერთმანეთს ატოვებს. დარჩა ბოლო გამოსვლა. ან ორივემ უნდა დადოს თითო ფასიანი ქაღალდი, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა, ანდა ჩამორიგება წაგებულია. დათა კი ისევ ცვლის ქაღალდს. თფუ, არაფერი არა ჰყავს. ნავმა გაარღვია მთელი ალბათ ას ორმოცდაათი ფუნტისა, საპასუხო ქაღალდების ფასი კი დაბალია. და ამ დროს ფარნა ამოაძრობს რიგის ბოლო ქაღალდს და ეს ქაღალდი არის ციხისთავი. ეს ნიშნავს, რომ ნავი გაჩერებულია, ციხისთავი ხმლის რიგის უმაღლესი ქაღალდია, ქალის მეთაური და ამას შეუძლია ნავის გაჩერებაც ბრძანოს. ოთხეული გაჩერებულია, მაგრამ ჭოგრიტი - არა. რახან ციხისთავი გამოჩნდა და ამას შემტევნიც ასე თუ ისე ელოდნენ, რადგან ერთი თავად ჰყავდათ, ოღონდ კი ინახავდნენ, დათა დამატებით სვლას იღებს პრემიის სახით და გადმოაგდებს სალეს ქვას. სალეს ქვას! ნავი მკვდარია, ჭოგრიტი სამომავლოდ გატეხილია. შეტევა შეჩერებულია და თან რა ლამაზად და დამცინავად.

ვერ ჩასწვდით ამ თავდაცვის სილამაზეს? ინტი უნდა იცოდეთ. განა დათა რამე ქაღალდს ელოდა, დათა უვარგის ქაღალდს დებდა და ახალს იღებდა, მერე იმ ახალაღებულს დებდა და ასე გაატარა მთელი ჩამორიგება, ვითომ წვალობს. ქვა თავიდანვე ჰქონდა და რახან ქაღალდის საყიდლად წავიდა, ამით ფარნას მიანიშნა - ქვა მაქვსო. ფარნამ კი ყველაზე დაბალი ქაღალდი ჩამოაგდო, რითაც მიანიშნა, რომ ყველაზე მაღალი ჰყავს. ეს ჩამორიგება სილამაზისთვის გაითამაშეს, ხალისობა მოაწყვეს. წყვილიც ეს არის, კარგ წყვილს ერთიმეორისა ყველაფერი ესმის და წინდაწინაც გამოთვლილი აქვს. მოლაპარაკებულნი არიან, რა რას ნიშნავს. სწორედ ეს არის ინტის დაფარული ენა.

როგორ არ მოგეწონება ამგვარი თავდამცველები?

ოცდამესამე პარტიისას კი არას მოგახსენებთ, უფრო ცივი და საფულე იყო.

ინტი, ინტიო, რომ დაიძახეს, მათალომ განჯინა გამოხსნა და ამათი პარტიის უჯრიდან ფული გამოალაგა: - ტოლ-სწორ? - ჰკითხა თარაიებს.

- ტოლ, ტოლ, - მიუგეს ამათ, - მერმის დაცვას ვითამაშებთ.

- ტოლ-სწორ, - თქვა ალემ.

- ტოლ-სწორ, - თქვა კარმინემ და ფარნას ხელი ჩამოართვა, - მამაშენი ხარ.

მერე დათამ ჭიქაზე დაპატიჟა ფარნა მედროშე. არ დაიზარეს და ნავსადგურს იქით წავიდნენ, სადაც ღია იქნებოდა უკეტი ბარი „ჩაილდ ჰაროლდი.“

- ხვალ დოღი არის? - ჰკითხა დათამ ღიმილით.

- არა, - გაეცინა პატარა ფარნას.

- მაშ, შინ გაეხარდებათ.

- ქალებმა არაფერი იციან თამაშის, - თქვა ფარნამ.

მერე ბარის პატრონი შემოუჩნდათ, ცალხელა კაცი. დათას დაუნახა უფილტრო პაპიროსი „კრეივენი“ და სურდა, ლექცია ჩაეტარებინა იმის თაობაზე, რომ არის უძველესი პატარა ქარხანა ირლანდიაში, რომელიც ამ პაპიროსებს უშვებს.

- ჩვენს ახალგაზრდობაში, იცი, როგორ ვიღებდით ღერს ამ კოლოფიდან? - ბარის პატრონმა ცერი აჰკრა კოლოფის კიდეს და თვალშეუსწრები მოძრაობით სიგარეტი ორ თითში დაიჭირა, - აი, ძველი ტყავის ქურთუკები გვეცვა, ბოცმანის თეთრი ქუდები და მუშაობის არ გვრცხვენოდა. შაბათობით რჯულზე შევუბერავდით ხოლმე.

- თქვენ საიდან ხართ?

- ზღვისპირეთიდან, ძმობილო, ზღვისპირეთიდან, ძმობილო... ახლა? ახლა ეწევიან ლაითს და სუპერლაითს, - მართლა დარდიანი იერი კი ჰქონდა, - ხომ ხედავთ, როგორ შეგვიცვალეს ცხოვრება, ჰა, მეით? უარესი იქნება, ამ წყეული პოლიტიკოსების ხელში. ხალხად არ ჩააგდოთ ეგენი, არასოდეს... გამიხარდა, კრეივენი რომ დავინახე, გამიხარდა. ღამის ოთხ საათზე რომ ნამდვილ თამბაქოს ეწევი, ესე იგი, აქ რაღაც არის, - გულზე დაიტყაპუნა კენტი ხელისგული ბარის პატრონმა.

კუბოკრული პიჯაკი ეცვა, სახელოს ბოლო გარე ჯიბეში ჩაეჭმუჭნა, ჯიბიდან ვარდისფერი ცხვირსახოცი ამოჩროდა.

- მე ვერ მცნობთ? - ჰკითხა დათამ.

- როგორ ვერ გცნობ, ოღონდ ჩემთან იშვიათად დადიხარ. შენ მოთამაშე ხარ, ასე არ არის? „მენშენში“ მოდიოდი ხოლმე ადრე. მე „მენშენის“ მეწილე და ბარმენი ვიყავი, სემი, სემ ლობსკუსერი... კარგი, აღარ შეგიშლით ხელს, დაისვენეთ...

კაცი წავიდა.

დათას ეცინებოდა.

- გულიანი კაცია, - თქვა ფარნამ და უცებ გადაკრა, - დათა. ერთი, რაღაცა... დათა, რო არ გავწელო, ჩვენ წყვილი ვართ. მე ეზოში გავიზარდე, შენ - სასახლეში. მე არ მოვსულვარ სასახლეში, შენ მოხვედი ეზოში. ეხლა რო წყვილი ვართ, მე სხვანაირათ ვფიქრობ, იმიტო რო ერთმანეთი გამოგვიცდია და მაგარი კაცი ხარ...

- კარგი, ერთი.

- დედაჩემსაც უხარია.

- კარგი, კაცო...

- იმისთვის, ხო იცი, ვისრამიანი და შენახული... ქალები სხვანაირად ჭრიან, ხო იცი. ქალის ტვინი ინტს ვერ ითამაშებს, იმიტო რო თამაშია და ცხოვრებაში ინტზე უარესს ითამაშებს, იმიტო რო ცხოვრების ფიქრი ქალს თავისი აქ, ჩვენ ვერ ვხვდებით... ჩვენ ხო წყვილში ვართ?

- ეჰე, მედროშე, შეირგე, რა... - მხარზე ხელი დაჰკრა დათამ.

- არა, მე იმიტომაც, რო შენ სხვანაირი ხარ. ჯერ ქაღალდი როგორ გიჭირავს და როგორ გამოდიხარ. ყველამ იცის იქა და შურთ, პატარა ფარნამ რით წააბაო.

- თეიქ ით იზი, - მოსვა დათამ, - მაგარი ხარ და იმიტო გითხარი, ვიწყვილოთ-თქო.

- მაგარი კარმინეც არი... ჩემზე მაგარია, მამაჩემის თანამებრძოლი იყო...

- იცი, რა? მაშინ გეტყვი. იმიტო რო წესიერი კაციც ხარ... გაიგე?

ფარნამ თავი ჩაქინდრა და ასე იყო გაყუჩებული.

- ხო მშვიდობაა, ბიჭო?

- დათაა... - ამოღერღა ფარნამ, - არ მინდოდა ჩემ ამბავს შენი თავი დაენაგვიანებინა... ერთ ამბავში მხვევენ ძაღლიშვილები და მაგ ფიქრს ვერ მოვერიე.

- ფარნა, - უთხრა დათამ, - ეხლა აიღე ეგ თავი, მიეყუდე მაგ სკამს და მომიყევი...

- ეეხ, დათა... შენც გაგრევენ. ის ორი რო დაგყვება, რო წავიდენ და ეგერ დაჯდენ, განა ტყუილა?

გამთენიას, „ჩაილდ ჰაროლდის“ სარდაფიდან რომ ამოდიოდნენ, ბარის პატრონი ისევ გამოეცხადათ. კიბეზე ამოჰყვა და კეთილად დაემშვიდობა.

- მოდით ხოლმე, ჩემსა... მიყვარს ნაღდი ხალხი, - მერე დათას შემოხედა და თქვა, - ხომ იცი, რაც მშხამავს?

მაყვლით სავსე გოდორი და ქვრივი

ალფრედო და კოსტას მომქანცველი შუადღე

ციტადელის მუზეუმის მზრუნველსა და თავმჯდომარეს, სინიორ ალფრედო და კოსტას, თავისი სამუშაო მაგიდა ფანჯარასთან მიედგა. სიამოვნებდა, როცა ქალაქს ზემოდან გადახედავდა ხოლმე.

საერთოდ, ფანჯრიდან ცქერა სანტა სიტის მოქალაქეთა ერთ-ერთი საუცხოო გასართობი იყო. გაზეთის კითხვასა და თვით ტელევიზორის ცქერას, თუნდაც იმ ტელევიზორში ბრიტანეთის ეროვნული ლატარეის გათამაშება გადმოეცათ, ნამდვილად სჯობდა. გამოდიოდა, რომ სჯობდა იმიტომ, რომ ტელევიზორი ხანდახან მაინც გამორთულია, გაზეთი უსწრაფესად ძველდება, სანტა სიტიში კი ფანჯრები ყოველთვის ღიაა, ზამთარშიაც კი. აბა, რომელია, ერთი ფანჯარა მაინც რომ არ გამოაღოს ზამთარში? გინდაც ჩაკეტონ და ჩაგმანონ, ფანჯარასთან ყოველთვის ვიღაც არის ჩამოყუდებული.

სინიორ და კოსტას ფანჯარა ძალიან მოხერხებულ ადგილას იყო - ციტადელის პირველი კოშკის სულ თავში. დიდი ფანჯარა არ გახლდათ და ინგლისური ყაიდისა იყო, ასაწევ-ჩამოსაწევი, მუზეუმის კედელს ხომ არ გამოანგრევდნენ მის გასაფართოებლად? ძველად, ალბათ, სარკმელი ეთქმოდა.

თავმჯდომარისავე გამოკვლევით, ამ პატარა ოთახში ყოველთვის ორი მზირი იჯდა. ერთი ჩრდილო-დასავლეთს გასცქეროდა ჭოგრიტით, მეორე კი ქალაქის ვითარებას ამოწმებდა თვალით. ქალაქი სწორედ ამ ფანჯრის ფეხქვეშ ეფინა და უფროსი და კოსტაც სიამოვნებით გადახედავდა ხოლმე იქაურობას. თვალით აუცილებლად მოძებნიდა ვილა და კოსტას, ვია დელი ობერტენგის მესამე ჩასახვევში. საერთოდ, ეს ქუჩა მიაჩნდა ქალაქის მთავარ ადგილად.

ის კი საეჭვო იყო, რომ ამ ინგლისურ ფანჯარაში ძველ ციხისთავთა ორი მზირის თავი და მხარ-ბეჭი იმგვარად გატეულიყო, რომ რაიმეს მოთვალიერება შეძლებოდათ და ერთმანეთის სუნთქვისთვის პირი მოერიდებინათ. თუკი, ცხადია, სუნთქვას შეძლებდნენ.

იმაში კი მართალი იყო სინიორ და კოსტა, რომ დელი ობერტენგის ქუჩამ შექმნა ქალაქიცა და ეგებ, ქვეყანაც. სწორედ ამ ადგილას მოეზომათ და კოსტათა პირველი მამული ჯერ კიდევ ხუთასზე მეტი წლის წინათ და ამ ადგილისთვის დაერქმიათ სანტა ესპერანსა, რაც მერე და მერე კუნძულის სახელად ქცეულიყო, ძირითადად, და კოსტათა, თუმცა სხვა გენუელთა წყალობითაც, რადგან ყოველ ამ ადგილიდან გაგზავნილ წერილს ეწერა ეს ორი სიტყვა და ევროპის ადგილებშიც ძველი მოკალმენი ასევე მოიხსენიებდნენ აქაურობას, თუმცა, დიდად არც იცოდნენ, რა ადგილი იყო ესა.

მერე და მერე და კოსტებმა ქალაქის მოჩიტვისდაკვალად მიყიდ-მოჰყიდეს თავიანთი პირვანდელი მამულის უმეტესი ნაწილი და მხოლოდ ძველი, მეთვრამეტე საუკუნეში გადაკეთებული და მეცხრამეტეში ოდნავ მოფართოებული ვილა და ბაღი დაიტოვეს. ბაღს, ცხადია, დაფა ჰქონდა: „აქ შეიქმნა სანტა ესპერანსა“ და ტურისტულ მარშრუტშიაც შედიოდა, რაიც და კოსტათათვის შემოსავალიც იყო და მათ ბაღში ჯგუფად მოსიარულე ხალხის ცქერით თავმობეზრებაც.

სინიორ და კოსტა აღმერთებდა ვილას და ასეც მოახსენა ყრმა ქალიშვილს, რომელიც სწორედ ნაშუადღევს, სხვათა შორის, წინასწარი ზარის გარეშე ეწვია.

მოხუც ალფრედოს ახლებური მანერები არასოდეს მოსწონდა, ფანჯრიდან ადრევე შეამჩნია ფოსფორისფერი ხოჭო „ფოლკსვაგენი“ რომ მოცოცავდა აღმართზე. მერე ისიც დაინახა, როგორ გაჩერდა მანქანა სადგომზე, იქიდან კი ერთი ვიწროდ ჩაცმული

გოგო გადმოვიდა და უკანმოუხედავი ნაბიჯით გამოეშურა გალავნის უკანა მხრისაკენ, რათა ალაყაფში შემოსულიყო.

გოგო ჯენუელი გამოდგა, უსო დი მარეს ოჯახისა. მეტად ხალისიანი და ეშმაკი არსება ჩანდა და ოდნავ ზედმეტადაც ირხეოდა. სინიორ და კოსტა იცნობდა მის მამა-პაპას და რასაკვირველია, მთელი მათი საგვარეულო ამბისაც გაეგებოდა. სამწუხაროდ, გოგო მეტად თანამედროვედ გარჯილიყო და ხელობადაც უვარგისი რამ, ჟურნალისტობა შეერჩია. წარმოადგენდა ერთ ყოვლად აუტანელ, ვერაგ და დაუნდობელ გაზეთს, როგორიც, შესაძლებელია, მხოლოდ ბრიტანეთში ან მის მიერ დაპყრობილ მიწებზე ვრცელდებოდეს.

მონიკა ერქვა და მოიბოდიშა კიდეც, წინასწარი შეტყობინების გარეშე მოვედიო. თუმცა, ისიც აგრძნობინა ხნოვან ბატონს, რომელიც აუცილებლად ბაბუამისს დაურეკავდა და ყველაფერს ჩაუკაკლავდა ამ შეხვედრის შესახებ, რომ დამერეკა, ეგებ არც მოგეშვით აქაო.

რას იფიქრებდა ეს პატივცემული მხარეთმცოდნე მის შესახებ, მონიკა უსო დი მარეს ჭიპში გაყრილ რგოლზე ეკიდა. ალბათ, ამას სინიორ თავმჯდომარეც მიმხვდარიყო, რადგან ჭიპში გაყრილ რგოლს ისიც მალიმალ შეავლებდა ხოლმე თვალს. დაბინდული და დიდი სათვალე ეკეთა, მაგრამ მონიკამ მაინც შეამჩნია.

ორ წუთში სინიორ და კოსტა ძალიან გაბრაზდა.

გოგომ ჰკითხა: - ჩვენ ვიცით, რომ ერთ კვირაში თვრამეტი გვარის მამასახლისთა შეკრება გაიმართება. ბოლო პოლიტიკურ მოვლენათა კვალზე ეს გამორჩეული შეხვედრა უნდა იყოს და მისგან ძალიან ბევრს ელიან როგორც მმართველობა, ასევე მედია და საერთოდ, ხალხი. თქვენ როგორ ეგებებით ამ შეხვედრას და რას მოელით მისგან?

სინიორ და კოსტა ძალიან გაბრაზდა.

- ეს კითხვა წინდაწინ დაწერეთ თუ ახლა მოიფიქრეთ? რა საზიზღრად არის ჩამოყალიბებული. რედაქტორმა დაწერა... ჩემო კარგო, ეგებ, თქვენი ოჯახის წევრებისთვის გეკითხათ?

- ჩემი ოჯახის წევრების აზრი ისედაც ვიცი. მათ არ მოსწონთ, როცა ასეთ რამეებს ვეკითხები.

- ჭკვიანი ხალხია.

- თქვენ რას იტყვით?

- რის თაობაზე?

- თვრამეტი გვარის მამასახლისების თაობაზე.

- მე არაფერს... რა უნდა ვთქვა? ჩვენ, და კოსტები იქ არ დავდივართ. ბოლოჯერ იქ ჩემი ძმა მარკო და კოსტა იყო, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ოცდაორი წლის წინათ გარდაიცვალა. ჩვენი გვარის მამასახლისად მე ვითვლები, მაგრამ რაც ჩემი

ძმიშვილი სანდრო წამოიზარდა, წესით ის უნდა იყოს მამასახლისი. არც ის ყოფილა ოდესმე, რამდენადაც მახსოვს. ამიტომ, საინტერესოს ვერაფერს გეტყვით.

- რატომ? უკვე საინტერესო მითხარით. თქვენ არ მიგიღიათ მამასახლისთა შეკრების მიწვევა მისი მასპინძლისგან?

- ყოველთვის ვიღებ და უპასუხოდ ვტოვებ.

- რატომ?

- არ მაინტერესებს და მორჩა. მე და კოსტა ვარ. მე უამისოდაც და კოსტა ვარ. იქ მისვლა სავალდებულო არც არის და თვრამეტიდან შვიდი-რვა თუ შეიკრიბება ხოლმე. ასე გამიგონია.

- ხო, მაგრამ ახლა განსაკუთრებული შემთხვევაა, მგონი, ყველა მიდის.

- ყველა არ იქნება. ვთქვათ, ქარიანები არ იქნებიან.

- ესე იგი, თქვენ არც ერთ შემთხვევაში არ მიხვალთ?

- ვინ გითხრათ, რომ არ მივალ?

- არასდროს ვყოფილვარო.

- რა სისულელეა? საიდან ასეთი დასკვნა?

- თქვენი გვარი ვისრამიანებთანაა დაპირისპირებული, ასე არ არის?

სინიორ და კოსტას მწარედ ჩაეცინა.

- მისმინეთ, სინიორა... თქვენ ძალიან პატარა ხართ იმისთვის, რომ გაიგოთ რა არის ისტორია და დრამა. ამ შეკრებებზე კი იმიტომ არ დავდივარ, რომ ისინი ლორდთა პალატის უგვანი კარიკატურა მგონია და მიმაჩნია, რომ ჩვენ არ გვყავს ლორდები და ინგლისური ტრადიციები საჭირო არ არის. გასაგებია? მე გასუქებული კატა არა ვარ, რომ ტყუილად ჩამოვჯდე და ცხვრებსა და ვაშლატამაზე ვილაპარაკო. ამით ვამთავრებ, მეტს არაფერს გეტყვით, - წაიჯაჯღანა სინიორ და კოსტამ და გულშიაც არ გაუვლია, რომ მის წიწმატობას ის თახსირი გაზეთი გამოაქვეყნებს, მამასახლისებს კი მოკლე ხნით გასუქებულ კატებს დაარქმევენ.

- გმადლობთ და ბოდიში, - საეჭვოდ გაიცინა გოგომ, - და მე მაინც ვიცი, რომ აუცილებლად მიხვალთ იქ...

- ისწავლეთ... ისწავლეთ! - შესძახა თავმჯდომარემ, - ასე შეიტყობთ ვინა ხართ.

ამ ლაპარაკიდან გამოხდა სულ ცოტა ხანი და მერიტამ ფოსტა შემოიტანა.

მუზეუმს დიდი არაფერი მიმოწერა ჰქონდა, კვირაში ორ დაზღვეულ ბარათს თუ მიიღებდა ანდა დაკვეთილ კატალოგებს. ახლაც ორი წერილი იყო, ჟენევის ტბის პირიდან, სამუზეუმო ექსპერტ ჰორსჰმაიერისა და მეორე კი უკანა მისამართის გარეშე, ალბათ, ცირკულარული რომელიმე სამუზეუმო ერთობისაგან. ალფრედო და კოსტას არ უყვარდა კონვერტები. ამ ასაკში მეტად შეყვარებოდა ელექტროფოსტა და საერთოდაც, მოინტერნეტე კაცი იყო, სულ დაძვრებოდა და ეძებდა მავან სიძველეებს.

იმ უსო დი მარეთა გოგოს მოსვლამდეც ერთ კარგ საიტს ჩაჯდომოდა, ევროპაში შავი ჭირის პირველ მოგზაურობას რომ აღწერდა.

ალფრედო და კოსტა არასოდეს გახსნიდა წერილებს სადილამდე, საჭმელს არ შეგარგებსო, მაგრამ გამომგზავნის მისამართისა და ვინაობის არცოდნამ გააბრაზა და კონვერტი გამოხია.

სინიორ და კოსტას კომპიუტერიც კი არ გამოურთავს. ისე მიატოვა თავისი კოხტა კაბინეტი, რომ კარი არც გამოუხურავს. ორპირა ნიავმა ქაღალდები ააფრიალა მაგიდიდან. უფროსი მცველი მერიტა კი გაკვირვებული წამოიწია თავისი სკამიდან და კარგ ადგილას გადაშლილი წიგნი დაეკეცა.

ფორტუნატო

ეს იყო ალბათ ყველაზე საუცხოო ზღვის რესტორანი სანტა ესპერანსაზე, სანტა სიტიში, ნაპირის უბანში, პირდაპირ ზღვაზე გადაკიდული ვერანდით. უბრალო ხალხი რესტორანს „ყირამალას“ უწოდებდა ამ ვერანდის გამო, ნამდვილი სახელი კი „ფორტუნატო“ იყო.

„ფორტუნატოში“ ჯდომა იაფი არ იყო, შავ ზღვამდე არ შემოუღწევია ატლანტიკის დიდებულ ნობათს, ნიჟარეულ-ხამანწკეულს, არც კიბორჩხალთა ნაირგვარობით დაკვეხნა შეუძლია ამ ყარა დენიზსა და პონტოს ევქსინსა, მაგრამ როცა გემები გამართულად მოძრაობენ, „ფორტუნატოში“ კვირაში სამჯერ მოდის ოისტრა, იგივე სვიტღი, დინოზავრის ხანის ჯავშანბაკანში ჩაბუდებული მოლუსკი, რომელშიაც მადლიანად ჩაასხამ ძმარში ჩათლილი ხახვის ნაკმაზს და პირდაპირ იმ პირველყოფილი ბაკნიდანვე გადახუხავ.

ჰოდა, ვინც ამ პარასკევს შუადღით „ფორტუნატოს“ ვერანდაზე შეაღწევდა, აღმოაჩენდა, რომ მაგიდას ხუთი დარბაისელი ძიაკაცი უზის, გასცქერის ზღვასა და წინ კი ნიჟარებით დახუნძლული სამი ლანგარი და თეთრი ღვინის ოთხი ბოთლი უდგას.

ამ მაგიდას უსხდნენ ჯოვანი პალავიკინო, ფრანჩესკო საული, ვალერიო უსო დი მარე, ბასიანო იმპერიალე და ალფრედო და კოსტა.

რაზე საუბრობენ გენუელები, როცა ზღვას გასცქერიან? ეს ხომ ის არ არის, ვიღაც გასცქეროდეს ზღვას?

მათ საუბარს შორიახლო მოტრიალე მიმტანებიც ვერ გაიგონებდნენ: ლაპარაკობდნენ ხმადაბლა, წყნარად, ხელების ქნევის გარეშე, ტალღები კი ისე გემრიელად ეხეთქებოდა სანაპირო კლდეს, რომ ამათი მსმენელს საუკეთესო შემშლელად ეღობებოდა.

შორიდან ისე ჩანდა, რომ ხუთ კაცს ნაშუადღევის დასვენება მოუწყვია. შინაურულად ჩახვავებულან ჭილის სავარძლებში, დაბინდულ სათვალეთა უკან ატყუებენ თვალს და თითო-ოროლა სიტყვას თუ გადაუგდებენ ერთმანეთს.

ამ ხუთ კაცს არ უსადილია. ხომ ცნობილია: ნიჟარები მხოლოდ სტარტერია, ხოლო სტარტერს იქით რომ არ წახვალ, ესე იგი, საქმეზე მოსულხარ.

რაზე საუბრობენ გენუელები, როცა ზღვას გასცქერიან?

გასაგებია, ისინი თავიანთ ბედზე საუბრობენ. ჯენოველებს ომიც შეუძლიათ, მაგრამ თუ ომი საჭირო არ არის?

ჯენოველები პირსა კრავენ, რომ მამასახლისთა სხდომაზე მივლენ და იქ თავისას გაიტანენ. მაგრამ რაღა არის ის, რაც უნდა გაიტანონ? ხუთი გენუური ოჯახის მამასახლისი თითქოს თვლემს, გასცქერის ზღვას და სჯის, რა არის უკეთესი.

- ეს დაიმახსოვრეთ, გაზეთებმა ყველაფერი იციან, - ამბობს ალფრედო და კოსტა.

- მეძავებმა იციან, ხეირზე, - ამშვიდებს იმპერიალე.

- მე არასოდეს ვყოფილვარ მაგ სხდომაზე, - შფოთავს და კოსტა.

- არც მე, - ამშვიდებს იმპერიალე.

- არც მე, - ხითხითებს უსო დი მარე.

- არც მე, - ზღვას უქნევს თავს ფრანჩესკო გენუელი.

- მე ხო კარი ავუტალახე, - ამთქნარებს ჯოვანი პალავიკინო.

მერე ისევ დუმან და პალავიკინო ამბობს: - პირველი: ჩვენ არ დავუშვებთ, რომ კუნძულები ოლიგარქიის ხელში იყოს. მეორე: ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ინგლისელებმა კვლავ გარედან მართონ კუნძული. მესამე: რაც გვაქვს, ის გვაქვს. მეოთხე: არჩევნები ჩატარდება და ყველანი ვემორჩილებით. მეხუთე: ტომობრივი პრივილეგიები ისპობა. მეექვსე: ჩვენ არ დავუშვებთ, რომ კუნძულებზე ახალგაზრდულ ტურიზმს მიენიჭოს უპირატესობა, აქ წყვილები უნდა ჩამოვიდნენ, ოჯახები. მერვე...

- ძალიან ბევრია, - ხითხითებს დი საული, - ხუთი გვეყოფა. ეგ რვა ხუთში ჩავტიოთ.

- ოსმალები რაღას იტყვიან? - აინტერესებს ვალერიოს, - ოსმან ბეი ხო მამასახლისია?

- ალბათ...

- კიდევ ვინ არიან? რამდენი ოსმალია? - ისევ ღელავს ალფრედო და კოსტა.

- არ ვიცი, ჩვენ იქ არ ვყოფილვართ...

- სამი... სამია, - ამტკიცებს ვალერიო.

- და ისინი ათნი არიან? - ალფრედო და კოსტა ვერ მშვიდდება.

- ისინი ათნი არიან, მაგრამ ისინი არ არიან, როგორც ჩვენ.... - ზღვას ეუბნება პალავიკინო.

- არჩილიანები არიან იქ? - ისევ და ისევ და კოსტა შფოთავს.

- სადღა არიან არჩილიანები? - კითხულობს საული.

- რას ამბობ? - უკვირს ვალერიოს, - მოკვდა?

- ვინ?

- ქალი. ბოლო არჩილიანი. დედოფალი.

- ახ, ქალი... - ეცინება სენიორ პალავიკინოს, - დედოფალი. ხოოო...

- მართალია, - ამბობს ალფრედო, - ქალი...

- ქალი. ქალია მისახედი, - იზმორება ვალერიო გენუელი, - შეიძლება ქალზე გასვლა. თუ სავარძლით არ დააგორებენ.

- არჩილიანები არ არიან სამამასახლისოს წევრები, - ამბობს ბასიანო.

- მაინც, - ისევ ალფრედოა, - ჩვენ რა ვიცით, რას ფიქრობენ ინგლისელები?

- ეს ამ საღამოს გვეცოდინება, - მძიმედ დგება პალავიკინო, - ხვალ ამ დროს შევხვდებით. ქალის ამბავიც გვეცოდინება. მოხუცებო, გაარკვიეთ შვილები, ცოლები, ძმები. ხვალ ამ დროს, აქ...

ღამის ლაშქრობა

ძველი თავგადასავალივით

და როცა შეღამდა, ყველაფერი მზად იყო. სადარბაზოსთან იდგა კორნერშოფის პატრონის ცისფერი ფურგონი.

- ნახე, რა ვეიქლია, - ფანჯრიდან გადახედა აგათია ციხისთავმა არჩილიანმა, - ქუდი მოირგე, იარაღები მოისინჯე...

- ზედ არი, - გაუცინა ნიკამ.

- დედოფალო-თქო, მითხარი...

- დედოფალო, - გაეცინა ნიკას.

- ბებია არ დამიძახო იქ. რანაირ იოანურს ლაპარაკობ, ახლა მონასტერში გასწავლიან ნამდვილ იოანურს. ბაბუშკიო, თუ რას ამბობ...

- შენა, ხო არ ჩამიშვებენ ეგენი, მღვდლები?

აგათიამ მკაცრად გამოხედა და სინათლე გამორთო: - წავედით... ციხისთავის მიყვანილ კაცს იქ ღრუბლიდან მოუწყვეტენ წვეთს. რა მოგიყევი მე?

კარი ფრთხილად გამოაღეს. წინ მოხუცი მიდიოდა თავისი მძიმე ხელჯოხით. კიბის მეორე მოსახვევზე შეჩერდა და ნიკას მოხედა: - ამაში სტილეტია შიგნით, ხო იცი... თუ ვინმე მომადგება, ვფუშავ. მძიმეა, მარა, ქალის ველარ ვიყიდე. თან ქალისაში არ არი სტილეტი, ხო იცი?

- ვიცი, ვიცი...

- ახლა თავი არ მომჭრა იქ... იმათ იციან, ვისიც ხარ და რაც ხარ, მარა მე რო მიმყავხარ, პატივია. ჩემი მარჯვენა ხარ. იციან. საქართველოში არ იციან მარჯვენობია? მარჯვენას მეორენაირად შარმადინი ქვია. უნდა მოკვდე ჩემი გულისთვის. ლექსი არ იცი? ვინცხა მოკვდა მეფისთვისა, არის მეფე სამოთხისა. კი არ მინდა ჩემთვის რო მოკვდე, სხვა დროა ახლა...

ნიკა გადაიხარა და ყურში უთხრა: - ბაბუშკა, როცა გარბიხარ, პადიეზდში დიდხანს გაჩერება არ შეილება...

- ხო, ხო... - ჯოხი ჩააბაკუნა აგათია არჩილიანმა კიბეზე.

გამოვიდნენ და უცებ ჩასხდნენ.

- მეჰრაბა, ეფენდი, - უთხრა მოხუცმა საჭესთან მჯდომს.

- იხარე, ხანუმთ-ხანუმ, - გადმოსძახა ოსმალომ, - დათქმულსა მოვიდეთ?

- ხო, - მიუგო ქალმა.

ნიკას გაუკვირდა. აქამდეც ამჩნევდა, აგათია დედოფალი მას სხვანაირად ელაპარაკებოდა, დანარჩენ სამყაროს კი - სხვანაირად. უცებ გამკაცრდებოდა, უცებ შეიცვლებოდა. ნიკამ შეკითხვაც ვერ მოასწრო, რომ დედოფალმა მოხედა: - შენ მარჯვენა ხარ, მარჯვენასთან ის ხარ, ვინც ხარ. სხვანაირად ვერ მოკვდება შენთვის.

- სიკვდილი რო მდომოდა, ამხელა გზაზე კი არ წამოვიდოდი, - გახუმრება სცადა ნიკამ.

- მაგი გუშინაც მითხარი, - მიუგო აგათიამ, - შენი სიკვდილი რო არ მინდა, იმიტო მიმყავხარ იქ.

ქალაქში კი სწორედ ახლა იწყებოდა ღამის გამოსვლა.

რაღაცნაირი ქალაქი იყო, ნიკას მოსწონდა.

უკვე შემოღამებულიყო რაღაც ადგილებში.

- მოვედიით?

ხის დიდ, რკინით შეჭედილ ჭიშკარს მანქანის შუქმა გადაჰკრა. ჭიშკრის სარკმელი გაიღო და წამსვე დაიხურა.

მერე კარი გააღეს. ოსმალომ მანქანა დაძრა.

- ცალკე ახლა ვეღარ დაგელაპარაკები. როგორ მოიქცე, იცი... თავი არ მომჭრა და თავი არ მოიჭრა. მელოდე მე. გარეთ არ დაგინახო. ყველაფერს იმიტო გეუბნები, რო მარჯვენა ხარ. სულ ვფიქრობდი, როგორი მარჯვენები ჰყავდათ ძველათ-თქო. შენზე უკეთესები არ ეყოლებოდათ... შენ იცი, - ბებია აგათიამ შუბლზე აკოცა ნიკას და მძღოლს უთხრა რაღაც.

სწორედ ამ დროს გააღეს კარი.

ორი ბერი იდგა.

- გამარჯობათ, - უაზროდ თქვა ნიკამ.

იმათ პირჯვარი გადაისახეს და ერთმა უთხრა: - კეთილი მწუხრისა.

მეორემ კი - რაღაც გაუგებარ ენაზე.

- წინამძღვარი ბერძენია, - გადაუჩურჩულა აგათია ბებიამ, - ბერებიც ბევრია ბერძნები. კონსტანტინოპოლის არი ეს. მიდი, ჰე...

ნიკა გადავიდა.

მე შენ მიყვარხარ, სალომეა ვისრამიანო

ჩვენს სახლში, სანამ გადააკეთებდნენ, ერთი ოთახი იყო. მე აღარ მოვსწრებივარ, მაგრამ ბიძაჩემი, ალფრედო და კოსტა სიძველეების დიდი მოყვარულია და სწორედ მან მაჩვენა ის ადგილი, სადაც ადრე ეს ოთახი იყო.

ახლა მხოლოდ კედელია დარჩენილი და იმ კედელზე პეიზაჟი ჰკიდია: მუხა, მინდორი და გლეხის ქალები, რომლებიც სადღაც მიდიან. მგონი, ტოსკანაა.

ის, რაც ბიძაჩემმა აღმიწერა, ალბათ, ოთახი არც იყო. უფრო თახჩა, ან რაღაც ასეთი იქნებოდა და ჩვენი წინაპრებიც ძალიან იშვიათად თუ შევიდოდნენ იქ. შესასვლელიც არ იყო: მხოლოდ ბოქლომით გადაკეტილი კარი, გასაღები კი ყველაზე უფროს და კოსტას ეკიდა ქამარზე სხვა გასაღებებთან ერთად. ყველაზე უფროს და კოსტას, რომელიც ოჯახის საქმეებს წარმართავდა, შეეძლო იმ ვიწრო ადგილას შესვლა, მაგრამ იქიდან კი ვეღარ გამოვიდოდა.

მამაჩემს არ უყვარდა ამგვარი რამეების თხრობა, ბიძაჩემს კი - იცოცხლე. თანაც, ბიძაჩემი არად დაგიდევდათ რაიმე მოსარიდებელს. როგორ შეიძლება თხუთმეტი წლის ბიჭს თვითმკვლელობის შესახებ ლექცია წაუკითხო?

ამ უფანჯრო ადგილას იდგა ერთი სამსაფეხურიანი ოთხფეხა კიბე, ალბათ ისეთი, ბიბლიოთეკებში რომ გვიდგას. სულ მაღლა კი - ზედ ჭერთან, თარო იყო, რომელზეც ნაირგვარი პატარა შუშები შემოელაგებინათ. შუშებში შხამი იყო და ბიძაჩემმა თქვა, რომ ამ საუკუნეთა განმავლობაში ამ ოთახში ერთადერთი და კოსტა შევიდა. ის შხამიანი შუშები ახლა მუზეუმში აწყვია.

ინგლისელების შემოსვლის დროს როცა ალფრედო უფროსმა ჩვენი სახლის გადაკეთება დაიწყო, მან დიდი სიხარულით მოანგრევინა ეს თახჩა, მაგრამ უკანა კედელი ხომ დარჩა?

ბიძაჩემი ამტკიცებს, რომ ამ კედელს სულ სხვანაირი სუნი აქვს და ალბათ იმიტომ, რომ ლამის ხუთას წელიწადს ის შხამს ისუნთქავდა. ბიძაჩემი ასევე ამტკიცებს, რომ კედლები სუნთქავენ და სახლები ისევე გვანან ადამიანებს, როგორც ძაღლები თავიანთ პატრონებს. ბიძაჩემი ვერ არის შედარებათა ოსტატი, მაგრამ იმ კედელს, მეორე სართულის დასავლეთის ტალანის ბოლოში რომ არის, თვითმკვლელობის

კედელს უწოდებს და როცა გადაწყვეტს და ჩვენს ვილას ტურისტულ მარშრუტებში შეიტანს, ისევე, როგორც ჩვენი ბაღი შეიტანა, ამ კედელს წარწერით დაამშვენებს, რომ კედელთან თითით შეხებაც კი ადამიანში სიკვდილის დაუძლეველ სურვილს იწვევს.

წარმომიდგენია, როგორ იმოქმედებს ეს ტურისტებზე. წამოიყაყანებენ და გაუხვევენ მარჯვნივ. იქით, სადაც სტუმრების საწოლი ოთახებია.

ალფრედო უფროსს ეს სახლი რომ არ გადაეკეთებინა, არ ვიცი, ახლა რას მოვიმოქმედებდი. ძველი სახლი ძალიან კარგად იყო გამაგრებული და გალავანიც გვქონდა. ეს მშვენივრად ჩანს ნახატებზე. მგონი, ერთთვიან ალყას გაუძლებდა კაცი და თუ გაუჭირდებოდა, მერე იმ თავის შხამების ოთახშიაც შევარდებოდა. დიდი სიმშვიდით ვწერ ამ წერილს, სალომეა და ვიმედოვნებ, რომ როგორმე მოხვდება შენს ხელში, ვინაიდან ჩემი ძმაკაცი ტონინო საული მპირდება, რომ თავის გამგზავრებამდე აუცილებლად მოახერხებს და მოგაწვდის მას, თან ისე, რომ შენ სასჯელს აცდები. ტონინო საულის მოეხმარება სოლომან მანდარია, ჩვენხელა ბიჭი, სულიას რომ ეძახიან ეგებ, გაგიგონია კიდეც, ცოტა დიდი ყურები აქვს და ჩვენს ტოლებში ეგ აკვარახჭინებს რაღაც საქმეებს. ჩვენი მეგობარია, მოკლედ.

სანამ ამ წერილის წერას დავიწყებდი, ერთ საათს მაინც ვიდექი იმ შხამებიან კედელთან ხელისგულებით მიყრდნობილი. არ ვიცი, რატომ მოვიქეცი ასე. როგორც ბიძაჩემის ყოველი ამბავი წარსულის შესახებ, ესეც გვარიანდ გადამეტებული გამოდგა. ვერ გეტყვი, ჩემს წინაპრებს რა უჭირდათ ასეთი, რომ თავის მოსაწამლი ოთახი ცალკე ჰქონდათ, მაგრამ არა მგონია, ჩემზე უფრო ალყაშემორტყმულნი ყოფილიყვნენ.

წუხელ ძალიან მძიმე ლაპარაკი მქონდა დედასთან და ბიძასთან, საბოლოოდ ვთქვი უარი ბოლონიაში გამგზავრებასა და სწავლაზე. ვთავაზობდი, აქაურ კოლეჯში შევალ-მეთქი, რაზეც ბიძაჩემმა მტკიცე უარი განაცხადა, სულაც არ მჭირდება, რომ და კოსტები ინგლისელები გახდნენო. ძალიან ბევრი ვიჩხუბეთ. ბიძაჩემი ერიდება ხოლმე ამგვარ ლაპარაკებს და არც რაიმე უთქვამს პირდაპირ, მაგრამ დედამ კი მითხრა, რომ ეს ყოველივე შენ გამო ხდებაო და არ უნდა ვისრამიანებთან გადაკიდება, ვინაიდან იცის მათი, ჩემი აზრით, იდიოტური საგვარეულო წესები. დედამ თქვა, რომ უბრალოდ ვერ მოერევა შენს ბაბუას, ბებიებს და განსაკუთრებით კი დედას, რომელსაც ყველაზე დიდი მტრობა შეუძლია. მე მაინც ვიუარე ბოლონიაში წასვლა და სრულიად გულწრფელად ვთხოვე ბიძაჩემს, რომ წესისამებრ მისულიყო ბაბუაშენთან და ეცნობებინა ჩვენი გულისთქმა, როგორც ოჯახის მეთაურს ოჯახის მეთაურისთვის.

ალფრედო და კოსტამ იუარა.

მან ყველაფერი იუარა არა შიშის ან მორიდების გამო, არამედ იმიტომ, რომ წყლის ნაყვას აზრი არა აქვს. მან თქვა, რომ ამდენ საუკუნეს ვცხოვრობთ გვერდიგვერდ და ჩვენ შორის არათუ ქორწინება, კარგი სალამიც არ ყოფილა, რადგან, თქვენ გაღიზიანებთ, ჩვენ რომ მოვედით და გლობუსი ჩამოვიტანეთ ამ კუნძულზე, ჩვენ კი გვაღიზიანებს, რომ თქვენ ცდილობთ ყველას აჯობოთ. როგორც გითხარი, ბიძაჩემი არ არის შედარებათა ოსტატი.

მე მთელი ღამე ვიწექი სიბნელეში და ვფიქრობდი შენზე. არ გეგონოს, რომ მხოლოდ იმას ვფიქრობდი, რასაც ფიქრობს ხოლმე შეყვარებული კაცი ბნელ ოთახში, როცა

შეყვარებული ქალი გვერდით არა ჰყავს. სრულმა გამოუვალობამ ამ საქმისა მაფიქრებინა, რომ მარტონი ვერაფერს გავხდებით და ამიტომ ვიღაცეებს უნდა ვენდოთ კარგ და წესიერ ადამიანებს. მე ვენდობი ტონინოს, სულიას და პადრე მიკელესაც, რა თქმა უნდა. შენ რომ გაბედო, პადრე მიკელეს შეუძლია, ჯვარიც დაგვწეროს უჩუმრად და ამით ძალიან ბევრი რამ მოგვარდებოდა. ოღონდ, პადრე ამბობს, რომ ჯერ უნდა მოინათლო. რის შესახებაც შენი აზრი ვიცი, რომ მე უნდა მოვინათლო, მაგრამ გყავს კი შენ შენი პადრე მიკელე? ჩვენ შეგვიძლია, გავიქცეთ სუნგალის კუნძულზე, იქ არავინ დაგვაბეზღებს და მერე იქიდან ვეცადოთ სადმე გაღწევას. ვიცი, რომ მაგ კუნძულიდან ბევრი ხალხი თქვენს ოჯახში მსახურობს და შეიძლება, ყველაფერი ცუდად დამთავრდეს, მაგრამ ცდას წინ არაფერი უდგას. იმაზე მეტს რას დავკარგავთ, რასაც ყოველდღე ვკარგავთ? მე მეტი ვერაფერი მოვიფიქრე. ნავსადგურიდან გაღწევა ბევრად უფრო გაგვიჭირდება, თუმცა ამაზე ფიქრიც შეიძლება. ბილეთებს ხვალვე ავიღებდი, მაგრამ როგორ დაუძვრები შენ მათ? სულიას რომ ვთხოვოთ და ბაბუაშენის რომელიმე მცველი რომ მოისყიდოს, ურიგო არ იქნება. მე მითხრეს, რომ მანდ არის ერთი კარგი კაცი, მარტინი თუ მარტია, რომელთანაც შეიძლება ადამიანური ენის გამონახვა. მან რომ ერთადერთხელ მაინც მოახერხოს ჩვენი შეხვედრა, ყველაფერს გავარკვევდით. ახლა კი ვწერ ამ სულელურ წერილს და ისიც არ ვიცი, წაიკითხავ თუ არა. უკვე მართლა სისულელეებს ვწერ, კარგი კაცი მოვისყიდოთ-მეთქი.

ძვირფასო, ეცადე, რომ მომწერო. ცოტა ძველმოდური და მოსაწყენი წერილი გამომივიდა და შიგ, მგონი, მთავარზე არც მითქვამს რამე, მაგრამ ასეთ წერას გვასწავლიდნენ კათოლიკურ სკოლაში.

გთხოვ, არ იფიქრო რა მოხდება შემდეგ, რას იზამს დედაშენი და როგორ მოიქცევა ბიძაჩემი. ეს საბოლოოდ დაგვღუპავს.

სამშაბათს ჩემი დაბადების დღეა. ჩვენ ვიქნებით ძველ ადგილას. მე ვიტრინისკენ პირით ვიჯდები და თვალს არ მოვაშორებ ქუჩას. ეგებ, მოახერხო და მანქანით მაინც გამოიარო როგორმე. იქ გადასასვლელია და შეგეძლება დაამუხრუჭო. მე ხელს დაგიქნევ. მერე კიდევ, ეგებ გადმოხვიდე კიდეც, თუ უკან ორი მანქანა არ მოგყვება და შენთვის სახიფათო არ იქნება.

გკოცნი. დანარჩენს ვერ აღგიწერ, რასაც განვიცდი, ისედაც ძალიან გამიჭირდა, რომ მშვიდად დამეწერა ამდენი სიტყვა.

ახლა წავალ და იმ კედელთან დავდგები.

სანდრო და კ.

წმინდა იმედი: სადარდო სიმღერა

ედმონდ კლევერის ბოლო წიგნიდან

<...> მე ძალიან მოხერხებულ ადგილას ვზივარ მარანას კლუბში. დაქანცული, თითქოს განადგურებული და გრძნობებისგან დაცლილი ვარ. საკლუბო წარმოდგენა ეს-ესაა დამთავრდა. უხილავი მომღერალი სცენიდან გავიდა.

აუცილებლად რამე უნდა დავლიო, თორემ ასე მგონია, რომ სამუდამოდ აქ დავრჩები.

„ღვინო, სერ?“ მათ იციან, რომ მე აუცილებლად უნდა დავლიო და გონება მოვიკრიფო.

„რამე უფრო მაგარი... ორმაგი ვისკი, უყინულოდ,“ აი, ასეთ დღეში ვარ.

მომტანს მოაქვს და მეკითხება: „უკაცრავად, თქვენ მისტერ კლევერი ხართ?“

„დიახ.“

„თუ არ მიწყენთ, აი, იმ მაგიდასთან გიწვევენ.“

მაგიდას სამი კაცი უზის. სინათლე ცუდია, თითქმის ვერ ვარჩევ მათ იერს. უარის თქმა ძალიან დიდი უზრდელობაა. აქ ასეა: მათ მიცნეს, მე უნდა დავემორჩილო.

ერთი შუახნისა და ორი ახალგაზრდა კაცია. ჩემდა გასაოცრად, ხნიერი ინგლისელია, მისტერ პერიგო. თმაშეთხელებული, ჭაღარა, ახალგაზრდა, ვისრამიანი გახლავთ, დავიდ ვისრამიანი, დათა. მეორე ახალგაზრდა კი მისი მცველია, სუნგალი, როგორც აქ იტყვიან ხოლმე. ის ოდნავ უკან ზის, თუმცა დიდ პატივად უჩანს, რომ პატრონმა მაგიდასთან მოიპატიჟა. აქ ესეც წესია: ადამიანი ადამიანია და როცა საქმე სუფრას ეხება, იქ ხელქვეითს ზურგსუკან მხოლოდ ბღენძი დაიყენებს.

„ჩვენ არა გვყავს არისტოკრატია. მეფეც კი ყოველთვის მოლაშქრეებთან ერთად სადილობდა. იმას ჭამდა, რასაც გლეხი,“ ეს უკვე ორჯერ მითხრეს კუნძულზე, თუმცა, გენუელები სხვაგვარად მიიჩნევენ. ეს უბრალოდ სხვა კულტურული შრეა.

„მისტერ კლევერ,“ მეუბნება პერიგო, „ჩემი არ იყოს, თქვენცა გყავთ შეყვარებული, სახელად ესპერანსა?“

„მე ის ქალი მიყვარს,“ ვაღიარებ მე, „ის ქალი, ახლა რომ მღეროდა სიბნელეში. ყველაფერს მივცემ, რომ დამანახა, ვინ იყო. ხუთი წუთის წინ რომ მოვმკვდარიყავი, იმქვეყნად ვიტყოდი, რომ დაქანცულ, ბედნიერ ადამიანად მოვკვდი. ახლა ცოტა მაჯობა. ვისკი მაინც თავისას აკეთებს.“

„ის ქალი ყველას გვიყვარს,“ იღიმება დათა ვისრამიანი, უმდიდრესი გვარის ერთ-ერთი მემკვიდრე.

„მისტერ კლევერ... „

„ედი, უბრალოდ ედი.“

„ძალიან კარგი... ედი. თქვენი წიგნი წავიკითხე. თქვენი ორივე წიგნი წავიკითხე და როგორც ხედავთ, აქა ვარ.“

„პირველად ხართ?“

„ჰო, ოღონდ მესამე თვეა აქ ვცხოვრობ, რიგოტში. სხვათა შორის, მეტი მინდა ვიცოდე ალი ბეის ჩიბუხის შესახებ. მე სიძველეების მაღაზია მაქვს ლონდონში. თუ ამ ჩიბუხის ამბავს კარგად დავატრიალებთ, შესაძლოა, იმ ნამტვრევებმა, სათუთად რომ ინახავენ აქა-იქ, სოტბიმდე მიაღწიოს,“ აი პერიგოს ნათქვამი.

„ეს არ ვიცი,“ დილის სამ საათზე არ მეამა ასეთი საუბარი „არა მგონია, ვინმემ ეს ნაწილები გაყიდოს. არ შეელევიან.“

„წმინდა ნაწილებია თუ რა?“ გაიცინა მისტერ პერიგომ.

„რაღაც ამის მსგავსი.“

დათა ვისრამიანმა შეატყო, რომ სტუმრის პირობაზე ძალიან ვწუხდებოდი და მკითხა: „მომღერლებზე წერთ?“

„მგონი, მათი რიგიც მოვიდა, არა?“გავუღიმე მე.

„მე შემიძლია, ერთ მომღერალს შეგახვედროთ. ოღონდ სახეს ვერ დაინახავთ.“

„ეს ვიცი ჩადრით იქნება, არა?“ძალიან გამეხარდა.

ალბათ, ამის გულისთვისაც მიმიხმო თავის სუფრასთან.

„უბრალოდ, არ ვიცი, რამდენად სწორი დროა, რომ სადარდო კლუბებში დადიხართ.“

„რატომ?“

„ყველაფერი ძალიან სწრაფად იცვლება. ზაფხულში აქ ინგლისური მმართველობა სრულდება. შეიძლება, საინტერესო სულ სხვა რამ იყოს.“

„ასეც იქნება,“ ჩაერია მისტერ პერიგო.

„აბა, რას მირჩევდით?“ გულწრფელად ვკითხე, თუმცა, ჩემს მიზანზე ხელი არ ამიღია.

„ღმერთმა დამიფაროს, რომ თქვენისთანა კაცს რამე ვურჩიო,“ ვისრამიანს საუცხოო მანერები ჰქონდა, ძალდაუტანებელი ზრდილობა, „მე რომ ვიყო ედმონდ კლევერი, სუნგალებზე დავწერდი. იცით, ვინ არიან სუნგალები?“

„კი, როგორ არა.“

დათამ მესამე კაცს მხარზე დაჰკრა ხელი: „აი, სუნგალი.“ <...>

ოჯახი, კაია და ძმები

კაიამ კარი გამოიჯახუნა და აივანზე გამოვარდა.

შიგნით ისხდნენ ის დასუქებულები, ზუსტად რომ დასუქებულები, მეტი არავინ. თან რაც ბერდებოდნენ, მით უფრო ემსგავსებოდნენ ერთმანეთს, სათვალეებიც კი ერთნაირი ეკეთათ. ტყუპები მაინც ყოფილიყვნენ, ტყუპები არ იყვნენ და ისე გადმოხედავდნენ ხოლმე უმცროს დას, როგორც უმცროს დას გადახედავენ ხოლმე უფროსი ძმები.

უმცროსობა ოც წლამდე თუ არსებობს, მერე - აღარ. ეს ძალიან ბევრჯერ დაუმტკიცებია კაია ვისრამიანს. ძალიან ბევრჯერ. და განა მამამ არ იცოდა? როგორ არა. მამამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ რას გაიგებ მამის ფიქრისას? თქვენთან ერთს ლაპარაკობს და მერე სხვას აკეთებს. სხვათა შორის, კაიასთვის სასარგებლოს. მამას კაია ეიმედება და არა ეს ორი გასუქებული მელია.

სასაცილოა, არა?

ამას რომ ქალი ფიქრობს, რომელსაც შვილიშვილი ჰყავს და ორმოცდა... კარგი, ორმოცდაათს გადაბიჯებული.

ისინი ყველაფერს ფულით ზომავენ. უფრო სწორად, ფულს აზომებენ შემოსავლებს, სიმშვიდეს, ბაზრის გაფართოებას და სხვა მნიშვნელოვან სისულელეებს. პეტრე და პავლე: პავლე ჩასცქერის ქაღალდებს და ეტყვის: - კაი, რა კაია...

პეტრე კიდევ ჩაიხითხითებს, ასევე ქაღალდებში ჩამცქერი: - კაია, კლიმაქსი ხომ არა გაქვს, დაო ჩემო?

კაია რომ კარს გამოიჯახუნებს, პავლე ქაღალდებიდან თავს წამოსწევს და მამის გასაგონად იტყვის: - თავის ოჯახს მიხედოს, რა მაგის საქმეა, შენახულები რას იზამენ?

- რას მიხედოს, რაც არა აქვს? - ჩაიხითხითებს პეტრე.

მამა კი იხრინწება, მოსვამს ორანჯის წყალს და იტყვის.

- დაამთავრეთ... თქვენი და - თქვენი დაა, ოჯახი - ოჯახია. მე ერთმანეთში ვერ გამოგარჩევთ. რასაც კაია ამბობს, მართალია, ჩვენ შენახულები ვართ, ერთი, ორი, სამი, ოთხი თაობა მოვიყარეთ. ჩვენ რო მარტო სიმდიდრისთვის გვედია, შენახულები არ ვიქნებოდით. როცა და გეხვეწებათ, მომეხმარეთ, გამაგებინეთ რა ვქნაო, თქვენ რას პასუხობთ? სამი დღეა თქვენმა დამ არ იცის, მისი შვილი სად არის. ჩემი სალომეი არ ვიცი სად არის. თქვენთვის ეს მიზეზი არ უნდა იყოს, რომ თქვენი დის შვილი, ბავშვის დედა, ჩემი სალომეი არ ჩანს, რომ დაფიქრდეთ? ორმოცდაათი წელიწადია გიყურებთ და აბრაზებთ თქვენს დას. რა იქნება, მე რო აღარ ვიქნები? სამოცი წლის კაცები ხართ, ლამის. თქვენი და ძალიან ჭკვიანი ქალია. ოჯახის კრებულზე მოდის, რომ გაარკვიოს თავისი გასაჭირი, თქვენ რას ახვედრებთ? სხვა რა არის ოჯახის კრებული?

- ჩვენც მოვდივართ გასაჭირით ოჯახის კრებულზე, - პასუხობს პავლე, - აგერ, ა, გადახედე ამ აქციების ამბებს. ეს არ არის სალაპარაკო?

- ეგ ჯიბის არი, ქისის არი! - დასჭექავს უცებ კონსტანტინე ვისრამიანი და თავის დასუქებულ, გამელოტებულ ვაჟებს ჯიქურ მიაჩერდება: ხან - ერთს, ხან - მეორეს.

ამ შეძახილს გაიგონებს აივანზე გავარდნილი კაია ვისრამიანი, ლამაზად გადააფერფლებს და ჩაიღიმებს, იმიტომ რომ, კაიამ ყოველთვის იცის, როგორ მოიქცეს.

- მივდივარ იმ ქვეყანაში და ერთხელ გულისა არ გითქვამთ, ერთხელ ოჯახისა არ გითქვამთ.

- ეს ოჯახისა არ არი, მამა? - ქაღალდებს დაანახებს პავლე.

- შენ არ ფიქრობ შენი დის ოჯახზე. შენ ანგელოზ დის შვილზე, რომელიც არ გვინახავს სამი დღეა. მისი შვილი რომ გაიზრდება, ვერ გიცნობთ თქვენ.

- მამა, რა ვქნათ? რაც კაიას უნდა, ის მე არ მინდა. მე არ მინდა იმის ცოდნა, რატომ არის კაია გაჯავრებული თავის სიძეზე. ჩვენც გვყავს შვილიშვილები, ჩვენც გვყავს რძლები, რა წვალებით მოყვანილები საქართველოდან, მაგრამ ჩვენ არ მოვდივართ

შენს სახლში და არ ვყვებით ჩვენი ოჯახის ამბავს. კაიას ბოლო სიტყვა ვიცი. კაია იტყვის, მოვკლავ, სისხლს ვადენ, ასე ვუზამ, ყველას ამას გიზამთ, იმას გიზამთ. მე არ მინდა ვიცოდე ეგ, მე წესიერი კაცი ვარ. კაია რას მოიფიქრებს, მე ჯობია არ ვიცოდე. რაში უნდა ვიცოდე, მაგის მეკობრი სიძე სად იპოვოს და რა უქნას? ამ ქვეყანას კონსტებელები ყავს, მოსამართლეები ყავს, კანონი ყავს. რა გახდა ერთი ამ სიძის დაჭერა?...

მოხუცებული კონსტანტინე ვისრამიანი ხელისგულს დასცხებს მაგიდას.

- ხმა! შენახული ხარ, თუ ვიღაცა გზისპირელი? ხმა! შენახულმა თავისი სიძე ანგლეზების ხელში მიცეს? სასამართლოში ხალხი მიიყვანოს და აყურებიოს, ჩემ შენახულობას ვერ მოვერიეო? ქართველი სხვას მივცე ხელში? გვარი გამოვართვი, ფული გამოვართვი, ახლა ვნახავთ. თქვენი თანხმობა და გვერდითობა უნდა თქვენ დას, თქვენ აფრიალებთ ბანკის ქაღალდებს და ნიგვზის მოსავალზე ეუბნებით... გალიეთ ამხელა ცხოვრება და თქვენი თანხმობის ხვეწნაშია დაი...

- ვეთანხმებით... ვეთანხმებით... ნუ გვასმენიებს, ისე... - ბუტბუტებს პავლე.

- გული! - ესმის კაიას აივანზე, - შენახულის გული და ღონე სად არი? ის გავს ვისრამიანს, თქვენ ანგლეზებს გავხართ...

- კაი, მამა, კაი, - ამშვიდებს პეტრე, რომელიც აქამდე ჩუმად იყო, - სად წავიდოდა სალომეი, ბავშვი ხომ აღარ არის? შვილი დაგვიტოვა და გაიქცა?

- არ გაიქცა. აქ არის... იმასთან არ გაქცეულა. გაიგე ესა, აღარ გარბის ორმოცს მიწეული ხალხი. სხვა შიშია აქ, ხო არ წარიტაცა ქმარმა და რა უყო? დედას ეძრახება, რომ თქვას, მოვკლავ შვილის მომკვლელ სიძესო? სად არის სალომეი? იცის რომელიმე თქვენმა კაცმა? არ იცის, არ კითხავთ და იმიტომ. ამას ტირის დაი თქვენი, სად არის სალომეი ვისრამიანი? არ მაჩხუბოთ ჯენოველებს, არ არის იქ. კაია ითხოვს, ყველა თქვენი სუნგალი დავატრიალოთ, ყველა გამავლობა დავატრიალოთ, ნუ გავალთ გაზეთის ფურცელზე, ისედაც დიდი სალაპარაკო საქმე გვიდევს წინ, ვიპოვოთ შვილი ჩვენ, ჩვენ თუ გაგვექცა და სხვას თუ გაექცა და თუ მოგვტაცა სხვამ და ვინ იცის. ამისას ითხოვს თქვენგან თანხმობას, რომ თქვენი ხალხი სალომეას მოსაძებნად დავატრიალოთ. ეს გაემტყუნება დედას? თქვენ დას?

- არა, არა, არ გაემტყუნება. თანახმა ვარ, - თავს აქნევს პავლე.

- ჭიდაობას მართავთ ქალთან. კანონი... კანონი... ანგლეზის მაყურებელს აღარ დაგვრჩება ქვეყანა. ანგლეზს რო მივყოლოდით ჩვენ, ახლა ლორდი ვიქნებოდით, მაგრამ არ ქნა შენახულებმა, ცალკე დადგა და ვაჯობეთ, რაც ვართ. რა ვექილებივით მელაპარაკები? ამას თხოვნა უნდა?

- კაი, მამა, კაი, გამოუშვებ ჩემებს დღესვე და ელაპარაკოს მარტია მაშინ... - თავს უქნევს პავლე.

- ასე...

- ახლა, ეგება, მოგვისმინო საქმეზე.

- კაიასაც ესმინა, არ იქნებოდა უვარგი, - ხითხითებს პეტრე, - თავი ამატკია და მაგისია ეს ნიგვზის ბაღები, ჩვენი კი არა...

კაია კი დგას აივანზე და გადასცქერის ზვრებს ვისრამიანის კუნძულზე. კაიამ იცის, რომ ხვალიდან ლაშქარი ჰყავს. კაიამ იცის, რომ იპოვნის ქალიშვილსაც და სიძესაც და ისიც იცის, რომ ძალიან ბევრი რამ შეიცვლება.

ყველას მოეთხოვება: ამ დასუქებულებსაც, იმათაც, ჯენოველებს და საერთოდ ყველას. კაიამ იცის, რომ კრებულობის ბოლოს მამა ეტყვის ძმებს, რომ მათ ის საქმეები აგვარონ, რასაც აგვარებდნენ, კაია კი ოჯახის წამძღოლი იქნება მასთან ერთად.

- კიდე კაი, კაია არ არი ჩვენი დედოფალი, - იხუმრებს პეტრე.

მამა ჯიქურ მიაჩერდება და მერე გამოსცრის: - არ იხუმრო იმაზე, რაზეც ვისრამიანები არ ხუმრობენ.

- რატო უნდა ვეძებო მე ვიღაცა მეკობრი ნიკა არი თუ რა ქვია? სახელი არც მახსოვს, - წაიბუტბუტებს პავლე, - მე შევრთე სალომეის?

- ჩვენ შევრთეთ... მე შევრთე! ქართველია და ამიტომ! - ისევ გაიგონებს კაია მამის ამონათქვამს.

- და კოსტა, და კოსტა, და კოსტა, - ღიღინებს პეტრე და ქაღალდებს კრეფს მაგიდიდან, - რა ქნას კაცმა?

ვირი მაყვლით სავსე გოდრებით

ნამდვილი თამბაქო

მორად ბეი, ყავახანა „ალი ბეის და ბასილას ჩიბუხის“ პატრონი, დიდად პატივისმცემელი იყო ინგლისელებისა, გამორჩეული პატივისმცემელი.

თუმცა მორად ბეი ოსმალო გახლდათ და მისი ფიქრისას ბევრს ვერაფერს ამოიცნობდი. ოსმალო შეიძლება ისე მოკვდეს, რომ თავისი ნამდვილი ფიქრი და ვარამი არ გამოამჟღავნოს. ასე იყო ამ კუნძულებზე. აქ ასე იცოდნენ ხოლმე თქმა.

მაგრამ მორად ბეი ძალიან ალალი კაცი იყო, ასე ჩანდა.

ამგვარად ჩაცინება, ულვაშის ამგვარად აფარჩხვა მხოლოდ ალალ ხალხს შეუძლია. პატივისცემასა და მორჩილებას კი მორად ბეი ინგლისელთათვის გასაკვირი და დამაბნეველი სიტკბოებით გამოხატავდა.

თვეში ერთხელ „ალი ბეის და ბასილას ჩიბუხის“ ყავახანაში სუფთად ინგლისური საღამო გაიმართებოდა ხოლმე. ამ საღამოზე მოხვედრა სხვა წარმომავლობის კაცსაც შეეძლო, მაგრამ ასეთი ძნელი საპოვნი იყო.

მორად ბეი იმგვარ რაღაცეებს წააწერდა ყავახანის წინ გამოდგმულ დაფას, იმგვარი აღმოსავლური ქათინაურებით შეამკობდა ხოლმე ჯერაც მოუსვლელ სტუმრებს ამ თავის მოსაწვევ წარწერაში, რომ სხვა ერის კაცი თითქმის შეურაცხყოფილი დარჩებოდა, ინგლისელები კი საბოლოოდ შესძულდებოდა.

„მორად ბეი, მტვერი და არარაობა, დღეს იწვევს ყველა ინგლისელს, სტუმარსა თუ აქაურს, რათა კიდევ ერთხელ დაუვიწყარი დრო გაატარონ ამ ყავახანაში, სადაც დასავლეთი ხვდება აღმოსავლეთს და სადაც ამ შეხვედრის ნამდვილ სიტკბოებას მხოლოდ ინგლისელები შეიგრძნობენ, ვინაიდან სხვას არავის ძალუძს შეიცნოს საკუთარი თავი ისე, როგორც ინგლისელს და სხვასაც არავის შეუძლია დააფასოს მეორე ადამიანი ისე, როგორც ინგლისელს.“

ამიტომ მორად ბეის ყოველთვიურ შეხვედრებზე მხოლოდ ინგლისელები დადიოდნენ.

იქ თითქმის არაფერი დუღდა ისეთი, ჩვეულებრივ დღეებში რომ ვერ დალევდი: ყავაც იგივე იყო და სასმელიც. ოღონდ, ათის ნახევრამდე მაგიდებზე ჩიბუხები არ იდო და არც ვინმე ითხოვდა, ვინაიდან მორად ბეი დიდი მონდომებითა და გაქანებით ათამაშებდა ლატარეას, რომლის მომგებიც პირველი გააბოლებდა ყალიონს იმ საღამოს. ამ ლატარიის არსი ის იყო, რომ მორად ბეი ამ შეხვედრისთვის ვითომდა რაღაც განსაკუთრებულ თამბაქოს შენაზავს აღმოაჩენდა ხოლმე და სწორედ ამით გატენიდა ჩიბუხს. ყავახანის პატრონი ამ ნაზავს ნამდვილ თამბაქოს უწოდებდა. ის ამბობდა, რომ ეს შენაზავი მეჩიბუხე ბიჭმა ბასილამ მოიგონა საგანგებოდ თავისი ბატონის, კუნძულის თვალდარდიანი ციხისთავის ალი ბეისათვის, რომელიც თამბაქოს დიდი ტრფიალი გახლდათ. ამ წარმოდგენის გათამაშებას ხელს ისიც უმართავდა, რომ მორად ბეის ყავახანა გაწყობილი იყო ალი ბეის ნაქონი ნაირგვარი ნივთებითა და მისი განთქმული ჩიბუხის ნამტვრევებით, ხოლო მორთული აწ განსვენებული ჯონ ქინანის ნახატებით, რომლებზეც ალი ბეისა და მეჩიბუხე ბასილას ცხოვრების სურათები იყო აღბეჭდილი.

რაგვარად გარეულიყვნენ ამ საქმეში ინგლისელები, ძნელი სათქმელია, მაგრამ ეს დროსტარება სწორედ ინგლისელთათვის იყო და სხვანი მორად ბეის ჩიბუხის გასაბოლებლად არ მიდიოდნენ. ლატარიაში მონაწილეობა ათი აქაური ფუნტი ღირდა, თუმცა ეს იგივე იყო, რაც ბილეთი, რომლითაც ფინჯანი ოსმალური ყავაც მუქთად შეისმებოდა. სრულიად გადასარევი და კუნძულზე საუკეთესო, სხვათა შორის.

ერთხელ მორად ბეი ნავსადგურში იყო ყავის ასარჩევად და იქ ერთ ბერძენ ბიცოლას გადაეყარა, რომელთანაც ფეხზედგომელა სამწუთიანი ლაპარაკი გამოუვიდა თავისი ოთხი ყუთის ცდისას. როცა ყუთები ჩამოიტვირთა, ბიცოლამ ამაყად უთხრა: - ახლა ვერ გაგიშვებ, გემზე ამოდი... ბერძენი ვარ და ყავა უნდა დაგალევინო.

მორად ბეიმ ჩაიხითხითა: - მე მორად ბეი ვარ, ყავის და თამბაქოსას ალაჰი მეკითხება რაღაცეებს.

ამ ამბავს ამოდ მოსასმენი გაგრძელება გამოუვიდა. იმის მოთხრობა მართლაც ნავსადგურში წაგვიყვანდა, მორად ბეის სიამაყე კი, თავისი ხელობისა გამო, როგორღაც გამოვაჩინეთ.

თუმცა, რაღა მაინცდამაინც ინგლისელებს უნდა ებოლებინათ მისი ჩიბუხი, ძნელი სათქმელია. ეს ქეიფობანი მორად ბეისთვის მხოლოდ მოხერხებული ვაჭრობა იყო თუ კუნძულის მმართველთა ერის შვილებისადმი კოჭის გორება, ვინ მიხვდებოდა?

ცხადია, არავითარი ბასილას ნაზავი თამბაქო არ არსებობდა და ამიტომაც, ამგვარი თამბაქოს ბოლება ძნელად დააინტერესებდათ საკუთრივ კუნძულელებს და ზოგადად სამხრეთის ადამიანსაც კი, რომელმაც ეგებ სწორი ხაზების გავლებაში ვერ გადაუსწრო ჩრდილოელებს, მაგრამ პირის გემო და მუღამი ცხოვრებისა კი სულ სხვაგვარი დაჰყვა და მორად ბეის ფანდები იმაზე არ გაჭრიდა.

მორად ბეი განსაკუთრებით მას შემდეგ გაამაყდა, რაც სამოგზაურო ჟანრის მწერალმა ედმონდ კლევერმა თავის წიგნში ორი თავი მიუძღვნა მასთან ურთიერთობას და ეს ინგლისელთათვის მოწყობილი საჩიბუხე საღამოც, რომელშიაც რატომღაც სწორედ თვითონ შეიქნა გამარჯვებული, გვარიანი ხატოვნებით აღწერა. თუმცა, ისიც არ დავიწყნია, მორად ბეისთვის ეშმაკურად ეკითხა, რაღა მე მოვიგეო, რაზეც ოსმალომ სრულიად დახვეწილად უპასუხა, ქვეყნად არსებობს იღბლის პატარა სოფელი, სადაც წერილი გავგზავნეო.

და საკვირველიც ეს იყო, რომ იმ ბუჟბუჟა საღამოსაც, როცა ლატარეის გათამაშება ერთი ღრიანცელითა და ტაშისკვრით მიმდინარეობდა, ალი ბეის ჩიბუხის გაბოლების უფლება კვლავ ედმონდ კლევერმა მოიგო.

საკვირველი არ არის?

განთქმული მწერალი და მოგზაური მანამდე ერთადერთხელ, ორი წლის წინათ დასწრებოდა ინგლისურ საღამოს მორად ბეის ყავახანაში და იმ ზაფხულის შემდეგ ახლაღა ჩამოსულიყო სანტა სიტიში, ალბათ მორიგი აქაური წიგნის დასაწერად, რადგან წინა ორს გვარიანად გაემართლებინა მისთვისაც, მისი აგენტისთვისაც და რა თქმა უნდა, გამომცემლობისთვისაც.

ჰოდა, ცხადია, მისულიყო „ალი ბეისა და ბასილას ჩიბუხში," სადაც ძველი მეგობრის გამოჩენით აღტაცებულ მორად ბეის უსიკვდილო თანხმობის პირობით დაეპატიჟნა სამი დღის შემდგომ საჩიბუხე ქეიფობაზე.

სწორედ მაშინ მოხდა ეს თითქმის დაუჯერებელი ამბავი: ხალხით გამოტენილ ყავახანაში, რამაც შოუს, ცხადია, შემატა ხმაურობა, ხალისი და ბარსაც ხალხი მეტის აღტაცებით მიასკდა, ედმონდი დააბრძანეს ზღაპრულ ხალიჩაზე, ბალიშებს შორის, თავი უნაზესი ქსოვილის დოლბანდით გაუკრეს, აასხეს ბეჭედი და ნაირგვარი სამკაული და გრძელი ჩიბუხიც მისცეს ხელში.

- ამჯერად ყველაფერი თქვენი ხელის ყისმათია, - შესცინა ოფლით დაცვარულმა მორად ბეიმ და ჩიბუხის პირთან ჩაიმუხლა, რათა ძველი წესით, ნაკვერჩხლები დაელაგებინა თამბაქოზე.

მერე ედმონდ კლევერი ეჭვობდა, უთუოდ იმ თამბაქოში იყო გარეული რაიმე საცნობი ბალახი, ვინაიდან თავბრუსხვევამ ხელი სწორედ რომ ჩიბუხის გაბოლების შემდეგ დამრიაო. ამის შესახებ მორად ბეის მეტად დელიკატურად დაეკითხა ორი დღის თავზე, მაგრამ ყავახანის პატრონმა შეიცხადა, რასა ბრძანებთ, მასტერ კლევერ, „ალი ბეის და ბასილას ჩიბუხი" ღირსეული დაწესებულებაა, ნაირგვარი კეთილი და

გემრიელი თამბაქოს ფურცლები თავად შევუზავე ერთმანეთს ჯერ კიდევ დილით და თავადაც გავსინჯე, ასე რომ ეს მიზეზი გამორიცხულია, სადმე ვახშმად არ შეგერგებოდათ თქვენთვის უკადრისი კერძი და მოწამლვის მიზეზი ეს თუ იქნებოდაო.

მორად ბეი ძალიან შეაშფოთა საყვარელი მწერლისა და მეგობრის თავბრუსხვევის ამბავმა და სთხოვა, წვრილად ეამბნა მისთვის თუ რარიგ იყო უქეიფოდ, მაგრამ კლევერმა მხოლოდ ორიოდ წინადადება გაიმეტა, თავბრუ მეხვეოდა და ზოგჯერ ყურის ძირთან თითქოს რკინის თეფშებს დასცემდნენ, ძილ-ღვიძილში ვიყავ და მხოლოდ დილითღა მოვახერხე სენტ მერის სამკურნალომდე მიღწევა, სადაც კუჭიც ამომირეცხეს, წამლებიც დაუნანებლად დამაყარეს და ავტოგრაფებიც უხვად მომთხოვეს, რადგან ერთი ჭკვიანი ექთანი ჩემი მისვლისთანავე მაღაზიაში გაქანდა და ათიოდე წიგნი მოარბენინაო.

უეჭველად მოწამვლა ყოფილა, რახან კუჭი ამოგირეცხესო, დაასკვნა მორად ბეიმ და მინერალური წყალი შესთავაზა ედმონდ კლევერს.

ყავახანის პატრონმა იცოდა, რომ კლევერს გვარიანი ფათერაკები გადახდა იმ ღამეს, თუმცა, რახან მოგზაური არაფერს ამბობდა, აღარ მიეძალა. აბა, მორად ბეიმ როგორ არ იცოდა, რომ კლევერი მართლაც გამთენიისას მივიდა სასტუმროში?

თუმცა, ამას ვერასგზით დააბრალებდა თავის თამბაქოს, რომელშიაც მართლაც არ ჩაურევია რაიმე სახითხითო.

უბრალოდ, მორად ბეის ახსოვდა, რომ იმ ღამით, კლევერი რომ გამოემშვიდობა, არ უთქვამს, თავბრუ მესხმის და ყველაფერს სამგზის გადიდებულად ვხედავო. ის ერთ ცნობილ სტუმართან ერთად გავიდა ყავახანიდან, იმ სტუმარს კი მორად ბეი გიჟად მიიჩნევდა, თუმც ყოველთვის სიტკბოებით ხვდებოდა, რადგან ამ კაცს მოუღლელად სმენა და მორად ბეის ზღაპრებზე მსჯელობა არ სწყინდებოდა.

- ეს ნამდვილი თამბაქო იყო, მასტერ კლევერ, - ხელები გაშალა მორად ბეიმ, - ეგებ ამაშიც იყოს ბასილას ნაზავის საიდუმლო, რომ ზოგჯერ ადამიანს სულ სხვანაირად ჩაუჯდეს გულ-მუცელში. როგორ ხასიათზე ბრძანდებოდით, აქ რომ მოხვედით?

ბუ ღამით

1.

გვიანი იყო, როცა ბუ თავისი სავარძლიდან წამოდგა და ტელევიზორი არ გამორთო. ფეხაკრეფით შეუყვა საწოლი ოთახებისკენ ამავალ კიბეს, ჩუმად შეაღო სააბაზანოს კარი, ონკანი მოუშვა და კბილები გამოიხეხა. მერე ჯაგრისი შარვლის ჯიბეში ჩაიდო და ფრთხილად შევიდა საწოლ ოთახში, სადაც მის ცოლს, კაია ვისრამიანს დასძინებოდა „ჩერჩილის ცხოვრების“ ახალი მოზრდილი ტომით გულზე და ლოგინზე ჩამოჯდა. ბუმ ფრთხილად გამოსწია სასთუმლის მაგიდის უჯრა, იქიდან ფოტოების თხელი შეკვრა ამოიღო და პერანგის ჯიბეში ჩაიდო. მერე ჟილეტი და ფოსტლები გაიხადა და ასევე ფრთხილად შეყო ხელი ლოგინის ქვეშ.

იქიდან თხელი საზაფხულო ფეხსაცმელები გამოაძვრინა და ასევე ფრთხილად ჩადგა შიგ ფეხები. მერე ოდნავ ბებრული ჟაკეტი გაიხადა და ცოლის ხმა გაიგონა: - ბუ... გძინავს?

- ვწვები...

- რომელი საათია?

- ოთხის ნახევარი, - იცრუა ბუმ და საათს დახედა.

თორმეტის წუთები იყო.

ქალი კრუსუნით გადაბრუნდა, „ჩერჩილის ცხოვრება“ რბილად დაეცა ხალიჩაზე.

ბუ ფრთხილად წამოდგა და წინდაწინ მომზადებულ ჟაკეტს დასწვდა. უჩუმრად გამოცოცდა საწოლი ოთახიდან და კიბეზე ჩაცუხცუხდა.

მერე სამზარეულოში შებრუნდა, ტელევიზორს ოდნავ აუწია და საარხე პულტი სავარძელზე მიაგდო.

მერე კი ჰოლში გაფრატუნდა და კედლის კარადიდან ტყავის მომცრო ჩანთა გამოაძრო. საკიდზე შლაპას ასწვდა და დაიხურა.

მერე შლაპა მოიხადა, უკან შეაგდო და ნასვრეტებიანი კეპი ჩამოიღო.

კეპი ოდნავ ვიწრო ჰქონდა, მაგრამ მაინც პატიოსნად მოირგო და ჩანთაგადაკიდებულმა ფრთხილად გამოაღო სახლის კარი.

ზედ სადარბაზო კართან ორი დარაჯი იჯდა და ტელევიზორს უყურებდა.

ერთი იყო ოცდაორის, მეორე - ოცდათოთხმეტის.

ისინი პირველად ხედავდნენ, რომ ბუ ვისრამიანი სახლიდან გადიოდა ფეხით და თანაც ღამით.

- გავივლი ცოტას... - თითქოს თავი იმართლა ბუმ, - კაიას სძინავს. თქვენც დაიძინეთ, რას უყურებთ, სულ სისულელეებია.

ისინი დააბნია ბუს ხილვამ.

- დაიძინეთ, დაიძინეთ...

ბუმ კიბეზე ჩაირბინა და ქუჩას ფეხით გაუყვა.

მცველები წამოდგნენ, თვალი გააყოლეს, იმის თქმაც ვერ მოახერხეს, რომ ერთ-ერთი გამოგყვებით, ანდა მანქანას გამოგიყვანთ და სადაც გვეტყვით, მიგაბრძანებთო.

- ამან ქალი ხო არ გაიჩინა? - ჰკითხა ერთმა მცველმა მეორეს.

- ჰა... მაგარი იქნება... ჰა... ბიჭო? კაია დახეთქამს კაკლებსა...

- თუღაა აქ კაკლები...

იცინოდნენ და არც იცოდნენ, რომ ეგებ სამსახურიც დაეკარგათ ამის გამო.

2.

ბუ ვისრამიანს სინამდვილეში ვახტანგ ავალიანი, სხვანაირად კი ვახო ერქვა და იყო ქართველი საქართველოდან, რაც ნიშნავს იმას, რომ ის ვერ იტანდა სამყაროს, მაგრამ მოსწონდა იგი. ეს, ასევე ნიშნავს, რომ თუ სხვაგან ხარ, შინ ვერაფრით იქნები.

ბუს არასოდეს უფიქრია ამაზე, თუმცა, ასე კი გამოდიოდა.

ის ბავშვობიდან გარბოდა: ჯერ სტალინის დროის რეპრესიებს მორიდებული ფარმაცევტი მამა დააწოწიალებდა ოჯახს რაიონიდან რაიონში, პატარა ქალაქიდან უფრო პატარა ქალაქში: ერთ ადგილას დიდხანს ჩამოუმჯდარი კაცით შინსახკომი არ დაინტერესდებაო. გაუმართლა კიდეც, თავისი სიკვდილით აღესრულა სტალინისავე მოკვდომიდან ასე, ერთი წლის თავზე, გული გაუსკდა. ეს ადგილების ხშირი ცვლის ხერხი მამისთვის ერთ გამოცდილ კაცს ესწავლებინა და არ იქნებოდა, არ მოეხმარა, ცოლის ძმა მიქელა ხომ დაუჭირეს და ლაგერებში დაკარგეს. ციმბირი იმხელაა.

ბუ სტუდენტობისასაც გარბოდა, ორი კურსი კოხტად დაფარა იმხანად მეტად მოდურ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და იქაურ ჯაზსაც აშველებდა ხმას, მაგრამ სრულიად აიბურდა სტუდენტური მიჯნურობის საკითხში და ორ გოგონას შორის არასწორად ამოირჩია. ანუ ის ამოირჩია, რომელთანაც ნაკლებად ახლოობდა, ხოლო ის, რომელთანაც ახლოობდა, განზე მოიტოვა, რამაც ასე წყაროსავით არ ჩაირიკრიკა და როცა იმ არასწორად არჩეულსაც უწყო ძაფების ჭრა, ერთბაშად ორი ოჯახის მიერ გამართულ ჭყლეტაში მოჰყვა. პირველად უკუგდებულის ოჯახი, ცხადია, ქალიშვილის ღირსებას იცავდა, არასწორად არჩეულისა კი ასევე ქალიშვილის ღირსებას. მთლად დაბნეული ბუ კი ადგა და გაიქცა, სრულიად შორს, სრულიად სხვაგან, ისე, რომ დედასაც შეუთანხმდა. ის გაიქცა იქ, სადაც ყველაზე ხშირად გარბიან ქართველები, რუსეთში. იქ კი დედისა და ბიძაშვილებისთვის მოულოდნელად, უმცროს საზღვაო ოფიცერთა სასწავლებელში მოეწყო კურსანტად.

ქართველი იყო და ზღვისა მხოლოდ სანაპირო წყალი თუ უყვარდა საჭყუმპალაოდ. მაინც იქ ჩაირიცხა: ვინ იცის, ფიქრობდა, მერე უფროს ოფიცერთა სასწავლებელში გადავალ და ნამდვილი კაპიტანი თუ ადმირალი შევიქნებიო.

და ის კვლავ გაიქცა, სასწავლებელი ბოლო კურსიდან მიატოვა: მაშინ ბევრი იქცეოდა ასე, ხელმოკლეობისა გამო. ვახო მობრუნდა ზღვისპირა საქართველოში და მეზღვაურად მოეწყო გემზე. მეზღვაური შემოწმებული კაცი უნდა ყოფილიყო, სასურველია, ოჯახს მოკიდებული, მაგრამ ბათუმში მეზღვაურები ჭირდა. ათასგვარად შეამოწმეს, გაუკვირდათ, რომ არც ერთი სასწავლებელი არ დაუმთავრებია, მაგრამ მაინც სანდო კაცად ცნეს, თანაც შიდასატვირთო გემზე უნდა მიეღოთ, რომელიც შავი ზღვის საბჭოთა ნავსადგურებს შუა დაცურავდა.

და ის კვლავ გაიქცა. ეგონათ, რომ დაიხრჩო, თუმცა ისიც იფიქრეს, რომ ღამით გემბანიდან გადახტა და გაცურა. ბათუმიდან ფეოდოსიაში მიმცურავი მშრალი ტვირთმზიდიდან კი გაუჩინარდა და საბჭოთა დაზვერვამაც თორმეტი წლის შემდეგ აღმოაჩინა, ისიც ვარაუდით, ვინაიდან სახელი და გვარი უკვე სხვა ჰქონდა.

ღამით გემიდან გადახტომა საბჭოთა კავშირიდან გაქცევის იშვიათი და სახიფათო, მაგრამ მაინც ნაცადი ხერხი იყო.

ლტოლვილმა იცოდა, რომ თუ განსაზღვრულ დროს, ანუ ღამის ხუთის ნახევრიდან ექვსამდე გემი განსაზღვრულ ადგილას გაივლიდა, სანტა ესპერანსას უკიდურეს კუნძულამდე ოცდასამი კილომეტრი უნდა გეცურა. როგორც ჩანს, ვახო ავალიანი, ოცდაოთხი წლისა, ამისთვის მზად იყო და საერთოდაც, მეზღვაურობაც ამიტომ გაეწია.

მაგრამ მან მხოლოდ თორმეტი კილომეტრი გაცურა. მერეღა ფიქრობდა, ოცდასამს ნამდვილად ვერ გავცურავდიო. რიჟრაჟზე მეთევზეებმა დაინახეს. მეთევზეები ვისრამიანების სათევზაო ფლოტილიის მუშები იყვნენ, კეფალზე ნადირობდნენ.

იმის შემდეგ ორმოცი წლის განმავლობაში ვახო ავალიანი, გადანათლული ბუ ვისრამიანად, არსად გაქცეულა. წესიერი, ოდნავ უბედური და უქონელი, კარგად შესახედი ყმაწვილი კაცი ვისრამიანებმა მოათბეს, მოასუქეს და ქმრად შერთეს თავიანთ ქალიშვილს, კაიას.

ვისრამიანები ვერც იოცნებებდნენ ასეთ სიძეზე. ღვთის გამოგზავნილად თვლიდნენ, რადგან უტეხი საგვარეულო ადათი აასრულებინა მათ და სიძედ სწორედაც რომ საქართველოელი ქართველი მოუვლინა.

ის აღარსად გაქცეულა, რადგან აღმოაჩინა, რომ მისი ქვეყნისგან განსხვავებით, ამ ქვეყანაში შეიძლება, არსადაც არ წახვიდე და გაქცეული კი იყო. ის ისე გაიქცა, რომ სულ მალე ბუ შეარქვეს დუმილისა და ზედმეტი ჩაკეტილობისათვის.

ასე გაიარა მთელმა ცხოვრებამ, ალბათ უზრუნველად. ბუ ქართველი იყო და ვერაფერს ეგუებოდა, თუმცა ყველაფერი მოსწონდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იქ იყო, ოღონდ თან სხვაგან.

ბუს ორი შვილი ჰყავდა და ისინი არაადამიანური გრძნობით უყვარდა, მაგრამ მათთან სიცოცხლეში სულ თითოჯერ თუ ესაუბრა გულახდილად.

საბჭოთა კავშირის დაშლის ამბებს ბუ სამ წელიწადს უყურებდა ტელევიზორში. საქართველო რომ გათავისუფლდა, ბუმ ველური ძალით შეჰღრიალა, მერე კი სადილზევე გამოთვრა და სადღაც წავიდა.

რომ დაბრუნდა, თავისი უმცროსი ვაჟი დათა ფანჯარასთან მიიყვანა და უთხრა: - აი, აქედან რო წახვიდე, მერე წყალში გადახტე და გაჰყვე ცურვით, საღამოს საქაველოში იქნები...

საქართველოს გათავისუფლებიდან ბარე ათი-თორმეტი წლის თავზე ბუმ, რომელსაც არაფერი შეუტყვია არც დედის გარდაცვალების დროისა და არც სხვა ნათესაობისა, ვისრამიანთ კაიას სახლის კარი გამოიხურა და წვრილი ქუჩებით გასწია ყალივან სტრიტისკენ, რათა გამოსათხოვარი შეესვა, იქიდან კი კოხტად მისულიყო ნავსადგურში, საიდანაც გამთენიას სტამბოლს უნდა გაჰყოლოდა გემს. სტამბოლიდან საქართველოს გზა საპოვნელი არ იყო.

ბუ ვისრამიანი გაიქცა.

3.

ბუ მიდიოდა გაჩახჩახებულ ყალივან სტრიტზე, სადაც ძალიან დიდი ხნის წინათ თუ გაევლო ფეხით. კაი მოხდენილი ქუჩა გამხდარიყო.

ბუ ჩუმად მხუხავი კაცი გახლდათ, თანაც იმ ასაკისა, მსმელ ქართველებს სმის მეხუთე, ძალიან თავისებური ჟამი რომ ჩამოუდგებათ ხოლმე.

ბუმ არ იცოდა კაფეების, რესტორნების და ბარების ფასები და არც მათი კლასისა გაეგებოდა რამე, ვინაიდან ქართველი გახლდათ და თანაც სამოცს გადაცილებული და ამიტომ ახალი რამეების შეცნობით თავს არ იწუხებდა.

ადრევე იფიქრა, ამ ქალაქის გამოსათხოვარი ერთი კი უნდა გადავუშვაო. ოღონდ კი, რახან ქართველი გახლდათ, მარტოს დალევა არ უყვარდა და არც სიამოვნებდა, ვინმე მაინც უნდა ჯდომოდა გვერდით, თუნდაც ას წელს მიტანებული ბებო, რომელიც მის ნალაპარაკევს ვერ გაიგონებდა, მაგრამ შიგადაშიგ თავს დაუქნევდა, ასეაო. შინ ბუ ხშირად სვამდა კატებთან ერთად, სოფლად, ვისრამიანების ფერმებზე, სუნგალ გლეხებთან, რომლებიც ამ კუნძულების მხოლოდღა ღირსეულ ტომად მიაჩნდა და ამიტომაც, ხშირად იყო ხოლმე სოფლად, პატარა კუნძულზე.

ახლა ჩანთაგადაკიდებულმა ბუმ თავისი მთვლემარე თვალები ჩამოატარა კაფეებს და შეაბიჯა იტალიურ ადგილას, რომელსაც ერქვა „მამა ამალფი.“

ეს ადგილი დიდად არ ბზინავდა და ხალხიც მაინცდამაინც არ მისძალებოდა, მაგრამ სახელი მოეწონა და თანაც კრემისფრად შეღებილი დარაბები. სუნი პიცისა იყო, სხვა რა იქნებოდა? პიცა და პასტა. მან მოითხოვა ზეთისხილი, ყველი და ბოთლი ბაროლო. კაი მძიმე ღვინო იყო და სწორედ რომ ეყოფოდა ერთი ბოთლი, გემზე კი კიდევ დაამატებდა.

სამწუხაროდ, ბუ მარტო იყო. იქ მყოფნი რომ მოათვალიერა, საკამპანიო ვერავინ ამოირჩია.

უკვე მეორე ჭიქა გამოცალა და ზეთისხილებს „მალბორო ლაითიც“ მიაყოლა, როცა „მამა ამალფის“ კარში ორი ინგლისელი გამოჩნდა.

ერთს ბუ იცნობდა, მათთანაც ყოფილიყო სტუმრად. მწერალი თუ წიგნების დამწერი კაცი იყო, ოღონდ მისი სახელი არ ახსოვდა. ხოლო მეორეს ბუ პირველად ხედავდა, მაგრამ მიხრა-მოხრაზე დაატყო, რომ ისიც ინგლისელი იქნებოდა: ოდნავ დაბალი, წარბებდაფანჩული და თითქმის გაბრაზებული. კაი სიმთვრალე ეტყობოდათ.

- ჰეი, ჭირიმე, - გასძახა ბუმ და ხელი დაუქნია.

მწერალმა გამოხედა, იცნო და კეთილი ღიმილითა და უნაპირო მონდომებით გამოეშურა მისი მაგიდისკენ. ტანმორჩილიც მოჰყვა.

- ბუ, მასტერ ბუ, არა? - მხურვალედ ჩამოართვა ხელი მწერალმა.

- ვრაითერ! - შესძახა ბუმ და ჭიქები მოითხოვა.

ის მეორე სქოთი გამოდგა.

ბოთლი უცებ მიიღეს, კაი ლაპარაკი იყო.

ბუმ დაატყო, რომ მეორე ბოთლად ბაროლო აღარ გამოადგებოდათ და მოარბენინებინა რონის გემრიელი ღვინო, ბაროლოზე უფრო იოლად დასალევი და მოსთხოვა თანამეინახეებს, რომ ჭიქები ბოლომდე დაეცალათ, ვითარცა ქართველთა წესია. მწერალი, რომლის სახელსაც ის მეორე არ ამბობდა, ბუს კი არ ახსოვდა, საქართველოში ნამყოფი არ აღმოჩნდა და გაუკვირდა, თუკი ასე სმა შეიძლებაო. ბუმ დასცინა მეგობრულად და მოუწოდა, რომ საქართველოში წასულიყო და იქაურობაზე დაეწერა წიგნები და არა რაღაც ჩიბუხებზე, რადგან ჩიბუხი იდიოტობაა, იმიტომ რომ ადამიანს თამბაქოს მოწევას არ შეარგებს.

რონული ღვინის პირველი ბოთლის ბოლოსკენ გაირკვა, რომ ის მეორე, სქოთი, ნამყოფი ყოფილიყო საქართველოში, სადაც დაეძებდა რაღაც ძველ ისტორიას, რომელსაც ვერ მიაგნო. ბუ კინაღამ ატირდა, რადგან თვითონაც უნდოდა, რადგან ძალიან ენატრებოდა საქართველო. გულახდილად შეატყობინა, მე ორმოცი წელიწადია ვერ ჩავედი და ამ დილით მივდივარო. ინგლისელებმა გაიკვირვეს, აქამდე რა გიშლიდა ხელსო, რაზეც ბუმ მიუგო, კომუნისტებმა სიკვდილი მომისაჯეს, რადგან ოფიცერი ვიყავი და გამოვიქეციო. ამან აღაფრთოვანა მწერალი, ის მეორე კი სტალინზე ბუტბუტებდა რაღაცას.

როცა მეორე რონულის ბოთლი დაიწყეს, ბუს მადა გაეხსნა და ორი მოზრდილი რომაული პიცა და ხმელთაშუაზღვური სალათიც დაუკვეთა, მეინახეებს კი აუხსნა, მსმელების წესი არ არის, წითელი ღვინით თრობა, თეთრი უნდა მივახმაროთო. ისინი დათანხმდნენ, ხოლო მწერალმა შესძახა: - ბინჯ? ლეთს ბინჯ!

მოატანინეს თეთრი, ფოსკარინო, ასევე ორი ბოთლი, მაგრამ ბუმ ზიზღით უკუაგდო თეთრი ღვინისთვის საჭირო, უფრო პატარა ჭიქები. ამის გამო პირველ ჩამოსხმულს ცოტა ვარდისფერი დაჰკრავდა, მაგრამ ეს არაფერი. მოულოდნელად, ბუმ მოითხოვა პური და მოუტანეს კოხტად ნაცხობი. ბუმ პური ღვინოში ჩააწო, მაგიდის კიდეზე დადო და ფეხზე წამოდგა, რის შემდეგაც სულმოუთქმელად დასცალა. ამან აღაფრთოვანა ტანდაბალი სქოთი, მწერალი კი მხოლოდ მწერლურად გააოცა. სქოთი საქართველოში ნამყოფობით კი გამოეჯგიმა, მაგრამ ამგვარი რიტუალი არ ენახა და მისი არსი გამოიკვლია, რის შემდეგაც იოლად დაადგინა, რომ აქ მაცხოვრის სისხლსა და ხორცზეა ლაპარაკი და ასე მოიგონებენ და ასე მიაგებენ პატივს მიცვალებულებს.

ამის შემდეგ საუბარი სიკვდილის გადასარბენზე ჩამოდგა. მალე გაირკვა, რომ ბუს სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია, რათა დაისვენოს. ამან კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა სქოთი, მწერალი კი კიდევ უფრო გააოცა, ზუსტად ისე, როგორც გაოცდებიან ხოლმე მწერლები.

სიკვდილზე საკმაოდ ისაუბრეს.

ბუმ განაცხადა, რომ თავში, მგონი, სიმსივნე აქვს, რადგან მოულოდნელად და ხშირად ასტკივდება ხოლმე, მწერალმა კი ჰარლი სტრიტის ექიმთა ჩამოთვლა დაიწყო, რაზეც ბუმ ხელი აიქნია, მე ქართველი ვარ, ექიმები მძულსო.

სიკვდილს, ცხადია, მოჰყვება ხოლმე ოჯახზე ლაპარაკი და მწერალმაც დიდი, თუმცა შემთვრალი მოწიწებით მოიკითხა ბუს მეუღლე. ამ მოკითხვაში, ასაკობრიობისდა მიუხედავად, ეროტიზმი შეიგრძნობოდა და ავა გარდნერი იყო ნახსენები. ამას კიდევ ერთი ჭიქა მოჰყვა და ბუმ განაცხადა, რომ მის მეუღლეს სძინავს და ეს ყველაზე

კეთილი რამ არის, რაც შეიძლება მოიმოქმედოს. მწერალმა გამოთქვა აზრი, რომ მეუღლე ალბათ პირდაპირ ნავსადგურში მივა მის გასაცილებლად, რაზეც ბუმ თქვა, რომ ძალიან მალე სანტა ესპერანსაზე საშინელი ამბები ატყდება და მისი მეუღლე ეგებ კუნძულების დედოფალიც გახდეს, თუმცა ეს პირადად მას არ აინტერესებს, რადგან საქართველოში მიემგზავრება და აქ აღარასოდეს დაბრუნდება. ამაზე ყური ცქვიტა ტანდაბალმა, რომელმაც სასწრაფოდ შეავსო ჭიქები და შესვა დედოფლის სადღეგრძელო, თუმცაღა იქვე დაურთო, არ ვიცი თქვენი წარმომავლობა, მაგრამ ამ კუნძულს ერთი დედოფალი ჰყავდა, ჰყავს და ეყოლება და მე მისი მესაჭურვლე ვარო. ბუ არა, მაგრამ მწერალი კი დაინტერესდა ამ დედოფლის ვინაობით და მიიღო პასუხი, ეს გახლავთ მოხუცებული ქალბატონი აგათია ციხისთავი არჩილიანიო.

ამის შემდეგ საუბარმა თითქმის მისტიკური მოსასხამი მოირგო, მაგრამ მანამდე, ბუს მოთხოვნით, კიდევ დაიმატეს ერთი ბოთლი თეთრი ღვინო.

ბუმ ვერაფრით შეიკავა სიცილი, რადგან ტანდაბალი გასაგიჟებელ რამეებს ჰყვებოდა. ისეთ რამეებს, ქართველი რომ ვერასოდეს დაიჯერებს. ამან ოდნავ გააბრაზა ტანდაბალი, ხოლო მწერალმა ჩათვლიმა. ორთა საუბარში გამოირკვა, რომ ბუ ვისრამიანთა ოჯახს წარმოადგენს, რაზეც ტანდაბალმა ჩაიქირქილა, რომ არ უკვირს ვისრამიანის ამგვარი ქცევა დედოფლის მიმართ.

ამით აღშფოთებულმა ბუმ აგინა ყველა ვისრამიანს საუცხოო ინგლისური სიტყვებით და თქვა, რომ მისი შვილები ვისრამიანები სულაც არ არიან, არამედ ავალიანები და ეს სულ სხვა რამ არის. ტანდაბალი მოიხიბლა ამგვარი შეხედულებით და უთხრა, რომ იცნობს მის სიძეს, სპეტაკ რაინდსა და დედოფლის მარჯვენა ხელს, რომელიც ამჯერად ემალება ვისრამიანთა რისხვას, რადგან მათი ქალიშვილის გაქრობას აბრალებენ.

ბუმ საბოლოო ჩამოასხა და უთხრა, რომ კარგად იცის, სად არის მისი ქალიშვილი, ოღონდ ვისრამიანებს არასოდეს ეტყვის, ხოლო მისი ვაჟიშვილი, დათა ბანქოს საუკეთესო მოთამაშეა კუნძულებზე. ამ სიტყვებზე იფხიზლა მწერალმა, რომელსაც ნაცნობი სახელი მოესმა და მხურვალედ ჩამოართვა ხელი ბუს, მეტად გამეხარდა, რომ ჩემი კარგი მეგობრის მამა ბრძანებულხართ, ეს არ ვიცოდიო.

ბუმ კი ინანა, რომ ისე ტოვებს ამ ოხერ კუნძულებს, რომ თავის სიძეს ერთხელაც ვერ დაელაპარაკა ხეირიანად და რომ ის კარგ, თუმცაღა თავზეხელაღებულ ადამიანად მიაჩნია. ტანდაბალმა ჩურჩულით განუცხადა, რომ შეუძლია მისი სიძესთან შეხვედრის მოწყობა.

- როდისღა? - ხელი ჩაიქნია ბუმ.

- ახლავე, ვფიცავ ნავის ჯვარხატს, - გამოაცხადა ტანდაბალმა, რომლის სახელიც ასევე ვერ დაიმახსოვრა ბუმ.

მწერალმა აღარაფერი თქვა, ისევ თვლემდა.

ბუმ გამოცალა და ასევე მოიქცა ტანდაბალიც. წამოიშალნენ და ბუმ ასფუნტიანი მიუძღვნა „მამა ამალფის“ მიმტანს, ხოლო თავისი ჩანთა კედელსა და მაგიდის ფეხს შორის დარჩა.

გარეთ გამოვიდნენ, ეამათ გამთენიის წინარე სიგრილე და სამივემ, ბუნებრივი პირობით, გადაწყვიტა, მოენახულებინა დევნილი სიძე ბუ ვისრამიანისა, რომელსაც, ტანდაბალს თუ დავუჯერებდით, უკვე დიდი სულიერი მისია ეკისრა.

„მამა ამალფიში“ თითქმის აღარავინ დარჩა: ერთი ბიჭბუჭურად ჩაცმული, ხნიერი, ღამისმტეხელი კაცი იჯდა და გაზეთს ათვალიერებდა, ბუმ მისი მოწვევაც კი გადაწყვიტა, მაგრამ მერე მისი მოსვირინგებული, გამხმარი მკლავები არ მოეწონა და გადაიფიქრა.

ამ კაცს ერქვა ლამურ მოსიარულე და არც ერთი სამთაგანი მას არ იცნობდა, ის კი იცნობდა სამივეს და როცა ამ იტალიური ადგილიდან გამოვიდნენ, ისიც გამოჰყვა. იქ რაღა უნდა ეკეთებინა?

მართლა ნამდვილი თამბაქო

ედმონდ კლევერს თავში სამი ათასი ტანკი დაუდიოდა და ყოველივეს მაინც მორად ბეის თამბაქოში საგანგებოდ ჩარეულ ხითხითა ბალახ-ბულახს აბრალებდა.

ედმონდ კლევერს მტკიცედ სჯეროდა, რომ „ალი ბეის და ბასილას ჩიბუხიდან“ წამოსვლის შემდეგ ბევრი არ დაულევია, რადგან ჩვეულებრივ ცოტას სვამდა, მხოლოდ გუნებაზე მომყვან ოდენობას.

ღამის მსვლელობისა მას ცოტაღა ახსოვდა, ვინაიდან ის და უცნაური გეოგრაფი პარდონ ბელი ორ ქუჩაზე დაეხეტებოდნენ და ბელი უამბობდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ეძებო ისტორიის ნამდვილი სურათები. ამ კაცს ისე გამოსდიოდა, რომ ნაპოლეონთან ერთად ეცხოვრა წმინდა ელენეს კუნძულზე. კლევერი დიდად არ ეკამათებოდა და სწორედ ამ ლაპარაკ-ლაპარაკში გამოვიდნენ ყალივან სტრიტზე, რომელსაც კლევერი მარად უძინარ ქუჩას უწოდებდა. რიგრიგობით იცქირებოდნენ კაფეებსა და რესტორნებში და ბოლოს იტალიურ ადგილას შეაბიჯეს, სადაც ცოტა ხალხი იყო.

აქ კლევერი ერთმა კაცმა იცნო და კლევერმაც იცნო ეს კაცი, რომლის ოჯახშიაც ნასადილევი იყო.

სმა რომ გახურდა, კლევერმა დაატყო, რომ ამ ხნიერ კაცსა და თვალებანთებულ სქოთს ვერ გაეჯიბრება და ცდილობდა, მათთვის ეჩვენებინა, რომ ჩაეძინა, თუმცაღა ამ მცდელობებისას ერთხელ მართლა ჩაეძინა და ძალიან შინაურულადაც გამოაღვიძეს, მივდივართო.

მერე ისინი დაბოდიალობდნენ ქუჩაზე. კლევერს უკვე ყურებში უწიოდა გემის გასვლის ნიშანი, თანამგზავრები კი შევიდნენ პატარა მაღაზიაში, საიდანაც გამოიტანეს სამი ბოთლი შამპანის ღვინო და ქაღალდის პარკში ჩაყრილი ლეღვის ჩირი. მერე მათ მოძებნეს ტაქსი და ჩასხდნენ. კლევერი უარს იყო, მაგრამ შუაში ჩაისვეს.

უკვე ინათა, როცა ტაქსიმ აღმართებზე სვლა მოათავა და გაჩერდა რომელიღაც დიდ კარიბჭესთან. კლევერს მეგობრების ლაპარაკი უკვე ძალიან შორიდან ესმოდა, მაგრამ მიხვდა, რომ ისინი არ ჩქარობდნენ და შამპანურის სმას ეპირებოდნენ.

მათ ტაქსის მძღოლიც შემოიერთეს. რაც კარგად ახსოვდა კლევერს, ის იყო, რომ ზარის რეკვა შემოესმა და ამით მიხვდა, რომ მონასტრის გალავანთან იყვნენ. ამის გამო მგონი იმ კაცმა ცრემლიც კი იდინა, ხოლო პარდონ ბელმა ესე ყოველი დიდ მაგიურ ნიშნად მიიჩნია და გაშტერებულ კლევერს რამდენჯერმე ჩასძახა ყურში: - გესმის?

კლევერს არ ესმოდა. მას სურდა, ტაქსიში ჩამჯდარიყო და იქვე დაეძინა, უფრო სწორად, სადმე დამჯდარიყო, რომ თავი მიედო. ტაქსისტი მონდომებით სვამდა ბოთლიდან შამპანურს, რაც იოლი არ იყო.

ერთადერთი, რაც კლევერმა დალაგებულად გაიფიქრა, ის იყო, რომ მონასტერში ცისკრის მსახურება დაიწყო და ეს განაცხადა კიდეც.

თანამეინახენი დაეთანხმნენ, რომ ახლა ბერებისთვის ხელის შეშლა არ ეგების, თუმცა ის ხნოვანი კაცი მაინც მონდომებით და ხალისით დაიძახებდა ხოლმე რაღაცას, ხოლო პარდონ ბელი - იგივეს, ალბათ ინგლისურად.

- ნიკა, გამოდი, ბიჭო, რა მოგივიდა? - ამას იძახდა კაცი, თუმცა კლევერი ვერ იმახსოვრებდა.

- მისტერ ბელ... მისტერ ბელ, და შენც, რა გქვია შენ?

- მურაზი.

- მურაზ, ოსმალო ხარ?

- ქურთი ვარ, სერ... იეზიდი.

- აი, სად შევკრებილვართ ერთად ყველა ჩაგრული და დაღუპული. მოდი, ეს მწერალი ხევში გადავაგდოთ, - გამოაცხადა უფროსმა.

კლევერმა გაჭირვებით გაიღიმა, არ გამოუვიდა.

- ხევში გადავაგდოთ და იყოს იქ...

- ეხლავე? - იკითხა მძღოლმა.

- არა, საერთოდ გადავაგდოთ... აი, უყურე, ჩემი საქართველო დაიპყრო რუსეთმა, ამისი შოტლანდია დაიპყრო ინგლისმა, შენი ქურთისტანი ყველამ დაიპყრო... ეს კიდევ ინგლისელია. რა უნდა ვუქნათ ინგლისელს? რა უნდათ ინგლისელებს კაი ხალხის სუფრაზე?

- სანტა ესპერანსაც ამან დაიპყრო, - თქვა მძღოლმა.

- აქედან მიეთრევიან. ნახე ტელევიზორში როგორ გაცურა ოცმა გემმა? ჰა, ნახე?

კლევერმა კვლავ გაღიმება სცადა და გამოსცრა: - იუ... იუ ქანა გო... ქერი ონ... მაზა ფფფაა...

- აი, როგორია ინგლისელი. ალბათ ისეთივე, როგორიც რუსი. ჩიბუხებს ეწევიან, ხე-ხე... მოდი, გაგვიმარჯოს დაპყრობილებს და მაგრებს, ინგლისელებმა კრიკეტი ითამაშონ...

- ჰა-ჰა�ა... კრიკეტი, - რატომღაც გაეხარდა ტაქსისტს - კრიკეტი...

- აქ რისთვის მოვედით? - იკითხა უცებ ბელმა.

- მე გემში უნდა ჩავჯდე, - განაცხადა იმ ოჯახიშვილმა, - მე საქართველოში უნდა წავიდე, იქ ომი იყო და უნდა მივეშველო აღდგენაში.

- მე... მინდა... - ბოთლს წაეტანა კლევერი, - მე მინდა, რომ აქედან წავიდეთ...

- საქართველოში, - თქვა მძღოლმა, - მე წაგიყვანთ საქართველოში, ეფენდი...

- გარშემო ზღვაა, - ამოიოხრა კაცმა, რომელსაც საზაფხულო კეპი ეხურა, - მე არა ვარ ვისრამიანი, არც არასდროს ვყოფილვარ. მე ავალიანი ვარ...

- დიახ, - თავი დაუქნია ბელმა, - გარშემო ზღვაა... რისთვის მოვედით აქ?

- ნიკა, - თქვა უცებ ვისრამიან-ავალიანმა, - ჩემი სიძის სანახავად მოვედით... ნიკა?

- აქ არის? - იკითხა მურაზმა.

ბელმა ღირსეულად ჩაიღიმა: - ეს მე ვიცი... იცი მე ვინ ვარ? მე დედოფლის მესაჭურვლე ვარ.

- რომელი დედოფლის?

- თამარ დედოფლის, - დაჯერებით თქვა ბუ ვისრამიანმა, - ასე არ არის? თამარ დედოფალი საქართველოს მეფე იყო. პირველ მოადგილედ ქურთი ჰყავდა.

- მართლა? - გაეხარდა მძღოლს.

- თქვენ არ იცით... ნიკაااა! გამო რა, რა გაატრაკე საქმე...

- ეგენი ლოცვას არ გაწყვიტავენ, - თავი გააქნია მძღოლმა, - შენ კიდევ გემზე დაგაგვიანდება.

- რას ქვია დამაგვიანდება... უჩემოთ გემი არ წავა. მე კიდე ჩემი სალო-მალო უნდა ვნახო... ჩემი გოგო. იცი, სალო-მალო? ნიკა უნდა მივიყვანო და შევარიგებ... ხო იცი, ბავშვების ამბავი. ხან იჩხუბებენ, ხან შერიგდებიან. ახლა ნაჩხუბრები არიან და აგერ, ამან თქვა, ნიკა შოტლანდიაშიაო...

- მონასტერშია-თქო... დედოფლის მარჯვენა ხელია, - დაასლოკინა პარდონ ბელმა.

- ნიკას რა უნდა მონასტერში? - უცებ გაბრაზდა ვისრამიანი, - ნიკამ უარი თქვა ცხოვრებაზე? სწორი იყო... სწორი იყო ის ვირიშვილი.

- ვინ? - ჰკითხა მძღოლმა.

- სტალინი.

- მე იქ ვიყავი, - თქვა უცებ სქოთმა.

- სად?

- სტალინგრადში.

ვისრამიანმა ჩაიცინა: - შენ იქ იყავი და ნიკა აქ არი, არა? ნიკას რა უნდა, ბიჭო, მონასტერში, ნიკა ცოცხალი ადამიანია, ნიკა რო მიუშვა, მთებს გადააბრუნებს, მარა აქ ვერ გაუგებენ... ეს ხო ქვეყანა არ არი, ეს არი საღორე. აბა, შეხედე ამას, ეს კაცია?

ედმონდ კლევერი მანქანასთან ჩაკეცილიყო, თავი განზე გადაეგდო და პირდაღებულს ეძინა.

- ამან რამდენი წიგნიც არ უნდა დაწეროს, ეს კაცია? ჩიბუხები, ბომბები, წყალზე გადებული ჩიბუხი, ვინ იყო ჰომოსექსუალისტი, ვინ ვინ მოტყნა, ვინ რატო მოტყნა, ეგ არი წიგნები? მაგას რა უნდა?

მძღოლს ძალიან გაეხარდა.

- აქა, თქვენ... თქვენი მუღამი არი სუპერმარკეტი... დაგიხურავენ სუპერმარკეტს და გეტირებათ დედა, ნამდვილი ცხოვრება სხვაგან არი. არ შემჭამეს ამ თავისი სუპერმარკეტით? დიდი რამე... სუნგალზე, ერთ ქვევრში უკეთესი ღვინო ასხია, ვიდრე ყველა აქაურ სუპერმარკეტში. არ ჯერათ, იმიტო რო მიაჩვიეს... ღვინო კარგია ასეთი და ასეთი? მე რო ვერ მიგაჩვიე, იმიტო?

მძღოლმა ტაში დასცხო.

- არ ვიცი ვინა ხარ, მაგარი ხარ, ვინცა ხარ. წამო, თუ გინდა, საღამომდე მუქთად ვიაროთ.

- ფულში არ არი საქმე... საქმე სიბინძურეშია. ყელამდე სიბინძურეშია ეს კუნძული. გასკდება და მერე ნახე სუპერმარკეტი...

ერთხანს დუმდნენ, ტაქსისტის უფილტრო სიგარეტებს აბოლებდნენ. დაბლა ჩანდა ქალაქი, გაღმა - ძველი ციხესიმაგრე.

უცებ კი პარდონ ბელმა შესძახა: - საომარია, ოჰ, ოჰ, საომარი... რას იტყოდით, სერ, რომ შემომეთავაზებინა მოლაშქრეობა დედოფლის გუნდისა? საღამოსვე შევხვდებით დედოფალს.

- ეს კიდე კაცია, იმისგან განსხვავებით, - უთხრა მძღოლს ცრუ ვისრამიანმა, - ოღონდ სულელია... მე სულელები მიყვარს, - და ბელს გადაეხვია, ჯანიანად ჩაიკრა გულში ის პატარა, ოქროსფერწარბებიანი სქოთი, - არ გაგიგონ, თორე გადაგასახლებენ სუნგალების საგიჟეთში.

- მე იქ ვიყავი, - ჯიუტად გაიმეორა პარდონ ბელმა და აქვითინდა.

- სად? - ჰკითხა მურაზმა.

- იქ, კალატაფიმთან. ყველაფერი ჩემი თვალით ვნახე.

- ცარიელა გულია, ამას შემოვევლე, სიძის მოძებნაში მშველოდა, - შუბლზე დაეკონა ვისრამიან-ავალიანი.

- მაგარი ადგილია ესა, - თქვა მძღოლმა, - აი, საერთოდ არ ისმის ქალაქის ხმა. ამ დროს ქალაქია. ნახე როგორ გათენდა?

- ღმერთის არჩეულია, ბიჭო, - ბელს ხელი მოუსვა ვისრამიანმა, - დასალევი აღარ არი?

- გემი გავა... - თქვა მძღოლმა.

ვისრამიანმა უბეში ჩაიყო ხელი და რაღაც ქაღალდი ამოიღო: - აბა, ნახე...

გაუწოდა ტაქსისტს.

- ვაახ... რა კოხტა ბილეთია, - თქვა მურაზმა... - კაიუტა ლუქს, ორას ორმოცი ფუნტი... „ფერენ ჯუზეპე მირილა“... ვისი გემია?

- ჯანდაბის... - იყო პასუხი.

მძღოლმა მანქანაში შეიხედა: - ერთი საათის გასულია, მეტის... - თქვა დანანებით.

პარდონ ბელმა დააცემინა.

- ჩააგდეთ ეს, მწერალია თუ ვიღაცა და წავედით, - თქვა ვისრამიანმა.

- სად?

- ნავსადგურში რამე დავლიოთ. აბა, ხო არ გავჩერდებით? იქ იქნება ნამდვილი ხალხი. ყოველთვის ასეა, - მანქანის წინა კარი გამოაღო ვისრამიანმა, - ა, წავედით? გემში ვერ ვჯდები და გემის ხმები მაინც მოვისმინოთ.

- კარგია, - თქვა მურაზმა, - მე ვიცი კოხტა ადგილი.

მაყვლის ჩირის ასხმულა

ლუკა და ავი სულები

იმ საღამოს ყველა იცინოდა ბუზიას დუქანში, შიგ ნავსადგურის გულში რომ ძევს.

საღამოს პირზე დუქანში ლუკა შემობრძანდა.

თავისი ძველი შლაპა კეფაზე გადაეგდო და მკერდი მოეღეღა. ყელზე ჭრელი ცხვირსახოცი შემოეხვია და შარვლის ტოტები კოჭებსაც ვერ უფარავდა. ჭაღარა ბანჯგვლი უხვად ეყარა ჯანიან მკერდზე და ოთხი დღის გაუპარსავი მაინც იყო.

იმ დროს ბუზიას დუქანში ბარე სამოცდაათი კაცი მაინც იქნებოდა, მაგიდები მთლად სველი იყო ლუდით და დახლს უკან გაურეცხავი თეფშების მთები იდგა. ყაყანი დიდებული, მალაელი მეზღვაურებიც კი იქ იყვნენ. უცხვირო ჩარლიც, კლდესავით

ბეჭზე რომ იდგამდა კათხას და ისე რომ სვამდა ხოლმე. ყაყანი დიდებული, საერთაშორისო და არცთუ ტკბილხმოვანი, ლუკა იტყოდა ხოლმე: - მივხვდი, ზღვისანო, რატომ დაანგრია ღმერთმა ბაბილონის გოდოლი. ბუზიასთან შემოიარა და მიხვდა, რომ ასე სჯობდა.

ამას ლუკა ხშირად იტყოდა ხოლმე, ახლა კიდევ შემოვიდა ასეთი და წავიდა პირდაპირ დახლისკენ, გზადაგზა კი ხელის აწევით ესალმებოდა ხალხს. ერთმა ანგლეზმა მეზღვაურმა ხელისგული გადმოუყო სავალზე და შეუძახა: - Hey, Lucas, give me five...

ლუკამაც გემრიელად დაურტყა ხელი.

- ლუკაც მოსულა, ლუკაცო, - ამ ხელის ჩარტყმამ ბევრი გამოახედა.

- ლუკავ, ჰოსპიტალში იყავ? - დაეკითხნენ უკვე დახლთან ჩამომდგარს.

- ვიყავ, - თქვა ლუკამ, - გამომიშვეს. აგე, - ლუკამ შარვლის ჯიბეში ხელი ჩაიყო და პლასტმასის საწამლე მათარა ამოიღო, ზედ წვეთოვანის მილითა და იმ მილზე წამოგებული ნემსით, - აგე, ეს გამომატანეს.

ყველამ ყურადღებით შეათვალიერა მოწყობილობა.

- ეს, აი, ეს ნემსი უნდა გაირჭო მკლავში სადმე, სადაც სისხლის გზებია, ამაში კიდე წამალი უნდა ჩაასხა და იქიდან ნელ-ნელა შემოვა ჯიგარში, - განმარტა ლუკამ.

- წამლები ბევრი უნდა?

- ერთი წამალი უნდა, აგე, ბუზიას აქვს, - დარდიანად თქვა ლუკამ, - მიდი, ბუზი, ჩამოასხი ერთი ამაში, - მედუქნეს გაუწოდა მათარა.

- რა ჩამოვასხა, კაცო? - გაკვირდა ბუზია.

- რაცა გაქ-მეთქი, წამალი, რო მივიერთო და ეგრე ვიარო ქუჩაში, ნელ-ნელა ვთვრებოდე. თან ვიარო და თან ვთვრებოდე. ამერევა ფეხი - გამოვრთავ, თორე დავბერდი და დალეულზე სიარული მიჭირს. მივალ სახლში, დავწვები და ჩავრთავ. გაიღვიძებ, მთვრალი ხარ. აი, რა მასწავლეს ჰოსპიტალში.

ახლაღა მიხვდნენ, რომ ლუკა ჩვეულ თარგზე ხუმრობდა.

- მიდი, ჩამომისხი ერთი კარგი ექსტრა ცივი, - მოითხოვა ლუკამ.

- და ჯანი როგორი გაქო? რა გითხრეს? - ყველას ახსოვდა, რომ ლუკა ერთი კვირის წინათ გულწასული მიიყვანეს სენტ მერის ჰოსპიტალში.

- კვირაში ხუთი ფაინთიო, - გაიცინა ლუკამ, - მეორე კვირაში - ოთხიო, მესამეში - სამიო და ცარიელა ფაინთზე რო ჩამოხვალ, იმის მერე ვნახოთ, რამდენ კვირას გაატანო...

- რას ამბობ, კაცო, - ჰკითხა ბუზიამ, - კვდები?

- ეგრე გამოდის, - თვალები დაჭუტა ლუკამ და გულზე მღელვარედ მოისვა ხელი, - აი, აქ სულ მოდებული მაქ.

- რა, ბიჭო?

- კიბორჩხალები... გულს კბენენ, რა.

- მერეო?

- რა მერეო, ანდერძი დასწერეო. დაზღვევა არა მაქ, რო მუქთაზე მაწვალონ და ერთი წელიწადი ვითომ მომიმატონ. ან რაღა მინდოდა... დავიხურე ქუდი და წამოვედი.

- გამოიპარე? - ჰკითხეს აქეთ-იქიდან.

- აი, ეს მოწყობილობა მომეწონა, - ბოთლს გადახედა ლუკამ, - წამოვიღე და წამოვედი, ბაი-ბაი აღარ მითქვია. ეხლა ორი რამე უნდა მოვასწრო, ცოლი უნდა შევირთო...

- ამას უსმინე ერთი, - თქვა ბუზიამ, - მოდი, რაც არი, ვისესხოთ, ცოტას მეც გამოვალ. გასჭრან, გამოსჭრან, ვნახოთ. რაც ბევრს მოპარავ, მით უკეთესი არ არი?

- ჩამოასხი, რაღა, - თავი გააქნია ლუკამ, - მკვდარ კაცს ფულს ვინ ასესხებს?

- აქავე შევაგროვებთ, - თქვა ერთმა დოკერმა, - რაღაცა ხო მოგროვდება. ყველა ფაინთს რო ცოტა დაემატოს, ლუკას პენსიანად გამოვაცხადებთ. პირველი ხო არ არი?

- ეგ სხვა არი, - აღარ აცალა ლუკამ, - არ უნდა მეთქვა? ნუ შემომიჩნდებით ეხლა, - კათხას მისწვდა და გემრიელად დაანახევრა, - აჰა... აი, ესა ყოფილა ექსტრა ქოლდი. ეგ რაა? რო არ გამოვქცეულიყავი, უეჭველად იქვე მოვკვდებოდი. ისეთი რამე გითხრათ, ვერ დაიჯერებთ. ავი სულები მეცხადებოდა.

- იმიტომ რომ შეშინებული იყავი, ვკვდებიო, - თქვა დოკერმა, - ეგრე იცის.

- რის ვკვდებიო... სენტ მერის ეზოში ხო არი ძველი სამრეკლო, ანგლეზების სამრეკლოა, გაწოწოლებული. არ იცით, სულ იმ სამრეკლოს წვერს ვუყურებდი და იმ ყურებაში იოლად მეძინებოდა, მაგრამ ვინ დააძინა ლუკა? არ დამაძინეს, სულები შემომესიენ. ის ოთახი დაწყევლილი იყო თუ რა, არ ვიცი. ექიმ საიმონსს ხო არ ვეტყოდი, სულები შემომესიენ-თქო. იფიქრებდა, სუნგალების ბედლამში გასაშვებიაო. ხოდა, ველაპარაკებოდი ამ სულებს. იმათ სინათლის ეშინიათ და ძალიან რომ მომეძალებოდნენ, ასანთს გავკრავდი და შევუძახებდი, დაგწყევლოს წმინდა გიორგიმ-მეთქი. ეს ჯერ კიდევ ბებიაჩემის ძმამ აიტორ ბუტემიმ მასწავლა, რომელიც, სხვათა შორის, ბასკი იყო.

- ბებიაშენის ძმა ბასკი იყო? - ჰკითხა ედორტამ, რომელიც თავად იყო ბასკი, - მაშინ ბებიაშენიც ბასკი ყოფილა.

- აქ ცოტა რთულად არის საქმე, ბებიაჩემი, ეს ბებია, რომელიც ვახსენე, ბასკი არ იყო, მისი ძმა კი, აიტორი, ბასკი იყო. მაგრამ, მეზღვაურო, სხვა რამეს ვყვები. ამით, უბრალოდ, სულებს ვაწყნარებდი. ლამაზი სულები კი იყვნენ, ბუზიავ, დასწყევლოს ღმერთმა, განსაკუთრებით ერთი ქალი, რომელიც მესამე მოდიოდა ხოლმე.

- ამდენნი იყვნენ? ეგ ხომ დაწყევლილი ადგილია, მანდ ხომ რაღაცა მოხდა ძველ დროს, - თქვა ვიღაცამ, - მგონი... არა, ის სხვა იყო.

- ოჰ, მართლაც დაწყევლილი ადგილი ყოფილა. ეტყობა, იმის ბრალია, რომ ავადმყოფები არიან და ავადმყოფები კი ახლოს იქნებიან სულებთან, - განმარტა ლუკამ, - ერთიც ჩამოასხი, ბუზიავ.

- მთელი კვირისა დღეს უნდა დალიო?

- წინა კვირაში მხოლოდ შაქრიან წყალს მასმევდნენ, ასეთი ყოფილა ექიმთა წესი. დამისხი, ვინაიდან მღელვარე ამბავი უნდა მოგითხროთ. სულებმა ყოველივე ამოხსნეს და მგონი, გამოგზავნილები იყვნენ.

- ვისი, ლუკა?

- არ ვიცი ვისი, მაგრამ სულები მთლად თავისით ვერ მოვლენ. მათ იცოდნენ, რომ როცა ათას ადამიანში ერთი წინააღმდეგაა, რაც არ უნდა ცუდი კაცი იყოს, მაინც მოსაწონია. ის ქალი, მესამე რომ მოდიოდა, განსაკუთრებით საშინელი იყო. მე ვფიქრობ, რომ ყველანი ამოეწყვიტა თავის გარშემო და ამიტომ ბევრს იტანჯებოდა. სისხლისფერი კაბა ეცვა, გრძელი კაბა, აი, თეატრის წინ რო ჩაივლი, მარტო იქ თუ ნახავ ასეთ კაბას და ისიც საღამოს. შინდისფერი კაბა იყო და აი, იდაყვებამდე ხელთათმანები, ხოლო თვალებიც შინდისფერი და ანათებდა, გარშემო მაგფერივე შუქი ედგა... უუუხ, საშინელი აჩრდილი იყო, ბნელეთის დედოფალი. ისეთ რამეებს ყვებოდა, რომ შემეშინდა და ჰოსპიტალიდანაც იმიტომ გამოვიქეცი, გამეხარდა, რომ ვკვდები და იმას ვერ ვნახავ, რასაც ის ქალი მიხატავდა თვალწინ.

- რას გიხატავდა, ლუკა?

- ცეცხლსა და მახვილს, სისხლსა და უბედურებას. განა ომი არ მინახავს? მაგრამ იმას რომ ვუსმენდი, ის ომები, რაც მინახავს, სასაცილოდ მეჩვენებოდა. მეუბნებოდა, ასე იქნება და შენ კი გამდიდრდები და ბედნიერად იცხოვრებო. ომში როგორ უნდა მეცხოვრა ბედნიერად? თან ხო ვიცი, რო დოქტორმა საიმონსმა პირჯვარი გადამწერა? ძალიან რო მომაწვებოდა, ასე მეგონა, ოთახი სისხლის ტბით გაივსოო... გავკრავდი ასანთს და დავუძახებდი ესკვარდიულს. გაქრებოდა, მაგრამ გაგიგონია? მეორე საღამოს ისევ შემობრძანდებოდა და იგივეს მიყვებოდა, თან მთხოვდა, მისი მოლაშქრე გავმხდარიყავი და ალბათ, ბედნიერებასაც ამიტომ მპირდებოდა... ათჯერ მეტიც, თქვენი ამბები სულ იცოდა, ბუზია და ბიჭები უკვე ჩემკენ არიანო...

- მეც მახსენა, კაცო? - შეცბა მედუქნე.

- შენ სახელით გახსენა, ჩემკენ არისო...

- მაგისკენ იყოს... - გაბრაზდა ბუზია.

- ეგ კიდე რა? შენ უნდა გენახა, პირველი სული რო მოდიოდა..... მეორე და მეოთხე შედარებით უფრო კარგები იყვნენ, თუმცა მეოთხე მკვლელი იყო. ვიღაცა მოეკლა და ძალიან იტანჯებოდა ამის გამო. ახოვანი ახალგაზრდა იყო, მთლად ჩამწვანებული. შემეცოდა და ვუთხარი, პარასკევ საღამოს ბუზიას დუქანში მოდი-მეთქი. აკრძალული ჰქონია. ამ ჰოსპიტალს ვერ გავცდებიო. მეტად საზარი სანახავი იყო, რადგან მკერდში ისარი ჰქონდა გარჭობილი, მაგრამ ურიგო კაცი არ იყო.

- სხვები ვინ იყვნენ?

- მაგას ნუღარ მათქმევინებთ, ამიკრძალეს... უფრო ამიტომაც გამოვიქეცი, თორემ რა მიჭირდა? რბილი ლოგინებია, მშვენიერი გოგოები... რაღა მე დამაწვინეს სულებით გამოვსებულ ოთახში, ვერ გავიგე.

- იფიქრეს, კვდებაო.

- ალბათ ასეც იყო, - უცებ მოიწყინა ლუკამ, - მაინც კვდებიო და მიეჩვიეო, ასე გამოუვიდათ. ფორთოხლებს კი მაჭმევდნენ უფასოდ...

- ლუკა, ლუკა, შენზე გაზეთებში დაუწერიათ, ავად არიო...

- ეს კაცი სად იყო? - იკითხა ლუკამ, - ამდენ ხანს რას ვლაპარაკობ?

- ჰა?

- ორი თვე მაჩუქეს მოსამზადებლად და მერე, ჰაიდა, - მოხედა ლუკამ იმ ახალმოსულს, - უკვე სულები მეცხადებიან და იმ ქვეყანას მაჩვევენ, მაგალითად, ახალგაზრდა ქალის სული იყო, კოშკურიდან გაფრენილიყო... აი, მაინც წამომცდა, მეხვეწებოდა, არ თქვაო... არ ჩაითვალოს. ეხლა ორი რამე მაქ მოსასწრები, ცოლი უნდა შევირთო და ლუკას თავგადასავალი საიქიოში და იმის ახლო მიწებთან უნდა დავწერო...

- წიგნი უნდა დაწერო? მაშინდელივით? ადრე რო დაწერე...

- მაშ, სხვა რა ვქნა, თან წიგნს დავწერ და თანაც ქალს მოვძებნი. ვინმე არ იცით, რო სახლი უნდოდეს ყალივანის უბანში? მოვკვდები და იმას დარჩება, - თითქოსდა გული აუჩუყდა ლუკას.

ბუზიამ ჩაიჭირა ეს წამი და სამუსიკოს ღილს დააწვა.

- „ჰეი მამბო, მამბო იტალიანო...“ - გადმოიფრქვა დახლის თავზე.

- როზმარი კლუნი ... - ამოიოხრა ლუკამ, - აი, ვინ უნდა შემერთო ცოლად ოცდაშვიდი წლის წინ.

ლუკა და უცნობი

ღამე იყო. მოისმოდა ქალაქის ხმები და შორს ჩანდა ქალაქის კიდის სინათლეები. ლუკა ქარიანების ნაპირზე მიწოლილიყო და უყურებდა ზღვას, რომელიც აღარ ჩანდა. შორს მიცურავდა რაღაც კატერი. მისი განათებული კაბინა ჰგავდა ძალიან მყუდრო და თბილ ადგილს. მოკლედ, იმ ადგილს, სადაც თბილა და სინათლეა.

ლუკას უყვარდა ქარიანების ნაპირი, მიტოვებული, ჩაკეტილი სახლი, იმის წინ წელამდე ამოზრდილი ველური ბალახი, ეკალ-ბარდით გამოხვეული ჭიშკარი და ქვიშა, ქარს რომ მეტად ახლოს მოეტანა ნაპირამდე და სახლის კედლებზე შეეფინა. მაგრამ ღამით ასეთი რაღაცეები არ ჩანდა, უბრალოდ, გადარღვეული ღობიდან პირდაპირ ნაპირზე გადიოდი და შეგეძლო, მარტო მჯდარიყავი ზღვასთან.

ლუკაც მარტო მიგდებულიყო ზღვასთან, პირდაპირ ქვიშაზე მიგდებულიყო და ყურქვეშ ხელისგული ამოედო და ყველაზე მახვილი მხედველისთვისაც კი ტალღით გამოტანილ ხის მორს ჰგავდა. საიდან მოჰქონდა მორები და კუნძები ზღვას ქარიანების ნაპირზე, დაჯერებით ვერავინ იტყოდა. ლუკა ამბობდა, რომ ამ მორებს და კუნძებს თავად უცხო მხარეში გადახვეწილი ქარიანები აგზავნიდნენ, რადგან ზამთარში აპირებდნენ ჩამოსვლას და შეშა დასჭირდებოდათ. მერამდენე წელიწადი იყო, ქარიანები არ ჩანდნენ, გამომშრალ მორებს კი, რომლებიც, თუ ფრთხილად არ მოეპყრობოდი, ხელში შემოგეფშვნებოდა, ნათევზავები ბიჭები მიათრევდნენ ხოლმე კოცონის გასაჩაღებლად.

ლუკამაც იფიქრა, კოცონს დავანთებო, მაგრამ ფიჩხის შეგროვება დაეზარა.

ასე იწვა, როცა ქარიანების ბარდიანი ეზოდან ხველა გაიგონა, ერთი მოკლე ჩახველება და მეტი არაფერი. ლუკა არც გამობრუნებულა, პირდაპირ დაიძახა, რატომღაც ჯენუელთა ენაზე: - ჩაო, მეგობარო, სიგარეტს არ მოაწევინებ ლუკას?... - მერე კი ამოსუნთქვასთან ერთად მიაყოლა, - თამბაქოს პარკი დამისველდა ჯიბეში, ზღვამ მომატყუა...

იქიდან ხმა არ გაუციათ და ლუკა თითქოს გაბრაზდა და ფრანგულად დაიძახა: - მსიეე... თქვენ იმყოფებით კერძო მამულში და ბაჟი უნდა გადაიხადოთ, ერთი ღერი სიგარეტი, თუნდაც ფრანგული...

კვლავ არავინ გამოხმაურებია, ლუკა კი წამოჯდა და ქარიანების ეზოს გამოხედა. ახლა ოსმალურად დაიძახა: - მე ლუკა ვარ!... არ იცნობთ ლუკას? ძალიან მომინდა სიგარეტი, ეფენდი...

ქარიანების სახლის კიდესთან თითქოს რაღაც შეინძრაო.

- უჰ, - თქვა ლუკამ ერთგვარი ინგლისურით, - ჯენტლმენი თავს მაინც დაგიკრავს, როცა შენს ფიქრებში შემოდის.

არაფერი. ისევ არაფერი.

- ცეცხლი მაქვს, - თქვა ლუკამ და სანთებელას ჩამოჰკრა, - ზღვისავ, თუ მიჯნური მოგიყვანია, ლუკას ქათმის სიბრმავე სჭირს, ღამით ვერ ხედავს. რომც ხედავდეს, იცი რამდენი მიჯნური უნახავს ლუკას? მაგრამ სხვისი ამბები არ მოუყოლია, სულ თავისას ყვება. ლუკა მწერალი არ გაგიგონიათ? რა დასანანია ერთი ღერი სიგარეტი, კაცმა რომ ფიქრი გააგრძელოს? რომ არ ჩაგეხველებინა, თამბაქო არც გამახსენდებოდა...

სიბნელიდან კოლოფი გამოფრინდა და სადღაც ახლოს დაეცა.

- აბა, იხარე, იოანე ნათლისმცემელმა და სხვა მოგზაურმა ადამიანებმა დაგლოცონ, - ქვიშას სანთებელა დაანათა ლუკამ და მძიმედ წამოიმართა.

- აჰ, ეს რა არის? ნამეტანია... მე მხოლოდ ერთი ღერი მინდოდა, მოვწევდი და ტკბილად ჩამეძინებოდა. ქალი ბრძანდებით? უკაცრავად, სინიორა, უკაცრავად... - ლუკა კოლოფს ატრიალებდა ხელში, ძალიან გრძელი და ძალიან წვრილი ღერებია, „როტმანს როიალს“? როიალს... აჰა, გრძელია. ქალები იმიტომ ეწევიან გრძელ სიგარეტებს, რომ გრძლად ფიქრობენ ხოლმე. ასე არ არის? დარდიც უფრო გრძელი

აქვთ... - ლუკამ გააბოლა, - თუ არ მიწყენთ, ფილტრი უნდა წავატეხო, მემ, ძალიან რბილია ჩემთვის და როგორც ერთი იტყოდა, გაფილტრულ ცხოვრებას ისა სჯობს... ქარიანი ხომ არ ბრძანდებით, მემ? ქარიანები ხომ არ დაბრუნდნენ? ლუკა უვლიდა თქვენს მამულს, დღითა და ღამით. ბოლო დროს ისე ვეღარ მოიცალა, რომ მთლად დაეკოხტავებინა, მაგრამ თუკი თქვენს კარ-მიდამოში რამე მომხდარა, მხოლოდ კარგი, მხოლოდ სიყვარული. მე ვერ მოვყვები, იმიტომ რომ წესად არ მაქვს, მაგრამ ხშირად სწორედ აქ უყვართ ერთმანეთი ქალებს და ვაჟებს. საოცარ ბედზე წახვედით. რომ არ წასულიყავით, გაკრეჭდით გაზონს და ღობეც აღარ გადაინგრეოდა. გულახდილად გეტყვით, რომ მე მიყვარს შეყვარებულთა თვალიერება. არა, მაინცდამაინც ის კი არა, რომ... ხომ გამიგეთ, მემ. უბრალოდ, ყველაზე კარგი სურათი, რაც კი ცხოვრებაში მინახავს, სწორედ ის არის, რომ შევამჩნევ, ბიჭს გოგო უყვარს, გოგოს კი - ბიჭი... ლაპარაკის საღერღელი ამიშალეთ და ეს არის, არადა მეძინებოდა. ახლა თითო-თითო რომ გადაგვეხუხა აქვე, სადმე... ჯერ კიდევ ღიაა რაღაცეები. ნავსადგურში, მაგალითად, შკიპერი ღიაა, ბუზიას ადგილი. ნახევარ საათში ფეხით მივიდოდით... ლუკას საუბარი უყვარს, ახლა შუაღამე იქნება, მეტი ხომ არა? ყველაფერი, რაც შეიძლება მოხდეს, ნაშუაღამევს ხდება... ასე არ არის, მემ? მე ასე მგონია. სწორედ ახლა. მე რომ ადრე წიგნი დავწერე, იქ აღწერილი ამბები სულ ნაშუაღამევს მომაფიქრდა. დიახ, ხალხს კი ჰგონია, რომ თავს გადამხდა. ნაშუაღამევს მოფიქრებულია და იმიტომ. რას იტყვით, მემ?... და თუ კაცი ხარ, დამეკარგე აქედან შენი სიგარეტიანად, - კოლოფი მოისროლა ლუკამ.

ისევ სიჩუმე იყო.

ლუკამ ხელი ჩაიქნია, სახლს ზურგი აქცია და ზღვისკენ წავიდა.

- ლუკა... - მოესმა უცებ. სწორედ რომ ქალის ხმა იყო, განა ლუკას შეეშლებოდა? - ლუკა, აქ მოდი, - რბილი ხმა იყო, ოდნავ ბზარიანი და სრულიადაც უშიშარი, თუმცა, დიდი ბრძანება არ ეტყობოდა.

ლუკა სწრაფად შემოტრიალდა და ხელები გაშალა: - აბა, სად მოვიდე? ბრმა ვარ, ღამღამობით ვერაფერს ვხედავ, - და ქარიანების ეზოსკენ გააბიჯა.

დაინახა ქალი, შარვალი, ალბათ შავი ქურთუკი და კვლავ ჩამოჰკრა სანთებელას. ქალს თხელი თავშალი მოეხვია, სახე არ უჩანდა, მაღალი ქალი იყო, ლუკას სწორედ ასეთები მოსწონდა.

- სამოცდასამი წელი დასჭირდა ლუკას, რომ მოდარდეს შეხვედროდა ამ ქალაქში, - თქვა ლუკამ, - მოდარდეები ზღვის ტალღებთან ვარჯიშობდნენო, ასე გამიგონია.

- მოდარდე არ ვარ, - ჩაიცინა ქალმა.

- მაშინ თავშალი რაზე მოგიხვევია? მე ასე ვიცი, რომ მოდარდეები თავშალმოხვეულები მღერიან ხოლმე თავიანთ სიმღერებს, რათა სახე არ დაუნახო... მე ლუკა ვარ, ლუკა არ გაგიგონიათ? მოვხუცდი უკვე.

- ლუკა როგორ არ გამიგონია. ლუკას წიგნიც წავიკითხე, მოწაფეობის დროს, - თქვა ქალმა.

- მოულოდნელი ღამეა, - გამოაცხადა უცებ ლუკამ, - ფეხსაცმელებში, ჯიბეებში, ქუდში და ყველგან ქვიშა მიყრია და უცებ ქალი გამომეცხადა. ნავსადგურში მართლა ღიაა ჩემი სახლები, მართლა ხომ არ დამეწვეოდით ერთ წვრილ ჭიქაზე?

ლუკამ მაჯაზე მოავლო ხელი ქალს, სრულიად შინაურულად. სამაჯური მოხვდა ხელში და დააცქერდა იმ სიბნელეში

- ეს ოქროა, მემ? ესე იგი, ნავსადგურში არ წამოხვალთ, არ ისეირნებთ ლუკასთან ერთად, რათა ყველა დუქნიდან დაინახონ ლუკა და საოცარი ქალი. ამ ოქრომ ჩაშალა ყველაფერი, - თავი ჩაქინდრა ლუკამ, - ორი ნაპირი, ორი სხვადასხვა ნაპირი. ღატაკი ლუკა და მდიდარი ქალი...

ქალი კი თითქოს არ უსმენდა.

- აი, ასეა ხოლმე, ყველაფერი ჯადოსნურად იწყება. უფრო სწორად, ლუკა იწყებს ჯადოსნურად, სხვები კი ვერ აჰყვებიან ხოლმე...

უეცრად ქალმა თავშალი გადაიძრო და ლუკას შეაცქერდა.

- უნდა დამეხმარო, ლუკა, - თქვა უცებ ქალმა.

- ვერა... ჩვენ ვერ წავალთ შკიპერში, - აღმოხდა ლუკას, - სად წავიდა ის ოხერი სიგარეტი? ლუკა ვერასდროს შეირთავს ცოლს.

ლუკა და ცხარე წვნიანი

ლუკას სულაც არ რცხვენოდა ამგვარი რამეების, არც აღმართებზე სიარული დაზარებია. საერთოდ კი ამგვარ რამეებს განწმენდას უწოდებდა.

იმ შაბათსაც მონასტერმა უპოვართა ტრაპეზი გამართა მონასტრის ეზოში.

ორი დიდი კარავი გადაეჭიმათ და ეზოშივე, ამ კარვების ახლოს თუხთუხებდა ქვაბები.

ბერები ოთხ მოზრდილ ტაფასაც დასტრიალებდნენ და როგორც ყოველთვის, ახლაც თავად ემსახურებოდნენ უპოვართ.

ხალხი ბლომად მოგროვილიყო, ნასადილევს ყოველი მათგანი პატარა გულსაკიდ ხატს, ლოცვათა სამენოვან წიგნაკს და თაფლის გრძელ სანთელს მიიღებდა. მსურველი, რა თქმა უნდა.

მანამდე ზიარებანიც იყო, წინამძღვარი ეზოში იდგა და სააღსარებოდ რიგში ჩამდგარ უპოვართ ესაუბრებოდა.

ლუკას აზრით: - მუქთა სადილის გაცდენა არაფრით შეიძლება, მით უმეტეს, თუ მონასტრის ეზოში გაიღებენ. ეს არის განწმენდა. მონასტრის ეზოში გამოძღომა და მერე ბალახზე წამოგორება სწორედ იმას ნიშნავს, რომ ღმერთი შენზე ზრუნავს. ეს კი საუცხოო განცდაა, გგონია, რომ ჯებირებს უკან დგახარ ღელვის დროს.

ამიტომ, ლუკა დადიოდა ხოლმე მონასტერშიც, კათოლიკეთა თავყრილობებზეც, მეჩეთის შორიახლოსაც და ასე განსაჯეთ, ანგლიკან პასტორთა საქველმოქმედო ვახშმებზეც.

მონასტრის სადილობის ამბავი ლუკამ ბარე ორი კვირით ადრე იცოდა, კედლებზე მიკრული ქაღალდები ნახა. ამიტომ ჩვეული ფართო ნაბიჯით აუყვა აღმართ ქუჩებს, ოღონდ კი ცოტა დააგვიანდა და ეზოში რომ შეაბიჯა, დაატყო, რომ ვიღაცეები უკვე დესერტზეც გადასულან.

- ლუკა, აქ მო, ლუკა... - ხალისით დაუძახეს კარვის კიდიდან.

ლუკაც მივიდა და ჩამოჯდა იქ, სადაც ვაშლის ნამცხვრის სამკუთხა ნაჭრებს მისდგომოდენ.

- ლუკა მოვიდა, ლუკა, - გახალისდნენ უპოვარნი და ერთმა ბერმა, ახალმოსული რომ შეამჩნია, ღრმა პლასტმასის ჯამით მოუციმციმა წვნიანი და პლასტმასის კოვზი.

- იხარეთ, - ფეხზე წამოუდგა ლუკა, - იხარეთ, მამავ... ერთ რამესაც გკითხავთ; როგორი არის შემცველობა წვნიანში ცხარე სანელებლისა? ვინაიდან ლუკას ცხარე საკვები უყვარს და თუ მდოგვის მარცვალი საჭირო ოდენობისა არ ჩაფქვულა ამ სურნელოვან სახვრეპში, ლუკა მაინც მშიერი დარჩება.

- კარგი იყო, ლუკა, რაც იყო, კარგი იყო, - გამოეხმაურნენ უპოვარნი და თან ღვინის დაცლილ ბოთლებზეც მიანიშნეს.

- მოგიტანთ მდოგვს, ლუკა. წიწაკა რომ იყოს? - გაეღიმა ბერს.

- ეს მთლად უკეთესი, - განაცხადა ლუკამ, - ოღონდ ერთსაც მოგთხოვთ, პანტელეიმონ ბერი თუ არის აქ, რათა მას ორი სიტყვით მივეფერო? მოგეხსენებათ, ჩემი კრეტელი ძმაბიჭის დისშვილია. იცით ეს ამბავი?

- აქ არის, - უთხრა ბერმა, - აი, იმ ქვაბთან. ხედავთ? ჩამჩით...

- ეჰ, სიბრმავე... ვერც კი შევნიშნე. მთავარ მჭვრეტად ვიყავი ხოლმე გემებზე... იყოს, მერე მივეხმატკბილები...

ლუკამ მაგიდის კიდეზე ჩათალა წიწაკა. თავი ისე დაიჭირა, ვითომ განთქმული მოწიწაკე იყო, თანაც, მოტრაპეზეებს ეუბნებოდა, წიწაკაში კაცური უბერებლობის საიდუმლო ძევს, ხოლო მდოგვი სუნთქვას აწესრიგებსო. ამ ლაპარაკში იმდენი ქნა, რომ წვნიანში მთელი წიწაკა ჩათალა და სიმამაცის გამოჩენაც სწორედ ამის შემდეგ დასჭირდა, ვინაიდან წვნიანი მეტად ცხარე გამოდგა. ლუკას შეეძლო, ახალი ჯამი მოეთხოვა და ყოველი მომშეული კაციც აგრე მოიქცეოდა, მაგრამ ლუკა როგორ დაანახვებდა სხვებს თავის ნამდვილ ჭირს. ოფლიანობას კი შეუმჩნევდნენ, მაგრამ, ამას აღმართებზე სიარულით დაფარავდა, ეს არის, რომ მალიმალ ისხამდა ღვინოს და საძულველ წვნიანს ჩააყოლებდა ხოლმე.

ჭირის ოფლში გაწურულმა, როგორც იყო, ამოათავა წვნიანი, მთელი ჭიქა მიაყოლა და თქვა: - სადილობაც ახლა იწყება. სამწუხაროა, რომ მეორე თავისთვის წიწაკა აღარ დამრჩა, უხერხულია, ბერებს ხო არ გვძარცვავ? იმათ ერთი წიწაკა ალბათ ერთ თვეს ჰყოფნით, სიცხარის ხალხი არ გახლავს...

ლუკა მართლაც რჯულზე გამოძღა და ხატიც პირდაპირ იქვე ჩამოიკიდა გულზე, თუმცა მაინც მოუსვენრად იყო და ერთ ბერს ჰკითხა: - პანტელეიმონი სად წავიდა?

პანტელეიმონ ბერი სატრაპეზო კარვის მეორე კიდეზე იპოვა, ქვაბი შეედგა ონკანისთვის და დიდი ჯაგრისით ხეხავდა, გვარიან ფხვნილს ახარჯავდა ზედ.

- უკაცრავად ვარ, - მიმართა ლუკამ, - მე ლუკა ვარ, - შლაპაც კი მოიხადა და გულზე მიიფარა, - გახსოვს, ლუკა?

- ღმერთმა დაგლოცოს, ლუკა, - უთხრა პანტელეიმონ ბერმა.

- მე ლუკა ვარ, მოგეხსენება. ამაში სულ არაფერია ამპარტავნული. არც საამაყო, მე თუ მკითხავთ, მაგრამ ხალხი ამაყობს, ლუკას ვიცნობთო. უბრალო და კეთილ ხალხს ვუყვარვარ. მეც უბრალო და კეთილი ვარ. ბიძაშენიც ასე იყო...

პანტელეიმონ ბერმა ცალი თვალით ამოხედა ლუკას.

- არა, მე იმას კი არ ვამბობ რო... სადილებზე ხშირად დავდივარ, მაგრამ დღეს შეიძლება სულაც არ მოვსულიყავი, მით უმეტეს, რომ წიწაკა ძალიანი მომივიდა და ასე ვარ, თითქოს ჯოჯოხეთის პირველი ტოლიმბაში ვიყო, მაგრამ ამ ჯერზე, - ჩურჩული იწყო ლუკამ - ამ ჯერზე, საგანგებოდ მოვედი...

- ჩემთან? - ჰკითხა პანტელეიმონ ბერმა.

- სწორედ შენთან და სულ ერთი წინადადება უნდა გადმოგცე. არ გაგიკვირდეს, რომ ამის სათქმელად ლუკა მოვიდა. ლუკას იმდენი უნახავს, რომ ყველას შეეჯიბრება, მაგრამ ლუკა სხვებისას არ ყვება, თავისას ყვება, იმიტომ, რომ სხვების ამბების მოყოლა რომ დაიწყოს, მაშინ ლამურ მოსიარულე გახდება. თანაც, ლუკას არ სჯერა, რომ სხვების ამბავი უფრო საინტერესოა, ვიდრე საკუთარი თავისა, მაგრამ არის ხოლმე უცაბედობა ცხოვრებაში, როცა მოგიწევს სხვათა ამბების შეტყობაც. ლუკას არ უძებნია ეს ამბები, თავად მოაკითხეს და მოაკითხეს არა უბრალოდ და ულამაზოდ, არამედ მოაკითხეს სილამაზით და სიკეთით, იმგვარი იერით მოაკითხეს, რომ ლუკამ ყურები ჩამოყარა, ჩვენო ძვირფასო. ლუკას უნახავს განცდები, დიახ, უნახავს და არა შეუგრძვნია. განცდები ჩანს ხოლმე, თუ კარგად დაუკვირდები, მაგრამ ამ ჯერზე რომ ნახა ლუკამ, ასეთი განცდა იშვიათად უნახავს ისე მოხდა, გაგონილს რომ ნანახი ჯობია. ამიტომ ერევა ლუკა სხვის ფათერაკში და შენც არ ჩათვალო ლუკა ისეთ კაცად, ვინც, რახან ფეხით დადის და დახეტიალობს, რახან მუქთა სადილებს ეტანება, ქვესკნელის სიმდიდრეებს დაუხარბდეს. მე ერთი წინადადება უნდა გითხრა. აქ ვინც შეიფარეთ, ერთი კაცი და მე ვიცი, ვინც არის, ის არავითარ შემთხვევაში არ გავიდეს გარეთ. არანაირი მიზეზით. ეზოშიაც კი არ გავიდეს. ეს მისმა ცოლმა დამაბარა. საჭიროა დანარჩენის ახსნა , რომ ვიცი, ვინ შეიფარეთ აქ და მისი ცოლი ვინ არის? ეს არის ყველაზე საოცარი. მისმა ცოლმა გადმოგცათ. არავითარ შემთხვევაში არ გავიდეს გარეთ. მე ვღელავ, როცა ამ სიტყვებს წარმოვთქვამ. ლუკას აღელვება, შიშის შესახვევში შეტყუება ძალიან ძნელია. მე არ ვიცი, თქვენ რა იცით, მამაო, მაგრამ მე ამ ისტორიისა საერთოდ ყველაფერი ვიცი. საერთოდ ყველაფერი და სრულიად ვეღარ წარმომიდგენია, როგორ ვიცხოვრებ ამ ადამიანთა ამბის გარეშე.

პანტელეიმონ ბერს ხელში შერჩა ჯაგრისი, წყალი კი გადმოთქრიალებდა წამოყირავებული ქვაბიდან.

- მისმინე, ლუკა... შენ სალომეა ნახე? - ჰკითხა ხმადაბლა.

- მე სხვების ამბებს ვერ ვყვები...

- მან გითხრა, რომ ნიკა აქ არის? მან საიდან იცოდა ეს ამბავი? ეს ძალიან სახიფათოა...

- საერთოდ, ცხოვრება ხიფათია, ერთი გვარიანი, შარვალგამოხეული ხიფათი. მე ასე მგონია.

- მას სურს, რომ მისი ქმარი გადარჩეს?

ლუკა ზემოდან დასცქეროდა პანტელეიმონ ბერს, წყალი კი მოთქრიალებდა.

- შენ არაფერი გცოდნია, - ამოიოხრა ლუკამ, - ფათერაკების, ხიფათის და ქალის... ღმერთმა იცის ამეების ყველაფერი და სულ მიკვირს, რატომ არ ასწავლის ხოლმე თავის საყვარელ შვილებს. შენ ხო დათას ამხანაგი ბრძანდები?

პანტელეიმონ ბერმა თავი დაუქნია.

- მერე დათა და სალომეი ღმერთმა ხო და-ძმად გააჩინა? მე პირდაპირ შენთან როგორ მოვიდოდი, ამის ამბავი რო არ იყოს?

პანტელეიმონ ბერმა ამოიოხრა, ლუკამ კი უთხრა: - ეხლა წავედი, მამაო, ისეთი ამინდი ჩანს, უეჭველად წამოწინწკლავს და ლუკას ამცივნებს ამ ბოლო დროს ასეთ წინწკლებზე. ისე გეცემა წვეთები, თითქოს ისრები გერჭობოდეს. ველურებს აქვთ ამნაირი ისრები.

- ჰო, - თავი დაუქნია ბერმა.

- მერე მე ველური ვარ?

ლუკა და ჯოჯოხეთის მაშხალა

1.

ასეთი არაფერი უნახავს ლუკას თავის ძველ სახლში, ჩიბუხის უბანში, ყალივან სტრიტის დასაწყისის მესამე ჩასახვევზე, რომელსაც ძველი სახელი, ტყისპირის ქუჩა შერჩენოდა.

ლუკას პირქვედამხობილს ეძინა, ხელი ტანქვეშ მოჰყოლოდა და საშინლადაც ჩაბუჟებოდა, ამიტომაც თუ ხედავდა საშინელ სიზმარს.

როგორც ყოველი წესიერი კაცი, ლუკაც დილის ოთხი საათისთვის მოაწევდა ხოლმე შინ, დაეგდებოდა, გადაშლიდა ერთსა და იმავე წიგნს და იმისი პირველი გვერდის ყურებაში ჩაიძინებდა.

წიგნი ლუკას ექვსი ჰქონდა, სკამი - ერთი, მაგიდა - ორი (მათ შორის ერთი საკაბინეტე), ტახტი - ერთი, ჭიქა - სამი, თეფში - ერთი, ჩანგალი - სამი, ხოლო ნათურა - ერთი, ისიც ლოგინის თავთან. ლუკას სავარძელიც ჰქონდა, რადიოც და კიდევ რვა

ოთახი ძველი, ერთ დროს მშვენიერი სახლისა, მკრთალვარდებიანი, შემჭვარტლულ-შეხუნებული შპალერითა და რვა შავად პირდაფჩენილი ბუხრით. ტელეფონი ლუკას არ ჰქონდა, უფრო სწორად, ტელეფონის აპარატი, ისევე როგორც ტელევიზორი. ფანჯრებში პირდაპირ ტოტები შემოდიოდა, ოღონდ იმ მხარეს ლუკა ხშირად ვეღარ გადიოდა, იატაკი ჩაწოლილიყო და მხოლოდ ერთ ფიცარზე თუ გაივლიდი უხიფათოდ. ეს საცალფეხო ბილიკი კი ლუკას არ მოსწონდა. ამიტომ ფანჯრები ზამთარ-ზაფხულ ღია იყო. ლუკას ბინას ჩრდილის მხრიდანაც ჰქონდა ოთხი ფანჯარა, მაგრამ იმ ოთახებში ლუკა არ შედიოდა ხოლმე, ის მისი მშობლებისა და კიდევ უფრო შორეული წინაპრების საწოლი ოთახები იყო, ავეჯი აღარ იდგა და ლუკას იქაურობა სძულდა.

ლუკას ეძინა და საშინელ სიზმარს ხედავდა.

ეს უცნაური სიზმარი იყო, საშინელი და ღამიანი, თუმცა რაღაცნაირად მაინც მიმზიდველი. ლუკა სულაც არ იყო ლუკა, არამედ ვიღაც ახალგაზრდა პროფესორი. ამის გამო ის ამერიკის ქალაქ ცინცინატის უნივერსიტეტში მიეწვიათ იქაურ პროფესორებთან შესახვედრად. მისი მასპინძელი ერთი ძალიან წესიერი, მაღალი, ჭაღარაულვაშიანი პროფესორი გახლდათ, შეხვედრა კი, რატომღაც, ღამით დაენიშნათ. ლუკა თავისი სასტუმროდან დროით მივიდა უნივერსიტეტის იმ შენობამდე, სადაც მისთვის უნდა ემასპინძლათ და ის ტანმაღალი პროფესორიც გარეთ დაუხვდა. ოღონდ ლუკას პაპიროსის მოწევას აღარ დაუცადა, შევალ, შეხვედრის მოსურნე პროფესორებს შევკრებო და ლუკა გარეთ დატოვა. ლუკამ გააბოლა და იფიქრა, ჯერ დრო მქონია და გავივლი ამ ღამის ხეივნებშიო. სულ ცოტა გაიარა, მაგრამ რომ მოიხედა, უნივერსიტეტის სწორედ ის, რაღაცნაირად ოთხკუთხედი შენობა ვეღარ დაინახა. აქეთ ეცა, იქით ეცა, რაღაც გორაკზე გადაირბინა და სხვა, კოხტად განათებული შენობაც დაინახა. დასწყევლოს ღმერთმა ამერიკის უკიდეგანობა, ალბათ ეს შენობა სწორედ ის შენობაა, ოღონდ უკანა მხრიდანო, გაიფიქრა ლუკამ და შევიდა შიგ, არ დამგვიანებოდაო. ხომ ცნობილია, რომ პროფესორებთან დაგვიანება სირცხვილია. ლუკა კი ფიქრობდა, მე სადაური პროფესორი ვარ, რომ მიმიწვიეს ქალაქ ცინცინატიშიო, მაგრამ მაინც შევარდა ერთ-ერთ ოთახში, სადაც რამდენიმე კაცი და გამაგრილებელი წყლებითა და ნამცხვრებით გაწყობილი მაგიდა დაუხვდა. ლუკას მიეჭრა სულ სხვა კაცი და თბილად მოიკითხა, მაგიდის ახლოს, სავარძელში ჩასვა, სათვალე მოიხსნა და ჰკითხა, ნუთუ ვერ მცნობთო. ლუკამ ვერ იცნო, იმ კაცმა კი ერთი კარგი ამბავი გაახსენა, რომელიც ბარბეიდოსზე გადახდენოდა თავს ლუკას. ლუკამ მეტად გაიხარა, აი, რა კარგად მოგაგენითო, ჩემი შეხვედრა უნდა შედგეს პატივცემულ პროფესორებთანო. იმ კაცმა კი უთხრა, არა, აქ სულ სხვა შეხვედრა უნდა შედგეს, თქვენი შეხვედრა სულ სხვა შენობაშიაო. მასწავლეთ, გიშველით ღმერთიო. ნახევარი საათის სავალი უთხრეს და გაკვირდა ლუკა, ხუთი წუთიც არ მივლიაო, მაგრამ რას იზამდა, გამოიქცა იქიდან და იფიქრა, გორაკ-გორაკ გადავალ, ეგებ უფრო მალე ვუწიოო. ამოირბინა გორაკზე და შედგა, ამოვისუნთქოო. მოიხედა, მოხედა იმ უცნობი პროფესორის განათებულ შენობას და რას ხედავს, ბილიკზე ორი კარგად გასუქებული გოგო არ მოდის? ერთი უფრო მომსუქნო და დაბალი იყო, მეორეს კი ტუჩები იისფრად შეეღება. სწორედ იისფრად. დაუდგნენ წინ ლუკას და ლაპარაკობენ, ვეღარავინ ვიპოვეთ და წამო, ქვევით წავიდეთო. გლეხის ქალები რომ ადრე დაქვრივდებიან, გოგოობაში, ზუსტად ისე ეცვათ. ლუკას ვითომ ვერც ხედავენ. უცებ, ლუკას უკნიდან მოესმა, ვაიმე, მგონია

მამა მოდის და ჩავიმალოთო. მოიხედა ლუკამ და ოთხი ცქრიალა გოგო ერთ მოზრდილ ჯაკუზში არ დგაფუნობს? ჰაი, ძმანო, გაიფიქრა ლუკამ, რის მამა, რა მამა, ლუკა ვარო და გაქანდა გოგოებისკენ, მაგრამ გოგოები იქ აღარ დაუხვდნენ. მიიხედა ლუკამ, სად მივდიოდი, რა უნდა გამეკეთებინაო და ისევ უკან მოიხედა, სად ჯანდაბაში ვარო, ხედავს, ეს ორი გოგო, გამორჩევით კი იისფერპომადიანი, აქამდე რომ ვერც კი ამჩნევდნენ, ხელებს უქნევენ, მოდი ჩვენსაო. ლუკას თავბრუ დაეხვა და ერთი იმას კი მიხვდა, რომ ეს ქალი ტუჩებზე დაჰკონებია იასამნისფერი ტუჩებით, მეორე კი გარშემო დასტრიალებს და ხელებს უფათურებს. ლუკას, თითქოსდა, ეამა ეს ამბავი, ვინაიდან, მაინც ქალები იყვნენ და არა კაცები, ვინაიდან ლუკა კაცთა მოყვარული არ იყო და კაცთა მოყვარულებს მხოლოდ სიმღერით ელაპარაკებოდა ხოლმე, მაგრამ თან მეტად შეშინდა, ვაითუ ამ დასუქებულებმა რამე საშინელება, შიდსი გადამკიდონო. ამიტომ როგორღაც გამოეხსნა ამ ქალებს და უკანმოუხედავად გაიქცა. საით გარბოდა, არ ახსოვდა და არც ის, რა საქმეზე მოსულიყო აქ, მაგრამ უეცრად სწორედ იმ რაღაცნაირად წაგრძელებული შენობის წინ აღმოჩნდა, მაღალი პროფესორი რომ შევიდა. რას ხედავს, ის მაღალი პროფესორი ისევ იქ არ დგას ოდნავ მოწყენილი? აი, მოვედიო, მივარდა ლუკა. ეჰ, სამწუხაროდ, გელოდეთ და რომ აღარ გამოჩნდი, პროფესორები წავიდ-წამოვიდნენო. ლუკამ საბოდიშო სიტყვები წამოიწყო, მაგრამ სწორედ ამ დროს გამოეღვიძა.

გამოეღვიძა კი არა, გამოაღვიძეს, ლუკამ იგრძნო, რომ ვიღაცამ შეანჯღრია.

- უხხ, შენი, - დაბუჟებული ხელი გამოიძრო ლუკამ, - უუუხ, - თან კი ძალიან გაიხარა, რომ ყოველივე სიზმარი გამოდგა.

- გაიღვიძე, ბებერო, - მოესმა ლუკას და გადმობრუნდა, სრულიად დაურიდებლად, მარჯვენა ხელით ეჭირა დაბუჟებული მაჯა.

- უუხ, - წამოჯდა ლუკა და იატაკს ჩააცქერდა. იქ დაინახა მეწამული, წვრილცხვირა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები.

- რას ჰგავს, ერთი შეხედე.

ლუკამ ფეხსაცმელებს ააყოლა თვალი და დაბუჟებული ხელი აიქნია. არც სჭირდებოდა, ისედაც მიხვდა.

იქ სხვა ფეხებიც იყო.

- დაიფარე, ბიჭო, - შარვალი გადმოუგდეს ლუკას.

- შარვალს ჩავიცმევდი, - წაიბურტყუნა ლუკამ, - ზღვის ხალხი ვართ, მაგრამ მაინც... ზღვა იცით, მზეთუნახავო?

- ამის სასმენად მოვედი? - იკითხა ქალმა.

სხვა ფეხები თითქოს ამოძრავდნენ, თუმცა არცთუ ხალისით.

- ლუკა, იცი, რაზეც მოვედით? - უთხრა ერთმა.

- სიზმარი ვნახე და ამიხდა, - კვლავ იატაკს ჩასცქეროდა ლუკა, - ორი მსუქანი გოგო მესიზმრა, ჯოჯოხეთში მითრევდნენ.

- ამის სასმენად მოვედი? - იკითხა ისევ ქალმა.

- ლუკა... მთვრალი ხარ?

- ახლა დავიძინე, კაცო, - ამოიოხრა ლუკამ.

- თქვი და ისევ დაიძინე.

- რა, კაცო?

- სად არი?

ლუკამ ახედა.

- ბიჭო, სტუმრათ მოხვედი? მე რო სტუმრად მოვდივარ თქვენ სოფელში, პაპაშენი დამისვამს და ამ მოტვლეპილ თავზე მეფერება ხოლმე. ცოტა უფროსია ჩემზე და ერთხელ ვუთხარი... - ლუკამ ცაცია დაიქნია, - რა მკითხე, რა არიო?

- სად არი-მეთქი, ლუკა, სად არი?

- რა, კაცო?

2.

ლუკა ძლივს გაფოფხდა ეზოში და ტანი ონკანის ბაკანზე აითრია, ონკანი მოატრიალა და თავი შეუშვირა.

ლუკამ რომ გაიღვიძა, თეთრი ჭერი დაინახა და დაიკრუსუნა: - ჰა... მოხვედით, ჯოჯოხეთის მოლაშქრეებო?

ექთნები, მართლაც, მოხდენილები იყვნენ, განსაკუთრებით ერთი, ზანგი.

მერე ექიმი საიმონსი შემოვიდა.

- ლუკას, რა დაგემართათ?

- მგონი, ვკვდები, ძალიან ცუდი სიზმარი ვნახე, - ამოიკვნესა ლუკამ.

- ნეკნები დამტვრეული გაქვთ, ფეხი - ნაღრძობი... ტვინის შერყევა გაქვთ.

ლუკა ჭერს უყურებდა.

- გამომეღვიძა, პირის დასაბანად გამოვედი... მგონი, გული წამივიდა. თვალი რომ გამოვახილე, ეზოში ონკანთან ვიყავი. მერე აღარ მახსოვს. კიბეზე დავგორდებოდი...

ექიმმა საიმონსმა თავი გადაიქნია.

- ლუკას, ძალიან ბევრს სვამთ. მთელ გამოკვლევას ჩაგიტარებთ, სანამ ეგ ნამტვრევები დაგიამდებათ.

- მაგის ფული არა მაქვს, მისტერ საიმონს. არც დაზღვევა.

- დაისვენე, ლუკას... ფული შემოიტანეს.

- ვინ? - კვლავ ჭერს უყურებდა ლუკა.

- არ ვიცი. მართლა არ ვიცი. ასე რომ იწექი, ლუკას.

- მგონია ჯოჯოხეთში ვიყავი, მისტერ საიმონს. თუ ამ საქმეს გადავურჩი...

- ნუ ლაპარაკობთ, ლუკას...

- მე სხვებზე არასდროს ვლაპარაკობ, - ამოიოხრა ლუკამ, - მე ყოველთვის საკუთარ თავზე ვლაპარაკობ...

გლეხი ცეცხლმოკიდებულ მაყვლის ბუჩქთან

სარკმელი

ბერი წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტრისა, პანტელეიმონი, ასე ოცდათორმეტი წლისა, მხარბეჭიანი, მოსული იერის კაცი ხშირი შავი წვერითა და შავი ლენტით შეკრული თმით, იმ შავ ანაფორაზე ფართო და ბრტყელი ტყავის ქამარი რომ შემოერტყა, ხშირად დაიარებოდა ციხესიმაგრეში, სხვანაირად კი ციტადელის მუზეუმში.

პანტელეიმონ ბერს ფეხით სიარული უყვარდა: დინჯი გახლდათ, ნაბიჯის შეუდარებელ სიგრძეს კი ანაფორის კალთები უფარავდა. წამოვიდოდა მონასტრიდან თავდაღმართში, გაივლიდა ნაპირის უბანს, ტყვეთა მოედანს და მერე აუყვებოდა აღმართს მუზეუმისაკენ.

მუზეუმი ციხისთავთა ძველ ციტადელში გაემართათ. ეს ციხესიმაგრე და მონასტერი ორი უძველესი რამ იყო კუნძულზე: ჯერ ციტადელი ააშენეს, მერე კი მონასტერი - ორ ბორცვზე, ზღვის პირას. იმათ შორის გაიზარდა სოფელი, რომელიც მერე უსახელო ქალაქად იქცა. ინგლისელებმა უწოდეს სანტა ესპერანსა სიტი, შემოკლებით კი სანტა სიტი. ეს სახელი არ უხდებოდა ადგილს. საერთოდ, ამ ადგილს არ უხდებოდა სიტყვა სიტი. ეს ქალაქი სიტი არ იყო, ეს ქალაქი ნავსადგურიც არ იყო. ეს, უბრალოდ, ადგილი იყო, შუა ხმელეთზეც ასეთი იქნებოდა, - ამეებს ფიქრობდა ხოლმე პანტელეიმონ ბერი, როცა მუზეუმისკენ მიაბიჯებდა.

პანტელეიმონ ბერს დედა კრეტელი ბერძენი ჰყავდა. ეს საოცარი სისხლი იყო. მას ახსოვდა ბიძამისი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ მაინც ჩამოვიდოდა ხოლმე დისა და სიძის სანახავად. მაგარი ვინმე იყო პანტელეიმონ ბერს, რომელსაც მაშინ სულ სხვა სახელი ერქვა, ეტყოდა ხოლმე: - გაიზრდები, ჩაჯდები თვითმფრინავში და კრეტაზე ჩამოხვალ. გემით არა. ნავსადგურში მე უნდა გაგიყვანო, ჩაიცვამ თეთრ პერანგს, რომელსაც მე მოგცემ. ზედა სამ ღილს არ შეიკრავ, ისე, რომ ჩემი ნაჩუქარი დიდი ჯვარი გამოგიჩნდეს გულზე. წვეტიან ჩექმებს მე გაგიპრიალებ და წავიდაა. გავალთ ნავსადგურში და ვიღრიალებთ... - აქ ბიძია ისე დაიღრიალებდა, რომ დედა პირზე აფარებდა ხოლმე ხელს.

ცხოვრება ისე წაჰყვა ღმერთს, რომ მამა პანტელეიმონი ერთხელაც ვერ ჩავიდა კრეტაზე, ბიძის საფლავის მოსანახულებლად. ხშირად ახსენდებოდა ბიძა, განსაკუთრებით იმ დროს, როცა ხეირის უბანში, ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილ სამ ბერძნულ რესტორანს ჩაუვლიდა ხოლმე. ამ რესტორნებში ბიძია შინაურივით ირჯებოდა, სამზარეულოშიც კი შევარდებოდა ხოლმე და იქ მზარეულებს შორის დატრიალდებოდა, ყოველთვის რაღაც ძალიან მოსახდენს მიუმატებდა კერძებს და ამას სიცილ-ხარხარით აკეთებდა. ხახვს გასაოცარი სისწრაფით ჭრიდა და ყოველგვარ საჭმელს ძალიან მადისაღმძვრელად სინჯავდა, თითებითვე ააცლიდა რაღაცას და პირში გადაუძახებდა. იმის ცქერასაც ბევრი არაფერი სჯობდა, როგორ ასხამდა ღვინოს ტაფაზე აშიშხინებულ თევზს და როგორ, თვალისზომით, პეშვით აყრიდა მარილს უბრალო სალათებს, რომლებიც ძალიან გემრიელი გამოსდიოდა და თვითონვე მოარბენინებდა ხოლმე სუფრასთან.

ეჰ, ბიძია...

პანტელეიმონ ბერს სხვა ათას საქმესთან ერთად მონასტრის წიგნთსაცავი და ნაწერი სიძველეები ებარა. იმ უკიდეგანო წიგნთსაცავში, სადაც ფოლიანტები შეხებისთანავე ლამის იფშვნებოდა, ბერი ძალიან ფრთხილად ჩახედავდა გუჯრებსა და სქელი ბაწარივით ძაფით შეკინძულ წიგნებს. ხშირად ახალს და აღუნუსხავს პოულობდა. მონასტერი ზრუნავდა თავის წიგნთსაცავზე, ყოველი ახალი ხერხი სიძველეების შენახვისა აქ გამოეყენებინათ, მაგრამ პანტელეიმონ ბერი ვერ იყო ისეთი მეცნიერი, რომ ამა თუ იმ ხელნაწერის ისტორიული არსი თავიდან ბოლომდე ამოეცნო. ის კარგი წამკითხველი იყო, კარგი გადამხატავი ამოუცნობი სიგელისა, მაგრამ ამის ფასისა და არსის დასადგენად მუზეუმში უწევდა ხოლმე მისვლა.

მუზეუმის თავმჯდომარედ დიდად სწავლული ალფრედო და კოსტა იყო, საუცხოო მცოდნე მოხუცი, რომელიც პროფესორებს ვერ იტანდა და ყოველ წიგნს წითელი ფანქრით კითხულობდა. ერთი იყო წიგნი და მეორე კიდევ ალფრედო და კოსტას წანაკითხი წიგნი: სინამდვილეში ორი წიგნი გამოდიოდა. ასე წიგნის კითხვა ოცდაათიან წლებამდე თუ იყო მოდაში, და კოსტა კი ამას ოცდამეერთე საუკუნის პირველ წლებშიაც მისდევდა. მას დიდი თავი, უზარმაზარი სათვალე და შედარებით პატარა ტანი ჰქოდა, შავგვრემან სახეზე აფუებული შავშერჩენილი თმა ედგა და პანტელეიმონ ბერს ყოველთვის კეთილად ხვდებოდა. ვინც მოსწონდა, სინიორ ალფრედო იმას არასდროს ეჩხუბებოდა. უბრალოდ, მასთან ლაპარაკისას ვიღაც სხვას ეჩხუბებოდა.

ამჯერადაც პანტელეიმონ ბერი ეწვია თავმჯდომარე ალფრედო და კოსტას და მიუტანა ადრევე გამზადებული ორი ძველი საბუთის პირი, რომელთაგან ერთს თურმე მსგავსი, ლათინურად შედგენილი მოეპოვებოდა კათოლიკური ტაძრის არქივში. ეს და კოსტამ წაკითხვისთანავე თქვა.

ბერი კი იდგა მუზეუმის თავმჯდომარის კაბინეტში, ფანჯარასთან და იქედან ქალაქს გადახედავდა ხოლმე.

და კოსტას ჩვეულებრივზე უფერო და შეწუხებული ეჩვენა პანტელეიმონ ბერი. ჰკითხა კიდეც, ეს რა იერზე დამდგარხარო, თუმცა, თავადვე უპასუხა ჩვეული გულმხურვალეობით, აბა რა იქნება იმ ამბის შემდეგ, რაც თავს გადაგხდათო.

ეს დიახაც საშინელი ამბავი იყო, რომლის ნაკუწებიც გაზეთებმაც მოიგდეს ხელთ და თავისებურად, ვერაგულად დაწერეს რაღაცეები. თუმცა, ისევე მოულოდნელად დადუმდნენ, როგორც ახმაურდნენ. მონასტერს კარგა გვარიანი ბრძოლა მოუხდა სახელის დასაცავად. თუმცა, ბერებს შეღავათი არ გასჩენიათ. ყველაზე დიდი უბედურება, რაც აქ მოხდა, სიკვდილი იყო.

მონასტრის საბიბლიოთეკო ოთახში მკვდარი იპოვნეს იქაურობას თავშეფარებული ქართველი განგსტერი ნიკა აბაიშვილი, რომელიც ერთხანს ვისრამიანთა საგვარეულოს სიძე იყო, მაგრამ ცოლთან მარადი უთანხმოებისა და ხმამაღალობის გამო ვისრამიანებთან აღარ ცხოვრობდა და ბოლო ხანს საერთოდაც აღარ ჩანდა. აი, თურმე მონასტერში ყოფილიყო, სადაც ბოლო დროს მორჩილებაც ეტვირთა. ასე ამბობდნენ და რას გაუგებდი სინამდვილეს.

პანტელეიმონ ბერი კარგად იცნობდა გარდაცვლილს და დიდად დაამწუხრა მისმა აღსასრულმა, თუმცა, წუხილი გაოგნებამაც გადაფარა, ვინაიდან ნიკა აბაიშვილი მოკლული იყო. ის იპოვეს ბიბლიოთეკის პირველ სარკმელთან ჩაკეცილი, თითქოს ჩამომჯდარი, მოკლული ისრით, რომელიც პირდაპირ გულში მოხვედროდა.

ეს იყო საშინელი სურათი. ასეთ სურათებს მხატვრები მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნემდე ხატავდნენ. წვერწამოზრდილი, ბრგე კაცი გულში ისრით, სამუდამოდ მიძინებული.

ვიღას ახსოვდა თუ ამ ქვეყანაში ისარი არსებობდა საერთოდ.

წინამძღვარმა პოლიციას შეატყობინა. ოღონდ კი იქ მოსულ დეტექტივებს ამ საქმის სიჩუმით ძიება სთხოვა და ტელეფონით ელაპარაკა კიდეც ქალაქის სუპერინტენდანტსა და პროზეკუტორს.

სანტა ესპერანსაზე ჩამოსულ ქართველებს მაშინ ყაჩაღებისა და ქურდების სახელი დავარდნოდათ. ყოველ უვარგის საქმეში იქაური ახალგაზრდა კაცები გამოჩნდებოდნენ ხოლმე და გამომძიებლებმაც იმგვარად დაინახეს ეს საქმე, რომ ცხონებულ საბრალო აბაიშვილს რაღაც ქართული კუდები მოჰყოლოდა და ამიტომაც შემალულიყო მონასტერში. სანამ ვისრამიანთა სიძე იყო, ის თავს კარგად დაცულად ხედავდა და როცა ვისრამიანებმა გამოაძევეს, მერეღა მისდგომოდა მონასტერს, სადაც არც შესული დაუნახავთ და არც გამოსული. ამიტომ ფიქრი ასეთი იყო, რომ მავანმა ქართველმა ყაჩაღებმა შეიტყვეს, რომ მას მონასტრისთვის შეეფარებინა თავი და რახან ახლოზე ვერ მოუდგნენ, მოხერხებულ ადგილას ჩაუსაფრდნენ და სარკმლიდან გადმოხედვისას ისარი ჰკრეს. ისარი გახლდათ გრძელი. დეტექტივთა გამორკვევით, სიგრძისა და ხელნაკეთობის მიუხედავად, ის არბალეტში ჩაეტეოდა და ბარე ორას ნაბიჯზე დააჯდებოდა მსხვერპლს. შესაბამისი გამოცდები მოხერხდა და დაახლოებით დადგინდა, რომ ჩიბუხის უბნის რაგინდარა ჩრდილო ქუჩების სახურავებიდან ხელობით მკვლელი ამ საქმეს უხმაუროდ და წყნარად, თუმცაღა მაინც დიდი ოსტატობის მოშველიებით მოახერხებდა. ვისრამიანებმა უარი თქვეს ყოფილი სიძის თავიანთ სასაფლაოზე წასვენებაზე, გვარიც კი ჩამოვართვით და მისი კარგა ხანია არაფერი გვცოდნიაო. ვისრამიანებთან ახლო მდგომმა ხალხმა კი დეტექტივებს გვარიანად უამბო ნიკა აბაიშვილის წარსულისა და აღარავინ დაეჭვებულა, ამბავი ქართულია, ისარიც ქართულია, მოკლულიც ქართულიაო. სისულელე იყო, რაიმე გეეჭვა ვისრამიანებზე, ისინი ამნაირ სისხლიან ამბავში ასე

იოლად არ შევიდოდნენ და თანაც ვისრამიანები იყვნენ და არა ვიღაცეები. მათ რომ სიძის გაქრობა ნდომებოდათ, ადრევე და უჩუმრად მოახერხებდნენ და ძველი დროების ამბების გათამაშებას არ მოჰყვებოდნენ.

ნიკა აბაიშვილი მონასტრის ეზოში დაკრძალეს, პანტელეიმონ ბერს კი, რაც ესმოდა, არ სჯეროდა. ყველაფერი კოხტად დაელაგებინათ, მაგრამ პანტელეიმონ ბერი ყველაზე კარგად იცნობდა ნიკას და სულ სხვას ფიქრობდა.

ჩიბუხის კიდის ერთ-ერთი სახურავიდან დეტექტივმა სესილმა ხუთჯერ ისროლა არბალეტით და ისარი სამჯერ შემოაგდო სარკმელში, მაგრამ პანტელეიმონი ფიქრობდა, რომ ნიკა ისეთი კაცი არ იყო, სარკმელთან სამიზნედ მდგარიყო და ქვემოთ, რომელიღაც სახურავზე მთელი დღით მოდარაჯე კაცს მისთვის გული გაეპო. თანაც, ნიკა საერთოდაც იშვიათად ადიოდა ბიბლიოთეკაში. ღამით ავიდა და დადგა სარკმელთან. რატომ? ეგებ რაღაც ნიშანს ელოდა.

იმ პატარა სარკმელს, რომელთანაც ნიკა იპოვეს, მონასტერში დოსითეოს ბერის სარკმელს ეძახდნენ. ასე იყო ძველთაგან. სარკმლის ქვეშ რამდენიმე ნუსხური წარწერა იყო, გადახუნებული და აბურდული. აქ მჯდარიყო ოდესღაც ამბავთ მფერავი ბერი დოსითეოსი და ამბობდნენ, რომ აქვე განუტევებია სული, თავის ნაწერებში ჩაფლულს. ამის ნამდვილობას ვერავინ დაიჩემებდა, მაგრამ ასე კი იძახდნენ და ახლა თავმჯდომარე და კოსტას კაბინეტში ფანჯარასთან მდგომი პანტელეიმონ ბერი გასცქეროდა მონასტერს და ხედავდა დოსითეოს ბერის სარკმელს. შუაში იყო ტყვეთა მოედანი და ნაპირის უბანი და უცებ პანტელეიმონ ბერმა ჰკითხა თავმჯდომარეს: - თქვენი სარკმლიდან რამდენი მილი იქნება მონასტრის აი, იმ სარკმლამდე?

და კოსტამ ქაღალდებიდან ამოხედა და დაუფიქრებლად უთხრა: - სწორი ხაზით? არ გამიზომია... ძველად, ჩემო კარგო, ამ ფანჯრიდან რომ სანიშნე ალამს აიქნევდნენ, - წამოდგა გახალისებული მოხუცი, - აი, იმ ფანჯარაში, - და სწორედ დოსითეოსის სარკმლისკენ გაიშვირა ხელი, - იმ ფანჯარაში იცოდნენ რა ხდებოდა - ნაირგვარი ალმები იყო, ყველაფერს თავისი ნიშანი ჰქონდა. ეს ალმებით ლაპარაკი აქ ჯენუელებმა შემოვიტანეთ და ციხისთავებს მოეწონათ. მოსიარულის ხელობას ეს ალმები სჯობდა. სანამ ამბავს მიიტან თვალის სახედავ მანძილზე, სამი ალმის სხვადასხვა რიგით აქნევა მთელს ისტორიას გიამბობს... იცი, ალბათ რასაც ნავსადგურებში აკეთებენ ალმოსანი მეზღვაურები. რაღაც ამის მსგავსი იყო.

- ეს გამიგონია,- თქვა პანტელეიმონ ბერმა,- ჭოგრიტი ხომ არ გაქვთ?

- ჭოგრიტი როგორ არ მაქვს. ეს ხომ სათვალთვალო ადგილია. აქ ორი მზირი ეჯდა ხოლმე ციხისთავს, - უჯრა გამოსწია ალფრედო და კოსტამ და იქიდან საუცხოო ჭოგრიტი ამოიღო, - აი, გაიხედეთ... იქით ზღვა, აქეთ ქალაქი. საგანგებოდ გაჭრილი ფანჯარაა.

პანტელეიმონ ბერმა ჭოგრიტი მოიმარჯვა.

- რა ახლოს არის ყველაფერი.

- ამ ქალაქის უმთავრესი ღირსებაც ეს გახლავს,- ამოიოხრა და კოსტამ.

- ესე იგი, მე და თქვენ შეგვიძლია დროშებით ველაპარაკოთ ერთმანეთს, - თქვა ბერმა, - მე იმ სარკმლიდან, თქვენ ამ სარკმლიდან. აი, სწორედ იმ სარკმლიდან ყველაფერი ხელისგულივით ჩანს, მთელ ქალაქს ვხედავ ხოლმე.

- აქედანაც ასეა,- თავი დაიქნია და კოსტამ.

- აქედან... - ბერი დიდის დაკვირვებით გასცქეროდა მონასტერს, - რომ ყოფილიყო... ან რაღაც... აქედან ყველაფერი კარგად ჩანს...

- ბატონო?

- არაფერი, სინიორ და კოსტა, უბრალოდ, მართლა ახლოა ყველაფერი... აქედან დაინახავ და იქ შეატყობინებ...

ეს მართლაც ასე იყო შუა ძველ დროს, - კვერი დაუკრა და კოსტამ, - ის სხვანაირი მეცნიერება იყო.

- ისრები თუ გაქვთ მუზეუმში?

- ისრები?... ჰმ... ეს რა ფიქრები შემოგეძალათ, მამაო? ამ სიგრძეზე რომელი ისარი გაატანს?

- მართლაც... თუმცა, სიძულვილის ისარი კი მიდის შორს.

- სიყვარულისაც,- თითქოს გაბრაზდა მოხუცი.

- არაფერზე იჯავროთ, სინიორ და კოსტა, მაპატიეთ ხმამაღლა ჩაფიქრება.

- არა, რასა ბრძანებთ, სურათი მართლაც შთამბეჭდავია. ქალაქის ერთი ბორცვიდან მეორისკენ მიმქროლავი საზარელი ისარი. ქალაქის თავზე ისარი მიფრინავს. ნეტავ თუ მომხდარა სადმე ასე?

- ალბათ არა.

მართლაც ძნელი იქნებოდა ასეთი სურათის ხილვა...

- ის კარგი ადამიანი იყო. რწმენით აღესრულა, - ჩაილაპარაკა ბერმა. <...> მცირე რამ ფიქრი პანტელეიმონ ბერისა, შეძლებისდაგვარად მოწესრიგებული

ღმერთო, გვიშველე... ღმერთო, გვაპატიე ის, რაც მოხდა და რაც მოხდეს. დაგვეხმარე, რომ ავიცილოთ თავიდან ეშმაკეული. ეს ისევეა, როცა ჯერ ნახატის ერთ კიდეს ხედავ სხვა დარბაზიდან, მერე კი შეხვალ და მთლიანად, ერთბაშად დაინახავ ყველაფერს. საზარელი ნახატია, ფერებიც საზარელი და მღელვარე. ის არ მოუკლავთ ვისრამიანების დავალებით. ვისრამიანებს რატომ უნდა მოეკლათ? ის განქორწინებული არ იყო სალომეა ვისრამიანთან, განქორწინება არაფერში აწყობდათ ვისრამიანებს. ასე გამოვიდა, რომ მხოლოდ საკრედიტო ბარათები წაართვეს. ღმერთო ჩემო, რა რომანია. სალომეას მთელი სიცოცხლე სანდრო და კოსტა უყვარს. ვისრამიანთა გვარის ამბავი აკრძალვების ამბავია. ისინი წარმართები არიან. ოდესღაც რაღაცეები აუკრძალეს საკუთარ თავს და ამიტომ სალომეა აუცილებლად ქართველისთვის უნდა მიეთხოვებინათ. თავიანთი სიბნელის გამო მიათხოვეს ცოდვებითა და სისხლით დამძიმებულ, გონებაარეულ კაცს, მაგრამ მაჩვენეთ

განქორწინებული ვისრამიანი. განქორწინება ხომ ხელ-ფეხს გაუხსნიდა სალომეას და სანდრო და კოსტას? მით უმეტეს - მკვლელობა. ამიტომ ვისრამიანებს არ მოუკლავთ ნიკა. მათ ნიკა ცოცხალი სჭირდებოდათ და თანაც ბოლომდე. ვისრამიანების რელიგია საზიზღარი რელიგიაა, თუმცა არ ვიცი, რა ჰქვია ამ რელიგიას. მე კი რა დღეში ვარ? ჩემი კარგი დათა ვისრამიანი აქედან, იქიდან კი ეს მოხუცი ალფრედო და კოსტა, რომლის ძმიშვილის და სალომეას ამბავმა აი, რამდენ წელიწადს გაძლო. მე ასეთი რამისა ბევრი არაფერი ვიცი, მაგრამ ალბათ ამას ჰქვია სიყვარული. ბევრი ცოდვა და სისულელეა გარეული ამ ამბავში, მაგრამ ალბათ ამას ჰქვია ქალსა და კაცს შორის სიყვარული.

ეს ორი ფანჯარა. აქედან მოხუცი და კოსტა იმზირება თავისი ჭოგრიტით, იქიდან კი - ნიკა. ეს ადამიანები ერთმანეთს არც იცნობდნენ, მაგრამ ნიკამ არ ესროლა შუა ქუჩაში ამ მოხუცის ძმიშვილს შვიდი წლის წინათ? ასე მითხრა ნიკამ, რომელიც ძალიან განიცდიდა ამ ამბავს. სალომეა ვისრამიანი კი შინ არ არის. გამქრალია, მიმალულია რაღაც ფარდების უკან. ეგებ და კოსტების სახლში ცხოვრობს? რა საზიზღარი, რა ხორციელი ისტორიაა. ვისრამიანები, თავიანთი სიმდიდრითა და აკრძალვებით. რატომ აიკრძალეს ის, რაც ღმერთს არ აუკრძალავს მათთვის? ეშმაკი სწორედ აქ უნდა ვეძებოთ, ამ აკრძალვებში. მათ თავიანთი სახელმწიფო აქვთ და თავიანთი რწმენაც ამიტომ აქვთ.

აი, მთელი მათი ოჯახი, ბებერი კონსტანტინე და მისი ასული კაია, რომელმაც ჩემი მეგობარი, ჩემი კარგი დათა დამცინავ და ხელჩაქნეულ ადამიანად აქცია. კიდევ ვინ იცის, როგორ გააუბედურებენ და რას მოსთხოვენ, დათა ხომ ყელზე ადგათ. სალომეა გააუბედურეს, სანამ ცოდვაში არ შეითრიეს, არ მოეშვნენ. ღმერთო, მაპატიე, ღმერთო, მაპატიე, ღმერთო, მაპატიე. დათას მამა, ბუ ვისრამიანი სად არის? ისიც შეკეტილია სახლში. ისიც კეთილი კაცია. რა უნდათ ვისრამიანებს? მე ვიცი, ისინი ყველაფერზე წავლენ, თუ დაჭირდათ. ხატი და ჯვარი მათთვის არ არსებობს, თავიანთი სამართალი აქვთ. ავი სამართალია, ღვთის სამართალს გზაზეც კი არ შეხვედრია.

აქეთ კიდევ და კოსტები, მოხუცი ალფრედო და სანდრო. დიდი სიძულვილია ამათ შორის, მე ვხედავ ამ სიძულვილს. ვგრძნობ მოხუცთან ყველა შეხვედრისას. ვისრამიანებს მიაჩნიათ, რომ მათი ოჯახური სიმტკიცე და აკრძალვები სანდრო და კოსტამ დაანგრია. დათას ასე არ მიაჩნია, მაგრამ დათას სხვა უბედურებები სჭირს. ალფრედო და კოსტას მიაჩნია, რომ ვისრამიანები ველური და გაუმაძღარი ხალხია.

ამ ორთა შორის კი აღმოჩნდა ნიკა და ნიკა მოკლეს.

ნიკას ქართველები გამოედევნენ. მაგრამ ქართველები სანამ გამოჩნდებოდნენ, მანამდე ვისრამიანები სხვანაირები იყვნენ? ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს.

უცნაური და ჩასაფიქრებელი დაკრძალვა

ეს იყო ყველაზე უცნაური და ფიქრთა ამშლელი დაკრძალვა. არადა, ყველაფერი იყო ჩვეულებრივად. განსვენებული ტაძარში ესვენა და წესს თავად წინამძღვარი უგებდა. ბერები გალობდნენ.

დაბლა, მონასტრის სასაფლაოს გაგრძელებაზე, ზედ გალავანთან, სადაც ასწლოვანი მუხები იყო, სამარე წინა საღამოს გაეჭრათ. ეკლესიის გალავანზე შეფოფხებულიყვნენ გაზეთების ფოტოგრაფები, რომლებიც ცხედრის გამოსვენებას ელოდნენ. ეს ფოტოგრაფები და იქავ მოზურზუტე მოსეირეთა ბრბო, მერე ვისრამიანთა დამცველებმა, სუნგალებმა ჩამოათრიეს კედლებიდან და იმათაც რა უნდა ექნათ, ალაყაფთან გაჩერებული ორი მანქანის ფოტოები იკმარეს. თუმცა სუნგალების წასვლის შემდეგ კვლავ გაილაღეს.

მანამდე კი წესის აგებას ესწრებოდა ორი ადამიანი.

ერთი გახლდათ მოხუცებული და გალეული ქალბატონი, რომლის გამოჩენაც მეგაზეთეებს ძალიან გაუკვირდათ. ეს იყო აგათია ციხისთავი არჩილიანი, კუნძულის ფაშა-მეფე-ციხისთავთა უკანასკნელი შთამომავალი, მოცახცახე და მძიმე ხელჯოხის მოკაკუნე ქვაფენილზე, პირბადეჩამოფარებული და ერთიანად შავით მოსილი.

რა უნდოდა ამ ქალს უცნობი ქართველი განგსტერის დაკრძალვაზე, ვერავინ ამოიცნო. შეკითხვა კი გალავანს აქეთ გამოსულს ვერ გაუბედეს.

მეორე იყო მსუქანი და მხვნეშელი კაცი ცისფერ, ამოჩაჩულ პერანგში, მოკლეფეხება და უფრო მორგვივით გადაგორებული, ვიდრე ნაბიჯით მოარული. ფართო ულვაშითა და დასველებული იღლიებით ძლივს გადმოვიდა ნახევრადსატვირთო „ფორდიდან“ და მძღოლთან ერთად შევიდა გალავანში. საღამოს, ფოტოების გარჩევის დროსღა იაზრა მაწაკმა ჟურნალისტმა მონიკა უსო დი მარემ, რომ ეს კაცი სუნგალთა კუნძულის ერთ-ერთი ფერადოვანი შვილი, გარეუბნული სასტუმროს პატრონი, ხეტია უნდა ყოფილიყო. მონიკამ ნახევარ საათს იწვალა, მისი მობაილის ნომერი შეიტყო და კი ელაპარაკა, მაგრამ დარწმუნებით ვერ იტყოდა მისი მოსაუბრე განთქმული ხეტია იყო თუ არა.

- დღეს დაკრძალვაზე გნახეთ.

- მერე?

- იცნობდით მიცვალებულს?

- აბა, ქელეხის საჭმელად კი არ მივსულვარ, - იყო პასუხი და ტელეფონი გაითიშა.

მოგვიანებით გამოჩნდა ერთი ტანდაბალი კაცი, სავარაუდოდ ინგლისელი, რომელმაც მერე აგათია დედოფალთან ერთად დატოვა მონასტრის ეზო. ამ კაცის რაობა ვერავინ შეიტყო. თუმცა ის კი დაინახეს, რომ ისიც და მოხუცებული აგათიაც ერთ უბრალო „ჰიუნდაის“ მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ. მანქანის პატრონი მალევე დადგინდა. ეს იყო ბანქოს მოთამაშე ფარნა მედროშის ცოლის ბორბალა. ამან კიდევ უფრო გააოცა რეპორტიორები, თუმცა ესე ყოველი აღარავის ახსოვდა, რადგან აგათია დედოფლის გამოჩენიდან ერთი საათის თავზე ალაყაფთან ყვითელი ტაქსი გაჩერდა და იქიდან სულ შავით მოსილი, ფართოფარფლებიანი დიდი ჰეთით სახედაბურული სალომეა ვისრამიანი გადმოვიდა.

სალომეა ვისრამიანი კვლავაც ითვლებოდა განსვენებულის მეუღლედ. თუმცა ყველამ იცოდა, რომ ბოლო რამდენსამე თვეს, ან იქნებ მეტსაც, ისინი ერთად აღარ

ცხოვრობდნენ. ქმარმაც მიატოვა მათი საუცხოო სახლი ნაპირის უბანში და ცოლმაც, ხოლო ცოლის ოჯახმა ქმრის შენახვაზე უარი თქვა.

ეს მოსვლა იყო სრულიად მოულოდნელი და გასაკვირი, თუმცა ერთგვარ წესს მაინც აღნიშნავდა, რომ ცოლი ქმრის დაკრძალვაზე უნდა მივიდეს. არადა, მანამდე ხმა დადიოდა, თითქოს განსვენებულს სალომეა მოეტაცნოს და მის სანაცვლოდ გამოსასყიდი მოეთხოვოს ვისრამიანთა ოჯახისთვის, რის გამოც თავად დამალვოდეს ვისრამიანთა რისხვას. სალომეას გამოჩენამ ეს ლაპარაკი დაადამბლავა.

ამრიგად, დაკრძალვას ესწრებოდა სამი ერთმანეთისთვის უცნობი ადამიანი, ერთიც ვიღაც სავარაუდოდ ინგლისელი, რომელიც სავარაუდოდვე იცნობდა მოხუცებულ აგათიას, ერთიც მძღოლი მსუქანი კაცისა და ერთიც, ალბათ ფარნა მედროშე, რომელიც გალავანს შიგნით არც შესულა: გვიან მოვიდა და იჯდა თავის დაჭყლეტილ მანქანაში და არც ფოტოგრაფებს მორიდებია და არც კიდევ ვინმე სხვას.

წესის აგება სრულდებოდა, როცა აღმართზე სამი ჯიპი გამოჩნდა და რეპორტიორებმა დაატყვეს, რომ სალაპარაკო შეექნებოდათ. ესეც მოულოდნელი იყო. ესეც კი არა, ეს იყო თუ იყო ამ მზიან შუადღეს. ჯიპებიდან რვა სუნგალი გადმოხტა, რომელთაც ვისრამიანთა უბერებელი მოურავი, მარტია მეთაურობდა. სუნგალებმა უცებ შეკრეს გზისპირი და გალავანზე გამწკრივებულ რეპორტიორებს ფეხებში დაებღაუჭნენ. ეზოში ჯერ არაფერი იყო გადასაღები, მაგრამ ფოტოგრაფები მიცვალებულის გამოსვენებას ელოდნენ. მოკლე გაწევ-გამოწევის შემდეგ სუნგალებმა იმძლავრეს და მეგაზეთეები თავიანთ ცოცხალ ჯაჭვს შუა მოაქციეს, სანამ საჭირო იქნება აქ იდგებით, თორემ საერთოდაც ვერაფერს გადაუღებთო. ჩოჩქოლის ხმა ტაძარში ერთი-ორჯერ მოისმა და ისიც ყრუდ.

წინამძღვარი ბერძნულად მისდევდა წესს, გალობდნენ ბერძნულად და იოანურადაც.

ამასობაში რეპორტიორებმა დაინახეს, როგორ მოცოცავდა აღმართზე შავი „როლს როისი“. ისინი იქამდეც მიხვედრილიყვნენ, რომ სუნგალთა გამოჩენა რომელიმე დიდი საგვარეულოს წევრის მოსვლას ნიშნავდა და ისიც იცოდნენ, რომ თუ მოვიდოდა ვინმე, ისევ ვისრამიანი.

სანამ მანქანა მონასტერთან ამოვიდოდა, მარტიამ ალაყაფი გააღებინა კართან მყოფ ბერს და „როლს როისი“ გალავანს იქით შესრიალდა. მეგაზეთეები ახლაღა მიხვდნენ, რომ სუნგალთა მეთაურმა ისინი მოატყუა. გალავნიდან იმიტომ ჩამოყარა, რომ მანქანიდან გადმოსული ვისრამიანები არ დაენახათ, იმას კი ვინ იფიქრებდა, რომ ალაყაფს იქით „როლს როისს“ შეუშვებდნენ. ასე კი მოხდა და დამწერ-მოჩხაკუნეებს მხოლოდ მარჩიელობაღა შეეძლოთ.

ტაძარში კი გარდაცვალებულის სიდედრი კაია ვისრამიანი და მისი სიმამრი ბუ შევიდნენ. ისინი უკან დადგნენ, ბუ საერთოდაც მოშორებით, სანამ წესის აგება დასრულდებოდა, მორიდებულ ბოლთას სცემდა ერთ კუთხეში.

კაია ვისრამიანს ასევე სულ შავი ემოსა და ქალიშვილს გადახედავდა ხოლმე. იმათ შუა იდგა ხმაურით მსუნთქავი ხეტია, ამათ ყველას წინ კი აგათია ბებია და რატომღაც ის ოქროსწარბება ინგლისელი, რომელიც შოტლანდიელი ყოფილიყო.

წესის აგება რომ გასრულდა, ბერებმა კუბო ასწიეს და გარეთ გამოასვენეს, ჭირისუფალნი მოჰყვნენ, სანახევროდ შემოუარეს ტაძარს და დაბლა ჩაუყვნენ, ჩრდილოეთის კედლისკენ, იქ, სადაც ასწლოვანი მუხებია.

მერე მიცვალებული სამარის კიდეზე დაასვენეს და რეპორტიორები ახლაღა მიხვდნენ, რომ გალავნისთვის მეორე მხრიდან უნდა შემოევლოთ. ეს ძნელი იყო, ბილიკები დამრეცი, ბუჩქები კი კბენია შემოხვდებოდათ, გალავნის კიდე სულ ერთიანად ბუჩქნარითა და ფართოდ გაბარდღნილი დაბალი ხეებით შემოსილიყო. ზოგიერთმა მაინც ადგილზე დარჩენა არჩია, ერთი-ორი თავგანწირული კი ბუჩქებში გასხლტა და იქით გასწია, თუმცა იქ რომ მიაღწიეს, გალავანთან ორი დევივით სუნგალი ნახეს და უკან გამობრუნდნენ. ალაყაფთან კი შეიტყვეს, რომ დაკრძალვა უკვე გასრულებულა და სწორედ რომ სულზე მოუსწრეს ჭირისუფალთა გამოსვლას.

იქ კიდევ უცნაური სურათი იყო.

სწორედ გამოსვენებისას მონასტრის ეზოში ვისრამიანების ჭაღარა მოურავი, მარტია შევიდა და სასაფლაო ალაგისკენ გასწია. გალავანთან საკმევლის სუნი იდგა. ყველას სანთლები ეჭირა, ბუს გარდა. უქარო დღე იყო. თუმცა მუხა ყოველთვის შრიალებს. აგათია ციხისთავს არც კი შეუხედავს კაია ვისრამიანისთვის, კაიამ შეხედა და მერე აღარ შეუხედავს. როცა კუბოს თავი დახურეს, ბუმ ვერ მოითმინა და ქალიშვილი გულში ჩაიკრა. კაიამ კი გამოხედა და წაისისინა: - რა დღეში ხარ?

შავ სათვალეებს იქით თვალები არ ჩანდა, მაგრამ ცრემლი არ ყოფილა.

ბუს სათვალე არ ეკეთა და თავისი რაღაცნაირი თვალებით დასცქეროდა კუბოს.

როდესაც ბერებმა თოკები მოიმარჯვეს და კუბო საფლავში უნდა ჩაეშვათ, სალომეას დედის ხმა მოესმა. დაბალი, მაგრამ მძლავრი და ბევრის შემშინებელი: - სახლში წამოხვალ.

- არა, - თქვა სალომეამ ისე, რომ ხეტიამაც კი გაიგონა და დაურიდებლად მოიხედა.

- შენ ქვრივი ხარ,- წაისისინა კაიამ, - სახლში უნდა იჯდე მთელ წელიწადს.

- მე სახლი არ მაქვს,- თქვა სალომეამ და ორიოდ ნაბიჯით მოშორდა დედას.

- შენს სანახავად მოვედი, გავიგე, რომ აქ მობრძანებულხარ. რა თეატრია,- მოაყოლა კაიამ ისე, რომ ტუჩები არც კი გაუნძრევია.

ბუმ ცოლს გადმოხედა, მიწა აიღო პეშვით და საფლავს მიაყარა.

აგათია ციხისთავი არჩილიანი სწრაფად მიტრიალდა და აღმართს აუყვა ხელჯოხის ბჯენით. უცხოელიც მას მიჰყვა.

- მამაო, - წინამძღვარს მიუახლოვდა კაია, - თქვენ გესმით დელიკატური ვითარება ჩვენი ოჯახისა. მოგეხსენებათ, მამაჩემი რთული და ტრადიციების მიმდევარი კაცია. ამიტომ ჩვენ ვერ გავიღეთ დაკრძალვის ხარჯი და ვერც ჩვენს სასაფლაოზე დავკრძალეთ ჩვენი სიძე. მე გმადლობთ და გპირდებით, რომ მას გადავასვენებ. უკეთესი დროც დადგება.

წინამძღვარმა თავი დაუქნია.

- ერთი სიტყვა ქართულად უთხარით, ამის დედა ვატირე, - შესძახა უცებ ბუ ვისრამიანმა და ხეტია მიხვდა, რომ ის მთვრალი იყო, - ვინა ხართ, რა ხალხი ხართ? ნიკა, ბიჭო, ნიკა შე ძველო, ჰა?

მარტიამ მკლავი გამოსდო ბუს და ნელი ნაბიჯით წაიყვანა მაღლა. ბერები იდგნენ.

კაია ვისრამიანი ორიოდ წამით შეყოვნდა, თითქოს რაღაც კიდევ უნდა ეთქვაო, მაგრამ მერე თავი დაუკრა წინამძღვარს და ისიც ქმარსა და მარტიას მიჰყვა.

სალომეა საფლავს დაჰყურებდა, ასე ჩანდა, თორემ ჰეთის ფარფლებს ქვეშ ვერ დაუნახავდი, საით იმზირებოდა და სათვალეც ხომ ძალიან შავი ეკეთა იმ ჰეთის ქვეშ. თუმცა ამ სათვალესაც ვერ დაუნახავდი.

- ნახვამდის,- თქვა ხმადაბლა და ისიც გატრიალდა.

წინამძღვარი აღმართს შეუყვა.

ბერებიც ნელ-ნელა დაიძრნენ.

გარეთ რეპორტიორები გამოცოცხლდნენ, ერთი ჩხაკუნი ატყდა, თუმცა ვისრამიანებს მაინც ვერ გადაუღეს.

ასე გამოვიდა, რომ საფლავთან მხოლოდ ხეტია დარჩა, შორიახლოს კი - მისი მძღოლი თუ ვინც იყო. ხეტია ერთხანს იდგა, კოტიტა ფეხით თითქოს მიწას სინჯავდა, მერე კი არც მოუხედავს, ისე უთხრა იმას: - მაიტა, ბიჭო, წაუქციოთ.

იმ მეორემ უბიდან ბრტყელი, მაგრამ კარგა მოზრდილი მათარა ამოიღო და ხეტიას გაუწოდა.

ხეტიამ მათარას თავი მოხსნა და საფლავის კიდეზე მოაპირქვავა.

- ხო ღვინო წამოიღე, ბიჭო?

- მა რა, ხეტი... მა ვისკებით ხო არ წაუქცევდით?

ხეტიამ მათარა შემართა და წაიბურტყუნა: - მაგრა იყავ, ნიკა, კაი ბიჭი იყავი, იქაც კარგათ იყავი... ვის არ შეგვშლია... - მოსვა და მათარა იმ მეორეს გაუწოდა.

იმანაც წაიბუტბუტა რაღაც და მოსვა, ნარჩენი კიდევ საფლავზე მოასხა.

- დავიძარით, - თქვა ხეტიამ და აღმართს ახედა.

საღამოს პირზე კი მონასტერში დათა ვისრამიანი ამოვიდა.

ერთხანს მარტო იჯდა საფლავთან, მერე კი პანტელეიმონ ბერიც ჩამოვიდა.

- ვინ მოკლა?- ჰკითხა დათამ.

ბერმა მხრები აიჩეჩა.

- თქვენთან იმალებოდა?

- აგათია დედოფალმა მოიყვანა ჩვენთან... იცი, როგორ ცდილობდა რწმენაში შემოსვლას?

- აგათია ბებიამ? დედოფალმა?

- ხო...

- აგათიას საიდანღა იცნობდა?

- აგათიამ სთხოვა წინამძღვარს, შემინახეთო. იმალებოდა, ალბათ.

- ვის ემალებოდა? ბაბუაჩემს?

- შეიძლება. არ ვიცი... ნუ მეკითხები ასეთ რამეებს. ვიღაც ქართველებიც დაეძებდნენო, რას გაუგებ... ახლა მალე სავიზო რეჟიმი შემოვა. თავისუფალ შემოსვლას გააუქმებენ...

დათამ ხელი ჩაიქნია და ყრუდ თქვა: - ეგ სუნგალებმა მოკლეს. სხვა ვერ მოკლავდა.

პანტელეიმონ ბერმა პირჯვარი გადაიწერა.

- ნუ ამბობ, ნუ ამბობ, თუ არ იცი...

- სხვა ვერ მოკლავდა. ასე, როგორც ზღაპარში, ისრით. როგორ შეიძლება? გინახავს სუნგალების სახლებში ძველი ისრები?

- იარაღი მუზეუმშიც არის.

დათამ თავი გააქნია.

- ყველა გვაწვალა და თავიც იწვალა. რანაირები არიან...

- სუნგალებს რა დაუშავა?

წყლის პირას, სამშობლოს კიდეზე

ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს: ბუნგალოლენდის, ანუ მთავარი კუნძულის მყუდრო დასასვენებელი ადგილის ჩრდილოეთით არის პატარა ნავსადგური, ხისგან შეჭედილი ალაგი, წყნარი და მშვიდი, სადაც ერთი ძველი, ასევე ფიცრული სახლი დგას და ჩამომდგარია ორი ასევე ძველი, ფერდებმოჟანგული ბარჟა, რომელსაც ნავსადგურის ხიდიდან მოხდენილად მიადგამენ ხოლმე ფართო კიბეს, ან უბრალოდაც ხიდს, რათა ბარჟაზე სამი-ოთხი ავტომანქანა აბობღდეს. ეს არის ერთადერთი ადგილი, საიდანაც სუნგალის კუნძულზე მანქანის გადაყვანა შეიძლება. ბარჟა ორია. როცა ერთი მოადგება ბუნგალოლენდის კიდის ამ მივიწყებულ ადგილს, სადამდეც ტურისტები და დამსვენებლები ჩვეულებრივ ვერ აღწევენ ხოლმე, მეორე აქედან დაიძრება სუნგალის კუნძულისაკენ.

ბარჟები დღეში ორჯერ, დილით და საღამოს კვეთენ სრუტეს და სათუხთუხოც ბევრი არაფერი აქვთ, ვინაიდან ამ ნაპირიდან ის ნაპირი ჩანს, იმ ნაპირიდან კი ეს ნაპირი.

ნავსადგურის ქოხმახთან კი იყო ერთი ბრეზენტწამოფარებული პურის საჭმელი ალაგიც, სადაც ორი მაგიდა და ხუთი სხვადასხვანაირი სკამიც იდგა. ამ ალაგს პატრონი არ ჰყავდა და არცა ყიდდა ვინმე რამეს, ერთი დაკუნტული სუნგალი ბაბოს გარდა, რომელსაც ყოველთვის ედგა გობით პური და ყველის ნათლები და ერთი მოზრდილი კოკით, ოდნავ მღვრიე ანუ ნამდვილი ღვინო. ამ ბაბოს ერქვა ხარაზაანთ ქვრივი და დილით გამოჰყვებოდა ხოლმე ბარჟას აქეთ, საღამოს კი უკან გადაჰყვებოდა.

თუ აქეთ ნაპირზე ბევრი ხალხი მოიყრიდა თავს, მაშინ ბარჟა არ დაელოდებოდა საღამოს და ერთსაც გადგაფუნდებოდა მეორე ნაპირისკენ.

ზოგჯერ ის შუა წყალში გაფუჭდებოდა ხოლმე, რომელიმე მგზავრი კი დასძახებდა სუნგალურს: - ღმერთო, რა შეგცოდე აგრეთი, რო სახლში მისასვლელად გზაზე წყალი დამიხვედრე?

ეს ცნობილი სუნგალური ნათქვამი იყო და ბარჟის წახდენა სულაც არ იყო აუცილებელი, რომ ვინმეს ასე დაეძახა. ამას ნაპირზეც ამბობდნენ, ბარჟის გასვლის მომლოდინენი. სუნგალებს ზღვა დიდად არ უყვარდათ, ნაპირიდან თევზაობდნენ და ეს იყო.

მთავარი კუნძულის ამ მივარდნილ ნავსადგურზე ხმაურობას მხოლოდ პარასკევ საღამოს გაიგონებდით, როცა აქეთ მომსახურე სუნგალები საუქმოდ თავიანთ კუნძულზე ბრუნდებოდნენ. ხმაური იყო კვირა საღამოსაც. ამ დღეებში ბარჟები გამალებით მუშაობდნენ, გადი-გამოდიოდნენ. ქალაქამდე მიუყვანელი კი არც ერთი დარჩებოდა, ვინც მანქანით იყო, ის სხვებს ჩაისხამდა, თორემ ის ერთი ავტობუსი, პარასკევს და კვირა საღამოს რომ მოდიოდა აქეთ სანტა სიტის ავტოსადგურიდან, სუნგალებს რას გასწვდებოდა.

ხარაზაანთ ბაბო სწორედ პარასკევობით ხეირობდა მთავარ სახეიროს. სუნგალები მას ჩვენს ეპისკოპოზს ეძახდნენ და მთავარი კუნძულის ნაპირზე გადმოსულები დაუძახებდნენ ხოლმე შავებში გამოხვეულ დაკუნტულ დედაბერს: - დამლოცე, დედი, უცხო მიწაზე მივდივარ...

ბებოც ისეთი საქმიანი იერით და ხელების ქნევით დალოცავდა, რომ მართლა სჯეროდა, მე ვარ ამათი ეპისკოპოსიო.

ხალვათი დღე ოთხშაბათი იყო და ხარაზაანთ ბაბოს, ისევე როგორც ბარჟის უსტაბაშებს, სოლკასა და ხებრელას, ჩამოეძინებოდათ ხოლმე, ამათ ცალ-ცალ ნაპირზე, ბაბოს კიდევ იმ თავისი გობის წინ.

შუადღეზე კიდევ აბა ვინ მოვიდოდა, საღამომდის საძრავი არ იყო. ჰოდა, შემოხრიგინდა ძველი ფორდის ვექილი ზედ ფიცარნაგზე და იქიდან ხეტია გადმობობღდა ხვნეშით.

- ბაბო, როგორ ხარ, ბაბოოო... - დასძახა ხეტიამ და ხარაზაანთ ბაბომაც თვალები გაჭყიტა, ჰაა, რომელი ხარო.

ხეტია მარტო იყო, დაჭმუჭნილი შორტები და მსუქან ტანზე შემოტმასნილი უსახელო მაისური ეცვა, ჭაღარა ბალნით მოფიფქულს სიჩქარე ეტყობოდა.

- უი, შვილო, საბანაოთ მოხველ? - ხელი მოიჩრდილა ხარაზაანთ ბაბომ.

- საბანაოთა, ხო, - გაუცინა ხეტიამ და დასძახა, - სოლკავ, რომელი ხარ მანდა, სოლკავ!

ბარჟის კოკპიტიდან ვიღაცამ გამოიჭყიტა: - ჰაი, ვინ მოსულა... ხეტიავ, ჰა�ა?

- ბიჭო, გადამიყვანე... არ დამაყენო აქა...

- გადაგიყვან, ხო,- გამოდგა სოლკა, - ხო მშვიდობაა, ხეტი...

- მშვიდობაა, ხო...

მათ ერთად გადმოათრიეს ხიდი და ბარჟის კიდეს მიადგეს, ხეტიამ მანქანა უკან დახია და ხიდზე შეაგრიალა. სოლკამ ხიდი განზე გადაათრია და გემბანზე ახტა. ხეტია მანქანიდან გადმოვიდა და ხარაზაანთ ბაბოს გასძახა: - ბაბოო... მარტიასა სცნობილობ?

- მარტიასა? - ისევ მოიჩრდილა ბაბომ.

- ჰოუ...

- კი ვსცნობილობდი და... რა, რო?

- რა და თუ მოაყენა აქა... გესმის?

- მეესმის, ჰო...

- ხო, თუ მოაყენა აქა და იკითხოს, ხეტია თუ გადავიდაო, შენ უთხარ, გადავიდა და დაგიბარა-თქო...

- ჰოო...

სოლკამ უკვე მოქოქილი მოტორი გამორთო, იმიტომ, რომ ბაბოს ისედაც არ ესმოდა ხეირიანად. ხეტია მოაჯირს მიაწვა ღიპით და გასძახა: - გაიგონე, ბაბო?

- ჰოუ...

- აბა, რაო?

- მარტია თუ ამოვიდესო, უთხარიო რო ხეტია იყო აქაო და ისაო... მერე აღარ ვიცი...

- ხოო... მერე უთხარი, ხეტიამ დაიბარაო, აქ არ გადმოხვიდეო, თორე უკან ვეღარ გადახვალაო, გაიგე?

- ვეღარ გადახვალაო... ჰოოო. დავიხსომებ, - თავი გააქნია ბაბომ, - რათ ვეღარ გადმოვა, გემი ვეღარ იქნება?

- ეგრე უთხარ, კაცო შენა... მოქოქე, სოლკავ...

სოლკამ მოქოქა, და ამ ხმაურში ბაბომ კიდევ რაღაც დაიძახა.

- რაო?- გასძახა ხეტიამ.

- იჩხუბეეთ?- ეკითხებოდა ხარაზაანთ ქვრივი.

- ხეტიას ვინ უნდა ეჩხუბოს ბაბო, პურიჭამაში ვემალები, - გაიცინა ხეტიამ და სოლკამაც დასძრა.

- ხო მშვიდობაა, ხეტი?- ჰკითხა ოფლმოდენილმა.

- რა გითხრა, აბა? საქმე ისე არის, რომ ეგების მეც მომკლან.

- რას ამბობ, კაცო?

- ვხუმროფ.

- და კიდე ვინ მოჰკლეს?

- ქალაქში კლავენ...კვლა დაიწყო.

- ხოოო... კი ამბობდენ და...

- ეხლა იქ გაჩერება სიკვდილია, გაგრევენ მათხოვრობებში. მარტიამ რა ჰქნას, სამსახური აქვს ეგეთი. იჭყლიტება და მიკაკუნებს ხოლმე... მე მღვდელი ხო არა ვარ?

სოლკამ თავი გადააქნია და იმ შუადღის მზეში თვალმოჭუტულმა, წრფელად, გულამოჯდომითა და იმედით ჰკითხა ხეტიას: - ხო არ უნდა ვიომოთ, ხეტი?... აღარ არი დრო?

ხეტია ჩაფიქრდა, გადახედა იმ უვარგის ზღვის წყალს, უყურა ერთხანს და თქვა, თითქოს თავისთვის: - მოვა მაგის დროც, სოლკავ... ალესე ხანჯლები და გაწმინდე ლულები.

- რაცა მაქს, არი, - გაიცინა სოლკამ და ორივემ დაინახა, როგორ მივარდა ნაპირთან ულამაზო ჯიპი, იქიდან კი ორნი გადმოხტნენ. მარტია იყო, სად არ დაინახავდი იმის გაჭაღარავებულ, ბომბორა თავს.

გამოვარდა ფიცარნაგზე და ცხადია, დაინახა ბარჟაზე შემომდგარი ხეტიას ძველი ფორდი.

ამათ დაინახეს როგორ ელაპარაკებოდა ხარაზაანთ ქვრივს.

მერე მარტია ისევ ფიცარნაგზე გამოვარდა და დაიღრიალა: - მე არა, ხეტი... მე არა, ძმავ... მე არა, ხეტი! ხეტიავ!

ხეტიამ ზურგი აქცია იმ ნაპირს და ასე იდგა.

სოლკამ საჭეს ჩამოჰკრა ხელი და უთხრა: - ხეტი... აბა, რავი, რა მოხდა... მივცე უკანა?

ხეტიას არ უპასუხია. ასე იყო.

- ხეტიავ!- ისევ მოისმა ნაპირიდან.

და ხეტიამ თქვა: - მიე უკანა... ეხლავ გამოირკვეს, რაც გამოსარკვევია.

და სოლკა დააწვა ბერკეტებს.

რა კარგი ამინდისა იყო ეს ადგილები. სულ კარგი ამინდისა იყო.

იმ ნაპირზეც დაატყვეს, რომ ბარჟა უკან წამოვიდა და გაჩერდნენ მანქანასთან.

- იარაღი ზედა გაქ, ხეტი?- ჰკითხა უცებ სოლკამ, - მე მაქ უჯრაში... მაინც, რო ზედ იყოს.

ხეტია ისევ ზურგით იდგა, წყალს ჩასცქეროდა თუ გემბანის გაზინტლულ ფიცარს, ვერ გაიგებდი.

- სუნგალი რო სუნგალზე იარაღს აიღებს, იქ როგორღა გაგრძელდება?- თქვა და სოლკამ ვერც გაიგონა იმ მოტორის გამაბეზრებელ ხმაურში.

- მაინც, რო ზედ იყოს-მეთქი, ანგლეზი რო მოსდევდეს?

- სუნგალი რო სუნგალზე იარაღს წაიღებს... სუნგალი რო თავის ქვეყნის კაცზე იარაღით მივა... სუნგალი რო სხვისი გულისთვის ქართველს მოკლავს... - ბუტბუტებდა ხეტია, - მეფის ქვეყნის კაცს რო გააფუჭებ...

- მე არა, ხეტი! - მოახლოებულზე კიდევ დაიძახა მარტიამ, - ძმობასა ვფიცავ!

ხეტიამ სულ სხვანაირი თვალთა გაკვესებით გამოხედა სოლკას და უთხრა: - ქაქი არ გაქექო, ბიჭო... რამე იყოს, რაც იყოს... ვინც დარჩეს... შენი სიტყვაა, მარმელადსა ვჭამდი. ხო იცი, რასაც ნიშნამს?

- რა თქმა გვინდა, ძმები არა ვართ?- კოკპიტში შებრუნდა სოლკა, - ნავი აქ არი.

ჰოდა, ბარჟამაც მიჰკრა კიჩო ფიცარნაგს.

- სოლკამ დაიძინა, - გადასძახა ხეტიამ მარტიას, - მაადგით ეგ ოხერი, თუ გგონია აქედან გელაპარაკო?

ბუძგის რვეულები

ბუძგის ყვავილი

სიყვარულისა და სხვა შხამებისა

სანდრო და კოსტას უთარიღო დღიურები

გუშინ დავწერე ძალიან გრძელი ლექსი, რომელშიაც თევზის ბაზრის განთიადია აღწერილი. უფრო სწორად, ჯერ არ გათენებულა და თევზის ბაზართან მთვრალ კაცს, სახელად ლუკას, დაიჭერენ, რადგან საპირფარეშოს მოძებნა დაზარებია და კედელთან მიმდგარა. პოლისმენებს მთვრალი კაცი თავიანთ საგუშაგოში მიჰყავთ, რათა დააჯარიმონ, ის კი უარს აცხადებს: ამბობს, რომ უყვარს, როცა კედელთან დგას და ვარსკვლავებიან ცას ასცქერის იმ დროს, როცა კედელი სველდება. მას საკანში

შეაგდებენ გამოსაძინებლად, სადაც მანქანიდან ქუდის მოპარვისთვის დაჭერილი კაცი დაუხვდება და ისინი ლაპარაკობენ ცის თაობაზე, ვინაიდან ლუკას ცის თვალიერება უყვარს, ხოლო ის კაცი ახალგაზრდობაში ერთადერთხელ გადმომხტარა პარაშუტით მიწაზე. რომ გათენდება, საკანში შუქი შემოაღწევს და ლუკა დაიმახსოვრებს, რომ ამ კაცს მარჯვენა ხელის მტევანზე ქალის სახელი აწერია: მარია.

ლუკას გამოუშვებენ, ის კაცი კი, ცხადია, სასამართლოში უნდა წაიყვანონ. ლუკა წარმოიდგენს, რომ მარია უკვე კარგა ხნის მკვდარია, ქურდი კი მალე მოკვდება, ვინაიდან კიბო აქვს.

არ ვიცი, რატომ დამჩემდა საკუთარი ლექსების შინაარსების ჩაწერა, მაგრამ ამ ბოლო დროს ძალიან გავეჩვიე ამ ამბავს. მგონი, ასეთ ჩანაწერებს ისევ ლექსები სჯობია. საერთოდ, დღიურები არ არის ვარგისი საქმე, ძალიან მოცლილი უნდა იყო, რომ ყოველდღე ჩაწერო რაღაც სისულელე, სულ უბრალო ამბავი. რომ მოკვდები, მერე გაუკვირდებათ, ამდენ სისულელეზე როგორ გახარჯა სიცოცხლის ამდენი სასარგებლო წუთიო.

მაგრამ საქმეც ბევრი არაფერი მაქვს, შეიძლება თამამად ვთქვა, რომ საერთოდ არ მაქვს საქმე. გუშინ ტელევიზორს ვუყურებდი და იქ ბუკერის პრიზით დაჯილდოებას აჩვენებდნენ. ერთმა ბიჭმა გაიმარჯვა, რომელსაც ბევრი ვალი ჰქონია და საპრიზო ფულით ამ ვალების მესამედი უნდა გადაიხადოს. არ ვიცი, რა დაწერა, მაგრამ ამან მაფიქრებინა, რომ ყოველი ადამიანის ცხოვრებაში მოიძებნება რაღაც, საიდანაც რომანი შეიძლება გამოდნეს. ანუ ერთი, არცთუ უბრალო წიგნი, ყოველ ადამიანშია. აქ ბიოგრაფიას არ ვგულისხმობ, თორემ ის ბიჭი მოთამაშე და კოკაინის მყნოსავიც ყოფილა ერთ დროს. ბიოგრაფია იშვიათი განძია დღეს. აქ რომანს ვგულისხმობ. რომანს იმას კი არა, რასაც დღეს უწოდებენ და რადაც მგონი ბაირონმა გადააქცია რომანი თავისი პოემებით, არამედ იმას, რასაც რომანი ერქვა პარიზის ქუჩებში, ანუ ქალის და კაცის ამბავი.

რატომ უყვართ ადამიანებს ამგვარი რომანები?

იმიტომ, რომ თავადაც გადახდენიათ თავისი წილი. ქალს კაცი გადახდენია და კაცს - ქალი. ყოველ კაცს გადახდენია ისეთი ამბავი ქალთან, რომელიც მთელ მის ცხოვრებას წარმართავს. ქალებსაც გადახდენიათ ასეთი ამბები. დასრულდა ფათერაკი, თავგადასავალი, სიყვარული, მაგრამ ის ამბავი რჩება და რაღაც უცნაური ნაჩხვლეტებით გაახსენებს კაცს თავს. სიტყვები ძნელი საპოვნელია, ვინაიდან „გაახსენებს“ ის სიტყვა არ არის. ადამიანთა უმრავლესობა იმიტომ არ წერს რომანებს, რომ თავს გადახდენილის არათუ დაწერა, უბრალოდ მოყოლაც უჭირს ხოლმე. ეს რომანები მის შიგნით ცოცხლობს, სადღაც გულსა და ფილტვს შორის ჩაფენილი და ზოგჯერ ისე გაიბერება, რომ კაცს სუნთქვაც უჭირს და ხელ-ფეხიც გაუცივდება ხოლმე, ვინაიდან ეს გაბერილი რომანი ერთი მხრით ფილტვს მიაწვება, მეორეთი კი - გულს.

ამას სრულიად შემთხვევით მივხვდი, ვინაიდან მე ბიოგრაფია არ მაქვს. მთელი ჩემი ბიოგრაფია და კოსტათა საგვარეულოს წარსულია და მეც, როგორც ჩანს, ამ დიადი საგვარეულოს უკანასკნელი მამაკაცი ვარ, რომლის გამოც საგვარეულო წიგნში აღარაფერი ჩაიწერება, რადგან ჩამწერიც აღარავინ იქნება. ამაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, მაგრამ ასე კი იქნება. თან მე ქალებისა ბევრი არაფერი ვიცი. ხასიათების ამოცნობა კი

შემიძლია და თანაც იოლად, მაგრამ ისე, რომ ქალებისას იოლად ვხვდებოდე, არა. მთელი ჩემი ბიოგრაფია ჩემი ერთადერთი რომანია და თუკი ოდესმე ვინმე წაიკითხავს ამ ჩანაწერებს, იმას გაუკვირდება, რადგან არ ეცოდინება ჩემი თავგადასავალი. მე ნამდვილად ვერ დავწერ ჩემი რომანის რომანს, ვინაიდან მისი დაწერა შეუძლებელია.

ეს ამბავი ადრევე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ გაგრძელდა.

დაახლოებით ისე, როგორც საპნის ოპერები გრძელდება ხოლმე წლიდან წლამდე. ეს ამბავი იმიტომ გაგრძელდა, რომ მე ის ვერ დავამთავრე. რომანს კი რაღაც დამთავრებული სჭირდება.

ძველი პიესები რომ გადავფურცლო და იმათ მოვარგო ჩვენი ამბავი, არაფერი გამოდის. უფრო სწორად, ყველაფერი გამოდის, ოღონდ ძველი პიესების ბოლო სცენები ცნობილია: კომედია ასე უნდა დამთავრდეს, დრამა - ისე, ტრაგედიაც კიდევ - ასე.

ჩემთვის კომედიით არაფერი დასრულებულა ცხოვრებაში. თუმცა, ყოველთვის ვცდილობდი, რომ ის, რაც გარშემო იყო, კომედიაში გადამეთრია. მძიმე იყო. ეს იმას ჰგავდა, ფეხზე რომ ქვებით გატენილ ტომარას მოგაბამენ და წყალში გადაგისვრიან. რაღას ამოყვინთავ? თუმცა, დღესაც ამას ვცდილობ. რაც არ უნდა ეცადო, ბოლო ცნობილია: შავი კარეტა მიგაჭენებს ტრაგედიისკენ, თანაც ჩქარა. ამ სიჩქარეში კი ფაციფუცობ და უამრავი შეცდომა გამოგდის. ამოისუნთქავ და აბა, იმავ წუთს, რაღაც კომედიისკენ. კომედია თითქოს ფარავს შენს შეცდომებსა და სისუსტეებს, თითქოს გადაწმენდს სუფრას და ყველაფერი ხელახლა იწყება, მაგრამ ეს ოხერი კარეტა ხომ კვლავ მიქრის ტრაგედიისკენ, სხვანაირად კი - სიკვდილისკენ. დაუშვებ თუ არა შეცდომას, მაინც მოკვდები. ეს უცნაური ტრაგედიაა. ძველ პიესებში უნდა შეცდე, რომ მოკვდე, ცხოვრების პიესაში კი გინდა შეცდი, გინდა ნუ შეცდები.

უბრალოდ, თუ გამუდმებით არ ცდები, კომედიისთვის მეტი დრო გრჩება, კომედია კი ხალისია, სწორედ ეს არის, რისთვისაც გინდა, რომ იცხოვრო, სანამ ძალიან მძიმე ტომარას არ მოგაბამენ. ტომრისკენაც უფრო იოლად და უდარდელად მიჰქრიხარ.

აი, როგორ ვიყავით მეძავებში მე და ტონინო. თექვსმეტი წლისანი გავიპარეთ ხეირის ქუჩაზე. ღამით ფანჯრიდან გადმოვძვერი. ისე მიცემდა გული, რომ შენი მოწონებული. მერე ტონინო მთრთოლვარე ხმით ყვებოდა, მაგიდაზე ოცფუნტიანი დავდე და აღარაფერი მახსოვსო. მე კი რა დამემართა.

მე სიცილი ამიტყდა.

იმიტომ კი არა, რომ ტონინოზე მაგარი და გამოცდილი ვიყავი ამ საქმეში, არამედ იმიტომ, რომ როდესაც ოთახში შევედით მე და ის ძალიან დიდძუძუებიანი ქალი და ალბათ გვარიანად წამოწითლებულიც ვიყავი, რადგან ერთიანად ვხურდი, როგორც რესტორნის დიდი ტაფა და ალბათ კვამლიც ამდიოდა, უცებ წარმოვიდგინე, რა იქნებოდა და როგორ და ამ წარმოდგენისას სასაცილოდ დავინახე ჩემი მოძრაობა.

ისეთი სიცილი ამიტყდა, რომ ქალმა ვერაფრით დამაწყნარა. ახლა ვეღარ ვიტყვი, შიშისა და მღელვარებისგან უფრო იყო ეს ამბავი თუ მართლა გამეცინა, როდესაც ჩემი და ამ ქალის ერთად კოტრიალი წარმოვიდგინე, მაგრამ რახან მღელვარებაზე მეტად

სწორედ ეს წარმოდგენილი კოტრიალი მახსენდება, უფრო სიცილისა უნდა იყოს. ცხადია, ტონინოსთვის დღემდე არ გამიმხელია, რომ იქ არაფერი გამომივიდა სწორედ ამ წარმოდგენის გამო. ახლა მგონია, რომ ეს ამბავი იმიტომ მოხდა, რომ მაშინ მე უკვე დრამაში ვიყავი, უკვე სალომეა მიყვარდა. დიდად არ ვიცოდი, ეს რას ნიშნავდა, მაგრამ უკვე თექვსმეტისა ვიყავი და მძულდა ყველაფერი და მიყვარდა მხოლოდ სალომეა. სულ ორჯერ იყო, რომ ერთმანეთს ვაკოცეთ და ტონინომ ჩვეული დელიკატურობით დაიჩემა, შენ გამოცდილება უნდა შეიძინო, სხვანაირად ძალიან გაგიჭირდებაო. ისე გამოიყვანა საქმე, ვითომ თვითონ არაფერში სჭირდებოდა ქალის გასინჯვა. სასაცილო იქნებოდა, აბა რა, მე სულ სხვა გემოზე ვფიქრობდი და სულ სხვაგან დავქროდი.

საერთოდ, მგონია, რომ ჩვენ ძველი პიესის ამბავი არ გამოგვივიდოდა, იმიტომ რომ ჩვენ სიკვდილი არ გვინდოდა. მაშინ კი ეს ამბავი, სალომეას და ჩემი ამბავი, მართლა ჰგავდა იმ პიესის ამბავს. პადრე ანდრეაც როგორღაც ისე შემოვიდა ამ ამბავში, რომ საწამლავიღა უნდა მოეწოდებინა და ეგ იყო. კიდევ კარგი, არ მოგვაწოდა.

ახლა თანდათან ვხვდები, რომ ამ არეულ მოგონებებს, რომლებიც რომანებს შეეხება, შენთვის ვწერ, სალომეა, იმიტომ რომ შენს მეტი მათ ვერც ვერავინ გაიგებს. ახლა ვფიქრობ, რომ ჩვენ არ უნდა გვგონებოდა, რომ ყველაფერი გაგრძელდება, ყველაფერი შეიცვლება და მგონი, მართლა უნდა დავხოცილიყავით. ეს ხომ უცნაურია, ძველი პიესის ამბავი რომ ასე გადმოვა ცხოვრებაში და ორი ბებერი, იდიოტებით გამოჭედილი გვარი თავისი წესების შეცვლას გადაწყვეტს. მე არ მინდოდა, რომ დავხოცილიყავით. ეს იმას ნიშნავს, რომ ისე არ გვიყვარდა ერთმანეთი, რომ სიკვდილი შეგვძლებოდა? სისულელეა. შენც ხომ არ გინდოდა სიკვდილი, როცა თქვენმა მოურავმა მარტიამ თივის ზვინიდან გამოგვათრია და ცდილობდა, რომ მე არაფერი მტკენოდა, შენ კი შემოხედვას ვერ გიბედავდა. რა უცნაურია? მთელი იმ ამბიდან სწორედ ამ კაცის გადაფითრებული სახე დამამახსოვრდა და არა შენი.

სიყვარული კომედიას არ ჰგავს. ეს ადრიდანვე ვიცოდი. თუმცა არ ვიცოდი, კომედია რასაც ნიშნავდა. სიყვარული უფრო შეცდომას ჰგავს, თითქოს წინასწარვე მოზომილ შეცდომას. ის, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა, შეცდომა იყო. ეს შეცდომა იყო ყოველი კუთხით, ყველანაირად და ამ შეცდომების ჩამოთვლა გაავსებს გვერდებს, თუმცა ეგებ მოკლედაც მოხერხდეს.

შეცდომა იყო, რომ მე ასტრონომიის გაკვეთილიდან გამოვიპარე და გალავანზე ვიჯექი, იმიტომ რომ იმ გალავნიდან დაგინახე შენ. შენ იმაში შეცდი, რომ გამომელაპარაკე, ის კი აღარ ვიცი, გამოპარული იყავი თუ არა. შეცდომა იყო, შენ რომ ყურძნის მტევანი გამომართვი, იმიტომ რომ, ახლაც მახსოვს, როგორ გამომიშვირე ხელისგულები, ჩემი გადმოგდებული მტევანი რომ დაგეჭირა. მე ზემოთ ვიჯექი, გალავანზე, შენ კი ამომცქეროდი მაგ შენი შინდისფერი თვალებით, ხელისგულები გამოწვდილი გქონდა. მაშინ რას მივხვდებოდი, ახლა მივხვდი, რაც იმ წამს ვიგრძენი. მაშინ ტანში დამიარა აი, ასეთმა რაღაცამ: მორჩა და გათავდა. ამას მორჩა და გათავდა ჰქვია.

მე დაახლოებით ვიცოდი, ვინ არიან ვისრამიანები. ბიძაჩემი და მამაჩემი ხშირად მასლაათობდნენ ხოლმე ნასადილევს და მამაჩემი უფრო წყნარი კაცი იყო, ხუმრობა უყვარდა, ბიძაჩემი კი, ბობოქარი ალფრედო, მოაღებდა პირს და ლაპარაკობდა. ასეთი

კაცია ბიძაჩემი და სულ ნაირგვარი ამბები მესმოდა ხოლმე ვერანდაზე. მაშინ რას მივხვდებოდი და კარგა ხანსაც ვერა, მაგრამ ახლა კარგად ვიცი, ვისრამიანებმა რა ქნეს: მათ სიყვარული აკრძალეს ანუ ყოველგვარი ის შეცდომა აკრძალეს, რასაც ქალის და კაცის სიყვარული მიაყენებდა მათ ოჯახს. ბოლომდე გაუძლეს, თუმცა ახლა რა იქნება, არ ვიცი. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავქცეულიყავით. კარაკასში, ლა პასში, კიტოში, ბარბეიდოსზე, ჯანდაბაში. მოგვაგნებდნენ - დავიხოცებოდით. რას ებღაუჭებოდი სალომეა? ტყეში გაქცევა რა გაქცევაა. ტყე მათი მიწაა. მათ ათასი წლის წინათ აუკრძალეს თავიანთ შვილებს ქორწინება სხვა ტომის ქალსა თუ კაცზე და დასუქდნენ როგორც გნომები.

ზოგჯერ მგონია ხოლმე, რომ ჩვენც ძალიან სასაცილოები ვართ. ნამდვილად ვართ. შენ, ასეთი უცნაური, ასეთი წარმოსადეგი, ასეთი რაღაცნაირი სხვისთვის, მაინც მიბმული შენს საგვარეულოზე და ბოლომდე ვერგამწირავი, რაც სხვა შემთხვევაში საამაყო იქნებოდა, ჩვენთვის კი მხოლოდ შეცდომებზე მიბმული შეცდომა გამოდგა. მე კიდევ ასეთი, აჭრილ-დაჭრილი, გაუპარსავი, ვითომ მაღალი და ვითომ მაგარი და ჩვენი ამდენწლიანი უბედურება. უბედურება ბოლოს სასაცილო ხდება. შიშიც ძალიან სასაცილოა. შენმა ქმარმა რომ მესროლა, მეცინებოდა. სიმწრის სიცილი კი არ იყო: ასეთი ტრაგედიები სასაცილოა. ტრაგედია ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ მაინც უნდა მოვახერხო რაღაც.

ამ შეცდომებმა, სხვანაირად, ამ სიყვარულმა, ჩამოგვქნა ისეთებად, როგორებიც ვართ. თუ რაიმე შემოგვემატა გვერდიდან ან თავიდანვე დაგვყვა, სულ ცოტაა. ერთი ციცქნა. ძალიან პატარა. შენ სასაცილო ქალი ხარ, იმიტომ რომ ასეთ ვითარებაში ქმარი გყავდა და შვილიც გყავს. მე სასაცილო კაცი ვარ, იმიტომ რომ ქალს რომ ვუყურებ, მეცინება. ეს შეცდომაა, მაგრამ შენ რომ გიყურებ, ვეღარაფერს ვამბობ. როცა დაგინახავ ხოლმე, საერთოდ ყველაფერი მავიწყდება. მახსოვს ერთი საშინელი, აუტანელი, დაუმთავრებელი რომანი, როგორებიც ასე უყვარს უბრალო ხალხს. ეს სასაცილოა, ჩვენ საყვარლები და თავზეხელაღებული ქალი და კაცი ვგონივართ. ჩვენ კი თითქოს ყველაფერს შევეგუეთ და მხოლოდ რაღაც ძაფებს თუ ჩავჭიდებთ ხელს, რათა ერთმანეთი წამით მაინც შევათვალიეროთ. ეს სასაცილოა, მაგრამ ჩვენ ერთადერთხელ, აი, მაშინ, ვიყავით ერთად და ისეთები ვიყავით, რომ ხეირიანად არ ვიცოდით, რა უნდა გვექნა. თუმცა, რამე რომ გვექნა ისე, როგორც სხვები შვრებიან ხოლმე, ძალიან სასაცილო იქნებოდა.

ამდენი წელიწადი გავიდა, სალომეა, და აღარ მახსოვს, როგორია შენი სხეული. მხოლოდ მახსოვს, როგორი იყო მაშინ და მერე აღარ ვიცი. არ მგონია, რომ ეს გადამწყვეტი იყოს, იმიტომ რომ სიყვარული შეცდომასთან ერთად აკრძალვაც არის. შეიძლება მე ძველი სარაინდო რომანიდან ვყვები რაღაცას, ანდა რაღაც ხმაური მომესმა იქიდან, მაგრამ აი, ახლა, ვზივარ აქ, ვილა და კოსტას სხვენის ოთახში და ვფიქრობ, რომ სექსი რაღაცის დაბოლოება რომ მეგონა, ასე არ ყოფილა. და მაინც, ჩვენ რომ ორი კვირით მაინც გაგვეღწია სადმე, უფრო იოლად შევეგუებოდით იმას, რაც დაგვემართა. აი, ესეც ერთი შეცდომა. რომელიღაც სასტუმროში დამთავრდებოდა ყველაფერი. ზუსტად ისე, როგორც რომანებშია: სიგარეტს მოვუკიდე და წვიმაში წავყიალდი.

მე კი წვიმაში ვერ წავყიალდი, რადგან არასდროს მომხდარა ისე, რომ წვიმაში წავყიალებულიყავი.

ეს სასაცილოა, მაგრამ ბაბუაშენის მოურავ მარტიას უკვე თმა გაუთეთრდა. სულ თეთრია, გუშინწინ დავინახე რესტორნის ტერასიდან. აი, ჩემი თეთრი თმა, სამი თუ ოთხი, ან ოცი. არ ვიცი, საფეთქელთან.

მე, რა თქმა უნდა, მგონია, რომ შენ ვერასოდეს წაიკითხავ ჩემს ნაბოდვარს იმის თაობაზე თუ რატომ ვერ დავწერე რომანი, ან უბრალოდ, რატომ ვერ ვყვები ამ ამბავს, ჩვენი სიყვარულის ამბავს, მაგრამ მე სულ ვფიქრობ ამაზე და არ ვიცი, როგორ დამთავრდება ყველაფერი.

მე ვერ ვამთავრებ. მინდა, რომ აქედან წავიდე, მაგრამ ვიცი, რომ ვერსად წავალ. შეიძლება ოც წელიწადს იყოს ასე, ორმოც წელიწადს იყოს, ასე მაგრამ სამოც წელიწადს ასე აღარ იქნება. რა სისულელეა? ახლავე შემიძლია, მოგძებნო და შევხვდეთ სადმე, სადღაც მიკეტილ-მოკეტილ ადგილას და ვიყოთ ერთად. მერე რა? მერე შენ დაჯდები საჭესთან და ვია დელი ობერტენგის კუთხემდე მომიყვან. მერე მე ისევ დაგირეკავ.

ეს სისულელეა. ეს არ არის იმის საფასური, რაც იყო. ეს ერთი პატარა სისულელეა, რომელიც, თუ კაცი ძალიან მოინდომებს, სულ სხვა რამის გამო, ხუთ წუთამდე გასტანს. და მერე? სასაცილო არ არის?

სალომეა ვისრამიანი, სანდრო და კოსტა, ამ ქალაქში ცხოვრობდნენ. მათ უყვარდათ ერთმანეთი, მაგრამ ეს შეცდომა იყო, იმიტომ რომ სიცოცხლე ტრაგედიაა, ძველ ტრაგედიებში კი სიყვარული ყოველთვის შეცდომაა.

შემეძლო, მხოლოდ ეს ორი სტრიქონი დამეწერა, მაგრამ აქამდე მისვლას კარგა ხანს მოვუნდი. მე შენ მიყვარხარ, სალომეა ვისრამიანო. მგონია ვბერდები. კიბეზე რომ ამოვრბივარ, ქოშინი ამიტყდება ხოლმე, მაგრამ სიბერეს არაფერი ესაქმება სიყვარულთან. სიბერე შეცდომა არ არის. სიბერე გზისპირა ნიშნულია, ზედ რომ აწერია ხოლმე, რესტორნამდე ამდენი იარდი და ამდენი ფუტი დარჩაო, შენ კი მიგაქროლებენ ამ კარეტით. მგონი, კარეტა ადრევე ვახსენე.

ლექსი კი წუხელ დავწერე. ცა ვარსკვლავიანი იყო და წარმოვიდგინე, რომ გრილ ღამით მთვრალი ლუკა კედელთან მიმდგარა, რათა შვება იგრძნოს და ვარსკვლავიან ცას ახედოს. რაზე ფიქრობს ხოლმე ასეთი შეთანხმებისას? თევზის ბაზართან ხშირად ნახავ ხოლმე კაცს, რომელსაც ლუკა ჰქვია. აი, ის ლუკა, ოდესღაც წიგნი რომ დაწერა თავის თავგადასავლებზე. კედელთან მიმდგარი კაცი რომ წარმოვიდგინე, სწორედ ის ლუკა იყო. დიდი, ღიპიანი კაცი გახუნებული თეთრი შლაპითა და შარვლის კოჭებს მაღლა აკეცილი ტოტებით, რაც, როგორც ამიხსნეს, სამხრეთში მოცურავე მეზღვაურთა ძველი ჩვეულებაა. ლექსებშიც ამას ვცდილობ: კომედია იყოს, მაგრამ ბოლოს ტრაგიკულისკენ მიჰყავდეს ამბავი. რაღაც უცნაური მოსასხამია ეს კომედია, სალომეა, ურჩხული მოისხამს და გაგეცინება. საერთოდ, მოსასხამებიც მრავალგვარი არსებობს. <...>

სამი ლაპარაკი სხვადასხვა დროისა

1.

- საიდან დაიწყებ და სად დაამთავრებ: შეიძლება ვერც ვერასდროს დაამთავრო, თუმცა, დასაწყისი კი შენს ხელშია, პადრე. მე ერთი პატიოსანი კაცი ვარ. ინგლისური ენა იმიტომ მომწონს, რომ კაცი ვერ გაიგებს, თქვენობით ელაპარაკები ვინმეს თუ შენობით. იოანურში, მაგალითად, ღმერთსაც შენობით ელაპარაკები და მეფესაც. პადრე, ეგებ გეგონოთ, რომ მე ბინძური ხელობა მაქვს, მაგრამ ეს არც ისე ბინძური ხელობაა. უბრალოდ, ადამიანთან შენობით ლაპარაკის საშუალებას გჩუქნის. უბრალოდ, მე ძალიან ბევრი რამ ვიცი ამ ქალაქში და კერძო პრაქტიკასაც მივსდევ, მაგრამ ამ ამბავმა შემძრა. დიდი ხანია ვიცი ეს ამბავი და ვიფიქრე, რომ ერთ ფასად ხელს გავუმართავდი და კოსტებს. ჰონორარი სრულიად სიმბოლური იქნება. რა უნდა იყოს? თუკი ჩემი ხელობის კაცი სიყვარულს ხელს არ გაუწვდის, მერე იქ, როცა საქმე საქმეზე მიდგება და ჰკითხავენ, აბა, კარგი რა გაგიკეთებიაო, რას უპასუხებს? ვიღაცას უთქვამს, იქ რომ წარდგებით, საშინელ სამსჯავროზეო და გკითხავენ, რა გაგიკეთებიათო, „დონ კიხოტი“ აჩვენეთო. წიგნი ყოფილა ასეთი. გაზეთში წავიკითხე, ვიღაცას უთქვამს, ასე მოიქეციო და ყველაფერი კარგად ჩაივლისო. მე იმ წიგნის იმედად ვერ ვიქნები, პადრე ანდრეა. მე ჩემითაც ვაკეთებ ხოლმე კარგს. უბრალოდ, საგვარეულო ხელობა მაქვს ისეთი, რომ ამ ქალაქის ყველანაირი ამბავი პირველმა ვიცი და საუკუნით ადრინდელიც ვიცი. რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი ისტორია შემიძლია წარმოვიდგინო. ეს ამბავიც დიდი ხანია ვიცი, როგორ არ მეცოდინება, როცა ყველამ იცოდა. და კოსტას ყმაწვილი და ვისრამიანის ქალწული რომ გაიქცნენ სამი წლის წინათ, ამას ჩემი ხელობა რად უნდა. სხვა ამბავია, რომ მე სხვანაირად ვიცი ეს ამბავი, თავიდან ბოლომდე, ანუ სინამდვილეში. მე, მაგალითად, ვიცი, რა მოხდა ორთა შორის და როგორ მიაგნეს სუნგალებმა მათ სამალავს. ამიტომ გამიხარდა, როცა გავიგე, რომ მათ კიდევ გადაუწყვეტიათ გაქცევა, ვიფიქრე, დავეხმარები-მეთქი. ცხადია, ეს სახიფათოა ჩემი ხელობის კაცისათვის, მაგრამ მაინც ასე ვიფიქრე, რადგან დაწყევლილი ხელობა მაქვს, გული კი - კეთილი ადამიანისა. ეს ძალიან სამძიმო ამბავი გახლავთ, პადრე, მაგრამ მაინც ასე გადავწყვიტე. ახალგაზრდა და კოსტა ოცისა ახლაღა შესრულდა და ასევე ქალიც. დიახ, უკვე ქალია. არ ვიცი, თქვენ როგორ გესმით ეს ამბავი, მაგრამ მრწმენი კაცისთვის ის ქალწული ველარ იქნება. მე არასოდეს დამინახავს ისინი ერთად, თუ დამინახავს და ალბათ, ადრე, მაშინ, როცა მათზე სალაპარაკო არაფერი იყო. მაგრამ რომ წარმოვიდგენ მათ ერთად, ეს საოცარი წყვილი იქნებოდა. ეს სამეფო წყვილი იქნებოდა, კარდინალს ჩამოვაბრძანებდით მათ ჯვარდასაწერად. სხვა ფოტოგრაფია სანტა ესპერანსას კუნძულებს არც დასჭირდებოდა. მათ ფოტოგრაფიებს გავყიდდით ამ სულელური ხედების სანაცვლოდ. ციხესიმაგრის სურათს ხომ ათასგზის სჯობს ამ ორი ულამაზესი ადამიანის იერი. უკეთესი სავიზიტო ბარათი ძნელი წარმოსადგენია: ჩვენ იმ მიწიდან ვართ, რომელიც ასეთ შვილებს ჩუქნის სამყაროს. ამიტომ მე გულწრფელად დაგეხმარებოდით. სრულიად გულწრფელად, უმცირესი ნიხრით, რაც კი არსებობს ჩვენს ქვეყანაში კერძო დეტექტივისთვის. მე არ მიყვარს ვისრამიანები. ეს სულელური საგვარეულოა. გაბერილი, მელოტი ჯუჯები და მათი სიმდიდრე. რა თავში ვიხლით? ამ ქორწინებით დაირღვეოდა სულელური აკრძალვები, რომლებიც ამ საგვარეულოში არსებობს და სხვებისთვისაც სამაგალითო იქნებოდა. ოღონდაც, პადრე, ქალი ხომ უნდა გადაინათლოს კათოლიკედ, ანდა ვაჟი მართლმადიდებლად? ეს მთელი ქვეყნისთვის არის. ამიტომ, მინდა დაგეხმაროთ. მე ვიცი, პადრე ანდრეა, რომ ახალგაზრდა და კოსტა შენი დიდი პატივისმცემელია და მისი სწორედაც რომ სულიერი მამა და მესაიდუმლე ბრძანდები. ამიტომაც მოვედი აქ, რათა თქვენი

მეშვეობით ხმა მივაწვდინო ახალგაზრდა და კოსტას, რადგან ყველაფერი ვიცი. როგორ დავეხმარები? სრულიად უბრალოდ.

დანამდვილებით ვიცი, რომ ამ სამ დღეს ის გაპარვის მოწყობას ვერ მოახერხებს. რამდენიმე საქმეა მოსაგვარებელი, რაც ახალგაზრდა კაცის პირობაზე საკმაოდ ძნელი მოსაწყობია. მე იმით დაგეხმარებით, რომ ამ სამი დღის განმავლობაში ვისრამიანებთან არ მივალ და რაც ვიცი, იმას არ მივყიდი. სამი დღის თავზე კი, როცა ვისრამიანები თავიანთ თავგასიებულ მარტიას გამომიგზავნიან, რადგან ეს გაპარვა და ჯვრისწერა სისხლის წყურვილს გაუჩენს, სანახევროდ და არაფრისმთქმელად ვილაპარაკებ. ყოველივე ამაში უმცროსი და კოსტასგან მხოლოდ ათას ფუნტს ვითხოვ. ვწუხვარ, მაგრამ მე პირველი შევიტყობ ხოლმე ამბავს ამ ქალაქში და სხვანაირად ვერაფრით დაგეხმარებით. მე გაზეთებს ვკითხულობ და ვიცი, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ სხვაგვარადაა, მაგრამ სადაც ხარ, იქაური ქუდი უნდა გეხუროს. აი, ჩემი ჭილის ქუდი, - აი, ამას ეუბნებოდა პადრე ანდრეას ერთი ხმელი, საშუალო სიმაღლის კაცი. ისინი თაღს შეფარებოდნენ, რადგან წვიმდა. კაცს ტომარასავით შარვალი ეცვა და მშრალი ნაოჭები დასდებოდა სახეზე. ამ კაცს ერქვა ლამურ მოსიარულე და ასეთი კაცი იყო, ამბებს ყიდდა.

- წადით აქედან, - უთხრა პადრე ანდრეამ, - აქედან წადით და თქვენს სინდისს მიხედეთ. საიდან მოგიტანოთ ცხრამეტი წლის ბიჭმა ათასი ფუნტი, როცა იცის, რომ მაინც არ გაჩუმდებით? ან ისედაც, საიდან მოგიტანოთ?

- მაშ, რად უნდა ცხრამეტი წლის ბიჭს ცოლი? ათასი ფუნტიც არა ჰქონია.

- წადით აქედან.

- რა ვქნა, პადრე? ასეთია ჩემი ხელობა, - კაცმა ქუდი გადაიგდო კეფაზე და შეაცქერდა პადრეს ერთი ბეწო, ფოლადისფერი თვალებით.

- ღმერთმა გიშველოთ, ვილოცებ თქვენთვის.

- მე მინდოდა, რომ იქ მხოლოდ დონ კიხოტზე არ მელაპარაკა, - კაცი ადგილს მოსწყდა და ქუჩაზე გადაირბინა, ძალიან მოქნილად გადაახტა გუბეს.

2.

- ბატონი ხარ ჩემი, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, ჩვენი დედოფალი ხარ. აი, ამხელა მახსოვხარ. მარტო მე რო დაგატარებდი მხრებზე შემოსმულს. მე ვინ ვიყავი მაშინა. არავინაც არ ვიყავი, ერთი სოფლის ბიჭი ვიყავი და ვეიქებსა[6] ვრეცხამდი, მოტორებსა ვწმენდდი. თეფშები რო მეეცათ, იმასაც გავრეცხავდი და ჩექმასაც გავწმენდავდი. აგეთი იყო ჩვენი ცხოვრება. სოფლად რო ჩამოხვიდოდით ხოლმე, მე მოგიყვანე კვიცი. კვიცი რო მოგიყვანე, დაგვყავდა ქვემოთ, წყალზე. შენი ძმა კი არ მეამხანაგებოდა ამდენსა, დათია პატარა იყო და ჩემი ტოლობა არ ეწამა. ერთხელ კიდე, რო დაიკარგე და ჰუი, რამდენი ფარანა გავანთეთ, უკვე რო მობნელდა და არა სჩანს პატარა ქალი. თურმე მარანში არ დამალულხარ? პატარა ქვევრი გვქონდა იქ, ყველისა და იმ ქვევრში არ ჩამძვრალხარ? დავდივართ და ვიძახით და ერთიც ვნახოთ და ვკარი ფეხი მარნის კარსა, დავანათე ფარანა და ვხედავ მოხდილ ქვევრსა. პატარა ქვევრი იყო. ახლო მოველ და ჩამოვანათე. ჩამოვანათე და იქედან არ ამომანათე მაგ დიდი და შვინდა თვალებითა? ვიფიქრე, ეხლა დავიძახო, მოესევიან, არ შემიშინონ-

მეთქი. ეგრე ჩუმად ამოგიყვანე და მოგიხუტე ზედა. მომეხუტე ასე, სულ ის პატარა თითები ჩამაჭირე ზურგში. ტირილი კი არ იცოდი, გაჩუმება იცოდი. რო გაგიჭირდებოდა, ჩუმდებოდი. ეგრე მოკრულ-მოხუტებული გამოგიყვანე და დედათქვენი კიდევ აივანზე დგას და ამბობს, დაკარგული არ არის, დამალულია, მისამალ ადგილებში ნახეთო. და ბიჭები კიდევ ჰყვირიან, ჰაუ, ჰაუ და ახლა კი ვიხელთე დრო და ვეუბნები, რა გაყვირებთ-მეთქი, ბიჭო, აგე, აქა მყავს, მოტრუნული. აგე, ბატონო, ბავშვი, აქა მყავს. ამასობაში კიდე დაიღალე თუ რა, დაგძინებოდა და ეგრე მოხუტებული აგიყვანე მაღლასა. განა ის დროება არ მერჩივნა? ის მერჩივნა. აგე, შვილიშვილი მეყოლა და რო დავხედე, რო ახვევდა ბებიაქალი, ჩვენსა, ხო სოფლად ვამშობიარეთ, როგორც ჩვენი წესია, ვიფიქრე, ეჰე, ბედნიერი ვინმე-მეთქი, ბედნიერი ბიჭი, მერე გაიზრდება და იქნება ბაბუამისივით ძაღლი, გახლართული ბარდებში. ავი და დარდით ყმუილის მოყვარული. ძაღლი, მაშ რა, გაბლანდული ბარდებში და ყველა განძრევაზე სტკივა, იმიტო რო, ეკალია, ოხერი. და მაინც რო ავია? სარჩოსთვინ რომ არ დეერიდება და გაიგლიჯავს ხორცს იმ ეკალზე, რო თავის ძაღლური ლუკმა თქვლეფოს? რამდენი პატრონი ჰყავს, აბა, რამდენი პატრონი ჰყავს, ახლა ვინღა დასთვლის? იმისთვის კარგი, ამისთვის ცუდია და ვეღარ ესმის, ვის მოემსახუროს, ვეღარა... დაბერდა, აგე, თმა გაუთეთრდა. ისევ ისევე უყვარს თავისი დედოფალი, თავისი ლამაზა, მარამ ძაღლია და იქითაც გაუქიცინებს კუდსა და აქეთაც გამოუქიცინებს. აბა ისე და აბა ასეო... მე ბოდიშისთვინ მოველ აქა, ბოდიშისთვინ მოველ, იმიტო რო, დროება დგება ცუდი და ჩემნაირ ძაღლებს მთლად კარში გაჰყრიან სხვის საკბენად, დარაჯობა აღარა ჰყოფნის. ეხლა გუშინ ვიჯექ და დავცქეროდი ამ ჩემ უბედურ ხელებსა, რა მიკეთებია ამით და ვიფიქრე, ჰა თუ მოვკვდი, სადმე მიძაღლებული და ვინ არის ისეთი, რომ ვიჯავრებ, იმის უნახავ მოვკვდი? შენა ხარ, გენაცვალოს ეს ყიფჩაღო ძაღლი, ეს მთელი ცხოვრებისა რო ვიფიქრე, მე იქით საბოდიშო შენი მაქ, მეტი არავისი. ჩვენა, სუნგალის ხალხმა, ბოდიში არ ვიცით და არცა გვწამს. ერთი თქმულია, რო ბოდიშიო, სუნგალმაო ერთხელ უნდა თქვასო, ბაგრატივნის გვარის კაცს რო შეხვდებაო, მეფის მოდგმისასაო, ცალ მუხლზე უნდა გაუჩერდეს წინა და უთხრას, ბოდიში, მეფევ, რო ვერ მოგეხმარეო. სხვა ჩვენ ბოდიშს არ ვიხდით, ისე უნდა ვიცხოვროთ, რო ბოდიში არა გვქონდეს სახდელი. ღმერთის ამბავი კი არ არი, ოქროვ, კაცის ამბავი. ორი ხელისა, ორი ფეხისა, აემ თავისა. და მე მაქ შენთვის ბოდიში სათქმელი. მე რო ვსწონი, მე შენი პატარაობის და მერე ცხოვრების ამბავს რო ვსწონი, მე იმას არა ვთვლი ჩემ რამე იმათ, რო სხვამ მაპატიოს. მე მერე გაგამწარე შენა, ჩემით ხო არა, მოქსეულ ძაღლათ ვიყავ და პატრონისას ვყეფდი. ბევრი პატრონი მყვანხართ, ასე მებედა და რა ვქნა, პატარა ქალო? პატარა ხარ ჩემთვინა. ასე მეშინოდა, თვალები მოვითხარე. იქ რო მოვცვივდით ღამე, ბუნგალოზე, იქ რო შემოველ, შენ რო ამიტირდი ხელებში და რო მეხვეწებოდი, წამიყვანე აქედანო, წამიყვანეო, დამმალე და წამიყვანეო. ის გამწარება, იმისი სირცხვილი მე რამ უნდა დამავიწყნოს? პაპაშენმა მაჩუქა მაშინ ათასი ფუნტი, გამოველ, დავახვიე და ეგრე ვისროლე წყალში. მაშინ ჩემ ხელებში რო ტიროდი და ჩემ პალტოში გამოხვეული რო გამოგიყვანე გარეთ, ღონე აღარა გქონდა. წინები რო იყო, მირტყამდი და მფხოჭნიდი და ეხლა აღარ გქონდა ღონე, ის ბიჭი კიდე მიაყენეს ჩვენებმა და გაკოჭეს და დააღერეს დანა, ის კიდე იძახდა ძირს დაგდებული. მე კიდე გსვამ ჩვენ ვეიქში და ვიფიქრე, დავსვამ ეხლა ამ ჩემ საწყალას აქა, მოუსვამ გვერძე იმ ბიჭსა და გავირეკავ სუნგალის კუნძულისკენ. ქორწილს ვიზამ იქა, დავდგები, ჯარათ შემოვერტყმები და მერე ვნახოთ-მეთქი. იმ ორ სუნთქვაში ისე დავინახე ეს სურათები, ქინანას ნახატებივით... და ვერა ვქენი. ვერა ვქენი და წამოგიყვანე უკან. გზაში კიდე ნემსიცა მქონდა, რო ცოტა

მიგძინებოდა... ის რო მექნა, ეხლა იოლას ვიცხოვრებდი შენთვინ, სხვების ჯავრი კი არ მაქ. ანდა იოლას მოვკვდებოდი, რაც იქნებოდა, ჩემ კუნძულზე მოვკვდებოდი. ეხლა ფინთი დროა და სიკვდილი მიჭირს... ისე მივდივართ, არ ვიცი იქ რა დაგვიხვდება და ვინ ძაღლი... აგე, ფანჯრიდან გაიხედო, ყველა ჩვენი ბიჭები მელოდება, ჩამჯდრები. ოჯახის საქმეზე მივდივარ, შენი ოჯახისა, ვისაც ამდენი ოცდაათი წელიწადი დავუდექი ძაღლათ. არა ვნანოფ, ხო ვამბოფ... ერთსა ვნანოფ, ჰა თუ გამოფრინდა ტყვია და ბოდიშის ამარა მოგშორდები. ესაც იცოდე, თუ დაუძვერით ფარსაგსა, ჩემი ბოდიში სხვანაირი იქნება, - მარტია იდგა წითელი შუქით განათებულ ჰოლში, ამ სულელური ფერის სინათლე გადასდიოდა სახეზე, ქამარში ორი დიდი პისტოლეტი ჰქონდა, სალომეამ არ იცოდა, რომელი საწარმოსი, ქარხნისა, თუ როგორ იტყვიან.

მარტიას ჩაეგმანა თავისი უსიერი შავი წარბები, იმგვარად დასცქეროდა მიწას, რომ რაღაცა გასართობი ფილმის მსახიობს ჰგავდა. ისეთი მხარბეჭიანი და მხნე იყო, ვერც იტყოდი, რომ ორმოცდაცამეტი წლისა მოყრილიყო. იდგა და კუმავდა ტუჩებს.

გარედან ხმაური მოდიოდა, მართლა დიდი სირბილი იყო ქუჩაზე.

კანტიკუნტი სროლაც მოისმოდა.

- მარტი, შე ყურშა, - აღმოხდა უცებ სალომეას და კისერზე ჩამოეკიდა მოურავს. უცებ საიდანღაც ამოასკდა სამყაროს ყველაზე პატიოსანი ხმა, ხმა ქალის ტირილისა და მარტიამაც ჩაბღუჯა სალომეა ვისრამიანი, ისე ჩაბღუჯა, როგორც ერთი პატარა, ღუმელთან ნათბობი ბალიში, თავქვეშ რომ მოირგებს სიცივიდან მოსული კაცი.

- არ მოკვდე, მარტია, - მოახერხა ამის თქმა სალომეამ.

- სროლა იქნება, სალომე დედოფალო, უბედური სროლა მექნება, ვერ დავიკუზები, ტყვიის ხმას ველოდებით რვაასი წელიწადია... ჩემი ბიჭიც მანდა მყავს, ჩემი სიძეც...

-არ მოკვდე, შე ყურშა, არ მოკვდე, არ მოკვდე, მე ვინ მიშველის, მე ვინ... - მუშტების ცემა დაუწყო მკერდზე, - რა ატეხეთ, რატო ატეხეთ?

- ნეტაი, რო შენისთანა გოგო მყოლოდა, როგორ შეგიბერავდი სულსა, აი, ქაჯანათ გაგზდიდი, მოგიხდებოდა, - ფრთხილად შეუშვა ხელი მარტიამ, - გოგო ხარ ისევა, ქალი ვერ გახდი... არ გაცალეთ, და...

მარტია გატრიალდა და კარი გამოაღო.

- აქ ნუ გაჩერდები, სალომეი... რამდენი ოხერია... მარტო ხარ, რა იცი, ვინ რა ფანდი იფიქროს. მე რო მამკლავენ, ვინღა გიპოვის?... ოჯახში მიდი, პაპისაანთ ბინაზე... მოკლეებზე გადაჰყევ, თორე მერე ეგებ კუნძულზეც გადავიდენ. არ ვიცი... ბალღი იქ არის და, აბა, დედა ეხლა უნდა იმასა...

3.

- რო გეუბნება, ყავა გაუკეთე, ბუზიავ, მაგას ნუ უყურებ, რომ შენს დუქანში ყავას არ სვამენ. შუაღამისას რო კაცი მოდის და გეუბნება, ერთი მაგარი, ძალიან ცხელი, სამი ყლუპი ყავა გამიკეთეო, უნდა იფიქრო, რო ის კაცი საქმეზე მიდის და სიფხიზლე და გულის ფეთქვა სჭირდება. კიდე უნდა იფიქრო, რო მამაცი კაცია, იმიტო რო არაყი კი

არ გთხოვა, ყავა გთხოვა, ანუ სათრობი არ უნდა, ფხიზლად უნდა რო იყოს თავის საქმეზე. ამდენ ხალხს უყურებ ყოველდღე, ბუზიავ და ამდენი აღარ იცი? იცი, როგორ არა, მაგრამ ენა გაჩვეული გაქვს და კაცს თვალებში აღარ უყურებ, ყველა ზღვის კაცი გგონია. აბა, დაუკვირდი, ხუთ ენაზე და რიგრიგობით ამბობ გამარჯობას, აღარ უყურებ, ვინ შემოვიდა და ვინ გავიდა. დღეს კიდე სხვა კაცი შემოვიდა ამ დუქანში. კაცი არც არი, ბიჭია, მაგრამ კაცია. ჩვენ რო ამხელები ვიყავით, ბიჭებს გვეძახდნენ. მე თუ მკითხავ, მე ახლაც ბიჭი ვარ და ამ ბიჭსაც ეტყობა, რო ყოველთვის ბიჭი იქნება... ეხლა აქედან შემოხედე ბუზიავ, საქმეზე მიდის, ჩასცქერის მაგიდას და ხელებიც წინვე უწყვია მაგიდაზე. შენს ყავას ელოდება. ვიცი, რო შენთან ყავა მარტო დილის ხუთ საათზე ისხმევა და ხელსაწყოდანაც წვეთავს, მაგრამ ამ ბიჭს ნამდვილი და კარგი მიუქაფქაფე. ჭიქა ღვინო რომ მოეთხოვა, ვიფიქრებდი, რომ კაი უბნის შვილს ღარიბი უბნის შვილი შეჰყვარებია და აქ ელოდება, სანამ მამა და ბებია დაიძინებენ, რათა მერე გადაიპაროს დაბალ ფანჯარაში, სადაც თავისი გოგო ელოდება-მეთქი. ასეთი ლოდინისას ჭიქა ღვინო მისწრებაა, ორი ჭიქაც. არც შეგათრობს, ფანჯარაში გადაძრომის ხალისს კი შეგმატებს. არ შემძვრალხარ ეგრე ფანჯარაში, ბუზიავ? გემოც მაგას აქვს. მეც კაი უბნის ბიჭი ვიყავი, სულ მინდოდა, რომ ამ ღარიბი უბნის გოგო იმ მიწისპირა ფანჯრიდან გადმომეთრია და ჩვენს დიდფანჯრებიან უბანში წამეყვანა. თუ იცი, რაშია საქმე? ღარიბი უბნის გოგო იქ არი ლამაზი და გემრიელი. ეს იოლია და ალბათ ბევრს უთქვამს. იქ არი, მაგარი, პატარა, ბნელ და ნესტიან ოთახში, სადაც გამოღებულ ფანჯარაში მაწანწალა ძაღლები იჭვრიტებიან ხოლმე. მოიყვან დიდ სახლში და სხვა გოგოა, ფერი წასვლია და პატარავდება. მაგრამ ეს ბიჭი იქ არ მიდის, ბუზიავ. ეს ბიჭი მღელვარეა და დამიჯერე, ნავსადგურში აქვს საქმე. მე ვიფიქრებდი, რომ ღირსების ფული სჭირდება და ვიღაც ხელმრუდებს გამოჰყვა რაიმეს საძარცვავად, მაგრამ ასე ადრე არ მოვიდოდა. ღელავს? რაღა თქმა უნდა, ღელავს, ოღონდ სხვა საქმეა. აბა, ჩამოთვალე, ვინ გადის ამაღამ ზღვაში? ეს ბიჭი გარბის, მგონი, ჩანთა უკვე რომელიმე სატვირთოზე დაუტოვებია, გარბის. ნახე, როგორ დასცქერის მაგიდას. ახლა ის წარმოიდგენს, როგორ მოეწყობა ყველაფერი. არა, ბუზიავ, ამ საქმეში გოგოა გარეული... ისინი ერთად გარბიან, ოღონდ ვითარება ისეთი უნდა იყოს, რომ გოგომ თავად უნდა გამოაღწიოს სახლიდან, ეს კიდევ სადმე დათქმულ ადგილას დაელოდება. ბავშვები აღარ არიან. მაშ, გაჭირვებულად და ბრაზიანად ყოფილა საქმე. აქ შემოეხეტა. ესეც იანგარიშე, ბუზიავ, რომ აქ ნაკლებად მოსძებნიან კარგი ოჯახის შვილს. ჩვენი ანგარიში არა აქვს და მგონი, არც ყავაზე ფიქრობს, რადგან ერთხელაც არ გამოუხედია შესახსენებლად. რას უდგეხარ, ჩამოუსხი, მე კიდევ წარმოვიდგენ იმას, თუ როგორ გაერიდებიან ამ ჩვენს ქალაქს და როგორ გაუჭირდებათ იქ, უცხო მხარეში და თუ გაძლებენ ერთ თვეს, გაძლებენ მთელს სიცოცხლესაც. გოგო ლამაზი იქნება, უეჭველად, ძალიან კარგი გოგო იქნება. შეუძლებელია, ეს ისეთს გადაკიდებოდა, რომელიც დატანჯავს. სხვა ტანჯვას ვამბობ, თორემ ხომ ხედავ, რომ ისედაც იტანჯებიან, გაქცევა უწევთ. პასპორტები თუ ხელთ ექნებათ, ესეც საკითხავია. ვშიშობ, არ წახდეს ეს საქმე, ბუზიავ, ამ გაყიდული ჯიგრის ქვეყანაში. ვშიშობ, არ ჩაიშალოს საუცხოო ამბავი, მშვენიერი ამბავი... საიდან ვიცი ეს ყველაფერი, ბუზიავ? ვფიქრობ, ძამიკო, ვფიქრობ, - ნავსადგურში, ბუზიას დუქანში დახლს უდგა ლუკა, გაწეწილი, თეთრგარეული თმა-წვერით და ამას ბურდღუნებდა გამთენიამდე ცარიელ ადგილას, სადაც გრძელ, ვიწრო და გაწეპილ ბისტროში სამნიღა ჩანდნენ: თვითონ ბუზია, ეს დამთვრალი ლუკა და მესამეც, ის ქურთუკში გამოხვეული ბიჭი, მაგიდას რომ ჩაშტერებოდა.

- თქვენი ყავა, ძმობილო, - გასძახა მედუქნემ. ბიჭი წამოდგა და დახლისკენ წამოვიდა.

ნახევარფუნტიანი გაწკრიალდა სველ დახლზე.

- ერთი ორმაგი არაფერია, - ბიჭს გახედა ლუკამ, - ერთი ორმაგი სწორედ მისწრებაა... ბუზიავ, დაუსხი ამას ცხელი და ჩაისფერი... შენ კიდე, ერთბაშად გადაჰკარ, არწივო... წრუპვა არ დაუწყო.

ორი ნამგალი და ბუძგის ყვავილი

კალასის ქუჩის აღწერილობა ქუჩის ბრძოლების თვალსაზრისით

დათა ვისრამიანი დაჩვეულზე ცოტა ადრე მივიდა მათალოს კლუბში. თამაშამდე საათ-ნახევარი მაინც იქნებოდა. ხალხი არ იყო. მხოლოდ მათალო, პატარა მათალო და ქაღალდის გამხსნელები დაუხვდნენ. ბარიც კი არ გაეღოთ ჯერა და გოგოებიც არ ჩანდნენ.

მათალოს კლუბში სამუდამოდ ჩაბუდებული თამბაქოსა და ქაღალდის სუნი უცხო კაცისთვის შეუჩვეველი ნაზავი იქნებოდა, მაგრამ ამ სუნების გარეშე ბანქოს თამაში ძნელი წარმოსადგენი იყო. სანიავოები კი ყოველთვის ბზუოდა და ზედა სარკმლებიც შეეღოთ, მაგრამ ეს სუნები აქა მეფობდნენ ერთად და ცალ-ცალკე, ღამის ას ოცდასამ წელიწადს, იმის შემდეგ, რაც ბანქოს სათამაშო კანონი და ადგილები ხელახლა გადამტკიცდა.

- ბიჭო, დათა, საქმე არაფერი გქონდა? - გამოსძახა მათალომ. ის და პატარა მათალო კუთხეში მიმხდარიყვნენ მაგიდასთან და წინ გაშლილ რაღაცა ქაღალდს დაჰკირკიტებდნენ, - მოდი ერთი აქ, შენი ჭკუა კარგი იქნება, ინტის კაცი ხარ, ყველაფერს გადაალაგებ.

- ინტის კაცი შენცა ხარ... - უთხრა დათამ და მაგიდას მიუახლოვდა.

- მე კი ვარ, მაგრამ შენ სხვანაირად გაზდილი ხარ, სხვა რამეებიც იცი.

მამა-შვილს მაგიდაზე ორფუნტიანი ტურისტული რუკა გაეშალა და დიდის ყურადღებით სინჯავდა.

- რა იყო, სახლი უნდა იყიდოთ სადმე? - ეხუმრა დათა.

- არა, - ჩაიცინა პატარა მათალომ, რომელიც მეტად ჰგავდა მათალოს. შვილი იყო და იმასავით ჩამოქნოდა თავ-პირი, იმასავით სწრაფად და ზუსტად ამოძრავებდა ხელებს და ზედმეტი გაქნევა არ იცოდა.

- აბა, რა არი?

- მოდი, მოდი-მომიჯექ... ბაბუაშენს ამაზე უკეთესი რუკა ექნება, მაგრამ იმას თავი ქუდში აქ... ვისრამიანია. მათალო კიდე, მათალოა. რა რკინის კარი უშველის? - თქვა

მათალომ, - დაჯექი და უყურე. აგერ, შეხედე ჩემი კლუბი სად არის და ჩემი სახლი სად არის. ეს კიდე, ამის სახლია, - მოხაზულები დაანახა მათალომ დათას.

- ახლო-ახლოს ხართ.

- ეგრე ვართ ასი წელიწადია...

- ყველა ეგრე ვართ...

- ეხლა მე ვფიქრობ, ავეჯის გატანა ამასთან ჯობია, თუ ჩემთან? თუ საერთოდ გარეთ გავიტანო, სოფლის სახლში დავყარო?

- კლუბს კეტავ? - მართლა გაუკვირდა დათას.

- რას ვკეტავ, დათა, საით იყურები? - გაბრაზდა მათალო, - ვკეტავ კი არა, დასაკეტი რო გამიხდეს და დრო არ იყოს, იმისთვის ვფიქრობ. აი, უყურე. ჩვენ იქითა არ გვაინტერესებს. ეს ხო ხეირია, არა? აქედან, გამოყევი ხეირს. პირველი არა, მეორე არა და მესამე ქუჩა ვართ, ამ ქუჩას ქვია კალასის ქუჩა. ვის დაუძახია ეგ სახელი, მეც პირველად გავიგე, დავიწყებული მქონდა. მათალოსთან ჩაუხვიეო, ეგრე არ ეუბნებიან ტაქსის?

- დიახ, - გამოაჯავრა დათამ, - მათალო ხარ...

- უყურე... ეს ჩვენი კალასის ქუჩა დაბლა ვიწროვდება და ორი ქუჩით გადადის იქეთ, სთეითში. ვიწროები. სთეითიდან ნახე, როგორ იტოტება. უკანა მხრიდანაც მადგას სახლი და იქ ხეირიდან მეორე ჩასახვევი ჩამოდის, გარეთ, ნახე, მარჯვნივ. წინიდან არი და ვინ დახაზა ეგრე, ამ ანგლეზების ფარგალი რო დავღუნე, შემომცქერის ორი შემოსახვევი. სუნგალების სოფელში რო შეხვიდე, ვერ გაიგებ, სად რა ქუჩა გადის და საიდან რა შემოდის. თუ იცი, რატო აქთ დაბლანდული? მე ვიცი. ჭკვიანები არიან. იქ კაი ხანს უნდა იცხოვრო, რო გაიგო, ვინ საიდან მიდი-მოდის და სადმე როგორ მიხვიდე. სოფელია, ეს კიდე ქალაქია და ხელისგულზე ვარ გამოდგმული. ას ნაბიჯში სთეითი იწყება... ეხლა რა ვქნა? ამას ვფიქრობ.

- მამაშენი ძალიან დაბერდა, - თავი გადააქნია დათამ და სიგარეტს მოუკიდა, - ეხლა შენა ხარ მათალო, ეგ უკვე ბებერი მათალოა...

პატარა მათალოს კი გაეცინა, მაგრამ მამის ნაფიქრი მაინც ვერ დათმო.

- შენ ხუმრობ, დათა და ჩვენ გვეშინია.

- რის გეშინიათ?

- რამე რო ატყდება, ფანჯარაში ვარ გამოდგმული ყვავილივით, - მაგიდას ხელისგული დასცხო მათალომ და გვარიანადაც აეწვა, - სთეითში ატყდება და მოვლენ აქამდე. შენ და ამან ჯარისკაცი არ იცით. თოფიანი კაცი არ გინახიათ. ანგლეზი რო არი შეკეტილი თავის რეჯიმენტში, ის არ არი ჯარისკაცი. შეცივდება, აი, ამ მაგიდას დაამტვრევს და აი, ამ ხალიჩაზე გააჩაღებს შუაცეცხლს. რაც მოეწონება, აბგაში ჩაიდებს. თქვენ არ გინახიათ, მე მინახია ინდუსტანში ომები. თქვენ ის არ გახსოვთ, ოთხი წელიწადი თვითმფრინავები რო დადიოდა ჩვენ თავზე. ყოველდღე

იყო, გერმანელი შემოვა, რუსი შემოვა, ოსმალო შემოვა. აქ იმხელა გემები ედგა ჩერჩილს, თქვენ ვერ დაგესიზმრებათ... თამაში ვინ გასწავლა?

- შენ, - მხარზე დაჰკრა ხელი დათამ.

- შენა? - შვილს მიუბრუნდა მათალო.

- კარგი, ჰო...

- ესეც დამიჯერეთ, - მათალომ თითზე ბრაზით დაიტრიალა ზურმუხტისთვლიანი ვერცხლის ბეჭედი, - აჰა, დავბერდი. ათი წელიწადია ვერ ვიხსნი. ვეღარ ვთამაშობ ბეჭდიანი ხელით, იმიტო, რო წესი არ არის, თამაშის დროს ბეჭედი ნიშნად გქონდეს... არ მოვიხერხე. ასეა? ესეც დამიჯერეთ. ომი იქნება. ეს მეუბნება, შენო, რო დაწვები ლოგინშიო, სროლის მუვის უყურებ და იქედან მოგდის აზრებიო. ამერიკელების მუვის მე არ ვუყურებ, რამდენი შევხედე, კაცი ფრანგულ კლოზეტთან დგას და ფსამს. რამდენიც შევხედე, სულ სხვადასხვა კაცები იყვნენ. მაგის ყურება რათ მინდა? დამიჯერეთ, ომი იქნება, ოღონდ ყველა ომი მთავრდება და საქმეც ეს არი, რომ ომის ბოლოსთვის რას შემოინახავ. მე აქაურობის მეტი რა მაქ? ბანკიდან ფულსაც ვეზიდები ნელ-ნელა.

- მორიგდებიან, - კვამლი ჭერში აუშვა დათამ, - ჯერ რა ომი, რა დროს ომია, ჯერ არც ლაპარაკობენ.

მათალომ ხელისგულები დაანახა დათას: - ამას ხო ხედავ? აი, ესე ცარიელ-ტარიელი რო იყოს კაცი, მაინც არ დათმობს რამეს. შინაურით დაიწყე, ბაბუაშენი რას დათმობს, ბიძაშენები რას დათმობენ?

- თავისას არაფერს.

- არც სხვისას, რომელიც გონიათ, რო თავისია... რას მალაპარაკებთ. მარტო ქონებას კი არ ვამბობ. ქონება ჩემისთანა კაცის საწუხარია. მაგათი საწუხარი სხვა არი. მაგათ ყველას გონია, რო დროებამ გააჩერა, თორემ მეტნი იქნებოდნენ. დათა, რას მალაპარაკებ. ეხლა ხო არ მოვყვები, ვინ როგორ გაიხადა ქალამანი და წუღაც როგორ ჩაიცვა. ვინც ადრე ჩაიცვა, იმას ეხლა გონია, რო... მოთამაშეები არა ხართ? მთელი ცხოვრება ომში ხართ, რაღაცას დაუფიქრდით.

- ჩემი გულისთვის ეხლა ამას ნუ გალანძღავ, - ახალი სიგარეტი ამოიღო დათამ, - დაგვალევინონ რამე, არ იქნება? ვიფიქრე, მივალ, მათალოს ერთ რამე გამოგონებას ვეტყვი, ბანქოს გავშლით, თითებს გავატკაცუნებთ-მეთქი, ეს ჯენერლად წასულა.

პატარა მათალო ფხუკუნით წამოვარდა და ბარისკენ გაიქცა.

- აჰა... ეგა ხარ, აი... ჩემი გაზდილი ეგა ხარ, - წაიბურტყუნა მათალომ.

- არა, მათალ, რაღაცეები მეც ვიცი... - უხალისოდ თქვა დათამ, - ერთმანეთში ლაპარაკობენ ეს გვარები და კიდე რაღაცეებია. გვეცლება, მოგიყვები...

- მეშინია, დათა, - ამოიოხრა მათალომ, - სუნგალები რო არ იყვნენ, კოხტად ვიქნებოდით, მაგათი ჯილაგი გაწყდა... არ გახლავან?

- გარეთ არიან... სუნგალი რას გადაწყვეტს, მათალ. სუნგალს რა აქვს...

- ოჯახებს აქვთ და სუნგალები ოჯახების ხელშია, - არ დაიშალა კლუბის პატრონმა, - აგე, ამას უყურე. უყურე, წითლებით შემოვხაზე... ეხლა ციხესიმაგრეზე რო ვინმე ჩაჯდეს და ააკაკანოს, მთელი ქალაქი ხელის გულზე აქვს. ნავსადგურშიც კაცი მშვიდობიანად ვერ გაივლის, იქაც დააწევენ ფინდიხს. აი, იქ თუ ზიან, უყურე, - და ფანქარი გამოატარა, - ხეირში და ყალივანზე ფანჯარა არ არი სამხრეთის მხარეს, არ მიუმიზნონ და მიახალონ. სთეითს არ ვამბობ, ის ისედაც გაფენილია. ეხლა წამოდი მონასტრის მთაზე. დავჯექი მონასტერში და მოვაყარე აქეთ, - ისევ გამოატარა ხაზები მათალომ, - ხეირზე და ყალივანში ჩრდილოეთის ფანჯარა არ არი, რო ბულიტი არ შეფრინდეს. დაფინთიხებული ხარ ორივე მხრიდან. უყურე. სად გინდა ჩაიმალო, ეზოებში? როგორი ჩასამალია? ეს განგებ არი ძველ დროში აშენებული ასე, რო, რამე რო იყოს, ეს ადგილები ვისაც უჭირავს, მოგებულიც ის არი. სად არ არი სროლა? სად არი სიწყნარე? ნაპირის ეს მხარე ფინდიხის ქვეშ არი, ციხიდან. აი, ეს მხარე, კიდე აღარ არი. შუაში ტყეა, ტყის იქეთ რომელი სულელი გაისვრის? ეს ერთი. სად არ არი ომი? მონასტრის გადაღმა. აი, ეს ადგილები ნახე, ამას ხო ქარიანის უბანი ქვია. დაბლა ხო არი ქარიანის ნაპირი... აი, აქ არ არი სროლა. თუ გინდა, რო დაელოდო, აქ უნდა დაელოდო.

- მართლა ნაპოლეონ ბონაპარტე ყოფილხარ, - თქვა დათამ, - სწორია ყველაფერი. მაგრამ ხეირიდან რო დააჯახო ზარბაზანი, ხო მოანგრევ მაგ ციხეს? მერე კიდე მონასტრიდან ვინ ისვრის? ვინ გაბედავს მონასტრის დაჭერას?

მათალომ გაბრაზებით გადააქნია თავი: - დათა, ომი არ იცით თქვენ, ომი არ იცით... ჩვენ თავზე თვითმფრინავები დადიოდა...

- არ იქნება.

ამ დროს მობრუნდა პატარა მათალო და ორი ძველებური ჭიქით მოიტანა ვისკი.

- ეს რომელია? - ჭიქა შეათვალიერა დათამ.

- თამდუა... კაია, - თქვა პატარა მათალომ, - ჰა, გადაწყდა სად გავრბივართ?

- სად გავრბივარ...ეხლა ფარნას ველოდები, ცოტა პარტიამდე უნდა ველაპარაკო, - თქვა დათამ და კიდევ მოუკიდა სიგარეტს, ბოლი გამოუშვა და ერთი დიდი ყლუპიც მიაყოლა, - მართლა კაია...

- თამდუა, - თქვა პატარა მათალომ, - ფარნა, კაია ხო წყვილში? მიეჩვიე, ხო?

- რაც მამამისია, ის არი, - თქვა მათალომ უხასიათოდ და რუკა გადაკეცა, - ეხლა მოვლენ და იმათ დაინახონ კიდე...

- ფარნამ შენზე მეტი იცის მაგ ამბების, - თქვა უცებ დათამ.

- ჰა?

- ხო...

მათალომ რუკა კოხტად დაკეცა და ჟაკეტის ჯიბეში ჩაიდო.

- ბიჭო, დათა... ვინ შევა და სუნგალები... ეგენი შევლენ მონასტერში. მაგათ თავისი ხატი აქვთ და თავისი ღმერთი. ვინ შევა და ოსმალები შევლენ.

- ოსმალები თავის დროზე არ შესულან...

- ამხელები ხართ, ბიჭო, და დროის გრძნობა არა გაქვთ. მაშინ სიტყვის და ნამუსის დრო იყო. ეხლა ფულის და ღონის დროა... - წამოდგა მათალო, - დაჯე ეხლა და ევარჯიშე, - უთხრა შვილს, - გაისათ შენ რო ჰყავდე წყვილში, ფარნა კი არა...

- ვერ არი ხასიათზე, - ჩაიალაპარკა დათამ, როცა მათალო კლუბის უკანა ოთახებისკენ წავიდა.

- დაბერდა... - თქვა პატარა მათალომ, - მართლა რამე იწყება?

- რა ვიცი... ლაპარკობენ. ჯარის გასვლას ელოდებიან... წავალ აქედან, წავალ, დავიკარგები.

- სადა, ლონდონში?

- არა... ... სადმე. აღარ მინდა ამათი არაფერი.

- ინტი არი იქეთ? - ჰკითხა პატარა მათალომ.

ღამე სოფლად, სადაც და და ძმა ერთმანეთს შეხვდნენ ის ძველი სახლი

ლამაზი რამ იყო ვისრამიანების ძველი სახლი სამხრეთის კუნძულზე.

მთელ საგვარეულოს ბარე თორმეტი მამული გაეფინა ამ მიწებზე, მაგრამ ესა, ეს ძველი სახლი საუკეთესო იყო სწორედ თავისი ძველებური იერით. სულ რიყის ქვით იყო ნაშენი, მხოლოდ სარტყლებზე ჩაეყოლებინათ წითელი აგურის რიგები.

ზედა ორ სართულზე უკიდეგანო და ხალვათი ოთახები იყო, უფრო დარბაზები, დიდი ფანჯრებით, ხოლო დასავლეთის მხარეს ორივე სართულს ედგა უზარმაზარი აივნები, ქვედა უფრო ფართო, ზედა კი იმ ფართოს ნახევარი. პირველი სართული მომსახურე ხალხისა იყო, პატარა ოთახებით და მაინც კაი დიდი ფანჯრებით, თუმცაღა, ეს დიდი აივანი იმათ აბნელებდა. ამნაირი სახლი, ასეთი მძლე და თან უბრალო იერისა, კუნძულებზე მეორე არ იპოვებოდა. მშენებლები იმ ას ნახევარი წლის წინათ ბერძნები ყოფილიყვნენ, ხოლო ზედა სართულის ვერანდა საერთოდაც ჯადო ადგილი იყო. სახლი, რომელიც შიდა არსით სასახლე იყო, გარეგნული იერით კი - გლეხური რამ ნაგებობა, უბრალო და სადა, ჩაფლულიყო მწვანეში, ნაირგვარ ხეხილსა და ყურძნის ათასგვარ ტალავერებში. ეზო ჰქონდა მშვიდი, გრილი და დაბურული, რაღაცა შინაურ ტყესავით. ამ ეზოში მცირე რამ ცხოველიც შემოგხვდებოდა, ხოლო შველი მოდიოდა, თუ ხელის გულით მარილს გაუწვდიდი. როგორცა ხუმრობდა ხოლმე მოხუცებული კონსტანტინე ვისრამიანი, აქ ბინადრობდა ცხრამეტი ბუ, ნამდვილი ბუს ჩაუთვლელად: ვინაიდან, მის სიძეს ბუს ეძახდნენ.

ზედა ვერანდა კი იმიტომ იყო ჯადო ადგილი, რომ ამაღლებულიყო ამა სიმწვანის თავზე და იქიდან გადაშლილიყო საოცარი სანახაობა კუნძულის ლამაზი ბუნებისა, მოყვითალო ბორცვებისა და ზედ კორომად მიყრილ ტყიანობისა, ასევე კი ულამაზესი, გასწორ-ჩარიგებული ზვრებისა, რისი ხილვაც არ მოგწყინდებოდა

არასგზით, განსაკუთრებით, შეთვალების დროს და ძალიან გვიან შემოდგომამდინაც, ზამთარი კი აქ არ იყო ხოლმე მაინცადამაინც ცივი.

არაფერი სჯობდა რომელიმე აივანზე ღამით ჯდომას, თუკი, რაღა თქმა უნდა, არ გეშინოდა ღამის პეპლების ცეკვებისა და გინდოდა, რომ ვერანდაზე, რომლის კარგად განათებასაც თექვსმეტი თეთრად მოთამაშე ნათურაც ძლივს ჰყოფნიდა, სინათლე აანთო.

პეპელა აქ უამრვი იყო. გენახათ, რა ზეიმობა ჰქონდათ კედლებზე, ნათურებს ახლო. პირის გემოზე კიდევ უკეთესი იყო, ღამით, აივანზე უელექტრონოდ ყოფნა. სჯობდა. ელექტრონი კაცს ხელს უშლის სოფლად ღამის გემრიელ ხმათა სმენაში და უშლის ხელს ასევე ცის კოხტად თვალიერებაში. ღამიან სოფელში კიდევ სწორედ ეს ორი რამ გახლავს მთავარი. სხვას ქალაქშიაც იპოვი, თანაც სანტა სიტის თავისი მყუდროებანი კოხტად აქვს და მოურავობა სოფლისა ამიტომაც უფრო სანატრელია, რომ ქალაქობის მუღამი იცი და ახლა სოფლობისაც უნდა შეიტკბო. თანაც, ეს სახლი მოშორებული იყო ზღვასა, რომელსაც ის ადათი აქვს, რომ თუკი რამე ზღვის შორიახლოს არის, მთავარ რამედ თვითონ ზღვა უნდა იქცეს, თუ ზღვა არ შემოსველავს ვერანდის კიდეს თავისი უძღები ტალღით, ისე ამ ვერანდას რა ფასი აქვსო. ვისრამიანებს არ უყვარდათ ზღვა.

იმის პირადაც კი სდგომოდათ სახლები, მაგრამ მიწის გულში ერჩივნათ.

აქ, სახლში, იდგა ხოლმე ბინად მოხუცებული კონსტანტინე ვისრამიანი. შინაურებში მძლეთამძლედ ნახსენები იმ დროს მამასახლისი ამ გვარისა, მხოლოდ ზამთარს თუ გაატარებდა ქალაქად. ყოველ საოჯახო და ფულის საქმეს აქედანაც კარგად მართავდა, ოღონდ კი საჭიროება მოსთხოვდა ხოლმე, რომ ქალაქად მოსულიყო ორ-სამ დღეს. ვისრამიანებში წესად იყო, ამ გვარის ყველა მოსურნეს, მამასახლისის საცხოვრისში ყოველ უქმეზე, პარასკევ საღამოდან მოსვლა და კვირა საღამომდე სტუმრობა შეეძლო. დაპატიჟება და წინასწარ შეტყობინება, რაშიაც ინგლისელებმა ისევე ვერ გამოწვრთნეს აქაურები, როგორც კრიკეტში, წესად არ იყო, ვინც მოვიდოდა, მოვიდოდა. უფრო ხშირად მოდიოდნენ კონსტანტინეს შვილები, პეტრე და პავლე, იმათი შვილები და ასევე ქალიშვილი კაია და მისი ქმარი, ბუ ვისრამიანი, ხოლო კაიას შვილები იშვიათად მოდიოდნენ. სალომეა ოჯახს შემსკდარიყო თავისი პირადი ცხოვრების დიდი ტკივილობის გამო, რაშიაც მთავარი მატკივებლები სწორედ ბაბუა და დედა ბრძანდებოდნენ, ხოლო უმცროსი, დათა, დიდი ტკივილობის არ იყო, მაგრამ თავისჭკუა გამოსულიყო, განზე ცხოვრობდა და ერთხელ არჩეულ თავის სიამოვნების გზას მისდევდა.

დათაც დიდი ჯავრი იყო ოჯახისა და ამბობდნენ, რომ ასეთი თავისთავანი შვილები დრომ და ეგებ მამის სისხლმაც გამოიყვანა, ვინაიდან ამათმა თავისობამ ლამის და გააცალკევა გვარის მამასახლისის გვარი და ამ შტოში მამასახლისობის გამწევად შორ მომავალში ვინ იქნებაო?

თუმცა ეს ყოველი არ უშლიდა ალაგს, მხიარული ყოფილიყო უქმეებზე და ერთგვარად ხიბლიანი იერის კაცებისთვის და მართლა რომ ხიბლიანი ქალებისთვის მოეყარა თავი.

რა გუნება იდგა მათ ხიბლიან სხეულთა შიგან, ეს წარმტაც ბუნებას ვისრამიანთა კუნძულისას ანგარიშად არ ჰქონდა, არც ურყევ სახლსა.

იმ ძველ სახლში

იქ მივიდა ხუთშაბათს, საღამოს პირზე, დათა ვისრამიანი, რომელიც ორ წელიწადზე მეტ ხანს არ გადასულიყო სამხრეთის კუნძულზე და პაპისეულ სახლში ღამე არ გაეთია.

დათა წამოიყვანეს ოჯახის მოურავმა მარტიამ და სამმა სხვა სუნგალმა, ოჯახის მცველებმა, უფრო კი მსახურებმა, მანამდე კი ბაბუამისი თავად ელაპარაკა ტელეფონით, უქეიფოდა ვარ და შენი ნახვა მწადიაო, მომენატრეო და ასეთები. დათას ხათრი ჰქონდა მოხუცებული კონსტანტინესი, უყვარდა კიდეც ის, თუმც კი იშვიათად ნახულობდა, როგორც ოჯახის სხვა წევრებს. ბაბუაც არა სთხოვდა ხოლმე, მოდიო, ძალიან იშვიათად, ოღონდაც, დათა კი ხვდებოდა, რომ ბაბუამისმა მისი ამბებისა ყველაფერი იცოდა, მაგრამ მამასახლისი რომ არ ეძალებოდა, მოსწონდა კიდეც.

ჰოდა, მოვიდა დათა აქა, მიხვდა, რომ მონატრებია. იფიქრა, რომ ღამითაც დარჩებოდა, დაიძინებდა თავის ძველ ლოგინში და დილითაც შეხედავდა თავის მიწას.

ბაბუა ზედა ვერანდაზე დაუხვდა, სავარძელში ჩაბრძანებული. სხვანაირი ბაბუა იყო, ის კი არა: მარტია რომ აუძღვა მაღლა, ბაბუა დაეჭიდა სავარძლის სახელურებს და წამოდგა. არ იყო ისე, რომ მოდი, შვილიშვილო, ჩემთან, მოდი, აქ ჩამჯდარს მომეახლეო. ეს გლეხური მოხდენილი ქცევა ზრდილობისა ვისრამიანებს ძველთაგანვე შერჩენილი ჰქონდათ. უქეიფოდ ყოფნა იმას არ ეტყობოდა, ოთხმოცდაერთი წლის კაცის პირობაზე, ყურის აპარატიც კი არ სჭირდებოდა, სათვალე კი იქვე მიეგდო ვაშლებიან ჯამზე.

- გახედე ამ ვენახებს, რატო არ გენატრები, ბიჭო? - კისერში წამოარტყა დათას გამშრალი ხელი, - ბევრი შვილიშვილები მყავს და ერთი მენატრება. აბა, რომელი? - ხველა მოაყოლა მოხუცმა ხითხითს.

- როგორ არ მენატრები, - ჩამოუჯდა დათა.

- აი, არც ვიცი, ღვინო გიყვარს, არ გიყვარს, რა მოვატანინო?

- არაფერი არ მოატანინო.

- ჩვენი შარშანდელი არ უნდა გასინჯო? უნდა გასინჯო, იმათებურად სასმელი კი არ არი, ყლუპი ყლუპს უნდა მიაყოლო.

- დავრჩები ამაღამ, - უთხრა დათამ, - რა გეჩქარება?

- დარჩები, აბა რა, - ჩაილაპარაკა მოხუცმა, - კიდე როდის მოხვდები აქეთ. მე რო მოვკვდები, ალბათ მაშინ ჩამოხვალ გასვენების წინა ღამეს და მეორე საღამოს წახვალ.

- კაი, კაი...

- რა კაი უნდა. სიბერე, იცი, როგორ არი? როგორც ხე გახმება და მაინც დგას, ერთი კაი ნოემბრის ქარი უნდა და ლაწ, ლუწ, ტყდება. ეს ხელები, ეს ფეხები, სულ გამხმარი ტოტებია, ადრე მეღვიძება და სულ ძილი მინდა. ვერ ვიძინებ.

დათა ბაბუას შესცქეროდა გაღიმებული. ასე ვერ იტყოდი, რომ ეს იყო ჯიუტი, უხიაგი და მხვეჭელი კაცი: თეთრი თმა ფაფარსავით ეყარა უკვე ჩამხდარ, ჩამოყრილ მხრებზე, ის დაზოლილი პერანგი, თითქოს უფრო დიდი ზომისა იყო, მკერდზე კი გადმოკეცოდა მოშვებული ღაბაბი. ბაბუას ღიპზე შემოედო ხელი და ლაპარაკისას ულვაშს ივარცხნიდა ფრჩხილებით. ხელებზე ბევრგან ეტყობოდა ნაირგვარი ზომის ლაქები, თითქოს ვიღაცას ქიშმიში დაებნა იატაკზეო. თანაც, ბაბუა მზედაკრული კაცი იყო ყოველთვის. თუმცა ვინ აღარ იყო მზედაკრული ამ კუნძულებზე?

მაგრამ ბაბუას ძალიან თეთრი ხელები ჰქონდა. იჯდა, იფხანდა თამბაქოგადავლებულ თეთრ ულვაშს თავისი მოგრძელებული ფრჩხილებით და თავსაც მალიმალ დააქიცინებდა ხოლმე: - კი... კი... ასეა ბაბუა... ასე, იქნება, ისე ვარ, რო გითხრა, ვითომ სული თავის ადგილზე მაქ და ზოგჯერ სხეული მოშორდება ცოტაზე. სული კი არ მოშორდება სხეულს, პირიქით. რაღაცა ეშმაკობაა. ვზივარ, კაბინეტში და ველაპარაკები. ამ დროს კიდე, ა, და ვითომ მთლიანათ გამოვიწიე რაღაცნაირათ წინ, სული კიდე უკან დარჩა...

- სული სად დარჩა, როგორ ხვდები? სული რომელია? - გაეცინა დათას.

შეიქნები ჩემხელა და მიხვდები, - კონსტანტინემ ბალიშქვეშ გადაყო ხელი და რაღაც პატარა, შავი და ბრტყელი ამოათრია, - ეს თუ იცი, რა არი?

- პულტია, თივიბოქსის არ არი?

- მაგის არ არი, ჩემი სახლის არი... ა, უყურე ამ ღილებს. თეთრი არი, რო დავაჭერ და თუ მარტია სახლშია, ამოვა. ეს მწვანე არი სამზარეულოს გოგოები. ა, დავაჭირე გვერზე. ჯიბეში უწყვიათ ასეთები... დავაჭერ. თუ გაიგონეს, დააჭერენ და მოვლენ. ეს წითელი არი ბიჭები, აწერია... ეს ლურჯი კიდე...

- ამდენს როგორ იმახსოვრებ? უკვე ამერია.

- აგერია, აპა, ხო... ათი წელიწადია ქაღალდს ატრიალებ ხელში და იმახსოვრებ და ეს აგერია, - ერთ-ერთ ღილს დააწვა ბაბუა.

კიბეზე გოგომ ამოირბინა.

- ნათელო-მათელო, უთხარი, შენახულების დათა სახლში მობრძანდა-თქო... ამოვიდეს ჩვენთან.

- დედაჩემია აქ? - ვითომ სხვათა შორის ჰკითხა დათამ.

- არა, ბიჭოია... შენი და არი აქ. დაგპატიჟეთ ერთათ. ახლა მოღამდება და უნდა ჩავიცვა რამე, კიდევ ერთხელ, ხვნეშით წამოდგა ბაბუა, - აქ გავშალოთ, ვჭამოთ რაღაცა, ასე არ აჯობებს?

ახლა რაღა ვქნათ?

ეს იყო სამოცდაათგვერდიანი საბუთი, რომელიც დიდის ოსტატობით შეედგინა ვექილ სამსონ ბრასს. სხვანაირად, ეს იყო ანდერძი. სამსონ ბრასი გახლდათ უერთგულესი კაცი და პირადი ვექილი კონსტანტინე ვისრამიანისა, ამ საქაღალდეს კი ვერაფერს მოუხერხებდი.

- არ მინდა ეს სახლი და ეს მამული, - უთხრა დათამ ბაბუამისს, - მე მაინც ვერ მოვუვლი... თან ბიძაჩემებსაც ეწყინებათ, დედაჩემსაც.

- მე წყენას აღარ დავეძებ, - თქვა კონსტანტინემ, - ეწყინებათ და ეწყინოთ. ყველას ყველაფერი აქ, შენ არ გაქ არაფერი ჩემგან და შენ დას. ჩემი პირადი ფულიც თქვენ უნდა გაინაწილოთ. ოჯახის ფულს კი არ ვამბობ. ეს სახლიც ზიარად გექნებათ. გინდათ მოდით, გინდათ გამოხურეთ კარები, მარა მოგიწევთ მოსვლა რომელიმეს... მე ისე მოვაწყობ, რომელიმე აქ იქნებით... მე ახლა, ნელ-ნელა, გამოვაცხადებ, რო გლახათ ვარ. მართლა გლახათ ვარ და დავუძახებ მთელ შენახულებს, ყველას ერთად და ვიტყვი, რო მამასახლისი აირჩიონ. მე აღარ შემიძლია-თქო. ვის აირჩევენ მამასახლისათ? ბიძათქვენები ვერ იქნებიან მამასახლისი, ვერც ჩემი ძმიშვილები. ჩემი დიშვილებიც ვერ იქნებიან მამასახლისი, ჩემი ბიძაშვილის შვილები, ის იქნებიან, რასაც მე ვეტყვი. მე მინდა, რო მამასახლისათ იყოთ ან შენ, ან შენ. ამიტო დაგიძახეთ, თუ არა, რო მენატრებით, ამას გაუძლებ.

- აჰ... - თქვა დათამ, ხოლო სალომეა ეწეოდა და სადღაც ჯანდაბაში იყურებოდა, - მე ჩემი ცხოვრება მაქ... მე ვისრამიანების ცხოვრება არ გამომდის. რას მეუბნები? ჯერ რო გაიგებენ, რა ამბავს ატეხავენ. ვისრამიანებს ხო არ გიყვართ, კაცი რო თამაშობს...

- დაანებებ თამაშს თავს, - თქვა ბაბუამ, - დაჯდები აქ და მართავ ქონებას და საქმეს. ასე იქნება. უცოლო ხარ. ეს მომეხმარება ვისრამიანებთან ლაპარაკში. მარტო ერთი მხრის შენახულები ხო არ იქნებიანო, რო მეტყვიან. შვილს კი არ ვნიშნავ, შვილიშვილს.

- არა, - თქვა დათამ, - არა.

- თქვენ ორი ხართ ამ საქმეზე. შენი და ჩუმათ არი ახლა. ასე იცის მაგან. მაგან დაგვშალა თავისი სიჩუმით და გამძლეობით. მაგნაირი ხასიათი უნდა ვისრამიანს. სალომო, შვილო, ჩვენგან ნატანჯი ქალი ხარ. ახლა მოდი და დაიჭირე ეს ჩვენი გვარი. შენი გამძლეობა მინდა და ამისი ჭკუა. ამით მოვთაფლავ ვისრამიანებს, რო ქვრივი ხარ. შენი ქმარი რო ყოფილიყო ცოცხალი, არ ვიზამდი. ორივე მინდიხართ ერთდროულად და ვერ ამოვირჩიე. ახლა, რომელიც უფრო გამიჯავრდებით, ის გახდებით მამასახლისი..... ასე იქნება. ერთ კვირას ვიფიქრებ, ერთ კვირას იფიქრეთ და ილაპარაკეთ ერთმანეთში და მოხვალთ ისევ. იმას, რაც მოხდება ახალგაზრდა უნდა. ძველი არ უნდა. მე დავჯდები და გიყურებთ, მოგეხმარებით, რომელიც იქნებით. თქვენ ახლა, როგორ ფიქრობთ, გავერნორი რო გავა აქედან და დაკეცილი დროშა რო უნდა მიცეს ხელში თვრამეტი გვარისგან არჩეულ კაცს, ვის უნდა მიცეს ის დროშა? მე მგონია, რო ჩვენ უნდა მოგვცეს. ახლა იმ გვარებს კითხე? ექვსი ხელი ვერ აიღებს დროშას, დროშა ორმა ხელმა უნდა აიღოს. პოლიტიკა გვიწევს... ამას მერე ბევრს ვილაპარაკებთ.

- დედაჩემი აარჩევინე, - უთხრა დათამ სიცილით.

- ნუ იცინი, - გაიჭრიალა ბაბუამ, - ნუ იცინი. დედაშენს ბიძაშენები ვერ იგუებენ. ვერ გუობენ, ასეა. დედაშენისთვის ერთი გვარი ცოტაა. დედაშენს მეტი უნდა.

- რა უნდა? - გაიკვირვა დათამ.

მოხუცმა ერთხანს არაფერი თქვა.

- ბაღდადის გამგებლობა... არ უთქვამს, მარა, პატარა იქნება მაგისთვის. დედათქვენი შორს არ წავა. ნუ გეშინია, გვერძე გეყოლებათ... იმიტომაც მინდა. ვინ ეჭიდავება დედაშენს? თქვენ ორი ეჭიდავებით, იმიტო რო იმას გავხართ რაღაცით. თქვენგან ნაჭიდავები მინახია მაგასთან, მეტი არავისთან. გვარი და წესი უნდა მიიღოთ, მოდის დრო... მე მართლა კი არ ვაპირებ სიკვდილს.

სალომეა სულ ჩუმათ იყო, ეწეოდა და ეწეოდა.

დათას ხუმრობები მოხუცს ვითომ არც ესმოდა. თუმცა, თვითონ არც ბრაზით ლაპარაკობდა და არც ითხოვდა რამეს: თითქოს ეთამაშებოდა შვილიშვილებს, ახლა ეს ბურთი გამოვაგოროთო, ახლა ის თოჯინა მივაძინოთო.

- ისე რო ყოფილიყო, დათა, შენი ჭკუა და ამ სალომოს ხასიათი რომ ყოფილიყო ერთად, მაშინ ნახავდი როგორი მამასახლისი მეყოლებოდა... ხეხე - ხეეე, მაშინ ენახათ... ეხლაც არა გიშავთ. გამოცანა მაქვს, ერთ კვირაში, თქვენ ერთმანეთში რას გადაწყვეტთ, ის თუ შეეთანხმება, რასაც მე საბოლოოდ გადავწყვეტ, იმას... ამბავი ეს იქნება. ახლა დავიძინებ მე, ხუთ საათზე მაინც გამეღვიძება...

- ბაბუა, - თქვა უცებ სალომეამ, - თავი დაგვანებეთ... არ შეიძლება, თავი რომ დაგვანებოთ? შენც და დედამაც... დამანებეთ თავი...

წამოხტა და გაიქცა, სიგარეტი საფერფლეში დარჩა.

დათა უყურებდა, როგორ არბოდა ზედა აივნის კიბეზე.

- ა, შეხედე, ბატონო, - თქვა მოხუცმა, - ამნაირი ხასიათი მინდა. კი არ შევინახებოდით, ასეთი ხასიათი რო არ ყოფილიყო, - მერე ხელისგულებით ისევ მძიმედ დააწვა სავარძლის სახელურებს და წამოდგა, - მარა ჩვენც მაგრები ვართ... ჰა, ბიჭო...

დათამ მხრები აიჩეჩა.

- არ უნდა შენ დას მამასახლისობა...

ამ ოთახში

ერთი კაცის პირობაზე იმხელა იყო ეს საწოლი ოთახი, რომ იქ შესული ვერც იფიქრებდა პატიოსანი კაცი, რომ ეგერ, ეჰეეე, იმ ადგილას საწოლი იდგა, საწოლში კი ვიღაც იწვა და ეძინა.

საწოლს აქეთ-იქით კი ორი ფანჯარა იყო. ამ ორ ფანჯარას შუა იდგა ეს ძველი, ჭრიალა და გემრიელი საწოლი, ზედ დალაგებული სოფლის სუნით ჩამტკბარი გემრიელი ბალიშებით.

დათას ამ ოთახში ეძინა ხოლმე, მაშინაც, ბავშვობისას და ყოველთვისაც, როცა კი აქ ჩამოვიდოდა. აქ კრიკეტის მოედანსაც იოლად გააწყობდა კაცი, ვინაიდან ყოველგვარი ავეჯეული მცირე ჩანდა. იმხელა ძველებური ვორდრობი იდგა, რომ იქ კაცი საპირფარეშოსაც გამართავდა, მაგრამ იმ ოთახს და თანაც, ღამით, თუნდაც განათებულზე და ესაც ვაღიაროთ, რომ განათება სუსტი იყო და არა ჰყოფნიდა ამხელა ფართს, ზედაც არ ეტყობოდა ეს შენი ვორდრობი. ის განიერი საწოლიც, ნამდვილი ხისა, მეტად პატარად გამოიყურებოდა.

ასევე პატარა ჩანდა სასასთუმლე მაგიდა და დესაუდ წოდებული საკედლე, სადაც, მგონი, ასი წელიწადია იდო დაუნანებლად მუცლიანი პირსაბანი ტოლჩა თეთრ გობზე.

დათამ ამ ოთახისა ყველაფერი იცოდა. მოთამაშის მოლოდინით გამოსწია სასასთუმლის უჯრა და დაინახა ორი ცალი ფანქარი, ყვითელი უფრო მოკლე და მწვანე უფრო გრძელი, ოღონდაც წვერწატეხილი. ფანქრებს გვერდით იდო ძველი ფაიფურის საფერფლე, ორი შეტყუპებული ხელისგულის იერისა, სამ ადგილას კიდემოტეხილი და მონდომებით დაწებებული, ხოლო მაჯებთან ყურძნის მტევანი ჰქონდა, ერთი მოქნეული ფოთლით. ამ საფერფლეზე თლიდა ხოლმე ამ ფანქრებს დათა, როცა ბანქოს სურათებს ხატავდა ხოლმე თავის ოთახში. ეს ყველაფერი მეტად ლამაზი და ალალი იყო და დათამ ამოიღო საფერფლე, საწოლზე დადო და თვითონაც მიეგდო. სიგარეტს მოუკიდა და კვამლიც ჭერში აუშვა, ისე, როგორც იცოდა ხოლმე.

ფეხის ხმა დერეფანში, რაღა ჩამომტკიცება უნდა, გაიგონა, ოღონდ, არ წამომდგარა, არც უფიქრია, ვინ იქნებაო.

კარი მძიმე იყო და ჭრიალით გაიღო.

- ჰეი, - დაღლილი ხმით, ყრუდ უთხრა სალომეამ, - გძინავს? მე მეგონა გამოხვიდოდი ჩემთან...

- შენი ოთახი კი აღარ მახსოვს, - გაეცინა დათას და წამოჯდა.

სალომეა ლოგინის საფეხესთან მიწვა. სკამი ან სავარძელი იქ არ იყო.

- რა დავაშავეთ? - თითქოს არავის ჰკითხა.

- მე აქედან წავალ, - თქვა დათამ, - ვინმესთვის არ მითქვამს, მაგრამ წავალ.ზუსტად ვიცი...

- ლონდონში?

- მათალო იცი, სალომეა?

- გამიგია, კი, - გაეცინა სალომეას.

- იცი, რას ამბობს მათალო? მირჩევნია, ჩემ დაჭყლეტილ ცხვირ-პირს შევხედო სარკეში ყოველ დილით, ვიდრე ლონდონის ქუჩებში ვიარო და ინგლისელები ვათვალიეროო... მაგარია, არა? ამიტო ლონდონში არ წავალ... არა, არ ვიცი, შეიძლება, იქაც წავიდე. მე მათალოს ავადმყოფობა არ მჭირს...

- სად წახვალ? როგორ გაექცევი, იქაც მოგადგებიან. ეგ ამბავი კარგად ვიცი, - სალომეამ მუჭი გაშალა. ხელისგულზე მოკლე, მსუქანა სიგარეტი და სანთებელა ედო, - მოწევ? თუ მარტომ უნდა მოვწიო?

დათას ისევ გაეცინა.

- ხშირ-ხშირად? - ჰკითხა დას.

- უამისოდ ვერ ვიძინებ. რამდენი... ცხრა წელიწადია. ყოველ საღამოს ერთი მინდა. მართლა არ მოწევ?

- მე ქაღალდს ვთამაშობ. ჩემთვის არ შეიძლება, მაგან სხვა ქვეყანაში წაყვანა იცის. ბანქოს თამაშს თავისი წესები აქვს. ეგ ფორმიდან აგდებს.

- მარანაში დადიხარ, მოდარდე ქალი გიყვარს და მაგაზე მეტი სხვა ქვეყანა რა გინდა? - მოუკიდა სალომეამ.

დათა ხითხითებდა და ხითხითებდა.

- რა ვქნათ, დათა? შენ გგონია, დედაჩემმა არ იცის, ბაბუაჩემი რას ფიქრობს?

- საერთოდ არ მაინტერესებს, - თქვა დათამ.

- მოდი, დაბლა ჩავიდეთ, ყავა დავლიოთ.

- ცოტა გვიან. მე ხო იცი, მაინც დილით ვიძინებ. დღეს არც დავიძინებ, დილით პირდაპირ წავალ და სახლში დავიძინებ.

- მე კიდე, როცა გინდა, მაშინ დავლევ ყავას. რო მოვწევ, მაინც მეძინება... რა ვქნათ?

- არაფერი, სალომეა... რა უნდა ვქნათ.

- მამასახლისი უნდა გახდე?

- შენ უნდა გახდე, თუ კაია, - დათამ ბალიში გამოაძრო თავქვეშიდან და სალომეას ესროლა რბილად.

- აა, რას შვები? - ლოგინზე დავარდნილ სიგარეტს დასწვდა სალომეა, თავადაც სტაცა ბალიშს ხელი და დათას ესროლა, - რამდენი წლის ხარ?

- შენ?

- ქალებს არ ეკითხებიან.

- კაცების არ აინტერესებთ.

სალომეამ ნამწვი დაასრისა ხელისგულა საფერფლეს და თქვა: - დათა, მე ამათ... მე ყველა ძალიან მიყვარს. რო არ მიყვარდეს, ალბათ სხვანაირად მოვიქცეოდი, მაგრამ...

- რა გინდა? ის გინდა, რომ დილით დავადგე კონსტანტინეს და ვუთხრა, მე გამიყვანე მამასახლისათ-თქო? ვერ მოგართვი, ვერ მოგართვი...

სალომეამ თავი გადააქნია.

- რა სულელი ხარ, დათა.

- სულელი?

- მე... არ ვიცი, როგორ ვთქვა. მე მთელი სიცოცხლეა ვიცდი და ვიტანჯები, დათა. მთელი ცხოვრება ველოდები რაღაცას. ისიც აღარ მახსოვს, მიყვარდა თუ არა ოდესმე სანდრო და კოსტა. ოცი წელიწადი გავიდა, დათა. ოცი წელიწადი და ყოველი დღე ამ ოც წელიწადში ისეთი მქონდა, რომ არ ვიცოდი, ხუთ წუთში რას ვიზამდი. დათა, მე ესენი ძალიან მიყვარს, მაგრამ მე და ჩემს ქმარს ქორწილის ღამე რომ გვქონდა, კართან მარტია იდგა და ისმენდა. შენ მაშინ იმ მათალოსთან თუ ვიღაცასთან იყავი კლუბში და ქაღალდს თამაშობდით. მე, დედაშენმა და ამ ბებერმა კაცმა, რომელიც იტყუება, რომ კვდება, აი, ასე, გადამხნეს და გადმომხნეს, იმიტომ რომ, ვისრამიანი ვარ და თურმე არ შეიძლება, რომ ვისრამიანი კათოლიკეს გაჰყვეს, მაშინ შენახული აღარ იქნება. მე ახლა ქალი ვარ, ჩემს შვილს, რომლის მამაც მძულდა, დედაჩემი ზრდის. მე დილით ვიღვიძებ და მხოლოდ ერთს ვფიქრობ რატომ? შენ არ იღვიძებ ასე. შენ საერთოდ არ იღვიძებ დილით. ამიტომ მე ამათ არასდროს, არაფერს და სადაც შემეძლება ყველგან... იცი, როგორ ამოწმებენ ქალს? გინახავს ის სავარძელი, ფეხები რომ უნდა შემოაწყო რაღაც საშინელებაზე? და ექიმს რაღაც ფარანი უჭირავს და დედაშენსაც რომ უჭირავს ფარანი და გიყურებს იქ, სადაც ყველაზე უშნო და ყველაზე ლამაზი ხარ. რასაც დაინახავს, ბაბუაშენი იმის მიხედვით გადაწყვეტს, რა უქნან ბიჭს, რომელიც გიყვარს. დათა, მე ამათ, მე ძალიან დიდი ხანია ვიცდი, მეტი არაფერი. ვიცდი...

- ადე, წამო, ყავა დავლიოთ, - საწოლიდან წამოხტა დათა და დას ხელი გაუწოდა, - მაგარი ქალია ჩემი და. ყველაზე მაგარი.

- ნუ დამცინი...

დათა შედგა და სალომეას მოხედა.

- არ დაგცინი... ცოტათი მეშინია შენი. ბავშვობაშიც მეშინოდა... სულ ცოტა, აი, - ორი თითი შეატყუპა დათამ.

სალომეამ ფერდში უჩქმიტა, ძალიან მწარედ.

- ა, ა, ხორცი გამომაცალე.

- მომღერალს არ ეწყინება, მაინც სიბნელეში ხართ...

წივილი

- მაიცა... მაიცა... ვინ ხარ? ე, ბიჭო... მაიცა, თორე!... ესროლე, ბიჭო, ესროლე, მაგ ურჯულოს... - ბახ! ბახ! ბახ!

დათა დაბალ ღობეს გადაევლო და შამბიანში გახოხდა.

გვერდით დაეცა ფარნის სინათლე.

- აგე, ბიჭო, აქ გადახტა...

- გადახტა და რას შეხედავ? მიუშვი ემაგ შამბიანსა. ეგა, ზემოთ გახოხდება.

ორი ტყვია მოჰყვა ამ ნათქვამს.

- მიდი, გადაატარე ერთიცა, გათენდება და ვნახამთ, მიიღო უფალმა თუ უთხრა, გაუშვი, იარეო...

ამას კიდევ მოჰყვა სროლა.

- მე რო მასროლიეფ, მიუშვი შენცა, მე მეხარჯება ფინდიხი და შენ კიდენა უხლები გააქ...

- ეყოფა...

- ჩქამი არ არი, ბიჭო... აქ გადმოხტა?

- შენ მოჰყევ და მე მეკითხები?

დათას მარჯვენა იდაყვი ეწვოდა, ცუდად დაეცა. როგორ აცდა ეს ალალბედზე ნასროლი ტყვიები?

- ეგა, მონასტრისკენ აუხვევდა. ეგრეა...

- იცაან?

- რას ვიცან... შუა ტანისა იყო, დააყე-მეთქი, მაიცა და შემოვარდა აქეთა. ეგება თავისი სახლია ესა, ამ ეზოში?

- ჰაი, გოგრავ... ყარფუზო. თავის სახლში ვინ დეგემალება? ხო მიხვალ.

- შავიდეთ?

- ეგება, კიდე მანდ არის და მოგვაყოლა ბნელოდანა, მერე შავალთ კაი ქვეყანაში. მიდი, ერთით გადაატარე, ვინძლო მანდ იყოს და წავედით. ბიჭები აშმაშუნებენ გადამცემსა.

- მიდი და გადაატარე, გამეხარჯა და დილისკე რო მართლა საქმე იყოს...

- კარგი, წამო, ჰა... რას დაძვრებიან. ეგ ვინმე გადაღმელი იქნებოდა, ანდაც გვარიშვილი. წამო, ჰა... კურდღელსავით კი იყო.

დათა თვალდახუჭული დამხობოდა მიწას, საიდანღაც კიდევ მოისმოდა სროლა.

ეზო-ეზო შეიძლებოდა სადმე გაღწევა, ან არადა, გათენებას უნდა დალოდებოდა სადმე. ვისი სახლი იყო ეს? ჩაგმანული და ჩაშავებული. ეგება, გაქცეულიყვნენ და სახლი ასე დაეკეტათ უკეთეს დრომდე, რაც გადარჩება, გადარჩესო.

სამი დღე და ეს ამბავი. როდემდე გაგრძელდებოდა?

ფეხშიც არ მომხვედრია, - რატომღაც გაიფიქრა დათამ, - სხვები სადღა არიან?

ახლაღა იგრძნო, რომ ძალიან კარგი და თბილი ღამეა.

მორჩა და გათავდა. დათამ ინანა, რომ იარაღი არასდროს ჰქონია. მიხვდა, რომ კლავდნენ. ასე, ლაპარაკ-ლაპარაკში. რა იოლი ყოფილა. ბანქოში უფრო ძნელია ქაღალდის მოკვლა, ვიდრე ქუჩაში კაცის.

ეს რა აღმოაჩინეს?

ბუძგით სავსე ნავი სამი ნიჩბით

მუჭში ჩამალული ცხვირსახოცივით

ახლა კიდევ მოატანა ჟამმა რაღაცის მეტად გახსნისა და მეტად გამოჩენისაო, ასე იფიქრებდა ის ვიღაც, ვინც ფიქრობს და არა ბეზრდება ეს საქმე.

როგორც ცირკის ხელმარდმა ოსტატებმა იციან ხოლმე: ჩამალავენ მუჭში ცხვირსახოცს, მერე სულს შეუბერავენ, გაშლიან იმ მუჭს და დაგანახებენ ცარიელ ხელისგულს. მერე ისევ შეკრავენ მუჭს, ისევ შეუბერავენ სულს და მეორე ხელის ორი თითით სულ პატარაზე ამოაყოფინებენ თავს იმ წეღან ცარიელი მუჭიდან. ნელ-ნელა ექაჩებიან და თან ხალხს შემოათვალიერებენ, აბა, უყურეთო. ექაჩებიან და ექაჩებიან, კაი დიდი ცხვირსახოცია, ბოლოს კი სულ მთლად ამოგლეჯენ და ტაშის მოლოდინით ჩაიღიმებენ, აჰაო.

აი, ამას ჰგავს ეს ამბავიც, ოღონდ სხვანაირად. ამბავია უფრო დიდი და მუჭიც, მოგეხსენებათ, ვერ იქნება მთლად ცეროდენა კაცისა, რადგან ეს ამბავი უნდა ჩაიტიოს. საერთოდ, ყოველივე ამბავთაგანი უმეტესწილ ასეა: ერთი რამ მოხდენილი ილეთივით გათამაშდება ცხოვრების მიერ, რომელსაც ცალკერძ უწოდებენ სიცოცხლესა, ხოლო სიცოცხლე სხვა არაფერია, თუ არა დრო, მეორეკერძ კიდევ მოთხოვნილობასა, რაც სხვა არაფერია, თუ არა რაღაც ოხრობა, სიცოცხლის ანუ დროის გავლაში რომ ხელი შეუშალოს კაცსა.

ანუ, სხვანაირად რომ მოვთარგმნოთ, ერთი მხარე ცხოვრებისა კიდევ უფრო აძნელებს მეორე მხარესა და ესენი ერთმანეთს ზედ ედებიან ცოცხლის ანუ მცხოვრების უკეთესად დასატანჯავად.

დიახ, ეს ამბავი ცხვირსახოცის გამოჩენის ფანდსა ჰგავს, ოღონდაც კი ის ცხვირსახოცი სულაც არა ყოფილა იმ მუჭში და მხოლოდ ხელთა მოქნილობით მოხვდა.

საქმე ისე მოწყობილა, რომ ცხოვრება, თავის ორი ხელითა, რომლებსაც ეწოდებიან სიცოცხლე - დრო და მოთხოვნილობა, ანუ გამოუვალი წესი ამ დროსთან ერთად სვლისა, კვანტის მოყვარულნი გახლავან და გასწევენ და გამოსწევენ ადამიანს ამ თავის მარწუხა ხელებითა ისე, როგორც ღარიბი აზნაურები გასწევენ და გამოსწევენ ზიარად მონადირებულ კურდღელსა.

ამ ორი ხელის მეშვეობით ცხოვრებას მოაქვს ადამიანისთვის ამბები, რომელთა სიგრძე და განი რომ გაზომო, ყოველ ზღვას გადაივლის. თვით ყველაზე დიდხანს მძინარ ადამიანსაც კი გამოუვა ამბები, რომლებსაც ვერ გაზომავ, ათასი და ერთი

ღამეც რომ დაუჯდე საზომელითა. საერთოდაც, ამბები არ იზომება, სიგრძე-განი იმათი დაუთვლელია, ოღონდ კი ცნობილია იერი ამბებისა, სულ ნაირგვარი.

ჰოდა, ეს ამბავი კი ცხვირსახოცის ფანდსა ჰგავს.

ხომ დაიმახსოვრე ფანდი ცხვირსახოცისა? ნელ-ნელა ამოაქვთ შეკრული მუჭიდან და მანამდე კი იქ არ იყო. რაც არ უნდა ნასწავლი კაცი ეცადოს, რომ დაინახოს ამ ფანდის არსი, რომელსაც ასევითარი იოლობით წარმოადგენს ქუჩის სულ უბრალო ოინბაზი, რაც არ უნდა დაუკვირდეს თავისი ყოვლისმადიდებელი სათვალითა, ვერა ხვდება, როგორ იყო, რომ ამ ერთმა უბრალო კაცმა მისი სწავლულობა ასე გააცუცურაკა. იმ ხელში დამალაო, სახელოში შეჭუჭნაო, მაგრამ მაინც დაჯერებით ვერ იტყვის.

ასევეა ეს ამბავიც, ამბავი სადარდოს მომღერალ ქალისა, რომელსაც აფიშაზე ერქვა კესანე, ხოლო ისე რაც ერქვა, იმას აღარ გავახმიანებთ, ვინაიდან არ არის წესი ამა კუნძულსა ზედა მოდარდედ მღერალი ქალების სახელების გახმიანება.

კესანეს ცხოვრება სწორედ ასე იყო, რომ თითქოს რაღაც იყო მუჭში, მერე კი აღარც იყო, მერე კი ისევ იმ მუჭიდან ამოაძრეს და ისევ აღარ იყო. იყო და არა იყო რაო, სწორედ ამაზე იტყვიან და სუნგალის კუნძულზეც ხომ ასე იწყებენ ყოველი ნამდვილი ამბის თხრობას. იქა, ცოტათი და ტლუ ხალხი ბინადრობს, ოღონდ ადრევე ვიღაცას უსწავლებია ეს, რომ ვითომდა არის რაღაც ცხოვრება, სინამდვილეში კი სხვა არის. სხვაფრივ, იმათ საიდან უნდა იცოდნენ? არ არის ამგვარად დაკვირვებული ხალხი ცხოვრებაზე, ხოლო წიგნში კი ეს ამბები არ სწერია. თუმცა, წიგნსაც არ არის დაკვირვებული.

ეს არაფერი, ვახსენოთ ღმერთი და მოვყვეთ ცხოვრებას კესანესას, ვინაიდან ასე ჰგავს ეს ცხოვრება რაღაცას, რაც იყო აქა და არ ყოფილა და კიდევ, რამდენი ცხოვრება ჩვენგანისა ჰგავს ამას, რომ თავის თავისთვისაც არ ყოფილა, თუმცა კი ამბავი უკიდეგანო გახლდათ იმათ თავსა ზედა. აქ ღმერთის ხსენება გავბედეთ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ხელი მოგვიწყოს კესანეს ამბავთა კეთილად გადმოცემაში და არ დაგვძლიოს ბოროტმან, რომელიც მრავლად იპოება ამ ქალის არსებობის ამბებში.

როგორც იტყვიან ხოლმე, აქედან არცთუ შორს, ღმერთი კესანეს გაჩენაში არ გარეულა. თუმც კი, ჩვენ არა გვჯერა ამისა, რადგან სიღარიბე სირცხვილი არ არის, სიღარიბე სიამაყე და სილამაზე გახლავთ, ცოტათი სხვანაირ ენაზე. სირცხვილი არის უგულობა და მდაბლად ფიქრი. პირდაპირ სასაცილოა, ამეების აღნიშვნა რომ მოგვიწევს ხოლმე.

კესანე კი დაიბადა ოცდაცხრამეტი წლის წინათ სანტა სიტის მისადგომზე, არ გაგეცინოთ და ბოშა ქალისგან. ეს კუნძულები, სადაცა ძევს პირკურთხეული ჩვენი ქალაქი, არ არის ბოშათა ალაგი, ბოშა მატიანეშიც არ იპოება, მაგრამ ის ქალი ბოშა იყო. ის ქალი ყოვლად სამარცხვინოდ, ერთს სუნგალ კაცს ეპოვნა და თუკი არა გსმენიათ, ვინ არის სუნგალი, ის არის გაღმა კუნძულის მცხოვრები გლეხკაცი, რომელსაც სახელი სუნგალი დაარქვეს სწორედ გამოღმა კუნძულელებმა და ახლა რაღას ნიშნავს, ვეღარ გეტყვით. მაშ, ეს ბოშა ქალი იპოვა ერთმა სუნგალმა ნავსადგურში. ბოშა ქალი, მოგეხსენებათ, იოლი და საწყალი არ არის, ის იქით გიპოვის, თუ მოესურვა. ამიტომ, ვინმეს რომ კარგად მოეჩხრიკა ეს ამბავი, ეგებ და ეჭვი შეჰყროდა, ის ქალი ბოშა არც იყოო. ბოშები ამ კუნძულზე არ მოდიოდნენ და ეს შავი და მუზმუზელა კი გახლდათ

და თანაც უსასოო და საცოდავი. ასე რომ, ვერც კი შეიძლო, თავი გაეტანა ნავსადგურის ქალის ხელობით. ეს არის, რომ იმ ძველ, ბუზიას დუქანში, სადაც ყველა მაგიდას საუკუნო წებო დაჰკვრია, მრეცხავად ეყენათ საჭმლისთვის და იყო თავჩარგული ნაოხრალ ჭიქა-საინში. კაცი კიდევ ახალგაზრდა იყო, შეიძლება ითქვას, მეტად ახალგაზრდაც, მათიანების გვარის ოჯახში მსახურობდა და წინსვლას ფიქრობდა, ოჯახობა გაღმა კუნძულზე ჰყავდა და სადგომი მათიანების პირველ სართულზე ჰქონდა. სადგომიც არა, კუნჭული, მისნაირებს რა დათვლიდა ამ მდიდრების სახლში.

ასე იყო თუ ისე იყო, ამ ახალგაზრდა სუნგალს თვალი დაედგა ბოშა ქალისთვის, რომელიც, ეგებ, სულ არ იყო ბოშა და ვინ იცის, რომელ გემს მოჰყვა ბუზიას დუქნამდე. რა ჰქონდა იმას თვალის დასადგმელი, ძნელი სათქმელია. ალბათ უქონლობა, სიიაფე და საცოდაობა. აქ ნახე გლეხის ანგარიში: მუქთად იშოვა. მერე რა რომ ისეთი იერისა ვერ იყო, თუნდ სამკათხიანს რომ ეტყვიან აქაურები, ანუ სამ კათხას დალევ და იყვარებო. ხუთკათხიანი ნამდვილად იქნებოდა და თანაც, ვერას მოითხოვდა. მუქთი ქალი იყო, ნისია, სულ პატარა რამეზე ბოლომდის წამოგყვებოდა არა იმდენად ბუნებით თვისითა, არამედ უსუსურობითა და განვლილ ამბავთა დაღითა. როგორც ის იყო ახალგაზრდა, ასე - ესეც, ოღონდაც განალახი რაღაცეებითა. ეს ბიჭი მაშინ იქმნიდა ხვალინდელ ცხოვრებასა და იმდენი ქნა ამ მუზმუზელა ქალთან, რომ დაატყო რაღაცეები და აქ კი შეშფოთდა, ვინაიდან იმ დროის მედუქნემ, უფროსმა ბუზიამ, ამ სუნგალს შესაშინებლები უთხრა, ახლა ფეხმძიმე მავლევინეო და იმ ბოშის ქალსაც რამეები ასწავლა.

მათიანების სუნგალი ჯეილი აქ კი აწრიალდა, თავისი გლეხური საქმოსნობით მიაგვარ-მოაგვარა რაღაცები და ქალი, რომელსაც იქამდი ბუზიას დუქანშივე ეძინა, გაიყვანა ქალაქგარეთა ადგილების იაფ ბინაში, სადაც წესად იყო, რომ კუნძულიდან გადმოსული სუნგალები ღამეს ათევდნენ. ეს იყო ზუსტადაც ოცდაცხრამეტი წლის წინათ და იმ სუნგალისგან და ამ მუზმუზელა ხუნხუზი ქალისგან გაჩნდა ქვეყნად ქალი, რომელსაც აფიშებზე ჰქვია კესანე. ოღონდ კი ეს ბავშვი, ეს საბრალო, არც ერთ საბუთად არ გამწესდა. სუნგალი ვერ გამოაჩენდა მას, რადგან გვარი შეაჩვენებდა, ვითარცა უტვინოსა და ბოშისგან შვილის გამჩენს და ესეც რომ არ ყოფილიყო, თავისი სუნგალური წეს-წყობილებით იმის სურვილიც არ გამოაჩინა, რომ ქალთან ცალფა ძაფები მაინც გაება რაღაც გრძნობისა. სუნგალში ასეა, რომ პატივსაცემ ქალად მხოლოდ ითვლება დედა, ბებია, დაი, ცოლი, შვილი, მამიდა, დეიდა, ბიცოლა და ასეთები. ანდა ის, ვინც შეიძლება ამად გახდეს. სუნგალი მექალთანეა, ოღონდაც ზიზღი აქვს იმ ქალისა, ვისთანაც ქალთანობს, გინდ ისე ფეხმსუბუქი იყოს და გინდ ნამდვილი მეძავი. იმას სუნგალი არ მიეხმარება და ეს საბრალო შავტუხა ბავშვი როგორც კი გაჩნდა, რაიც ასევე სამადლოდ მოახერხა იმ უბედურმა ბოშისაო თუ რა ვიცით, ქალმა, იმ სასუნგალო ოთახებიდანაც დაითხოვეს და რა ექნა, ამ ბავშვით ისევ ბუზიას დუქანს მიადგა.

ბავშვი იქით ეწვინა კი არა, ედო, დარაბაზე და აქეთ რეცხავდა იმ ათასი გემის ნაოხრალებსა. ერთხელაც გაბედა და როცა უკვე ყველაფერი შეიტყო, წავიდა და მიადგა მათიანების ვილის დიდ ალაყაფსა და სთხოვა კარში ჩამდგარს, ის ჩემი კაცი გამომიყვანეთო. კარშიაც სუნგალი იდგა და შიგ არ შეუშვა, ოღონდ უთხრა, არ არის შენი სუნგალი აქაო. საღამოს კი დუქნის უკნიდან მოვიდა ამისი ძაღლიშვილი სუნგალი და გაიყვანა იმ უკანა კარში. ხელში რომ არ გამოერთმიათ, უეჭველად

მოჰკლავდა, იმდენი სისხლი ადინა და მგონი, მოსტეხა კიდეც ხელი, საიმისო თაბაშირი სად დაიხარჯებოდა. როგორ მობედა ჩემ სამსახურად მოსვლაო, ამას უსისინებდა დამკავებლებს, უეჭველად მოვკლავო.

ბუზიას კეთილი გული არის ამ ამბავში. გოგო, რომელსაც ახლანდელ აფიშებზე კესანე ჰქვია, იზარდა ამ დუქნის კარზე, კათხების დამტარებლად.

ეძახდნენ გოგოს. ისეთი შავი არ გამოსულიყო, როგორიც დედამისი, მაგრამ არ აკლდა სიმუქე და რო გითხრათ, კალმით ნახატი იყოო, არ გეტყვით, მაგრამ ადრევე დეეტყო მოსახვევები და იცი, რა იყო იმ მდუღარე ხანად ნავსადგურში, ბუზიას ალაგზე მუშაობა და ადრედ დატყობილი მოსახვევები? თანაც, როცა ხარ მხოლოდ თოთხმეტისა? მიაგნო ერთმა კეთილმა ინგლისელმა ქალმა, ასე უშნო სათვალითა და ყბაწინწამოწეულმა, რომელიც დადიოდა ამ ადგილას და აღნუსხავდა უსწავლელსა და უპოვარს ნორჩებს. აღნუსხა ისიც. მოახერხა ერთი რამ დახმარება და საგანგებო სკოლაც, რომელიც თავადვე დაეარსებინა კაი ადგილას, ზედ გუბერნატორის სასახლის პირველ სართულზედ დაანახვა. იმ სკოლაში ხანდახან მისვლა გოგოს დიახაც მოსწონდა, მაგრამ ერთხელაც რომ მობრუნდა იქიდან, დედა ბუზიას ადგილზე აღარ დაუხვდა და იმის მერე მარტო გააგრძელა ცხოვრება. იმის ნათქვამზე და დაბარებულზე ასე იყო, რომ დედა წასულიყო ისევ იმის საძებნად, ვინაც ასე გააშვილიანა. ვიღაც ოხერს ეთქვა, ეხლა ის ბიჭი კი აღარ არისო, ეხლა კარგა დასუქებული ცოლშვილიანი სუნგალია და იმაზე სანდო კაცი მათიანების გვარსა და ჯილაგს აღარც ჰყავსო, ბორბლებით დაჰქრისო. ამას ის ძველისძველი ცემა კი ახსოვდა, მაგრამ უკვე ვბერდებითო და ამ განწყობილობით წასულიყო იმის მოსაძებნად, ეგებ თავის ქალიშვილისთვის რამე გამოიმეტოს, შეგვინახოსო. ვერც სადა, პოლიციამაც ვერ ნახა. იყო დედა და არა იყო რა, ხოლო ინგლისელმა ქალმა თქვა ამის შემდეგ, მისს შიილა სლასმენმა, მე წავიყვან ამ გოგოსო, დაღალა ბუზია და ესეც აღარ მიეძალა. არის ხელში ცხვირსახოცი და ფაფუ, აღარ არის, ახლა კი ისევ არის. ამოაყოფინა ოინბაზმა წვერი და დაგვანახა. მეტად კეთილი ქალი იყო მისს შიილა და კარგ სახლშიაც იდგა იმ კოხტად დახაზულ უბანში, ოღონდაც გვარიანად ეგონა, რომ ცხოვრება არის ისა, რასაც ხედავს და როგორადაც ჰგონია, კარგი და ცუდი და კეთილი და ბოროტი და უნდა იყო მხოლოდ კარგი ან მხოლოდ კეთილი, რაშიაც დიდად შემცდარი გამოდგა. მისს შიილამ გადაწყვიტა, თავად აღეზარდა გოგო და იმგვარი ცოდნა მიენიჭებინა, რომ ნამდვილ სკოლაშიაც კი შეეყვანა. მის კეთილბუნებოვნებას იმგვარად მიაგებდნენ პატივს, რომ ყველაზე კარგი კერძო სკოლაც კი არ დაიშურებდა მისი აღზრდილისთვის ადგილს, მაგრამ იქამდი ხომ მიყვანა გინდოდა. გოგო ღამღამობით იპარებოდა ხოლმე. გადაძვრებოდა თავისი ოთახის ფანჯრიდან და მისცემდა თავს ღამის ქალაქის ფათერაკობას. რახან იერზე ვერ იყო მთლად ქალი, წესრიგიან ღამის დაწესებულებებში არ უშვებდნენ, ნაცნობ ადგილად კი მას ჰქონდა ნავსადგური. მისს შიილა აინუნშიაც არ იყო, რომ გოგო ღამღამობით იპარებოდა ხოლმე. გოგო ცუდად სწავლობდა საშინაო გაკვეთილებს, ანუ საერთოდ ვერ სწავლობდა საღვთო სწავლაშიაც ვერაფრით გამოიჩინა ფხა. ამ გაპარვებში კი მთელი თავისი თავგადასავალი გამოიგონა ნავსადგურის დუქნებისთვის, უცხო ხალხისთვის. თავისთავად მიხვდა, რომ უნდა რაღაც გამოეგონა და რახან ყოველღამ ვერ გამოიპარებოდა სახლიდან, დროის დათქმა დაუწყო ნაირგვარი რჯულის ზღვის ხალხს, ამ ღამეს მოვალო და იმ ღამეს მოვალო. მეტად სასაცილო იყო მისს შიილას შერჩეულ ტანისამოსში. ვინც ცნობდა, უკვირდათ

და ერთხელ საყელოები და სახელოებიც მოახია თავის კაბას, თუმცა მერე საერთოდაც დამალა ის კაბა, მისს შიილა კი კარგა ხანს იკვლევდა, გოგოს კაბა სად დაიკარგაო. ამბავი მოხდა მაშინ, როცა ერთხელ, შინ მობრუნებულმა და სახლის კედელზე ამძვრალმა ფანჯარა ვეღარ გააღო, შიგნიდან ჩაეკეტა ვიღაცას. ვინ ჩაკეტავდა მისი აღმზრდელის მეტი.

აბა, მისს შიილას, მოზარდი თაობის ასეთ მცოდნესა და მოჭირნახულეს გამოეპარებოდა? ჰოდა, დაუგდო არჩევანი გოგოს: აბა, მოაკაკუნე კარსა და მოიბოდიშეო. ბევრ ამნაირ გოგოს გაევლო მის ხელში და უმეტესი უბოდიშებდა ცრემლითა და თხუთმეტი წლის გოგოს თავგანწირვითა. მაშ, რა გამოდის: რომ მისს შიილა არ იბრძოდა ამ უპოვართათვის, თუკი იმათგან საქციელის გამო მობოდიშებას მოელოდა? ასე იბრძოდა, ანგლეზურად, ხოლო გოგომ არ მიაკაკუნა, არცა ჩამოჯდა პარმაღზე და არცა ტირილი ამოუშვა. გამოტრიალდა და წამოვიდა. წამოვიდა და წამოვიდა. აჰა, რამდენს ეძებდა მერე მისს შიილა, რომელსაც არაფრით ჰგონებოდა, რომ ეს საბრალო არსება, რომელიც ღამით გაიპარებოდა ხოლმე თავის ნაჩვევ ადგილებში და უსმენდა იაფ და დაღლილ მომღერლებსა და სრულიად გულწრფელად დაუჟუჟუნებდა თვალებს იუნგებსა და სხვა ასეთ ადამიანებს ზღვისპირა დუქნების კარებთან, სადაც მეძავთა შორიახლოს იდგა და ყველა ჩამოდგომაზე თითო ნაბიჯით ახლო მიუჩოჩდებოდა. მისს შიილამ არაერთგზის გამართა დღის ლაშქრობა ნავსადგურში, სადაც დღისით ვინმეს ძებნა უნაყოფოა და ორჯერ ღამითაც კი გასწია, ნეილონის ლურჯი თავსაფრით შებურვილმა, ოღონდაც გოგოს ვერ მიაგნო. იქ პოლიციელებსაც დაეკითხა და ბუზიას დუქანშიც კი მიაღწია დახლამდე, სადაც დარაბაზე უკვე უმცროსი ბუზია იდგა, უფროსი კი მომკვდარიყო. ვერ იპოვნა. რას იპოვი ცხვირსახუცს მუჭში, როცა იქ არც ყოფილა? მერე კი გაჩნდება, რათა ისევ გაქრეს. გოგოსაც ასე მოუვიდა, იყო იმ ქალის სახლში და სინამდვილეში სხვაგან იყო, ვინაიდან მეტად უხერხული გამოდგა იქ ყოფნა სიჩუმეში და უხმაურობის შიგადაშიგ გაზომილ და მოსაწყენ, სიმკაცრეგამორეულ წინადადებათა სმენა იმ კეთილ მისს შიილასი. დედა არა ყოფილა არასდროს და დედობის ამბავიც მიახლოებით გამოსდიოდა, თუმცაღა სიკეთის ხელობას კი ადგა.

რამდენი წლები ჩამოვყაროთ კიდევა. გოგო სტამბოლშიაც კი მოხვედრილიყო, იქიდან კიდევ ალექსანდრიაში, საიდანაც რომშიაც ჩაეღწია და ალბათ უფრო ამიტომაც იტყოდნენ, რომ ბოშა გახლავსო, იმისი ხეტიალა სული დასდევსო. იმას შეეძლო მარჩიელობა ხელისგულზე, ღვინის ჭიქაზე და საერთოდაც ყველანაირ საგანზე, რასაც კაცი ხელს შეავლებდა. იმას შეეძლო, რომ კაცებისთვის სრულიად იოლად დაეთმო, რასაც სხვები ვაჭრობითა სთმობენ, მაგრამ სამაგიეროს იშვიათად მოითხოვდა, თავისთვის მოსწონდა ეს ამბავი. რატომ გამოიქცა იქიდან და რატომ მოვიდა ისევ აქ, სადაც კარგი არაფერი დახვდა, ძნელი სათქმელი არის. ერთი ქალთა გზირი იყო ნავსადგურში, დელიბო, იმას შეუამხანაგდა და რა ამხანაგობა ეს იყო, როცა დელიბო, რომელიც მოჰკლეს უქარო ღამით, გახლდათ კაცი საზიზღარი და ყოველივე სიმდაბლით ასე დაუნანებლად შემკული. მაშინ მივიდა დეტექტივი ქრიმსონი ნავსადგურის სადგომ ოთახებში, სადაც დელიბო ათევდა ხოლმე ღამეს და დაიჭირა ეს ქალი, რომელსაც აფიშებზე უწოდებენ კესანეს და რა აქვს იმ ყვავილისა, აბა, დათვალე. ქალი დაიჭირა, ვინაიდან ქალი იწვა გულაღმა, ხოლო გვერდით ედგა ჯამი, რომელშიაც უკვე ვარდისფერ მიტკლის ნაჭერს ალბობდა და წყალიც ვარდისფერი იყო იმ ჯამში, ხოლო ქალი კი ამ სველი მიტკლის ნაგლეჯს იფარებდა სახეზე და

კვნესოდა. დეტექტივმა ქრიმსონმა გაუძლო ამის ცქერას, ნაიარევიც კარგად შეუმოწმა, წარბიდან ტუჩამდე რომ წამოსვლოდა შემაძრწუნებელი გრეხილით, რაც იმას ნიშნავდა, რომ განსვენებულმა დელიბომ, რაც შლეგსაც ნიშნავდა ოსმალურად და გიჟი ბიჭიო, დელი ბოიო, ასე იმიტომ ეძახდნენ, უბრალოდ კი არ ჩამოუსვა გაბრაზებულმა სამართებელი ქალს, არამედ ზედ განგებ, მობრეცილად გადმოატარა, რაიც იმას თუ ნიშნავდა ბოროტების ენაზე, გამახინჯებ განგებაო. რა ამბავი იყო ერთმანეთში, ეს სამსჯავრომ მოისმინა, ქალმა ასე სახეგადაფატრულმა დასცა სამგზის თავისი პირადი დანა ამ დელიბოს და მოჰკლა ისე, რომ იმისი საშინელი ხროტინის სმენას ყურიც არ ათხოვა, ვინაიდან ძილში მოჰკლა დელიბო.

უმაღლესმა სამსჯავრომ გაარჩია საქმე და დეტექტივმა ქრიმსონმაც, აგე, რამდენი უამბო მსჯავრისმდებლებს და თანაც გულისტკივილით, ოღონდ კი მითხარი, რომელ მოსამართლეს არა სძულს ასეთი ხალხი, მოკლულიცა და მომკვლელიცა, რომ მოკლულზე ჯავრს ვეღარ იყრის და უმაღლესი სამართლიანობით ჯავრს იყრის სწორედ მომკვლელზე, საიდანაც ის გამოდნა, რომ ათი წელიწადი იყოს გაღმა კუნძულზეო. დიახ, ციხე იყო გაღმა კუნძულზე, სუნგალის კუნძულზე, ოღონდ ქალები არ ეჯდათ შიგა. ერთი ცალკე გადაღობილი მიეშენებინა, ისე, რომ კაცს არ დაენახა ქალი და ქალს კიდევ - კაცი და სულ ამ მისჯილის იქ მისვლისთვის გადაღობილში იჯდა ექვსი ქალი. სამნი ისინი, ვინც ქუჩის მოვაჭრეთ კოკაინს აწვდის ხოლმე, ორნი ასევე ნავსადგურის ქალები, რომელთაგან ერთს კაცი დაემდუღრა და ამით დაებრმავებინა, ხოლო მეორეს იახტით გაეტაცნა ერთი გერმანელი და ზღვაში ბალიშით მოეგუდა, რადგან ჰგონებოდა, ამ იახტითვე გავალ სამშვიდობოს და გერმანელის ფულები და იახტა კი მე დამრჩებაო. აბა, მოდი და ეძებე ცხვირსახოცები მუჭებში, და ერთი იყო ყველაზე ხნოვანი, დედად დაძახებული და ამ ქალთა რაზმეულის მეთაური, რომელიც, როგორც გამოირკვა, სამუდამო პატიმრად იყო სრულიად გაუგონარი საქმისთვის, რომელსაც ახლა ვერას მოვყვებით, ვინაიდან, თუ დაიწყო, ვერ გაათავებ, საზღვარი არა აქვს. ამ დედილოს, ამათსას, სცნობოდა უბედური დედა მისი, ამდენი წლის წინათ გამქრალი და უეჭველი უთხრა, ის მოკლესო. რაიც და როგორც ისაც უამბო, წყალში გადააგდესო და ამით გაუწყო ახალი კიდევ დიდი უბედურობის სუფრა იმ ჩაკეტილში, სადაც ქალები ერთმანეთს არა მტრობდნენ, თუმცა კი უბრაზდებოდნენ. წლები ბევრი იყო და ის დედი კი ღიღინებდა და ღიღინებდა, ჯავრი არ ჰქონდა თავისი ნამოქმედარის, მხოლოდ კი ამ სხვა ქალებსაც აამღერებდა ხოლმე და ამ სიმღერებით იქით ვითომდა ელაპარაკებოდა კაცების ციხეს, ეს ქალები კიდევ ვერ იყვნენ მომღერალნი და სიმღერა ვერ გამოსდიოდათ. იმ დედიმ კიდევ დაატყო, ამ სამართებელჩამოსმულ ქალს სიმღერა გამოსდისო და იქ გადაუშალა ხერხი სადარდოს სიმღერისა. ასწავლა, ვინაიდან თითონაც მოდარდე მომღერალი ყოფილიყო ერთ დროს. ზღვის ხმა არ მოდიოდა ქალთა გადაღობილში. უსიერს ტყეში იყო აშენებული ეს ციხე, ოღონდაც იმან თავად შეიძლო და ტალღის ხმას თავადვე გამოსცემდა, მოტალღეობას სწევდა, რაც ასე საჭიროა სადარდოს მღერისთვის, ვინაიდან სადარდოს არცა სიტრა სჭირდება, არც საზი და არც კიდევ რამე სხვა დაირობა, იმას ზღვის ტალღის ხმა უნდა სამუსიკო ხმად და ასევითარ დააოსტატა ამაში, რომ ტყეში ყველა გული, გვრიტისაცა და მგლისაც, ციხის მცველთაცა და ციხის ტუსაღთაცა, გაალბო და გახადა მომლოდინე შაბათი საღამოსი, როცა რომ დედი იტყოდა ტალღას, ეს კიდევ, ახლა რომ კესანე ჰქვია აფიშებზე, იტყოდა დარდის სიმღერას. ამგვარმა მოდარდეობამ მეტად გააიოლა ქალთა ყოფა ციხის ადგილში და იმათ მიმართ მეტი სიკეთე გამოაჩენინა ციხის

უფროსობასაც, თუმც კი ამ შვიდ საბრალო ქალს, რომელთაც მერე დაემატა ორი, გამოაკლდა ერთი და მერე ასევე ემატებოდა და აკლდებოდა, რა სიმშვიდე უნდა ეპოა იქ, ამას აღარ მოვყვებით.

ძველთა თხრობილთა დარად, როგორც სწერია ხოლმე იმ ძველ ნაწერებში, გაემგზავრა, ვთქვათ, მაურო და გალვაო სხვა ქალაქს და ოთხი წლის შემდეგ დაბრუნდა. რვა წელიწადის თავზე, ორის პატიებით გამოუშვეს ციხიდან ეს ქალი ახალ ქვეყანაში და დედი ქალისგან, რომელიც ალბათ მალე მოკვდებოდა. იმან იცოდა ერთადერთი კარის ადგილი და იმის დანაბარები, მე დედიმ გამომაგზავნა სუნგალის კუნძულიდანო. ეს იყო ადგილი ამ ქალაქსა, სახელად მარანა და იქ იკრიბებოდნენ მოდარდეები და მათი მოყვარულები. ასეთი სხვაც იყო, მაგრამ ის იყო უკეთესი და იქ თუ ვერ გასწევდი მოდარდეობას, მერე სხვაგანაც ცდიდი.

ასე დაერქვა ამ ქალს კესანე მოდარდე და ასე მოირგო შავი თავსაბურველი მოდარდისა, პირისახის დამმალავი. ასე მოაცილებდნენ მარანადან სამშვიდობომდე ჯანიანი სუნგალი დამცველები, რათა ვინმე მსმენელს, მეტად აღტყინებულს, მისთვის გზა არ გადაეჭრა, ვინაიდან უცნობია სახე მოდარდის, რომელიც ამ სიმღერის დარდობისთვის ამ სიმღერისავე მოლოზანად უნდა იყოს. ძნელია ხელობა მოდარდისა და იმაში საიდუმლოც არაფერია. ოღონდ კი არსებობს საიდუმლო და კესანე კი, ვინმესგან დაუნახავი, შეიქნა უპირველეს მოდარდედ მარანას ალაგისა. ქალაქის პოლიციამ იცოდა ვინაობა მისი, ოღონდაც, მოდარდეობის კანონისდა მიხედვით არ გაახმიანებდა. ხოლო კაცმა, რომელიც ერთხელ დღისით მიადგა მაღაზიიდან გამომავალს და გაღიმებულმა უთხრა - შენ კესანე ხარ, - არაფერი იცოდა მისი ცხოვრებისა. კესანემ უარი უთხრა, მანქანაში შეაგდო ძეხვეულობით და შოკოლადიანი ნამცხვრებით გამოვსებული ჩანთა და სცადა, ჩამჯდარიყო, დაექოქა და წასულიყო, თუნდაც იგივე პოლიციაში, მომაშორეთ ეს აბეზარი, მოდარდეს ხომ თქვენც იცავთო, მაგრამ კაცი ჩამოწეულ მინასთან ჩაცუცქდა, როცა კესანე მანქანას ქოქავდა და ისევ უთხრა რაღაც. ქალმა ვერც კი გაიგონა წესიერად - რა, ოღონდ კი კაცი ისევ იღიმებოდა, თმაშეთხელებული იყო და საერთოდაც, ახალგაზრდა. ვითომ უბრალო ჟაკეტი ეცვა, კაი ძვირიანი და პერანგიც იმის შიგნით ვითომ უბრალო და ისიც კაი ძვირიანი. სათვალე შუბლზე ჰქონდა, ძველებური იერისა, მწვანეშუშიანი, ოქროსფერ რკინებში ჩასმული და რა უთხრა, ვერ გაიგონა კესანემ, მაგრამ ასე ყოფილა, რომ როცა რომ გგონებია, ცხვირსახოცი მუჭშიაო, სულაც არ ყოფილა მუჭში, ცარიელა ყოფილა ის მუჭი და ჰოპ, თითქოსდა ახლა უნდა გაჩნდეს ცხვირსახოცი იქა. კესანე არ უყურებდა ხოლმე დარბაზს, თუმც კი შეეძლო დაემახსოვრებინა ეს კაცი და კესანემ გამორთო დაქოქილი მანქანა და შემოხედა პირდაპირ ამ კაცს, თავისი არც ლამაზი, უკვე დაბერებული და ჩამქრალი თვალებით, დაღლილ და სადღაც ჩაკარგულ უპეებში რომ ჩარჩენოდა. საერთოდ არ იყო ის ლამაზი, რომც ყოფილიყო ოდესღაც, აღარაფერი შერჩებოდა, იმ ცხოვრებას ვერ წაშლი ვერც ერთი ფერუმარილით და თანაც, თუ მოდარდე ხარ. კესანე აღარ იყო ღარიბი ქალი. მისი სიმღერების სიდი, „კესანე სადარდო“, ყველგან იყიდებოდა, იმ მაღაზიაშიც კი, საიდანაც ახლა გამოვიდა ძეხვითა და შოკოლადიანი ნამცხვრებით დატვირთული. მაგრამ კესანე იყო სრულიად მარტოხელა და მიდიოდა იქითკენ, რომ უკვე სადარდოც მოსწყინდებოდა კაცს. ეს კართან ჩამჯდარი უცნობი ვინმე კი უყურებდა მის სახეზე დარჩენილ ირიბ ნიშანს, თხელსა და ფერმკრთალს და ისევ უღიმოდა. კესანესთვის არ შეიძლებოდა, რომ მანქანა არ დაექოქა და არ წასულიყო. ისიც კი შეეძლო ეთქვა, ვინა

ხარ, კესანე ვინ არის, საერთოდ არ ვიციო, მაგრამ არც ერთი არა ქნა, იმიტომ რომ მაგათზე ამბობენ, ბოშების სისხლი ურევიათო და მაინც ვერ მოისვენებენო, თუმცა დანამდვილებით მაინც არავინ იცის, ბოშა იყო დედამისი თუ უბრალოდ შავი და მუზმუზელა, როგორიც გამოსულიყო თვითონ კესანე.

კაცმა კვლავაც რაღაცა უთხრა, რაც ასევე ვერ გაიგონა კესანემ, რადგან მიხვდა, რომ ასე არასდროს არ დალაპარაკებია ვინმე და კაცისა კი ახსოვს, მაგრამ აღარ იცის, რა და როგორ. მაშინ კესანემ უყურა ამ კაცს, ისევ დაქოქა მანქანა, სამაღაზიო ჩანთა უკანა სავარძელზე გადააგდო, ისე, რომ ძირს გადმოცვივდა ძეხვები და შოკოლადის ნამცხვრები და აღარც მოხედა, ისე უთხრა კაცს: დაჯექი.

და აქედან კიდევ ერთხელ აირია კესანეს ცხოვრება, ვინაიდან ასე არის, რომ ცხოვრების ხურდა ფულს რომ შეათამაშებ თითებში, ერთ მხარეს აწერია სიცოცხლე, ანუ დრო, ხოლო მეორე მხარეს მოთხოვნილობა, უფროსი და დაუნდობელი დაიკო სურვილისა. ხოლო ამის შემდეგ მოგონილი იყო იმ კურდღლის ამბავი, ღარიბმა აზნაურებმა რომ მოინადირეს და ერთმანეთს გატყავებას არ აცლიდნენ. ჰოდა, კესანე კვლავაც უყურებდა იმ ოინბაზურ ილეთს. აი, ცხვირსახოცი ჩემს მუჭში, ჰოპ და აღარ არის. აი, უყურე, აი, ისევ აქ არის, ოპ, ოპ, ოპ, ოპაა... და ვერც ერთხელ ვერ დაინახავდი, სად არის ცხვირსახოცი სინამდვილეში.

კესანემ არ იცოდა ამნაირი შეკითხვები, რომ სად არის ნამდვილი სიცოცხლე და სად არის, რომ რაღაც არსებობს, რასაც უძახიან ბედნიერებას, მაგრამ ის გრძნობდა, რომ აქაც რაღაცა იქნებოდა ისე, როგორც არ უნდა ყოფილიყო. კესანე მოიტაცეს ორჯერ, დიდად ვერ შეიტყო, რისთვის. ერთხელ ვინც გამოიხსნა, მეორედ იმან მოიტაცა. ეს კაცი, ვინც მოაკითხავდა ხოლმე, იყო ამოუცნობი კაცი, სახელი და გვარი მისი არაფერს ნიშნავდა, ვინაიდან მან თავად წაართვა ყოველგვარი აზრი თავის სახელსა და გვარს, რაიც გვარიანი მნიშვნელობისა იყო ამ ქვეყანაზე. ამ კაცმა, კესანეს რომ ძალიან უმცროსად ესახებოდა, თუმცა შეთხელებული თმის გამო ემატებოდა ასაკი, თითქოს წინდაწინვე იცოდა ყველაფერი, თუ რა მოხდებოდა და როგორ მოხდებოდა. ეგებ იმიტომაც, რომ ბანქოს მოთამაშე იყო და ამით ჰქონდა გამოთვლის უნარი, თუმც კი ის კარგი კაცი იყო. კესანე წყვეტდა დიდხანს, შერჩენოდა ამ კაცს, ბოლომდე მიჰკვროდა და კიდევ ერთხელ დამართნოდა დასამართი თუ ყოფილიყო შორიახლო და მისგან ყოველგვარი სიკეთით ესარგებლა. იმათი შეხვედრები აღარ იყო საიდუმლო იმისთვის, ვისთვისაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს კაცი ისეთი ჩანდა, რომ არაფერი ეკვროდა და კესანეც ამას მოიდარდებდა, არაფერი ეკვრის და მეც განა მიმიკრავს იმაზე მეტად, რომ ზედ შევრჩეო? რაც დაუნახავს კესანეს ცხოვრებაში, ეს იყო ყველაზე უცნაური ამბავი ეს კაცი ამ ულამაზო ქალთან, რომელსაც დელიბოს ნიშანი ედო სახეზე. თუმცა რას გაუგებდი იმ კაცს, რომელიც ყოველთვის იღიმოდა. ეგებ, სწორედ ეს ნიშანი მოსწონდა, ვინაიდან სიმღერის გამო მოძებნა კესანე და რა გაიგონა იმ უსიტყვო სიმღერებში ამ კაცმა? ოჰ, დაო... დარდი? კესანემ ერთხელ იფიქრა, რომ ამ კაცს ანატკივები ადგილები მოსწონდა თუ ეცოდებოდა, უყვარდა თუ ... ეს კი ნამდვილად შეამჩნია კესანემ, ოღონდაც რახან...

ციხისთავი და მოდარდე ქალი

იმ გრძელ ოთახში რვა კაცი მაინც მიმჯდარიყო. ეგონა, რომ იქიდან ვეღარასდროს გამოვიდოდა. საერთოდ სიბნელე იყო, სანთლები და ლამპები დაემარჯვებინათ და ფრთხილად გადაწევდნენ ხოლმე იმ შავი საგმანავი ფარდების კიდეებს და უკუნეთში იჭყიტებოდნენ. აქ ძალიან ახლო იყო ზღვის ხმა, გადაღმა კიდევ - ნავსადგური. ეს ადგილი ადრე ძალიან შორეულად ჩანდა. იქ სამხედრო მუზეუმიაო, ასე ამბობდნენ, თვითონ კი, აბა, რა უნდოდა მუზეუმში, ოთახში კი ერთი, ორი, სამი, რვა კაცი იყო. ერთ დიდ მაგიდას მოსხდომოდნენ, ვინ ჭამდა, ვის თავი დაედო და ეძინა, ერთი-ორი იმ ფანჯრებიდან იჭვრიტებოდა. მაგიდის თავში კაცი იჯდა, რომელმაც, შეიყვანეს თუ არა, ხელი დაუქნია. მსუქანი კაცი იყო, სანთლის შუქი ნახევარ სახეზე ეთამაშებოდა, ცალი ულვაში უჩანდა, მოკლე, აკაპიწებული მკლავი, სქელი მაჯა, მაჯაზე - საათი.

- მო, მო აქა, აქ დამიჯინეთ, - გამოცოცხლდა კაცი, - მო აქა, გოგო, მოდი... ეხლა მითხარი, შენა ხარ კესანე მოდარდე?

ქალმა თავი გააქნია, კაცს გაეცინა.

- შენი ტოლა შვილები მყავს, - გაეცინა კაცს, - ეხლა რა გიყო? მითხარი, შენა ხარ? პოლიციის ქაღალდებზე გაგზავნილი მყავს ხალხი, მოვლენ, შენსასაც მაიტანენ... მერე რას მეტყვი?

ქალს არ უპასუხია.

- ზემოთა კოშკში ერთი ოთახია. კარებზე აწერია, მუზეუმის თავმჯდომარე ალფრედო და კოსტაო. ეხლა ის ადგილზე არ არი, შვებულებაში გავიდა და ეგება, უკვე ღმერთსაც ელაპარაკება. ოთახი ცარიელაა და შენ დაგნიშნამ იმის თავმჯდომარეთ. აგიყვან ეხლა, ჩაგკეტავ შიგა და იყურე მერე ფანჯრიდან, ზღვა იქიდან არი და ქალაქიცა. თუ გადახტები იმ ფანჯრიდან, ღმერთმა მშვიდობით გაფრინოს. ანგლეზმა რო ყუმბარა გამოუშვას ან ვინმემ სხვამაც, ვისაც არ დაეზარება, პირველი მაგ კოხტა ოთახს მოხვდება და ფანჯრიდან გაფრენაც აღარ დაგჭირდება... ჰა, ქალო, მართლა მუზეუმში ხარ? ვერა ხედავ აქ დალაგებულ თოფ-ირაღსა? სულ ამერიკულებია... ჰედქვოთერი მაქ აქა, გაიგე?

ქალმა თავი დაუქნია.

- იცი, ვინა ვარ?

ქალმა ისევ თავი დაუქნია. მსუქანა კაცმა სიგარეტის კოლოფი ამოიღო ჯიბიდან და მაგიდაზე დააგდო: - მოდარდე ხარ, გეყვარება კვამლებიო... მოსწი, ჰა...

ქალმა არ აიღო.

- ვახ... ბოლომდის იცავს, - ჩაიცინა კაცმა, - შენი არაფერი მინდა, ეგა ხარ თუ არა?

- კესანეა, - თქვა ერთმა, რომელიც ჭამდა.

- შენ კი გეცოდინება... ბიჭო, ფიდო არ იდგა მაგათ კარში ხოლმე?

- ხო...

- მერე ეხლა სად არი?

- სად არი... - თავი გადააქნია კაცმა, - არ იცი, სადაც არი? ფანჯარას რო ამბობ, ეგება მაგ ფანჯარას უმიზნებს ისიცა...

მსუქან კაცს არ ეამა.

- რა უქნა ბალღებსა, საით წაიყვანა... ბიჭო, შუქი აღარ გაკეთდა, რო თვალები არ დავითხარო?

- შუქი რად გინდა, კესანეა, - არ დაიშალა იმან, - გინდა ფერდში მიეც ნახევარი თითის დადებაზე დანა და იმდენი გიდარდოს, ვეღარ გააჩერო.

- ეგ ჩვენი არ არი, - თავი გააქნია კაცმა, - ჩვენი სიმღერა სხვა არი... რა მივცე, ბიჭო, რა თქვიო?

- რაც გინდა, ის მიეცი, - ახითხითდნენ მძინარეებიც კი, - ეხლა რაღას უზამ? კესანეა. მაგის მეტი რა ვიცი?

- გაიგე, გოგო? კესანეაო და რაც გინდა, ის მიეციო... მე პურსაც მოგცემ და ყველსაც, ოღონდ იქ მეყოლები, თავმჯდომარის ოთახში. თავმჯდომარე წავიდა, მანამდის შუქები გააფუჭა და ისე წავიდა, მთელი მუზეუმი სარდაფებში ჩაყარა. ველური ვგონივარ, გაიგე შენა, ჩიბუხის ნამტვრევის ფასი არა მცოდნია...

ქალი ისევ ჩუმად იჯდა. რა უნდა ეთქვა?

- ეხლა მისმინე, კესანე, გოგო, - უთხრა მსუქანამ, - ეხლა გამოგკეტავ მაღლა და ყველას გავაგებინებ, რო გამოკეტილი ხარ. დათა ვისრამიანი რო შეიტყობს, რო აქა ხარ, მომიკუნკულდება თავის ფეხითა, იმიტო რო ლამაზად დაუნახიხარ... ეტყობა, ბნელში რო დაგინახა, სინათლეში აღარ დაუთვალიერებია. ჰოოონდე, მეც მაგ დათას დეველოდებიიი... მერე კიდე - დედამისსა, კაია ვისრამიანსაა, მერე კიდე - პაპამისსა, საფლავად რო ჰყამთ და არ ამხელეეეეენ, მოვხვევ ყველას ხელსა და გაუშვებ სუნგალის ქვეყანაში მიწის მუშადაااა... ყველა ჩვენ კიდე დავისვენებთ... ხო გაიგეეე...

ქალმა თავი დაუქნია.

- ეგრე იყოს, ჰა? რამე უარი ხომ არ გაქს?- ვითომ გამოაჯავრა კაცმა.

- დათა ვერ გაიგებს, - თქვა ქალმა.

- რათაო?

- აქ არ არის.

- ვაააჰ? ... მა გუშინწინ მათალოსთან ვინ იჯდაო?

- არ ვიცი...

- ნუ იტყვი, მაინც არ გაგიშვებ. თუ არ გამოჩდა, მერე გაგიშვებ...

- არ გამოჩდება, - უცებ ატირდა ქალი, - რა გინდოდათ? რატო ქენით ასე?

და ტიროდა.

კაცმა თვითონ ამოაცოცა კოლოფიდან სიგარეტი, სანთელს მისწვდა ხვნეშით, მოუკიდა და უფრო გაჯავრებით დაიძახა: - ვეღარ გააკეთეთ, ბიჭოუ... - მერე ქალს მოხედა და ცოტა დარდიანათა თქვა, - გოგო, თუ ეგრე გიყვარდათ ერთმანეთი ამ ქვეყანაში ხალხსა, აქამდინ სად იყავით... აუცილებლივ თოფი უნდა ამეღო ხელში? ნუ სტირი ეხლა, თორე, აგე, ბიჭები ისედაც ფხაზე არიან... აიყვათ მაღლა, გამოჰკეტეთ იქა, მერე ვნახოთ...

ახალი დროების საჭიროებანი

კაია ვისრამიანი თავის ორ პორტრეტს შუა იდგა სასტუმრო ოთახში და თავისი ქალიშვილის ორ პორტრეტს უყურებდა მოპირდაპირე კედელზე. ჯერ ერთს შეხედავდა, მერე - მეორეს, მერე კი - ამ პორტრეტებს შუა, კედელთან მდგარ ვისრამიანთა მოურავ მარტიას.

მარტია პასუხს უგვიანებდა.

- რას ფიქრობ?

მარტიამ იატაკს გაუსვ-გამოუსვა ფეხის წვერი, თითქოს ორღობიდან აყოლილი ტალახი უნდა დატოვოს კართანაზეო და თქვა: - არაფერი... ამეტირა თუ რა ჯანდაბა იყო.

- ასე ვქნათ, მარტია. კუნძულზე სახლი გადაკეტილია. მორჩა და გათავდა. სანამ გვარების შეკრება არ იქნება, ამ ამბავს არ გავახმიანებთ, იქ კიდევ მე მივალ.

- საბრალო... საბრალო... - ხვნეშა მოაყოლა მარტიამ.

- ეხლა უნდა გაიწოვოს. ექიმ ტროპეზს მე ველაპარაკე. იქიდან სიჩუმე იქნება. ის ახალგაზრდაც კაი ბიჭი იქნება. ექთნები ორნი იქნებიან, იმორიგეევებენ. მაგის სახლის ექიმიც სულ იქ იქნება. შენ ექთნებს აჩუქე რამე, რომ პირი არ მოაღონ. რა ვიცი, რამდენს აძლევენ ხოლმე ექთნებს?

- ექთნებს კი მივცემ...

- ეხლა ვინმემ წამიყვანოს... შენ აქ უნდა იყო.

მარტიამ თავი დაუქნია.

- გაიწოვს? - ჰკითხა ბოლოს.

- ვილოცოთ... ასაკი, ხო იცი?

- თქვენ ძმებს...

- ეგ შენ არ გეხება.

- არა... თქვენთან ერთად ხომ არ წამოვლენ?

-გუშინ იქ იყვნენ, თუ მოუნდებათ, დღესაც ჩამოვლენ... ამდენ ხანს ვერ მიხვდი, ვინ არიან ეგ დასუქებული კატები? მაგათ მე მივხედავ. მამაჩემი ეძახის მაგათ დასუქებულ კატებს... მაგათ ქაღალდები ფურცლონ, ოჯახი მაგათი საქმე არ არი.

მარტიამ თავი დაუქნია.

- ბავშვები მომინახე, მაგათ არც იციან... ბუ აქ იყოს, არ მჭირდება ბუ. ოღონდ მიხედე, რამე სისულელე არ მოახდინოს.

მარტიამ კვლავ თავი დაუქნია. ხვალ ჩამოვალ, შუადღემდე. არ ვიცი. შევხედოთ, ეგებ აქაც გადმოვიყვანოთ. ჯერ განძრევა არ შეიძლება, მაგრამ ვნახოთ. არ მინდა, რო ლაპარაკი დაიწყონ.

- ხო, - თქვა მარტიამ, - როგორ წეგვექცა... ეხ...

- ნუ კვნესიხარ... ეხლა მომისმინე. ხვალ, ჩემი ჩამოსვლისთვის, ის ქალი მომიძებნე, დათას ქალი. აქ მომიყვანე. მჭირდება.

- მოდარდე?

- ხო... ის ქალი მომიყვანე აუცილებლად. დათა არ მინდა, დათას, უბრალოდ, უთხარი, რო ბაბუამისს სისხლი ჩაექცა. თვითონ იცის, რა ქნას.

- მოვძებნი...

- აუცილებლად. უთხარი, ამბავს მოგიყვება-თქო.

მარტიამ მავედრებლად შეხედა.

- რა იყო?

- არ გინდა ეგ ამბავი, - უთხრა ხმადაბლა.

- რა მოგივიდა? რა ამბავი არ მინდა?

- ეგ...

- რა ეგ? - სწრაფად ჰკითხა კაიამ.

- ეგ...

- შენ ხო არ გაგიჟდი, მარტია? რაზე ამბობ? შენ ვის ოჯახში ხარ? თუ არ გინდა, წადი აქედან, მადლობას გზაში დაგაწევ...

მარტიას არაფერი უთქვამს.

- თქვენ, სუნგალებს ერთი უბედურება გჭირთ. თან გინდათ, რო სუნგალები იყოთ და თან მოსამსახურეები ხართ. ერთად არ გამოდის. ვეღარ მიხვდი?

- როგორ ვერ მივხვდი... მიხვედრილი არ ვარ? - მოცოცხლდა მარტია, - ჩვენ რო, სუნგალებმა, ერთმანეთთან ვილაპარაკოთ, რაც გვინახია, ის მოვყვეთ, ამ ქვეყანაში ვინღა დარჩება? ჩვენ ვიქნებით. მეტი არავინ.

- გამიშვი ეხლა, დაურეკე, წამიყვანონ...

ჯესიკა დე რაიდერის სამგზავრო კომპიუტერიდან

თავს წამოვადექი და ვუთხარი: - მისტერ ვისრამიანი, რა გახდა ასეთი, რომ აუცილებლად ქუჩა-ქუჩა უნდა გეძებოთ?

ალბათ გაოცებულმა ამომხედა, თუმცა მუქი სათვალე ეკეთა და მისი გაოცება სახის არცთუ ცოცხალ და დაუფარავ ადგილებში ვერ ამოვიკითხე.

ეს იყო რესტორან „ლიგურიის“ ტერასაზე, ივნისის ბოლო კვირას, ლანჩის საათს. ძლივს გავიარე მაგიდებს შორის და უნდა ვთქვა, რომ ვერავინ მიცნო, ისე ჩაღრმავებოდნენ თავიანთ რიზოტოებს და პასტებს.

მან კი ამომხედა და თუმცა არ გაოცდა, წამოდგა.

- მემ? - მთლად ინგლისელი ვეგონე.

- მე ჯესიკა დე რაიდერი ვარ, მისტერ ვისრამიანი. თქვენ ხომ დათა ხართ?

- დიახ.

- მე, მწერალი ვარ...

- დიახ, დიახ... ვიცი, - დაბრძანდით, - ჭილის სავარძელს მისწვდა, - ჰეი, - მიმტანს გადასძახა.

- არა, არა, მე არ ვსვამ დღის ამ საათს, - თავი გავაქნიე.

- დიეტაზე ხართ? ჭიქა კიანტი დალიეთ.

- მაშინ ვარდისფერი იყოს.

დაუკვეთა და სათვალე მოიხსნა: - გისმენთ.

- არც ისე ცუდი ქალი ვარ, მისტერ ვისრამიანი.

- ხო, მაგრამ ინგლისურად რატომ მალაპარაკებთ? თქვენ ხომ...

- კი... კი, რა ვიცი, როგორღაც, - მგონი, წამოვწითლდი კიდეც. ალბათ გეზარებათ კიდეც ბებრუხანასთან ლაპარაკი, - აი, ასე ვუთხარი, - მაგრამ ორი დღეა, გეძებთ.

- აი, მიპოვეთ.

- არც ტელეფონი, არც მობაილი, არც...

- ცხოვრება...

- ო, მისტერ ვისრამიანი. დიდად, დიდად დამაბნიეთ...

- არა, რატომ... ბრძანეთ. და ნუ მეძახით მისტერ ვისრამიანს.

- კარგი, კარგი, დათა... არ ვიცი, წაგიკითხავს თუ არა ჩემი წიგნები, ამას არცა აქვს მნიშვნელობა. ერთადერთი რამ მინდა, გკითხო...

ღმერთო, როგორ ზუზუნებდნენ გარშემო.

- ერთი რამე. ეს ამბავი ერთმა კაცმა მიამბო, ტევერენ დე მორანდმა.

- ვიცნობ, - თავი დამიქნია.

ყველაფერი ჩამიშალა.

- მოკლედ, - ამოვისუნთქე და ვუთხარი, - წიგნი უნდა დავწერო თქვენზე.

გაეცინა.

- და ნებართვის სათხოვნელად გეძებდით.

- თქვენ ძალიან ლამაზი მანქანა გყავთ, სამოცდაშვიდი წლისა, ვარდისფერი, ხომ არ მეშლება?

- თითქოს არა...

ის დადუმდა.

- ეს უარს ნიშნავს?

- არა. უბრალოდ, რას მეკითხებოდით?

- ეს რომანი იქნება. თქვენ სულ სხვა სახელი და გვარი გექნებათ. თქვენი ცხოვრება კი... მოკლედ, ბევრი რამ ვიცი თქვენზე დათა. მომღერალ ქალზე, ოჯახზე... ეს ადრეც ვიცოდი. თქვენ რომ ერთ ბერთან მეგობრობთ და ის რომ ნამცხვრებს გიზიდავთ ხოლმე იმ მიტოვებულ ბაღში. ოჯახი რომ... - ამასობაში ისევ ინგლისურზე გადავედი.

გაეღიმა.

- მორანდმა მოგყიდათ ამბები?

- არა, არა... სულ სხვანაირად მოხდა, ვახშმობისას.

- აქ ერთი კაცია... ლამურ მოსიარულე. გაგიგიათ?

- არა...

- ის ყიდის ხოლმე ამბებს.

- მე მინდოდა მეკითხა.

- მესმის... ჩემთვის სულ ერთია, მისს დე რაიდერ, რახან ამ ენაზე მელაპარაკებით. უბრალოდ...

- რამე გეხამუშებათ? სულაც არა ვარ ცუდი ქალი. თუ მეტყვით, რომ... მეც არ მინდა ძალით გავაკეთო რაღაც.

- ვიცი, რომ ცუდი ქალი არ ხართ... უბრალოდ, ბოლო არ იცით.

- ბოლო?

- ჰო. წიგნი როგორ დამთავრდება?

- ეს გამოჩნდება.

ჩაიცინა.

- მართლა გამოჩნდება, - თავი დამიქნია, - ოღონდ, არ ვიცი, თქვენი და ჩემი თუ დაემთხვევა.

- გმადლობ, დათა...

- არაფრის... ოღონდ...

- რა?

- არა, არაფერი. მომღერალი ქალი არ მოკლათ. ვიცი რომანების ამბავი. მე გადამარჩენთ და...

სიცილი ამიტყდა.

- ასეა, არა?

მე რომ ხუთი წლით ახალგაზრდა ვყოფილიყავი, სულაც არ დავიწუნებდი იმის გამო, რომ თმა შეთხელებოდა. ისიც, ალბათ სხვანაირად შემომხედავდა.

- ძალიან კარგი სტილი გაქვთ, სამოციანების, - მითხრა ბოლოს. ხედავთ?

დიდი ნავი ზარბაზნით და ბუმბის ძნებით

თოკები აგათია ბებიასთვის

შემცდარია ის, ვისაც ჰგონია, რომ თოკის საჭიროება დამცრობილია დედამიწაზე და იგი, კნინი იერისა, მხოლოდ სარეცხის გასაფენად გამოიყენება და ისიც გარეუბნებში.

თოკი ათასი სხვა რამისთვისაც მოსახმარია. მაგალითად, სოფლად ურჩ ძროხებს ჩააბამენ ხოლმე რქებში და ასე მოათრევენ შინისკენ. ესე ყოველი სასაცილოა იმასთან შედარებით, რაგვარი მნიშვნელობაც მინიჭებული აქვს მშრალი ადგილისგან განსხვავებით იმ მიწას, რომლის კიდეც მოსველებულა მლაშე წყლით. ჩამონათვალი ზღვისპირა ალაგზე საჭირო თოკეულობისა მოიცავს ათას ორას სიტყვას და იგი ნუსხადაა დადგენილი დე კრემონტეს 1587 წელს დაბეჭდილ წიგნში, რომელიც, სხვათა შორის, ინახება ვილა და კოსტას ბიბლიოთეკაში. ეს წიგნი იწყება ასე: „აღიარებულია, რომ ზღვისპირა ადგილებში განსაკუთრებით ფასობს ერთი კარგი, იოლად სანასკვავი და ძნელად განსანასკვავი თოკი. აქ მე არა ვსაუბრობ თოკთა სახეობებზე, უბრალოდ, აღვნიშნავ, რომ თოკის სიკარგე შეფასდება ორი ხერხით:

გამძლეობითა და მისი ნასკვადობით. დანარჩენი ყოველი, ხაო, სისქე, წნულობა ანდა სლიპინობა საჭიროებისდა მიხედვით უნდა იქნას არჩეული.

თოკის პირველი თვისება, ანუ გამძლეობა, მოწმდება შემდეგნაირად: მას ორივე ხელში დაიჭერ და გაქაჩავ. ოღონდ, ეს ხერხი არ გამოდგება მხოლოდ წვრილი თოკების შესამოწმებლად. უკეთესია, თუ მსახური გახლავს ასეთ დროს, რადგან თოკის მეორე ბოლოს ის დაიჭერს და გაქაჩავს. თოკის გამყიდველი არასდროს იმგვარი მონდომებით არ გაქაჩავს თოკს, როგორითაც მსახური, ვინაიდან მას მაინც შიში აქვს.

თოკის მეორე თვისება, ნასკვადობა, უფრო ძნელი შესამოწმებელია. ნასკვი უნდა გახსნას კაცმა, მაგრამ ვერ უნდა გახსნას ბუნებამ. მყიდველმა თოკი თავად უნდა გამონასკვოს და მერე თავადვე უნდა განანასკვოს. მან განასკვაზე ოცჯერ მეტი დრო უნდა დახარჯოს განნასკვაში, თუ, რა თქმა უნდა, არ არის ნასკვების საგანგებო ოსტატი, რომელიც წინდაწინვე იტოვებს საგანგებო ხერხს, რათა იოლად გახსნას ნასკვი. თუ კაცი განნასკვის დროს მოიქანცება, მაშინ თოკის განნასკვა ბუნებასაც გაუჭირდება, ქარს, ან წყალს, ან კიდევ ქვას და სხვა რამეს.“

დე კრემონტეს წიგნში აღწერილია ყველაფერი, რაც თოკებს შეეხებოდა იმ საუკუნეში და დიდი ბიბლიოფილი, ციტადელის მუზეუმის თავმჯდომარე, ალფრედო და კოსტა ყოველთვისაც გადაფურცლავდა ხოლმე ამ წიგნს აღტაცებული. მას არასოდეს ეგონა „თოკები და მათი მოხმარება“ მხოლოდდამხოლოდ სახელმძღვანელო და ამ წიგნში ათას სხვა რამესაც მოიპოვებდა ხოლმე, ვითარცა უიმედო კაცი. ბოლოდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული ამბები მეტად მოქმედებდა თავმჯდომარე და კოსტაზე და ათწიგნიან საკითხავ ყუთში, რომელიც მას ზამთრიდან გაზაფხულამდე გადმოჰყვა, ეს წიგნიც იდო. სინიორ და კოსტასთვის რომ გეკითხათ, ეს წიგნი უფრო მნიშვნელოვანი იყო ჩასაფიქრებლად და სახელმძღვანელოდ, ვიდრე გუსტავ ლებონის „მასების ფსიქოლოგია“, რომელიც ახალგაზრდობის შემდეგ არ წაეკითხა და ამ ზამთარს კი ჩაუჯდა. „ჩვენს ქვეყანაში არ არის მასები,“ უთხრა თავის ძმიშვილს იმ ზამთარს ალფრედო და კოსტამ, - „ჭკვიანი კაცი თოკების წიგნს გადაიკითხავდა.“

ამ წიგნის ერთ-ერთ პატარა თავში აღწერილი იყო სახრჩობელებისთვის საჭირო თოკები და მათი ნასკვები. საკუთრივ ეს პატარა თავი კი იყო ნაწილი თავისა, რომელსაც ერქვა „ყულფები და მათი გამონასკვა“. თოკით კაცის მოკვდინება, როგორც სასამართლოს განაჩენი, უცხოური წესიაო, ამბობს დე კრემონტე, თუმცა მალე გავრცელდება ქვეყნად, როგორც ყველაზე მოსახერხებელი და ხარჯის დამზოგავი ილეთიო. ის მოგვითხრობს, რომ ამგვარ მოკვდინებას უფრო გემებზე მისდევენ, თუმცა იგი გავრცელებულია სხვაგანაც. „ჩამოსახრჩობი ყულფის გამონასკვა დიდ ოსტატობას არ მოითხოვს. ცნობილია ოთხი ხერხი, რომელიც ამ საქმისთვის გამოდგება. ერთი შეხედვით, ასეთი ყულფი ჰგავს ქამანდის ყულფს, რადგან ნასკვი იმდაგვარი ხერხით არის მოხერხებული, რომ თოკმა მის შიგნით დაუკავებლად ისრიალოს. თუ თოკი ასეთ ნასკვში გაიჭედება, მაშინ ყულფი არასწორად გამოუნასკვავთ. ქამანდის ყულფისთვის, რომელსაც ცხენისთვის მოიხმარენ ხოლმე, სულ სხვა თოკი მოიხმარება ის უნდა იყოს ხაოს გარეშე და ბევრად წვრილიც, ვიდრე ჩამოსახრჩობი თოკი, ვინაიდან ჩამოსახრჩობ თოკზე ადამიანი ჰკიდია, საქამანდე თოკს კი ცხენი მხოლოდ უძალიანდება და როგორც კი მოგუდვას შეიგრძნობს,

დაჰყვება მექამანდის ნებას. ჩამოსახრჩობი თოკი წვრილი და უხაოო ვერ იქნება. ის კარგად უნდა იყოს ნაგრეხი და ორი თითის დადება სიმსხოსიც უნდა გახლდეს, რათა სამართალი აღსრულდეს სწრაფად და სწორად. ხაოიან თოკზე კი იმგვარი ნასკვის გაკეთება, რომ შიგ თოკი სწრაფად და იოლად მოძრაობდეს, საკმაოდ ძნელია, ვინაიდან ხაო ამის ხელის შემშლელია. ამიტომ ჯალათები ხშირად მიმართავენ ასეთ ხერხს, რომ თოკის იმ ადგილს, რომელმაც ნასკვში უნდა გაიაროს, გასანთლავენ ხოლმე, რათა მოძრაობა გაუადვილონ თოკს. ყულფი, რომელსაც ყელზე შემოაჭდობენ სიკვდილმისჯილს, მტკიცედ ეხვევა მის კისერს და თითქოს მისი მეტად მოჭერა შეუძლებელია, მაგრამ როგორც კი ფეხქვეშ სადგომი გამოეცლება, თოკზე ყელით ჩამოკიდებული კაცი თავისთავად ექაჩება ყულფს მიწისკენ, რაც იმას იწვევს, რომ ყულფი კიდევ უფრო უჭერს ყელზე. თუ რომელიმე ხაო გამოეჩხირა ასეთ დროს, თოკი სასიკვდილოს აწამებს, გასანთლული კი ხაოების გარეშე, უფრო მტკიცედ შემოეჭდობა და უფრო სწრაფად მოაკვდინებს, რაც ჯალათის კეთილგანწყობაზე უნდა მიუთითებდეს. მომავალ დროში, როცა ჩამოხრჩობით მოკვდინება კიდევ უფრო გავრცელდება, ჯალათები უფრო მოქნილ ხერხებს და ნასკვებსაც გამოიგონებენ.“

ამ პირქუში აღწერილობის შესახებ ჩაფიქრებული სინიორ ალფრედო აუცილებლად გადაუკითხავდა ძმიშვილს „ტყვეთა კოჭვის ნასკვების ოსტატობას“ და ასევე „გათოკვის ოსტატობის ხერხებს ამისთვის მოსახერხებელი და მოუხერხებელი თოკებით.“ პირველში, სხვათა შორის, ეწერა: „ტყვეთა კოჭვის ოსტატობა, ბოლო ხანია, მეტსა და მეტს მნიშვნელობას იძენს. დღეს ესპანეთსა და ბრიტანეთში გავრცელებულია ტყვეთა კოჭვის საუცხოო ხერხები. ჩვენ უნდა ავხსნათ, რომ აქ ლაპარაკია არა იმდენად ომიანობის დროის ტყვეთა გაკოჭვაზე, არამედ იმ სამუშაო მუშახელზე, რომელიც სხვადასხვა ადგილებში სჭირდება ამ ორ ქვეყანას. ვთქვათ, ზღვის გაღმა სამფლობელოებში, სადაც, რკინის დაზოგვის მიზნით, მრავალი ველურის სამუშაოზე გაყვანისას, რათა ისინი არ გაიქცნენ, იყენებენ სწორედ თოკებს. რკინას ვერ გაჭრი რკინით, თოკს კი გაჭრი, მაგრამ თუკი ტყვეებმა საერთოდ არ იციან, რა არის ბასრი ფოლადი და ასეთები კი ბევრნი არიან, მაშინ სქელი თოკების საბამი, მართლაც, კარგი გამოსაყენებელია. თანაც, თუნდ დანა ჰქონდეს მონას, მას მხოლოდ თავის დახსნა შეუძლია და ისიც მცირე ხნით, ამიტომ უსარგებლოა ჯაჭვების დახარჯვა ბევრ ტყვეზე, რომელთაც ესპანელები და ინგლისელები თავიანთ სასარგებლოდ ამუშავებენ ახალ მიწებზე.

თითოეული მონა გადაბმულია ერთმანეთზე კისრებით და ყოველ ამათგანს კისერზე საგანგებო მარყუჟი უკეთდება ისე, რომ იმის გამოხსნა მას არ შეუძლია, რადგან ერთი ბოლოთი მარცხნივ მდგომს უკავშირდება, მეორით კი - მარჯვნივ მდგომს. თანაც, ეს მარყუჟები კისრის უკანა მხარესაა და არა ყელზე, ასე რომ, რომც გინდოდეს, ვერ მიწვდები. ხელები და ფეხები ტყვეს თავისუფალი აქვს და მართლაც, ძალიან ბევრი რკინა დაიხარჯებოდა, ამათთვის რომ ბორკილები გამოეჭედათ. ერთ მწკრივში გადაბმულია ოცდაათი კაცი, მათ შორის უმეტესი მანძილი შეზღუდულია სწორედ თოკით, რომელიც, თუ გაჭიმავ, ნაბიჯ-ნახევარი გამოვა. მწკრივის თავში თოკის ერთი ბოლო უჭირავს ერთ ზედამხედველს, მეორე ბოლო კიდევ მწკრივის ბოლოში - მეორე ზედამხედველს. რომელიმე ტყვემ რომც მოახერხოს და გადაჭრას თოკი, ის მხოლოდ ცალმხრივ ითავისუფლებს თავს და სანამ მეორესაც გადაჭრის, ზედამხედველი შეამჩნევს, გამოჰქაჩავს თოკის ბოლოს და მთელს მწკრივს წონასწორობას დააკარგვინებს, მერე კი მათრახის ტყლაშუნით დაერევა მათ.

მუშაობის დროსაც კი ზედამხედველები მალიმალ ქაჩავენ თოკების ბოლოებს, რითაც ტყვეებს ახსენებენ, რომ ისინი ვერსად გაიქცევიან. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი ხერხი უფრო გამოიყენება სწორედ ახალ მიწებზე, სადაც ტყვეებად არიან დაბალი გონების ადამიანები, რომელთაც, როგორც მოგახსენეთ, არც კი იციან როგორ უნდა გადაჭრა თოკი. სამაგიეროდ, ეს ხერხი მეტად იაფია და თოკის გრეხასაც უფრო იოლად სწავლობს ადამიანი, ვიდრე რკინის მოპოვებას, მის დნობას და მისგან საბორკილე ჯაჭვების დნობას. ათი გადაჭრილი თოკის სანაცვლოდ მეთერთმეტის ყიდვა უფრო იაფია, ვიდრე ერთხელდასამუდამო ჯაჭვის გამოჭედვა და ასხმა.“

ძნელი წარმოსადგენია, რა იყო ასეთი მტკივნეული და მძაფრად ჩასაფიქრებელი ამ წიგნში სინიორ და კოსტასთვის, რომელიც საზღვაო მარყუჟების და კვანძების განყოფილებაშიც კი შემაშფოთებელ და ღრმა აზრს ამოიკითხავდა ხოლმე და ერთხელ ისიც კი თქვა, დე კრემონტე მაკიაველიზე უმეტესი პოლიტიკოსი და საიქოლოჯი გახლავსო, მაგრამ მუზეუმის თავმჯდომარეს სულ ტყუილად ეგონა, რომ ერთადერთი კაცი იყო, ვისაც სანტა ესპერანსას კუნძულებზე ეს უძველესი და უშემაშფოთებელესი წიგნი ჰქონდა, მაგრამ ცდებოდა, ვინაიდან წიგნი, რომელიც მის ოჯახში იყო, იყო სხვა ოჯახშიც, ოთხასი წლის წინათ ორი ჩამოეტანათ. ალფრედო და კოსტასთვის რომ გეთქვათ, დე კრემონტეს წიგნის მეორე ცალი კუნძულის ციხისთავთა, უფრო შემდეგ კი მეფეთა და ფაშათა შთამომავალსაც აქვსო, გაიცინებდა და იტყოდა: „ჰო, ჰო, რა თქმა უნდა, მათ ეს სჭირდებოდათ...“ ოღონდ კი არ დაიჯერებდა, ვინაიდან თუკი რამე ჰქონდათ ციხისთავებს, ეს იყო ოსმალური დავთრები და ქართული ასომთავრულით შედგენილი ქაღალდების ნაშთები, ისიც მეთხუთმეტე საუკუნის შუამდე. სინიორ და კოსტა თავად იყო იმ მუზეუმის თავმჯდომარე, რომელიც კუნძულის ძველ გამგებელთა სამყოფელში, ციხესიმაგრეში გაეხსნათ და იქ რომელიმე იტალიური ქვეყნიდან მოტანილი ძველი კი არა, ახალი წიგნის ჭაჭანებაც არ იყო. კუნძულის უკანასკნელი გამგებელი, ინგლისელთაგან გაცუცურაკებული სარი ბეგიც არ იყო ისეთი კაცი, ეს ძველისძველი, აპენინიდან გამოგზავნილი წიგნი რომ ეკითხა. საერთოდ, ალფრედო და კოსტას მიაჩნდა, რომ წიგნები ამ ქვეყანაში მხოლოდ მას ჰქონდა. სხვა ჯენოვურ ოჯახებსაც მოეძევებოდათ, მაგრამ იქ ნაკლებად მოიძევებოდნენ წიგნის ტრფიალნი და და კოსტამ ისე მოაწყო, რომ რიგ შესალევ იშვიათობათა მუზეუმისთვის შესყიდვა მოახერხა, თუმცა ზოგიერთი ამათგანი შინაც კი ედო და ისე წამოადგებოდა ხოლმე თავს, ვითარცა მძინარე მზეთუნახავს.

მაგრამ, ამ მიზეზის განსაქარწყლებლად, წიგნი შინა ჰქონდა სარი ბეგის შვილიშვილის შვილს, მოხუცებულ მარტოხელასა და ქვრივს, აგათია ციხისთავ არჩილიანს. იმ პატარა ბინაზედ, სადაც იდგა მეფეთა მოხუცებული შთამომავალი, იატაკზე სულ ვიწრო ბილიკები იყო დატოვებული, რათა ოთახიდან ოთახში გამძვრალიყავი, დანარჩენი იყო არჩილიან ციხისთავთა დინასტიის ვერგაფრენილი მემკვიდრეობა და იმათ შორის კი, რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ძალიან უცნაური წიგნი: „თოკები და მათი მოხმარება.“ თუმცაღა იშვიათი და ძველთაძველი წიგნი იყო, მაგრამ კუნძულზე სხვას არავის ექნებოდა დავიწყებული ფლორა ტრისტანის თხზულებანი, რომელთა მოჯანყე სულიც და ქალთა უფლებებისთვის გამოთქმული მგზნებარე სიტყვებიც, მართლაც, მოულოდნელად სჩანდნენ განსვენებული სარი ბეგის, რწმენით მუსლიმის, შინაგანწყობით მართლმადიდებლის, ქცევით კი ღირსების კაცის წიგნების ზანდუკში.

ასეთი უცნაურობა კი არის, რომ იმ წელიწადს სანტა სიტიში და სანტა ესპერანსას სამივე კუნძულზეც ორი ადამიანი მოიძებენებოდა, ვინც „თოკებს და მათ მოხმარებას“ ჩაჰკირკიტებდა, ოღონდ თუკი ალფრედო და კოსტა ზამთარში ფურცლავდა ამ წიგნს, აგათია ციხისთავს ის ზაფხულში გადმოეღო და მაშინ კითხულობდა. არჩილიანთა წიგნს უარესად გამოევლო ის ოთხი საუკუნე, ვიდრე - და კოსტათა წიგნს. ყდა არ ჰქონდა და ადგილ-ადგილ ფურცლებიც აკლდა. თუმცა, აგათიასთვის ესეც საკმარისი იყო.

წიგნი აგათიამ სრულიად ჩვეულებრივი მიზეზით გამოთხარა გარდერობის ქვედა თაროდან. ინახავდა, ცელოფანში გამოეხვია, ისე კი არ იდო.

იმხანად აგათიასთან ბინად იდგა ერთი ქართველი, ასე, ოცდათხუთმეტი წლისა, ნაყაჩაღარი და თავზეხელაღებული ვინმე, რომელიც ვიღაცეებს ემალებოდა და პირდაპირ შეუვარდა სახლში აგათიას, რომელსაც კი შეეშინდა, მაგრამ მალევე აუღო ალღო და მსახურადაც დაიყენა, რაც სასაცილოდ დაურჩა ამ ქართველ ჯეილს.

დიდი ამაგი დასდო ამ ლტოლვილს აგათიამ და როცა დაატყო, რომ მასთან არ ედგომებოდა, კარგი სამალავიც უპოვნა, თუმცა იმ საბრალოს სამალავშიაც მისწვდნენ და იქ მოკლეს, აგათიამ კი საგანგებო სამეფო ქაღალდი შეადგინა და შეინახა, იქ ჩაწერა, რომ სამეფო ამალის წევრი მოკლეს და გამოძიებაც ბრძანა. ასეთ ქაღალდებს აგათია ხშირად ადგენდა, თუმცა უფრო გასართობად, მაგრამ ბოლოხანს, უკვე საქმის საჭიროებისთვისაც.

რაც შეეხება თოკების წიგნს, ეს წიგნი მან სახელმძღვანელოდ გამოუღო ამ ქართველს და როცა ეცალა, უკითხავდა კიდეც, თუმცა იმას კვანძების ნახატების თვალიერებაც ჰყოფნიდა. აგათიას მიაჩნდა, რომ ამ ჯეილს, რომელიც მართლა სევდით დაიტირა, როგორც კარგი მარჯვენა ხელი და უშიშარი ვაჟკაცი, უნდა დასჭირვებოდა გალავანზე თოკის გადმოგდების ხელოვნება, ანდა საკნის გისოსზე თოკის იოლად გამონასკვის ოსტატობა და რამდენიმე საზღვაო მარყუჟიც, რაც მშვენივრად იცოდნენ მეფეთა მარჯვენა ხელებმა ძველ დროში. ქართველს სარეცხის ლურჯი თოკი ეჭირა და ვარჯიშობდა.

ხოლო როდესაც ამ ამბიდან ლამის ნახევარი წლის შემდეგ ალფრედო და კოსტა, გენუელთა ერთობის მიერ ხელდასხმული, საიდუმლოდ ეწვია შინ მარტოდ მყოფ აგათია არჩილიან ციხისთავს, მაგიდაზე ისევ იდო გადაშლილი „თოკები და მათი მოხმარება.“

ალფრედო და კოსტამ ეს დაინახა და თქვა: - აჰ... ეს... თქვენ... მართლაც, თოკები გვინდა. ჩვენ ისე უნდა ჩავიბათ თოკები, როგორც ტვირთმზიდველებმა. მანდ არის ასეთი თავი... სადაც, ტვირთის კიბეზე ატანის თაობაზეა...

- ვიცი, და კოსტა, - უთხრა დედოფალმა.

- აჰ, ...სწორედ, - ალფრედო და კოსტამ გადაწყვიტა.

ვის რამდენი მართებს

კონსტანტინე ვისრამიანის ორი ანდერძი

შინაურებისთვის

მე, კონსტანტინე ვისრამიანი, სამოცდათორმეტი წლისა და სრულ ჭკუაზე მყოფი, მამასახლისი ვისრამიანების გვარისა უკანასკნელ ოცდაოთხ წელიწადს, ვადგენ ჩემს ანდერძს, რომელიც უნდა ამოქმედდეს ჩემი სიკვდილისთანავე, როგორც ჩემი უკანასკნელი სურვილი ჩემი შთამომავლების მიმართ.

ანდერძი ესე სრულიად შეესაბამება სანტა ესპერანსას კანონებს და აქედან გამომდინარე - დიდი ბრიტანეთის კანონებს, რაც დაადასტურა ხელრთვით ჩემმა ვექილმა და კონფიდენტმა სამსონ ბრასმა.

წინა ორი ანდერძი, ჩემგან შედგენილი შესაბამის თარიღებზე და დამტკიცებული „რევერსი და ბრაზერის“ ნოტარიუსთან, ჩაითვალოს ძალადაკარგულად, თუმცა ძირითადი სურვილები იმ ორი ანდერძისა მოტანილია ამ ანდერძშიც.

ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემი პირადი ქონება განაწილდეს ჩემს სამ შვილსა და რვა შვილიშვილს შორის.

ყოველი ჩემი საბანკო წილი და ფასიანი ქაღალდი, ერთის გარდა, გადანაწილდეს სამად, ჩემს შვილებს - პეტრეს, პავლესა და კაიას შორის ტოლად, იმ ურყევი პირობით, რომ ამ წილებს ისინი ცალკე შეინახავენ და აღნუსხავენ და მათგან ამონაგებს მოიხმარენ. ამით მსურს მივანიშნო მათ, რომ როცა მოაწევს დრო, ეს თანხები და წილები თავიანთ შვილებს გაუნაწილონ (სია თანდართულია).

ყოველი ჩემი წილი და ფასიანი ქაღალდი იმ დაწესებულებებისა, რომლებიც ვისრამიანებისგან არ იმართებოდა, მაგრამ ფასიან ქაღალდებს კი ვფლობდი, გადანაწილდეს ასევე სამ ტოლ ნაწილად ჩემს შვილებს, პეტრეს, პავლესა და კაიას შორის. მათ შეუძლიათ, გაყიდონ ის ქაღალდები, რომლებსაც მიიღებენ ჩემი სიკვდილის შემდეგ (სია თანდართულია).

ყოველი ჩემი წილი და ფასიანი ქაღალდი იმ დაწესებულებისა, რომელთა პაკეტებიც მეკუთვნის მე, ანუ ვმართავთ ვისრამიანები და ჩვენი პირადად დაწყებული საქმეა, რომელსაც საფუძველი მე ჩავუყარე და ყოველივეს ვმართავდი მე, როგორც თავმჯდომარე ამ საქმეებისა, გადანაწილდეს შემდეგნაირად: „ვისრამიანი ლიმბ ენდ პორქის“ საკონტროლო პაკეტი გადაეცეს ჩემს ვაჟს პეტრეს, რომელიც იქამდე აღმასრულებელი შეფი იყო ამ საქმისა. „ვისრამიანი სთრიმ ვოთერზ“ გადაეცეს ჩემს შვილს პეტრეს, რომელიც ამავე საქმეში იყო პასუხისმგებელი შეფი. „ვისრამიანი შოფზ“ და „ვისრამიანი გიფთზ“, თავისი ბანქოს სახელოსნოებით, გადაეცეს ჩემს ქალიშვილს, კაიას, რომელიც ამ ორივე საქმეში იყო ჩემი თანაშემწე.

ყოველი მიწა, რომელსაც ფლობდა ვისრამიანების ოჯახის ჩვენი შტო, სხვანაირად კი მე, როგორც მემკვიდრე (სია თანდართულია), არ გადანაწილდეს ერთი გამონაკლისის გარდა. ყოველი ეს მიწა, მათ შორის აეროპორტის მიწის წილიც, იყოს ჩემი სამივე შვილისა და მათ შეთანხმებით მართონ, ვითარცა მე და ჩემი განსვენებული ძმა ვმართავდით მათ, ხოლო ჩემმა ძმიშვილებმა ისეთივე უფლება დაიტოვონ ამ მიწებზე, რომელიც შეთანხმებისამებრ (შეთანხმება თანდართულია) გადავწყვიტეთ მე და ჩემმა ძმამ. ჩემი სიკვდილის შემდეგ მათ სამართავად მიიღონ ის ფერმები, რომლებიც მე

მამამათმა გადმომაბარა თავისი ანდერძით და რომლებიდანაც ყოველი საძმო წვლილი ეძლეოდათ ჩვენი გვარის წესების შესაბამისად. ხოლო ჩემმა დის შვილებმა მიიღონ გამგებლობაში ის ორი ფერმა, რომელსაც ჩემი და ფლობდა და თავისი ანდერძით გადააბარა ჩემს ძმას, მისი სიკვილის შემდეგ კი გადმომებარა მე და ჩემს დისშვილებს წილი ეძლეოდათ, ვითარცა საძმო წესია. ამიერიდან მართონ თვითონ და თავიანთ ბიძაშვილებს მოურიგდნენ საქმის იმ საკითხებზე, რაც ეხება მესაქონლეობას. თუ მორიგება არ შედგება, მათ უფლება აქვთ, ფერმები თუნდაც არ ამუშაონ, ოღონდ თუ მათ გაყიდვას გადაწყვეტენ, მიყიდონ ისევ ვისრამიანებს.

ჩემი პაპისეული სახლი, რომელშიაც პაპაჩემი, გვარის მამასახლისი და მამაჩემი, გვარის მამასახლისი ცხოვრობდნენ და რომელშიაც მე ვცხოვრობ, თავისი ზვრით და ეზოთი, გადაეცეს ორ ჩემს შვილიშვილს, სალომეა ვისრამიანსა და დათა ვისრამიანს, რომლებიც მორიგდებიან მის გაყოფაზე, თუ გაყოფა საჭირო შეიქნა. სხვა წესით, ყოველ ვისრამიანს შეუძლია, მოვიდეს და დადგეს აქ, ვითარცა სამამასახლისო სახლში, რამდენ ხანსაც უნდა.

სალომეა ვისრამიანს გადაეცეს ჩემი ქალაქის სახლი, ნაპირის უბანში.

ჩემი იმ ერთი ანგარიშიდან (ნომერი და თანხა მითითებულია), რომელსაც ვეძახდი საშვილიშვილოს და რომელიც მხოლოდ ინგლისურ ფუნტს აგროვებდა, ჩემს შვილიშვილებს გადაეცეს შემდეგი ოდენობის თანხები: კონსტანტინე ვისრამიანს 250 ათასი ფუნტი

ნათილე ვისრამიანს 150 ათასი ფუნტი

სოლომონ ვისრამიანს 250 ათასი ფუნტი

ვარამ ვისრამიანს 250 ათასი ფუნტი

თამარი ვისრამიანს 150 ათასი ფუნტი

შედადია ვისრამიანს 250 ათასი ფუნტი

სალომეა ვისრამიანს 500 ათასი ფუნტი

დათა ვისრამიანს 250 ათასი ფუნტი.

იმავე ანგარიშიდან გადაეცეს 40 ათასი ფუნტი ერთგული სამსახურისთვის სამამასახლისო მოურავს, მარტიას, სუნგალს.

ასევე გადაეცეს 10 ათასი ფუნტი მარიკოს, სამამასახლისო სახლის მოახლეთუხუცესს, ტატალაანთს, სუნგალს... (გრძელი სია სუნგალებისა) ყოველივე ამას ვადასტურებ ხელრთვით, ჩემს სურვილს კონსტანტინე ვისრამიანი, ნოტარიუსი რევერსი. მოწმენი: ბრასი, ქენთებრი. თარიღი, საათი. ბეჭდები. პირი.

შინაურებისთვის

ყველა ვისრამიანი, ვინც წერა იცოდა, ძველ დროში წერდა ორ ანდერძს: ერთით ქონებას გაუნაწილებდა თავისიანებს, მეორეთი აზრებს დაუტოვებდა. ვინც წერა არ იცოდა, ის სალაპარაკოდ დაუძახებდა შინაურებს და კიდევ ერთხელ მოახსენებდა რა არის ვისრამიანობა და მერეღა მოკვდებოდა.

მამაჩვენიც ასე იყო და ბაბუაჩვენიც.

მე კიდევ მთელი ცხოვრება იმას ვლაპარაკობ, რა არის ვისრამიანობა და როგორ შევინახოთ თავი. ამიტომ, ეგება, არც არის საჭირო ამ ანდერძის ჩამოწერა, მაგრამ წესს სად წაუხვალ. ერთია, როცა ასე გელაპარაკები და მეორე, როცა საფლავიდან. საფლავიდან ნათქვამს სულ სხვა გაქანება აქვს. იმას თუ გადააბიჯებ, მთელი ცხოვრება ასე იფიქრებ, რომ ვიღაცის ვალი გაქ.

მე რასაც დავკვირვებივარ, მთელი ძვირფასი აზრები საფლავიდან არის მოსული. კაცი მკვდარია და იმის ნათქვამებს მეტი პატივი და სარგებელი ემატება.

მე ასე ვქენი, რომ რახან ვადგენ ქონების ანდერძს და უკვე მეორედ ვადგენ ჩემ ფიქრსაც, რაც ამ დროს მომიწია, ზედ დავაყოლებ და ამ ანდერძს მერე და მერე შევავსებ, თუ კიდევ მეტი მომივიდა ფიქრები.

ვეუბნები ჩემ შვილებს და შვილიშვილებს გასაგონად და თავის გადასარჩენად.

ჩვენ ვართ ვისრამიანები. ჩვენ ვართ ძველი გვარი, თავისუფალი თავიდანვე, თუმცა ხარისხი დიდებულის და აზნაურისა არ მიგვიღია. ჩვენ ვართ იოანეს გლეხები, ჩვენი თავის ბატონი ყოველთვის. იოანეს გლეხები ნიშნავს, რომ ვართ ქართველი. ესე ყოველთვის უნდა ახსოვდეს ვისრამიანს. როცა ეს ეხსომება, გადასჭრის ამის მიხედვით.

ვისრამიანს არ მიხმარებია ვინმე, რაც აქვს, თავისი ქონებაა და თავისი ქონება უნდა მოიხმაროს ისე, როგორც ვისრამიანის წესია. ჩვენ თავს ვეძახით შენახულს. თავი შევინახეთ ისე, რომ ვინმეს მოხმარება არ გვქონია. ჩვენი სიძე და რძალი ყოველთვის იყო ქართველი საქართველოდან. ამას უნდა მისდიოს ყველა ვისრამიანმა, სხვანაირათ ის აღარ იქნება შენახული. თუ შენახული არ იქნება, აღარც ვისრამიანი იქნება და უნდა გავიდეს განზე და ყველაფერი ვისრამიანებისა დააგდოს. ასე ყოფილა ძველიდან და ამით მოძლიერდა ვისრამიანი, რომელმაც დაიტოვა ის, რაც ჰქონდა, არ გადაშენდა და იბევრა.

ვისრამიანის ცხოვრება უნდა იყოს ასე: მთავრობა არ გიყვარდეს, მაგრამ ჭკვიანურად ელაპარაკო, შენი ძალა იცოდეს. ახლა ვართ ჩვენ პარლამენტში, მაგრამ ამით არ ვართ მთავრობა. ვისრამიანისთვის მთავრობა ყოველთვის არის სხვა. იმიტომ რომ, მე მგონია, რომ ვისრამიანზე უკეთესი მთავრობა ამ ქვეყანას არ ეყოლება. ასე ეგონა მამას, ბაბუას და ყველას. არ მიეხმარო არაფერში მთავრობას, თუ შენც არ გჭირია. არც ციხისთავი გვიცნია დიდი სალმით, არც მეფე და ფაშა და არც გავერნორები გვიპატიჟებია. იქით გვპატიჟობდა ყველა.

ღმერთი უნდა ვცნათ და მივცეთ თავისი წესი და წილი და შევევედროთ, გვიყუროს კეთილად, ოღონდაც ჩვენ ვერ დაუდებთ თავს და მღვდელის ჭკუაზე ვერ გავიართ. ღმერთის ჭკუაზე და ძალაზე მოსიარულე კი ვართ, ჩვენი ხელით არ დაგვიკლია კრძალვა და პატივი ღმერთზე. ამას მივდევდი მეც და ამას უნდა მისდიოთ თქვენც. ვისრამიანს რჯული არ გამოუცვლია და იმიტომ ძველ დროიდან არ მიესალმება იმას, ვინც მშვიდობიანობისთვის რჯული გამოიცვალა. იმაზე მეტად სხვა რჯულისას სცემს პატივს.

რაც ქონება აქვს, სხვას არ მიყიდოს ვისრამიანმა, მარტო იყიდოს და განამდიდროს. იოანეს ხალხს ევალება, რომ იყოს პატიოსანი და კანონის შემხედავი, ოღონდ არასდროს საზოგადო კანონი არ დადგეს ვისრამიანის კანონზე მაღლათ.

მე არ მივსდევ პოლიტიკას და არცა ვისრამიანი მისდევდა პოლიტიკას ოდესმე, მაგრამ როცა ხელში იარაღი გაქვს, მისდევ პოლიტიკას. ვისრამიანს ყოველთვის უკრძალავდნენ იარაღის ქონას, იმიტომ რომ რჯული არ გამოიცვალა, მაგრამ ვისრამიანს ყოველთვის ჰქონდა იარაღი და ყველამ ეს იცოდა, რომ ვისრამიანს ციხისთავზე მეტი ძალა აქვს ყოველთვის და ომის მოყვარე არ არის, ოღონდ ჰგონია, რომ იცის თავისი საზომი და იმას იქით არის ცეცხლი და მახვილი.

(შემდეგი დროის მინაწერი) ვისრამიანი არ დაანებებს არც ანგლეზს, არც შინაურს და გარეულს, რომ იოანეს ადგილი გადააქციოს თავის საოინბაზოდ. სხვა გვარმა ის იფიქროს, რაც უნდა. ვისრამიანმა არც აქამდე დაანება ვინმეს, რაც არ უნდა ყოფილიყო და არც დაანებებს, იოანეს ადგილი გადააქციოს ვიღაცა უცხო მოთრეულის მზეზე საკოტრიალოდ. ამას მოგახსენებთ, რომ ვისრამიანმა შეაშინა ყველა, როცა უნდოდათ შემოღება ტიტვლად საცეკვაო ნეტარების ადგილებისა. ვისრამიანმა გააჩერა გავერნორი, როცა მას უნდოდა წარმოედგინა, რომ კუნძულები ყოფილიყო როგორც სექსის ტურისტების ადგილი. მე მაშინ უთხარი, დროული ხალხი, ცოლ-ქმრები, მობრძანდეს, ტიტველ ახალგაზრდებს არ მოუშვებ. ეგ გაგზავნეთ ბარბეიდოსში და ვესტ ინდოეთში, სპაიში და იბიზაში. ვისრამიანმა მისცა იერი ტურისტობას და აქ წესიერი ხალხის მოსვლას ზაფხულში, თორემ გადააქცევდენ, როგორც ერთი დიდი ბორდელი ყოფილიყო და ჩვენ იმათი ლოგინის მრეცხავი ვიქნებოდით.

ეს მიწა არის ჩემი დარდი და ეს უნდა იყოს თქვენი დარდი. როცა ანგლეზი წავა, ვისრამიანმა არ უნდა მიცეს ახალი რამეების საშუალება.

ამას ვწერ იმიტომ, რომ არავის ხმა არ გაუღია და მაშინ, მე რომ მივედი მარტო გავერნორთან, ვიყავი 35 წლის და იქ არ მინახია არც მღვდელი და არც სხვა ვინმე, რომ ძვირი ეთქვა იმის კანონზე. მამა გვყავდა ორი დღის დამარხული, ხოლო ძმა ჩემი გარეთ მელოდა, გავერნორის გარდში ჩამდგრი.

მე უთხარი, რომ არ მივცემ ამას, რომ ტიტველმა ქალებმა იცეკვონ და ბორდელს იცავდეს კანონი. რაც ბრიტანეთში არ არის, არც აქ გავაკეთებ. და მერე მივედი ფანჯარასთან და უთხარი, რომ ეს არის დალოცვილი და წყნარი ადგილი და არ მოგინდებათ ხმაური და დავანახე ციხესიმაგრის კოშკი. ამით შევინახე მე ეს მიწა გაოხრებისგან. გთხოვთ თქვენც ყველას, ასე ჰქმნათ. უნდა ვგავდეთ ადამიანს, ამისთვის ომიანობაც შეიძლება. თუ არა მეძავეობას ქალს ვერ დაუშლი, თუ მოუნდება.

(ბოლო მინაწერი) მე მეტად მოვხუცდი და ვთხოვ ყოველს, ჩემი გვარისას, როცა მამასახლისობის არჩევა იქნება, ყოველმა აირჩიოს ჩემი შვილიშვილებიდან ან დათა ანდა სალომეი, ეს არის ჩემი დიდი ფიქრების შემდეგ გარდაწყვეტილი. ამათ შეუძლია წაძღოლა, ჩემ სიცოცხლეში თუ ვერ მოვახერხე ამის თქვენთვის თქმა, გთხოვთ აქედან.

მე ვფიქრობ, რომ ვისრამიანმა არ უნდა დაანებოს ეს კუნძული პოლიტიკას, როცა ანგლეზი აქედან გავა. არც ერთ მხარეს. ომს უნდა მოერიდოს, მაგრამ გავერნორმა

დროშა იოანესი უნდა გადმოგვცეს ჩვენ, ჩვენ კიდევ მოვაშორებთ იმას ბრიტანეთის დროშას და თვრამეტი გვარის სახელით მივხედავთ ამ ქვეყანას. დროშის გამორთმევა გვეკუთვნის ჩვენ.

ამ საქმეში დიდი მოწინააღმდეგე გაგვიჩდება. გვარები არ მოვა ყველა ჩვენ მხარეზე, მაგრამ მოვა სუნგალები და მგონია, რომ ოსმალოებიც ჩვენ მხარეზე იქნება. ჩვენ უნდა დავაყენოთ პირობა ღირსეული ქვეყნის. ანგლეზებს არ უყვარვართ ჩვენ, სამხედრო ძალაში გვაჯობებენ. მე ბევრი მინახია ცხოვრება და ანგლეზი მოინდომებს, დასტოვოს ისე, რომ თითონ ისევ იყოს ამ ქვეყნის ყველაფერი. ანგლეზი მისცემს მხარს ციხისთავებს. იპოვის, იმათგან თუ ვინმე დარჩენილა და მოინდომებს, როგორც თვითონ ჰყავს მეფე, ისე დასვას. მეფე არ იყოს. როცა ციხისთავმა თავი მეფედ თქვა, მაშინაც ვისრამიანი არ დათანხმდა. ჩვენი მეფე არის საქართველოში. ამაში მხარს მოგცემთ სუნგალი, ვინც ამ აზრზე იდგა ყოველთვის და დაიცავდა... პარლამენტობა არ არის იოანეს საქმე. იოანეს საქმე არის მორიგება და გარიგება. ჩვენ ვითვლებით კონსერვატორად, ზოგი - ლიბერალად. ეს არის სისულელე, ვისრამიანს აქვს თავისი კუნძული. ყველა ვისრამიანს ახსოვდეს, ის არის ყოველთვის შენახული და შემნახავი თავისა და მიწის. მოერიდე უცხო მოსულის ნადგურებას, ისე განდევნე.

ვინც ვისრამიანზე უპირატეს თავი წარმოიდგინოს, ვისრამიანი აღარ იყოს.

ხელჯოხი

- ეჰეი, პარდონ ბელ, ერთი აქეთ მომხედე, - აგათია ბებიას თავისი ხელჯოხი ეჭირა ხელში და დაბალ კაცს ეშმაკურად უცქერდა.

- დიახ, ჩემო სათაყვანო დედოფალო...

- პარდონ ბელ, ჩემისთანა მოხუცებულ ქალს ამისთანა ჯოხის თრევა რაში უნდა გამოადგეს, რამსიმძიმეა, თუ იცი? ძველია, ჩვენი საგვარეულოსი. განსვენებულ სარი ბეგს ეჭირა ხოლმე, როცა მობერდა. ამით გამოაბიჯებდა ხოლმე სთეითის უბანში...

- აჰ, რა სანახაობა... რა საცქერი... ამხელა საიდუმლოსა და მაგიის მფლობელი, საუნჯე...

- პარდონ ბელ, შენ ხომ ჩემი საჭურველთმტვირთველი ხარ? ხომ დაგნიშნე ამ სახელოზე?

- დიახ, დედოფალო.

- როგორ ფიქრობ, რატომ დაგნიშნე?

- მე... იცით, რა არის, დედოფალო? მე შემიძლია ეგ ჯოხი ჩამოგართვათ და ისე გამოგყვეთ ნაბიჯით უკან, როგორც წესია.

- მერე რა ჯანდაბას დავებიჯგო?

- ვიყიდოთ უფრო მსუბუქი...

- ადრეც ვიყიდდი...

- მაპატიეთ, დედოფალო.

- მოეშვი მაგ სისულელეებს... მშვენივრად იცი, რატომაც დაგნიშნე.

- დიახ?

- აბა, მართლა გიჟი და მისტიკაზე გადარეული რომ ყოფილიყავი, დაგნიშნავდი? უყურე ამ სულელს?!

პარდონ ბელმა გაიცინა.

- თქვენ არ იცოდით, რომ მე ჩემს ამალაში დაგნიშნავდით... ისე გინდოდათ შემოძრომა. ჯერ დიპლომატიური ლაპარაკებით მაცნეს და მერე კაცი მომიყენეს. მეც მოგიყენე, რა გინდა?

- არაფერი, ძალიან დიდი რწმუნებები მე არ მაქვს.

- იმდენი რწმუნება კი გექნება, რომ რამე რომ შემეშალოს, მიმასაღო...

- რასა ბრძანებთ...

- რა ჰქვია თქვენ სამსახურს? ჯეიმს ბონდის წიგნებში რომ წერია, ის? ნომერი არ მახსოვს.

- თქვენ სამღელვარო არაფერი გაქვთ. ყველაფერს ჩვენ გავაკეთებთ. ერთადერთი, რაც გვინდა, თქვენი ჯანმრთელობაა.

- რაღა დედოფალი ვარ, თუ ყველაფერი თქვენ გააკეთეთ?

- მისის არჩილიანი... თქვენ ჩემთვის, უბრალოდ...

- არ დამიწყოთ ახსნა, მშვენივრად ვიცოდი, ვინც ხართ და მეც მოგიახლოვეთ. როდემდე უნდა ვითამაშოთ გამოჩერჩეტებული ბებია და შეშლილი ეთნოგრაფი...

- გეოგრაფი...

- ეს სულერთია... ის კაციც, ვითომ სიძველეებით მოვაჭრე, თქვენი კაცია? პერიგო. ხო, პერიგო...

- ის ჩემი უფროსია.

- ო-ჰო-ჰო... რატომ არის ხოლმე, რომ ცუდი კაცი უფროსია, კარგი კი - უმცროსი. ჩვენ, ესპერანსელები არ ვთანამშრომლობთ ინგლისის პოლიციასთან. სასამართლო გვიყვარს, პოლიცია - არა. ამიტომ მე თქვენ არ დაგაბეზღებთ.

- ჩვენსავე თავთან ხომ არ დამაბეზღებთ?

აგათია ციხისთავმა არჩილიანმა ჩაიკისკისა, ჯოხი კი ისევ ხელში ეჭირა.

- სრული ამალა მყავს... საჭურველთმტვირთველი, მედროშე და მარჯვენა ხელი...

- მედროშე, დიახ... საინტერესო პერსონაჟია. მასთან გასაჭირი არ გვაქვს. მე მაინტერესებს...

- ნიკა, ვისრამიანის სიძე, ქართველი ყაჩაღი.

- დიახ... თუმცა, რაღაც კი გავიგეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, მოგვასწრო და თქვენთან მოხვდა.

- სამწუხაროდ, მე მომწონს ეგ ახალგაზრდა კაცი. ის ჩემი მოდგმის საშინელი მტრების სიძეა. მათ ემალება. მე დავმალე, მევე დავნიშნე ჩემს მარჯვენად...

- არა... მესმის.

- ეს დანიშვნა თამაში იყო. მე ვხვდებოდი, რომ ამ სიბერის დროს რაღაცეების კეთება მომიწევდა.

- ახლა სად არის?

- გადავმალე.

- თქვენი ნებაა. საშიში კაცი ჩანს.

- არაფერი გესმის, პარდონ ბელ. არაფერი. მე არ გეტყვი, სადაც არის. დაგვჭირდება, მოვძებნით.

- მეეჭვება, რაიმეში დაგვჭირდეს.

- მე დამჭირდება.

- კარგი, ოღონდ ყველაფერი უნდა ვიცოდე.

- პარდონ ბელ, ამ ჯოხის შიგნით იცით რა არის?

- რა?

- სტილეტი... ქარქაშივითაა, - აგათია ბუნიკს დაებღაუჭა და ხანჯლის პირი დაანახა კაცს, - აი... ნახე...

- ოჰ-ჰო-ჰო... როდინდელი სული შემოაგდეთ ამ ოთახში?

- მე შემოვაგდე?

პანტელეიმონ ბერის განსჯანი

ისევ პიესიდან

(მონასტრის ეზო. ქვის სკამზე გადაწოლილა ნიკა აბაიშვილი. შემოდის პანტელეიმონ ბერი) პანტელეიმონი

აქა ყოფილხარ.

ნიკა

ხო... ვზივარ. ჩამომეძინა.

პანტელეიმონი

ერთი რომ გკითხო?

ნიკა

გამოუშვი.

პანტელეიმონი

რა თავისუფალი ენაა. გამოუშვი... ვსწავლობ მაგნაირ ქართულს... დედოფალთან საიდან მოხვდი?

ნიკა

პირდაპირ ვისრამიანებისგან. სალომეას ქმარი ვარ.

პანტელეიმონი

მე პირდაპირ გეტყვი. მე სალომეას ძმის, დათას მეგობარი ვარ.

ნიკა

დათა კაი ბიჭია. შეუძლია, რო კაი ბიჭი იყოს.

პანტელეიმონი

ეგ რას ნიშნავს? წესიერებას?

ნიკა

მე სტამბოლში რო ვიყავი, ბევრს ვფიქრობდი. ეგ ნიშნავს, რომ სწორად იქცევა. თუ წააგებს, ფული მიაქვს. პატივსაცემ ხალხს პატივს ცემს. ბოზებს ზედ არ უყურებს.

პანტელეიმონი

ღმერთო, ნუ მიწყენ ამ შეკითხვებისთვის. ადამიანი მაინტერესებს... აბა, რომ აგებს, არ უნდა მიიტანოს?

ნიკა

არი ხალხი, ვისაც არ მიაქ.

პანტელეიმონი

ის, რასაც დათა სჩადის, დიდი ცოდვაა.

ნიკა

კაი, რა, მამაო. კაცი მყავს მოკლული და არ ვდარდობ, იმიტო რო მოსაკლავი იყო. ომში კიდე ვისთვის მისვრია, არც მახსოვს, იქაც მეყოლება მოკლული.

პანტელეიმონი

ღმერთო, გვიშველე, აგათია დედოფლის პატივისცემით შემოგიშვეს აქ. ღმერთს შენისთანა შვილები...

ნიკა

მაგრა მშურს შენი, წარამარა ღმერთს რო ახსენებ...

პანტელეიმონი

ეგ... რას გულისხმობ?

ნიკა

კაროჩე, პირი გაქ... ეხლა მე რო უთხრა, დავაი ღმერთო, მიშველე-თქო, მაგარი უხერხული იქნება.

პანტელეიმონი

რატომ?

ნიკა

იმიტო, რო როცა მაგრა ვიყავი, ან როცა საქმეს ვაკეთებდი, ერთხელ არ გამხსენებია და ეხლა, რო გამიჭირდა და მივადგე, მაგარი არაკაცურია, ღმერთია, კაცი ხო არა. კაცს მიადგებოდი.

პანტელეიმონი

ამას არასწორად ფიქრობ. ღმერთი ყოველთვის მიგიღებს, მთავარია, მოინანიო, სინანული იგრძნო და შეხვიდე სინანულით.

ნიკა

რა მოვინანიო, რო მიყვარდა?

პანტელეიმონი

ქალი რომ გიყვარდა, ეს არ ნიშნავს, რომ მართალი ხარ. ქალის სიყვარული არ ღირს ადამიანის სიცოცხლედ.

ნიკა

თითონ მესროლა. მაგისი ქმარი იყო... მერე მეც ვესროლე.

პანტელეიმონი

სად არის ახლა ის ქალი?

ნიკა

არ ვიცი.

პანტელეიმონი

ეშმაკისეულია ეს საქმე, თუ არ იცი, სად არის ქალი, რომელიც ცოლად გინდოდა.

ნიკა

მე ბევრს ვფიქრობდი, სტამბოლში რო ვცხოვრობდი... არ მოვკლავდი, თითონ რო არ მოენდომებინა ჩემი მოკვლა. მარა რომელი კაცი მოითმენს, ცოლს რო წაართმევენ?

პანტელეიმონი

შენ ჯარისკაცი იყავი?

ნიკა

იქ ეგეთი რამე არ არსებობს. იქ არი, რო ან ხარ მაგარი ბიჭი, ან ვიღაცა ხარ. ფეხებს გაიწმენდენ შენზე.

პანტელეიმონი

როგორია საქართველო? მე ძალიან მინდა, რო ვიცოდე როგორია საქართველო? ამბობენ, ბევრი მონასტრებია და ღვთის სახლებიო.

ნიკა

ეგ ბლომათ არი... ოღონდ ყველა გარბის.

პანტელეიმონი

დათა მეუბნება, საქართველოში წავიდეთო.

ნიკა

სხვა დრო რო იყოს... მე წაგიყვანდით. მაგარი კაი პონტი გამოვიდოდა.

პანტელეიმონი

პონტი რა არის?

ნიკა

პონტი... პონტია. პონტი არი, რო ამბავი. კაი პონტია, ცუდი პონტია... ისე რა პონტია, ეგრე იტყვიან.

პანტელეიმონი

ესე იგი, ფათერაკი. მაინც როგორი ყოფილა?

ნიკა

ეხლა... აქ რა ვიცი, ჩვენთან იტყვიან, რო დედამოტყნული ქვეყანააო.

პანტელეიმონი

ეგ რა არის?

ნიკა

ეგ... თქვენებურათ არი... მდაბლობა არ ქვია?

პანტელეიმონი

ღმერთო, შენ უშველე. თავის ქვეყანაზე ასე ამბობენ?

ნიკა

ეგეთია და.

პანტელეიმონი

და მაშინ რაღატომ არის ამდენი ღვთის სახლები?

ნიკა

მამაო, არ გაგიტყდეს და თქვენ აქ მაგარი გოიმები ხართ. ვაბშე, ამგვარ გოიმურ რამეებს მეკითხები. აზრზე არა ხართ აქ.

პანტელეიმონი

დედოფლისთვის უნდა იბრძოლო?

ნიკა

ბაბუშკასთვის? კაი ბაბუშკაა. ჩემი ბაბუშკასავით არი. შენ რო მეკითხები, ქართველები და რამეო, ქართველებს ბებია უყვართ. ბებიამ გაზარდა. მე ბებიამ გამზარდა. პატარა რო ვიყავი, სკოლაში მომყვებოდა და კლასის კარებში ხელი ქონდა შემოყოფილი, კაროჩე, აქა ვარო... აზზე ხარ?

პანტელეიმონი

ოჰ, აღარც ვიცი რა ვიფიქრო ამ საქართველოზე.

ნიკა

ვაბშეეე... არ უნდა იფიქრო. მაგრა შეგჭამს, მჭამელია, ერთ ბატკანს ჭამს.

პანტელეიმონი

რომელ ბატკანზე ამბობ, ნიკა?

ნიკა

ბატკანი ბატკანია.

პანტელეიმონი

აქ ვინც გამოჩნდა, ჩვენთან, ყველა ბანგლერია, ყველა რაღაცას იპარავს და...

ნიკა

აბა, თუ არ გაუჭირდა, იქედან კი არ წამოვა.

პანტელეიმონი

ღმერთმა გვაშოროს და აქ რომ ისე იყოს, როგორც საქართველოში, თქვენ დედოფლისთვის გაწირავთ თავს?

ნიკა

შენ, მამაო, გამომძიებელი ხარ თუ მამაო?

პანტელეიმონი

მე ვჯავრობ. კარგს ვერ ვხედავ. შენ იბრძოლებ დედოფლისთვის?

ნიკა

მადლობა ხო უნდა მოუხადო... მაგასთან ვიყავი პაბეგში. ის ნაბოზარი ვისრამიანები, ხო იცი, რა პაროდაც არი... ეხლაც ხო მაგან დამმალა თქვენთან. მადლობა ხო უნდა... ვაბშე, ქართველები მარტო თავის მხარეს იბრძვიან.

პანტელეიმონი

თავის მხარეს?

ნიკა

ხო, რა... თუ დაემთხვა, ხო კაი... არა, თავის მხარეს. მე ბევრს ვფიქრობდი სტამბოლში.

პანტელეიმონი

აი, წიგნი მოგიტანე, ნიკა. სტოკჰოლმის ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტის, ახალი აღთქმა ქართულად. მე მაქვს ქართული ფონტები, ცოტა მინდა, რომ ენაც მასწავლო. ჩვენ ხო მონასტრულით ვწერთ, ჩვენი წერილი სხვანაირი ასოებით ხატია.

ნიკა

მე რა უნდა გასწავლო?

პანტელეიმონი

რა თქვი, ის რა არის?

ნიკა

რომელი?

პანტელეიმონი

გოიმი, ჰო?

ნიკა

გოიმი.

პანტელეიმონი

გოიმი რა არის?

ნიკა

გოიმი არი... გოიმი არი... აი, ბებერი ვისრამიანია გოიმი. კაია ვისრამიანია გოიმი...

პანტელეიმონი

დათა?

ნიკა

არა, დათა და სალომე არა...

პანტელეიმონი

ესე იგი... მე.

ნიკა

შენ პატიოსანი ბიჭი ხარ. გოიმი რატო ხარ?

პანტელეიმონი

მე მინდა, რომ შენ, ნიკა...

მეხი ციდან და ცეცხლმოკიდებული ბუძგები

ფარნა და დროშები

რა დროშა იყო ასეთი?

ფარნა მედროშემ არაფერი იცოდა დროშებისა და ეს ეპატიებოდა. დიაღ, მისი წინაპარნი იყვნენ მედროშენი ძველ ციხისთავთა და მეფეთა ამ კუნძულზე, მაგრამ დროშებისა ფარნას არაფერი გაეგებოდა.

დროშა ერთადერთი ენახა გავერნორის სასახლის თავზე და მეორეც - როცა სარიტუალო ჯარები აღლუმს გამართავდნენ ხოლმე ერთ სასაფლაოზე. ის აღლუმიც ერთი-ორჯერ ენახა ბავშვობისას.

მამამისი, უფროსი ფარნაც, ასე იყო. არც იმას ენახა დროშები და არც იმის მამას და იმის მამას კი ენახა რაღაცეები. იმის მამა კი ყოფილიყო უკანასკნელი მედროშე ციხისთავებისა, კერძოდ სარი ბეგისა, რომელსაც ინგლისელებმა ქაღალდების შეცურება-გამოცურებით გაუწვრილეს გული და აართვეს ქვეყნის მმართველობა ისე, რომ შილინგობრივ პენსიას დააჯერეს. იმის მერე მედროშეებს დროშები არ ენახათ და მართალი ითქვას, არც ენატრებოდათ. გვარი დარჩენოდათ, დროშა კი - არც რამდენი. ის დროშები საერთოდ სად იყო, რომელი გამოარკვევდა. ფარნას რათ შეეხებოდა

დროშათა ამბავი: მედროშეობა სხვისი დროშის ტარებას ნიშნავს და ალბათ, ის დროშები, იმ ძველ მედროშეს რომ ხელში სჭეროდა, სარი ბეგმა მიაბარა ანგლეზებს.

ფარნა მედროშეს ნამდვილად არ წაეკითხა ციხესიმაგრის მუზეუმის გამოცემული პატარა წიგნაკი „სანტა ესპერანსას დროშები," რომელიც შეედგინა სწავლულს, ალფრედო და კოსტას, იმავე მუზეუმის თავმჯდომარეს.

არაფრად უნდოდა ფარნას ეს წიგნაკი. თავისი სათვლელიც ბევრი ჰქონდა: დოღზე ყოველთვის აგებდა და ბანქოს ყოველთვის იგებდა. ფარნა მოთამაშე კაცი გახლდათ, სახელდავარდნილი მოთამაშე ხალხში.

ერთხელ მისმა მეწყვილემ და თანამბრძოლმა დათა ვისრამიანმა უთხრა, გვარი უნდა გადაიკეთოო, რის მედროშე ხარ, მოთამაშე უნდა დაირქვაო.

ეს მართალი ხუმრობაც იყო.

ფარნა მედროშემ ისიც არ იცოდა, რომ ის დროშები, მის წინაპრებს რომ ეპყრათ ხელთ, სწორედ იმ მუზეუმში გამოეფინათ, რომელსაც თავმჯდომარეობდა ხსენებული ალფრედო და კოსტა. თვალიც კი არ დაეკრა იმ სამი დროშისთვის. ფარნა საერთოდ არ იცნობდა არც იმ ბებერ და კოსტას და არც არჩილიან ციხისთავთა თვითმარქვია მეფეთა უკანასკნელ შთამომავალს, მოხუცებულ ხანუმს აგათია არჩილიან ციხისთავს, ვისაც ზოგიერთები ხანუმთ ხანუმს, სხვანი კი, უბრალოდ, დედოფალს უწოდებდნენ.

ფარნა მედროშეს არც ის მოეხსენებოდა, რომ მუზეუმში დავანებული სამი დროშიდან, რომელთა მოვლა და პატრონობაც ოდესღაც მის წინაპრებს ევალებოდათ, დროშა და მთავარი ერთი იყო, დანარჩენი ორი კი წარმოადგენდა ალამს. ალმის ტარება სხვა კარისკაცებსაც შეეძლოთ, დროშა კი, რომელიც მუზეუმის ქვემო დარბაზში გამოეფინათ, მხოლოდ მედროშეს უნდა გამოესვენებინა.

საკუთრივ ეს დროშა, რომელზედაც ნაქარგი იყო წმინდა გიორგი, ფეხზე მდგომი, შუბით ხელში და რომლის გამოსვენებასაც ციხისთავები, როგორც გამუსლიმებული მმართველები, ერიდებოდნენ მას შემდეგ, რაც ოსმალთა კალთის ქვეშ შევიდნენ, გაწყობილი იყო კუნძულელთათვის გაუგებარი ანბანით შესრულებული წინადადებებით. ეს ანბანი იყო ქართული ანბანი მრგვლოვანი, რომელიც ადრევე დაივიწყეს აქ, რადგან მის მოძმე ქართულსავე ანბანს, ნუსხურს დაეჩვიენ, იმიტომ, რომ რაც ოსმალო შემოვიდა, ქაღალდი ოსმალურად დგებოდა და იოანეს მონასტერში კი მხოლოდ ნუსხურ წერა-კითხვას ასწავლიდნენ. ფარნამ ესეები არ იცოდა და არც სჭირდებოდა. მან, რაღა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ გაზაფხულის პირზე თავმჯდომარე და კოსტამ მუზეუმის ოფიციალური ქაღალდები შეადგინა და დროშა, გამოკვლევის მომიზეზებით, საგამოფენო კედლიდან ჩამოახსნევინა თავის ხელქვეითებს. ასეთი რამ არავის გაჰკვირვებია, ვინაიდან მუზეუმის ყოველი ნივთი სწორედ სინიორ და კოსტას გამოკვლეული იყო და ზოგჯერ თვეობით დაივანებდა ხოლმე მის კაბინეტში, სადაც, საგანგებო ცეცხლგამძლე ყუთში შენახულს, ტემპერატურასაც კი შეურჩევდა ხოლმე პატივცემული თავმჯდომარე.

ფარნა კი ელოდა გამოძახებას, მაგრამ არცთუ ხალისით. ელოდა, წინდაწინვე გააფრთხილეს და სასიხარულო რა არის, როცა ფათერაკში მიჰყავხარ? მასთან ადრევე მოვიდა ერთი კაცი, სახელად ლამურ მოსიარულე და ყველაფერი უამბო, რაშიც ხუთასი ფუნტი ააფცქვნა. ლამურ მოსიარულე ასეთი კაცი იყო, ყველაფერი იცოდა.

ფარნასგან განსხვავებით, წინაპართა ხელობა, ფოსტალიონობა შეენარჩუნებინა და ამით გაჰქონდა თავი.

ფარნა დაიბარეს.

ეს იყო შუადღე.

მესამე სართული, ათასგვარი ნივთით გამოტენილი პატარა ბინა, სადაც ჭკუამხიარული მოხუცი ქალი და კატაბალახას სუნი დაუხვდა. იქ იყო ერთი მაღალი კაცი, რომელსაც მოხუცი მარჯვენას ეძახდა და იქ იყო კიდევ ერთი უხვწარბიანი ინგლისელი, რომელიც ძალით ისულელებდა თავს. ლაპარაკი ამ ორის თანდასწრებით იყო.

- შენი წინაპრები დიდად ერთგულად ემსახურებოდნენ ჩემ წინაპრებს, - უთხრა მოხუცმა ქალმა, - მერე კი დაგვავიწყდა ერთმანეთი, მაგრამ ისევ გაგვახსენდა. ახლა გეძახი ჩემს სამსახურში.

ფარნამ ზრდილობით გაიღიმა.

- მეჰრაბა სინიორა, - უთხრა იმ განუმეორებელი კილოთი, ხეირის უბნის ვიწრო ქუჩებზე რომ იშვა, - მე იმიტომ მოვედი, რო მომერიდა თქვენების. მოხუცებული ბძანდებით. მე რა ვიცი თქვენი ამბების? პატარა ფარნა ვარ. ინტის თამაშა მიყვარს. კაი წყვილში ვარ, ცხენები მიყვარს.

- შენ ვერ გაიგე, ფარნა მედროშე, - უთხრა ქალმა, - რახან მოხვედი, უკვე დათანხმდი.

- მართლა ვერ გამიგია, - სთქვა ფარნამ, - მე ზდილობისთვის მოვედი. ჩემ ოჯახს თქვენმა ოჯახმა ათასი წელიწადი გვერდით ყოფნა აღირსა. როგორ არ მოვიდე? - აბა, ფარნა ხომ არ გამოუტყდებოდა, რომ ბევრი რამ უკვე იცოდა ლამურ მოსიარულესგან, - არმოსვლა არ შეიძლება. ეგებ, რა წყალი უნდა დაგალევინოთ?

ის ორნი ჩუმად ისხდნენ.

- ფარნა მედროშე, - უთხრა ქალმა, - არსებობს ციხისთავ გოტის სიგელი, რომელიც მედროშეებს ნახევარ სამხრეთის კუნძულს აძლევს. არსებობს ბეგების დავთარი, რომლითაც ის მიწები მედროშეებს აართვეს და გადასცეს ვისრამიანებს. ახლა მთელი ის კუნძული ვისრამიანების მიწებია. არსებობს სარი ბეგის დადგენილება, რომელიც ბეგების განჩინებას უკანონოდ აცხადებს და კუნძულის მიწებს მედროშეებს უბრუნებს. ოღონდ ეს ქაღალდი მიფუჩეჩდა, როცა ანგლეზები შემოვიდნენ. ამით ის უნდა გაიგო, რომ ჩვენ პატივს გცემდით თქვენ. მე ვიცი, რა ხელობის კაციც ხარ, მაგრამ სხვისი ძებნა არ დამიწყია. არსებობს ქაღალდი, სადაც წერია, რომ ციხისთავის მედროშეებს ხელში სხვანაირი ძალა აქვთ და ამიტომაც, ყოველგვარი ხიფათი დროშას და ქვეყანასაც ამ იღბალა ხელზე არიდებია.

- ეხლა კარტში გადასულა, - თქვა უცებ მარჯვენამ და ფარნას ხელი გაუწოდა, - ნიკა, ძმაო...

- პატარა ფარნა, - ჩამოართვა ფარნამ.

- არსებობს დაწერილი ამარტოელისა, რომელიც შენ ასევე არ გეცოდინება, რომ მეფის მოღალატე ჯოჯოხეთში ხვდება.

ფარნას გაეცინა.

- სინიორა, მე რამე დაგიშავეთ ასეთი? ვისრამიანს მიწები წავართვა? რათ მინდა, მიწის კაცი არ ვარ. არც ჯოჯოხეთის ვარ. მე ერთი ინტის მოთამაშე ვარ, ცოლს ხუთ ფუნტს დაუტოვებ, სადილი არი.

- ფარნა მედროშე, - თქვა ქალმა, - შენ ვერ ხვდები, რომ აქედან ან პირობით გასული გახვალ, ან საერთოდ ვერ გახვალ, ან თუ გახვალ და ჯოჯოხეთი არ ვიცი და სადღაც კი მოხვდები ახლო სასახლეებში. არ უნდა მოსულიყავი, ჩაგეგდო მიწვევა სანაგვეში და მორჩა.

- დედოფლის მიწვევა?

- აჰა, სალამი. მე სხვასაც ავარჩევდი, მაგრამ თქვენი ხელი გამოცდილია. ახლა ყველაფერი უნდა მოისმინო, მანამდე კიდე ადექი და გამომიწოდე ეგ შენი იღბალა ხელები.

ფარნა წამოდგა და ხელები გაიშვირა წინ. იმ ნიკამ დაკეცილი ნაჭერი მოაწოდა დედოფალს, იმან კი გამოწვდილ ხელებში ჩაუდო ფარნას.

- მე, დედოფალი აგათია, კუნძულისა და კუნძულებისა, მზირი ზღვისა და პატრონი ტყისა, წყლისა და აღმოსავლეთისა და დასავლეთისა სივრცისა, გიბოძებ შენ, მედროშეს ფარნას დროშას ჩემსას საკუნძულოსას შესანახად და საცავად და კრულ იყოს ყოველი, ვინცა დროშას ამას ეაჯოს ფარნა მედროშესა... და მე, - ნიკამ კიდევ მოაწოდა პატარა კოლოფი, - დედოფალი აგათია, კუნძულისა და კუნძულებისა, საცავად და სალოცავად ვუბოძებ ფარნას, მედროშეს არჩილიანისას ციხისთავისას ხატ-ჯვარსა ნავისა ძველისასა საცავად და საფერად ზღვასა სვლისა ჟამსა...

ფარნას ეცინებოდა და კიდევ უფრო გაეცინებოდა, ლამურ მოსიარულესგან რომ არ ყოფილიყო კარგადაც ტვინგაბურღული. მოგადგებიანო, უთხრა იმან, ვინაიდან მიადგებიან იმათ, ვინც მათი იყო, მეტს ვერავის მიადგებიანო.

- ეს რა არი? - იკითხა ფარნამ.

- მაგ კოლოფში არის ხატი და ჯვარი. ნავებზე დაჰქონდათ ციხისთავებს. იმათი მცველიც შენი წინაპარი იყო.

ფარნამ ამოიხვნეშა და თქვა: - ეხლა რა უქნა ამ დროშას?

- რაც გინდა, ის უქენი, ოღონდ რო დაგიბარებ, უნდა მომიტანო...

აი, ეს ეთქვა ლამურ მოსიარულეს, სასაცილოდ დაგირჩება, ოღონდ ბოლოს მაინც საშინელს გეტყვიანო.

- ტისკებში ხარ, ძმაო, - გაიცინა ნიკამ.

- სად არი? - იკითხა დედოფალმა.

- ტისკებში.

- ეს სახლში წავიღო? - იკითხა ისევ ფარნამ.

- სადაც გინდა იქ წაიღე.

- შენ დათას პარა ხარ, არა? - ჰკითხა უცებ ნიკამ.

- ერთათ ვთამაშობთ, თანამბრძოლი ვართ.

- დათა კაი ბიჭია, - თავის ქნევით თქვა ნიკამ, - გოიმი არ არი. აზზეა, აი, ყველა პონტში...

- მე როგორცა ვხვდები, - დროშა ისევ ხელისგულებზე ედო ფარნას, - მე წავალ ეხლა და სანამ არ დამიძახებთ, მარმელადს ვჭამ.

- ეგ არ ვიცი, რა არის, - თქვა დედოფალმა, - შენ არ იფიქრო, რომ ცირკში ხარ. ოთხი დღის წინათ მე დედოფლად მაკურთხეს.

ფარნამ დაუსტვინა.

- ალბათ ხვდები, მედროშე, რომ საიდუმლოა. ჯერჯერობით. სახლში სტვენა კიდე არ ვარგა.

- ეზოში ვარ გაზდილი, სინიორა.

- უთხარით ამას, რომ სინიორას ნუ მეძახის.

ის მესამე კიდევ, წარბოსანი ანგლეზი, იჯდა და საერთოდ არ იღებდა ხმას, ვირებს ხატავდა ფურცელზე.

- ხელებს ხო არ გწვავს ეგ დროშა? მასე იცის, - თქვა დედოფალმა და ბეჭედი შეისწორა საჩვენებელ თითზე. დიდი, ყვითელი თვალი ჰქონდა, - დადე ეხლა ეგ დროშა, დაჯექი და მომისმინე... ამ ქვეყნის ამბავი უნდა მოგიყვე.

- არ მინდა დიდი ამბები, - თქვა ფარნამ, - მე, თუ გინდათ, ვიცოდი რო დამიძახებდით და არც მოვიდოდი, მერე ვთქვი, რა იცი, რას მოითხოვენ? მოთამაშე კაცი ვარ. არ მინდა ეგ ამბები.

- ეჰაააა, ფარნა მედროშე, რა არ გინდა? ისტორიაში გაბრუნებთ შენ და მთელ შენ მოდგმას, - ჩაიცინა დედოფალმა და სკამზე მიანიშნა იმ ბეჭდიანი თითით, - გვეძინა და ვიღვიძებთ. ვაი, დედა... რა მოხდება, რა უბედურობა მოხდება?

- სპაკუხა, ბაბუშკა... - თქვა ნიკამ, - მაგათ გავატარებთ პოლნი პრესში.

როგორ გააბითურეს კარმინემ და პატარა მათალომ ქართველი გამკეთებელი ბიჭები

„სიტი პიაცას“ წინ, მარცხენა კაფეში, იმ კაი ქარიან ნაშუადღევს, ისხდნენ კარმინე, ფარნა მედროშე და პატარა მათალო. ისინი სავარძლებზე გადაწოლილიყვნენ და გასცქეროდნენ შეცოტავებულ ნაპირა ბიჩს, ლაპარაკობდნენ პატარა მათალოს

საოპერაციო ცხვირის შესახებ, რადგან ამას საბოლოოდ და უიმედოდ დახშობოდა ცალი ნესტო.

- კაცს სამი შესასუნთქი ხვრელი აქვს, - ამბობდა კარმინე, - ორი ნესტო და ერთი პირი. გამოსასუნთქი კიდევ ოთხი აქვს, მაგ სამს მიუმატე ის ერთი დამალული. ასე რომ, ჯერ არაფერი გიჭირს.

ამათ ადრევე დაინახეს, რომ „სიტი პიაცასკენ“ სამმა გამხდარმა ჯეილმა შემოუხვია. სამივე იყო ასე შერჩეულად გამხდარი, შავ ფართო თიშეირთებს ქარი უფრიალებდა და გაუპარსავები იყვნენ. ამას არ უნდოდა ლაპარაკი, საქართველოს ქართველები იყვნენ.

იმათ ჩქარი ნაბიჯით შემოუხვიეს ისე, რომ ერთმანეთს არ დალოდებიან და კაფეს ტერასაზე ისე შემოქრიალდნენ, თითქოს მთელი იქაური ჰაერი მათი ყოფილიყო.

- როგორ გვანან სუნგალებს, - თქვა ფარნამ, - ეხლა, სანამ დაჯდებიან, ჯერ ყველაფერს მოათვალიერებენ.

- ოღონდ სუნგალებზე გამხდრები არიან, - შენიშნა კარმინემ.

იმათ კი არც უფიქრიათ დასხდომა, იდგნენ და ათვალიერებდნენ იქაურობას, ანუ პატარა მათალოს, ფარნას და კარმინეს. მეტი არავინ იყო იმ საათს.

მერე ერთმა სავარძელი გასწია ფეხით და ამათ მოადგა.

- ქართულს ლაპარაკობთ, ძმაო? - ჰკითხა პატარა მათალოს.

- ჩემი ძმა არ არი, - უთხრა მათალომ. დიდი ეშმაკი იყო ეს პატარა მათალო, კარმინესთან ერთად თუ იჯდა, საერთოდაც მელიასავით გამოდიოდა, - ჩემი ძმა წავიდა.

- ძმა კი არა, - უკეთ მოიწადინა ქართველმა, - ძმა კი არა, ქართულის ამბავში... ერთი მინდა, რო გკითხოთ..

- მკითხავდი? - ჰკითხა პატარა მათალომ.

- ბიჭო, პირდაპირ კითხე, ტო... ხო ხედავ, სამში არ არი, - დაუძახა მეორე ქართველმა.

- კაროჩე, აქ იგროკები არიანო... იგროკები ხართ?

- კაცი ვართ, - გაუღიმა კარმინემ, - იკლოკი არ ვიცი...

- ამათი ენა მოვტყან, - გაბრაზდა ბიჭი, - არ ესმით.

მეორე კი წინ გადმოიხარა და თვალებში ჩახედა კარმინეს.

- ბიძაჩემო, თამაში... თამაში, - და ხელებით ვითომ ბანქო ჩამოარიგა.

- ხოო... კი. იეს. მი. ინტი, - ვითომ გაიგო კარმინემ.

- ხარაშო. ეხლა მისმინე. მე მინდა დათა. დათა, - ისევ ვითომ ჩამოარიგა კარტი, - დათა რომელია?

- დათა არაა, - თავი გააქნია ფარნა მედროშემ, - დათა არაა. დათა, - და ხელი გაიქნია, აქაოდა, წავიდაო.

- დათა გვინდა, - თქვა ისევ პირველმა.

- დათა აქ არ მოვა. აქ არ მოდის, - აუხსნა კარმინემ, - დათა სხვა ადგილზე იქნება.

- სად?

- სხვა ადგილზე. ჩვენ არ ვიცით.

- დათა გვინდა, რა... სად იქნება?

- არ ვიცი, ძინავს.

- სად ცხოვრობს?

- ცხოვრობს?- ახედა პატარა მათალომ, - ცოლი არ უნდა. ბერიბიჭია.

- და სად ცხოვრობს?

- არ ვიცი. მე რატო მეტყვის, სად ცხოვრობს? კაცი არ ეტყვის, სად ცხოვრობს, სხვა კაცს. ქალს იპოვის და ცხოვრობს, მდაბლობს იმასთან, მე რა ვიცი? - გაიცინა კარმინემ, - მე ცოლი მყავ, იმასთან ვმდაბლობ.

- აუ... ამათ შიგა აქვთ... სახლი. სახლი.

- დათას სახლი? - გაეცინა კარმინეს და თავის ქნევას მოჰყვა, - დათას სახლი. კი.

- სად არი?

- კუნძულზე. ვისრამიანის კუნძული. აირპორტი იცი? იქ არი დათას სახლი.

ქართველებს არ მოეწონათ.

- წამო, მაჩვენე... - უთხრა უცებ მესამემ კარმინეს, - წამო.

- რა?

- დათას სახლი.

- კი, - თქვა კარმინემ და ხელი გაუწოდა.

- რა?

- ორასი ფუნტი. ორასი. ბევრი უნდა ვიარო.

ის სამნი ერთმანეთს შეაცქერდნენ. კარმინე კმაყოფილი უცქერდა.

- სანდრო იცი?- ჰკითხა ბოლოს მეორემ.

- სანდრო?

- დათას სიძე იცი?

- არა.

- სანდრო... ჯენოველი, სანდრო.

- არა.

- ვიცი, - თქვა უცებ ფარნამ, - სანდრო და კოსტა. მელექსე.

- ხო... ხო...

- სად ცხოვრობს?

- მე რა ვიცი, სად ცხოვრობს. არსად არ ცხოვრობს. ერთი უყვარს. ასე ვიცი.

- ბიჭო, ცხოვრობს სხვა რამეს ნიშნავს? - ჰკითხა მეორემ პირველს.

- რავი, ალბათ... სანდროს სახლი?

კარმინე სავარძლიდან წამოდგა და ტერასიდან ქუჩაზე გავიდა. მერე თითი მაღლა გაიშვირა და დაუძახა: - ჩიტადელა.

ბიჭებმა გახედეს. ბორცვზე წამომდგარი ციხესიმაგრე ჩანდა.

- მანდა? - იკითხა მესამემ.

- ალფრედო და კოსტა... კონსოლიერი დი მუზეო დი სანტა ესპერანსა.

- რაო?

- მანდ არი სახლი. ბიძამაგისი მანდ არი, - აუხსნა პატარა მათალომ, - იმან იცის სად არი სანდროს სახლი.

- ვია დელი ობერტენგი, ვილა და კოსტა, - თქვა ისევ კარმინემ.

- რაო?

- მანდ არიო, - დაუქნია თავი პატარა მათალომ.

- დათას იცნობთ? - დაიწყო ისევ იმ პირველმა.

- დათა, კი.

- დათას უთხარი, რო გეძებენ-თქო, ქართველები იყვენ-თქო და მაგარი საქმე გვაქ, თითონაც რო გაუსწორდება, ისეთი. ჩვენ ვართ... თბილისიდან ვართ, რა... მაგის სიძის ახლობლები ვართ.

- სიძე?

- ხო...-ხო... რა ქვია მაგის სიძეს?

- ვისრამიანი.

- არა, სხვა სიძეს. თბილისიდან ხო ყავს სიძე?

- დათას? დათას არავინ არ ყავს, - თქვა პატარა მათალომ, - დათა ამბობს, რო მარტოა. ვინ ყავს?

- შენი სახლი სად არი? - ჰკითხა კარმინემ ბიჭებს, - იქ მოვა დათა. მე ვეტყვი.

- ჩვეენ... ჩვენ იმენნა. ჩვენ თითონ ვნახავთ. იგროკების ბირჟა ხო ეს არი?

- „სიტი პიაცა“, კაფე „ლევანტი,“ - თავი დაუქნია კარმინემ.

- ეს ვაბშე იტალიელია? - ერთმანეთს ჰკითხეს ბიჭებმა, გატრიალდნენ და წავიდნენ, ისევ ჩქარი ნაბიჯით გაუხვიეს კუთხეში.

პატარა მათალოს სიცილი წასკდა.

კარმინე მხოლოდ იღიმოდა.

- ეს რა ჩარირამა ხალხია, - თქვა ფარნამ, - სუნგალზე უარესი...

- სროლა იციან, - შეახსენა კარმინემ, - ცუდ საქმეზე არიან, ვერ ხედავ? დათას უთხარი. მეც ვეტყვი...

- დათა ორი სუნგალით დადის, ესენი რას უზამენ?

კარმინემ თითქოს ნაწყენმა შემოხედა: - გძინავს? დათა არ უნდათ. მაგისი სიძე უნდათ. ეგება მოძებნონ და მოკლან. ეგრე არ არი?

- სიძე ხო გააგდეს?

- მერე რა?

ფარნამ ქაღალდის სუფრას გადაუსვა ხელი.

- გინდა იყავი ოჯახში, გინდა არ იყო. მაინც მოგიკაკუნებენ. ძაან მაგარი უნდა იყო, რო თქვა, მარმელადსა ვჭამო, - თქვა დაფიქრებით.

- სხვანაირი ხალხია ეს ქართველები. თუ აქ მარტო მეკობრეები მოდიან?

- მეკობრეები მოდიან, - თქვა პატარა მათალომ და სიცილი აუტყდა, - მამაჩემმა თქვა.

- მამაშენისხელა რა გააკეთე? - დაუბღვირა კარმინემ, - მამაშენმა ამხელა პატარა მათალო გაგაჩინა, ნახე, რამხელა მუცელი გაქ...

ფარნა კი წამოდგა: - წავედი, გავიარე. საღამოზე იქა ვარ. თქვენ აპირობთ დღეს?

- ვაპირობთ, ოღონდ შენთან და დათასთან არა, - უთხრა კარმინემ, - თავდამცველს ვთამაშობთ მე და უფროსი თარაია.

მისი აღმატებულება გვარის მამასახლისი, სალომეა ვისრამიანი

- ადე, ჰა, გამო აქეთ, - სუნგალი კართან გაჩერდა და კუთხეში მიგდებულ ფარნას ხელით ანიშნა, გამოდიო. ფარნა არ ჩქარობდა, რატომ უნდა იჩქარო და მერე მოკვდე,

წინა ღამითვე უთხრეს, მიგასრისავთო, რაც სუნგალის ენაზე ნიშნავს, რომ მოკლავდნენ. რომ ეთქვათ, აგცრამთო, იმის ნიშანი იქნებოდა, რომ მის მოსაკლავად ფინდიხს არ გახარჯავდნენ და დანას გაურჭობდნენ. ესეც არ ყოფილიყო და ვერც იჩქარებდა. დიდად გაელახათ საბრალო ფარნა, გალახვაც იოლი იყო მისთვის, ისე გაიგდეს ფეხთა ქვეშ, რომ ერთი ადგილი არ დაუტოვეს, დაუხეთქავი და დაუბეჟავი რო არ ჰქონოდა: მიწოლილიყო, არ სტკენოდა. მაინც ჩაეძინებოდა ხოლმე, ასე სცოდნოდა ამ წვალებას. ფარნა ამას ჯავრობდა, რომ ოჯახი დაგდებული დაურჩა და ისაც ვერ მოასწრო, რომ ცოლისთვის ეთქვა, ფულები, ტილოში გამოკრული, აქა და აქ მიდევსო. გარდერობში ედო, მაგრამ ძნელ მისაგნებზე, ეგების ვერც მოეჩხრიკათ ღონიერად. ამას ფიქრობდა ფარნა. თავის გოგოებზეც ჯავრობდა. მეტს არაფერს. თავისი მორგებული ჭკუით უკვირდა, სრულიადაც არ ყოფილა მისაკლავების მოლოდინი საშიშარი, მისაჩვევი ყოფილაო. ეს იყო, რომ ოღონდ აღარ ეცემათ, თორემ წინაღამ, თუ იმის წინ იყო, ვეღარც მოთვლიდა იმდენ დაძინება-გაღვიძებაში, რომელი დღე იყო. ეს ძმრის დენა და ნეკნის ტეხა არაფერი, არც კოჭში რკინის ჩარტყმა, როცა გკლავენ, ეს აღარ იყო, მაგრამ რათ კლავდნენ, ეს კი ვეღარ გაეგო საბრალო ფარნას. ამისთანა რა მოახდინა, რაც არ მოუხდენია. ქუჩაზე მოდიოდა ისე, როგორც მოდიოდა ხოლმე და ეტყობა, უნდა ევლო სხვანაირად. ის თავისი მინგრეული ვეიქლი უნდა შეემალა ეზოში და სადმე შემძვრალიყო, მაშინ გადაურჩებოდა. მანქანა მიდიოდა და შეუხტნენ შიგა, ხელზე ხელი უტაცეს, გასაღები ამოჰგლიჯეს, გადმოათრიეს შენი ფარნა და გადასტენეს სხვა მანქანაში ერთი-ორი მირტყმით. ცხვირი იქვე გაუტეხეს და ჩამოაფარეს თავზე შავი ნაჭერი. ასე ატარეს და იმის მერე სულ ურტყამდნენ, არც უკითხავთ მეტი არაფერი, მიგსრისავთო, ეუბნებოდნენ და რა შენი საქმე იყო, ბიჭო, დროშა და ამალა, ქაღალდი გერიგებინაო. სადღაც ჰყავდათ, აბა სად, რას გაუგებდი. იქამდე ქალაქში დიდს ვერაფერს დაინახავდი სხვანაირს. ეს იყო, რომ გავერნორმა ქუდი დაიხურა და ყოველივე მოლაპარაკებებიც კოხტად ჩატარდა. ფარნა ტელევიზორში გამოჩნდა. ერთი ეს იყო, რომ „ბიბისის“ არხმა პირდაპირ გადმოსცა და ფარნა გამოჩნდა. მეტი აღარაფერი. მერე ხო დაიწყო, საღამოსვე. ახლა კიდევ იფიქრა, ისე ვკვდები, რომ დოღზე მაინც ვერაფერი გავაწყვეო. თვითონ გაეცინა ამის ფიქრზე და ასე ნაცემი ჩაიძინებდა და გაიღვიძებდა პატარა ფარნა. სადა ჰყავდათ, ამის მუღამა უნდოდა და როგორც ბანქოს კაცმა, აქაც დაატყო თავს, რომ ყოველივეს ითვლის. ისიც გამოითვალა, რა ფიქრი ეწვევა კაცსა, როცა ასეთ დღეში არის დაგდებული და ელოდება, რომ მოკლან ყოვლად საზიზღრად, თავზე ლაფის დასხმით და მისის უღონობის სრულის ჩვენებით. რა საკვირველიც არ უნდა იყოს, პირველი სულ ფული ახსენდებოდა, რომ მის ცოლს და დედამისს ელენიას ეპოვათ. იმასაც ჯავრობდა, რომ ნეტავ ჯერ ჩემმა ცოლმა იპოვნოსო და იმან გაანაწილოს საცხოვრებელ გეგმადო, თორემ ბანკში რაღაცა სახარჯოები ეყარა, ის რა ფული იყო. დედას რომ ეპოვა, არ უნდოდა, მეტს ხელმომჭირნეობას გასწევს და ცოლ-შვილს გამიწვალებსო. ფარნა ძველ ყაიდაზე გაზრდილი გახლდათ, იმას დიდი რესპექტი ეჭირა საკუთრივ ინგლისური ფულისა და ასე შესაგროვებელს აქაურ ფულს ყოველთვის გადაიტანდა ინგლისურზე. ასჯერ მეტიც ექნებოდა, მაგრამ დოღს ვერ მოეშვა. ახლა პირველად შეინანა და ხშირად იხსენებდა დოღში წაგებულ დღეებს, იმას ილტვოდა და ეუბნებოდა თავის თავს, აი, როგორ მივდივარ, რო ერთი დოღში ვერ გავჭერი იმ ერთხელ მოგებულის მერეო. ჰფიქრობდა ცოლზე და ასე უცებ მოინატრა გოგოებიც. ოღონდაც, ეს ნაწყვეტი ფიქრები იყო და როგორც დაუკვირდა, ცოლზე ფიქრის ძალაუნებურ გადატანა ერცხვინებოდა, რადგან ცოლისა სულ ყველაფერი თავიდან ბოლომდე მოენატრა და ამათ შესახებ ფიქრების მოსაზღვრეობას განაგდებდა ხოლმე,

რასაც დაატყო, რომ გამოსდიოდა. სულ ბოლოს ფიქრობდა თავის ახალ მდგომარეობას. ამ ტყვეობას. ეს ფიქრი ისე ჩაეჭრებოდა ხოლმე სხვა ფიქრებში, რომ ისედაც ძნელად მსუნთქავს, მთლად გაუჩერებდა ხოლმე სუნთქვას. რო სცემდნენ, თავიდან ეკითხებოდა, რა გინდათ, რას მემართლებითო და ისინი ეუბნებოდნენ, წადი, ბანქო ითამაშეო, იცი, რაც გვინდაო. იმ ცემა-ცემაში გაახსენდა ნიკას ნასწავლები: პოლიცია რომ გცემს, რო დაგეხვევიან ერთად, მოიკუნტე და თავი ხელებში ჩარგეო, თუ სისხლი გაგდინდა, ისე მოითხვარე ცხვირ-პირზე, რომ მცემელებმა იფიქრონ, უკვე კარგად გავასილაქეთო და შეგეშვებიანო. არა სჭრიდა ამათთან. ამ ქალაქში პოლიცია არ სცემდა ხალხს და სუნგალს რას გააჩერებდი, ემაგ ცხრათავიან დევებს? ახლა რომ შემოსძახა იმ ერთმა სუნგალმა, ფარნა მედროშე თავისი ფიქრების რიგს იყო დაკვირვებული და ითვლიდა, ეს რა გამოდის, სიკვდილის წინ რაებსა ვფიქრობო, მაგრამ ასე კი იყო. იმას სულ ყოველთვის ეგონა, რომ გულში სულ ღმერთის ხვეწნა და მუდარა ექნებოდა, ასე მიშველე და ისე მიშველეო. იმაზე კიდევ ისევ ნიკას ნათქვამი გაახსენდა: ეე, ფარნა იგროკო, მაგრა ტეხავს, როცა გაგიჭირდება და მაშინ დაიწყებ „ღმერთო, ღმერთოს“ ძახილს, როცა საკაიფოთ ხარ, მაშინ ხო ერთხელაც არ დაგიძახიაო. ეს რომ გაახსენდა, თითქოს გაუხარდა, სწორე და მართალი კაცი ვყოფილვარ, არც ადრე შემიწუხებია ღმერთი, დოღში რატომ ვაგებო და არც ახლა ვაწუხებო. ხოდა, ახლა რო შემოუღეს კარი, იფიქრა, ერთი ამათი ოხერი მამინაცვალიც, რა უნდა მიქნან, მეტი რაღა უნდა მიქნან, სირცხვილია, ბოლოს და ბოლოს, დედოფლის მედროშედ ვითვლებიო. გავალ როგორც მედროშეო, დროშა თუ უნდათ, დროშა მე არ ვიცი სად არისო. მაგრამ არ ეუბნებოდნენ დროშას, ისე სცემდნენ წარამარა, რო არაფერი უთქვამთ, იცი შენა, იცი შენაო, ეუბნებოდნენ, ქაღალდი გასჭერ, ინტი ითამაშეო. აი, ასეთი დრო მოუვიდათ, სუნგალების საცემი შეიქნა, ხურდას რო ჩაუდებდა გამოწვდილ ხელში, მათალოს კლუბიდან გამოსვლის დროს, მაგ პარმაღის ყარაულებს, მაგათ. ვინ იცის, ეგეც სწყინდათ. წესი იყო, ყველა ჩაუდებდა.

ჰა, და გამოუღეს კარები, ადე, გამოეთრიეო.

წამოდგა საბრალო ფარნა მედროშე და ვერც წამოდგა. მიეყუდა კედელს და იფიქრა, სარკე და ჩემი შლაპაო, ასე იფიქრა. ალბათ იმიტომ, რომ გატეხილი ცხვირი ისევ სტკიოდა და ხედავდა თვალით, რომ სხვანაირი ცხვირი ჰქონდა.

- გამოეთრიე, ჰა... - უთხრა ისევ სუნგალმა.

გამოჰყვა კედელს და გამოიყვანეს მეორე ოთახში. ოთხი სუნგალი იდგა, თოფ-იარაღში ჩამჯდარები, ტყვიები გულზე გადაეკიდათ და ქამრებშიც პისტოლეტები ჰქონდათ. ფანჯარა იყო და ჩანდა ბაღის რაღაცა ნაკვეთი, პირველი სართული იყო. მიწა ჩანდა.

- დაეგდე აქა, - თქვა ერთმა სუნგალმა და ყველანი გარეთ გავიდნენ. ორი იცნო. რას ვერ იცნობ? ყოველდღე დაინახავდი ქალაქში.

იქ ხის ორი სავარძელი და პატარა მაგიდა იდგა. მაგიდაზე სიგარეტ „როტმანს როიალსის“ კოლოფი, ძველი თითბირის საფერფლე, ან ეგებ ჯამიც.

ფარნა არ დამჯდარა, დაჯდომას კაი ძალა უნდოდა. მერე რაღა წამოდგებოდა, თან ხის სავარძლიდან. ამიტომ ფარნა კედელს მიეყრდნო და იდგა ასე. მაინცდამაინც

მოსაკლავად არ უნდა გამოვეთრიეო, ამას კი მიხვდა. მოთამაშე კაცი იყო და რომ გამოიყვანეს, მიხვდა, მისაჭყლეტად არ გამოუთრევიათ. ეგრე არ იქნებოდა, უფრო იოლად იქნებოდა.

კარი გაიღო და ფარნამ იქით გაიხედა.

აი, შენი ოხერი მამინაცვალი.

ქალმა კარი მიხურა და იქვე გაჩერდა.

სალომეა ვისრამიანი.

ფარნას ძალიან გაუკვირდა. ნაცემი კაცის პირობაზეც კი. სალომეა ვისრამიანი როგორ არ ენახა, დათას და იყო. დათას და იყო და ისე რომ დაინახავდა, გაიფიქრებდა, დათას ლამაზი და ნაწვალები და ჰყავსო. იცოდა ის ამბავი, სალომეას რომ გადაახდუნა ოჯახმა და რას შვები ახლა? ის საბრალო ნიკაც ხომ იყო სალომეა ვისრამიანის ქმარი? ფუი... რა ეთქვა ფარნა მედროშეს, აღარც ეტყობოდა კედელს.

სალომეას შავი შარვალი ეცვა და რაღაც ულამაზო, დიდღილებიანი ქურთუკი მოეგდო. გაჩერდა კარში და უყურებდა ფარნას.

ფარნამ თითქოს სალამი დააპირა, მაგრამ იფიქრა, ძალიან მათხოვარი გამოვალ, ახლა რომ სალამი პირველმა ვთქვაო.

- გამარჯობა, ფარნა მედროშე, - თქვა სალომეამ ხმადაბლა, ბატონივით კი არა, დაღლილი ქალივით.

ფარნა შეეცადა, გაეღიმა.

- მინდოდა შენი ნახვა, მაგრამ ასე არა, - თქვა სალომეამ ისე, რომ კარს არ მოსცილებია, - არ ვიცნობთ ერთმანეთს.

- დროშა არ ვიცი, სად არი, - ამის თქმა კი მოახერხა ფარნამ, - დროშა მუზეუმს უნდა მიბრუნებოდა. მეორე დროშა...

სალომეამ თავი გააქნია.

- დათა სად არი, ფარნა?

- არ ვიცი.

- შენზე მითხრეს, რომ შენ გენდობოდა.

ფარნამ ამოიოხრა და ეტკინა ყველაფერი, ფეხის თითებიც კი.

- გაქრა. ცუდს იფიქრებ, კარგს ხო არ იფიქრებ. გაქრა. შენ გენდობოდა. შენ დედოფლის მედროშე ხარ. მე ვიცი, რომ ჩემს ქმარს იცნობდი, არ ვიცი... თუ რაღაც მოხდა, სადაც ისინი არიან, შენც იქ ხარ, ფარნა მედროშე.

- არსად არა ვარ,- წაიბურტყუნა ფარნამ და კიდევ ერთხელ ძალიან ფრთხილად ამოისუნთქა, - ისევ იმიტო, რო შემომიჩდენ... მედროშეობაც მაგიტო... ძველ წიგნებში

წერია, რო მედროშეებს ხელი აქვთ კარგი. ჩემ წინაპარს ფიცი მიუცია სარი ბეგისთვის... როცა დაგჭირდებით, მოვალთო. წიხლი ვერ დავკარი... ეს არი.

- დათა როდის ნახე, ფარნა? - ჰკითხა ისევ ქალმა.

- დღეს რა დღეა, არ ვიცი... ოთხშაბათს ვნახე, დათა მოვიდა ჩემთან ღამე, სასადილოში დაიძინა. ის ორი კაცი არა ყავდა, გამოვექეცი ჩემ სუნგალებსო. ეძინა, დილით ერთათ წამოვედით, მათალოსთან მოვედით. მათალო ავათ არი, წევს. კლუბიდან არ გამოდის. პატარა მათალო... ადგას თავზე... იქ ვჭამეთ. სიწყნარე იყო. მეტი არაფერი... შეილება ისევ მოვიდეო, ღამე აღარ მოსულა.

მე... ერთი დამირეკა ვიღაცამ... დათასგან ვარო. არ ვიცი. დათას ჩემთან აქ რაღაცეები... თამაშის ამბავია... ეხლა არ იცი... და იმ ვიღაცამ მითხრა, დათას ამხანაგი ვარო და დაუბარებია, ნახევარი შენ გქონდეს და ნახევარი მათალოსო. სათამაშო ფული იყო, რა...

ფარნა მედროშე ნელა გადაქანდა მარცხნივ და ჩაიკეცა კედელთან.

სალომეა კარს მოშორდა, ფარნას წინ ჩაცუცქდა და ხმადაბლა, ისევ დაღლილი ხმით უთხრა: - ჩემი ძმა თუ მოკლეს, ეს ქვეყანა აღარ იარსებებს... ასე უთხარი, ფარნა... ადექი ახლა და წადი. მე არ მიფიქრია, რო გცემდნენ. მართლა არ მიფიქრია. ცემა სისულელეა. გესმის, ფარნა?

ფარნამ ამოიხვნეშა.

- ჩემი ძმა თუ მოკლეს... - ხმა მთლად ჩაუწყდა სალომეა ვისრამიანს, - ფარნა...

- დათა ჩემი ძმა არი... - მეტი არაფერი თქვა ფარნამ.

- შენი ძმა არი... ეს ქართული ლაპარაკები ვინ გასწავლა? ვიცი, ვინც გასწავლა...

- ჩემი ძმა არი და თქვენი... თქვენი ვინ არი, არ ვიცი, - თქვა ფარნამ, - ეხლა გინდა დამჭყლიტონ იმ ყარაულებმა... და... გინდა... თქვენ იცით, რა... - თავი გადააგდო ფარნამ, - ჩემი ძმა არი...

სალომეა წამოდგა და ერთხანს ზემოდან დასქეროდა კედელთან ჩაკეცილ ფარნა მედროშეს.

- წადი, ფარნა... აეროპორტისკენ არ წახვიდე, აეროპორტი დაკეტილია და ხიდი დაკეტილია და შეიძლება, ტყვიას შეხვდე. ქვემოთ წადი. იქ გლეხები იქნებიან და ნავით გადაგიყვანენ. ჩვენი გლეხებია, ფერმებიდან. უთხარი, რომ ჩემგან ხარ და გადაგიყვანენ... მართლა, არ მეგონა, თუ ესენი გცემდნენ... მე ვუთხარი, მომიყვანეთ- მეთქი. მეტი არაფერი, ფარნა... შენ კუნძულზე ხარ, ვისრამიანების სახლში. აქედან წახვალ და იქით გადაგიყვანენ, საღამოს ქალაქში იქნები... წადი, ფარნა... და ბოდიში.

ფარნა მედროშე არ განძრეულა, ჩასძინებოდა თუ მოქანცულიყო ნაცემი.

ან იქნებ, მომკვდარიყო პატარა ფარნა, ფარნა მედროშე.

სალომეა ვისრამიანი კი ოთახიდან გავიდა, კარი ღიად დატოვა.

მაინც უფრო მომკვდარიყო პატარა ფარნა.

მართალი კი არ უთხრა. ძმობას არ ეღალატება.

სანდრო და კოსტას უთარიღო და გაუგზავნელი წერილებიდან

ტონინო, ერთგულო მეგობარო, ამ წერილს გწერ სრულიად სასოწარკვეთილი და დაბნეული, ვინაიდან არ ვიცი, რა ვქნა. ვზივარ ვილა და კოსტას სხვენში, იმ ჩვენს ოთახში და როცა გწერ, მალიმალ ვიჭყიტები სარკმლიდან, მოველი, ჩვენს ქუჩაზე როდის გამოჩნდებიან ვიღაცეები.

ტონინო, არ ვიცი, როგორ მოაღწევს შენამდე ეს წერილი, მაგრამ მაინც გწერ. ტელეფონები გამორთულია და ამიტომ ინტერნეტიც არა მაქვს, ტელეეკრანი კი მხოლოდ ციმციმებს. თუმცა რას უნდა ელოდო ტელეეკრანისაგან? ამ დილით გადავწყვიტე, რომ წამოვსულიყავი შენთან და მომეძებნე, რადგან მეოთხე დღეა არ ვიცი შენი ამბავი. ასევე არ იცი შენ, რას ვფიქრობ მე. მესმის, რომ მანდეთ მხარეს გამოღწევა ახლა შეუძლებელია და მაქედანაც აქეთ სვლა სახიფათოა, მაგრამ ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელი მეგონა, ქალაქის შემოვლით. ვიფიქრე, რომ ტყე-ტყე სიარული იოლი იქნებოდა და მოვაღწევდი თქვენს რესტორნამდე, ვინაიდან სახლში გუშინაც მოვედი თქვენთან და იქ ყველაფერი ჩაგმანულია და მადლობა ღმერთს, რომ ჩაგმანულია, ხოლო ბავშვები და კლარა კი სოფლად გყავს. ამაზე ჭკვიანური არაფერი გიქნია, მაგრამ მე წარმოვიდგინე, რომ შენი რესტორანი ახლა შენი საგუშაგოა და ბევრი ჭირის გადატანა გიწევს. ალბათ ასეც არის, მაგრამ ახლა სასოწარკვეთილი ვარ, იმიტომ, რომ ვერაფრით გამოვაღწიე მაქეთ და ყველგან თოფიანი ხალხი დგას, აქეთა მხრისები კი გირჩევენ, რომ იქით არ გადახვიდე. საერთოდ არ ვიცი, სად არის ბიძაჩემი, თუმცა აქეთებმა მითხრეს (რა სულელები არიან ეს სუნგალები), რომ ციტადელს მალე გაათავისუფლებენ და თუკი ალფრედო იქაა, დაგვიბრუნებენ. რა საშინელებაში მოვყევით, ტონინო, თუ ხედავ? ვზივარ აქ და არც კი ვიცი, ცოცხალი ხარ თუ მკვდარი.

ქალაქის შემოვლით ხეირი არ დამადგა, იქაც არის საგუშაგოები და ყველამ უკან გამომაბრუნა. როგორც კი შეიტყობდნენ, რომ და კოსტა ვარ, ყველა გულწრფელად მეუბნებოდა, რომ იქით გადასვლა არ მიღირს, რადგან ტყვიის მეტს ვერაფერს მოვიმკი. საგუშაგოზე იდგა ერთი გოგო, მონიკა, რომელმაც გუშაგებს უთხრა, რომ პოეტი ვარ. ეს პირველადაა ცხოვრებაში, ტონინო, რომ ვიღაცამ პოეტი მიწოდა. ის გოგო უსო დი მარეს შვილიშვილია, ჟურნალისტი. საკმაოდ კარგად ვიცნობ, ტონინო და მომყვებოდა კიდეც, სადაც წახვალ, წამოვალო, მაგრამ არაფრით გამოვიყოლე. ახლა არ მინდა, რომ ამ გოგოზე ლაპარაკმა წამიღოს. სხვა დროს იყოს. გამოვბრუნდი მარტო.

ჩემი სადარდებელი კი იცი, ყველანი მაქეთა მხარეს აღმოჩნდით. შენ დგახარ შენს რესტორანთან (ვერ ვიფიქრებ, რომ რაიმე დაგემართა. ასე მინდა წარმოვიდგინო, შენი ნიჭის და ხალისის წყალობით, მაგათაც მოთაფლავდი), ბიძაჩემი გამქრალია, ხოლო სალომეა, არ ვიცი, სად არის. ნეტავ, იმ მაგათ წყეულ კუნძულზე იყოს. იმდენი ვიარე, რომ ამოსუნთქვა მინდოდა. საშინელებაა. ნავსადგურში, ალბათ უარესია, რადგან

საგუშაგოები ატარებენ ტურისტებს. მითხრეს, აეროპორტი ამაღამ დაიკეტება და მერე ვეღარავინ წავაო. მე მაინც ვერ მოვითმინე, ძალიან მინდოდა შენი ნახვა და ყველას ამბების გაგება, ვინმე თუ დარჩა ცოცხალი, ან რა მდგომარეობაშია. როცა უკან მოვბრუნდი, გამახსენდა, რომ ნიკოლოზის ბაღით შეიძლება მანდეთ გადმოსვლა. მანდ არასდროს დადის ვინმე და ვიფიქრე, რომ არც ახლა იქნება ვინმე. ვის უნდა გაახსენდეს ეს ღრანტე, რომელიც, როგორც ვფიქრობდი, სწორედ ჩემდა ბედად არის ქალაქში. მოვბრუნდი უკან და გადავძვერი მესერზე. არც უნდა გადაძრომა, მოვარყიე და შევედი. ვფიქრობდი, რომ სამხრეთისკენ უნდა მევლო, ცოტათი დასავლეთისკენ და მერე გამოვიდოდი ბანქოს სახელოსნოებთან, უკანა მხრიდან. იქ არის რამდენიმე ძველი, ჩალეწილი ფანჩატური, ორი შემხვდა იმ საშინელ ბილიკზე და მესამე რომ შემხვდა, ჩემთვის ეს იყო ძრწოლისმომგვრელი აღმოჩენა, იმიტომ, რომ იქ, ფანჩატურში ვნახე დათა ვისრამიანი. ძალიან გავოცდი და ისიც ძალიან გაოცდა. თუმცა, თავიდან შევშინდი და ალბათ ისიც შეშინდა. იქ ვნახე დათა, გამოხვეული რაღაც ძველ ლაბადაში, გაუპარსავი და მოკლედ, შევძრწუნდი ამის დანახვაზე მას ჰქონდა მაგნუმის რევოლვერი და ცხადლივ წარმოვიდგინე თუ რა ხდება სინამდვილეში. აქეთა მხარეს, ჩვენკენ (ხედავ უკვე რა სიტყვებს ვწერ) დათა არის მტერი და მას დაეძებენ, რათა გამოიყენონ. იქითა მხარეს დათას ასევე დაეძებენ, რათა მოიხმარონ. მან კი ვერაფრით მოახერხა ქალაქიდან გაღწევა. ძალიან დათრგუნული და შეწუხებული იყო. მე ვუთხარი, რომ ჩემთან წავიყვან და იქ იყოს მანამდე, სანამ რაიმე გზას არ გამოძებნის. იუარა. დათა მარტო არ იყო. იქ იყო ერთი ბერი, მგონი პანტელეიმონი, რომელიც ალბათ მისი ახლო მეგობარია და რომელიც უზომოდ შეწუხებული იყო. იქ ასევე იყო ერთი კაცი, სწორედ ის კაცი, დედოფალს (ჰმ, ჰმ, ტონინო) ახლდა ერთხელ, როცა ის დღეები იყო. ისიც მეგობრად გამაცნო დათამ. მე როგორც მივხვდი, დათას დასახმარებლად იყო ორივე. მე დაჟინებით ვთხოვდი, რომ ჩემთან წამოსულიყო, მაგრამ მან მითხრა, რომ სხვა გეგმა აქვს. ძალიან მინდოდა მეკითხა ის, რაც სალმისთანავე უნდა მეკითხა, მაგრამ როგორღაც ვერ ვახერხებდი, იმიტომ, რომ ვნახე ჩემზე უარეს დღეში მყოფი კაცი, ბოლოს კი ვკითხე, სალომეასი თუ იცოდა რამე. მან მხოლოდ ჩაიღიმა და ხელი ჩაიქნია. მე გადავაცივდი, რა ამბავია-მეთქი. არაფერიო, მითხრა გულწრფელად, მგონია, რომ კარგად უნდა იყოს, როგორც უნდა ისეო. მაინც არ წამომყვა და მეც არ გამაგრძელებინეს გზა, რადგან ბერმა დაბეჯითებით მითხრა, რომ ბანქოს სახელოსნოებთან მათი დიდი საგუშაგოა, ხოლო კედლებზე, სხვა მხრიდან, ვერაფრით გავძვრები. ჩანს, მათ ნაცადი ჰქონდათ ყველა გზა და რაღაცას ელოდნენ. მე შენი ამბავი ვკითხე, ხომ არ იცოდნენ, რა ხდება იქით. არ იცოდნენ, არც წამომყვნენ და გამოვტრიალდი სრულიად გაპარტახებული და განადგურებული. ეს რა არის, ტონინო? რა ვქნათ? ეს რა ჯანდაბაა?

აი, ვწერ და არ ვიცი, რატომ ვწერ. თითქოს შენ გწერ, მაგრამ საით? როგორ მოაღწევს ეს წერილი შენამდე? დავბოდიალობ ამ უზარმაზარ, სიჩუმის ამ აუტანელი ხმებით სავსე სახლში და არ ვიცი, რას ვეცე. ახლა თოფები გამოვალაგე, ძველი სანადირო თოფები, და კოსტათა სახელები რომ აწერია ზედ. გახსოვს, ბავშვობისას როგორ ვცდილობდით სათოფე კარადის გაღებას?

ტონინო, ერთგულო მეგობარო.

მინდა, რომ კარგად იყო. როგორღაც ისე გავიდა ცხოვრება, ხითხითსა და დარდში. მგონი, ეს კარგი ცხოვრება იყო, ხითხითისა და დარდის. მეტი არც უნდა იყოს რაიმე. ახლა კი რა დაიწყო?

რა ჯანდაბა დაიწყო, ტონინო? ვის რად უნდა ეს სისულელე?

არ ვიცი, რას ვიზამ. ეგებ, შენც მომწერო რაღაც ამგვარი. ვეცდები, ხვალისთვის კიდევ მოვიფიქრო რაღაც.

შენი სანდრო და კოსტა, გიჟისთვალებიანი, როგორც შენ ამბობ ხოლმე

შეყვარებული ქალ-ვაჟი ბუძგის ყანაში

სახლი მათიანებისა და პოლიტიკური ვითარება

მათიანები ისეთივე ძველი გვარი იყო ამ კუნძულისა, როგორც ქარიანნი, ნიანიანნი და სხვანიც კიდევ, ჯამურად ათნი.

ლომთათი მათიანი იყო სახელოვანი წინაპარი თქმულებიდან, კაცი ნავისა მმართავი და ბადეთა მტყორცნი, შვილი მათესი და აქედანაც დარჩა მათიანი მათ გვარად. იმთავითვე გვარი იყო მებადურობისა და თევზის რაობის მცოდნისა, ასე რომ, ჯერაც კიდევ ჯენოველთა მოსვლამდე მთელი კუნძულების სარჩო თევზი მათიანების გოდრიდან მოდიოდა. ასე გამოეწყო, რომ ახლაც, ყოველგვარი სარეწაო საქმის ავანჩავანნი იყვნენ მათიანები, რომლებსაც ხუმრობით ეძახდნენ ბადიანებს. „მათიანი ფიშერმენ“ იყო განთქმული სახელი, რომელიც ყველა პირდაღებულ თევზს ფერდზე ჰქონდა დაკრული და მათიანები კარგა მძლენი გახლდნენ: ეჭირათ სახლები და თავისი დოკიც კი ჰქონდათ. ახლა იმათი ოჯახობისას ბევრს არას გავაგრძელებთ, საქმის ხალხი იყო და სადამდე გადასწვდნენ თავიანთი თევზებით, იმას ჩვენ ვერ დავუთვლით.

მათიანები გაგვახსენდა იმიტომ, რომ რახანღა ახლოვდებოდა გვარების მამასახლისთა დიდი შეკრება, რიგი უწევდათ მათიანებს და სულ ყველამაც იცოდა, რომ ეს იქნებოდა მამასახლისთა სრულიად სხვანაირი შეკრებულება. ვინაიდან ადრე მამასახლისთა შეკრებები არიფანას ქეიფებსა ჰგავდა და იქ სულ რამდენიმე გვარის წინამძღოლი მოიყრიდა ხოლმე თავს.

ვითარებისდა მიხედვით, ანუ პოლიტიკურ ცვლილებისდა კვალად, სრულ სამ თვეში ინგლისის ჯარი და მმართველობა დატოვებდა სანტა ესპერანსას სამივე კუნძულს, ხოლო სანტა ესპერანსას პარლამენტში იგივე გვართა მამასახლისები ისხდნენ, თუმცაღა არ ისხდნენ, რადგან პარლამენტი მხოლოდ ნაგვის ყუთების გადაღებვისთვის თუ იყო უფლებამოსილი და დიდ თვრამეტ გვარს, რომელთაც საუკუნის წინათ საგანგებო ბრიტანული კანონით მიენიჭათ დამფუძნებელ და განსაკუთრებულ გვართა ქაღალდები და შეკრების უფლება, პარლამენტში მისვლა თავიანთ დამცირებად მიაჩნდათ და ამიტომ სანტა ესპერანსაში არჩევნები ყოველთვის ხუმრობით ტარდებოდა ხოლმე.

მეოცე საუკუნის დასაწყისში გვართა საკრებულო, თათბირები თვრამეტი გვარისა, მართლაც იყო რაღაცა აზრისა, რადგან კონსტიტუცია ცინცხალი გახლდათ და

გვარებს თავი ყინჩად ეჭირათ. სულ ბოლოს კიდევ, გვართა საკრებულოს ხუთი წევრი თუ შეიკრიბებოდა და ისადილებდა. ეს იყო და ესა. თვრამეტ ოჯახს შორის შეკრებულების მასპინძლის ვინაობის გამორკვევა ხდებოდა სამი ოჯახის გადაწყვეტილებით და ისე კი აეწყო, რომ ეს ამბავი მეგობრულ მისვლა-მოსვლას, წელიწადში ერთჯერად ბიზნეს ლანჩებს დაემსგავსა. ჯენუური გვარები არც თავიდან იკლავდნენ თავს იქ მისვლით, მერე კი საერთოდაც დაივიწყეს მამასახლისთა კრებული, თუმცა წესი არსებობდა: შეკრების მასპინძელი ჩვიდმეტსავე გვარს უგზავნიდა მოსაწვევს და შესთავაზებდა, სადილობას რით შემოეწევითო, რადგან წესად იყო, რომ გვარები ნათათბირალის ტრაპეზის ხარჯს ინაწილებდნენ. მასპინძელი მამასახლისი ჯიუტად აგზავნიდა ხოლმე მოსაწვევს ქარიანების მისამართზე, თუმცა ოცდახუთ წელიწადზე მეტი იყო, არა ქარიანი აღარ ცხოვრობდა სანტა ესპერანსაზე.

ჰოდა, ჯერ კიდევ ზამთრამდე, სარდიონ მათიანს, მათიანების გვარის მამასახლისს, ვისრამიანების გვარის მამასახლისმა, კონსტანტინე ვისრამიანმა, დაურეკა და უთხრა, დავსხედით მე, თავარიანი მიქელ და ნიანიანი გუჯი და გადავწყვიტეთ, რომ სწორედაც რომ შენ უნდა უმასპინძლო მამასახლისებსო. სარდიონ მათიანმა არ შეიცხადა და უთხრა, ასე იქნებაო, რისთვისაც ყოველივე მოამზადა.

რახან დროით წვიმებს ემთხვეოდა ეს შეკრება, მათიანმა იფიქრა, რომ იგი ქალაქგარეთ მოეწყო, თავისი დიდი სახლის ვერანდაზე და ამის საჭირო ქაღალდებიც მოამზადა. საქმე ის იყო, რომ ყოველი მამასახლისი გრძნობდა, ამ შეკრებულებით უნდა მოეხდინა რაიმე საჭირო საბუთის მიღება, რომელსაც გვარიანი აზრი ექნებოდა ინგლისელთა გასვლის შემდეგ. ეს თვრამეტი გვარი, რაღა თქმა უნდა, დაკარგულ ქარიანთა გამოკლებით და მათი უფროსი ვაჟები ან ქალები, სინამდვილეში წარმოადგენდნენ სანტა ესპერანსას პარლამენტს, რომლის ამუშავების გაფართოებული გეგმაც ინგლისელებმა უკვე უხმაუროდ ჩამოურიგეს გვარებს და გუბერნატორის სასახლეშიაც ლამის კვირაში ორჯერ მიიწვევდნენ ხოლმე მათ. თუმცა, იქ კვლავ არ მიდიოდნენ უმეტესნი, მაგრამ ამბის გამომტანი კი ყოველთვის მოიძებნებოდა და გაზეთებიც ხან ასე გაჰკრავდნენ, ხან ისე გამოჰკრავდნენ.

ცხადი იყო, რომ გვართა საკრებულოში, ისევე როგორც იმ არარსებულ პარლამენტში, უმეტესი სკამი ძველ იოანელებს ეჭირათ. კუნძულის ათ უძველეს გვარს, რაიც ქარიანთა გამოკლებით ცხრა იყო, ემატებოდა სამი განთქმული ოსმალური ოჯახი ტოლუმბაშ ბეის თამადობით და ხუთიც ძველი ჯენოვეზური გვარი, ასე რომ, იოანელებს, როგორც საკუთარ თავს უწოდებდნენ კუნძულის ქართველები, ძალა ეტყობოდათ, თანაც კი, თუ შეკრებულობის მამასახლისის ერთ ზედმეტ ხმასაც ზედ დავამატებთ, ისინი ყოველივე იმას სულ იოლად გადასწყვეტდნენ, რაც ფიქრში ჰქონდათ.

მაგრამ რა ჰქონდათ ფიქრში?

აი, ამის თაობაზე იტეხდა თავს სარდიონ მათიანი. ის კი აგვარებდა ყოველივე მასპინძლურს, მაგრამ ერთი შეკრება რაა, ისიც არ მოხერხდა, რომ ელაპარაკათ. არადა, მათიანმა იცოდა, რომ ჯენუელები იკრიბებოდნენ და თათბირობდნენ, ტოლუმბაშ ბეიც არკვევდა თავის გასარკვევს მუსტაფა ბეისა და საიდ ნური ბეისთან ერთად და ისიც იცოდა, რომ ეს რვა მამასახლისი ერთმანეთსაც შეხვედროდა.

ეს შემაშფოთებელი და საკვირველი იყო, თუმცა სარდიონ მათიანი იმასაც ფიქრობდა, რომ თავადაც ვერ გაერკვია, რა უნდოდა. აი, მე რა მინდა, სამაგალითოდ რომ ავიღოთო, ჰკითხავდა საკუთარ თავს და პასუხობდა, არაფერიც არ მინდაო, როგორც არის, ისე იყოსო. მაგრამ იმას კი ხვდებოდა, რომ რაღაცეები იცვლებოდა.

ამგვარმა ვითარებამ მთელ თვეს გასტანა და მერე კვლავ კონსტანტინე ვისრამიანმა დაურეკა და თავისთან მიიპატიჟა, ქალაქის სახლში.

რაც იმ ვახშმად შეიტყო სარდიონ მათიანმა, იმან საბოლოოდ აურია გონება. შინ რომ ბრუნდებოდა, მანქანაშივე ფიქრობდა, იყოს მერე, რამ გადარიათო. გადარევა ვერ გაეგო. თევზის და წყლის მცოდნე კაცი იყო. თევზსავით ჩადუმდებოდა ხოლმე, ჰყოფნიდა თავისი მილიონები, უყვარდა მარილწყლით შეჭმული ძველი კიტელის ჩაცმა და თავის გემებზე ტრიალი. თვითონ დაუჯდებოდა ხოლმე კატარღის საჭეს და მიადგებოდა ზღვაში თავის მებადურებს. თვითონ იჭერდა, უყვარდა, როგორ დაატრიალებდა ხოლმე ბადის ბერკეტს და უყვარდა, როგორ სხმარტალებდნენ თევზები სატვირთო ყუთებში. იყოსო, ასე ფიქრობდა, მაგრამ ნახე, როგორ მოუტრიალეს.

ანგლეზების მოხერხებულობა ცნობილია, მაგრამ იმას თუ მოხერხებულობა არ დაუხვედრე, რა გამოვა? მუშტი თუ დაახვედრე, რა გამოვა?

თურმე ანგლეზები ამას ფიქრობდნენ: ერთის მხრივ, რომ გვარებს ელაპარაკებოდნენ, მათ აზრს შეიტყობდნენ, რაღაც გეგმებს სთავაზობდნენ, არჩევნებისკენ მოუწოდებდნენ, ურჩევდნენ, ეფერებოდნენ, მეორეს მხრივ კი გეგმად ჰქონიათ, აი, რა: როგორღაც გახსენებიათ, რომ სანტა ესპერანსას კუნძულად, სანტა ესპერანსას ქალაქად ისევღა სცხოვრობს კუნძულის ძველ ციხისთავთა ბერიქალი ჩამონავალი, აგათია. სხვას ეგებ ახსოვდა, მაგრამ სარდიონ მათიანს კი - არა. ჰოდა, ანგლეზებს საიდუმლოდ დაუმუშავებიათ გეგმა, რომ რათა არ დაირღვეს რიგი და არც რამე შეიცვალოს, ძველ ღირსებათა გამოისობით და მთელ ახალ მიზეზთა აუცილებლობით, კუნძულზე დაემყარებინათ კონსტიტუციური მონარქია და ეს მოხუცებული ქალი ეკურთხებინათ შეზღუდულ მონარქად, რითაც მის წინაპართა წინაშეც მოიწმენდდნენ ნამუსს. მხოლოდ ანგლეზიც არაფერ შუაში იყო, ეს გეგმები სცოდნიყო თურქებს, რუსებს, ამერიკელებსაც კი და ბოლოს და ბოლოს, იმ წამხდარ ქართველებსაც. და ყოველი ამათგანი, ასეთი საშუალო გადაწყვეტით კმაყოფილი ყოფილიყო, რადგან ვერც ერთი იმდენს ვერ გაბედავდა, რომ სანტა ესპერანსასთვის ზარბაზნები ისე დაეღერებინა, რომ მოწინააღმდეგისთვის ეჯობნა. ამიტომ ერჩივნათ ბებერი ქალი, სიმშვიდე, ნაბიჯ-ნაბიჯ გამორკვევა. ამასთან კი, ცხოვრებისა და ქონებისა არაფერი გადასხვაფერდებოდა.

ამ აგათია დედოფალს ანგლეზები დაანიშვნინებდნენ პარლამენტის არჩევნებს და ასე მიჰყვებოდა მათი თვალყურის გდებით. ინგლისივე მოეხმარებოდა ესპერანსას მცირე და ფრიად სიმბოლური ჯარის აშენებაში, საერთაშორისო ზომის გათვალისწინებით და რომ გეკითხათ სარდიონ მათიანისთვის, საუცხოო, სწორედ საუცხოო გეგმა იყო. პრემიერიანად რვა მინისტრის დანიშვნა იყო გამოთვლილი, კუნძულის ანგლეზები კი, ვინც ეგებ საუკუნე-მეოთხედსაც კი ცხოვრობდა აქა, არსად აპირებდნენ წასვლას, არც სთეითის ბანკები იძროდნენ. ოფშორი იქნებაო და რას აღარ ამბობდნენ.

ეს, ჯერჯერობით, საჩურჩულო გეგმა სარდიონს თუ თხრობით მოახსენეს, კონსტანტინე ვისრამიანს წერილობით მოეპოვებინა და მუხლობრივ გაერჩია კიდეც. ლაპარაკიც ეს იყო და როგორც დაატყო სარდიონ მათიანმა, იქ დამხდურებმა და მერე მოსულებმა მასზე ადრეც იცოდნენ ყველაფერი და ოთხი მათგანი უარს იყო ამ გეგმაზე, ხუთი კი ამ ოთხს ეთანხმებოდა. თვითონ იქნებოდა მეექვსე.

ცხადია, თავი და მეთაური იყო კონსტანტინე. მან თქვა, რომ სზარავს იმის წარმოდგენა, რომ გამოსათხოვარ ცერემონიალზე გავერნორი დროშას იმ ბებერ ქალს გადასცემს და მერე იმ ქალმა უნდა დაუნიშნოს არჩევნები და კანონები მას, როგორც შენახულსა და ვისრამიანს და გაუკანონოს რამეები. ხოლო რას გაუკანონებს, იმთავითვე ცხადია. მას მიაჩნდა, რომ დროშა უნდა გადაეცეს მამასახლისთაგან არჩეულ კაცს. ეს კაცი კი უნდა იყოს სწორედაც რომ სარდიონ მათიანი, რომელმაც, ასევე, თავმჯდომარეობა უნდა გასწიოს მამასახლისთა შეკრებულობაზე. სარდიონმა სასტიკად იუარა, თუმც ყველამ დაუწყო მტკიცება, რომ ის არის ერთადერთი კაცი, რომლის ასეთ საქმეზე მოხაზირებასაც არავინ შეეწინააღმდეგება, თვით ინგლისელებიც. სარდიონმა გამოაცხადა, რომ მეთევზეა, რაზეც კონსტანტინემ მოხდენილად მიუგო, რომ სწორედ მეთევზე სჭირდებათ. კონსტანტინემ თქვა, რომ თუ დედოფალი იქნა, მაშინ ის, რასაც მთელი თავიანთი გაგებით და ადამიანობით ეწინააღმდეგებოდნენ იოანელები, უცილობელ მოხდება და ისინი ბორდელად გადააქცევენ სანტა ესპერანსას. ეს არ არის მარტო ზღვისპირიო, ეს არის ჩვენი სამშობლოო. უჰ...

მერე სულ წიბო-წიბო გაირჩა ვითარებანი, რომელთა არსიც მისახვედრია, ამბეულობაზე კი არ შევჩერდებით, ისევე როგორც მათიანთა ქონების აღწერაზე. ეს კი გამოირკვა, რომ ამ საქმეში ღუზა სწორედ ვისრამიანებს უნდა ამოექაჩათ. რახან გონება ასე გაუხსნეს, სარდიონ მათიანი მიხვდა, რომ პრემიერ-მინისტრი უნდა ყოფილიყო რომელიმე ვისრამიანი, არა კონსტანტინე, არამედ მისი შვილებიდან. გვართა საკრებულო კი სწორედ რომ პარლამენტის ადგილს დაიჭერდა. ეს ათნივე იქ ფიცით შეიკრნენ, რომ ნალაპარაკევს არ გაახმიანებდნენ და ანგლეზებთან შეხვედრა-მუსაიფს ამ აზრით წარმართავდნენ, მამასახლისთა შეკრებულობაზე კი ანგლეზს დროებით კომისრად სწორედაც მათიანს წარუდგენდნენ.

ეს კი იფიქრა მებადურთუხუცესმა, რა ჯანდაბის აუტყდათო, რა აზრები გამოიხმეს, სულ დავიწყებულებიო და ისიც იფიქრა, რამე არ წავახდინოთო, ოღონდ კი მეტი აღარ უფიქრია, ვუმასპინძლებ და გამოჩნდებაო.

ასე იყო. მათიანებს საძებარი არ ჰქონიათ სკამები და გრძელი მაგიდა და არც გაჰკვირვებიათ, რომ ზედიზედ მოსდიოდათ თანხმობის წერილები და სადილისთვის საარიფანო შეთავაზებანი.

მონიკა უსო დი მარე და ორი კაცი

1.

ხოჭოსავით „ფოლკსვაგენი“, აუტანელი ფერისა, საჭესთან რომ სრულიად აუტანელი არსება ეჯდა და სრულიად აკრძალულ ადგილებში ნახავდით ხოლმე უპატრონოდ დაგდებულს, რაც მისი პატრონის და გზის პოლიციელების გაუთავებელ დავა-კამათს იწვევდა ხოლმე, რისი ბოლოც ის იყო, რომ პატრონი საჯარიმო ქვითრებს უკან მიუყრიდა პოლიციელებს და რაც მთავარია, ამგვარი ქცევა რაღაც უცნაური მიზეზის გამო შერჩებოდა, ერთ-ერთი იშვიათი მანქანა იყო სანტა ესპერანსას კუნძულებზე, იმ საკითხში, რომ საჭე მარცხნივ ჰქონდა. ასეთი სულ სამი მოიძებნებოდა.

ამ მანქანის პატრონი გახლდათ მონიკა უსო დი მარე, დაბადებიდან ოცდახუთი წლისა, ხელობით გოსსიპ-რეპორტერი მუდმივი სამუშაოს გარეშე, რომელიც მიიწევს ფოლითიქალ რეპორტერობისკენ. ის იყო იერით არცთუ მკერდიანი გოგო, რომელსაც ყოველთვის უჩანდა ჭიპი, ჭიპზე კიდევ ვერცხლის რგოლი, ზედ ასხმული მარჯნის მარცვლებით.

მონიკა უსო დი მარემ ბევრი რამ იცოდა, მაგრამ ზუსტად და თავიდან ბოლომდე - არაფერი.

2.

ედმონდ კლევერმა ჯერ იფიქრა, რომ გოგო ფათერაკისთვის აეტორღიალა. თუმცა მონიკამ თავიდანვე უთხრა, რომ მხოლოდ მისი მწერლობა აინტერესებს, როგორც სტუდენტს.

ეს იყო კაფე „მარტინოს“ ტერასაზე, სადაც გოგო სრულიად სისხლმოწოლილი, მღელვარე და ერთი ხელით მეორე ხელის თითების მტვრეველი თავს წამოადგა კლევერს, მისივე წიგნი გაუწოდა სამახსოვრო წარწერის მუდარით და ლინგვისტიკის სტუდენტად წარუდგა.

რატომაც არა? - გაიფიქრა კლევერმა. იმას კი ვეღარ მიხვდა, რომ გოგო საგანგებოდ წამოჭარხლებულიყო.

ფათერაკი დასრულდა კლევერის ნომერში, სადაც საშხაპედან გამოსულ სამოგზაურო ჟანრის მეუფეს გოგო აღარ დაუხვდა.

მან არ იცოდა, რომ გოგო კუნძულის ერთ-ერთი ყველაზე რჩეული ოჯახის შვილი იყო და თანაც, ძალიან რთული არსება.

მეორე დღესვე, ნაშუადღევს, გოგო ისევ მოადგა კლევერს და შინაურულად ჩამოუჯდა გვერდით.

კლევერმა ვერ ჰკითხა, სად ჯანდაბაში წახვედი წუხელისო. მონიკამ თავად დაასწრო, მართლა სტუდენტი ნუ გგონივარ, ხედავ, აი, იმ ქუჩას, თავიდან ბოლომდე ჩემიაო.

- ღმერთო ჩემო, - ამოიოხრა კლევერმა, - თქვენ თვრამეტი ოჯახიდან ხართ?

- ასეა, - უთხრა მონიკამ, - ამ ბოლო დროს მწერლებით დავინტერესდი. ასეთი სამთქნარებელი იშვიათად მინახავს. ძალიან ჩვეულებრივი ხალხი ჩანხართ, ჩვეულებრივი ფიქრებით.

- გმადლობთ, - ჩაიცინა კლევერმა, - გმადლობთ, ნდობისათვის.... რატომ უნდა ვიყო არაჩვეულებრივი? ჩვენი დროის ერთი უფერულობა ბიოგრაფიის არქონაა.

- არ ვიცი... ისევ გნახავთ, - დაემშვიდობა მონიკა, - ბიოგრაფია არ არის მთავარი. მთავარია, არაჩვეულებრივად გამოგივიდეს რაღაც. ვთქვათ, სიგარეტის მოკიდება. სანთებელა მაინც გქონდეს არაჩვეულებრივი.

3.

მონიკამ მანქანა ზედ ალაყაფთან გააჩერა და გისოსებს იქით, ჩაჩრდილული, ჩაბურული გზა შეათვალიერა. ალაყაფი ღია იყო, მაგრამ მანქანა მაინც იქვე დატოვა და ფეხით წავიდა.

კარგი ბაღი იყო, სანახევროდ მოვლილი, მაგრამ გემრიელი და მყუდრო.

- ალო! - დაიძახა მონიკამ, - ალო... არის აქ ვინმე?

ვილა იყო სრულიად მდუმარე და დიდი, თუმცა არც მთლად მდიდრული, ბაღივით სანახევროდ მოვლილი.

- ალო, - საკაკუნოს დასცხო მონიკამ, - სინიორორ... სინიორა. ალო!

- ამ სახლში არავინაა, - მოესმა უკნიდან.

მონიკამ მოხედა და დაინახა სახლის პატრონი, თმაგაწეწილი და გაუპარსავი კაცი ძველ ჟაკეტში.

- თქვენ და კოსტა ხართ?

- გააჩნია, რომელი...

- თქვენ ალესანდრო და კოსტა ხართ, არა?

- ასეა... ოღონდ, სახლში არავინაა, მოჩვენებების მეტი. ვეღარ შევდივარ, დღისითაც კი ასეა. გამოტენილია მოჩვენებებით.

- მე მონიკა უსო დი მარე ვარ...

- ყველა უსო დი მარეს ვიცნობ, ბავშვობიდან. შენც მახსოვხარ...

- მე ჟურნალისტი ვარ.

- ვიცი, ბიძაჩემი გლანძღავს ხოლმე, ვალერიოს ავი შვილიშვილი გამოუვიდაო...

- აჰ, - გაიცინასავით მონიკამ.

- სამწუხაროდ, სახლში მართლა ვერ შევალთ. ლიდია მოჩვენებებს დასდევს.

- ლიდია...

- ლიდია ჩვენი მნეა... ჩემი ძიძა, და კოსტათა მზარეული, მოკლედ, მოურავი...

- თქვენთან საუბარი მინდოდა.

- ხო, მაგრამ მოჩვენებები? მთელი და კოსტები გამოლაგდნენ, აღლუმი აქვთ. დერეფანშიც კი ვერ გაივლი იმდენი არიან. ეტყობა რაღაცისთვის ემზადებიან, რას გაუგებ? ბლუკუნებენ რაღაცეებს... - დაჯერებით თქვა სანდრო და კოსტამ, - აი, წითელი ფეხსაცმელები ჩავიცვი, მაგრამ არაფერი გამოდის.

- წითელი ფეხსაცმელები რა შუაშია?

- შველის. ჩვენს გვარში ასეა, თუ მოჩვენებები მოგეძალებიან, წითელი ფეხსაცმელი უნდა ჩაიცვა. ძალიან ძველი ფეხსაცმელია, მოჩვენებებს არ უყვართ წითელი ფეხსაცმელი... სამწუხაროდ არ შველის.

- კარგით, სანდრო, სხვა დროს მოვალ, - გაიცინა მონიკამ, - მაპატიეთ. არც დამირეკია. საერთოდ, არ ვრეკავ ხოლმე, იმიტომ რომ მერე აღარავინ მხვდება.

- სხვა დროს, შეიძლება, გვიანაც იყოს.

- რა?

- მოსვლა.

- არა, რატომ...

- ამხელა ბაღია. წამოდით, გავისეირნოთ, იქით ქვის მაგიდაა, ძველი შეზლონგები. მოჩვენებებს არ უყვართ ბაღები, სახლები ურჩევნიათ... წამოდით. ამასობაში ლიდიაც დაამთავრებს და რამეს დაგვალევინებს, თუმცა, მეც მაქვს, - მან გარეთა ჯიბიდან თავამოყოფილი მათარა დაანახა, - თქვენ კიდევ, მაჩვენეთ ეგ თქვენი ლექსები. მართლა პატიოსნად წავიკითხავ.

- რა ლექსები?

- თქვენი ლექსები. შეგეძლოთ, პირდაპირ გამოგეგზავნათ და ჩემს საიტზე გამოვაქვეყნებდი...

მონიკამ შეხედა, თითქოს უნდოდა გაერკვია, ძალიან მთვრალი ხომ არ არისო.

- შეუძლებელია, ლექსებს არ წერდეთ. თვით კარლოც კი წერს ლექსებს. ახალგაზრდობაში ტონინოც კი წერდა. მე ერთი ამხანაგი მყავს, სულია მანდარია, მედუქნე, ბავშვობის ამახანაგი, ისიც წერს ლექსებს. ოღონდ ახლა თურქეთშია. კარგა ხანია იქ არის... მომეცით, მომეცით თქვენი რვეული...

4.

- რა სისულელეა.

მონიკა წამოდგა. რაღაც უხერხულად, შარვალი გაიფერთხა.

- არ გეწყინოს. შენ პატარა გოგო ხარ, მე კიდევ ყველაფერი დავამთავრე.

მონიკა არ უყურებდა.

იქეთ უყურებდა ზღვას.

- საიდან გამოჩხრიკე ეს ადგილი სანდრო და კოსტა?

- ქარიანები წავიდნენ. დაიხოცნენ. სახლი დარჩა. ნაპირი დარჩა. აქ მოვდივარ ხოლმე. აქ მოვდიოდი ხოლმე.

- აღარ გააგრძელო, - მონიკას უნდოდა, რომ სიტყვები მტკიცე და ნაკვეთი გამოსვლოდა, მაგრამ ვერ მოახერხა, - გაგრძელება ვიცი. ყველამ იცის.

- არ გეწყინოს, მე მოჩვენება ვარ. მეცინება, ახლა რომ შენ გაკოცო, სიცილით მოვკვდები.

მონიკას გაეღიმა, თუმცა არ უყურებდა სანდრო და კოსტას, იქით უყურებდა ზღვას.

- ძლივს ვიღაცა შემიყვარდა. ყველა მძულდა დედამიწის ზურგზე, - თქვა უცებ მონიკამ, - დამანგრიე. თავიდან ბოლომდე დამანგრიე. როგორც ნავსადგურში ანგრევენ ხოლმე ძველ ფარდულებს.

- დაანებე თავი მაგ გაზეთებს, - თქვა სანდრო და კოსტამ, - დაანებე, მონიკა. ბილეთი იყიდე, გემში ჩაჯექი და სტამბოლში წადი. იქ კიდევ იყიდე ბილეთი და მერე გენუაში წადი... გენუაში არის...

- არ მინდა. აღარ მომიყვე. აღარ თქვა, რომ ერთადერთი, რაც შეგვრჩა, ჭამის ხელოვნებაა, - მონიკა სწრაფად მოტრიალდა და ხელისგულები დაადო თავზე.

- კაი ცივი ხარ, - ჩაიცინა სანდრო და კოსტამ.

- იმიტომ, რომ შენ ცოტა თმა გაქვს. აი, აქ...

- მონიკა უსო დი მარე, როგორ წითლდები ეგეთი შავგვრემანი?

- მე შენი ანგელოზი ვარ. მოვა დრო და გადაგარჩენ. დანარჩენი იყოს ჩემთან, - მონიკამ ხელები აიქნია და წავიდა. სანდრო და კოსტა იჯდა თავჩაღუნული, ქვიშაში ურევდა ხელს.

5.

- ედი, ხვალ მონასტერში წამომყევი, - უთხრა მონიკამ.

- მონასტერში რა მინდა?

- შენ ცნობილი მწერალი ხარ. აქაურობას სახელი გაუთქვი. იფიქრებენ, რომ მიცვალებულს იცნობდი, მე კიდევ ესკორტი ვიქნები. შავ კაბას ჩავიცმევ, შავ სათვალეს გავიკეთებ და შლაპას დავიხურავ. ვერ მიცნობენ. სხვანაირად იქ ვერ შევალ.

- რა მიცვალებული, რა სისულელეა?

- მიცვალებული. ქართველი რომ მოკლეს ისრით გულში. მონასტერში ცხოვრობდა. ყაჩაღი იყო.

- აჰ... კი. გამიგია ეს ამბავი. ვისრამიანის სიძე. სალომეას ქმარი. სალომეა, ასე არ არის?

- მერე?

- რა მერე?

- ჟურნალისტებს შიგნით არავინ შეუშვებს. დახურული რიტუალია. შეგვიძლია, დავრეკოთ და უთხრა, რომ ედმონდ კლევერი ხარ და იცნობდი. უარს არ გეტყვიან. მივალთ, მე ვნახავ და მერე უფრო კარგად დავწერ.

ედმონდ კლევერს სადღაც გადაკარგვა მოუნდა.

- რა მინდა დაკრძალვაზე? მონასტერში რა მინდა?

- შენ ვერასდროს ვერაფერს დაწერ, იმიტომ, რომ ფათერაკები არ გიყვარს, - წაისისინა მონიკამ, - შენ რა გიყვარს, იცი? სანამ შხაპს მიიღებდე, ქალი რომ ლოგინზე კვნესოდეს იმის წარმოდგენით, რომ ეხლა ეს ჭორფლიანი, სიბერედამალული ედი გამოვა და ნეტავ როგორ ვასიამოვნოო... ვერ ეღირსები.

- არც მინდა, - ამოიოხრა ედმონდ კლევერმა, - რას გადამეკიდე?

- როგორ არ გინდა... ოცნებობ. თმას იფუებ ყოველ დილით... შე სოფთ პორნოს ვარსკვლავო... ჩიბუხი, ამის ჩიბუხი, იმის ჩიბუხი... რა იცი. არაფერი არ იცი.

- ღმერთო ჩემო... რა დავაშავე?

- წამოდი.

- არა.

- მშვიდობით.

- შენი გადაიხადე.

- ეგ ინგლისელ ქალთან რომ ისადილებ, იმას უთხარი...

- ო მა გად... ხედავთ? - რაღაც ხომ უნდა ეთქვა მიმტანისთვის, რომელიც შორიახლოს ატუზულიყო და დიდი სიტკბოებით ისმენდა ამ საუბარს.

- უსო დი მარე, - გაიღიმა მიმტანმა, - ზღვას შეჩვეული. ბნედიანები არიან... ცნობილია.

- მართლა არაფერი ვიცი აქაურობის, - წაიბურტყუნა კლევერმა, - ტირამისუ მომიტანეთ...

მონიკა კი შემობრუნდა და ისევ შესსისინა: - ედმონდ კლევერ... ვაი იმას, ვინც შენთან დაწვება. ხომ არ დაგიწექი?

- ჟურნალისტების ჩვეული ხერხია, - თქვა მიმტანმა, რომელიც კარგ ხურდას მოელოდა.

ფოსფორისფერი, ხოჭოსავით მანქანა კი დაიძრა.

ორი სურათი ალფრედო და კოსტას ცხოვრებიდან

თქვენი იერი

- არა, მომიტევეთ, მომიტევეთ, თუ სათქმელია, ახლავე უნდა ითქვას. რა ითვლება ზრდილობად სანტა ესპერანსაზე? სანტა ესპერანსაზე ზრდილობად ითვლება ის, რომ კაცს მის მშობლიურ ენაზე ელაპარაკები. მე არ ვიცი, რომელ ჯუნგლში როგორი წესია, და სხვა რომელ კუნძულებზეა ეს ჯუნგლები, სადაც ადამიანები ერთანეთის ენაზე არ მეტყველებენ, მაგრამ მე ვიცი, ჩვენთან ასეა. თუ არ იცი მოსაუბრის ენა, მას ბოდიშს უხდი და მერეღა ეკითხები, სხვა რომელ ენაზე შეუძლია ლაპარაკი.

ჩვენ ყველამ ვიცით, როგორია გვართა შეკრების წესი: თავის მოთათბირეს ყველა ჩურჩულით ელაპარაკება მისთვის სასურველ ენაზე, ხმამაღლა კი ზრდილობას იცავს. აქ ყველამ ვიცით ერთმანეთის ენები. აქ მამასახლისები ვსხედვართ, მაგრამ რას ვხედავ მე? მობრძანდა სინიორა კაია ვისრამიანი, რომლის მოსვლასაც ჩვენ არ ველოდით, ვინაიდან ის არ არის თავისი გვარის მამასახლისი და მხოლოდ მოთათბირედ თუ იქნებოდა მამამისთან, დაჯდა სამამასახლისო ადგილზე, რაც ჩვენვე დავუთმეთ, ვინაიდან მოგვახსენა, რო მამამისი ავად არის და ცხადია, შევეგებეთ ამას მწუხარებით, ჯანი ვუსურვეთ ყველა ვისრამიანს, მაგრამ ახლა მან სხდომის ბატონ-პატრონად წარმოიდგინა თავი და იოანელ მამასახლისებს აშკარად ელაპარაკება იმ ენაზე, რომელიც ჩვენ გვესმის, მაგრამ უფლება გვაქვს, არ გვესმოდეს. სინიორა კაიამ იცის, რომ ჩვენ ყველას გვესმის მისი ენა, მაგრამ ამას განგებ და აგდებით სჩადის. ჩანს, მან არ იცის ამ შეკრებულობის წესები, ან არადა, არაფრად უღირს ეს ამბავი. მე მოვითხოვ, რომ მის სკამზე ნაცარი დაიყაროს, ვინაიდან იგი ისე იქცევა, თითქოს ვიღაცის უფროსი იყოს.

სხდომის ტოლუმბაშს მოვუწოდებ, ასე მოიქცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მე, როგორც ჯენუელი, დავტოვებ ამ შეკრებულებას და იმედია, სხვა ჯენუელებიც ასევე მოიქცევიან, რის გამოც სხდომა ჩაიშლება. ვხედავ, თანახმა არიან ჩვენი ოსმალო მეგობრები, ისე მიქნევს საიდ ნური ბეი თავს.

და დაიმახსოვრეთ, სინიორა კაია, არავინ, არავინ არ ცდილობს აქ, რომ მამათქვენის უცაბედი ლოგინად ჩავარდნა გამოიყენოს. ეს თქვენ ცდილობთ, რომ ბრძენი მამასახლისის ადგილი დაიჭიროთ და ცდილობთ, რომ იოანელებსაც თავგზა აუბნიოთ. თქვენი იერი მიუღებელია პირადად ჩემთვის. ამიტომ მოვუწოდებ ტოლუმბაშს, ნაცარი დაუყაროს სინიორა კაიას სკამზე და თუ გადახვეტვას დათანხმდება, მხოლოდ ამის შემდეგ დაუბრუნდეს ადგილს.

და ნუ გვაშინებთ. რა მანერაა აქ ამდენი კაცით მოსვლა? ნუ გვაშინებთ, არ მეშინია თქვენი ზუზუნისა. თქვენ შვილები წამოგყვებოდნენ, ამის ღირსი რომ დარჩენილიყავით, შეიარაღებული ნადირებით კი დადიხართ... დიახ, და ძალიან გთხოვთ, ნუ გვაშინებთ. ჯენუელებს სუნგალების არ გვეშინია. ჩვენ ჯენუელები ვართ. ჩვენ ვაქციეთ აქაურობა ცივილიზაციად და არა თქვენ, სინიორა კაია... რაც გინდათ, ის მოითხოვეთ. საერთოდ არ მაინტერესებს, დავტოვებ სხდომას. ან თქვენ დასტოვეთ. სულერთია... აქ არ არის რაღაც აპარტეიდულ იდეებზე ლაპარაკის ადგილი. პირიქით, რაც არის, ისიც უნდა გაუქმდეს.

გადასარბენი

- ახლა ასე ვქნათ, ტონინო, შვილო, - წაიჩურჩულა კედელს აკრულმა ალფრედო და კოსტამ, - ჯერ მე გადავირბენ და მერე, თუკი მშვიდობა იქნა, შენც მომყევი... თუ მომაყოლებენ ტყვიას, ეს არაფერი... მე მაინც ბებერი ვარ...

- რასა ბძანებთ, სინიორ ალფრედო. არავითარი ტყვია არ იქნება. მგონია უკვე აქეთ ვართ... ჯერ მე გადავალ...

- რა კუნაპეტი ღამეა, - თქვა მოხუცმა, - სადმე რომ შევძვრეთ, ურიგო არ იქნება... ყალივან სტრიტი ჩანს, მაგრამ რომელი მხარე? ვერ ვხედავ.

- აი, იქ, პირდაპირ, კაფეა. კაფეა ეგეთი, „ალი ბეის და ბასილას ჩიბუხი“. თუ სადარბაზოში შევაღწევთ, უკანა კართან მივალთ... ბოლოს და ბოლოს, გავამტვრევ და შევალთ გათენებამდე.

- საიდან იცი?

- ვიცი, მაგის მეტი რა ვიცი...

- შენ და ჩემს ძმიშვილს რომ კაფეებში გდების გარდა სხვა რამეც გეკეთებინათ, ახლა ამ დღეში არ ვიქნებოდით...

- მე გადავირბენ, - ადგილს მოსწყდა ტონინო.

- მოიცა...

ფეხის ხმა სწრაფი იყო, თუმცა, არცთუ ხმიანი. ვის ეცვა ამ ქალაქში კაკუნაქუსლიანი ფეხსაცმელები?

- ტონინო... - ხმადაბლა დაიყვირა ალფრედო და კოსტამ.

- სუფთაა, - მოესმა იქიდან.

- მოვდივარ... წამოვიდე?

ჩამიჩუმი არ ისმოდა.

- ტონინო ...

- წამოდით, სინიორ ალფრედო...

მოხუცმა ქუჩაზე გადაირბინა და შედგა.

- აქეთ, აქეთ...

- ტონინო...

- სადარბაზოში...

- აჰ... სადა ხარ, ტონინო, - კარი დაინახა ალფრედო და კოსტამ.

- რა კარგი სტუმრები მყოლია, - მოესმა სულ სხვა ხმა, - მთელ ღამეს ვილაპარაკებთ.

- ტონინო...

- აქა ვარ, სინიორ ალფრედო, ნუ გეშინიათ... ეს მორად ბეია, ყავახანის პატრონი...

- აჰ... თქვენ კი რა გითხარით.

ბნელ დერეფანში მიდიოდნენ, მორად ბეის ერთ ხელში ფარანი ეჭირა, მეორეში - რევოლვერი.

- აუცილებლად ომი უნდა ამტყდარიყო, რომ ჩემს ყავახანაში მოსულიყავით, არა, ალფრედო ეფენდი?!

- ყავას არა ვსვამ... ასე კი გამოვიდა და... ყოჩაღ, ტონინო. საზრიანი ჭაბუკი ხარ.

- აქ სიბნელეა, მოდი, სამზარეულოში დავსხდეთ, ალფრედო ეფენდი... მე სულ ვამბობდი, რომ ალი ბეის ჩიბუხი კუნძულების ერთიანობის სიმბოლოა-მეთქი. დაივიწყეს. აბა, სხვას რას უნდა ნიშნავდეს, როცა ერთი ნაპირიდან მეორეზე გრძელი ჩიბუხია გადებული? ეს კავშირს ნიშნავს და თან ჩვენს ცხოვრებასაც. წამოწექი და აბოლე ჩიბუხი, ოღონდ არ დაივიწყო, რო მარტო არა ხარ... ომიც არ ატყდებოდა, ეს რომ ხსომებოდათ. თქვენ რას იტყვით, ალფრედო ეფენდი? ეხლა ღვინოს შევათბობ და მოვისაუბროთ... ჩემთან მთელი შტაბია შეკრებილი. მისტერ კლევერმა ლონდონს ვერ გააღწია და აქა მყავს. სინიორა მონიკა უსო დე მარე... გაგეგონებათ. კიდევ არის კარგი ხალხი. იქით სხედან, საწყობში... ძალიან დაგვიზარალდა საქმე, ძალიან.

წვეთები შინდისფერი თვალებისათვის წვიმიან ღამეში

ისევ აკაკუნებდნენ და აკაკუნებდნენ. სალომეა საწოლზე დაემხო და ბალიში წაიფარა თავზე. ტიროდა, თუ არ ტიროდა? რა ტირილი, იმალებოდა. ასე იმალებოდა. ისინი კი აკაკუნებდნენ. ქვემოდან მოისმოდა ეს ხმა, სადარბაზო კარიდან, რაღაცეებსაც შეუძახებდნენ ხოლმე, აბა, ვინ იცის.

- თავი დამანებე... თავი დამანებე... - ჩასძახოდა ბალიშებს სალომეა. იქვე კვდებოდა ეს ხმა, ბალიშებში, - თავი დამანებეთ...

მერე, მგონი, გააღეს კარი, შემოანგრიეს, შემოლეწეს თუ უბრალოდ, მინა ჩატეხეს და ისე ამოსწიეს საკეტი: ეს არ გაუგია სალომეა ვისრამიანს. არ ესმოდა, რომ ქვემოთ დაბრაგუნობდნენ, ყველა ოთახში იცქირებოდნენ და მერე ამოვიდნენ მაღლა.

რომ აღარ აკაკუნებდნენ, მიხვდა, რომ შემოვიდნენ. წასვლით აღარ წავიდოდნენ. ვინც არ უნდა ყოფილიყო, არ წავიდოდა. სალომეა უცებ წამოდგა.

სწრაფად წამოდგა და სწრაფადვე, მოწყვეტით დაეცა ლოგინზე.

- თავი დამანებეთ... თავი დამანებეთ, თქვე ღორებო...

ახლა საწოლი ოთახის კარზე აკაკუნებდნენ.

- თავი დამანებე... წაეთრიე აქედან... წაეთრიეთ, ყველანი...

- სალომეი... სალომეი, დედოფალო... მე ვარ... მარტია ვარ, სალომეი...

სალომეამ კარი გამოგლიჯა და დაინახა იქ აყუდებული ვისრამიანთა მოურავი.

მწვანე გადაჰკრავდა. ის თეთრი, ზღარბსავით თმა სველი ჰქონდა.

- სალომეი... წვიმს, - თქვა მარტიამ.

ქვემოთ ისევ დაბრაგუნობდნენ.

- სალომეი... შემოგევლოს შენი ვირგლა მარტია... წამომყე, შენ გენაცვალე. ნუ დაგვაგდებ ეგრე... ნუ დაგვაგდებ დედითქვენის ხელში. სუნგალები ვართ, ცოდვას ნუ აგვაღებინებ, თორე რათ მინდა რამე. ასედაც, მიყურე... - პატრონტაჟი უბზინავდა წელზე, ისიც სველი.

ვინ მეგონა? - თავის თავს ჰკითხა სალომეამ, - ვინ მეგონა?

რა მნიშვნელობა აქვს? ყველა ერთად.

- სალომეი, ცუდათა ვართ... მისმინე, სალომეი... ჩვენი საქმე ისე დეეწყო, რო ან უნდა დადუღდეს ყველაფერი, ან არადა, უნდა გევეცალოთ, მივიდეთ თქვენსა, პაპის სახლში და ქალაქს მარტო კუდები დავტოვოთ... შენ უნდა გვიშველო, დედოფალო, შენა... ბიჭები მახლავს. უნდა წამოხვიდე...

- რას მელაპარაკები, მარტია? რაზე მეუბნები? სად უნდა წამოვიდე, რა უნდა წამოვიდე. ჩემს სახლში ვარ. ძლივს ვარ ჩემს სახლში... რა გინდა?

მარტია კარის დირეს მიეყრდნო იდაყვით და თვალები ხელისგულში დამალა.

- დავიღალე... ე, ოხერი... ლამის არი, აი, დავიკრა შუბლში... მე ვარ ვისრამიანი, თუ თქვენ ხართ? ბიძაშენები, რა ვიცი, რომელ სტამბოლში ჰკუსამენ თვალებსა... მე რა ვქნა, მე რა ვქნა... გამაჩერებინე ეს ქალი... გამაჩერებინე დედათქვენი და მიხედე საქმესა. აღარავინ აღარ არი... ხედავ, რა ყოფილა? ხედავ, პაპაშენი რა ყოფილა? იყო და ეჭირა. აეგრე ხელში... რაები მაკეთებინა, სალომეი დედოფალო, იცი, რაები მაკეთებინა? ეს ხელები, აეს, აი, აქამდინ სისხლში ვართ... სულ სისხლში ვართ... ამ ბიჭებმა რა იცხოვრონ? ფიდელამ რა იცხოვროს და კიკოლიმ? ხვალ რა ქნას? ასროლინა... გვასროლინა... ვითომ ლაპარაკზე მოვიდა. თავისი სუნგალებით ჩვენთან დაუძახა მათიან სარდიონას და იქ მოგვაკვლევინა, მიღალატაო, ანგლეზის არიო... სუნგალები, იმისი სუნგალები წინდაწინვე მე დამათაფლვინა. სუნგალები ვართ, ხო, იცი, ერთმანეთს თუ დეველაპარაკეთ, მოთავებულია. ყველა ერთი ენისა ვართ... ჩვენ მოვრიგდებით. იქითაც, აქეთაც სუნგალი ვართ... მარა სისხლები? ხბო ხო არ არი, ჰა? ხბო არი? მოგვაკლეინა ორი მათიანი, შიგნითვე და მერე დადე ნავზე და სადაც მიადგეს, მიადგეს. გვასროლინა. მერე კიდე ოსმალოებზე გვასროლინა. ხალხზე, განა ვიზე... რა გითხრა, შენი ბიძაშვილები ტყვედა გვყამს, მძევალია... ეგრე ვარ, სისხლში დაგვბანა დედათქვენმა, სალომეი და ასე რო, მე ვერასდროს სუნგალის კუნძულზე ვერ გადავალ... რისთვინ, ერთგულობისთვინ? აღარ არი ზომა... ეხლა... ეხლა წადითო და მომიყვანეთ აქა და კოსტებიო, მიწიდან ამაიყვანეთო... მე შენთან მოველი. ამას იქით გზა არა მაქს. ვისრამიანის თანხმობა უნდა. დაბმული ვარ კაუჭითა...

- რას უნდა ვისრამიანების თანხმობა? - უაზროდ ჰკითხა სალომეამ.

- რო გავაჩეროთ... დედათქვენი გავაჩეროთ. და რამე ვქნათ, რო ეს ქვეყანა დალაგდეს... შენ უნდა გვისარდლო, სალომეი დედოფალო, შენ... მეტი ვერ მოვიფიქრე. სუნგალი ვარ... ფიქრი სიბერეშიღა ვისწავლე. ბიჭები აქა მყავს, იქითაც ყველანი დაგიჩოქებენ... ჩვენი შვილი და დაი იყავი ყოველთვის, პატრონად არ გვეცნობოდი, წამოგვყე, გავაჩეროთ დედათქვენი, წამოგვყე... მეტი ფასი არა მაქ შენ თვალში, რო მოგვაბანინო ეს სისხლი საწყლებსა, ჩვენა? ცოდვა მაქ შენ წინ, ბევრი მაქ და ყველა კიდე არ გამიმხელია... იქითა მხარესაც გაიგებენ, რო სალომეი არიო და გამაიცვლება... რამე გამაიცვლება... ჰა, სალომეი?

სალომეას რა უნდა ეთქვა.

არაფერი.

- ჰასან ბეის ბიჭი, ჩვიდმეტი წლისა, პლატონამ მოჰკლა. სნაიპერული დაასვა გაღმა ქალაქში. ჰასან ბეის წერილი მოვიდა, კაია არ იცოცხლებსო... რა ვქნა, სარდალი ვარ... თუ... გლეხი ვარ? აი, ვერ გიყურებ თვალებში... მაშინ რო... მაშინ არ უნდა გვექნა...

სალომეა არაფერს ამბობდა. უძილო, დასიებული თვალები მიეშტერებინა მარტიასთვის, რომელსაც თვალებიდან ხელი არც ჩამოეღო, თითქოს ლატარიის ბურთების დანახვისა ეშინიაო. რა არ მოგივა თავში. ლატარიის თეთრი ბურთები, ზედ ნომრებით. გოლფის ბურთები, სულ თეთრი ბურთები. მარტიამ თუ იცის გოლფის თამაში?

- მამაჩემი სად არის? - ჰკითხა უცებ სალომეამ.

- სახლში, - იყო პასუხი - წევს და უყურებს ჭერსა. ადგება ბოთლას შეიტანს, მერე იმ ბოთლას ლოგინის ქვეშ შეაგორებს... რა ვქნათ, დედოფალო?... რა ქნას ბუმ? ბუ არ იცი? მამაშენია.

- დათა.

- დათა არ ვიცით. დათა იქით უნახავთ. მონასტერში იქნებაო, ამბობენ... დათა არ ვიცით. გავიგებთ. ყველაფერსაც გავიგებთ...

- გოლფის თამაში იცი, მარტი?

მარტიამ ახლაღა გამოაჩინა თვალები.

- გოლფის თამაში იცი? თეთრი ბურთები, მიარტყამ და მიგორავს...

მარტიამ ამოიოხრა, იფიქრა, რაც უნდა ეფიქრა.

- ეგ არ გინდა, შემოგევლოს მარტია... ეგ აღარ ჰქნა...

და მერე გაჩუმდა, ჩაქინდრა თავი.

- მე... მე საპირფარეშოში შევალ... კარგი? - სალომეა თვალების ცეცებას მოჰყვა, - სად ჯანდაბაშია? ჩემი ჩანთა სად ჯანდაბაშია?

მარტიას მხარი გაჰკრა და ასე გავარდა საწოლი ოთახიდან. მარტია ერთხანს ისევ იდგა, დირეს იდაყვით მიყრდნობილი, საკუთარ მაჯას სინჯავდა კბილებით. მერე

მოწყვეტით ჩამოაგდო მკლავი, მსუბუქად მოტრიალდა და თავჩაქინდრული ჩაუყვა კიბეს მოშვებული, უდარდელი თუ ხელჩაქნეული კაცის ნაბიჯით.

ქვემოთ, სასტუმრო ოთახში, სუნგალები იდგნენ. თორმეტი ბიჭი იქნებოდა, ნარევი იარაღი აესხათ და არც კი დამჯდარიყვნენ. აბოლებდნენ პაპიროსებს და დიდ, თეთრ საფერფლეში აქრობდნენ. მარტიამ ერთი ჰკიდა თვალი მათ და არც გაუჩერდა, სამზარეულოსკენ გააბოტა.

- ქაქში ვართ, - თქვა ერთმა და მარტიას გაედევნა, - ქაქში ვართ, მარტი? გავქექეთ და მორჩა?

მარტია მოშვებულ ონკანთან იდგა, დასცქეროდა წყლის მოდინებას.

- ნაყნოსი აქ..... გონში ვერ ჩავაგდე, - სთქვა თითქოს თავისთვის, - ხმა არ დასძრა, ბიჭო...

ბიჭი გაერიდა, მარტიამ კი ხელისგულები შეუშვირა წყალს და უყურებდა ასე, უაზროდ.

- წავედიით? - შემოვიდა ისევ ბიჭი.

- წავედით, - თქვა მარტიამ და ონკანი დაკეტა, - მოქოქეთ და გამოვალ... შენ ჩემსა ჩაჯექი... ბიჭებს უთხარი, რო ჯერ ციხეზე გავიაროთ და მერე წავიდეთ კაიასას.

ბიჭი გავიდა და უცებვე შემობრუნდა.

- მამი...

- რაღა იყო... ამომასუნთქეთ ერთი მარტოკას, - რევოლვერი უკანვე ჩაიდო მარტიამ და სველი ხელი გაისვა შარვლის კიდეზე, - რაღა იყო?

- მამი, სალომეი ჩამოვიდა დაბლა, შარვალი აცვია...

- შარვალიი?

- ჰო... შარვალი... და პალტოს იცმევს...

- ჰა?

- ჰო... ბიჭებს გამარჯობა უთხრა.

მარტია ადგილს მოწყდა და ჰოლში გავარდა.

- სალომეი...

სალომეამ მოხედა, სარკესთან იდგა და თვალებს ისრესდა.

- ვიზინი მინდა...

- რა?

- თვალში ჩასაწვეთებელი. ვერ ვიპოვე... კარგი, - ხელი ჩაიქნია სალომეამ, - კარგი. წავედით?

- წავედით, სალომეი...

- ჰა, - გაიცინა ისევ სალომეამ, - დედიკო გაგვიბოროტდა? წამო მერე, დავაწყნაროთ ეგეც და სხვებიც. ყველა ერთად... ყველა ერთად დავაძინოთ. წავედით...

- დედოფალი ჩემ მანქანაში! - დასძახა უცებ მარტიამ, - ფიდო, როსტიავ, კატიავ, ჩემთან... თქვენ იქითაში და ეხლა წყნარათ, ხო იცი... ჩემი ყველაზე, ყველაზე, ყველაზე ნამდვილი ბატონი მიგვყავს. სალომეა ბატონს, გაუმარ-ჯოს!

- ჯოს!!! ჯოს!!! ჯოს!!!!

- ქართვლის მეფესაც ამითი და ათას წელსაც, გაუმარ-ჯოსსს!...

- გაუმარ-ჯოს!!!!...

- აფრინდაااა!!!!!...

ჯორი ბუძგს ჭამს

გიჟიც მოსულაო, ასე ამბობდნენ

თავიდან ერთი-ორმა თუ შეამჩნია, მერე კი - ყველამ.

შეამჩნევ, მაშ რა, მით უმეტეს, ასეთ ქალაქში, სადაც ყველა ერთმანეთს ეჩხირება თვალში.

პირველად გაგანია სამზეო სეზონის დროს გამოჩნდა, ძირითადად ქვიშებზე. სად ეძინა, რას ჭამდა, ვერ მიხვდებოდი, რადგან გამოჩნდებოდა და გაქრებოდა, გამოჩნდებოდა და გაქრებოდა.

თავიდან სწორედ სანაპირო ქვიშები შეიყვარა.

ყველაზე ხალხმრავალ დროს გამოჩნდებოდა ხოლმე. დიდი შავი სათვალე ეკეთა და ქამარზე სამათხოვრო ყულაბა ეკიდა. ჩამოივლიდა ბრმის პირობაზე ძალიან მოხერხებული, მაგრამ მაინც მოუქნელი ნაბიჯით და ჩამოატარებდა იმ თავის დროშას.

დროშა იყო სანტა ესპერანსას სახელმწიფო დროშა, თეთრი, ზედა კუთხეში მიხატული იუნიონ ჯეკით და ოქროსფერი გვირგვინით. ამხელა დროშები ოცდახუთი ფუნტი ღირდა და საიდან მოიპოვა, რას გაუგებდი.

ჰოდა, ის ჩამოივლიდა, ძველმანებში ჩაცმული და რაღაცნაირად, ძველ ტაფასავით გაქონილი.

ალბათ ადრე მხარბეჭიანი კაცი იყო, თუმცა ახლა ბევრი აღარაფერი შერჩენოდა ძველ ახოვანებისა. ფერდს კი მოხდენილად გაიქნევდა და ააჩხრიალებდა თავის სამათხოვრო ყულაბას, რითაც მიანიშნებდა, შემეწიეთო.

მთავარი კი მაინც დროშა იყო: ათ-თორმეტ ნაბიჯში ერთხელ შედგებოდა და ძველი მოაღლუმესავით დაატრიალებდა ამ დროშას. მოკლე ილეთს რომ მორჩებოდა, დასძახებდა წვრილი, ბზარებდაყოლილი ხმით: - ველქამ თუ პარადაიზ!.. ველქამ თუ პარადაიზ!

მერე კი ერთხელაც დაატრიალებდა დროშას და დამაბოლოვებლად, ყულაბას ააჩხრიალებდა.

გვარიანად შემაწუხებელი იყო. განსაკუთრებით იმისთვის, ვინც მზეს ეფიცხება და ჰგონია, რომ მართლა სამოთხეშია, ამ დროს კი ვიღაც ბრმა მოადგება აჩხრიალებული ყულაბით და დასძახის: კი, კი, სამოთხეში ხარო. სამოთხეში კი მათხოვრები არ არიან. ვინც იყო მათხოვარი, ის იქ აღარ მათხოვრობს, იქ ნეტარებს, შენ კი იქაურ სამოთხეში ვერასდროს მოხვდები და ამიტომ აქა, ამ ქვიშებზე გგონია, რომ სამოთხეში ხარ. იმ ბრმა დამძახებელმა საერთოდაც არ იცის, რომ სამოთხეში მოხვდება. მასაც აქ ჰგონია სამოთხე, თვითონ კი სამოთხის კარისკაცად წარმოუდგენია თავი და ამიტომაც ითხოვს ფულს, ვითარცა ის მენავე, ქირონიო თუ რაც არის.

ამეების გახსენება კი ზღვის პირას, მზის გულზე, სასურველ მაცაცუნას გვერდით გაგორებულ კაცს არაფრად სჭირდება. ეგებ, არც იცის ეს ამბავი, მენავისა, იმ ქვეყნისა და საერთოდაც, სამოთხისა და ჯოჯოხეთისა, მაგრამ ხვდება კი, რომ ამ მოგონილ სამოთხეს კარისკაცი და შემძახებელი არ უნდა ჰყავდეს.

მერე ეს ბრმა კაცი გამოჩნდებოდა ყალივან სტრიტზე, სწორედაც რომ ყველაზე ხალხმრავალ დროს და იქაც მოჰყვებოდა დროშის ფრიალს და ძახილს, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სამოთხეშიო. რაღა თქმა უნდა, კაფეებსა და რესტორნებში არ უშვებდნენ, არც პაბებში, რომელთა ახლოსაც უფრო უყვარდა ხოლმე ზურზუტი და თხოვნა, გაიღეთ ერთი კათხის ფული ჯენტლმენისთვისო, მაგრამ ქუჩა კი დაეპყრო.

შეღამებულზე თავს ამოჰყოფდა ხეირის ქუჩაზე, სწორედ იმ დროს, როცა იქ გავლა გაჭირდებოდა ხოლმე და ბრბოშიც უცებ ამოყვინთავდა მისი დროშა და დაძახილი.

ქუჩის პოლიცია არას ერჩოდა ამ კაცს, რადგან მაწანწალობა აკრძალული არ იყო, შემტევი კი მხოლოდ მისი შეძახილი გახლდათ და რა უნდა გექნა? ზოგჯერ მოწყენილი ჩაცუცქდებოდა ხოლმე კედელთან და ბუტბუტებდა თუ ღიღინებდა, ვერ მიხვდებოდი. ასე კი იყო და არც ვინმე ეკითხებოდა, საიდან ხარ და სადაურიო და არც თვითონ ამბობდა. პირველ დაძახებამდე ვერ ამჩნევდნენ, გაქრებოდა და არ ახსენდებოდათ. ახალი რომ იყო, ყველა ხვდებოდა, რადგან იქამდე არავის დაუძახია, ველქამ თუ პარადაიზო.

ამასაც არავინ უკვირდებოდა, ცოტათი გიჟია თუ მათხოვრობის ამბავში იგიჟიანებს თავსო. თუკი ვინმე ახსენებდა, ბრმას უწოდებდა და დააყოლებდა, დროშიანი ბრმაო.

ამ ბრმას, როგორც ყველა ჭკვიან მათხოვარს, არ უყვარდა ნავსადგური და დოკები, რადგან მშვენივრად იცოდა, რომ იქ სამათხოვრო არაფერი იყო. ტურისტები უყვარდა, როგორც ყველა მათხოვარს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ტურისტები, ვინაიდან იმათი გულის მონადირება ყოველთვის უფრო იოლია, ვიდრე ჭარმაგებისა. ეს კი იყო, რომ სანტა ესპერანსას ქვიშებზე ახალგაზრდები მთავარ ოდენობას არასოდეს შეადგენდნენ, მათ ყოველთვის იბიცა და ამგვარი ადგილები ერჩიათ. კერძო ნაპირთა პატრონები კი დროშოსან მათხოვარს თავიანთ შემოღობილებში კარიდან არ

უშვებდნენ, თუმცა ის მაინც საიდანღაც შეაღწევდა ხოლმე, რაც ბრმის პირობაზე ნამეტანი ჩანდა.

ჰოდა, ერთხელ, ხეირის ქუჩის ძველმა გუშაგმა, სერჟანტმა გლურჯი ღალიანმა, ვინც ამ ქუჩის თავში მეძავთა რიგის სწორებაში გაჭაღარავდა, თუმცა ერთხელაც არ უსარგებლია ამ ქალების კეთილგანწყობით, უთხრა თავის ძველ მეწყვილეს, ქელეშ აღას, მხცოვან პოლიციელს, რომელიც ხეირის ქუჩის მეორე ბოლოში იდგა: - ქელეშ აღა, ის მათხოვარი... დროშიანი.

- ბრმა? - მათი საუბარი მიმდინარეობდა დასვენების დღეს, ერთი კარგი დუქნის პარმაღზე, ზღვის პირიდან შორს.

ძველ მეგობრებს იქ უყვარდათ უქმეებზე სადილობა.

- თუ დაჰკვირვებიხარ მაგ კაცს, ქელეშ აღა?

- ისეთი ვერაფერი ვუპოვნე, დაიღრიალებს და ესაა...

- დარწმუნებით გეუბნები, ქელეშ აღა, რომ ეგ კაცი ბრმა არ არის და იგონებს. ის ბრმასავით არ იქცევა. ბაბუაჩემი დაბრმავდა და კარგად მახსოვს.

- სწორეა. ბაბუაშენი ბრმა იყო. მეც მახსოვს.

- ჰოდა, ასე არ იქცეოდა.

- ამის გულისთვის მისი სადგურში მიყვანა შეგვიძლია? არ შეგვიძლია, მას არასოდეს უთქვამს, რომ ბრმა არის. უბრალოდ, ისე იქცევა, თითქოს ბრმა იყოს. ვისაც როგორ უნდა, ისე მოიქცევა. მეც, მაგალითად, სამჯერ დამმართნია, რომ ისე მოვქცეულვარ, ვითომ ბრმა ვიყავი. ეს უხერხულობისა იყო და არა დანაშაულის დაფარვისა. ერთხელ, მაგალითად, მე ვნახე, როგორ ჰკოცნიდნენ ერთმანეთს ბიჭი და გოგო, რომელთა ვინაობაც ვიცოდი. ასეთი რამ ბევრჯერ გვინახავს, მეც და შენც, მაგრამ ეს სულ სხვა იყო, ისინი მართლა კოცნიდნენ ერთმანეთს და ასეთი კოცნები ფილმშიაც არ მინახავს. სულ ცახცახებდნენ. მგონი, სიხარულისგან და შიშისგან. ისინი კანონს არღვევდნენ და შემეძლო, ორივე გამესკვანჩა, მაგრამ რაღა კაცი ვარ, თუ როცა გული მეტყვის, არ დავბრმავდი? - ცხვრის ნეკნს მიუბრუნდა ქელეშ აღა.

- მახსოვს ეგ ამბავი, კარგა ოცი წლის წინათ იყო. შენ ისიც კი გამოარკვიე, ვინ იყვნენ. ვისრამიანის ქალი და და კოსტას ვაჟი.

- ეს არ არის მთავარი, მთავარია, რომ მე მაშინ დავბრმავდი. ვინაიდან ფილმში ყოველთვის ხარბად უყურებ ხოლმე კოცნებს, მაგრამ აქ სიხარბე არ ყოფილა, აქ სიხარულმა დამრია ხელი.

- მართალი ხარ, ქელეშ აღა. თუმცა... მე სულ სხვას მოგახსენებ. მე ამოვიცანი ეგ კაცი. ანუ მე ვიცი, ვინ არის ეგ დროშიანი მათხოვარი, - თვალი ჩაჭუტა გლურჯი ღალიანმა.

ქელეშ აღა ცხვრის ნეკნს ჩაღრმავებოდა და თავი არ აუწევია, სასაცილოდ უთახთახებდა მსუქანი ლოყები.

- გესმის, ქელეშ აღა? - მეტის სიბასრით ჰკითხა ღალიანმა.

- მესმის... მათხოვრის ვინაობა გცოდნია.

- მომისმინე... გახსოვს? სუნ-გალა, სუნგა-ლაااااა... სუნ-გალა, ჯასტ ე დროფ ოფ სოულ... ეს სიმღერა გახსოვს?

ქელეშ ბეი ჩაფიქრდა, დააცქერდა გამოხრულ ძვლებს თავის თეფშზე, ნეკით, ცერით და არათითით ჭიქა აიღო და მოსვა.

- მახსოვს... ადრე მღეროდნენ.

- ადრე, ძალიან ადრე... ერთი... ასე, ოცდაათი წლის წინათ. ქუჩაში მღეროდა ბიჭი. მაშინ რო მაწანწალა ბიჭები იყვნენ. გოგოსთან ერთად რომ იყო, ორჯერ პირადად მე და შენ დავიჭირეთ, რადგან სასტუმროს ნომერში მილეწ-მოლეწა რაღაცეები. გახსოვს, შენ რომ უთხარი: ნუ გაქაჩავ ბორკილს, უფრო მოგიჭერსო. მაშინ ჩვენც ახალგაზრდები ვიყავით. არ გახსოვს?

- სასტუმროში... გოგო. გოგო მახსოვს. პუტკუნა და მჩხავანა გოგო, ბალიშები დაგვაყარა. ბიჭი არ მახსოვს.

- მღეროდა. გახსოვს, სემი რომ იყო აქ? ცალხელა სემი. კლუბი ჰქონდა, ტყავის ქურთუკები, ბრაზიანი გიტარები. მერე იმ კლუბს არჩი ერქვა.

- თაღი... როგორ არა. სემი ახლაც აქ არის, - დაჯერებით თქვა ქელეშ აღამ, - ნაპირს იქით დაუკეტავი დუქანი აქვს, „ჩაილდ ჰაროლდი“.

- მართლა?

- ზუსტად გეუბნები. ვიცი, რომ სემი აქ არის, დაბერებული. ჩვენი არ იყოს.

- ოღონდ, იმ კლუბს თაღის გამო კი არ ერქვა არჩი, ამ ბიჭის გამო ერქვა. ეს იქ მღეროდა და მერე ხომ დაიკარგა?

- ვინ, ეს მომღერალი ბიჭი, ჩვენ რომ დავიჭირეთ?

- დიახ, გაქრა. არ გახსოვს, საგანგებო ძებნა რომ გამოაცხადეს? არჩი ერქვა და ყველას ძალიან გვაწვალებდა.

- ვინ არ გვაწვალებს?

- ჰოდა, სემმა მაგის გამო დაარქვა თავის კლუბს „ჩაილდ... არჩი“. მის სიმღერებს უკრავდნენ. სუნ-გალა�ა... არ გახსოვს? უკვალოდ გაქრა. სუნგალის კუნძულზე გადავიდა და უკვალოდ გაქრა.

- მახსოვს... კი, კი... - მგონი იცრუა ქელეშ აღამ.

- ჰოდა, დარწმუნებით გეუბნები, ქელეშ აღა, ეს დროშიანი ბრმა, ის არჩია.

- აჰ... - შეიცხადა ქელეშ აღამ, - აჰ... საიდან იცი?

- ვიცანი. მეტი არც არაფერი ვიცი.

- რას ამბობ... მაშ, ცოცხალია? მაშ ეს საბრალო კაცი ის არჩია?

- ხომ გაგახსენდა?

- კი, როგორ არა... სუნ-გალა, სუნ-გალა... არჩი. გამახსენდა, ოღონდ რახან სახე არ მახსოვს, ამიტომ გგონია, რომ არ გამახსენდა.

- არ მგონია, უბრალოდ ახლა გაგახსენდა...

- და ის რომ არ გამოდგეს?

- უეჭველია. როგორც კი ვნახავ, ერთად დაველაპარაკოთ. ეს საუცხოო იქნება. მე და შენ დაკარგულ კაცს ვიპოვნით.

- უარს იტყვის. თუ სიბრმავეს იგონებს, იმას ვერ მოიგონებს, რომ სხვა კაცია?

- მოვუხერხებთ, რაღაცას მოვუხერხებთ. ოღონდაც მეშინია, რომ შემოდგომა კარგად რომ ჩამოდგება, აქ აღარ გაჩერდეს. ტურისტები არ იქნებიან და თავს როგორ გაიტანს?

- ეს მართალია... - ჩაფიქრდა ქელეშ აღა, - ძალიან მაგარი პოლიციელი ხარ, ღალიანო, რა არის, რომ ქუჩაზე დაგვტოვეს...

- ჩვენი ქუჩაა, ვინ იცის ჩვენზე კარგად? - ამოიოხრა გლურჯი ღალიანმა.

- იცი რა? მე დღეს წავალ გადაღმა და სემს მოვძებნი. ნამდვილად ვიცი, რომ სემი ისევ აქ ცხოვრობს... ეს უფრო გამოგვადგება...

მერე ისინი მიუბრუნდნენ უბრალო და ალბათ ყველაზე გემრიელ სალათს მსოფლიოში: კიტრს, ტომატოს, ხახვსა და ფოთლებს, კაი ზეითუნით და სიცხარეებით ნაზავს, ზემოდან ძმარმოწვეთებულს. ეს სალათი მეტად უხდებოდა ცხვრის ნეკნებს, რომელთა მიღებაც წესად ჰქონდათ მორიგეობის მეორე დღეს: სამხრობის საათს რომ გაიღვიძებდნენ ხოლმე, იმის შემდეგ.

მაშინ, როცა ჯერ არ გათენებულა და ღამეც აღარ არის

ამბობენ, რომ ისინი გათენებამდე მოდიან, მაგრამ არა - ღამით. ასე წერია ნაირგვარ წიგნებში, რომლებიც აგათია არჩილიან ციხისთავს არ წაუკითხავს. ასეთი წიგნები არ იყო სამისო რამ. ბებიები არ კითხულობენ ჯაშუშებზე, ბებიები ქალებზე კითხულობენ, თუმცა, აგათია ბებია არც ქალებზე კითხულობდა. არც ჯესიკა დე რაიდერის რომანებს და არც ჯერი ბარტონის თხელ წიგნებს.

ამიტომ ბებიას არსად წაეკითხა, რომ ისინი სწორედ ამ დროს მოდიან: როცა ჯერ არ გათენებულა, მაგრამ ღამეც აღარ არის.

ისინი რომ საქმეს მოითავებენ, სწორედ მაშინ ინათებს და კაცი იფიქრებს, რომ უხერხული დრო შეურჩევიათ მოსასვლელად, რადგან წასვლისას სწორედაც რომ შესამჩნევნი შეიქნებიან, რადგან უკვე დღის შუქი მძლავრობს.

ოლოლო, სწორედაც რომ არა. მათ წინდაწინვე იციან, რომ სწორედ ამ დროს უნდა მოვიდნენ, დილის ხუთ საათსა და ექვს საათს შუა, უფრო ზუსტი წუთ-წამიერობა კი თავადვე უნდა გამოთვალონ, წელიწადის დროის მიხედვით, ვინაიდან, რაღაც

უცნაურობით, ზამთარსა და ზაფხულს სხვადასხვა დროს თენდება და მოსვლის დრო კი იმგვარად უნდა იყოს მოხერხებული, რომ ღამე არ იყოს და არც გათენებული.

რატომა და, რაც არ უნდა ღამიტეხია იყოს კაცი, ამ უხერხულ ჟამს მაინც მოსწყდება კისერი. იმასაც, ვისთანაც მისასვლელები გახლავან და იმასაც, ვინც არ უნდა შეამჩნიოს ეს მისვლა. სხვანაირად კი, ყველას ძინავს მაშინ, როცა ჯერ არ გათენებულა და მთლად ღამეც არ არის.

ნავსადგურში არ სძინავთ, მაგრამ ნავსადგურში ამ დროს არ მიდიან, მათ შინ წვევა იციან.

ასე წერია წიგნებში, რომ შავიანი კაცები მოდიან მაშინ, როცა ჯერ არ გათენებულა, მაგრამ ღამეც აღარ არის.

ამის შესახებ აგათიას არსად წაუკითხავს. პირადმა მესაჭურვლემ, პარდონ ბელმა უამბო და ისიც მას შემდეგ, რაც აგათიას მარჯვენა ხელი, ნიკა, მონასტერში გადაიყვანეს. როცა ნიკა მოკლეს, აგათიამ იცოდა, რომ ბელი ინგლისელი მზვერავი თუ რაღაც ამგვარი გახლავთ, რომელსაც მისი დედოფლად კურთხევა და სხვა ამბები ევალება. შეშლილი ინგლისელის იერი, რომელსაც იგი საუცხოოდ ივრცელებდა ქალაქში, აგათიას გვერდით აღარაფერში სჭირდებოდა და ამიტომ სადედოფლო მოხუცი ამ კაცის ყოველ სიტყვას მეტად ჩაუკვირდებოდა ხოლმე.

ერთხელ კი უთხრა: - იცი, რას გეტყვი? მე შენზე ჭკვიანი ვარ.

- გმადლობთ, - მიუგო პარდონ ბელმა.

- მგონი, შენს დედოფალზე ჭკვიანიც ვარ.

- ეს გამოჩნდება, - უთხრა ბელმა.

აგათიამ ძალიან განიცადა ნიკას სიკვდილი. თითქოს ხელი ჩაიქნიაო, დედოფლობაზე ლაპარაკი აღარც ართობდა. ბელმა ისიც კი იფიქრა, არ გადაყვესო, მოხუცებმა ასე იციანო.

ერთხელ კი აგათიამ უთხრა: - შეშლილო... ნიკა თქვენ მოკალით.

- არა, - უთხრა პარდონ ბელმა, - არა. ჩვენ არ ვკლავთ ჩვენი საპატრონოს ძვირფას ადამიანებს.

- აბა, ვინ მოკლა? ვინ კლავს მშვილდ-ისრით ჩვენს დროში?

- არ ვიცი. ვეცდები, რაიმე შევიტყო. ისე, ისინი მაგ დროს მოდიან ხოლმე. როცა დავალება აქვთ, მაგ დროს მოდიან და გკლავენ, დადგენილია, მოდუნებული ხარ.

- ჩემთანაც მაგ დროს მოვლენ?

- თქვენთან რა უნდათ?

- ნიკასთან რა უნდოდათ... მაგ საცოდავთან.

- არ ვიცი, ვის რა უნდოდა. ეგებ, სულაც ბანდიტური საქმე იყო, რას გაიგებ?

- რაღა ჯაშუში ხარ, პარდონ ბელ, არაფერი იცი, - ამოიოხრა აგათია ბებიამ.

პარდონ ბელმა ყველაფერი იცოდა. იმაზე მეტიც, რაც ერგებოდა.

- თქვენ არაფერი გემუქრებათ. ნუ გეშინიათ.

- რისა უნდა მეშინოდეს, მაინც ვერ გავიგე. მე არაფერი მაქვს.

ბელს გაეღიმა.

- მთავარი გაქვთ, გვარი... და მსოფლიო მთავრობების მხარდაჭერა. ახლა ჯანმრთელი და შენახული გვჭირდებით.

- მერე კიდევ წყალს წაუღივარ, არა? ესე იგი, იმ დროს მოდიან, როცა არც ღამეა, მაგრამ ჯერ არც გათენებულა? ზუსტად მაგ დროს მეღვიძება მესამედ. ძველად მამალი ყიოდა. მამალი რომ იყოს, ხო შეიფხიზლებდა ყველა და მოერიდებოდათ მოსვლა. ამაზე არ ფიქრობენ? მე მაგ დროს მეღვიძება. უყურე, რა მაქვს, პარდონ ბელ? - აგათიამ სავარძლის მუთაქაში ჩააცურა ხელი და იქიდან პაწაწინა რევოლვერი ამოაცოცა.

- ეგ შეინახეთ, ნუ თამაშობთ.

- მითხარი, ვინ გასწავლა, რომ ვითომ გიჟი ხარ და ალექსანდრე მაკედონელს იცნობდი?

- ასეთი ლეგენდა შეარჩიეს, ვითომ შეშლილი მხარეთმცოდნე ვარ.

- ესე იგი, როცა ჯერ არ გათენებულა, მაგრამ...

პარდონ ბელი წავიდა და ერთხელაც, სწორედ იმ დროს მოვიდნენ, როცა ის დრო იყო.

აგათიას არ ეძინა. ახალი გამოღვიძებული, მთლად ერთი ბეწო და ღამის პერანგიდან იდაყვებგამოჩრილი იჯდა სავარძელში.

ამ დროს აგათია ჩაის სვამდა ხოლმე. შუქს ისედაც არ აქრობდა, ფიქრობდა, რა მოსაწონია სიბნელეში სიკვდილი, ვთქვათ და ვიღაცეები მოვიდნენ, უცებ რომ მკვდარი დავხვდე, შუქს აანთებენ და შეეშინდებათო. ეს ვიღაცეები რატომ უნდა მოსულიყვნენ მაინცდამაინც ღამით, აღარ ფიქრობდა. უბრალოდ, წარმოიდგინა ეს სურათი და მორჩა. ამასაც ფიქრობდა, თუ მომსვლელები არიან, ჩემს ფანჯრებსაც დაზვერავენ, სინათლეს დაინახავენ და აღარ მოვლენო. თუმცა რად უნდოდათ ამ ხნის ქალთან ღამისა და განთიადის საზღვარი, ამას აღარ ფიქრობდა: წარმოიდგინა და მორჩა.

ისინი კი მაინც მოვიდნენ.

აგათიამ გაიგონა, როგორ ეჯახირებოდნენ კარს და გაიტრუნა. სწორედაც რომ ის დრო იყო. სავარძელი სადარბაზო კარისკენ მიატრიალა და ის თავისი პაწაწინა რევოლვერიც მოიმარჯვა.

აჰა, აგათია, მოგიწია სროლამო, უთხრა საკუთარ თავს და ძალიანაც შეეშინდა, მაგრამ არც შეეშინდა. რაღა შეგაშინებს, როცა ყველაფერი მოგილევია? მთავარია, ხელი არ აგიკანკალდეს.

კარს კი, ეტყობოდა, საქმის მცოდნენი ეჯახირებოდნენ. ძალიან ფრთხილად, კბილის ექიმივით უტრიალებდნენ კლიტეს. აგათია ბებია ტელეფონსაც კი გადასწვდა და ინანა, რომ საქაღალდე შორს უდევს, მესაჭურვლის ნომერი კი არ ახსოვს.

ამ დროს კარი გაიღო. შემოაღეს ფრთხილად. გამოჩნდა კაცის ფართეშუბლიანი, სქელი და ოქროსფერი წარბებით გაწყობილი მოზრდილი თავი და აგათია ციხისთავმა არჩილიანმა მისძახა, თავისი საგანთიადო, კაჭკაჭური ხმით: - ფუ... შენ შეგაჩვენებს ღმერთი და შენს გამომგზავნსაც... შენ გამოგაგზავნეს ჩემს მოსაკლავად?

- ჩუმად, - კარს ზურგით მიაწვა პარდონ ბელი, - ჩუმად... მოემზადეთ და წავედით... ბოდიში, რომ ასეთ დროს. სხვა დრო არ არსებობს ასეთი საქმეების საკეთებლად.

- სად წავედით?

- ინგლისური რეჯიმენტის ბაზაზე... ოთხ დღეში გუბერნატორი მიდის. მოგეხსენებათ. რეჯიმენტისა რაც დარჩა, სწორედ ცერემონიალის შემდეგ გავა. ეს ოთხი დღე კარგად უნდა შეგინახოთ. მერე გუბერნატორი დროშას გადმოგცემთ და თავის ოფისს გადმოგაბარებთ. მერე...

- ეგ ყველაფერი გუშინწინდელ „დეილი ტელეგრაფში“ წერია. იქედან გავიგე, თქვენგან მოძულებულმა, - უთხრა აგათიამ.

- გემუდარებით, მოემზადეთ. ის ჩანთა ხომ გაქვთ? მე ხომ გთხოვეთ, რომ ერთი სამგზავრო ჩანთა სულ მზად უნდა გქონდეთ. რაც შეგიძლიათ, სწრაფად... ოთხი დღე უსაფრთხოებისთვის არის საჭირო... ფანჯრიდან რომ გადაიხედოთ, ნახევარი რეჯიმენტი თქვენს ფანჯრებთან დგას. ბადრაგი მსოფლიოში საუკეთესოა. ბრიტანელი ოფიცრები... ოღონდ სწრაფად.

- გადი სამზარეულოში, - გაბრაზდა აგათია, - დედოფალი ვარ თუ ვინ?

- გთხოვთ, იჩქარეთ...

- კი მაგრამ, რა მოხდა? დღის და ღამის ამბავია?

- არა, არა... არ მინდოდა მეთქვა. ჩვენც დილით გავიგეთ, - ამოიქშინა ბელმა, - პატარა კუნძულზე თავის სახლში გარდაიცვალა კონსტანტინე ვისრამიანი...

- უი, მიიცვალა... ასე იცის, - შეიცხადა აგათია ბებიამ, - რამდენ თვეს აწვალა? შემოდგომიდან... მტერს, მტერს ეგ სთროუქი. მტერს...

- ამ თვეების გამოცდილებით... გვარი უჭირავს მის ქალიშვილს, კაია ვისრამიანს, - კვლავ ამოიქშინა პარდონ ბელმა, - მისგან კარგს არაფერს უნდა ველოდოთ. მიცვალებული ძველებური ყაიდის ნადირი იყო, ეს კი ნადირი ქალია. ყოველ წუთს რაღაცაა მოსალოდნელი...

- კაია... არ მინახია არასდროს. კი მინახია, მაგრამ ვერ ვიწამებ რომელია... - თქვა აგათიამ.

- იჩქარეთ, გთხოვთ. არ ვიცი, რა იქნება და როგორ, ოთხ დღეს კი მოიცდის, მაგრამ მერე რა იქნება, არ ვიცით... თქვენზე კი შეიძლება არ მოიცადოს ოთხი დღე...

- რას ნიშნავს მაგ? უნდა მომკლას? უიმე, როგორ არ მინახავს, მამასახლისების შეკრება რო დავხურე, იქ არ იყო? უი... ასეთი გადათეთრებული, თვალებით რო...

- მოგკლავთ.

- კი მარა, რაფრა?

ბელმა თავი გადააქნია.

- ჯარი ჰყავს. ყველაზე ძლიერი.

- ვინ, კაცო...

- სუნგალები, ნაქირავები ქართველები... ჯარი ჰყავს, ზუსტად არის ცნობილი.

- და ინგლისი ასე გვტოვებს?

- ინგლისი არ გტოვებთ... მე აქ ვარ.

- უიმე დედა... ეს აქ ყოფილა.

- გემუდარებით, ჩაიცვით...

- გადი სამზარეულოში... მოიცადე... ერთი მითხარი, რო მორჩება ეს ამბები, ხო ჩამოხვალ მერე ჩემ საფლავზე?

პარდონ ბელს გაეღიმა.

- და ნამდვილი სახელი არ უნდა მითხრა შენი?

- ჩემი სახელია ბონდი, ჯეიმს ბონდი...

აგათია დედოფალმა შეხედა პარდონ ბელს და თავი გააქნია.

- აღარ თქვა მასე... ნიკა მეხუმრებოდა მასე. ინგლისურათ იტყოდა. მა ნემ იზ ბანდ, ჯიიმს ბანდ.

მონიკა ხვლიკს გამოეკიდა

მონიკა ყველაფერს მიხვდა.

ძალიან გვიან, მაგრამ მაინც მიხვდა. ცოტა ადრე რომ მიმხვდარიყო, ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ სწორედ ახლა მიხვდა, ამ ცუდ დღეებში, ძალიან ცუდ დღეებში. სრულიად უბრალოდ მიხვდა, ფანჯარასთან იდგა და გადასცქეროდა ცარიელ ქუჩას, აქეთა ქალაქში, იმ ქუჩას, სადაც ეს პატარა ოთახი ეჭირა.

ამ ოთახს ამხანაგები კარცერს ეძახდნენ, რადგან შესასვლელშივე, კართან საშხაპე იყო, ფარდის უკან კი - საპირფარეშო. ძალიან პატარა ოთახი იყო და ტელევიზორიც პატარა ჰქონდა, მაგრამ მონიკა მხოლოდ გვიან ღამით უყურებდა ხოლმე ტელევიზორს და რახან კაბელი ჰქონდა, მისი მოღუნული ანტენა მხოლოდ სამ არხს იჭერდა: ბიბისის პირველს, ბიბისის მეორეს და ბიბისის მსოფლიოს. ამ უკანასკნელზე ადგილობრივი

ახალი ამბები ჩაირთვებოდა ხოლმე ცხრა საათზე და ეს იყო, სხვა ტელევიზია ამ ქვეყანას არ ჰქონდა და არც სჭირდებოდა, კაბელები ფილმებს და მსუბუქ პორნოგრაფიას ატრიალებდნენ. თუ ძალიან მოინდომებდი, თურქულ „ინტერსაც“ დაიჭერდი, რაი უნოსაც, მაგრამ მონიკას არ უცდია. მსოფლიოს ამბები არაფრად სჭირდებოდა. ამბები აქაც თავზესაყრელი იყო.

ახლა აღარც ტელევიზია მუშაობდა, მონიკა იდგა ფანჯარასთან და ფიქრობდა, ასე რომ ვდგავარ, შეიძლება, საიდანღაც გამოფრენილი ტყვია მომხვდესო. ასეთი რამ გუშინწინაც მომხდარიყო, ქალი ყვებოდა ალმაროსას სუპერმარკეტის წინ. სუპერმარკეტში მხოლოდ პურს და სიგარეტს ყიდდნენ. დანარჩენი გადაემალათ, თუ ვინმემ გაძარცვა, მონიკამ არ იცოდა. ახლა კიდევ ფანჯარასთან იდგა და ის აუტანელი კაცი დაინახა, ჭილის კიდეებჩამოცვენილი შლაპა რომ ეხურა ხოლმე და დაბერებულ როკ მომღერალს რომ ჰგავდა.

შავი უმკლავო შერთი ეცვა და მიდიოდა მსუბუქი ნაბიჯით. მკლავებზე გახუნებული სვირინგები ემჩნეოდა და მიდიოდა, ვითომ აქ არაფერიაო. უსაზიზღრესი კაცი - ლამურ მოსიარულე. მონიკამ ბევრი რამ იცოდა მის შესახებ, მაგრამ დანამდვილებით და ბოლომდე - არაფერი. ამ კაცის ხელობა ენატანიაობა იყო. ისიც გაეგონა, რომ ამ ენების მიტანით ათასი ცუდი საქმე ექნა, თუმცა ამას თავისი საგვარეულო ხელობით ამართლებდა. მისი წინაპრები ძველად შიკრიკები ყოფილიყვნენ. რა უნდოდა? რა ჯანდაბა უნდოდა ჯენუელების უბანში? ტყუილად ხომ არ ივლიდა? მონიკამ ქოშებში გაყო ფეხები და კიბეზე თავპირისმტვრევით დაეშვა.

სადარბაზოდან რომ გამოვარდა, ლამურ მოსიარულე მენტოლას ქუჩის ბოლოში გასულიყო. გოგომ თვალი ჰკიდა, რომ მან მაღლა აუხვია. და გაედევნა. ვია ფიორაიო ცოტა აღმართიანი იყო, იქიდან მარცხნივ ისევ თავდაღმართში შეგეძლო ჩასვლა და ვილების ქუჩა იწყებოდა, მარცხენა მხრიდან კი, ორი პატარა შესახვევით, მარცხნივ და მარჯვნივ გადახვიდოდი პორტა ნოვას ქუჩაზე, ავენიუზე, სადაც კაფეები, მაღაზიები და რესტორნებია.

მონიკა მიჰყვა ლამურ მოსიარულეს, კედელ-კედელ გაუყვა. კანტიკუნტი გასროლები აქამდე მხოლოდ ყრუდ აღწევდა და თან მონიკამ ისწავლა, ეს ზრდილობის გულისთვის არის, შეტაკება არსად დაწყებულა. ნახევარი ჰაერშია, მეორე ნახევარი - კედელში. მთავარი ამბები ღამე ტრიალებს.

ლამურ მოსიარულემ ვილების მხარეს გადაუხვია და სვლას უჩქარა.

მერე შეუყოვნებლად შეაღო ერთი ბაღის დაბალი ჭიშკარი და შიგნით გაუჩინარდა. მონიკა ჭიშკარში არ შევიდა, შორიახლოს გაჩერდა, ღობის აქეთ გადმოწოლილ ტოტებქვეშ. ასე იცდიდა, მერე კი ძალიან ფრთხილად გადააბიჯა ზღურბლს და რა თქმა უნდა, ხეივანს არ გაჰყვა. ვისი იყო ეს ვილა? იცოდა. მგონი, ეს იყო იმ კაცის, იაფ რომანებს რომ წერდა. რა ერქვა და ჯერი ბარტონი. რაღაც სხვა ერქვა, მაგრამ ასე დაირქვა. ყოვლად მეტიჩრულად იყიდა ეს ვილა გენუელების უბანში. ერთი ქალაქგარეთ ედგა, კლდეებთან, მეორე კი ეს იყო. ახლა აქ არ ბრძანდებოდა. ან, ეგებ, ბრძანდებოდა, ლამურ მოსიარულე ამბების მისაყიდად ხომ არ მისულა? რა სისულელეა, ამ გაქანებულ ომსა და უბედურებაში. მონიკა ბუჩქებს შუა გაძვრა და თითქოს კიდეც მიავიწყდა, ლამურ მოსიარულეს რომ მისდევდა. სახლს მარცხენა

მხრიდან მიადგა და დაკეტილ დარაბებს მიაჩერდა ხეებს იქიდან. ლაპარაკი არ შემოესმა, იგრძნო და უკან დაიწია, ისევ გვიმრას და ბზის ბუჩქს შეაფარა თავი.

სახლის უკან ფანჩატური იყო, მოაჯირს სურო მოსდებოდა. იფიქრებდი, რომ მისტერ ბარტონი აქ წერდა თავის საზიზღრობებს. ალბათ შაშვები და გვრიტებიც კი ჩამოუსხდებოდნენ ხოლმე. ხომ არ იცოდნენ, რა საშინელებებს წერდა. ახლა კიდევ ფანჩატურში სხვა გვრიტები ისხდნენ. სხვათა შორის, პირით სახლისკენ. ნაცადი ხალხი ასეთ დროს ზურგს ხომ არ შეაქცევდა იმ ადგილს, საიდანაც ვინმე მოვიდოდა.

ერთი ლამურ მოსიარულე იყო, მეორე კი, მეორე ის იყო, ის თეთრთმიანი კაცი, ვისრამიანებს რომ დაჰყვებოდა. ის კაცი იყო, ვინც... მონიკას გული აუფართხალდა, გეგონებოდათ, ბარტონის რომანი შერჩენოდა ხელში უმთვარო ღამით, ცარიელ სახლში, თუნდაც აი ამ, ძველ ჯენოვურ ვილაში. ეს ის კაცი იყო, რომლის მეთაურობითაც სუნგალებს იქითა ქალაქი ეჭირათ. ნამდვილად ის იყო, მონასტერში, იმ ქართველი განგსტერის დაკრძალვაზე რომ უბრძანებდა ხელქვეითებს. როგორ მოხვდა აქეთა ქალაქში? აი, საოცრება. იქითა ჯარის სარდალი აქეთა მხარეს გადმოპარულიყო... აი, ნახეთ! ალბათ, ლამურ მოსიარულისგან რაღაც უნდა შეეტყო... მონიკა ვეღარ გაინძრა და უცებ ყველაფერს მიხვდა: ასეთი ოხერი ტვინი ჰქონდა.

მონიკა მიხვდა, რომ ვისრამიანებს დედოფლის მოკვლა უნდოდათ. მაშინ, იმ დაკრძალვაზე. ზუსტად ასე იყო. როგორ ვერ მიხვდა? მაშინ ვერ მიაქცია ყურადღება. მონასტრის გალავანთან ჟურნალისტები ირეოდნენ, მერე სუნგალებმა ფოტოგრაფები გალავნიდან ჩამოყარეს. ცერემონიალი მთავრდებოდა, ვისრამიანები პირველები გამოვიდნენ და წავიდნენ. საერთოდ რომ მოვიდნენ, გასაკვირი იყო. გამოგდებული სიძის დაკრძალვაზე გამოცხადდნენ. ეს სწორედ რომ ვერაგული გეგმა იყო. სწორედ რომ. დედა და შვილი, ორივენი იქ იყვნენ. და ეს ქალი უყვარდა სანდრო და კოსტას. ეგებ, შვილმა სულაც არ იცოდა. სწორედ ასეა. მათ თავიანთი სიძე მოაკვლევინეს ამ ჭაღარა კაცს, მერე კი დაკრძალვაზე მივიდნენ. დანამდვილებით იცოდნენ, რომ იქ იქნებოდა დედოფალი. ზუსტად იცოდნენ. დედოფალმა ხომ უპატრონა ამ ქართველს. სხვა ვინ იქნებოდა? მაშინ როგორ არ ჩაუფიქრდა. იქ, ბრბოში, ქალი იყო. ჩვეულებრივი, ვითომ მოსეირე ქალი. მონიკამ დაინახა, ვისრამიანები რომ წავიდნენ თავიანთი სუნგალებიანად, დამცველების მწკრივი აღარ იყო და ხალხი წინ მიაწყდა. დედოფალს მანქანა ელოდა, რაღაც უბრალო მანქანა. რომ გამოვიდა, ის წარბა ინგლისელი მოჰყვებოდა. ეს ქალი კიდევ, უბრალოდ ჩაცმული ქალი, მოხერხებულად გაძვრა წინ. ცალი ხელი ჩანთაში ჰქონდა. ვინ იყო ის ქალი? ჩანთაში რევოლვერი ექნებოდა. ნამდვილად. სროლას აპირებდა, ოღონდ უნდოდა, რომ მიახლოებოდა. კი საშინელი იერის ქალი იყო, თმაჩამოშლილი, ტუჩთან თითქოს ნაყვავილარივით ჰქონდა რაღაც, თუ სქარფეისი იყო. მონიკამ მხოლოდ თვალი გაადევნა, ისიც შემთხვევით და იცით, რა მოხდა? ზუსტად ასე იყო, მონიკას გარდა სხვამაც შეამჩნია. შეამჩნია თუ ასე გამოუვიდა. როგორ შეამჩნევდა, ბრმა იყო. მაგრამ... ის მათხოვარი, დროშას რომ დააფრიალებს, იქ იყო. ალბათ იფიქრა, რამეს გამოვრჩებიო, ხმაურზე და შეძახილებზე დაატყო, რომ დედოფალი ან ვინმე ცნობილი გამოვიდა მონასტრის ალაყაფიდან და უცებ წინ გაიჭრა დროშის ფრიალით, ამ ქალს მხარი ჰკრა, განზე გადააგდო და დაიძახა, რასაც იძახის ხოლმე: - ველქამ თუ პარადაიზ!

ზუსტად ასე იყო, ქალი წაფორხილდა, დაეცა კიდეც, წამოდგა და ცდილობდა, წინა რიგი გაერღვია, ამ დროს კი დედოფლის მანქანა წავიდა... ასე იყო, ნამდვილად ასე

იყო... მონიკას ვერავინ გადაარწმუნებდა, რომ ასე არ იყო. ვისრამიანებმა თავიანთი სიძე მხოლოდ იმიტომ მოაკვლევინეს, რომ დედოფალს დადარაჯებოდნენ. მაშინ დედოფალი უკვე მარტო აღარც დადიოდა, ორნი დაყვებოდნენ, ის ინგლისელი და კიდევ ერთი, ასე იყო... ხედავ, როდის ჩაუფიქრებიათ ეს ყველაფერი...

- ეხლა არ გაინძრე, ციყვო, თორემ ორივე დავიღუპებით... - მოესმა უკნიდან მონიკა უსო დი მარეს და გაქვავდა.

- არა... - წაიჩურჩულა უღონოდ, - ვინ ხარ?

- ჩუ... არ გაინძრე. ეხლა ესენი წავლენ. ის - დაბლა და ეს - მაღლა. ის იქიდან მოვიდა, უკანა მხრიდან. თუ მოიხედავ, არ დაიკივლო, - კაცსაც გვარიანად უთრთოდა ხმა, - რა გქვია?

- მონიკა.

- მე ბუ... ბუ ვისრამიანი. ჩუმათ, შვილო.

მონიკა დაიკივლებდა, აბა რა. მაგრამ არ დაიკივლა. მოახერხა.

- თქვენ...

- მე... - კაცს პისტოლეტივით ეჭირა ხელში ცარიელი ბოთლი, - მე გამოვიქეცი... აქ, „შედში“ ვცხოვრობ. უკვე ათი დღეა. დღეს პირველად მოეხეტენ ის ნადირი და ეს პირუტყვი... ის მარტო არ იქნება, ამას კიდევ შენ ახლავხარ... ესენი გავისტუმროთ და დავლიოთ, ჰა, ციყვო.

- თქვენ...

- მე... მე... აი, რა კარგია, სახლში რომ ვეგდე მთელი სიცოცხლე, თითქმის ვერავინ მცნობს. გამოვიქეცი... მე ქართველი ვარ. უნდა გამოიქცე და, - ბოთლი დაანახა, - წამალი ეს არი. იცი, რა ღვინოა? როზ დ’ანჟუ. ათოსის საყვარელი ღვინოა. იცი, ვინ არი ათოსი?

- არა... - წაიჩურჩულა მონიკამ.

- ათოსიც გაერიდებოდა, როცა საჭირო იყო. მე ქართველი ვარ, ციყვო... ქართველი უნდა გადარჩეს.

რა უცნაური კაცი იყო. კეპით, მოღეღილი პერანგით, ფლოსტებით და გაუპარსავი ცხვირ-პირით. ცხვირი კი დიდი, მოკაუჭებული.

- ჩუ... ა, მიდიან... ჩუ... მერე „შედში“ წავიდეთ. კაი ციყვი ჩანხარ, ვისი შვილი ხარ?

ვისრამიანების მოურავი მართლაც დაბლა წავიდა, სწრაფად გასხლტა ბუჩქებში გალავნის მეორე მხარეს. ლამურ მოსიარულემ მათგან ხუთ ნაბიჯში ჩაიარა. მონიკა სუნთქვაშეკრული უყურებდა, როგორ მიიკლაკნებოდა პითონივით. ალბათ ფულიც გადაუხადეს. სხვანაირად როგორ იქნებოდა?

- ესე იგი... - ოდნავ აუწია ხმას კაცმა, - ვახო ავალიანი, გეპეის ჯაზი... ამ საზიზღრობაში.

- თქვენ, - ახლა კი ჩაებნა მძივები მონიკას, - თქვენ კაია ვისრამიანის... ქმარი არ ხართ?

- მე ქართველი ვარ, ციყვო. ქართველი კიდე არ არსებობს ვიღაცის ქმარი. ქართველი ქართველია, იძინებს დათვივით ას წელიწადს და მერე უცებ გაჭყიტავს თვალებს. ეს ცნობილი ამბავია... ახლა მე შენ გაჭმევ სოსიჯებს და დაგალევინებ ანჟუურ როზს... მეორე ბოთლიც მაქვს. გასახსნელიც მაქვს... ისე კი არ წამოვსულვარ. ჩანთა სულ ჩალაგებული მქონდა. ვისრამიანები თქვენ ახლა გაიგეთ, მე კიდევ ორმოცი წელიწადია ტყვედ ვყავარ. ცხრაჯერ გავიქეცი... სტალინს გამოვექეცი! ხრუშჩოვს გამოვექეცი! ამათ, მგონი, ახლა გამოვექეცი... ვერ მცნობენ, ნუ გეშინია... ვინ მიცნობს? გამათხოვრებული ვარ... მე გეტყვი, რაც მოხდება. ზუსტად გეტყვი. ეს ქვეყანა დაიშლება. ვინც გადარჩება, გადარჩება, ვინც არა და ვიტიროთ ერთად. თქვენ არ გინდათ ერთად, მაგის მეტი რა ვიცი, ციყვო. მთელი ცხოვრება მაგას ვკითხულობ... წამოდი, წამოდი, „შედში“ მივიდეთ. ბოქლომი გავტეხე, არ მიწყენენ. ხვალ-ზეგ შეიძლება სახლიც დავიჭირო, პატრონი არ ჩანს და...

- პატრონი არ იქნება... - წაილუღლუღა მონიკამ.

წაგებული ამბავი

- ეს ამბავი წაგებულია, მისტერ პერიგო. ჯერ ზაფხულია და ეს ამბავი საგაისოდვე წაგებულია. ეს ხერხი აღარ იმუშავებს, აღარც მსოფლიოს თვალში და აღარც სადმე, ღობის ძირას, - ტევერენ მორანდი ისე ლაპარაკობდა, თითქოს სხვის საქმესა და სხვის სადარდებელს მიმოიხილავდა. წინ, უზარმაზარ თეთრ თეფშზე სალათის ფოთლებში ჩაფლული მადის აღმძვრელი, ზეთისხილებშემოლაგებული და თეთრი სოუსით გაჯერებული შემწვარი ღორის ხორცი იდო და იმგვარი მოწადინებით აჭრიდა კიდეს, რომ ყოველი გარშემომყოფი იფიქრებდა, რომ საჭმლის რაობაზე ლაპარაკობდა.

უმადობა არც მისტერ პერიგოს ეტყობოდა, თავის თეფშს იმგვარად ჩაღრმავებოდა, როგორც რომანებს ჩაუღრმავდებიან ხოლმე.

ეს არ ესწავლებოდათ. ყველას ეგონებოდა, რომ იმგვარად აღზრდილი კაცები სადილობენ, რომლებსაც რომანების კითხვა უყვართ და ამიტომაც გემრიელად ჭამენ, ვინაიდან თითქმის შეუძლებელია, კაცს რომანების კითხვა უყვარდეს, ჭამა კი - არა და ორივე ამ საქმეს ტკბილად ვერ ატანდეს გემოს. მაგრამ ამათ, ორივეს ესწავლათ, რომ სახალხო ადგილას იმგვარად უნდა ჭამო, რომ ეს რომანის კითხვას ჰგავდეს. რომანების კითხვის დრო ამ ორ მოსადილეს არ ჰქონდა და არც იყო დიდი მკითხველი ამგვარი ყაიდის საკითხავისა.

ეს იყო რესტორან „ლიგურიის“ ტერასაზე. პერიგო ლაზანიას ირგებდა, ორივენი კი წრუპავდნენ მშვენიერ ღვინოებს.

- ნეტა გაის ამ დროს თუ ვისხდებით აქ, - თქვა პერიგომ.

- მეეჭვება. ძალიან მეეჭვება, - თქვა მორანდმა, - იცი, რა? მე სადმე წავალ. ავსტრალიაში წავალ და გავქრები. ანუ ავსტრალია შორს არის. ავსტრალიას მოვითხოვ.

- ეგ ამბავი ჩემი ბრალი არ არის. მართლა ცუდად მოექცნენ მაგ ბიჭს. მაგრამ მე სხვა რამე მიკვირს: საიდან ამდენი გონება ამ უბრალო გლეხებს?

მორანდმა ღვინო მიაყოლა ხორცს.

- აბა, მომისმინე. არჩი ბოროუ დრაგ ედიქტი და ჩვეულებრივი ლოთბაზარა მუსიკოსი იყო. სუნგალების კუნძულზე რომ გადავიდა, გაქრა. ეძებეს და ვერ იპოვნეს, ანუ არ ეძებეს. მოგეხსენება, პოლიცია ნაკლებად დადის აქეთ. ორი წლის წინათ, აქეთ რომ პირველად მოვდიოდი, მე მითხრეს, რომ ვინმე არჩი ბოროუ სუნგალის კუნძულზე ცხოვრობს ერთ მივარდნილ ადგილას, ერთ გლეხთან. ჩვეულებრივი გლეხია, დიდი არაფერი. ოღონდ, ეს არჩი მონად არის იმასთან. ნამდვილი მონა ეს არ არის. სუნგალების კუნძულზე ყოფილა ასეთი რამეები, ვიღაც მაწანწალა მოხვდება ხოლმე იქ და მიეკედლება რომელიღაც ოჯახს. იქ მას ამუშავებენ, აჭმევენ და ასმევენ. მოსამსახურედ, მდაბალ არსებად თვლიან. ეტყობა, არჩის ეს დაემართა. იქ უცხოელი საერთოდაც მდაბალ არსებად მიაჩნიათ, თუ მათთან რაიმე იდეით არ მივიდა. ასეთებიც ყოფილა ადრე. მაგრამ არჩიმ ვერ გაქაჩა. მისი იერის ადამიანებს სუნგალები პატივს არ სცემენ. ამიტომ ეგრეც დარჩა. ასეთებს იქ სახლში არ აძინებენ, სასიმინდეში, ან რაღაც ქოხმახში. ხალხი ეჩვევა. გვარიანი ჯაფა კი ადგათ, მაგრამ ჭამენ და სვამენ. ეს მაწანწალებისთვისაა, ბნელი ადამიანებისთვის. სუნგალები მონებს არ ეძახიან მათ, რადგან თუ ეცდები, გამოიქცევი კიდეც, მაგრამ მონობა სხვა არც არაფერია. ეს არჩი იქ იყო, დათვალე... ოცდაათ წელიწადს. ანუ ჩემს აქ ჩამოსვლამდე ოცდარვა წელიწადს. ანუ ჩვენებმა იცოდნენ, რომ იქ არის და მითხრეს, რომ არჩიმ დიდხანს და ბედნიერად უნდა იცოცხლოს, რადგან არჩი არის ერთ-ერთი სარეზერვო ვარიანტი. რაიმე გართულების დროს ის საუცხოო ვარიანტია. ბრიტანეთის მოქალაქე მონად ჰყავთ იმ კუნძულზე, რომელიც ბრიტანეთის ქვეშევრდომობიდან გამოდის. არჩის სურათი, მისი ყოფილი გელფრენდი, ახლა ორი შვილის უკვე გამზრდელი მარტოხელა დედა, მისი ორი სიმღერა. ეს ყველაფერი მედიაში იქნება. და ფონია...

- მეც ზუსტად ასე მითხრეს, - ახლა პერიგომ მიაყოლა ლუკმას ღვინო, - ზუსტად. ჩამოვედი და არჩი ქუჩაში დამხვდა დროშით ხელში. ჩვენ არაფერ შუაში ვართ. ასე ხდება ხოლმე. მე და შენ არ წაგვიგია. ეს ასეა.

- მე კიდევ მგონია, რომ ის განგებ გამოუშვეს. ის ხეტიამ გამოუშვა. ხეტიამ იცოდა, მივიდა, მოძებნა და გამოუშვა. ზუსტად ასე უყო. ეს ხეტია... საოცარი ტიპია. დიდი ავტორიტეტი აქვს სუნგალებში. მან გამოუშვა.

- ჰო, მაგრამ. ხეტია ცალკე ძალად არც წარმოუდგენია ვინმეს. მე მგონია, რომ ის უფრო დედოფლის მხარეს გადაიხრება. ის არის ერთადერთი სუნგალი, ვინც ვისრამიანებს პატივს არ სცემს. და ყველაზე ღონიერი სუნგალი.

- მე ვიცი ხეტია. კარგად ვიცი. დაფიქრდი, მისტერ პერიგო. თუ ხეტია ბოლომდე დედოფლის მხარეს არის, არჩი რატომ გამოუშვა? ამით ჩვენ ის საგანგებო ვარიანტი მოგვისპო, სუნგალის კუნძულზე საგანგებო ნაწილის გადასხმის საშუალებას რომ იძლეოდა. არ არის კაცი და სად გადახვალ, ვის ათავისუფლებ?

- ანუ?

- ანუ ხეტია...

- ანუ ხეტია ომისთვის ემზადება.

- თქვენ ჯერ კიდევ არ იცნობთ მაგ კაცს. გინახავთ?

- ფოტო... ვიდეო.

- არა... უნდა მოუსმინოთ. ეგ მეტისთვის ემზადება.

- ვარიანტები წინ გვიდევს.

- ამოირჩიეთ ერთ-ერთი.

დიდებული სადილი იყო, დიდებული. „ლიგურიაში“ ყოველთვის საუცხოოდ ამზადებდნენ. ეს იყო რაღაც, ალბათ ზოგჯერ რომანებზე გემრიელი და მარადიული.

- რა შერჩათ იტალიელებს და ეს ჭამის დიდი ოსტატობა. ჭამის და საჭმლის. დიდი კულტურაა. დიიიიდი...

მართლაც სადილობდნენ და საჭმელზეც ლაპარაკობდნენ.

ჩიბუხი და ბუმგი

ლუკა, ვარდი და ბულბული

იმ დღესაც ლუკა პურსა სჭამდა ნავსადგურის ხელმარდებთან. თვითონ არ მისულა, დაუძახეს. საჭმელად შემოვიდნენ ბუზიასთან და ლუკა რომ ნახეს მარტო დამჯდარი და თავისი ქუდის თვალიერებას ჩაღრმავებული, ალბათ უსაქმურობისგან ან და კიდევ მეტისმეტი საფიქრალისგან, დაუძახეს, ლუკა, მოდი, პური ვჭამოთო. ცხელ წვნიანებსა თქვლეფავდნენ იმ დილაზე, ეტყობა, კარგი ნამთვრალევები იყვნენ და არაყსაც ბლომ-ბლომ ჩააყოლებდნენ ხოლმე.

ლუკამ ხელმარდების ანგარიში იცოდა, იმათ ლუკას გაძღომის ჯავრი იმდენი არ ჰქონდათ, რამდენიც რომ ჭამის დროს კარგად გართობილიყვნენ. ისინი ყოველთვის ანგარიშით გეძახიან, ესე იგი, თვითონ უნდათ უფრო და არა - შენთვის.

ჰოოდე, დაუძახეს. იფიქრეს, გავაღლიცინებთ, კაის გვიპასუხებს, თანაც ვერ დაგვცინებს, იმიტომ რომ მოერიდებაო. ოთხი ხელმარდი იყო, ყველა ერთიმეორეზე მრუდე ხელისა, ასე გამოვიდა, რომ დაჰპატიჟეს. ლუკას არ გაუკვირდებოდა, თუ რომ ჯიბეზედ რამე ჰქონოდა, გზადაგზა ამოეცალათ, გამოესუფთავებინათ იმ ლაპარაკ-ლაპარაკში.

მაინც ადგა და გადაუჯდა, იმიტომ რომ ხელმარდებმა დამახსოვრება იციან, მაშინ მოგაგონებენ თავს, როცა გასაჭირში ჩავარდნილხარ. ოღონდაც, ლუკა ამიტომ არ გადაუჯდა, ლუკასთვის სულერთი იყო, დანიანთან და უდანოსთან ლაპარაკი იცოდა.

- ჯამი ლუკასო, - დაიძახეს ხელმარდებმა და ორი კოვზის ამოხვრეპა თუ აცალეს იმ ჯამიდან.

- რასა იქმ, ლუკავ? - ჰკითხეს მერე ეშმაკური ჩაცინებით, რაიც ვერ შეიკავეს, - ქალებს დასდევ?

- არაა, - თავი გააქნია ლუკამ, - ვფიქრობ, ყვავილზე და ჩიტზე.

- ყვავილზე?

- დიახ... როგორც ბულბული, ანდა იადონი ჩამოჯდება ყვავილის ტოტზე ლექსებში, იმის გაგრძელება რა უნდა იყოს? ვარდზე რომ ბულბული ჩამოჯდება, ეს რას უნდა ნიშნავდეს? ასეა ლექსებში.

- ვარდი მინახავს, ბულბული - არა, - თქვა ერთმა ხელმარდმა, რომელსაც ერქვა ლამისო.

- იადონი იყვეს, - დაამშვიდა ლუკამ, - იადონები ხო გინახავს გალიებში? ძველ ლექსებშია ასე. მე მინახავს ერთ ქალაქში, ასე მღერიან ძველ ლექსებს, დოლს დაიჭერენ ხელში და გაჰკივიან, ბულბულზე ვარდი დაჯდესო და რა მოხდესო? ქალაქია ასეთი, ორმუზი ჰქვია. ზღვის პირად არის.

- აბა, ერთი არაყი დალიე, ლუკავ, უფრო გონზე ეგებ მოხვიდე, თორე რაღაც არის, სიგიჟესა ფიქრობ.

ლუკამ არაყი გადაჰკრა და ჭიქით მაგიდაზე დააკაკუნა: - ვინ არის? ლუკა მოვიდა...

ხელმარდებმა გაიცინეს.

- ეგრე სჯობიან.

- მაინც ბულბულზე ვფიქრობ. ამის გაგრძელება მოვიფიქრე... უყურე როგორ არის... სოფლად თუ ყოფილხარ... სუნგალში იცის ეგრე. რო გამოღამდება, დადგამენ მაგიდაზე ჭრაქს და უცბათ თავს მოიყრის უამრავი პეპელა, უყვართ სინათლე. უყვართ, სძულთ, შეჭმა უნდათ იმ ცეცხლის, თუ სხვა, ეს მე არ ვიცი. ეხლებიან ზედ ამ ჭრაქს. მიეხლებიან, მიეხლებიან და იწვიან და ცვივიან ძირს. ეს გინახავს?

- მინახავს, - სთქვა ბაგრატა ხელმარდმა, - ჩემი ტოლა კაცი ხარ, ლუკავ, რაებს გვიყვები ამ კაი დროს? მაგას ჯობიან ის მოგვიყვე, მეფის ასულთან რომ გადაიპარე და პალომ რო გიმტყუნა.

- ჰოოო... ეგეც იყო, ოღონდ აღარ მახსოვს... შენ კიდე, ჩაუკვირდი პეპლების და ჭრაქის ამბავს, რო მიესევიან და იწვიან. ჭრაქი თავის საქმეს აკეთებს, იმან არც იცის, რო პეპლები ეხლებიან. რო იცოდეს, ზრდილობიანია და ეგებ სულაც ჩაქრეს, პეპლები კიდე იწვიან, ფრთები ეწვით. ასეც ლუკა, ეხლებიან, გონიათ, რომ სცემენ, მერე კიდევ თვითონ სცვივიან ძირს... ბულბული კიდე, რო ჩამოჯდება ვარდზე, წყნარად რო დაუწყებს გალობას, ვარდი ეკლებს დამალავს. მიხვდით?

ხელმარდებმა გადახედეს ერთმანეთს.

- მე კაი გულით დაგიძახე, ლუკავ, - უთხრა ლამისომ.

- ცუდი გულით რატო იქნებოდა? - გაოცდა ლუკა.

- შენ ისე ამბობ, - უთხრა ლამისომ, - ვითომ შენგან გვინდოდეს რამე. უშენოთაც შევჭამდით. დაგინახე და დაგიძახე. იმიტო არა, რო ლუკამ კაი ლაპარაკები იცის.

- მომიკვდეს თავი, - მოიწყინა ლუკამ, - ასე გამომივიდა? მე სხვა რამის მოყოლა მინდოდა. ლუკას რაღაცა აერია ტვინებში. მე ვთქვი, რო მოვიფიქრე, ისე, ცხოვრებაში. თქვენ პურსა ვჭამდე და ისევ თქვენვე ჭკუა გარიგოთ?! ესეები ლუკამ არ იცის და არ დაუწყია, - ლუკამ კოვზი კოხტად მოუდო ჯამს და წამოდგომა დააპირა, - აღარ შეგაწუხებთ ჩემი ცხვირის თვალიერებით.

- აბა, უსმინე, - სთქვა ბაგრატა ხელმარდმა, - ეს არ იფიქრე, რო ვინ უნდა ყოფილიყო, რო დაგვეძახნა? ჭამე და მაიტა ეგ ჭიქა. მაშინ დაჯდეს სუნგალის ერთკაციანში ბაგრატა, როცა ლუკასას ვერ მიხვდეს. მაიტა ჭიქა.

ლუკამ კვლავ გადაჰკრა და ისევ დააკაკუნა მაგიდაზე.

- ლუკა მოვიდა. ეხლა მართლა მოვიდა. გახსენ კარები... რა არის რომ, ძმანო ხელცქვიტნო, ერთ დროს მეცა ვხელმარდობდი. მეც გამექცეოდა ხელი, თუმცა ეგ ხელობა საგანგებოდ არ მისწავლია. ვხელმარდობდი და დამიჭირეს, მახეხინეს ზურგით კედლები და ფერდით კიდევ ის გამშრალი ფიცრები. აჰ, ისაც კი დამიპირეს, რომ სიამაყე წაერთმიათ.

- ვხელმარდობდიო... აბა, ეს პირველად მესმის, - თქვა ილიონ ხელმარდმა, - სადა ხელმარდობდი, ჩვენ რო არ გაგვიგია?

- სხვაგან. ოღონდაც ყველს და ფეხსაცმელს კი არ ვიპარავდი. არცა ქისას და ცხვარსა... შენ წარმოიდგინე, პატარავ, - გადახედა ვეიქლებიდან ნაირგვარობების ამღებ პატარას ლუკამ, - მე, ამხანაგებო, გულებს ვიპარავდი. გულანშარო, არის ასეთი ქალაქი, გაგეგონებათ და მიხვედრილიც იქნებით, რასაც ნიშნავს, გული და შარიო. ამის გამოისობით დაფიქრება ახლა არა მჭირდება, ოღონდ კი რახანაც გულანშაროს მივადექით გემით, მე იქ დავრჩი. ჩაწერილი მაქვს იმ ჩემ ძველ წიგნში, ოღონდაც წიგნი არა მაქვს, დაიხა და თქვენაც სად გეცლებოდათ იმის წასაკითხად. გულანშაროში კიდევ, რა უნდა მექნა, თუ არა, რომ გულები უნდა მომეპარა?! ლუკა ინადირებდა გულებსა. იქ ასეა, რომ, როგორც ჩვენ, ოსმალებს, ზოგჯერ ორი ან სამი ცოლი ჰყავთ, ოღონდ იქ თუ მდიდარი კაცი გამოერია, ცოლი ათი ათასიც ეყოლება და ეს ცოლები ერთ დიდ სასტუმროში ჰყავს გამოკეტილი. ჯარი კიდევ გარშემო შემოყენებული, ხომ გინახავთ ხატიჯა ხანუმი რო გამოვა ქუჩაში? ყველა ასე ჰყავს გამოწყობილი. ოღონდაც, იმ სასტუმროში თითქმის არ არიან გამოწყობილი. ის გახლავს, რაც გახლავს, ბნედა მოგერევა, თუ იქ მოხვდი, ოღონდაც თუ დაგიჭირეს, ოხრად დაგარჩენენ... იქ შევიპარებოდი და მოვინადირებდი გულებს. დიახ...

- ეგ სხვანაირი ხელმარდობაა, ჰა? - გააწყვეტინა ბაგრატა ხელმარდმა.

- სხვანაირია, ოღონდ კი ბოლო ისეთივე აქვს... დამიჭირეს იმ ეფენდის ჯარისკაცებმა და ჩამაგდეს ხაროში. ისე ვყავდი იქ კარგა ხანს და მერე მიმგვარეს ამ ქალთა ბატონს, რომელიც მოსამართლეც იყო და ყველაფერიც. და აჰა, რას მეუბნება, ამასაო, ისე ჰყვარებია იქ ყოფნაო, რომ ასე დავსაჯო, რომ სამუდამოდ იქ დავასახლოთო. მოგეცა ლხენა-მეთქი, თუ ასე გინდოდა, რაღას მტანჯავდი ორმოში? თურმე სად არის ლუკა...

იქ დამასახლებენ, მაგრამ ჯერ საჭურისად უნდა მაქციონ. ასე ყოფილა, იქ თუ კაცს შეუშვებენ, იმას გულების ხელმარდობა აღარ უნდა შეეძლოს. რისთვისღა უნდა მოიპარო გული, როცა მადას დაგიკარგავენ? ჩვენ ტანს შიგნით ყველაფერი ისეა გადამბული, რომ ერთი საქმე მეორეს ჩაშლის. თურმე იქ საჭიროებას გამოგაცლიან და მერეღა დაგასახლებენ ქალებთან. ვინღა ხარ ასეთ დროს?

- ეს ამბავი არც გამიგონია, - თქვა პატარამ.

- იმიტომ, რომ პატარა ხარ.

- ეხლა ისიცა თქვი, მერე რა გიქნეს? ძლიერ გეტკინა?

- ჰა-ჰა-ჰა... რომ მტკენოდა, ეხლა აქ ვიქნებოდი? საერთაშორისო ამნისტიამ გამომიხსნა. გაუგიათ, რასაც მიპირებდნენ და გამომიხსნეს. ქალი იყო, აქაც ცხოვრობდა, თუ გახსოვთ, უპატრონო ბავშვებზე მზრუნველი. მისს შიილა... ის არ მომადგა? საერთაშორისო ამნისტია ასეთი დაწესებულებაა, პატიმრებს უშვებს ციხიდან.

ბაგრატა ხელმარდმა კიდევ ჩამოასხა.

- მე რატო ერთხელ არ გამომიხსნეს? - იკითხა თითქოსდა დარდიანად, - რო მოთვალო, ოცდაშვიდი წელიწადი სუნგალის ციხეში მაქ გატარებული.

- იმიტომ, რომ შენ პოლიტიკურზე არ იჯექი.

- ეგ რომელიღაა?

- არი ქვეყნები, სადაც, კაცი რომ იტყვის, მთავრობა არ მომწონსო, ციხეში ჩასვამენ.

- ამას უყურე, - ერთად თქვეს ილიონ ხელმარდმა და ლამისომ.

- ეგრე, - ლუკამ მესამეც გადაჰკრა და ჭიქა მეტის ძალით დააკაკუნა და დააკუკუნა მაგიდის კიდეზე, - მოვიდა, ლუკა მოვიდა. მოვიდა და ფეხსაცმელიც გაიხადა. ლუკა მოშინაურდა? ჰა, ძველს დროს, როცა თქვენი მოყვანილობის ხალხი მეკობრედ იყო... მაშინ იყო, თუ იყო. ეხლა რო დაგიძახოს ვინმემ, წაჰყვებით მეკობრედ? აი, ლუკას რა აინტერესებს...

ხელმარდებმა ერთმანეთს გადახედეს.

- ჰა, დაგიძახეს უკვე? - უფრო ხმამაღლა დასძახა ლუკამ და წიწაკის მწნილი გააქანა პირისკენ, - ლუკას ეგ არ შეეშლება.

- ჩვენ ისე არ ვიზამთ, რო რაღაცა შეგვეშალოს... ჩვენი შეცდომა ციხეა, ლუკავ, - უთხრა ბაგრატა ხელმარდმა.

- ციხეს აღარავინ დასჯერდება, - ამოიოხრა ლუკამ და ჯიბიდან რაღაც რამ უცნაური ნივთი ამოიღო.

ახლო რომ ნახეს, ეს იყო პაწაწინა, ძეწკვზე აბმული ოქროს საათი თავისი ხუფით.

- ორი ათას ფუნტს მიარტყამს, - ვეღარ მოითმინა პატარამ, - ეს ზურმუხტიც კარგი უდევს შუაში.

- გადამდნარი? - ჰკითხა ილიონ ხელმარდმა.

- გადამდნარი რვაასზე მეტი არ იქნება.

- ბაჯაღლოა, ნახე, რა რბილია...

- მაინც.

- ათასიან მყიდველთან მიგიყვან, - არ დაიშალა ილიონ ხელმარდმა.

- ჯერ არ მიჩუქნია, - გაიცინა ლუკამ.

- კარგის რამისაა, - თითები შეავლო ლამისომ.

- აბა, საიდან მაქვს?

- ჩვენ რა ვიცით, ლუკავ. ჩვენ ვიცით რო, თუ სადმე ფინთათ დადებული ვნახეთ, ავიღებთ. ვაჭარს მივუტანთ, ფულს დავთვლით, ბუზიას დუქანში მოვალთ და ერთი რჯულზეც დავითვრებით. თუ შენ აქ იქნები, შენც დაგიძახებთ. საიდანა გაქვს? - ჰკითხა ილიონ ხელმარდმა.

ლუკამ ნიკაპი ლამის ჯამში ჩარგო და ჩურჩულით თქვა: - ეს მე მაჩუქა კაია ვისრამიანმა. ცოლად უნდა შევირთო...

ქურდები გაჩუმდნენ.

- სწორადა ვთქვი? - ჰკითხა ლუკამ, - სანამ არ მომქრთამა, არ დავყაბულდი და რომ შევირთავ, მერე კიდევ აღარ დავრჩები. შემჭამს. ქუსლიდან დაიწყებს და აქ ამოვა... - ლუკამ თავად ჩამოისხა და გადაჰკრა. ოღონდ ჭიქა აღარ დაუკაკუნებია, სწრაფად წამოდგა, - ლუკა წავიდა. მადლიერია...

- მაიცა, ლუკავ, - დაადევნა ბაგრატა ხელმარდმა, - ერთი რამე მითხარი.

- ბაგრატავ, - მოუბრუნდა ლუკა, - მე ყველაფერი გითხარი. გითხარი, რო თუ წყნარად იქნები, ვარდი ეკალს დამალავს. თუ გადაირევი, ფრთები დაგეწვება. გითხარი, რო კაია ვისრამიანის ხელში ისე იქნები, როგორც რომ საჭურისი იმ სახლში. გითხარი, რო ოქრო ჩემთვისაც უჩუქნიათ, ოღონდ ოცდაათი წელიწადია ვინახავ. ესე იგი, გითხარი, რო დადიან და ხელმარდებს ფულს აძლევენ, ვისრამიანებს თქვენი დახმარება დასჭირდება-თქო. მეტი რაღა გითხრა, ბაგრატავ? მე ეგეთი ცხოვრება მწამს, რო ფინთად დადებული არ უნდა აიღო, იმიტო რო სხვისია... არაყზე კიდევ იცოცხლე...

- ამან საიდანღა იცის? - იკითხა ლამისომ.

- ვახ, რა ჩეჩმაზე ვართ? - წაიბურტყუნა ბაგრატა ხელმარდმა, - სროლა იქნება, თუ რაო?

- არა, კაცო, - დაიწყო ისევ ილიონამ, - ერთ საქმეში გვჭირდებითო. კოხტად გაკეთდება ყველაფერიო. ერთი ბინა აიღეთო და წაიღეთო. რასაც წავიღებთ, ჩვენია, იმათი ქაღალდებია... თანაც, ხუთი ათასსაც ბონუსს გამოდიან.

- ამან საიდამღა იცის?

- იცის, რო?

- არ იცის... მიხვდება ხოლმე, - თქვა ბაგრატა ხელმარდმა, - ლუკა უნდა გავაჩეროთ.

- შენ ეს მითხარი, იმის ბინაზე უნდა შევიპაროთ და არავინ დაგვხვდება?

- რომც დაგვხვდეს...

- ვისი ბინაა?

- ერთი ბებერი ქალისა. იმ დროს მივალთ, ჯერ რო არც გათენებულა და აღარც ღამეა.

- ეს კარგა უნდა გაიშინჯოს.

ლუკას ახალი წიგნი

ჰეი, მე ლუკა ვარ. ერთ დროს წიგნი დავწერე, რომელიც აღარ მაქვს. დაიხა თუ რა, არ ვიცი. ერთ დროს ცოლიც მყავდა, თუმცა ჩემს ცოლს არ გაუმხელია, რომ ჩემი ცოლი იყო, იმიტომ, რომ მე ლუკა ვარ და რცხვენოდა, რადგან ფეხშიშველა სიარული და კაფეებში ჩამოძინება მიყვარდა. ამიტომ ცოლიც არ მყავს.

ჯერ ცოლი მყავდა, მერე კი წიგნი დავწერე. ეს წიგნი ჩემს ცოლზე იყო, ოღონდაც ამას ვერავინ მიხვდა, რადგან არავინ იცოდა, რომ ცოლი მყავდა.

მე ძალიან მიყვარდა ჩემი ცოლი, რომელიც საერთოდ არ გავდა ლუკას. ახლა დავბერდი და მინდა, რომ ჩემი ცოლი მოვძებნო. ის უცხო ქვეყანაში გამექცა, ვითომ იქ უნდა ესწავლა. მე ძალიან მეწყინა და ამიტომ მეზღვაურად წავედი. მეზღვაურად რომ წავედი, მეზღვაურადვე დავრჩი.

ახლა წიგნს იმიტომ ვწერ, რომ ცოლი მოვძებნო. აქამდეც სულ ვფიქრობდი, დამეწერა რამე, მაგრამ არ გამომდიოდა. შეყვარებული ვიყავი. სულ ახალგაზრდები მიყვარდება. ახლა მივხვდი, რომ, როგორც ყოველთვის, ახლაც არასწორად შემიყვარდა, მაგრამ რას იზამ? მეტად განვიცადე ეს ამბავი, ქუდს ფარფლებიც კი მოვაჭამე. ვიჯექი და ვჭამდი ჩემს ქუდს. მერე დუქანში ვყვებოდი, რომ ზვიგენმა მომაგლიჯა.

სხვა არაფერი მქონდა შესაჭმელი და დასაღრღნელი, რადგან მაჯები უკვე დავიჭამე, როცა მივხვდი, რომ უკვე მერამდენედ, სასტიკად მოვტყუვდი. ამ ჭამაში გამახსენდა ჩემი ცოლი, რომელიც ერთ დროს ახალგაზრდა იყო, ახლა კი, გინდა თუ არა, მობერდებოდა. ამიტომ გადავწყვიტე, რომ მოვძებნო, ვინაიდან ძალიან ძნელია მარტოობა.

ჩემს ცოლს, ალბათ, სატელეფონო წიგნითაც მოძებნის კაცი. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, მოძებნოს, მაგრამ ეს არ იქნებოდა ნამდვილი მოძებნა. დიდი ხანია ვცდილობდი ამ წიგნის დაწერას და სწორედ ახლა ვახერხებ. ჩემი ცოლიც სწორედ ამ წიგნით უნდა მოვძებნო.

მე ლუკა ვარ. მე ყოველთვის ახალგაზრდები მიყვარდება. ასეა და რას იზამ? რომ დავფიქრდი, ჩემი ცოლიც ისეთი მიყვარს, როგორიც მაშინ იყო, თორემ ზოგჯერ, გაზეთში დამინახავს მისი სურათი და ძლივს მიცვნია. არ უნდა, რომ ბერდებოდეს, მაგრამ ასე კია. მას რომ ჰკითხოთ, ცოლ-ქმარი არასოდეს ვყოფილვართ, მაგრამ ცოლ-ქმარი კი ვიყავით. საეკლესიო და სამოქალაქო ჩანაწერებს ვერ იპოვი, თუმცა ასე კი იყო. ცხოვრებას სულ სხვა ჩანაწერები ეხერხება.

ახლა ყველაზე დიდი უცნაურობა ტრიალებს ჩემს თავს. დავდივარ ქალაქში, სადაც სროლა და ომია. მე ლუკა ვარ და ყველა საგუშაგოზე იოლად მატარებენ, საზღვარზეც კი, სადაც ორმოცდაათ ნაბიჯში დგანან ერთმანეთისგან სუნგალები, რომელთა ბაბუებთანაც ხშირად მივლია სუნგალის ქვეყანაში. თანაც, მე ხომ მაწანწალა ვარ. მაწანწალებს არ ერჩიან. რა უნდა წაართვა ლუკას? ჯიბე ცარიელი აქვს. სიცოცხლე კი თავის თავს კარგა ხანია წაართვა. მხოლოდ ის დაიტოვა, რაც სწორედ იმაში ეხმარება, რომ საგუშაგოები იოლად გადაიაროს. მაშინ, როცა აქეთ-იქით არავის ატარებენ.

ლუკა ნავსადგურში თუ არ მივიდა, მოკვდება. ლუკამ თუ არ დაინახა გემი წყალზე, მისთვის რაღა აზრი აქვს ისე სიარულს? ამაზე უკეთესი არაფერი მინახავს ცხოვრებაში - გემი წყალზე. თუ დაფიქრდებით, ეს არის საუკეთესო რამ, რაც კი შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს.

ამას თუ შევადარებ დელფინის ზურგზე ხელის გადასმას, რაც არა ერთხელ მომიხერხებია და რაც, მგონი, იგივეა, რომ ახალგაზრდები მიყვარდება.

მაგრამ დელფინის ზურგზე ხელის გადასმა ანუ დელფინის ფერება ხელებიდან წამოსული სიამოვნებაა, ხოლო ზღვაზე მოლივლივე გემის ცქერა - თვალიდან. ქალის ამბავი კი ისაა, რომ ორივეს აერთიანებს. ვცადე, და ვერ ვაკოცე დელფინს.

მე ლუკა ვარ და წიგნს ვწერ. რამდენი წელიწადია, წიგნი აღარ დამიწერია. მგონი, ასოებიც დამავიწყდა. მინდოდა, ეს წიგნი, ისევე როგორც ის, რომელიც დამეკარგა, სამ ენაზე და სამი ანბანით დამეწერა. ეტყობა, დავბერდი ან კიდევ დარდებმა ერთმანეთში ამირია ყველაფერი. მონასტრულ, ლათინურ და არაბულ ასოებს ერთმანეთში ვურევ. ამიტომ, ვისაც არ ეცოდინება ამ ჩვენი კუნძულის სამი ენა, მეეჭვება, ამ წიგნის წაკითხვა შეძლოს.

მე იმას ვამბობდი, რომ ახალგაზრდა ქალები მიყვარდება, თავად კი კბილის ექიმთანაც ძნელად დავიარები. ბოლოს ოცდახუთი წლის წინათ ვიყავი. მაგრამ რა ვქნა? მე ლუკა ვარ, სწრაფად, უბრალოდ და საცოდავად მიყვარდება ახალგაზრდა ქალები, მე კი სიყმაწვილეში სულ ბებერ ქალებს მოვწონდი. ბებერს იმას ვუწოდებ, ვისი შვილიც უკვე უნივერსიტეტში სწავლობს. ასე ვუწოდებდი ახალგაზრდობაში. ასეთ ქალებს ალბათ იმიტომ მოვწონდი, რომ წვერი მქონდა და ისე ვლაპარაკობდი, რომ არ შეიძლებოდა ასეთი ქალები არ აღტაცებულიყვნენ. მე კი სულ სხვები მომწონდა.

აბა, ეს რაღა სალაპარაკოა, იფიქრა ლუკამ, რომელიც ახლა ზის და წერს, ვინაიდან მოესმის სროლის ხმა.

დიახ, მხოლოდ მაშინ ვწერ, როცა სროლა ისმის. კაკანებს ნაირგვარი ტყვიის მსროლელი. მე ადრე ერთი წიგნი წავიკითხე, რომლის შესავალშიაც ეწერა, ეს კაცი მხოლოდ მაშინ წერდა, როცა ომი იყო და ამიტომაც მისი სიტყვები ტყვიასავით

ჩამოსხმული, მჭახე, ცხელი და სასიკვდილოაო. ეს შესავალი რომ წავიკითხე, მერე თვითონ იმ კაცის ნაწერი აღარ წამიკითხავს, წიგნი დამეკარგა. კატებმა წაიღეს, იმიტომ რომ ფანჯრის სამაგრად ვხმარობდი, ორპირ ქარს რომ არ მიეხათქუნებინა. რაფაზე სულ ვიღაც კატები იყვნენ და იმათ წაიღეს.

ამიტომ ახლა გადავწყვიტე, რომ სროლის დროს დავწერო ხოლმე, თუმცა სულაც არ მინდა, რომ სიტყვები ტყვიასავით ჩამოსხმული გამომივიდეს. მაშინ წავიდოდი ქალაქ ლიეჟში და იქ ნაგანის ქარხანაში ვიმუშავებდი. მე შემწვარ ხორცს ატამი მირჩევნია. შავ ღვინოს - ვარდისფერი და ალბათ ესეც არის მიზეზი, რომ ყოველთვის ვცდებოდი, როცა ვინმე შემიყვარდებოდა.

ახლა ლუკას აღარაფერი აქვს დასაკარგი. ეგონა, რომ არც ოდესმე ჰქონია. ცოლი კი დაკარგა. დაბერდა ლუკა. ლუკა მიხვდა, რომ ომი სულ ტყუილად ატყდა. აი, დაბერდა ლუკა და პირველად ხედავს ომს. როგორ არ აწუხებს ეს ომი? მან დაინახა, რომ მიწა არაფერი ყოფილა. ალბათ ამიტომაც უყვარს წყალი და ზედ მოლივლივე გემი. მიწა არაფერია, გეტყვით ლუკა, ყველაფერი წყალია. იმიტომ, რომ წყალი ყველასია, მიწა კი დაინაწილეს. ლუკამ სიკვდილები ნახა, თვითონ გამოათრია პიგოლი, რომელსაც ტყვია მოხვედროდა. პიგოლი ლუკას მეზობელი იყო, რომელიც საგვარეულო სასაფლაოზე ვერ დამარხეს, იმიტომ, რომ ის სასაფლაო იქითა ქალაქში დარჩა.

ჩვენ რომ პიგოლი დავკრძალეთ სულ სხვა ადგილას და მას რომ დავცქეროდი მკვდარს, მივხვდი, რომ სიკვდილი საშიში არ არის. პიგოლის, ჩემსავით ბებერს, არ ეშინოდა სიკვდილის. არც ტყვიის. ეზოში იჯდა და იტყოდა ხოლმე, აი, მეჩვიდმეტე გავარდა, აი, მეთვრამეტე გავარდა. და მეც მივხვდი, რომ ასე სიკვდილის მე არ მეშინია. ეგებ, თოფი რომ მქონოდა ხელში, შემშინებოდა. აბა, როგორია, რომ მიადგები იმ ქვეყნის კარიბჭეს და ხელში კი თოფი გიჭირავს? ვინ მოგისმენს? თოფიან კაცს ვინ მოუსმენს? თოფიანი კაცის, უბრალოდ, ეშინიათ და მორჩა. თვითონაც ეშინია და მისიც ეშინიათ.

მივხვდი, რომ არ მეშინია და ისე მივეჩვიე ამ სროლას, როგორც საბრალო პიგოლი. სიკვდილის რატომ უნდა მეშინოდეს, როცა დიდი ხანია მოვკვდი?! ათასჯერ მოვკვდი და ყველა სიკვდილზე თითო მტკაველი მაკლდება.

ვიღაცეებს ზღაპარი ჰგონიათ, რომ რაინდი ხორცს აითლიდა და ფასკუნჯს აჭმევდა. ის ფასკუნჯი სინამდვილეში სიკვდილია. სამოთხისკენ მიგაფრენს, ოღონდ გზადაგზა ხორცი უნდა მოიჭრა და სანამ მიხვალ სამოთხეში, ეგებ, მოკვდე კიდეც.

მე ლუკა ვარ და წიგნს ვწერ. ეგება, იფიქროთ, რომ მიხარია ეს ამბავი. არ მიხარია, მაგრამ მსიამოვნებს. ბევრი ვერ გაიგებს, რატომ ვწერ წიგნს - ცოლის მოსაძებნად. ეგებ ხშირ-ხშირად გახსენებთ, რომ ლუკა ვარ, მაგრამ ასე კია და მგონია, რომ მთავარი ეს არის. მაშინაც ასე იყო და ახლაც ასეა, ჩემი წიგნი მე ვარ. იმასაც ხშირად გახსენებთ, რომ ცოლს ვეძებ. ეს ძნელი დასაჯერებელია. ახალგაზრდა ქალი უყვარდა და ბებერ ქალს კი ეძებსო. ლუკას გაგება იოლია. ლუკა ყოველთვის გულით ეძებს. მთელი სიცოცხლე იცოდა, რომ მართლა უყვარდა თავისი ცოლი და თუ კაცია, სწორედ ომში უნდა იპოვოს და დაიბრუნოს. თოფის ჭერა ყველა მათხოვარს შეუძლია, ისეთი მათხოვარი მიპოვეთ, თოფის ჭერაზე რომ იტყვის უარს.

ლუკას ოცდაორჯერ ჰყვარებია და არც ერთხელ ქალისთვის ლაპარაკი არ გაუბამს, ასე მიყვარხარ და ისე მიყვარხარო. ეს თავისთავად გამოდის. ლუკამ რაინდი კი ახსენა, მაგრამ რაინდული ქცევები არ უყვარს, აქაოდა, ქალს დავანახო რა კარგი ვარო. ეს მეტიჩრობაა. ლუკასთვის სიყვარული ის არის, თავისთავად რომ გამოდის და არა თავის მოწონებით. ასეთი ერთი ქალი ჰყავდა და ისიც დაეკარგა. ეს არაფერი, იპოვის. ლუკა მსუქანია, მაგრამ მაინც ბებერი და სიზმრების დამახსოვრება შეუძლია. ყოველ სიბერეს შეუძლია ქალი გამოიხმოს საიდანღაც.

ლუკა არასდროს დაბერდება. ყოველთვის ისე ეცმევა, როგორც ოცდახუთი წლის ბიჭს. ეს სასაცილო იქნება, მაგრამ ლუკას დიდი მაჯები აქვს, დიდმაჯიანი კაცები კი არ ბერდებიან ისე, როგორც წვრილმაჯიანი კაცები, ისინი ისევ კაცებს ჰგვანან და არა მოხუცებს. ლუკაც ასეა და შეუყვარდა ქალი. საკვირველია, მაგრამ ამას ცოლის მოსაძებნად გამოიყენებს.

ლუკას ისე შეუყვარდა, რომ არც დაუნახია. ეს ადრევე იცოდა. სიყმაწვილეშიც უყვარდა ის ხმა, მათიანების პლაჟზე რომ აცხადებდა, დღეს ოცდაათ იარდს იქით ნუ გაცურავთ, ტალღები დიდიაო. ადრე ასე იყო, აცხადებდა, საოცარი ხმით. მაგრამ ამ თავგადასავალს სხვა დროს გიამბობთ.

ახლა კიდევ წიგნი უნდა დავწერო, არც შემიხედია, ისე შემიყვარდა. ხმა კი გავიგონე და მივხვდი, რომ სიყვარულმა მომაკითხა. ეს პირველად დამემართა. მე მეგონა, რომ უკვე დავბერდი. გამეგონა, სიყვარულმა მოკითხვა იცისო, მაგრამ ჩემთვის არასდროს მოუკითხია. ახლა კი ასეთი წერილი გამომიგზავნა. აი, შენ, ბებერო ლუკავ, გგონია, რომ ყველაფერი მოითავე ქვეყანაზე, კიდევ დაგრჩა ორი მისხალი და წვეთიო.

ასე რომ, მე შემიყვარდა ახალგაზრდა ქალი. ჩემზე ახალგაზრდა და არც ისე ბებერი, რომ შვილი უნივერსიტეტში ჰყოლოდა. ლუკა ვერ გამოუტყდა, რადგან წესად არა აქვს ქალის გულისთვის საგმირო საქმეების ჩვენება. მაგრამ ისე კი გამოუვიდა, რომ ამ ქალის გამო მრავალი გასაჭირი გადაიტანა. ქალმა კი სახსოვრად ოქროს ნივთი მიუძღვნა. ლუკამ მაშინ იფიქრა, რომ შეცდა. არ უნდა შეჰყვარებოდა ეს ქალი, რადგან ოქროს ნივთი სასაცილო რამ არის. ასანთის კოლოფიც რომ ყოფილიყო, ლუკა მაინც შეინახავდა, რადგან ქალის შეხედვას აზრი არა აქვს. ის ბრმად გიყვარდება. მე სულ ხმები მიყვარდებოდა. ხმებით მიყვარდებოდა ქალები, სულ ოცდაორი. ასე რომ არ იყოს, იმ ქალს არ შევიყვარებდი და საშინელი შეცდომაც არ დამატყდებოდა. თუმცა ლუკას არ ეშინია შეცდომებისა. შეცდომების თოფიან კაცებს ეშინიათ. სიბერეში შევიტყე, ომი რა ყოფილა.

ლუკასათვის საოცრება ის იყო, რომ გაიგო, თურმე ის საოცარი ქალი, ვისი გულისთვისაც ლუკას სიკვდილი შეეძლო, ოღონდ არ ამხელდა, ამ ომის ერთ-ერთი მეთაური შექნილიყო. ლუკა აქეთ ქალაქში ცხოვრობს და ლუკას წიგნი ძალიან სქელია, რადგან ხშირად ისვრიან. ლუკა მრავალ ამბავს ჩაატევს ამ წიგნში, მაგრამ სულ ბოლო ამბებით იწყებს. ლუკა, როგორც ლუკა, სულ იოლად გადადის ხოლმე იქითა ქალაქში, რადგან ნავსადგურში საჭირო ოდენობის სიცოცხლე მოიპოვოს. იქითა ქალაქის მბრძანებელი კი სწორედ ის ახალგაზრდა ქალი ყოფილა, ლუკამ რომ შეიყვარა. ესე იგი, ლუკას დედოფალი, მბრძანებელი და მთავარსარდალი შეჰყვარებია. ასეთი შეცდომა კი, აბა, როდის მომსვლია? არასოდეს. შეცდომა

სირცხვილი არ არის, მაგრამ განა ლუკამ იმისთვის იცხოვრა, რომ სულ ბოლოს სიყვარულისგან წერილი მიეღო, ასე გაგამასხრეო?

იმ ახალგაზრდა ქალმა არც კი იცოდა, რომ ლუკას უყვარდა. ლუკას არაფრით მიუნიშნებია, რადგან ლუკა ბუნების ძალთა მომხრეა. მაგრამ ჩანს, ის ქალი ისეთი ყოფილა, რომ მიხვედრილა, ლუკას ვუყვარვარო. რაც გინდათ, ისა თქვით, ლუკას კი მაინც დარჩა სარგებელი ამ საქმიდან. მას ერთხანს ძალიან უყვარდა ქალი და ბედნიერიც იყო. ეს დიდებული საჩუქარი გამოდგა. თუმცა, ეტყობა, სიყვარულმა მისამართი აურია და ამანათი სულ სხვა მხარეს გაგზავნა. ვინაიდან ლუკა იცნობდა იმ კაცს, ვისთანაც უნდა მისულიყო ამანათი. და ამ ცნობის მიუხედავად, ლუკას მაინც შეუყვარდა ქალი. არაფერი დაუშავებია. ეგებ, ამით იმ კაცს კიდევ ერთი შეცდომა ააცილა თავიდან. ლუკას არ გაუმხელია და ამიტომ არც არაფერი დაუშავებია. ახლა რომ ამხელს, ეს არაფერს ნიშნავს, ვინაიდან ლუკა წიგნს წერს და წიგნის წერისას სროლის ხმა ისმის. განა არსებობს უკეთესი დრო რაიმეს გასამხელად?

ეს შეცდომა იყო და შეცდომა რომ არა, ცხოვრება რაღა იქნებოდა? უბრალოდ, ლუკას უჭირს ამის თქმა, მაგრამ დღესაც ძალიან უყვარს ის ქალი, რომელიც თავისი შინდისფერი თვალებით ეგებ ამ წუთშიაც ესვრის ტყვიებს აქეთა ქალაქის ქუჩებს. ლუკამ არ დაიჯერა. თავიდან ეგონა, რომ ამ საქმის მეთაური დედამისი იყო, რომელიც დიახაც უნდა ყოფილიყო ამ საქმის მეთაური, რადგან არავის უყვარდა და მაშინ კი უნდა უმეთაურო აჯანყებას, როცა თოფიანი კაცის მეტს არავის უყვარხარ. მაგრამ ასე არ ყოფილა, დედისთვის შვილს უჯობნია.

ლუკას უნდა, რომ ფანჯარასთან მივიდეს და მისგან გამოფრენილ ტყვიებს დაუძახოს: აქეთ, აქეთ, ლუკა აქ არის. მისი ტყვიები ის იქნება, რაც ახლა სჭირდება ლუკას, რათა საუკეთესოდ გაიხსენოს და გამოიყვანოს ასოები. ლუკას აინტერესებს, ნეტავ როგორ დაწერ, ვთქვათ, ამ გულმკერდში სამი ტყვია რომ გეჯდეს. ალბათ ტყვიაჩაჭედებულები სხვანაირად წერენ.

ამ ფიქრებმა და ამ შეცდომამ, ასევე ამ სიყვარულმა, რომელმაც გამოარკვია, რომ ლუკას სისხლი ჰყვარებია და არა ქალი, ის დრო გამახსენა, როცა ჩემი ცოლი მიყვარდა, ოღონდ სულ სხვანაირად.

ნუ გგონიათ, სანტა ესპერანსას ქალებო, რომ თქვენთვის ვწერ ამ წიგნს. მაშინ რომ დავწერე, ის წიგნი თქვენთვის დაწერილი გეგონათ და შეიყვარეთ ლუკა. ლუკას ზრდილობიანად გაუხარდა ოცი წლის წინათ, მაგრამ საპასუხო წერილი არ გამოუგზავნია, ვინაიდან ეს წიგნი თქვენთვის არ დაუწერია.

ზოგჯერ ვფიქრობ, რომ საუკეთესო წამალი დედამიწის ზურგზე ძილის წამალია. ეგებ, ძილისთვის გაჩნდა ადამიანი? ყველაფერი რომ დაივიწყოს - იმისთვის. ოღონდ, ლუკა ვერ გაჩნდა ამისთვის, ამიტომაც ჰგონია ძილის წამალი საუკეთესო რამ. ძილის წამალთა შორის კი საუკეთესოდ გაუზავებელი არაყი მიმაჩნია. ზედიზედ ოთხი და ერთ საათში ისევ ხელახლა. ასე მთელი დღის განმავლობაში. მგონი, ეს ადრეც ვურჩიე იმათ, ვისაც დავიწყება არ შეუძლია. ასე უნდა გააგრძელო, სანამ გაუძლებ. მერე კი აღმოაჩენ, რომ ფასკუნჯისთვის მისაცემი ხორცი აღარ დაგრჩენია და უკვე მზად ხარ საჯოჯოხეთოდ. ლუკას არ ეშინია ჯოჯოხეთის, თავის ადგილსაც იმას დაუთმობს, ვინც სულ ბოლოს უყვარდა. ლუკამ ასე გადაწყვიტა ამ მშვენიერ ღამეს. მას სულ ეგონა, რომ ჩვეულებრივი ღამეებია. ზღვის ნაპირზე გადიოდა უკაცურ ადგილას და

იქ ეძებდა ღამის სიმშვენიერეს. თურმე ღამეები ისედაც მშვენიერი იყო, ოღონდ სროლის ხმა აკლდა. იმ დღესაც ლუკა გავიდა თავის უკაცურ ნაპირზე და ელოდა მზის ჩასვლას, როგორც გადამდგარი მეზღვაურის წესია. კარგი მზის ჩასვლა იყო. უკეთესებიც მინახავს, მაგრამ მაშინ სროლის ხმა არ მოისმოდა. მზე ისედაც თითქოს კვდება, როცა ზღვაში ჩადის და თუ კაციც ასე მოკვდება, უკეთესი რა უნდა ინატროს. მაგრამ ტყვიებიც რომ ზედ მიჰყვა, მე ასე ვიფიქრე, რომ მზე არ აჩქარებულა, იმის მიუხედავად, რომ ტყვიებს ესროდნენ და მაშინ მოკვდა, როცა უნდა მომკვდარიყო.

ამ წიგნს კი ერთი ქალისთვის ვწერ. ის უნდა მიხვდეს. შეიძლება ვერც ვერასდროს წაიკითხოს ეს წიგნი, თუკი ლუკას სახლს ხანძარი გაუჩნდება, მაგრამ უნდა მიხვდეს. უკვე მეორედ ვაკეთებ ამას. ახლა გამოვტყდები, რომ ის პირველი წიგნი ოცი წლის წინათ სწორედ მისთვის დავწერე, რათა მეჩვენებინა, რომ ისეთი არ ვარ, რომ მომატყუო, მე კი ხუთ წელიწადს გელოდო. საპასუხოდ, მან თავად დაიწყო წიგნების წერა. ისეთი წიგნებისა, რომლებშიაც ცდილობს, თავი გაიმართლოს. ყველა წამიკითხავს, იმიტომ რომ, როგორც გამოირკვა, მხოლოდ ის იყო ჩემი ცოლი და მეტი არავინ. ფსევდონიმი მოიგონა, ვითომ ბარონესა ყოფილიყოს. ლუკას ვერ დაემალა. ვინც ფეხით დადის ქალაქში, მან ყველაფერი იცის. ცხრა მთას იქით გადაიხვეწა. ყველა კაცი მის წიგნებში ლუკაა. თანაც ისეთი, რომ ლუკას არ უნდა ეგონოს ასეთი ქალი თავის ცოლად. ლუკას მაინც ჰგონია. ზუსტად იცის, რომ ცხოვრება სწორედ ასეთია. მის ოცდაათ წიგნში კაცმა ცხრაჯერ მოიკლა თავი. ის კაცები ლუკას არ ჰგვანან, მაგრამ ყველა კი ლუკაა. არის ხოლმე ასე წიგნებში.

აი, რა იოლად ითქმის ყველაფერი, როცა ირგვლივ ტყვია იფრქვევა. თავიდან ყველას ეგონა, რომ პეტარდებს აფრქვევდნენ დედოფლის მისასალმებლად.

მთავარია, არ მიეჩვიო ამ ხმას. თუ მიეჩვიე, მერე კვლავ ჩვეულებრივად გამოგივა ყველაფერი. მე კიდევ ამ წიგნს ვწერ, იმიტომ, რომ, ის ძველი დაიხა და სადღაც დაიკარგა. თანაც, ჩემმა ცოლმა იფიქრა, რომ ის წიგნი მის გამოსაწვევად დავწერე. მე მისი მოხმობა მინდოდა. ახლა კი ნამდვილად სწორად მოვიხმობ. მისამართი სწორია. თუ ამჯერადაც ვერ მიხვდა, რომ ჩემი ცოლია, მაშინ მართლა ის კაცები ვგონებივარ, თავის წიგნებში რომ გამოჰყავს.

უაზროა, რომ ვინმემ იფიქროს, ნეტავ, ლუკა მართლა თუ შეხვდება თავის ცოლსო. ლუკა ამისთვის სულაც არ წერს ამ წიგნს. ლუკა იმისთვის წერს, რომ სადაც იქნება, იქ შეხვდეს თავის ცოლს, ანუ მიხვდეს, რომ ცოლი დაიბრუნა.

მე ლუკა მქვია და წიგნს ვწერ.

ერთხელ ქალი შემიყვარდა. სულ ახალგაზრდები მიყვარდებოდა, თანაც ისეთები, ნავსადგურში რომ ვერ წაიყვანდი, მე კიდევ ნავსადგური მიყვარდა. ოდესღაც ერთი ამხანაგი მყავდა, კრეტელი ბერძენი, ნავსადგური, ჩაღეღილი თეთრი პერანგი და წვეტიანი შავი ფეხსაცმელები იმან შემაყვარა. პერანგი ყოველთვის თეთრი ვერ მაცვია, მაგრამ ჩაღეღილი კი მაქვს. არც ფეხსაცმელია ისეთი წვეტიანი და მოტკეცილი, რადგან დავბერდი, ფეხები მისივდება ხოლმე და ამიტომ სანდლები მაცვია, მაგრამ მე ხომ იმ დროზე გიამბობთ, როცა ეს ყველაფერი მქონდა, კრეტელი ძმაკაცი მყავდა და ქალი შემიყვარდა, როგორც ყოველთვის, სულ სხვა მხრიდან, სულ სხვა ცირკიდან.
<...>

სახლში

ღამე იყო და მეტად ჭირდა ამ ბნელ სახლში გზის გაგნება. ეს სულ სხვანაირი სახლი იყო და თანაც - უცნობი და საოცარი, თუკი საოცრებას იპოვნი ბნელში, როცა ფარანი გიჭირავს და შემცბარი, თავზეხელაღებული და გულაჩქროლებული დადიხარ ძველ ჯენოვურ სახლში. დადიხარ და არ იცი, რას რა მოსდევს, ამ დერეფნიდან საით გაუხვევ, ანდა იმ ოთახს რატომ არა აქვს გამჭოლი კარი. ან კიბე სად არის, რათა მაღლა ახვიდე, ან რატომ არის კიბეები ასეთ უცნაურ ადგილებში მიმალული?

ეს ყველაფერი სახლს ჰგავს, სადაც ადამიანები ცხოვრობენ, მაგრამ ეს ყველაფერი, თითქოს, ძველებურ მაღაზიასაც ჰგავს, ანდა ძველ ვაჭართა საუფლოს, სადაც თაროებზე წიგნები კი არ უნდა ეწყოს, არამედ - ფართლი, ანდა ნაირგვარიც სხვა ქსოვილის უზარმაზარი ნახვევები, ანდა პატარა კასრები, სურნელოვანი ზეთი რომ დგას შიგა, ფსკერზე კი ათასგვარი სანელებლები და სიცხარენი დალექილა. ეს სახლი, მგონი, ციხესიმაგრესაც ჰგავს, სადაც ფანჯრები სილაღის იერს კი სდებს მას, მაგრამ ფანჯრებისა და გალერეების გაწვრივ ორნაბიჯა დერეფნებია, იმათ გაყოლებაზე კი სქელი კედლები, უფრო პატარა ფანჯრებით. ძალიან უცნაური და უცხო სახლია, ისეთივე უცნაური, უცხო და უბედური, როგორც მისი პატრონები. ათასგზის გადაკეთებული, მიშენებულ-მოშენებული, არეული და დაბზარული, თუმცა ძალიან მოულოდნელი - რით არ ჰგავს გემსაც? სხვანაირად არც იქნება, რადგან ჯენოველის სახლი გემს უნდა ჰგავდეს, თითქოს სამზარეულო კი არა, გემბანია და ვინ იცის, როგორი იქნებოდა დღისით, ალბათ საოცარი, რადგან თუ სიბნელეშიაც გრძნობ საოცრებას, სინათლეში აღარ მოტყუვდები. საოცრება მატყუარა არ არის, რომ ღამით ერთ რამედ მოგაჩვენოს თავი და დღისით კი სხვად. სურნელი ამ სახლისა ასეთი ნაცნობია და ამ სახლში გაატარებდი მთელ სიცოცხლეს, გაატარებდი, უკან არც მოიხედავდი, უცხო იყო და შინაურული, ეს შენი სახლი იქნებოდა და ამიტომაც იყო, რომ ახლა ასე შეძრწუნებული დააბიჯებდი აქ. მღელვარე, ხან რას წამოედებოდი და ხან რას, ხმა კი, თითქოს, მთელ ამ უზარმაზარ ალაგს მოედებოდა, წაქცეული სკამი თუ გადმოვარდნილი ლარნაკი, აღარც უბრუნდებოდი, ისე მიდიოდი წინ და გადადიოდი ოთახიდან ოთახში, რომ კი არ მიდიოდი, თითქოს ქაღალდებს გლეჯდი, ნაბიჯის ხმა არეული იყო.

მაგრამ შენ ვერ ფიქრობდი ამაზე, რადგან ეძებდი.

ერთხელ, ან იქნებ მეორედაც, თითქოს რაღაც ხმაც შემოგესმა, ჩქამი თუ ჭრიალი, მაგრამ რას გაარკვევ, ამ სახლში ძველი ხის კიბეებია. ძველი კიბეები, რომლებსაც მოჩვენებათა კიბეებს ეძახიან შინაურები. იმიტომ რომ, როცა აათავებ, ჭრიალს მერეღა იწყებენ. დიახ, ასე იტყვიან ამა სახლში, რომ ჩვენი ძველები დაგვყვებიანო; არავის სჯერა ამ ამბის, რადგან ეს ამბავი ინგლისელთა ბატონობის დროიდან შემოსული ჰგონიათ, იმათ უყვართ მოჩვენებები. მაგრამ კიბე კი მართლა ასე ჭრიალებს. აივლი, ამოისუნთქავ და მერეღა დაითვლი თვრამეტ გაჭრიალებას, არც ერთი საფეხური არ გამოტოვებს. ასეთია ამ სახლის ფორტეპიანო, მაგრამ შენ არ ფიქრობ ამაზე, ვინაიდან ხელში ფარანი გიჭირავს და ეძებ. ქამარში ალბათ რევოლვერი გაგიჩრია, ანდა რაიმე უფრო სხვა. შენ ერთადერთს ფიქრობ. არც შიშს, არც თავზე ხელის აღებას და არც

მოსალოდნელ სიკვდილს, აქეთ ქალაქში შენს გადმოსვლას რომ აუცილებლად გამოედევნენ და დაჰყვებიან, როგორც ავი ფრეილინები. ისე გადმოიპარე, როგორც საუცხოო ვიღაც ერთი ძველი დროიდან. ისე მოხვედი ამ სახლში, რომ არც კი დაფიქრებულხარ, რა მოხდებოდა, ვიღაცას რომ თვალი მოეკრა ღამის ლანდისთვის ამ კანტიკუნტი, საზარელი გასროლების დროს, როცა კაცები, სულელი და მთმენი კაცები ნაირგვარ ადგილებში და ეგებ ამ სახლის სახურავზეც ჩასაფრებულან და გათენებამდე ელიან შენნაირ ლანდებს, რათა კონდახის ჭერით შემთბარი ხელით დაგახალონ ის, რაც დასახლელი აქვთ.

შენ ამას არ ფიქრობ და ოთხჯერ დაიძახე.

პირველად ისე დაიძახე, როგორც გჩვევია, უბრალოდ და სასაცილოდ: - სანდრო და კოსტა...

შემოსასვლელში იდექი და ცდილობდი ამ კიბეების და დერეფნების ავანჩავანი გაგერკვია.

მეორედ უკვე მაღლა იყავი, გალერეას მიყვებოდი და სათითაოდ ჰკრავდი ხელს კარებებს.

- სანდრო... სანდრო...

მესამედ სულ მაღლა, სხვენის ოთახებში იყავი, იქ მოწყვეტილივით ჩაჯექი კედელთან და თითქოს ლაპარაკობდი, მაგრამ მაინც იძახდი: - აქედან უნდა წაგიყვანო, სანდრო და კოსტა... სადა ხარ... სანდრო და კოსტა... არ დამემალო... ნუ მემალები, სანდრო და კოსტა... სხვანაირად ვერ შევძელი... ნუ მემალები... ნუ მემალები. წამომყევი, სანდრო და კოსტა...

მერე სხვა ხმა იყო, შემცბარი, ხმადაბალი, მაგრამ გაზომილი.

- უნდა წავიდეთ აქედან, სალომეა დედოფალო... ღამე აღარ არი და არც გათენებულა... უნდა წავიდეთ.

და ალბათ წამოგაყენა და წაგიყვანა, ბოლოს კი ისევ დაიძახე: - მე შენ მიყვარხარ, სანდრო და კოსტა...

დაიძახე, ვითომ ფარდა ჩამოხიე, რაღაც ჩამოხიე.

და იქ იყო სანდრო და კოსტა? მოკანკალე და დადუმებული ეკვროდა კედლებს, ნაცნობ ნიშებში შემალული არცა სუნთქავდა და ბნელში კი არა ჩანდა მისი ფართო და შეშლილი თვალები? იქ იყო თუ არ იყო, ამას რა მნიშვნელობა აქვს? სანდრო და კოსტამ არ მიგიღო მის სახლში პირველად მისული, მან არ მიგიღო, ასე იყო. სად იყო სანდრო და კოსტა?

შენ ეს იცოდი, ის იქ იყო, თავის ბნელ სახლში, როგორც გალიაში გამომწყვდეული, გალიაში გამომწყვდეულებს კი...

მორჩა, დამთავრდა?

ასე დამთავრდა?

სალომეა ვისრამიანი, კაპიტანო დი პოპოლო. ეეეჰ...

შარმადინი ცეცხლიანი ბუძგით ჩიბუხს უკიდებს

სამრეცხაოს მუხასთან

- ეს ქალაქი ჩვენი არ არი. არც არასდროს იყო... - სთქვა აბესალომ მღვდელმა და ზურგჩანთა გადაჰკიდა ცხენსა, - ღმერთმა შამოჰხედოს ყველა ცამდინ მართალსა... ღმერთო, დამილოცნე ეს ბიჭები, ჩემი შვილები...

ამ სიტყვებზე ქამარი შეისწორა, ზედ მორგებული ძველი ხანჯალიც შეანჯღრია და ავტომატიც უკეთ მოირგო მხარზე, - ჰა, დავიძრათ, ღმერთი გვიშველის, მათი ოილპეტროლიცა და ამათი ქალაქიცა.

დაიძრნენ. უკნიდან მალევე წამოეწიათ მანქანა, იქაც ბიჭები ისხდნენ.

- ჰაი, აბესალო, მივდივაართ?

- ჰოდე, დიდ მუხასთან არი შეკრებულება. იქ დაიცადეთ, ბიჭო, ემაგ ვეიქით წუთზე მიხვალთ, ჩვენ კიდენ, ვერა ხედავ, ცხენებითა ვართ.

- კაი ცხენები კი გყავს, პაპავ, - უთხრა მანქანიდან კიკოლიმ.

- ჰიპოდრომისა არის, ბიჭებმა გამაიყვანეს ოთხი დღის წინათ. ამათთვის, აბა, ვიღას ეცალა? გამხდარია, ვენაცვალე ამის გამჩენსა, - კისერზე მიეფერა აბესალომ მღვდელი, - წამოვიყვანთ, მივხედამთ, ბალახი მადლიანი გვაქსა... ჰაა, ბიჭო, რო დასუქდით ქალაქში, აბა, ეხლა გამეჯიბრე თოხნაში, ჰაა... წელიწადში ერთხელ რო მოდიოდით და ზდილობისთვის მოჩიჩქნიდით მიწასა. მიწას ოფლი უყვარს, იცი შენა...

- ეეე, პაპავ, - დასძრა და ეგ იყო კიკოლიმ, - ჯვარს რო დამსწერავ, მერე თუ გინდა, თელი თვე ვიმუშავებ შენ ბოსტანში...

- შენ ჯვარი დაგწერო და მერე ჩემკენ მაიხედავ? - გაიცინა აბესალომ მღვდელმა, - სხვა ბოსტანი გექნება გასამარგლი... ჰაა, ბიჭებო... სხვა ბოსტანი.

- კიკოლის რათ უნდა ბოსტანიო, გადააბრუნე და მოსტყანიო, - დასძახა ვიღაცამ ცხენოსნებიდან.

- ჰა ეზ, ეგეები, - მანქანის კარი გამოაღო კიკოლიმ.

- მიდი, მიდი, დაიძარ, - კარი მიუხურა აბესალომ მღვდელმა, - დაგლოცოს ღმერთმა.

მანქანა ბღუილით გავიდა ოღროჩოღროზე.

- ამ გზას ვინღა გააკეთებს? - იკითხა ვიღაცამ.

- ცხოვრება, - სთქვა აბესალომ მღვდელმა და უზანგში გაჰყო ფეხი, - უჩქარე, ბიჭო, უჩქარე... - და ცხენსაც უჩურჩულა, - კოხტად მატარე, ქაჩალავ...

მათ გააჭენეს. მთლად ჭენება არ იყო, მაგრამ თოხარიკით კი მიჰყვნენ, მიატოვეს ქალაქის კიდე. სადაც იქამდიც შეიკრიბნენ, ისევ იქ იყრიდნენ თავს. ყველანი უნდა მისულიყვნენ, სულ ყველანი.

ესენი ორმოცდაათნი მაინც იქნებოდნენ და მათ ასისთავად სწორედ აბესალომ მღვდელი იყო, ძველი კაცი, თავის ძველსავ ჯვალოში ჩაცმული, მამის ნაქონ ჯვალოში, იმიტომ, რომ მამამისიც მღვდელი ყოფილიყო. აქედან ესენი მიდიოდნენ და ყველა რაზმეულის მისვლისაც იცოდნენ. აბესალომ მღვდელმა მუხა რომ თქვა, იმ მუხას იქ მარტო სუნგალი თუ დაინახავდა მუხად, სხვისთვის კი აქ ავტოსამრეცხაო იყო. იყო ოდესღაც, ახლა რაღა იქნებოდა გასარეცხი.

ყველა სუნგალი მებრძოლი იქ იყო დაძახებული სუნგალის საერთო კრებაზე, მტერიცა და მოყვარეც იქ მოვიდესო, ვინც არ მოვიდოდა და მოსვლის პირი არ ჰქონოდა, სუნგალის პასუხი ამაზე ერთია.

აბესალომ მღვდელმა იცოდა, რომა აუცილებლად მასზედ უმეტეს ლაშქრად მოვიდოდა გუნდი ხეტიას ოტელიდან. ეგ იყო ადგილი, არცთუ მოშორებული ამ სამრეცხაოზე და ხეტიას ოტელში სადგომი ჰქონდა პაპელაანთ ეროდას და იმის ბიჭებს. მთელი ზემო უბანი და ეროდას მძახლის მხარე იქ იყვნენ და მეტი გამოვიდოდა, მა. კიდენ დიდი ოტელის სადგომიდან იყვნენ ბიჭები, ვარაზას ასისათავობით. ისინი, პირაქეთა ქალაქზე რო პირველები შემოვიდნენ და იქითა ბიჭებს შეურიგდენ. თითონ ხეტიასაც ხო რამდენი ხალხი ყავდა, ოთხი ასისთავი დაიყენა და მეტიც კიდე. თითო-ოროლა რო ყოველდღე ბიჭები ემატებოდენ, იმას რა დათვლის. აჰენდე, რამხელა ვყოფილვართაო, ასე დაიძახებდენ ხოლმე. სუნგალმა ასე იცის, სუნგალს თუ დაინახავს, დასძახებს, რამხელა ვყოფილვართაო. თითონ ხეტიაც მოვიდოდა, ოღონდაც, თურმე, ეს ბოლო ორი დღე იქითა მხრის ბიჭების მოგროვებაში იყო, რაც მოხდა, ვერ ავიცდენდით, ახლა მოდი, სუნგალი ერთათ დადგესო, ვისაც მოსვლის პირი აქ, მოვიდესო. ამ ბიჭებს დაეძებდა ქალაქად, რო იმათ არ ეფიქრათ, აჰა და მიგვსცეს მგლის ლუკმადაო. ასეთი დააბარა ხეტიამ აბესალომ მღვდელთან და კიდევ დააბარა, დიდის საქმის მოწყობა მინდა, ყველანი შევიკრიბნეთო. ქალაქში სულაც გაოცებით უცქერდნენ, როგორ არი, რო სუნგალმა ჯარი დასძრა და სადღაცას მიდისო. ყველა სუნგალმა უჩუმრად იცოდა, რომ მიდიან, მორჩა და გათავდა, ამას აღარ გაუჩერდებიან და ამიტომაც, უნდა შეიკრიბნონ მუხის ძირას და გადასწყვიტონ.

აბესალომ მღვდელმა კიდე ორი იმდენიც იცოდა, ოღონდაც კი ჯერ ბიჭებისთვის გამხელის დრო არ მოსულიყო. გუშინ არ იყო, რო ილაპარაკეს? ამამცნობი ამაიცნობდა.

განა აბესალომ მღვდელისთვის იოლი იყო? იმის დიშვილები, გასია და ფილფია, რამდენი წელიწადი ვისრამიანის სამსახურში იდგენ, უცბათ ხო არ მოუტრიალებდენ თოფებსა. გამოვიდა, რომ ერთმანეთს დასცეს და აღარ უნდა მოთავებულიყო? ვინ მაიგო, ვინ წააგო, შუა კიდენ სუნგალები იყვენ და ერთმანეთსაც ესროდენ. ოღომც არა დამიზნებით. სუნგალი სუნგალს დამიზნებით არ ესვრის. ბიძაშვილია და მიტომ, ქეიფშიაც, თუ ესროლეს, შემთხვევობით, ისე დამიზნებით არა. ომში კიდენ, რაღას დაუთვლი და აღარ უნდა მოვშალოთ? ეს მოსწონდა აბესალომ მღვდელსა, ოღონდაც

კი ხვდებოდა, რო ეს ყველაფერი ძალათ იყო და იქ არ ედგომებოდათ თოფიან სუნგალებს. დრო იყო დათქმული, აქ აღარ დაგინახოთო. აღმართსა ხნავდა, ისეთი სიტყვა იყო.

როცა დაინახა იმ მუხის ხის სამრეცხაოს უკნიდან გამობარდღნილი ტოტი, აბესალომ მღვდელს გული შეუთამაშდა, როგორც რო ვითომც და რაღაცა კარგი ყოფილიყო, რათგან წარმოიდგინა, იქ იმდენი ჩვენი ბიჭები იქნება შეკრებულიო, ქუსლი ჰკრა ცხენსა და დასძახა: იაუუუუუუ... ჯანის მზემა, მივიდააა... მივიდა და გადაჰყარა...

და გააჭენა იმის ესკადრონმა და შეიჭრა სამრეცხაოს უკან და დაინახა იქ ბევრი ბორბალები, ზოგიც ტვირთისა და ცხენები და ვირებიც, ორი თეთრყურება ჯორიც კი ჰყავდათ.

- აბესალოს სიცოცხლე... აბესალოს გამარჯვება... - დაჰკივლეს აქეთ-იქიდანა და დააბათქუნეს თოფები, - უჰ... აბესალო, მოხვეეეელ?

- არ მოველ, მოვფრინდიი, - ლამის გაქანებულ ცხენიდან გადმოხტა აბესალო მღვდელი და ჩაეხვია პირველ შეგებებულ სუნგალსა.

- ვახახაუ, ცოცხალი ხაარ?

- ცოცხალი ვაარ, მა რა მამკლავდა, აგე, ხელით ვიჭერდი ტყვიებსა, - მუჭი გაშალა იმ ხნიერმა სუნგალმა და ტყვიები დაანახა აბესალომ მღვდელს, - შენ ნასროლს როგორღა მავირტყამდი. მერე რა მეთქო ქრისტე ღმერთისთვის, ბატკანი არა ჰყამდა და მე გამომგზავნა-თქოო?

- ჰავ-ჰაჰავ, - ხარობდა აბესალომ მღვდელი და ყოველ მიახლებულს ეხვეოდა. ისინიც არ დაიხევდნენ, კარქა ამხანაგურად ანჯღრევდნენ თავიანთ მოძღვარსა.

- პაპავ, შენ იმათი იყავი თუ ჩვენი? - ჰკითხა ერთმა ყმაწვილმა სუნგალმა, თავმომწონედ რომ გაეკრა შუბლი კარგა ძვირფასი ჭრელი დოლბანდით.

აბესალომ მღვდელმა ერთი ახედ-ახედა და დაუგდო: - ვისი ხარ შენა?

- ტოტიაანთი, გადაღმელი.

- მიტომაც, პაპაშენი ვირი იყო და შენც ვირი გამოხველ, - ხელი მოხვია აბესალომ მღვდელმა და ყურში ტკბილად უჩურჩულა, - არ იცი, რო სუნგალი იქით-აქეთ არ არი? სუნგალი თავის მხარეზეა... - მერე კიდევ აკოცა ბიჭს თავზე.

სუნგალებს ღვინოებიც მოეტანათ, ვის რა ეშოვნა, ვის სად წეეხსნა. აბესალომ მღვდელი უარობდა, მინამ ყველა ასისთავი არ მოიყრის თავს, ღვინოს არ ვაკუთხებო და მალიმალ კითხულობდა: - ხეტია არა ჩანს ბიჭო, გადამცემზეც არა პასუხობს?

- ერთათ მოვლენ, - უთხრა ერთმა ათისთავმა, - ეგა და მარტია ერთათ მოვლენ. მარტიასთან სალაპარაკო იყო.

- მარტიასთან? - ჩაფიქრდა აბესალომ მღვდელი, - მარტიას უთქვიაო, სადაც ვიყავი იქა ვარო...

- ჰო. ეგრე იყო, ოღომც, მერე ლაპარაკი მომხდარა... შენ არ გინდა, მარტია რო მოვიდეს? მეც მინდა. ყველას გვინდა...

- აგრეა... - სთქვა მღვდელმა.

- ჰოდა, ისინი თუ სალაპარაკოთ წავიდენ, ბიჭები ერთხანსაც დაიგვიანებენ, მიდი და დასწერე პირჯვარი ემაგ ღვინოს, თითო დავილოცნოთ, თითო ერთიმეორეს უთხრათ, რო შავიყარეთ და აღარ გავიყარეთ... ჰა? - უთხრა ასისთავმა და ბიჭებმაც ჟრიამული ასტეხეს, ჰოუ, ჰოუ... დაუძახეს...

- აბა, დახსენ ბოთლა-ჩაფი, მოდგი ჭიქა ფიალა, დაუძახე ქვევრსა... და თითო ყლაპი, მეტი არც არავისა, თორე ხეტია დაგვძრახამს, - სთქვა აბესალომ მღვდელმა, უბეში შემალული ჯვარი გამოაცურა, დაჰკოცნა, მკერდზე ისწორა და მოჰყვა ბუტბუტსა და მარჯვენას ხელით ჰაერში ჯვრების სახვას.

- იცის, იცის და ჰა... - დასძახა ერთმა რომელიმე ბებერმა.

- დააცათ...

- უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, წმიდისა ქალწულისა მარიამისაააა... უკუნითი უკუნისამდეეეე. ამინ... სთქვი ამინო...

- ამინ, ამინ...

ვიღაცამ კიდე გაისროლა.

- ჰა-მეთქი, ბიჭო... - გაწყრა მღვდელი, - ვის ესვრი ტყვიასა?

- ისე.

- ისე მამიშენს ესროლე სხვა ხმისა...

ატყდა სიცილ-ხარხარი და ბიჭები მისწვდნენ ყუთებში ჩალაგებულ წინდაწინვე თავმოხდილ ბოთლებს, პლასტმასის მუცლიან დოქებსა და სხვა რამ მომცრო ავზებს, რომლებიც კვლავაც აბესალომ მღვდლის წინაშე ელაგა.

- აბა, გვითხარი კიდეცა, - მოუწოდეს მღვდელს.

- გეტყვით, - ბოთლას წამოავლო ხელი მღვდელმა, - არ გეტყვით? ოღონდაც ყლაპი, მეტი არა... ამეღამის მერე იყოს. ჯერა, ბიჭო, სამხრობაც არ არი... ჰოო... დაილოცენით, შავყრილვართ, არ გავეყარნეთ, მაღლა ღმერთსა და დაბლა კიდე მეფესა. სხვისი არაფერი გინდოდეს, არცა კენჭი, არცა სიცოცხლე... ჰოო. ეხლა რაც იყო, იყო და რახან შევიყარენით, ძვირი აღარა ვთქვათ. ძველი არ გაიხსენო, ახალი კიდე დაივიწყე, ეგრე იყოს. გვისვრია, არ დაგვიმიზნია, ეხლა კიდე, ვინცა ბიძაშვილმა ბიძაშვილს უმიზნა, იმან ხმა გატრუნოს...

ასტყდა სიცილი.

- ჰოო... ეხლა აიღეთა, გაუშალეთ ერთმანეთს ხელები და ძმურად გედეეხვიეთ... შარი მოგვსვლია ერთიმეორეში ისევ ჩვენი ნამუსით, იმიტო რო პატრონებისთვის მიცემული სიტყვა ვერ გაგვიტეხნია. ახლა პატრონი აღარა გვყავს, გასწი, გააშორე...

ერთმანეთი მოგვნატრებია, ერთმანეთი გვყვარებია, მეფის შვილები ვართ... გაუშალე ხელები და დეეჯახე ერთმანეთსა...!.. აბა, ჰა, გულის ფიცარი რო მიასკდეს გულის ფიცარსა... ჰა... მოყლაპეთ ჯერა, მოყლაპეთ, ბიჭო... რა უქნა ემ ქალაქმა ამათა, ხახა დაუპატარავაა? მოყლაპეთ, დევებო...

იქ ატყდა ისევ ხმაურობა, სიცილ-ხარხარი და ერთიმეორეზე მკერდით მიჯახება. ამ ხორხოცობასა და ზეიმში კიდევ ვიღაცამ ერთიმეორე გაისროლა და დასძახა: - იაუ... ხეტია მოსულა...

- ხეტია... ხეტია...

ძველი სატვირთო „ფორდი“ სამრეცხაოს მარცხნიდან ნელა შემოგორდა, უკან მანქანების კარგა გრძელი მწკრივი მოსდევდა. კარი ჩქარად გაიღო და იქიდან ნელა გადმოხოხდა ხეტია, კეფაზე მოგდებული შავი ქუდით და იმ თავისი მოთახთახე მუცლითა.

- ეჰე-ჰეიი... - თოფი შემართა ხეტიამ, - ეჰე-ჰეი, ბიჭებოოო... მუხა აქ არი, ღვინო აქ არი, ყველანიც აქა ვართ.

- ჰა, ათასისთავო, როგო ხარ? - წინ მიუვიდა აბესალომ მღვდელი.

- აბესალო, - ღიპი წაჰკრა ხეტიამ, - აბე... სალოო!..

აბესალომ მღვდელი არ შეეპუა, თითონ უღიპო მაინც მიეჯახა იმის დიდ ფაშვსა, მერე კიდევ ხანჯალი წამოსწია ქარქაშიდან და დაექადნა: - დაგჭრა ყურები, როგორც ბიჭობაშია?

და ისინიც ერთიმეორეს გადაეხვიენ.

- პაპავ, პაპავ... - უჩურჩულებდა ხეტია მღვდელს იმ ჩახუტებაში, - პაპავ... შე ოხერო, რა ცოცხალი ხარ? რა ოქრო ხარ...

და იმავე ბღლარძუნში აბესალომ ბერმა დასჩურჩულა: - მარტია არ მოსულა, ბიჭო...

- არა, - სთქვა ხეტიამ.

- მოსვლის პირი არა მააქო?

- აგე, მაგის ბიჭები, ყველა აქ არი...

- და თითონა?

- სალაპარაკო იყო... - სთქვა ხეტიამ და მერე დასძახა, - სალაპარაკოა, ბიჭებო, დევისებო, სალაპარაკო...

სასუნგალოის სამეფოი მიწისა

სუნგალებში ასე იყო, რომ თუ ოჯახის მომსახურენი იყვნენ, თუ სხვის კარზე იდგნენ და საოჯახო საქმეში ჩაეხედებოდათ, ერთმანეთს იმ ოჯახებისას არ უამბობდნენ, ამას უწოდებდნენ, ქაქი ხო არ გაგიქექიაო. ქაქი ხო არ გაგიქექიაო, ბარე შვიდ რაღაცას

ნიშნავდა, ოღონდ კი რახან სუნგალი მსახურობდა სადმე, ის ერთიმეორეში ყველაფერს მოჰყვებოდა, ოღონდ კი არა იმ ოჯახის საქმეს, რის გამოც ასევე იტყოდა სუნგალური ანდაზა, სადაცა სჭამ, იქ არ უნდა ჰქნაო. თუ ჰქნავ, რაც არ უნდა ფოთოლი წააფარო, მაინც სუნი ავაო. ეს მძიმედ მოსასმენი ანდაზა დიახაც ძველ წესს და ადათს აცოცხლებდა, ხოლო სუნგალები იყვნენ ყველგან, სადაც კი რამ იყო. ათი განთქმული ოჯახიდან შვიდს მოურავად სუნგალი ჰყავდა და იმათ რო პირი მოეღოთ, აბა, რაღა გამოვიდოდა. სუნგალები ოჯახის ყოველდღიურობაში დიდად ჩაცქერილნი და მონაწილენი იყვნენ და მოცლაც არა ჰქონდათ. როგორც კი გამოითხოვდნენ შვებულების ორ დღეს, სოფლად გაქანდებოდნენ, თავიანთ კუნძულზე, რათა ოჯახობას წაშველებოდნენ.

გამოღმის ყოველ შემძლე ოჯახში მძღოლად, დამცველად, გასაგზავნ კაცად, მომგვარებლად, პროვიანტის მომტანად სუნგალი იყო. სხვაგან თუ კონსიერჟად ქალი იყო, აქ - სუნგალი. სახლის მეთვალყურედ, ბანკის მოდარაჯედ, ყოველი რესტორნის, კლუბისა თუ ბარის მეპანღურედ, ასევე, სუნგალი დაგიხვდებოდა. იარაღობა ამ ქვეყანაში არ იყო, ბრიტული კანონი გადმოსდებოდა, ოღონდ სუნგალს სასამსახურო საკითხში ხელთოფა ეძლეოდა და ტარების უფლებაც. კუნძულზე, ყოველს სახლში ისედაც ნახავდი ძველს საჭურველს, კარგად მოვლილსა და ნაპატრონებს, თუმცაღა სადღეისო ომებში სრულიად გამოუყენებელს. თუ კარგად მოსძებნიდი, იმავე სახლში ნახავდი არა მხოლოდ ხმალ-ხანჯალსა და კაჟიან თოფებს, არამედ ძველ ინგლისურ შაშხანებსაც, სათუთად გაზეთილსა და ნაპრიალებს, ძველისძველ, ზეთმიმშრალ კოლოფებში ჩალაგებულ იმ შაშხანათა ძველს და მაინც უჟანგავ ტყვიებს, ეგებ ოდინდელი დროის ცოტათი სასაცილო ყუმბარებსაც და აქა-იქ კიდევ, მაქსიმეს ტყვიის მფრქვევლებს, ხოლო მხრის იარაღის გარდა, ხელის სასროლებსაც. ამას ყოველივეს სუნგალები თოფს უწოდებდნენ, ხოლო რევოლვერს - ხელთოფას. ეს იარაღები დარჩენილიყო ოჯახებში საუკუნოთა განმავლობაში და ჩაითვლებოდა წმინდა ნივთებადაც კი, წინაპართა უკვდავების ნიშნად. თოფ-იარაღი და ტყვია-წამალი კი დარჩენილიყო ძველი ამბებიდან, როცა მავანმა ანგლეზმა, თომა ბედლამელმა, სუნგალებს აჯანყებისკენ უხმო. ესე ყოველი სუნგალს ჰქონდა და ყველამაც იცოდა, მაგრამ კუნძულიდან ამ თოფ-იარაღით სუნგალები არასდროს გამოსულან. თუმცაღა, მთავარი სათამაშო სუნგალისა ბავშვობიდანვე იყო, ჯერ პატარამ შვილდ-ისარი და ხის ხანჯალი, ბაბუისგან გამოთლილი, მერე კიდევ ნამდვილი ხანჯალი. ყოველ სუნგალს ასედაც ჰქონდა სანადირო თოფი და ნიშანში სროლა, რაგინდარა სასროლისა, ტყვიისა, დანისა თუ ძველი ისრისა იყო ყოველდღიური გასართობი.

საერთოდაც, რო დაგევლოთ სუნგალის სოფლებში და იქაური ეზო-ყურე დამხედავ თვალით შეგეთვალიერებინათ, იქ გამოარკვევდით, რომ ხასიათი სუნგალისა არის უფრო თავდამცავი, ვიდრე შემტევი.

აიღე სუნგალის სახლი: იმას წინიდან, საიდანაც ეზოს ჭიშკარი ჰქონდა, კარს ვერ დაუნახავდი. სახლი, ერთსართულიანი, დაბალი ჭერისა, თითქოს იდგა ჭიშკრისკენ ზურგით. მისთვის უნდა შემოგევლო, რომ სახლის კარი გენახა, ხოლო ჭიშკრისკენ სახლს ჰქონდა სამი ცალი ვიწრო, უფრო სახურავის ქვეშ გამოჭრილი გრძელი სარკმელი, რაიც სხვას არაფერს გაგახსენებდა, თუ არა სათოფურს. უკანა მხარეს კიდევ ფანჯარა მეტი იყო და განშიც უფრო დასანახი. საკუთრივ სახურავი სუნგალის სახლს არა ჰქონდა, სახურავი იყო სწორი, ზედ კარგად მოტკეპნილი მიწით, რასაც

ბანას უწოდებდნენ. იმ სახურავზე ხშირად წამოჯდებოდნენ ხოლმე საღამოს პირზე და იყვნენ იქ. ღობე კი სუნგალის სახლს მაღალი არა ჰქონდა, ოღონდ ღობეც არ იყო, ყორე იყო, რამდენიმეფა დალაგებული ქვა, ისე, რომ იმის უკანაც კარგა ჩასაფრდებოდი.

ასე რომ, სუნგალის ცხოვრება სულ სხვა იყო სოფლად და სხვაც ქალაქად. ქალაქს ესენი უწოდებდნენ სასამსახურო ადგილს, ოღონდაც, წინასწარვე თქმულის გამო, სუნგალი იმ ოჯახის ამბავს გარეთ არ გაიტანდაო, ესაც უნდა დავსძინოთ, რომ სუნგალი უცხოს საერთოდაც არ მოუყვებოდა რაგინდარა ამბავს, ოღონდაც ბობოლა სუნგალები, ვისაც ქალაქში კარგა ემსახურა და რაღაცა ქონებაც მოეხვეჭა, ერთიმეორეში მაინც მოლაპარაკენი იყვნენ და ამ მთისას არ დაუმალავდნენ. არც იმ მთისას. ეს იმას შემატებდა სუნგალებს, რომ უკეთ შესძლებოდათ თავის სასარგებლოდ მოქცევა. მოწოდებული ასე იყო, რომ სუნგალი სუნგალისთვის ბიძაშვილია, ვინაიდან ყოველი სუნგალი, რაღაცა ხრიკით, თუ საუკუნოთაგან გადაბლანდული ძაფით, ერთმანეთის ნათესავი გამოდიოდა. ასე რომ, სუნგალებმა უთვალავი იცოდნენ და კიდევაც უკვირდებოდნენ, მაგრამ სდუმდნენ ისე, ვითარცა უნდა სდუმდეს მომსახურე კაცი და ამის საფასურად უკეთესობას გამოელოდეს.

სხვა რამ იდუმალი სუნგალში არ იდო, გარდა ერთი ამბის, რომელიც, აბა, ვის გაახსენდებოდა მთავარ კუნძულზე.

ერთ დროს სუნგალებს წესად ჰქონდათ გადასახადის აკრეფა, რომელსაც სამეფო ერქვა. იყო ძველი ამბავი, რომ სუნგალები ქართველთა მეფემ მონღოლთ აღწერას დაუმალა და ამიტომაც ისინი მეფის საკუთარ ყმებად მიიჩნევდნენ თავსა. სუნგალებს გვიანღა შეეტყოთ, რომ საქართველოს მეფე აღარა ჰყავს, მაგრამ მაინც ერთგულად იხდიდნენ გადასახადს. იხდიდნენ არა და აგროვებდნენ. ვითარება ისეთი იყო, რომ სუნგალის მამასახლისი ჩამოივლიდა სოფელს და მოჰკრებდა მოსაკრებელს. ასე გრძელდებოდა შვიდას წელიწადს. ყოველს კომლს უნდა მიეცა რაიმე ისეთი, რაიც არა ფუჭდებოდა, არ ჩაჟანგდებოდა და არც რამე დაემართებოდა, რადგან არავინ იცოდა, როდის მოითხოვდა მეფე თავის გადასახადს. საამდროოდ ტრადიცია ასეთი იყო, რომ ნივთი უნდა ყოფილიყო ოქროსი ან ვერცხლისა. წელიწადში ერთხელ, რაგინდარა ნივთს, უფრო კი სიიოლის გამო სამკაულს, რომლის ყიდვის თადარიგსაც ადრე დაიჭერდა ოჯახი, მამასახლისი სამეფოდ წოდებულ ყუთში ჩაუძახებდა და მერე წაიღებდა დათქმულ ადგილას, სადაც ყუთიდან ერთ დიდ გოდორში გადასცლიდა. ამ გოდორში გროვდებოდა წლის გადასახადი, რომელსაც სუნგალები ცალკე ინახავდნენ. მეგოდრეებად არჩეული იყო ოთხი მღვდელი, რომლებიც აჰკიდებდნენ გოდორს ჯორს და ეჰეი, გაუყვებოდნენ ტყისკენ. აბა, სად ინახებოდა სამეფო გადასახადი, ვინ იცოდა. არც ვინა. იცოდა ამ ოთხმა მღვდელმა, რომელთაგან თითოეული სიკვდილამდე იყო დანიშნული მეგოდრედ. ისინი წაიღებდნენ სუნგალისათვის ამოუცნობ ადგილას, რომელიც თავადაც წინა მეგოდრეთაგან ესწავლათ და რა გასაკვირია, რომ მეგოდრე მღვდელი გამორჩეული პატივისა იყო და იმის სიტყვას ფასიც ექნებოდა.

სად იდო სუნგალთა საგანძური, სხვამ არავინ იცოდა.

თავად სუნგალში ამ დრო-ჟამის სვლისას ერთი არ გამოერია ისეთი, რომ გული იმ საგანძურის პოვნის აზრს გამოეღრღნა. ერთი.

სხვათ კი დიდად არც იცოდნენ ეს ამბავი, გაეგონათ კი და ძველი ლეგენდა იყო. სუნგალი თავის ქვეყნის თაობაზე გულს არავის გადაუშლიდა.

სუნგალებს ერთმანეთში ლაღი და იოლა ლაპარაკი გამოსდიოდათ, ბიჭს რომ ღინღლი დაედებოდა, იმას უკვე კაცად თვლიდნენ და ჭარმაგნი და ბერიკაცნიც ტოლ-სწორად მოისვამდნენ გვერდით. იმათ არ იცოდნენ თქვენობით ლაპარაკი, უყვარდათ პირდაპირ და იყვნენ მოქნილნი, თუმცა იერით მოუხეშავნი.

ასე მსახურობდნენ, თუმცაღა არ უყვარდათ არც პოლიციელად ყოფნა და არც რაიმე სახელმწიფო ადგილის ჭერა. თავად სახელი სუნგალიც არ უყვარდათ, რომ შეთვრებოდნენ, ერთმანეთს ასე დაუძახებდნენ, მეფისავ, ერთი გამაიხედეო.

ხეტიას ლაპარაკები

იმის ოტელი გაზაფხულზე

- აი, ჩვენ რო ზღვის კაცები ვიყოთ, გაზაფხული კი არ გვეყვარებოდა, ზაფხული გვეყვარებოდა, - კონსტანტინე ვისრამიანმა მხარზე მოუთათუნა ხელი ხეტიას და მანქანაში ჩაჯდა, - კაი ბიჭი ხარ, კაი სუნგალი ხარ. ერთათ ვიქნებით, კარგათ ვიქნებით და თავის მოურავს გადახედა, - მარტია, ეს ყოველთვის გამომდგომია... ეგ არ იფიქრო. ჩემი სიძის რაც არი, ეგ არი. მე რო არ მდომებოდა, რას გააწყობდი? საქმისა კი ესეა... იფიქრეთ მაგაზე და ეს კაი ბიჭებიც ჩამიფიქრეთ.

მოხუცმა ვისრამიანმა კარი მიიკეტა, მარტიამ კი უთხრა ხეტიას: - წავედით, ხეტი... შენ იცი. მერე სალაპარაკოა...

- ხო... არ იშფოთო, - სთქვა ხეტიამ და დაძრულ მანქანას ხელი აუწია.

მერე ხეტია შემობრუნდა თავისი ოტელის ეზოში, სადაც მიწაზე ხალიჩა იყო გაფენილი და ათი-თორმეტი ყმაწვილი სუნგალი გატრუნული კი იდგა.

- დაეყარენით, ბიჭო, რას დაყუდებულხართ? კაცი არ გინახავთ. მიწა კი ჯერ შემბალი, მარამ გაზაფხულის არი და არ გაგაციებს... დაეყარეთ ემაგ ხალიჩაზე, ეხლა გასწავლოთ ლექსები...

- ძიავ, ეგ იყო კოტია ვისრამიანი? - ჰკითხა ერთმა, ლოყაწითელმა სუნგალმა.

- უყურეთ ემასა, - მსუქანი ხელი აიქნია ხეტიამ, - ემას უყურეთ... ბიჭო, ეგეთი რა ხარ. საით იცქირები? კაცი მოვიდა, ამოტოლა კაცი, სათითაოთ ყველას გემუსაიფა, სამსახური მოგცა, ისე რო, ხელის განძრევა არც დაგჭირდეს ხოლმე. კვირაში ას ფუნტამდის ტყუილა გჩუქნის, ერთი რო ენა არ ატარტალო, ქაქი არ გაჰქექოო და ეგ იყო კოტია ვისრამიანიო?

სხვა ბიჭებმა გაიცინეს.

- ცქვიტობს, ძიავ, ხელს უჩქარებს...

- ბევრი არა ჰქნა, ბიჭო, გამოლაყდები, - დაარიგა ხეტიამ, - მიხვდით რამესა, თუ ემასავით ხართ?

- მივხვდით, მივხვდით.

- ამოტოლა ვისრამიანი მოვიდა ჩემსა სახლში, რო თქვენ შეეთვალიერებიეთ... ეს გამიგონე, რო დუქნის კარში გდებას ოჯახში სამსახური სჯობიან. მაგის მეტი რა მინახია? ხეირზე ადგილი არ არი, იმის კარში არ ვმდგარიყავ, მათიანებმა რო წამიყვანეს თავისთან, მაშინ გავიგე პირველათ, ოჯახობა რა ყოფილა... ეხლა მე გამოვლილი მაქ და თქვენ გასწავლით, გაიგე? ეხლა რას ამბობს ვისრამიანი? ის ამბობს, რომ მერე და მერე, მეტი კაცი დასჭირდება. ჯერჯერობით, არა სჭირდება და იბევებს. დაგიბევათ, ჰა? ამაში გიხდის თვეში ოთხას ფუნტამდის და თქვენ თქვენი სამსახური გააგრძელეო, ოღონდაც რო დაგიძახებს, უნდა მიაგდო სამსახური და მიხვიდე ოჯახში. იმის ჯამაგირი კიდევ რაც იქნება, ეს თითონ იფიქრე. ეხლა კიდე კარგათ მომისმინე...

- რო მიბევებს, რა, მაგიდა ვარ „ლიგურიის“ რისტორანტეში? - ისევაც იმ ლოყაწითელამ დააჯახა.

- მეცემინები შენა, ტროყიავ, თორე ბიჭი ვიყო, მოვიდოდი შენ ასაცრელათა... - გაწყრა ხეტია, - ეხლა მივალ, წამოგყრით მაგ ხალიჩიდანა, გავწვები ზედა და ვიკოტრიალებ. ძიათქვენს თავისი გადატარებული აქ, აგე, ოტელიც უდგას...

- არა ძიავ, გვითხარი, გვითხარი... - მოსთხოვეს სხვებმა.

- რა და აიღე გაზეტა და წაიკითხე. გაის ამ დროს ანგლეზი აქ აღარ იქნება. ეს კაცები ქვეყნისას ფიქრობენ, ამბავია, რამეა, ჯარია, ეს არი, ის არი... რა იცი, რა მოხდეს, რო საჭიროება შეიქნას, ძალა დაანახონ. სუნგალისა ყველამ იცის, სუნგალზე უკეთ ვინ იქნება? ხოდა, ესაც არჩევს, ამზადებს, ელოდება, განა მარტო თქვენა, სხვებსაც ნახამს, ახედ-დახედამს...

- თოფი რამე უნდა მოგვსცენ?

- აბა, უყურე... - ეწყინა ხეტიას, - ბიჭო, რა იქნება, ვინ რა იცის, ოღონდაც, ეს კაცი გთხოვთ, რამე რო იყოს, თქვენ ჩემი ხართაო...ვეღარ გაიგე? ოღონდაც ეხლა ყორეზე სალაპარაკოთ კი არ არი. ასეა, რო შენ სუნგალი ხარ, ყველა თქვენზე მოიმედეა. ენას კბილი და მუცელს კიდე გრილი, გინდაა? გინდათ... არა და ემას არ გეეცდება. ჩემი ფიქრი ისეთია, რო ჰა, მოდი, ეგრე იყოს, თან კიდე, ავხედოთ და დავხედოთ, ქაღალდით დაჭერილი არა ხარ და არაფერი... გაიგე ეხლა, თუ აგცრა?

იმ ძველ ადგილას

- აგე, როგორ მოტრიალდა, ნიკავ, აგე, როგორ მოგვიტრიალდა, - ამოიხვნეშა ხეტიამ და ნაპირისკენ მიანიშნა, - აგე, ეგ არი სუნგალის კუნძული... შენი ასარჩევია. თუ გინდა, ეხლავ დაუძახებ გემსა და გადავიდეთ იქით. იქ იოლას დაგაბინავებ, ჩემ სახში იქნები, ჩემი ძმიშვილის სახში და იქ, აბა, ვინ მოგდევს? სხვა დროსთვისაც იცოდე ეგა, რო ამ ნაპირიდან იმ ნაპირამდე ნახევარი საათი უნდა, აქ მოხვალ, იტყვი, ხეტიას ძმობილი ვარაო და რომელიც გინდა მენავე, გადაგიყვანს. რამე რო იყოს, რავი... თუ მოხდა ეგრე... ეხლა კიდე რა ვქნა, რო ეგრე მოგვიტრიალდა? ვისრამიანისას შენ ბევრი

არ იფიქრო. ეგ ხელთოფაც იმიტო მოგე, რო სხვა რამე იყოს. მარტია ჩემი ამხანაგია და იქიდან არა ყოფილა, რო ბებერ ვისრამიანს შენზე რამე ეთქვას... სხვისა კიდე რა გითხრა, უნახიათ ქართველები, აესეთი ბიჭებიც უნახიათ, შენ უხსენებიხარ, შენი ცოლისძმის ქალიც წაუყვანიათ... ყოფილა... რო როგორც არი, გიპოვნონ. უკვე იმდენი ხმა არი, რო ვეღარც აუხვალ, საიდან რა გამოფრინდება, ამიტო სწორეა ეგ დამალვა, მარამ, კუნძულზე თუ მოხველ, კუნძული კუნძულია, სოფელი სოფელია და ეზოს არ უნდა გასცდე. ეხლავ მივაჭიროთ და გადავიდეთ, ოღონდაც, მე მგონია, რო შენი კუნძულზე დამალვა სარგებელი არ არი... სხვასა ვფიქრობ.

- რას? - ნიკა იჯდა და ნაპირთან მოყუდებულ ბარჟას შესცქეროდა უაზროდ.

- ქალაქში უნდა დაიმალო ნიკავ... მე ეგრე მგონია. ქალაქში დამალვა სჯობიან. ეხლა, კონსტებელებშიც როგორ არი. ინტერპოლსა, თუ რაღაცასაც, მოსვლია შენი ძებნა... რო ამბოფ, საქართველო ქვეყანა არ არიო, აგე, ყოფილა და მოუკითხიხარ, ამათ კიდე, კაცი დააჭერინე, პურ ნუ აჭმევ. ანგლეზის ხელში მოგცე? ის ბიჭები ვერა გნახამენ სუნგალზე, მარამ, ციხემდის ახლოა, ჩვენსა ხო ციხეა და ამვლელია, ჩამვლელია, ყარაულია... გესმის, შენა? ლაპარაკი კიდე, გინდა - არ გინდა, დაცოცავს. სუნგალთან ვერა გმალამ, თითონაც თითო ოთახში დგანან ქალაქში, ჩემთან კიდე რას დაიმალები? ტყეში დამმალავი კაცი შენ არა ხარ, ქალაქის კაცი ხარ და აქ უნდა დაიმალო... ეხლა რო ვფიქროფ, ამ ჩვენ ნაპირზე ტყუილა მოგიყვანე...

ნიკას არაფერი უთქვამს, ასე იჯდა, მუხლებით მანქანის უჯრას მიყრდნობილი და უყურებდა იქითა ნაპირს.

- ეხლა ერთი ვიფიქრე... მოხუცებული ქალია ერთი, - სთქვა ხეტიამ დაფიქრებით, - შენ არ გაგეგონება... უწინ აქ რო მეფეები ყოფილან, იმათი ჩამომავალი. მარტო სცხოვრობს... იმასთან რო მიმეყვანე... ჰა?

- რავი... - თქვა ნიკამ.

- ჰა... ოღონდაც, მე არ უნდა გამოვჩდე იქა... ჩემი ერთი გამოჩენა და ის არი... არ გამოდის, ეგრე რო ვთქვა. არ შაიძლება... შორიახლო მიგიყვან და ეტყვი, რო სარდალმა გამომაგზავნაო, მეტი არაფერს. შენმა სარდალმა გამომაგზავნაო, დანარჩენი იმას ეცოდინება და მერე, შენ იცი და იმანა... ჰა, ნიკა, ეგრე გამოვა?

- რავი, შენ იცი... კაი ბებია თუა, კიდე ხო...

- ემათი დედოფალია, ბიჭო... ჩვენი არა, სუნგალისა. ემათი. ჩვენი კი არა...

ნიკას გაეცინა.

- სეპარატისტი ხარ, ტო?

- ეგ არ ვიცი, რა არი.

- სეპარატისტი არი, რო ცალკე უნდა... - უთხრა ნიკამ.

- ცალკე კი არ მინდა, ცალკე ვარ, - ამოიხვნეშა ისევ ხეტიამ, - ეგრე ვქნათ?

- რავი... წავიდეთ.

- რო მოვდიოდით, მაინც არ მეჯერა, რო იქით გადაგიყვანდი... იაუ, იცი, რა ლამაზია ჩემი კუნძული? იქ რო გადავალ ხოლმე, სხვა კაცი ვარ, ნამდვილი ხეტია ვარ. აქეთ კიდე რა? - დაქოქა ხეტიამ, - ერთი მოვა, ნიკავ, გადაგიყვან იქით, თხილის ტოტს დავთლი, ზედ კაი ფერდის ხორცს ავაცვამ, ჩაგიყვან წყაროს პირზე და ავაშიშხინეფ. აგე, იქ არი ქვეყანა, აბა, აქეთ არი? რიზოტო, მიზოტო, კიზოტო, ტრუფილი, მუფილი, ბუფილი...

- ქართველი ხარ, რა, - გაეცინა ნიკას.

- აი, აქ რო ვდგავარ, ნაპირზე... იქით რო უყურებ ჩვენებიანთ კუნძულს, მინდა, რო წყალ-წყალ გავიდე...

ხეტია თითქოს არ ჩქარობდა მანქანის მობრუნებას.

- ეხლა გინდა ის დამიძახე, სიტყვა რო იცი. რა ქვია?

- გოიმი?

- ხო... გოიმი. ნიკავ, მითხარი, ომი როგორია?

- რავი... დედამოტყნულია, - თქვა ნიკამ.

- ისე არი, რო კაცს რაღაცა გინდოდეს და ვერ გასდევდე? აი, რო იწყება, ხო რაღაცა საქმისთვის იწყება და მერე გამოვა ხოლმე ის საქმე? შენ რო დაიწყე, რატო დაიწყე?

- მე რა დავიწყე... წავიდენ ბიჭები და წავედი...

- შენიანზე სროლა იყო?

- ომში?

- ხო.

- ომში სხვაზე იყო... მანამდე თბილისში იყო და იქაც სროლა იყო. რავი, ვისროდით, რა...

- ხედამ... - თქვა ხეტიამ, - მერე?

- რა მერე?

- დედამოტყნული რატოა?

- ბანძდები რა. თავი აღარ გინდა. გრუბი ხდები. რავი, რა...

- და თუ შენებს გამოადგა?

- გამოადგა...რავი, ისეთი რა უნდა გამოადგეს.

- რო გამოადგეს, მაშინ... - აღარ მოეშვა ხეტია, - ნიკავ, ჩვენა, სუნგალებმა, სროლა და ნიშანი კაი ვიცით, ომი არ ვიცით, არ გვახსოვს, რა ამბავი აქ. აქ რო ომი ატყდეს, მისცემ ხელს ხეტიასა?

ნიკას გაეცინა.

- აქ რა ომი უნდა ატყდეს, ტო, ყველაფერი გაიასნებულია.

- რა არის?

- ყველაფერი... ყველას ყველაფერი აქ და ისე არიან, რა...

- ნიკავ, ეგ არავინ იცის. ეგ მართლა არავინ იცის. ერთი დრო მოვა, ნახავ, მაშინ გეტყვის ხეტია, ნიკაუ, აბა, გამაიღე პაპაშენის ქამარ-ხანჯალიო. გამაიღებ?

- არა მაქ, ტო... - იცინოდა ნიკა.

- არა... ეგრე რო კაცი გეტყვის, იმას უნდა წაჰყვე... გამაიღებ?

- გამაიღე ჩვენთან სხვა რამეს ნიშნავს...

- ეგ აღარ ვიცი, - სთქვა ხეტიამ, - წაჰყვები ხეტიას?

- შენ ერთი დაუშტვინე, - თვალი ჩაუკრა ნიკამ.

- ნახე, ბიჭო, რა ლამაზათ თენდება, რა ნაპირი აქ ჩვენ კუნძულსა. აქეთა ნახე და მერე იქითა.

- თქვენ ყველა თქვენ კუნძულებს აქებთ, ტო... ჩემი სიდედრიც დაიწყებდა, ჩვენი კუნძულიო, ჩვენი კუნძულიო. გოიმები ხართ, რა...

- მეცა, ბიჭო?

- ძმურად, არა ხარ...

ხეტიამ მანქანა ააღმუვლა, საჭე დაატრიალა და თქვა: - დილა-ბიანდისა კაცსაო, მზირი არ ადგას თავსაო... გავსწიეთ, დედოფლისას მიგიყვანო...

- ხო...

- ძმები ვაართ?

- კი... კი...

- ხო სწორადა ვთქვი?

„ლიგურიასთან“

იმ წუთასვე ყველაფერი აირია რესტორიან „ლიგურიასთან“, სადაც არავინ იყო, უცებ კი ერთად მოვიდა ორასი კაცი. ტერასაზე აღარ იდგა არც მაგიდები, არცა სკამები, ის თეთრი სუფრებიც ქარს თუ წაეღო ჯერ და მერე ან შეინახეს ის მაგიდები და ის სკამები, ანაც დაიტაცეს ვიღაცეებმა. გარშემო რომ ყვავილები იყო, ისიც დაეგლიჯათ, ზოგიც კი ქოთნებიანად შეენახათ ან წაეღოთ.

იქ ისეთი ფაციფუცი ატყდა, რომ იფიქრებდი, სწორედაც აქ, გენუელების უბნის კიდეზე უნდა დაინთოს რაღაცა კოცონი, ზედაც ახალი დაკლული რამ ძროხა უნდა ააშიშხინონო. საქორწილო იყო მზადება თუ საქელეხო, ვერ მიხვდებოდი. ის დიდი,

გამურული ქვაბები აკლდა, მეტი რაღა? თორემ მანქანები ისე მოდგა აქეთ-იქიდან, რომ საძრაობა არ იყო. ძველად ეს არ გახლდათ სამანქანო ქუჩა. ახლა აქეთ-იქიდან შეხიდულიყო იქა და ერთმანეთისთვის ცხვირები მიეჭირა. ზედ რესტორნის ტერასის წინ კი ამეებიდან გადმოცვენილი სწორედაც რომ ორასი ჯეილი ჯერ ერთმანეთის ცქერით და ზომვით დამძღარიყო, მერე კი შეექნათ ერთი ფუსფუსი თავ-თავის მხარეს: აქეთ-იქით დადგომა, კუთხეების დაჭერა და იარაღის დამარჯვება. ჭახაჭუხი და ავის მომასწავებელი ხმა იარაღებისა იქ მთავარ მუსიკობად გამოისმოდა, ჩურჩულად რკინისა.

აბესალომ მღვდელს არ დაუნახია ზუსტად, თუ რომელი მანქანიდან გადმოვიდა ქალი, მაგრამ თავისიანების სულ წინა რიგში იდგა და ადრე კი დაინახა, რომ ქალი მანქანებშუა წამოვიდა, სრულიად ქალურად ჩაცმული, შინაურულათაც და ისე კი მოდიოდა, ერთი და არც შეყოვნებულა. სულ ერთი მიხედა და რაღაცა ორი სიტყვა უთხრა ადევნებულ მეთოფეებს და ისინიც გაჩერდნენ.

- აგე, ბიჭო, როგორი ყოფილა ვისრამიანის ქალი, - წაიბუტბუტა აბესალომ მღვდელმა, - ამას ვინ მოსწყდება, გვერდით რო ჰყაავს... ეშმაკის მოციქულია ნამდვილი...

- შენ დედამისი უნდა გენახა, პაპავ, - უთხრა კიკოლიმ, - ეხლა კუნძულზე ჰყამთ დაკეტილი თავისთან... ამან აჯობა და გამოჰკეტა... გგონია, იმას დეელაპარაკებოდი?

- სურათზე კი სხვანაირადა სჩანდა, გაზეტაში იყო, - სთქვა მღვდელმა, - ემასთან რამ გაჩხუბათ, ბიჭო? ეს რო ადრე დემენახა, არც წამოგყვებოდით... ეშმაკეულია ნამდვილი...

- ესა ეხლა, ჩვენ ვირებსა, გახედე, გახედე, ყველას უყვარს, ყველას კიდე ჰგონია, რო ამას უყვარს. ეგ არი, რო ქალი მეფედა გყავს...

ამასობაში სალომეამ დაბალ ღობეს გადააბიჯა და ტერასის ფილაქანზე გადავიდა.

- მუჭში რა აქ, ბიჭო? - იდაყვი წაჰკრა აბესალომ მღვდელმა, - რამე არ უხიმანოს ხეტიასა.

- მუჭში? აბა რა ხარ, პაპავ? მუჭში პახიტოსა და სანთები ექნება. სულ ეგრე აქს...

- პახიტოსიო?

- ხო, სხვანაირი მოსაწევია. მოსწევ, კაი ხასიათზე დადგები.

- თრიაქა?

- ხო.

- ეშმაკეულია, მაშ რა არის, ბიჭო... ნუსხამს ხალხსა... - პირჯვარი გადაიწერა აბესალომ მღვდელმა.

- დიდხანს გელოდო? - დაიძახა უცებ სალომეამ, - დიდხანს ვიდგე აქ?

- მოდის, მოდის, - ხმადაბლა უთხრეს აქედან. მართლა მოდიოდა ხეტია. სანამ ის ხვნეშა-ხვნეშით გამოვიდოდა ვიწრობებში.

- აქა ვარ, - დაიძახა უცებ საიდანღაც უკნიდან. ჯარმა, რაც შეიძლო, გზა მისცა. - აქა ვარ, - ხეტიამ შავი სათვალე მოიხსნა და ტერასაზე შეაბიჯა.

სალომეამ სიგარეტს მოუკიდა.

- გამარჯობა, ბატონო სალომეა, - თქვა ხეტიამ.

სალომეას თითქოს კვამლის გადაყლაპვა გაუჭირდა, წამით თვალები დახუჭა და უთხრა: - შენ ხარ ხო, ხეტია...

- მე ვარ, შენი ჭირიმე, - მიუგო ხეტიამ, - პაპაშენი დიდი მომნდობი იყო ჩემზე... ჩვენი ბიჭები, ვინცა გყავს, სულ მე მიუყვანე პაპაშენსა.

- არ უნდა მიგეყვანა.

- მაშინ, აბა, რა მეგონა, რო ეს ამბავი ატყდებოდა.

- გზადაგზა მოიფიქრე, არა? - კვამლი გამოუშვა სალომეამ, - რომელი ჯობდა, ამ რესტორანში ხალხი რო ჭამდა თუ ეს შენი ცხოველები რო ფსამენ აქ?

ხეტია შეცბა, არ შეიმჩნიასავით.

- მიდი ერთი, შეიხედე, რა სუნია... ხეტია... ვინა ხარ, გამაგებინე, რატო ატეხე ეს ამბავი?

- მე ავტეხე? - ძალიან ხმადაბლა გამოსცრა ხეტიამ, - მე ავტეხე თუ თქვენა? დედაშენმა არ ასტეხა? პაპაშენი დამისვამდა და მეუბნებოდა, როგორ რო დროშა უნდა მიიღოს ანგლეზებისგან და თქვენ რო დასხდეთ აქა. მე ავსტეხე?

- შენ ატეხე... ვერც მიხვდი, რა ატეხე. იმიტო, რო აქ ორღობე არ არი და ამდენი ხანი ვერ ისწავლე, რო ორღობე არ არი. მონასტერში როგორ შეხვედი? მონასტერში როგორ შეხვედი ?

- ეს როდის არი, რო ვისრამიანი მონასტერს იცავს, - გაიცინა ხეტიამ, - შაველ. საქმე იყო და შაველ. მაგდენ ხალხს შენახვა არ უნდა? თუ ისევ თქვენ ხელფასზე ვიყოოთ?

- გაიგე, შე თავგასიებულო, რო მორჩა, გათავდა, აღარ იქნება აქ ვისრამიანი, იმიანი, ამიანი...მორჩა... - სალომეამ სიგარეტი ფილაქანზე დააგდო, - დამთავრდა. რა გინდა ეხლა? რატო დამიბარე?

- აი, ეგრე არ ჯობია? შენთან საჩხუბარი არცა მქონია და არც მექნება. აგე, მლანძღავ და ვითმენ, ხო ხედავ? შენი ქმარიც დიდი მეგობარი იყო ჩემი, რო მოაკვლეინე...

- მე არ მომიკვლევინებია, ეს დაიმახსოვრე, - უთხრა სალომეამ, - მე არავინ არ მომიკვლევინებია. მე ყველა მომიკვდა, აღარავინ არ მყავს. სად არი ჩემი ძმა?

- მე მოვკვდე, თუ რამდენი ხანი არ ვეძებდი შენ ძმას. ის დაგვალაპარაკებდა.

- კარგი, რა გინდა?

ხეტიამ ხმაურით ამოისუნთქა და თქვა: - შენი კარგა ყოფნა, დედოფალო... თქვენ გეჭირათ ციხესიმაგრე. იყო, მე მეჭირა, იყო... შენ წაიყვანე ხალხი და ომს თავი გაანებე. ვითომ გაანებე და დაგვტოვე ცარიელა. ვითომ ომი არ არის და არის.

- მოგწყინდა?

- ეხლა მე მომისმინე... მე, აი, ესა, ვინცა ვართ, ეხლა ავიკრიფებით და წავალთ ჩვენსა. პირდაპირ ავიკრიფებით და შვილიშვილს ისე დააქორწინეფ, ვერ დაგვინახამ ვერც ერთსა.

სალომეამ ისე შეხედა, თითქოს არ გაუგონიაო.

- წახვალ, აბა, აქ რა უნდა ქნა? - ჰკითხა ბოლოს.

- მათქმევინე, ქალო... ეხლა ავიკრიფებით და წავალთ. სუნგალზე ციხის კარს გავხსნი და ყველას აქეთ გამოვრეკამ, საგიჟესაც გავხსნი და გამოვრეკამ. ჩემი თოფი მე, შენი თოფი შენ... წავალთ და სუნგალი ცალკე ვიქნებით. შენთან ვინც არი ბიჭები, სუნგალი, უნდა გამოუშვა, ჩვენი ბიძაშვილებია. კოხტათ შევრიგდებით. რა ეშმაკურათ მოგვიარე. იმ დღესაც ანგლეზის რადიოს უთქომს, მშვიდობით ომი მოუგოო...

- ცალკე ქვეყანა გინდა? - გაეცინა სალომეას.

- ეჰაა... - ამოიოხრა ხეტიამ, - რა ძნელია, კაცო, ქალი რო ქოთანს გამოსცდება. კაცის ჭკუით ეგრეა, რო ბევრი მაითხოვე, ცოტა გერგოსო. შეხედე, ეგრე მავითხოვე და ცოტა მინდა.

- რა გინდა?

- სუნგალი ცალკე დავდგებით. არ გვინდა ეგა. არ გვინდა ეს ქალაქი, არც ბუნგალ-მუნგალო. არ გვინდა, რო იქით მოხვიდეთ და წესი დაგვიდგინოთ. იქ ვიქნებით ჩვენთვინა, სტუმრად მოხვალ-დავკლამთ რამესა, არადა, ნუ გაგვიბატონდები, მეფის ხალხი ვართ.

სალომეას გაეცინა.

- ეხლა, არა?

- ჯანის მზემ, თავიდანვე ფიქრად ეგა მქონდა... ნიკა მეხმარებოდა, ნიკა...

- ამ ბიჭებს რას უზამ?

- რა უნდა უქნა? ჩემიანია... აგე, ფიდელა იქით არი, კიკოლი - აქეთ... როდემდი? ჩვენ რათ გვინდა ეს ქალაქი? წავალთ...

- კი არ წახვალთ, გაიქცევით... უჩემოდაც წახვიდოდი, მაგრამ გეშინია, იქ არ მოგყვე და შენს საღორეებში არ ჩაგასრისო... ესენი რო მოატყუე, მე ისე ვერ მომატყუებ, აგათია რო მოატყუე, მე ისე ვერ მომატყუებ...

- შენ რა გვიქენი... ანგლეზის ხელში მიგვეცი... ანგლეზს დეელაპარაკე. ქართველი და ოსმალო მაიყვანე და იმას ასროლინე ჩვენზე. მთელი ქალაქი თოფქვეშ დააყენე, როცა

რო არაფერი არ იქნებოდა, თუ რომ დედაშენი გაჩერებულიყო, - მწარედ თქვა ხეტიამ და გამოხედა თავის მდუმარედ დაყუდებულ ჯარს, - ჩვენა ბოლო კაცამდინ დავწვებით. დავლაგებულვართ, დრო იყო, მეფის გულისთვინა. ერთი არ გვიწუწუნია... მაგრამ რისთვინ? ეს ქალაქი ჩვენ არ გვინდა. რა უყოთ ამ ქალაქსა.

- ეგ ადრე არ იცოდი?

- არა, მამწყდეს ეს ფეხები, არა...

- მე არაფერი მაქ დასაკარგი, - თქვა უცებ სალომეამ, - საერთოდ არაფერი, მე შენ ამ ქვეყანას არ დაგანებებ. არც შენ, არც დედაჩემს, არც სხვას. როგორ მიყვარდა აქ ჯდომა...

ხეტია მიხვდა, რომ ქალი ეგებ ატირებულიყო კიდეც და თავი ჩაღუნა.

- ყველაფერი წაიღეთ თქვენ... თქვენი სიგიჟეებით. ყველაფერი წაიღეთ და რაც დამიტოვეთ, ის არი, რო ამეებს ვეწეოდე თქვენს დასანახად და ფეხებზე მეკიდოს. შენ ვერ გაიგებ... შენ ეგეთები არ გესმის... ეხლა მისმინე, თუ გინდა... თუ გინდა, ხვალ საღამოს არც ერთი აღარ იყოთ აქ, არ ვიცი, როგორ ეტყვი შენებს. ჩემთან ვინც არი, სუნგალი, ძალით ვერ წაიყვან. ვისაც უნდა...

- ჩვენთან ეგეთი წესია, ვისაც მოსვლის პირი აქო, რო ვიტყვით, იმან იცის... ჩემი ძმობილი მარტია შენთან არი და სხვა რა ვთქვა, ამაზე ხო არ წევეკიდებით?

- მომისმინე... ნუ მაწყვეტინებ... იარაღს წაიღებ, რაც ხელში გაქ. შეგამოწმებ. ციხის ხალხი მერე... ეხლა სად წავიყვანო.

- ცოტანი არიან, სუნგალი თუ ვინმეა, დავიტოვებთ.

- ხვალ საღამოს... შუადღისას გამაგებინე, რას გადაწყვეტ. მანქანებს, ავეჯს ვერ წაიღებთ... აქეთ ვეღარ გადმოხვალთ.

- აგრე. არც გვინდა.

- აქური პასპორტი, თქვენი ქონება, თუ რამეა, მერე. ხელს არავინ ახლებს... ეხლა მოშორდი აქედან, - სალომეა სწრაფად მოტრიალდა, დაბალ ღობეს გადააბიჯა და ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

- რაო, ხეტი? - სახელოზე დაქაჩა აბესალომ მღვდელმა.

ხეტია გაჩერდა და თქვა: - ხვალ, დილაზე, ყველა, ვინცა ვართ, იქით და აქეთ, გადაღმით, მუხასთან მოქუჩდეს, გააგებინეთ ყველასა. იქიდანაც მოვლენ. სალაპარაკოა.

- ამ ეშმაკის ნახშირმა რა გითხრა? - ჰკითხა ისევ აბესალომ მღვდელმა.

- არ ვიცი... ეგების, ჩვენი ქვეყანაცა გვქონდეს, პაპავ, - თვალი ჩაუკრა ხეტიამ.

- მეფისა, - წაიბუტბუტა აბესალომ მღვდელმა, - მეფისა დავათქვათ...

ხმლის რვეულები

შავტარიანი დანა

ედმონდ კლევერი

„წმინდა იმედი, სადარდო სიმღერა“

ახალი წიგნიდან

<...> ახლა ისეთი დღეებია, რომ ყველაფერს ერთი კაცი წყვეტს. მას შემდეგ, რაც ვისრამიანების ახალმა სარდალმა, მზეთუნახავმა სალომეამ და მისმა მარჯვენა ხელმა, ნასყიდაანთ მარტიამ, მოულოდნელად მიატოვეს ციხესიმაგრე და ის ნახევარი ქალაქი, რომელიც მათ ხელში იყო, ციხესიმაგრე და ყველა მათი საგუშაგო მოწინააღმდეგეებმა დაიკავეს. ნავსადგური ახლა ამათ ხელშია. ჩემი შეცდომა ის არის, რომ ოთხი დღის წინ არ გადავწყვიტე წასვლა. მაგრამ ასეთი შეცდომები საამაყოა, ყოველ შემთხვევაში, მე არ მეშინია და ციტადელში მივდივარ.

ციტადელში მთავარი შტაბია და იქ ბატონობს კაცი, რომელსაც ხეტია ჰქვია.

აქ არ არის სამხედრო წოდებები. ეს ხალხი სახალხო მილიციას ჰგავს, არც მეთაურს აქვს სამხედრო წოდება. ერთადერთი, რაც აქვს და რითაც მის ერთგვარ კანონიერებაზე ილაპარაკებენ, დედოფლის ხელმოწერილი უბრალო ქაღალდია, ძველი ბეჭდით დანიშნული, სადაც წერია, რომ ის დედოფლის პირადი სარდალია. რას ნიშნავს ყოველივე ეს, ძნელი დასადგენია, მაგრამ ამბობენ, რომ საბრალო მოხუცი, სანამ დედოფალი შეიქნებოდა, ხუმრობით, ანდა გარკვეულ საფასურად, გასცემდა ხოლმე ნაირგვარ სიგელებს მონარქიის თაყვანისმცემლების სახელზე და მათ ნაირგვარ წოდებებს ანიჭებდა.

საეჭვოა, რომ ეს მეთაური მისი დიდი თაყვანისმცემელი ყოფილიყო, მაგრამ მოქნილმა გონებამ უკარნახა, რომ საბუთი გამოადგებოდა.

ძველ ციხისთავთა ციტადელის ტალანებში მივაბიჯებთ. ადრეც ვყოფილვარ აქ, სადაც მუზეუმს თავმჯდომარეობდა კვიმატად ბრაზიანი მოხუცი ალფრედო და კოსტა.

ნეტავ, სად არის ახლა?

დერეფნებში ხმაურია, კიბეზე ძლივს ავდივართ. კიბე ვიწროა, რვაასი წლისა, ქვით ნაშენი და მოაჯირი არა აქვს.

სწორედ იქეთ მივდივართ, სადაც მოხუცი და კოსტას კაბინეტი იყო. სიგარეტის და რეზინის სუნი. იმ კაბინეტის სარკმლიდან მთელი ქალაქი ხელისგულზეა. სახიფათო ადგილია მეთაურისთვის, მოწინააღმდეგის სნაიპერს სულ იოლად შეუძლია, რომ ეს სარკმელი ნიშანში ამოიღოს, მაგრამ მილიციელებს სწორედ იქით მივყავართ. არ ვიცი, საგანგებოდ თუ საჩვენოდ, ჩვენი მიღება სწორედ იქ გადაუწყვეტიათ.

მე მარტო არა ვარ. მახლავს მამაცი მონიკა უსო დი მარე, აქაური ჟურნალისტი გოგონა, რომლის ტოლებიც ინგლისში ვერც კი იფიქრებენ, რომ ასეთ ფათერაკებში შეუძლიათ ყოფნა.

მონიკა ოცდაოთხი წლისაა და დედამიწის ზურგზე არაფრის ეშინია. სიმართლე ითქვას, მე უფრო ვახლავარ მას, ვიდრე ის - მე. მახსენდება ჩემი შეხვედრა მოხუც და კოსტასთან, რომელმაც მისაყვედურა, რომ არაფერი გამეგება ამ ქვეყნისა და წიგნებს კი ვწერ. ახლა შემიძლია ვუთხრა, რომ ბევრი გამეგება ამ ქვეყნისა, თუმცა საამაყო და სასიხარულო ამაში ცოტაა.

ოთახში შევდივართ. იქ აღარ არის თავმჯდომარე და კოსტას მაგიდა, მის სავარძელში, ზედ სარკმელთან, მსუქანი კაცი ზის: ლოყები, გაფარჩხული, ჭაღარაგარეული ულვაში, კეფაზე უბრალო, ბეისბოლის ქუდი, ტანზე შემოტკეცილი შავი მაისური, ფეხებშუა ამერიკული შაშხანა. თვალები დარდგარეული, თითქოს დაღლილი.

ამ კაცის ხელშია დღეს ქალაქი. ის გამარჯვებულია, თუმცა ჩვენთან ამ სიამაყეს მალავს.

ეს არის ხეტია, სუნგალთა მეთაური. სწორედ ის კაცი, მოედანზე რომ ვნახე ერთი თვის წინათ, როცა დედოფლის მხარმარცხნივ იდგა.

მძიმედ დგება სავარძლიდან და ხელს მართმევს.

„თქვენი ცოლია?“ განუმეორებელი ინგლისური აქცენტი, სიტყვები დამტვრეული, ყოვლად უდარდელად. მთავარია, რომ მესმის, რასაც ამბობს.

„არა.“

„მე ვიცი, რაც გინდათ. თქვენ წასვლა გინდათ. ერთი კვირა არაფერი იქნება. ნავსადგური დაკეტილია,“ ამბობს ის, „თქვენი გულისთვის ვერ გავხსნი ნავსადგურს.“

„ტრაბზონამდე ახლოა,“ ვეუბნები.

„ვისრამიანის კუნძულზე წადით. იქ აეროპორტია. აეროპორტი სალომეას უჭირავს. ეგებ, იმათ მოგიხერხონ რამე. საქართველოს ქალაქებია ბათუმი და ფოთი. გაგაფრინონ.“

„აეროპორტი დაკეტილია,“კიდევაც მიკვირს, რომ მონიკამ აქამდე არ ამოიღო ხმა, „იცით, ეს ვინ არის?“

„ვინ?“

„ედი კლევერი, მწერალი. ინგლისელებს შეუძლიათ მის გამოსახსნელად ჯარიც კი გადმოსხან. „

„გადმოსხან, ვინ უშლით,“ თქვა უდარდელად კაცმა, „მე ვიცი, ვინც არის ეს კაცი, მაგრამ როცა კაცები ლაპარაკობენ, ქალი ჩუმად უნდა იყოს. აი, რა უქნეს ქალებმა ჩვენს ქვეყანას. ინგლისელებმა კიდევ დაგვტოვეს. ლხინში ჩვენთან იყვნენ, ჭირიდან კიდევ, მარტო გამოდითო,“ თქვა მან, „ერთი კვირა მაინც უნდა მოიცადოთ, მისტერ კლევერ.“

მე ხელებს ვშლი, არ ვიცი, რა ვთქვა.

„თქვენ გეშინიათ, რომ დაუცველი ხართ,“ ამბობს მეთაური, „აქ კიდევ ქვეყანა დაინგრა. როგორ შეგიძლიათ სულ საკუთარი თავის დაცვაზე იფიქროთ? თქვენ წახვალთ, წიგნს დაწერთ ჩემზე და ამით ფულს იშოვნით. ერთი კვირაც გაუძელით.“

მეცინება.

მონიკა რაღაცის თქმას აპირებს და თვალებით ვთხოვ, მოითმინოს.

მონიკას ვერ გააჩერებ. ერთადერთი, რაც ასე მხიბლავს და მამხნევებს ამ დღეებში, მისი მოუღლელობაა.

„შენ არაფერი იცი, საერთოდ არაფერი... „ ამბობს მონიკა და ჯიქურ უყურებს ამ კაცს, რომელმაც, ახლა რომ ნამუსზე ხელი აიღოს, ვერც მე და ვერც მონიკას ვეღარსად გვიპოვნიან.

„შენხელა გოგოები სუნგალის კუნძულზე გათხოვილები არიან და შვილებს უვლიან,“ ამბობს უცებ მეთაური, „ახლა ქვრივებიც არიან. შენ აქ მოდიხარ და ჭკუას მასწავლი, როცა ცხოვრებაში არაფერი გტკენია, არაფერი გაგჭირვებია და არაფერზე გიფიქრია. ვიცი, ვინცა ხარ. ვიცი, რაცა ხართ, წადით, ფართალი გაყიდეთ და ინდაურის ბარკლები. სასტუმროები გახსენით და მერე დაელოდეთ, როდის ჩამოვლენ აი, ასეთი პატივცემული კაცები, რომ როგორმე შეეკვეტოთ. შენხელა შვილი მყავს და თავისი მოკლული ბიძაშვილის შვილებს უვლის სოფელში. შენ რას აკეთებ? იმის ცხოვრება ისე დამთავრდა, ვერც დაიწყო, შენი კიდევ მიდის, მიერეკება...“ <...> <...> ეს იყო ძალან უცნაური და ლამაზი დღე. შეიძლება ითქვას, სწორედ ამ დღისთვის ჩამოვედი. ყოველი და ყველაფერი ღირსებას აფრქვევდა, ქალაქი სავსე იყო დროშებით, ბუშტებით და გირლანდებით. რესტორნებს და კაფეებს ლამის ნისია შეთავაზებები ჰქონდათ და ყველგან უკრავდა ნაირგვარი მუსიკა. მუსიკა იმდენი იყო, რომ ერთ რომელიმე მელოდიას ყურს ვერ მიადევნებდი. დღის განრიგი ძალიან კარგი გამოვიდა.

აქ ეს არ შეეშლებოდათ, თუნდაც წვიმა წამოსულიყო, ამინდი მაინც საუცხოო იქნებოდა.

მე ამ ქალაქის ყოველი კუთხე და კუნჭული ვიცი, კი არ ვიცი, ახლაც ვგრძნობ იმ ლამაზ ეპიზოდებს, იქ რომ გათამაშდება ხოლმე. ანდა არც გათამაშდება, უბრალოდ, არის და მორჩა. ეს ლამაზი სურათები იყო, ხოლო ტურისტული სეზონი ათიოდე დღის დაწყებული. ესეც წინასწარ განესაზღვრათ.

კარგა ხანია, არ მინახავს ასეთი რამ. არ შევსწრებივარ მსგავს ამბავს, რომ ჩვენი ხელისუფლება მიწას ტოვებდეს ზარითა და ზეიმით.

სრულ შუადღისას, გუბერნატორის ოფისის წინ, სხვანაირად კი - სასახლესთან, მოედანზე ბრიტანული რეჯიმენტის აღლუმი გაიმართა. სვლა დიდებული იყო. ვისაც მოსწონს სამხედრო სვლა, დროშები, დაფი და მარშები, ის თვალს ვერ მოწყვეტდა პლაცზე ჩამოვლილ ღირსებას. ყველას საპარადოდ ეცვა. სენტ ჯონის რეჯიმენტის ექვსასმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა, რომლებიც საგანგებოდ ამ დღისთვის დარჩნენ სანტა ესპერანსაზე, დიდებული გამოთხოვება გასწიეს. აუარებელი ხალხი იყო

მოაჯირებს იქით, საგანგებო სადგომში კი გუბერნატორი სერ სესილი, ამისთვის ჩამოფრენილი გენერალი ტიდლი და რეჯიმენტის კოლონელი ბიგლი, რომელმაც მჭექარე და ამაყი ხმით, უმიკროფონოდ უპატაკა გენერალს, რომ სენტ ჯონის რეჯიმენტი ტოვებს ადგილს ახალი დავალებების შესასრულებლად. კოლონელმა რვალისებური ხმით დასძახა: „დიდება მის უდიდებულესობა დედოფალს, დიდება დიდ ბრიტანეთს. მადლობა ქვეყანას, რომელმაც გვიმასპინძლა.“

ამის შემდგომ რეჯიმენტი მარშით დაიძრა მოლაშქრეთა სასაფლაოსაკენ, სადაც მას ელოდა ადგილობრივი ჯარი, რომელიც მართლაც საოცარი სანახავია და მეც მანამდე მინახავს მისი აღლუმი. ამ ჯარში ჯარისკაცი არასოდეს ყოფილა ვინმე. ესენი იყვნენ ადამიანები, რომლებიც მოცალეობის დროს რეჯიმენტის სასწავლო ცენტრში დაიარებოდნენ და სწავლობდნენ, აღლუმებისას კი ძველებური სამოსი ეცვათ. სასაფლაოზე რეჯიმენტს დაუხვდნენ სწორედ ესენი: სამასი ჯარისკაცი - გამოწყობილი ოსმალურ, გენუურ და იოანურ სამოსში. ფერთა თვალის მაღვიძებელი შეხამება და საზეიმო გასროლები ექვსი ზარბაზნისა. აქ შესრულდა სამი მარში სამივე იმ მთავარი ეროვნებისა, კუნძულებზე რომ სახლობს. იოანელებს ემოსათ თეთრბეწვგამოდებული მოკლე ქულაჯები, ლურჯი ფერისა, ლურჯივე შარვლები და წითელი ჭვინტიანი ჩექმები, ყველას შემოერტყა ხანჯალი და კეფაზე გადაეგდო ცხვრის ბეწვის შავი ქუდი. ოსმალები თეთრი ჩალმებით და თეთრი პერანგებით იყვნენ, ზედ მოერგოთ შავი ჟილეტები და წითელი ფართხუნა შაროვარები და შავი დაბალი ჩექმები ჩაეცვათ. ყველას მორკალული ხმალი ეკიდა. გენუელები ყველაზე მდიდრულად იყვნენ, ოქრომკედით ნაქსოვ სამხრეებდაბერილ ქურთუკებში, ხელში მუშკეტებით და თავზე კი ფართო მაუდის ქუდებით. ამათ გენუურად ყველას რაღაც ძალიან მჟღერი რამ ჰქვია, მაგრამ იმ დღეს შესწავლის დრო არ იყო. შინდისფერი რეიტუზები და უძირო შავი ფეხსაცმელიც შეუმჩნეველი არაფრით დარჩენილა. ესა და ინგლისელთა წითელი მუნდირები, თეთრი კოლონიური ქუდებით, დიდებული სანახავი იყო.

ამის შემდეგ პროგრამაში იყო სადილი, რომელსაც სერ სესილი მასპინძლობდა, თუმცა მე იქ არ ვყოფილვარ, რადგან მერჩია, აფერადებულ ქალაქში მესეირნა, იქ მესადილა და ეს დასაცინი არ არის, რომ ორკაციანი მაგიდა ლონდონიდანვე მქონდა დაკვეთილი რესტორან „ლიგურიაში“, არცთუ ძვირ, მაგრამ საუცხოო ადგილას... დიახ, „ლიგურია“ ასეთი ადგილი იყო. ორკაციანი მაგიდა ტერასაზე ხუმრობა არ გეგონოთ. „ლიგურიასთან“ მელოდა აქაური ჟურნალისტი, მონიკა უსო დი მარე, ვისთან ერთადაც გავინაწილე ტრაპეზი.

მონიკა, ჩვეულებრივ, ბევრს ლაპარაკობდა პოლიტიკაზე, იმაზე, რომ მიუხედავად ასეთი ზეიმისა, ვითარება ძალიან დაძაბული იყო და რაღაც ცუდს მოელოდნენ. პოლიცია კი ყველგან იყო, მაგრამ გარდამავალი მთავრობა ჯერ არ დაენიშნათ, დედოფალი მხოლოდ მეორე დილიდან მოიწვევდა გვარების წარმომადგენლებს, რომლებიც, იმავდროულად, სანტა ესპერანსას პარლამენტს განასახიერებდნენ.

ამ დღეს მართლაც რამდენიმე ხმაურიანი ამბავი უსწრებდა წინ, თუმცაღა, ყოველივე იმან შეანელა, რომ ოპოზიციის ლიდერი და ყველაზე ღონიერი და მდიდარი კლანის მეთაური, კონსტანტინ ვისრამიანი, სწორედ იმ დათას ბაბუა, ვისთან მეგობრობითაც ასე დავიტრაბახებ, ოთხი დღის წინათ გარდაიცვალა. მონიკას ამგვარი ლაპარაკის მიუხედავად, სადილი მაინც შემერგო, რადგან საოცარი ამინდი იყო.

მრავალი ინტრიგა, რომელიც ამ საოცარ საღამომდე აღწევდა, მაინც მოგვარებული იყო ბრიტანული სამსახურების მიერ და ამიტომ ამაზე ჭმუნვა არაფრად მინდოდა.

საღამოს შვიდ საათზე ნავსადგურის ძველ მოედანზე გათამაშდა სიმბოლური სცენა. ეს იყო მართლაც განუმეორებელი და ისტორიული წამები, წარმოდგენილი განუმეორებელი ღირსებითა და თავდაჭერილობით სერ სესილისა, რომლის ასევე წამიერმა, მოზომილმა ღიმილმაც ყველაფერი თქვა.

ამ დროისათვის სენტ ჯონის რეჯიმენტის უმეტესი ნაწილი უკვე ბაზიდან გაფრენილიყო სამშობლოში. მხოლოდ კოლონელი, რვა ოფიცერი და, ცხადია, გენერალი ტიდლი დარჩენილიყვნენ გუბერნატორის ამალად.

გუბერნატორის მთელი შტატი, რომელთაგან უმრავლესნი კვლავაც აპირებდნენ დედოფლის და საერთოდ, სახელმწიფო ოფისში სამსახურს, ასევე ახლდნენ გუბერნატორს, როცა ის თავისი სასახლის გუმბათზე საკმაოდ ყოჩაღად ავიდა და იქიდან გენერალთან ერთად დაუშვა დროშა. ეს იყო ექვს საათზე. შვიდ საათზე კი გუბერნატორი ნავსადგურის ძველ მოედანზე მოვიდა, სადაც მას შეეგებნენ დედოფალი აგათია, პაწაწინა მოხუცი, უკანასკნელი შთამომავალი უკანასკნელი მმართველის სარი ბეგისა, ჩაცმული იასამნისფრად და მკერდზე ფარშავანგის ორი ფრთით და მისი ამალა, სულ სამი კაცი, მათ უკან კი რჩეულ გვართა მამასახლისები.

სწორედ აქ დავინახე უკანასკნელად ჩემი ძველი ნაცნობი, ალფრედო და კოსტა, თავისი დიდი სათვალით. თურმე უკანასკნელად დავინახე, მას შემდეგ მის ოთახშიც კი მოვხვდი, მაგრამ მოხუცის კვალს ვერსად მივაგენი.

გუბერნატორი სერ სესილი დედოფლისკენ წავიდა გაზომილი ნაბიჯით. როდესაც ისინი ერთმანეთს მიუახლოვდნენ, ადიუტანტმა დაკეცილი დროშა გაუწოდა გუბერნატორს. გუბერნატორმა დროშა ხელისგულებზე დაისვენა და მოკრძალებულად თავდახრილმა გაუწოდა იგი დედოფალს. სწორედ აქ გაიღიმა წამით სერ სესილმა, უკანასკნელმა ბრიტანელმა მმართველმა ამ მიწისა და მე დავიჭირე ეს ღიმილი.

ამ დროს სამარისებური სიჩუმე იდგა ნავსადგურში. მგონი, ტალღებიც კი დადუმებულიყვნენ. დედოფალმა ასევე თავდახრილმა ჩამოართვა დროშა გუბერნატორს, აკოცა მას, ზურგი აქცია ინგლისელებს და ხუთი ნაბიჯი გადადგა, რის შემდეგაც ის თავის მედროშეს გაუწოდა, რომელმაც წინასწარ გამზადებულ ფლაგშტოკზე ააგო დროშა და მაღლა ასწია. ამ დროს იხუვლა ხალხმა: იქაურმა თუ ტურისტმა, ამის დათვლას აზრი აღარ აქვს. და დასცეს სიმღერა, საზეიმო მარში. სწორედ ამ დროსვე აინთო პროჟექტორები, ხოლო დედოფალი მიკუნკულდა მიკროფონთან და თქვა: „ჩემო შვილებო, ჩემო შვილებო, ჩემო შვილებო...“

ეს სამ ენაზე თქვა.

„დავემშვიდობოთ იმ ადამიანებს, ვინც ახლა ქვეყანა გადმოგვაბარა ნამუსიანად და დათქმულ დროს, მანამდე კიდევ ბევრი გააკეთა ჩვენს ქვეყანაში...“

ნავსადგურში ინგლისური სამხედრო გემი იდგა. ესეც სიმბოლური იყო, ინგლისი ზღვით მოვიდა აქ და ზღვითვე წავა. საგანგებოდ ასე გადაეწყვიტათ, რომ გუბერნატორი და მისი ამალა გემით გასცლოდნენ კუნძულს.

ცხრა საათიდან ფეიერვერკი და კარნავალი უნდა დაწყებულიყო.

კვლავ მარში იყო. გუბერნატორი სამხედრო კატარღაზე გადაფოფხდა, მოტრიალდა და ხელი ასწია. მღელვარე, მაგრამ მტკიცე იყო.

მან ხომ ყველაფერი იცოდა. ამაში დარწმუნებული ვარ.

სწორედ ფეიერვერკის დროს ატყდა ხმაური მე მაშინ მორად ბეის ყავახანის წინ ვიდექი და ცას ავცქეროდი. გუბერნატორის ოფისი იწვოდა. მონიკამ სადღაც დარეკა და თქვა: „აეროპორტი დაკეტილია. სუნგალებს უჭირავთ.“

რა დაჭერა უნდოდა, ყოველი მცველი ამ ქვეყანაში სუნგალია.

„ციტადელზე სუნგალები არიან.“

აჯანყებას კაია ვისრამიანი ხელმძღვანელობდა, დედა იმ კაცისა, რომელთან მეგობრობითაც ასე დავიტრაბახებდი. <...>

სულიას ცხოვრებიდან

1.

- მერე იქით, ტყეში, კიდე არი ერთი ღელე... ღელეზე ბაბუაჩემი რო მუშაობდა ციხეში, სწორი გზა იყო, გძელი, ავტობუსის გაჩერებამდე და ზოგჯერ, რო შეიცვლებოდა, ვერ ასწრებდა ხოლმე ბოლო ავტობუსზე, ვერ ასწრებდა და წამოვიდოდა მოკლეზე, ტყე-ტყე... წამოვიდა მაშინ და დაებნა გზა და გადმოვიდა ამ ღელეზე. უკვე შეღამდა და ავტობუსს ვეღარ უსწრებს, მარა სოფელში ხო უნდა გამოვიდეს, რო იქ მანქანა თხოვოს, და იქიდან მოიყვანონ ნაპირამდე. გამოვიდა ამ ღელეზე და რას ხედავს: ღელეზე ქალი გამომჯდარა, გადმოუფენია გრძელი თმა, უჭირავს დიდი სავარცხელი და იცინის... ჰე-ჰე-ჰე - ასე იცინის, ვითომ ბაყაყი ყიყინებდეს, და ბაბუაჩემი გაჩერდა. თავისით კი არ გაჩერდა, ვერც წინ მიდის და ვერც უკან, გაახევა ამ ქალმა. ტყის ალია, ქალი კი არა, მარა ქალათ ეზომება... და ეძახის, ასე ხელს უქნევს ნელა: სულია მანდარიაა, მოდი ჩემთან... მოდი ჩემთაან... ახლა რა ქნას ბაბუაჩემმა, ფეხები იმ ქალისკენ ეწევა, მარა ხო მიხვდა, რო ალია. ნამდვილი ქალი როგორ იქნება, სუნგალის ქალი ამნაირი ლამაზი არ არსებობს, თმა დაფენილი და... რო წაიყვანა ფეხებმა, მოასწრო ბაბუაჩემმა, ამოიღო ასანთის კოლოფი, გაკრა და დაუძახა: დაგწყევლოს წმინდა გიორგიმ, შე შეჩვენებულოო. ეს რო დაინახა, ცეცხლი, ცეცხლის ეშინიათ და წმინდა გიორგი კიდე წამალია მაგათი, კივილ-კივილით გაიქცა და წამოვიდა ბაბუაჩემი... ბევრი გლახა ადგილია მანდ, მაგ ტყეებში, გლახა და უწმინდური ადგილი... - სულიამ რწმუნებით დაიქნია თავი, მედიდურად ამოაძრო კოლოფიდან სიგარეტი და გააბოლა, - მასეა...

ისინი ისხდნენ და კოსტათა სახლის სხვენში, იქ, სადაც ოთახი ჰქონდა სანდროს. ეწეოდნენ თამამად და ახდილ სამერცხლულში უშვებდნენ კვამლს.

სულიას მოტანილი ბოთლი თეთრი და მსუქანი იყო. ბოთლში საშინლად მწველი და დამათრობელი არაყი ესხა და ისინი სვამდნენ. სანდრომ და ტონინომ ახლა დაამთავრეს გამოცდები და ოქტომბრამდე აღარაფერი ეკითხებოდათ, სულიას კი გამოცდები არ ჰქონდა, ბიძამისის სამოსის მაღაზიაში იდგა მომხმარედ.

- ეგ ბაბუაშენმა მოგიყვა? - ჰკითხა ტონინომ.

- ბაბუაჩემმა, კი. საშინელი ადგილებია იქით...

- მე რო ბაბუაშენი ვყოფილიყავი, წავყვებოდი იმ ქალს...

- სად, ბიჭო, ჯოჯოხეთში? - თითქოს გაოგნდა სულია.

ტონინომ ერთმანეთს შეატყუპა ორივე ხელის საჩვენებელი თითები და ცერები და მონდომებით მიაწვა: - აი, ჯოჯოხეთი...

- ეგ რა არი?

- ეს არი ჯოჯოხეთი. ასე გვითხრა მონდონიკომ, სკოლის დარაჯმა.

- ეგ არ ვიცი, რა არი.

- შიგნით უნდა გამოკეტო ეშმაკი.

ტონინომ გადაიხარხარა. სულიამ სანდროს გადახედა, რომელიც ასევე გემრიელად აბოლებდა სიგარეტს.

- ეს დამცინის, ის არ იცის, რო მე იქით დავცინი. ამ არაყს დალევს და მერე მე დავცინებ, - ჭიქები გაავსო სულიამ, - აბა, დალევ ამას ერთ ყლუპზე?

ტონინომ თავი გააქნია.

- ვერ დალევ.

- ახლა მე მიყურე, - ჭიქა ჩაიპირქვავა სულიამ და დაიჯღანა, მერე სიგარეტს მიუბრუნდა და თქვა, - წყალი არ დააყოლოთ, გულს ტკენს.

სანდრომ ფრთხილად აიღო ჭიქა და ნელა მიიყუდა.

- ამან იცის დალევა, - თქვა სულიამ, როცა სანდრომ ჭიქა დადგა და თავი მუშტებშეკრულ ხელებში ჩარგო, - სიგარეტი მიაყოლე, კოკა არ მიაყოლო... ცოტა ხნის მერე დალიე...

ტონინომ ერთი ყლუპი მოსვა და დაიჯღანა: - ეს რა მოიტანე?

- ეს არი ნამდვილი... ამას თუ დალევ, მერე ყველაფერს დალევ... - სულიამ უდარდელად შეავსო ორი ჭიქა და ტონინოს უბრძანა: - დალიე. ჩვენ ვერ დავლევთ, სანამ შენ არ დალევ... ჩვენ შენ უნდა დაგელოდოთ.

- ამას გოგო უყვარს, - თქვა უცებ ტონინომ, - სალომეა ვისრამიანი.

სანდრო წამოიწია და გამეტებით ჩასთხლიშა თავში ხელისგული.

- ხელი, შე საცოდავო, - წამოხტა ტონინო, სულიამ კი წარბშეჭმუხვნით შეხედა სანდროს და თქვა: - დალიე...

სანდრომ სიგარეტის კოლოფი ესროლა ტონინოს, იმან კი მუთაქა გამოუშვა.

- ესენი ვინ არიან? - წამოდგა სულია, - დალიე,- ჭიქა გაუწოდა ტონინოს და საჩქაროდ მოუბრუნდა სანდროს: - ვინა ხართ ეს ჯენოველები? არაფერი არ იცით...

- უუუუ... - დაიკივლა ტონინომ და ჭიქა მოისროლა.

- კოკა არ მიაყოლო, არც წყალი... გულს მიუკაკუნებს, - გაიმეორა სულიამ და ისევ ჩამოასხა, - ვინ მიყვარსო, რა თქვი?

- სისულელეა, - თქვა სანდრომ ენის ბორძიკით, - კი არ მიყვარს, მომწონს. მომეწონა. მომეწონა, რა... მეტი არაფერი...

- უყვარს, - გაიმეორა ტონინომ, - ლექსები დაუწერა...

სანდრომ ჰაერში გაიქნია ხელი, წამოდგომა დაეზარა.

- შენი ჭიქა მოიტანე, - უბრძანა სულიამ ტონინოს და ისევ ჩამოასხა.

- აჰა, - თამამად დასცხო ჭიქა მაგიდას ტონინომ. სულიამ კვლავ ჩამოასხა სამივე ჭიქაში.

- უნდა მოვიტაცოთ, - თქვა მტკიცედ.

- ვინ?- ჰკითხა ტონინომ.

- დალიე და გეტყვი... ჭიქას მოკიდე ხელი, და კოსტა, - უბრძანა სანდროს.

გადაჰკრეს და დაიჯღანენ, სანდრო კოკა-კოლას ბოთლს წაეპოტინა.

- არა, - თქვა სულიამ, - არა. გულს არ უხდება...

- გულის, - კისერი მოსწყდა სანდროს, - გულის...

- უნდა მოვიტაცოთ, - გაიმეორა სულიამ და ტონინოს აღარ უკითხავს, ვინ უნდა მოვიტაცოთო.

- ხვალ, ხო? - ჰკითხა იმედიანმა და მოქანცულმა.

- როცა იტყვით... - სულიამ სცადა, კიდევ ერთხელ ჩამოესხა, ოღონდაც მთლად ჭიქებს ვერ უმიზნა და არაყი ჟურნალებს დაასხა, - როცა იტყვით, მოვიტაცებთ, - თქვა და ბოთლიანად გადაცურდა კედლისკენ.

- საბანაოდ არ მივდივართ? - ამოილუღლუღა ტონინომ.

- წავედით, - თვალები მილულა სულიამ.

2.

- მისს... ბოდიში მისს...

ქალს თეთრი პალტო ეცვა, ღვინისფერი თმა არეულად ეყარა პალტოს წამოწეულ საყელოზე და დიდი შავი სათვალე ეკეთა.

- უკაცრავად, მისს... ერთი წუთით...

ქალი დახლს დასცქეროდა, დაბალი, ქურთუკშემოგდებული კაცი გვერდიდან მოსდგომოდა. ეს იყო სამკაულების მხარეს, „ჰაროდსში“. ქალს ეტყობოდა, რომ იქ უნდა ყოფილიყო, ხოლო კაცი რას აკეთებდა იქ, ძნელი გამოსათვლელია. ალბათ, ათვალიერებდა.

ქალი დახლს ჩასცქეროდა.

- მისს...

ქალმა გამოხედა, ძალიან ნელა, თითქოს ზანტად. კაცმა სათვალის შუშებში დაინახა თავისი დაგრძელებული სახე და ძალიან ფართო მხრები.

- მე სულია ვარ... მისს... გახსოვთ, სულია?

გარშემო იმდენი ხალხი იყო... ხმაური და სიცხე. საშობაო ვაჭრობა. მოგეხსენებათ, დეკემბერი, ლონდონი, „ჰაროდსი“.

- ვიინ? - ხრინწშეპარული ხმით ჰკითხა ქალმა.

- უკაცრავათ, - ქურთუკის სწორებას მოჰყვა კაცი, - მე... სულია ვარ... არ გახსოვთ, სულია?

- არა, - თქვა ქალმა და ისევ დახლს დახედა, - შეგეშალათ... ალბათ.

- მე... - აღელდა კაცი, აწეწილ, აქა-იქ შეთეთრებულ ქერა თმაზე გადაისვა ხელი, - რო წვიმს ხოლმე... ეს ოხერი... მე... თქვენ... სალომეა... სალომეა... სულია ვარ.

ქალი ერთხანს ისევ დახლს ჩასცქეროდა.

- ვინ ხარ... ვერ გავიგე... ვინ ხართ?

კაცმა შეხედა, ისევ საკუთარი თავი დაინახა სათვალის მინებში. მერე უცებ მოსწყდა ადგილს და ხალხს შეერია.

ქალი ისევ დახლს დააცქერდა.

კაცმა მოძრავ კიბეზე ჩაირბინა და გეზი ალაყაფისკენ აიღო.

ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა გარეთ.

ცრიდა და გვარიანი სუსხიც იყო.

კაცმა იქვე აყუდებულ ზანგს შეხედა და უთხრა: - ეს არის თქვენი ფაქენ საუკეთესო მაღაზია?

- ჩემი არ არი, - უდარდელად მიუგო ზანგმა.

კაცი მიტრიალდა და ისევ შიგნით შებრუნდა.

მოძრავ კიბეზე შედგა და თითქოს იქ დაფრქვეულ ბევრ სინათლეს უთხრა სულ სხვა ენაზე: - რა გინდა?

- სადაც არ გაივლი, ყველგან ეს წყეული უცხოელები არიან, - წაიბურტყუნა მის წინ მდგომმა ბებიამ.

- რა, მემ? - ჯიქურ შეხედა კაცმა, - რა თქვით?

- თუ მაგ მხარეს დგებით ესკალატორზე, მაშინ უნდა აირბინოთ, თუ არა და კეთილი ინებეთ და ხალხი გაატარეთ, - თქვა ბებიამ უტეხად.

კაცი თითქოს ჩაფიქრდაო, თუმცა გზა არ დაუთმია, კიბეც ათავდა და მერეღა გამოედევნა ბებიას.

- იცით, რა ხდება?

ბებიამ არ უპასუხა, მიბაკუნობდა თავისთვის.

- იცით, რა ხდება? - უთხრა კაცმა, - ერთი ქალი ვნახე, რომელიც...

ბებია ისევ მიაბიჯებდა.

კაცი გაჩერდა და მიაყოლა: - მერი ქრისთმას... თქვენი კატები დამიკოცნეთ, ან ძაღლები... რომლებიც ადამიანები არიან. თქვენი აზრით, რა თქმა უნდა...

მერე კი თავი ხელებში ჩარგო და ატირდა.

ასე ტიროდა, სანამ დაცვის ჯეილი არ მიადგა: - პრობლემაა, სერ?

ის კი ისევ ტიროდა, მერე თითქოს გაჩერდა, შარფი გაისვა სახეზე და მიუგო: - არა... არაფერი... უბრალოდ... ამერია. ვიღაც მეგონა და...

- ხდება, სერ... დაგეხმაროთ რამეში?

- არა, - თქვა კაცმა და ისევ მოძრავი კიბისკენ წავიდა.

3.

ნელა მიდიოდნენ, ტონინო წინ მიაბიჯებდა, თუმცა ფეხები უკან რჩებოდა, უკან კი სულია მანდარია მისდევდა ხვნეშით.

სულიას სქელი ოქროს ბეჭედი ეკეთა შუა თითზე. ხელის აქნევით, უყურადღებოდ იშორებდა შემოფეთებულ ხის ტოტებს, ის თმანაკლული თავი სულ დაცვაროდა ოფლით, საყელოში ჩაფენილ ჭრელ ცხვირსახოცს მალიმალ ისწორებდა.

ტონინო გაჩერდა. დააცქერდა ადგილს და თქვა: - აი...

- ვაი... ვაი... - რბილ მიწას ხელებით მისწვდა სულია, - ვაი... ვაი... სი ქოგალე... სი ქოგალე...

მერე ჩაიჩოქა და თავი ჩარგო მიწაში. კვნესოდა და თითქოს რაღაცეებს ამბობდა. მერე კი ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყო.

ყველაფერს ყვებოდა: იმას, რაც ტონინომ იცოდა და რაც არ იცოდა, რა იფიქრა და როგორ იფიქრა, როგორ აპირებდა აქეთ წამოსვლას და როგორ ვერ მოახერხა, რადგან აქეთ არაფერი მოდიოდა არც წყლით და არც ჰაერით.

- კარგი, - თავზე დაადო ხელი ტონინომ, - კარგი. ხო იცი, რო გაიცინებდა ამაზე. კარგი, - და მერე მხრებზე მოხვია ხელები და წამოაყენა, მუხლისთავები დაუფერთხა. სულია ჩაეკრა ტონინოს, თავი ჩაუდო სადღაც, შემოხვია ხელები და ასლუკუნდა.

- კარგი... - თქვა ისევ ტონინომ, - კარგი.

- ვერ ვუშველე ჩემ ძმას... ვერ გიშველე, ძმაო, ვერ გიშველე. მე კი ვიცოდი, რომ არ დაისვენებდნენ ესენი, მე კი ვიცოდი, რამხელა ჯავრი გქონდა, რამხელა გული გქონდა, შენ გენაცვალე წვერ-ულვაშში, ჩემო საწყალო ძმაო და ამხანაგო, ჩემო კაი კაცო და ჩემო მარტო კაცო. მარტო დატოვებულო, მარტო უბედურო, მარტო უთქმელო...

ღობის იქიდან ბავშვები იჭყიტებოდნენ.

- ადექი, ძმაო და დამელაპარაკე. დაელაპარაკე სულიას, დაელაპარაკე... არ მელაპარაკები, ხომ, არ მელაპარაკები და მე რა ვქნა აწი, რო დამტოვე ასე?... რა ვქნა?

ტონინომ ერთხელაც შეანჯღრია, თუმცა იცოდა, რომ ამ შენჯღრევით ვერ გამოაფხიზლებდა საბრალო სულიას. ყველა შენჯღრევა ახალ-ახალი სიტყვებისკენ უბიძგებდა. ტონინო ნამყოფი იყო სულიას დედის დაკრძალვაზე, ამიტომ იცოდა, ბევრი უნდა მოესმინა და ამ სმენის დროს ხან აეტირებოდა და ხანაც გაეცინებოდა.

- ძმაო და ძმაო... ძმაო და ძმაო.... უჩემოდ რატო წადი? რატო წადი უჩემოდ? სად წადი? თავი რატო მოიკალი? აღარ გინდოდა, ხო, ჩვენთან? ვერ გაგვიძელი ჩვენ, გლახებს... საზიზღრებს, ძაღლიშვილებს, ვერ გაგვიძელი, ძმაო... მიგატოვეთ... მიგატოვა შენმა სულიამ, წევიდა, გადეიკარგა, ძმაო... წევიდა, თავის საქმეს მიხედა, შენ დაგაგდო აქ და დახვდი ასე... რატო დამხვდი ასე, ბიჭო, ბუძგია, რატო დამხვდი ასე, შე უბედურო, რო მეტყოდი ხოლმე, სულია-ბულია, შენ რა გიჭირს, გარკვეული გაქ ყველაფერიო, გარკვეული გაქო... ქვა ვერ დაგიდევით ჯერ, იმნაირი დროა, შენ საკადრის ადგილზე ვერ დაგმარხეთ... ვერ გიპოვეთ ადგილი...

ტონინომ ხელი შეუშვა სულიას. გაახსენდა, როგორ გაიპარნენ ის და სანდრო და კოსტა სასაფლაოდან, როცა სულიას ბაბუას, სულიას მარხავდნენ. ხო მოხდება ხოლმე, სიცილი რომ აგიტყდება. სანდრო და კოსტა მოტირლებს აჯავრებდა ჩუმად, თითქოს წაიყმუვლებდა და ახლა ტონინომ გაიფიქრა, რომ სულიაც მოტირლებს აჯავრებდა. მერე იფიქრა, რომ სულია კი არ აჯავრებდა, უბრალოდ, ასე ტიროდა და თვითონაც მოაწვა ყელში ბურთი. ზუსტად ისე მოხდა, როგორც ელოდა, ცოტა გაეცინა და ცრემლიც მოერია.

- მოეწონებოდა, - თქვა ხმადაბლა, - როგორ გეუბნებოდა ხოლმე, იტირე, სულია, - და შენ რო დაიწყებდი... ვაااი, ვااი... - მხარზე ხელი დაჰკრა ტონინომ სულიას, - გახსოვს?

სულიამ ხელი ჩაიქნია და მიწაყრილთან ჩაჯდა. უკანა ჯიბიდან რკინის მათარა ამოიგლიჯა, სახურავი გადააძრო და საფლავზე მიაპირქვავა.

მერე მათარა ტონინოს გაუწოდა და იმანაც მოიყუდა.

- უუ... - თქვა ტონინომ, - რა უბედურებაა?

- მაგას რო დალევ, ყველაფერს დალევ, - წაიბურტყუნა სულიამ, - მაგი ახჩობს ცრემლს და ყველაფერს. აბოროტებს კაცს...

ტონინომ მათარა გაუწოდა. სულიამ შეანჯღრია და თქვა: - ყველა მანდ მოვალთ, ძმაო...

მერე მანაც მოიყუდა და ისევ ტონინოს გაუწოდა.

- აღარ მინდა, - უთხრა ტონინომ.

- უნდა დაიცალოს.

- შენმა წესებმა ხო, საერთოდ... - ჩაიცინა ტონინომ და კიდევ მოსვა.

- ის სადაა? - მოსვა სულიამაც.

ტონინომ მხრები აიჩეჩა: - იქით იყო, თავიანთ კუნძულზე.

- აღარავინ აღარ დარჩა ახლა იმას.

- დედა ქათმებს უყრის საკენკს. შვილი დარჩა...

- ასეა, - ძალიან სერიოზულად თქვა სულიამ, - გლახა და საზიზღარი გადარჩება და კაი და საწყალი წავა. სანდროს უხარია, ახლა აქ რომ ვარ და ვამბობ ასე. სულ დამცინოდა ჩემ ლაპარაკებზე, - მერე მათარა შეანჯღრია და ისევ საფლავზე მიასხურა, - დალიე, შე საწყალო... ნახე შენ?

- წერილი იყო, - ნერწყვი გადაყლაპა ტონინომ, - წერილი იყო, რო ჩამოხსნა იმ გოგომ...

- ვაი, შე საწყალო... - თავი ჩაკიდა სულიამ.

- წერილი ჰქონდა გულის ჯიბეში... ხო იცი... ჩემ სახელზე რვა წერილი დატოვა, რო ვერ მიგზავნიდა იმ დროს. ის იქით დარჩა, მე - აქეთ... მაინც მწერდა. გაჩვენებ... შენზეც არი... ჯიბეში ედო, აი, აქ. და... რა ვიცი, ეწერა, სალომეა... და არც გავშალე, ვერ გავშალე. ჩავდე მერე კონვერტში და ბიჭს გავატანე ციტადელში, იქ იყვნენ მაშინ...

- მისცა, ხო?...

- ჩვენ ბიჭს გავატანე, რესტორნისას... მისცა, ხო...

- და?

- არაფერი... რა ვიცი... არ ვიცი, სულია. ხო იცი, რაც იყო, - ხელი ჩაიქნია ტონინომ, - შენ რო აქ გენახა... შეგზიზღდებოდა ყველაფერი.

- ის კაი გოგო ყოფილა, რო პატრონობდა.....

- მონიკა? მონიკა კი... ოღონდ, არ იკარებდა, აგდებდა სახლიდან. ის რო დაეტოვებია, ეგებ არც მომხდარიყო ასე...

- მანახე ის გოგო, - თქვა სულიამ, - უნდა გადავკოცნო. ვისი გვარია?

- უსო დი მარე, - ხელი ჩაიქნია ტონინომ, - კაი გიჟია ისიც...

- შენ, გულიანი თუ ვართ, გიჟს გვეძახი ყველას.

სანდრო და კოსტას წერილი სალომეა ვისრამიანს

საერთოდ არ გავბრაზებულვარ. არ იფიქრო, რომ რაღაცაზე გავბრაზდი. ასეთ რამეებზე არ ბრაზდებიან. უბრალოდ, მივხვდი, რომ დამთავრდა და ძალიან ვნანობ, რომ სწორედ ასე დამთავრდა და ასეთ დროს. მე რაღაცა გამეგება ქაღალდზე ასოების გამოყვანისა, ამიტომ შენ ვერაფრით შეატყობ ამ ნაწერს, რომ მე ვღელავდი, ან ვცახცახებდი, როცა შენ გწერდი, ან კიდევ ვნანობდი რაღაცას. ასეთ წერილებში სულ სინანული და შიშია ხოლმე, სინანული და შიში კი სწორედ რომ ისეთი რამეებია, ვითომ ძალიან რომ ჭირდება კაცს. ისინი გვერდიგვერდ ცხოვრობენ. სინანული და შიში კარგი მეზობლებიც არიან. თუმცა ჩხუბობენ კიდეც, როგორც ნამდვილი მეზობლები, მაგრამ თუკი ვინმე უცხომ მოუკაკაუნა კარს, ისე ჩაიკეტებიან ხოლმე, რომ ძალიან ძნელია მათ სახლებში შეღწევა. ამგვარ წარმოდგენებს ომი გააჩენს ხოლმე. ომია და მეც სწორედ ასე წარმოვიდგინე. არც შიში მაქვს და არც სინანული, იმიტომ, რომ საშიში არაფერია და სანანებელიც - არაფერი. უბრალოდ, ვგრძნობ, რომ მთელი შენი ცხოვრება სინანული და შიში იქნება. რა თქმა უნდა, მონანიებაზე არ ვლაპარაკობ, ეს ძალიან სასაცილო იქნებოდა, მე კარგად ვიცი სიტყვები და მათი არჩევაც მეხერხება. სინანულზე და შიშზე გეუბნები.

ეს თავგადასავალი ისეთი იყო, სალომეა, რომ ჩვენ არ ვნანობდით და არც გვეშინოდა. მე არც ახლა მეშინია და არც ახლა ვნანობ, მაგრამ ეს ამბავი შენ დაამთავრე. მე არ დამიმთავრებია, უბრალოდ, მე მივხვდი, რომ დამთავრდა და რახან დამთავრდა, ვეღარაფერი ვიპოვე ისეთი, რომ მისი სანაცვლო ყოფილიყო. როგორ იპოვი იმის სანაცვლოს, რაც შენს ცხოვრებად იქცა? ვერ იპოვი. მე მგონია, რომ შენ იქ დაბრუნდი, საიდანაც მაშინ გამოიქეცი. დიდი ხნის წინათ ერთად გამოვიქეცით იქიდან. მე არ მწყინს, რა სისულელეა? მე მესმის, რომ შენ ახლა ომის მოგება გინდა და ათასი სხვა რაღაც, რაც სარდლებს ევალებათ ასეთ დროს, მაგრამ, მერე?

სალომეა, რატომ დაბრუნდი იქ, სადაც სისხლი და შიშია, რატომ დაბრუნდი მაგ გადარეულ და დავიწყებულ ქვეყანაში, სადაც ურჩხულები იღვიძებენ და სადაც საერთოდ არაფერია ნამდვილი? ერთადერთი, რაც ნამდვილი იყო, დაამთავრე, იმიტომ რომ ომი დამთავრდება და აღარაფერი იქნება ისე, როგორც იყო. ვერ იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ შენ კაფეში ვეღარ დაჯდები და ვერც ქარიანების ნაპირზე მოხვალ. მე კიდევ ვერ წარმოვიდგენ, რომ ასე აღარ იქნება. ამიტომაც დამთავრდა. სალომეა, გუშინ მითხრეს, რომ დედაშენი სამხრეთის კუნძულზე ერთ ფერმაში გყავთ გამოკეტილი, რათა ხელი არ შეგიშალოს. რაში უნდა შეგიშალოს ხელი? ამაზე მეტი რაღა უნდა მომხდარიყო?

შენ მოხვედი იმ ღამეს და ის იყო საშინელი ღამე ჩემთვის. რა ბორკილებს უნდა გაეძლო, როგორ უნდა დამებორკა თავი, რომ ხმა არ გამეცა შენთვის? ეს საშინელი და თავზეხელაღებული სურათი იყო, როგორ დარბოდი ჩემს ბნელ სახლში და მეძახდი. მე კი, გატრუნული, ფეხაკრეფით გადავირბენდი ერთი კედლიდან მეორესკენ. განა არ ვიცოდი, რომ მტრის მიწაზე გადმოიპარე ჩემს საპოვნელად. იშვიათი სიმამაცეა,

საერთოდ წარმოუდგენელი, მაგრამ ეგ ჯარისკაცის სიმამაცეა და არა იმ ქალის, ვინც საყვარელს ეძებს.

სალომეა, არ გეწყინოს, გეხვეწები, არ გეწყინოს.

შენ ხომ დაგეგმე ეს გადმოპარვა, ის შენი ჯარისკაცებიც გახლდნენ, ის, ალბათ, ძალიან მამაცი კაცები, ის თქვენი მოურავი. წინდაწინ დაგეგმე, როგორც ჯარისკაცმა და გადმოიპარე. ეს მამაცი, თუმცა უშედეგო ოპერაცია იყო, მაგრამ შენ რომ უბრალოდ გამოქცეულიყავი, უბრალოდ გადმოპარულიყავი, გადმოგერბინა ის საგუშაგოები და ქუჩები, სადაც, ვინ იცის, ვინ დგას ახლა და ვინ ატრიალებს ხელში ხანჯალს, სხვა იქნებოდა. შენ რომ გადმოპარულიყავი და დარჩენილიყავი. შენ ხომ ჩემს წასაყვანად გადმოხვედი, მე უნდა გადაგეყვანე შენს სამფლობელოში. შენ დასარჩენად არ მოსულხარ, მოსატაცებლად მოხვედი. როგორ მინდოდა, რომ მეც დამეძახა: სალომეა, სალომეა, სალომეა, სალომეა. მაგრამ მივხვდი, ეს იგივე იყო, რასაც შენს გვარში აკეთებდნენ ხოლმე, როცა საქმროები და საპატარძლოები მოჰყავდათ უცხო ქვეყნიდან. ეს ზუსტად ის იყო და მე მივხვდი, რომ დამთავრდა. სამი დღეა ვფიქრობ ამაზე, გამოკეტილი ამ უზარმაზარ სახლში და წარმოვიდგინე ყველაფერი, რაც მოჰყვებოდა იმას, რომ შენ გეპოვნე ამ ჩემს დიდ, ჯადოსნურ სახლში იმ ღამით. ეს ლამაზი სურათი იქნებოდა და ყველაფერს გავიღებდი ამ სურათისთვის, მისი ბოლო რომ არ მცოდნოდა. შენ არ დარჩებოდი, მე კი წამოვიდოდი და რა? წამოვიდოდი და რა? სალომეას ქმარი ვიქნებოდი? რა სისულელეა. მე არ მინდა, რომ ომმა აჯობოს ჩვენს ისტორიას, ომმა კი ყველაფერს აჯობა, შენც და მეც, თუმცა მე ვებრძოდი ამ ომს. მგონი, არავინ ებრძოდა მას ჩემსავით. ცხადია, მომერია, სწორედ იმ ერთადერთ, ნამდვილ და ცოცხალ ადგილას დამარტყა, სწორედ შენგან დამარტყა, იმიტომ, რომ შენ წაგიყვანა და თავის მეთაურად გაქცია. შენ ვერაფრით იქნები ის, რაც იყავი. თქვენს საგვარეულოს შენახულებს ეძახდით. სალომეა, იმას ინახავდით, რაც პირველად უნდა გადაგეგდოთ და სწორედ შენ გადააგდე. ახლა კი მიბრუნდი და უკან აიღე. სადღაც სანაგვეზე, სადაც მუცელგაფატრული კაცი აგდია, მის შიგნეულში იპოვნე ის, რაც გადააგდე და ახლა უფრთხილდები და უვლი. არ ვიცი, ვის მხარეს ხარ, მგონი, ყველა შენს მხარეს არის, მაგრამ სად არის ჩვენი თავგადასავალი, სალომეა? სად წავიდა ეს ამბავი? მე დავკარგე და არა მგონია, შენც სადმე გქონდეს შენახული.

იმ ღამეს მე ვფიქრობდი, რომ დამთავრდა, რომ შენ ვერასოდეს დაივიწყებ, რომ მთელი ცხოვრება შიში, სინანული და უბედურება იქნება, მაგრამ როცა აქ მოხვედი ასეთი თავზეხელაღებული და მამაცი და ჩემთვის მოხვედი, მე დავრწმუნდი: სალომეამ დაამთავრა. შენთვის ძნელი გასაგები არ იქნება ეს. ძალიან იოლი გასაგები იქნება. მე არ მინდა, რომ ჩვენი ცხოვრება შიში და სინანული იყოს მაშინ, როცა ყველაფერი მორჩება.

რა უცნაურია, როცა ყველაფერი დამარცხდა, როცა დაინგრა ყველაფერი, რაც ხელს გვიშლიდა და გვაბრკოლებდა ამდენ ხანს. შენ მიხვედი და იმ ყველაფრის აღდგენა და შენება დაიწყე რაღაც ღირსებისთვის, რომელიც არავის უნახავს, რა იერისა გახლავს, ულვაშიანი თუ ქოსა.

სალომეა, ისე ვამთავრებ ყველაფერს, რომ ეგრეც ვერ გავერკვიე თქვენი ოჯახის აბლაბუდაში. არ გეწყინოს, მაგრამ ახლა ვხვდები, რომ რაც ხელს გვიშლიდა, სწორედ

ეგ იყო, რომ შენ მაინც, მაინც, მაინც ვერ თმობდი რაღაცას. მაინც გინდოდა, რომ ვიღაცის რაღაც ყოფილიყავი. რატომ არ გამიშვი მაშინ, სალომეა? წავიდოდი და მოვუვლიდი ყველაფერს, ამდენსაც არ ვიფიქრებდი და ასეც არ დამთავრდებოდა. ყველაზე ცუდი რა არის, იცი? რომ დამთავრდა. დამთავრდა და ვხედავ, არაფერი მქონია ამის მეტი. ორიოდე ძმაკაცი მყოლია და სხვანაირად მცმია. მეტი არაფერი. ვხედავ, რომ მხოლოდ მისთვის ვცხოვრობდი, რომ შენ მყვარებოდი. ჩემმა წინაპრებმა თითქოს მისთვის მოაყენეს გემი ამ ნაპირს ხუთასი წლის წინათ, რომ ბოლოს, მთვლემარე და უდარდელ დროს, უკანასკნელ და კოსტას ქალი შეყვარებოდა და მაინცდამაინც იმ გვარისა, რომელიც არასდროს გადაშენდება და რახან არ გადაშენდება, არც ვინმეს უყვარს. ხუთასი წელი და უკანასკნელი და კოსტა. ეს სურათია, სალომეა. ქალსაც უყვარდა სანდრო და კოსტა, ოღონდ კი სანდროს სულ ზღვისკენ ეჭირა თვალი, ქალს კი - მიწისკენ. მეც კარგი ვარ, გემშვიდობები და არაფერი მითქვამს, საყვედურების მეტი. მაგრამ მე ხომ ფლორენციელი არა ვარ, რომ ლამაზად ვწერო სიყვარულზე, მე ჯენოველი ვარ და საკუთარ ფიქრებსა და ანგარიშებზე ვწერ. ყველაფერს ვითვლი და ყველაფერი ზუსტი მგონია. ამ სახლში ოცდარვა სანადირო თოფია, სალომეა. მეეჭვება, რომ რომელიმეს ხელი მოვკიდო. სროლა ისედაც ისმის და კიდევ ერთი გასროლა არაფერს შემატებდა აქაურ ამბავს. ჩვენ ერთი ძველი წიგნი გვაქვს სახლში, „თოკი და მისი მოხმარება“ ჰქვია. ბიძაჩემი დიდ ფილოსოფიურ თხზულებად მიიჩნევს ამ წიგნს, თუმცა ახლა არ ვიცი, სად არის ბიძაჩემი. ჩვენს სახლში, როგორც ყოველ ძველ სახლში, ბევრია იმქვეყნად გადაბარგების ნიშანი და დამხმარე საგანი.

გუშინ ფანჯრიდან ვუყურებდი, როგორ დასცხრომოდა ყვავი ერთ გვრიტს, რომელიც ალბათ სიბერით მომკვდარიყო, ან ეგებ ტყვიაც მოხვდა, არ ვიცი. ორ დღეს ეგდო ბაღში, ხის ძირას. ყვავმა, ალბათ ათვალიერა და მერეღა გაბედა მისვლა, რათა რაიმე შეეჭამა. საიდანღაც მოფრინდა სამი გვრიტი და ამ ყვავს კორტნა დაუწყო, თავიანთი მკვდარი ამხანაგი არ დაანებეს. ომს სცოდნია ასეთი ალეგორიები. მგონი, ეს შენ და შენს ჯარისკაცებსაც გამოგადგებათ. მე კი არ ვიქნები ამ გვრიტივით, თუკი ცოცხალია, მომძებნის ტონინო, ანდა საბრალო ბიძაჩემი, რომლის ასავალ-დასავალიც ვერაფრით დავადგინე.

აი, ახლა ვხვდები, როგორ მიყვარს წერა, სალომეა. სულაც არ მინდა, რომ ეს წერილი დავამთავრო. მგონი, ეს ერთადერთია, რაც შემეძლო იმის გარდა, რაც ჩვენი თავგადასავალი იყო. მაინც არ დავიწყებ ჩვენი ამბების გახსენებას. არ მინდა, რომ ამ წერილმა დაგწვას და სამუდამოდ შეგაწუხოს, სინანული და შიში ისედაც ბევრი გექნება და ახლა კიდევ ეს წერილი, რომელსაც არასდროს გადააგდებ. უბრალოდ, მე მეგონა, რომ სხვა დროში ვცხოვრობდით. მოვახერხეთ და სადღაც სხვაგან გავიქეცით, წარსულში ცხოვრება ნამდვილად არ მინდა. არც შემიძლია. წარსულით ცხოვრების არანაირი ღონე არა მაქვს. რახან დამთავრდა, მეც აღარაფერი დამრჩა, წარსულის მეტი. ერთ დღეს მიმიხვდები, რატომაც ვწერ ასე. ახლა ამის ახსნა ძალიან ბევრ დროს წაიღებდა და მეთაურებს კი არ უყვართ და არც შეუძლიათ გრძელი წერილების კითხვა. მეც მეჩქარება. გაიქეცი, გაიქეცი, გაიქეცი.

მშვიდად ვარ და ეცადე, შენც მშვიდად იყო. მგონი, უსუსური წერილია. იცოდე, რომ მიყვარხარ. მე შენ მიყვარხარ, სალომეა ვისრამიანო. მართლა მიყვარხარ, სულ მიყვარხარ, რაც თავი მახსოვს, სულ შენ მიყვარხარ და მინდა, რომ სწორედ ასე მოვკვდე.

მიყვარხარ.

ეს კი, მგონი, ცოტა მეტიჩრობა გამოდის.

ორი ბრმა მსტოვარი ხმლებით

ძველი მეისრის შეგონებანი

რომელი ჩაითვლება ამ ბანქოში კარგ პარტიად?

ინტი ისეთი თამაში არ არის, რომ რომელიმე გაზეთში მის პარტიებს გაარჩევდნენ და ამისთვის საგანგებო კაცს დაიქირავებდნენ.

წესით, რომელიმე გაზეთს მაინც უნდა გაებედა ესა, რადგან ინტისა მეტ-ნაკლები ყველას გაეგებოდა და ამგვარი გარჩევის თვალის ჩამდევნებელი კი ბევრი იქნებოდა. ცხონებული კოხი მეისრე, რომლის მაგიდასთან ჯდომა და ინტის თამაში აღარავის ახსოვდა, მაგრამ ოცამდე საინტე ცნობარი და წიგნი კი დაეწერა და ამით დიდად სახელგანთქმული იყო, საუცხოოდ შეძლებდა ამ ამბავს, მით უმეტეს, რომ მთავარ სულიერ მემკვიდრეობად სწორედ მის მიერ ნანახი გასაოცარი პარტიების გარჩევები დატოვა.

კოხი მეისრე ინტს სამოცდაათიანი წლებიდან აღარ თამაშობდა. რა მიზეზი იყო ამისა, ხეირიანად ვერ გამოეტანათ იმ ძველი დროიდან და გამოტანილი კი დავიწყებოდათ, მაგრამ ის ხშირად სტუმრობდა კლუბებს და ამ განთქმული კაცის გამოჩენა ხშირად ააღელვებდა ხოლმე მოთამაშეებს, განსაკუთრებით კი უფრო ახალბედებს. კოხი მეისრე, როგორც ბევრი ძველი მოთამაშე, უცოლშვილოდ გადაგებული კაფანდარა კაცი იყო და ყოველი თავისი ქონება დისშვილებს უანდერძა, მხოლოდ მისი რვეულები და ჩანიშნული რამეები გადაეცა მათალოს კლუბს. არადა, ის შეუმჩნეველი კაცი იყო, კლუბში ყოველგვარი დიდი სალამ-ქალამისა და „აი, ვინ მოვედის“ გარეშე შემოცუხცუხდებოდა კაკაოსფერ, წვრილზოლებიან, ძველ, მაგრამ კარგად შენახულ კოსტუმში გამოწყობილი: ფარფლებდატეხილი ძველი საზაფხულო შლაპით, შავი წვრილი ბანტითა და ცხვირზე ჩამოცურებული სათვალით. ამოირჩევდა რომელიმე სათამაშო მაგიდას და შორიახლო ჩამოჯდებოდა, ისე რომ, იფიქრებდი, როგორ უნდა დაინახოს გათამაშებული ჯერიო. ის კი თურმე მაინც ხედავდა. დაინახავდა, კოხი მეისრე იყო და როგორ არ დაინახავდა. ცქერისას, გრძნობამორეული მოსეირენი რომ თანდათან მიუახლოვდებოდნენ მაგიდას, ალბათ ქაღალდებში უკეთ ჩასაჭყეტად, კოხი მეისრე თავის ხელჯოხს აღმართავდა და გრძნობამორეულებს საზღვარს დაუდგენდა ამ ხელჯოხით: - ხაზი, ბიძია, ხაზი...

არც ერთ კლუბში იატაკს სავალდებულო ხაზი არ ეტყობოდა, მხოლოდ მკრთალი რაღაც ნახაზარები.

დათა ოცდასამი წლისა იყო, როცა კოხი მეისრე პირველად გამოელაპარაკა. ძველი მოინტე მაშინ სამოცდაჩვიდმეტი წლისა იყო. დათამ მეორედ თუ მესამედ ითამაშა

ნამდვილი საკლუბო ინტი, ორჯერვე თავდაცვითი და ორჯერვე დამარცხდა თავის მეწყვილესთან ერთად, თუმცა აქა-იქ უკვე ამბობდნენ, კარგი ბიჭიაო, ფესტივალიდანაც გვახსოვსო. მათალო კი ამბობდა, ხუთი წელიწადი აცალეთ, გაძლება მიეცით და პირველი იქნებაო. დათა დარაბასთან იდგა თამაშის შემდეგ, როცა კოხი მიცუხცუხდა. დათას მხარზე ხელი დაჰკრა და უთხრა: - წყალი დალიე, რო ითამაშებ, ჯერ წყალი დალიე, მერე ერთი ჭიქა წითელი ღვინო... მერე წადი და რაც გინდა, ის დალიე...

- მადლობა, - შესცინა დათამ და ჟაკეტის ბოლოები შეისწორა, - მადლობა, სერ...

კოხიმ ჩაიხითხითა.

- სერ... კაი ზდილობის შვილი ხარ... ხელში გეტყობა, რო მათალოს გაზდილი ხარ. მათალოს არ შეეშლება, თან გუნებასაც აძლევ. გუნება გაქ თამაშის. მარა მითხარი, რას თამაშობ, რა ქვია მაგ თამაშს?

- ინტი, - ისევ გაიცინა დათამ.

- ახლა, არ ვიცი, როგორ იყო... შენ სხვანაირი ოჯახისშვილი ხარ. ვისრამიანების ხარ. ხო, ყველაფერი კარგი ესი... ნასწავლობა, გაზდილობა, ინტში გვაკლია ესი. ბაბუათქვენი ჭკვიანი კაცი ბძანდება, ასე გახლავს, კია... და თუ მოგეხსენებათ, ჯეილო, რას ნიშნავს ინტი... რა ხდებაო, ინტი რა არისო?

- ინტი ნიშნავს „გაიქეცი“... - თითქოს შეყოყმანდა დათა.

- მოგეცეს ლხენა და სიკეთე, შვილიშვილო... როცა გასაქცევია, უნდა გაიქცე. იმიტო ქვია ამ თამაშს ინტი. მარტო იმიტო კი არა, წაგებული როა და დაიძახო. წაგებისგან გაქცევაც გახლავს. მომწონს, რომ თავდამცველს თამაშობ. ახალგაზდას სულ თავდამსხმელის თამაში უნდა, თავდასხმით მოგება უხარია. შენ რომ თავდამცველს თამაშობ, თავდამცველობა წაგებისგან გაქცევა არის. ბოლოს რომ დაიძახებენ, ინტი, ინტიო, მარტო ეს არ არის... შემოგევლოს კოხი ბაბუა. მომწონხარ, ძაან მომწონხარ. თუ გითხარი ზოგჯერ რამე, არ დაგირჩეს საწყენათ, მე კი წავალ აწი, ინტი, ინტი, წავალ და ზოგჯელ აზრი რო გამდის თავში, მენანება, რო არ უთხრა ახალგაზდობას...

ამ სიტყვებზე მან ჯიბიდან ბანქოს ძველი შეკვრა ამოიღო. ასეთი ქაღალდი კარგა ხანია აღარ გამოდიოდა. მაგალითად, კვახები მხოლოდ მწვანე იყო და სახეებიც არ ჰქონდა, როგორც მერე იყო მოდაში, ხმლები კი სისხლიანი ეხატა. მამასახლისები - სხვადასხვანაირები. დათას ადრეც ენახა ძველი შეკვრა, სამოცდათორმეტქაღალდიანი. მათალოსაც ჰქონდა მსგავსნი და სათუთადაც ინახავდა, მაგრამ კოლოფზე, რომელსაც ერთ მხარეს მზე ეხატა, მეორე მხარეს კი ორი დოქი, წარწერა იყო: კოხის ქაღალდი. ორი ცალი.

მოხუცმა იქვე დარაბაზე გადმოშალა თავისი ბანქო. თითს ისველებდა და ისე ახარისხებდა ქაღლდებს.

- მომხედე აქეთ, ბაბუა... დიაბეტი მაქ, დასწყევლოს, გამშრალი მაქ ყველაფერი, - დალაგებულ ქაღალდებს თითქოს ჩამოეფარა კოხი მეისრე, - დადგება ცხოვრებაში ერთხელ ასეთი დღე, რომე, მოხვალ სათამაშოთ და ითამაშებ თავდაცვას... ვიღაცა გეყოლება თანამბრძოლი, ახლა მე ვიქნები და უყურე. მე და შენ ვთამაშობთ

თავდაცვას. ამნაირი განლაგება შეიძლება ერთხელ მოგივიდეს ცხოვრებაში. ერთხელ მოგივიდეს და არ შეგეშალოს. მე შემეშალა, ისე რო ვერავინ მიხვდა. ვერ მიხვდენ, გეუბნები. ორმოცდაცხრა წელია და ვიცავთ თავს, მე და შაშიანი იყო ამნაირი, კაი კაცი, დიდებული კაცი და თავდაცვას თამაშობდა ისიც. მე ვორვეს ვთამაშობდი. თუ ხასიათზე იყო, მოგეცეს ლხენა. ხოდა, წყვილი ვართ და ოთხი კაცი გვეომება, რავარები, თუ იცი... შაშიანის ბიძა იყო, ჰასტინგო ერქვა. ასე დაერქმიათ. დეიდამისის ქმარი ძველებური მოთამაშე იყო, თვალს არ აიღებდა მაღლა და იმას ჰყავდა ხალხი. სამი იყვნენ: მანია, ფილფილო და კიდე ფარნა მეისრე იყო ამნაირი, ა, პატარა ფარნა რო არი ახლა, იმის მამა. რვა თვე ეჭირათ ყველაფერი, რვა თვე თამაშობდენ თავდასხმას და კაცი არ დატოვეს. მაშინ გადაღმა იყო კაი კლუბი. კაი იმ დროზე, სად იყო ასე, წყალზე ბიჭს ვაგზავნიდით... ხო, მე და შაშიანი მესამეთ ვთამაშობთ ერთად. მოვიდა შაშიანი და ხასიათზეა და მითხრა, დაუჯდეთ, მაგათი მამინაცვალიც ვიყოვო. და ვთამაშობთ. კარგათ ვთამაშობთ, მოგიყვები მერე. ამნაირი კიდე ერთხელ მოხდება. ხედავ, როგორ გალაგდა, შეხედე იმის ნახატებს, იქითებს და მე და შენ ვართ და შენ ხარ მე და მე ვარ შაშიანი. გამოატარეს, გამოყვა მეორე ეს, მესამე ეს... - ქაღალდებს დააცურებდა მოხუცი დარაბაზე, - გამოვიდენ, შენ ხარ მე, რას შობი?

დათამ ქაღალდი დააგდო მაგიდაზე.

- შენ ხარ მე, - გაუხარდა მოხუცს, - ასე იყო ზუსტათ. რომელი წელია ახლა? ოთხმოცდაცხრამეტი. ორმოცდაცხრა იყო მაშინ. სწორი ხარ შენ, იმიტო, რო ითვლი, რო მე რო ვარ შაშიანი, ან გავატარებ სვლას შენ სახელობაზე, ან ამას მოვალ, შეხედე, ა... მარა შეცდომაა. უყურე, - დათას ქაღალდებში ჩაფოთიალდა მოხუცი, - ეს...

- ეს? უღელი? - გაუკვირდა დათას, - ამით რას ვიზამ?

- ამაშია... სამჯერ უნდა გაგიტაროს შაშიანმა და მერე დაარტყამ ამას, მერე შაშიანი ურტყამს ამას, შენ ატარებ და მერე შაშიანი ურტყამს ამას... ხედავ, შვილიშვილო? ეს ვიფიქრე ასი წლის მერე, მარა ამნაირი ქაღალდი მოვა კაცის ცხოვრებაში ერთხელ და მოსვლია ბევრს და ვერ მიმხვდარა, ვერც თითონ და ვერც თავდამსხმელი. რო მოგივა შენც, იცოდე ეს... თუ უბრალო რამე მაინც აქ შენ მეწყვილეს, სულ უქაღალდოთ გააჩერებ ამ მამასახლისს და ტყავსაც. ეს არი სწორედ ინტი. სწორედაც ამნაირ გაქცევაზე უნდა ლაპარაკი... ასე ცხოვრებაშიაც რო დაგიდგეს. ათასი რამეა ცხოვრებაში. ინტის მოთამაშეს ის დანახვა აქ ცხოვრების, რომე... ის კი არა, შვილიშვილო, ვითომ რო თამაშობენ ეზოში და ქალებს რო გაუწყობენ, აბა, ინტის დრო მოვიდაო. ნამდვილი მოთამაშე ვინც არის, იმას ვამბოფ. სხვანაირი დანახვა აქ ცხოვრების, ის ყოველთვის შეხედავს პირდაპირ ამბავს კი არა, იმის უკან რა არი და წინ რა იქნება, რა მოსდევს და როგორ. ეს შეუძლია და ინტის მოთამაშესთვის ცხოვრება თამაში კი არ არის, ის არის, რომ თან თუ სულ თავდამცველი ხარ, თუ აირჩიე, რო თავდამცველი ხარ, მაშინ უნდა შეხედო ასე და შეცდომა წაგებაა. მაგიდაზე არაფერია წაგება, მოინელებ, როცა მოგებაც იცი. ცხოვრებაში კიდე წაგებისგან გაქცევა მოსპობისგან გაქცევაა. ეს ისე, როგორც გაატარე, გამოდი. ასე უყურებს ინტის მოთამაშე ცხოვრებას. ამ გატარება-გამოტარებას ვერ წაუხვალ და წაიღეს, მოშპონთეს ერთი ქაღალდი. რო გითავდება ქაღალდები, ხედავ, რო შემოგინგრიეს ციხესიმაგრე და რაღა ხარ მერე? ყოველთვის ამნაირათ შეხედე ამ თამაშს და მერე ცხოვრებაში ზუსტათ გეცოდინება, რო მოდის ამნაირი ქაღალდი, რას ნიშნავს და რა უნდა უქნა...

- ბიჭი ნუღა გადამირიე, ბაბუა, - მათალომ ერთხანს შორიდან უყურა მათ ამბავს, მოვიდა და ხელები მოხვია ორივეს.

- ეს... ვისრამიანია, ხო იცი, - თქვა კოხი მეისრემ, - ვისრამიანია და ინტის თამაშობს...

- რას მეუბნები, ბაბუა, - გაეცინა მათალოს, - ჩემი ბიჭია ესა, ჩემი მათათულას ძმა არი... ერთათ ვათამაშებ და ერთათ ვასწავლი... შენ რა გგონია?

მოხუცმა განზე გაიხედა და ვითომ ისე უთხრა მათალოს, დათას რომ არ გაეგო: - პირველი იქნება... სულ თავდაცვაში მოიგებს...

იმ საღამოს შემდეგ დათა ხშირად ხვდებოდა ხოლმე კოხი მეისრეს. რას აღარ მოისმენდა მისგან. მათალომ ერთხელ ისიც კი უთხრა, ეხლა, რო გკითხავენ, ვისი მოწაფე ხარო, შენ უნდა უთხრა კოხი მეისრესიო? დათამ მიუგო, კოხი მეისრეს ხო არა ყავს მოწაფეებიო. რაზეც მათალომ წაუთაქა, ჰეი, რა ეშმაკი ხარო. მოთამაშეებში მაინც იტყოდნენ ხოლმე, მთლად მაშინ არა, მაგრამ მერე, მაგას კოხი დაიჯენდა ხოლმე „სიტი პიაცას“ კაფეში და თავის რამეებს ასწავლიდაო. მართალიც იყო, კოხის ათი ათასი კომბინაცია გამოეგონა და თავს მათი გარჩევით და ჩვენებით ირთობდა, მაგრამ ყოველი ასეთი გარჩევა-გათამაშება ლექციასავით იყო. მოხუცი ყოველთვის დათას გაუმართავდა ხოლმე ასეთ ამოცანობანას, მაგრამ მოგეხსენებათ, კაფეს ტერასაზე სხვა მოთამაშენიც იყვნენ და ყველა შემოუდგებოდა ხოლმე მათ მაგიდას. ხმაურობა რომ დაცხრებოდა, მოხუცი კიდევ ცალკე გაუბამდა ხოლმე ლაპარაკს, შინ თავს გააცილებინებდა და ათას რამეს კიდევ უყვებოდა და ჩააგონებდა.

კოხი მეისრე იმ გაცნობიდან ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა, „სიტი პიაცას“ ტერასაზე, ჭილის სავარძელში. შუადღიდან იქ იჯდა და ერთხანს ეგონათ, რომ ეძინა. მას რომ კრძალავდნენ, მოინტენი მწკრივში ჩადგნენ და ყველა სათითაოდ გამოეთხოვა. მიცვალებულს კუბოში ულაგებდნენ ბანქოს შეკვრას, თითქოსდა იმ ქვეყნად გასატანებლად. დათამაც ჩაუდო თავისი შეკვრა, წინა დღით იყიდა სახელოსნოებში ას ოთხმოც ფუნტად და არ დანანებია, ხელით ნახატი ქაღალდები იყო და თითოეულს ზურგზე ეწერა - კოხი მეისრეს დათასგან.

დათასაც დარჩა ერთი ძველი შეკვრა მოხუცისაგან, ასევე წარწერით: დათიას, თავდაცვა, თავდაცვა... თავი არ გაიფუჭო. კ.

დათას სულ ახსენდებოდა კოხი მეისრე, ფიქრობდა, ნეტავ რა გამოვიდოდა, ოდესმე ერთად რო გვეთამაშაო. კოხი მეისრეზე რომ ფიქრობდა ხოლმე, თითქოს უნდოდა იმ დროში ეცხოვრა, როცა ეს გალეული კაცი ახალგაზრდა იყო და როცა „მენშენის“ კლუბში უკრავდნენ: „Out in the west toxas tawn El Paso, I fall in love with a Mexican girl...“

- კი, ალბათ სწორედ ამ სიმღერას უკრავდნენ, ჰენკ ლაკლინი მღეროდა. მოხუც მეისრეს მთელი მთები ჰქონდა ძველი ფირფიტებისა და ღიღინებდა ხოლმე: Please, help me, I’m faaalling... in love to youuu... ამას იმგვარი გრძნობით წაიღიღინებდა, დათა ხვდებოდა, რომ ამ ღიღინს იქით რაღაც იმალებოდა, ძალით დავიწყებული და ეგრეც დაუვიწყარი თავგადასავალი იმალებოდა. დათა მაშინ ოცდასამისა იქნებოდა, ცოტა მეტის და დიდად ვერ ხვდებოდა და ვერც ეკითხებოდა მოხუცს.

და ახლა, ამ ნაშუაღამევს, ამ უცნაურ და ტალღებს მიდგმულ ადგილას, რომელსაც ასე შეეჩვია ბოლო დროს, მას სწორედ კოხი მეისრე გაახსენდა.

- სემ, - ჰკითხა უცებ დათამ, - რა იყო მაშინ?

- როდის, ჯეკ...

- მაშინ, როცა ბიჭი იყავი, თქვენი მამები როგორები იყვნენ?

- ჩვენი მამები ჯიგრები იყვნენ, უბრალოდ ჩვენ არ გვენდობოდნენ... ჩვენ კიდე გავახურეთ. სიგიჟეები შევიყვარეთ. მერე მამებიც ვერ გავხდით. არც გვინდოდა, მამები რომ ვყოფილიყავით. გვინდოდა, რომ სულ ბიჭები ვყოფილიყავით... იცი, რას იზამდა მამაჩემი ასეთ დროს? უბრალოდ, ჩუმად გამოაცურებდა თავის ნავს, ჩაგსხამდათ შენ და შენს ძმაკაცს, და გაცურავდა. წაგიყვანდათ და დაბრუნდებოდა, ოღონდ არ გენდობოდათ. იმიტომ დაგეხმარებოდათ, რომ მართლა არ შეეშინდებოდა თქვენი და ეცოდინებოდა, რომ დახმარება წესია. ისე მოკვდებოდა, რომ ერთხელაც არ გაახსენდებოდით. მე კიდევ, ჯიგარი უნდა ჩავიხიო, არც ნავი მაქვს, არც ის შემიძლია, რო ვიღაცას მოვპარო და ვიღაცის იმედზე ვარ. ვერც წამოგყვებით, მაგრამ შემიძლია, რომ თქვენი გულისთვის აი, ეს მეორე ხელიც მოვიჭრა და ძაღლებს გადავუგდო. ბოლომდე გენდობით და ბოლომდე მიყვარხართ, მაგრამ ვერ გეხმარებით. აი, ამით ვჯობივარ მამაჩემს...

ხელი

ის იწვა ძალიან მძიმე და ძალიან დიდ, ჩამუქებულ, მაღალზურგიან საწოლზე, რომელზედაც გაჭირვების დროს ალბათ რვა კაცი დაიძინებდა. საწოლი იყო საშვილიშვილოდ ნათალი და შეკრული, ძველი ხელოსნების ნაკეთი. იდგა ურჩხულის ფეხებზე და იმ მაღალ, მორკალულ საზურგეზე კანტად დაჰყვებოდა ვაზის რტოები და ფოთლები: არცთუ ნატიფად, საგანგებოდ უხეში ხელით ნაკვეთი, საზურგის თავზე კი გამოეკვეთათ ორი უხვმარცვლიანი მტევანი. თეთრეული იყო სადა და უბრალო, თუმცა ოთახში შესვლისას შემოგანათებდათ, რადგან ყოველთვის შუქი ეცემოდა დიდი ფანჯრიდან, რომელთანაც დაედგათ ეს საწოლი. ის იწვა ამ საწოლზე დიდ ბალიშებსა და კოხტა საბნებში ჩაფლული და ცდილობდა, თვალით მისწვდენოდა ხოლმე იმას, რაც ფანჯრის იქით იყო და ზოგჯერ ახერხებდა კიდეც, თუმცა ამას ვერავინ ამჩნევდა. თვითონ ძნელი საცნობი იყო, რადგან ამ ორ თვეში მეტად წამოზრდოდა წვერი, რომლის გაპარსვაზეც ვერაფრით დაითანხმეს. ისე კი, სუფთა და რთული ავადმყოფი იყო, როგორც ექიმები იტყვიან ხოლმე: იწვა იმ თეთრებში, თეთრწვერიანი და თმაგაწეწილი და თითქოს მისგან მხოლოდ თვალები დარჩენილიყო. ამ თვალებს ვერაფრით გაექცეოდა ოთახში შემოსული კაცი, რადგან ეს ხანი იყო, თვალებითა და მარჯვენა ხელით ლაპარაკობდა, რადგან სიტყვები დაჰკარგვოდა. ხელსა და თვალებს სიტყვასაც მიაყოლებდა ხოლმე, მაგრამ ეს სიტყვა მხოლოდ თვითონ ესმოდა. რას გაუგებ ასეთი ავადმყოფობით ტანჯულს. რახან ზამთარი იყო, ხშირად წვიმდა და ერთხელ თავადაც თქვა თავისი ავადმყოფობის შესახებ, როდესაც ჭექდა და სადღაც მეხიც დაეცა რაღაცას, რამაც ცის ნათებას გრუხუნის ხმაც მოაყოლა, მან გაიშვირა თავისი, თითქოს სამ ადგილას გადატეხილი საჩვენებელი თითი ფანჯრისკენ და რაღაც წაილუღლუღა.

- მეხია, - თქვა მომვლელმა ქალმა, - მეხია, ბატონო კონსტანტინე, მაგრამ შორს არის.

მან ხელი გააქნია და კვლავ ფანჯარაზე მიანიშნა თითით, მერე კი საკუთარ შუბლზე. მას უნდოდა ეთქვა, რომ ისე დაეცა თავში რაღაც, როგორც მეხი, მაგრამ მომვლელი ამას ვერ მიხვდა. საერთოდ კი, ბევრს ვერაფერს ხვდებოდნენ, ის კი სულ ცდილობდა, რომ რაღაც ეთქვა. უცნაურ, იქამდე უცხო უძლურებას გრძნობდა, ფიქრობდა უცნაურ რაღაცეებზე, რაზეც ბრაზობდა და ამოიგმინავდა ხოლმე. უნდოდა გაეხსენებინა რაღაც და ვერ იხსენებდა, ეს ამოგმინვა კი შეტევის დაწყების ნიშანი ეგონათ ხოლმე. აუტანლად და ძალიან ხშირად ახსენდებოდა ხოლმე ბრტყელი და მწარე ჯოხი, რომელიც მისი ფრანგულის მასწავლებელს ჰქონდა. ეს ქალი ბავშვობიდან მათ სახლში ცხოვრობდა, რათა რატომღაც არჩეული ფრანგული ესწავლებინა მისთვის და მისი ძმისთვის. ამ ბრტყელ ჯოხს შემართავდა, იტყოდა ფრანგულ სიტყვას და ძალიან ნელა და მედიდურად დაუშვებდა ჯოხს დაბლა. მერე ახალ სიტყვას იტყოდა და ისე დაუშვებდა ამართულ ჯოხს, თითქოს მიანიშნებდა, აი, ჯოხი მაქვს და ეხლა დაგცხებო. საშინელი ქალი იყო, ნამდვილად საშინელი. ახლაც ახსოვდა მისი შავი, თეთრსაყელოიანი კაბა, თხელი სახე და ხელები კი არა, ძვლები, ნამდვილი ძვლები, ჩაცვენილი ლოყები, კეფაზე დახვეული თხელი თმა და დიდბალთიანი ფეხსაცმელები. ეს ქალი გამოაღვიძებდა ხოლმე და დაიწყებდა იმ თავისი ჯოხის აწევა-დაწევას. კიდევ ახსენდებოდა მებადურები, მეტივეები, რომლებიც კუნძულებს შუა უბრალო ტივებით გადი-გამოდიოდნენ. მაშინ ასეთი ბორნები იყო. ძალიან უყვარდა ერთი სუნგალი მეტივე, რომელსაც ყოველთვის ჰქონდა რაღაც გასართობი, კოხტად გამოთლილი სოფლური სათამაშო, ანდა ძაფზე ჩამობმული ბურთულა, რომელსაც ძალიან მოხერხებულად ათამაშებდა ხელით, ხან გააქრობდა, ხანაც გამოაჩენდა. იმას სალამურიც ჰქონდა ხოლმე და ასწავლიდა დაკვრას.

ზოგჯერ მოუნდებოდა, რომ მოეყოლა ამათ შესახებ, მაგრამ იღლებოდა და თანაც ხვდებოდა, რომ არ ესმოდათ მისი, რადგან ისეთი სულელური შეკითხვით ჩაეჩრებოდნენ ხოლმე, რომ მოწყვეტით ჩამოუშვებდა შემართულ მარჯვენა ხელს, რომლითაც ლამობდა ამ ამბის მოყოლას.

უცნაურად კი მოუვიდა ყველაფერი. თვითონ არც ახსოვდა, რა დაემართა და როდის. დილით ადრიანად გამოდიოდა ხოლმე საწოლი ოთახიდან და გარეთ საუზმობდა. ზამთარ-ზაფხულ ასე დაჩვეოდა, მაგრამ ყოფილა ხოლმე, რომ ძილქუში დააწვებოდა. მაშინ არც შეიხედავდნენ ხოლმე მის ოთახში. ვინ გაბედავდა იქ შეხედვას, რაც ცოლი მოუკვდა. იქ მხოლოდ მაშინ შევიდოდნენ მისალაგებლად, როცა შინ არ იყო. სხვანაირად არ უყვარდა. ძველი უბრალო ადათი ჰქონდათ: საწოლ ოთახს ყოველთვის ცოლი ალაგებდა, ცოლ-ქმრის საწოლში ვინ შევიდოდა? ასე იყო ძველად და ახლაც ვერ იტანდა, იქ რომ ვინმე დაენახა. ძილქუში ეგონათ, თუ რაც იყო, ორ საათამდე ვერ მიუკაკუნეს და მერეღა შეიჭყიტა მოურავმა მარტიამ, რომელსაც თერთმეტის ნახევარზე დაურეკეს და სწორედ ნაშუადღევისთვის ჩამობრუნდა ქალაქიდან. ეძინა, ოღონდ მარტიას კი ენიშნა, რომ ხელი რაღაც უხერხულად უდევს, სანახევროდ გადმოცურებულია ლოგინიდან და მისი ნასუნთქი მაინცდამაინც ხვრენის ხმა არ არის. მარტია ეცადა გაეღვიძებინა, ზარი დაურეკა, ახმაურდა, მერე შეეხო, შეანჯღრია და მიხვდა: ან მომკვდარა, ანაც კვდებაო. იქ დატრიალდა და რახან თავად ექიმების გამოძახება ვერ გაბედა, ჩამოურეკა მის შვილებს. სამი დღის თავზე კონსტანტინე ვისრამიანმა თვალი გამოახილა. აი, ასე გამოახილა, სხვანაირად ვეღარაფრით. იმის შემდეგ კი აგერ ორი თვე სრულდებოდა და ის კი იწვა თავის ფართო და მძიმე, თითქოს იატაკში სამუდამოდ ჩაჭედილ საწოლზე და ცდილობდა,

რაღაცეები ეთქვა. შვილები მოდიოდნენ, რიგრიგობით და ერთად. მოვიდა მისი ვექილი და სანდო კაცი, სამსონ ბრას მეხუთე, გადმოალაგა ქაღალდები, მას კი ფოსფორისფერი მარკერი მისცა იმ დამტვრეულ და ფერმკრთალ თითებში და სთხოვა, თუკი რამ არ მოსწონდა, სწორედ ამ მარკერით მოენიშნა. მან გაიღიმა და მუშტი შეკრა, თითქოს, ყველას დედას ვუტირებო. ბრასმა გაიცინა, მოხუცმა არცთუ დიდი ყურადღებით ჩაათვალიერა ანდერძი, მაგრამ მარკერით კი, ზედ ანდერძის ქაღალდზე, სცადა რაღაცეები. კარგა ხანს წვალობდა და ბრასი მიუახლოვდა, რათა დახმარებოდა. მოხუცმა თავის ნაწერზე მიანიშნა თითით და ვექილმა დაინახა, რომ მას გაჭირვებით გამოეყვანა ქაღალდზე ოთხი მონასტრული ასო.

- დათა? - ჰკითხა ბრასმა.

მოხუცმა თვალებით მიახვედრა და თან რაღაც თქვა.

- რამე საგანგებო?

მოხუცმა ხელი გააქნია და თითითვე მოახერხა ეთქვა, მოვიდესო.

- მოვიდეს?

მოხუცმა თითი ტუჩებზე მიიდო.

- კარგით, სერ... ყველაფერს ავასრულებ... თქვენ იცით, რომ დიდი პატივისცემა მაქვს თქვენი. ჩვენი ოჯახის რამდენი თაობა ეხმარებოდა თქვენს ოჯახს...

ავადმყოფმა გაიღიმა და ცერი დაანახა.

ბრასმა ქაღალდები აიღო საწოლიდან და მარკერს მისწვდა. მოხუცმა ხელზე წაატანა ხელი.

- დიახ...

ავადმყოფმა მარკერი ჩაბღუჯა.

- დაგიტოვოთ, სერ?

მოხუცმა თავი დაიქნია მძიმედ და ისევ რაღაც თქვა, სცადა, ხელუკუღმა, ბალიშებს ქვეშ შეემალა მარკერი. ბრასი დაეხმარა. იქიდან წამოსული კი ფიქრობდა: „ფანქარი არა აქვს. ექიმებმა აუკრძალეს?“

ქაღალდი და ფანქარი მომაკვდავის ქალიშვილმა კაიამ აკრძალა, იმის მომიზეზებით, რომ ზედმეტად განერვიულდებაო. ამაში ექიმებიც დაეთანხმნენ, ვინაიდან თქვეს, საეჭვოა, მან გამართულად რაიმეს დაწერა მოახერხოს და ეს გააღიზიანებს, რაც ისევ მისავე წვალებას გამოიწვევსო. ვექილ ბრასსაც სწორედ კაიამ დაურეკა, მამა ძალიან ცუდად არის და გთხოვთ, ეგებ მიბრძანდეთ და საბოლოოდ გადაახედოთ საჭირო საბუთებს, კანონის მიხედვით, ვინაიდან მამა ისეთი კაცია, რომ ამაზე ფიქრი გაანერვიულებს და არ გვინდა, სიცოცხლის ბოლო დღეები უარეს ტანჯვაში გაატაროს, რადგან ყოველი მცირე ამბავი მეტად აღიზიანებსო. არც კაიამ და არც ვექილმა ბრასმა არ იცოდნენ, რომ ოთხი დღის წინათ მომხდარი ამბავი, შინაურებს რომ დამბლის განმეორებითი და საბოლოო დარტყმა ეგონათ და საჩქაროდ მოიყარეს თავი კონსტანტინე ვისრამიანის საწოლ ოთახში, სინამდვილეში არაფერი იყო.

ექიმებმა თქვეს, რომ გული საჭიროდ სცემს, წნევა ამ ვითარებისთვის ზომიერია, ეგებ შეტევა მართლაც დაიწყო, მაგრამ მინავლდა, ანდა უბრალოდ გულყრა იყო, რამაც ასე შეგაშფოთათო. ყოველ შემთხვევაში, ეს კიდევ ერთი მინიშნება გამოდგა, რომ აღსასრული ახლოა და ვექილ ბრასსაც ამიტომ გამოუძახეს მოხუცს. კაია ფიქრობდა, რომ თუკი ანდერძში რამე შეიცვლებოდა, მხოლოდ მის სასარგებლოდ.

სინამდვილეში კი არავითარი გულყრა არ არსებობდა. თვალებმილულული, თავგადავარდნილი მოხუცი ჭირისუფლებად ჩამწკრივებულ შთამომავლებს ათვალიერებდა. უჭვრეტდა თავის შვილებს და ვინ იცის, რას ფიქრობდა. კარგა ხანს გაგრძელდა ეს ჭვრეტა, ექიმთა მოვარდნის ჟამსაც კი. მან მოისმინა ექიმთა ხმადაბალი საუბარი, მერე შვილების და ძმისშვილების მღელვარე, ნაგლეჯ-ნაგლეჯი თქმები და თვალიც გამოახილა. ხელი ასწია და თქვა რაღაც. ამან ყველა დაადუმა, ყველა სიხარულით მიესია დიდ საწოლს, კაია ჩამოუჯდა ლოგინის კიდეზე, მისი ხელი მოიქცია ხელებში და ეფერებოდა. მოხუცმა გაუღიმა, თუმცა თავისი საფიქრალი ნაფიქრი ჰქონდა. თქვა რაღაც და იცოდა, რომ ბრასი მეორე დღესვე მოვიდოდა. მან პირდაპირ ასე თქვა: სამსონე მომიყვანეთ, თქვე შტერებოო. ეს, ცხადია, ვერ გაიგეს, მაგრამ სამსონ ბრასი მეორე დღესვე მოვიდა, თუმცა მოხუცს არაფერში სჭირდებოდა ბრასის მოსვლა, ამას უნდოდა, რომ დათა მოსულიყო. დათა სულ ორჯერ იყო ბაბუის სანახავად და არც ერთხელ მარტო. შობა ახლოვდებოდა და უეჭველად მოვიდოდა ოჯახთან ერთად, მაგრამ მოხუცს მარტო უნდოდა დათას ნახვა. სამსონ ბრასი ჭკვიანი კაცი იყო, მიუხვდებოდა. მთელი ეს ამბავი მოხუცმა იმიტომ მოახდინა, რომ შვილიშვილი ენახა.

ახლა კი დათა წინ ეჯდა. შემობრუნებულ სკამზე, ისე როგორც ბავშვობაში, როცა სკამი ცხენი ეგონა. სკამის ზურგს მოაჯირივით დაყრდნობოდა მკლავებით და ფეხები შორიშორს ედგა.

მოხუცი ლაპარაკობდა, არცთუ უღონოდ. ხელსაც მალიმალ ახმარდა სიტყვებს, ოღონდ დათას არ ესმოდა, რას ლაპარაკობდა მოხუცი. დათა არ აწყვეტინებდა, ის თავად შეწყვეტდა ხოლმე, თითქოს დაისვენებდა და მერე კვლავ მოისმოდა ჩამოუქნელი, სადღაც კაცისა და ჰაერის საზღვარზე დაკარგული სიტყვები. მოხუცი თითქოს ღელავდა, დათას მხოლოდ ხანდახან გადახედავდა ხოლმე. ისე ლაპარაკობდა, თითქოს ამბავს ყვებაო. დათა იჯდა ჩუმად და უყურებდა. ვერ ეუბნებოდა, არაფერი მესმისო. არც უნდოდა ამის თქმა, რადგან ბაბუა ეცოდებოდა. მოხუცის ნალაპარაკევი კი მღელვარეც იყო, მშვიდიც და ბრძნულიც, სხვანაირი ვერც იქნებოდა და დათამ უცებ იფიქრა, რომ საბრალო იმას არ ელაპარაკებოდა, რაც თავიდან ეგონა დათას. დათას ეგონა, რომ ბაბუა უხსნიდა, რომ აუცილებელი იყო, ვისრამიანებს სწორედ ის ჩადგომოდა სათავეში, შექნილიყო მათი მამასახლისი და საგვარეულო ისე ემართა, როგორც ბაბუას წარმოედგინა. სიკვდილის წინ მოხუცი კიდევ ერთხელ სთხოვდა დათას, რომ ოჯახს მობრუნებოდა და დედისა და ბიძებისთვის დაემტკიცებინა, რომ ბაბუამ ტყუილად არ ამოირჩია. დათა რომ აქეთ მოდიოდა, იცოდა, რომ ბაბუას სწორედ ამის თქმა უნდოდა. როგორ ეტყოდა, თვალებით, იმ მოუღლელი ხელით, თუ კიდევ რაიმე სხვა ხერხით, დათამ არ იცოდა, მაგრამ პასუხი კი ადრევე მოფიქრებული ჰქონდა. იოლი პასუხი იყო: კაი, ბაბუა. მერე მოხუცს ვეღარავინ ეტყოდა, დათამ არ დაგიჯერა და ბოლო სურვილი არ შეგისრულაო. მაგრამ ახლა, ამ დიდ ოთახში სკამზე გადამჯდარმა დათამ რატომღაც იფიქრა, რომ ეგებ მოხუცი სულ სხვა რამეზე ლაპარაკობდა. ამას თითქოს თვითონ

ბაბუა ანიშნებდა, რადგან ძნელი იყო იმის წარმოდგენა, რომ მოხუცს ამგვარი მონდომებით და ამდენ ხანს ელაპარაკა იმაზე, რაც უკვე არაერთხელ ეთქვა მისთვის ბოლო წელიწადს. მოხუცი დაღლილი იყო, უფრო მეტხანს დუმდა ხოლმე და მერე ხვნეშით წამოიწყებდა რაღაც ახალ ამბავს, ახალ შეგონებას თუ რჩევას. ვინ იცის, რაზე ლაპარაკობდა და რას მოუთხრობდა შვილიშვილს, ეგებ ხედავდა რაღაც საშინელს და უწერელს, რაღაც ისეთს, რისგანაც სწორედ ამ ბიჭის დახსნა უნდოდა, ეგებ მიმხვდარიყო, რომ იქ, სადაც თვითონაა, სარკეები სულ სხვანაირია და ეგებ დათას არიგებდა, როგორ მოქცეულიყო.

მერე, როცა კონსტანტინე ვისრამიანი ცოცხალი აღარ იყო, დათამ უკვე იცოდა, რაც უნდა ექნა. აშინებდა ის, თუ როგორ მიხვდა ბაბუა ყველაფერს და როგორ სცადა, რომ ერთი მაინც გადაერჩინა, ერთი მაინც დაეტოვებინა ადამიანად, ისეთ კაცად, რომელიც რაიმეს დაწყებას შეძლებდა. დათამ ეს ყველაფერი იცოდა, იმიტომ, რომ მაშინ, როცა ბაბუამ თითქოს დაამთავრა ლაპარაკი, დათამ ვერ უთხრა: კაი, ბაბუა; აღარ იცოდა, რაზე ეთქვა კაი და ამიტომ გაჩუმდა, ჩააცქერდა იატაკს, შინდისფრად შეღებილ გრძელ ფიცარს გააყოლა თვალი.

ბაბუა გულაღმა იწვა და ჭერს შესცქეროდა, დაღლილი იყო, სულ სხვანაირი, თეთრწვერა, ორი პატარა შავი წერტილით ფერმკრთალ და გალეულ სახეზე.

დათა წამოდგა, თითქოს უნდა გამოთხოვებოდა, ჩახუტებოდა და რაღაც ეთქვა. ამ დროს მოხუცმა იფხიზლა და ხელი დაუქნია. დათა მიუახლოვდა, იფიქრა, ახლა ჩავეხუტებიო, მაგრამ მოხუცმა ცერით ბალიშზე მიანიშნა. დათამ იფიქრა, ბალიშის გასწორება უნდაო, მაგრამ მოხუცმა თავი გააქნია და რაღაც უთხრა, კვლავ ანიშნებდა ცერით ბალიშისკენ. დათამ ბალიში შეასწორა და მოხუცმა კვლავ რაღაც ამოილუღლუღა. ცდილობდა, იმ ხელით ბალიშის კიდეს მისწვდომოდა.

დათამ ბალიშქვეშ შეყო ხელი, რადგან იფიქრა, რაღაც უნდა მომცესო. იქიდან ფოსფორისფერი მარკერი გამოიღო, მეტი ვერაფერი ნახა.

მოხუცს თითქოს გაუხარდა, თითით ანიშნა, სარქველი მოხსენიო და მარკერი გამოართვა. მერე თითქოს საბანი მოისწორა გულზე და ზედ ამ საბანზე მარკერით ხატვა დაიწყო.

დათა დასცქეროდა. მოხუცი ასოების გამოყვანას ცდილობდა. დათა მიხვდა, რომ ბაბუა რაღაცის დაწერას აპირებდა და მიეხმარა, საბანს ხელი გადაატარა. მოხუცმა ღიმილით შეხედა და ისე, რომ ხეირიანად ვერც ხედავდა საბნის ამ ადგილს, წერა განაგრძო. ოთხი ასო გამოიყვანა საბანზე და დათა მიხვდა, რომ ბაბუამ ყველაფერი უთხრა. დაბრეცილი ასოები იყო, ალთას და ბალთას, ხეირიანად არც ეტყობოდა საბანს.

მოხუცმა მარკერი გაუწოდა და გაუღიმა, კმაყოფილმა და თითქოს მოსვენებულმა.

- ინტი, - საბანზე ოთხი ასო ეწერა.

მოხუცმა ხელი აუქნია დათას, თითქოს უთხრა, წადიო. რამდენჯერმე აუქნია ხელი, ისე, შემოჩენილ ბუზს რომ იშორებს ხოლმე კაცი, და დათამაც უთხრა: - კაი, ბაბუა... კაი...

მოხუცმა გაიღიმა და კვლავ აუქნია ხელი, თუმცა, იმავე ხელით მიიხმო და დათაც მივიდა, საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა და იმან კი ის გადარჩენილი ხელი დაჰკრა მხარზე. ისე ეშმაკურად, ისე ახალგაზრდულად, რომ დათას გააჟრჟოლა, მოეჩვენა, რომ ბაბუამ თვალიც კი ჩაუკრა. მერე კი მოხუცმა კვლავ აიქნია ხელი და დათამ ისევ უთხრა: - კაი, ბაბუა.

ოთახიდან რომ გადიოდა, კვლავ მოხედა საწოლს.

მოხუცმა კვლავ ასწია ხელი, ის თითქოს სამგან გადატეხილი საჩვენებელი თითი დაანახა. ასე ეჭირა ეს თითი და დათამ კვლავ უთხრა: - კაი, ბაბუა.

ზღვას ვერ დალევ

ახლა მგონი ყველაფერი მზად იყო, კაციც და ბარგიც, საწვავით სავსე ორი პატარა კასრიც და წყლის ახალი ბალონიც, რომელიც ბარის საწყობიდან გამოიტანეს. ათასგვარი სახრახნებითა და სადგის-დანებით მუცელგამოტენილი ჯაყვა ბერს ჰქონდა. იქვე ელაგა ერთი კარგი რევოლვერი და კომპასი, რომელიც სემმა მოიტანა საიდანღაც. სხვა ბარგი არ გააჩნდათ. ვინ იცის, ათასი რამ დასჭირვებოდათ, მაგრამ არ იყო და რას იზამდნენ. სამაგიეროდ, ნავზევე იპოვეს ორი ძველი, მთლად მარილგამჯდარი ლაბადა და ფლისის სამეზღვაურო ქუდი. კატერი ძველი იყო, ორი სავარძლით და გვარიანად ჟანგიანი ფერდებით, თუმცა ღამით ამას ვერ შეამჩნევდი. თუნდაც ზღვიდან გეძებნა და არა ხმელეთიდან. ბარის პატრონმა ისე მოახერხა, რომ ნავი ბარის გარაჟში შეათრია. მართალია, იქ არ შეეტია და ცხვირი გარეთ ჰქონდა, მაგრამ აქეთ მომსვლელი და შემმოწმებელი ცოტა იყო და ცხვირს არა უშავდა. ბარი ისედაც დაკეტილი იყო, რადგან ღამით აქ არავინ მოვიდოდა, სემს კი დღისით მუშტარი არასოდეს ჰყოლია.

ეს დილამდელი ბარი იყო, ერთ-ერთი იშვიათი ამ ქალაქში და „ჩაილდ ჰაროლდი“ ერქვა. მივარდნილ ადგილას, ნავსადგურს იქით ძველ ფარდულში გაეხსნა მღელვარე და ძილნაკლული იერის ცალხელა ძიაკაცს, სემ ლობსკუსერი რომ ერქვა.

დათას ადრევე გაეგონა ეს კაცი და ეს ბარი. ბოლოხანს ხშირად მოდიოდა ხოლმე აქ. უფრო სწორად, ყოველ შაბათს, გამთენიისას, თამაშის შემდეგ. მაგრამ მთელი თვე ისე გავიდა, რომ აქამდე ვერაფრით მოაღწია.

დათას ყველგან ეძებდნენ: იქითაც და აქეთაც. სახითხითო რამ იყო, შინაურებს მტრის ქალაქში ემალებოდა ხოლმე, მტრებს - შინაურების ქალაქში. იმავე დროს კი მტერს გაურბოდა მტრის ქალაქში, შინაურებს - შინაურების ქალაქში. მერე ომი ძალიან უცნაური შეიქნა. მტერმა თითქოს მთელი ქალაქი დაიჭირა, მაგრამ შინაურებს რაც კი მოუნდებოდათ, იმას ახერხებდნენ ამ მტრისგან დაჭერილ ქალაქში, რისგანაც დათას შეღავათი არ შეხვედრია: მას ისევ ძველებურად უწევდა დამალვა და არავინ იცის, ასე როდემდე გაგრძელდებოდა, ერთ მშვენიერ დღეს ჯარი მონასტერს რომ არ შესეოდა.

ეს მოულოდნელი და წარმოუდგენელი ამბავი იყო. ომის დროს არავინ მიკარებია არც კათოლიკეთა დიდ ტაძარს, არც ანგლიკანების წოწოლა ეკლესიებს, არც მეჰმედის მეჩეთს. იმ დილით კი ორასი სუნგალი მიადგა მონასტერს.

წინ თავად ხეტია მიდიოდა. დათას არ უნახავს არც ეს სვლა და არც ეს ამბავი, მერეღა უამბო პანტელეიმონ ბერმა. პანტელეიმონ ბერს ახლაც სჯეროდა და ვერ გადაარწმუნებდი, რომ ხეტია სულ სხვა რამისთვის იყო მოსული მონასტერში და არა იმისთვის, რაც გამოუცხადა წინამძღვარს.

მან უთხრა, რომ ქალაქის განფენილობა იმგვარია, რომ მონასტრის რვა სარკმლიდან სულ იოლად შეიძლება ჰკრა ტყვია ციხესიმაგრის ჩრდილოეთ სარკმლებს. წინამძღვარმა მიუგო, რომ რასაც სარდალი ამბობს, შეურაცხყოფაა. ხეტიამ თქვა, რომ შერჩეულ ფანჯრებში კაცები უნდა ჩააყენოს, რაზეც წინამძღვარმა უპასუხა, რომ ამას მაშინ გააკეთებს, როცა ყველას დახოცავს მონასტერში. ხეტიამ თქვა, რომ მონასტრის გარშემო ჯარს დააყენებს და არც არავის შეუშვებს შიგ და არც არავის გამოუშვებს. წინამძღვარმა უპასუხა, რომ ნება მისია, ხოლო ხეტიამ თქვა, რომ ეზო უნდა მოათვალიეროს, და ამ საქმეს საათი მაინც მოანდომა. პანტელეიმონ ბერს ვერ გადაარწმუნებდი, რომ ხეტია სულ სხვა რამისთვის მოვიდა, რადგან უბრალო გასროლების არ შეეშინდებოდა. ის რაღაცას ეძებდა, რაღაცის კარგად შეთვალიერება უნდოდა.

ხეტია არ იყო ისეთი კაცი, ჯიქურ რომ მოვა. ხოლო რას ათვალიერებდა მონასტრის ეზოში, პანტელეიმონ ბერმა არ იცოდა. ის რაღაცას ეძებდა.

რას ეძებენ ასეთი კაცები?

ან თავშესაფარს, ანდა განძს. სხვას ასეთი კაცები ბევრს არაფერს ეძებენ. ასე მიაჩნდა პანტელეიმონ ბერს. დათას კი დიდად არც აინტერესებდა ეს ამბავი. ისინი ოთხ დღეს ელოდნენ დათას ძველ მეგობარს, პატარა ფარნას, რომელიც უნდა მოსულიყო, მაგრამ ფარნა არ მოვიდა. ფარნას უნდოდა, რომ ფული მოეტანა მათთვის. პანტელეიმონ ბერი ძალიან ღელავდა, რადგან ხვალინდელი დღის არაფერი იცოდა, მას კი არ შეეძლო რაიმე მაინც არ სცოდნოდა ხვალინდელი დღისა. ჰარისის ამბები მხოლოდ აშფოთებდა და აღიზიანებდა. ბევრ რამეს გადაევლო მის თავზე ამ დღეებში. ჯერ მარტო ის რა ამბავი იყო, რომ ლოცვა-კურთხევა მიიღო წინამძღვრისგან. პანტელეიმონ ბერი დიდხანს ითმენდა, დიდხანს ვერ წყვეტდა, არც ვინმეს უმჟღავნებდა თავის გულის ფიქრს. დათასთვისაც კი არ უთქვამს, წამოგყვებიო. მაგრამ იმ ღამეს, როცა მონასტრის ალაყაფთან გუშაგები დადგნენ, წინამძღვარს გამოუტყდა. დიდხანს ილაპარაკა, ილაპარაკა ისე, როგორც სჩვეოდა, წრფელად და მთრთოლვარე ხმით, განცდითა და ყოველგვარი წვრილმანით უამბო ყველაფერი დათას შესახებ, იმის შესახებ, რომ დათა უნდა გაიქცეს, უნდა წავიდეს საქართველოში და ეგებ ეს ერთადერთი რამეც იყოს, ამ კაცს რომ გადაარჩენს.

- შენ უნდა გადაარჩინო ეგ კაცი, - უთხრა წინამძღვარმა და პანტელეიმონ ბერს კინაღამ გული წაუვიდა. ის დაემხო და ცდილობდა ეპოვა წინამძღვრის ხელი, თუმცა მოხუცმა არ დაანება.

- წადი, ეს იოლი არ იქნება, წადი და მაშინ დაბრუნდი, როცა ეგ კაცი გადარჩება. გადაარჩინე. ღმერთმა დაგლოცოს, ვილოცებთ შენთვის.

პანტელეიმონ ბერი დილით სამონასტრო მანქანით გამოვიდა გალავანს აქეთ. დარაჯებმა, დაბრუნების საათი ჰკითხეს, ამან კი ათასგვარი რამ უთხრა საათის გარდა.

მერე პანტელეიმონ ბერი ხეირის უბნისკენ წავიდა. უცნაური იყო, მაგრამ ლამის პირველად დადიოდა მანქანით ამ ადგილებში. მანქანები ცოტა იყო, ამინდი კი დიდებული. კარგი ზაფხული იყო, მაგრამ ვიღას ახსოვდა ზაფხული. მან ერთ მოზრდილ ეზოში შეაგორა მანქანა. იქ ცხოვრობდა დათას მეგობარი პატარა ფარნა. პანტელეიმონ ბერმა გასაღები მანქანაში დატოვა და იქიდან ერთი გამოტენილი საკვოიაჟი და ერთი მომცრო ყუთი გადმოიტანა. საკვოიაჟს თოკი მოარგო და მხარზე გადაიკიდა, ყუთი კი ხელით მოჰქონდა. მისი იღბალი იყო, რომ ქალაქი უკვე მთლიანად ერთ ჯარს ეჭირა. სიარული იოლი იყო, გადაპარვა არ მოუწევდა და გადაპარვა ვერც ხერხდებოდა. დათასაც რამდენი გასაჭირი გადახდა, როცა აქეთ-იქით დაძრწოდა.

- მაგ საკვოიაჟში რა გიდევს, მამაო? - ჰკითხა უცებ სემმა.

- ეს... - პანტელეიმონ ბერი ისედაც ღელავდა, - ეს... მამებმა მისაგზლეს. წინდებია და მცირე რამ სანოვაგე...

- არა, იმიტომ გეკითხები, რომ ბისკვიტები იყოს, კარგია, ბისკვიტი არ ძველდება.....

- ეს ხმიადებია. მონასტრის ხმიადები.

- რას არ გაიგებს კაცი, - ჩაიქირქილა სემმა, - ისე მიდიხარ, რო არ გამასინჯე... და ემაგ ყუთში რა გიდევს?

- თავი დაანებე, სემ, - გაეცინა დათასაც, - რა გეტაკა?

- არა... მგზავრობაში ათასი რამეა საჭირო. უნდა ვიცოდე, რა იცი, ეგებ უსარგებლოა...

- ეს ჯვარ-ხატია. ნავის ჯვარი და ხატი. ეს... ფარნა მედროშემ დაგვიტოვა მაშინ. დაგვიტოვა და აღარც გამოჩნდა... ძველად, როცა ზღვაში გადიოდნენ, მეწინავე ნავზე ეს ხატი იყო დასვენებული და ეს ჯვარი.. ეს...

- სხვამაც იცის? - აღშფოთდა უცებ სემი.

- ვინ სხვამ?

- აი, გამომატანაო... სხვასაც ცოდნია.

- დაწყნარდი, სემ, - უთხრა დათამ, - ფარნაზე ამბობს...

- შენ დაწყნარდი, მე არა მიშავს, მე აქა ვარ. ცალი ხელი მაქვს, მაგრამ ნამდვილი. თქვენ რა გაქვთ? ამას ვარკვევ.

ღამე იყო. სემი ვერ ისვენებდა, იჯდა და ლამპის პატრუქს აწვალებდა. აუწევდა და დაუწევდა. მამა პანტელეიმონ ბერი ლოცულობდა, ბუტბუტებდა.

დათა კი იჯდა და ბარის დახლზე გაშლილ რუკას ჩაჰკირკიტებდა.

- მისმინე... - წასჩურჩულა სემმა, - აი, აქ ხარ...

დათას გაეცინა. ჩვეულებრივი ტურისტული რუკა ედოთ წინ.

- აი, აქ ხარ... ესე იგი, კურსი სამხრეთ-აღმოსავლეთი. სულ სამხრეთ-აღმოსავლეთი და მიადგები ნაპირს. საერთოდ, ამ ზღვიდან ვერსად გახვალ. მაგრამ სამხრეთ-აღმოსავლეთი. შეხედავ კომპასს და მიატრიალებ საჭეს. ვარსკვლავებით არ ვიცი. მეტი მეც არ ვიცი. ეს ნავიც საიდან მოვიყვანე, არ გიკვირს? მთავარია, საწვავი გეყოთ... შენი ძმაკაცი კი არ ჩანს.

- ფარნა აღარ მოვა, - თქვა დათამ.

- რა იცი?

დათამ თავი ჩაღუნა.

- კარგი არაფერი იქნება...

- მისმინე, მეით... სწორედ კარგი დროა, როცა არც გათენებული იყოს და არც მთლად ღამე. ამ დროს ყველას ძინავს, გუშაგიც თვლემს... როცა გახვალთ, მე სახურავზე ავძვრები და თუ რამე იქნა, დავუშენ. იმათ თუ ზემოდან მოგაყოლეს, მე აქედან შევუშვერ. იცი, როგორ მიჭირავს თოფი? კბილებით ვცვლი ტყვიებს...

- კარგი, კარგი... - თქვა დათამ.

- ესე იგი, მიდიხარ... აი, რა მშხამავს, მეით. აი, რა მშხამავს... ეხლა ეს მითხარი და მთავარი. ამდენი ხანია მინდა, რომ ვიცოდე, რატომ მიდიხარ იმ ბეჰემოტის ადგილას? კურსი რომ აგერიოს და მოხვდე ან აქ, ან აქ, ძალიან გეწყინება? მთავარია, რომ ზღვაში ერთ ადგილას არ იტრიალო. ამის მეშინია. ნავით თუ გივლია სადმე?

- არა, - თქვა დათამ.

- რატომ მიდიხარ? აქ ხო შეგიძლია სხვანაირადაც, ჰა, მეით...

- არა, - თქვა დათამ, - წავალ. მგონი, იქამდე ახლოა, ვიდრე...

- ეს რა კაცია? რა გულის კაცია? როგორ მოგყვება. მე ხო მივხვდი. დარჩებოდა, მაგრამ მარტოს არ გიშვებს. ჩემგან ძალიან წყინს ყველაფერი, ჩვენი ამბის არაფერი გაეგება. უთხარი, ნავში ეგ ანაფორა გაიხადოს და ლაბადა ჩაიცვას. გაწვალდება... მისმინე, მეით, გვიან დაქოქე, მანამდე ნიჩბით ეცადე და ჯერ სამხრეთით წადი, აქაურ წყალს რომ დროზე გაშორდე და მერე კი აიღე მკაცრი სამხრეთ-აღმოსავლეთი... მეტი მეც არ ვიცი, რა ვქნა?

- არაფერი, სემ, რა უნდა ქნა? წავედი...

წამოიშალნენ. მაგრამ ჯერ სად იყო, სანამ გარაჟიდან ნავი გამოათრიეს და ნაპირს მიუყენეს. პანტელეიმონ ბერმა პირჯვარი გადასახა დათას და თვითონაც გადაისახა. დაბნეული იყო, მაგრამ სიბნელე უმალავდა არეულ სახეს. სემი მუხლამდე წყალში იდგა, ნავს აწვებოდა. ბერმა მასაც გადასახა პირჯვარი.

- მაცადე, მეით, მცხვენია ეგეთი რაღაცეების, - წაიჩურჩულა სემმა, - მე ეხლა სახურავზე ავძვრები და ციხესიმაგრის მხარეს გავიხედავ. თუ რამეა და, იცოდე, ვესვრი. რა ბედნიერებაა, რომ ამ ნაპირზე შუქურას აღარ ანთებენ. არავის ელოდებიან და რათ უნდათ... ესე იგი, სულ წამსვლელები არიან, მომსვლელი - არავინ.

სემმა ხელისგული შეუშვირა ნავზე მყოფებს: - გივ მი ფაივ... მეითს.

სველი ხელისგული ჰქონდა. ორივემ ჩაურტყა მარჯვენა.

- წადი, სემ... - უთხრა დათამ.

პანტელეიმონ ბერი ჩაჯდა, თითქოს დაპატარავდაო. თავჩარგული იყო და ბუტბუტებდა. ხატი დაესვენებინა ბალონზე.

- მისმინე, მეით, - ქურთუკის ჯიბეში იქექებოდა სემი, - სადაც მიდიხარ, იქ არი „კრეივენი“?

- არ ვიცი, - უთხრა დათამ.

- არ იქნება, არასდროს... აი, სამი კოლოფი... მეტი ვერ ვიშოვე. მოიწერე და რაღაცას ვიზამ... - სიგარეტის კოლოფები გადაყარა ნავში სემმა. კიდევ ებღაუჭებოდა ნავის კიდეს, - ხომ იცი, რაც მშხამავს? მოდით ხოლმე ჩემთან, მეით, თქვენნაირები რო მოშხამეს, ისეთები. მოდით... ერთ დროს ორმოცი ტყვია მომხვდა ხელში... აი, დრო იყო. ეს მიკვირს? არა...

- წადი, სემ, - თქვა დათამ და საჭესთან გადაბობღდა, - წადი.

არც წინ ჩანდა რამე და არც უკან.

თუმცა, უკან ლამპა ბჟუტავდა ჰარის ბარში. სემი ნაპირისკენ წავიდა. ტალღების ხმა იყო, მეტი არაფერი.

- ნიჩბები... ჯერ ნიჩბები, - პანტელეიმონ ბერს ხმა უთრთოდა, - ასე არა თქვა, ჯერ ნიჩბებითო...

სამი თვალხილული მსტოვარი

ის ფირფიტა და მოდარდენი, ბიჭობა პანტელეიმონ ბერისა

როდესაც ჰომილეტიკის მოძღვარი, მამა კირიონი ამ ოსტატობას ასწავლიდა სემინარიელებს, ისე გაიტაცებდა ხოლმე ქადაგება, რომ მოჰყვებოდა და მოჰყვებოდა და რა გინდა წერილის სიტყვას არ მოიტანდა, რათა დაესაბუთებინა, სემინარიელთა წინაშე გაეტარებინა იმ საცდურთა სიმახინჯე, რომელიც მათ თვალთა წინ აფერადებდა ეშმაკეულ ფერადოვნებით, როდესაც კი მოწაფენი სთეითის უბნის ფერდზე, ღვთიშობლის ეკლესიის შორიახლო მკვიდრად ჩამდგარ სემინარიის შენობას გასცდებოდნენ დასასვენებელ თუ შინ გასატარებელ დღეებში. მოხუცებული დიდის ხატოვნებით აღწერდა ქალაქის ბრჭყვიალა სურათებს და ზოგჯერ იმასაც იფიქრებდი, რომ დიდი მცოდნე იყო ამ ბასილისკოს სამეფოსი, მაგრამ იქვე ამ სურათებს ახსნიდა წმინდა მამათა გამონათქვამებითა და სრულიად შემაძრწუნებელ ხილვათა გადმოცემით, რაიც ისევე მოქმედებდა სემინარიელებზე, როგორც ის წინა,

ეშმაკეული და ფერადი სურათი. ეს ჰგავდა ჩოგბურთის თამაშს, მამა კირიონი ჯერ ააგდებდა ბურთს ჰაერში და მერე კი მთელი ძალით დასცემდა ჩოგანს.

ამ ლექციებიდან ის გამოდიოდა, რომ ქალაქად გასულ ყოველ სემინარიელს ძებნა არაფრისა სჭირდებოდა. ყველამ ზუსტად იცოდა, სად გაუშლიათ საცირკო კარავი, სადაც სამფეხა კაცი და წვეროსანი ქალი არიან და სადაც თურმე ცხენები ლაპარაკობენ, ვიღაცა კი ჯიბიდან იღებს ანთებულ მაშხალას. აღარაფერს იტყვი ტანმოვარჯიშე ქალებზე, კარვის გუმბათში რომ გამოეკიდებიან ხოლმე, ვინაიდან ქალისთვის ქვემოდან შეცქერა ცამეტის, ანდა თოთხმეტის წლის ბიჭისათვის, რომელსაც სემინარიელის შავი სერთუკი აცვია, დიახაც საინტერესო და გონისამრევი რამ არის, მაგრამ რა საჭიროა ასეთი შეცქერა, როცა სემინარიელი ხეირის ქუჩის კუთხეში მივა, იქ კი მიაგნებს ერთ ძვირიან კაფეს, რომელსაც ჰქვია „ტრაგილტო ბრევე“. ამ კაფეში სამყაროს ყველაზე იაფი და ხელჩაქნეული მეძავები იკრიბებიან, ოღონდაც ნასამხრევს, როგორც მეძავთა წესია, ისე თუმცა ხელჩაქნეულთა შორის უხელჩაქნეულესნი ნაშუადღევიდანაც ჩამომსხდარან და თუკი გენდობიან ვითარცა სანიმუშოს და ჭკვიანს, ეს კი შენი ცხოვრების მხოლოდ ერთი გამოსაჩენი სახეა, ვინაიდან თოთხმეტი წლისა ხარ და აუცილებლად გაქვს მეორე მხარეც, საშინელი, ავი, გემრიელი და ცნობისმოყვარე, ანთებული და უკვე, მგონი, აფეთქებულიც და თანაც, თუ გაქვს ათიოდ ფუნტი, მოგროვილი და სათუთად შენახული, მიადგები ამ კაფეს. მოგზაურობა მართლაც ხანმოკლე იქნება და მოჩვენებითად ტკბილიც, მაგრამ კი გამოვა ისე, რომ ვერასოდეს დაივიწყებ ამ მოგზაურობას. აღარაფერს ვიტყვი იმაზედ, რომ მოხვალ და მხოლოდ სანდო ძმაბიჭს გაანდობ.

ასეთ მეძავებს სანტა სიტიში ქალოებს ეძახიან.

მათ სახელი არცა აქვთ, პირდაპირ ქალო ჰქვიათ.

ეს ყველაფერი კი შეგისწავლია მამა კირიონის ქადაგებათა წყალობით და ატყუებ ამ ღირსეულსა და მოხუც, გულუბრყვილო მოძღვარს, მაგრამ სხვა რამეებისკენ გზა დაკეტილი გაქვს. ვერ იყიდი ოდნავ მათრობელა სასმელსაც კი, ვერც კაფეში ჩამოჯდები და ვერც რაიმე რიგიანს მოიფიქრებ, იმიტომ რომ ჯერ ასაკი არ მოგცემია. სხვა ცოდვანი კი სათრობ ადგილებიდან გამოიმზირებიან, ულევ კაფეებიდან და დუქნებიდან. რას იყიდი და მხოლოდ შინნახად არაყს, რომელსაც ჩუმად ყიდიან ხეირის უბნის მაღლა ქუჩებზე, კუთხის მედახლენი. ოღონდ ამ მწველი არყის გადახუხვასაც ცოდნა უნდა, ვინაიდან ან ის დაგახჩობს, ან მისი სუნი დაახჩობს სემინარიის კარში მდგომ შემმოწმებელს და მაშინ კი საქმე მეტად გლახათ მოტრიალდება. რამდენი საღეჭი უნდა იყიდო, რომ არყის სუნი გადამალოს? ანდა სად არის ამდენი ფული? ამხანაგიც კი ძალიან სანდო უნდა იყოს, რათა პაპიროსის ბოლებას, ამ საშინელს, ეშმაკეულ საქმიანობას, რომლის მომაკვდინებლობასაც ასე შთამბეჭდავად აღწერდა მამა კირიონი, რომელიც ხელების დახმარებით აჩვენებდა მოწაფეებს თუ როგორ მოგზაურობს თბილი კვამლი სხეულში და რა კვალს ტოვებს ტვინში და რაც მთავარია, ფიქრში და რაც მთავარია, მონად აქცევს ადამიანს, რათა პაპიროსის ბოლების ამბავი არ გაახმიანოს.

და სხვა დაგმანული ადგილები? სხვა საშიშობანი? ამაშიც ჰქონდა გამორჩეული და საყვარელი, ანუ გამორჩევით საძულველი საკითხი მამა კირიონს. ამ საკითხს ის უწოდებდა კუდიანთა კვნესას. ეს იყო სიმღერა სადარდო. ის ისე მოჰყვებოდა

სადარდო სიმღერებზე, ისე გაათახსირებდა მათ, ისე აიგდებდა, ისე დასცინებდა, ისე შეიბრალებდა მისგან დაბნელებულ, დაღუპულ მცირესმრწმენ მამაკაცებს, რომ ყოველი მოწაფე იმწამსვე გაიფიქრებდა, ერთი ეს სადარდო მომასმენინა და მერე მომკლაო. ისე დასცემდა ჩოგანს მოდარდესაც და მღერალსაც საზოგადოდ, რომ ხეირის ქუჩის ქალოები იმათთან მოგეჩვენებოდათ მხოლოდ საბრალონი, მონანიე ბიცოლანი. მამა კირიონს არ ეშინოდა, იცოდა, რომ სემინარიელები იმ დროს ვერასოდეს მოხვდებოდნენ ქალაქის გზნებით დაზნექილ უბანში, როცა სარდაფა კლუბებში სადარდოს კვნესა იწყებოდა, მაგრამ შიშობდა, სემინარიელი სადმე არ მისწვდენოდა სადარდოს ფირფიტას. ასეთები ხომ მრავლად იყიდებოდა ყველგან, კუთხის მაღაზიებშიაც კი. მართალია, არსებობდა კანონი, რომლის მიხედვითაც სადარდოს სახალხოდ სმენა აკრძალული იყო, თუ არა ბინაზე და ოცდაერთ წლამდის არმისულ ყმაწვილს სადარდოს ფირფიტას არავინ მიჰყიდდა, ხოლო სემინარიელებს რეკორდერები არა ჰქონდათ თავიანთ სენაკებში, მაგრამ განა ყველამ არ იცის, რომ თოთხმეტი წლის ჯეილები არაფერს ყიდულობენ? ისინი, უბრალოდ, შოულობენ. და აღიღებდა სადარდოს და დასცემდა ძირს მამა კირიონი. დასცემდა და ეძიებდნენ.

იყო ერთი ფირფიტა, გვერდებშემოცვეთილ ყუთში. ჩხუბიც სწორედ ამ ფირფიტისთვის მოხდა. ალისფერ ყდაზე ქალის შავი სილუეტი იყო გამოსახული და კუთხეში შავი ასოებითვე გაეკრათ „ნამადო“. ნამადო, ალბათ, სადაროს მომღერალ ქალს ერქვა. ჩხუბი მოხდა. აშრინგტონის კერძო სკოლის მეორეკურსელებსა და სემინარიელებს შორის. სემინარიელებმა ფირფიტა არ დააბრუნეს. ჩხუბი იყო ერთ ასეთ უსიერ ადგილას, რომელსაც ნიკოლოზის ბაღი ერქვა. ორივე სკოლიდან ვინც გამოაღწია, ყველა იქ მისულიყო. სასწავლებლებში მოხვდებოდათ, აიტანდნენ. პანტელეიმონ ბერს მაშინ მხოლოდ ლეონი ერქვა. იმ ჩხუბში ორნი დაეტაკნენ ერთმანეთს და ორივემ მამაცურად იბრძოლა. ორივე ცდილობდა, რომ სახეზე ნიშანი არ დამჩნეოდა, რადგან სკოლაში გაუგებდნენ. ორივე ცდილობდა, რომ სერთუკი არ გახეოდა. სემინარიელმა ფირფიტა არ დააბრუნა, დავკარგეო.

ამ ამბიდან ათი დღის თავზე ლეონს, აწ კი პანტელეიმონ ბერს, ნახევარდღიანი არდადეგები ერგო, ერთი კარგა დიდი და მადიანი ჰოთდოგი იყიდა და გადაწყვიტა, რომ წყნარად შეეჭამა. თითქოს თავისთავად მივიდა ნიკოლოზის უსიერ ბაღში, რათა ჩამომჯდარიყო და თავისი ჰოთდოგი და კოკა მიეღო. მოეწონა ეს ადგილი იმ ჩხუბისას, მოუვლელი ბაღი იყო, რაღაცნაირად ჩუმი. მაშინ კი არ იცოდა, რომ სიმყუდროვის გამო მოეწონა ეს ველური, მიტოვებული ადგილი. იქ ერთი ჩალეწილი როტონდა იყო, ფირფიტის გამო ჩხუბი სწორედ იმის ახლოს, ბილიკზე მოხდა.

იქეთკენ რომ წავიდა, დაინახა, რომ ამ ნაროტონდალში ვიღაც ჩაცუცქულა და თითქოს წიგნს ან რამეს კითხულობსო. იმ ჩაცუცქულმაც მოიხედა. ის ერთ-ერთი აშრინგტონელი იყო, სწორედ იმ ჩხუბს რომ ესწრებოდა. როტონდის ჩალეწილ იატაკზე ბანქო გადაეშალა და თითქოს საკუთარ თავს ეთამაშებოდა. სწორედ ის ბანქო იყო, რომლის რაობასაც ასე შემაძრწუნებლად წარმოაჩენდა ხოლმე მამა კირიონი.

ასე გაიცნეს ერთმანეთი პანტელეიმონ ბერმა და დათა ვისრამიანმა.

ეს იყო ძალიან დიდი ხნის წინათ. მგონი, თექვსმეტი წელიწადიც გასულიყო იმ დროიდან. ისინი ხშირად იყვნენ ერთად, დათა შემაშფოთებლად მდიდარი ოჯახიდან იყო, მაგრამ ლეონის დედის ერბოკვერცხი მაინც ძალიან უყვარდა. როდესაც ლეონს

არდადეგები ან სახლის დღე ჰქონდა, ისინი აუცილებლად ნახულობდნენ ერთმანეთს. დედას უხაროდა ეს მეგობრობა. სანამ ცოცხალი იყო, ყოველთვის ახსენებდა და მოიკითხავდა დათას. დედა ბერძენი იყო, სულ შავი ეცვა და საოცარი ხელი ჰქონდა ყავისა, სტელიოსის ყავახანაში იდგა მთელი დღეები და გახურებულ ქვიშაზე დააცურებდა სპილენძის ყავადანებს. დედას უნდოდა, რომ ლეონი მღვდელი ყოფილიყო. ქვრივებს უნდათ ხოლმე, რომ მათი ერთადერთი შვილი მღვდელი გახდეს. დიდად იწვალა იმისთვის, რომ შვილი სემინარიაში მოეწყო, დიდად იწვალა და ოცნებობდა ამ დროზე. სემინარიამოსტუმრებული ლეონი კი ერთხანს უსაქმოდ დაყიალობდა დათასთან ერთად. ის იყო დროება, როცა ყველაფერი წინა გაქვს, თუმცა, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება აღმოჩნდეს, რომ წინ ფათერაკის მეტი არაფერი გქონია, თანაც ლამაზია ეს ფათერაკი და მიდის, მიერეკება. აჟღრიალებს ზანზალაკებს. დედას იმიტომაც უნდოდა, რომ ბიჭი მღვდლობაზე დაეყენებინა, რომ შიშობდა, აჰა, თუ ჩემს ძმას გამოემგვანაო, თუ კრეტელი ბერძენისა აუდუღდა გულ-გვამში და დააკივლა იმ საოცარი კივილით, რაიც ისე ითქვას და სილაღის ხმაა და სხვა არაფერი, მაშინ რაღა ვქნაო. მღვდლობაში კიდევ ეს დუღილი ანაფორით მაინც დაიფარებოდა. საერთოდაც, ქვრივებს იმედი აქვთ მღვდლობისა, მაგრამ დედაც ვერ წარმოიდგენდა, რომ ლეონი მორჩილად დადგებოდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში, მის ბერობაზე, აბა, როგორ იფიქრებდა.

ლეონი კი ორ წელიწადს იყო მორჩილად და მერე აღიკვეცა.დედა უკვე მიცვალებული იყო. პირველი ნაბიჯი არ გახლდათ მარტოობისა, არცა რაღაც დიდი რწმენისა. ეს იყო შემთხვევა სადარდოსი, რომელმაც ლეონს საერო ცხოვრებაზე ხელი ააღებინა. ეს ამ სიმღერის შემთხვევა იყო. სიმღერისა და მომღერლისა, მოდარდე ქალისა. ქალაქგარეთის ერთ მიჭყლეტილ კლუბში მოდარდეობდა ქალი სანათო, რომლისთვისაც ლეონს კი მოესმინა, მაგრამ არ იყო ისეთი ჯეილი, რომ სადარდოზედ გადავარდნილიყო და ტუჩი ეკვნიტა ხმაზე შეყვარებულს. უბრალოდ, ისე იყო, რომ რამდენიმე ამხანაგთან ერთად გაეჩვია აქ ყოფნას და სადარდოს სმენას და რაც უფრო ხშირად მოდიოდა ხოლმე აქ, მით უფრო აფიქრებდა, რომ მამა კირიონი მართალი იყოო. ისე შეისრუტავდა ეს დამანგრეველი სიმღერა კაცსა, რომ თვალს გაახელდა ეს კაცი და უკვე ჯოჯოხეთში იყო. არა იმ ჯოჯოხეთში, ცოდვათაგან დამძიმებულს კაცს რო გაირეკავენ ეშმაკეულნი, არამედ რაღაც სამარწუხეში, სადაც მიადგებოდნენ, ვითარცა ერთს საბრალო კლდეს და დასცემდნენ სატეხ ჩაქუჩებს. უცნაური სურათი ნგრევისა, რომელსაც ჰხედავდა ლეონი, ერთი საკვირველება იყო და ლეონი მიხვდა, რომ ალბათ მამა კირიონსაც სიჭაბუკეში ბევრი ესმინა სადარდო და კარგად ამოეცნო არსი მისი, რახან ბანქოზე უწინარეს სიავედ სახავდა. სურათი მისთვის იყო სრულიად საპირისპირო მხრისა და ფერებისა, ვიდრე მისი ამხანაგებისათვის, რაიც ერთხელ გამოუთქვა კიდეც მათ, თუმც მათი პასუხი ნამდვილი იყო, სემინარიელი ხარო, მეტი რა უნდა ამოიცნო ამ რაღაცაშიო. ლეონმა ვერ იწამა იმ ხმის გულწრფელობის, არ დაიჯერა ბნელში კვნესისა და მერე აღარც კი მიდიოდა სადარდოს კლუბში, თუმცაღა, ის აუწერელი გრძნობა ხიფათისა, რომელიც დაეუფლებოდა ხოლმე, როცა სანათო გააბამდა თავის სადარდოს, მაინც წამდაუწუმ შეახსენებდა ხოლმე თავს. თითქოს, ამდენი ფიქრი სადარდოს გამო რაღაცას მიანიშნებდა კიდეც და სულ მალე შეიტყო ლეონმა, რომ ერთმა ამხანაგმა თავზე ხელი აიღო და სანათოს გაცნობა და მისი მონადირება გადაწყვიტა. ამაო იყო ძმაბიჭთა შეგონებანი, რომ ეგებ სანათო ბარე სამოცი წლის ქალიც გამოდგეს და იმედის გემო ეგებ სამუდამოდაც წაგიხდინოს, რომ

სადარდოს მუღამაც ეს არის, რომ მოდარდე ქალს ვერა ხედავ, იმიტომაც დამჯდარა დაბნელებულ ადგილას და იმიტომაც გიშლის გრძნობას მხოლოდ ხმითაო.

რას დაუშლი მას, ვინც შეყვარებულია?

მათ გადახდათ ამბავი საოცარი და საშინელი. ამხანაგი საერთოდაც ვეღარ იპოვეს, გაქრა, ვითომ არ ყოფილაო, ვითომ ამ ქალაქში არ უვლიაო. არავინ იცოდა, რას ეცადა სანათოს გასაცნობად. პოლიციამ დაკარგულად გამოაცხადა: გაიგებ, ვინ სად მიდის ამ კუნძულიდან? ამხანაგებმა არაფერი თქვეს და არც ლეონმა, რადგან წესი არ არის, ანგლეზის ხელში მისცე ვინც გინდა იყოს. ხოლო ერთხელ იპოვეს ქუდი, ბუნგალოლენდის ტყისპირებში. ეს იყო კეპი პოლოს მოთამაშისა, რომელიც სწორედ მათი ამხანაგისად გამოიცნეს. და მაინც, პოლიცია მიადგა მოდარდეთა იმ კლუბს, ვინაიდან ყოველი მოდარდე პოლიციელთათვის ნაცნობია და თუ შენ ვერა ხედავ, მთავარ კონსტებელს მისი სურათიც კი აქვს და ნამდვილი სახელი და გვარიც იცის. საიდან გამოჟონა, რომ ამ ამხანაგს მოდარდე სწყუროდა, ვერ ამოიცნეს. ყოველი ამხანაგი უარზე იყო, ოღონდაც ეს კი უთხრა მათ დეტექტივმა ქრიმსონმა: თქვენ ბავშვები ხართ. თქვენ არ იცით, რას ნიშნავს, რომ მოდარდეს გადაეკიდო. მოდარდე ყველაფერზე მოაწერს ხელს. მერე ვეღარ გაიგეს სანათოს ამბავი, დაიჭირესო, არ დაიჭირესო. კლუბის აფიშას კვლავ ეწერა, დარდობს სანათოო და მისი კასეტაც იყიდებოდა, მაგრამ ვერ შეამოწმებ მეკლუბეებს, განა ვერ იპოვიდნენ მოდარდეს, რომელიც სანათოსებრ დაჰკვნესავდა იმ ავ სიმღერებს, იმ მნგრეველებსა და წამშლელებს? ეგებ, შეუცვალეს კიდეც. ამ ამბიდან კი ახლო იყო ის დრო, როცა ლეონი მორჩილად დადგა და იწყო სინანული და აღსრულება ყოველივესი. დათამ, რომელიც არ იყო იმ მეგობართა გუნდისა, გაიკვირვა ლეონის წყურვილი, ლეონმა კი ასე აუხსნა: მარტო ვერაფერს მოვერევი, სულ მარტო ვარ... საშინელებებზე ვფიქრობ და საშინლად ვცხოვრობ.

ის მაშინ ერთ სააგენტოში მსახურობდა კლერკად.

- წავიდეთ, - უთხრა დათამ, - წავიდეთ სადმე.

- სად? - ჰკითხა ლეონმა.

- სადმე, კურნუხეთში...

- ეგ რას ნიშნავს?

- არ ვიცი, ბებიაჩემი ამბობდა.

ისინი არ წავიდნენ კურნუხეთში.

ლეონი მონასტერში წავიდა.

და ამდენი წლის შემდეგ, მონასტრის წიგნთსაცავის სარკმლიდან პანტელეიმონ ბერმა დაინახა, რომ სწორედ იმ სახლთან, რომლის სარდაფშიაც იყო ქალაქის ყველაზე მაგარი სადარდო კლუბი „მარანა“, დათა ვისრამიანი იდგა.

და პანტელეიმონ ბერი ძალიან შეშფოთდა, ვეღარაფრით დაიმწყობრა აზრი და ფიქრი.

ამდენი წლის შემდეგ სადარდომ კვლავ გამოუგზავნა თავისი მომკვლელი ჯოჯოხეთური ხმა ოქროსფრად წითელი მიწისქვეშეთიდან. მან არ იცოდა იმ ქალის სახელი, „მარანაში“ რომ დარდობდა, მაგრამ სახელს არა აქვს მნიშვნელობა სადარდოში.

ქალს ხომ ვერ ხედავ.

ბნელში მისი დამარცხება კი ძნელია.

თან დათა, ხითხითის ოსტატი.

ეს მე ვარ, სიზმარი, ვარდისფერი ჯესიკა

ჯესიკამ თოფი გადმოყო ფანჯრიდან და დაუძახა: - მანდ რა გინდა? მაქედან გაეთრიე და გარაჟს თავი დაანებე...

იმათ ყურადღება არ მიუქცევიათ, მაინც დააბოტებდნენ ეზოში.

- გაეთრიეთ მაქედან... ჯესიკა დე რაიდერი ვარ...

რამსიმძიმე იყო ის ოხერი სანადირო თოფი, ჯესიკას ახლაც გაწითლებული ჰქონდა ცერი. სასხლეტები ძლივს გადმოწია.

ეს დილით იყო, მერე კი ჯესიკა მეორედ გაეხვა შარში, არ დაიშალა და ვისი ბრალი იყო? ანდა ვინ დადის ვარდისფერი თავსაფრით და შავი სათვალით ასეთ დროს?

მოკლედ, ისე გამოვიდა, რომ ჯესიკა ომში იყო. პირველადაც დაიძახა და მეორედაც: - მე ჯესიკა დე რაიდერი ვარ! ნახავთ, რაც მოგივათ...

ამ სიტყვებს მომხდურნი დიდად არ აყურადებდნენ და თავიდან თითქოს არც ესმოდათ. მაგრამ ჯესიკამ ორი ტყვია გაისროლა. ერთი პირდაპირ ბილიკისპირა სკამს ჩააჭედა, მეორე კი, მგონი, ცაში გაფრინდა. იმიტომ რომ პირველი გასროლის შემდეგ ჯესიკა კინაღამ წაიქცა და ამ წაქცევაში მეორე გასროლაც მოუხდა. ეს გასროლებიც, თითქოს არ გაუგონიათო. იმ ორიდან ერთ-ერთმა საყელო წამოიწია და ეს იყო, ისევ განაგრძეს ეზოში სუნსული. ჯესიკამ მერეღა დაუნახა, რომ იმათ დიდი შაშხანები ჰქონდათ, მხოლოდ ლულები მოჩანდა, რადგან შაშხანები კონდახით მაღლა თუ გადაეკიდათ მხრებზე და ზემოდან კი ქურთუკები შემოეცვათ. რად უნდოდათ ამ სიცხეში ქურთუკები? ისინი რომ ყურს არ იბერტყავდნენ, ჯესიკამ თოფის ხელახლა გატენვა გადაწყვიტა და ტყვიებიც ამოიღო საქამრედან, მაგრამ განასროლი ფინდიხის მასრები კი ვეღარაფრით ამოაძრო ლულიდან - ცხელი იყო. სანამ ჯესიკა სულს უბერავდა ლულას, იმათ თავიანთი შავი საქმე ქნეს, ჯესიკას ვარდისფერი „თი-ბერდი“ გარაჟიდან უდრტვინველად გამოაგორეს და ბილიკზე გაასრიალეს. მერე სულ იოლად დაქოქეს და ბილიკითვე, ეზოს პატარა კარიდან გაიყვანეს გარეთ. ჯესიკას აღარ უსვრია. უსაყვარლეს მეგობარს ხომ არ ესროდა?

საინტერესო ეს იყო, რომ მისი ვარდისფერი მანქანა, რომელსაც შინაურულად „როუზ ოფ ინგლენდი“ ერქვა, ისევე, როგორც რომელიმე, ვთქვათ, კაი სადოღე ცხენს, ვერავის გამოადგებოდა, იმიტომ რომ ამ ფერისა და ამ ასაკის, ამ იერისა და ასეთი ფრთების,

ასეთი ნიკელების და ზღაპრული საქარე მინების პატრონი ის ერთადერთი იყო. ასევე, ის იყო მანქანა, რომელსაც საჭე მარცხნივ ჰქონდა და ესეც იშვიათობა გახლდათ. საერთოდ, თუ არ ჩაძირავდი, ინგლისის ვარდს ვერსად დამალავდი, ძნელად, რომ შეტეულიყო რომელიმე სამალავში.

ჰოდა, ჯესიკამ თმა დაიყენა, თავისი ვარდისფერი თავსაფარიც კოხტად გაინასკვა ნიკაპთან და კიდეებაპრეხილი სათვალეც მოირგო, რათა ყველაფერი ღამეულად დაენახა. ამან ოცი წუთი დაიჭირა. ჯესიკას აუცილებლად ეს თავსაფარი უნდა ჰქონოდა მორგებული და ეს სათვალე უნდა კეთებოდა, რადგან მიაჩნდა, რომ ასე კარგად ინიღბებოდა როგორც გამოჩენილი ადამიანი და აბეზარ ფოტოვირთხებს ანდა სხვა ჩასაფრებულ ვინმეებს გზა-კვალს უბნევდა. თუმცა, ისინი იშვიათად ტყუვდებოდნენ, მაგრამ მაინც: ჯესიკა ასე დადიოდა, ეს მოიგონა თავისთვის. თანაც, ჯესიკა გოგო აღარ იყო და ჩაილაპარაკებდა ხოლმე, ასე მორთული კეტლინ ჰეპბერნს ვგავარო, ასაკში, რა თქმა უნდა.

ჰოდა, ოცი წუთის თავზე ჯესიკა დე რაიდერი თავისი მანქანის, „ინგლისის ვარდის“ საძებნელად წავიდა. თუმცა, მანქანა ამერიკული იყო და თანაც იმ დროისა, როცა ჯესიკა გოგო იყო და თავდავიწყებით უყვარდა მარლონ ბრანდო, ტომ ვულფის წიგნები, მარიხუანა და ერთი მაწანწალა, რომელიც ჰიპების უსტაბაშად მიაჩნდა.

ახლა სხვა ჟამი იდგა და ოცი წუთის თავზე ჯესიკა წავიდა მანქანის საძებნელად. თოფი ვერ წაიღო, მაგრამ იარაღი სხვაც ჰქონდა. დიახ.

ის პირველი ამბავი იყო. მეორე ამბავი კი მალევე გადახდა, როცა სულ სხვა სუნგალები შემოხვდნენ და ერთი კი აათვალიერ-ჩაათვალიერეს ხითხითით, ბაბო, სად მიდიხარო, მაგრამ სასწრაფოდვე ჯესიკამ ჩანთა გახსნა, იქიდან „ორგანზას“ შუშა ამოიღო და ყველაზე ახლომდგომს პირდაპირ თვალებში შეასხურა, ვითომდა რაიმე დამცავი საცრემლე მოწყობილობა ჰქონოდეს.

- მე ჯესიკა დე რაიდერი ვარ, ჩემს მანქანას ვეძებ...

იმათ, ვითომ არ გაუგონიათო.

- თქვენ უფროსთან მიმიყვანეთ, მოიპარეს...

- რომელი ვეიქი? - ჰკითხა უცებ ერთ-ერთმა.

- ჩემი მანქანა, თი ბერდი, სამოცდაექვსი წლის, ვარდისფერი.

- ჰოოო... არ ვიცი... აბა, რა ვიცი?

ჯესიკამ გზა განაგრძო, მოუღლელი ნაბიჯით. იარა და იარა, ცხრა ქუჩა და ცხრა მოედანი გადაიარა. მერეღა დაატყო, რომ ყალივან სტრიტსა და გუბერნატორ ლორდ ეშთვიგის მოედანს შორის ქუჩებზე დადიოდა, სთეითის უბანში. ბარე ოთხჯერ დაინახა გუბერნატორის სასახლე.

გაიხადა თავისი წითელი ფეხსაცმელები და ჩამოჯდა ძეგლისპირა აუზზე, ფეხსაცმელები კი გვერდით მოიწყო.

იქ არავინ იყო.

იმ სიცხეში ვინ გამოეფინებოდა. ჯესიკამ ამოიღო სიგარეტი „კანცლერი“ და გააბოლა. მოათვალიერა მოედანი, ფანჯრები ამოღამებული სახელმწიფო დაწესებულებებისა, გამურული და კიდემონგრეული გუბერნატორის სასახლე.

ფეხის ხმა უეცრად გაიგონა. ჩქარი და ღონიერი ნაბიჯი. ორი კი არა, ოთხი, ოთხი კი არა, რვა, რვა კი არა და ეგებ მეტიც. არ მოუხედია, იფიქრა, ვიღაცეები გარბიან და ვიღაცეები მოსდევენო და ესეც მოასწრო, ახლა ტყვიამ არ გამოიწუილოსო.

არავისაც არ ეძებდნენ, ათნი იყვნენ და ორი ამომშრალ აუზშიაც კი ჩახტა, რათა მოაჯირზე ჩამომჯდარი ჯესიკასთვის თოფები დაეღერებინათ. ხელები მაღლაო, დასძახა ერთმა, ჯესიკამ კი გადააფერფლა და ჰკითხა ალბათ მეთაურს, ლოყაწითელ, ფართოსახიან ბიჭს: - კითხვა იცი?

- მაღლა, ხელები ასწი მაღლა... შენი მოდარდე მამინაცვლის ფიშტონზე დავსვი, - დასძახა უკანამ.

- ეს რა ასოა? - შუათითი დაანახა ჯესიკამ და უთხრა: - მე ჯესიკა დე რაიდერი ვარ... მანქანა მომიყვანეთ.

- ხელთოფა არ მააშორო, გოგია, - თქვა ლოყაწითელმა, ჯიბიდან გადამცემი ამოიღო და იქ ბურდღუნს მოჰყვა.

- არ პასუხობს? - იკითხა ჯესიკამ. იმათ ხმა აღარ გაუციათ, ჯესიკამ კი ისევ ასწია შუა თითი, - ეს რა რიცხვია?

სწორედ ამ დროს მოედანზე მანქანა შემოგრიალდა, ძველი, მგონი წითელი ჯიპი, სიმართლე ითქვას და მგონი, ტალახიანიც. სანადიროდ თუ იქნებოდნენ ტყეებში, ანდა სადმე სველ ადგილას. ჯესიკას შუშებიდან ასე ჩანდა.

ჯიპი გაჩერდა ჯესიკა დე რაიდერის ფეხებთან.

საჭესთან მჯდომმა კაცმა კარი გამოაღო, მაგრამ კარგახანს არ გადმოდიოდა. ჯესიკამ სიგარეტი მოისროლა და თავის წითელ ფეხსაცმელებს დასწვდა.

- იცი, რას ნიშნავს წითელი ფეხსაცმელები?

ამასობაში კაცი მანქანიდან ჩამოხტა. ძალიან მსუქანი იყო, ყოველ შემთხვევაში, ჯესიკას ასე მოეჩვენა. გაბარდღნილი ულვაში და მოციმციმე კეთილი თვალები ჰქონდა. შიშველ ფეხებზე შავი ჯორდანის ფეხსაცმელები ამოეცვა და შარვლის ტოტები აეკაპიწებინა. ჯესიკას სადღაც ენახა ასეთი კაცი, მგონი, ოდესღაც, ერთ მანქანების სახელოსნოში. ზუსტად ასე იდგა, ხელში შლანგი ეჭირა და მანქანას რეცხავდა. მგონი, სწორედ ამ მანქანას რეცხავდა, როცა ჯესიკამ თავისი „როუზი“ მიიყვანა იქ.

მაგრამ რატომ იყო ეს მანქანა გაურეცხავი? ჯესიკამ ხომ გარეცხა და ისიც ხომ რეცხავდა?

კაცი შორიახლოს გაჩერდა და ჯესიკა შეათვალიერა.

- თავსაფარი აქს... - გაუბედავად დაიწყო ლოყაწითელამ, - ბიჭებმა ნახეს ყალივანზე. მერე აქეთ წამოსულა... მოვყევით. მთვრალიც არის... აი, აქა ზის და მაგინებს.

- სტოპ, - თქვა ჯესიკამ, - სტოპ, აქლემებო. ოაზისს მივაღწიეთ. ახლა წყალი დავლიოთ... დამისხით.

ჯარისკაცებმა მსუქან კაცს გადახედეს.

- შენ... მანქანას არ რეცხავდი? - ჰკითხა ჯესიკამ მსუქანს.

- ლოყა ვერ უნახე, თავშალი აქს... - წაიბურტყუნა ლოყაწითელამ.

- მე ჯესიკა დე რაიდერი ვარ, - თქვა ჯესიკამ და ახალი სიგარეტი ამოიღო.

მსუქანი კაცი გატრიალდა და მანქანისკენ გაგორდა.

- ხეტი, ხეტი, - გაედევნა ეს ლოყაწითელა, - რა ვუყოთ ემასა... - ნახმლევი ვერ უნახე და თავსაფარი კი აქს.

- რა უყოთ... - წაილაპარაკა კაცმა, - რა უყოთ და დატოვეთ მანდა. მე რა ვიცი, რა უყოთ...

- ეგ არ არიი?

- ბიჭო... წადი ეხლა და სადაც იდექი, იქ დადექი. აღარ მელაპარაკო...

- თავსაფარი აქსო, კიდე სამართებელი ლოყაზეო. ლოყა ვერ უნახე...

მსუქანს ხმა აღარ გაუცია, ჯესიკამ კი დაიძახა: - მანქანა მომპარეს, მომიყვანეთ ჩემი მანქანა.

კაცი შედგა.

- რა?

- „როუზი“. ჩემი მანქანა. ამათ წაიყვანეს. თუ ასეთებმა. მანქანა მომიყვანეთ. მე ჯესიკა დე რაიდერი ვარ.

კაცი ჩაჯდა და დაქოქა.

- ეს კაცი მანქანას რეცხავდა, - უთხრა თოფიანებს ჯესიკამ და ახლა ორი თითი დაანახა, - რამდენია?

მერე ჯესიკას მოაჯირზე ეძინა. რომ გაიღვიძა, ფეხსაცმელები იქვე ეწყო და ყველაფერი სტკიოდა. იქვე, ცოტა მარცხნივ, როუზი იდგა.

- როუზ... - წაიჩურჩულა ჯესიკამ, - რა ცუდად ვარ, როუზ, და კისერზე წაივლო ხელები.

ჯესიკას საუცხოო ღვინის სარდაფი ჰქონდა. სხვა რა უნდა ექნა. ძალიან ეშინოდა.

- ეი... - უთხრა იქიდან გამქრალ ჯარისკაცებს. - ეი, თქვე სულელებო, წავიდეთ, როუზი მოვიდა.

საუცხოო სურათი იყო, ჯესიკამ საკუთარი თავიც კი დაინახა: ექვსი მხრიდან სახლებშემოდგმული დიდი მოედანი, ძველი მადლიანი ქვაფენილით. სახლები

ცარიელი, ერთი კი მინგრეულიც. მთვარისფერი მოედანი და გადახუნებული ქარვისფერი სახლები. დიდი შადრევანი. გამშრალი, მრგვალი აუზი. ამ აუზის მოაჯირზე მჯდომი ქალი ვარდისფერი თავსაფრით, რომელიც ყველაფერს ბინდიანად ხედავს, ხელში ალისფერი წვრილქუსლიანი ფეხსაცმელები უჭირავს, ისინი კი ნავებს ჰგავს. შორიახლოს - ვარდისფერი, ფრთებიანი, ელვარე ნიკელით მბზინავი უკვდავი როუზი.

მეტი არავინ.

რა სექსი ხარ? I'll call you sexy all the day...

- მე ჯესიკა დე რაიდერი ვარ, - წაიჩურჩულა ჯესიკამ, - მე ბებერი ვარ.

მერე ფეხსაცმელები მანქანაში მოისროლა და თქვა: - წავიდეთ, როუზ, ვიდარდოთ და გვეშინოდეს...

ციხესიმაგრე და სხვა ათ-ათი სტრიქონი

1.

აბა, აქ რა უნდოდა მგელსა. აქ მგელს ვინ მოიყვანდა. აქეთა კუნძულზე არ იყო მგლები. თუ ყოფილიყო ოდესღაც, ალბათ გაექროთ. მელიები - იცოცხლე, კურდღელიც, როგორც მოეთხოვება, მაგრამ მგლები არ იყო. არც წანწალა ძაღლები. საერთოდ, აქეთ კუნძულზე არ იყო უჯიშო ძაღლი, სულ ჯიშიანები ჰყავდათ. მგელი იცოდა სუნგალის კუნძულზე, ტყეებში. სუნგალს ცხოველები უყვარს, მგლის ლეკვი დაუჭერიათ ხოლმე და შინაც გაუზრდიათ. გაზრდილის რა სათქმელია, მაგრამ ყოველი ლეკვი საყვარელია და იმათ შორის მგლის ლეკვი განსაკუთრებით. სულ კბენაზეა მომართული და კბილები კი ჯერ ისეთი არა აქვს, რომ კაცს ავნოს. ოღონდ კი მოავლებს კაცს პირს თითზე და ღრღნის, რაც შეუძლია. რო წაუთაქებ, იმ წამს მოგაშორებს პირს, ოღონდაც იმ წამსვე ისევ ხელახლა დაგეტაკება. ასეთი თამაში უყვარს და კაი გასართობია, ახალგამოღვიძებულს ჰგავს და პირის ისე ბოროტად დაღმეჭაც არ იცის, როგორც დიდმა მგელმა.

2.

ციხესიმაგრეში რა აღარ იყო. ის ხომ ამდენ ხანს მუზეუმად იცოდნენ. იქ იყო ალი ბეის ჩიბუხის რამდენიმე ნამტვრევიც. ამ ნამტვრევებს დიდი ფასი ედო კუნძულებზე, რადგანაც ასე იყო, რომ თუკი რამ ძველი გადარჩენილიყო კუნძულზე, ყველაფერი მთელი და მოვლილი და რაღაც უცნაურობით, სწორედ ალი ბეის ჩიბუხი დამტვრეულიყო. როგორ მოხდა ეს ამბავი, ამას ვინღა დათვლიდა, ოღონდაც ერთი გიჟი ამბავი ამ ჩიბუხისა ისიც იყო, რომ ვინც ყველა ნამტვრევს შეაგროვებს და ალი ბეის ჩიბუხს ხელახლად გამართავს, ის ამით გასაოცრად დაუკავშირდება წარსულის გრძნეულობას და ალი ბეის იდუმალ შეხედულებას, რომლის ამოცნობაც საძნელოაო. ციხესიმაგრეში შემონახული ორი დიდი და სამიც მომცრო ნატეხი ალი ბეის ჩიბუხისა, რომელიც იყო უგრძესი ჩიბუხი დედამიწის ზურგზე, არავის მოუტაცია. არც ერთი ჯარი, რომელიც ციხესიმაგრეში დადგა იმ თვეს, არ დასტაკებია იქ შენახულ სიძველეებს.

3.

თავიდან, იმ ღამეს, სუნგალებს ეგონათ, რომ ციხესიმაგრეში მგელი შემოძვრა. რა ოხრობიდან და საიდან მოეხეტა აქ, რაღას გაუგებდი, ოღონდ დაძინებულ კაცზე მისვლა იცის და ჯიქურ შეხვედრილსაც არ დაემალება. შუაღამე რომ გადავიდა, გაიგონეს ყმუილი. და სუნგალს რას შეაცდენ, იმას ხომ ბევრჯერ გაუგია მგლის ყმუილი. შიში კი არა აქვს მგლისა, მაგრამ იმის ყმუილი მოსწონსო, ვერ იტყვი, ვინაიდან როცა ბინად დგახარ და თანაც ციხესიმაგრეში, ესე იგი შინ ხარ და შინვე რომ ისმის მგლის ყმუილი, ეს არ არის, რომ ტყიდან ისმის მგლის ყმუილი, შენ კი წამოავლებ ხელს მუგუზალს და გაისვრი ტყისკენ, რადგან მგელს ცეცხლისა ეშინია. როცა ის ყმუის, ტყუილად არ ყმუის და ჯარისკაცებმა მოსძებნეს მთვარე ცაზე, რომელიც სავსე იყო და მიხვდნენ, რომ მგელი მართლაც რომ მოხეტებულა საიდანღაც და ტყუილად არა ყმუის. ეგება, რომელიმე სუნგალმა, აქეთ კუნძულზე რომ გადმოვიდა, ხუმრობით გადმოიყვანა?

4.

ეს ჩიბუხის ამბავი იყო, უეჭველად, რაღაცა ვერაგობა უნდა მომზადებულიყო ჩიბუხის ნამტვრევების საკითხზე. სწორედ ამ დროს ჩიბუხის ნამტვრევებს სჭირდებოდა დაცვა. ვინმე შეშლილი კი არ მოვიდოდა, არამედ კარგა თავზეხელაღებული ქურდი, რომელიც მოიფიქრებდა ალი ბეის ჩიბუხის ნამტვრევთა მოპარვას და უკეთეს დრომდე შენახვას, რათა უჩუმრად გაეყიდა მერე. თანაც, ეს იყო სავსე მთვარობას, შუაღამის გადასულზე. ასე მონათლა მგლის ყმუილი სუნგალთა მეთაურმა ხეტიამ, რომელსაც საკუთრივ მგლის რიდი კი არა ჰქონდა, არამედ მისი ყმუილისა, რაიც სულ ახლოდან მოისმოდა.

ხეტია არ იყო ისეთი სუნგალი, რომ მგლის ყმუილი მხოლოდ მგლის ყმუილად ჰგონებოდა და ამისთვის ფინთი ნიშნები წარმოესახა თვალწინ. ინგლისური შაშხანის მოსაპარად აქ არავინ მოვიდოდა, არც იმისთვის, რომ ნაღმი დაელაგებინა ციხესიმაგრეზე. ამიტომ მოსაპარავად იყვნენ და ხეტიამ უბრძანა, რომ ჩიბუხის ნამტვრევები მუზეუმის დიდი ვიტრინიდან გამოელაგებინათ და მის ოთახში მოეტანათ.

5.

თავიდან მგლის ყმუილი ეგონათ. მაშ რა იქნება. მთელს ღამეს, ზუსტად ისე დაიყმუვლებდა ხოლმე, როცა უნდა ჩასთვლიმო და ეს ყმუილი გასჭოლავდა ძველს კედლებს ციხესიმაგრისას, ვიწრო ოთახებსა და უმოაჯირო ხვეულ კიბეებს. ისეთი ოკრობოკრობა იყო ციხესიმაგრის შიგნეულისა, რომ მეტად ძნელი დასაწერი შექნილიყო ხმის კუდი. ყმუილი თითქოს შორიდან მოდიოდა, მერე კიდევ - ახლოდან. ჰაი, დედასა. მერე კიდევ მეორე დაღამდა და ნაშუაღამევს ისევ მოისმა ყმუილი და აბა, ატყდა ისევ იმის მოძებნა, მგელი ისევ აქა ყოფილაო. რამდენ ხანს არ შესჭამს და დალევს მგელი? რამდენ ხანსაც უნდა. კუჭს აიკრავს ხერხემალზე და კიდევ მეტად დადარაჯდება, იმის ყმუილი კი უფრო მეტად გულის მაწვრილებელი და საშიშარი გახდება. მიჩვევა კი იცის, ამან, მაგრამ ხელის შეშვება არ შეიძლება, იმას შივდება და ვინ იცის სად არის, საიდან მოგახტეს, ამ ციხის ვიწრობებში. ამიტომ უფრო ეზო-გალავანს ენდნენ, იქ დაიცა უმეტესი ბანაკი და ამოცანაც იქიდან გაიხსნა.

6.

მგელი მიხვდება, რომ მარტო არის. ის უეჭველად ხვდება, რომ მარტო არის. გინდა მგელი და გინდა ქურდი, რომელიც მარტოდ დარჩება იმ ხვეულებში. კარებებთან კი მოდარაჯეები იქნებიან. ეს ერთი ღამეც იყოს ასე, ადგილებზე კი ხორცს დავყრით, ალაყაფთან.

მგელი ყმუოდა, ხორცს კი არ მიჰკარებია. იმის ყმუილი სწორედ ციხესიმაგრიდან გამოისმოდა. ხოლო ხეტიამ ფეხი ჰკრა ზღურბლზე მიგდებულ ხორცის ნაჭერს და ციხესიმაგრეში შევიდა. სხვებიც მიჰყვნენ და ხეტია რის ვაი-ფვალებით ავიდა სწორედ კოშკურში, სადაც ტყვე ჰყავდა. აჰა, როგორ ვერ მოიფიქრებ თავიდანვე. იმ ოთახში, სადაც ადრე მუზეუმის თავმჯდომარე იჯდა, ტყვე ქალი გახლდათ. იქა ჰყავდა. ფიქრობდი, ვიწრო მოთვლით, ადრე თუ გვიან მოაკითხავენ და იქ გავარკვევთო. ის იყო და ხეტია შევიდა და კუთხეში მიკუნჭულ ქალს უთხრა: - ჰეი, მოდარდე ქალო, ეხლა ყმუილი დამიწყე? დათა ვისრამიანი ვერ გაიგონებს.

მოატანინა საწეფი და პირი ააკვრევინა. მერე კიდევ ხელებიც. მგლის ყმუილი აღარ ყოფილა.

სარკმელი და სარკმელი

ეს ასედაც იქნებოდა, ორი გორაკი, ორი გალავანი, ორი ნაგები, ორი სარკმელი. რაც ეს კუნძული იყო, ეს ორი სარკმელიც იყო. ამ სარკმლებიდან იშვიათად უჭვრეტდნენ ერთიმეორეს. უჭვრეტდნენ ნაპირს ზღვისას და ქალაქს და თვალის ამბავი კი ისეთია, რომ სადამდეც მიუშვებ, მიდის, იმას არა აქვს წესი და კანონი, თუ არ მოარიდე და წავა და წავა, ისეთებს დაინახავს, რომ ეგების გულზედ კიდევ ერთი ნახმლევიც დატოვოს. ეს არის თვალის სივერაგე მისი პატრონის მიმართ, ოღონდაც კი, სხვაფრივ ისე ეხმარება თავის პატრონსა, რომ ამ პატარა სივერაგესაც ჰპატიობს, თანაც კაცს ყოველთვის შეუძლიან, რომ თვალი თავის ჭკუაზედ მომართოს, მოხუჭოს, მოჭუტოს, განზე გასწიოს და მერე თვალი, ვთქვათ, ტალახიანობის სანაცვლოდ დაინახავს ვარდებს, ოღონდაც კი თუ დროზე არ გასწიე, ის მაინც დააჟინდება ტალანის კიდესა და მაინც არ დაგავიწყებს. ამიტომ თვალთა ხუჭვა დიდ ოსტატობას მოითხოვს და თუმცაღა ადამიანთა უმეტესი ოდენობა დიდი ტრფიალი არის თვალის დახუჭვისა ანდა მორიდებისა, არის იმგვარი ოდენობაც, ვინც არა ხუჭავს თვალებსა და მაშინ თვალი სამართებლად გარდაექცევა ხოლმე, ბატონ-პატრონად მთელი იმისი რაობისა. თვალი ხარბი არის და ამიტომაც, რაც მეტად დაეუფლება მისი პატრონის ფიქრსა და განსჯას, მით მეტად და მეტად დაახარბებს მას, არ დაუტოვებს გამოსავალსა და მაშინვე კი უდებს მთავარ კვანტს, რადგან კაცს ჰგონია, რომ დანახული მისი თვალითა არის ერთადერთი და ნამდვილი და მხოლოდ მისი თვალი არის თვალი. უპატიოსნოს კაცს ამგვარი თვალიანობა გადააქცევს ხოლმე ურჩხულად. პატიოსანს კაცს კიდევ - ამ ურჩხულთან მეომარ ერთს რომელსამე რაინდად, თუმცა ორივე მაინც ვერა ჰხედავს დასანახავებს სხვისი თვალით, ვინაიდან დავიწყებია, რომ ქვეყანაზე რამდენიც კაცია, ორი იმდენი თვალია და თვალი კი იმიტომ ჰქონია ადამიანს ორი, რომ თითქო მიანიშნა იმან, მთლათ უფროსმა, ერთი კი არა, ორიო, ანუ შაჰხედე და გადაამოწმეო. ესე იგი, ერთს არ ენდოო, იქავ მეორეაო. ამით მაინცდამაინც მისი

თვალებისა კი არ უთხრა, არამედ სხვისაც, თვალი ერთი არ არისო, და ერთი გადექ ცოტა განზე და შენა, ურჩხულო, შემოხედე შენს თავსა გვერდიდან, შენ კიდევ, რაინდო, მაგ ალესილის შუბის პირითა, ასევე ოდნავ მიდექ და შემოხედე გვერდიდანვე საკუთარ თავსაო. სხვა კი ასეა, რომ ორი სარკმელი, ქალაქის ორ კიდეზე შემომდგარი ორი თვალი ძველი დროისა, ორი ნამდვილი თვალი, მივიწყებული, თუმცა კვლავად მხედვარი ახლა ათასი რამისა, ისეთი იყო, რომ ერთმანეთსაც შეხედავდა, ოღონდაც ისე, როგორცა ვთქვით, მხედველი რომ მოატარებდა მზერას გარემოს, ბოლო წერტილად სწორედ ის მეორე თვალი ჰქონდა. ანუ, ციხესიმაგრის პირველი კოშკის სარკმლიდან გამომზირალი კაცი ბოლოს აუცილებლად დაჰკრავდა თვალს მონასტრის საცხოვრისის ზედა სართულის უკიდურეს სარკმელს, სწორედაც რომ იმას, წიგნთსაცავისა რომ ერქვა მონასტერში.

ვაი დროსა და ჟამსა კიდევ ავსა, ვაი თვალსა, რომელიც ფერავს თავის სამართებელსა.

განა ეს სარკმელი, განა ეს ალაგი არ იყო, რომ ამის კიდეზე ყველაზე საშინელი სურათი არ იხილეს ბერებმა? განა ამ სარკმლის პირად, წიგნთსაცავში არ იპოვეს მოკლული მორჩილი, სახელად ნიკოლაოს, განა აქ არ იყო ლოცვა და განა აქ არ იყო, რომ წინამძღვარმა საერთოდაც შავი ფარდით დააგმანინა ადგილი ესე, თუმცაღა იცოდა, რომ ეს იყო საყვარელი საჯდომი ალაგი პანტელეიმონ ბერისა? განა არ გასწიეს გვერდით მაგიდა პანტელეიმონ ბერისა და განა არ დაასვენეს ხატი იქავე და მარადჟამს განა იქ არ ენთო ხოლმე სანთელი? და ნეტავ ამოეგმანათ ეს სარკმელი, ეს უძველესი თვალი მონასტრისა, ერთადერთი თვალი, რომელიც მწიგნობარ ბერებს საუკუნეთა მთელ იმ სიგრძე-განზე ანახებდა გარე სამყაროს და მარადჟამს შეახსენებდა, რომ კიდე არ არსებობს და განი კი უსაზღვროა. განა ალბათ, აქ არ იჯდა ის ძველი დოსითეოს ბერი, რომლის ტყავებსაც აგრე უვლიდა პანტელეიმონ ბერი, განა აქავ არ იჯდა გაბრიელ ბერი, კიდევ შემდგომის დროის ქრონისტი, რომელიც აქედანვე უცქერდა, როგორ ცეკვავდნენ გენუელები თავიანთ მოედანზე და გასაოცარი აღწერილობა არ დატოვა ამ ცეკვებისა? განა აქედან არ ითვლიდნენ მატიანეს დამხატავნი გემებს? განა აქედან არ ჩანდა ხალხი მიწაზე და ვარსკვლავები - ცაში? და პანტელეიმონ ბერს უყვარდა ეს სარკმელი, უყვარდა იგი, რადგან ამ სარკმლიდან ხედავდა ქვეყნიერებას და ეს სწორედაც რომ მთელი ქვეყნიერება იყო. და მას შემდეგ, რაც აქ იპოვნეს მორჩილი ნიკოლაოსი, გრძელი, ძველებური ისრით განგმირული. და იმ ნაშუადღევს, ტრაპეზის შემდეგ, პანტელეიმონ ბერი კვლავ ამოვიდა წიგნთსაცავში და მივიდა იმ სარკმელთან, რომელიც საპირისპირო მხარეს გაეჭრათ და იცქირებოდა იქიდან. უყურებდა უკაცურ ნაპირს და პატარა ზღვისპირა დასახლებას და იქით, ქარიანების მიტოვებულ ვილას, ქვიშიან ნაპირს და უცებ კი მოტრიალდა, მივიდა ფეხაკრეფით ფარდით ამოგმანულ სარკმელთან და ძალიან ფრთხილად გადასწია მისი კიდე. ფარდა ოთხივ მხრივ თავად მიაჭედა სარკმელს პატარა ლურსმნებით. მაშინ გულანთებული აჭედებდა, მორჩილი ნიკოლაოსი ჯერ კიდევ ტაძარში ესვენა. ახლა კი გულანთებულმა გადასწია, სულ ერთი ბეწოზე, ოდნავ, პატარა ხაზი მზიანი დღისა დაეცა სახეზე და დახედა ცალი თვალით, იმ წვრილ და პირბასრ ადგილიდან რომ ჩანდა, ფარდასა და სარკმელს შუა რომ დარჩენილიყო და უყურებდა ქალაქს, სადაც კანტი-კუნტი იყო სიარული და რახან ნასადილევი ჟამი გახლდათ, სროლა აღარ ისმოდა. ვინ ისვრის ნასადილევს? ერთი საათი ხომ მაინც უნდა გავიდეს? დახედა ქალაქს, რომელსაც კვლავაც ძველებურად დაჰფენოდა მზე და კვლავაც ძველებურად წამოემართა გუმბათები და სახურავები, სცადა, დაენახა ზღვისპირა

ტყვეთა მოედანი, უკაცური ამ საათს და ყოველთვისაც უკაცური ნასადილევს და გახედა ციხესიმაგრეს, მის ჩრდილოეთის კოშკს და იმის სარკმელს, მზეს რომ უკვე მისდგომოდა და მის მტვრისფერ ქვას აფიცხებდა. შეხედა იმ მეორე თვალს და გაახსენდა, როგორ გამოიხედა ერთხელ იქიდან, როცა სტუმრობდა მუზეუმის თავმჯდომარეს, ალფრედო და კოსტას და როგორ უჭვრეტდა იმ სარკმლიდან ამ სარკმელს, თავის სარკმელს და ფიქრობდა მორჩილი ნიკოლაოსის შესახებ.

პანტელეიმონ ბერმა შეხედა იმ სარკმელს და ისევ მორჩილი ნიკოლაოსი გაახსენდა. შეხედა და გაიფიქრა და იმავე წამს დაინახა, როგორ გამოიმტვრა უცებ სარკმელის მინა და გამოფრინდა იქიდან რაღაც, გამოფრინდა და უსწრაფესი ძალით წამოვიდა ძირს და მოფრინავდა, ალბათ მხოლოდ წამს ან ორ წამს, და გაუჩინარდა, გაუჩინარდა. და პანტელეიმონ ბერი ვერ მიხვდა, რა იყო ესა, რას ნიშნავდა ეს გამომტვრეული სარკმელი და რა გამოფრინდა იქიდან და სად გაფრინდა და მოგლიჯა ფარდა პანტელეიმონ ბერმა და ეცა სარკმელს, რათა გამოეღო და უცებ მიხვდა, რომ ის რაღაც ქალი იყო. ქალი ქვემოთ, ნაპირა სახლის სახურავზე ეგდო. სარკმლიდან არავის გამოუხედია.

- ღმერთო, - თქვა პანტელეიმონ ბერმა. - ღმერთო, - დაიღრიალა პანტელეიმონ ბერმა. - ღმერთო, ქალი გადმოხტა... მერე ბერები შემოცვივდნენ, პანტელეიმონ ბერი ფანჯარასთან იპოვნეს ჩაკეცილი, ტიროდა და ცახცახებდა.

ასისთავი ორი ხმლით და ორი ხანჯლით

აგათია ციხისთავი არჩილიანის ქონების აღწერილობა

ანგლეზურად ასე დაიწერებოდა: Agatha Tsikistav Archiliani, ხოლო აღწერილობას ქონებისას იმნაირი მცოდნე მოუნდებოდა, რომ ვეღარ იპოვიდი. სანოტარო კანტორები ხომ მიკეტილი იყო და ნოტარიუსები კი სადღაც მიმალულიყვნენ.

და მაინც, აღწერა მოხერხდა და გვარიანი დაწვრილებითიც.

კაცი გამოიძებნა - მუზეუმის თავმჯდომარე ალფრედო და კოსტა. მასზე უკეთესად ვერც ვინმე მოახერხებდა.

სამ დღეს მოუნდა ამ ამბავს და ძაფის კოჭაც არ დაუტოვებია, რადგან დედოფლისა ძაფის კოჭაც კი სხვა ძაფის კოჭაა.

მოხუცმა და კოსტამ პარდონ ბელისა და ტევერენ მორანდის თხოვნა მეტად დიდ საქმედ მიიღო და თავადვე გამოაცხადა, ეს სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს, თუნდაც ასეთ ვითარებაშიო.

მაშინ ქალაქი ორად იყო გაყოფილი.

ჯენოველების უბნის და ხეირის კიდიდან, ანუ სთეითის საზღვარზე, ციხესიმაგრიანად და ნავსადგურით, მიწები ეპყრა კაია ვისრამიანის ლაშქარს,

რომელშიაც იყო ათასგვარი ხალხი: სუნგალები, ქართველები, მოხეტიალენი და ორიოდ ამოუცნობი წარმოშობის ოსტატი ომისა, თურმე წინდაწინვე გამზადებული და შენახული ვისრამიანთა მიერ. აქეთა მხარე კი მონასტრით, ჯენოველების უბნით, ყალივან სტრიტის ნახევრით და ხეირის ნახევრით, ასევე ტყვეთა მოედნით, ალაგობა დაეჭირა დედოფალ აგათია არჩილიანის მომხრე ხალხს. მათ შორის იყო ცოტა ოსმალო, გენუელები, და სუნგალთა ჯარი, რომელსაც მეთაურობდა გასუქებული ნამსახური სუნგალი ხეტია. ჰოდა, სწორედ ამ დროს, რომელსაც ხალხში დაერქვა საზღვრობის დრო, ალფრედო და კოსტამ დაიჩემა, რომ სწორედ ახლა უნდა აღწერა ამ ქონებას, რადგან სამომავლოდ, ქაღალდები მაინც გადარჩესო.

აღწერილობა დაიწყო სამოსით.

აღმწერმა გადააბიჯა წიგნებს, მერე მიადგა სამზარეულოს და ბოლოს - უჯრებს. თანაც სენიორ და კოსტამ აღწერის დირედ აიღო სამუზეუმო წესი.

ის, ვითარცა მცოდნე, ყოველ ნივთს აფასებდა, ვითარცა ისტორიულს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაჰქონდა რეესტრში. ასე რომ, ფეხსაცმელი, ღამის ხალათი, კბილის ჯაგრისი და თუნდაც სათვალე იქ ვერ მოხვდა. სამაგიეროდ, მოხვდა თითის სიგრძე რევოლვერი ფემინა, 1949 წლის წარმოებისა და ოთხი დამბაჩა, XVII-XIX საუკუნეებისა, ოთხივე გამართული, მოზრდილი საპირისწამლით, რაიც, სხვაგვარად, მოვერცხლილი ყანწი იყო. იქვე მოხვდა გრძელი თოფი, ხირიმად წოდებული, რომელიც სადაფითა და შვიდი ზურმუხტით იყო გაწყობილი, თუმცა ზუმფა აღარ ჰქონდა. იქავე მოხვდა ორი ძველებური ხანჯალი, ერთი ოქროსი და მეორე ვერცხლისა, მეტად კარგი სევადით; სამი ვერცხლით მოლამაზებული მათრახი ძველებური წნულისა და ხელჯოხი, რომლის შიგნითაც სტილეტი იყო. ასევე იქ იყო მეტად საშიშარი და ავი პისტოლეტი გლოკისა, სრულიად ახალი და მგონი, საერთოდაც უხმარი, რომელიც და კოსტამ სიაში არ შეიტანა. ამ საჭურველს თან ერთვოდა ორი პაწაწინა ბებუთი, სპილოსძვლისტარიანი, ძველებური ფრჩხილების საჭრელი და ხილის სათლელი დანები, ხანჯლის შვილებს რომ უწოდებდნენ ოდესღაც.

ამას მოჰყვებოდა თოთხმეტი სასალათე თუ ნაირგვარი დანიშნულების ჭურჭელი: ქვაბი, ჯამი - ხუფიანი თუ უხუფო, სულ ფაიფურისა, მეტად ძვირფასი, ორასი და მეტი წლის წინანდელი, ჩინური, ოსმალური და ფრანგული. ძველებური ყაიდის დიდი დანა-ჩანგალი, ორკბილა ჩანგლები, ექვს კაცზე გასაწყობი და ყავის სასმელი ვერცხლის პაწაწინა ფინჯნები. ასევე, ჩაის ფინჯნები, ოთხი, ფაიფურისა, ინგლისური. სარიტუალო კაბა, ეტყობა, ძალიან ძველი, სწორედ ის, დედოფალს რომ ჩაეცვა მისთვის დროშის გადაცემის დღეს, იასამნის ყვავილისფერი. იქავე იყო ძველი რეგალია - ორი ფრთა ფარშევანგისა, რომელსაც მისი წინაპრები მხარზე დაიმაგრებდნენ ხოლმე სააღლუმო ჟამს და ოსმალური ნიშნები პატივისა და ხელისუფლებისა - ჩალმაზე სამაგრი ოქროში ჩასმული ფირუზის თვალი. ასევე, გულსაბნევები, უთქმელი ფასისა, სულ ოცდაერთი ცალი. ვერცხლის ძველებური თასები, ღვინის სასმელი, საოცარ ტვიფრითა, ჩვიდმეტი ცალი, ოთხი თეთრი საჩალმე ქსოვილი, დაუთავებული და შენახული. ექვსი ნაბდის ქუდი, ჩაფხუტს შიგნით კეფაზე სადები და საყვარელი თავსარქმელი ძველი ციხისთავებისა, როგორც ეს ადრევე შეემჩნია და კოსტას. სათუთუნენი და საბურნუთენი, მრავალი, ტომსიკაში გამოკრული, ვერცხლისა და ოქროსი, მონოგრამებით და ნაირგვარი იდილიური

სცენებით აღბეჭდილი. ჩიბუხები ქარვის ტარებით, მოკლენი, ევროპული ყაიდისა და ყალივანებიც, ამათი ძვლის სატუჩენიც, ასევე ტომსიკაში გამოკრული, უამრავი. ოთხი ბოხჩა ძველი მამაკაცის სამოსისა, ნაფტალინით გაჯერებული, მაგრამ მაინც ჩრჩილგანაჩვევი. ახალოხები და შაროვარები, ჟილეტები და ჟაკეტები, ჩექმები: წითელი, ყვითელი და შავი. იქავე დეზები, მოოქროვილი, დასაზეთი, არანაკლებ ორასი წლისა. თიხის ფიალები, ძალიან ძველი, ჯერ კიდევ ღვინის სუნით გაჯერებული. მძივები, ძეწკვები, ჯიბის საათები, ღილები და საღილეები, მაქო და დუგმა - ყველაფერი ვერცხლისა და ოქროსი, თვლებით გაწყობილი. ხატები - უძველესი, მაცხოვრისა, ალბათ მეთერთმეტე საუკუნის, ღვთიშობლისა ყრმით, ალბათ, იმავე საუკუნის; ნაჭედი ხატი, მეცამეტე საუკუნისა, წმინდა გიორგისა; ორი კათოლიკური ქანდაკი მარმარილოსი, ღვთიშობლისა, ალბათ, ცოტა გვიანდელი საჩუქრები. ფსკვნილი, მარჯნისა, ზედ ვერცხლის ჯვრით, მაჯაზე სატარებელი. ყელსაკიდი ჯვრები, ვერცხლისა, ფირუზით გაწყობილი, მარგალიტისა, ასეთივე. ბეჭდები საბეჭდი და მხოლოდ სათითეც, ოსმალურ წარწერებით, ნაირგვარ ციხისთავთა სახელებით. ორმოცი ცალი. უბრალოდ ბეჭდები, ქალისა და კაცისა, დიდ ყუთში, რომელიც გახსნისას რომელიღაც მენუეტს უკრავდა. მთელი ყუთი, სამაჯურებისა, ბეჭდებისა და თვლიან და უთვლო ქინძისთავებისა, ძველებური საძაფე კოჭებისა და წიგნებისა, რომელთაგან და კოსტამ დავთარში არ შეიტანა 1929 წლის შემდეგ გამოცემული წიგნები. ამ თარიღამდის კი გამოდგა ცხრაას ოცდაჩვიდმეტი. ოთხი მეთორმეტე საუკუნისა, ფსალმუნი ხელნაწერი, სახარება, ხელნაწერი, სულ მონასტრულ ანბანით, ჟამნი, ხელნაწერი და ოთხი ფურცელი იოანეს მატიანის ერთ-ერთი გადანაწერისა. ლათინური წიგნების გვარიანი ოდენობა, ძალიან ძველი და იშვიათი ცალები, ნამდვილი საუნჯე, რომლისაც, მიუხედავად საკუთარი სიმდიდრისა, მაინც შეშურდა ალფრედო და კოსტას. მას, მაგალითად, ძალიან შეშურდა დანიელ დეფოს „ისტორია მეკობრეობისა,“ დეფოს სიცოცხლეშივე გამოცემული. აქავე იყო საუცხოო ოსმალური ხელნაწერი წიგნებიც, ფერადოვანი და კარგად შენახული საგანგებო ყდებში, ვთქვათ, იყო ორასი წლის „ისკანდერ ნამე“ და ქოროღლიც, საოცარი ნაწერი და ასევე კარგად შენახული. დანარჩენი, ბევრი იყო ფრანგული გამოცემები, რუსოდან შატობრიანამდე არაფერი გამოეტოვებინათ, ხოლო ინგლისურებიდან მან მოიწონა უილიამ გოდვინის „კალებ უილიამსი.“ საერთოდაც, და კოსტა გააოცა მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის შერჩევამ ძველ არჩილიან ფაშათა მიერ. იქ ბევრ წიგნს ესვა ბეჭედი ოსმალური წარწერით, „სარი ბეგ“. ეს მეტად უცნაური გახლავთ, როცა მაქს შტირნერის 1828 წელს დასტამბულ წიგნს, „ერთადერთი და მისი მონაპოვარი,“ ოსმალური წარწერა ამშვენებდეს და თანაც, კუნძულების მმართველისა, წიგნი კი გერმანული იყოს. საერთოდაც, წიგნები უმეტესწილ, იყო ძველი, მივიწყებული მოძღვრებების აღმწერი და ათასგვარი, მარქსის, კონსიდერანის, პრუდომის ოციოდე სხვადასხვა ტომსაც მოიცავდა. იქ თითქმის არ იყო რომანები, თუმცაღა, აღმოჩნდა რამდენიმე ძველი გაზეთი, ანბანისა, რომელიც არ იცოდა და კოსტამ, მაგრამ მიხვდა, რომ ეს უნდა ყოფილიყო საქართველოდან მოტანილი გაზეთები 1884 წლისა. გაზეთი ერთი სათაურისა იყო და პირველ გვერდებზე ნაწერი სტატიები წითელი ფანქრით იყო დახაზული, რაღაცეები მოენიშნათ. ბიბლიოთეკის სათაურების ფურცელზე გადატანას გვარიანი დრო დასჭირდა, გვიან ღამემდეც კი გასტანა და ყოველივე ამას ფანჯრების დაგმანვა დასჭირდა, რადგან აგათიას ბინის ფანჯარა გვარიანი სამიზნე იქნებოდა შორი სახურავებიდან ან სულაც ქუჩიდან. თანაც, სინათლე არ იყო და ორი სანთელი, რომელიც თითქმის ჩაეწვა მოხუც და კოსტას, სწორედაც რომ ზუსტად ეყო ამ ამბავს.

დიდად სახილველი იყო სათუთად მოვლილი ოთხი ხელი ტანისამოსი, როგორც გამოთვალა ალფრედო და კოსტამ, ძმისა, მამისა, ბაბუისა და დიდი ბაბუისა, სახელით სარი ბეგ. ეს იყო თავისებური სამოსი, რომელიც გრავიურებზეც აღებეჭდა მავან ჯონ ქინანს და რამდენიმე კიდევ სხვა მხატვარსაც. სადად მოქარგული ქულაჯა, ნაცრისფერი, ყვითელი ნაქარგებით, ვეფხვის ტყავის ღუნღულა ბეწვით შიგნიდან. ჩალისფერი ახალოხი, ვიწრო შარვალი და ფეხზე გადასახვევი ტილოები, წინდის მაგიერი, ერთ დროს მიღებული. ასევე ქამრები, ვერცხლის ბალთებით და ოქროს კანტებით. ტილოს ქუდები, ევროპული შლაპების მსგავსნი, ასევე ოთხი ერთეული და ათასგვარი წვრილი ნივთი, ამ სამოსზე მოსარგებად, რომლებიც მხოლოდ ერთეულებად ჩაიწერა და კოსტამ. ნახატები იყო საკმაოდ, ყველა ოთახში, თუმცა, უმეტესი იყო გრაფიკა და აკვარელი. ქინანის ხელი ასევე ეტყობოდა ამ ნახატებს, თუმცა სხვანიც იქნებოდნენ. იყო რამდენიმე კარგი პეიზაჟი: სამივე კუნძულის ბუნების კუთხენი. თვლა არა ჰქონდა სწორედაც რომ წვრილ ნივთებს. საფერფლეებიც კი, ვთქვათ ჯიბისა, ვარდითა და სხვა ამგვარი რამეებით შემკული, თორმეტი მაინც იქნებოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ ფორთოხლის სატკბარუნებელ ვერცხლის მოწყობილობაზე, რომელიც გლობუსის სადგამს უფრო ჰგავდა და იყო თავისი დანებით, ერთი საკურკე თეფშით და ასევე, ალბათ, ოთხასი წლისა მაინც გამოვიდოდა. ბალ-ალუბლის საჩურჩი ჩხირები და ასევე ნაჭუჭიანის სამტვრევები და მუნდშტუკები, სულ ას სამოცდათორმეტი ცალი, ნაირგვარი ზომისა, ფორმისა და ღირსებისა. ამათგან სამოცდათვრამეტი და კოსტამ თავის სიებში ჩაწერა.

ასეთი ბევრი იყო და ბევრიც საოცარი და მიმზიდველი რამ ნივთი გაკრთებოდა იმ პატარა ბინაში, სადაც მაგიდამდე ძლივს მიხვიდოდი, რადგან ყოველგან ჩადგმული იყო ავეჯი, რომელიც ასევე აღწერა ალფრედო და კოსტამ.

იმათ შორის ძალიან მოეწონა ერთი ოსმალური ხალიჩა და ოთხი სკამი, რომელთაც საზურგედ ოქროს საღებავით გაფერილი არფები ჰქონდა. ავეჯი იოლი იყო, მაგრამ ამბავი ისე მოხდა, როგორც ხდება ხოლმე წიგნებში და ბოლოს მისწვდა აივნის კარადას ალფრედო და კოსტა, თუმცაღა კი გვარიანად ეშინოდა აივანზე გასვლა, რადგან ტყვიები დაფრინავდნენ, მაგრამ ერთი ხეირი ისა ჰქონდა ამ აივანს, რომ პატარა იყო, მისი ნახევარი კი ერთ დაბალ ფრანგულ კომოდს დაეპყრო, ხოლო იქ მყოფს სრულიად ეფარებოდა ღონიერი, ფოთლოვანი ტოტები თუთის ხისა. სწორედ ამაზე ეთქვათ იმ სუნგალებს, თუთა ლამის არი და სახლში შამოგვივარდესაო. საკუთრივ აგათია აივანზე არც გადიოდა ხოლმე, ვინაიდან იქ სარეცხს ვერა ფენდა და დასაჯდომი ადგილიც არ ჰქონდა, ხოლო სხვაფრივ, არაფერი ესაქმებოდა. სენიორ და კოსტამ კი კომოდისთვის გამოაღო აივნის კარი, ეძველა ის კომოდი და იფიქრა, ავხედ-დავხედავო. გამოსწია ზედა უჯრა და იქ დაუხვდა ათასგვარი რამ ჩაქუჩი, გაზი თუ სხვა რამ რკინა, ძველები ესენიც, საოჯახო მოწყობილობისა და კიდევ ერთი ახალთახალი პისტოლეტი. იქვე ეყარა აურაცხელი ოდენობის ნალები, ალბათ ძველი ცხისთავური ნაშთები და ათასგვარი კიდევ სარჭობ-სადგისელა. ნალები, დიახაც უნდა შეეტანა სიაში და ჩაქუჩიც. ჰოდა, მერე ქვედა უჯრაც გამოსწია, სადაც ძალიან ბევრი ნაირგვარი მავთული ჩაეყარათ. ზოგის ნაგლეჯი ალბათ ელექტრიკოსს დაეტოვებინა, ზოგიც - რაიმე სხვა ხელობის მეჩაქუჩეს. ხოლო იქვე იდო კარგა მოზრდილი ერთი გუდა, იერით ძველი, ცხვრის ტყავისა.

ეს გუდა ალბათ ძველი მკერვალის ნაკერი იყო და მეტად ოსტატურადაც. ტყავი ისე გამოეკერა, რომ ცხადია, ბეწვი შიგნით მოექცია, ხოლო ზედ საკრავთან შეერჩინა ორი

მოზრდილი რქა ვერძისა, ჩახვეული და რაღაცნაირად სიკვდილით მსუნთქავი. კარგა ნაჭამი იყო ეს გუდა, ჰათუ რა მწერისგან, ჰათუ, ალბათ, თაგვისგან. ალაგ გაბუნტყლულიყო და გამოხეულიყო. მოკლედ, კაცს რომ გული არ მიუვა ზედ, ისე იყო და სენიორ და კოსტამ ხელზე გაზეთის ნახვევი შემოიხვია და ისე დასწვდა და შეარხია, ერთი ვნახოთ, შიგ თუ რამეაო და კი გაიგონა რაღაც ჭახანი და იფიქრა, რომ ნაირგვარი ძველი ნივთები იქნება აქაო და ამოათრია იმ უჯრიდან და შინ შემოიტანა, რათა მაგიდაზე გაშლილ გაზეთებზე გადმოებერტყა. ჰიიი-ჰო, იქიდან ნამტვრევები ცვიოდა და ალფრედო და კოსტა იცნობდა ამ ნამტვრევებს.

ასეთი ნამტვრევები, სულ ოთხი ერთეულის ოდენობით, მუზეუმშიაც ჰქონდა და ასევე იცოდა, ქალაქის რამდენ ოჯახში ინახებოდა თითო-ოროლა ამგვარი ნამტვრევი შავი ხისა. ჰეი, აქამდე და კოსტამ იცოდა, რომ ცხონებულს, საბრალო დედოფალს, აგათიას, უნდა ჰქონოდა მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნამტვრევი, თუმცაღა ეს ნამტვრევი საქმეში ჩაფლულს არ გახსენებია, რადგან არ იყო მოტრფიალე ამ ისტორიისა. დიდად არაფრად მიაჩნდა ეს ამბავი და საერთოდაც, არ მიაჩნდა, რომ ეს ამბავი რაიმე იდუმალებას შეიცავდა. არც დედოფალი ჰგავდა იმ ადამიანს, რაიმე ანგარიში რომ მიეცა ამ სისულელისთვის და მაინც ეს დამაფიქრებელი იყო: ალფრედო და კოსტას წინ ეწყო ორას სამოცდაოთხი ნამტვრევი ალი ბეის განთქმული ჩიბუხისა, სრულიად დაუზიანებელი სათუთუნე, სანაკვერჩხლე და სატუჩეც კი.

ასე იყო. მის წინ ასე, ნამტვრევებად იდო ალი ბეის ჩიბუხი, რომლის აწყობაც შეიძლებოდა, რადგან მას აკლდა მხოლოდ და მხოლოდ ოციოდე პატარა ნაწილი, გაბნეული სანტა სიტის განთქმულ ოჯახებში.

ალფრედო და კოსტას არ სჯეროდა ალი ბეის ჩიბუხისა, მაგრამ თვალწინ კი ედო ეს ჩიბუხი. და რატომ არასდროს უთქვამს დედოფალს, რომ მას ამდენი ნამტვრევი ჰქონდა? აი, ამას ფიქრობდა მოქანცული და გაავებული მოხუცი ჯენოველი, რომელსაც თან ეშინოდა და თანაც გული ერჩოდა, გმირობა კი მეტს არც მოითხოვს რამეს. და მაინც, წესიერი კაცის რიგით, ალფრედო და კოსტამ ნამტვრევთა საერთო ოდენობა ზუსტად აღნიშნა იმ დიდ დავთარში. მოკლედ ეწერა: ნამტვრევები ალი ბეის ჩიბუხისა, სულ ორას სამოცდაოთხი ცალი. დათვლილია და გადამოწმებული.

განცდანი მამასახლისთა თათბირობის უტყუარი ოქმებიდან

ტოლუმბაში

მიხარიან, რომ ჩემ სახლში ხდება ეს შეკრებულება და ისიც მიხარიან, რომ ესწრება ყოველი გვარის მამასახლისი ქარიანების გარდა, მაგრამ ისე ნუ ვიზამთ, რომ მამასახლისთა შეკრებულება ყორნების ამბავს დაემსგავსოს. ჩემ სახლში ხმაური არასდროს ყოფილა. გარეთ ჟურნალისტები დგანან, ჩვენ კიდევ აქედან ვაძლევთ ხმას, რომ ასე ვბრაზობთ.

მარჯვენა მხრის მამასახლისებიდან

სწორეა... სწორეა... მიდი, სარდიონ მათიანო, ნათქვამები შემოჰკრიბე, კარგი ტოლუმბაში ხარ.

ტოლუმბაში

მაშ, ყველა თავის მოლაპარაკეს გაესაუბროს უჩუმრად, მე კი ჩამოვთვლი. მაშ, პირველია, რომ ანგლეზის გავერნორის მოწოდება არის, რომ დროებითი კომისარი, მათგან მოწოდებული, ვარ მე. მე ამ ამბავს ვაძლევ მამასახლისთა ხელში და იმათ გადასწყვიტონ.

მარცხენა მხრის მამასახლისებიდან

აგრე იყოს, აგრე იყოს... მათიანი იყვეს კომისრად.

მარჯვენა მხრის მამასახლისებიდან

ჩვენ გვჭირდება პირობა, თორემ ჩვენც თანახმანი ვართ, ვინაიდან ვიცით, რომ პატიოსანი და მცოდნე ოჯახი მოდის მშვიდობის კომისრად.

ტოლუმბაში

მაშ, თანხმობა არის? თუ თანხმობა არის, მე თანახმა ვარ ვიყო კომისრად ერთ წელიწადს, რაც ანგლეზის სურვილიცაა და მამასახლისებისაც. სანამდი არ ავირჩევთ პარლამენტს.

ოღონდაც კი აქედან მივდივართ იმ საკითხზე, რაც ითქვა. ანგლეზის ბოლო გეგმა გახლავს, რომ ქვეყნის წინამძღვარი იყოს დედოფალი. ციხისთავთა გვარს მიუბრუნდეს ის სახელი, რაც ჰქონდა დიდი ხნის წინეთ. დედოფალი იქნება სახება ქვეყნისა, ის დალოცავს პარლამენტს, ხოლო ვერავის დანიშნავს თავისი მსახურების გარდა. დედოფალს ანგლეზი გვთავაზობს ბატონს აგათიას, რისი წარდგენილობაც არ ყოფილა. თუ მე ვიქნები კომისარი, მაშინ დედოფლის ხელგვერდზე ვიდგები და იმას უნდა ვასმევინო ბეჭედი. მე ვიტყვი ჩემ აზრს ბოლოს, როგორც ტოლუმბაშის წესია... მამასახლისები რას ამბობენ დედოფალზე, სხვაფრივ კი მეფეზე?

მარჯვენა მხრის მამასახლისები: მხარს მივსცემთ დედოფალს... ეს კარგი სურათია ჩვენი ქვეყნისთვის... პატივისცემა იქნება მოხუცისა და საგვარეულოსაც, ამით ანგლეზები ბოდიშს მოუხდიან... მთელი უცხო მხარენი მომხრეა. ოსმალო, რუსი, ანგლეზი, ამერიკა... ბოლგარი, რომანი, ქართველიც კი, რომელსაც ღონი არ აქვს, მაგრამ მომხრეა.

მარცხენა მხრის მამასახლისები

თქვენ ქართველის არ იცით. თქვენ ნუ ახსენებთ ქართველს, ჩვენ ვართ ქართველი და ვიცით, ქართველს სხვა მეფე ჰყოლია. არჩილიანი არ ჰყოლია მეფედ. არჩილიანი ციხისთავია და მერე ოსმალოს ყმა. ის არ ყოფილა მეფე, ის იყო ოსმალოს ყმა და მერე ანგლეზს მიჰყიდა ქვეყანა, ის ფულები კი დაჰფლანგა რივიერებში.

მარჯვენა მხრის მამასახლისები: ამას არა აქს მნიშვნელობა. ეს სხვა დროა, უკვე მკვდარი. ჩვენ გვინდა იერი ქვეყნისა, ვინაიდან ყოველ დიდ მეზობელს უხარია არეულობა ჩვენ შიგნით და ერთი სული აქვს, ჯარით მოვიდეს და თავისი უფლება თქვას. ჩვენ წესრიგი უნდა ვაჩვენოთ. მეფე ნიშნავს წესრიგს, წარსულს და მომავალს. მხოლოდ კომისარი ვერაფერს ნიშნავს. ანგლეზს ჩვენც ველაპარაკეთ...

ტოლუმბაში

მაშ, თუ ქიშპია, უნდა იყოს კენჭის ავარდნა, ვინ რას მიემხრობა. მე ვხედავ, რომ მარცხენა მხარე ერთიანათ წინააღმდეგია, მარჯვენა მხარე კი - ერთიანათ მომხრე. რახან ქარიანი გვაკლია, გამოდის, რომ ერთი კენჭით იმარჯვებს მარცხენა მხარე. ანუ იმარჯვებს იოანე და გენუეზმა და ოსმალომ პატივი უნდა სცეს ამ მოგებას.

მარჯვენა მხრის მამასახლისები: როგორცა ვხედავთ, ტოლუმბაში იქითა მხრის კენჭია თავისი ორი ხმით. მაშ, ეს საკითხი შეუთანხმებლობაშია. ვინაიდან ჩვენ შემდეგს სალაპარაკოზე ვერ გადავალთ, თუკი ბოლომდე არ გამოირკვა, რატომ არის მარცხენა სკამები წინააღმდეგ დედოფლისა თუ ტოლუმბაში იტყვის, რომ ეს არ უნდა აგვიხსნან, ამას ნაცრობასთან მივყავართ, რაიც უკვე მოხდა დღეს, ახალ მამასახლისის თავგამოდებით მარცხენა მხრიდან. თუ საძირკველი არის ბოღმა და ეს დამტკიცდა, მაშინ ჩვენ მაინც დავიჟინებთ ამ ამბის დასაწერში შეტანას.

ტოლუმბაში

მე არ მითქვამს, რომ არ მოვისმინოთ, მე ვთქვი, რომ უტოლუმბაშოთ, იგებს მარცხენა მხარე. ვსთხოვ მარცხენა მხარეს, დაასაბუთოს თავისი უარი, ჩემ კომისრობაზე უკვე თანხმობის შემდეგ.

მარცხენა მხრის მამასახლისებიდან

კიდევ ერთხელ მოგახსენებთ. მე ვარ კაია ვისრამიანი. მე ვარ ასული კონსტანტინე ვისრამიანისა, რომელიც უნდა მჯდარიყო აქ, მაგრამ ავადმყოფობამ ვერ მოიყვანა. ჩემს მოლაპარაკეს ყველა იცნობთ. ამიტომ მე მოვედი აქ, რათა ვთქვა ჩემი ოჯახის და გვარის სათქმელი...

მარჯვენა მხრის მამასახლისებიდან

თქვენა, ბატონო, არა ხართ მამასახლისი. თქვენს გვარს არ წარუგზავნიხართ და ბევრს კი ლაპარაკობთ.

მარჯვენა მხრის მამასახლისებიდან

მე წარმომგზავნა მამაჩემმა. ვფიქრობ, იცით, ვინ არის მამაჩემი.

მარჯვენა მხრის მამასახლისები: შეუძლებელია, მამაშენს დაევალებინა, გეთქვა, რაც აქამდე თქვი. ჩვენ ვიცნობთ მამაშენს. ის ყველაზე მდიდარი კაცია, მაგრამ ჩვენ ვართ თვრამეტი რჩეული გვარის შვილები.

მარცხენა მხრის მამასახლისებიდან

მე მოვედი აქ და ვთქვი გულისთქმა, რომელსაც ეთანხმება ყოველი მამასახლისი მარცხენა მხრისა. ამის პასუხად, თქვენ მე, პირველ ქალს, ვინც კი სამამასახლისოში მოსულა, დამცინეთ, მოითხოვეთ ნაცარი და ცოცხი ჩემთვის და ასე დამამცირეთ, რასაც ტოლუმბაშიც ვერ აღუდგა წინ. ასე მინდა ფიქრი, რომ ტოლუმბაში ვერ აღუდგა. ის ვერ დაეთანხმებოდა ჩემს დაცინვას. თქვენ მე დამსვით ნაცრიან სკამზე. მე ვარ კაია ვისრამიანი და ყველას გეუბნებით: თქვენ ორპირა ხალხი ხართ. თქვენ აქ ერთი მოხუცებული ქალის გამეფებას აპირებთ, რათა ის ხელში გაათამაშოთ. ის არის

ღატაკი, ყავასაც მხოლოდ თვეში ერთხელ სვამს - ის არავის ახსოვს. საერთოდ არავის ახსოვს, თუ არსებობს ეს ქალი, რომელიც დედოფლად გინდათ. ციხისთავებს არაფერი აუშენებიათ ამ კუნძულებზე. მათ მხოლოდ ციხე ააშენეს და ისიც მეფის გამოგზავნილი ქვით. მეტი არაფერი. ისინი რვაას წელიწადს ჭამდნენ ჩვენგან მიძღვნილ საჭმელს, ისინი ვერ ელაპარაკებოდნენ ვერავის, ვერც სუნგალს, ვერც ჯენოველს, ვერც თავისიანს, ელაპარაკებოდნენ ოსმალებს, თუმცა, უფრო ოსმალები ელაპარაკებოდნენ მათ და მონებად ჰყავდათ. აქ არის ჩვიდმეტი მამასახლისი. ყველას ვეკითხები: რომელი იმათგანის წინაპარმა შეიცვალა რჯული? მე პატივს ვცემ ოსმალოს, მაგრამ მე არ გამოვიცვლი რჯულს.

მარჯვენა მხრის მამასახლისები: ვისრამიანების რჯულს ურჯულობა ჯობია. რა რჯული გაქვთ? ფული, აი, თქვენი რჯული: ჩემი ოჯახი და ფული. მეტი რჯული თქვენ არ გაქვთ. ციხისთავებს მეტი მოეთხოვებოდათ და გაიღეს... ისევ კუნძულთა სიმშვიდისათვის. დამხმარე არ ჰყავდათ. როდის აჯანყდით ვისრამიანები, ახლა რომ ჯანყობთ?

მარცხენა მხრის მამასახლისები

ნუ სთესთ ქარიშხალს. მე ქალი ვარ და გეუბნებით. აქ ერთ ქალს დამცინეთ, იქ მეორე ქალს ადიდებთ. მე ჩვენს მამასახლისებს ვეუბნები, მტკიცედ იდგნენ. მე საფლავშიც არ დავეთანხმები, რომ დედოფლად იყოს არჩილიანი ქალი, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში აქვს და რომელიც ისევ ვიღაცის სატრიალო იქნება. მე ამას ვეუბნები ამ ვითომც პატივსაცემ კაცებს, როლებმაც მე დამცინეს. ქალს დასცინეს. მათ არაფერი იციან ქალისა. ჩვენ იოანელები ვართ. თქვენ რომ მოხვედით, ჩვენ აქ დაგხვდით. არ ვიცი, რა მოიტანეთ. ალბათ კომპასი, მაგრამ ჩვენ კომპასი არ გვჭირდებოდა, ჩვენ ისედაც გავაგნებდით გზას. სულ სწორად მივდიოდით და ახლაც სწორად ვალთ. ეს იცოდეთ. მე ვისრამიანი ვარ. თქვენზე ფრჩხილით მეტი ყოველთვის ვარ და აღარ ახსენოთ მამაჩემი, ის არ არის თქვენი სახსენებელი. ტოლუმბაშს კი ვეუბნები, რომ ააგდოს კენჭი და წინდაწინ ნუ ითვლის, რომ ვინ დედოფლისაა, ვინ კიდევ ქვეყნის. ჩვენ ვეთანხმებით, მისავე ყოფნას კომისრად და აქ იმასაც ვიტყვი, რომ ჩვენ რომ არა, ის კომისრად ვერ გახდებოდა.

მარჯვენა მხრის მამასახლისები: ვინ გვაშინებს? ტოლუმბაშო, ის ვერ ასაბუთებს თუ რით არის მავნე დედოფალი. მისი ერთი დასაბუთებაა მე, მე, მე რასაც საბუთად ვერ მივიღებთ.

ტოლუმბაში

დაწყნარდით, მამასახლისნო, რაღაც ხმები მესმის გალავანს იქიდან და მსახურებსა ვთხოვ, გაიგონ რა ხდება. უთუოდ ხალხი მოსულა და ელოდება ჩვენს აზრს...

მსახური

გარეთ ზღვა ხალხია... დედოფალს ელოდებიან.

ტოლუმბაში

რომელ დედოფალს?

მსახური

ისინი ამბობენ, რომ დედოფალი აქ მოვა წუთი წუთზე...

ტოლუმბაში

ვერ გამიგია, დედოფალი ჩვენ არა გვყავს. კარგად უდარაჯეთ ალაყაფს. რაიმე ფარსაგი არ მზადდებოდეს. თუ გნებავთ, ავიდეთ და გადავხედოთ სხვენის საჭვრეტიდან თუ რა ხდება გარეთ.

მარცხენა მხრის მამასახლისები

რა ხდება? რას ნიშნავს დედოფალი? ეს როგორ გამოდის? აქ რა უნდა იმ ბებრუხანას?

მარჯვენა მხრის მამასახლისები: ჩვენც არ ვიცით, რა აზრია ხალხისა. ხალხს ვკითხოთ.

მარცხენა მხრის მამასახლისები

ხალხს არ ეკითხება.

ტოლუმბაში

რაო, მსახურო, რა ამბავია?

მსახური

ალაყაფთან დედოფალი დგას, ძველი ჩადრი აცვია და ფარშევანგის ფრთები აქვს მხარზე. ამალა ახლავს.

ტოლუმბაში

ვერ გამიგია.

მსახური

აკაკუნებენ.

მარცხენა მხრის მამასახლისები

აჰა, ხომ ხედავთ, ეს ხაფანგია. ჩვენ გვატყუებენ. ჩვენი ფიქრი არავის აინტერესებს. რას ნიშნავს? სად იყო ბოლო ას წელიწადს? არ გახსნათ კარი, ტოლუმბაშო.

ტოლუმბაში

ჩემი სახლის კარი დავგმანო, როცა ვიღაც მოსულა და აკაკუნებს? თქვენ თქვენი სახლისა დაგმანეთ. ამას ვერ ვიზამ. მსახურო, გაუღეთ, ვინც არის, შემოვიდეს.

მარცხენა მხრის მამასახლისები

რას გაიტრუნეთ? განა წინდაწინვე არ იცოდით? რატომ მოვიდა ის ქალი? ვინ არის? არა ვცნობთ, არა ვცნობთ.

ტოლუმბაში

გამარჯობათ, ბატონო აგათია... აქ მოგასვენებთ. უცნაურია ჩვენი კრებულისთვის ასეთი მოულოდნელი სტუმრობა.

დედოფალი

არ დავჯდები. არც მცალია. მომწონს ეს სახლი, ყოჩაღ, მათიანო. გემო გაქვს. ყველას ალალად მოგესალმებით და გადმოგცემთ ქაღალდს.

ტოლუმბაში

ეს... ეს... ეს რა არის?

დედოფალი

ასეთია გავერნორის ბრძანება. არსებობს პარლამენტი, იქ გადაინაცვლებთ, როცა კი ავირჩევთ და მას დავლოცავ. ჩემს წინაპართა გამგებლობის დროს მამასახლისთა საკრებულო არ არსებობდა. ჩემს წინაპრებს აართვეს ქვეყანა, მათ მაგივრად კი ეს საკრებულო მოიგონეს. გავერნორის ბრძანებით, სრულ სამ საათზე საკრებულო სამუდამოდ გაუქმდება. ქვეყანას აღარ ჰყავს გვარები, რომლებიც უპირატესნი იქნებიან კანონის ქაღალდებში. ყველა გვარი თანასწორია, როგორც იყო სარი ბეგის დროს.

მარცხენა მხრის მამასახლისები

კი, მაგრამ... შენ ვინა ბრძანდები? ჩვენ არ ვიცით, ვინა ბრძანდები.

დედოფალი

მე ვარ დედოფალი აგათია ციხისთავი არჩილიანი... სახელო ჩამოვთვალო? მე ერთი თვეა დედოფლად ვარ ნაკურთხი, ხოლო კომისრად დანიშნულია სარდიონ მათიანი, რომელსაც ახლა ვთხოვ, ხვალიდანვე დაიჭიროს მისთვის საჭირო ოფისი სთეითში და მიჰყვეს ქვეყნის გალაგებას ანგლეზების წასვლის დროისთვის.

მარცხენა მხრის მამასახლისები

მოგვატყუეს... ანგლეზებმა მწარედ მოგვატყუეს... ვინ გაკურთხათ დედოფლად? ჩვენ იქ არ დავსწრებივართ.

დედოფალი

გლეხები არ ესწრებიან დედოფლების კურთხევას. მოსვლა კიდევ არავის დაუშლია. აი, ეს არის ახალი კონსტიტუციის პროექტი. საგაისოდ სწორედ ასე უნდა იყოს. არ შეშინდეთ, მე მაქვს მხოლოდ ზარის შემოკვრის უფლება, პარლამენტის გახსნის წინ. უამისოდ ვერ დაიწყებთ. ეხლა წავედი...

მარცხენა მხრის მამასახლისები

თქვენ ეს იცოდით... წინდაწინვე იცოდით და აქ თავი გაგვიბრუეთ.

მარჯვენა მხრის მამასახლისები

ყველა თქვენნაირი ნუ გეგონებათ. ჩვენ ჯენუელები ვართ, ჩვენ ფერს ვაძლევთ ამ კუნძულს, თქვენ - მხოლოდ ხორცს.

მარცხენა მხრის მამასახლისები

ოსმალებო, იფხიზლეთ... არა ჰქნათ ეს საქმე. განზე გადექით.

ტოლუმბაში

რომ ჩავუკვირდეთ, ჩვენი სამამასახლისო მაინც უუფლებო შეკრებაა. აბა, მითხარით, ბოლო ნახევარ საუკუნეს რა გაირკვა აქა? ჩვენ შეგვიძლია მივწეროთ გავერნორს, რომ არ ვეთანხმებით. აქედან რა? მოვიწვიოთ პარლამენტი და გადავაყენოთ დედოფალი, ვიქცეთ რესპუბლიკად, ვინ გვიშლის? ახლა სამ საათს აღარაფერი უკლია, მაშ, მოვასწროთ და ავაგდოთ კენჭი. გაუქმებამდე რომ კაი წერილი ვაახლოთ გავერნორს.

მაშ, უნდა თუ არა მამასახლისებს, რომ კომისრად ვიყვე მე, სარდიონ მათიანი... ერთ სულ, ერთ ხორც... მადლობა ჩემგან ამ ჭირის შემომატებისთვის, ყოველი თქვენგანი ჩემ გვერდზე უნდა იყვეს. დიახ, და უნდა, რომ დედოფლობა შემოვიდეს და აგათია ჯდეს ტახტზე?... მარჯვენა მხარე, ერთ სულ, ერთ ხორც... მარცხენა მხარე... ეს ერთი კენჭი, ეს ორი, ეს სამი... დასთვალეთ კენჭი. ყველა კენჭი გარდა ერთისა. ის ერთი კენჭი უჭირავს კაია ვისრამიანს. მაშ, ასეც ჩახატე, დამწერო. ასე შეუდგინე გავერნორს. ყველა დასთანხმდა, რახან იხილა თქვენი მოულოდნელი აზრი და იყოს ასეო.

მარცხენა მხრის მამასახლისები

მე არ ვარ თანახმა. მე დაგანახვებთ, რომ ეს ქვეყანა სხვა არის. თქვენ ცალკე, თათბირის მოღალატეებს კი ცალკე. ყველამ იცის, რომ სარდიონ მათიანის ტოლუმბაშობა მამაჩემის შეთავაზება იყო, ყველამ იცის, რომ მისი კომისრობა გავერნორს მამაჩემმა უთხრა.

ტოლუმბაში

მამათქვენი გადმოაგდებდა დღეს კენჭს.

მარცხენა მხრის მამასახლისები

თქვენ ყველას დაგავიწყდათ, რა არის თქვენი ქვეყანა. მე ყველას დაგანახვებთ. მე ვარ კაია ვისრამიანი. ეს დაიმახსოვრეთ და გამიღეთ ალაყაფი, რათა გავიდე ამ საცოდავ ბუდიდან, რომელიც მოანგრიეს და მაინც კი კვერცხებს დაეძებდა კრუხი... ეს დაიმახსოვრეთ ყველამ, მე კაია ვისრამიანი ვარ. მე ამას ვერ მივეჩვევი, რომ ჩემი ქვეყნიდან ცირკუსი გააკეთონ. ჩემმა გვარმა მოიტანა ეს ქვეყანა.

მარჯვენა მხრის მამასახლისები

ცხვარი დასთვალეთ...

მარცხენა მხრის მამასახლისები

თქვენ ვეღარაფერს დასთვლით მალე...

ტოლუმბაში

მოსწრებულია. მადლობა ყველას, ხეირი და ჯანმრთელობა...

„სირცხვილი და სიკვდილი“

გუშინდელი გაზეთი „მესინჯერი“

ტექსტი მონიკა უსო დი მარესი, ფოტოები ბიკ ლოპიანის, არტ ლოპიანის დახმარებით

გუშინ შუადღისას ტყვეების მოედანზე მოჰკლეს სანტა ესპერანსას და იოანეს მიწების დედოფალი აგათია ციხისთავი არჩილიანი, სამოცდაჩვიდმეტი წლისა.

ჩვენი დედოფალი მოჰკლეს გამეფებიდან ოთხი დღის თავზე, როცა მან გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ატეხილი ომისთვის, რომელიც მისგან დროშებისა და უფლებების მიღების ღამეს დაიწყო.

დედოფალი მოკლულია ველური შუა საუკუნეების ხერხით, ერთადერთი ისრით, რომელიც, დღემდე ვერავინ გაიგო, საიდან გამოფრინდა, თუმცა, სამარჩიელო არ არის, რომ მოხუცი აგათია, რომლისთვისაც ჩვენი ყველას ბებია შეგვეძლო გვეწოდებინა, მოკლულია სწორედ იმათ მიერ, ვინც სანტა ესპერანსაზე არეულობა დაიწყო.

ეს კი არის ვისრამიანთა საგვარეულო, რომელსაც დღეისათვის გამაგრებული აქვს ქალაქის სამხრეთი უბნები და ციხესიმაგრე და არა აქვს მოთხოვნა, ან რაიმე მიზანი თუ რატომ დაიწყო ნგრევა და მკვლელობა. ვისრამიანთა ხელშია ვისრამიანის კუნძულად ცნობილი სამხრეთის კუნძული, აეროპორტი და ყოფილი რეჯიმენტის ბაზა, ასევე ბუნგალოლენდი, საიდანაც დამსვენებლები გამოყარეს. მათ ხელშია ბორნები და გზები, თუმცაღა, კლანის მეთაური კაია ვისრამიანი არ ამბობს თუ რა მიზეზით დაიწყო არეულობა ქვეყანაში.

ეს მიზეზები საუკუნეების განმავლობაში ცნობილია და ამ გვარის უკიდეგანო ამპარტავნების შედეგად თუ იშვა. ვისრამიანთა მეთაურმა სასწრაფოდ უარყო მისი მხრის რაიმე მონაწილეობა დედოფლის მკვლელობაში და გაზეთებს უთხრა, რომ მართალია, თავის მოწინააღმდეგედ მიაჩნდა და არ ცნობდა დედოფლად, მაგრამ ისე არ დაცემულა, რომ ქუჩაში მიმავალი მოხუცი მოეკლა. საერთოდაც, ის არ არის მომხრე მკვლელობებისა, თუკი პოლიტიკური მორიგება მოხერხდება და ამჟამად ტურისტების და მსურველების ქვეყნიდან გაყვანით უფროა დაკავებული, ვიდრე პოლიტიკით.

კაია ვისრამიანს არ უნდა მშვიდობა, დედოფალი კი მიდიოდა მშვიდობის დასამყარებლად.

დილით მან გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ამ სამდღიანი უაზრობისთვის და პანიკისთვის. თავისი ბინიდან, სადაც ჯერ კიდევ ცხოვრობდა, რადგან თავიდანვე უარი თქვა ციხესიმაგრეში მუზეუმის მოშლასა და მის თავის რეზიდენციად გამოცხადებაზე, მან გადაწყვიტა, ფეხით წასულიყო სიმაგრეში, გადაევლო მთელი ქალაქი და იქ ხლებოდა კაია ვისრამიანს, რათა გაერკვია, რა უნდა მას და ამ არეულობისთვის წერტილი დაესვა.

დედოფალმა იცოდა, რომ მას გზადაგზა ხალხი შეუერთდებოდა, ვინაიდან ომი არავის უნდა და ამით მთავარ საქმეს მოაგვარებდა: დაანახებდა ვისრამიანებს, რომ გასაყოფი და სადაო არაფერია, რადგან თვითონ მას არაფერი უნდა და არაფერი აბადია.

დედოფალს ახლდა მხოლოდ მისი ინგლისელი კამერდინერი პარდონ ბელი, მეყალიონე მორად ბეი და მედროშე ფარნა, რომელსაც, ცხადია, დროშა მოჰქონდა.

დედოფალმა უარი თქვა შეიარაღებული სუნგალების ხლებაზე, თუმცა ეს ორი დღეა, ხეირის ქუჩაზე მოდიან და მოდიან სუნგალები, რომლებიც მის დასაცავად ამზადებენ იარაღს. ეს საკვირველია, რადგან ვისრამიანის შეიარაღებულ ძალებშიაც ბევრი სუნგალია, თუმცა სუნგალებს არასოდეს ჰქონიათ იმისი ჯავრი თუ საით ისვრიან.

დედოფლის მხარეს ჯარის შექმნას მეთაურობს ცნობილი სუნგალი ხეტია, რომელიც, როგორც ირკვევა, ადრევე ყოფილა დანიშნული ციხისთავიანთ სარდლად და მან გვიჩვენა საბუთი, რომელსაც ორი წლის წინანდელი თარიღი უზის და დედოფლის ბეჭედიც ამჩნევია.

ამის მიუხედავად, დედოფალი მარტო წამოვიდა, მაგრამ ასი სუნგალი მაინც წამოჰყვა მას და ოცდაათიოდ ნაბიჯში მოსდევდა, თუმცა ეს არ იყო რაიმე დაცვა. დედოფლის ანგარიში სწორი იყო, როგორც კი ის გამოვიდა მეჩეთთან, მას წამოჰყვნენ ოსმალები და ჯენოველების უბანშიაც მრავალი ხალხი შეემატა.

დედოფალი მოდიოდა ფეხით, ებიჯგებოდა ჯოხს და ეცვა სრულიად უბრალოდ, არც გამოირჩეოდა ხალხის იმ გუნდში, რომელიც მოსდევდა. მას უთხრეს, რომ ტყვეთა მოედანზე ხალხი შეკრებილიყო და სჯობდა იქით წასულიყვნენ. მას უერთდებოდა ყველა და მთელი ეს გუნდი, დაახლოებით რვა ათასამდე კაცი, მიიწევდა ტყვეთა მოედნისაკენ, სადაც დედოფალს ელოდნენ ოსმალო ბეები და ჯენოველთა რჩეული ოჯახების მეთაურები. დედოფალს მოსდევდა ბევრი უბრალო იოანელიც და როდესაც მას შეუერთდნენ ბერძენი ეპისკოპოსი, რომელიც აქამდე არავის უნახავს, კათოლიკენი და მუფთიც, ცხადი შეიქნა, რომ ვისრამიანებთან სალაპარაკოდ მარტო დედოფალი კი არ მიდიოდა, არამედ მთელი ხალხიც.

ძნელი დასადგენია, სად იყო ამ დროს კაია ვისრამიანი, თუმცა კი ძნელი დასადგენი არ არის, რომ მოედანზე შეაბიჯა თუ არა, დედოფალს მოხვდა ისარი, რომელმაც ის ადგილზევე მოჰკლა და სენტ მერის ჰოსპიტალში ის უკვე მკვდარი მიასვენეს.

ისიც ცხადია, რომ ისარი ნასროლი იყო შორიდან, ამაღლებული ადგილიდან ან სახურავიდან და დეტექტივი და კონსტებლი არ სჭირდება იმ ამბავს, რომ დადგინდეს: ისარი გამოფრინდა სამხრეთის ქალაქიდან, ანუ იქიდან, სადაც გაბატონებულა კაია ვისრამიანი.

ვინ ისვრის ისარს სანტა ესპერანსაზე?

ამასაც არ უნდა შეკითხვა. თუკი ვინმემ იცის ისრის სროლა, ის სუნგალის კუნძულზე უნდა ვეძებოთ.

ახლა „მესინჯერი“ პირველად წერს იმ ისტორიის შესახებ, რომელიც ყველას ახსოვს და წერს უფრო მეტს, ვიდრე ოდესმე დაუწერია.

შარშან შემოდგომაზე მონასტერში ისრით განგმირული იპოვეს მორჩილი ნიკოლაოსი, რომელიც სხვა არავინ იყო, თუ არა ვისრამიანთა სიძე ნიკა აბაიშვილი საქართველოდან, სხვანაირად კი ქართველი განგსტერი, რომელიც თავისი ქვეყნიდან მოყოლილ შურისმაძიებლებს ემალებოდა სანტა სიტიში და მალე ალბათ ბერადაც აღიკვეცებოდა იოანეს მონასტერში. ეს იყო შემზარავი მკვლელობა და ამ მკვლელობით ჩაფიქრებული იყო დედოფლის მკვლელობაც, რომელიც უკვე მონაწილეობდა პოლიტიკაში. მის დაკრძალვაზე მონასტერში დედოფალს მკვლელი ელოდა. მკვლელი იყო ქალი და მხოლოდ შემთხვევითობამ ააცდინა ტყვია აგათია ციხისთავ არჩილიანს.

მოკლული ახლო იყო დედოფალთან, სწორედ მისი რეკომენდაციით მოხვდა მონასტერში მოკლული ახლო იყო დედოფლის სარდალ ხეტიასთან, რომელმაც თავის დროზე წარუდგინა ვისრამიანებს, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ მისი წარსულის მიუხედავად, სასწრაფოდ მიეთხოვებინათ მისთვის სალომეა ვისრამიანი, რომლის გრძელი რომანიც პოეტ სანდრო და კოსტასთან დიდი ხანი იყო, ტანჯავდა კლანს.

ნიკა აბაიშვილი ემალებოდა არა მხოლოდ ქართველ მკვლელებს, არამედ თავის ყოფილ სიდედრს კაია ვისრამიანსაც, რომელიც ახლა სანტა ესპერანსაზე თავისი მმართველობის დამყარებას ცდილობს და ჩვენ ყველანი ასეთ დღეში ჩაგვყარა. მორჩილი მოკლეს ზუსტად ისევე, როგორც მისი კეთილისმყოფელი დედოფალი, ოღონდ სხვაობა ამ ორ მკვლელობას შორის, ექვსი თვეა.

სანტა ესპერანსაში ყოველთვის კედლებს მიღმა გვარდებოდა ამბები და ასეთი ისტორიების გაზეთებში ბეჭდვას ერიდებოდნენ. ასე მოვედით მანამდე, სანამ ძველი დროის, ბნელი ეპოქის ურჩხულებმა თავს თავიანთი წესები არ მოგვახვიეს და ისრებით არ დაიწყეს ხალხის ხოცვა.

ახლა სანტა ესპერანსას აღარ ჰყავს დედოფალი, მისი კომისარი სარდიონ მათიანი არ არის ის ფიგურა, რომ რაიმე რადიკალური შეძლოს.

„მესინჯერმა“ არ იცის, კვლავ როდის მივა მკითხველამდე, ვინაიდან სანტა ესპერანსა ქვეყანა აღარ არის, მაგრამ „მესინჯერი“ ტოვებს წინადადებას: არა - ომს, არა - მკვლელობას, არა - ბნელ და სისხლისმსმელ ადამიანებს.

ორთა შეხვედრა იმ დაბურვილ ბაღში

ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ.

- ჰიი-ჰოოვ, მომთავრდა ეს ამბავი, - თქვა ხეტიამ, - მომთავრდა, ბიჭო... ველაპარაკე შენ პატრონსა. უნდა მოსულიყავ.

მარტიამ თავი ჩაჰკიდა.

- ბიჭები ყველა მოგელოდნენ... მე შენ უნახავს, არ მინდოდა იქიდან წასვლა. ეხლა... მუხის ძირას ვიკრიბებით ყველანი, ჩემიცა და შენიცა. შენ ვისრამიანის მოურავი ხარ, მე დედოფლის სარდალი ვარ... ამით რა გამოიცვალა? ორივე სუნგალი ვართ. ბიჭები ამბობენ, რო მარტიაც მოვიდესო. არ იფიქრო, რო მოსვლის პირი არა გაქ... წავალთ,

მარტი, სუნგალზე წავალთ. ჩვენ ცხოვრებას ვიცხოვრებთ. უშენოთ, ვერ მივალ იქა და არც მივალ. რაც იყო, იყო, კარგა ცხვარი დავკალით...

მარტია არა პასუხობდა.

- ჰა... რამე გაქ სათქმელი ქაქისა? - ჰკითხა ხეტიამ და მიმოიხედა.

- ვერ წამოვალ, ხეტი, - სთქვა ჩუმად მარტიამ, - ვერა... ჩემ ბიჭ განდობთ. წაიყვათ. ეგრეც უნდა იყოს. სუნგალია და პაპაიანთ იყვეს, ბიცოსთან იყვეს, მიწა ისწავლოს... მე თითონ ვერ წამოვალ.

ხეტიამ თავი გააქნია.

- რაღა შერიგება და ძმობა არის? - ჰკითხა წყენით, - რაღა ეგ არის? მე რაც დავკარგე, ის ვითვალო? შენ თუ არ მოხველ მუხის ძირსა, მღვდლებს რა უთხრა, ანდა მამასახლისებს? რაღა სუნგალობაა? გეუნები, მოსვლის პირიცა გაქ და ორჯერ მეტიცა. სალაპარაკო არ არი. ქაქი არ გაგიქექია.

- არა, ხეტი... ეგ არ არის... მე სალომეის ვერ დავტოვებ, - სთქვა უცებ მარტიამ.

ხეტიამ ისევ მიმოიხედა და მხარზე დაადო ხელი მარტიას.

ასე იდგნენ ორი დროული სუნგალი: თითქოს ჭიდაობის დაწყებას აპირებენ სოფლის კალოზეო.

- ბიჭო... ეგ რა არის? იმას ვერ დასტოვებ?.. მონა ხარ? ამ ბაღში რისთვინ მოველი? ბიჭებს კი არც უთხარი, რო შენ სალაპარაკო დაგითქვი, ვიფიქრე, უცბათ მივიყვან-მეთქი... ბიჭო, მარტი, რა მიწას ჩააცქერდი, შვილიშვილის პატრონი ხარ... რა შარმადინობა აგიტყდა? - ხეტიამ ნიკაპზე მოავლო ხელი მარტიას და ჩახედა განზე მიმავალ თვალებში, - ბიჭო, მარტი, თუ გულისგვემისა დაგემართა, მითხარ, უთხარ შენ ხეტიასა, განა ამ ამბავს რო ვიწყებდით, არ ვიცოდით, რო ერთიმეორის პირისპირ დავდგებოდით? ეგ რა მოსატანია? მეფისა ვართ, შავხედეთ რო გასაჩერებელია, წავედით. რაღა დროს გულისგვემისა არი, ბიჭო? დავდგეთ და ვმართოთ ის ჩვენი კუნძული, ამათი ოხერი ნაწრეტიცა... ჰა, მე და შენა ვართ, სხვა ვინა?

მარტიას ერთხანს არ უპასუხია. მერე კი წაიბურტყუნა: - ჩემ ხელში გავზარდე... ჩემ თვალში გოგო იყო, ქალი გახდა... რამდენჯერ ვაწვალე სხვისი ბძანებითა. საბოდიშო ვარ. მიყვარს, ხეტიავ. გინდა გულისგვემისა უთხარ და გინდა შარმადინობა.

ხეტიამ ისევ მოათვალიერა მიდამო, დაჩრდილული ბაღი, ფანჩატურის მოაჯირი, მდუმარე სახლის უკანა კედელი.

- აქ ვინა სცხოვრობს? ბარტონი, თუ... წიგნებს რო სწერავდა. გაიქცა ხო? იქა ყოფილა იმის ადგილი. დასთმო ეს სახლი, როცა აღარ დეედგომებოდა. უნდა დასთმო, მარტი. სასაცილოა, რო მოურავ, ბატონის ქალის გამო გულისგვემა დეემართოს. სასაცილოა. რაც რო მოგდომებია, ის არ არი ჩვენი ეზოსი. ის სხვისია. რათ მივდივართ? იმიტო რო ქალაქად ჩვენი ვერ იქნება. მე არ დავსთმე? მე არ მამიკლეს? ყველა მამიკლეს. შენ მამიკალი და არც რა. გახსოვს იქა, ნაპირზე რო მომდევდი, ნიკა მე არ მამიკლავსო, მითხარ. დაგიჯერე. თუ არ დაგიჯერე და გითხარ, დაგიჯერეო, ეგრე გეტყვი ბოლომდე. ძმიშვილი წავასვენე, არა ვსთქვი. დედოფალა მაჰკალთ, ბებერი ქალი. არა

ვსთქვი, შენ არ დაგაბრალე... წამო მარტი, ნდობა მაეც... ომი მორჩომილია, ჩვენი ანგარიში გვაქ. სუნგალი ვართ, მეფისა...

მარტია ისედაც განზე იყურებოდა, მერე კი სწრაფადა სთქვა: - მე არ ვიცი... მე არ მამიკლავს. არა ვკლამდი ხალხს წინდაწინობითა... ეგენი ორივე შენ მოჰკალი, ხეტი... ზუსტად ვიცი, ნიკაცა და დედოფალაცა. წაგებული ხარ, ხეტი, და ეხლა მოიგონე სუნგალზე წასვლა... შენ მოჰკალი. ჩუმად, არევითა. მაგ შავის ხელითა...

ხეტიას გაეღიმა.

- მე მოვკალი? ნიკა?

- ნიკა ფანჯრიდან ფანჯარაში მოჰკალ. ზუსტათ ვიცი. იქ ნიშანზე დაიბარე... ბიჭებმა შაგიშვეს მუზეუმის ფანჯარაში, მუზეუმის შვილდ-ისრით მოჰკალ.

ხეტიას გაეცინა: - შენა მართლა სუნგალზე უნდა წაგიყვანო... საგიჟეში.

- ვერ წამიყვან, ხეტი... ბიჭებმა იციან, იქ რო შაგიშვეს. იმათი თქმულია, რო შენ შაგიშვეს. ყარაულში ჩვენი ბიჭები არ იყო მუზეუმში?

- ქაქსა ქექამთ.

- და დედოფალა რო მოსულიყო კაიასთან, მოურიგდებოდა. ვინღა იყავ მაშინ, ხეტიავ, სუნგალის სარდალო? ისაც შენ მოჰკალ...

- ფანჯრიდანა? - გაიცინა ხეტიამ.

- არ ვიცი, საიდანა. შენა და კაია ვისრამიანი ხართ ამ ქვეყნის ამრევი, ხეტი... მე რომ გულგვემისა დემემართოს, ისა სჯობია, შენ რაც დაგემართა მეტისმეტ ფიქრისგან... მე რომ მოვიდე მუხასთანა, ამას მოვახსენებ ყველასა... ეს იცოდე, ამიტო ვრჩები აქა და იცოდე, რო აქა ვარ...

- დადეეექ! - სთქვა უცებ ხეტიამ, - დადეექ, შამცდარო... მეც მერგებოდა ამ ქვეყნის მისხალი... მეფისა ვარ...

- წადი, გასწი ეხლა და წაასხი ბიჭები, ხეტი... პატრონად გენდე... გულისთქმას გიყოფდი. სწორე ვიცი, წაახდინე, დედოფალასა სათამაშო საბუთი გამოსთხოვე, მითამ სარდალი იყვე... წადი, ხეტი, წადი და მიხედე ბიჭებსა, მეშინია კი, რომ შენისთანა პატრონი ეყოლებათ...

ხეტია ერთხანს იდგა, ქვებს აძრობდა მიწიდან ფეხის წვერითა.

- შამცდარი ხარ, გულგველიანი, ქალამა გადაგრია, - სთქვა თითქოს მოწყენით, - სუნგალისა რაღა ხარ? თუ სუნგალმა ცუდი ვერ დამალა, რაღა სუნგალი ის არის?

და ამ სიტყვებზე იძრო დამბაჩა და დაახალა ორგზის მარტიას.

მოტრიალდა და წამოვიდა ხვნეშით.

მარტია დარჩა დაჩოქილი, ხელი მოავლო ფანჩატურის მოაჯირს და სთქვა წყნარად: - ეგ არი შენი სუნგალობა, ხეტი?

ხეტია შესდგა.

- როგორი სუნგალიც შენ იყავ, მეც ისეთი... - სთქვა მწარედ და წამოვიდა, გამოჰყვა ბილიკს სახლის კიდეზე.

- სალომეი, პატრონო... - სთქვა მარტიამ და გადაიქცა რბილ მიწაზე.

ამას ყოველს უყურებდა ერთი კაცი, ბუჩქებში ჩამჯდარი. ის კაცი იქა ცხოვრობდა, მიტოვებულს ფარდულში ემალებოდა ომის სიზმარსა.

სარდლის ქუდი და ხუთი ხმალი

ქართველთა ლაშქარი წყალში გადასაგდებად

- გუჩო, გუჩო... გამო ერთი... გამო რა, ერთი წუთი... გამო, გამო... ადექი, რა, შეჩემა... მეგრელი სადაა, ტო? მეგრელიც გამოვიდეს. ბაბუ... ბაბუ, დავაი, გამოდით, რა... პუშკინა, კაროლა, ტატულა, პოლკაცა, ჩარლიკა, პეპო, არამა, ზამირა, ფართუკა, ჭრელა, სიმონიჩა, მახო, ჟღვინტლა, ვანიკო, მიქელა, ძინ-ძინა, ლამპოჩკა, ეშმაკა, მეგრელო... მეორე მეგრელო, გულივერა, სამსონა, უბიცა, პალკოვნიკა, რადიონა, პეტროვიჩ, ანდრო, ხინკალა, ხალიანი, კარუზო, ბარბაცა, მირო, ხუხო, კაკია, ელდარა, ცალტვინა, ბუხუ, ბანდურა, ნადირა, ვაშაკა, ტილო, ბამპერა, მურმანა, ტყიბულა, ნახვრეტა, მასხულა, ჟიჟო, მილანა, მასტერა, სტრელეცა, ლომი, ხეჩო, ნოდარა, მაშხალა, წრიპა, ქელეხა, ზავოდა, პიპინო, ტრამალა, ბორია, ჟანო, ლექტორა, შამილა, დადუნა, ცუცო, ტატო, ვიქტორა, გოგიჩა, ნელო, გურამიჩა, ალპაჩინო, ვალოდა, მოკლე, შვიშტოკა, გუჩო, გამოდით, რა, გამოდით დავაი... გამოდით, ე, ნახეთ, ტო...ეხლა რა ვქნათ? ეხლა რა ვქნათ, ჩემი დედა მოვტყან, ეხლა, რა ვქნათ? - ღრიალებდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც პირველი გამოვიდა გრძელი სახლიდან, რომელიც ერთ დროს თავლა იქნებოდა, ახლა კი შიგ რაღაც ყაზარმის მსგავსი გაემართათ, - ბიჭო, ნახე, ბიჭო, ტო, ბაბუ, სად არი შენი ავტომატი?

გრძელწვერა კაცი შიგნით შებრუნდა, საწოლის ქვეშ მოაფათურა ხელი და გარეთ გამოვარდა.

- ბიჭო, არ არი, ბიჭო... - თქვა არეულმა, - ადექით, ე, ადექით, ე... იარაღი აღარ არი, ე, - კარს მიაწყდა გრძელწვერა კაცი.

- როგორ არ არი, ჩემი დედა მოვტყან, როგორ არ არი... - ეს იყო ისევ ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ხმა აღარც შერჩენოდა და გაფუჭებული ზარივით გამოისროდა რაღაცეებს. მხოლოდ ხანდახან თუ გამოერეოდა წკრინი - როგორ არ არი, ჩემი... როგორ არ არი, ნახე, მიდი, ნახე, პროსტა რა ქნეს, ნახე... ბიჭო, ადექით, ე, თქვე ყლეებო, ადექით, ე... ნახე, ბაბუ, პროსტა ნახე... - ახალგაზრდა კაცი ბარაკის ბოლოსაკენ გაიქცა, წაიფორხილა და ფორთხვითვე განაგრძო გზა. წვეროსანი მიჰყვა.

საჯინიბოს კედელთან ავტომატების და რევოლვერების გროვა იყო: ლულები დაღუნული, კონდახები დალეწილი.

- ნახე, ნახე, ჩემი... ლიმონკები ვაბშე წაუღიათ.

ამასობაში საჯინიბოდან გამოდიოდნენ მებრძოლები, ნამძინარევნი და დაბნეულნი ამ სისხამის შეძახილებით.

- ნახე... ნახე, ჩემი...

- კაროჩე, პლენში ვართ, ძმაო... პლენში ვართ... დანები გაქვთ, ძმებო?

- ღვინოში ჩაგვირიეს, ძმაო, დასაძინებელი, ბოზიშვილი ვიყო... - აყვირდა ერთი, - ღვინოში ჩაგვირიეს, ღვინო რო მოიტანეს... ბოცა სად არი? ბოცები სად არი...

- მე ვაბშე არ დამილევია ღვინო, - თქვა სხვამ.

- მოსაწევშიც ჩაგვირიეს, ჩემი დედა მოვტყან, მოსაწევშიც ჩაგვირიეს.

- დაგვხოცავენ ჩვენ აქ, დროზე თუ არ დავტყდით, რო გვაფეშტავეს, იმიტოა ეს, - თქვა სხვამ.

ახ, რა ძნელი საცქერი იყო უთოფოდ დარჩენილი ჯარი, სულ ას სამოცდასამი კაცი, ოცდახუთიდან ორმოცდაათ წლამდის, ჩაცმული სულ ნაირნაირად, საზაფხულოდ, სათვალეებითა და თავსაფრებით. იდგნენ და ითვლიდნენ, რამდენი დანა და რამდენი ტყვია აქვთ... წინ იყო მხოლოდ ზღვა, უკან კი ტყე, იმის იქით კი ყანები და ზვრები.

- აეროპორტში უნდა მივიდეთ და დავითესოთ აქედან... - თქვა ვიღაცამ.

- სად დავითესო, ძმაო! ფული? ნახევარი მოსაცემი აქთ... - გაეპასუხა მეორე.

- ბიჭო, იმ დედამოტყნულის გაკეთებულია...

- ის გეტყვის, ძმაო, მე არ დაგპირებივარო, იარაღი კიდე ჩემი იყოო და რაც მინდოდა, ის უქენიო... რაციები ნახე, ერთი...

გადამცემი გამორთული იყო.

- ხოდა, წამო, ძმაო, მაშინ დედამისი ვნახოთ. იმან უნდა მოგვცეს ფული...

- ბიჭო, მაშინ ვიყიდე, ქალაქიდან რო გამოგვიყვანეს ამ კუნძულზე... ბელუშ, არ გახსოვს, რო გითხარი, სროკზე ხო არ მივყავართო? არ გახსოვს?.. ხმა ამოიღე, შეჩემა, ხო გახსოვს, რო გითხარი? რას გაჩუმდი, ტო...

- მითხარი, მერე რა?

- კაი, ნუ ჩხუბობთ, - თქვა წვეროსანმა, - ჩხუბი კი არა, გატისკულები ვართ... არ უნდა დავიბრიდოთ. პეპეშ... პეპეშ, სადა ხარ? გამო ერთი, აქ... დავაი, რუკა მაიტა. შენ გქონდა, ხო, რუკა?..

- და ვაბშე, ბაბუ, დავაი, რა, გააიასნე.....

სამნი რუკას ჩასცქეროდნენ. ეს იყო ჩვეულებრივი ტურისტული რუკა.

- ამ კუნძულზე ვართ?

- არა, - თქვა წვეროსანმა, - ეგ მეორე კუნძულია.

- აბა აქა?

- მაგაზე, რო ვიყავით, ის არი... აგე, ქალაქი. აი, აქა ვართ. აი, აეროპორტი, შეხედე... აქა ვართ, აი, ამ ადგილას... ან აი, აქ... ეხლა უნდა წავიდეთ... ასე. აი, აქეთ. რას ვშვებით? სადმე იარაღი უნდა ვითრიოთ. ერთი ათი სტვოლი მაინც გვინდა თავიდან...

- გვინდა, ხო...

- მერე კიდე მივიდეთ და ასაღები ავიღოთ.

- ბაბუ... არ ვიცი, ვის როგორ, მე ფული მაქ ასაღები... მერგება და ისე არ წავალ.

- ყველას გვაქ ასაღები, ძმაო, - თქვა წვეროსანმა.

- მერე როგორ ავიღებთ?

ამ ლაპარაკში იყვნენ, როცა პუშკინამ დაიძახა: - ვიღაცა მოდის, ე...

ნაპირს ცხენოსანი მოჰყვებოდა.

- ის არი, - დურბინდი შეათამაშა წვეროსანმა, - ის არი...

- რომელია?

- შვილი...

- მარტოა, ტო?

- წყნარათ, - თქვა წვეროსანმა, - მარტო როგორ იქნება? ტყიდან ალბათ სულ ლულებია გამოყოფილი. წყნარათ... ბაზარზეა მოსული.

- იასნია ბაზარზეა...

ცხენოსანი ახლოვდებოდა.

ასიოდ ნაბიჯში ცხენი შეაყენა, ჩამოქვეითდა და ფეხით გამოუყვა ჩქარი ნაბიჯით. ცხენი სადღაც უკან დარჩა, ნაპირზე.

- რა ძველი გოგო ვარ? - ჩაიცინა ერთმა მებრძოლმა.

- სუ კაიფშია ტო, დედას ვფიცავარ... ან დაბოლილია. მუჭში პასტაიანა ზაჟიგალკა და ერთი მასტერკა უჭირავს, - კვერი დაუკრა მეორემ, - მოდი, ვითრიოთ და მერე უსლოვიები დავაყენოთ.

- ტყეს შეხედე, - თქვა წვეროსანმა, - ტყეში არიან და მუშკაზე ვყავართ.

ქალი მოვიდა, რუხი საცხენოსნო შარვალი და „ნაიკის“ ფეხსაცმელი ეცვა, მამაკაცის შავი პერანგი და დიდი სათვალე, უზარმაზარი მზის სათვალე, რომელშიაც ბაბუმ თავი დაინახა, ოღონდ ცოტა დაბრეცილად. ქალი ისე მოვიდა, თითქოს სადღაც გასულიყო და სახლში დაბრუნდაო. ყაზარმის წინკარში ჩამოჯდა და წვრილ, ნახევ სიგარეტს მოუკიდა.

ხმას არც იღებდა, ასე იჯდა და სვენებ-სვენებით ეწეოდა.

- სალომე, - უთხრა წვეროსანმა, - პლენში ვართ? რა უქენი ჩვენ იარაღს?

- იარაღი ჩემი იყო, ჩვენი ოჯახის, - თქვა ქალმა და ნაღვერდალს სული შეუბერა, - ესე უნდა, არა? ომი დამთავრდა. უფრო სწორად თქვენთვის. მე ჯარი აღარ მჭირდება. მე ისე მოვუგე იმათ, ჯარის გარეშე...

- მერე უნდა თქვა, - დაიძახა ვიღაცამ ლაშქრიდან.

- რა უნდა ვთქვა? - გაიცინა სალომეამ, - ის უნდა ვთქვა, რო მიდით და რაც რამე დარჩა გასაძარცვი, გაძარცვეთ-თქო? თქვენით ჩამაბარებდით იარაღს? არ გეტყობათ... აი, შენ, შენ, ეგ სამაჯური საიდან გაქვს? სად აიღე?

- კარგი, სალომე... მეომარი კაცი აიღებს რამეს, აბა, რა იქნება, - უთხრა წვეროსანმა, - სალაპარაკოა და ვილაპარაკოთ.

- მეომარი კაცი, - ისევ გაეცინა სალომეას და სიგარეტი დაასრისა ზღურბლს, - რა იომეთ?

- ჩვენ დედაშენმა გვიქირავა. რაც უნდოდა, ის ვიომეთ. სად არი დედაშენი? ფული გვერგება, აქვე და ეხლა... აი, ეხლა უნდა ავიღოთ, - წინ წამოდგა ერთი მებრძოლი, - სად არი დედაშენი? შენთან ვაბშე არა მაქ სალაპარაკო.

- მე ქართული ცუდად მესმის, - თქვა სალომეამ წყნარად, - ფულს თქვენ ვერ მიიღებთ. სიცოცხლეს მიიღებთ, იმიტომ რომ ქართველები ხართ. მე ვიცი, რო ძალიან რო გაგიჭირდებათ, პატრონს უჯანყდებით ხოლმე. არ ვიცი, სად რა გიომიათ. მარიხუანა გიყვართ და ბევრის არაფრის გეშინიათ, მაგრამ მეც მიყვარს მარიხუანა და მეც ბევრის არაფრის მეშინია. მე ქართლი სხვანაირი მეგონა, სხვანაირად მიყვებოდენ. თუ იქ ყველა თქვენნაირია, მაშინ არ ვიცი... მაშინ რვაასი წელიწადი გაგვიცდენია. ეხლა თქვენ არ გესმით, მე რას ვამბობ. აი, შენ თუ გაიგებ, - თითი მიაბჯინა გულზე იქავე ჩამომდგარ წვეროსანს, - შენ მასწავლებელი იყავი, არა?

- ფული, ეეე... - დაიღრიალა ვიღაცამ გუნდში და ჩოჩქოლი ატყდა, - ფული, შენი დედას შევეცი, თორე აქვე დაგბრიდავ, შენი...

- მაიცათ, მაიცათ, ბიჭო... აქვე ჩაგვაწვენენ ეს ნაბოზრები... მაიცათ, მაიცათ...

- ფიზიკის მასწავლებელი ვიყავი, - უთხრა წვეროსანმა, - აღარაფერი არ მაქვს. ათი წელიწადი, სადაც თოფი გავარდა, ყველგან ვარ და არაფერი მიშოვია, საერთოდ არაფერი. თუ თბილისში ჩავალ, დამიჭერენ, იმიტო რო ჩვენისთანებს იჭერენ და მერე ფულს თხოვენ, რო გამოუშვან. რას მეუბნები, სალომე? თოფის ჭერა ვის უხარია?

- ამათ, - თქვა სალომეამ, - ამათ უხარიათ. თოფმა გაგიჟება იცის. გგონია, რო მაგარი ხარ. აბა, მელაპარაკონ ეხლა, მეც უთოფო ვარ და თქვენც. ამიტო აღარა გაქვთ თოფები და არც ფული გექნებათ. სადაც გინდათ, იქ წადით. შენ კიდე, მანდ რო ყვირიხარ, უკან. შენ, გამოდი აქეთ და გაიმეორე.

- გავიმეორებ, შენი დედაც მოვტყან, თქვენი კუნძულიც მოვტყან, თქვენ ატკაზნიკ ნაბიჭვარ დედასაც შევეცი... - ვიღაცამ გამოაღწია გუნდის შუაგულიდან. გზადაგზა შეკავებული პერანგშემოხეული გამოვარდა წინ, - ფული, ფული, შენი დედა მოვტყან...

ბაბუ და ჩუჩმეკა შუაში ჩადგნენ, ის კი ყვიროდა: ფული, ტო, ფული...

სალომეამ გაიცინა, სანთებელას ჩამოკრა ცერი და ჩვეულებრივად თქვა: - მე ზღაპრებს მასწავლიდნენ. მე მეუბნებოდნენ, რომ ზღვის იქით იყო ჩემი ნამდვილი სამშობლო, სადაც ყველაფერი ყვაოდა და სადაც მეფე იყო. სინამდვილეში თქვენ ყოფილხართ. თქვენ ზღვა არ იცით. ვინც ზღვა არ იცის, იმან არ იცის მანძილის სიშორე, იმას ის მოსწონს, რაც ხელის გაწვდენაზე აქვს: მეგობრის ცოლი, მეზობლის სახლი, სხვისი საფულე. თქვენც ასე ხართ. თქვენ თოფი გაქვთ ხელში და გაშვება არ შეგიძლიათ. ზუსტად ვიცი, რაც ახლოა, ის გინდათ. რასაც მიეჩვიეთ, ის გინდათ. ახლა კიდე უნდა გადაეჩვიოთ. მე ფულს არ მოგცემთ, შენ კიდე, რა გქვია შენ? აღარ მახსოვს. შენ უნდა იცოდე, რო რაღაცა იწყება და მერე მთავრდება. თქვენ არ გეშინიათ, მაგრამ ხვალ ამ ქვეყანაში სხვანაირი ცხოვრება იქნება. მე ამ ქვეყნის დროებითი კომისარი ვარ. შენ რომ თოფი გაქვს, უნდა იცოდე, რომ შენ ჩემი იარაღი ხარ, მეტი არავინ. თქვენ დაწყება იცით და ვერ ამთავრებთ. მითხარი, რატომ მაგინებ? იმიტომ, რომ სიცოცხლე გაჩუქე? სიცოცხლეც გინდათ და ფულიც? ეგეთი კანონი არ არსებობს. თქვენ აქ ცუდის მეტი არაფერი გაგიკეთებიათ. წაეთრევით აქედან და არასდროს, არასდროს, არასდროს არავის გაახსენდებით. თქვენსკენ აღარავინ გამოიხედავს.

- დედაშენმა გვიქირავა, სალომე, - თქვა წვეროსანმა, - დედაშენმა გვიქირავა... ჩვენ, ბევრი, არც ვიცნობდით ერთმანეთს, არ გახსოვს, როგორ ჩამოვდიოდით? თბილისში ერთი კაცია...

- არ მინდა, - წამოდგა სალომეა, - თბილისში ვინ არის. თბილისი ჩემთვის არ არსებობს, თუ თბილისი თქვენ ხართ. დედაჩემს ახლა არა აქვს ფული, მაგრამ სიცოცხლე აქვს. თქვენც ასე. იქით, ბედოიას ფერმასთან, ნავები დგას, საწვავი იქ არი. წყალიც იქ არი. ვისაც გინდათ, ჩასხედით და საითაც ხედავთ, იქით წადით. ეს მარტო იმიტო, რო ქართველები ხართ. ვისაც არ გინდათ, დარჩით აქ. ფერმებზე სამუშაო იქნება და მოურავებს მოეხმარებით. მაგაში გადაგიხდიან. საღამოს წამსვლელი წასული უნდა იყოს. და არც ერთი არასდროს არ დაგინახოთ ქალაქში. არც ერთი არასდროს.

სალომეა აღარ დალოდებია მათ პასუხს, პირდაპირ ბრბოში გაიარა და გაიგონეს, როგორ დაუსტვინა ცხენს.

მერე ხედავდნენ, ამხედრებული რომ მიჰყვებოდა ნაპირს.

- დაგვხოცავენ, ბოზი ვიყო, - თქვა ვიღაცამ.

- ვინ არი, ტო... თამარ მეფეა? - გაბრაზდა სხვა.

ხოლო ბაბუმ თქვა: - ვერ მიხვდით, სიმონიჩ. მაგან არ დაგვხოცა. ღამე დაგვხოცავდა...

- წავიდეს, მაგის მირატვორეცი...

- ეხლა რა ვქნათ?

მართლა და რა უნდა ექნათ? ვინ რა იცოდა ნავისა და წყლისა?

ეგრე, ეგრე, პატარა მათალო

იმ მშვენიერ დღეს ლამურ მოსიარულემ ჩვეული გზა გამოიარა.

ამინდი იყო საუცხოო, დღეები-მშვიდობიანი. ასეთი ხალვათი ქალაქი აგვისტოს თვეში არასოდეს ენახა. ტურისტული სეზონი ჩავარდა, ოღონდაც, ლამურ მოსიარულემ მშვენივრად იცოდა: გაისიდან ყველაფერი ხელახლა დაიწყებოდა. ტურისტული სეზონი ჩავარდა, მაგრამ სიცოცხლეში ერთხელ ხომ უნდა ნახო ხალვათი ქალაქი აგვისტოში? ომი დამთავრდა, იფ... ლამურ მოსიარულეს კი ერგებოდა ერთი კარგი შვებულება.

ისე მოსრიალებდა ყალივან სტრიტზე, როგორც მზეს მონატრული ბებერი ხვლიკი. ის ხალისით მიესალმა ინგლისურ სამშვიდობო პატრულს და შეუძახა: - რა კარგია, რომ დაბრუნდით, ასე არ ჯობია?

ოფიცერმა შუბლისკენ წაიღო ორი თითი და გაუღიმა.

დიახ, ლამურ მოსიარულემ გვარიანი თვეები გადაიტანა, გვარიანი ფულიც იშოვა ამ არეულ და უცნაურ დროს. ამბავი ყველას სჭირდება. მშვიდობიანობის დროსაც კი ვერ ამოისუნთქავ, ომი კი თურმე რა ყოფილა. ომი ყოფილა სწორედაც რომ მისწრება, ვინაიდან მოამბე კაცი, მომგვარებელი და შეუმჩნევლად მოსიარულე ამ ქალაქში, ბევრს რასმეს გამოადნობს ომიდან. ცხადია, ტყვიას უნდა მოერიდოს, მაგრამ ლამურ მოსიარულე ხომ ჩრდილს ჰგავდა, ის ისე დალივლივებდა ტყვიით გადათოვლილ ქალაქში, რომ არავის გახსენებია. იმათ გარდა, ვისაც ამბავი სჭირდებოდა.

ლამურ მოსიარულემ ყველაფერი გამოთვალა. როგორც ყოველთვის, ყველაფერს მიხვდა და სხვისთვის თუ დარდი და შიში იყო ომი, მისთვის - მხოლოდ დრო. სხვისთვის თუ უცნაურობა იყო, მისთვის - იოლად მისახვედრი ამბავი. ლამურ მოსიარულე არ შემცდარა იმ ღამეს, როცა პეტარდებს აფეთქება მოყვა. მან გაიფიქრა, რომ ამ ქვეყანაშიც გამოჩენილა გაი ფოქსი, რომელმაც გუბერნატორის სასახლის ოფისში დენთით სავსე კასრები შეზიდა. გაი ფოქსის დღეს აქაური ანგლეზები ნოემბრის დასაწყისში აღნიშნავდნენ ხოლმე, იყო ფეთქება და მთელი ამბავი. რეჯიმენტშიაც კი პეტარდებს ისროდნენ. ჰოდა, ნამდვილი გაი ფოქსიც არსებობდა, როგორც გაირკვა. ლამურ მოსიარულემ მშვენივრად დაინახა, თუ რა მოხდებოდა. პირველ თვეს ქალაქი ორად გაიყო. სამხრეთი კაია ვისრამიანმა დაიჭირა, ჩრდილოეთში კი დედოფლის ხალხი დარჩა. დედოფალი ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ აქეთა მხარეს სუნგალთა მეთაური ხეტია იცავდა. ეს უცნაური იყო. სუნგალს თუ პატრონი არ ჰყავდა, დასაცავიც არაფერი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ლამურ მოსიარულესთვის ეს არ იყო უცნაური. მან იცოდა ხეტია. ძალიან დიდხანს უკვირდებოდა. მან იცოდა კაია ვისრამიანიც და მან პირველმა შეატყობინა ხეტიას, რომ ვისრამიანთა სახლში სკამებს ფეხები სძვრება, რომ სუნგალებმა სთხოვეს სალომეა ვისრამიანს, როგორმე ჩაეჩოჩებინა დედამისი და თავად აეღო ხელში საქმე. ლამურ მოსიარულეს ამბები არ აკლდა, თუმცა ასეთ მთავარ სიახლეებს არავისგან იგებდა, გამოითვლიდა ხოლმე. ახლაც სწორად გამოითვალა. კაია ვისრამიანი გააქრეს

და ყველამ შეიტყო, რომ ამიერიდან ციხესიმაგრე სალომეა ვისრამიანს უჭირავს. მრავალი ადამიანის ცხოვრება, გადაშლილი ლამურ მოსიარულეს თვალთა წინ, ყოველდღიურად იცვლებოდა: ბედი, ამდენი ბედი იგრიხებოდა და ილეწებოდა. ლამურ მოსიარულემ პირველმა შეატყობინა ვისრამიანთა მოურავ მარტიას, რომ ალფრედო და კოსტას ძმიშვილს, სანდრო და კოსტას, თავი ჩამოუხრჩვია აქეთა ქალაქში და რომ ხეტია რაღაც ქაღალდს ჩაჰკირკიტებს ღამღამობით. ხეტიას კი შეატყობინა, რომ სალომეა ვისრამიანი სულაც არ აპირებს ომს, სულ სხვა, უცნაურ და ვერაგ რაიმეს აპირებს, რასაც ჯერ ვერავინ ამოიცნობს. და როცა ერთ დილით, ციხესიმაგრე და მთელი პირიქითა ქალაქი ნავსადგურითა და მთელი დისტრაკებით ჯარის გარეშე დარჩენილი აღმოაჩინეს, როცა ციხესიმაგრეც კი პირწმინდად ცარიელი იყო, ლამურ მოსიარულე მიხვდა, რომ ხეტიამ ომი წააგო და არავის აღარაფერი უთხრა. ვისრამიანმა თავის კუნძულზე გაიყვანა თავისი ჯარი და აეროპორტი გახსნა. ხეტიამ ქალაქი დაიჭირა, ციტადელში გამაგრდა, მაგრამ ერთ კვირაში დაატყო, რომ ეს ქალაქი აღარაფერია მისთვის, რადგან ხალხი მიმალულია, ბუნგალოლენდზე ვისრამიანის ლაშქარი დგას, რომელსაც ყოველდღე უერთდებიან მოქალაქენი და ყველა იმათგანი იღებს თოფ-იარაღსა და საჭმელს, ხოლო სუნგალის კუნძულზე გადასასვლელი ადგილი მთლიანად დანაღმულია და თუ იქიდან მისვლა-მოსვლა გწადია, შემოვლით უნდა იარო, ხოლო ზღვაში ვის შეეფეთები, ძნელი ამოსაცნობი არ არის. ოსმალეთი და რუსეთი წყალსა სერავს და ამას თავისი უსაფრთხოებით ასაბუთებს. ამიტომ ომს აზრი არა აქვს. თანაც, სალომეა ვისრამიანს უკვე მთელი მსოფლიო ელაპარაკება და ამდენი ტელეკამერა და ამდენი ჟურნალისტიც მისი მოყვანილია კუნძულზე. ქალმა გააცურა, სუნგალი ქალმა გააცურა, - იფიქრა მაშინ ლამურ მოსიარულემ და მიხვდა, რომ მთლად სალომეას არ გაუცურებია ხეტია. ეს ანგლეზების ხელი იყო. საიდან სალომეას ასეთი გეგმა. დიახ, ანგლეზებმა, რომლებიც ჯერ დედოფალთან ტრიალებდნენ, მერე კი სადღაც გაუჩინარდნენ. იცოდა ეს სამი კაცი. ერთხანს ლამურ მოსიარულე იმაზეც ფიქრობდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თავის ჯარს გამოგზავნიდა. დიახ, ესენი გამოგზავნიდნენ, ალბათ, თავიანთ ჯარს, ოღონდაც ანგლეზებს. და ამის შემდეგ ლამურ მოსიარულე მხოლოდ ვისრამიანთ მოურავ მარტიას ელაპარაკებოდა. როგორც ყოველთვის, საუკუნეთა განმავლობაში, მოსიარულეთა საგვარეულო ამბავში, ეს მოსიარულეც მართალი იყო და ეს მოსიარულეც გამარჯვებული და ქისაგამოტენილი გამოძვრა ამ ამბიდან. არავის გახსენებია ლამურ მოსიარულე და ახლა, როცა ყველაფერი დამთავრდა, ის ჩვეულებრივ მოდიოდა ხოლმე „ფრონტერას“ კაფეში. დაჯდებოდა ტერასაზე და კითხულობდა ინგლისურ გაზეთებს.

ლამურ მოსიარულე მოგებული კაცი იყო. ნაშუადღევს სვამდა ორ რომისა და ლაიმის კოქტეილს მუსკატით, თან ისე, რომ საწრუპავ ჩხირს განზე მოისროდა და ეფიცხებოდა მზეს, როგორც ეფიცხებოდა ხოლმე ყოველ დროს. რა არის, რომ ტერასები ცარიელი იყო. ტურისტები არ იყვნენ და კაფე უფრო ნოემბრის თვისას ჰგავდა ხოლმე, მაგრამ ეს მოსწონდა კიდეც: ნოემბრის თვე, თანაც აგვისტოში. ბევრგან მაგიდები აელაგებინათ ტერასიდან, აქ კი კვლავ იდგა. ტრუფალდინო პირველი მთელდღიანი წვიმის დროს იღებს ხოლმე მაგიდებს ტერასიდან, მანამდე არაფრით.

ლამურ მოსიარულემ „ფრონტერას“ ტერასაზე შეაბიჯა და ჩვეულად დაიძახა: - ტრუფალდინო, მუშტარი არ არის?

- კი, - გამოხედა ტრუფალდინომ, ულვაში ძველებურად აეწკიპა, ეს კი ნიშნავდა, რომ ხალისი ბრუნდება, - კი, აგერ, პატარა მათალო ზის...

- ვახ, - მუხლზე ფეხი დაიკრა ლამურ მოსიარულემ, - რა ხანია მათალოები არ მინახავს. როდის იყო, ამ დროს მათალოები კაფეში ისხდნენ? - და კაფეში შეიხედა, - მათალო, როგორ ხარ, მათალო?

- ვართ, - ყავის ჭიქა დაანახა პატარა მათალომ.

- მამაშენი როგორ არის? წევს?

- წევს.

- კლუბი გახსენით?

- გავხსნი, იქით შაბათს...ხალხი იკრიბება უკვე, - თქვა პატარა მათალომ.

- ჩემი, რა, ტრუფალდინო, - შეუკვეთა ლამურ მოსიარულემ და პატარა მათალოს მოხედა, - თუ არ მიწყენ, გარეთ დავჯდები, ტერასა მიყვარს, ხო იცი...

- რა საწყენი ეგ არი, - თქვა პატარა მათალომ, - გამიხარდა შენი ნახვა... თანაც, ბარელამ, გახსენებაზე, შეკვეთას აიღებ?

- შეკვეთას? - გაეცინა ლამურ მოსიარულეს, - შენ ჩემ სანახავად ხარ აქ მოსული? ოფისში ვერ მოხვედი? ტელეფონიც ძველია.

ტრუფალდინომ ჭიქა გამოიტანა და ლამურ მოსიარულეს ჰკითხა: - სად ჯდები?

ლამურმა ჭიქა ჩამოართვა: - მე მივხედავ.

- რა არი იცი, ლამურ? - უთხრა პატარა მათალომ, - ორ კაცს ვეძებ, რაც ომი დამთავრდა, დათას ვერ ვპოულობთ. ფარნას ვერ ვპოულობთ.

ლამურმა ხელები გაშალა: - მაგას რა შეკვეთა უნდა, ბიჭო? რაც ვიცი, გეტყვი. დათა ბოლოს ნახეს „მარანაში“ იყო მისული ღამე, მარა ეგ იცი, რამდენი ხნის წინ იყო? „მარანა“ დაკეტილი იყო. რაზე იქნებოდა, შენ თითონაც იცი. მე მგონია, რო დათა ვისრამიანების კუნძულზე იყო და ახლაც იქ არი. სადაც დათა, იქაც ფარნა. მაგათი ცალკე ყოფნა ინტში არ არი და ისე იქნებოდა? ფარნა იმალებოდა, ხო იცი. ეს მედროშეობის ამბავი გადაიხვიეს ხელზე ვისრამიანებმა. დათას გამო მაინც არაფერს უზამდნენ.

- კი მარა, სახლში რო არ შეუტყვიათ? ფარნას ცოლი ხო იცი? დედამისი ხო იცი? - ჰკითხა მათალომ.

ლამურმა მხრები აიჩეჩა და კარისკენ წავიდა.

- მოგიხერხებ რამეს... - გადმოაგდო და ჭიქა კარებშივე მიიყუდა.

- მოიცა, ლამურ მოსიარულე, - დაუძახა უცებ პატარა მათალომ, - მოიცა ერთი, წესიერად გამაგებინე, რას მომიხერხებ?

- რაც მთხოვე, - გამოხედა ლამურ მოსიარულემ.

- ხო... ეხლა მისმინე, მაშინ, მე რაც ვიცი, უნდა გითხრა, - თქვა პატარა მათალომ და ყავის ჭიქა განზე გაწია, - ვისრამიანები დათას ეძებდნენ და შენ კიდე ფარნა აპოვნინე. ისე, თითქოს ძმობაში გაეყიდოს დათა და ვისრამიანებმა ფარნა მოკლეს, იმიტო რო დათაზე ვერ ათქმევინეს, სად იყო. დათა ამ ამბავში არ გაერეოდა. ამიტო, ფარნამ არ გათქვა და შენ კიდე, დათას გამყიდველად გამოიყვანე. კაი ფულს მოდიოდნენ და დახარბდი, ტყუილი უთხარი... ეგრეა?

ლამურ მოსიარულემ ჩაიცინა.

- ეგ შენით მოიფიქრე თუ სხვამ გითხრა, პატარა მათალო? - და ნაბიჯი უკან წადგა ზღურბლისკენ, - ჩემ ხელობაში რო ტყუილი იყოს, ამდენ ას წელიწადს ვერ გავძლებდი...

- ყოფილა, - თავი ჩაჰკიდა მათალომ.

- შენ ხელობაში მეტი ტყუილია...

- შეიძლება, - პატარა მათალომ მაგიდა გასწია ორივე ხელით, რევოლვერი იძრო და ლამურ მოსიარულეს მიუშვა, - წადი, ეხლა მოყევი, გველებს მოუყევი ჯოჯოხეთში...

ლამურ მოსიარულე კაფეს ვიტრინას მიენარცხა, ჭიქაჩაბღუჯული, მაგიდას მოეჭიდა და იმიანად გადავარდა.

- ტრუფალდინო, - თქვა პატარა მათალომ, - ამან ფარნა მოაკვლევინა. ეხლა შენ იცი. შენს ხელში ვარ.

ტრუფალდინო ხელში ტილოშერჩენილი იდგა და გაშტერებული უყურებდა პატარა მათალოს.

- ჩვენ ქალაქი ვართ, - თქვა უცებ, - პატრული მოვა ხმაზე, - ტერასაზე გადი და ვინმე თუ დაინახო, ხელი დაუქნიე. მომეცი ეგ რევოლვერი, მომეცი...

ტრუფალდინო პატარა მათალოს ფინჯანს დასწვდა და სხვა მაგიდაზე გადადო, - აქ იჯექი, გაიგე? - მერე ტყვიის მიმართულებას ითვლიდა, - აქ დაბალი კაცი შემოვიდა, ყავა ითხოვა, ვუკეთებდი და ამ დროს ესროლა, გაიგე? - ყავის აპარატს დაკრა თითი ტრუფალდინომ, - იმან ესროლა, გადააბიჯა და გაიქცა, გაიგე? პოლიციაში ვრეკავ. თუ პატრული არ მორბის...

- მორბის, - თქვა პატარა მათალომ და ხელი დაიქნია, - აქეთ, აქეთ... ჰაი, ფრენდ...

- რევოლვერი, - თქვა ტრუფალდინომ, - რევოლვერი... და სამზარეულოსკენ გაქანდა, - ანგლეზის ხელში ხო არ მიგცემ?

ლაპარაკის მოყვარე ბებია

აი, მობრუნდნენ ჩვენი კარგი წიწილები. ასე მობრუნდნენ ჩვენი ღუნღულები და ჩვენი საცოდავები, ჩემი ფუმფულა ბამბის ქულები, პუტკუნები, ფათათუნები და ნათათუნები, სულელები, პატარა, სულელი წიწილები. დაიზრდებიან და

დაუშნოვდებიან, ასეთი ღუნღულები აღარ იქნებიან. აქეთ მოდი, ღუნღულა, მოდი, ეს აკენკე, მოდი ფუფქუნა, აქ დასკუპდი, გადავარდები, შე სულელო, გადავარდები, ვერ მოერიე ამ ნამცეცს? პატარა ხარ, გაიზრდები და მოერევი, მაგრამ მაშინ ასეთი ლამაზი აღარ იქნები. ნახე, ამ ჩერჩეტს ფრენა უსწავლია. მოიცა, ოხერო, თავზე არ დამასკინტლო, აი, ეხლა ჩამოგსვამ, მოიცა. ამასაც უყურე, მხარზე ამოფრთხიალებულა. აღარ არი შენი საკენკი. შეგიჭამეს შენმა დებმა, არც დობა იციან და არც არაფერი. აბა, შენ აქ ამოფრთხიალდი და იქ ვინღა დაგიტოვებდა? ღუნღულა, ღუნღულა, რა სულელი ხარ! გიყვარს, ბებო? გიყვარს? ბებოსაც უყვარხარ. აი, შენთვის მქონდა შენახული, ვიცოდი, რო საცოდავი ხარ, სულ სადღაც მიძვრები და მერე მშიერი რჩები. მოდი, მოდი, აგერ დამიჯექი, ხელისგულზე. მეც მასე ვიცოდი, გავიდოდი სადღაცა განზე და მერე ვბრაზობდი, ჩემი ძმები რომ აღარ მიტოვებდნენ საჭმელს. ო-ო, აი, აქ დასკუპდი. აი, შესანსლე ეს და ხო ხედავ ესენი რა გაბუსხული გელოდებიან, ძილის დროა. შესანსლე და წავედით. წიპ, წიპ, წიპ... წამოდით ახლა, წამოდით აქეთ. ღუნღულებო, ბუმბულებო, ცუნცულებო, ქუქულებო, წამოდით ახლა, წამოდით, წამოყევით ბებიას.

ბებო, კოტიტუნა, წიწილები იძინებენ, მოდი, მოდი, გეძახიან. ა, ბებო, ასე იძინებენ. ხო გნახე გუშინაც. დაუკეტავ კარს და თავისით იძინებენ, შენ რო წევხარ თვალგაჭყეტილი და არ იძინებ. მოდი, ბებუნი, წამო ახლა, ვნახოთ ბაჭიები, წამო, ბებუნი. ეს რა არი, ტალახში იარე? სველი გაქ ფეხები. ტალახში ღორი დადის, ბები, რა გინდა ტალახში? აღარ ჩადგა ფეხი, წაგიყვან და დაგბან. უი, დაუძინიათ ჩვენ ბაჭიებს. ნახე, როგორ იძინებენ, ყურები როგორ აფარიათ ზურგზე. ასე რო იძინებ, არასდროს არ შეგცივდება. ნახე, როგორ ჩაღუნღულდენ, წამო, ბებუნები, წამოდი, ახლა ჩვენც კი უნდა დავიძინოთ. ჯერ ვჭამოთ მაწონი და მერე ზღაპარიც მოვყვეთ, ლექსიც ვთქვათ, ლექსი რო გასწავლე, გრძელი ლექსი. ა, მოდი, წამოდი აივანზე, თან მაწონი ვჭამოთ, თან ლექსი ვთქვათ. გოჭუნებსაც ძინავთ, ბებია, ყველამ დაიძინა, ხო ხედავ. გოჭუნიებს ძინავთ. ძილში ღრუტუნობენ, გოჭუნიებმა ასე იციან, ძილში ლაპარაკობენ, შენც კი იცი ძილში ლაპარაკი. ა, წამო, მოდი, აგერ დამიჯექი და გამიღე დიდად პირი, კაი მაწონი, ჩვენი ფეფელას მაწონია. ჩვენი ფეფელა მიდის საბალახოდ, მოაქ რძე და იმ რძისგან ბებო აყენებს ამ მაწონს. ო, კაი ბიჭი, კაი ბიჭი, ყოჩაღი კოტეტო, ბებუნების გამხარებელი და დამჯერი. ლექსი ვთქვათ? ვთქვათ ლექსი.

საბრალო დედაბრისასა

თაგვნი ყანასა მკიანო, ლომნი უგრეხენ ულოსა

და ვეფხვნი შეუკვრიანო, დევნი ურემსა უბიან, ირემნი ძნასა ჰყრიანო, ტახნი მისწევენ კალოსა, მელები კუდით ჰგვიანო, წერონი ანიავებენ

და ბატნი დაჰკმაზიანო, დათვებს ჰკიდიათ ტომრები, ორმოში პურსა ჰყრიანო, მგლები წისქვილში გაგზავნეს, პურს მალე დაუფქვიანო, შაშვი ფქვილს მტკიცავს, გნოლი ჰზელს, კაჭკაჭნი ამოჰქნიანო, მტრედნი ჩააკვრენ ლავაშსა

და გვრიტნი ამოჰყრიანო, ვარიები ამზადებენ, იხვნი სუფრასა შლიანო, ზეცას ტოროლა გაგზავნეს, ფრინველნი მოჰკრებიანო, შენს მადლსა, ჩხიკვნი ნუ გინდა, სუფრასა აგვიშლიანო, სილამაზითა ხოხობი

შუაში ჩაისვიანო, ბულბული გალობისათვის

სულ თავსა დაისვიანო, საწყალი ბერი ქედანი

ბოლოში დაისვიანო, ერთად სმენ, სჭამენ,

ლხინობენ, ჰარალეს დასძახიანო.

ა, ბებო, ასე. ყვავილებმაც დაიძინეს, ბებო, დაიხურეს ქუდები. იმათ საბნები არა აქვთ, ქუდები აქვთ, ქუდებს იხურავენ... კაი, კაი, ხო გითხარი ლექსი. რომელი საათია? მოიცა, იჯექი აქ, საათს ვნახავ... ა, ბებუნი, ათ წუთში უნდა დავწვეთ და დავიძინოთ... ა, აქედან, გახედე ჩვენ ვენახებს, როგორ არი ყველაფერი სწორად ჩარიგებული? რო მოვა შემოდგომა, მივალთ ყველა და მოვკრეფთ, ჩავაწყობთ გოდრებში, წავიღებთ მერე და დავწურავთ ღვინოს. რო გაიზდები, დალევ იმ ღვინოს. მერე კიდე და მოვხარშავთ, ძაფზე ავაბამთ ნიგვზებს, ამოვავლებთ იმაში და გამოვა ჩურჩხელა. თათარაში ამოვავლებთ. სხვებიც უნდა მოგვეხმარონ, მარტო კი ვერ მოვერევით. აქ მოვა დიდი მანქანები. შარშან არ იყავი შენ აქ, წელს აქ ვიქნებით და დავკრეფთ ჩვენ ყურძენს... არა, ბებუნი, ახლა კი არ შეილება. ახლა ჯერ მკვახეა. უნდა შეთვალდეს, მერე დამწიფდეს, მერე კიდე მივალთ მოსაკრეფათ... შევჭამთ კი, აბა, იქვე, თან რო მოვკრიფავთ, თან შევჭამთ, პური უნდა მივატანოთ. პურს გამოვაცხობთ. ბევრი პურები უნდა გამოვაცხოთ და რო მოგვეხმარებიან ბიძიები, ისინიც შეჭამენ... უიმე, ნახე, ცხვირია მოსულა. ცხვირია-პირია, რას გვადებ შენ ცივ ცხვირს? ძაღლს სულ ცივი აქ ცხვირი, ბებუნების ბიჭო, ცივცხვირაა. მითხარი, აბა, ამას რატო დავარქვით ცხვირია? სწორია, ბებუნები, იმიტო რო, ბავშვობისას ბებოს ერქვა ცხვირია... შენ შემოგევლე, რა ჭკვიანი მყავხარ. ბებოს იმიტო ერქვა ცხვირია, რო გაბუტვა იცოდა, შენ კიდე კარგი ბიჭი ხარ და გაბუტვა არ იცი. ბებო გაიბუტებოდა ხოლმე, გაიბერებოდა, გაიბერებოდა და ელოდებოდა როდის მიეფერებოდენ. მაშინ კი ვერ ხვდებოდა კოტეტუნა, ბებო, მერე მიხვდა. რო გაიზდები, შენც მიხვდები... ცხვირია-პირია, გაიწი იქით, ნუ მიტლიკავ კოტეტუნას... გაიწი იქით... გაიწი. კეთილია კი, გეთამაშება ბებია, აბა, ცხვირიამ რა იცის სხვა? შენ რო დაიძინებ, ბებია, ცხვირია დაჯდება კარებთან და არ შემოუშვებს არავის. მტრები რო მოვლენ, დაუყეფავს ცხვირია და გაყრის იქიდან. შეაშინებს, რო წყნარად ეძინოს ჩემ ამხანაგ კოტეტუნასო, ვერ შევლენ იქ მტრებიო. აბა, ასეთია ჩვენი ცხვირია. ტყუილა კი არ არი ჩვენიანი. ა, მოვიდა, ახლა, იცის კოტეტუნამ, რო უნდა დაიძინოს და მოვიდა, რო დადგეს დარაჯათ... წამოგვყვება ცხვირია და წავიდეთ ახლა, დავიძინოთ... მოდი, მოდი, ოპაა, ასე მოეხუტე ბებიას და ბებია წაგიყვანს. რამხელა იზდები, რო იცოდე... დიდი იზდები, რამსიმძიმე ხარ, ბიჭო, კოტეტუნა... ცხვირიაც მოდის, კი, წამოდი, ცხვირია, წამოდი. მტრები ვინაა ბებია და არი ცუდი კაცები. თუ არ დაიძინებ, მოვლენ და იტყვიან, წავიყვანთ ბებიასო, მარა ცხვირია არ დაანებებს. კოტეტუნაც ხო არ დაანებებს? გაიზრდება კოტეტუნა და ყველას ეტყვის, ასე გიზამთ და ისე გიზამთ, ჩემი ბებუნები რო გააბრაზეთო. ხო ასე ეტყვის, კოტეტუნა, ბებუნა? კაი ბიჭი, ეტყვის. კოტეტუნა რო გაიზდება, ბებო ხანჯალს აჩუქებს. ნამდვილ ხანჯალს აჩუქებს, იმისი ბაბუს ბაბუას ბაბუს ბაბუსი რო იყო. ხო დაპირდა ბებუნები კოტეტუნას, რო აჩუქებს ხანჯალს? ხოდა, აჩუქებს. ოღონდ უნდა გაიზარდოს კოტეტუნა. გაიზდება კოტეტუნა, დიდი ბიჭი გახდება და ეტყვის იმათ: ატ, თქვე მამაძაღლებო, თქვენ აბრაზებდით ჩემს ბებუნებსო და დააყრევინებს თავებს... ცხრათავიან დევებს ყველას მოერევა ბებუნების ბიჭი, ხო, ბებუნები. გაიზდება ბებუნები, შენი კვიციც გაიზდება და ცხენი გახდება და გააჭენებს კოტეტუნა, ატ, თქვე ოხრებოო, ეტყვის და გაიქცევიან ყველანი. გააბრაზეს შენი

ბებუნები, მოვიდნენ და კოტეტუნა აღარ ყავდესო, მარა მოერევიან კოტეტუნა და ბებუნები...

ასე, ა, კაი ბიჭი... აცადე, ცხვირია, ფიში-ფიშის შვება. არ გიყურებთ, ბებია, მე და ცხვირია არ გიყურებთ. გავიხადოთ ახლა ესეც და ჩავიცვათ ესეც. ცხვირია-პირია, გაიწიე იქით, გადი კარში, ნუ უშლი კოტეტუნას, ნუ უშლი. ასე, კაი, ბებო, ასე, ო... კი, ეს ბალიშიც... ხელები ამოყავი, ბებო, ასე ამოყავი დიახ, სწორად... ო, კაი ბიჭი. ნუ ჭყიტავ თვალებს მასე, ბებუნები, მასე თუ დაჭყიტავ თვალებს, იფიქრებენ, გიჟი ყოფილაო... დედიკუნა ხო იცი, რო წასულია, გენაცვალოს ბებუნი. სალომიკო დედიკუნა წასულია და რო მოვა, იტყვის ეს რა კაი ბიჭი მყოლიაო... სად არი წასული და, ხო გითხარი გუშინ ბებუნები და გუშინწინაც ხო გითხარი, უნდა დაიმახსოვრო. დედუნები სამსახურშია, ბებუნის დაუტოვა ბიჭი, ერთათ დამელოდონ ბებუნი და კოტეტუნაო. დედუნები ყველას მოერევა და ჩამოვა და მერე ნახავს კოტეტუნას. დედუნები რო ჩამოვა, ეტყვის კოტეტუნას, წავიდეთო და ბებუნები აქ დავტოვოთო და კოტეტუნა რას ეტყვის? ო, ყოჩაღ, ჩემი ბიჭი, ასე ეტყვის ზუსტათ ბიჭები და ბიჭუჭები, კაია ბებიასთან ვიქნებიო, კაია ბებია მიყვარსო და დავრჩები კაია ბებიასთანო. შენც დარჩი ჩვენთანო, ასე ეტყვის, არ წახვიდე არსადო და ვიყოთ ერთათო. არ გინდა ის რაღაცეები, წასული რო ხარო და რო გავიზდები მე, მე მოუვლი ყველაფერსო. ასე ეტყვის კოტეტუნა... აბა, მითხარი ვინ არი კოტეტუნა? სწორია, კოტეტუნა არი შენახული. შენახული არი ყველაზე უკეთესი. კიდე ვინ არი კოტეტუნა? სწორია. კოტეტუნა არი ქართველი. როგორი ქართველი? შენახული. სწორია. ქართველი არი ორნაირი, ხო, ბებუნები. შენახული და შეუნახავი. შეუნახავი იგივეა, რაც სხვა. სხვა არი ყველა სხვა, ბებუნები, ცხვირია რო არ შემოუშვებს. კაი, ბებუნიები, კაი, გადმობრუნდი აქეთ, ო, მასე. მოგიყვები, აბა, რას ვიზამ. გაკოცოს ჯერ ბებუნიმ. რა ტკბილი ხარ, რა ტკბილი ხარ... ბებუნების ტკბილი ბიჭი, ტკბილი ბიჭი, ვის აქ მსხალა ტაკუნები? კოტეტუნას. კოტეტუნას ტაკუნები, კოტეტუნას ტაკუნები, მსხალა, მსხალა, უჰ, უჰ, უუ... ბებო შემოევლოს... კი, კი მოგიყვები, ხო, ნაცარქექიაზე მოგიყვები. ხო აბა, იმასაც გეტყვი. რაც იყო, იყო და რაც არ ყოფილა, ისიც ყოფილა, ერთი კაცი ყოფილა, ზარმაცი ზარმაცი ყოფილა, დაჯდებოდა ბუხართან სახლში, დაიჭერდა ხელში ჯოხს და ქექავდა იქ ნაცარს, ხატავდა იმ ნაცარში რაღაცეებს, ხან ყვავილებს დახატავდა, ხან რას დახატავდა, ხან - სახლებს, ხან - გზებს. მერე ისევ წაშლიდა და ხელახლა დახატავდა. ვის უნდოდა ამნაირი უსაქმო, ბებო? კოტეტუნამ ხო აჭამა დღეს გოჭუნიებს? ის გოჭუნიებსაც არ აჭმევდა, ხოდა, გამოაგდეს სახლიდან. გამოაგდეს და გადმოუყარეს, რაც იმისი იყო: ერთი გუდა ნაცარი, ერთი ძველი სადგისი, ბებო, და მერე შეეცოდათ და ერთი წველა ყველიც გამოატანეს, შიმშილით რო არ მომკვდარიყო. ამნაირები არიან ნაცარქექიები, ვითომ არაფერიო და წამოვიდა ქვეყანაზე კაი პატიოსანი კაცივით და მოადგა ერთ მდინარეს... დაგეძინა, ბებუნები? შენ შემოგევლე, რა მალე დაგეძინა, ბებია. შემოგევლე, ჩაკვნესა რო იცი. ბიძაშენივით ხარ, იმან იცოდა ასე, დადება და დაძინება ერთი იყო. ნეტა, თუ გესმის, ბებია რასაც გელაპარაკება? ნუ გეშინია, ბებუნები, მაგათ კიდე მივხედავთ ჩვენ. ყველას მივხედავთ. მომატყუეს ბებუნები. შენ ხო იცი, რო მომატყუეს? შენ კი გაგზრდი, როგორც უნდა გაგზარდო. აწი კი ვიცი. ჩამომიყვანეს, ბებუნები და შენი თავი დამახვედრეს. დამაგდეს აქ მარტო შენთან ერთად. ასე მომატყუეს, შენ ხო არ მიგატოვებდი, ბებუნები? მამაშენმაც მიგატოვა და დედაშენმაც მიგატოვა. მიტოვება არ არი? აბა რა არი. მომატყუეს ბებია, შენით შემაშინეს, კოტეტუნები არი გლახათო. ჯვარი გწერია, გამეხარდა, კარგად რო იყავი, მივალთ ჩვენ იმათთან, გაიზრდები და

მივალთ. შენ გგონია, დავანებებ ვინმეს შენ თავს? შენ გგონია, დედაშენს გავატან? დავრჩით ვისრამიანები, ბებია, ვინც ვიყავით ნამდვილი, ყველა აქ ვართ. მარტოები დაგვტოვეს ამ სახლში, რო არ წავიდეთ სადმე. შენთან ერთად ხო ვერ წავალ, მარა გათენდება ეგ დღეც, რო წავალთ და ვეტყვით: ნაცარქექიებო, არ გვეშინია თქვენი სადგისების და ტყუილების, მოვედით ჩვენ და დაგმართებთ ახლა ამბებს. კი, კი, შემოგევლოს ბებია. არავის არ ველოდებით, არავის იმედი არ გვაქ ჩვენ. ჩვენით ვიზამთ, რაც საქნელია და გვიყურონ მერე. იცი, რას იტყვიან მერე? აი, კაია და მისი შვილიშვილიო, მოვიდნენ და რაც უნდა ექნათ, ის ქნესო... ასე იტყვიან, კი, ბებუნი...

გადი იქით, შე ძაღლო-მამაძაღლო ცხვირია, რას მედები ფეხებში, შენი ფეხებში მოდება მაკლია? შეიკეცე ეგ კუდი, ხო, შეიკეცე. მასე შენსავით არ ვარ კუდამოძუებული? არ გესმის შენ, ცხვირია, რას მიყურებ შეშინებული, რა იყო, კი არ გაგაგდე სადმე, მე ვიღას გაგდება შემიძლია. შენც კი უნდა მომეხმარო, ვერ გაიგონე, ლექსს რო ვეუბნებოდი ბავშვს? „ობოლი დედაბრისასა...“ კაი, ერთი. ბებიაჩემმა მასწავლა ეს ლექსი. ბებიაჩემი იყო... ვინ იცის? ბებიაჩემი გლეხის ქალი იყო, დიდი ქვაბებით უყვარდა საჭმლის დანახვა... ცხვირია-პირია, რა უნდა გელაპარაკო? ხო გითხარი ეს ლექსი? ობოლ დედაბერს ყველა ეხმარება. ნამდვილად ასეა. მეც ყველა მომეხმარება, ცხვირია, ეს ბიჭიც, შენც, ყველა მომეხმარება და მერე ნახავ... მერე ნახავ, რაც იქნება. წაგიყვანთ შენ და ამ პატარა ბიჭს და მოვბრუნდებით ერთხელ. მოვბრუნდებით და მიხვდებიან...

ყაბალახიანი ქალი ხმლით

და კოსტათა გვარის ისტორია

ალფრედო და კოსტას სამეცნიერო რვეულებიდან

(შესავლის ნაწყვეტი) პირველი კათოლიკე მოღვაწე, იოანეს კუნძულებზე რომ მოხვდა, იყო ჯოვანი ფლორენციელი, თბილისის არქიეპისკოპოსი, რომელიც რომში ბრუნდებოდა და კონსტანტინოპოლში ხმელით მისვლას ამჯობინა მოენახულებინა იოანეს კუნძულები, სადაც ის დიდი პატივით მიიღო ციხისთავმა სოლომონმა. ეს იყო 1347 წელს. ჯოვანი ფლორენციელმა დატოვა კათედრა თბილისში და რომს გამოემგზავრა. იოანედან ის კონსტანტინოპოლში ჩავიდა, სადაც გარდაიცვალა კიდეც ისე, რომ აპენინებს ვერ უწია. ჩანს, მან კარგად იცოდა იოანეს კუნძულების არსებობა და მისი გზად აქ შემოვლა ერთგვარი დაზვერვაც კი იყო წმინდა საყდრისათვის. ჯოვანის ოცდაათი წელიწადი ეცხოვრა საქართველოში, იცოდა იქაური ენა და ბევრს თარგმნიდა იქიდან აქეთ და აქედან იქით. ვატიკანის არქივში შეიძლება წავაწყდეთ კვალს ამ ნაწერებისას, ხოლო რას შეიძლება წავაწყდეთ თბილისის არქივებში, უცნობია, რადგან საქართველო შედიოდა საბჭოთა კავშირში და იქ ჩვენთვის შეღწევა და თანაც არქივებში მუშაობა თითქმის წარმოუდგენელი იყო.

ჯოვანი ფლორენციელს არ შეუდგენია საგანგებო რელაცია იოანეს კუნძულების შესახებ, მე მგონია, რომ მას ორ კვირაზე მეტი არც გაუტარებია აქ, მაგრამ მის

თანმხლებთა შორის იყო მორჩილი ნიკოლო ტრიესტელი, რომელიც ალბათ იყო კიდეც მახვილი თვალი თბილისის ეპისკოპოსისა ციხისთავის სამფლობელოში. ნიკოლო ტრიესტელის გადარჩენილი ქაღალდები მოგვახსენებს, რომ მას უცდია იმ მოკლე ხანად მთავარი კუნძულის მოსახლეობის აღწერა და ამ საქმეში ციხისთავის საგადასახადო დავთრები მოუხმარია. მისსავე ქაღალდებში დარჩენილია აღწერილობა კუნძულზე უკვე არსებული მდიდარი მონასტრისა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა იოანე ნათლისმცემლის მონასტერი, რომელიც დღემდე არსებობს.

ეს ჩანაწერები ირიბად დაგვისაბუთებს იმას, რომ წმინდა საყდარს საჭიროდ ჩაუთვლია კუნძულზე სამისიონერო საქმიანობის გაშლა და თუ რომსა და მერე რომსა და ავინიონს ვითარება მძიმე ჰქონდათ საქართველოს სხვადასხვა მიწებზე, იქ ატეხილი ომებისა და უცხოსათვის ძნელად გასაგები პოლიტიკური ვითარების გამო, იოანეს კუნძულებს, რომლებსაც ზღვა აშორებდა საქართველოს ამბებს და მასთან კავშირი მხოლოდ ტყვეთა ყიდვა-გაყიდვით შემოეფარგლებოდა, ჯოვანი ფლორენციელის მისვლიდან თხუთმეტი წლის თავზე ფრანცისკანელთა მისიონი ეწვია. მცირემცოდნესთვის აღარ მოვყვები ფრანცისკანელთა ცნობილ საქმიანობას, მათ ხასიათს, მათგან პაპების მხარდაჭერას, მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ ჩრდილოეთით, გენუელთა ქალაქ კაფაში, და კოსტათა ღონიერმა სავაჭრო სახლმა იცოდა, რომ აქ ოდესღაც არსებობდა კათოლიკური მისიები და ისინი ერთმანეთს ცვლიდა. ამიტომ, როცა რამდენიმე ოჯახმა გადაწყვიტა, რომ გირეითა რისხვისთვის გაერიდებინა თავი და ქონებაც უხიფათო ადგილას დაევანებინა, ეს შეღავათი არსებობდა. იოანეს კუნძულებზე თავიანთი სახლების შემქმნელმა გენუელებმა იცოდნენ, რომ იქ ყოველთვის არსებობდა კათოლიკური ფესვი. არც იმის გარჩევას არ მოვყვები, რა იყო გენუელთათვის პაპი და არც იმის ახსნას, რომ ეს ყველაფერი ერთი არ არის. მაგრამ ამ შემთხვევაში ხელი ხელს დაბანდა. კათოლიკურ მისიას დიახაც გაეხარდებოდა ღონიერი კათოლიკე ოჯახების დასახლება კუნძულზე, ხოლო კაფელ გენუელებს კი კათოლიკური ფესვის არსებობა კუნძულზე. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ფრანცისკანელთა პირველი გამოჩენის შემდეგ ბევრი რამ შეცვლილიყო. იმ დროისთვის, როცა კაფელებმა მეურნეობისა და სახლების გამართვა დაიწყეს კუნძულებზე, მისიები ერთგვარად შესუსტებულიც იყო, თუმცაღა, პროპაგანდა ახალი დროებისთვის ემზადებოდა. დარჩენილია ერთი ესპანელის, კუნძულ იოანეზე და კოსტათა საქმეთა მწარმოებლის, ხინეს დე პასამონტეს რამდენიმე წერილი, რომელიც აღუწერს ლუკინო და კოსტას კუნძულზე ტეატინელ ბერთა გამოჩენას. კათოლიკურ მისიათა მოღვაწეობის სურათი კი კუნძულებზე ასეთია: მათ კარგი საგანმანათლებლო მუშაობა გასწიეს, თუმცაღა უფრო ექიმებად იყვნენ ცნობილნი, ვიდრე ბერებად. კუნძულზე არსებობდა ღონიერი მართლმადიდებლური მონასტერი. აქ რომ უბრალოდ ეპარქია ყოფილიყო, კათოლიკენი მეტს შეძლებდნენ, რადგან თუ იოანელთა დიდი ძმის, საქართველოს იმ დროის ცხოვრებას გადავავლებთ თვალს, იქ ეპისკოპოსებად სრულიად უსწავლელი და ხშირად თაღლითი ადამიანებიც კი ეკურთხებოდნენ ხოლმე და მათი ბრძოლის ხერხები მისიათა წინააღმდეგ, რათა მრევლი არ დაეკარგათ, გამოსაცნობი და იოლი იყო. მაგრამ აქ იყო მონასტერი. ცოდნის, სიბრძნისა და რწმენის მთავარი წყარო იმ დროის მართლმადიდებლურ სამყაროში. მონასტერი არცა სიტყვით, არცა საქმით, არასოდეს შებრძოლებია აქ არც ფრანცისკანელებს, არც დომინიკელებს, არც ტეატინელებს და არც კაპუცინებს, მეტიც, არის ცნობა, რომ მათ ხის სახლების შენებაშიც კი მიეშველნენ, მაგრამ მეორეს მხრივ, კუნძულებზე კაფელთა გამოჩენამდე, არც ერთი ციხისთავი, რომლებიც უკვე

მეფეებად იწოდებოდნენ, კათოლიკედ არ მონათლულა. ამ მეფეებს ძალიან მტკიცე კავშირი შეეკრათ მონასტერთან და ასე მართავდნენ თავიანთ პატარა, მიყრუებულ ქვეყანას. მისიონერთათვის ვითარება ასეთი იყო: კუნძულის მთელი ადმინისტრაცია და ინტელექტი თავმოყრილი იყო ციხესიმაგრესა და მონასტერში, რომლებიც ერთმანეთისგან ხელის გაწვდენაზე მდებარეობდა. უბრალო ხალხისათვის სამაგალითო ადამიანი კათოლიკედ არ ინათლებოდა და ამიტომ მისიათა საქმიანობა უფერულდებოდა. მათთვის დიდი შეღავათი უნდა ყოფილიყო სწორედ კაფელ გენუელთა გამოჩენა. თუმცა, აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მისიონერთაგან მოქცეული კათოლიკური თემი მაინც არსებობდა. ესენი იყვნენ უბრალო გლეხები, რომელთაგან ბევრზე ძალიან იმოქმედა ბერების ცოდნამ, ექიმობამ და მათმა უანგარო დახმარებამ. კათოლიკური მისიის არსებობა იყო იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ იოანეზე დღემდე არ არის მართლმადიდებლური საეპისკოპოსო კათედრა, სამაგიეროდ კი უფრო ბევრია კათოლიკური მონასტრები. თუმცა, ამის მთავარ მიზეზად მაინც ოსმალთაგან კუნძულების დაპყრობა უნდა მივიჩნიოთ, რაც მალევე მოჰყვა კაფელთა გამოჩენას, თუმცაღა ეს დაპყრობა ასგზის მშვიდობიანი იყო, ვიდრე თავად კაფას ნავსადგურის და ქალაქის ბედი. ციხისთავებმა შეფარვით აღიარეს ისლამი, თუმცა ქრისტიანებისთვის არავის უთქვამს, ისლამი აღიარეთო. ეს უფრო შეღავათების მინიჭებით ხდებოდა. ციხისთავები მზად იყვნენ ამ ნაბიჯისათვის და არც კი დაუხანებიათ, თუმცა მანამდე ორას წელიწადს გულშიაც არ გაუვლიათ, რომ კათოლიკობა მიეღოთ. ისინი დარჩნენ კუნძულის გამგებლებად და ზრუნვას არ აკლებდნენ მონასტერს.

ოსმალთაგან შევიწროვება არ შეხვედრიათ გენუელებს, არც სომხებს, რომლებიც მაშინვე გამოჩნდნენ კუნძულზე, როგორც კი იოანემ სავაჭრო ადგილის და ტყვეთა სასყიდი ბაზრის სახელი დაიგდო. სომეხი ვაჭრები ცდილობდნენ კაფელებისთვის აერთმიათ პირველობა და წამყვანი ადგილები დაეჭირათ სავაჭრო საქმეში, თუმცა ხუთმა დიდმა ოჯახმა მაინც თავისი გაიტანა.

ასეთ ვითარებაში კათოლიკურმა მისიებმა, რომელთაც დაატყვეს, რომ სავაჭრო ქალაქში რაგინდარა შთამბეჭდავი მისიის ასრულება უფრო ძნელი გახლავს, ვიდრე მიყრუებულ ადგილას, თავიანთი მოქმედების ადგილების გაფართოვება სცადეს. კაფელთა გადმოსახლება კუნძულზე, რამაც ვაჭრობის ბუმი გამოიწვია, სინამდვილეში მათ საწინააღმდეგოდ ამოქმედდა, რადგან გენუელებმა მოვიტანეთ ახალი ცხოვრება, ახალი სისხლი და იოანე მსოფლიოს დავუკავშირეთ. ვაჭრობაზე მოწყობილ ადგილას კი ქადაგება ცუდად ისმის.

ამიტომ კაპუცინებს, დიახ, ესენი იყვნენ კაპუცინები, ის ორი პატარა კუნძული მოხვდათ თვალში, რომელიც იოანეს მთავარი კუნძულის ახლოს, აღმოსავლეთით იდო. სამხრეთის მომცრო კუნძულზე მათ აღმოაჩინეს, რომ იქ მხოლოდ ერთი გვარის ხალხი ცხოვრობს. ესენი იყვნენ ვისრამიანები. ვისრამიანები მართლმადიდებლები გახლდნენ, მაშინ ცხოვრობდნენ ოცდაათზე მეტ კომლად, მისდევდნენ მეცხვარეობას და მღვდლები თავისსავე გვარში ჰყავდათ. ჟამითი ჟამად ისინი აგზავნიდნენ თავიანთ შვილებს კონსტანტინოპოლში, ან იერუსალიმში მღვდლად საკურთხებლად. მღვდლად კურთხეული კი ორ პატარა ბიჭს დაიმოწაფებდა ხოლმე. ასე რომ, თავიანთ რწმენას ისინი თავადვე უვლიდნენ, კაპუცინები კი გულუხვად მიიღეს, მაგრამ იქ საქადაგო არაფერი იყო, ვინაიდან ეს ხალხი, როგორც ძმა ქრისტოფორო წერს თავის რელაციაში, საერთოდ არ ინტერესდებოდა იმით, თუ რამხელაა სამყარო და სხვათა

სწავლებას გულგრილობით შეფერილი ეჭვით ეკიდებოდა. მათი რწმენა ზედაპირულია და გამოყენებითი. მღვდლები და იმ დროს, 1662 წელს, ვისრამიანთა კუნძულზე იყო ორი მღვდელი, მათ სჭირდებოდათ რიტუალების ასასრულებლად.

უფრო რთული და თავზეხელაღებული თავგადასავალი ელოდათ კაპუცინებს მეორე, ანუ სუნგალის კუნძულზე, სადაც ქართლის მეფის ქვეშევრდომი ორი სოფელი გადმოესახლებინათ ჯოვანი ფლორენციელის გამოჩენამდე საუკუნით ადრე. ეს სოფლები უკვე ქცეულიყო თორმეტ სოფლად და აქ არავინ იცოდა წერა-კითხვა, თვით მღვდლებმაც კი: ისინი ზეპირად ამბობდნენ რაღაც ლოცვებს, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მღვდლებს აქ არავინ აკურთხებდა, სოფლები თავადვე ირჩევდნენ რომელიმე ჭარმაგ კაცს მღვდლად, მას არ ეცვა ანაფორა და მათთან ლაპარაკით კაპუცინებმა გამოარკვიეს, რომ ისინი აღიარებენ მართლმადიდებლურ სწავლებას, თუმცა ეს სწავლება საკმაოდ სახეცვლილია და მასში შემოსულია სასოფლო ცხოვრების აუცილებელი წესები, ფოლკლორი და პირუტყვის მსხვერპლშეწირვის რიტუალები.

ეს ხალხი, რომლებსაც მთავარ კუნძულზე სუნგალებს უწოდებენ, ლაპარაკობდა ქართულის ძალიან მსგავს ენაზე, თუმცა თავს მედიდურად უწოდებდა მეფის ხელქვეითებს და დიდად არც ციხისთავთა და არც ოსმალთა ხელისუფლებისა სჯეროდა. სუნგალები თითქმის არ ტოვებდნენ თავიანთ კუნძულს. მხოლოდ იშვიათად, რაღაც საგანგებო საქმისთვის თუ გადაცურავდნენ სრუტეს. ისინი გარკვეულად მონაწილეობდნენ ტყვეთა სყიდვაში, თუმცა თავისებური განხრით: ხშირად ყიდულობდნენ ხოლმე ქართველ ტყვეებს, განსაკუთრებით ბავშვებს და ქალებს და თუ ვერ იყიდდნენ, მოიტაცებდნენ ხოლმე. კაპუცინებს მათ უთხრეს, რომ არ მოექცევიან, მათი ქადაგება არ აინტერესებთ და არც ესმით და ეს იმგვარად უთხრეს, რომ მიანიშნეს, თქვენი საქმისა არაფერი გვინდა, გიმასპინძლეთ და წადითო. მეორეს მხრივ, მათმა ერთმა მღვდელმა, რომელსაც ქრიტოფორო უწოდებს ქურიას, შესთავაზა მათ, დარჩით ჩვენთან, უყურეთ ჩვენს ცხოვრებას, ჩვენ ვუყურებთ თქვენს ცხოვრებას და ვნახოთ, რა გამოგვივაო. ორი კაპუცინი, მართლაც, დარჩენილა კუნძულზე, თუმცა მათი შემდგომი ბედი უცნობი დარჩა.

ყოველივე ამაში, კათოლიკეთა ამგვარ ცხოვრებაში იოანეს კუნძულებზე, რომელსაც ყველა რელაციაში მეთექვსმეტე საუკუნის ბოლოდან იხსენიებენ როგორც სანტა ესპერანსას კუნძულებს, და კოსტათა ოჯახის მონაწილეობა შეგვიძლია დავადგინოთ ძალიან უბრალოდ. და კოსტათა ოჯახს დღემდე შემოუნახავს ყველანაირი საბუთი, შემოსავალ-გასავლის წიგნი და წერილის ასლი, რომლებიც კი საუკუნეთა მანძილზე შეუდგენიათ ამ ოჯახში.

მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში კათოლიკური ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობა შესაბამისი თანხის გაღებით დასტურდება. ციხისთავთა მიმართ ლოიალობა მათდამი მიძღვნილი საჩუქრების გრძელ სიაშია დადასტურებული. კუნძულის ლაშქრისათვის საგანგებოდ გამართული ოთხი ახლებური სამჭედლოც და კოსტათა მიერ მოწვეულმა ოსტატებმა მოაწყვეს.

ჩვენ ამის ჩამოთვლას არ დავიწყებთ. უბრალოდ, ამ შესავლის შემდეგ, მსურს დალაგებით მოგითხროთ და კოსტათა გვარის ცხოვრება იოანეს კუნძულებზე, რომელთაც სწორედ მათი მეშვეობით ჰქვია დღევანდელი სახელი.

ამ თხზულებას ერთადერთი მიზნით ვადგენ: ამდენი საუკუნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მე ვარ უკანასკნელი და კოსტათა შორის, ვინაიდან ბოლო ომმა შეიწირა ჩემი ძმიშვილის, ალესანდრო და კოსტას სიცოცხლე. და მე, ახლა უკვე მოხუცი, გულგატეხილი და მარტოხელა, დაბადებიდან 69 წლისა, ვცდილობ დავწერო ჩემი განადგურებული გვარის ისტორია და ავხსნა ის მიზეზები, თუ რატომ ამოწყდა ჩვენი გვარი ისე, რომ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ასრულებს თავის დიდ და საოცარ ცხოვრებას.

მე ვეცდები, რომ ვიყო უტეხი და ვაჟკაცური და ჩემმა საოჯახო უბედურებამ არ წაახდინოს მონათხრობი და კოსტათა ნატანჯი და მეოცნებე, დაუდეგარი და მძლეთამძლე, აწ კი გარდაცვალებული გვარის შესახებ.

სწორედ იმიტომ ვცოცხლობ, რომ ეს თხზულება დავწერო და დავტოვო, ვითარცა ჩვენი თავგადასავლის ქრონიკა, რომელიც ეგებ გაკვეთილად გამოადგეს სხვა გვარებს.

ალფრედო, უკანასკნელი და კოსტა, სანტა ესპერანსას მუზეუმის ყოფილი თავმჯდომარე.

ნამღვდელარაანთ ბიჭის ნაპოვნი ლიტრა

ეს კი იცოდა ნამღვდელარაანთ ხეტიამ, რო ბედის რჩეული იყო.

ეს დიდი ხანია იცოდა, ოღონდაც გვიან კი მიხვდა.

ნამღვდელარაანთ ხეტიას ისე დეებედა, რომ ბიჭობიდანვე ყველაფერი იცოდა სადიდო: განსაკუთრებულათ ყურადღებით მიუგდებდა ხოლმე ყურს უფროსების ლაპარაკსა. მამა მღვდელი ჰყვანდა და ერთ-ერთი მცველი სუნგალთა განძისა, რომელიც სუნგალებმა ქართველთა მეფეს უგროვეს. მამას რომ დააკლდა თვალთა, მღვდლობას მოეშვა და იჯდა ყორის კიდეზე მთელს დღეებს და ჰყვებოდა და ჰყვებოდა. იმას მთელი სოფელი უსმენდა და შინა მყოფი ხეტია ხო არ გამოსცდებოდა. მერე იყო და ქალაქად ადრიდანვე კარქა მოლაგდა, მათიანების ოჯახში მივიდა კარზე მდგომ ბიჭად და ოთხ წელიწადში იმათი მოურავი შეიქნა. მოურავი კიდე ამბის კაცია. ორჯელ მეტი მაინც უნდა იცოდეს ოჯახისა, ვიდრე თითონ ოჯახმა იცის. კაი მოურავი იყო და თან იმნაირ საქმეებში ჩახედული, იმნაირად მომსმენი, რო იმის საქმეზე მიშვებას არაფერი სჯობდა. საქმის კეთება იცოდა ჩუმათ, სწორათ და მონადირის თვალით და ხელით. მათიანებმა კაი მადლობით გაუშვეს, როცა თითონვე მოიწადინა, რო დასთხოვოდა. რა არის, რომ გასუქდა. მეტათ მოემატა მუცელი და ქონი და ვერაფერი უყო ამ საქმესა, რაც ყოველდღიურობაში შეუშლიდა და შეუშლიდა ხოლმე. ჩამუხლვა ისე უჭირდა, რო როგორც იმის მერე წამოდგომა. კაი საჩუქარი ფულით და კაი ნაგროვებით დაეთხოვა მათიანებს და ქალაქის განაპირას დაიჭირა ერთი სახლი, რომელსაც მერე „ხეტიას ოტელი“ დაერქვა და რომელიც თავშესაყარი იყო ქალაქად მოსული ყოველი სუნგალისა.

ხეტია სწორედ ამ დროიდან შეიქნა პატრონი, მომვლელი, მომხმარე, მრჩეველი და ძია ყოველის ქალაქად მოსული ყრმა სუნგალისა და იმათში ადრეც დაგდებული სახელი კიდევ უფრო გაუფერადდა. ამ დროებაში ხეტია სცხოვრობდა, როგორც ერთი ძველი

რომელიმე აზნაური, არცთუ მდიდარი, მაგრამ სამყოფის მქონი: უყვარდა ეზოში ხალიჩაზე კოტრიალი, ღვინის წყლის გარეულად სმა, სხვათა ჭკუის დარიგება და ისევ და ისევ მოსმენა იმ ამბებისა, რასაც ათასი ადგილის სუნგალები ჰყვებიან ხოლმე, როცა ერთად შეიყრებიან.

ასევე უყვარდა ხოლმე ხეტიას სანადიროდ წასვლა. ის მიდიოდა ხოლმე მარტო, საფანტით გატენილი ტყვიებით და წვრილ ფრინველს, გვრიტს ან შაშვს მოინადირებდა ხოლმე. ნადირობას მაშინ გასწევდა, როცა გადავიდოდა სუნგალის კუნძულზე, თავის სოფელში, შინაურების მოსანახულებლად, ძღვენის მისატანად და სოფლის საქმეში ჩასახალისებლად. სწორედაც ამ ნადირობის დროს იყო, რომ ერთხელ, ადრიანზე გასულმა, კუნძულის ჩრდილოეთში, ზედ ნაპირს მიდგმულ ტყეებში იარა, დახოცა შაშვები და მერე გამოვიდა ნაპირისკენ. რატომ გამოვიდა იქა, იოლი მისახვედრელია, ჩრდილო და აღმოსავლეთის მხარეც სუნგალის კუნძულზე კლდიანია. ზოგან მაღალი, ზოგან კიდევ უფრო დაბალი. ტყე ისე დეეჯახება ხოლმე ამ კლდეს ან ნაპირს, რომ თვალსწინ გადაგეშლება ლამაზი სურათი, ქვასა და მწვანეს შუა გამოჩენილი მოლივლივე ზღვისა. ეს ნაპირები მოულოდნელათ წყნარტალღიანია. სულაც რომ არ იყოს შეგრძნობა ბუნების ლამაზი სურათისა, ფეხი მაინც გაგიტყუებს იქით. ზღვა არ გიყვარდეს, მაინც შეგათვალიერებინებს. ჰოდა, ხეტიაც, ხვნეშით შემოდგა ერთს კლდოვან ბექობზე და გაჰხედა ზღვას, თან კი ესეც იანგარიშა, რომ თავისი სახვნეში ნაბიჯით მზის ჩასვლამდე იმ ხევის პირზე მისულიყო, სადაც მანქანა დატოვა. ზღვა კი ლამაზი იყო, მაგრამ, სამიოდ ნაბიჯს იქით, კლდის პატარა, ჩაღრეცილ ჭიპზედ ლიტრა ეგდო. ლიტრაა რა, ლიტრა, წყლის მოტანილი, სულ ლამიანი. ხეტია არც შეხედავდა იმ ბოთლას: უფრო სწორად, არავინ შეხედავდა ხეტიას მეტი, და არც ფეხით დაუწყებდა გაშინჯვას, წყალს რა მოუტანიაო. კაი ხნის მოტანილი ჩანდა, მშრალად იყო სულ ლამმოდებული და თავმოხდილი არ იყო. ხეტია ერთდაგვარი წვალებით ჩასწვდა ლიტრას და ხელით სინჯვა დაუწყო. კარქა მცოდნი სარქველი ედო და ზედ ხრინწიც კარგა მოესხათ თავის დროზე. ხეტიამ ჯაყვა ამოიღო და ხრინწი მოქლიბა ლიტრას, მერე კიდევ სცადა საცობიც ამოეგდო. ამას წვალება მოუნდა, ხელიდან უცურავდა. მერე ამ წვალებას ამჯობინა ძველი და გამოცდილი ნათქვამი, ლიტრა მოხვდა ქვასაო, თუ ქვა მოხვდა ლიტრასაო, მაინც ვაი ლიტრას ბრალიო. გაუშო ხელი ლიტრასა და დასცა პირდაპირ კლდეს.

ლიტრა რო არ გატყდა, ჯანჯალს აღარ მოვყვებითა და ისევ მოუხდა ჩამუხლვა საწყალ ხეტიას, ისევ აიღო ბოთლა და დასცხო ქვას. ლიტრა გატყდა, იქედან გამოცვივდა ორი ცალი ჩახვეული ქაღალდი, საგულდაგულოთ დაკეცილი და გადახვეული, როგორც პაპიროსის ქაღალდი იყო ძველ დროს. წყალი ლიტრაში არ შესულიყო. ამ ფურცლებზე იყო გადახუნებული ნაწერი კარგი ინგლისურის ხელხუჭუჭით. გვარიანად გრძელი ნაწერი იყო, იმის გარჩევას ხეტია ძნელათ შეძლებდა. ხეტიამ იცოდა ანგლეზური კითხვა, წერით არასდროს დაუწერია, მისალოცი ბარათიც კი, რათგან სუნგალები ასე გულცივათ არ ულოცავენ ერთმანეთს მისალოც ამბავს, რომ ის ბარათზე დასტიონ. ხეტია ჩააცქერდა ნაწერს. კაი გამოცდილი ხელისა იყო, გადაბმული ასოებით. ესეები ასე ჩქარათ მაინც ვერ წაიკითხა ხეტიამ, ჩაილაგა კი ეს ძველებური ქაღალდები ჯიბეში და გამოიხვნეშა ტყისკენ ამ უცნაურ ნაპოვით მართლადა ატაცებულმა. მანქანაში დამჯდარმა ისევ ამოალაგა ქაღალდები და დაიწყო იმათზე წვალება, მაგრამ მაინც ვერა გააწყო რა და გაიხსენა ძველი ნათქვამი, ვინაც ტყისკენ იჩქარდესო, ისა ვახშამზეც უზანგს სინჯავდესო.

შინ მოსულს ყორეზე დაუხვდნენ გადმომდგარი დედამისი და სოფლელები, ორი შაშვის მომლოდინე ბავშვები და სხვანიცა. ასე რო, ხეტიამ, სანამ ბანზე არ გაგორდა და არ აჰხედა ამ ვარსკვლავიანს ზაფხულის ცას, ვერც კი მოიცალა იმ ლიტრადან ამოღებული ქაღალდებისთვის. მაშინ კიდე ძილმა ჩქარათ წაიღო და ბოლო ფიქრი კი ის იყო, რო მოდი, მუზეუმში მივიდე, ეს ქაღალდი მიუტანო იმ ბებერ ალფრედო და კოსტას და უთხრა, ასე და ასე იყოო. მაგრამ გათენებულზე ეს კეთილი ფიქრი სრულიადაც გადაუვარდა თავიდან და ბანზევე მოიძია ფანქარი, რათგან აზრი გამოუჩდა.

ფანქარი სოფლის ბოლოს, აბესალომ მღვდელსა ჰქონდა, თანაც წითელი. ბიჭი გაგზავნეს, ხეტიას სჭირდებაო. ეს შეცდომა იყო, მარამ სხვანაირათ ვერ გამოვიდოდა. ხეტია რო თავათ მისულიყო აბესალომ მღვდლისას, დაუჯდომლად ვერ წამოვიდოდა და ასეც საღამომდინ დაუჯდებოდნენ. მაგრამ ხეტიამ ესაც იცოდა, რომ ბიჭს რო გაგზანიდა, ხეტიას ფანქარი უნდაო, აბესალომ მღდელი თავათ წამოიღებდა ფანქარსა, რადგან ბიჭს არ ანდობდა და თანაც დაუჯდომლათაც ვერ გაუშვებდი. ასეც იყო, აბესალომ მღვდელმა ფანქარი მაიტანა და მერეღა გამოაჩინა, როცა უკან მიჰქონდა, შებინდულზე. რათ გინდა ეს ფანქარიო, ჰკითხა ხეტიას და იმან კიდევ, ხომ არ ეტყოდა, ფურცლები ვიპოვე და იმათში ნაცნობი სიტყვები უნდა გავხაზოო.

მანამდინ არაფერი მოხერხდა, სანამ ხეტია ქალაქს არ ჩამოვიდა. იქ გახაზა ნაცნობი სიტყვები, მერე კი წავიდა და ოქსფორდის ლექსიკონი იყიდა. ეს იყო ძველი არქივარიუსის, სამსონ ბრასის წერილი, რომელიც მას ლიტრაში ჩაედო ასზე მეტი წლის წინათ და ზღვაში გადაეგდო. ამ სამსონ ბრასის შთამომავალი ახლა განთქმულ ვექილად იყო და კონსტანტინე ვისრამიანს ემსახურებოდა.

ის ძველი ბრასი კიდენა, ის ყოფილა, ვინცა ყოფილა, სულ მისხალ-მისხალ აუწონავს, რაც ძველ ციხითავებს რვა საუკუნის განმავლობაში მონასტრისთვის ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი შეუწირნიათ. ეს ყველაფერი მონასტრიდან გაზიდული არასდროს იქნებოდა, ოღონდაც ხეტიას რა? განა ხეტია ქურდია, რო იქ შეძვრეს და რამეები მოიპაროს?

მაგრამ ხეტია ხეტია გახლავს.

თავისი ოტელის წინ, ხალიჩაზე წამოგორებულმა დათვალა და რა აღარ დათვალა. დათვალა და გადათვალა, ახ, რა საშიშარი რამ არის, რომ სუნგალს იმდენი ჭკუა დაჰყვება, საქვეყნო ამბის და გარემოწერილის თვლას დაჰყვეს. ის იქნებოდა ორმოცი პირთამდე სავსე ზანდუკი და დაავალებდა ხეტიას, რომ მოუსვენრად კი ყოფილიყო. ამ განძით ხო რამდენი რამის გაკეთება შეიძლებაო, იფიქრა ხეტიამ, ეს თვალ-მარგალიტი ხომ ძალა არის და იმაზედ მეტი იქნება, რა სიმდიდრეც უხვეჭიათ გამოჩენილ გვარებსაო. თვით იმაზე მეტიც იქნება, რომელსაც სუნგალები უგროვებენ მეფესაო და აქ წამოეჭრა საკითხი, რომ თუ ძალიანაც მოინდომებს, ორს საგანძურს მართავს ხელითა და ვინც მართავს საგანძურებს, ის მართავს ამ სამს კუნძულსა. ოღონდაც, ხეტია ხო ის კაცი არ იყო, რომ აბა, იმწამსვე დაეწყო სუნგალ მღვდელთათვის კირკიტი, ჩვენ საგანძურს სადა მალავთო, ანდა ის კაციც არ იყო, რო საჩქაროზე ეწყო ფიქრი, როგორ მოვიპოვო ეს საგანძურებიო. რაც შენახულია, ის კიდევ შეინახება. ხეტიამ იფიქრა, რომ სანამ ანგლეზია, საგანძური შენახული უნდა იყოს, ანგლეზს კიდევ, როდის გასდის ამ სამ კუნძულის ქირაობის ვადა? ეჰე, რამდენი

ხანი უნდა გავიდეს. ამიტომაც, უნდა იფიქროს კაცმა, იფიქროს და ემზადოსა, საჩქარი არაფერია.

და ხეტიამ დაიწყო დათვლანი და კიდე უფრო შეიყვარეს ის სუნგალმა ბიჭებმა და კიდევ უფრო შეიქნა ის საჩვენებელი კაცი სუნგალთა მხარეში. და ხეტიამ იპოვნა ამხანაგები. იპოვნა კი არა და უფრო სიახლოვე გამოახერხა იმ ხალხთან, ვისაც ადრეც იცნობდა და შეხვედროდა თავისებურ ვითარებათა რიგში. ამათგან მთავარ ნაცნობად და დოსტად ხეტიამ თანდათან გაიჩინა ვისრამიანების სიძე, სახელად ნიკა აბაიშვილი, ქართველი, საქართველოდან, ჯეილი ნაყაჩაღარი, ომებმოთავებული და ხიფათა, ვისაც ვისრამიანთანაც არეოდა ანგარიში და დიდათ გაურბოდა კუნძულებზე თანდათანობით გამოჩენილ ქართველებსაც.

ეს აბაიშვილი ხეტიამ სულ თავიდანვე გაიცნო.

ვგონებ, ხეტია იყო პირველი, ვინაც ეს აბაიშვილი ნახა, მოიახლოვა და მოუარა, მერე კიდევ, ვისრამიანთ მოურავის მარტიას მაშვალობით, იმათ სიძედაც გაახერხა, რახანღა ვისრამიანები მაშინ სიძის ძიებაში იყვნენ და თავიანთი ურგება ქალი, სალომეა, სულ ძალასძალით მიიყვანეს გვირგვინქვეშ ამ აბაიშვილთან.

ხეტია ერთს რასმეს კარქა ამოიცნობდა, აბაიშვილ ნიკასნაირი მეორე კაცი ამ კუნძულებზე არ იყო. ამნაირი ცხოვრება და ცოდნა საშინელებაში მოქცევისა, თანაც კი მსუბუქა ხელი, აზრი ყოჩობისა და საქმეთა ჭრისა, სხვას არავის გამოევლო. თუ გამოევლო და ის მაინც არ იყო ვისრამიანთა სიძეი. გაჰკრამს ერთი ცისკარიცა და ეს აბაიშვილი მეტად გამომადგებაო, ასე ჰფიქრობდა ხეტია და ამ ანგარიშობით ბევრი ამხანაგობა გაუწია მასა.

ამის მეტს ხეტია მიეტორღა მოხუცს და ყველასგან მიტოვებულს ქალბატონს, აგათია ციხისთავ არჩილიანს, აქაურ მეფეთა ბოლო და ყველასგან დავიწყებულს ბებიას. ეს ანგარიშიც კარქი იყო, ვინაიდან ხეტია სთვლიდა გლეხურად, მაგრამ სწორედ. გლეხის მოთლილი ხო ყველაზე ზუსტი მოთლილია ქვეყანაზე.

ხეტიამ იფიქრა, რომა ასე არ მოთავდება ამ ორ წელიწადში და ეს ქალი სულ დამალული არ იქნება. საზოგადოთ, ციხისთავიანთ აგათიას ქვეყნად ჰქონდა ერთი მცირე უფლება: ერთ ფასად მას შეეძლო შენთვის რაგინდარა წოდება მოენიჭებინა. იმ ძველ დროს, როცა ანგლეზებმა კუნძული იქირავეს აგათიას წინაპარ სარი ბეგისგან და თანაც, ისა და ოსმალები კოხტათ გააცუცურაკეს, სარი ბეგსა და მის შთამომავლებს მიანიჭეს უბრალო ლიცენზია სახელოების გაცემისა. ეს სახელოები არას ნიშნავდა, ოღონდ კი სარი ბეგს შეეძლო ამით თავისი პატივი გამეხატა და ცოტაოდენი ფულიც ეშოვნა.

თუმცა, სარი ბეგს არასდროს აუღია ფული წოდებათა მინიჭებაში. ამ საშვილიშვილო უფლებით დიახაც მოხერხებულად სარგებლობდა მოხუცებული აგათია, რომლის მუშტარიც უფრო იყო ზოგიერთი ახირებული ინგლისელი, აქ საკურორტოდ ჩამოსული და მეფეთა შთამომავლისგან ნაირგვარ, ასევე ახირებულ თანამდებობა-წოდებათა ქაღალდების მსყიდველი. ჰოდა, ერთხელაც, ხეტიამ სუნგალური ძღვენი გაუგზავნა მივიწყებულ აგათიას: ორი ჩაფი სუნგალური ღვინო, ათი კარგა ნაცხობი თორნის პური, ნახევარი ბურვაკი, ხბოს ხორცი, ნიორი და ხუთი თავი განთქმული სუნგალური ყველისა. ჰფიქრობდა, რომ ამგვარი ძღვენი ყოველ სამ თვეში ერთხელ

მიეწოდებინა მოხუცებულისათვის და თან მოკრძალებითაც დაურეკა, ერთი უბრალო სუნგალი ვარ, ეგებ გაგეგონოსთ კიდევაც, არ იფიქროთ, რამე მინდოდეს თქვენგან და ანგარიშითა ვშვრებოდე, ვერც კი მოვბედავ, რომ მოგინახულოთ: წიგნი წავიკითხე სარი ბეგის ცხოვრებაზედ და იმის რაობამ აღმაფრთოვანაო.

მოხუცებული ხალისიანობით პასუხობდა და ორი კვირის თავზე კი ხეტიამ შინ მიიღო კონვერტი, რომელშიაც ის ერთადერთი ძღვენი იყო, რომლის ჩუქებაც აგათიას შეეძლო: ამ კოხტა გუჯრით, ნამღვდელარიანთ ბიჭი ხეტია დანიშნული იყო იოანეს მეფეთა ჯარების სარდლად, ზღვისკიდის სპასპეტად და სასუნგალოს სპასალარად. ბევრ სხვათა დარად ხეტიას ეს გუჯარი ჩარჩოში არ ჩაუდევს და ოტელის შესავალ კარში არ გამოუკიდნია.

სუნგალისათვის, აბა, რას ნიშნავს ციხისთავიანთ წყალობა? არც რასა. იმათ ციხისთავები არასდროს უცვნიათ თავის ბატონათ.

მაგრამ ხეტიამ შეინახა ქაღალდი, რახან ქაღალდს შენახვა უხდება.

ეს ორი ვინმე იყო, ვინც ხეტიას საახალდროო ფიქრისთვის საჭიროებად უჩანდა. სახალხო საქმეში კი ხეტია შეიქნა კიდევ უფრო ერთგული და ხელის გამწვდომი სუნგალებისთვის, რამაც ის დასახა სრულიადაც პირველ სუნგალად სუნგალთა თვალში. კაი გამოდგა ჩვენი ხეტიაო, ეგ არი ქალაქად ჩვენი პატრონიო, ასე იტყოდნენ ხოლმე სუნგალის კუნძულზე.

იმასთან, ხეტია ისედაც იყო ყოველი სუნგალის მესაიდუმლე, იმის საზრიანათ მრჩეველი და მომხმარე იქამდი, სანამდისაც გასწვდებოდა. ის იმნაირი სუნგალიც კი იყო, რომ ის პირშავი კოსტანტინე ვისრამიანი ჰხედავდა საჭიროებას, ხანდახან თავისთან დაეძახნა და ნაირგვარი შეკითხვა-გაბაასებით მისი ჰაზრები მოენიშნა. ამან მშვენიერად დაანახვა ხეტიას, რო თითონ თუ საგანძურთა ამბის პატრონია, კოსტანტინე ვისრამიანს სულაც არა სჭირდება განძეულობანი, რადგან ის ყველაზე მდიდარი კაცი გახლავს კუნძულებისა, ოჯახურად მომდგარი და მომლოდინე ანგლეზთა წასვლისა და ხეტია თუ ფიქრობს რამეებს ხვალინდელ დღეზე, ისაც ფიქრობს, ოღონდაც ის იმაშია შემცდარი, რომ იმას ხეტია ერთი ვინმე, სუნგალთა შორის განთქმული ჰგონია და მეტი არც ვინა და ამიტომაც სჭირდება ხეტია. ამით ხეტიამ დაატყო, რომ ვისრამიანი უარს არ არის, ჯარსავით ამზადოს სუნგალები, რომლებშიაც მის ოჯახობას ოდითგან კაი სახელი უგდია, თანა მდგომობით, კაი სამუშაოს მიცემით, თავის მიწებზე სუნგალის დაბალ ქირით დაყენებით და ასე. მაშ თუ რამეა, ვის უნდა მისცეს მხარი სუნგალმა, რამე რო იყოს სალაპარაკო? ცხადია, ვისრამიანსა. ჰოდა, ეგონოს ვისრამიანს ხეტია მარტო განთქმული სუნგალი, სინამდვილეში კიდენ ხეტია სარდალიც არის. ბებერს ვისრამიანთან ლაპარაკ-მინიშნება-მონიშნებებმა ბევრი კიდევ დაათვლევინა ხეტიას. ის მიახვედრა, რომ ახლოა დღე, როცა ამბები მოხდება, ვინაიდან ჰა, რაღაა დარჩენილი, რომ ანგლეზის რეჯიმენტმა დასტოვოს კუნძული, გავერნორმა კი სასახლე.

ასე რომა და რა იქნება მერე?

ხეტია იქნება, რათ არა?

ხეტია იწვა ხალიჩაზე გულაღმათ და ითვლიდა ამეებს. სხვა არცა ჰქონდა საქმე, ცხოვრობდა ტკბილათ და ნათვლევს მისდევდა. ეს მსუქანი ხეტია, ესა, ეს მართლა

ხეტია, ესა, ეს სუნგალის ნათმენი და მონაწყენი, ესა. მეფისები ვაართო, ასე იტყოდა სუნგალები ერთი მეორეში, იმიტო რო არ უყვარდათ სახელი, რომელიც ამათ დაარქვეს.

საერთოდაც არ იცოდნენ, რას ნიშნავს ეს სიტყვა, სუნგალიო. ეს სიტყვა ძველი და დავიწყებული იყო, აღარ მოიხმაროდა იმათ ენაში.

ღვთის რისხვისა ხეტიას არ ეშინოდა, ცხვარს დაუკლავდა და გააჩერებდა. ორ საგანძურს ხო უნდოდა დანახვა? ვინ დაინახა სხვამა? ამას რომ დაინახავდა, იმას რამეები უნდა შეხვედროდა ცხოვრებაში.

ის რა ლიტრა ყოფილა, ხედავ შენა, ვინ იცის და რამდენ ხანს ეგდო იქა, კლდის ჩაღრუტნულზე.

ჰა, ჰაი, იყუჩე, ხეტიავ... იყუჩე ნამღვდელარაანთ ბიჭავ, ჰი... დაანახეფ ემაგათ მინაცვალის ნიფხავსა.

ჰეო...

სამთა გულები

1.

- ის სახლიდან არ გამოდის, - უთხრა მონიკა უსო დი მარემ პარდონ ბელს, - მე ვერ მივალ მასთან... მარტო. იმ ამბის მერე... მოგეხსენება. მოხუცი... მოხუცი და კოსტა შინ ჩაიკეტა.

- ერთად მივიდეთ... გამიხარდება, თუ მხარს დამიმშვენებთ...

- იცი რა, მისტერ ბელ? მე მგონია, რომ დიდი სისულელე გამოიგონეთ. მაგრამ მე წამოვალ.... არა მგონია, თქვენ ახსოვდეთ.

- ერთი ჩემი მეგობარიც წამოგვყვება... პერიგო. იცნობთ პერიგოს?

- საზიზღარი კაცია... მაგრამ მაშინ, ეგებ, ერთი ჩემი მეგობარიც წამოვიდეს, თუ არ გეხამუშებათ. ყოველთვის აინტერესებდა ვილა და კოსტას შიგნიდან მოთვალიერება.

- თქვენი მეგობარი...

- ედი კლევერი... ვფიქრობ, ერთგვარად თქვენი მეგობარიცაა...

- მაშ, ლანჩის შემდეგ დავეცეთ.

- ასე იყოს...

2.

პარდონ ბელი ამგვარი რამეების დიდოსტატი იყო, ხოლო მისტერ პერიგო-მთლად მცოდნე. ის საერთოდაც ბოლომდე მისდევდა იმ ამბავს, რომ სიძველეთა მაღაზია აქვს

ლონდონში და ალი ბეისა და ბასილას ჩიბუხის ნამტვრევების შეძენა უნდა. ახლა მათ მოიფიქრეს, სწორედაც დრო მოსულაო და მართლაც, დაიწყეს საჩიბუხო საქმეები. ჩიბუხი საჭირო იყო. ჩიბუხი ნიშნავდა სიმშვიდესა და ხალისს. აბა, წარმოიდგინეთ: ამ ომსა და უბედურებაში არაფერი მომსპარა, პირიქით, საუკუნოვანი ამოცანაც კი ამოიხსნა: ალი ბეის განთქმული ჩიბუხი ააწყვეს, გაალამაზეს და ციტადელის მუზეუმში გამოჰფინეს. ქვეყანას ახალი ნიშანი აქვს - ალი ბეის ჩიბუხის ცოცხალი ლეგენდა. ამბავი კი ბელმა დაიწყო, უფრო სწორად, ბელი მიხვდა, რომ ჩიბუხის საქმის მოგვარება შეიძლებოდა. სწორედ ალფრედო და კოსტამ შეადგინა აგათია დედოფლის ქონების აღწერილობა და იქ ერთგულად ჩაწერა ჩიბუხის ნამტვრევთა უმეტესი ოდენობა, ცხონებულის სახლის აივანზე, ერთ ძველ გუდაში რომ აღმოაჩინა.

ბელმა პერიგოს უთხრა, რომ ჩიბუხის აწყობა შეიძლება, თუ დანარჩენ ნამტვრევებს ოჯახ-ოჯახ მოაგროვებენ.

ყავახანის პატრონმა მორად ბეიმ სულ ზეპირად იცოდა, ვის რამდენი ნამტვრევი ჰქონდა. ერთადერთი, რაც მან არ იცოდა, ის იყო, რომ ჩიბუხის გამქრალი ნაწილები დედოფლისას ყოფილიყო. მის სიაში დედოფალს ერთი ნამტვრევით ეჭირა საპატიო ადგილი, აქ კი ორას რაღაცა აღმოჩნდა.

3.

იყო ოდესღაც გამგებელი კუნძულისა ალი ბეი, კაცი მთვლემარე და უცნაური, მზის ჩასვლათა ცქერის ტრფიალი და უჩუმარი მსმენელი სადარდო სიმღერებისა. ერთ დღესაც, ფაშობა რომ ძლიერ მობეზრდა, შეკრა ბოხჩა, იახლა თავისი მეყალიონე ბასილა და ნავით გადავიდა მეორე კუნძულზე, სადაც სუნგალთა მოდგმის ხალხი ცხოვრობს. იქ, ზღვის ნაპირას, დაიდო ბინა და გამართა თავისი უგრძესი ჩიბუხი, რომელმაც პირით იქითა კუნძულის ნაპირს უწია. იმ ნაპირზე დაასახლა ალი ბეიმ ბასილა და დაავალა ჩიბუხის გაუქრობლად ყოფნა. თვითონ კი წამოწვა მეორე ნაპირზე, მოსწოვა ჩიბუხს, გააბოლა და მიეცა ფიქრსა. ჩიბუხის ტარზე დასახლდნენ ზღვის ჩიტები, თოლიები, იწყეს ფხეკა მისი სამყაროში უგრძესი ტანისა. ტალღამ კი ბიჯგები მოურყია ჩიბუხს და ალაგ წყალშიაც ჩაიყვანა. თოლიებმა ნისკარტებით დახვრიტეს ალი ბეის ჩიბუხი, გადებული სუნგალის და სამეფო კუნძულებს შორის. ასე რომ, ალი ბეის ჰაერი შემოეპარა კვამლში. რამდენი ნაკვერჩხალიც არ უნდა დაედო ბასილას, პატრონს სულ უფრო უძნელდებოდა ჩიბუხის წევა. ერთ მშვენიერ დღესაც ჩიბუხი ჩატყდა და ჩაიკარგა წყალში, ალი ბეი კი, მოწყენილი, რომ თავისი საუცხოო გამოგონება წაუხდა, მალევე მიიცვალა დარდითა და კაეშნით სავსე. ამბობენ, რომ ბასილაც, ერთგული თავისი პატრონისა, ისე წამოეგო გულით ჩიბუხის ბასრა ნამტვრევს, როგორც შუბის პირს.

4.

- როგორ აგიხსნათ... არც ხალისი მაქვს ამისა და არც სხვა რამ სურვილი... ყველანაირი გზა ამ ალი ბეის ჩიბუხის ლეგენდებისა იდიოტურია, - თქვა ალფრედო და კოსტამ, - იდიოტობა კი ვერაფერს გამოასწორებს. ის საერთოდაც სისულელეა, თითქოს ბასილა პირტიტველი ბიჭი იყო და ერთ დღეს ზღვაში გადახტა, რათა როგორც მოტაცებულ ტყვეს, სამშობლოსაკენ გაეცურა. და თითქოს ალი ბეი ტალღებში მიჰყვა მას, ორივენი კი დაიხრჩვნენ. ამ ამბავს უფრო ვისრამიანის კუნძულზე ჰყვებიან, რახან მათ სულ

საქართველოსკენ ეჭირათ თვალი. სხვები ჩურჩულებენ, რომ ალი ბეი ჰომოსექსუალისტი იყო, ხოლო ჩიბუხი - სრუტეზე გადებული. ჩვენ რომ ეს ჩიბუხი ავაწყოთ, გამოვა, რომ ის არ ყოფილა იმსიგრძე, რამსიგრძობასაც ლეგენდა გვაწვდის. ანუ არანაირ ორ კუნძულს შუა გადებულ ჩიბუხზე ლაპარაკი არ გამოვა. ეს ჩიბუხი, ჩემი გამოთვლით, რვა იარდამდე იქნება. ესაა და ეს. მისი პატრონი, ალი ბეი, დაყრუვდა და ჩიბუხის წევის გარდა ვერაფრით ერთობოდა. მერე, მორიგი სიშლეგის შემოტევის დროს, ეს ჩიბუხი დაამტვრია და არ მითხრათ, რომ ამით სიმბოლურად დაიმსხვრა სამი კუნძულის ერთობა, რომელთა გამგებელიც ეს ალი ბეი იყო. ასეთი მითებით ვეღარავის გააკვირვებ. გავამთელეთ ჩიბუხი და ერთობა აღდგა, არა? კი მაგრამ, ჩიბუხი რომ იმსიგრძე არ არის, რამსიგრძობასაც ლეგენდა აიძულებს? ვინ დაიჯერებს, რომ ეს ის ჩიბუხია? მე? მე არაფერსაც არ დავწერ, მე სულ სხვა საქმე მაქვს... ეს თქვენ იცით, მონიკამ იცის.

5.

ედმონდ კლევერი მაგიდაზე დალაგებულ უამრავ ნამტვრევს დასცქეროდა.

- მონიკა, - თქვა უცებ წყნარად, - ასე მგონია, რომ ასეთი თავსატეხი არასდროს მინახავს.

ალფრედო და კოსტა კუთხეში იჯდა ძველ სავარძელში.

- მისტერ და კოსტა, - მიმართა კლევერმა, - ეს მაგიდა ალბათ ძალიან ძველია, არა? ახლა აღარ არსებობს ასეთი მაგიდები.

მოხუცს ხმა არ გაუღია, მხოლოდ თავი დაუქნია.

„ღმერთო ჩემო,“ ასე გაიფიქრა, „ღმერთო ჩემო, რა ძნელია, როცა უკანასკნელი ხარ და ეს ყველაფერი თან მიგაქვს.“

- ღმერთო ჩემო, - თქვა უცებ.

- სენიორ ალფრედო, - სავარძელთან ჩაცუცქდა მონიკა, - ცუდად ხომ არა ხართ?

- ღმერთო ჩემო, - თქვა ისევ მოხუცმა - რა ძნელია, როცა ამ ყველაფერს გრძნობ და შენს მეტი ვერავინ იგრძნობს. ყველაფერი თან მიგაქვს... უკანასკნელი ხარ.

ამ დროს დაბრუნდნენ პერიგო და ბელი. კაი ნასადილევობა ეტყობოდათ.

- კარგი ამბები, - ხელები მოიფშვნიტა პერიგომ, - ყველა ოჯახი თანახმაა, რომ თავისი ნამტვრევები უსასყიდლოდ გაიღოს ჩიბუხის აღსადგენად.

- იმიტომ, რომ არაფრად უღირთ, - თქვა ალფრედო და კოსტამ.

- მორად ბეიც? - კლევერი კვლავ მაგიდას დასცქეროდა.

- მორად ბეი თავად გვეახლება და მოიტანს თავის ნამტვრევებს. თუმცა...

- რა?

- მორად ბეის არ სჯერა, რომ ჩიბუხი უფრო მოკლე იყო, ვიდრე ქინანის გრავიურებზეა მის ყავახანაში. ის ამბობს, რომ ამას მხოლოდ გადარჩენილ ნაწილებად ჩათვლის და თავის ყავახანაში ყოველთვის...

- ყავახანების დრო არ არის, -დაიძახა თავისი კუთხიდან ალფრედო და კოსტამ, - თუ აკეთებთ საქმეს, გააკეთეთ. მე კი მგონია, რომ ამ კუნძულზე უკეთესი სამყაროებიც არსებობს, ვიდრე გამოთაყვანებული ალი ბეის ჩიბუხი...

6.

- მე მინდოდა, ახლოს ვყოფილიყავი მასთან... მაგრამ ეს ვერაფრით მოვახერხე... - თქვა მონიკამ ისე, რომ ნათქვამის დასრულება გაუჭირდა. - მინდოდა სულ ახლოს ვყოფილიყავი... უცნაური ამბავი იყო, თქვენთან მოვდიოდი, აქ... ის შემხვდა. მერე სულ მოვდიოდი, ომის დროს. მინდოდა, ღამითაც აქ ვყოფილიყავი. გასაქანი არ მომცა...

- სანდრო და კოსტა, - წაიბურტყუნა მოხუცმა, - მას არ უნდოდა, უკანასკნელი რომ ყოფილიყო. ის მიხვდა, რომ უკანასკნელი იყო. რაღაც წამი იყო, როცა ის ამაში დარწმუნდა. ჩემი ძმა შედარებით ადრე გარდაიცვალა. სანდრო ჩემ გვერდით გაიზარდა... რა სისულელეებს ვყვები. ის მიხვდა, რომ ის ქალი... ის ქალი მისი ვეღარ იქნებოდა. მე ასე მგონია... ბევრს ვფიქრობ სანდროს გამო. ბევრს... მე ცოლი ვერ შევირთე... მან... საერთოდ, ჩემი ოჯახი... ჩვენ, და კოსტები... თქვენ ოთხნი რჩებით და თქვენ იცით... მე უკანასკნელი ვარ. უკანასკნელებს ერთი დიდი შეღავათი აქვთ. მათ ყველაფერი იციან, იმიტომ რომ მათ იქით აღარაფერია. ამას ახლა მივხვდი. როცა ყველაფერს მიხვდები, აღარაფერი შეგიძლია.

- სენიორ ალფრედო... ბოდიში ამისთვის. ამ ჩიბუხისთვის... უბრალოდ, ნამტვრევები თქვენ რომ წამოიღეთ...

მოხუცმა ხელი ჩაიქნია

- შეხედე ამ კედლებს, მონიკა... მე ვერავინ გადამარწმუნებს, რომ ეგ ჩიბუხი ამ სახლზე მეტი იყოს. ადი მეორე სართულზე და ნახე შხამების კედელი. ადი სხვენში და ნახე ის თოკი, რომელზეც ჩემი ძმიშვილი ეკიდა. ისევ იქაა. შენი გადაჭრილი თოკი... სამზარეულოში მიდი და ნახე თიხის ჯამი, რომლითაც კაფაში მარწყვს ყიდდნენ. მაგ ჩიბუხისგან ხეირი არ იქნება, ვინაიდან ეგ არაფერს ნიშნავს. საერთოდ არაფერს. ჩიბუხის შეწებება არ ნიშნავს ქვეყნის შეწებებას.

- ჯარი გადასხდება სუნგალის კუნძულზე...

- ისევ ინგლისელები... ესეც დამთავრდება, მონიკა, მაგრამ არავის შეუძლია, რომ ეს სიცოცხლე მთლიანად წარმოიდგინოს... თავიდან ბოლომდე. კაფადან ამ ომამდე. რისთვის მოვდიოდით ამდენ ხანს...

7.

შემოდგომა მოდიოდა.

ისინი სამ დღეს წვალობდნენ, და კოსტათა ძველ სამზარეულოში მოჰქონდათ საჭმელი და ღვინო და ასე სჭამდნენ. მნე ქალი ლიდია, რომელიც შავს არ იხდიდა სანდრო და კოსტას სიკვდილის შემდეგ, ბევრს ბუზღუნებდა, რადგან პარდონ ბელი წამდაუწუმ იმეორებდა: - გვაპატიეთ, მისს... ჩვენ სამხედროები ვართ. საველე პირობებში ვმუშაობთ...

- არ ვიცი, ცოლი როგორ გიშვებთ სახლში, - ბურტყუნებდა ლიდია.

სექტემბრის პირველი დღის წვიმამ მთლად მობუზა და მიათვლიმა მოხუცი და კოსტა, რომელიც კვლავ იჯდა იმ ძველ სავარძელში და ჩიბუხისთვის ერთხელაც არ დაუხედავს.

- მისტერ და კოსტა, - თქვა კლევერმა, - სუნგალის კუნძულზე ჯარი გადაჯდა. ყველაფერი წყნარადაა, ხალხი არ ომობს... სიმშვიდეა, მოკლედ...

- მაქედან რა? - წაიჩურჩულა მოხუცმა, - თქვენ სუნგალებზე უნდა დაგეწერათ წიგნი... ახლა აზრი აღარ აქვს.

- რატომ? - გულსგარეთ ჰკითხა კლევერმა.

- იმიტომ, რომ ყველაფერი ისპობა ამ ქვეყანაში. მალე აქ მარტო დემოკრატია იქნება, მეტი არაფერი. დემოკრატია და თქვენი ჩიბუხი...

8.

- ვისრამიანები, - თქვა ერთხელ პარდონ ბელმა, - რას იტყვით ვისრამიანებზე, სენიორ ალფრედო?

- მათ ჩვენ გაგვანადგურეს. მათი ქალები მტაცებელ ცხოველებს გვანან. ვეფხვებს, თუ რაღაც ამგვარს. მათ სანდრო მომიკლეს. ერთმა - სიძულვილით, მეორემ - სიყვარულით. ორივეს კი ერთი ბოლო ჰქონდა - ჯარის სარდლობა. მათ ორივეს ჯარი უნდოდათ. შეიძლება ითქვას, რომ თქვენ გგავდნენ, ინგლისელებს... თქვენთვის ისეა, რომ პირველ ადგილზე ინგლისელი გყავთ. მერე დიდი სიცარიელეა და მის ბოლოში ღმერთი ჩამომჯდარა. მერე კიდევ დიიიდი სიცარიელე და სადღაც ფსკერზე ჩვენ, საბრალო არსებები დავღოღავთ.

- არა, რატომ, - წაიბურტყუნა კლევერმა.

- ასეა...ასი წელიწადია გიყურებთ, მისტერ კლევერ და ნუ მასწავლით. მე უკვე ყველაფერი ვიცი.

9.

ჩიბუხის აწყობას ოთხი დღე დასჭირდა.

- ახლა კი დავლიოთ, - გამოაცხადა პერიგომ, - ყველაფერი ისეა, როგორც ერთ დროს იქნებოდა...

ჩიბუხი მაგიდაზე არ დაეტია. თანდათან უდგამდნენ მაგიდებს, სკამებზე შემოლაგებულ წიგნებს.

- რამდენი წებო დაიხარჯა, - თქვა მონიკამ.

და კოსტა თვლემდა კუთხეში.

ლიდია შემოვიდა, თახთახით გადაჭრა სადარბაზო და მოხუცს წამოადგა თავს.

- სენიორ ალფრედო... სენიორ ალფრედო... ის მოვიდა...

- ჰა? - თვალები გაახილა მოხუცმა და სათვალე შეისწორა, -ჰა?

- სალომეა ვისრამიანი დგას ჩვენს ეზოში და ფანჯრებს უყურებს. აქეთკენ იყურება...

მოხუცი მუხლებს დაეყრდნო ხელისგულებით. მძიმედ, მაგრამ მღელვარედ წამოიმართა და ჰოლისკენ წაფრატუნდა ჩქარი ნაბიჯით.

იქ მყოფნი გაირინდნენ.

- დიდი სახლია, - თქვა უცებ ბელმა, - სხვაგანაც უმასპინძლებს.

- თქვენ საზიზღარი ადამიანი ხართ. - წაისისინა მონიკამ, - რა დროს ეგ არის?

მოხუცი მალე შემობრუნდა, ფრატუნით მოადგა მაგიდას და ჩიბუხს გააყოლა თვალი.

- იქ არავინ არის... ეტყობა, წავიდა... თქვენც წადით. წაასვენეთ ეგ თქვენი ჩიბუხი და მორად ბეი მომიკითხეთ... მგონი, დროა, რომ წახიდეთ, არა? წაიღეთ ეგ ჩიბუხი... ქუჩაში ხალხი აგედევნებათ. კარგა გრძელი კი ყოფილა. მერე რა? მერე რა, მისტერ კლევერ?

ქისა, მათრახი და ხმალი

ამბავნი ვახტანგ ავალიანისა მას შემდეგ, რაც მისი შვილი დროებითი კომისარი შეიქნა

ვექილ სამსონ ბრასის ელექტრო წერილი

მწერალ ჯერი ბარტონს

მოგესალმები, ჯერი

და სასწრაფოდ გეტყვი, რომ სანერვიულო არაფერი გაქვს. შენი ორივე ვილა სრულ წესრიგშია და ერთი-ორგან თუ მინაა ჩალეწილი, ანდა სახურავი დაჩოჩებული, ეს სათვალავში ჩასაგდები არაა. მთავარია, რომ შენი სახლები არავის გაუძარცვავს, არც კლდეებში და არც კიდევ ქალაქში. საერთოდ, მე მგონია, რომ შეგიძლია, ჩამოხვიდე და მიხედო შენს ქონებას, იმიტომ, რომ ახლა სრული წესრიგია, ქუჩაში გუშაგობაც კი გაუქმებულია და ერთ თვეში არჩევნები იქნება.

შენი თხოვნისამებრ, მოვინახულე შენი სახლები. ჩემს კანტორაში შენახული შენი გასაღებები ისევ ჩემთან არის. დავკეტე და წამოვედი. ყველაფერი მაინც მისახედი და

მოსავლელია. ამიტომაც გეუბნები, რომ შეგიძლია, ჩამოხვიდე. საშიში არაფერია. გაისად ტურისტები ალბათ ისევ გვეყოლება.

შენს ქალაქის ვილას საერთოდ არაფერი ატყვია, ფანჯრები ზღვისპირა სახლშია ჩატეხილი, ეტყობა, იქ რამდენიმე დღეს ცხოვრობდნენ ჯარისკაცები, თუმცა, რომელი მხრისა არ ვიცი. საწოლი ოთახები მართლაც მისახედია. თუ გინდა, შენს ჩამოსვლამდე დამლაგებლებს გამოვიწერ და ყველაფერს გააკეთებენ, ისე რომ ჩამოსულს გულზე არ შემოგეყაროს. ქალაქისაში კი, ეტყობა, არავინ შესულა. ნაფეხურები ბაღში ბევრია, შენი უკანა ფანჩატურის იატაკი სავსეა სიგარეტის ნამწვავებით და ხილის ნათალიც ეყარა, მგონი, ვიღაცა მანგოს თლიდა და ჭამდა იქ. თუმცა, გაგიკვირდება და ვიცი, ვინც. შენს ბაღში, ფარდულში, სადაც ბალახის საკრეჭი მანქანა და ნიჩბები გქონდა შენახული, კაცი ცხოვრობს. არ შეგეშინდეს, ჯერი, სრულიად მშვიდობიანი ადამიანია და არც გაგიკვირდეს, ის არის ვისრამიანთა სიძე, ბუ ვისრამიანი. ძლივს შევიცანი და გაოცებისგან პირი დავაღე. ამ გაბურძგნულ, წვერმოშვებულ და მხრებში მოხრილ კაცს ნამდვილად ვერ მივამსგავსებდი ბუ ვისრამიანს, რომელიც ათასჯერ მინახავს. გამხდარა და გაუბედურებულა. ჯერი, შენ არ იცი, რა გვიქნა ამ ომმა. თითქოს ყველაფერი ხელახლა უნდა დაიწყო. თითქოს მოკვდი და უნდა გაცოცხლდე. ბევრმა მოახერხა გაცოცხლება. ბევრმა კიდევ, ვერა.

წარმოიდგინე ჩემი შეცბუნება, როცა შენი სახლის ოთახები ჩამოვიარე და უეცრად თავს წამომადგა ჯოხშემართული, ჭუჭყიან ლაბადამოხურული გაბურძგნული კაცი, რომელმაც გამომიცხადა, რომ დარაჯია. შენ არაფერი გითქვამს იმის შესახებ, რომ დარაჯი დატოვე ვილაში. არც ოდესმე დაგიტოვებია, რამდენადაც ვიცი. მე ახსნა დავუწყე, რომ შენი მეგობარი ვარ, გასაღებების მეორე წყვილი თავად მაქვს და სწორედ ამ დროს დაახამხამა თვალები და ვიცანი, რომ ბუ ვისრამიანია.

წარმოიდგინე: მისმა ცოლმა კაიამ რამხელა საშინელება დაატრიალა, სწორედ მან დაატრიალა და მეტმა არავინ. დღემდე ვერავინ გაიგო, რატომ. კაია ახლა შინაპატიმრობაშია ვისრამიანების ერთ რანჩოზე. მისმა ქალიშვილმა სალომეამ, რომლის თავგადასავალიც ალბათ კარგად მოგეხსენება, დედა მოჯანყეთა მეთაურობიდან გადააგდო, თვითონ დადგა და საერთოდ, მთელი ეს ამბავი, რამაც ომი დაამთავრა და ეს იმგვარი უცნაურობით მოახერხა, რომ ტყვიაც არ გავარდნილა და მოლაპარაკებაც არ ყოფილა. არ ვიცი, თუ კითხულობ გაზეთებს, „ტელეგრაფში“ და „გარდიანში“ იყო მის შესახებ. სალომეას გაკეთებულია. ის ახლაც ითვლება კუნძულების უმაღლეს დროებით კომისრად, თუმცა, ოფისი მუშაობს, თვითონ კი აღარ ერევა საქმეებში და საერთოდაც, მგონი ლონდონშია და არა აქ. ის არც არჩევნებში მონაწილეობს. მოკლედ, ორი მთავარი გმირის ქმარი და მამა, ამათ გამორიდებული, თურმე შენს შედში ცხოვრობს, ჯერ კიდევ ომის დაწყების პირველი დღიდან.

ეს სამწერლო ამბად მეჩვენება, ჯერი, ისევე, როგორც ჩემი თავგადასავალი ამ ომის დროს, რომლის შესახებაც უკვე გწერდი გაკვრით. თუმცა, ვცდილობდი, ძალიან არ შემეშინებინე. მოგეხსენება, რომ მე დიდი ვისრამიანის ვექილი ვიყავი. ამან ძალიან ბევრი გასაჭირი შემახვედრა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ქალაქი მთლიანად სუნგალებმა და მათმა მეთაურმა დაიჭირეს. ორჯერ მომიყვანეს ციხესიმაგრეში და ნაირგვარ საშინელებებს მეკითხებოდნენ. იმ დროს, როცა მე იქ ვიყავი, ჩრდილო კოშკურის ერთი ოთახიდან ქალი გადახტა. თურმე ტყვედ ჰყოლიათ. როგორც

შევიტყვე, მოდარდე ქალი ყოფილა, მომღერალი, რომელსაც ნაირგვარ ბინძურ საქმეებს სთავაზობდნენ კაიაცა და სუნგალთა მეთაურიც და ამის გამო მასზე შეყვარებულმა ხელი აიღო. ხელებშეკრული და პირაკრული ჰყავდათ, იმიტომ, რომ როცა ღამდებოდა, სადარდოების კვნესას იწყებდა და ეს ძალიან მოქმედებდა ჯარისკაცებზე. სარკმელი გამოამტვრია და გადმოხტა. სთეითის ბოლო სახურავებზე დაეცა. ეს საშინელება იყო, თუმცა, რა აღარ იყო საშინელება? მე ჩემი საიდუმლო ისტორიაც მქონდა. დათა ვისრამიანს ვშველოდი გაქცევაში. ანდერძის მიხედვით, რაღაცეები ერგებოდა. ის მიდიოდა სამუდამოდ და იმ საგიჟეთში, როცა ბანკები გაჩერდნენ და აუწერელი ზარალი ნახეს, მე მისთვის ვახერხებდი რაღაცას. არ ვიცი, გაიქცა თუ არა. ეგებ, ლონდონშიც კი არის. მოკლედ, ასეა, ჯერი. გელოდებით.

რაც შეეხება შენს ბაღში დამკვიდრებულ ბუს, ამაზე არ ინერვიულო. შენს ჩამოსვლამდე რაღაცას მოვაგვარებთ, ვინაიდან ბუ იქ მარტო არ არის. მიმხედავი გამოუჩნდება. მან მიმიწვია ფარდულში და გამოაძვრინა ბოჟოლეს ბოთლი და ორი ბროლის ბოკალი, სხვათა შორის, კრიალა. ტაფაზე აშიშხინებდა სოსიჯებს და კარგ მასლაათსაც მოვყევით. ნუ გაგეცინება, ჯერი. ცოტათი შეშლილია და ძალიან ბევრს მიამბობდა საქართველოს შესახებ, რომელიც ალბათ მოენატრა. ლანჩის დრო რომ გადავიდა და ეს ბოთლიც გამოვცალეთ, მე წასვლა ავიჩქარე, რადგან მივხვდი, რომ ის არაფერს გააფუჭებდა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოვიდა ერთი ახალგაზრდა ქალი, მონიკა უსო დი მარე, ჟურნალისტი. გაგეგონება. შენზეც დაუწერია ხოლმე რაღაცეები. მან მოიტანა პური და გაზეთები. ძალიან საინტერესოდ ილაპარაკა, თუმცა, შენი მეგობრობა დიდ ხეირად არ ჩამითვალა. მოგეხსენება ჟურნალისტები. უსო დი მარეები შედარებით იოლად გამოძვრნენ ამ ომიდანო, თქვა. მთელი იმხელა ოჯახიდან მხოლოდ ის დარჩა სანტა სიტიში ომის დროს. ვერაფრით წაიყვანეს. ახლა უსო დი მარეები ისევ აქ არიან და თავიანთი ბიზნესიც განაახლეს. მერე შემოგვიერთდა ცნობილი მაწანწალა არჩი, არ ვიცი, გსმენია თუ არა მის შესახებ, შავი სათვალით და დროშით რომ დადის. ამბობენ, ბრმააო, მე კი მითხრეს, რომ ბრმა არ არის, თუმცა თვითონ სათვალე არ მოუხსნია. ასეთ კამპანიაში გავატარე ნახევარი დღე და გთხოვ, ნუ წარმოიდგენ, რომ შენი ბაღი ლოთების თავშესაფრად ქცეულა. უსო დი მარემ მითხრა, რომ ის მიხედავს ამათ და შენ არ შეწუხდები. საერთოდ, მან ძალიან საინტერესო რამ მითხრა, რომ ახლა ჟურნალისტი აღარ არის და მომაკვდავი ბიოგრაფიების მკურნალობითაა დაკავებული. საღამოს აუცილებლად უნდა მივიდე მუზეუმის თავმჯდომარე და კოსტასთანო, რომლის ძმიშვილმაც, სანდრომ, ხომ გახსოვს მისი და სალომეა ვისრამიანის ცნობილი ისტორია, რომლის მონაწილეც მე მდგომარეობის გამო ვიყავი, თავი მოიკლა ომის დროს.

მოკლედ, კარგი ცოტა იყო ჩვენს ცხოვრებაში, ჯერი.

არ ინერვიულო შენი ქონების გამო. ყველაფერი წესრიგშია. სარდაფიც კი არ გაუტეხავთ, ღვინის მოსაპარად. სანტა სიტი ისევ სანტა სიტია, ცვლილებები თავად უნდა შეამჩნიო. ისედაც გრძელი წერილი გამომივიდა.

კეთილი მეგობრობით, სამსონ ბრას მეოთხე.

გელოდებით. ბოლოს და ბოლოს, ამინდით მაინც ვჯობივართ ლონდონს.

თოლია, სახელად ბუ ვისრამიანი, შინ ბრუნდებოდა

ეს რა ფრთებია, ეს რა ხმა არის. რა ხმა ჰქონია ჰაერს? ჰაერს კი არა ჰქონია და ფრთის ტყლაშუნს. ჰაერს გემო ჰქონია, ყველაზე კარგი გემო ჰქონია ცივსა და გემრიელ ჰაერს. რამდენი ჰაერი ყოფილა მაღლა. იქ კიდევა, იმ მყაყეში, სად არი ასეთი ჰაერი? სიუხვით გათრობს. გაჰკვეთე ჰაერი, გაჰკვეთე და მიირთვი. იფ, იფ, იფ, მეტად გემრიელი ჩანს. ეს მთის ჰაერი ისეთივეა, ვითარცა ჭიქა ლიქიორი სადილის წინ. უფრო და უფრო გშივდება. მეტი გემრიელობა გინდება. რა დროს სადილია, ჩაგიფსით მაგ სადილებში. აჰა, რას ვხედავ, რა მორკალული და ერთგული ფრთები მქონია. ყველაფერი კი თავისთავად გამოდის. ჰე-ჰეეი, ფრენას ცოდნა არ სჭირვებია, თავისთავად გამოდის. აი, საქმე. აი, რას გვიმალავდნენ ჩვენ, ქართველებს. ჩიტები ვყოფილვართ და გვიმალავდნენ. ჩვენ, ქართველები, ჩიტები ვყოფილვართ. ჰეი, ჩემ ბიჭობაში ჩინელებმა რაც ჩიტები ხოცეს. ნათესებს გვინადგურებენო. გაზეთებში სულ დახოცილი ჩიტებით სავსე ტომრები ეხატა. ხოცეს, ხოცეს და მაინც ვერ დახოცეს. როგორ გაწყვიტავ ჩიტს? ჩინელებმა რომ ჩიტები ვერ დახოცეს, ის ჩიტები ვართ ჩვენ, ქართველები. გვხოცეს, გვხოცეს და ვერ დაგვხოცეს. ამას მიმალავდნენ ამდენხანს და ახლა მივხვდი. ოღონდ, შეიძლება ისე გამოვიდეს, რომ მთელი ცხოვრება ვერ მოიფიქრო, რომ ჩიტი ხარ და ფრთები არ დაიქნიო, იმიტომ რომ ფრთები ხელები გგონია. არამც... ახლა კი ვიცი, მაგრამ სხვას ვერ გავაგებინებ. ყოველ ქართველს შეუძლია, დადგეს კლდის კიდეზე და კლდეების მეტი რა არის ჩვენთან, დაიქნიოს სამჯერ ხელები და აფრინდეს. არაფერი ცოდნა არ უნდა. აფრინდება და გაფრინდება, იფრენს, რამდენიც უნდა. მთავარია, მოიფიქრო. მე რომ საქართველოდან გამოვიქეცი, დიდად ვიწვალე. გემიდან გადმოვხტი წყალში და ცურვით მოვაღწიე ამ ოხერ ნაპირამდე. ახლაც მახსოვს, ნავიდან რომ დამანათეს. რა უბედურებაა, რა უნდა ქართველს წყალში? ქართველის ადგილი ცაშია. ქართველი თევზივით ვერ იქნება, ჩიტი რახან არის და ამიტომაც არ უყვარს ზღვა. აჰა, ნახე, რა საყვარელი ეს არი. ამდენი ხანია დავცქერი და წყლის მეტი არაფერია. ქართველს კიდე მიწის თვალიერება უყვარს, იმიტომ რომ იქ ბევრი რამეა.

ესეც შევიტყვე: ჩვენ, ქართველები, ადრე ჩიტები ვყოფილვართ და დედამიწამ ისე მოგვიტყუა, როგორც ყველა სხვა ჩიტი, საკენკი დაგვიყარა, მოგვეფერა, მოგვიშინაურა და ქათმებათ ქე არ გადაგვაქცია? ასე დაგვიწყეს კვლა, მაგრამ ეს კი დარჩა, რომ ყოველ ქათამს შეუძლია აფრენა, უნდა მოინდომოს და აფრინდება, სამჯერ შემოკარი ფრთა და აფრენილი ხარ. გაერიდე იმ მუქთა საკენკს და ისევ ისწავლი ფრენას შენ, ქათამო. იფრენ შენ ჭკუაზე და იქნები, გამოცდი ეზოს. ა, როგორ მოვფრინავ მე, ბუ ვისრამიანი... ჯერ ვერ გავიგე, რა ჩიტი ვარ, მაგრამ ფრთები ისე მაქვს მორკალური, რომ თოლია ვიქნები. არა უშავს რა... დიდი პატივისმცემელი არა ვარ ჩემი წარმომავლობისა, მაგრამ მაინც. ზღვის თავზე თოლია უნდა ეკიდოს, აბა რა... შენ გგონია, არწივი მინდა? რა თავში ვიხლი, დატრიალებს, დადის, მარტო ერთ რამეს ხედავს, თუ სადმე შესაჭმელი გაინძრა. ჩემთვის რო ეკითხა გამჩენს, კაი შაშვი ვიქნებოდი. კაი კოხტა შაშვი. მინახავს შაშვები სოფელში და მომწონებია. ახლოს მოსვლა იცის. მეც ახლოს მომსვლელი ვარ... ჰაერი ყოფილა, რა ყოფილა. ნამდვილი ჰაერი... ჰეი, გამარჯობა, შე საცოდავო თვითმფრინავო, გამარჯობა. რას მინათებ მაგ შენ წითელ რამეებს... აჰა, გაგიგონია, რომ ჩიტმა ღამით არ უნდა იფრინოსო? არა, მეც გამიგონია, მაგრამ ვხედავ, შენ ხო დაგინახე... ქვემოთ კიდე წყალია. ჰე, ადამიანებო. რა გინდათ მაგ საცოდავ თვითმფრინავში, ჰაერი აქეთ არის, იფ, რა ჰაერი? ჩიტმა კი

თავისთავად იცის, საით გაფრინდეს. რუკები და რაღაცეები არ ჭირდება. მთელი დედამიწა რუკა არ არის? მართალია, კი, ღამეა, მაგრამ არა უშავს. ზღვის ბოლოს მიწა რომ გამოჩნდება, სწორედ ის არის საქართველო. რამსიშორეს მეგონა. იმდენ ხანს მოვცურავდი იქიდან და რა უცებ მივფრინდი! ეეეხ, ეს ამბავი ადრევე რომ მცოდნოდა.... ფრენის ამბავი ადრევე რომ შემეტყო, ასე არ გავწვალდებოდი. სწორედ რომ რიჟრაჟზე გამოჩნდება მიწა და რა კოხტად გადავუფრენ? ჩამოვჯდები და ჩამოვჯდები. დავისვენებ და მერე წავალ, დავტრიალდები სოფლების და ქალაქების თავზე. დიდად გაუკვირდებათ, ჰეი, თოლიას რა უნდა აქო. მართლა, იქ რა უნდა თოლიას? შაშვობა აჯობებდა. ნამდვილად აჯობებდა, მაგრამ რას იზამ? რიჟრაჟისა სწორედ ეს მიყვარს, კაი ნაქეიფარი რო უყურებ და თანდათან ჩნდება შენს გარშემო ყველაფერი. რიჟრაჟს უნდა მივუდარაჯდე. სწორედ რიჟრაჟზე შევალ. ბნელში არ მინდა, ბნელში ყველაფერი ერთნაირია, მარა საქართველო მაინც მიმახვედრებს, ამოისვრის თავის ნაპერწკალებს და მიმახვედრებს... ფიჰ, მაინც რიჟრაჟზე მინდა იქ შესვლა, სადმე, გემის კიდეზე ჩამოვჯდები და დაველოდები, თუ ადრე მომიწია. მაინც რიჟრაჟზე მინდა. ნამდვილი რიჟრაჟი სხვა არის. გემზე მინახავს ხოლმე, თევზი კიდევ ვერასდროს ნახავს რიჟრაჟს, თქვე თევზებო, თქვე გაჩუმებულებო. დუმილი ოქროაო, თევზები ამბობენ, მე კიდევ დავძახებ ჩვენებურს, თოლიურს, ულამაზოს და უსიამოვნოს, მაგრამ მაინც დაძახებული იქნება. მერე თევზებს ეგრე დუმილ-დუმილით აშიშხინებენ ტაფაზე. ჩიტები მიიჩვიეს და ქათმებად გადააქციეს, თევზები კიდევ არც მიიჩვიეს, ხმას არ იღებდნენ და რა მიჩვევა უნდოდა. საკენკია ყველაფერი. არ უნდა შეჭამო იმათი, შენით უნდა მოინადირო. ეს რო მცოდნოდა ადრე... ეს რო მცოდნოდა... რა ვიცოდი მე, რო საჭმელი არ უნდა ჭამო იმათი და დანარჩენი კი კარგად გამოვა ყველაფერი. ცოტას შეჭამ, სამაგიეროდ ნამდვილს, მიკენკავ სადღაც, მოკენკავ და სულ არ შეჭამო, თუ გინდა. შეიძლება, საკენკი მთავარი იყოს? სულ არაფერი გინდა, აგერ არი ეს ჰაერი, რამდენი, მერე. კი აშიებს, ისე, ხო იცი, აშიებს და რას უზამ. გამოჩდება რამე, ჭიაყელა როგორ არ გამოჩნდება. თევზს არ შევჭამ მე, ნადირობას არ დავუწყებ, თავისი გაჭირვება ეყოფა, ისედაც ჭამენ სხვები და იტყაპუნებენ ხელს მუცელზე. ჭამა და სიმსუქნე რაღა გახდა, ჩიტის სიმსუქნე ვინ თქვა? მსუქანი ჩიტი ქათამია.

ახლოს ყოფილა, ხო იცი... რა ახლოს ყოფილა და რამსიშორეს მეგონა. ეგერ ჩანს რაღაცა სინათლეები... არ მინდოდა ღამით შესვლა. მოვფრინდით... შევიჭყიტავ ფანჯრებში, ჩამოვჯდები ხეზე, დავათვალიერებ. ეგება, ვინმეს გაახსენდეს, რო ქართველი ჩიტი ყოფილა ერთ დროს. უხ, წამოსვლა რა დიდხანს არი და მიბრუნება რა მალე ყოფილა. ადრე პირიქით მეგონა. რა ოხრობის სინათლეებია. როდის იყო საქართველოს ნაპირზე სინათლეები იყო, ანდა გემები იყო? რა ჯანდაბის გემებია... ეჰეა, ისე, ამ ფრთებსაც დაღლა ცოდნია, ხო იცი, უნდა მოკეცო ხანდახან. კაი მოსაკეცი ყოფილა, ასე ვხვდები. შეიკეცავ და დაჯდები, კარგათ ჩაითბობ და წავიდა მერე ისევ, მაღლა. უნდა დავჯდე სადღაცა. არ გვინდა ეს ზეიმი და ტაშისკვრა, მოსასვლელები ვიყავით და მოვედით, ასე არ ჯობდა? მარა რა არი ეს, მაინც ვერ გავიგე. როდის იყო, საქართველოს ნაპირს კლდე ქონდა. სად იყო კლდიანი ნაპირი ჩვენთან? ეს აქეთ არი კუნძულებზე, კლდეები რო იყურება საქართველოს მხარეს, მარა იქედან სად იყო კლდე? რა ჯანდაბის კლდეებია, თუ დასწყევლოს ღმერთმა, მხარი ხო არ მეცვალა?კლდეებია, თუ კედლები? ციხის კედლები. მიუჩვეველი ვარ მაინც. ჩიტმა თავისით იცის საით მიფრინავს, მარა, კლდეები სად იყო? ჰეი, თუ მივადექი სადმე სხვაგან, მერე მიყურე. ცივა, დასწყევლოს ღმერთმა, რა ჯანდაბის კლდეებია ამისთანა,

ან ის სინათლეები რაღა იყო მაშინ? ჩაქრა ის სინათლეები და აღარც ის გემები აღარ არი. მოიცა, ბიჭო, ტალღის ხმა აღარ არი... ტალღა აღარ არი და ზღვაც აღარ არი ქვევით და აბა, რა ჯანდაბაა? სად მოვფრინდი? აჰა, ბატონო, დავიწიე დაბლა, მაგრამ მაინც ვერ ვხედავ ვერაფერს. არც ის კლდეა, მგონია. უკუნეთია თუ რა ჯანდაბაა... ახლა აწი უნდა რიჟრაჟი იყოს ჩემი ანგარიშით და აქ კიდევ მთლად ჩამოსკვარამდა. რო გითხრა, ჰაერიც აღარ არის იმ ჯანის და იმ სიმდიდრის... მომშივდა, ბიჭო და ეგება ჩამოვსხდეთ სადმე და დაველოდოთ გათენებას. სად ვარ, სად ჯანდაბაში ვარ? სადღაცა მოვხვდი უბედურებაში, მხარი მეცვალა უეჭველად და როგორ მეცვალა მხარი? ჩიტმა იცის, ქართველი კიდე ჩიტია. სწორად ვარ წამოსული, ლაპარაკი არ უნდა, უხ... უხ... ეს რა... ეს ვერ დავინახე, რას დაინახავ... ვაიმე... ვაი, ეს რა მომივიდა... ეს ეს ფრთა, უჰ, ფრთა, რო დავჯდე სადმე... რას მივასკდი? რაღაცას შევასკდი... ფრთა, ჩემი ფრთა. ჩემი მარჯვენა ფრთა, უჰ, ვეღარ, ვეღარ... ჩამოვჯდე მაინც სადმე. ჩამოვჯდე, ამოვისუნთქო, სად ჩამოვჯდე, სად არი ჩამოსაჯდომი, ძალა აღარ მაქ ამ ხელში... ხელში კი არა, ფრთაში... გლახათ მივარტყი, ხო იცი... უჰ, ვეღარ მივფრინავ, ხო იცი, დავჯდე სადღაცა, ჰაერშიც ვეღარ ვჩერდები. რა ჯანდაბა იყო, ვიღაცას ხო არ დავეჯახე ჩემით... ჩემით დავეჯახე, აბა რა, ის იდგა თავისთვის. ხო კლდეები იყო, მაგრამ რა უნდა საქართველოს ნაპირზე კლდეს? კედლები იყო, ციხის კედ...უხხხ... ა, აა, კიდეა ა... უუუუჰ... რა მწარე ყოფილა... დამსვი სადმე... დამსვი სადმე... რა მჭირს ეს, დაბლა მივდ... არ უნდა მომხდარიყო, ასე... არაااااااااااااა... დგ...

დარბი მაკგროუს ხსენება

- საღამო მშვიდობისა, საღამო მშვიდობისა... სამბადი სქვიიზდ იორ ბოლზ, მეით? ინგლისური ფუნტი, მე მხოლოდ ინგლისურ ფუნტს ვიღებ... ცნობთ ამ გიტარას? ოო... ეს ძალიან ძველი გიტარაა. მოვპარე. ელვისი, ალბათ იცი, მეით. დროშა? დროშა აღარა მაქვს, სასახლის თავზე დაკიდეს... აი, ასე ამბობს და ეს ყველაფერი სისულელეა, - თქვა პარდონ ბელმა და ტევიე მორანდს სახელოზე მოქაჩა, - საით იყურები? მომისმინე...

- პერიგო სად არის? - ისინი ვია პორტა ნოვაზე მოაბიჯებდნენ. - დაურეკე პერიგოს... მისმინე, სად ჯანდაბაში იყურები?

- აბა, ნახე, ვინ ზის კაფეს ტერასაზე? აი, ეგერ.

- ვინ? არავინ არ ზის...

- ყოველ შემთხვევაში, იჯდა. ჩვენ დაგვინახა და გაუჩინარდა.

- მისმინე... საქმეზე გელაპარაკები.

- რა გინდა, კარგად აჯავრებ მაგ არჩის...

- შენ არ იცი. გახსოვს ასეთი გამონათქვამი? დარბი მაკგროუ, ჩამომისხი რომი... გახსოვს?

- თავი დამანებე, პარდონ... გეხვეწები. დღეს მე არ ვმუშაობ, - თქვა მორანდმა, - აი, არის ერთი უბრალო კაფე. აქ იყო ყოველ შემთხვევაში. კაფე კი არა, რესტორანიც კი

ერქვა... „მამმა ამალფი“... აგე, აგე, „მამმა ამალფი“... წამო რა, შევიდეთ, დავსხდეთ და თითო რამე შევჭამოთ. ხალხი ცოტაა. ჩვენ მეტი არც მოგვეთხოვება. რა გინდა? ბრიგადის გენერლობა გინდა?

- მომისმინე... გაგიგონია ასეთი გამონათქვამი? დარბი მაკგროუ, ჩამომისხი რომი...

მათ მაინც შეაბიჯეს „მამმა ამალფიში“.

ცარიელი კაფეების დროება იდგა, მუშტარი კი არ ღლიდა ხალხს, არამედ ახარებდა. ისინი შევიდნენ და დასხდნენ. გემრიელი სკამები და მაგიდები იყო, ისე ნაცვეთი, ძველ, იაფ რესტორნებს რომ უხდება ხოლმე.

- ახლა კარგად მომისმინე.

- მე პიცა „ვეზუვიო“... „ვეზუვიო“, მეგობარო, დიდი... და მოგვიტანე რომელიმე სქელი წითელი ღვინო....

- მისმინე, მორანდ... კი, მეც შევჭამ. პიცის მეტი არაფერი? არა, პასტა დიდია ჩემთვის, ვერ ხედავ რა პატარა ვარ? კარგი, იყოს, მარგარიტა მომიტანეთ, ოღონდ სოკოებით... ღვინო... ამან რა... შენ რა ჭიქა შეუკვეთე? ეს ცოტათი ფრანგია, მარტო თავისას ითვლის, ბოთლი მოგვიტანეთ, რამე იტალიური... კი, იყოს... რა ვიცი, თუ გინდათ მერლო იყოს... ეს ღვინო მთელს ამ ომში შენახული გქონდათ, თუ ახალი დილივერია? მშვენიერია, ესე იგი, დილივერიც აღდგა... სანტა ესპერანსა ცოცხალია... კი, თითო ჭიქას ახლავე დავლევთ...

- რა მიყვარს აქაური და ის, რომ კაფეებში სიგარეტი იყიდება.

- პარიზშიც იყიდება... საფრანგეთში.

- ვიცი, პარიზში რაც იყიდება... ოჰ, გმადლობთ. იყოს, ჩვენით დავისხამთ, ჩვენებურად, თქვენებურად ანუ... - მორანდმა სასწრაფოდ შეავსო ფეხიანი ჭიქები.

- მომისმინე, ჩვენ ვიცით, არჩი რაც იყო და ვინც იყო... მშვენივრად ვიცით. მაგრამ ჩვენ არჩი არ გვჭირდება. ასე არ არის? - მაინც ვერ მოისვენა პარდონ ბელმა.

- ასეა. რატომ არ დამაცლი ხოლმე არც ჭამას და არც სმას? რატომ იცი ხოლმე? სამხრეთი იმიტომ მიყვარს, რომ დიდხანს ზიხარ მაგიდასთან და... ეჰ, - ჭიქა მიუჭახუნა მორანდმა, - ვისაც რა უნდა, ის სთქვას. ასეც ამბობენ, ტევერენ მორანდი ერთი ამბების გამყიდველი კაციაო. ასე ეგონოთ. რა ვქნა? ამბობენ, ცინიკოსიაო, ასეც ეგონათ. ხვალ კი შაბათია. ხვალ დედოფალი უნდა გადაასვენონ ციხესიმაგრეში და იქ დაკრძალონ. ხვალვე სანდრო და კოსტა უნდა გადაასვენონ და კოსტათა საძვალეში... მოხუცი ამბობდა, რომ იქ ერთადერთი ადგილი დარჩა. ასე ამბობდა სწორედ, ღმერთს ყველაფერი მოზომილი ჰქონიაო. მაგრამ ჩვენ ღმერთისა არა გვჯერა, ასე არ არის? - და მოსვა, - ასეა, პარდონ და რაც გინდა, ისა სთქვი... ამ ქვეყანამ იმოქმედა ჩემზე. ამ ომით უფრო იმოქმედა. მანამდე თითქოს რაღაც აკლდა... იცი, რა აკლდა? ტრაგედიები. თურმე ტრაგედიები აკლდა... ეგება ჰქონდა ეს ტრაგედიები, მაგრამ დაკარგა... ნამდვილი ბიოგრაფიები ჰქონდა და დაკარგა... ნამდვილი თავგადასავლები ჰქონდა და დაკარგა... ახლა ეს ყველაფერი აქვს.

- შენ სად სწავლობდი? - ჰკითხა უცებ ბელმა.

- სორბონა... სოციალური მეცნიერებები, სტემფორდი, პოლიტიკური მეცნიერებები, ოქსფორდი, ისტორია და ლიტერატურა, - თავი ჩაჰკიდა ტევერენ მორანდმა.

- და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ სოფელში ჯაშუშად იყო?

- მე ეს მომწონს... კარგი, არ გვინდა ამაზე. შენ სადღა სწავლობდი?

- მე? მე გეოგრაფიას ვსწავლობდი სკოლაში და მერე გეოგრაფიას ვასწავლიდი სკოლაშივე. მერე განცხადება წავიკითხე გაზეთში, ვიწვევთ სამუშაოდ, საგანგებო სამსახურში. მივედი... მომეწონა. ტესტები შევავსე.

- პარდონ ბელი რას ნიშნავს?

- ბოდიშის ზარს... ნახე ბროუერის ფრაზები და ფაბულები... იქ წერია. მორანდი რაღატომ?

- ნახე „ქრონიკლი“1776 წლისა. იქ ჩათლახმა ჟურნალისტმა მორანდმა ნიღაბი ახადა ლონდონში გაჯეჯილებულ კალიოსტროს, - ჩაიხითხითა მორანდმა, - პერიგო რაღას ნიშნავს?

- მგონი, ჯაშუშია ერთ წიგნში. სიძველეებით მოვაჭრე. კი, ასეა. „ჩამობნელება გრეტლიში“. ასე ჰქვია. იმან დაწერა, უჰ... ჯეი ბი ფრისთლიმ, არა?

ორივენი ხითხითებდნენ.

- აი, რა იცის ორ-ორმა ყლუპმა... აი, რა იცის სამხრეთმა,- თქვა ტევერენმა, - რაები გავიხსენეთ. შენ კიდევ, საქმეო...

- საქმე... მართლა საჭირო საქმე, - მელოტ თავზე ხელისგული დაიკრა ბელმა, - მისმინე. არჩის ამბავი. ეს მაწანწალა არჩი რომ დახეტიალობს და ყვირის რაღაცეებს. ჩვენ არჩიზე უკვე ვილაპარაკეთ. მაგრამ იცი, ამ ბოლო დროს რას ღრიალებს ხოლმე არჩი? „დარბი მაკგროუ, ჩამომისხი რომი...“ რატომ სწავლობდი ლიტერატურას? რას ნიშნავს დარბი მაკგროუ, ჩამომისხი რომი? ის ამას ჩვენს გასაგონად ყვირის. ის ამას მხოლოდ ინგლისელის გასაგონად ყვირის... იმიტომ, რომ არ მგონია, ამ ქვეყანაში ვინმეს ესმოდეს ამ სიტყვების არსი...

- კარგი, ჰო... მერე?

- მერე, საიდან არის ეს სიტყვები? წიგნიდან?

- როდესაც კაპიტანი ფლინტი კვდება სავანაში, რას ყვირის?

- აჰ... აჰ... აჰ...კი. ასეა. კაპიტანი ფლინტი. სწორია დარბი მაკგროუ, ჩამომისხი რომი. ამ გახსენებაზე, ერთ კარგ შვებულებას დავარტყამ ვესტ ინდოეთში. რომს ჩამოვიტან. გამოგიგზავნი, თუ გინდა...

- რომი აქაც არის...

- იქ სხვაა. სულ სხვა...

- კარგი... მომისმინე... ახლა ისევ გაიხსენე, ფლინტის უკანასკნელი სიტყვები. იმათ კიდევ ვიღაცა ამბობს იმ წიგნში.

- ამბობს... ვინ?

- რას სწავლობდი იმ ოქსფორდში?

- პრუსტს. მე პრუსტს ვსწავლობდი.

- კარგი. პრუსტი არ გამოგვადგება. იქ არის ასეთი ხასიათი, ბენ განი. ფლინტის მეზღვაური, რომელსაც კუნძულზე გადმოსვამენ...

- პიცაც მოსულა... აქ დღითიდღე იზრდება თეფშები. ეს, კლიენტი რომ არ არის, იმიტომ? კარგია, კარგი... მადლობთ... „ვეზუვიო“... კი, ზეთიც მინდა, რა თქმა უნდა... ზეთი, აუცილებლად...

- ისე, ეგ მარგარიტაც კარგია. რამხელებია, კაცო... თქვენთან სულ ასეთი იყო? ვყოფილვარ, როგორ არა. შეუძლებელია, არ ვყოფილიყავი... მე აქ...

- მისმინე, ეს ბენ განი.

- ვინ ბენ განი... მოიცა, ერთი...

- ბენ განმა იცის ეს სიტყვები და კუნძულის მთელი განძიც მის ხელშია. მისმინე და როცა სილვერს მეკობრეები მიჰყავს განძის მიხედვით და ეძებენ, ბენ განი ტყე-ტყე მიჰყვება მათ და იძახის, დარბი მაკგროუ, რომი ჩამომისხიო. ამით მეკობრეებს აშინებს. იმიტომ, რომ ყველამ იცის, რომ ეს ფლინტის სიტყვებია...

- მახსოვს... ახლა გამახსენდა. ყველაფერი მახსოვს... ჭამე რა? თუ არ ჭამ, მაშინ, ეგ ღვინო ჩამოასხი, - მორანდი თითებზე ათამაშებდა დიდ, სამკუთხა ნაჭერს.

- მერე, თუ გახსოვს, დაფიქრდი... რატომ იძახის არჩი, დარბი მაკგროუ, რომი ჩამომისხიო? რატომ?

- მე რა ვიცი... მე პიცას ვჭამ... დღეს ვისვენებ. პარასკევს ვისვენებ.

- სად იყო არჩი ამდენ წელიწადს?

- მე რა ვიცი, ჯანდაბაში.

- მითხარი.

- სუნგალების კუნძულზე. ეს ჩვენ ვიცით და მერე გაათავისუფლა იმან... ხეტიამ... ეგ ხო ვიცით.

- მერე?

- მერე არჩიმ რაღაც ამის მსგავსი იცის და ჩვენს გასაგონად ამბობს. იმ დღეს ქუჩაში მეორე მხრიდან დამინახა და დაიწყო ყვირილი, დარბი მაკგროუ, ჩამომისხი რომიო... - ვეღარ დაამთავრა პარდონ ბელმა.

- შენ დასვენება გჭირდება, - ცხიმიანი ტუჩები აცმაცუნა მორანდმა, - ოფლმა დამასხა, ბევრი მომივიდა ეს ცხარე ზეთი... ბევრი მომივიდა.

- სუნგალის კუნძულზე...

- სუნგალის კუნძულზე ახლა ომია... უფრო სწორად, სუნგალები თავიანთ მიწას იბრუნებენ... მერე იქ ჩვენები გადასხდებიან... მერე იქნება სიმშვიდე.

- იქ განძია. ნამდვილად...

- მერე რა?

- მერე არჩიმ ყველაფერი იცის.

მორანდმა ღვინო მოსვა და ბელს თვალებში შეხედა, ისე, რომ მგონი პიცაზე ფიქრობდა: - ეხლა ერთ რამეს გეტყვი, ოღონდ არ გაბრაზდე... წეღან რომ გითხარი, ნახე, ტერასაზე ვინ ზის-მეთქი და შენ რომ არ გაიხედე.

- გავიხედე.

- გაიხედე და ის კიდევ გაიქცა, გაქრა...

- ჰო, ეგრე იყოს...

- არჩი იჯდა ჩვენ დაგვინახა და წავიდა... მგონი, უნდა მივყოლოდით, ოღონდ დღეს სამუშაო დღე არ არის... მიდი, მოსინჯე ეგ პიცა. მოსინჯე...

ბელმა პირდაპირ მოახია კიდე პიცას, - ეგრე... კარგი კვებაა მთავარი...

- მართლა?

- კი, კვება მთავარია... არ გასწავლეს?

- მართლა არჩი იყო?

- იყო და რა ვქნა... შენ ეს მითხარი, - კვლავ შეავსო ჭიქები მორანდმა, - მითხარი, ვინ არი ყველაზე საშიში ადამიანი ამ კუნძულებზე?

- ხეტია, - სწრაფად უპასუხა პარდონ ბელმა, - ხეტია... მე უფრო საშინელი კაცი არ მინახავს...

- საშინელი არა, საშიში...

- იგივეა. ვინ? კაია დამთავრდა. კაია ვისრამიანი ვეღარაფერს მოაწყობს და საერთოდ, მგონი სასამართლოც იქნება... ოდესმე.

- არა, - თქვა მორანდმა, - ყველაზე საშიში ადამიანი არის სალომეა ვისრამიანი.

პარდონ ბელს თეფშიდან თავი არ აუწევია. თითქოს თავის პიცას დასტრიალებდა.

- ხედავ, რა დაატრიალა სუნგალის კუნძულზე? ხედავ? ამას დედამისი ვერც მოიფიქრებდა. ას ორმოცდაათი წელიწადი ჩვენებმა ვერ შებედეს. გუბერნატორი ქუდს მოიხდიდა და ისე გადადიოდა ნაპირზე... გესმის? და ახლა...

- სუნგალის კუნძულზე განძია. იქ ახლა რაღაცეები ხდება... იქ განძი უნდათ, სხვა აღარაფერი დარჩა....

მორანდმა მოჭმუჭნული ხელსახოცი დააგდო თეფშზე.

- იქ რაღაცეები არ ხდება, პარდონ. იქ ნაცია იჟლიტება.

- ასე არ ითქმის. ასე არ ითქმის... - ჩანგალი დააგდო ბელმა.

- ასე ითქმის, ერთი კაცის გულისთვის ყველაფერი მოისპო... კარგი, არ გვინდა ასე. არ გვინდა ეს. წავიდეთ... არა, ჭამე. აქედან კი არა, სუნგალის კუნძულზე წავიდეთ...

ბელმა ჭიქა აიღო.

- კარგი. მეც სხვას არაფერს გეუბნებოდი. არჩი...

- მოვძებნოთ არჩი, - ჭიქა მიუჭახუნა მორანდმა. არ გაუღიმია.

ბრმა კაცი კუნძულზე

- კარგად მოწყობილხარ, სემ, კარგად მოწყობილხარ... თან არც დაბერებულხარ. ეს არის, ხელი არ გამოგზრდია. ყველაფერი, ყველაფერი, სემ... საუცხოო ადგილია, სწორედ ისეთი, ჯიბეგახვრეტილ მაწანწალებს რომ მოუხდებათ... თურმე როგორი ხმა მქონია. აღარც მახსოვდა. რამდენი წელიწადია შენახული გაქვს ეს სიმღერა? მთელი ოთხი სიმღერა... ეჰ, სემ, სემ ლობსკუსერ, იცი, რამდენი ხანია აქა ვარ? მთელი ქალაქი ხელახლა გავიცანი... შენ კი, ჩანს, ციტადელს აქეთ არც გამოდიხარ. სემ ლობსკუსერ... გექნება რამე კეთილი ბალახისა, ანდა შესაყნოსი. ძველ მეგობარს ლუდს ყველა დაახვედრებს... ეჰ, იზრდება, როგორ არა. იზრდება, ოღონდაც ველურია. კანაფი იზრდება. ლამის ყველა ეზოში, ბებიები მარილში ურევენ, კიდევ რაღაც ბალახ-ბულახს მიუმატებენ და ნესტში ინახავენ დიდ ქილებში. მაგას ქვია სუნგალების მარილი. მერე მოაყრიან მოხარშულ ხორცს და ჭამენ. სუნგალები კიდევ რას შვებიან, იცი? დანაყავენ კანაფის მარცვალს, ანდა ჰაშიშის ყვავილს და პატარა ბავშვს პირში უდებენ, რომ არ იტიროს. როგორ არ არის, სემ, შენ გგონია, სხვას ვაკეთებდი რამეს ამ ოცდაათ წელიწადს? როგორ ამბობს? არ მინახავს ეგ ფილმი. დე ნირო... არ ვიცი. არ გამიგია ეგეთი, დე ნირო. აჰა... რას აკეთებდი ამ ოცდაათ წელიწადსო და ადრე ვიძინებდიო? ჰე, ბიჭიც ისა ყოფილა, მეით, ბიჭიც ისა ყოფილა... მეც ადრე ვიძინებდი, იქ ყველა ადრე იძინებს, ქათმებთან ერთად. მამალთან ერთად კი იღვიძებენ. თავიდან ორი სოფელია და მაღლა არის მესამე სოფელი, ღორაკუდაანთკარი. იქედან იწყება ტყეები, იქ ვიყავი. ზედ ტყისპირზე. ამ კუნძულების უბედურებაც ეგ არი, სემ, რომ ძალიან ახლოა ერთმანეთთან, მაგრამ ძალიან შორსაც არი. ჩემი სიმღერის და გართობის იმათ არაფერი ესმოდათ. მალევე გადამაქციეს თავიანთ მოსამსახურედ. თივა, ძროხა, შეშა და თან საჭმელი. მერე მივხვდი, რომ იმათთან სიცილით, მეგობრულად მისვლა არ შეიძლება. მონად გადამაქციეს, სემ. საერთოდ არ ვიცოდი, რა იყო მონა. ვიღაც გლეხუჭები დაუჯდებიან ტაბლას და ჭამენ, შენ კიდევ შორიახლოს დაგიდგამენ საჭმელს. ერთ დღეს შეიძლება მხოლოდ პურის ყუა იყოს, მეორე დღეს უშველებელი მათლაფა. რაც მორჩებათ, იმას გაჭმევენ. თან გათრობენ, თვითონ ღვინოს სვამენ, შენ არაყს გისხამენ. მთვრალი რომ ხარ, ფეხებზე გკიდია, ვერ ფიქრობ მაგდენს. მუქთა სასმელი, კაი ნამუშევარზე, რო მალევე მიეგდო და დაიძინო. დილით საჭმელი და ისევ არაყი. ამას გიკეთებენ და სამ წელიწადს კი გაძლებ. მერე ვინმეს იშოვნიან, შენსავით მუქთას და იმასაც ასე ამუშავებენ. როგორც ხედავ, ამას მივუხვდი და ამიტომაც გავძელი. არაყს მე არ ვსვამდი, ვითომ დავლევდი და

გადავაქცევდი ხოლმე, წვერი მთლად მათხოვრისა მქონდა, ჩამოვისხამდი წვერზე ამათ არაყს, რომელიც დაახლოებით ცეცხლია, სემ და ვითომ დავლიე. წვერზე სულ არყის სუნი ამდიოდა. ამიტომ ვეგონე მთვრალი. რაც ამ წვერმა არაყი შეილბო, იმას ვერც ერთი კაცი ვერ დალევს. მაგათი მოტყუება შეიძლებოდა. საერთოდ, მე რა შემეშალა. მე იქ ჰიპივით ჩავედი. ახლა რომ ვუსმენ ამ სიმღერას, სუნგალებს არ ვიცნობდი და ისე დამიწერია. იქ რო ჰიპივით ჩახვალ, დამთავრებულია. თავისუფალ კაცს, მოხეტიალე მომღერალს ისინი ადამიანად არ აგდებენ. თავისუფალი რა არის, არ იციან. თავისუფალი ჰგონიათ გიჟი, გიჟი კიდე იმათთვის ბოლო კაცია. იმ კუნძულზე ხომ საგიჟეთია და თუ რამე სამუშაო აქვთ, გიჟების მოვლაც. საგიჟეთში დამბმელებად მუშაობენ და იმ საბრალო ხალხზე ხელი აქვთ გაჩვეული. იქ რომ ჩახვალ, ორი რამეა საჭირო. ან ხელობა, ანდა რამე იდეა, რომელიც იმათ გააგიჟებს. იქ არი ქინანის საფლავი. მხატვარი ყოფილა ეგეთი. ყველას სახლში აქვს მისი ნახატები. დიდად უყვართ ის ქინანი, მე მეუბნებოდნენ, კაცი ის იყო, შენ ტაკიმასხარა ხარო. მე კიდე ვატყუებდი. კიდე ვიღაც ყოფილა, ტომასი, ჩასულა და აუჯანყებია. იმ აჯანყებასაც იგონებენ დიდი ამბით. ამბობენ, მერე ტომასი წავიდაო. მაგრამ ნამდვილად მოკლეს. შეუძლებელია არ მოეკლათ. ერთი მღვდელია იქა და მღვდელი იქ პოლიციელიც არის, მღვდელიც და ყველაფერიც. თვითონ ირჩევენ იმ მღვდლებს. ჰოდა, იმ მღვდელს აქვს შენახული ამ ტომასის ფეხსაცმელები. როგორ გაძლო აქამდე, არ ვიცი. ნამდვილად მოკლულია, სემ ლობსკუსერ, სხვანაირად არ შეიძლება, იმიტომ, რომ მგონია, რომ ქინანიც მოკლეს. როგორც ხედავ, ვინც მოსწონთ, იმათაც კლავენ. მე არ მოვწონდი და არ მომკლეს, თუმცა, ალბათ მომკლავდნენ, ჭკვიანად რომ არ მოვქცეულიყავი.

ამდენი წელიწადი გავატარე იქ და ვხედავდი, რომ დრო გაჩერებულია. სიცოცხლე არ არის. მე ისევ ოცდახუთი წლისა ვარ იმიტომ, რომ იქ არაფერი არ არის. იქ არის საგიჟეთი, რომელიც მთავრობამ ააშენა და იქ არის ციხე. ორივე ტყეებშია. ციხეებში მცველებად უმეტესობა სუნგალია, ოფიცრებს თუ არ ჩავთვლით. საგიჟეთში, ექიმების გარდა, ყველა სუნგალია. არის სამი სოფელი და სისულელე, რომელსაც ცხოვრებას ეძახიან. ასეთი სისულელე არც მინახავს. გიტარა დამიმტვრიეს, ნუ უკრავო. სიმები გადარჩა. მერე ზეთისხილის დიდი ქილა დავჭყლიტე და იმაზე დავამაგრე. ჟღერადობა სხვა აქვს, მაგრამ მაინც... ჰეი, როდის იყო ესა. მერე მიხვდნენ და სიმებიანად გადამიგდეს წყალში. თვითონ სულ მღერიან, ღიღინებენ რაღაცეებს და ერთად რომ ჩამოსხდებიან, აუცილებლად იმღერებენ რაღაცას, თან ძალიან კარგად, ხმებს უწყობენ. ასეთ რამეს ვერც მოისმენ, მაგრამ სხვა თუ მღერის, დასცინიან. მგონი, სწორედ გიტარის გამო ამიგდეს. მშვილდი მასროლინეს, ტყვია მასროლინეს, თავი ვერ გამოვიჩინე, რაღა კაცი ვიყავი მაგათთვის... ამიტომ, ვინ მიხედავსო და ერთმა წამიყვანა იმ სოფელში. როგორც ძველ დროს, სემ, თითქოს ბაზარზე მიყიდა... ვისაც გაეხარდებოდა, გამოივლიდა და პანღურს მომცემდა, ჰეი, ანგლეზო, აბა, როგორა ხარო. მაგათი სალამი პანღური იყო. თავიდან ვიქაჩებოდი, მაგრამ გვარიანად გავილახებოდი ხოლმე. საერთოდ, თუ რამე ღირსება გაქვს, არ ჰგონიათ. გრძელი თმა გაქვს? როგორ შეიძლება, ღირსება გქონდეს. სხვის დასანახად ბანაობ? რა ღირსება შეიძლება გქონდეს. ზღვას ტანის საბანად მოიხმარენ, მეტი არაფრისთვის, ცოტას თევზაობენ. ადგილები აქვთ ნაპირებზე, თორემ ნავი არ უყვართ... ვერაფრით გამოვიქცეოდი, სემ. ვერაფრით. სანამ ნაპირამდე მოვიდოდი, ვიღაცა მნახავდა. ბარჟაზე კი შკიპერი არ გამატარებდა. შკიპერებიც იქაურები არიან. ერთადერთი ის იყო, რომ როგორმე ციხის ოფიცრებს დავკავშირებოდი, მაგრამ ეგ ვერ მოვახერხე,

ამდენ წელიწადს ვცდილობდი და ვერ მოვახერხე. ანდა ექიმებს. ისინი თავიანთ მანქანებში დამმალავდნენ და ისე გადმომიყვანდნენ. ამდენი წელიწადი გავიდა და მხოლოდ ბოლოს მოვახერხე ეს. ისიც, თვითონ შემომთავაზა ერთმა. ოცდაათი წელიწადი დასჭირდა ჩემს იქიდან გამოღწევას. ასეთი ადგილია, იოლად ჩადიხარ და ძნელად მოდიხარ...

ეგენი სხვა ხალხია, სემ ლობსკუსერ... თუმცა, რას გასწავლი, „მენშენში“ გყავდნენ მცველებად ასე არ არის? მაგრამ კუნძული კიდევ სხვაა. ამიტომ მგონია, რომ მაგათ ქინანიც მოკლეს და ის ვიღაცა ტომასიც, რომელმაც რატომ ააჯანყა, ვერ გეუბნებიან. იცი, რატომ? მაგ კუნძულზე ერთი საიდუმლოა. შეიძლება ითქვას, იმ საიდუმლოს მეტი არც რამეა. ეგ არის ერთადერთი. ეგენი დებილები არიან. ასე ამბობენ, რომ საქართველოს მეფის ყმები არიან და როგორც წესიერი ხალხი, გადასახადებს უხდიან მეფეს. დღემდე უხდიან, სემ, წარმოიდგინე. წელიწადში ერთხელ ჩამოივლის გზირი და უნდა მისცე რამე. ოქროს ნივთი, ვერცხლისაც შეიძლება, თუ გიჭირს, ოღონდ რომელიმე უნდა მისცე. წესით, ოჯახები იხდიან, მაგრამ ქალაქიდან საგანგებოდ ჩამოდიან ამ დღისთვის აქაური ბობოლა სუნგალები და კაი მაგარი გადასახადიც მოაქვთ... მეფეს როგორ გაუგზავნიან? ჰყავს მეფე საქართველოს? არც ვიცი. ეტყობა, არ ჰყავს, თორემ ხომ გაუგზავნიდნენ. აბა, სემ? ინახავენ. დათვალე, რამდენი ხნის შენახულია. იქ რომ გადადიხარ, სხვა არაფერია. საიდუმლო და საინტერესო ეს არის. ისე, ღორის ხორცსაც კარგად ამარილებენ. ამ განძს სადღაც ინახავენ, სოფლებიდან შორს. ტყეში მიაქვთ. ოთხმა მღვდელმა იცის, სადაც ინახება. საერთოდ, პატარა კუნძულია და თუ კარგად დაფიქრდები, მიაგნებ იმ ადგილს. ეს იციან და ამიტომ, უცხოელს ძალიან უფრთხიან. მიხვდები, რომ სიმდიდრე იქ იმდენია, რომ ყველანი მეფეებივით იცხოვრებენ, ოღონდ რაღაც სულელური პირობით არიან შეკრულნი და ამ სიმდიდრეს არ მოიხმარენ. პირიქით, ამატებენ და ამატებენ, მეფეს უნდა მივცეთო. გესმის, სემ? მეფე არა ჰყავთ და არასდროს ეყოლებათ. ამას რომ მიხვდები, უკვე ძალიან სახიფათო ხარ მათთვის საერთოდ, ჰგონიათ, რომ მთელი მსოფლიო იმაზეა მომართული, რომ მათი პატიოსნება წაიღოს. ამ დროს არა აქვთ ეს პატიოსნება. რა პატიოსნება ეგ არის, ეშმაკები არიან და ძალა უყვართ. იცი, რა არი, სემ? სულ გეუბნებიან, რომ არავინ შემოუშვიათ იქ მათ სამართავად. ალბათ მასეც იყო, არც პოლიცია ჰყოლიათ ოდესმე და არც სხვა ვინმე, მაგრამ მაინც, თავისუფლების არაფერი გაეგებათ. რაღაც მოგონილი ამბები აქვთ და იმის მიხედვით ცხოვრობენ. ეს განძი ვიცი, სადაც არის, სემ. რა თქმა უნდა, ვიცი, ოღონდ ვერავინ დამაბრუნებს იქ... არჩი არც ისე სულელია, სემ. კანაფის ბალახმა გონების გახსნაც იცის. საერთოდ... კარგი, არ გვინდა ეს ისტორიები, ამით ხელი მაინც არ გამოგეზრდება. თანდათან, თანდათან, რომ შევატყვე, რომ მათი ტვირთების თრევაში ამომხდებოდა სული, ვიფიქრე, რა უნდა მოვიგონო-მეთქი. რა უნდა მოვიგონო-მეთქი და თანდათანობით სიბრმავე მოვიგონე. ორი წელიწადი დასჭირდა ამ ამბავს, სემ ლობსკუსერ. შენ მართლა არა გაქვს ხელი. იყო ერთი დრო, იყო, იყო, მე კიდევ ვითომ თვალები არ მქონდა. თანდათან შევაჩვიე, რომ თვალთ მაკლდებოდა და ორი წლის თავზე სულ დავბრმავდი. არ ვიცი, როგორი მსახიობი ვარ, სემ, თუმცა ხშირად მგონებია, რომ მართლა დავბრმავდი. ბრმას კი, აბა, რაღა მოეთხოვება? ერთი ჯოხი მომცეს და სოფლის მასხარად გადამაქციეს. აუწერლად სიამოვნებდათ ბრმის წვალება. აუწერლად. უფროსები ისხდნენ და იცინოდნენ, უმცროსები კი მაწვალებდნენ. რამდენჯერ განგებ ჩავვარდნილვარ გუბეში, რამდენჯერ ძაღლი ვერ მომიგერიებია, იმიტომ, რომ ბრმა ვარ... ფეხები სულ დაკბენილი მაქვს. ეჰ, სემ... მაგრამ საჭმელს არ

დაგამადლებენ... ბრმა მათხოვარი... იციან, რომ საჭმელი უნდა აჭამო, ან რაღაც აჩუქო. ეს იციან, სემ, მაგრამ იმას იქით, ბრმა მათთვის გასართობია. სოფლიდან სოფელში დავდიოდი, სულ ხუთი სოფელია, ორი კიდევ მეორე მხარეს. ციხის კარისკენაც მაშინ მოვუხშირე სვლას... ბიჭებს კანაფი მოჰქონდათ. რა მოტანა უნდა, ერთი ამ საქმეში მქონდა სახელი, რომ გაშრობა ვიცოდი და მოვლა. რომ იცოდე, ყმაწვილები ეტანებიან, ოღონდ უფროსებისგან უჩუმრად.

ასე დავდიოდი სამათხოვროდ. ერთი ქოხიც ვნახე ტყის პირას, მეჯოგეების ქოხი იყო და იქ ვეგდე, თუ მეჯოგეები არ მოვიდოდნენ და არ გამომაგდებდნენ. ასე იყო, ძმობილო... ყველაფერი ვიცი იმ განძისა, ყველაფერი ვიცი, სემ... ფათერაკი თუ გინდა, ეს არის... ათი წელიწადია ყველაფერი ვიცი და გეგმაც მქონდა, გეგმაც. ეგენი გაზაფხულზე მიდიან სალაროში. სალაროს ეძახიან იმ ადგილს, სადაც მღვდლებს წლის გადასახადი მიაქვთ. ადგილი უნდა შემეცვალა, სემ... გაზაფხულის მერე ნელ-ნელა მეზიდა ეს ოქრო-ვერცხლი სხვაგან. ორ-სამ თვეში გადავზიდავდი. აი, სეირიც ეგ იქნებოდა. სიმართლე გითხრა, ამ საიდუმლომ ისეთი შეტყუება იცის, აღარც კი ვცდილობდი გამოქცევას. ეჰ, სემ... სამ წელიწადს ვუკვირდებოდი... იცი როგორ არის? როგორც ალი ბაბა და ორმოცი ყაჩაღი. მივიდოდნენ და აღარც დახვდებოდათ. ეს ვიცი... არავინ იცის ჩემს მეტმა. უკვე ვაპირებდი, რომ ნელ-ნელა რაღაცეები გამომეცოცებინა იქიდან. იმას არც საკეტი აქვს და არც გველეშაპი იცავს. კლდეშია ზანდუკები, ოხერი ადგილი კი გახლავს. ოხერი. სემ, ასეთი არაფერი გენახოს. სანთებელას რომ ჩამოჰკრავ, თვალთ დაგიბნელდება. იმ ქართველების მეფე მაინც ვიყო...

და ერთ დღესაც, ახლა, ამ გაზაფხულზე, სოფლის კიდეზე კაცი მოვიდა ჩემთან. განა არ ვიცნობ? ვიცი, ვინც არის, ჩამოდიოდა ხოლმე. ხეტია, გაგიგონია? არ გაგიგონია. კი, მართალი ხარ, რამდენი ოხერი სუნგალი იქნება, ყველას სახელი რომ იცოდე... ძალიან მსუქანი, ეგება შემჩნეული გყავს. სუნგალებს უყვართ. მოვიდა, როცა ვიჯექი ქვაზე და მითხრა: ეი, ბრმავ, ერთი აქეთ მოდი... მე ხომ არ ვიცი, რომ ხეტიაა. კი ვიცი, მაგრამ ბრმა ვარ და მე ვუთხარი, არ ვიცი, რომელი ხარ და ვერ მოვალ-მეთქი. მომიახლოვდა და სათვალე წამაძრო თვალებიდან, მიყურა დიდხანს თვალებში, დიდხანს, მე არ ვუყურე, რომ შემეხედა, ხო გავიყიდებოდი. მიყურა და ბოლოს მითხრა: - არ ვიცი, ბრმა ხარ თუ არა, მაგრამ აქედან წაგიყვან. ოღონდ ქალაქში თუ ბრმა არ იქნები, მოგკლავ.

ძველი სატვირთო „ფორდი“ ჰყავს. შემაგდო ძარაზე, ბრეზენტი გადამაფარა და ისევ მითხრა: - მე ხეტია ვარ და აქედან გამყავხარ... წადი და იყავი ქალაქში...

აი, ასე, მეით... დავდივარ და ვითომ გიჟი ვარ... ეს დროშაც სისულელეა და ეს ყველაფერიც. დროშას იმიტომ დავათრევ, ვითომ ბრმაც ვიყო და გიჟიც. ეს არის, სემ, რომ იმდენი ოქრო გველოდება, ვერც წარმოიდგენ. არ ვიცი, როგორ უნდა დავბრუნდე იქ. თან იქ ერთი პატარა გოგოა, ერთი ძალიან კარგი პატარა გოგოა. ათი წლის წინათ დაიბადა. იმ გოგოს წამოყვანა კი მინდა. კარგად იმღერებს და ძალიან კეთილია. ჩემი ამხანაგი ის იყო იქ, მანამდე ამხანაგი არ მყოლია. წიწილა ჰქვია. წიწილას ეძახიან, იმიტომ რომ წიწილას ჰგავს... ეჰ, სემ. აბა, ახლა, ჩამოივარცხნე ეგ ქილვაში და მითხარი, შენ რას შვებოდი? მეც ადრე ვიძინებდი, მაგრამ ხომ ხედავ, შენს მეტი არც ვინმე მეგულებოდა ამ ქალაქში. შენც აღარ მეგულებოდი, იმდენი დრო გავიდა...

მიდი, ჩამირთე რამე ჩვენი ძველი, სემ... ჩემი ხმა არ გამაგონო. რამე ისეთი... Please, help me, I’m falling...

დათვის ტყავი ზედ ხმლებით

ლუკას ახალი თავგადასავლები

1. მკვდარი ნავსადგურში

- ეეე... ლუკა... ეჰეე... ლუკა... ლუკა... ლუკა... - ბუზია დახლს იქიდან გამოვარდა და ლუკასკენ გაქანდა... ლუკა სულ სველი იყო, მთლად გალუმპული, შავი მაისური ტანზე მოტმასნოდა, ტილოს შორტები დამძიმებოდა, ფეხშიშველი ჩაკეცილიყო ბუზიას დუქნის კართან. მთლად სველი, სველი, წყლიდან ამოღებული. ეტყობა, ნავსადგურის ხალხს შეემჩნია და ერთი ფიქრის შემდეგ უკანაც გამოჰყოლოდნენ, მოვძახოდითო, მერე ასე თქვეს, ოღონდაც, ალბათ არ ესმოდაო და გამოჰყოლოდნენ. ამიტომ, ბუზია რომ მივარდა, ისინიც მოცვივდნენ გარედან. ლუკას ეძინა თუ გული წასვლოდა, ვინ იცოდა. სველი კი იყო. ლუკა რომ მიემგზავრებოდა, გაეგოთ, ოღონდ, რახან გამოთხოვება არ უყვარდა ლუკას, არც მოსულა აქეთ და არც რამე დაუბარებია ვინმესთვის. ახლა კიდევ ეს ამ ხნის ლუკა ეგდო გალუმპული და ვინ იცის, სუნთქავდა, არ სუნთქავდა, ყველგან ჩამოჰკიდებოდა წვეთი და სადაც დავარდნილიყო, იქ უკვე წყლის გუბე იდგა.

იმათ მაგიდები უცებ შეატყუპეს და ძლივას ასწიეს ეს უშველებელი ლუკა და დაასვენეს ამ შეტყუპულ მაგიდებზე.

ბუზია ყურში ჩასძახოდა: - ლუკავ! ლუკავ!... დაიხჩვი, ბიჭო... როგორ დაიხჩვი, აქამდინ ხომ მოხველი...

- გული არა ჰქონდეს გამსკდარი, - მკერდზე ყურით გადაეფარა ერთ-ერთი დოკერი.

- პორტი, პორტი მაიტათ, ბიჭო, პორტი ჩავასხათ პირში... - დასძახა სხვამ, ამათზე მშვიდად მყოფმა მაწანწალამ და ბუზია დახლისკენ გავარდა.

- არაყი უყვარს ლუკასა, - თქვა ანგარიშმიუცემლად.

- ლუკა, ბიჭო, არ მოგვიკვდე, - უყვიროდნენ დოკერები და ანჯღრევდნენ.

- რომი, რომი სჯობია, ბიჭო, უფრო დასწვავს, შეაწუხებს, - დაიძახა ისევ იმ მაწანწალამ და ბუზიამაც გამოგლიჯა „ტორტუგას“ ბოთლი თაროდან და მშველელებიც ლუკას ეტაკნენ.

- ბიჭო, ენა, როგორ ვერ მოვიფიქრეთ, ენა, - გაბრაზდა სხვა დოკერი და ლუკას კრიჭაში დაებღაუჭა, - ენა არ ჰქონდეს ჩაყლაპული...

მაწანწალამ იძრო ძველი ბებუთი და ლუკას შეკრული კრიჭის გახსნას ეცადა.

- ა, მოდი, მოდი, თითით დაუჭი...

- კბილი არ ჩატეხო, მეით... ტუჩი არ გასჭრა...

- ბიჭო, დაუჭირე ეგ პირი, დაუჭი კბილები, ძლივს გავხსენი... მიდი, ჰა, ჩაასხი, ჩასხი ბლომათ.

ბუზიამ მღელვარედ დაუმარჯვა ბოთლი და ლამის ბოლომდი ჩაუბრუნა პირში კვლავაც უნძრევად დარჩენილ ლუკას, რომელსაც წვერზე გადმოსდიოდა რომი.

- ლუკავ! - აყვირდა ბუზია, - ლუკავ, ბიჭო! - იხილა რა, რომ ლუკამ ტუჩები გაანძრია.

- შემოარტყი, ჩემგან არ ეწყინოს, - დანა დაკეცა მაწანწალამ.

დოკერებმა სილები დასცეს ლუკას, ბუზია კი ძალით უხელდა თვალებს.

- ყურები დაუსრისეთ, - განაცხადა მაწანწალამ, - ცოცხალია, რაც მე დამხჩვალი მინახავს...

- რა დამხჩვალი,- გაეპასუხა ბუზია, - აქამდი ხო თავის ფეხით მოვიდა, - მიდი, ლუკავ, გამოიხედე... ვერა გვცნობ...

- აქამდი კი მოვიდა, მარამ მუცელში ხო წყალი დარჩა... ეგება ფილტვშიაც. ფილტვი გაგიგია?

- მორჩი ერთი, - ხელი აიქნია დოკერმა, - წამოვაჯენთ და წყალსაც გამოუშვებს. მე შენ ძროხა ხო არ გგონივარ, ოცდაათი წელიწადი ვიცურე... წყლის ამბავი ვიცი... წამოაჯინე...

ლუკას კვლავ დაეჯაჯგურნენ და წამოჯენა დაუპირეს. მთლად მოშვებული იყო იმხელა ლუკა, იმხელა ვეშაპის შვილი.

- ემ მუცელში სულ წყალია, - სველ სამოსზე ხელი დაუტყაპუნა მეორე დოკერმა.

ლუკა კი იჯდა თვალდახუჭული, თავი განზე გადაეგდო და თვალებიც დაეხუჭა.

- გულის კოვზზე მიეცი მუშტი, - თქვა ისევ მაწანწალამ, - ჩემგან არ ეწყინოს.

- ჰო, - დაეთანხმა გაფოცებული ბუზია, - თუ წამოსაღებია, ეგრე წამოიღებს...

და მოამზადა მუშტი, მაგრამ ამ დროს ლუკამ, თვალებდახუჭულმავე წაიბურტყუნა: - არ დამარტყა, ბუზიავ... აღარ დავრჩები...

- ეჰე, ცოცხალი, ხარ, ლუკავ, - მხრებზე ხელების ტყაპუნს მოჰყვნენ.

- ცოცხალია მე ხო ვთქვი, - თავი დაიქნია მაწანწალამ, - თვალს ვერ ახელს, დაღლილია...

- რომი, რომი გადაუშვი, ლუკავ, - ბოთლი მიადგეს ტუჩზე და ლუკამ იმდენი კი შეიძლო, რომ გადაყლაპა კარგა მოზრდილი სამი-ოთხი ყლუპი, - ეგრე... ეგრე.

- უჰ, - ამოიხვნეშა ლუკამ და ხელი ჩამოისვა სახეზე. თვალები ისევ დახუჭული ჰქონდა.

- წყალი უნდა გადმოუშვა, ლუკავ, მუცელში ნუ გაიჩერებ...

- წყალი არ მიყლაპია... - როგორც იყო, გამოიხედა ლუკამ, - დავიღალე, ამის რჯული არ იყოს...

- ამას ეხლა ეგ რომი მიეცი, ცოტა აჭამე და მერე დაიძინოს, - დაუბოლოვა მაწანწალამ.

ამასობაში კი კიდევ ვიღაცეები შემოვიდნენ ბუზიას დუქანში და რა დაინახეს მაგიდაზე დამჯდარი დახვავებული ლუკა, შესძახეს: - ლუკას რა მოსვლია...

- ლუკა თევზი იყო, - თქვა ლუკამ, - რაც იყო, იყო, გამოვცურე. მთელს შავ ზღვაში ყველაზე დიდი თევზი ვიყავი...

დოკერებმა ისევ დაჰკრეს მხარზე ხელი და მაგიდიდან გადმოსვლაში მიეშველნენ.

- მშობიარე ქალივით არ იყო გაშოტილი? - თქვა მაწანწალამ, - მე გადაგარჩინე, ლუკავ, დანით გაგიხსენი პირი...

ლუკამ არ უპასუხა, დაჯდა სკამზე და მაგიდაზე თავი დადო.

- ტანისამოსი უნდა გამოიცვალოს, - თქვა ვიღაცამ, - მიეცით რამე.

- ლუკას ზომისა რა მოვიტანო? ბუზია მქვია, - შეშფოთდა ბუზია, - გაიძრე ეგ სველები, ლუკავ, რამე საბანს მოვიტან.

ლუკას კი უკვე ეძინა.

- გავხადოთ, - თქვეს იმათ - და გამოვახვიოთ საბანში.

- რა დაღლილია, - აღნიშნა მაწანწალამ, - პაპიროსიც არ მოითხოვა.

2. საგუშაგოზე

ლუკამ საგუშაგოს შემოუარა და ერთ ახალგაზრდა სუნგალს ცალყბად ჰკითხა: - პაპაშენი როგორ არი?

- რავი... - ამოიოხრა სუნგალმა, - მე იქით აღარა ვყოფილვარ და...

- ბიჭო... - ჩაიცინა ლუკამ, - ეგება, პაპაშენი აქ არის და ხეტიას ჯარში იბრძვის, ჰა? რას იტყვი. ერთიც მოხდა და ატყდა საქმე, უნდა ესროლო პაპაშენს? ნახევარი იქით ხართ, ნახევარი აქეთ ხართ, რა უნდა გააწყო?

- რავი, - თქვა სუნგალმა კიდევ მეტის კაეშნით, - ეგრე ვდგავართა და ეგება ერთმანეთიც ჩავჭყლიტოთ... მერე გავსწორდებით. ჩვენ ხო სხვა ანგარიში გვაქ.

- ეგ ვინ გითხრა?

- მარტიამ თქვა... მარტიას და ხეტიას თითქო ულაპარაკნიათ, რო, თუ სუნგალი სუნგალს დაინახავს საქმის დროსო, არ ესროლოსო.

- აბა, ვის უნდა ესროლოს... იქითაც ისინი არიან, აქეთაც თქვენ ხართ...

- რატო, ჩვენკენ... ხალხია კიდე, ქართველები, უბრალო ხალხიცა.

- და იმათ ის უბრალო ხალხი უნდა დახოცონ, თქვენ კიდე აქედან არავინ არ უნდა დახოცოთ?

- რა გინდა, ლუკავ... გული ისედაც წაღებულია.

- შენ ხო ფიდო გქვია...

- ჰო... პაპაჩემის სახელი.

- კარგი კაცია პაპაშენი...

- ჰოო... კარგი კაცია.

- ხოდა, თუ ხეტიას ჯარშია, კაცი უნდა მოკლას?

- ომია, ლუკავ... აბა, ომი სხვა რა ყოფილა?

ლუკამ სიგარეტს მოუკიდა და საგუშაგოსთან ჩამოჯდა.

- სხვებს სძინავთ? - ჰკითხა გუშაგს.

- დაიძინეს.

- ეხლა მითხარი, ფიდელ, კაია ვისრამიანი აღარ არის თქვენი უფროსი?

- რავი... ჩვენი უფროსი მარტია არის...

- ცუდი კაცია ეგ მარტია?

- მარტია არის... სუნგალია. მარტიას ბევრი შეულია.

- მარტია გაომებთ?

- ეხლა თითქოსა, თითქოსა, კაიას გოგო მოსულიყო. სალომეი ვისრამიანი და ის არი უფროსათო...

ლუკა ერთხანს ჩუმად იყო, აბოლებდა სიგარეტს.

- ბიჭო, ფიდელ... - უთხრა მერე, - ლამაზია ხო ეგ სალომე ვისრამიანი?

სუნგალმა კეფა მოიქექა. მერე თვითონაც ამოიღო პაპიროსი და მოუკიდა. თოფი მოიხსნა მხრიდან, იქვე მიაყუდა. მიუჯდა ლუკას გვერდით.

- კაი ქუჩაა ესა, ლუკა. ხეირზე ვიდექი მე... „მარანას“ კარში ვიდექი. დარაჯათ ვარ ამდენი ხანი ნამყოფი...

ლუკამ არ უპასუხა, აბოლებდა თავისთვის.

მართლა და რანაირი უცნაური იყო დუქნების ქუჩა ხეირის უბანში. იმდენი რაღაცობა, აქ რო ხდებოდა და იქ რო გამოფენილიყო, ქალებით დაწყებული და სხვა ათასით გაგრძელებული, სხვაგან ათ ამხელა ადგილზეც ვერ დაეტეოდა. ის კიდევ იტევდა და მეტს და მეტსაც ჩაიტევდა. ასეთი ქუჩა იყო, სიგანეში სულ ოციოდე ნაბიჯისა. ახლა ცარიელა. ომით დაკეტილი კაფეების რკინის ფარდები ჩამოშვებული, ჩაკეტილი და ამოსკმალული.

საგუშაგო „მოკლე მგზავრობის“ კიდესთან გაემართათ. თითონ ეს კაფე დაკეტილი იყო, მაგრამ უკანა მხრიდან შესვლა და იქაურ ფეხისადგილის მოხმარა კი შეიძლებოდა.

მაგრამ ეს სხვა ქუჩაზე იყო, იქით, სთეითისკენ.

- მითხარი ერთი, მითხარ... - თქვა ისევ ლუკამ.

- რა გითხრა?

- მითხარი, ფიდელ, სალომეა ვისრამიანი რასა შვება?

- რავი, რასა შვება. ჩვენ არ გვეძახის ხოლმე. მარტია დაჰყვება. მარტიას ეძახის...

- მაგას არ გეუბნები. როგორი ქალია?

ჯარისკაცმა ქუჩაზე ჩამოჭრილ ზეცას ახედა. ახედა და დარჩა ასე ახედილი.

- მაიცა, დავინახო...

- ჰა? - იდაყვი წაჰკრა ლუკამ.

- ააახ...- აღმოხდა ფიდოს, - მაგარი ქალია, რა... მაგარი ქალია. ისეთი ქალია, რო, ერთი რო მამატყნეინა, აღარც რამე მინდა, არცა შვედი, არცა ანგლეზი, არცა ზანგი. ზანგის ქალზე უფრო. ეგეთი ქალია... უხ, ჯიქნებითა. უხ, რამეებითა... ეგრე რო წამოვიჯენდი, ლუკავ და რო იკივლოს,... ჰკიოდეს, იმის კივილი ცასა სწვდებოდეს... ამ ჯამრთელობით რო შავსცემდი, ლუკავ, მერე თუნდა მოვეკალ ჯანდაბასა და მეხსაცა, კურნუხში გევეგზავნე... ჰაი, ეგ რა მითხარ... რა ძია ხარ, რო დაუმიზნავ ხოლმე... ეგრე კოჭებზე წავავლებდი ხელებსა და რო მოვითრევდი, ჰა... მოვიქცევდი ქვეშა...

ლუკა მდუმარედ უსმენდა.

- მორჩი? - ჰკითხა ბოლოს.

- მაგას რა მორჩება, ძიავ? - ამოიოხრა სუნგალმა ფიდომ.

- ყველა ეგრე ფიქრობს? - ჰკითხა ისევ ლუკამ.

- ყველა ეგრე იფიქრებს, მა რა, - თქვა ოცნებად წასულმა ჯარისკაცმა, - ვინ არ იფიქრებს?

ლუკამ თავი გააქნია.

- წადი და ესროლე ბაბუაშენს, - უთხრა უცებ და წამოდგა, - იმიტო რო სანამ ბაბუაშენს არ მოკლავ, ვერ მიხვდები, რომ თოლიის სკინტლზე პატარა ხარ... შენ იცი, რო მაგ ქალის გულისთვის კაცმა თავი მოიკლა? როგორა გგონია, ფიდელ, ისიც მაგეებს ფიქრობდა და იმიტო მოიკლა თავი?

- ეგ მე რავი... მკითხე და გითხარი...

- რა მითხარი, აბა, ერთი კიდე თქვი. ლუკას ცუდად ესმის...

- მე გითხარი, რო...

- ჰა, შაგრცხვა, შენი ტოლა რო არ გამოდის? - დასცინა ლუკამ, - ომი მაგიტოა. მეტი არაფერზე. ტოლობა ვერ დაგიჭერნიათ. ეხლა რო მიაყუდე ეს თოფი აქ, ავიღო და მოგაყარო ტყვია, რას იტყვი?

სუნგალი წამოიწია, ოღონდაც დაინახა, რომ წამომდგარ ლუკას თოფი უკვე ხელში უჭირავს.

- სახლში აღარ წახვალთ, თქვე ძალათ მომდაბლეებო? - შეუბღვირა ლუკამ, - რისი თავი გაქ? ერთი ესა აქ ამ ქვეყანას ნამდვილი ცხოვრებისა, რომ სალომეა ვისრამიანი ერთ ბიჭს უყვარდა და იმაზეც მიხვედით?

- თითონ არა მკითხე? - ხმა ჩაუწყდა ჯარისკაცს, - ჩემი უფროსია, შენი ხო არა, ლუკა ძიავ?

- მაგიტომაც გკითხე, ლუკამ ეგრე იცის. იცოდე, მოვკვდები მაგ ქალისთვის, ოღონდაც ომში კი არა... ომი ბითურია. იქ ყველას შეუძლია, რო მოკვდეს. ისე მოვკვდები...

ლუკამ თოფი მიაგდო და გამოტრიალდა.

- ნამდვილი რამე იცით სუნგალებმა? ნამდვილი იცით?

დაღმა მოაბიჯებდა ხეირზე.

- შენ თითონ არა მკითხე, ლუკა ძია? - თოფს დასწვდა ფიდო, - თითონ არა მკითხე? ჩემი უფროსია, შენი ხო არა? ყველა გაგიჟდა, თუ რა არი?... ეხლა...

3. კატის კნავილი დიდ სახლში

ჯესიკა დე რაიდერი, აბა ვინ იცის, როგორი მწერალი იყო.

ფული გვარიანად ეშოვნა ამ ნაწერებით და სახლები ედგა: ლონდონში ეზოიანი, შიგ შუაგულ ჰემპსტედში, შვეიცარიის მთებში, რადგან უყვარდა ალპები და სანტა ესპერანსაზეც კიდევ ვილა. ამის გარდა, ბინა ეჭირა ვენეციაში და ერთი სოფლის სახლიც ტოსკანაში.

ბოლო ნიშნად ესპანეთის სამხრეთი ჰქონდა, ყველაზე დამწველი ესპანეთი და საამისო ჟურნალებიც გამოიწერა, რომ იქაური ვილები და სხვა ათასი რამ წვრილმანი კარგად შეესწავლა. ეს უძრავი ქონებისა, ხოლო მოძრავ საგანთაგან მას გამოარჩევდა ორი მოწყობილობა: ვარდისფერი ნიკელისფრთებიანი „თი-ბერდი“, 1966 წლისა, კაბრიოლეტი და ცამეტმეტრიანი იახტა „ფატა მორგანა,“ ასევე ვარდისფრად შეღებილი. მაგრამ ახლა ისე იყო, რომ ის ესპანური ჟურნალები სულ განზე დაურჩა.

ჯესიკა დე რაიდერი კაი დროული ქალი იყო, რომელსაც გაზაფხულები დავიწყებოდა, უკანასკნელი შემოდგომის დასასრულს კი თავგანწირვით ებრძოდა. ომის დასაწყისს შეესწრო და იარაღი დაყარა.

მან ვერ გააღწია ქვეყნიდან. მან ვერ იკადრა, რომ რომელიმე თვითმფრინავში შეტენილიყო და დარჩა ორად გაყოფილ ქალაქში, სადაც ტყვიები ძალიან უცნაურად დაზუზუნებდნენ.

ნავსადგურის კერძო სადგომზე ლივლივებდა მისი იახტა, მაგრამ ჯესიკა ერთხელაც არ წასულა მის მოსანახულებლად თუ დასაცავად.

პირველსავე საღამოს, იმ საღამოს, როცა პეტარდების სკდომას და გუბერნატორის გაცილებას აფეთქებები მოჰყვა, სამხედრო მუზეუმი და აეროპორტი კი კაია ვისრამიანის ლაშქარმა დაიჭირა, ჯესიკა ძალიან შეშინდა.

მერე კი აღარ ჩაეწერა თვითმფრინავის ბილეთების რიგში. თითქოს იმიტომ, რომ ვერ იკადრა ზედახორაში დგომა, თითქოს კიდევ იმიტომ, რომ მთვრალი იყო. ჯესიკას შეეშინდა არა მაინცდამაინც ქვეყნის, ანდა ქალაქის, ანდა აი, იმ დაბურული ქუჩის, ანდა საკუთარი სახლის ეზოსი, არამედ უფრო საკუთარი სახლისა. ასეთი დროისთვის სახლი ძალიან დიდი, მოფაჩუნე და ავი სულებით სავსე გამოდგა. სხვანაირად კი, ჯესიკას მარტოობისა შეეშინდა. შეეშინდა და დაუწყო ომი მარტოობას. გაამაგრა სახლი, გამოალაგა, რაც კი რამ საჭურველი იპოვა, შემოიწყო გვერდით და დაიწყო სმა. ღვინო ბევრი ჰქონდა, ცოტათი რომ არ დაზარებოდა, ძველი ღვინოების კოლექციონერიც კი დაერქმეოდა. სარდაფი სავსე იყო.

ჯესიკამ სახლის უკანა მხარე საგულდაგულოდ დაგმანა. დარაბები ჩაკეტა, სულ თოკებით ჩაფსკვნა საკეტები და უკანა კარს კომოდიც კი მიადგა. წინა მხარეს ჯესიკამ მხოლოდ ორ ფანჯარას არ ამოუკერა პირი. ეს ფანჯრები ზედ სადარბაზო კარის თავზე იყო და იქიდან მთელი წინა ეზო ჩანდა. სადარბაზო კარი საგულდაგულოდ დაკეტა, მაგრამ კარს ორი ვიწრო სარკმელი ჰქონდა. კაცს რომ მონდომებოდა, ფერადი შუშის მინას იოლად გაამტვრევდა და საკეტსაც მისწვდებოდა. ამიტომ ჯესიკამ კედლებიდან რამდენიმე ნახატი ჩამოხსნა, მათი სამაგრი ლურსმნებით კი ეს შუშები აჭედა. დიდებულად გამოუვიდა. თითქოს ყველაფერი მოწესრიგებული იყო. ერთი-ორჯერ ქუჩაშიაც კი გავიდა რაღაცეების საყიდლად. იოლად მოივაჭრა, ბულანჟერია ისევ ღია იყო ამ ქუჩაზე. ოღონდ, ეს არის, რომ სავაჭროდ თოფით გადიოდა ხოლმე. კარგი სანადირო თოფი იყო. თოფი მხარზე ეკიდა, ჩანთაში კი პატარა რევოლვერიც ედო. დანები, ხანჯლები მაკრატლები, თოფის ტყვიები, ბოთლის გასახსნელი, თავად ბოთლები, სწორედ რომ დივანის წინ, გამოღებულ ფანჯარასთან ეწყო.

მერე ჯესიკამ ყოველივე ამას ღვინის დიეტა უწოდა, რადგან მაინც ვერ მოითმინა და პატარა წიგნი დაწერა თავის ერთთვიან საომარ თავგადასავალზე: მარტოხელა გუშაგი ჯესიკა დე რაიდერი.

ასე იჯდა ხოლმე და რადიოსაც მალიმალ აუწევდა. სამწუხაროდ, მსოფლიოს არც ერთი ტელევიზია აქაურ ამბებს ღირსეულად და ფართოდ არ გადმოსცემდა, სანტა ესპერანსას კი თავისი არხი არ ჰქონდა. თავის დროზე „ბიბისის“ მსოფლიო ამბების არხზე ჩაერთვებოდა ხოლმე აქაური ახალი ამბები, რომელთა ცქერაზეც არავინ მოცდებოდა ხოლმე. ხშირად შუქი ქრებოდა და მაშინ ჯესიკა ფანჯარასთან ჩამოდგებოდა თოფშემართული და ეზოს დარაჯობდა. ჭოგრიტიც კი ჰქონდა, მაგრამ ეზო დაბურული იყო, სხვენიდან თუ გახედავდი და იქიდანაც ბევრს ვერაფერს დაინახავდი.

ჯესიკა სულ შემთვრალი იყო და ესევითარი შემთვრალობა მეტად შველოდა, რადგან ძალიან გაუშინაურდა საკუთარ სახლს. რამდენიმე დღე ჩაამთავრა და შიში კი სადღაც გაქრა. რისა უნდა შეშინებოდა იქ, სადაც შინაური იყო.

ისე კი, მაინც ეშინოდა ორიოდე ოთახისა, სადაც არც კი შედიოდა. სახლი ფაჩუნობდა, ჭრიალებდა, ჩურჩულებდა, ხითხითებდა, კვნესოდა, ოხრავდა, შრიალებდა და ჯესიკა აღარც კი კრთოდა, რადგან როცა სახლი ამეებს დაიწყებდა ხოლმე, ქალი უკვე თვლემდა დივანზე, კალთაში კი თოფი ედო. საშხაპეშიაც კი ჯესიკა დე რაიდერს, ამდენი წიგნის დამწერს, თოფი შეჰქონდა. თანაც, ერთგვარად გაბურბუსალებულს, სახლის ამბავი, ავი თუ უბრალოდ მასხარა სულების ჩირთიფირთი როგორღაც შორიდან მოესმოდა.

თავგადასავლები მაინც გადაიხადა და აღმოაჩინა, რომ შეუძლია სვას ეს უძვირესი ღვინოები და სრულიად დაუნანებლად დატოვოს გამოუცლელი ბოთლები ფანჯრის რაფაზე, რათა მომდგარმა მზემ აგრერიგ ნალოლიავები სასმელი წაახდინოს. შეუძლია სვას და არაფრისა ეშინოდეს, რადგან ჯესიკასა და ღვინის ლაპარაკები ერთმანეთში იმგვარი რამის გამჩენი ყოფილა, რომ ღვინო მთელი ქვეყნის გამოგონებაში დაეხმარა ჯესიკას. ეს ქვეყანა ზღაპარს ჰგავდა: ჯესიკა თოფს ისროდა, მაგრამ არავის ჰკლავდა, ანდა ეგონა, რომ მტერი მოიშორა, ის კი, ზუსტად ისე, როგორც ზღაპარში, გაცოცხლდებოდა და წინ დაუხვდებოდა ხოლმე. მერე იმ თავის სასაცილო წიგნში ჯესიკამ ჩაწერა, რომ კეთილი ადამიანი ყოფილა, რადგან ქვეყანა, რომელიც მოიგონა, სინამდვილეში ნამდვილი ქვეყანა იყო, ოღონდ მისთვის ზღაპარს დაემსგავსა და უბედურების მიუხედავად, კეთილი ქვეყანა გამოდგა, რადგან იქ არავინ კვდებოდა. მგონი, ჯეიმს მეთიუ ბარი შევაწუხეო, სწორედ ასე წერდა მას შემდეგ, რაც ერთი კარგი სმის საწინააღმდეგო მკურნალობაც გაიარა სადღაც, მგონი ტეხასში. მაგრამ ჯესიკა ამას მერე მიხვდა. მანამდე კი ნამდვილად ისროდა და ნამდვილადაც თვრებოდა, მეტად უსწორმასწორო ნაბიჯით მიმოდიოდა სახლში, მოსახვევებში და კიბის თავებში გავლა უჭირდა კიდეც.

ასე დარჩა ჯესიკა დე რაიდერი ომში და ასე გაამაგრა თავისი სახლი. მაგრამ ერთხელ, ახალშეღამებულზე, ჯესიკამ კნავილი გაიგონა. მთვლემარეს ჩაესმა და თავიდან ეგონა, რომ ან მუსიკა დარჩა ჩართული, ან ტელევიზორი ახრიალდა, ანაც რადიომ ამოიღო ხმა. ოთახი, სადაც ჯესიკას დაეცა ბანაკი, დიდი ოთახი იყო, მისაღები. ჯესიკას ცხოველები დიდად არ უყვარდა. ძაღლი არც არასდროს ჰყოლია და კატები ხომ, მით უმეტეს. კატებს გაუთხოვარ ქალებს უწოდებდა, და საკუთარი თავიც ერთგვარად კატად მიაჩნდა. ჰოდა, რომ გამოიფხიზლა, დაატყო, რომ უსულო საგნები არა კნაოდნენ, უთუოდ კატა გადმოპარულიყო სახლში სხვენიდან ან რაგინდარა ადგილიდან. კატას რას გაუგებ, ყველგან იპოვის შემოსაძრომს, გაუთხოვარი ქალი ჰქვია და სულ სხვაგვარად ხედავს ქვეყნიერებას.

თანდათან კატა ისეთი გაჩქარებით აკნავლდა, ბუნაგიდან გადმოვარდნილმა კნუტებმა რომ იციან ხოლმე. ჰოდა, ჯესიკამ თოფი შემართა და კატის მოსაძებნად გაემზადა. კიბის თავში რომ გამოვიდა და სინათლე აანთო, სხვენზე ასვლა გადაწყვიტა. წარმოიდგინა ასეთი სურათი, რომ იპოვის ვიღაცის გზადაბნეულ, ანდა რაღაცაში გაკვეხებულ კატას, რომელსაც თათი გაჩხერია სადღაც, ან სულაც თავი და ვერც წინ მიდის, ვერც უკან, ჯესიკა კი მივა, თოფს განზე დადებს, ფრთხილად გამოიყვანს კატას, მიიხუტებს, მიეფერება და მოუვლის, ისინი კი მეგობრები იქნებიან.

ოღონდაც ამ ფიქრებმა სულ ტყუილად ჩაუარა, რადგან კნავილი სხვენიდან კი არა, პირველი სართულიდან მოისმოდა.

ჯესიკამ თოფი მოიმარჯვა და ფეხაკრეფით ჩაუყვა კიბეს. პირველ სართულზე შვიდი ოთახი და სამზარეულო იყო, მაგრამ ხმა შორის, მიკეტილი კარის არ იყო. თითქოს ახლოდან ისმოდა. უბრალოდ, ჯესიკა იმან შეაშფოთა, რომ კნავილი მიწყდა. ეტყობა, კატამ ფეხის ხმა გაიგონა. ჯესიკა ჰოლში ჩავიდა და შუქის ღილაკს მიჰკრა თითი. ჰოლი დიდი იყო, მისაღები ოთახისხელა. მისაღები ოთახიც ხომ თავზე ედგა ამ ჰოლს. ფუი, შენი... იქ არაფერი იყო, არც კატა, არც სხვა რამ სულიერი, ჩამიჩუმი არ ისმოდა. ჯესიკამ კარგად მოათვალიერა ყველაფერი და მერე პირველსავე კარს ჰკრა თოფი.

იქაც ბნელოდა, იქაც აანთო სინათლე და იქაც არავინ იყო, არცა კნავილი და არცა რამ.

ჯესიკა დე რაიდერი საბრძოლველად მოემზადა, სასხლეტები დიდის წვალებით გადმოწია და თოფი შემართა. ამ დროს კი კვლავ გაიგონა კნავილი და აღარც უფიქრია, თოფშემართული დაიძრა სამზარეულოს გამოღებული კარისაკენ.

კარს რომ მიუახლოვდა, ჩუმად თქვა: - ფისო, ფისო, ფისო... ფისუნია... რა მოგივიდა?

სცადა თოფს ცალი ხელით მორეოდა, მეორე ხელი კი იმ ადგილას მოაფათურა, სადაც შუქის ღილაკი იყო.

ტკაც...

შუა სამზარეულოში, სარწეველა სავარძელში ზორბა კაცი ჩახვავებულიყო, გაუპარსავი და ხორციანი, ჭაღარა და მელოტი, წვერგაუპარსავი და სასაცილო. თეთრი შლაპა ხელში ეჭირა.

- უუუ...- აღმოხდა ჯესიკას.

- მიაუ... - თქვა კაცმა, - ლუკა მოვიდა.

- კინაღამ მოგკალი... - თოფი დაუშვა ჯესიკამ.

- სულ კინაღამ მკლავენ. მაშინაც კინაღამ მომკალი. ლუკას კინაღამ კლავენ, - თქვა კაცმა.

- როგორ შემოხვედი?

- ღმერთო ჩემო, ვინ ეგებება ასე ძველ მეგობარს? რამდენი ცარიელი ბოთლია. სავსე არა გაქვს?

ჯესიკა თოფით ხელში იდგა და ტიროდა.

- სწორედ ისეა, როგოც ჯესიკა დე რაიდერის წიგნებში, - თქვა ლუკამ დარდიანად, - ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, დაბერებული კაცი და სიბერესთან მებრძოლი ქალი. და ახლა ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს.

- რა უნდა დაიწყოს? - ჯესიკა კედელს მიეყრდნო შუბლით, - რა უნდა დაიწყოს, ლუკა?

- ლუკა მაწანწალაა, - თქვა ლუკამ, - ომი კი მთავრდება. ხვალ დამთავრდება, არა, ზეგ... ლუკას ძალიან მოენატრა ვიღაცეები. არ ვიცი, შეუყვარდა თუ უბრალოდ მოენატრა, მაგრამ ვინც ენატრება, ლუკა აუცილებლად მიდის მის სანახავად. მერე შეიძლება დაიკარგოს, მაგრამ ენატრება...

- ლუკა... მე... მაშინ. მე მაშინ წავედი. სხვანაირად არ შემეძლო... მე წავედი, იმიტომ, რომ...

- არ გინდა, ეზეკია... შენ კი წახვედი, მაგრამ მე ხო აღარ მოგაკითხე?

- როგორ არ მომაკითხე... რა ჯანდაბაა ეს თოფი... აი, მომაკითხე.

ლუკა წამოიწია, ალბათ თოფი უნდა ჩამოერთმია ქალისთვის. ვერ მისწვდა და თითქოს სარწეველა სავარძელმა გამოისროლაო, წამოხტა და თოფზე ხელი უტაცა ჯესიკას.

ასე იდგნენ. ხელებით თოფი ჩაებღუჯათ და უყურებდნენ ერთმანეთს.

- ასე შეხვდნენ ერთმანეთს... - ძლივს თქვა ლუკამ.

- მოვკვდები... - წაიჩურჩულა ჯესიკამ.

4. წყლისპირა ბედისწერის ვარსკვლავი

ის იყო მშვენიერი ზაფხულის საღამო, სავსე კარგი ხმაურით.

მზეს გადაეწყვიტა, იმგვარი ბრძნული და სამოთხისებრი ზომიერებით შემოეთბო ქალაქი, რომ მზე გეგონებოდათ არა მზეთუნახავი, არა ვინმე კალმით ნახატი, არამედ ქვრივი, რომელიც ჯერ არ მობერებულა და ქვრივობამდე კი ძალიან ხალისიანი ყოფილა. მგლოვიარობას მასზე საჭირო შემაკავებელი არტახები დაეჭირა, მაგრამ თავისი ბუნების თანდაყოლილი ხასიათი მაინც გადარჩენოდა და ამ სავალდებულო არტახით კი შექნილიყო სწორედ რომ სამოთხისებრი, გემრიელი, ტკბილი და თბილი. ასე, ამგვარ ქვრივსავით ჩამდგარიყო კარში, თეძოკოხტადმოქნეული, შავებში, ოღონდაც ტანგამოჩენილი და ქვრივულად ფერმკრთალი, მაგრამ უბედურებისგან მაინც ხორცვერმოკლებული და უღიმოდა გამვლელს და გამომვლელს. ასეთი იყო მზე იმ საღამოს, ხოლო ნიავი იყო თითქოს რესტორან „ფორტუნატოს“ ცნობილი შეფის ამბროჯიოს ხელიდან გამომდინარი. როგორც რომ ამბროჯიო მოაყრიდა მოფხვნილ ყველს რიზოტოს მადლიან თეფშსა, როგორი ზომაც იმან იცოდა და სხვამ არავინ და მთელი განსხვავებაც სხვა რიზოტოსგან ამბროჯიოს რიზოტოსი ეს იყო, რასაც თვითონაც აღიარებდა მოქნეული ნათქვამით, რიზოტოს ყველა აკეთებს, მთავარი ზედ ყველის მოფხვნააო, ისეთივე ხელით, ამბროჯიოს ოსტატობით ნიავი აართმევდა მარად ახალ სურნელს ზღვისას მშვიდ ტალღებს, წამოჰკრეფდა და გადმოაფრქვევდა ქალაქს. ეს საუცხოოდ მოუდიოდა მზის სანელებელს და ეხამებოდა ერთმანეთს ისე, როგორც არაფერი შეხამებია ოდესმე. საწუხარი რა არის, რომ ამნაირი საღამოები, ასეთი შეკრულ-გამოკრულებით, ამნაირი ბუნებოვანი ნასკვით, იშვიათად გამოერევა. არის უბრალოდ კარგი საღამოები და არის გადასარევი საღამოები, მაგრამ ამნაირი საღამოები არ არის. ხუთი ცოტაა, ათ წელიწადში ერთხელ გამოდის, მაისის თვეში, ან სექტემბრის ათიდან ოცამდე და ესაა. თან კიდევ, აბა რამდენ ხანს გრძელდება ამნაირი საღამო? ნახევარ საათს. მეტს არა. მერე მზეც მიიპარება ზღვაში და ნიავიც უფრო ნიავქარს დაემსგავსება, შეცვლის ნაზავ სანელებელსა და ბინდიც რომ კოხტად მოაჯობებს, მერე საღამო კი აღარ არი, ღამის პირია. და ტალღა კიდევ როგორ ხმაურობს იმ ღამისპირს? მობნელდება და გაგახსენდება, რომ ტალღა ყოფილა. მანამდე არის მიჩუმებული, ქაფიც ერთი თითის დადებაზე თუ გამოჰყვება და ამ დროს, ასეთ საღამოს, ქვრივისა და მოფხვნილი ყველის ამ უცნაური და ხანმოკლე

კავშირისას ყოველი ადგილი ამ კუნძულებისა ლამაზი იქნება. სადარბაზოც კი, სადაც ვერ აღწევს ეს უზუსტესად გაზომილი სინათლე. დიაღ, თუკი შეიძლება, რომ სინათლე ლამაზი იყოს, სწორედ ამ საათს შეიძლება, სხვა დროს კი, აბა, რაა სინათლე? რა სილამაზეა? ესეც არის, რომ სინათლის სილამაზეს ჩრდილი მიგახვედრებს, ოღონდაც ზედ თუ არ დაედო საჭირო გემოვნების ჰაერი, სულ ტყუილია. და იყო ასეთი საღამო, ასე ღამდებოდა.

ლუკა კი იჯდა თავის ძველ ადგილას, ქარიანების ნაპირზე. შიშველა ქუსლები თბილ ქვებში ჩაეწყო და სუნთქავდა ამ საღამოს, სუნთქავდა და უყურებდა კიდეც.

ისევ ის ადგილი, ისევ ის სახლი, სადღაც გადაკარგული ქარიანებისა, ისევ ეკალ-ბარდით გადაფხაჭნილი ეზო და ისევ ნაპირი. იქ გამოტანილი დაბლაგვებული ბოთლის ნამტვრევები და საშიშარი იერის, გამომშრალი ხის ტოტები, ტოტებიცა და კუნძებიც, ღონიერნი და ფართენი, ოღონდაც წყლისგან სრულიად ძალაგამოცლილნი, მსუბუქნი, ფუტურონი, ასე რომ მოვსინჯოთ ხელით. ერთი უცნაური კიბორჩხალა ლუკას წინ ფორთხიალობდა აგერ რამდენ ხანს. ლუკა მოიხდიდა თავის ძველ შლაპას და დააფარებდა კიბორჩხალას, ცოტას გაიწეოდა ეს კიბორჩხალა, წაათრევდა შლაპას და ასე დაჰღიმოდა ზემოდან ლუკა მიმცოცავ ქუდს, რომლის ქვეშაც გაბრაზებული უკუღმა მავალი შრომობდა. მერე მოავლებდა ხელს ქუდს და ისევ ძველ ადგილას მოაცოცებდა ამ ავი იერის მებრძოლს.

ისევ ის ადგილი იყო და ისევ იმ ადგილას მოვიდა ლუკა. ამ ადგილას ისედაც ხშირად მოდიოდა. რა ექნა ლუკას. მოვიდა ისევ გაზაფხული, მალე დაიწყებოდა ისევ სვლა ზღვისპირებზე, ისევ გადაიჭედებოდა ქალაქი. აგერ, ზეგ საერთოდაც დიდი ფეთქება იყო დანიშნული, გუბერნატორს პეტარდით და მთელი ამბით მიაცილებდნენ. უკვე დედოფალიც გამოჩენილიყო, ქვეყანა თავის წილ სისულელეს მოქოქავდა და წავიდოდა თავის გზაზე. ლუკას კიდევ ქალი უყვარდა.

ეს სისულელე იყო.

ისეთი სისულელე იყო, რომ ვერც კი გაამხელდა, თუმცა ლუკას გამხელა არ უჭირდა ხოლმე. ლუკა თავისუფალი კაცი იყო. ქალის გამო უფრო ზრუნავდა. ლუკა, აგე, შემოდგომით სამოცდაოთხისა შესრულდებოდა და შეჰყვარებოდა ქალი, შვილად რომ მოერგებოდა და თუ რომ ადრევე ევაჟკაცა ლუკას, შვილიშვილადაც გამოუვიდოდა.

სწორედ აქა, ამ ქარიანის ნაპირზე ნახა პირველად ეს ქალი ასე ახლოს, თორემ მანამდე ბევრჯერ დაენახა. აქ გაიცნო, აქ უშველა, რომ გარიდებოდა ერთ ცუდ ამბავს. ლუკა სასტიკად გაილახა ამის გამო, თუმცა კი ხარობდა ამ თავისი თავგადასავლით და ქალიც მადლიერი იყო. უბრალოდ, მადლიერი. ლუკას თავგადასავლები უყვარდა. ამ სიყვარულში კიდევ სიყვარული გამოუხტებოდა. ლუკა არ დაბერდება, - თქვა ერთხელ ლუკამ. გამოხტომებიც უყვარდა, ლუკას იმდენი მოეთმინა და იმდენი გადაეგორებინა, რომ ახლა სრულიად თავისუფალი იყო, მაგრამ შეყვარებოდა და რა ექნა. სად ლუკა და სად ესა. ლუკას ყოველთვის სადღაციდან მოულოდნელად გამოვარდნილი ქალები უყვარდებოდა, ისეთები, გემის ტვირთვის დროს ამწეს რომ ერთი ჩემოდანი მოსწყდება და ზღვაში ჩაეხეთქება. ამ დროს ყოველთვის სიცილია ხოლმე ნავსადგურში. იშვიათად ხდება, მაგრამ მაინც... ახლა იჯდა ამ ადგილას,

ქარიანების ნაპირზე და ფიქრობდა, როგორ ნახა ეს ქალი პირველად სიბნელეში, როგორ ჩამოჰკრა სანთებელას და როგორ შეათვალიერა.

ასე იყო. ლუკას სალომეა ვისრამიანი შეუყვარდა.

ლუკა ყოველთვის ელოდა ხოლმე საოცრებას.

საერთოდ, საოცრებების სჯეროდა და საოცრებების ჩადენა უყვარდა. თავგადასავლადაც ეს მიაჩნდა. ფათერაკიო, რომ იტყვიან. ხოდა, ლუკა სასწაულს ელოდა, ვინაიდან ასეთი საღამო იყო. ლუკას ეს არ შეეშლებოდა.

სასწაული მოვიდა. ის ციდან ჩამოვარდა და ლუკას ფეხებთან კიბორჩხალასა და ქუდს შუა დაეცა. ეს იყო სიგარეტის კოლოფი „როტმანს როიალს.“

ძველი ილეთი. ქალს ახსოვდა მათი წინა შეხვედრა.

ლუკამ მოიხედა, შეშლილივით.

სალომეას შავი სათვალე ეკეთა და სწორედ იმ ქვრივს ჰგავდა, აი, ამ საღამოს მზე რომ ჰგავს.

- მოხვედი... - თქვა ლუკამ.

- მე აქ ყოველთვის მოვდივარ. იჯექი, ლუკა... როგორ ხარ?

- ძვლები გამიმთელდა, - ჩაიცინა ლუკამ. ვერასოდეს ეტყოდა. ასე როგორ გააცინებდა.

სალომეას არაფერი უთქვამს.

ისე, მართლა ქვრივი არ იყო? ისე, სახალხოდ. იდგა და უყურებდა ზღვას.

- ვინმეს ელოდები?- ჰკითხა ლუკამ, - გინდა, წავალ...

- არა... ის აღარ მოდის აქ. ისე მოვდივარ. ვითომ უნდა მოვიდეს. ეგებ, მოვიდეს. მოვდივარ და მივდივარ...

ლუკამ ჩაიცინა.

- ლუკა კიდე იმიტო მოდის, რო იცის, ის აღარ მოდის აქ, მაგრამ შენ მაინც მოდიხარ, რო ეგება ის მოვიდეს... ხედავ ლუკას?

სალომეამ გაიღიმა.

- ჰოდა, იოლად გიპოვე, - თავზე დაადო ხელი, - ლუკა. რა ცხელი გაქვს თავი.

- თავს რა გააციებს? - ამოიოხრა ლუკამ, - სალომეა, მქონდეს ეს კოლოფი სახსოვრად, მე კიდე ამ კიბორჩხალას გაჩუქებ... - ქუდი ასწია ლუკამ.

- კარგი, - თქვა სალომეამ, - მისმინე, ლუკა. ომი დაიწყება.

- ჰაა?.. - რაც ლუკას ომები უნახავს.

- არა, ლუკა. მართლა ომი დაიწყება...

- შენ რა იცი?

- დედაჩემი ხო გინახავს... სამწუხაროდ... დედაჩემი დაიწყებს და მე როგორ არ ვიცი?

ლუკა დადუმდა, კიბორჩხალა აიყვანა მშვიდად და შეათვალიერა.

- ასეთი ამინდი თორმეტი წელიწადია არ ყოფილა, - თქვა და კიბორჩხალა მოისროლა, - აღარ გაჩუქებ, უშნოა...

- ლუკა. გაფრთხილდი, რამე მოიფიქრე. ვისაც გინდა იმას უთხარი. მთელი დღე დავდივარ და ვეუბნები ვიღაცეებს...

- მართლა? - უაზროდ იკითხა ლუკამ.

- გაფრთხილდი, ლუკა.

- მე ლუკა ვარ. ლუკას ომი არ შეეხება... შენ. წამოდი, დაიმალე ისევ ჩემთან. ორი ნეკნი დამრჩა და ბარემ იმასაც...

უცებ სალომეამ ლუკას წინ ჩაიჩოქა, გაუპარსავ, ჩხვლეტია ლოყებზე მოავლო ხელები და შუბლზე აკოცა.

- ვაჰ, - თქვა ლუკამ.

- გაფრთხილდი, ლუკა. არ მოკვდე...

სალომეა წამოდგა და უკან წავიდა, ქარიანების ბაღისკენ.

- მე ადრე დავიბადე! - დაიღრიალა უცებ ლუკამ, - მე ადრე დავიბადე! ჯანდაბას... მაინც შემოგხედავ ხოლმე! მაინც შემოგხედავ. მეტი არაფერი... ლუკას მეტი არც უნდა... ლუკა ადრე დაიბადა. საერთოდ, თანახმა ვარ. რა განსხვავებაა? როგორც ის სანდრო და კოსტა, ისე მე. თანახმა ვარ...

სალომეა აღარ იყო.

დელფინები ანუ ადამიანები

- გაგეცინებათ, ძმებო, გაგეცინებათ. ასეთი ამბავი, აბა, ვის გაუგონია... ლუკა მოიტაცეს... ლუკას მოტაცება განა იოლია. აბა მითხარით, ვის მოუტაცნია ლუკა. გახსოვს ეგეთი, ბუზიავ? ლუკამ ომი გამოიარა და არაფერი მოსვლია, მაგრამ ჰა, მოიტაცეს.

მაგრამ ლუკამ ისეთი რამე მოახერხა, რომ ყველანი იამაყებთ. იმდენ ხანს ლუკა ყველაზე დიდი თევზი იყო შავ ზღვაში. მთელს ამხელა შავ ზღვაში ყველაზე დიდი თევზი იყო. ღმერთმა უშველოს დელფინებს. დელფინები ყველაზე კარგი და კეთილი ადამიანები ყოფილან, მერე ჩვენნაირ მათხოვრებს გაუგდიათ და ახლა წყალში ცხოვრობენ. თვითონ მითხრეს. ლაპარაკობენ, აბა, მე რას გიყვებით. ლუკას დაელაპარაკნენ და ზღვის ხალხი ხართ, დელფინი არ გესწავლებათ. თქვენ არ მოხვედრილხართ დელფინებთან, ლუკა მოხვდა.

ოღონდაც ამას მერე მოგიყვებით. აგე, ბუზიამ იცოდა და სხვებმაც, რო ლუკას ერთი მდიდარი ქალი გადაეკიდა. რა ვქნა, ეგეთი ბედი მაქვს. გადამეკიდა მდიდარი ქალი. ლუკა მოეწონა. ადრეც მოსწონდა, მაგრამ ლუკამ თქვა, არაო და ახლა კიდევ ლუკა ბერდება და იმ ქალს ისევ გადაეყარა. გადაეყარა და ამას მოერიდეთ, ძმანო, მდიდარი ქალის ხელში ჩავარდნას მოერიდეთ. მართალი ხარ, ვენო, საერთოდ ქალის ხელში ჩავარდნაც არ შეიძლება, მდიდარს რომ ჩაუვარდები ხომ, საერთოდ. ლუკას არაყი უნდა, ის კი მოიტანს ლაიმს, ტონიკს, ყინულს და შაქარს, გაავსებს ჭიქას და სულ თავზე დააწვეთებს არაყს, აგაშენებთ ღმერთი, კოქტეილი გახლავს, სხვა კი არაფერი, მაგრამ ლუკას სმა კი არ უყვარს, ლუკას უყვარს, რომ ჩასწვას, ჩაშანთოს. ხო იცით ლუკას წამლობა? ლუკას უყვარს, რომ თევზი პირდაპირ დავარდეს ტაფაზე, აი, ისე, ბუზიამ რო იცის. ზეთი რო ცოტა გაიმეტო. ლუკას არ უყვარს მაღაზიის ყინულებში შენახული ფროუნი, ლუკას უყვარს, რომ ნავსადგურში მოვიდეს, თევზის ვაჭრებთან დაჯდეს, იმათი ნოტიო მარილი წამოიღოს თევზთან ერთად. ლუკას კი ყელზე ხელსახოცს მიამაგრებენ, მუხლებზე ხელსახოცს დააფარებენ და აქეთ-იქით ორი კაცი უდგას „ფორტუნატოს“ რესტორანში. ლუკა თვითონ იჭერდა ოისტრას, იქ კიდე უყვებიან, ეს ოისტრა იქიდან მოვიტანეთო, პარასკევს ჩამოვიდაო... გესმით, თქვენა?

ქალი? ქალი სჯობდა შენ რო ახალგაზრდობაში გიყვარდა იმას, თუმცა რა, ლუკამდე ბევრი არ უკლდა. ყველაფერი ვარდისფერი ჰქონდა და ლუკასაც მოსწონდა, ადრიდანვე მოსწონდა. ლუკა ქალებზე ხომ არ ილაპარაკებს? ეგ რა წესია. ქალი კარგი იყო და ლუკასაც თან ყვებოდა. ჩემი შორტები ხო ყველამ ნახეთ. იმ ქალმა იმ შორტებში ას ოთხმოცი ფუნტი გადაიხადა. ლუკას არ გაკვირვებია, მაგრამ ლუკა რატოა ლუკა? ლუკას, ერთი რო არ უნდა, ქალმა რომ შეინახოს და მეორეც, იმ ქალს თავად მიაკითხა და წამოსვლა კი მოერიდა, რახან დაატყო, რო ლუკას ცხოვრება კვდება და რაღაც სხვა ცხოვრება ცოცხლდება.

აქ ვიღაცეებს არ ეგონოთ, რომ ლუკას ის ქალი აღარ ახსოვს. ლუკას უყვარდა ის ქალი და აგე, ამ დანით დადგება, რამე რო იყოს, მაგრამ ლუკას მდიდრები არ უყვარს. მდიდარი ყოველთვის მოიგონებს ისეთ რაღაცას, ჩვენ რომ თავში არ მოგვივა. იმ ქალმაც ხომ დაატყო, რომ ლუკას ასე ცხოვრება არ ეპიტნავება? კარგი ღვინის სარდაფი აქვს და ლუკა სწორედ იქ ჩაუსახლდა. ამიტომ ქალმა გადაწყვიტა, რომ ლუკა მოეტაცებინა. ლუკა ალალი კაცია, არ უფიქრია, რომ ქალს კაცის მოტაცება შეუძლია. ჰოდა, იმ ქალის გამოგონებას დაჰყვა. ქალმა სიყვარულით მოიტაცა. ლუკას გარდა ვერავინ მიხვდებოდა, რომ ეს მოტაცება იყო. თავის იახტაზე მიიწვია ლუკა. აუშვა აფრები და გაიყვანა ზღვაში. მოვიაროთ საუცხოო ნავსადგურებიო და თავიდან ლუკასაც გაუხარდა. სინოპში შევივლითო, გალათაში დავდგებითო. ეგებ, ბოდიში და კრეტამდეც გაგვეცურა. ლუკაზე უკეთესი მეზღვაური რად გინდა? თანაც კარგი შკიპერიც ნაქირავები ჰყავდა. იახტა ვარდისფერი, ვარდისფერივე აფრით. კაიუტა - ზღაპარი. სათევზაო ამბავი - განუმეორებელი. ტაფები ელავს, რომი ნამდვილი, ქალი კეთილი. სხვა რა უნდა ლუკას? წავიდეთ, გავცუროთო.

და რომ გასცურეს და რომ ნახა ზღვა კიდევ ერთხელ ლუკამ და რო მოზიდა ბაგირი და დაუსკდა ტუჩები და, აგე, ეს რუჯი მოედო ტანზე, ლუკა გაბედნიერდა. იჯდა ხოლმე კიჩოზე, აბოლებდა თავისებს და ელაპარაკებოდა ზღვას.

ასეთი ყოფილა მოჩვენებითი ბედნიერება, ზღვისანო, და ერთ ღამესაც, როცა ლუკა საჭესთან შემორჩა, ხოლო შკიპერი დასაძინებლად გაუშვა, რადგან მონატრებული

ჰქონდა საჭე, ლუკამ ამოიცნო, რომ მოტაცებულა, რომ გაიტაცეს, რომ მოაშორეს და სამუდამოდ იქნება ამ ქალის ლუკა და სხვისი ვეღარავისი. ძლიერ უყვარდა ეს ქალი ლუკას, მაგრამ მიხვდა, რომ არის სხვა ქალიც, ვისაც თუ არ შეხედა ხოლმე, მოკვდება. ესეც დაინახა, რომ ვერასოდეს მოიხედავს აქეთ და ვეღარასოდეს მიაფსამს კიგლის შუქურას ნაშუაღამევს. ესეც დაინახა, რომ ვერავინ მოუვლის ისე, როგორც აქ მოუარეს, მომაკვდავი რომ მოვიდა. ლუკა მიხვდა, რომ მოიტაცა ამ ვარდისფერმა ქალმა, საჭე ჩაკეტა და აღარც უფიქრია, გადმოხტა წყალში და გამოცურა აქეთ, სადაც ლუკა ეგულებოდა. ეს ჭაღარა ბანჯგვლი და ვარდისფერი იახტა... არა, ძმობილო, ლუკამ გამოცურა. გამოცურა და მერე კი აღარ ახსოვს. ერთხელ იფხიზლა და ეს ახსოვს, დელფინები შედგომოდნენ იღლიებში, მოაცურებდნენ და ეჩურჩულებოდნენ: ლუ-კა გა-და-ვარ-ჩი-ნეთ, ლუ-კა გა-და... ბარე ოცდაათი დელფინი ენაცვლებოდა ერთმანეთს... ახ, როგორ მინდოდა, რომ ბუზიას დუქანში დამეპატიჟა სუყველა. სიარული აღარ იციან. მერე კიდევ დავინახე კიგლის შუქურა და ისევ დავკარგე გონება. გონს რომ მოვედი, გადაღმა ვეგდე, სამხრეთის პლაჟებს იქით და იქიდან აქ წამოსვლა როგორ არ დამღლიდა?

რაო, ის ვარდისფერი იახტა ისევ ფასიან სადგომზე დგას?

ეჭვიც არ მეპარება. ეჭვიც არ მეპარება. არის ქალი, რომელსაც ხანდახან მაინც უნდა შევავლო თვალი. არა და ლუკა მოკვდება, სხვანაირად არ შეუძლია.

ნაპირა ნისლები იმათი მიწის კიდეზე

აჰა, ნაპირი უნაპირო, აჰა, ბინდბუნდი დილისა, აჰა, ზღვაი წყნარი და ცისკრობა ნამდვილი. ხელის გაწვდენაზედ ვართ ჩვენი ქვეყნიდანა, იმ ჩვენი ლამაზი სუნგალის მიწიდანა!

დაჰფენია ერთს გრძელ ბოლოუკვეც ნახვევად ნისლი სუნგალის კუნძულის ნაპირს და სჩანს აქეთა ნაპირიდან მიწა სუნგალეთისა. აქეთ ნაპირზე დამდგარა სუნგალის ლაშქარი, შინისკენ მიბრუნებას დაშურებული.

სდგას უთვალავი მანქანები, ცხენი და ჯორი, ხოლო არ არის ძაფი ამ ორ ნაპირს შუა. არსადა სჩანს ის ორი ძველი გემი, ჟანგაროაკრული და ერთგული მსახური სუნგალისა, შეუმჩნევი, მაგრამ აუცილებელი ხელსაწყო მშობელ მიწასთან კავშირისა.

ამის შემხედავი, მღელვარეა სუნგალის ლაშქარი. იქ უნდა მდგარიყო შეპირებისამებრ ეს ორი ნავი, ოდითგანვე სუნგალის კუთვნილი. ახლა კი არა სდგას. რა მიზეზია? რა ვერაგობაა? იქითა ნაპირს თვალჩაჭუტული უმზერს ბევრი სუნგალი, ბევრიც ისევ ამხედრებულა თავის მანქანასა და ჯორზე და თითქოს ქალაქს მისაბრუნებლად ემზადებაო.

ამგვარს ღალატს არ ელოდნენ სუნგალები. ყველაფერი თანხმობით იყო, ისინი მივიდოდნენ თავის კუნძულზე და გაჩერდებოდენ იქ, თავის მიწაზე.

იქა სდგას ხეტიაც, სუნგალის მეთაური და დაჰფიქრებია ვერაგობას იმისა, რაც გამოჩნდა ამ სისხამზე, ნისლებში.

მაშ, ხეტია მოუტყუვებიათ, დაჰპირებიან და არ აუსრულებიათ.

მაშ, მშვიდათ შენახულ თავის კუნძულზედ აღარ უშვებენ და ესა ყოფილა. მანქანები ვერ გააწევს წყლის სიღრმეში, ისინი უეჭველად უნდა იტვირთოს ბარჟაზე. მაშ, თითქო, სუნგალებს ეუბნებიან, გადასცურეთ, ოღონდ კი რაცა გაქვთ, ის დასტოვეთ ამ ნაპირზეო. თოფი-ხელთოფა, ტყვია-ფინდიხი, პირისწამალი და სხვა ასეთები. ყოველი ბორბალაც აქეთ უნდა დარჩეს, თორე ეგ არ გაუჭირდებათ სუნგალებს, შეჰკრავენ ტივებს და ჯორებს კი შეაყენებენ ზედა. პირველი არ უქნიათ. პატარა ნავებსაც მალე იშოვნიან, გასწყდა სახსენებელი ზღვისა. აქეთ უნდა დარჩეს ის, რაც ომში უშოვნიათ სუნგალებს, ინგლისური რეჯიმენტის სამყოფის ნაშთები: კაი საჭურველი, ის კარგი საომარი მანქანები, სხვაც ათასი. მაგრამ მთელ დღის წვალებაა. მთელ დღის ოფლია. რამდენი გზა უნდა გასცურონ ამ სრუტეზე? თანაც, ტივი განგან მოარულია: სადაც მიადგება, იქიდან უკან მხარეს სულ სხვაგან წამოვა. წვალება არის, მეტი არაფერი.

ეს სურათი კი სხვანაირად ენახათ ხეტიას და მის ამხანაგებს. საეჭვო კი ეს არის, ათი-თორმეტი ბიჭები ხომ წინდაწინვე გამოუშვეს აქეთ, და თან ოილ-პეტროლიც უსაგზლეს ერთი დიდი ავზით, რომ ის გემები, ბარჟას რო დაუძახებენ მოფრანგენი, მზად დეეხვედრებიათ. ანდა სად არის ის ორი სუნგალი მენავე, ვინაც დღენიადაგად ამ ბარჟაზე ცხოვრობდენ? სად გამქრალან? ანდა, ხარაზაანთ ბაბო სად არის, აქ რო გამოდგამდა თავის პურებსა და ღვინოს სუნგალის საგზლად? არ არის.

და მისცქერიან ასისთავნი, მამასახლისნი და მღვდელნი და თვითონ სარდალი თავისი მიწის ნაპირს ამ ნაპირიდან და ფიქრობენ რა ვქნათ?

ბოლოს კიდევ გადაწყვეტენ, რო ტივები შეიკრას, სანიჩბე ნავები მოიძებნოს, ტივებისთვის საჭეები მოიზომოს და გრძელი ჭოკები გადაებას. მუშაობა არ ეზარება სუნგალს, ოღონდ კი შინ მივიდეს და იმას გაუჩერდება?

ოღონდ ეს არის, თუ მოელოდა მუშაობას სუნგალი? შეესევა აგე იმ კორომსა და ორი საათი, მეტი არ უნდა სატივე მორებს. ყველა ერთად იმუშავებს, ოღონდ კი არ მოელოდა ნაომარი ამდენი სუნგალი სამუშაოს და ორიოდ საათის ნაცვლად, სანამ ზოზინის სახადი გაუვლის, ნახევარი დღეც მოილევა.

იქამდი კი აიკრიფება ნისლი სუნგალის კუნძულის ნაპირიდან და გამოჩდება ჩვენი კუნძული უკეთესათ. მუშაობენ სუნგალები, თოფები ცალკე დაულაგებიათ და ზოგს წალდი დაუმარჯვებია, ზოგსაც ის მოკლე სუნგალური ნაჯახი, ვიღაცას კიდევ ჰქონია რეჯიმენტული ნადავლი, ოილის ხერხი. მთავარი მუშაც სწორედ ეს ხერხი სჩანს და სხვები კი ელიან თავის რიგსა, რათა წამოქცეული ხე დასხიპონ, ტოტი უკვეცონ და გაამზადონ სატივეთ.

და კვლავაც მაინც გასცქერის სუნგალის ნაპირს დაფიქრებული სუნგალის სარდალი ხეტია და აბესალომ მღვდელი, გასცქერის და ჰფიქრობს, რა ფანდია?

სუნგალმა ომი ქალაქურ ეშმაკობასთან წააგო, სალომეი ვისრამიანის ვერაგულ სიჩუმესთან დამარცხდა. არ იცის სუნგალმა, რო ასეც შეილება წააგო, რო მიხვდები, რო მეტი არაფერი შეგიძლია, მაგრამ სუნგალს ომი არ წაუგია. ყველა სუნგალი, ვინც ორივე მხარეს იყო ამ ომში, ახლა აქ არის, მიცვალებული კაი ხნის გამოგზავნილია, ხელი ხელზე დაკრულია, შერიგება მომხდარია. სუნგალებს ერთი მეორეში გასაყოფი არცა ჰქონიათ.

პირობა ასეთი იყო, რო თუ სუნგალები წავა თავის კუნძულზე, იყოს იქ, არავინ მიადგება: არცა ანგლეზი და არც სხვა ვინმე კანონისა. პირობა ასეთი იყო. ვის უნდა გაენძრია სუნგალის გემები? ვის რათ უნდოდა? განა მტერთა სარდალი, სალომეი ვისრამიანი ასეთ ნისიას მოიფიქრებდა? თითონ იმისი სურვილი იყო, რო სუნგალი გარიდებოდა ქალაქს. ამით სუნგალიც დაიცვა, რახან კვლავაც მოდის ანგლეზის რეჯიმენტი ამ ქვეყანაში, ხოლო სუნგალი იცხოვრებს ისე, როგორც უცხოვრია. არავის წაუშლია კანონი სუნგალის ცხოვრების შესახებ. დაწყნარდება და ისევ მოადგება აქეთა ნაპირს სუნგალის ბიჭები, რათა თავისი პატიოსანი სამსახური გასწიოს.

მაგრამ ეს რა ფანდია? რა კადრებაა? სუნგალი ხო მაინც გადავა თავის კუნძულზე?!

- რაო, ხეტი? - ჰკითხულობს აბესალომ მღვდელი, - რას დასცემიხარ?

- რა ფანდია? - ბურტყუნობს ხეტია, - ღაბაბში ამბობს ამ შეკითხვას, ულვაშს გაიფარჩხავს ფრჩხილებით და გასცქერის ისედაც ნისლმოუშორებელ სუნგალის ნაპირს, - ასრეთი ნისლი თუ გინახავს, აბესალომ მღვდელო? რა ნისლი არის?

აბესალომ მღვდელი ჩაჭუტული თვალით გასცქერის თავის ნაპირს.

- ამ ნაპირიდან არ მინახიან ის ნაპირი, ხეტი, - ამბობს დაფიქრებით, - ისე კიდენ, ბანდღა იცის ჩვენ ნაპირებზე, ოღონდაც იქიდან ასე არ გამოჩდება...

- რა ფანდია? - ისევ ბურტყუნობს ხეტია, - ნავები მოგვპარა?

- ეგებისა და მოგვპარა კიდენცა...

- არ მამწონს ეგ ნისლი, აბესალომ მღვდელო. არ მამწომს, ხელოვნურათ არ იყოს დაფენილი, რო ვერ დავინახოთ ჩვენი ნაპირი.

- ხელოვნურათ როგორ დეეფინება? რას უბძანებ?

ხეტია ხელს ჩაიქნევს და ამბობს: - ეეე... აბესალომ მღვდელო. ნისლები მაღაზიაში იყიდება. ბოთლაააა... დააჭერ თითსა და გამოდის ნისლი. აფენია და აფენია, სანამ არ დაუქშევ და სანამ კიდე მზის შუქი არ გაჰფანტავს...

- მაღაზიაში?

- ხო...

- ფანდია? - ჩაფიქრდება აბესალომ მღვდელი.

- რას გაუგებ, კაკანათები არ დაგვილაგონ...

- ჰეი... ჰეი... აქეთ მაიხე... მაიხე, ბიჭო, სოლკავ!... ჰეი... აგე, ჩვენი ბარჯია... ჰეი! - მოისმის უცებ ეს ძახილი პატარა სადგურზე, საცა ბევრი სუნგალია, - ჰეი! აგე, ბიჭო... სოლკას ბარჯია... ეჰეე... აქეთ... აქეთ... აგე...

ამ ნისლებში სჩანს, რომ ორ კუნძულს შუა მოცურავს სუნგალების დიდი ნავი.

- ჰეი, ჰეი... აგე, საით ყოფილა...

- მიმალული ყოფილა... სოლკავ! აქეთ, სოლკავ. მაატრიალე ეგ ჯამი, - ნაპირისკენ გარბიან სუნგალები, - მეორეც მაიყვა, მეორეც... დეემალენ ალბათ სხვებსა...

- მაიცა! - ჰყვირის ხეტია, - მაიცა, - და ჭოგრიტს იმარჯვებს, - მაიცა, - ამბობს ხმადაბლათ. მერე მოიშორებს ჭოგრიტს და დაიძახებს: - ფანდია, ფანდი! დააყარეთ, ბიჭებო, დააყარეთ... დააყარე მაგის ოხერი მამინაცვალი!...

და თითონაც იძრობს დამბაჩას და ესვრის ნისლებში გაბლანდულ ბარჟას.

სუნგალები მანქანებს ეფარებიან, წალდებს მიაგდებენ და თოფებს დაერევიან, ისვრიან დაუნანებლად, კარგი დამიზნებით.

კვამლი ასდის იქაურობას და ალბათ, გემიდანაც ისვრიან.

- რა არი ხეტი? - თოფსა შინჯავს მიწას გაწოლილი აბესალომ მღვდელი, - რა არი, ქრისტე ღმერთო, გვიშველე?

- მტერია... - ქშინავს ხეტია, - თოფიანი კაცებია... სოლკა არ არი...

- იმათებია?

- არ ვიცი... სხვებია, უნახავები... აახ, ააახ, ახხხ...- მიწას მუჭსა სცემს ხეტია და დაუმიზნებლათ ისვრის, - ციხის ხალხია, აბესალომ მღვდელო, ციხისა. ტანისამოსზე შევატყე... ტუსაღებია... იმათ თავისი უქნიათ... თავისი უქნიათ, აბესალომ მღვდელო. ციხის კარი გაუსხნიათ... სოფლებში რა იქნებოდა? ვინ გაუსხნა ციხის კარები?... ჰა თუნდა საგიჟეც გახსნეს... სად არი ჩვენი ბავშვი და ქალი... ჰა, აბესალომ მღვდელო... რა ფანდია... რა გვიქნა...

- იმის ქნულია? - მწარედ თქვა აბესალომ მღვდელმა და შუბლი დაჰკრა მიწას, - იმ ეშმაკეული ქალისა?

- ეს, რაღას გაიგებ... რაღას გაიგებ... უნდა გადავიდეთ... უნდა მივხედოთ... და სიტყვას ვამბობ, აბესალომ მღვდელო... სიტყვას ვამბობ, ემ ტყვიის წვიმას დავადენ სალომეი ვისრამიანს, ეს თუ...

ტყვიის წვიმაში მიცურავდა ამ ნისლიან ალაგას სუნგალების ძველი გემი, ორ კუნძულს შორის. რახრახობდა იმის ძველი მანქანა, ოღონდ კი არ ისმოდა ეს რახრახი ტყვიის ხმაში.

სცვივოდა ტყვიები, ოღონდაც ტყვიები არ ფანტავდა ნისლს.

გემმა კი მაინც ჩაიარა. მაინც ჩასცდა იმ ადგილს. სუნგალები ახლა ხედავდნენ მხოლოდ მის კუდს და ისევ აყოლებდნენ ცეცხლს. გემმა ჩაიარა.

- დააყე... - დაიძახა ხეტიამ, - დააყე, მაგის მამინაცვალი...

- იქიდანაც გვესროდენ, ხეტი? - დაიძახა ვიღაცამ, როცა სროლა მიწყდა.

- რავი, არ დამინახია...

ერთმა სუნგალმა მანქანის ფრთას დაადო თითი: - აგე, ნახვრეტი... ახალია, ცხელია...

ხეტიამ ტანსაცმელი დაიბერტყა და დაიძახა ბზარმომდგარი ხმით: - დროზე შაჰკათ ტივები, ბიჭო... დროზე... ფანდია! ფანდი გვიქნეს... შინ უნდა მივიდეთ საჩქაროზე, შინ უნდა მივიდეთ. ეს ნისლა საგანგებოა, ნისლა განგებ დააფინეს, რო ნაპირა ვერ დავინახოთ... დროზე, ემაგის მამინაცვალი... ეგებ, სახლ-კარიც აღარ დაგვიხვდეს... ეგებ, სასიკვდილო ვიქნეთ, ჩვენი სიკვდილის დამნახავს... ფანდი გვიყვეს, ბიჭო, კაკანათი დაგვიგეს... სუნგალს კაკანათი ვერ წაახდენს... მეფისა ვართ, მივიდა, იმის ოხერი მისხალი! - ამ სიტყვაზე ხეტიამ მიაგდო თავისი დამბაჩა, მოავლო ხელი იქ მიგდებულ წალდსა და გაქანდა იქვე დალაგებული წამოქცეული ხეებისკენ.

- რას ამბობს? პაიპავ? - ერთი ათიოდ სუნგალი აბესალომ მღვდელს შემოეხვია, - რა ფანდია?

- ცუდი ანბავია, ბიჭიავ, ცუდი, - თოფი დაანჯღრია აბესალომ მღვდელმა, - ემაგ ჩვენ ბარჯიაზე ციხის ხალხი იდგა. ჰათუ, გამეენგრიათ ციხის კარები, ან ვინმეს საგანგებოდ გამეეშვა და ეხლა არა ჰფიქრობ შინ როგორ იქნება, როცა რო ქალები და მარტო პირტიტველები დავტოვეთ იქა? რა იცი, ციხის ხალხ რა ფიქრ აქს? აგე, ბარჯია ხო წაულალამთ...

- ციხისა... - წაიბურტყუნა ერთმა ტანბრგე სუნგალმა, - და თუ საგიჟეს კარიც გახსნეს და გიჟსაც თუ თოფი მისცეს...

- დროზე, ბიჭიავ, დროზე!!! - იქიდან დაიღრიალა გამხეცებულმა ხეტიამ, - დროზე, უნდა გადავიდეთ და ავატიროთ ძაღლები... ძაღლს ავატირებ, ააახ... - და მუცლის უზარმაზარ თახთახით დაერია მორებს და უწყო კვეთა ტოტს.

- ჰოო, ჰო... მოდეთავ... ლოცვა ვთქოთ, რო ყველაფერი მოგვჩვენებიყო... ხეტი, ჰაი, ხეტი... არ გვიჯობს, რო მივიდეთ ეხლა ამ ცხელ გულზე, ქალაქ ავბრუნდეთ და იმას დავანახოთ ეს ლულა? ჯერ იქ მივიდეთ! ჰა... ფანდი რო გვიყო... მივიდეთ, გამოვიყვანოთ სალომეი ვისრამიანი. ყველა ვისრამიანი, ყველა გადამრეველი ჩვენი... ემაგათ მოგვცეს თოფი ხელში, ბიჭებო, მერე ხელები დაიბანეს... ემაგათ ვემსახურეთ ყველა და ერთმანეთზე დაგვაღერებინეს ხელთოფა... ისევ ჩვენავ შავრიგდით. ჩვენა, მეფისებსა, ასე არ უნდა გვიყონ ფანდი და ორპირობა... მაიცავ, მივიდეთ იქა... მივიდეთ, დავანახოთ მკლავი. განგებ გაგვისხნეს ციხის კარები, ტუსაღს და ყაჩაღს მისცეს ჩვენი სახლი და ოჯახობა. საგიჟის კარიც გაგვისხნეს და გიჟს მისცეს ჩვენი ოჯახობა. ვის ხელს მისცეს... კვამლი იქნებოდა, ჩვენი რომელი დაუწვებოდა. მინამ დაგვთაფლეს, ეს მაიფიქრეს, ნამდვილია, ქრისტე ღმერთო, ნამდვილია ეს თქმულები!!!... აღარა ვიცით, გვაქს ოჯახობა და შინაურობა თუ არა. ერთხელ დავიბადენით, ერთხელღა ავსწიოთ... ჩვენ მიწას გვართმევენ, მეფისასა... მე თუ ვტყუივარ, ქრისტე ღმერთო, აიღე შენი მეხები და დამეც ამ ადგილას, თუკი მისხალი მინდა სხვისი... არა სცემ, მაშ, ჩვენკენ ყოფილხარ... უნდათ ჩვენი კუნძულის სპობა, მეფისების დაბეჩავება... მივიდეთ, მივიდეთ, გამოვიყვანოთ სალომეი ვისრამიანი და მერეღა გამოვბრუნდეთ აქეთა! - ხმა აღარ დარჩენოდა ბებერს აბესალომ მღვდელსა, ოდენ გზნებით წამოისროდა ჰაერებსა და არც, მგონი, ისმოდა იმისი ლაპარაკნი, ოღონდაც მისახვედრი იყო და დასძახეს სუნგალებმა: - აგრეა!...

- მივიდეთ!

- მივიდეთ, მიუნგრიოთ! თავი მოვსჭრათ სალომეი ვისრამიანსა და იმის გუნდსა!

- ანგლეზსაც ვეომოთ! ანგლეზი თუ მოვიდა, ანგლეზსაც დავსცხოთ!

და ტყვიები მიაწიეს ცასა, ნისლები კი ნელ-ნელად გალეულიყო და თითქო გამოჩნდა კიდეც ეს სუნგალის კუნძულის ნაპირი.

ხოლო როცა ჟრიამულობა მიწყდა, გამოვიდა შუა სუნგალებში ხეტია და სთქვა წყნარათ: - მოვკლავთ სალომეი ვისრამიანს... დავიჭერთ ისევ კოშკებსა და მონასტერსაც ავართმევთ, განძსა, რომლის ამბავიც მარტო მე ვიცი... ოღონდაც, ჯერ შინ უნდა გადავიდეთ. ზურგი თუ არ გაქ მაგრათ, თუ შენი ოჯახობისა არ იცი, ჭკუით ვერ მიხვალ... მო ეხლა, შავკრათ ტივები და მივადგეთ ჩვენ ნაპირსა. ლოცვა გვითხარ, აბესალომ მღვდელო...

ესა სთქვა წყნარათ, კოხტა ახსნილობით და აბესალომ მღვდელი მიხვდა, რომ ხეტიამ რაღაცა მოიფიქრა. იმიტომაც სცემდა მორებს ნაჯახსა, ფიქრობდა.

სუნგალთა გაგიჟება და სისხლის გამოდენა

- ააა, ახ, თქვენი მამინაცვალი... თქვენი მამინაცვალი, თქვენი! აგატირავთ ეხლა ძაღლსავით!... თქვე მოდარდის გაზდილოოოო... მიაყარე, მიაყარე, გაგრიავ, გადაჰყარე მაქიდანა... მიაყარე და დამარხე მეფის მიწაში, ე, მაგის! - და კაკანებდა ტყვიისმფრქვევი და ღონიერი კედლისნგრევის ყუმბარები ფეთქდებოდა, - ბოლო კაცამდის, ბოლო კაცამდის, სანდალავ... ყური მოსჭერ და ჩაუდე ჯიბეშია...

ბრძოლები კი იყო თავზეხელაღებული, განწირული და გმირულიც, სრულიად გიჟური. როგორც დაიჩივლებდა ხოლმე აბესალომ მღვდელი, ძლივას ნამდვილი მტერი გამოგვიჩდაო. ამნაირი სიმწარე სუნგალს, აბა, როდის ენახა. ნაამბობის ნაამბობით იყო მოსული ბარე ასის წლის წინეთ სუნგალთაგან ატეხილი ომიანობა, ანგლეზ თომათას მეთაურობით, როცა სუნგალებმა კანტიკუნტა ბრძოლა გაუმართეს კუნძულზე გადმომსხდარებს. ახლა კიდენ ნამდვილი საომარი შეიქნა და ალმასობაც ასეთი არის, რომ გემო ჰქონია არა სხვისი მიწის დაპყრობასა და იმის ქალაქში თოფდამარჯვებულ ბოტებას, არამედ სწორედაც რომ საკუთარის ადგილის გამოგლეჯვას მტრის ხელიდან. და სუნგალმა იომა, ვითარცა რომ ენახა სხვას, არ დაიჯერებდა, რომ ესე მართალი იყო და არა დახატული.

ვინ დაიჯერებდა, ხოლო ყოველი, რაც გამოსთქვა ხეტიამ იქით ნაპირზე, მართალი გამოდგა, ოღონდაც სუნგალებს მაინც გამოცანად დაურჩათ, ვინ გაუხსნა ციხის და საგიჟის კარები, ვინ ჩაუგდო ხელში ამდენი თოფი თავზეხელაღებულს ტუსაღებსა, რო ასე მოეოხრებინათ სუნგალის სოფლები.

სულ ორი დღის ამბავი იყო: მობატონებულიყვნენ სუნგალის სახლებში და ცუდებიც ექნათ.

ყველაფერსა ბედავდნენ: იმათ ღვინოს დალევდნენ და რასაც ვერა, დააქცევდნენ; იმათ ბალღებს აწვალებდნენ; იმათ ცოლებსა და დებსა კიდევ, საცა წასწვდებოდნენ, იქ თავის სანდომზე გააკავებდნენ, ხოლო ბებერს წიხლით ელაპარაკებოდნენ. ისროდნენ გასართობათ, თუ მოესურვებოდათ, დაჰკრავდნენ ტყვიას წინ განგებათ გაქცეულს და იმის ჯავრი აღარა ჰქონდათ. არც ერთი იმათი დამცველი, არც ერთი

მუშაკი ციხისა, იქ აღარ იყო. ხოლო სუნგალი თუ ერია იმათში, ჩეეხოცათ. გიჟები კი თითონ ამათ გამოურეკიათ, ხოლო იმათი აქიმნი კი გამოუკეტიათ საგიჟეთში. იმ ექიმებს თავი დაუხსნიათ, ტყედ მისულან და რაც კი რამ დახმარება შეუძლიათ, ისე კი მოხმარებიან საბრალო სუნგალის ოჯახებს. ციხელების გამოვარდნის დღე რომ დაბნელდა, ვინც მოახერხა სუნგალის სოფლებიდან, ტყედ გავიდა, ხოლო ტუსაღებისგან ბევრნი დაითვრნენ და ამიტომაც გაუღეს კარები გიჟებს, ხოლო მეორე დილიდან უკვე გიჟებს დაუწყეს დევნა და იმათზე სროლა. რა მოასწრეს ამ ორ დღეში და ყველა სოფლის წახდენა, ხოლო მერე კი მოინადირეს ორივე ბარჟა, რომლებითაც სეირნობა გამოიწყეს. სუნგალის ხალხი, ვინც კი გადარჩა და ვინც კი ტყედ მოახერხა გასვლა, მოახერხა და დაიმალა სუნგალის ძველ ადგილებში, ქვაბულებში, ნაირგვარ ბუნაგებში და იწყო მოლოდინი თავისი შვილებისა, ქმრებისა და მამებისა და რა მართალი იყო ნამღვდელარაანთ ხეტია, როცა რო სთქვა, ჯერ შინით მივიდეთო, შინის თუ არ იციო და გარეთ რა გინდაო, და იხილეს სუნგალებმა თავიანთი მორბეული სოფლები და ჩამონგრეული ბანები და გალეწილი კოკები და ეძებეს თავიანთი განაწამები ცოლები, ატირებული ბალღები და საჩქაროდ დამარხეს თავიანთი მკვდრები, ვინაც იპოვეს სოფლის გზებზე, სახლებში, მარნებში, ბოსტნებსა და გომურებში და სთქვეს, მივიდეთ და მოვძებნოთ ჩვენი დამაქცევარი. ერთი ცრემლი არ გადმოგორებულა, ყველა იყო რკინისფერი. გზადაგზა იჭერდნენ გიჟებს, აბამდენ და მიჰყავდათ ისევ საგიჟე სახლში, ვისაც ვერ იჭერდნენ და ჰკლავდნენ პირდაპირ, დაუნანებლად. გიჟები იბრძოდნენ, ისროდნენ ქვებსა, ასობდნენ კბილებსა და ფხოჭნიდნენ, ესენი ერეოდნენ, ტყეში მიდიოდნენ ძველ სამალავებზე, ჰკოცნიდნენ და ეხუტებოდნენ თავიანთ ოჯახებსა და ნადირობდნენ. ნადირობდნენ იმგვარის ავის ნადირობით, რომელსაც არცა ჰქვია ნადირობა. აგე, ეს არის ჩვენი ტყეო, ასე გამოითქმოდა. სუნგალები ომობდნენ, ჰკლავდნენ უმოწყალოდ ტუსაღთა გუნდებს, გამოურჩევლად საცოდაობისა და დანაშაულისა, ადუღებდნენ ადგილზე და იმათ ტყვიებით დამძიმებულს სხეულებს ჰყრიდნენ ერთს განთქმულ შამბინიანის ხევში, რათა დამარხვა არ ღირსებოდათ და მათზე, ვითარცა მძორზე, ნადირი მისულიყო, გაეჯიჯგნა და გამოეჯიჯგნა. სუნგალებს გამოჰყავდათ თავინათი პირტიტველა ბიჭები, წამოზრდილნი და მიჰყავდათ ტუსაღთა ლაშქარზე თავდასასხმელად, ასწავლიდნენ როგორ დაემიზნებია დაჭრილისთვის და იქავ მოეკლა ბრძოლის შემდეგ.

არ დაღლილან მთელს ათს დღეს, მართლა რომ ძველის სიტყვისა არ იყოს, დასუნგალობდნენ და მერედა როგორ იცოდნენ თავიანთი კუნძული, ყოველი ადლი ნაპირისა, ტყისა და კლდისა, ყოველი გადაფურთხება, ხოლო მთავარი ომი კი გადაიხადეს ბერუაანთ ნაყანევზე, სადაც, თავის ანგარიშით, მოჰკლეს ყველა დარჩენილი ტუსაღი. ანგარიში ტყუილი არ იყო, ხეტია მოღიავებულ ციხეს მივიდა, გადმოალაგა იქაური დავთრები, იკითხა და დასთვალა, რამდენი უნდა ყოფილიყო ტუსაღი. სუნგალი მეტი იყო, ვინემ ტუსაღი, ტუსაღობამ არც თვლა იცის, არც გარემოს გაგებულობა აქვს. ყოველი მოკლული ერთი ნიშანი იყო ქაღალდის ნაგლეჯზე. იქა, ბერუაანთ ნაყანევზე, ჩაჰხოცეს სუყველანი, დაადუღაბეს, ურო სცეს, როგორც ცხელს რკინას სამჭედლოში, წყალი არ გადაავლეს, თითონაც არ დალიეს, იმ ცხელი რკინებით დაადუღეს, აღარც ხევს წაიღეს, არ მოიყვანეს ურმები, სანამ არ დააფურთხეს ზედა ყოველ ამათგანს. იდგნენ გამხეცებულები და სცემდნენ მკვდარ ტუსაღებსა, რომლებმაც ამგვარი ავკაცობანი გამოიჩინეს მათი ადგილის მიმართ. ძნელი საყურებელი იყო, გარეშე რო ყოფილიყო ვინმე, ან ქალი, ანცა ბალღი, ძნელი

საყურებელი, ოღონდ კი ზეიმობა კი არ იყო, გავიმარჯვეთო, ვერა სძღებოდნენ, რო იმათი ბოღმა მაინც დარჩომილი ჰქონიყოთ. მადლობა უთხრეს ექიმებსა. მიაგნეს აღმოსავლით კლდეებთან მიყენებულ ბარჯიებსა, იქ გაეხსნათ თავის წილი ნავსადგური ტუსაღებსა, იქვე ნახეს საბრალო სოლკა მენავე მკვდარი, დეეგდოთ იქ იმ პირშავებსა ბებერი სოლკა და ხებრელაც კიდე გვერდზე მიეწვინათ ნიშნითა. წამოასვენეს სოლკა, ისიც მიასვენეს თავის სოფელში და იმის ათ დღეს იმდენმა ხალხმა, იმდენმა სუნგალმა სჭამა მხოლოდ ოციოდ პური და წყალიც კი არ დაულევნიათ, მეორეს არ დეენახა, რო პირველს ან წყალი დეელია, ან რამე ეთქვა.

ასე ჩუმათ-ჩუმათ დადიოდნენ. მერე მოშინჯეს ერთმანეთი, აბა, თუ ცოცხლები ვართო, აბა, თუ ვართო და ჰკრეს ერთმანეთს დანები, ზოგმა ფერდში, ზოგმა ხელში და სისხლი კი არ გამოუვიდათ. სწორედ რომ, დანა დაჰკრეს ერთმანეთს და სისხლიც არ გამოუვიდათ. ერთმანეთს ვერ ვიმეტებთაო, მეფისანი ვართაო და მოდი, თავთავისთავს დავსცეთო და იცემდნენ ფეხში, ხელში, მუცელშიაც და სისხლი კი მაინც არ გამოსდიოდათ. იდგნენ ასე, რკინისფერები და უყურებდნენ დანების და ხანჯლების მშრალს პირებსა და მერე სთქვა აბესალომ მღვდელმა და იმას კიდე დაეთანხმა გერმანოზ მღვდელი, რომაო, ეს ნიშნავსაო, რო სიკვდილთან ახლო ვართაო, ეგების, ყველა კიდეც მოვკვდითო. ამისა კი არსებობს ერთი წამალი, რო სუნგალმა გაიგოს, მოკვდა, თუ ცოცხალია, იმიტო, რო თუ სისხლი არ გამოგივიდა და გინდაც ისუნთქო, გინდაც სვა და სჭამო, მაინც მკვდარი ხარ. განა არ იცის ყოველმა სუნგალმა, რო მთავარი რამ კაცისა არის სისხლი და თუ სისხლი გარე არ გამოდის, ორი რამეა: ან გაყინულა ძარღვში და ასე მოუკლავხარ ცხოვრების საშინელებასა, ანაც კიდევ მეორე ის არი, რო ისეთი შერცხვენილი ხარ, ისე შეგირცხვენია შენი სისხლი, რო იმას გარეთ გამოსვლა არ უნდა, ვინმემ არ დამინახოსო. ამის შემოწმების და წამლობის ერთი გზა არისა და აბესალომ მღვდელმაც გაახსენა ეს გზა სუნგალის კაცებსა და ბიჭებსა: ღვინო უნდა დალიო, გაათბო და მოატყუო სისხლი და თუკი დანალევზეც არ გამოვა, მაშ, წაგებული ხარ.

და იმავ საღამოზე ყველა მივიდა თავის სოფლებში, თავის ოჯახობასთან ერთად, ვის ვინ გადაურჩა, ვის ვინ მოუკვდა, ყველა დაჯდა თავისი სახლის უკან, იქ, სადაც კარია და სჭამა პური და დალია ღვინო თავის ოჯახობასთან. ბევრი დალიესავ, ზოგმა თითო ჩაფიც კი. ასე დალიეს, რო იმის მეტი აღარ იქნებოდა და ღამეს კიდე გამოვიდენ მაშხალებით ორღობეებში და ჰყვიროდნენ, მეფისავ, მეფისავ და ერთმანეთს კი ჰკრავდნენ ხანჯლებსა და მაშხალაზედ ამოწმებდნენ, გამოვიდა თუ არა სისხლიო. ისე დაითვრნენ, რომ აქა-იქა, ზედმეტობაც კი მოუვიდათ ერთმანეთზე დანის დაკვრა, ხმალი თუ გასჭრისო და ერთი-ორნიც, ადგილ-ადგილ, გვარიანად შეიფატრა, თითის სიგძეზეც კი, ოღონდაც მალევე მიჰხედეს, ჰა, თუ საგიჟეს დამთვრალ ექიმებმა, ვინც კი იქ იყო და დილაზე ისევ თავის სამსახურის ასრულებას ეშურებოდა, ჰა თუ თითონ ქალებმა.

მოდის სისხლიო.

ლამაზი არის სუნგალის მიწა. იმის უმეტეს ლამაზი ძნელად მოინახოს რამე დედამიწის ზურგზე, ერთხელ დანახულსაც ვეღარ გამოსცდები, იმის ნისლობით მსუნთქავს ტყესა, მობიბინე მზისფერს ყანასა და იმის ნაკადულებსა, ვერცა იმის ყურძნის მტევანსა, თვალიანსა და არეულად, სუნგალის ფიქრივით მოსხმულს იმის მარცვლებსა და როცა იქნა სისხამი და იმის სოფლებზე გაისმა ხმა ნაღარისა, ხოლო

შეყრის ალაგად დაინიშნა შიოლას საკირე, საცა თავი მოიყარა კიდეცა მთელმა სუნგალის კაცებმა და ბიჭებმა და იქ იყვნენ ცოცხლად დარჩენილი ორი მღვდლები, ასისთავნი და სოფელთა მამასახლისნი და შეიქნა დიდი ლაპარაკი, როგორ მოიქცეს სუნგალის ხალხი. იმ ლაპარაკში და დაძახებებში გამოჩდა, რო მთელი სუნგალობა ამ უბედურობის მთავარ მომწყობად ხედავს სალომეა ვისრამიანს, რომელიც გაურიგდა, მშვიდობა უთხრა და წინდაწინვე ასეთი ვერაგობა მოუხერხა სუნგალებს, სხვის ხელში მისცა იმათი მიწა და სახლები. ამიტომ დაითქვა, რომ ისევაც მივიდნენ ქალაქზე, გადასცურონ წყალი სუნგალის მიწასა და დიდ კუნძულს შუა, ოღონდაც იმთავითვე გამოაცხადონ, რო იმათი სანიშნე გახლავს სალომეი ვისრამიანი და არა საზოგადოდ სხვები. სწორედაც რომ სალომეის ასაოხრებლად დავიძრათაო.

აქ კი სიტყვა თქვა ხეტიამ, რომელიც მთელი ამათი ლაპარაკების და ხრიალის დროზე ჩუმათ დამჯდარიყო საკირის ყორეზე და დასჩერებოდა კირით გათეთრებულს მიწას.

- მეფისანო, - სთქვა მაშინ ხეტიამ, - მეფისანო. სწორეა. ანგარიშიაო. ოღონდაც, თუ ჩვენ საომრათ არ მივდივართ და მარტო სალომეის დასარეცხად, მაშინ ჯიქურ მისვლა არ უნდა. მაშინ ჩვენა უნდა შევკრათ ერთი კარგი გუნდი, ოც კაცისა და მარტო სალომეის მივსცეთ ფუღილი, რო დავანახვოთ, სუნგალი არ გამტყდარა, სდგას თავის კუნძულში და პასუხის გამცემია. თუ ასე გვინდა, მაშინა, კარქა უნდა მოვიფიქროთ, როგორ წავასწროთ სალომეის ისე, რო იმან არ მოგვასწროს და ჩვენ მოვასწროთ. ამიტო თელ ჯარათ წასვლა არ იქნება. სხვა იანგარიშეთ, განა მარტოს დაგვტოვებენ აქა? განა მომსვლელი არ მოვა და ქაქს არ გაჰქექამს? იმ მომსვლელს კიდე დახვედრება უნდა, გინდაც ანგლეზი იყვეს... ამიტო აქა ჩვენ გუშაგობა და სანგრობა უნდა გავსწიოთ, რო თუ გამოჩდა გემი და ნავი თოფიანი კაცებით, იქავ დავადუღოთ. შუა კუნძულში, ციხეში უნდა დავდგათ საჯარო სადგომი და ყოველ ნაპირზედ სანგრობა იყვეს. ჩვენ ფული გვინდა, რო საჭირო კაცები მოვნახოთ და იმათგან თოფ-იარაღი ვისყიდოთ. ეგენი არ მოგვასვენებენ. ეს არი ხეტიას ნათქვამი... ომი მოგველის, ამასა ვხედავ. ამიტო მოვიფიქროთ სალომეს მოსპობა და საჭირო ბიჭები კი იქით გადავსხათ ამ საქმისთვის. ეხლა კიდენ, ამ უბედურობაში, ოთხი მღვდელი გვყვანდა და ორი დაგვირჩა. მათა ვთხოვ, გვიკურთხონ ორი სხვა მღვდელი და გაგვიძღვენ იმის შესამოწმებლად, რო თუ არის ალაგზე ჩვენი სამეფო განძები... ჰოოოო, ჰოოო, უნდა შამოწმდეს და სახალხო დაცვაც დეენიშნოს... აბა, მა ვინ ხალხმა იტრიალა ამ კუნძულზე და რას გადააწყდა, რა ვიცით? ვიცით? არც მე და არც თქვენა არ მოგვეხსენება, სად არის ის ჩვენი განძეული, მამა-პაპასა და ჩვენც რო გვიგროვებია... მოეხსენება ჩვენ ორ მღვდელსა და მადლი ღმერთსა, რო ესენი დაგვირჩენ ცოცხალი... გაგვიძღვენ მღვდლები საჭირო ადგილამდის, მერე კიდენ თითონ წავიდენ და შაამოწმონ, ადგილი დანახულია თუ არა... ჩემი ფიქრი ასეთია და თქვენ რაღას მოიფიქრებთ, ესაც მითხარით...

- სწორეა... სამივე ამბავი სწორეა, - დაიძახეს სუნგალის მხრიდან.

ბევრმა დაიძახა.

- დავუდგენთ იმათა და მივხედოთ... დავიჭიროთ ალაგები, დავსვათ ნიშნები... მოვიკითხოთ, ჩვენ საგანძურს რა სჭირსა...

ყველა ესენი დაეთანხმნენ ხეტიასა, ხოლო აბესალომ მღვდელმა კი თქვა: - ჩვენა, მე და გერმანოზა მღვდელი, მარტო წავალთ. იქ თოფით მისვლის წესი არ არის. მარტო უნდა ვიყვეთ.

- აბესალომ მღვდელო, - გაეპასუხა ხეტია, - ესეც მოთვალე, იქ რო ვინმე დამალულს საფარი ჰქონდეს... ტუსაღს კი არა და ვინმე სხვასა, დაგასოთ ნიშანი თქვენა, ჩვენ რაღა ვქნათ? მიტომ, თოფითაც უნდა მიხვიდე და საჭირო ალაგამდი ჩვენც წამოგყვებით. შენა, როგორც გინდა, ისე დაგვიბლანდე გზა, აქეთ გვატარე და მერე იქით წადი, ოღონდაც, შორს ალაგზე ვერ დაგტოვებთ. ეგ განძეული უნდა დავიცვათ, სხვა კიდენ ბევრი გვაქ დასაცავი ამ ჩვენ ხმელზე?

მღვდლებმა აღარაფერი სთქვეს, მხოლოდ ცალკე გავიდენ სათათბიროთ.

სუნგალის ტყეებში გამოვარდნილი ხმები

1.

ჯორები ქარქუზაანთ ყორეზე დასტოვეს და მიჰყვნენ ტყეს, მთისკენ.

ფეხქვეშ ღორღა იყო. თავზე ავი დღე ღრუბლისა, ეგრე იცოდა აგვისტოში ემ ადგილას: მოსჯანღამდა, სანჯებს უზამდა. ის მთა ღორღისა იყო: ნაძვიანიც, ფოთლიანიც, ფეხქვეშ კიდე ღორღა. იმის იქით იწყობოდა ნარიანის კლდეები, სულ ეკლისა და ბარდის გამომსხმელი ქვები. იმას ზეით კი მთა ქუხილისა, ისიც კლდიანი.

ხეტიას ათნი წამოეყვანა. ათნი კი არა, ექვსნი. თავიდან ათნიო, მერე კიდენ ექვსზე ჩამოსულიყო. ექვსნი ვიქნებითაო. რო მობრუნდებოდნენ და სანგრობის გეგმას მალევე დასახავდნენ. ორნი იყო პატარა ბიჭები, ვინაც ნამდვილი თოფობა გუშინ და გუშინსწინ გამოსცადა, ერთიც ღორაკუდაანთ მამასახლისი და ერთიც, ხორციანი სუნგალი ფიდო, რომელსაც წუხელის იმდენი ერტყა დანა, რო ხელები სულ დეებანდათ თეთრი მიტკლებით და იქიდან გამოუჩანდა მიტკლებზე დამხმარი სისხლები.

მღვდელები ორივენი იყვნენ და მიდიოდენ წინა. როცა მივიდენ ღორღიანის მთაზე და მარცხნივ სვლა იწყეს, აბესალომ მღვდელი შედგა და უთხრა ხეტიასა და ბიჭებს: - აგე, დაბლით ნამწყემსარის ქოხმახსა ხედავთ? იქ დეგველოდეთ. თუ რამე არის, ნიშანს მივსცემ. ყველა სროლა ნიშანი იყოს. ერთს ვისვრი და ნიშანი. აგე, ნარიანები დაგვყურებს ზედა...

- ალალ, - სთქვა ხეტიამ და მოიძრო თავზე ქუდი, - ოღონდაც, პაპავ, მაინცა ვფიქრობ, რო ორივენი არ უნდა წახვიდეთ... თუ ფარსაგია და შორას იყოს, ორივენი დაგალაგეს, მაშინ რაღა ვქნათ? ჩვენ განძის ალაგი არ ვიცით... ისევა გთხოვ, დარჩით აქა, ან შენა და ანაც გერმანოზა მღვდელი. თუ რამეა და თუ შეიგვიანე, ჩვენ გვეცოდინება, რო მაინც, საით ვიაროთ, სადა გძებნოთ, განძზე გამგზავნი გვყვანდეს...

აბესალომ მღვდელმა თავი დაჰღუნა.

- იყოს აგრე, მე წავალ, აგრე იყოს...

- მაინც როდისღა მოგელოდოთ, აბესალომ მღვდელო? რო ვიცოდეთ...

აბესალომ მღვდელმა შეჰხედა მოჯანღულ ცასა და მიუგო: - დაბნელებამდის...

- ჰიე... დავხოცილვართ გულის სკდომითა...

აბესალომ მღვდელი გატრიალდა და შეუყვა მაღლით აღმართს, ესენი კი თავქვე წამოვიდენ.

2.

- გესმის?... ხეტიავ, გესმის?

- მაიცა... მაიც... ჰა?

- ჰო... იძახის...

- იძახის...

- რას იძახის?

- მეფისააავ... ჰო... აგე, გაიგონე კიდე? მაღლა მთიდან მოდის ეს ხმა, იმ კლდეებიდანა... მაღლა მთიდანა...

- ვაითუ, აბესალომ მღვდელია... ვაითუ... ჰა?

თოფები კი უკვე ხელში ეჭირათ.

- ეგ არ არი აბესალო, - სთქვა უცებ გერმანოზა მღვდელმა, - ეგ არ არი აბესალოს ხმა.

- მაიცა... - და აყურადებდნენ მთასა და გადმოჯარულ კლდეებსა.

მართლაც მოისმოდა: - მეფისაავ... ჰეი, მეფისავ... - მაღლიდან მოისმოდა, ტყეებიდან.

ყველა გატრუნულნი, მეძებარსავით დაცქვეტილნი აყურადებდნენ.

- ეგ არი... - თვალი ჩაჭუტა ღორაკუდაანთ მამასახლისმა, - ეგ არი... ბრმა არჩილა. იმისი ხმაა...

ყველანი პირდაღებული უყურებდენ ღორაკუდაანთ მამასახლისს.

- არჩილა... - სთქვა მღვდელმა, - არჩილა ხო დაიკარგა... სადმე მოჰკვდებოდაო...

- მოჰკვდებოდა და მოჰკვდებოდა, - რიხითა სთქვა ხეტიამ, - ცოცხალი არჩილასი ვის ეშინოდა, რო ახლა კიდე მკვდარისა... გაგვიძეხ, მღვდელო, მარტო ვეღარ დავტოვებთ აბესალომსა... უნდა მოვსძებნოთ, ვინ არის დამძახებელი... ტყუილა ხო არ იძახის... გვხედამს და...

- მაიცა, ხეტი, - სთქვა მღვდელმა, - მე რათ უნდა გაგიძღვეთ, - ემაგ დამძახებლის მოძებნას მე რათ უნდივარ. მე დამტოვეთ აქა და თქვენ მოსძებნეთ...

ხეტიამ თავი გააქნია.

- ვერა გაგიგია რა, გერმანოზა მღვდელო, - ამოიოხრა ხეტიამ, - ორნი ხართ, ვინც იცის, ჩვენი განძეული სადა ძევს... ერთი, აბა, რა ვიცით, სად არის, მეორე კიდენ, შენა ხარ... მარტო როგო დაგტოვოთ?

- თოფითა, - ჩაიღიმა გერმანოზა მღვდელმა და წვერზე ჩამოისვა ხელი, - ეგრეა.

- მაშ, ისე უნდა დაგტოვოთ, რო სადმე არ გაგვექცე...

- მეფისააავ... ე-ჰე-ჰეი... - ისმოდა მაღლიდან.

ლაღად კი იძახდა, ვიღაცა იყო.

- ხეტი, აქეთ მაიხე, - უთხრა ღორაკუდაანთ მამასახლისმა, - რა დაძებნა დაუჩემე? აბესალომ მღვდელმა ტყე იცის. მკვდარია თუ ცოცხალი, არჩილამ რა უნდა უყოს?

ხეტიამ დააფურთხა გაჩაღებულს კოცონს და იმ დიდ მუცელზე საპირისწამლე ქამარი კოხტათ შეისწორა: - შენც ვერა გაგიგია რა, ღორაკუდაანთ მამასახლისო... არჩილა ბრმა არ არი და არცა მკვდარია. მე რო დილაზე ვანბობდი, რო, ამ კუნძულში სხვაც მიიმალებოდა-თქო, ცარელაზე ვანბობდი? ტუსაღებისა რა გაგვიხდა, ტუსაღს ვინც კარი გაუსხნა, ის სად არი? თქვენ ელოლიავეთ ემაგ განძის მალვასა და თუ გადაგარჩენს ეგ განძია, ეგ არი ჩვენი ფული. მეფისა კი არა... წაშლიან სუნგალის კუნძულსა, თუ ეგ არ მოვიხმარეთ... აგე, ორი ბალღი მისმენს... აქ უცილობლივ ჯარი მოვა. ეემაგ ოქრო-ვერცხლია ეხლა ჩვენი პატრონი... შესანახი კი არა. ეგრე, რო, გაგვიძეხ, გერმანოზა მღვდელო, აღარ მათქმეინო. გაგვიძეხ და გზად, ვინძლო, საომარიცა გვქონდეს.

ამ სიტყვებზე ხეტიამ ხელთოფა მომართა და შეხედა ჯიქურ მღვდელსა, მერე კიდევ ღორაკუდაანთ უკბილო მამასახლისს.

- არა, - სთქვა გერმანოზა მღვდელმა.

- მეფისააავ... - ისევ მოისმინეს მაღლიდან.

3.

ემ სანგარზედ რვანი იდგნენ, პირდაპირ გამოსცქეროდენ აქეთა ნაპირს და თუ რამეა, მაშხალებიც თანა ჰქონდათ. ზედ ნაპირზე კი არ იყვნენ, შემალულებში ეჭირათ საფარი და ჭოგრიტებით ცქირავდენ იქითა ნაპირს, რომელზედაც, ვინ იცის, რამდენჯერ დაუდგამთ ფეხი და რომელში ყოფნასაც მიჩვეული ყოფილან. და თუ გამოაღებ გულის კარებსა, მოსწონდათ კიდეც იქითა მხარე, ის სამუშაო ალაგები, რომლებიც დაჰყარეს ქალაქში.

ეს იყო სწორედაც რომ ის დრო, როცა ამ საფრის ბიჭები სამხრობას შეჰყოლოდნენ: შინიდან მოეტანათ ქალებს ცხელი კერძი ქვაბებითა. ამდენ ხნის მონატრებულ ქმრებსა და შვილებს განა მეტს არ გაუკეთებდნენ, განა მეტს არ მოართმევდენ? ერთი კოხტა ფანჩატური გაემართათ სუნგალებს იმ სანგარზედ და იქა სჭამდნენ პურსა. ქალებიც იქ იყვნენ, იყო მასლაათი და ერთი კი იკითხა გოგიამა: - დედი, ჩემი ძმა არ გამოჩენილაა? ის განძის ხალხი არ გამოჩენილა? ხეტიაც ხო იქ არი?

- არ გამოჩენილა, შვილოსავ... არა...

- მეოთხე დღე გაილია, - სთქვა ზაზიკაანთ ცოლმა, - მეოთხე დღე.

- ეგრე სჩანს, რო მღვდლები ფთხილობენ... მაშ, არა?

ესენი რო იჯდენ და გოგია კიდე პირით ზღვისკენ იყო, ხედავდა ნაპირის ერთ მოხვეულს და უცებ სთქვა: - ...ბიჭო, აგე, აბესალო მღვდელი, ის პურის ყუა კიდე ხელში შერჩა, ხოლო პირი გაღებული და ლუკმა კიდევ გაუღეჭავი...

- აგე, - ყველამ ნაპირისკენ მიიხედა და თითქო წამოდგენ და შუა გზაში კი დარჩენ გაშეშებულები..

ნაპირიდან მძიმეს ნაბიჯით მოდიოდა აბესალომ მღვდელი, ის თავის ჯუბაჩა ჩამოჰკიდებოდა მხრებზე, როგორც ვინმე გოლიათის ტანისამოსი პატარა კაცსა.

თავი წაეკრა ცისფერის თავსაფრით, ხოლო წვერი, ასერიგ გძელი და კარგად შესახედი საერთო დროში, მთლად ასწეწვოდა. ხელში ეჭირა ძველი თოფი და არა ადრევე ნაჭერი ავტომატი. ის თოფი ღორაკუდაანთ მამასახლისის სასროლედ იცნეს.

გულზე კი ეკიდა მოელვარე თითბრის დიდი ჯვარი. ტალახები მოსდებოდა მთელ ტანზე.

გუშაგებმა აღარ დაახანეს და გაცვივდნენ ნაპირისკენ და იმათ კი მიჰყვნენ ქალები.

- აბესალო მღვდელო... აბესალო მღვდელო... საიდან მოხველ აქეთა, ამ ნაპირადან საიდან მოხველ?

აბესალომ მღვდელმა დააგდო ძირს თოფი და გაჩერდა უტყვად.

იმის თვალები ამბობდა არაფერსა და თითქო აბესალო მღვდელი კი არ იყო, იყო ნახევარი აბესალო მღვდელი. დანა დაგერტყა, სისხლი არ გამოუვიდოდა.

- აბესალო მღდელო, ავათა ხარ?... სხვები სად არიან?

- ჩემი ძმა სადა არი, ჭეჭო? ჩვენი ნაბოლარა სად არი?

- ხეტია სად არი? ჰა, აბესალო მღვდელო...

- ფელენჯამ გჰსანჯა, - სთქვეს ქალებმა, - დავაჯინოთ სადმით, წყალი მივსცეთ.

- აბესალო მღვდელო ...

- შენი ძმა არ არი... - სთქვა უცებ აბესალო მღვდელმა და ჩაიჩოქა მიწაზე, - არავინ აღარ არი... მე ვარ, აბესალო მღვდელი...

- ჰა... არ არი?

- სად არიან... რა ფანდია?

- რა მოხდა, აბესალო მღვდელო?

- განძიც არ არი... მეფეც აღარ არი... ხეტიაც არ არი... არცა ღორაკუდაანთ შაშია... არცა ვინმე... მე ვარ... აბესალო... სუნგალიც აღარ არი...

მიწას თუ ელაპარაკებოდა.

- რა არი, მღვდელო... ჩემი ძმა სად არი?

- შენი ძმა... შენი ძმა მოჰკლა ხეტიამა, გერმანოზა მღვდელიც მოჰკლა, ღორაკუდაანთ... მოჰკლა. განძი აღარ არი, მოუპარნიათ... თუ დაუმალნიათ... აღარ არი... ქაქი გაჰქექა ხეტიამა... ქაქი მოგვცა... - აზლუქუნდა აბესალომ მღვდელი, - ადრევე ვიცოდი, ადრევე უჭერდი ბუზობას... ხეტიამ მოჰკლა ბიძაშენი მარტია ქალაქად... თავად სთქვა...

დადუმდა აბესალომ მღდელი და მერე კი ქალები ქვითინებდენ.

- მერე... მერე, აბესალომ მღვდელო, - ვისაც შერჩა ძალი, ისინი ეკითხებოდენ.

- მერე სალაპარაკო იყო... ტყეები სავსე არის ვიღაცის ჯარითა, ვინ არი, გაიგებ? დამალული ჯარებია... მერე ან მე და ანცა ხეტია... ბალღებმა ჩემი მხარე აიღეს. იმან გადმოატარა... მეც დავუხვედრე... ბალღები აღარ არიან... ხეტია აღარ არის... სუნგალი გათავდა... ვეომოთ? ვისა, რისთვინა... რისთვინ ასწია ომიანობა? აღარ არი სუნგალი. მოვა და ყველას დაგვხოცავენ. ყველას, ერთიანათ. ჯარი მზა ყოფილა. გვიმალავდა... ანგლეზის ჯარი მოდის... ეხლა თქვენია, დავხვდეთ თუ არა... განძი აღარ არი, რაც გვიგროვებია, დამალულია სხვაგანა, ანაც წაღებული...

წითელი ფეხსაცმელებით აუღებელ მიწაზე სამშვიდობო ჯარი სუნგალის კუნძულზეა

გაზეთი „მესინჯერი“

მონიკა უსო დი მარეს ტექსტი, ფოტოები ბიკ ლოპიანისა, არტ ლოპიანის დახმარებით

საღამოს შვიდ საათზე სუნგალის კუნძულის მიწას სამი სხვადასხვა მხრიდან ოთხი ათასი ერთნაირი საბრძოლო ჩექმა შეეხო. ჯერ მხოლოდ შეეხო, მერე კი მტკიცედაც დადგა.

ეს იმას ნიშნავს, რომ კუნძულზე სამი ქვეყნის სამშვიდობო ჯარები გადასხდნენ: ბრიტანეთის, თურქეთის და რუსეთისა.

ამ ოთხი ათას ჩექმასთან ერთად ამ დამალულ მიწას შეეხო ორი ძველისძველი წითელი ფეხსაცმელიც, რომელიც სწორედ ამ სტრიქონების ავტორს აცვია. არ შემიძლია არ გითხრათ, რომ ეს ძველისძველი გენუური ფეხსაცმელები საშინელი ომის დროს მაჩუქა პოეტმა სანდრო და კოსტამ, რომელმაც იმ საშინელ დღეებში თავი მოიკლა.

ეს ფეხსაცმელები და კოსტათა გვარის ერთ-ერთი უძველესი ნივთია და ოჯახური ადათით, მას მაშინ იცვამენ, როცა სახლში მოჩვენებები და აჩრდილები მომრავლდებიან. თურმე მათ წითელი ფერი არ ჰყვარებიათ. მეც ამიტომ ჩავიცვი ეს საოცარი ძალის ფეხსაცმელი, რომ სუნგალის კუნძულზე აჩრდილები დავაფრთხო.

ბრიტანელთა კვალად, დესანტი წარმატებულად და ზუსტად მოახერხეს თურქებმა და რუსებმაც.

ცისფერმუზარადიანი ჯარების სარდლად არის გენერალი ჰიუ ბრესეტი, შტაბის უფროსია პოლკოვნიკი ოსმან ტატარი, ხოლო მისი დეფუთი - პოლკოვნიკი სკავაროდა.

მოსახლეობა ჯარის გამოჩენას შეხვდა წყნარად და განსაკუთრებული არც კეთილგანწყობა და არც სიავე არ გამოუჩენია.

დღესვე პოლკოვნიკები ტატარი და სკავაროდა შეხვდნენ სუნგალის კუნძულის ხალხის ლიდერებს, მღვდელ აბესალომს და სოფლების მამასახლისებს. სამშვიდობო ძალები არ გეგმავენ კუნძულზე არანაირ საბრძოლო ოპერაციას, ისინი დაიჭერენ მხოლოდ განსაზღვრულ პოზიციებს და აქ მანამდე დარჩებიან, სანამ არ შეიქმნება სახელმწიფო დაწესებულებები და არ დაიწყება მოლაპარაკებები სუნგალებთან მათ ხელთ მყოფი იარაღის თაობაზე.

ამ მშრალი მონათხრობის მხარდამხარ უნდა შეგახსენოთ, რომ ყველა სუნგალი შეიარაღებულია და ძველი ჩვეულების მიხედვით, არ ენდობა უცხო ხალხს. დესანტის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, სუნგალთა შორის ახალი ლიდერები წარმოაჩინოს. ანუ ისინი, ვისაც უცხოვრია მთავარ კუნძულზე და იქაურობისადმი მტრულად არ არის განწყობილი. ამას ძნელად ვიტყვით 72 წლის მღვდელ აბესალომზე, რომელიც ლაპარაკისას გამუდმებით პირჯვარს იწერს, თუმცა მე ვესაუბრე ერთ ახალგაზრდას, რომელსაც „მარანას“ კლუბის მცველად უმუშავია და ძალიან კარგად იცნობს სანტა სიტის ცხოვრებას. ფიდელი, 24 წლისა, ამბობს: „ჩემთვის იქაურობა უცხო არ არის. ომში სულელურად ჩავებით. აქამდე ბევრს არ ვფიქრობდი ხოლმე ცხოვრებაზე. უფრო იმაზე ვფიქრობდი, ცხოვრება როგორ მომეწყო. იქით მხარესთან საჩხუბარი არაფერი მაქვს. ისევ მინდა, რომ რაიმე სამსახური ვიშოვო ქალაქში...“

სოციალური პრობლემები ჯერ კიდევ წინა აქვს სუნგალის კუნძულს, სადაც მთავარ ღმერთად თოფი რჩება.

რამდენად ენდობიან სუნგალები იმ დროებით ადმინისტრაციას, რომელიც უნდა დაინიშნოს კუნძულზე, ძნელი სათქმელია. ბევრი მამაკაცი თავს აფარებს ტყეებს და შეიარაღებულიც არის. სამშვიდობოთა სარდალმა განაცხადა, რომ მისი შენაერთები არც ტყეებში შევლენ და საერთოდ ვინმეს დასაჯელად არ ჩამოსულან, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ ხელი შეუშალონ ახალ სისხლისღვრას.

ხვალ დილიდან კუნძულზე ელიან დროებითი ადმინისტრაციის შეფს, რომელიც, ჩვენი შეტყობით, იქნება ცნობილი ვექილი სამსონ ბრასი, ცნობილი კუნძულების განთქმულ გვარებთან კარგი კავშირებით. დღეს დილიდანვე უკვე გავრცელდა მისი მიმართვა სუნგალი მოსახლეობისადმი, სადაც ნათქვამია, რომ ის მათ სამართავად კი არ ჩამოდის კუნძულზე, არამედ იმისთვის, რომ დაეხმაროს მათ, რათა ისეთი სამმართველო დაწესებულებები შექმნან, როგორიც მთლიანად სახელმწიფოში იქმნება. ამ მიმართვას ასევე არ მოჰყოლია არც თანხმობა და არც წინააღმდეგობა.

ასე რომ, აქ სიმშვიდეა.

ეს არის საოცრად ლამაზი მიწა, საუკუნეთა განმავლობაში ასე მოწყვეტილი სანტა ესპერანასას ცხოვრებას და ხალხიც აქ უცნაური, თუმცა თბილი და კეთილი ცხოვრობს. ეს სიმშვიდე, რომელიც სამშვიდობო ძალებს დაუხვდათ კუნძულზე,

ალბათ მაინც სახიფათო სიმშვიდეა, ვინაიდან ჩვენ უკვე შევიტყვეთ ერთი სუნგალური ანდაზა: მიწა იყავ და მიწად იქეცო.

მაგრამ ეს საოცარი ბუნება და გრძნეული გენუური ფეხსაცმელები პირადად ჩემთვის იმედია იმისა, რომ ურჩხულები არ გაცოცხლდებიან. ეს ქალაქმონატრებული სუნგალის თვალებშიც ამოვიკითხე.

ხვალიდან ჩვენს გაზეთში: მონიკა უსო დი მარეს ვრცელი და საინტერესო რეპორტაჟები სუნგალის კუნძულიდან საერთო სათაურით, „აუღებელი მიწა“.

სქოლიო

[1] ბარტონი ჯერი - სანტა ესპერანსელი მწერლის ზაალ ქორეთელის (44 წლისა) ფსევდონიმი. ორმოცამდე საშინელებათა რომანის ავტორი. მხოლოდ ინგლისურად წერს და ბრიტანულ ბაზარზეც გარკვეულად წარმატებულ ავტორად ითვლება.

[2] ხეტიას ოტელი - ქალაქის კიდეზე, მდინარის გაღმა ოტელი გაეხსნა ხნიერ ნამცველარ სუნგალს, ხეტიას. იაფი ადგილი იყო და ნახევარჯერ მუქთიც. ქალაქად ჩამოსული სუნგალები პირველ ხანობას იქ დადგებოდნენ ხოლმე. ერთმა ჟურნალისტმა ხუმრობით უწოდა პატარა სუნგალია, როცა ამ სასტუმროს მომსახურეობის დონე გაჯორა რომელიღაც გაზეთში.

[3] მარტია ძია - გამოცდილი სუნგალი მცველი, ასე ორმოცდაცამეტი წლისა, ვისრამიანთა საგვარეულოს ერთ-ერთი მოურავი და ყოველი შვილის ქალაქად გამომშვები დედის იმედი ჩრდილოეთის კუნძულზე.

[4] ინტი-სანტა ესპერანსას კუნძულებზე გავრცელებული ბანქოს თამაში.

[5] ქუხილის მთა - განთქმული კლდოვანი მთა სუნგალის კუნძულზე, სუნგალურ გადმოცემებისა და თქმულებების ერთ-ერთი მთავარი მასპინძელი ადგილი, თავისი უნახავი გამოქვაბულებითა და სახელისგულო გადმოსახედებით.

[6] ვეიქი - ინგლისური სიტყვიდან ვეჰიცლე. ასე ეძახიან სუნგალები მთავარ კუნძულზე ავტომობილს, ქართულ ენაზე - მანქანას. უფრო ვეიქლს ეტყვიან.